

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

Georgian Source-Studies

XXIII

2021

ქართული წყაროთმცოდნეობა

XXIII

2021

UDC (უაკ) 930.2
(051.2)
ქ – 279

რედაქტორები
გიული ალასანია, მარიამ ჩხარტიშვილი,
ზურაბ თარგამაძე

Editors
Giuli Alasania, Mariam Chkhartishvili,
Zurab Targamadze

სარედაქციო კოლეგია
გონელი არახამია
ეკა კვაჭანტირაძე
დავით მერკვილაძე
ნატო სონღულაშვილი
სოფიო ქადაგიშვილი
ქეთევან ქუთათელაძე
გიორგი ჭეიშვილი

Editorial Board
Goneli Arakhamia
Sopio Kadagishvili
Ketevan Kutateladze
Eka Kvachantiradze
David Merkviladze
Nato Songulashvili
George Tcheishvili

რედაქციის საკონტაქტო მონაცემები:
ელ-ფოსტა: source-studies@tsu.ge
მობ.:577 62 21 34
Editorial office contact details:
E-mail: source-studies@tsu.ge
Mob.: +995 577 62 21 34

© ტექსტი – ავტორები, 2021
© შედგენა – გ. ალასანია, მ. ჩხარტიშვილი, ზ. თარგამაძე 2021
© Text – authors, 2021
© Compilation – G. Alasania, M. Chkhartishvili, Z. Targamadze 2021

ISSN 1987 – 9563

გამომცემლობა „მერიდიანი", 2021

თბილისი, ალ. ყაზბეგის 47, ☎: 2-39-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com

შინაარსი

CONTENT

რედაქტორებისაგან 14
EDITORIAL

მილოცვა 16
CONGRATULATIONS

ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები 17
RESERCHES IN FIELD OF HISTORY AND SOURCE-STUDIES

ანუხვის მონასტრის არტეფაქტების ისტორიული მნიშვნელობა 19
ლია ახალაძე
Historical Significance of Artifacts of Anukhvi Monastery
Lia Akhaladze

უნდილაძეთა საგვარეულოს აღსასრული სეფიანთა ირანში სპარსულ წერილობით წყაროთა შუქზე 27
ნანა გელაშვილი
The End of the Undiladze Family in the Safavid Iran in the Light of Persian Written Sources
Nana Gelashvili

ამირანი და ტარიელი („ამირანიანისა" და „ვეფხისტყაოსნის" ურთიერთმიმართების საკითხისათვის) 34
გოჩა კუჭუხიძე
Amiran and Tariel (On the Issue of Interrelation between "Amiraniani" and "Knight in the Panter's Skin")
Gocha Kuchukhidze

ოსები და ქართული იდენტობა ბეჭდურ მედიაში („დროება", „ივერია", „ცნობის ფურცელი") 46
ქეთევან მანია
Ossetians and Georgian Identity in the Print Media ("Droeba", "Iveria", "Tsnobis Purtseli")
Ketevan Mania

რელიგიური სასამართლო: წარმართული, ქრისტიანული კანონიკური და მუსლიმური სამართალი შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 55
ბექა მგელაძე
Religious Court: Pagan, Christian Canon and Muslim Law in Medieval South-West Georgia
Beka Mgeladze

გეორგიევსკის ტრაქტატის შეფასების საკითხისათვის 69
დავით მერკვილაძე
On the Issues of Georgievsk Treaty's Evaluation
David Merkviladze

ერთი ეპიზოდი მთის წმ. გიორგის მონასტრის XVII საუკუნის ისტორიიდან – მონასტერში „დადგინებული" ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი სვიმონ ჩხეტიძე..... 80
ნიკოლოზ ჟღენტი
One Episode from the 17th Century History of Mtis (Mount) St. George Monastery – the Appointment of Bishop of Nikortsminda Svimon Chkhetidze in the Monastery
Nikoloz Zghenti

„შავი ჭირის" ეპიდემია საქართველოში XIX საუკუნის I ნახევარში 94
გიორგი სოსიაშვილი
Outbreak of Plague Pandemic in Georgia during the First Half of the 19th Century
Giorgi Sosiashvili

თამარ-დავითის მონეტები სომხეთში აღმოჩენილი უპასპორტო განძიდან 111
ირაკლი ფაღავა
Tamar-Daviti Coins from a Hoard with Unspecified Find Location in Armenia
Irakli Paghava

საერთაშორისო პრეზენტაცია 121
INTERNATIONAL PRESENTATION

ქოროღოს რელიეფები, როგორც ადგილობრივი თემის მიერ ეკლესიის აგებისა და ერთობლივი ფლობის დამადასტურებელი პირველადი ისტორიული წყარო 123
ლადო მირიანაშვილი
The Bas-Reliefs of Korogo as Primery Historical Sources Confirming the Fact of Joint

Construction and Shared Ownership of the Church by Local Community
Lado Mirianashvili

ქართლის სამეფოს ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის ისტორიის ერთი ფურცელი 138
გაგა შურღაია
A Page from the History of the North Caucasian Politics of the Kingdom of Kartli
Gaga Shurgaia

თანამედროვე ერი ღრმა ეთნიკური ფესვებით: ქართული იდენტობა *longue durée* პერსპექტივით 165
მარიამ ჩხარტიშვილი
Modern Nation with Deep Ethnic Roots: Georgian Identity over the *longue durée*
Mariam Chkhartishvili

თეორია ისტორიულ კვლევაში და ისტორიოგრაფია 177
THEORY IN HISTORY RESEARCH AND HISTORIOGRAPHY

ტაო-კლარჯეთის ქართული მოსახლეობის ნათესაობის ტერმინოლოგიური მოდელი (ეთნოკულტურული და სოციოლინგვისტური პრობლემები) 179
ნუგზარ მგელაძე
Terminological Model of Kinship of the Georgian Population of Tao-Klarjeti (Ethnocultural and Sociolinguistic Problems)
Nugzar Mgeladze

შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა საქართველოში (XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებიდან 1991 წლამდე) 196
მერაბ კალანდაძე
The Medieval History Studies in Georgia (from 1950s to1991)
Merab Kalandadze

წყაროთა თარგმანი და წარდგინება 209
TRANSLATION AND PRESENTATION OF SOURCES

ნიკოლაი დუბროვინი იმერეთის სამეფოს შესახებ 211
დავით მერკვილაძე
Nikolay Dubrovin about the Kingdom of Imereti
David Merkviladze

გიიომ-ანტუან ოლივიეს მისია ირანში (1796) და მისი ცნობები საქართველოს შესახებ 224
ირინე ნაჭყებია
Guillaume-Antoine Olivier's Mission in Iran (1796) and his Information about Georgia
Irine Natchkebia

თეოფილ დეიროლის „მევენახეობა კავკასიის დასავლეთ პროვინციებში“ 236
ანა ჭეიშვილი
Viticulture in the Western Caucasus Provinces by Théophile Deyrolle
Ana Cheishvili

საარქივო მასალების პუბლიკაცია **247**
PUBLICATION OF ARCHIVAL MATERIALS

„მთა ქართლზე“ აღმოჩენილი ორი ბერძნული წარწერა 249
გურამ მამულია
On Two Greek Inscriptions from the "Kartli Mountain"
Guram Mamulia

ადრესანტების თვალით დანახული გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე: ალექსანდრე გვენცაძე (1904-1993) 260
თინათინ თუშაბრამიშვილი
The Eminent Public Worker in the Eyes of His Addressants: Aleksandre Gventsadze (1904-1993)
Tinatin Tushabramishvili

თვალსაზრისი **273**
STANDPOINT

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩატარებული კონკურსები: ქართული საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცის დიდი პრობლემა 275
ზურაბ თარგამაძე
The Competitions for Academic Positions: the Greatest Problem of Georgian Academic Life
Zurab Targamadze

წიგნების მიმოხილვა.....281
BOOK REVIEWS

არკანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ სრული ქართული თარგმანის გამოცემა..... 283
პაპუნა გაბისონია
The Publication of Arcangelo Lamberti's "The Holy Colchis" full Georgian Translation
Papuna Gabisonia

"Scientia" – ახალი სამეცნიერო ჟურნალი 287
მანუჩარ გუნცაძე
"Scientia"– The New Scholarly Journal
Manuchar Guntsadze

კავკასია XVIII საუკუნის II ნახევარში. სტეფან ბურნაშევი და მისი სამი ნაშრომის ქართული თარგმანი..... 289
ზურაბ თარგამაძე
Caucasus in the Second half of 18th Century. Stephan Burnashev and Georgian Translation of His Three Works
Zurab Targamadze

ნატო სონღულაშვილის მონოგრაფია „საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)“ 292
ზურაბ თარგამაძე
Monograph by Nato Songulashvili "The Educational System in the Democratic Republic of Georgia (1918-1921)"
Zurab Targamadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი ჟურნალი 295
ალექსანდრე თვარაძე
New Journal of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
Aleksandre Tvaradze

რეცენზია პროფესორ იოსებ ალიმბარაშვილის წიგნზე „შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული

კამერალური აღწერების მიხედვით“ 297
ნიკოლოზ ოთინაშვილი
On the Book of Professor Ioseb Alimbarashvili: "Population of Shida Kartli (Gori County) in 1820s according of Russian Cameral Census"
Nikoloz Otinashvili

ქრონიკა **303**
CHRONICLE

აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, კულტურის ძეგლები 305
ლია ახალაძე
Cultural Values of Abkhazia: Language, Literature, History, Cultural Monuments
Lia Akhaladze

IV ქართულ-თურქული საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართულ-თურქული ურთიერთობები XX საუკუნეში“ 307
ლია ახალაძე
IV Georgian-Turkish International Symposium "Georgian-Turkish Relations in the 20th Century"
Lia Akhaladze

ადოლფ დირის ფოტონამუშევრების გამოფენა და კატალოგი 311
ამირან ბასილაშვილი
Exhibition and Catalog of Adolf Dirr's Photographs
Amiran Basilashvili

ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის საერთაშორისო სამეცნიერო სესია „ადიღურ-ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური საკითხები“ 315
ამირან ბასილაშვილი
International Scientific Session of the Circassian (Adighian) Cultural Center "Topical Issues of the Adighian-Georgian Humanities"
Amiran Basilashvili

"Scientia" – პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 318
მანუჩარ გუნცაძე

"Scientia" – The First International Scientific Conference
Manuchar Guntsadze

ლიდსის მედიევისტთა საერთაშორისო კონგრესი 2021 322
ლადო მირიანაშვილი
Leeds International Medieval Congress 2021
Lado Mirianashvili

იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი – 60.....324
ნესტან სულავა, ლია ახალაძე
Ioseb (Soso) Alimbarashvili – 60
Nestan Sulava, Lia Akhaladze

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასიის კარი – საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე" 330
სოფიო ქადაგიშვილი
An International Scientific Conference "The Caucasian Gates – Northern Outpost of Georgia"
Sopio Kadagishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია 335
მარიამ ჩხარტიშვილი
ზურაბ თარგამაძე
Annual Conference of the Department of Medieval History of Georgia and Source-Studies of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology
Mariam Chkhartishvili
Zurab Targamadze

ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის" XXII ტომის პრეზენტაცია..... 338
მარიამ ჩხარტიშვილი
ზურაბ თარგამაძე
Presentation of Scientific Journal "Georgian Source-Studies" (Volume 22)
Mariam Chkhartishvili
Zurab Targamadze

წმინდა გრიგოლ ფერაძის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი

დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისადმი 341
მარიამ ჩხარტიშვილი
სოფიო ქადაგიშვილი
Saint Grigol Peradze 2nd International Scientific Conference dedicated to the 900th Anniversary of the Battle of Didgori
Mariam Chkhartishvili
Sopio Kadagishvili

ინფორმაცია **349**
INFORMATION

დავით გარეჯის სატორგის ქვაბოვანი კომპლექსის უცნობი გუმბათიანი ეკლესია (საინფორმაციო სტატია) 351
ანზორ მჭედლიშვილი
Unknown Domed Church of the Rock-Cut Satorge Complex of David Gareji (Informative article)
Anzor Mchedlishvili

ისტორიულ-კულტურული ძეგლების პორტალი www.novators.ge 357
ვასილ ჭიჭალუა
Portal of Historical-Cultural Monuments www.novators.ge
Vasil Chichaghua

ინტერვიუ **361**
INTERVIEW

ახალი სტატია ქართული ანბანის წარმოშობის დროის შესახებ ევროპაში გამომავალ ქართველოლოგიურ ჟურნალში: ინტერვიუ პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილთან 363

New Article on the Time of Origin of Georgian Alphabet in the Kartvelological Journal issuing in Europe: Interview with Professor Mariam Chkhartishvili

ხსოვნა **367**
IN MEMORIAM

გიორგი ოთხმეზურის გამოსათხოვარი 369
ეკა კვაჭანტირაძე

In Memoriam of Giorgi Otkhmezuri
Eka Kvachantiradze

ისტორიკოსის, მეცნიერისა და მეგობრის – ჰაირაპეტ მარგარიანის (1950-2021) ხსოვნას..... 372
აზატ ბოზოიანი
Historian, Scientist and Friend – Obituary for Professor Hayrapet Margaryan (1950-2021)
Azat Bozoian

გზამკვლევი ავტორთათვის 375
GUIDELINES FOR AUTHORS

რედაქტორებისაგან

მკითხველებს ვთავაზობთ ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXIII ტომს.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჟურნალი მოცულობითია და წარმოადგენს თემატურად და ქრონოლოგიურად ძალიან მრავალფეროვან მასალას.

ჟურნალი იხსნება განყოფილებით „მილოცვა“. სარედაქციო კოლეგია საიუბილეო თარიღებს ულოცავს ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამ თანამშრომელს, სამ ქალბატონს. რომლებიც ჟურნალის დიდი გულშემატკივარნი და მისი ერთგული მკითხველები არიან.

მილოცვას მოსდევს განყოფილება „ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები“, რომელშიც წარმოდგენილია ცხრა, ხოლო მომდევნო განყოფილებაში „საერთაშორისო პრეზენტაცია“ წარმოდგენილია სამი სტატია.

ორი სტატია იბეჭდება მომდევნო განყოფილებაში „თეორია ისტორიულ კვლევაში და ისტორიოგრაფია“.

ამას მოსდევს განყოფილება „წყაროთა თარგმანი და წარდგინება“, რომლის მიზანია უცხოურ წყაროთა მონაცემები გააცნოს ქართველ მკვლევრებს. აქ ქვეყნდება სამი სტატია.

მომდევნო განყოფილებაა „საარქივო მასალების პუბლიკაცია“. აქ იბეჭდება მასალა ორი ღვაწლმოსილი მეცნიერის პირადი არქივიდან.

განყოფილება „თვალსაზრისი“ წარმოდგენილია ერთი სტატიით, რომელშიც საუბარია ქართულ აკადემიურ სივრცეში მომხდარი ერთი საგანგაშო ფაქტის შესახებ.

განყოფილება „წიგნების მიმოხილვა“ მკითხველებს აწვდის ინფორმაციას ოთხი სამეცნიერო წიგნისა და ორი ახალი სამეცნერო პერიოდული გამოცემის გამოსვლის შესახებ. განყოფილებაში „ქრონიკა“ ქვეყნდება თერთმეტი სტატია. მათში გაშუქებულია სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმი, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

განყოფილებაში „ინფორმაცია“ წარმოდგენილია საინტერესო მასალის შემცველი ორი მოკლე სტატია, ხოლო განყოფილება „ინტერვიუ“ ბეჭდავს ინფორმაციას საზღვარგარეთ გამომავალ ქართველოლოგიურ ჟურნალში დაბეჭდილი ერთი გამოკვლევის შესახებ.

სამწუხაროდ, ამჯერადაც აქვს ჟურნალს განყოფილება „ხსოვნა“, სადაც ახლახან შესვენებულ ორ ძვირფას კოლეგას მივაგებთ პატივს.

ჟურნალი სრულდება „გზამკვლევით ავტორთათვის“, რომელიც განახლებულია.

როგორც ვხედავთ, ნაწილი ზემოთ აღნიშნული განყოფილებებისა ტრადიციულია ჩვენი ჟურნალისათვის, ნაწილი სახეცვლილია, ნაწილი კი სრულიად ახალია. მასალის სხვადასხვა განყოფილებებში განაწილება და სარედაქციო კოლეგიის მუდმივი ზრუნვა ამ განყოფილებათა რაოდენობის გასამრავლებლად, იმით იხსნება, რომ არც ერთი ფაქტი, რომელიც უკავშირდება საქართველოში ისტორიული და, უფრო ფართოდ, ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებას, არ დარჩეს ჟურნალის ყურადღების მიღმა.

გამოქვეყნებული კვლევითი სტატიების თუ საინფორმაციო წერილების თემატიკა და ქრონოლოგია მრავალფეროვანია, ავტორები წარმოადგენენ საქართველოს და საზღვარგარეთის სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი ცენტრების თანამშრომლებს, აგრეთვე, დამოუკიდებელ მკვლევრებს, სტუდენტებს.

ჩვენი ჟურნალის წინამდებარე ნომერი, ვფიქრობთ, კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ „ქართული წყაროთმცოდნეობა“ არის ნამდვილად საერთო ეროვნული მნიშვნელობის სამეცნიერო მედია საშუალება, რომელიც თავს უყრის ჰუმანიტარებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

გიული ალასანია
მარიამ ჩხარტიშვილი
ზურაბ თარგამაძე
თბილისი, 2021 წელი, 8 დეკემბერი

EDITORIAL

In their editorial notes the editors of "Georgian Source-Studies" Prof. Giuli Alasania, Prof. Mariam Chkhartishvili, Dr. Zurab Targamadze give a brief description of the contents of the volume XXIII.

The resent issue publishes the research papers and the papers containing information on new publications in field of humanities, national and international conferences, personal archival data, cultural heritage, new findings, historical web-pages etc. The publications cover wide-range of topics. In regard of chronology also the papers show diversity: they concern facts from premodernity until very recently. The authors are representatives of many academic centers and independent researchers, well experienced as well as young scientists. According to the editors the resent volume shows that, "Georgian Sourse-Studies" is an academic media which ensures an opportunity for humanitarians to exchange ideas and prepare soil for national and international collaborations.

მილოცვა

2021 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ხუთ თანამშრომელს ხანგრძლივი ბანაკობა. ლია ბილაძის და ძმანიც ქალაქებში დაბადებიან. 80, 70 და 60 წელი შეუხვიეს. დაბადების დიდ ვითარებასა მაძლიერებლებსა და ინსტიტუტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილის, ეს კოლეგები ჟურნალ "ქართული წყაროთმცოდნეობის" ერთგული მკითხველები არიან. ყველა ჟურნალის ხანგრძლივი მეგობარი.

ძვირფასო ქალბატონო სალომე! ძვირფასო ქალბატონო ლია! ძვირფასო ქალბატონო მარინე!

"ქართული წყაროთმცოდნეობის" სარედაქციო კოლეგია გულითადად ეთანაგრძნობა თქვენებს და გისურვებთ ყოველივე ხანგრძლივ: ჯანმრთელობას, ლხინს, ბედნიერებას და შემოქმედებით წარმატებებს!

კეთილგანწყობით და ძალიან ჟრუანტელით!

"ქართული წყაროთმცოდნეობის" სარედაქციო კოლეგია

In 2021 three staff members of the Javakhishvili Institute of History and Ethnology Salome Bakhia, Lia Biladze and Marine Kadagidze turned 80, 70, 60 years old, respectively. In addition to their very attractive personal features and important role in the institute's life, these colleagues of ours are distinguished by their attitude to "Georgian Source-Studies": all of them are the journal's regular readers and they always cheer for this academic media.

Dear Qalbatono Salome, Dear Qalbatono Lia, Dear Qalbatono Marine!

Editorial board of the "Georgian Source-Studies" cordially congratulates you with your round anniversary dates and wishes all the bests: health, longevity, happiness and creative success!

We love and value you very much!

Editorial board of the "Georgian Source-Studies"

ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები

RESERCHES IN FIELD OF HISTORY AND SOURCE-STUDIES

ანუხვის მონასტრის არტეფაქტების ისტორიული მნიშვნელობა

ლია ახალაძე

ანუხვის მონასტერი მდებარეობს საქართველოში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გუდაუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ანუხვაში, ანაკოფიის ციხე-სიმაგრიდან სამი კილომეტრის მანძილზე, გუდაუთიდან აღმოსავლეთით, მთისწინა ზოლზე შეფენილ სოფელში. ერთ ძველ წყაროში, რომელიც XI საუკუნით არის დათარიღებული, სოფელი და მონასტერი დასახელებულია როგორც „მონასტერი აჲნახჳსაჲ“ (ჩხაიძე 2017: 61-65); (ჩხაიძე და *სხვები* 2019: 273).

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში ანუხვაში გამოვლინდა ტაძრის ნანგრევები ქართული ეპიგრაფიკული ძეგლებით. ცნობა ამის შესახებ დაცულია არქიმანდრიტ ლეონიდეს[1] წიგნში „ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერი აფხაზეთში“ (ლეონიდე 1885). ანუხვის მონასტრის ნანგრევები მოინახულეს სხვა რუსმა და ქართველმა სიძველეთმოყვარულებმაც, რომლებიც საუბრობენ დიდი ზომის ეკლესიის ნანგრევებზე, მის სიდიდეს, ჩუქურთმათა დახვეწილ ჰარმონიასა და ორნამენტთა პროპორციულობას დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. არქიტექტურისა და მაღალმხატვრული ჩუქურთმის ხასიათით ტაძარი ერთიანდება საეკლესიო ხუროთმოძღვრების იმ ნიმუშთა რიცხვში, რომელიც აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს განვითარებული შუა საუკუნეების ქართულ არქიტექტურულ ძეგლებს ენათესავება. ტაძრის ირგვლივ და ახლომახლო არსებული სხვადასხვა ზომის ნაგებობანი და მათი ნანგრევები ანუხვაში სამონასტრო ცხოვრებაზე მიუთითებს.

ანუხვის მონასტრიდან შემორჩენილი სხვადასხვა ეპოქის არტეფაქტები ყურადღებას იქცევენ ნატიფი დეკორითა და მაღალმხატვრული გემოვნებით. მათ შორისაა ანუხვის ქვაჯვარი ვაზის ორნამენტებით, ანუხვის სვეტი, ანუხვის ჯვარცმა, ანუხვის წმ. გიორგის რელიეფი, ანუხვის ბეჭედი და სხვა. არტეფაქტების უმრავლესობაზე შემორჩენილია ქართული ასომთავრული წარწერები, რომლებიც ეტაპობრივად გახდა ცნობილი სამეცნიერო საზოგადოებისათვის.

ანუხვის მონასტრის ორი წარწერის ფოტოსურათი, ჯერ კიდევ XIX საუკინის 80-იან წლებში გამოქვეყნდა არქიმანდრიტ ლეონიდეს ნაშრომში. აღნიშნული წარწერები მხარეთმცოდნე იოსებ აძინბამ სხვა არტეფქტებთან ერთად ხელმეორედ იპოვა XX საუკუნის 30-იან წლებში და ორივე მათგანი სოხუმში, დ. გულიას სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში[2] განათავსა, სადაც 1989-1992 წლებში მუზეუმის ფონდების გამოფენაში იყო წარმოდგენილი. აფხაზეთში დამწერლობის ისტორიის განვითარების კვლევისას ხუხუტი ბღაჟბამ გამოაქვეყნა ანუხვის ორი წარწერის ფოტოსურათი, აქედან ერთის მხედრული ტრანსლიტერაცია ლეონ შერვაშიძის წაკითხვით (ბღაჟბა 1967: 15-17). ანუხვის წარწერებიდან სამი წარწერა ვალერი სილოგავამ შეიტანა ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსის II ტომში (სილოგავა 1980: 64-65, 66, 142-143). აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ჯვარცმის ფილის იდენტიფიცირების შემდეგ, ანუხვის ოთხი ლაპიდარული წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი და პალეოგრაფიული ღირებულება დაზუსტებული დათარიღებით წარმოდგენილია ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში (ახალაძე 1998: 101-108); იხილეთ ასევე (ახალაძე 2005: 154-164). წარწერების რუსული თარგმანი გამოქვეყნდა 1999 წელს (ახალაძე 1999: 366-367, 371), 2005 წელს ოთხივე წარწერის არქეოგრაფიული აღწერილობა შევიდა ვალერი სილოგავას ნაშრომში „სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა“ (სილოგავა 2004: 260-264, 280-281, 283).

ანუხვის არტეფაქტები და მათზე დაცული ისტორიული შინაარსის წარწერები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ კიდევ ერთი სამონასტრო კომპლექსის ისტორიას აფხაზეთში.

ანუხვის ქვაჯვარი (სურ. 1) წარმოადგენს კირქვის სტელას, რომელიც გათლილია ოთხკუთხად და მოჩუქურთმებულია გეომეტრიული, ზოგან ფოთლოვანი ორნამენტებით, რომლებიც სტელას ოთხ რეგისტრად ყოფენ. სტელის ზომებია: სიგრძე – 220 სანტიმეტრი, სიგანე – 28 სანტიმეტრი და 23 სანტიმეტრი (შერვაშიძე 1974: 176). ქვაჯვრის ქვემოდან პირველი რეგისტრი, რომელზეც ფოთლოვან ორნამენტში ჩასმული რვაქიმიანი ჯვარია წარმოდგენილი, დაზიანებული და მოტეხილია, ასეა წარმოდგენილი ქვაჯვარი არქიმანდრიტ ლეონიდეს მიერ გამოქვეყნებულ ფოტოსურათზე და ასევე ინახებოდა აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმშიც. მეორე რეგისტრში ამოკვეთილია ათსტრიქონიანი ქართული ასომთავრული საამშენებლო ქტიტორული შინაარსის წარწერა, რომელიც წარმოდგენილია კიდურწაისრული ხელოვნებითი დამწერლობით (სურ. 2). წარწერა მოგვითხრობს:

ს(ა)ხ(ე)ლითა ღ(მრ)თის(ა)მთა, ა(ღ)ჯ(ა)შ(ე)ნე ჯუ(ა)რი ესე ს(ა)ხ(ე)ლსა ზ(ედ)ა ღ(მრთი)სა მ(ა)მისა, ძისა, ს(უ)ლისა ნ(მი)დ(ი)სსა. მე, გ(იორგ)ი ბ(ა)ს(ი)ლის ძემ(ა)ნ. აწ, ვინცა ეუედრ(ე)ბ(ო)დ(ე)თ, ჩ(უე)ნ. გ-ნივე ძმანი ლ(ოცვასა მოგუიჴსენენით. ა(მე)ნ, იყ(ა)ვნ[1] (ბლაჟბა 1967: 15-16); (შერვაშიძე 1974: 183). [4]

ანუხვის სტელა-ქვაჯვრის მესამე რეესტრში ამოკვეთილია პირველი რეესტრისაგან განსხვავებული ტოლმკლავა ჯვარი, რომელიც დგას ორნამენტულ სადგამზე და მისი ფუძიდან ვაზის რქის რვა შტო სიმბოლურად მიემართება და უერთდება ქვაჯვრის გეომეტრიულ ორნამეტს. ჯვრის ტოლი მკლავების ქვემოთ ქართული ასომთავრულით ამოკეთილია „წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი“. ჯვრის ტოლი მკლავების ზემოთ, მესამე რეგისტრის მარჯვენა და მარცხენა კუთხეში ვენახის სიმბოლური გამოსახულება წარმოდგენილია სავსე მტევნით. ქვაჯვრის მეოთხე რეესტრი თლილი არაორნამენტირებული, მომრგვალებული ფილების სახითაა შემორჩენილი და მისი თავი გადატეხილია. საყურადღებოა, რომ ქვაჯვარის ოთხივე გვერდზე ამოკვეთილია ჯვრები სხვადასხვა წმინდანის განმარტებითი ქართული ასომთავრული წარწერებით: „წ(მიდა)ჲ ბ(ა)ს(ილი)“, „წ(მიდა)ჲ თ(ეოდორ)ე“, „წ(მიდა)ჲ დ(ე)მ(ე)ტრე“, „წ(მიდა)ჲ მ(ე)რკ(ი)ლე“ (შერვაშიძე 1974: 184).[5]

ფასდაუდებელია ანუხვის ქვაჯვრის წარწერების, როგორც ისტორიული მნიშვნელობა, ასევე პალეოგრაფიული ღირებულება. საქართველოში ტაძრის მშენებლობას წინ უძღოდა ჯვრის აღმართვის პროცესი. გარდა რელიგიური, დანიშნულებისა, ქვაჯვრები და სტელები ადრეფეოდალურ საქართველოში მამულის მფლობელობის დამადასტურებელ იურიდიულ აქტსაც წარმოადგენდნენ (ბერძენიშვილი 1966: 156); (ბერძენიშვილი 1975: 101). მაგრამ ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ხანაში სტელა-ჯვრები კარგავენ აღნიშნულ შინაარსს და მათ ადგილს იკავებს სტელა- ჴელი, სამიჯნე სტელა და სამლოცველო ჯვარი (შოშიაშვილი 1980: 19). ჩვენს შემთხვევაში, ანუხვის ქვაჯვარი სამლოცველო ხასიათის სტელა უნდა იყოს, რომლის აღმართვა ტაძრის მშენებლობის პროცესზე მიუთითებს. საგულისხმოა, რომ ანუხვის ქვაჯვრის კომპოზიციის თემატიკას ლეონ შერვაშიძე საქართველოში ჯვრის აღმართვის ტრადიციას უკავშირებს და მოჰყავს პარალელები სვეტიცხოვლის, მცხეთის ჯვრის, სვანეთის ეკლესიების ისტორიიდან (შერვაშიძე 1974: 176).

ანუხვის წარწერების შინაარსიდან ირკვევა ქვაჯვრისა და ტაძრის ქტიტორთა ვინაობა. დასახელებული ისტორიული პირები XI საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი ფეოდალური სახლის წარმომადგენლები არიან, რომლებიც აფხაზეთში, საკუთარ მამულში აგებენ ტაძარს, რასაც ტრადიციულად, წინ უძღოდა ჯვრის აღმართვის პროცესი. სახლის უფროსი გიორგი ბასილისძე და მისი ძმები თევდორე, დემეტრე და მერკილე, მამის ხსოვნისა და საკუთარი სულის სალოცავად, უფლის სახელზე ჯვრის გამოსახულებიან სტელას აღმართავენ.

პალეოგრაფიული თვალსაზრისით, გიორგი ბასილისძის წარწერაში აისახა ქართულ დამწერლობაში მიმდინარე ცვლილებები, კერძოდ, ანბანის კიდურწაისრულობის პროცესი. მეცნიერები გამოყოფენ ქვის კალიგრაფიულ სკოლებს, მათ შორის კიდურწაისრული დამწერლობის ქვის კალიგრაფიულ სკოლას, რომლის ქრონოლოგია თავდაპირველად XI საუკუნეს, ხოლო თანამედროვე კვლევებით, X-XII და XIII საუკუნის დასაწყისამდეც მოდის. მათი ნიმუშები გვხვდება როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ისტორიულ წარწერებში.

ანუხვის ქვაჯვრის წარწერისთვის დამახასიათებელია მონუმენტურობა და მკაცრად განსაზღვრული გრაფემათა თანაბარი სიმაღლე, რაც უზრუნველყოფდა ორხაზოვანი საწერი ბადის ტრდიციებს. ოსტატმა ასოებზე წყვილი ისრების დამატებით მეტი მოძრაობა და პლასტიკა, გამოცოცხლება შეიტანა ქვაზე შესრულებულ წარწერათა მონუმენტურობაში. ანუხვის წარწერის შედარება კიდურწაისრული ქვის კალიგრაფიული სკოლის საუკეთესო ნიმუშებთან – სვეტიცხოვლის, სამთავისის, ალავერდის, ნიკორწმინდის, მრავალძალის, გოდოგანის, კაცხის წარწერებთან, ცხადყოფს მათ საერთო მახასიათებლებსა და იდენტურობას (ახალაძე 1998: 130-131); (ახალაძე 2005: 190-197). ამ თვალსაზრისით, გიორგი ბასილის ძის წარწერა ქართული კიდურწაისრული სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს.

კიდურწაისრულობით ხასიათდება ანუხვის სტელა-ქვაჯვრის ოთხივე გვერდზე ამოკვეთილი განმარტებითი ხასიათის წარწერები, რომლებშიც გიორგი ბასილისძის და მისი ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა მოსახელე წმინდანებია დასახელებული: წმ. ბასილი, წმ. გიორგი, წმ. თეოდორე, წმ. დემეტრე და წმ. მერკილე. როგორც ჩანს, ოსტატი გაურბოდა ერთფეროვან ორნამენტებს და ცდილობდა ოთხივე მხარეს მრავალფეროვანი მოტივები ამოეკვეთა. ამიტომ ქვაჯვრის კიდეები განსხვავებული ორნამენტით არის წარმოდგენილი. ორნამენტებსა და მოტივებს შორის ყურადღებას იქცევს ვენახის სიმბოლური გამოსახულება სავსე მტევნის სახით.

ცნობილია, რომ ქვის ძეგლებზე გამოსახული ვაზი, ქართველთა წარმართული რელიგიისა და ქრისტიანობის ერთ-ერთი უდიდესი სიმბოლოა და ქართველებისთვის, როგორც უძველესი სამიწათმოქმედო ერისათვის, ვაზი ოდითგანვე შეადგენდა თაყვანისცემის სიმბოლოს. ვაზისა და მტევნის გამოხატვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საყოფაცხოვრებო ხასიათის საგნებზე, მემორიალური კულტურის ძეგლებსა და საეკლესიო არქიტექტურაში (ნადირაძე და *სხვები* 2011: 610). ვაზი ახლო აღმოსავლეთსა და ეგვიპტეშიც ბუნების სიუხვის უძველესი სიმბოლოდ ითვლებოდა. ბერძნულ-რომაულ სამყაროში იგი ღვინის ღვთაებას, ბახუსის (დიონისეს) კულტს უკავშირდება. ქართული წარმართული სამყაროც გაჯერებული იყო ვაზის სიმბოლიკით, რომელიც „სიცოცხლის ხესთან“ ასოცირდება (კობახიძე 2015: 72). მაგალითად, ამირანის თქმულების ფშაურ ვარიანტში ამირანი ბადრის სთხოვს დედის რძესავით ტკბილ ყურძენს, რომელიც სიცოცხლის აღორძინების ძალებთან ზიარების სიმბოლოა.

ქრისტიანობამ ახალი შინაარსი მისცა ვაზის გამოსახულებას. მცენარის სიმბოლური ხასიათი განპირობებულია ვაზის სახარებისეული განმარტებით, იოანეს *სახარებაში* ვკითხულობთ: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი და მამაჩემი მევენახეა“ და ა.შ. ვაზისა და მტევნის გამოსახულება ნიშნავს ზიარებას ქრისტესთან, იგი მუდმივობის გარანტიაა და ასახავს მიცვალებულთა კავშირს ცათა სასუფეველთან (ნადირაძე და *სხვები* 2011: 610). ბუნებრივია. ამ თემას უკავშირდება წმინდა ნინოს „ჯვარი ვაზისა“, რომელიც ტრადიციის თანახმად ვაზის ხის რტოსგან შეკრულ ჯვარს წარმოადგენდა.

ქართულ რელიეფურ ხელოვნებაში ვენახის, ვაზის სიმბოლო გვხვდება ტაძრების ფასადებზე. ქვაჯვრებზე, სტელებსა და სვეტებზე. მაგალითად, ბოლნისის, წილკნის, მცხეთის ჯვრის, ბანას, ბაგრატის ტაძრის ფასადებზე. ვაზის გამოსახვის განსაკუთრებულ სახეს ქმნის სვეტიცხოველი, სამთავისი და ანანური – ქართული ქრისტანული ხუროთმოძღვრების სამი უბრწყინვალესი ტაძარი (ოქროპირიძე 2010: 14-23). ანუხვის ვაზის სავსე მტევნები სტილისტურად ჩამოგავს თბილისის მეტეხის სამხრეთ კედლის დეკორაციულ თაღნარში ჩართულ მტევანს, მარტვილის ტაძრის გარე ფასადის მსხმოიარე ვაზის სავსე მტევნებს, სამთავისის აყვავებული ვაზის მტევნებს და ა. შ. ანუხვის ქვაჯვარი ასევე პარალელს პოულობს რელიგიური დანიშნულების სტელებთან და ქვაჯვრებთან, რომლებიც ყოველთვის გვირგვინდება ძლევის მიმანიშნებელი ჯვრით. ამ მახასიათებლით ქვაჯვარი ჰგავს პანტიანის, დმანისის, ბოლნისის სტელებს, თუმცა, როგორც ყველგან. ოსტატი აქაც ჯვრის ორიგინალურ კომპოზიციას ქმნის.

თუ შევაჯამებთ ზემოთქმულს, ანუხვის ქვაჯვარი რელიეფური კომპოზიციით, ვაზის რქისა და სავსე მტევნის არაორდინალური გამოსახვით, კიდურწაისრული ხელოვნებითი დამწერლობის ვარიაციებით ერთიანდება ქართული საეკლესიო ხელოვნების მრავალფეროვან მოზაიკაში.

ანუხვის ეს უნიკალური ქვაჯვარი სხვა არტეფაქტებთან ერთად, ელენა ენდოლცევამ 2008 წელს აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში იხილა, მაგრამ 2015 წელს ის აფხაზეთის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის საცავში აღმოჩნდა (ენდოლცევა 2019: 21).

ანუხვის ჯვარცმა (სურ. 3) 1938 წლიდან აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში ინახება და ელენა ენდოლცევას მიხედვით ახლაც ამ მუზემში არის წარმოდგენილი (ენდოლცევა 2019: 19). ქვის ფილა სამ ნაწილად იყო გატეხილი, ამჟამად ჩანს, რომ რესტავრირებულია (ენდოლცევა 2019: სურ. 12). ფილის დაწვრილებითი ხელოვნებათმცოდნეობითი აღწერილობა, იკონოგრაფიული და სტილისტური ანალიზი შეასრულა რენე შმერლინგმა (შმერლინგი 1962: 158), რომლის მიხედვით, ადგილობრივი კირქვისგან დამზადებულ ფილას ირგვლივ შემოუყვება ფართო, 15 სანტიმეტრის სიგანის ხეული ჩუქურთმებიანი ორნამენტი, რომელსაც რ. შმერლინგი s-სახოვან ორნამენტს უწოდებს (შმერლინგი 1962: 158). ფილის ცენტრალურ ნაწილში წარმოდგენილია ქრისტანულ ხელოვნებაში გავრცელებული ჯვარცმის ყველაზე ცნობილი სცენა. ქრისტეს მარჯვნივ და მარცხნივ, მარიამ ღმრთისმშობელი და იოანე ღმრთისმეტყველი ვედრების პოზაში არიან გამოსახული. ჯვარცმის ზემოთ, მარჯვენა და მარცხენა კუთხეში მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების რელიეფური გამოსახულებებია, ხოლო მათ გასწვრივ, ჯვარცმიდან ოდნავ მარცხნივ ამოკვეთილია ბერძნული ასომთავრული წარწერა ერთ სტრიქონად: „ჯვარცმა“. ქრისტეს თავს ზემოთ ჯვრის ზედა მკლავზე მართკუთხა ფილაზე, ამოკვეთილია ორსტრიქონიანი განმარტებითი წარწერა ქართული ასომთავრულით: „აჰა მეუფე ჰურიათა“. ჯვრის ორივე განივი მკლავის ზემოთ კი ისევ ქართული ასომთავრულით წარწერა იკითხება: „ჯვარცმაჲ ქრისტესი“.

როგორც აღვნიშნეთ, ფილა ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისით შეისწავლა რენე შმერლინგმა, მისი კვლევის ობიექტი იყო ოსტატის მიერ არჩეული ჯვარცმის თემატიკის გადმოცემის რეალიები, ფილის ორნამენტი და დეკორატიული წყობა. ძეგლის დათარიღებისას მკვლევარმა წინა პლანზე წამოწია კანკელის ორნამენტის ხასიათი, რომელიც პირობითად მეორდება X-XI საუკუნეების მიჯნის

და XI საუკუნის დასაწყისის არქიტექტურულ ფორმებში. კერძოდ, ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ჩრდილოეთ ფასადის ერთ-ერთი სარკმლის ფორმებში, სოფელ ეხვევის ეკლესიის დასავლეთის შესასვლელის ტიმპანის რელიეფზე და ა. შ. რენე შმერლინგის აზრით, მათი ორნამენტიკა იძლევა ქართული კანკელის დეკორში რელიეფური კომპოზიციის თანდათანობით დანერგვის სურათს (შმერლინგი 1962: 106). თემატიკით ანუხვის ჯვარცმა ქართული ხელოვნების სხვა ნიმუშებსაც ენათესავება. ქრისტეს ჯვარცმის მრავალრიცხოვანი ნიმუშები გვხვდება როგორც მონუმენტურ, ასევე მცირე ზომის ქვის რელიეფებზე და ჭედურ ხელოვნებაში. ცნობილია სვანეთში დაცული ფერწერული ხატების ჯვარცმები: ზემო სვანეთის XI-XII საუკუნეების ლენჯერის ეკლესიის ჯვარცმა, მაცხვარიშის XII-XIII საუკუნეების ჯვარცმა (ალიბეგაშვილი 1994: N10, N22, N23), რაჭის მრავალძალის ტაძრის ჯვარცმის კომპოზიცია, რომელიც XI საუკუნით თარიღდება (სხირტლაძე 1982: 49), იმავე აფხაზეთიდან, კოდორის ხეობისა და სამათოს მთის ეკლესიის რელიეფები (ყაუხჩიშვილი 1951: 30); (ყაუხჩიშვილი 2004); (ახალაძე 1998: 29-37). ჯვარცმის კომპოზიცია ფართოდაა წარმოდგენილი ჭედური ხელოვნების ძეგლებშიც. მაგალითად, XI საუკუნის I მეოთხედის ზარზმის ხატი „ღმრთისმშობელი ყრმით“, მარტვილის 1644 წლის „თორმეტი დღესასწაულის ხატი“, შემოქმედის XVI საუკუნის II ნახევრის საეკლესიო დღესასწაულთა ხატი, აფხაზეთის კათალიკოსის მალაქია გურიელის დაკვეთით 1619 წელს შეჭედილი ცაიშის „თორმეტი დღესასწაულის ხატი“ (საყვარელიძე 1994: N24, 72, 60, 80) და სხვა. მსგავსი ძეგლების მიხედვით ანუხვის ჯვარცმა თემატიკურად და დამწერლობით ბიზანტიური კულტურული წრის ძეგლებში ერთიანდება.

ანუხვის სვეტი (სურ. 4) აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში 1938 წლიდან ინახება და წარმოადგენს ქვის თლილი მრგვალი ფორმის არქიტექტურულ დეტალს, მრგვალი ფორმის კვარცხლბეკით. ვალერი სილოგავას აღწერილობით სვეტს ქვემოდან შემოუყვება განიერი ორნამენტირებული (წნული გეომეტრიული ორნამენტი) სარტყელი. ამ უკანასკნელის ქვედა ნახევარი სვეტი ნაწილითურთ მოტეხილია. სვეტის ზედა დიამეტრი 15,5-13, 5 სანტიმეტრია, ქვედა – 20 სანტიმეტრი, სიმაღლე 24-25 სანტიმეტრი, ზემოთ გაკეთებული აქვს ნახვრეტი, რომლის სიღრმე 14 სანტიმეტრია, ხოლო დიამეტრი 4.5 სანტიმეტრია. როგორც ჩანს, მასში ჩადგმული იყო ან სვეტის გაგრძელება, ან ფილა მთავარანგელოზების გამოსახულებით (სილოგავა 1980: 142-143); (სილოგავა 2004: 283). კვარცხლბეკის ზემოთ, სვეტზე ამოკვეთილია ოთხ სტრიქონიანი ქართული ასომთავრული წარწერა, რომელიც შინაარსით მემორიალური ჯგუფის ძეგლებს განეკუთვნება და წარმოადგენს მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებისადმი მიმართულ, სავედრებელი ხასიათის ეპიგრაფიკულ ძეგლს. წარწერაში იკითხება: „ქ წ(მიდა)ნი მთ(ა)ვარა(ნ)გ(ე)ლოზნი მ(ი)ქ(აე)ლ და გ(ა)ბრ(იე)ლ“ (წარწერის ასომთავრული და მხედრული ტექსტები იხილეთ: (სილოგავა 1980: 142-143); (სილოგავა 2004: 283); (ახალაძე 2004: 162); წარწერის რუსული თარგმანი (ახალაძე 1999: 366).

ანუხვის სვეტის წარწერა პირველად 1967 წელს გამოსცა ხუხუტი ბლაჟბამ და XI საუკუნით დაათარიღა (ბლაჟბა 1967: 16). ვალერი სილოგავამ წარწერა ორჯერ გამოაქვეყნა და XII საუკუნის ძეგლად მიიჩნია (სილოგავა 1980: 142-143); (სილოგავა 2004: 283), ხოლო ელენა ენდოლცევა, წარწერის ბლაჟბასეულ დათარიღებაზე დაყრდნობით, ანუხვის სვეტს X-XI საუკუნეების მიჯნით ათარიღებს (ენდოლცევა 2019: 21).

ჩვენი აზრით, სამივე დათარიღება მცდარი უნდა იყოს, რადგან ანუხვის სვეტის წარწერის პალეოგრაფია არაფრით არ იძლევა მისი X-XI ან XII საუკუნით დათარიღების საშუალებას. პირველ რიგში, ხაზგასასმელია, ის ფაქტი, რომ პალეოგრაფიული ნიშნებით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება ანუხვის ქვაჯვრის, ჯვარცმისა და ანუხვის სვეტის წარწერები. სხვაობა განსაკუთრებით კარგად ჩანს გიორგი ბასილისძის წარწერასა და მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სავედრებელ წარწერებს შორის: როგორც ზემოთ აღნიშნა, გიორგი ბასილისძის წარწერა წარმოადგენს კიდურწაისრული ხელოვნებითი დამწერლობის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს, სადაც დაცულია ასომთარულისთვის დამახასიათებელი მონუმენტურობა, ორხაზოვანი საწერი ბადე, დაქარაგმებისა და განკვეთილობის არსებული ნორმები. ოსტატი ზედმიწევნით იცნობს და იცავს კიდურწაისრული დამწერლობის ქვის კალიგრაფიული სკოლისთვის დამახასიათებელ ნორმებს, გულმოდგინედ კვეთს თითოეულ ასოს და გრაფემათა ბოლოებზე ტყუპი ისრების დამატებით ამაღლებულ ესთეტიკურ განწყობას ავლენს. თანაბარია თითოეული გრაფემის კვეთის სიღრმე, რაც დაცულია ქარაგმისა და ბოლოს დასმული ოთხწერტილის კვეთაშიც. ოსტატისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ წარწერა და მისი შინაარსი, არამედ წარწერა როგორც ხელოვნების ნიმუში. როგორც ჩანს, ოსტატის ამ განწყობას ხელს უწყობდა ანუხვის ქვაჯვრის მხატვრული ესთეტიკაც: ულამაზესი ფოთლოვანი ორნამენტი, სავსე ყურძნის მტევნები და ჯვრის კომპოზიცია.

ქვაჯვრისგან განსხვავებული პალეოგრაფია იკითხება ანუხვის სვეტის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სავედრებელ წარწერაში, რომელიც აშკარად აელენს გვიანი პერიოდის პალეოგრაფიულ ნიშნებს: ოთხსტრიქონიანი წარწერის გრაფემები წარმოდგენილია არათანაბარი სიმაღლით. დასაწყისი ასოები 4 შემდეგ 2, 1 და 3 სანტიმეტრია, შემდეგ ისევ 2 და 3 სანტიმეტრის სიმაღლითაა ამოკვეთილი. განსხვავებულია გრაფემათა კვეთის სიღრმე და სისქე, შესამჩნევია ერთი და იგივე გრაფემის სხვადასხვა მოხაზულობა, ასოები არ არის ამოკვეთილი ერთ ხაზზე და ოსტატს დარღვეული აქვს ქართული ასომთავრულისთვის დამახასიათებელი სიმეტრიულობა და ორხაზოვანი საწერი ბადის ტრადიციები. ბუნებრივია, ამ ორი ეპიგრაფიკული ძეგლის პალეოგრაფიული ნიშნების შედარება გვიჩვენებს, რომ ისინი ერთი და იმავე ოსტატის ან ერთი და იმავე კალიგრაფიული სკოლის და არც ერთი და იმავე ეპოქის ნამუშევრები არ უნდა იყოს. ცხადია, ისინი განსხვავებული ეპოქის წარწერებია. ანუხვის სვეტის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებისადმი მიძღვნილი სავედრებელი წარწერა შეუძლებელია ქართული კულტურისა და დამწერლობის აღმავლობის ხანაში იყოს შექმნილი და მისი პალეოგრაფიული ნიშნები X-XI ან XII საუკუნით დათარიღების შესაძლებლობას გამორიცხავს. აღნიშნული დათარიღების შესახებ ეჭვი ჯერ კიდევ 1998 წელს გამოითქვა (ახალაძე 1998: 107), ხოლო მოგვიანებით, 2005 წელს, პალეოგრაფიულ ნიშნებზე დაყრდნობით წარწერა XIV საუკუნით და უფრო გვიანი პერიოდით დაეთარიღეთ (ახალაძე 2005: 164-163). თუ გავითვალისწინებთ ქართულ ლაპიდარიუმში არსებულ მსგავსი პალეოგრაფიის მქონე ეპიგრაფიკულ ძეგლებს მოცემული წარწერა და სვეტიც XIV ან XV საუკუნით უნდა დავათარიღოთ.

ანუხვის ტყვიის ბეჭედი (სურ. 5) 2015 წელს, სხვა ცხრა ბიზანტიურ ბეჭედთან და ერთ ყალიბთან ერთად, აღმოჩნდა ზღვაში, სამხრეთ ყირიმის (სუდაკის?) სანაპიროს მახლობლად. ან ტამანის აკვატორიაში. ამჟამად იგი კერძო კოლექციაშია (ჩხაიძე 2017: 62-63); (ჩხაიძე და *სხვები* 2019: 273). ანუხვის ტყვიის ბეჭდის აღმოჩენის შესახებ ინფორმაცია საეარაუდო დათარიღებით პირველად ვიქტორ ჩხაიძემ რუსულად გამოაქვეყნა (ჩხაიძე 2017: 61-66), ხოლო მოგვიანებით, შედარებით ვრცელი კვლევა ქართულ ენაზეც გამოქვეყნდა (ჩხაიძე და *სხვები* 2019: 271-278). ვ. ჩხაიძის მიხედვით, ტყვიის ბეჭედზე, წერტილოვან არშიაში გამოსახულია წმ. გიორგი ასევე წერტილოვანი შარავანდედით, უწვერული, დიდრონი ხვეული თმით. მოსასხამი შეკრულია წინ, მარჯვენა მხარზე. წმინდანს მარჯვენა ხელში მკერდთან, მცირე ზომის ჯვარი უპყრია, მარცხენაში – მრგვალი ფარი. წმინდანის გამოსახულების ორივე მხარეს დაქარაგმებული წარწერაა (ჩხაიძე 2017: 63); (ჩხაიძე და *სხვები* 2019: 273). ტყვიის ბეჭდის შუბლზე წმინდა გიორგის გამოსახულებასთან ასომთავრულით შესრულებული განმარტებითი წარწერა იკითხება „წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი“, ხოლო ზურგზე „წ(მიდა)ჲ გ(იორგ)ი, მ/ონ(ა)სტრ(ი)სა აჲნახჳსაჲ“.[6] ვფიქრობთ, ასომთავრული ტექსტის წაკითხვა ვიქტორ ჩხაიძის 2017 წლის რუსულ გამოცემაში გაცილებით ზუსტია, ვიდრე 2019 წლის ქართულ გამოცემაში. ავტორის (ავტორების) დასკვნით, ანუხეში წმ. გიორგის ეკლესიის გარდა, XI საუკუნეში არსებობდა აგრეთვე ქართული მონასტერი, საიდანაც შემოგვრჩა განხილული უნიკალური ბეჭედი[7] (ჩხაიძე 2019: 274).

ამრიგად, ანუხვის არტეფაქტებით და მათზე დაცული ისტორიული წარწერების შინაარსიდან ირკვევა, რომ აფხაზეთში, გუდაუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ანუხვაში (აჲნახჳში) XI საუკუნეში ადგილობრივი ფეოდალური სახლის წარმომადგენლებმა აღაშენეს: „ჯუ(ა)რი ს(ა)ხ(ე)ლსა ზ(ედ)ა ღ(მრთი)სა მ(ა)მისა, ძისა, ს(უ)ლისა წ(მი)დ(ი)სასა“. ამ წარწერის მიხედვით, ანუხვის ჯვარი და ტაძარი უფლის სახელზე იყო აგებული, რაზეც ირიბად მიანიშნებს იმავე ტაძარში ნაპოვნი უფლის ჯვარცმის გამოსახულებიანი ფილა ქართულ-ბერძნული წარწერებით. სტელა-ქვაჯვრისა და ჯვარცმის წარწერების განსხვავებული პალეოგრაფია გვაფიქრებინებს, რომ ისინი XI საუკუნის სხვადასხვა მონაკვეთში, განსხვავებული კალიგრაფიული სკოლის წარმომადგენლების მიერ ამოკვეთილი წარწერებია. მიუხედავად ამისა, ორივე ერთი ტაძრისა და ერთი დიდი სამონასტრო კომპლექსის ნაწილი უნდა იყოს. სავარაუდოდ, XIV-XV საუკუნეებში, ტაძრის მორიგი განახლების ან თავიდან მშენებლობის დროს ის მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზების სახელზე ეკურთხა, რასაც ანუხვის სტელა-ქვაჯვარისა და ანუხვის სვეტის წარწერების ერთი და იმავე ტაძრიდან წარმომავლობა გვაფიქრებინებს. ანუხვის არტეფაქტებზე დაცული საამშენებლო და სავედრებელი ხასიათის წარწერებიდან ცხადია, რომ მონასტრის დაარსებიდანვე ღმრთისმსახურების ენა ქართული იყო.

ვფიქრობთ, XI საუკუნით დათარიღებული კიდევ ერთი არტეფაქტი ანუხვიდან წმ. გიორგის (სურ. 6) გამოსახულებით, იმავე სამონასტრო კომპლექსში შემავალ ტაძარს ეკუთვნოდა, რომელიც წმ. გიორგის სახელზე იყო აგებული.[8] 2015 წელს აღმოჩენილი ტყვიის ბეჭედი და წარწერა ამ ფაქტს ადასტურებს და, შესაბამისად, ის მონასტრის საკუთრებას წარმოადგენდა. ტყვიის ბეჭდის წარწერის

ტექსტი კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის ისტორიული სოფლის „აანახჯი“-ს შესახებ, რომელმაც „ანუხვის“ ოდნავ შეცვლილი ფორმით დღემდე მოაღწია და შემოინახა საქართველოს ისტორიისა და ქართული პალეოგრაფიისთვის მრავალმხრივ მნიშვნელოვანი არტეფაქტები.

შენიშვნები

[1] ერისკაცობაში ლევ ალექსანდრეს ძე კაველინი.
[2] ახლა აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმი.
[3] სტატიაში ნარწერები ნარმოდგენილია მხედრული ტრანსკრიპციით.
[4] დაზუსტებული ნაკითხვისათვის იხ: (სილოგავა 1980: 62); (სილოგავა, 2004: 261-262); (ახალაძე 1999: 366).
[5] დაზუსტებული ნაკითხვისათვის იხ. (სილოგავა 2004: 263-264). წარწერების პუბლიკაციებისათვის: ქართულ და რუსულ ენებზე ასევე იხ.: (სილოგავა 1980: 66-67); (ახალაძე 1999: 366-367); (ახალაძე, 2005: 158-161).
[6] წარწერები წარმოდგენილია მხედრული ტრანსკრიპციით.
[7] კიდევ ერთი ტაძრის არსებობაზე მიუთითებენ ა. ვინოგრადოვი, დ. ბელეცკი ნაშრომში: (ვინოგრადოვი, ბელეცკი 2015: 96-97). შდრ. (ჩხაიძე და *სხვები* 2019: 274); (ჩხაიძე 2017).
[8] საქართველოში ამის ყველაზე ცნობილი მაგალითია გელათის მონასტერი, რომლის მთავარი ტაძარი აგებულია ღმრთისმშობლის მიძინების სახელზე, ხოლო მეორე წმ. გიორგის სახელზე.

დამოწმებანი


ალიბეგაშვილი 1994: გ. ალიბეგაშვილი. *ფერწერული ხატები, წიგნში: ქართული ხატები*, თბილისი.
ახალაძე 1998: ლ. ახალაძე. *ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები აფხაზეთში IX-XVII სს.* დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.
ახალაძე 2005: ლ. ახალაძე. აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, *ლაპიდარული და ფრესკული წარწერები*, I, თბილისი.
ახალაძე 1998: ლ. ახალაძე. *წარწერები ჯვარცმის გამოსახულებიან ფილებზე*, თბილისი.
ახალაძე 1999: Л. В. Ахаладзе. Эпиграфические памятники Абхазии, *Разыскания по истории Абхазии*, Тбилиси.
ბღაჟბა 1967: Х. С. Бгажба. *Из истории письменности в Абхазии*, Тбилиси.
ბერძენიშვილი 1975: დ. ბერძენიშვილი. *ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები*, ტ. V. თბილისი.
ბერძენიშვილი 1966: ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, თბილისი.
ენდოლცევა 2019: Е. Ю. Ендольцева. Архитектурная пластика Абхазского царства (УШ-Х1 вв.). Из коллекции Абхазского государственного музея (г. Сухум, РА), Вестник ПСТГУ, Серия V: *Вопросы истории и теории христианского искусства*, Вып. 33.
ვინოგრადოვი, ბელეცკი 2015: А. Ю. Виноградов, Д. В. Белецкий. *Церковная архитектура Абхазии в эпоху Абхазского царства, Конец VIII-X в.*, Москва.
კობახიძე 2015: რ. კობახიძე. *ბიბლიურ მცენარეთა ტიპოლოგიური სიმბოლიკა პატრისტიკულ ტრადიციაში*, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი.
ლეონიდე 1885: *Абхазия и в ней Ново-Афонский Симоно-Кананитский монастырь*, составил И.Н. М.
ნადირაძე და სხვები 2011: *ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი*, პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი ელდარ ნადირაძე, ავტორ შემდგენლები გვანცა არჩვაძე, მარინა ბოკუჩავა, თამარ გელაძე და სხვ. თბილისი.
ოქროპირიძე 2010: ა. ოქროპირიძე. *ეაზი – სიცოხლის ხე. კრებული*, თბილისი.
საყვარელიძე 1994: თ. საყვარელიძე. *ჭედური ხატები, ქართული ხატები*, თბილისი.
სილოგავა 1980: *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, დასავლეთ საქართველოს წარწერები ნაკვ. I (IX-XIII სს)*, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, თბილისი.
სილოგავა 2004: ვ. სილოგავა. *სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა*, თბილისი.
სხირტლაძე 1982: ზ. *სხირტლაძე*. მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესია, *ძეგლის მეგობარი*, N60, თბილისი.
ყაუხჩიშვილი 1951: თ. ყაუხჩიშვილი. *ბერძნული წარწერები საქართველოში*, თბილისი.
ყაუხჩიშვილი 2004: თ. ყაუხჩიშვილი. *საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი*, თბილისი.
შოშიაშვილი 1980: *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები ტ. I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს)*, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შოშიაშვილმა, თბილისი.
შერვაშიძე 1974: Л. А. Шервашидзе. Столб из села Анухва, *Труды Абхазского государственного Музея*, Вып., IV. Сухуми.
შმერლინგი 1962: Р. О. Шмерлинг. *Малые формы в архитектуре средневековой Грузии*, Тбилиси.

ჩხაიძე 2017: В. Н. Чхаидзе. *Грузинская печать Византийского типа XI века. Нумизматические чтения государственного исторического Музея 2017 года*, Москва.


ჩხაიძე და სხვები 2019: ვ. ჩხაიძე, ა. ვინოგრადოვი, შ. გუგუშვილი. აინახვის წმ. გიორგის მონასტრის XI საუკუნის ბეჭედი, მრავალთავი, *ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი*, ტ., 26, თბილისი.



სურ. 1 ანუხვის სტელა – ქვაჯვარი, XI ს. (ლეონიდეს მიხედვით)



სურ. 2 გიორგი ბასილის ძის წარწერა ანუხვის სტელა – ქვაჯვარზე, XI ს.




სურ. 3 ანუხვის ჯვარცმა ქართულ-ბერძნული წარწერებით, XI ს.



სურ. 4 ანუხვის სეეტი ასომთავრული წარწერით, XIV ს.



სურ. 5 ანუხვის (აინახვის) წმ. გიორგის მონასტრის ბეჭედი. XI ს. (ე. ჩხაიძის, ა. ვინოგრადოვის და სხვ. მიხედვით)



სურ. 6 ანუხვის წმ. გიორგი (ლეონიდეს მიხედვით)

HISTORICAL SIGNIFICANCE OF ARTIFACTS OF ANUKHVI MONASTERY

Lia Akhaladze

The aim of the paper is to study the cultural-historical value of the monastery "Anakhv" located in the village on the foothills of Gudauta in Abkhazia and its artifacts. These artifacts have survived from the ruins of the temple to this day: the cross of Anukhvi, the column of Anukhvi, the crucifix of Anukhvi, the ring of Anukhvi etc. Many of them have old Georgian Asomtavruli inscriptions of historical content, depicting vine ornaments with grapes and carvings typical of Georgian art. The vineyard is considered to be the tree of life in Georgia and is often found on ancient architectural monuments, as well as on small stone reliefs, frescoes and engraved items. The vineyard ornament is also actively used on the stone slabs of medieval Georgian epigraphic monuments.

The buildings of different sizes around the temple and their ruins indicate the monastic life in Anukhva. Georgian Asomtavruli inscriptions of the 11-14 centuries tell us about the history of the monastery, through which we can somehow trace the history of the construction of the temple, the identity of the founders and its re-renewal and restoration history in the following epochs. It is clear from the contents of the inscriptions that in the XI century the builder of the temple was the head of the local feudal house Giorgi Basilisdze and his brothers Tevdore, Demetre and Merkile. The brothers erected the Holy Cross in memory of their father and for themselves to pray, and then the Church of St. George. According to the later inscriptions found in the same temple, in the 14th century, during another renovation, the temple was named after the Archangels Michael and Gabriel.

The paleographic analysis of the existing artifacts and epigraphic material reveals that the monastery "Ainakhvisa" was one of the most important ecclesiastical centers and was not inferior to such recognized cultural and educational centers of the Georgian Church as Mokvi, Likhni, Bedia and others.

უნდილაძეთა საგვარეულოს აღსასრული სეფიანთა ირანში სპარსულ წერილობით წყაროთა შუქზე

ნანა გელაშვილი

სეფიანთა ირანში (1501-1722) უნდილაძეთა საგვარეულოს მრავალმხრივი მოღვაწეობის შესახებ ცნობები მოიპოვება როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში. უნდილაძეებმა, უპირველეს ყოვლისა, სახელი გაითქვეს სამხედრო და პოლიტიკურ ასპარეზზე, თუმცა იმავდროულად ისინი აქტიურად ილწვოდნენ სეფიანთა სახელმწიფოს ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისათვის, ახორციელებდნენ მასშტაბურ სამშენებლო და საირიგაციო პროექტებს, ასევე ცნობილნი იყვნენ როგორც დიდი ქველმოქმედები და მეცენატები (გელაშვილი 2009: 233-234).

ისტორიიდან ცნობილია, რომ უნდილაძეთა აღზევება ირანში შაჰ აბას I-ის (1587-1629) სახელს უკავშირდება, რომელმაც სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ზღვარგადასული უფლებებით აღჭურვილ ყიზილბაშურ ტომთა თავკაცებს კავკასიური ელემენტი, მათ შორის, ქართველები დაუპირისპირა. სწორედ ამგვარი პოლიტიკური კურსის ტალღაზე დანინაურდნენ უნდილაძეებიც. შაჰ აბასი განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა ალავერდი-ხან უნდილაძეს – სახელოვან მთავარსარდალს, ირანის პირველ ყულარაღასს. არანაკლებ განდიდებულნი იყვნენ ალავერდი-ხანის ვაჟები: ფარსის ბეგლარბეგი იმამყული-ხანი და განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი დაუდ-ხანი (გაბაშვილი 1972: 80-83); (კუცია 1963: 66).

ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმატებული კარიერის მიუხედავად, უნდილაძეთა საგვარეულოს აღსასრული მეტად სავალალო და ტრაგიკული აღმოჩნდა. ამის მიზეზებსა თუ საბაბზე აზრთა სხვადასხვაობაა წერილობით წყაროებში და, შესაბამისად, სამეცნიერო ლიტერატურაშიც ცალსახად გამოკვეთილი თვალსაზრისი არ ფიქსირდება. წარმოდგენილ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია უნდილაძეების მოღვაწეობის ბოლო ეტაპზე, გაანალიზებულია მათი კარიერული დაღმასვლის მიზეზები და გარემოებები. საამისოდ საუკეთესო პირველწყაროებად გვევლინება XVII საუკუნის სპარსული საისტორიო თხზულებები, რომელთა ავტორები მათ მიერ აღწერილ მოვლენათა თანამედროვენი, ზოგ შემთხვევებში კი, თვითმხილველებიც იყვნენ. ასეთ ნაშრომთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ისქანდერ მუნშის „ზეილ“ („გაგრძელება“), მოჰამმად მა'სუმის „ხულასათ ას-სიარ“ („ცხოვრების მოკლე აღწერილობა“), მოჰამმად იუსუფის „ხულდ-ე ბარინ“ („სამოთხე“) და აბუ ალ-მაფახერ თაფრეშის „თარიხ-ე შაჰ საფი“ („შაჰ სეფის ისტორია“), რომელთა ცნობები საქართველოს შესახებ ჩვენ მიერ იქნა თარგმნილი სპარსულიდან ქართულად. განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებო ინფორმაცია დაცულია ასევე სპარსულ ლიტერატურულ ე. წ. თეზქერეებში ანუ ანთოლოგიებში, რომელთა თანახმად, სეფიანთა ირანის ლიტერატურულ ასპარეზზე ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ და დიდი პატივით სარგებლობდნენ ალავერდი-ხანის შთამომავლები.

უნდილაძეების მიმართ დამოკიდებულება ირანში რადიკალურად შეიცვალა შაჰ აბას I-ის შვილიშვილის – სამ-მირზას გამეფების შემდეგ, რომელმაც სეფიანთა სამეფო ტახტი შაჰ სეფი I-ის სახელით დაიკავა (1629-1642). სწორედ მან, რეალურ თუ მოგონილ მიზეზთა გამო, უსასტიკესი მეთოდებით, თითქმის მთლიანად გაჟლიტა ალავერდი-ხანის საგვარეულო (თავად ალავერდი-ხანი გაცილებით ადრე, 1613 წელს გარდაიცვალა და დიდი პატივით იქნა დაკრძალული ქ. მეშჰედში). მოვლენების ამ მიმართულებით განვითარება დააჩქარა დაუდ-ხან უნდილაძისა და მეფე თეიმურაზ I-ის (1606-1663) მიერ ორგანიზებულმა აჯანყებამ 1632 წლის შემოდგომაზე, რომელიც სეფიანთა ხელისუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული.

აღნიშნული მოვლენები დეტალურადაა აღწერილი ისქანდერ მუნშის „გაგრძელებაში“ („ზეილ“), რომელიც მისი ფუნდამენტური საისტორიო თხზულების „აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის“ გაგრძელებას წარმოადგენს. ის ეძღვნებოდა შაჰ სეფი I-ის ზეობის ხანას, თუმცა ისქანდერის გარდაცვალების მიზეზით, მასში თხრობა მოყვანილია 1634 წლამდე (გელაშვილი: 1981: 14). შემდგომში შაჰ სეფი I-ის ზეობის ისტორიის დასრულების მიზნით, „ზეილ“-ს ანონიმი შემდგენელის მიერ დაერთო სხვა ირანელ მემატიანეთა ნაშრომები, კერძოდ, მოჰამმად იუსუფის „ხულდ-ე ბარინ“, მოჰამმად მა'სუმის „ხულასათ ას-სიარ“, რომლებშიც თხრობა მოტანილია შაჰ

სეფის ზეობის ბოლომდე და ასევე მირზა მოჰამმად თაჰერ ვაჰიდ ყაზვინის „აბას ნამე" („აბასის წიგნი"), რომელშიც მოგვიანო ხანის მოვლენებია გადმოცემული1664 წლამდე (აკიმუშკინი 1976: 98-99).

ისქანდერ მუნში უნდილაძეთა შესახებ ნაშრომის ცალკე თავში მოგვითხრობს, რომლის სახელწოდებაა „თხრობა ალავერდი-ხანის ვაჟის დაუდ-ხანის აჯანყებისა და თეიმურაზთან მისი შეთანხმების შესახებ". თავდაპირველად ავტორი გვაუწყებს, რომ დაუდ-ხანის თხოვნით, შაჰმა თეიმურაზ მეფეს ადრინდელი ცოდვები შეუნდო და მის სახელზე პატიების ფირმანი გამოსცა. მაგრამ მოგვიანებით თავად დაუდ-ხანი აუჯანყდა შაჰს. ისქანდერ მუნში იქვე განმარტავს, თუ რამ უბიძგა საამისოდ მას. კერძოდ, ყაჯარი დიდებულები, რომლებსაც დაუდ-ხანი სძულდათ მისი ცუდი ხასიათის გამო, ხშირად უჩიოდნენ მას შაჰთან. ამის შედეგი იყო ის, რომ ერთხელაც შაჰ სეფიმ დაუდ-ხანს უსაყვედურა, უხეშობისა და შეპასუხების გამო კი მეჯლისიდანაც გააძევა. თუმცა, მამისა და ძმის ერთგული სამსახურის გამო, შაჰს ის მეტად აღარ დაუსჯია. განაწყენებულ დაუდ-ხანს ეს შეურაცხყოფა მოსვენებას არ აძლევდა და შურისძიებისთვის ემზადებოდა. ამ მიზნით ის თეიმურაზ მეფეს შეუთანხმდა, რომ ნადირობის საბაბით ივრის ნაპირას შეხვედროდნენ ერთმანეთს, შემდეგ კი სანადიროდ მიწვეული ყაჯარი დიდებულები ამოეხოცათ. თეიმურაზმა, თავის მხრივ, საამისოდ ასამდე ქართველი აზნაური შეარჩია, რომლებმაც „მთელ ღაზიებს მოწამებრივი სიკვდილის შარბათი აგემეს, რის შედეგადაც მათი ქონება და აღჭურვილობა ქართველებს ჩაუვარდათ ხელში" (გელაშვილი 1981: 56). ამის შემდგომ ამბოხებულებმა, დასახული გეგმის მიხედვით, განჯა და ყარაბაღი დაარბიეს. ისქანდერ მუნშის გადმოცემით, როდესაც ამ ამბებმა ისფაჰანში სამეფო კარამდე მიაღწია, განრისხებულმა შაჰ სეფიმ დაუდ-ხანს განჯა-ყარაბაღი ჩამოართვა და მის ძველ მფლობელს – მოჰამმად ყული-ხან ზიიად-ოღლი ყაჯარს დაუბრუნა, ქართლი და კახეთი კი ხოსრო-მირზა ქართველს უბოძა, რომელსაც როსტომი უწოდა. შაჰის ბრძანებით, უშუალოდ აჯანყების ჩასახშობად, ხოსრო-მირზას ამალას წინ წაუძღვა სპასალარი როსტომ-ბეგი (როსტომ-ხან სააკაძე – ნ. გ.) ყიზილბაშთა დიდი ლაშქრით. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ისქანდერ მუნში ცდილობს თეიმურაზ მეფის გამართლებას აჯანყებაში ჩართვასთან დაკავშირებით. მისი სიტყვით, წყეულმა დაუდმა მოტყუებითა და ცბიერებით გზას აიცდინა თეიმურაზი და შთააგონა, რომ შაჰი მის მიმართ გულწრფელი არ იყო და როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა, მას თავიდან მოიშორებდა (გელაშვილი 1981: 57).

ამასთანავე დაუდ-ხანმა თეიმურაზს გაუმხილა, რომ მის ძმასთან ფარსში იმყოფებოდა შაჰ აბასის ვაჟი, რომელსაც იმამყული-ხანმა სახელი შეუცვალა და მის შვილად ითვლებოდა. ახლა კი სინამდვილის გამჟღავნების ჟამი დამდგარიყო და იმამყული-ხანის ერთგული თანამებრძოლების დახმარებით, ისინი იმ უფლისწულის გამეფებას შეძლებდნენ. ისქანდერ მუნში დასძენს, რომ მიუხედავად გამჭრიახობისა და საღი აზროვნებისა, თეიმურაზი მაინც მოტყუედა და ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყდა. განჯა-ყარაბაღზე ლაშქრობის წინ დაუდ-ხანმა და თეიმურაზმა მეზობელი ოლქების ამირებს თანადგომისკენ მოუწოდეს და ზემოთ ხსენებული უფლისწულის შესახებაც აცნობეს. ადრესატებმა პასუხად ისინი შაჰთან დაასმინეს. ეს გახდა შაჰ სეფის მიერ იმამყული-ხანის გამოძახების და შემდგომ, ოჯახის წევრებთან ერთად, მისი სიკვდილით დასჯის მიზეზი.

ნაშრომის მომდევნო თავში ისქანდერ მუნში უკვე უნდილაძეთა მიმართ განხორციელებულ სადამსჯელო ღონისძიებებს აღწერს. ის იმთავითვე ხაზს უსვამს, რომ ინფორმაცია ზემოთ ხსენებულ უფლისწულთან დაკავშირებით სიმართლეს არ შეესაბამებოდა. ვინაიდან დამარცხებული დაუდ-ხანი ირანში აღარ დაბრუნებულა (მან მოგვიანებით ოსმალეთს შეაფარა თავი – ნ. გ.), შაჰ სეფიმ მის ახლობლებზე იძია შური: ჯერ იმამყული-ხანის სამი ვაჟი – სეფიყული-ხანი, ფათალი-ბეგი და ალიყული-ბეგი გამოასალმა სიცოცხლეს, იმამყული-ხანის მოსაკლავად კი მან ეშიკაღასი ქალბალი-ბეგი, დაუდ-ბეგ გურჯი და ალიყული-ბეგი გააგზავნა, რომელთაგან ბოლო ორნი ხანის სიძეები იყვნენ (მისი ქალიშვილების ქმრები – ნ. გ.). ისქანდერ მუნში ამ ტრაგიკული მოვლენების თხრობას შემდეგი სიტყვებით ასრულებს:

> ერთი სიტყვით, უმეცარი, წყეული დაუდის უკადრისი საქციელის გამო ალავერდი-ხანის საგვარეულო, რომელიც უმაღლეს წერტილამდე იყო ამაღლებული და ისფაჰანიდან ომანის სანაპირომდე ერთი თვის სავალი გზა მისი მბრძანებლობისა და ბატონობის ქვეშ იყო მოქცეული, საგვარეულო, რომელიც ფუფუნებაში, სიმდიდრეში და ბედნიერებაში ცხოვრობდა, არარაობის ქარს მიეცა. მათი მამაკაცები და ქალები – ყველა დახოცეს (გელაშვილი 1981:59).

ამრიგად, ისქანდერ მუნში დაუდ-ხანის ამბოხების მიზეზად, ყაჯარ დიდებულთა „წყალობით",

შაჰის მიერ მის მეჯლისიდან გაძევებას თელის. ეს თვალსაზრისი სავსებით ლოგიკურია: ცნობილია, რომ დაუდ-ხანი განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგად შაჰ აბას I-ის მიერ დაინიშნა ყაჯარი დიდებულის ამ თანამდებობიდან გადაყენების შედეგად (1625). შაჰი ამგვარი ღონისძიებებით მიზნად ისახავდა ყაჯართა ტომის თავკაცების უფლებამოსილების შეკვეცას კავკასიური ეთნიკური ელემენტის სასარგებლოდ (სეივორი 1980: 77-79). ასე რომ, სავსებით ბუნებრივია ყაჯარ დიდებულთა მტრობა და შური დაუდ-ხანის მიმართ, რასაც შედეგად ზემოთ ხსენებული მოვლენები მოჰყვა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისქანდერ მუნში უნდილაძეთა ამონყვეტის სხვა გარემოებაზეც მიანიშნებს, კერძოდ, შაჰ სეფის შიშზე იმასთან დაკავშირებით, რომ უნდილაძეებს შაჰ აბასის თითქოსდა არსებული ვაჟი არ გაემეფებინათ.

განხილულ საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებოა შაჰ სეფი I-ის კარის მემატიანის – მოჰამმად მა'სუმის ნაშრომი „ცხოვრების მოკლე აღწერილობა", რომლის ხელნაწერსაც გავეცანით სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილებაში, მიკროფილმი № 127. სხვა მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებთან ერთად, ავტორი დაუდ-ხანის და თეიმურაზის აჯანყების პერიპეტიების შესახებაც მოგვითხრობს. მისი გადმოცემით, ჰიჯრის 1041 წლის რაბი ას-სანის თვის 4 რიცხვში (ანუ 1632 წლის 3 ნოემბერს – ნ. გ.) შაჰ სეფიმ ქართლის მმართველად ისფაჰანის ტარუღა როსტომ-ხანი დანიშნა ვალის ტიტულით. ავტორი აქვე საქებარი ეპითეტებით ამკობს ხოსრო-მირზას (იგივე როსტომს) და დასძენს, რომ მის დანიშვნას ამ პოსტზე წინ უსწრებდა განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგის, დაუდ-ხანისა და თეიმურაზ მეფის აჯანყება, რომელიც იმავე წლის აგვისტოში მომხდარა, ორი თვის შემდეგ კი მღელვარებამ საქართველოში გადაინაცვლა. მოჰამმად მა'სუმი ამ ამბის თხრობას ასრულებს იმის დაფიქსირებით, რომ აჯანყებამ მარცხი იწვნია, დაუდ-ხანმა თანამდებობა დაკარგა, თეიმურაზის მომხრე 5-6 ათასი მეომარი ყიზილბაშებს ტყვედ ჩაუვარდა, თავად თეიმურაზმა კი იმერეთში გაქცევით უშველა თავს (მიკროფილმი № 127).

თითქმის ანალოგიურია, თუმცა უფრო შეკვეცილი სახით, მოჰამმად იუსუფის საისტორიო თხზულებაში („ხულდ-ე ბარინ") დაცული ცნობები. მისი ნაშრომის ბოლო ნაწილში ცალკე ჩამოთვლილია ირანში მოღვაწე გამოჩენილი ქართველები, მოცემულია მათი მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები. ესენია: ალავერდი-ხანი, მისი ვაჟები და შვილიშვილი, ხოსრო-მირზა, რომლებსაც ავტორი ქება-დიდებით მოიხსენიებს (ხანსარი 1939: 62-64). უნდილაძეთა აღსასრულთან დაკავშირებით ის გვაუწყებს, რომ მოშურნეებისა და მტრების მცდელობით, იმამყული-ხანი შაჰმა სიკვდილით დასაჯა, ხოლო უმადურმა დაუდ-ხანმა მას შემდეგ, რაც თეიმურაზის თანამზრახველი გახდა და სეფიანთა სახელმწიფოს განუდგა, ყარაბაღის მფლობელობა დაკარგა და ის დაწყევლილ იქნა. ამ კონტექსტში მოჰამმად იუსუფი მოიხსენიებს ასევე იმამყული-ხანის უფროს ვაჟს – სეფი ყული-ხანს, რომელიც ლარის ვილაიეთის გამგებელი იყო. მისი სიტყვით: „როდესაც იმამყული-ხანის ძლიერება სასჯელის მახვილის ელვარებით ქარმა გაანადგურა, ნაპერწკლები ამ კვამლიდან მთელ მის საგვარეულოზე წამოვიდა. სეფი ყული ხანმაც, რომელიც მისი მემკვიდრე იყო, მამის ბედი გაიზიარა" (ხანსარი 1939: 293); (გელაშვილი 1981: 64-65).

ჩვენთვის საინტერესო მოვლენების შესახებ ცნობები დაცულია კიდევ ერთ, შედარებით ახლად მოძიებულ სპარსულ წყაროში – აბუ ალ-მაფახერ თაფრეშის ნაშრომში „შაჰ სეფის ისტორია" (როტა 2001: 185-186); (გელაშვილი, არჩვაძე 2016: 370-371). თვით ნაშრომიდან ვიტყობთ, რომ ავტორი შაჰ აბას I-ის და შაჰ სეფი I-ის ზეობის ხანაში მოღვაწეობდა. ასე რომ, ისევე როგორც ზემოთ წარმოდგენილი მემატიანეები, ისიც აღწერილ მოვლენათა თანამედროვე და, შესაძლოა, თვითმხილველიც იყო. უნდილაძეებთან დაკავშირებით თაფრეში გვაუწყებს, რომ დაუდ-ხანი, რომელსაც ის არაერთი საწყევარი ეპითეტით „ამკობს", ჭეშმარიტ რწმენას განუდგა, თეიმურაზ მეფეს ეახლა და მის გულში „ცბიერებით და მოტყუებით ამბოხების მარცვალი ჩააგდო". დაუდ-ხანს დაუხოცავს ყაჯარებისგან შემდგარი თავისი ლაშქრის ნაწილი, რის შემდეგაც თეიმურაზთან ერთად განჯა და ბარდა დაურბევია. ადგილობრივმა მოსახლეობამ კი სათანადო თავდაცვა ვერ უზრუნველყო იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იქაურობის გამგებელი თავად დაუდ-ხანი იყო. საყურადღებოა, რომ თაფრეში დაუდ-ხანის ზემოთ ნახსენებ „რწმენისაგან განდგომას" კიდევ ერთხელ აფიქსირებს. მისი სიტყვით, დაუდ-ხანს ეკლესიაში დაუწყია სიარული (გელაშვილი, არჩვაძე 2016: 372). ამგვარ ინფორმაციას იტალიელი მისიონერი დონ პიეტრო ავიტაბილეც აფიქსირებს. მისი სიტყვით, დაუდ-ხანი მათთან (იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო) კიდევ ცოტა ხანს რომ დარჩენილიყო, უეჭველად მათ სარწმუნოებას მიიღებდა, რის შესახებაც ის თითქოსდა განსაკუთრებულ ნიშნებს ავლენდა. ამის დასტურად ავტორს დაუდ-ხანის სიტყვები მოჰყავს, კერძოდ: „ოღონდ ქრისტიანი

იყოს და მისთვის ბევრ რამეს გავაკეთებ, რადგანაც მიყვარს ქრისტე და მას ღმერთად მივიჩნევ" (გიორგაძე 1977: 45-46). მართალია, ამ ცნობიდან ნათლად ჩანს დაუდ-ხანის დამოკიდებულება ქრისიტანობის მიმართ, მაგრამ მის მოქცევის პერსპექტივაზე საუბარი, ვფიქრობთ, ზედმეტია. ამ კონტექსტში კიდევ ერთი იტალიელი მისიონერის – დონ ქრისტეფორო დე კასტელის ცნობას მოვიხმობთ, რომელმაც, როგორც ცნობილია, დაუდ-ხანის პორტრეტი დახატა 1633 წელს. ეს იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც დამარცხებული დაუდ-ხანი მცირე ხანს გორს აფარებდა თავს. კასტელი აქებს მას, როგორც პიროვნებას, ხაზს უსვამს მის კეთილგანწყობას პადრების მიმართ, მატერიალურ თანადგომას და სხვ. დაუდ-ხანზე საუბარს ავტორი შემდეგი სიტყვებით ასრულებს: „იმის შიშით, რომ ისიც მისი ძმასავით არ მოეკლა სპარსეთის შაჰს, თურქებთან გაიქცა. გზად მიმავალმა ჩვენი სახლი ინახულა და პატრებთან ითათბირა, მადლობის ნიშნად მოწყალება მოგვცა" (გიორგაძე 1976: 82).

სამეფო ტახტის სავარაუდო პრეტენდენტად შაჰ აბასის იდუმალებით მოცული ვაჟის არსებობას ადასტურებს გერმანელი სწავლული ადამ ოლეარიუსი, რომელიც 1635-1639 წლებში იმყოფებოდა ირანში ჰოლშტინიის ელჩობის შემადგენლობაში. მისი გადმოცემით, დახოცილი იმამყული ხანისა და მისი სანათესაოს გვამები სამი დღე და ღამე ეყარა მოედანზე. საშინელ სანახაობას წარმოადგენდა მათზე დამხობილი იმამყული-ხანის მოხუცი დედა, რომელიც მწარედ მოსთქვამდა. „როდესაც ამის შესახებ შაჰმა გაიგო, ბრძანა მიწაში ჩაეფლოთ გვამები" (ოლეარიუსი 1870: 865); (ჯავახია 2005: 71). აღსანიშნავია, რომ ევროპული წყაროები (ჟუსტი პრატო, არქანჯელო ლამბერტი, ჯუდიჩე მილანელი, დონ პიეტრო ავიტაბილე, კარმელიტების ქრონიკა და სხვ.) განსაკუთრებით ხატოვნად, იმავდროულად თანაგრძნობით აღწერენ უნდილაძეთა ტრაგიკულ აღსასრულს (კარმელიტების ქრონიკა 1939: 312-313); (ნატროშვილი 1974: 154-155).

დავუბრუნდეთ თაფრეშის თხზულებას, რომელშიც ცალკე თავი ეძღვნება დაუდ-ხანის სანათესაოს გაჟლეტას. ავტორის გადმოცემით, დაუდ-ხანის ამბოხებას იმამყული-ხანის შაჰის კარზე გამოძახება მოჰყვა, რომელიც მორჩილებით ეახლა შაჰ სეფის. მისი მკვლელების უშუალო შემსრულებლების ჩამოთვლისას, ისქანდერ მუნშის მიერ მოხსენიებულ პირებს ის უმატებს ვინმე მოყრაბ ალ-ზაჰრათ ალ-ალიათ ალ-ალიეს სახელს, რომლებმაც იმამყული-ხანი, მისი შვილი – ლარის მხარის გამგებელი და დანარჩენი შვილებიც სიცოცხლეს გამოასალმეს (გელაშვილი, არჩვაძე 2016: 374). საერთო ჯამში, თაფრეშის ცნობები, მცირე განსხვავებათა გამოკლებით, თითქმის მთლიანად ემთხვევა ისქანდერ მუნშის ნაშრომში უფრო ვრცლად წარმოდგენილ ინფორმაციას.

უნდილაძეთა თავს დატრიალებულ ტრაგიკულ ამბებთან დაკავშირებით აღსანიშნავია XVII საუკუნის ირანელი ისტორიკოსის ჰაჯი მეჰდი-ყული ყაჯარის ნაშრომი „უკეთესთაგან უკეთესი ისტორია", რომელიც კარგადაა ცნობილი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, ამიტომ მასზე ყურადღებას აღარ ვამახვილებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სეფიანთა პერიოდის მოვლენების აღწერისას, ის ისქანდერ მუნშის ნაშრომით სარგებლობდა. შესაბამისად, მისი მონათხრობი მთლიანად ემთხვევა მისი წინამორბედის ცნობებს, ოღონდ უფრო შემოკლებული ფორმატით (ფუთურიძე 1942: 85).

ამრიგად, სპარსულ წყაროთა თანახმად, 1632 წლის აჯანყების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი დაუდ-ხანი იყო. მას, მართლაც, დასჭირდებოდა ძალისხმევა თეიმურაზ მეფის დასარწმუნებლად ამბოხებაში ჩართვის თაობაზე, რადგან ამ უკანასკნელს იმხანად საამისოდ გამოკვეთილი მიზეზი არ ჰქონდა. როგორც ცნობილია, XVII საუკუნის 20-იანი წლების მიწურულიდან აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ სეფიანთა სელისუფლება ე. წ. კომპრომისულ პოლიტიკას ახორციელებდა. აქედან გამომდინარე, ყიზილბაშთა მხრიდან ქართლ-კახეთის აოხრება დღის წესრიგში არ მდგარა. ხსენებულმა აჯანყებამ ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა როსტომის ქართლში გასამეფებლად, რომელიც ისედაც ქართლის სამეფო ტახტის კანონიერ მემკვიდრედ მოიაზრებოდა. შაჰ სეფიმ სწორედ ასეთ დაძაბულ ვითარებაში გადაწყვიტა მისი გამოგზავნა, როგორც მისთვის ყველაზე სანდო და ერთგული, იმავდროულად გამოცდილი პოლიტიკური მოღვაწისა (გელაშვილი 2008: 50).

თვალი გავადევნოთ ქართულ საისტორიო წყაროთა ცნობებს. ფარსადან გორგიჯანიძის (რომელიც როსტომმა თავის ნაიბად ანუ მოადგილედ დანიშნა ისფაჰანში 1656 წელს) (კუცია 1972: 96-97) ნაშრომში დაცული ინფორმაცია, მცირე განსხვავებათა გამოკლებით, ძირითადად ისქანდერ მუნშის ნაშრომს ეფუძნება. აღსანიშნავია, რომ მის თხრობაში გამოკვეთილად ჩანს დაუდ-ხანის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება. როგორც ჩანს, ხოსრო-მირზას თანამედროვე მემატიანეს დაუდ-ხანსა და ხოსრო-მირზას შორის არსებული დაპირისპირება განაწყობდა ამგვარად. ხსენებული მტრობა კი მოტივირებული იყო სეფიანთა სამეფო კარზე გავლენისათვის მიმდინარე ბრძოლით ორ პოლიტიკურ დაჯგუფებას შორის, სადაც ერთ მხარეს უნდილაძეთა კლანი იდგა თავისი მომხრეებით

თურთ, მეორე მხარეს კი – ხოსრო-მირზა და შაჰ სეფის სამეფო კარი. აქედან გამომდინარე, შაჰ სეფი, რომელმაც ხოსრო-მირზას ძალისხმევით დაიკავა სამეფო ტახტი, თავიდანვე უნდობლად უყურებდა უნდილაძეებს და მოთმინებით ელოდა ხელსაყრელ შემთხვევას მათ თავიდან მოსაშორებლად. თავის მხრივ, ხოსრო-მირზაც მარჯვე შემთხვევის მოლოდინში იყო, რათა შაჰ სეფისათვის ქართლის მეფობა გამოეთხოვა. მითუმეტეს, რომ ის სამეფო ტახტის ერთადერთი პირდაპირი მემკვიდრე იყო. როგორც განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილს შაჰ სეფის კარზე, ხოსრო-მირზას ერთხელაც სანადელი აუსრულებია და ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვით, „ყაენსაც როსტომ მეფის გულისათვის" მეჯლისიდან გაუძევებია დაუდ-ხანი (კაკაბაძე 1925: 238). აქვე შევნიშნავთ, რომ ზემოთ განხილულ სპარსულ წყაროებში არაფერია თქმული ხოსრო-მირზას მონაწილეობაზე ამ გაძევებაში. ამბობების პერიპეტიებზე და მის შედეგებზე საუბრისას, ფარსადანი ისქანდერ მუნშის მონათხრობს იმეორებს, თუმცა, მისგან განსხვავებით, ის არ ახსენებს შაჰ აბასის ვაჟს, რომლის გამეფებასაც თითქოს უნდილაძეების კლანი აპირებდა. საყურადღებოა ასევე მისი ინფორმაცია სომეხთა კათალიკოსის მზაობაზე, რომ ის თეიმურაზთან ერთად, სომეხთა ჯარით ჩართულიყო ყარაბაღზე ლაშქრობაში, თუმცა თეიმურაზმა სომეხთა გეგმა განუხორციელებლად მიიჩნია და, ამდენად, მოლაპარაკებაც არ შედგა (კაკაბაძე 1925: 239).

განსხვავებულად აშუქებენ უნდილაძეთა გვარის აღსასრულის ამბებს ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი. ბერი ეგნატაშვილის გადმოცემით, უნდილაძეები დიდი ხნის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდნენ შაჰ აბასს, მაგრამ ბოლოს „სძლია ჩვეულებამან მიუნდობლობისა მათისამან და სიბოროტისამან, ვითარცა თქმულ არს: ჩვეულება სჯულსა უმტკიცე არისო" (ყაუხჩიშვილი 1959: 416). ამის გამო შეუპყრია შაჰ სეფის დაუდ-ხანის შვილი, ძმა, ძმისშვილები და დაუხოცია. ამის გამგონე დაუდ-ხანი, ყაჯართა ჯარის თანხლებით, განჯიდან კახეთისკენ გაემართა თეიმურაზ მეფესთან. მისი თავხედობით აღშფოთებულმა შაჰმა სადამსჯელო ლაშქარი გაგზავნა საქართველოში სპასალარ როსტომ-ხან საააკაძის მეთაურობით, ქართლში გასამეფებლად ხოსრო-მირზა გამოგზავნა, კახეთი კი სელიმ-ხანს უბოძა (ყაუხჩიშვილი 1959: 417). ანალოგიურია ვახუშტი ბატონიშვილის ინფორმაცია (ყაუხჩიშვილი 1973: 437, 594). ამრიგად, მათი მონათხრობიდან გამოდის, რომ დაუდ-ხანის განაწყენების მიზეზი შაჰ სეფის მიერ მისი სანათესაოს ამოწყვეტა იყო, თუმცა ეს ვერსია ბოლომდე განვითარების მიზეზ-შედეგობრივ ლოგიკურ კავშირს არ შეესაბამება და ნაკლებად დამაჯერებელია. აქ უთუოდ გასათვალისწინებელია, რომ ხსენებულ ქართველ მემატიანეთა მოღვაწეობის პერიოდი (XVIII საუკუნე) საკმაოდ დაშორებულია ჩვენ მიერ განხილული მოვლენებიდან, სპარსული წყაროები კი, რომლებიც ზოგ შემთხვევებში თვითმხილველის პირით აფიქსირებენ ფაქტებს, გაცილებით ადეკვატურად ასახავენ რეალობას. თუმცა როგორც საერთოდ ყველა წყარო, ისინიც კრიტიკულ ანალიზს საჭიროებენ. სპარსულ საისტორიო თხზულებებზეა დაფუძნებული ირანულ გარემოში მოღვაწე ფარსადან გორგიჯანიძის ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაცია, კერძოდ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ სწორედ დაუდ-ხანის აჯანყების შედეგად ამოწყვიტა შაჰ სეფიმ უნდილაძეები. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის ისტორიული რეალობაც, რომ შაჰ სეფი გამეფებისთანავე შეუდგა თავისი პაპის კართან დაახლოებულ დიდმოხელეთა თავიდან მოშორებას. ამ სიაში ლიდერთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გაკლენიანი უნდილაძეთა კლანი იყო, რომელიც უპირისპირდებოდა მეორე პოლიტიკურ დაჯგუფებას ხოსრო-მირზას მეთაურობით. ამ უკანასკნელს კი, როგორც ცნობილია, თავად შაჰი ლობირებდა. ასე რომ, ზემოთ ხსენებულმა ამბოხებამ კატალიზატორის როლი შეასრულა და შაჰ სეფიმაც ეს საგვარეულო აღგავა პირისაგან მინისა. რაც შეეხება იმამყული ხანის ჩართულობას ამბოხებაში, წყაროები ერთხმად აფიქსირებენ მის უდანაშაულობას, თუმცა, სავსებით დასაშვებია, რომ ის შინაგანად თანაუგრძნობდა და გულშემატკივრობდა აჯანყებულებს, მაგრამ გარეგნულად ეს არასოდეს გამჟღავნებულა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რომელიმე წყაროში გაკვრით მაინც იქნებოდა მინიშნება ამის თაობაზე.

როგორც ზემოთ ითქვა, შაჰ სეფიმ თითქმის მთლიანად გაჟლიტა დაუდ-ხანის სანათესაო, თუმცა ზოგიერთი მათგანი რეპრესიებს გადაურჩა, რომელთა სახელები ისტორიამ შემოგვინახა. ამ კუთხით საყურადღებოა XVII საუკუნის ირანელი ავტორის მოჰამმად თაპერ ნასრაბადის ანთოლოგია „თეზქერე-იე ალ-შოარა", რომელშიც მოყვანილია ირანული კულტურის რჩეულ მოღვაწეთა ბიოგრაფიული მონაცემები და მათი ნაწარმოებების ნიმუშები, მათ შორის, ქართული წარმოშობის პოეტებისაც. ანთოლოგიაში დაცული ცნობების თანახმად, ირანის ლიტერატურულ ასპარეზზე საპატიო ადგილი ეკავათ ალავერდი-ხანის შთამომავლებს: ალურლუ-ხანს, მადჰუშს, მოსიბ-ბეგს (ფუთურიძე 1947: 289-295). სხვა სპარსული ანთოლოგიები – მირ ჰუსეინის „თეზქერე-იე პოსეინი" და სეიდ-ალი ჰასან-ხან საპების „სობჰ-ე გოლშან" უფრო დეტალურად გვიამბობენ მათ შესახებ და მათი

პოეტური ქმნილებების ნიმუშებსაც გვაცნობენ. მათი გადმოცემით, იმამყული-ხანის ზოგიერთი ვაჟი შაჰ სეფის რეპრესიებს გადაურჩა, რომლებმაც ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყვეს ხელი. მათგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ალურლუ-ხანი, რომლის ლიტერატურული ფსევდონიმი იყო „შოლა“. როდესაც შაჰ სეფის ბრძანებით, იმამყული ხანი შვილებთან ერთად დახოცეს, ალურლუ-ხანიც დაუპატიმრებიათ, თვალები დაუთხრიათ და ამ ყოფაში დალია მან სული. „მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, მას ლექსის წერისა და პოეტობის სურვილი მაინც შემორჩა“ (თოდუა 1971: 180-181); (სუხიაშვილი 2000: 79).

უნდილაძეთა გვარის შთამომავალი იყო სეიდ მობარაქ-ხან შირაზელი, რომელიც „მადჰუშის“ ფსევდონიმით მოღვაწეობდა. ნასრაბადი გვამცნობს, რომ პოეტის მამა არაბეთის ვალი იყო დედა კი „უდიდესი მხედართმთავრის იმამყული-ხანის ქალიშვილი“. ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს მის პოეზიას, პიროვნული თვისებების წარმოჩენისას კი შენიშნავს, რომ „ფინანსების შენახვას არ ცდილობს და მუდამ ფანტავს“ (სუხიაშვილი 2000: 79). ნასრაბადი გვაცნობს ასევე მოსიბ-ბეგს, რომელიც იმამყული-ხანის შთამომავალი იყო და ყორჩიების ფენას განეკუთვნებოდა. მისი პაპა სულთან თამაზ-ყული ყოფილა – იმამყული ხანის შვილიშვილი (სუხიაშვილი 2000: 82). წარმოდგენილი ლიტერატურული ანთოლოგიებიდან ნათელია, რომ ხსენებული პოეტები ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ირანის ლიტერატურულ ასპარეზზე და მათ სათანადო ადგილიც მოიპოვეს მდიდარი ტრადიციების მქონე სპარსულ პოეზიაში.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ შაჰ სეფის მიერ უნდილაძეთა საგვარეულოს მიმართ განხორციელებული სასტიკი ღონისძიებების მიუხედავად, ისინი დავიწყებას არ მისცემიან და მრავალმხრივი მოღვაწეობის წყალობით, საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს ირანის ისტორიაში. ამის საილუსტრაციოდ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: საყოველთაოდაა ცნობილი ალავერდი-ხანის ხიდი ისფაჰანში, სადაც მისი სულისჩამდგმელის უკვდავსაყოფად, მისი ბიუსტია განთავსებული. ალავერდი-ხანის სახეა აღბეჭდილი ასევე ისფაჰანის ჩეჰელსოთუნის სასახლის ცნობილ კედლის უზარმაზარ ფრესკაზე, რომელზედაც შაჰ აბასს მხარს უმშვენებენ ყველაზე თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეები, მათ შორის, ალავერდი ხანი. მისი უფროსი ვაჟის – იმამყული-ხანის ძეგლი კი 1990 წელს დაიდგა კუნძულ ქეშმზე (სპარსეთის ყურეში) მისივე სახელობის მოედანზე, 1622 წელს ჰორმუზიდან პორტუგალიელების განდევნაში მისი დიდი დამსახურების უკვდავსაყოფად.

დამოწმებანი

აკიმუშკინი 1976: О.Ф. Акимушкин «Продолжение» Искандера Мунши и "Краткая суть Жизнеописаний" Мухаммад Ма'сума, *Иран*. Москва.

ბარსოვი 1870: *Подробное описание Голштинского посольства в Московию и Персию в 1633, 1636 и 1639 годах, составленное секретарем посольства Адамом Олеарием*, перевел с немецкого П. Барсов.

გაბაშვილი 1972: ვ. გაბაშვილი. უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში, *მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები*, II, თბილისი.

გელაშვილი 1981: *ისქანდერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება*, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა, თბილისი.

გელაშვილი 2008: ნ. გელაშვილი. ქართველი მეფე-მთავრები და შაჰ სეფი I (1629-1642), *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო*, V, თბილისი.

გელაშვილი 2009: ნ. გელაშვილი. უნდილაძეთა საგვარეულო ირანის კულტურულ ასპარეზზე, *სამეცნიერო პარადიგმები*, თბილისი.

გელაშვილი, არჩვაძე 2016: ნ. გელაშვილი, მ. არჩვაძე. XVII საუკუნის სპარსული საისტორიო წყარო ირან-საქართველოს ურთიერთობების შესახებ, *აღმოსავლეთმცოდნეობა* №5, თბილისი.

გიორგაძე 1976: *დონ კრისტეფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევები და კომენტარები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბილისი.

გიორგაძე 1977: *დონ პიეტრო ავიტაბილე. ცნობები საქართველოზე (XVII ს.)*, შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა, თბილისი.

თოდუა 1971: მ. თოდუა. *ქართულ-სპარსული ეტიუდები*, I, თბილისი.

კაკაბაძე 1925: ფარსადან გორგიჯანიძე. ისტორია, *საისტორიო მოამბე*, II, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბილისი.

კარმელიტების ქრონიკა 1939: *A Chronicle of the Carmelites in Persia and the Papal Mission of the XVIIth and the XVIIIth Centuries*, vol. I, London.

კუცია 1963: ქ. კუცია. *კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე, მახლობელ აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები*, თბილისი.

კუცია 1972: ქ. კუცია, ისფაჰანის ქართველი ტარუღები. *მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები*, II, თბილისი.

მიკროფილმი: *მოჰამმად მა'სუმ. ხულასათ ას-სიიარ*, სანქტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერთა განყოფილება, მიკროფილმი № 127 (სპარსულ ენაზე).

ნატროშვილი 1974: თ. ნატროშვილი. *მაშრიყით მაღრიბამდე*, თბილისი.

როტა 2001: G. Rota. Three Less Known Persian Sources of the 17th Century, *Orientalist*, I, Tbilisi.

სეივორი 1980: R. Savory. *Iran under the Safavids*, Cambridge University Press.

სუხიაშვილი 2006: მ. სუხიაშვილი. *სპარსული თეზქერეები, როგორც წყარო ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XVII ს.)*, საკანდიდატო დისერტაცია, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, თბილისი.

ფუთურიძე 1942: ვ. ფუთურიძე. „უკეთესთაგან უკეთესი (ისტორია)" პაჯი მეჰდი-ყული ყაჯარისა, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 2, თბილისი.

ფუთურიძე 1947: ვ. ფუთურიძე. ქართველი მოღვაწენი ირანის კულტურულ ასპარეზზე, *ანალები*, I, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1959: ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი, *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1973: ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი.

ხანსარი 1939: *მოჰამმად იუსუფ ხულდ-ე ბარინ*, თა'ლიფ-ე სუპეილი ხანსარი, თეირანი (სპარსულ ენაზე).

ჯავახია 2005: ბ. ჯავახია. *საქართველო და ქართველები ადამ ოლეარიუსის მოგზაურობის წიგნში*, თბილისი.

THE END OF THE UNDILADZE FAMILY IN THE SAFAVID IRAN IN THE LIGHT OF PERSIAN WRITTEN SOURCES

Nana Gelashvili

In the present paper our conclusions are based on the comparativist review and critical analysis of information kept in the Persian sources with the other sources containing parallel references. In particular, the revolt organized by Daud-Khan Undiladze and King Teimuraz I in the autumn of 1632, which was directed against the Safavid government, served as a catalyst for the brutal punitive operations against the Undiladzes' family. However, in some sources other reasons are also mentioned. In particular, it is alleged that Shah Safi was informed that the Undiladze brothers were planning to enthrone the illegitimate son of Shah Abbas I, which led to their enmity. In this case, we should take into consideration existing historical reality, that the Shah Safi had a negative attitude towards the Undiladzes as soon as he had occupied the throne, who, together with their supporters, opposed the second group of Georgians ascended in Iran, led by Khosro-Mirza (later Wali (i.e. viceroy) of Kartli – Rostom), and which was supported by Shah Sefi himself.

ამირანი და ტარიელი („ამირანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთმიმართების საკითხისათვის)

გოჩა კუჭუხიძე

ნაშრომში, რომელიც ქართული ფოლკლორის პერსონაჟ ამირანის სახელის გენეზისს, აგრეთვე, ამირანისა და ბერძნული პანთეონისეული პრომეთესა და კაეკასიის სხვა მითოლოგიური პერსონაჟების ურთიერთმიმართების საკითხებს ეხება, გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომლის თანახმად, ამირანის შესახებ შემონახულ თქმულებებში წარმართულ ტაძართა შორის ბრძოლის კვალია შემორჩენილი, ჩვენ ამირანისა და „ვეფხისტყაოსნისეული“ ტარიელის ურთიერთმიმართების საკითხსაც შევეხეთ, ახლა, სანამ განვაგრძობდეთ ამ თემას, საჭიროდ მიგვაჩნია, მოკლედ გავიხსენოთ, კიდევ რის შესახებ იყო ხსენებულ წერილში საუბარი (იხ. კუჭუხიძე 2020).

ჩვენ ყურადღებას იმ გარემოებაზე ვამახვილებდით, რომ გაამპარტავნების გამო დასჯილი გმირის შესახებ თქმულებები კავკასიის ვრცელ რეგიონშია ცნობილი (აფხაზური ეპოსის აბრსკილი, ოსური ნართების ბათრაძი, ადიღეელთა ნასირენი, სომეხთა მჰერი, მეგრული ფოლკლორის არამხუტუ... (კიკნაძე 2001). ზურაბ კიკნაძეს ნათლად აქვს ნაჩვენები, რომ გაამპარტავნებაა ამ გმირთა საერთო ნიშანი; პრომეთესთან დაკავშირებით აღვნიშნავდით, რომ ბოლო წლებში გავრცელდა აზრი, რომლის თანახმად, ამირანისა და პრომეთეს დაკავშირება არ არის გამართლებული იმიტომ, რომ ამირანი ამპარტავნების, პრომეთე კი ხალხისადმი თავგანწირვის გამო ისჯება. არსებობს მოსაზრება, რომ, რადგან ამირანი უფრო ფიზიკურ, პრომეთე კი ინტელექტუალურ ძალას ეყრდნობა, ამირანი პრომეთესაზე ადრეული ეპოქის წარმომადგენელია.

ჩვენი აზრით, კავკასიის პერსონაჟთაგან პრომეთეს გამოთიშვა არ შეიძლება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ, ბერძნული ლიტერატურის თანახმად, *კავკასიონის მთაზეა პრომეთე მიჯაჭვული* და წარმოუდგენლად გვესახება პრომეთესთან დაკავშირებული საკითხების ისე კვლევა, რომ არ გავითვალისწინოთ კავკასიის ვრცელ რეგიონში არსებული თქმულებები, რომელთა არაერთი ვარიანტის მიხედვით, ადგილობრივი დასჯილი გმირიც მთაშია დატყვევებული; რამდენადაც ისიც ნათლად ჩანს, რომ კავკასიაში ფართოდაა გავრცელებული მიჯაჭვული გმირის სახე და საეჭვოა, მხოლოდ ლიტერატურული ან საბერძნეთიდან ჩამოსულთა (ვთქვათ, საქარავნო გზაზე მოგზაური ვაჭრების) მიერ მოთხრობილი გადმოცემების გზით იყოს იგი აქ ფეხმოკიდებული, გამოვთქვით მოსაზრება, რომ რომელიღაც *ისეთი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა მომხდარა კავკასიაში, რაც ბერძნულ ლიტერატურაშიც აისახა;* ბერძნები ტიტანად მიიჩნევენ პრომეთეს, ღვთაება არის იგი, აქედან გამომდინარე, გვექმნება შთაბეჭდილება, რომ რელიგიური პერსონაჟი იყო კავკასიელთა გმირი, რომ ტრანსფორმირებული სახითაა შემორჩენილი მისი სახე, რომლის გენეზისიც ერთ-ერთ წარმართულ ტაძართან უნდა იყოს დაკავშირებული.

შემდეგ აღვნიშნავდით, რომ წარმართულ ტაძარს იდეოლოგია, შესაძლოა, სიყვარულზე ჰქონდეს დაფუძნებული, მაგრამ ზოგ ტაძარში სიყვარულს ლოგიკა, განსჯა აბლავს თან, ზოგში კი ძირითადად მხოლოდ რწმენა, ხილვა, ორაკულური ჭვრეტაა წარმმართველი; დიდ სიყვარულს ლოგიკური ახსნა არ სჭირდება, ადამიანს უყვარს, სწამს, თვითონაც არ იცის, რატომ, მაგრამ თავგანწირვა შეუძლია სიყვარულისთვის; ოღონდ, ამგვარ სიყვარულს მეორე მხარეც აქვს: თუ მოხდება ისე, რომ ლოგიკას გაექცევა ადამიანი, არაა შეუძლებელი, მისი სიყვარული ფანატიზმში გადაიზარდოს, რომ იმგვარმა რწმენამ, როგორსაც დღეს ბრმას უწოდებენ, აზროვნების დაქვეითება გამოიწვიოს, ასეთ ადამიანს აგრესიაც სძლევს ხოლმე, თავმოყვარეობა ადვილად ელახება, ლოგიკური დაფიქრების უნარი უსუსტდება და ვეღარ ხვდება, რომ გონიერებას დიდი სიკეთე მოაქვს; ადამიანი, რომელიც ლოგიკურ განსჯას არ უთმობს ყურადღებას, ცხოვრების დასაწყისში ხშირად კეთილია, ბოროტებასთან ბრძოლაშიც იმარჯვებს, მაგრამ, თუ გონიერებისა და ლოგიკის ნაკლებობაა მასში, შემდეგ გარდა იმისა, რომ, შესაძლოა, ფანატიკოსად იქცეს, არაა გამორიცხული, ამპარტავნებამაც სძლიოს, საკუთარი თავი ყველაზე ძლიერად მოეჩვენოს, ვეღარ მიხვდეს, ვის უნდა ებრძოლოს და ვის - არა და თავისიანიც გამოიწვიოს მეტოქედ და ეს თავისიანი საკუთარი მშობელიც იყოს; იქვე ნათქვამი გვქონდა, რომ უგონო გზნებას, ასეთ სიყვარულს, უბედურებამდეც მიჰყავს ადამიანი და რომ, ცხა-

დია, იდეალური ვითარება მაშინ იქმნება, როცა ჰარმონიულადაა შეზავებული რწმენა და ლოგიკა და ცალსხრივობა არ ბატონობს ადამიანში.

თუ რელიგიური გმირი იყო ამირანის წინასახე, საფიქრებელია, რომ ტაძარში აღიარებული კულტი იქნებოდა იგი, თქმულებებიდან მოჩანს მზისდარი ჭაბუკი, სატრფოს საძებნელად მიმავალი არაფერს რომ არ უშინდება, ვინც ცეცხლოვანი გზნებითაა სავსე, ვხედავთ, რომ ვეშაპებსა და უამრავ დევს ხოცავს გზაზე, რომ სატრფოს მამასაც ებრძვის შემდეგ, იტაცებს ყამარს და ჩვენ წინაშე ნელ ნელა ისეთი ადამიანის სახე იკვეთება, რომელსაც ეჩვენება, რომ მისი მომრევი არავინაა ქვეყანაზე და მალე კი იმ კაცად გვეელინება ამირანი, რომელიც ღმერთს უწყებს ბრძოლას... თუ კავკასიის ერთ-ერთი წარმართული ტაძრის კულტი იყო ამირანის „წინაპარი", იგი და, საერთოდ, ამ ტაძრის იდეოლოგია, მიუღებელი იქნებოდა ისეთი ტაძრისთვის, რომელშიც *ლოგიკაზე დაფუძნებული ერთ-ერთი ელინური, ან მისი მსგავსი,* ფილოსოფია იყო გამარჯვებული, რომელშიც მიაჩნდათ, რომ საშიშია ისეთი სიყვარული, განსჯა რომ არ ახლავს თან, *უგონო ცეცხლი და გზნება მიუღებელი იქნებოდა ამ ტაძრისათვის,* იქ, ალბათ, მიიჩნევდნენ, რომ უგონო სიყვარული უკეთურებასაც აკეთებინებს ადამიანს, რომ ასეთი სიყვარულისგან გაშმაგებულს, შესაძლოა, არაფრად უღირდეს სულიერის მოკვდინება. ზოგჯერ არაფრის გამო წაართმევს მას სიცოცხლეს) და არც ისაა მოულოდნელი, იმდენად აიტანოს ამპარტავნებამ, რომ თავად ღმერთს გამოუცხადოს ბრძოლა.

ჩვენ ვვარაუდობდით, რომ ტაძართა შორის ბრძოლის კვალი უნდა იყოს ამირანის მითში შემორჩენილი, რომ ისეთმა სასულიერო ცენტრებმა, რომლებშიც რწმენასთან ერთად განსჯის უნარი და ლოგიკური აზროვნება იყო უმაღლეს რანგში აყვანილი, რომელთა იდეოლოგიის საფუძველს ერთ-ერთი ელინური, ან მსგავსი, ფილოსოფია წარმოადგენდა და რომელნიც *საბერძნეთის ცენტრებთან იქნებოდნენ დაკავშირებულნი,* იმ ტაძარს გამოუცხადეს ბრძოლა, რომელიც ძირითადად ინტუიტურ, ორაკულურ ჭვრეტაზე იყო დაფუძნებული, დასაშვებად მივიჩნიეთ მოსაზრება, რომ ზეგავლენა მოახდინეს მათ ორაკულურ ტაძრებზე, რომ ამირანისეული „უგონო ვნება" შეზღუდეს, რომ რელიგიური თუ რომელიმე ძლიერი სახელმწიფო ძალის ჩარევით შეიცვალა ასეთი ტაძრის იდეოლოგია, ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, რეინისებურმა ლოგიკამ შეზღუდა, შებოჭა ცეცხლოვანი და უგონო ვნება და, იდეოლოგიის ცვლასთან ერთად, დამთავრდა ამ ტაძარში მარად მგზნებარე, მაგრამ „ელინური" ლოგიკისაგან ნაკლულევანი, უძლეველი გმირის შესახებ ამბების თხრობა და რუსთველისებურ გამოთქმას თუ მივმართავთ, „შმაგი" გზნება მისაბაძად აღარ იქნა მიჩნეული; ამის შემდეგ ისეთი გმირი წარმოდგებოდა ამ ტაძარში იდეალად, რომელსაც, დიდ სიყვარულთან ერთად, არც გონიერება და ლოგიკა აკლია და სწორედ ამით აღწევს სულიერ სარბიელზე გამარჯვებას ხსენებულ წერილში სწორედ ამ საკითხებზე მსჯელობისას მიიქცია ჩვენი ყურადღება ფაქტმა, რომ „ვეფხისტყაოსანში" „შმაგ" ტარიელს ავთანდილის გონიერება დააყენებს გადარჩენის გზაზე, რაც საფიქრებელს ხდის, რომ ხალხში შემორჩენილი იყო სხვადასხვა სახით არსებული თქმულებები „შმაგი" ჭაბუკის შესახებ, რომ ამ თქმულებებს შემდეგ რუსთველი გაეხმაურა და ისიც აჩვენა პოემაში, ძლიერი გონიერება რომ სჭირდება ასეთ ადამიანს გასამარჯვებლად; მაშინ გამოვთქვით მოსაზრება, *რომ ამირანის გზა ტარიელთან გაგრძელდა,* რომ „ვეფხისტყაოსანში" დაიხატა ამირანისეული პრობლემიდან გამოსავალი.ჩვენი აზრით, სწორედ ეს იყო კავკასიაში მომხდარი ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლის შესახებაც ზემოთ ვსაუბრობდით, ვფიქრობთ, რომ ამ მოვლენისადმი ყურადღება კავკასიის ფარგლებს გასცდებოდა და დასაშვებად მივიჩნევთ ვარაუდს, რომლის თანახმად, *ასეთი მსოფლმხედველობრივი რეფორმა განხორციელდა კავკასიის იმ ერთ-ერთ ძლიერ ტაძარში, რომელიც მანამდე არ ღებულობდა ამგვარ, ელინურთან ახლოს მყოფსა თუ თავად რომელსამე ელინურ (იმ დროისათვის, იქნებ, ახალ) სწავლებას.*

ჩვენი შეხედულებით, რეფორმის შემდეგ, როგორც ითქვა, ახალი გმირი წარმოჩნდებოდა ტაძარში იდეალად, ძველის ქება დასრულდებოდა, თუმც, ხალხში ლეგენდებად დარჩებოდა ისტორიები გმირზე, ალბათ გავრცელდა თქმულებები უძლეველი ჭაბუკის შესახებ, რომელიც ბოლოს ჯაჭვით შებორკა ღმერთმა, გმირობათა ამბებს ძველებურად მოყვებოდნენ, მაგრამ ძველ ამბებს დაემატებოდა ახალი ისტორიები იმის შესახებ, რომ ჯაჭვით შეიბორკა გმირი, სავარაუდოა, რომ სწორედ იმ ტაძარში გაჩნდა ისტორიები, რომლებიც *ლოგიკის აუცილებლობის მაღიარებელ ბერძნულ ფილოსოფიურ სკოლებთან იყო ახლოს,* იქ, ალბათ, *მეორე ნაწილთან ერთად ყეებოდნენ გაამპარტავნებული გმირის შესახებ ამბებს,* ჩვენ მიგვაჩნია, რომ *სწორედ ამ ტაძრიდან გავრცელდებოდა საბერძნეთში ამბები ცეცხლოვანი ჭაბუკის შებორკვის შესახებ,* საბერძნეთის ტაძარშიც გაჩნდებოდა მითი კავკასიის ქედზე მიჯაჭვულ გმირზე, შემდეგ კი *ბერძენ მწერალთა წიგნებში* გადაინაცვლებდა ეს გმირი და, ვფიქრობთ, ბერძნულ ლიტერატურაში *ასე უნდა იყოს აღმოცენებული პრომეთეს ისტორია.*

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამირანი და პრომეთე საკმაოდ გვიანაც ერთმანეთს: ამპარტავნების ცოდვაში პრომეთეც არის ჩავარდნილი, მეტს თუ არა, ამირანზე არანაკლებ ამპარტავნებას ამჟღავნებს მაშინ, როცა ზეცას ეურჩება და ცეცხლს იტაცებს ადამიანთათვის; არცერთ კავკასიელ პერსონაჟს არ მოუტაცია ცეცხლი, მაგრამ, თუ ტაძრის კულტი იყო მათი არქეტიპი, ცხადია, რომ, როგორც მისაბაძი გმირი, *იმ ცეცხლოვან გ ზნებასთან და ენერგიასთან აზიარებდა იგი ადამიანებს*, რომლებსაც განსჯის გარეშე ცხოვრების შემთხვევაში დალუპვის პირას შეუძლიათ ადამიანის მიყვანა; პრომეთე და ამირანი მთავარი ნიშნებით *მსგავსნი არიან*, შეიძლება ისიც ითქვას, რომ *პრომეთე საბერძნეთის ფილოსოფიური სამყაროდან დანაბული ის კავკასიელი გმირია*, რომლის სულიერ მხარეებსაც კარგად კვეთს ბერძნული მწერლობა, ის ფილოსოფია, ის სიმშვიდისაგან დაუწმენდელი ცეცხლოვანი გზნება *ლოგიკისაგან შეუბოჭველობის შემთხვევაში საშიშ ფორმებს რომ ღებულობს*, ჩანს, სიმბოლურად *პრომეთესეული ცეცხლის სახით ჩნდება ბერძნულ მწერლობაში*.

ამრიგად, ხსენებულ წერილში გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ *კავკასიაში, მის ტაძრებში, უნდა იყოს წარმოშობილი მითი, რომელიც, ერთი მხრივ, ამირანისა და სხვა მსგავს პერსონაჟთა შესახებ არსებულმა თქმულებებმა და, მეორე მხრივ, პრომეთეს შესახებ დაწერილმა ისტორიებმა შემოგვინახა*.

ზეიად გამსახურდია მიიჩნევდა, რომ კავკასიონზე პრომეთეს მიჯაჭვის მითში პროტო-იბერთა ტერიტორიებზე დასახლებულ ინდო-ევროპელთაგან ადგილობრივი ღვთაებების შევიწროება და ინტუიტიურ-ნათელმხილველური ჭვრეტის შეზღუდვაა სიმბოლურად ასახული (გამსახურდია 1991ა: 198-199); ამ საკითხების კელევისას ჩვენ ხალხთა მიგრაციის შესახებ არ გვიმსჯელია, მაგრამ ის აზრი გავიზიარეთ, რომ ლოგიკური აზროვნება და ინტუიტიური ჭვრეტა, მართლაც, არის ასახული პრომეთეს მითში და, როგორც ვნახეთ, „ამირანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ დაკავშირებულობის შესახებაც დავიწყეთ საუბარი (კუჭუხიძე 2020: 150-162).

„ამირანიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთმიმართების საკითხს არაერთი მკელევარი შეხებია:

კ. კეკელიძის თანახმად, ლიტერატურულმა „ამირანდარეჯანიანმა“ ახალი ხალხური თქმულებები, ზღაპრები, ლეგენდები წარმოშვა, თუმც, როგორც იგი აღნიშნავდა, თავის მხრივ, ამ ყველაფერმაც მოახდინა „ამირანდარეჯანიანზე“ ზეგავლენა (კეკელიძე 1981: 82-84); მკელევარი წერს, რომ:

> საქართველოში [...] ძალიან პოპულარული ყოფილა თქმულებანი ამირანის შესახებ“, რომ „ამირანდარეჯანიანის“ ავტორის მიერ გაერთიანებულია ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი თქმულებები, რომელთაგან „ზოგი ადგილობრივი, ქართული წარმოშობისაა“, მისი თქმით, „ეს უნდა იყოს ზღაპარი მზეჭაბუკის შესახებ“ და იგივე განსაკუთებულად ამირანის ზღაპარზე ითქმის (კეკელიძე 1981: 75-76).

კ. კეკელიძეს პარალელები აქვს დაძებნილი „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანს“ შორის (კეკელიძე 1981: 138-145) და მთელი მისი მსჯელობა იმ აზრის განმამტკიცებელიც ხდება, რომ „ვეფხისტყაოსანს“ ატყვია „ამირანიანის“ კვალი.

მ. ჩიქოვანი „ვეფხისტყაოსნის“ საწყისებს ფოლკლორულ „ტარიელიანში“ ეძებდა და ამ უკანასკნელს „ამირანიანის“ კონტექსტში განიხილავდა (ჩიქოვანი 1959), თუმც, მიაჩნდა, რომ ხალხურმა „ტარიელიანმა“ შემდგომში „ვეფხისტყაოსნის“ ზეგავლენა განიცადა, რამაც „ტარიელიანის“ ალდგენა გაართულა, აქედან გამომდინარე, კ. კეკელიძეს ეეჭვებოდა, რომ „ხალხურისა და ლიტერატურული ვეფხისტყაოსნის ურთიერთობის შესახებ“ ჩიქოვანისეულ მსჯელობას სარგებელი მოჰქონდა, მაგრამ კ. კეკელიძის ნაშრომზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ იგი არ გამორიცხავდა ვარაუდს, რომლის თანახმად, არსებობდა ძველი ეპოსიც, რომელშიც ტარიელის, აბესალომისა და ეთერის, როსტომისა და სხვათა შესახებ იყო მოთხრობილი; მკვლევარი იმასაც აღნიშნავდა, რომ „მ. ჩიქოვანის შრომები საყურადღებოა ქართული ფოლკლორის სიუჟეტური პალეონტოლოგიის თვალსაზრისით შესწავლისათვის“; – კეკელიძე 1981: 168-169).

ლ. ფირცხალავამ თქმულებებსა და „ვეფხისტყაოსანს“ შორის სიუჟეტთან, ფაბულასთან, კომპოზიციურ წყობასთან, ტიპოლოგიასთან დაკავშირებული პარალელები მოიძია: „ამირანის მითი იწყება მოხუცი მონადირის დახასიათებით, „ვეფხისტყაოსანიც“ მოხუცი მეფის დახასიათებით არის დაწყებული“; სულკალმახის დახასიათებას მისი საცხოვრებელი გარემოსა და ოჯახის წევრთა აღწერა მოსდევს, იგივე ხდება „ვეფხისტყაოსანში“; „ამირანიანში“ ნაჩვენებია, რომ სულკალმახი სანადიროდ მიდის, იმავეს აკეთებენ როსტევანი და ავთანდილი; „სულკალმახის ნადირობის შემდეგ მითში ვხვდებით კლდეს“, „ვეფხისტყაოსანში“ „მეფისა და სპასპეტის ნადირობის შემდგომ აღწერილ

პეიზაჟში გამოჩნდება კლდე“; სულკალმახი ნადირობის შემდეგ „გაიგონებს ხმას, რომელიც უცხოა მისთვის“, რუსთველის პოემის გმირები ხვდებიან „უცხო მოყმეს“; „ორივეგან ცდილობენ მასთან მიახლოებას“... პარალელები სხვა შემთხვევებშიც იძებნება; – ფირცხალავა 1998: 6-8).

დ. ბედიანიძის აზრით:

> ამირანის მითის ბევრ ვარიანტში მოცემული გვაქვს გმირის თავგადასავლის ბედნიერი დასასრული, რითაც იგი ენათესავება ზღაპრებს და რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეპოლუციის რაღაც ეტაპზე მითისათვის უცნობი იყო უფალთან გმირის დაპირისპირება“ (ბედიანიძე 1998: 6).

დაკვირვება, რომ „ამირანიანს“ ოდესღაც ბედნიერი დასასრული ჰქონდა, აძლიერებს ჩვენს ვარაუდს, რომლის თანახმად, ამირანის მითზე მოგვიანებით, *უკვე ახალი ტაძრის წიაღში*, არის დამატებული ამბები გმირის მიჯაჭვის შესახებ; ცხადია, საინტერესოა აზრი, რომ „მატრიარქატის პატრიარქატით შეცვლის საფეხურზე უნდა იყოს შექმნილი მითის ის პლასტი, რომელშიც ამირანი ებრძვის ქალებს“ (ბედიანიძე 1998: 5).

ჩვენს ზემოხსენებულ ნაშრომში ძირითადად სახელ ამირანის გენეზისის საკითხებში გარკვევას ვისახავდით მიზნად; ჩვენი მხედველობის არეალში მოექცა ფალაური სიტყვები: mihr ī mihrān („მზე მზეებისა“), დაგვებადა აზრი, რომ ამირანის ძველი სახელი გავრცელებული იყო შემოკლებული ფორმით *იმიჰრან*, რომ *იმიჰრანად* იხსენიებდნენ ამ გმირს და შემდეგ მისი სახელი ტრანსფორმირდა როგორც *ამიჰრან* (*ამირან*), ვწერდით იმასაც, რომ ფალაური წარმოშობის სახელი არ მეტყველებს იმაზე, თითქოს თავად პერსონაჟიც ირანული წარმოშობისაა, აღვნიშნავდით, რომ თავდაპირველად, შესაძლოა, სხვა სახელით იხსენიებდნენ ამ გმირს და ფალაური სახელი კი ირანული ექსპანსიის დროს ირანული კულტურის გავლენით გაჩნდა; ამირანს, შესაძლოა, ჰქონდა ქართული, ან ქართველური, სახელი, რომელიც, იქნებ, დაახლოებით ასე ჟღერდა: მზეთა მზე... რომ ირანული წარმოშობის მქონეთაგან, ამ მხრივ. საინტერესოა სახელები: ხვარამზე (ხვარამძე), ხვიარა... (კუჭუხიძე 2020: 149-150).

თუ დავუშვებთ, რომ ამირანზე თქმულებებსა და პრომეთეს მითში ტაძართა შორის მსოფლმხედველობრივი დაპირისპირების კვალია შემორჩენილი და რომ „ამირანიანის“ გავლენა „ვეფხისტყაოსანშიც“ აისახა, მაშინ ჩვენ წინაშე ძალიან საინტერესო სურათი წარმოჩინდება, კერძოდ, საფიქრებელი ხდება, რომ რუსთველისდროინდელ საქართველოში არსებობდა წარმართობის დროიდან დასაბამდადებული თქმულებები ჭაბუკზე, რომელიც მგზნებარე სიყვარულით იყო სატრფოს მიმართ სავსე, დაეძებდა მას და, მიუხედავად იმისა, რომ იპოვა, ბედნიერებას ვერ ეღირსა, რადგან ამპარტავნებამ აიტანა, რის გამოც ღვთისგან დაისაჯა; ზოგ თქმულებაში მის ფალავნურ ძალაზე, ზოგში კი ამპარტავნებაზე იქნებოდა ყურადღება გამახვილებული. მაგალითად, ადიღეურ ეპოსში ნასირენი ამის გამო ძალიან უარყოფით კონტექსტშია მოხსენიებული: „მუხანათურია შენი ქცევანი, ღვთის სიტყვას და საქმეს შენ პატივს არ სცემ. ო, ღვთისგან შეჩვენებულო, [...] ვიდრე ჩვენ არ აგხსნით, ღმერთი გაკავებდეს მანდ“ (კიკნაძე 200: 273-274) . ჩანს, ხალხში დიდი ხნის განმავლობაში ყვებოდნენ ამბებს მზისდარ ჭაბუკზე, რომელიც ვერ ეღირსა თავის ულამაზეს სატრფოსთან ერთად ბედნიერებას; განსხვავებული სახისა იქნებოდა ეს თქმულებები, სხვადასხვა ეპოქა განსხვავებულ ესთეტიკას შემატებდა მათ, ზოგჯერ თუ მზეჭაბუკი იქნებოდა, ზოგჯერ სპარსული, ფალავნურ, დევ-გმირულ ესთეტიკასთან დაკავშირებული, ელემენტები შეიჭრებოდა თხრობაში, ერთ შემთხვევაში თუ არაბული წარმოშობის სახელი ყამარი ერქმეოდა ქალს, უფრო ადრე, იქნებ, მთვარის ასულად, ან ზეციურ კოშკში გამომწყვდეულ და თავისი მზეჭაბუკის მომლოდინე იმ ქალწულად იყო წარმოდგენილი, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქიდან რომ ელოდა მეტრფეს, მზისა და მთვარის შეყრის შესახებ ულამაზესი ხატება იქნებოდა ამ თქმულებებში წარმოჩენილი; დროთა განმავლობაში სახელებიც შეეცვლებოდათ გმირებს, ეროვნული ელფერიც, მაგრამ, ჩანს, თქმულებათა უმეტესობაში, როგორც ითქვა, ვერ ეღირსნენ სატრფოები ბედნიერებას, საბოლოო ბედნიერებას ვერ მიაღწიეს, რადგან ჭაბუკს ის ცეცხლოვანი „უგონო გზნება და ცეცხლი“, ის „ვეფხისტყაოსნისეული“ „სიშმაგე“ შეუშლიდა ხელს, რომელსაც გონიერება და სიმშვიდე არ აწონასწორებს და რომელიც არა მხოლოდ ჭაბუკში, არამედ ასულშიც ძალუმად იჩენს ხოლმე თავს.ადრეულ ეპოქაში, სანამ ორაკულური ტაძრის მსოფლმხედველობით საზრდოობდა და ის მეორე ნაწილი დაემატებოდა ალბათ, რომელშიც ჭაბუკის შებორკვაზეა მოთხრობილი, როგორც ზემოთაც გამოჩნდა, იქნებ, ჰქონდა ბედნიერი დაბოლოება, მაგრამ *თქმულებებში ადრეულ გაქრებოდა ასეთი დასასრული, რადგან გაიაზრებდა ხალხი, რომ ამპარტავნება ბედნიერებისაგან აცილებს ადამიანს*), თუ „ვეფხისტყაოსნისეული“ ტარიელის წინასახე ამირანი იყო, მაშინ საფიქრებელი ხდება, რომ ხალხში რუსთველის დროსაც ყვებოდნენ მიჯნურის საძებნელად „ველად გაჭრილ“ ყრმაზე,

რომელსაც „შმაგი მიჯნურობა“ სტანჯავდა, სავარაუდოა, რომ ხალხში გავრცელებულ სწორედ ამგვარ ამბებს გულისხმობს რუსთველი, როცა ბრძანებს: „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი“ და იგია, ვინც კლასიკური სახე მისცა ამ ამბებს და *ერთ-ერთი* იდეა, რაც ნარმოაჩინა, ის გახლდათ, რომ დიდ სიყვარულს, „სიშმაგეს“ (ტარიელი) გონიერება (ავთანდილი) უნდა აწონასწორებდეს, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ელირსებათ მიჯნურებს ბედნიერება. მაშინ მოხდება ისე, რომ ამპარტავნებასა და ბრძოლის არასწორად წარმართულ ჟინს დაიცხრობს და აღარ ჩაიდენს ჭაბუკი იმ შეცდომას, რომლის გამოც ისჯება; გონიერება, სიმშვიდე ის თვისებებია, რომელიც უცილობელად უნდა სდევდეს უზომოდ დიდ სიყვარულს, რათა ნეტარებასა და ბედნიერებას ელირსონ ადამიანები.

რუსთველის დროსაც არაერთგვაროვანი იქნებოდა ტარიელის შესახებ მოთხრობილი ამბები: ერთ თქმულებაში თუ სიყვარულის გამო ველად გაჭრილ მოყმეზე მოყვებოდნენ, სხვაში იტყოდნენ, რომ იპოვა მან სატრფო, მაგრამ ბოლოს შეცოდების გამო დატყვევდა, ზოგჯერ, იქნებ, ისევ კლდეზე მიჯაჭვის ისტორიით, ზოგჯერ კი მღვიმეში გამოკეტვის ამბით სრულდებოდა ამბავი, ნათქვამი იყო, რომ გამოკეტილია და დღესაც ელის გმირი გათავისუფლებას; ამბები, შესაძლოა, განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მაგრამ პერსონაჟთა ძირითადი ნიშნები – მსგავსი იქნებოდა; უმთავრესი, რაც ამ პერსონაჟებს აერთიანებდა, ალბათ ის იყო, რომ ყველა შემთხვევაში ის შმაგი ხასიათი იწევდა წინ, რომელიც ზოგჯერ გონს აკარგვინებდა და იმ ამპარტავნების ცოდვაშიც აგდებდა გმირს, რაც ბედნიერების მიღწევაში ხელს უშლიდა...

ტარიელის „წინაპარზე“ საუბრისას, რადგან კლდეში გმირის გამოკეტვის ფაქტიც ვახსენეთ, გავიხსენებთ სომხური ეპოსის, „დავით სასუნცის“, პერსონაჟს – „მჰერი“, რომელზეც ზემოხსენებულ წერილშიც ვწერდით.

მჰერ უმცროსი ღმერთს სთხოვს, რომ საბრძოლველად შესაფერისი მეტოქე გამოუგზავნოს, ღმერთი უგზავნის შვიდ ანგელოზს, რომელთაც ამაოდ ებრძვის მჰერი; ამის შემდეგ ერთ კლდესთან მიდის იგი და შუბს სტყორცნის მას, კლდე შუაზე იპობა, მჰერი ცხენთან ერთად კლდეში ვარდება, კლდე ერთდება და ემწყვდევიან მასში მჰერი და ცხენი; ზოგჯერ იხსნება ხოლმე ეს კლდე და ერთხელ ერთი მწყემსი შესწრებია მის გახსნას, მჰერს მისთვის უთქვამს, რომ მაშინ გათავისუფლდება, როცა ხორბლის მარცვალი კაკლის, ქერისა კი ასკილის ნაყოფის ზომისა გახდება (სასუნცი 1939: 147-148).

პავლე ინგოროყვა ამ სიტყვებში, რომელთა თანახმად, მაშინ გათავისუფლდება მჰერი, როცა ხორბალი და ქერი გამსხვილდება, ხედავდა გაგრძელებას „ამირანიანის“ ერთი ვარიანტისა, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ ნახა ერთხელ მწყემსმა გამოქვაბულში გამოკეტილი ამირანი, როგორ გამოართვა მან მწყემსს პური, როგორ მოუჭირა ამ პურს ხელი და როგორ ნამოვიდა იქიდან სისხლი; პავლე ინგოროყვას თქმით, ამირანი, ქართული თქმულების თანახმად, „იტანჯებოდა იმის გამო, რომ პური, რომელსაც ადამიანები სჭამენ, სისხლის წვეთით არის შესვრილი“, „უნდოდა, რომ ადამიანს უსისხლო პური ჰქონოდა“ და სწორედ მისი ამ ოცნების კვალია ასახული მჰერისა და მწყემსის შეხვედრის ეპიზოდში; მკვლევრის თანახმად, მიზეზი მჰერის სიტყვების თქმისა მხოლოდ ამირანის თქმულებით იხსნება, ამ თქმულების გამოძახილია მჰერის სიტყვები და ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ „ამირანიანიდან“ იღებს სათაეს მჰერის სახე; მჰერის სახელის შესახებ მკვლევარი აღნიშნავდა, რომ, ნიკო მარის მიხედვით, „*მჰერი* არის პარალელური ფორმა სახელისა: *ამირანი*“ (სასუნცი 1939: XXVII-XXVIII); (კუჭუხიძე 2020: 151).

ამირანი და კლდეში გამომწყვდეული მჰერი, მართლაც, გვანან ერთმანეთს და, ჩვენი აზრით, არც ისაა შეუძლებელი, გამოქვაბულში მცხოვრები ტარიელიც „ენათესავებოდეს“ კლდეში ჩაკეტილ გმირს, რომ სატრფოს მოშორებული და გამოქვაბულში გამოკეტილი ამირანის სახესაც ეარსება ოდესღაც, პოპულარული ყოფილიყო ხალხში და თავისებურად ისიც ასახულიყო პოემაში.

რაც შეეხება მოსაზრებას, რომლის თანახმად, „*მჰერი* არის პარალელური ფორმა სახელისა: *ამირანი*“, ამის შესახებ დავძენთ: როგორც ვნახეთ, ჩვენი ვარაუდით, ამ გმირის სახელი, *დროის ერთ მონაკვეთში*, შესაძლოა, ყოფილიყო როგორც mihr ī mihrān („მზეთა მზე“); თუ მჰერი და ამირანი ერთი და იგივე არიან, ეს ბადებს მოსაზრებას, რომლის მიხედვით, *ორიე სახელი* mihr ī mihrān-დან *მოდის*, ვფიქრობთ, ქართულ სამყაროში გმირის სახელი დამკვიდრებულა ფორმით *იმიჰრან* (ამიჰრან, ამირან), სომხეთში კი ოდნავ განსხვავებული ფორმით გავრცელებულა მისი სახელი, საფიქრებელია, რომ იქ mihr ī mihrān-ის პირველი ნაწილის ტრანსფორმირება მოხდა და ასე ჩამოყალიბდა ფორმა *მჰერ*; ნ. მარის მოსაზრება ახლოს უნდა იყოს სიმართლესთან და, თუ შევეცდებით, დავაზუსტოთ და ისე ჩამოვაყალიბოთ ჩვენი დასკვნა, უნდა ითქვას, რომ ეს სახელები – ამირანი და მჰერი – ერთი საწყისიდან (mihr ī mihrān) ჩანს მიღებული და რომ *ქართულ სამყაროში იმიჰრანი (ამირანი), სომხეთში კი მჰერი დარქმეულა მიჰრ ი მიჰრანს*; ნ. მარის ვარაუდს, ალბათ, მეტ დამაჯერებლობას სძენს მოსაზრება, რომ

მიჰრი მიჰრანიდან მომდინარეობს ორივე სახელი; იქნებ, სომხეთში მიჰრითაც იხსენიებდნენ ხოლმე, მაგრამ დაუოკებელი ხასიათის გამო დასჯილ გმირს იქ არ დაუმკვიდრდებოდა ეს სახელი იმიტომ, რომ სომხეთში ერთ-ერთ უმთავრეს ღვთაებას ერქვა მიჰრი, – ამ ქვეყანაში არსებობდა *ცნობილი ტაძარი მიჰრისა*, რომელიც, როგორც მიაჩნიათ, იგივე მითრაა.[1]

ამირანს, რომლის სახელის გენეზისი კავკასიაში მაზდეანური ირანის ექსპანსიის დროსთან უნდა იყოს დაკავშირებული, როგორც ითქვა, სხვა სახელებიც ექნებოდა; *თუკი „ვეფხისტყაოსნის" მთავარ პერსონაჟთან დავაკავშირებთ „ამირანიანის" გმირს*, მაშინ ასეთი კითხვაც დაისმის ჩვენ წინაშე: *შეიძლება, თუ არა, ვივარაუდოთ, რომ რუსთველის დროს ხალხურ ამირანს ტარიელიც (ან ამის მსგავსი სახელი) ერქვა*, რომ იმ ტარიელს, რომლის გამოც, ოდესღაც, ჩანს, „შეუშრობილი ცრემლით" ყვებოდნენ ამბებს, სახელიც აკავშირებდა ხალხურ გმირთან. ამ საკითხებში გასარკვევად, ცხადია, აუცილებელია, განვიხილოთ „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟთა სახელების წარმომავლობაში.

სახელ ტარიელთან დაკავშირებით უფრო გავრცელებულია იუსტინე აბულაძის შეხედულება, რომლის თანახმად, „ტარიელი" ირანული გენეზისისაა და მისი თავდაპირველი ფორმა იყო „დარიელ" (აბულაძე 1967); კორნელი კეკელიძე იზიარებს ამ აზრს, წერს, რომ ტარიელი ეს არის იგივე „წმინდა ირანული სახელი „დარიელ" (კეკელიძე 1981: 164); ზურაბ ჭუმბურიძეც აღნიშნავს, რომ ეს სახელი „მომდინარეობს ირანული დარიელ-ისაგან, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: დარ, დარა –„მეუფე", „მეფე", „მფლობელი" და *იელ* – „გმირი", „მოყმე", რომ ე. ი. *„ტარიელი ნიშნავს „მეფე გმირს"* (ჭუმბურიძე 1987: 368); არსებობს სხვა შეხედულებაც: ზვიად გამსახურდია ამ სახელში გამოყოფს ტარ ფუძეს, კლასიკურ სანსკრიტთან და ავესტას ენასთან აკაეშირებს მას და დასძენს, რომ იგი *„შინაარსობრივად დაკავშირებულია ვარსკვლავეთის უზენაეს სფეროსთან"*. მკვლევარი ყურადღებას იმ ფაქტებზე ამახვილებს, რომ *„Tara-ni სანსკრიტულად მაცხოვარია"*, რომ „ჰინდურ ენაზე იგივე ნიშნავს მზეს" და რომ „ბუდიზმში იგივე „ტარ" მხსნელი არსებაა, ზეგრძნობადი და მრავალთვალა, ე. ი. ვარსკვლავეთთან დაკავშირებული", რომ „ტარა ბაი ინდური ვარსკვლავეთის ქალწულია, რომელიც არასოდეს არ ბერდება" და „Tar აგრეთვე ქალდეური ძირია, რაც ნიშნავს ძეს და ცხოვრების ხეს"; შემდეგ დასძენს, რომ El ფუძე, „როგორც ცნობილია, ძველ ენებში, ღვთიურობის აღმნიშვნელია", მოჰყავს მაგალითები „ელ-ელიონ, ელიომ, ელი" და ასკვნის, რომ „შინაარსობრივად ტარი-ელ ნიშნავს ვარსკვლავეთის უფალს, სამყაროს მეფეს, პანტოკრატორს, ვარსკვლავისმიერ მაცხოვარს" (გამსახურდია 1991ბ: 199-200).

როგორც ზვიად გამსახურდია აღნიშნავს, „ტარ ღვთაების აღმნიშვნელია და მისგან არის ნაწარმოები უძველესი მცირეაზიური ამინდისა და ჭექა-ქუხილის ღვთაებების სახელები" (გამსახურდია 1991ა: 242-243); მკვლევრის თანახმად, *„აქადურ ენაშიც ფუძე Tar ღვთაებრიობის აღმნიშვნელია"* და *„სპარსულში Tar ფუძე ღვთაებრივის და ხშირად ქრისტიანულის"* მნიშვნელობის მქონეა; ზ. გამსახურდია წერს: „ვნახოთ როგორ იხმარება ტარ-ფუძიანი სახელები არაბულ ენაში და კერძოდ, სუფიზმში. ტარ-იქ, ტარ-იქა, ნიშნავს სუფიზმის სულიერ გზას, ღვთის გზას, რომელსაც მიჰყვება ინიციაციის მაძიებელი" (გამსახურდია 1991ბ: 244); ზ. გამსახურდიას მოჰყავს სხვა მაგალითებიც, ტოპონიმები, ღვთაებათა სახელები, სუფისტური ტერმინები (გამსახურდია 1991ბ: 242-246) და იქვე შენიშნავს: „ჩვენი დასკვნით, ფუძე Tar პალეომედიტერანული, პალეოკავკასიური და მცირეაზიური ენობრივი სამყაროდან მოდის და წარმოადგენს მისტერიათა საკრალურ სიტყვას, თეონიმს, ღვთაების სახელს, კერძოდ, მცირეაზიულ ტარუს, ჭექა-ქუხილისა და ამინდის სახელწოდებას [...]. ეს ფუძე პრე-სემიტურ, პრე-ინდოევროპულ და პრე-ქამიტურ ენებსა და ცივილიზაციებს უკავშირდება, *ხოლო ხეთურში, სანსკრიტში, აქადურში და სხვა სემიტურ ქვეყნებში, ასევე სხვა აღმოსავლურ ქვეყნებში აქედან უნდა იყოს გადმოსული"* (გამსახურდია 1991ბ: 245).

სახელ „დარიელთან" დაკავშირებით ზვიად გამსახურდია წერს:

> ეს სახელი პროფ. იუსტინე აბულაძემ დაუკავშირა მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრების" ნუსხაში (180, 14) მოხსენიებულ სახელს ირანელი ერისთავის დარიელისას, რომელიც სპარსთა მეფემ გამოგზავნა საქართველოში. „ქართლის ცხოვრებაში" ეს სახელი გვხვდება როგორც „და:რელ", რაც აშკარა წარყენააო, გვარწმუნებს ი. აბულაძე, თუმც, ეს ფორმა კიდევაც რომ წარმოადგენდეს წარყენას, მაინც ძნელია დაეეთანხმოთ მკვლევარს დარიელისა და ტარიელის იდენტიფიკაციაში, ვინაიდან იგი არ განმარტავს, თუ რამ გამოიწვია დ-ს ტ-დ გარდაქმნა (ამგვარ შინაარსობრივ სახელებში კი გადამწყვეტია თითო ფონემაც კი). ან რად გადრაჭქმნა ვეფხისტყაოსნის აეტორმა ფორმა „დარიელი" „ტარიელად" (გამსახურდია 1991ბ: 242).

თუმც, ქვემოთ ვხედავთ, რომ ირანულ ენობრივ სამყაროსთან ამ სახელის კავშირს მაინც არ გამორიცხავს ზვიად გამსახურდია:

> ამრიგად, Tar-ისა და El-ის კომბინაცია გვაძლევს ტარიელს, საღვთო გზას, ღვთაებრივ, ზეციურ საწყისს, ვარსკვლავეთის ღმერთს, პანტოკრატორს, ლოგოსს, ღმერთმამაკაცს, ეს სახელი არის აგრეთვე სინონიმი მიქაელისა („ძალი ღმრთისა"), რაც შეეხება ი. აბულაძისეულ გასნორებას „დარ-ელს", შესაძლოა ეს სახელიც ენათესაებოდეს ხსენებულ ფუძეს Dar-Tar, ვინაიდან Dar მეფობაა, Tar – ღვთაებრიობა, რაც ურთიერთდაკავშირებულია (გამსახურდია 1991ბ: 244-245).

არაბულ ლექსემაში tarik („გზა") *t-r-k* ძირი გამოიყოფა და რამდენად არის შესაძლებელი, ხსენებულ სიტყვაში პროტო-არაბული ან პროტო-სემიტური *tar* ფუძე გამოიყოს, ან რამდენადაა სავარაუდო, სხვა ენიდან იყოს tar ფუძე მასში შესული, ამ საკითხებზე ამჯერად არ შევუდგებით სპეციალური ლიტერატურის ძიებას. ყურადღებას მხოლოდ იმ ფაქტზე გავამახვილებთ, რომ, როგორც ითქვა, *დარიელთან ტარიელის* კავშირს მთლიანად მაინც არ გამორიცხავს ზვიად გამსახურდია; მკვლევრის მიერ ხსენებულ ენათა შორის ინდო-ევროპული ოჯახის ენებიც გვხვდება და სემიტურიც. ვხედავთ, რომ ღვთაებრივ საწყისებთანაა დაკავშირებული ტარ და ელ ფუძეები, მაგრამ ჩვენთვის ამჯერად ის კი არაა უმთავრესი, თუ რა ურთიერთმიმართებაა ამ ძირებს შორის, რომელ ენაში რომლიდან არის ესა თუ ის ძირი გადასული, არამედ, უპირველესად ისაა გასარკვევი, თუ შემოსულია, უშუალოდ რომელი ენიდან უნდა შემოსულიყო ქართულ სამყაროში ესა თუ ის სახელი. ცხადია, საინტერესოა, რას ნიშნავს სანსკრიტსა თუ აქადურში ტარ, მაგრამ ამ შემთხვევაში იმის გარკვევაა საჭირო, უშუალოდ რომელი ენიდან არის ალმოცენებული, საერთოდ, რუსთველმა შექმნა ესა თუ ის სახელი რომელიმე ძველი ან თანამედროვე ენის მიხედვით თუ მანამდეც გამოიყენებოდა ისინი რეალურ ცხოვრებასა თუ თქმულებებში.

პოემის პერსონაჟთა სახელების გენეზისზე ბევრია დაწერილი, გაკეთებულია სავარაუდო ეტიმოლოგიები, ზოგიერთ მათგანზე ქვემოთ ვისაუბრებთ, ამჯერად კი ერთ გარემოებაზე გადავიტანთ მკითხველის ყურადღებას: კვლევები იმაზე მიგვანიშნებს, რომ პოემის ზოგი პერსონაჟის სახელი პოეტის მიერაა გამოგონილი, ზოგი ერქვათ იმ დროს, ზოგიც, შესაძლოა, რომელიმე ფილოსოფიური სისტემიდან იყოს აღებული (ზვიად გამსახურდია, მაგალითად, ნესტან დარეჯანის სავარაუდო პირველად სახელში – „ნესტ ანდარე ჯეჰან" /„არ არის ქვეყნად"/ სპარსულ სუფიურ ტერმინს ხედავდა (გამსახურდია 1991ბ: 117, 130-131, 140); რეალობიდანაც არაერთი სახელი ჩანს შესული პოემაში.

სახელთა „შენილბვისას", ჩვენი აზრით, ისეთ ფორმას გამოიყენებდა პოეტი, რომ მათი გაგება ძალიან არ გაძნელებოდა მკითხველს, მაგ., სახელში „ნურადინ" თითქმის პირდაპირ იკითხება არაბული სიტყვები (nūr ad-dīin /„ნათელი სარწმუნოებისა") და მისი გაგება გაუადვილდებოდათ იმ დროს, როცა არაბული, ფაქტობრივად, ერთ-ერთი საერთაშორისო ენა იყო; სხვა შემთხვევაში უფრო რთული იქნებოდა „შენილბულის" ამოცნობა, მაგრამ დაკვირვებული მკითხველი მაინც შენიშნავდა მას. მაგალითად, *თინათინის* შესახებ ნომადი ბართაიამ გამოთქვა აზრი, რომ არაბული სიტყვებიდან (dīn ad-dīn /„სარწმუნოება სარწმუნოებისა") მოდის იგი, ჩვენ სახელის მეორე ნაწილის შესახებ მეტი ალბათობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართლაც dīn-იდან უნდა იყოს იგი მიღებული... აქ ცოტა ძნელია „დაშიფრული" მნიშვნელობის ამოცნობა, მაგრამ, იმდროინდელი, ტერმინებში უფრო გარკვეული, მკითხველისათვის გაცილებით ადვილი იქნებოდა ეს;[2] სახელი *ტარიელი*, მიუხედავად იმისა, საიდანმე არის აღებული, პოეტის გამოგონილია, თუ ერქვა მაშინ ვინმეს, იმ ენასთან იქნება დაკავშირებული, რომელიც მეტ-ნაკლებად, ალბათ, ცნობილი იყო მკითხველისთვის, ეს ისეთი სახელი იქნებოდა, რომელიც, მომდევნო საუკუნეებისგან განსხვავებით, ხშირად ჟღერდა და ბევრმა იცოდა მისი, ან მსგავსი სიტყვის, მნიშვნელობა და არ გაუჭირდებოდა გაგება. თუ მივიჩნევთ, რომ საგანგებოდ არ აბუნდოვანებდა რუსთველი სახელებს, თუ სურდა, შედარებით ადვილად ამოცნობილიყო „შეფარვით" თქმული, მაშინ საფიქრებელი ხდება, რომ, როცა სხვა ენაზე ნიღბავდა, ძველ ენებს არ მიმართავდა და იმ ენებზე შეფარავდა სახელებს, რომელთა ამოხსნასაც შეძლებდა მკითხველი.

ი. აბულაძე, როგორც ითქვა, *დარიელის* სახეშეცვლილ ფორმად მიიჩნევდა *ტარიელს*; ირანულ სამყაროსთან ამ სახელის კავშირს არც ჩვენ გამოვრიცხავთ და ვევარაუდობთ, რომ სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს ი.. აბულაძე. სიმართლესთან სიახლოვეზე იმიტომ ვნერთ, რომ ხსენებული სახელის სავარაუდო სემანტიკა, ვფიქრობთ, შესაძლოა, ოდნავ განსხვავებული იყოს.

„ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟთა სახელები, როგორც ხშირ შემთხვევაში არის მიჩნეული, მათი პიროვნულობის გამომხატველია, ცხადია, ასეა მითებშიც, ხშირად ასეა ხალხურ თქმულებებში და,

ვფიქრობთ, გასაზიარებელია შეხედულებები, რომ უმეტესწილად ასეა ამ პოემაშიც.

ტარიელი ამირბარია და არა მეფე და, თუ ამ პერსონაჟის სახელი მისი პიროვნების დახასიათებასაც ემსახურება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სახელში იქნება ისეთი სიტყვა, რომელიც, შესაძლოა, მეფესაც ნიშნავდეს (ჰიპერბოლიზებულად, სიმბოლურად), მაგრამ ძირითადი მნიშვნელობა სხვა სემანტიკისა ჰქონდეს; როგორც ვნახეთ, „ვეფხისტყაოსანსა" და „ამირანიანს" შორის მსგავსი შტრიხები შეიმჩნევა, თუ ამ ასპექტიდან ამირანის სახეც დაგვაინტერესებს, ცხადია, ისიც მიიქცევს ყურადღებას, რომ არც ხალხური ამირანია მეფე და არც ლიტერატურული ამირან დარეჯანის ძე.

თუ პოემისა და თქმულებათა, პროზაული ნაწარმოების შინაარსს, გმირთა შინასახეს გავითვალისწინებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ *ტარიელის* მნიშვნელობის ახსნის მცდელობისას გასათვალისწინებელია სპარსული dārā („მტკიცედ მპყრობელი", „მფლობელი", „ღმერთი"; ეს ლექსემა ფიგურირებს სახელში დარიუს (ჯონსონი 1852: 551); აღვნიშნავთ იმასაც, რომ სიტყვის პროტო-ინდო-ევროპულ ძირად მიჩნეულია *dher- და მის მნიშვნელობადაც „მტკიცედ პყრობა", „თანადგომა" არის წარმოდგენილი (ეტიმოლოგიური ლექსიკონი) და რომ მხედველობაში მისაღებია, ასევე, სპარსული ლექსემა āl („შთამომავლობა", „ოჯახი", „სახლი", „რასა"(ჯონსონი 1852: 145); იგივე სიტყვა (სხვა გახმოვანებით) īl გვაქვს არაბულ ენაშიც; ჩვენ არ დაგვიწყია ძიება ლიტერატურისა, რომელშიც გარკვეული იქნება, რომელი ენიდანაა ეს სიტყვა მეორეში შესული, ამჯერად მთავარი ის გახლავთ, რომ არაბული ლექსემის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის „ნათესაობა", „ოჯახი" (ბარანოვი 1977: 39), ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, შეგვიძლია დავუშვათ, რომ *ტარიელის* საწყისი ფორმა არის სპარსული dār e āl და მნიშვნელობა კი, არა „მეფე გმირი", არამედ „ოჯახის" („სახლის", „შთამომავლობის") „უფროსი" („პატრონი", „ფუძემდებელი"...); თუ მივიჩნევთ, რომ სახელ ამირანის გენეზისი მართლაც ძველ ირანს, ფალაურ ენობრივ სამყაროს, უკავშირდება (იმიჰრან), არც იმ ვარაუდის გამორიცხვა იქნება გამართლებული, *რომ სხვა სახელიც ჰქონდა ამ გმირს,* ამირანს (ან *ზედწოდება,* რომელიც შემდეგ საკუთარ სახელად იქცა) და იგი *გამოითქმოდა როგორც dār ī āl,* რასაც ქართულში სხვადასხვა დროს დაახლოებით ასეთი ფორმების მიღება შეეძლო: დარაილ, დარიალ, დარიელ; არაა გამორიცხული, „ამირანიანისა" და „ვეფხისტყაოსნის" მთავარ გმირებს ოდესღაც ერთი სახელიც ჰქონოდათ.

„ამირანდარეჯანიანის" პერსონაჟს ამირან დარეჯანის ძე ჰქვია. ნ. მარი მიიჩნევდა, რომ ეს სახელი მომდინარეობს ფორმიდან „ამირანდარეჯან" და მისი მნიშვნელობა არის „მბრძანებელი ქვეყნისა ან ქვეყანაზე" /ამირ ანდარე ჯან (ჯაჰან) (მარი 1895: 352-365); (კეკელიძე 1981: 72); კ. კეკელიძე ამ ეტიმოლოგიას არც უარყოფდა, არც ღებულობდა, თუმც, „ამირანდარეჯანიანს" ქართულ ნაწარმოებად მიიჩნევდა და ეკამათებოდა ნ. მარს, რომელიც სპარსულიდან გადმოღებულად აცხადებდა მას (კეკელიძე 1981: 74-77).

ზემოთ ითქვა, რომ კ. კეკელიძე „ამირანდარეჯანიანის" ერთ-ერთ წყაროდ მზეჭაბუკის შესახებ არსებულ ზღაპრებს მიუთითებდა. მისი აზრით, ეს რომ ქართული ზღაპრებია, „ამას ამჟღავნებს მისი წმინდა ქართული სახელი – მზეჭაბუკი" (კეკელიძე 1981: 75); აქ დავამატებთ, რომ, შესაძლოა, „ამირანიანისა" და „ამირანდარეჯანიანის" საერთო ძირზე ის ფაქტიც მეტყველებდეს, ამირანის მამას დარჯელანი რომ ჰქვია, ანუ, ხალხური ამირანიც „დარეჯანის (დარჯელანის) ძე" რომ არის და ყურადღების სახელ დარეჯანზე (დარჯელანზე) გადატანისას არ გამოვრიცხავთ შესაძლოობას, რომ „დარეჯანი", ასევე, ლექსემა dārā-სთან იყოს დაკავშირებული; ამ სახელის ბოლო ნაწილი თუ მართლაც jahān (jihān, – „ქვეყნიერება", „მსოფლიო" (ჯონსონი 1852: 445); ფორმიდან გამოდგა მიღებული, მაშინ საფიქრებელი გახდება, რომ „დარეჯან"-ის *მნიშვნელობა „ქვეყნიერების მპყრობელი" (ან, იქნებ, – „ღმერთი") იყო* და ლიტერატურული ამირან დარეჯანის ძე მეფედ არა, მაგრამ *ქვეყნიერების მპყრობელის,* ან თავად *ღვთაების ძედ ყოფილა ცნობილი;* დარეჯანის ძე, შესაძლოა, „ქვეყნიერების მპყრობელის", ან „ქვეყნიერების ღმერთის შვილსაც" ნიშნავდეს, იქნებ რომელსამე თქმულებაში მის შვილად იცნობდნენ ამირანს, ვისაც შეებრძოლა შემდეგ.

ვიდრე ჩვენი ძიების დასკვნით ნაწილზე გადავიდოდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე ცალკე ნაშრომის დაწერა მიგვაჩნია საჭიროდ, აღვნიშნავთ: ჩვენ „ვეფხისტყაოსნისეული" ნესტან დარეჯანის სახელის მეორე ნაწილის მნიშვნელობადაც „ქვეყნიერების მპყრობელი" გვესახებაა; რაც შეეხება სახელს *ნესტან,* არაა შეუძლებელი, აღმოჩნდეს, რომ მასშიც სპარსული (იქნებ, არაბ*ი*ზებული) სიტყვაა „შენილბული", რომ აქ გვაქვს, ასევე, *ხელოვნურად შექმნილი* სახელი, რომლის დასაწყისში უარყოფის გამომხატველ სპარსული ნაწილაკი na ფიგურირებს და რომელშიც ქვეყნის სახელწოდების მაწარმოებელი სპარსული -stān სუფიქსის და, აგრეთვე, წარმომავლობის მანარმოებელი სპარსული, ან არაბული, სუფიქსის კეალიც იძებნება და სიტყვის მნიშვნელობა კი არის „არამი-

ნიერი", „ქვეყნად არმყოფი"; იქნებ, გაირკვეს, რომ *ნესტან დარეჯანი* დაახლოებით ნიშნავს „არამიწიერ მპყრობელს ქვეყნიერებისა", რომ სახელი მიანიშნებს ქალზე, რომელიც არ არის ამქვეყნად, მოსაძებნი და გასათავისუფლებელია, მაგრამ, არყოფნის მიუხედავად, ის არის ქვეყნიური ცხოვრების წარმმართველი. არ ჩანს ნესტანი, მაგრამ მისი გულისთვის მოქმედებენ, იგია, ვისთვისაც იბრძვიან, იღვწიან, მის გამო ებრძვის ერთმანეთს სიკეთე და ბოროტება.[3]

სახელ დარეჯანთან დაკავშირებული ჩვენი მოსაზრება არ ნიშნავს იმას, თითქოს მნიშვნელოვნად არ მიგვაჩნდეს დაკვირვებები, რომლებსაც ზემოთ შევეხეთ და რომელთაგან ერთი ასეა ჩამოყალიბებული: „ნესტან-დარეჯან მომდინარეობს სპარსული გამოთქმიდან: ნესთ ანდარე ჯაჰან – 'სწორუპოვარი' უფრო ზუსტად: 'არ არის ქვეყნად (მისი ტოლი)'" (ჭუმბურიძე 1987: 398) და, მეორის მიხედვით კი, სახელების დაბოლოება *ელ* ღმერთზე უნდა მიანიშნებდეს (გამსახურდია 1991ბ); ვფიქრობთ, პოემის პერსონაჟებისათვის სახელთა შერჩევის დროს უთუოდ გათვალისწინებული იქნება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არაერთგვაროვანი მნიშვნელობა ეძლევა ამა თუ იმ სახელს; ზემოთ, მეორე შენიშვნაში, უკვე გამოჩნდა, რომ სახელი *თინათინი* მხოლოდ ერთი მნიშვნელობით არ აღიქმება, აქ კი დავძენთ, რომ, ჩვენი აზრით, პოემის სხვა არაერთი პერსონაჟის სახელზეც ითქმის იგივე და რომ სრულიად დასაშვებია ვარაუდი, რომლის თანახმად, სახელთა დაბოლოება *ელ*, შესაძლოა, მართლაც მიანიშნებდეს ღმერთზე, პოეტს უთუოდ ეცოდინებოდა, რომ *ელ* განათლებულ მკითხველში სიტყვა ღმერთის ასოციაციას გამოიწვევდა, რომ ბევრს გაახსენდებოდა, ღმერთს რომ ნიშნავს ბოლო ასო-ბგერები ისეთ სახელებში, როგორებიცაა: *გაბრიელ, მიქაელ, რაფაელ...* ავტორი ალბათ გაითვალისწინებდა, რომ არაერთი მკითხველი სიტყვა „ღმერთს" დაინახავდა სახელ *ტარიელის* ბოლოს, არც ისაა შეუძლებელი, სუფიზმში ცნობილი ფრაზა „ნესტ ანდარე ჯეჰან"-იც ახსოვდა რუსთველს, როცა სახელს არქმევდა პერსონაჟს, დასაშვებია მოსაზრება, რომ სუფიურ სწავლებასთან კავშირზე, მართლაც, მიგვანიშნებდეს სახელი *ნესტან დარეჯანი* და, გამომდინარე ყოველივე ზემოთქმულიდან, დაკვირვებები, რომლებიც გვიჩვენებს, თუ რომელ სიტყვასთან და ძირთან, ან წინადადებასთან ასოცირდება ესა თუ ის სახელი, ცხადია, მნიშვნელოვანია და ამ მიმართებით მუშაობა, აუცილებელია, მაგრამ, ვფიქრობთ, საჭიროა, ერთმანეთისაგან მკვეთრად გავმიჯნოთ მკითხველის ასოციაციაზე გათვლილი სიტყვათქმნადობა და ფორმები, რომლებიც უშუალოდ ამა თუ იმ ენის მიხედვით იქმნება; სახელები *ნესტან დარეჯანი* თუ *ტარიელი, თინათინი, ავთანდილი* ასოციაციურად და შორეული ენობრივი კავშირით არაერთი ფილოსოფიური და ენობრივი სამყაროსაკენ გვახედებს. მაგრამ ისინი უმთავრესად უშუალოდ სპარსული და არაბული ენებიდან ჰგავს ალმოცენებულს და ეტიმოლოგიური ძიებისას, ვფიქრობთ, უწინარესად სწორედ ამ ენებს უნდა მივმართოთ.

სახელ *დარიელთან* (დარაილ, დარიალ) დაკავშირებით დამატებით დავძენთ: ეს სახელი, რომელიც, იქნებ, ძველი დროიდან მომდინარეობს და სახესაც იცვლის და პოემაში საბოლოოდ *ტარიელ* ფორმას ღებულობს, შესაძლოა, მართლაც, ცნობილი იყო რუსთველისთვის, როგორც ამას იუსტინე აბულაძე მიიჩნევდა, არც ისაა შეუძლებელი, ფორმა *ტარიელიც* ყოფილიყო გავრცელებული, რომ, ე. ი., დ-ს ტ-დ გარდაქმნა ხალხის მეტყველებაში მომხდარიყო, უბრალო ადამიანებს რომ ვერ გაეთვალისწინებინათ მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა და მათ მეტყველებაში შეცვლილიყო ფორმა, ეს სავსებით ბუნებრივი მოვლენაა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ხალხის მეტყველებამ გარდაქმნა *დარიელი ტარიელად*, თუმც, ისიც სავსებით დასაშვებია, სემანტიკის ოდნავ უფრო მეტი შენიღბვისათვის თავად რუსთველს გარდაექმნა დ ასო-ბგერა ტ-დ.[4]

ამრიგად, არ უნდა უარვყოთ შეხედულება, რომლის თანახმად, ამირანის ისტორია პრომეთეს მითშია ტრანსფორმირებულად ასახული, *ამირანისეულ ცეცხლოვან, უგონო გზნებას*, რომელსაც ნელ-ნელა უგონობისა და ამპარტავნებისაკენ მიჰყავს ადამიანი და ბოლოს ღვთის საწინააღმდეგო საქმეს აკეთებინებს და სასჯელში აგდებს მას, ჩვენი აზრით, ბერძნულ მითებში *სიმბოლურად ის ცეცხლი შეესაბამება, რომელთან მიახლებისა და ხალხთან მისი მიტანის გამო ისჯება პრომეთე*. ვფიქრობთ, იმგვარი ცეცხლია პრომეთეს მითში ასახული, რომელთან მიახლებაც *ყველასათვის საშიშია*, ეს არის „ცეცხლი", რომელიც *ლოგიკის ნაკლულევანებას განასახიერებს* და ბედნიერება ვერ მოაქვს ადამიანებისთვის; პრომეთეს მითს, ცხადია, *სხვა მრავალგვარი ღრმა სიმბოლური დატვირთვაც აქვს*, ჩვენ ამჯერად *მხოლოდ იმ ასპექტიდან* ვამახვილებთ მასზე ყურადღებას, რომლიდანაც, როგორც მიგვაჩნია, შესაძლოა, *კავკასიაში მომხდარი ერთ-ერთი უძველესი ისტორიული მოვლენის ამოკითხვა იყოს შესაძლებელი*.[5]

კავკასიაში მომხდარი მოვლენების კვალი, როგორც ჩანს, ერთი მხრივ, *პრომეთეს მითში*, მეორე მხრივ კი, „ვეფხისტყაოსანში" (და, ცხადია, „ამირანდარეჯანიანში") იკითხება.

ამირანს, როგორც ეს უკვე ითქვა, სხვადასხვა კულტურული სამყაროსა და ეპოქის გავლენით არაერთი ცვლილება უნდა ჰქონდეს განცდილი, ითქვა ისიც, რომ ქართულ ხალხურ ესთეტიკაში, ამ სულიერ სამყაროში, იძებნება სახეები მზისდარი ყრმის, მზეჭაბუკისა, რომელიც მთავარესავით ნაზს, ულამაზეს ასულს დაეძებს, მას, ვინც ზღვათა გადალმა, ზეციურ კოშკში ცხოვრობს, ცხადია, რომ სწორედ ამ *ქართულ სამყაროშია საძებნელი შორეულ წარსულში ჩაკარგული ის პირველსახეები პერსონაჟებისა, რომელნიც ხალხურმა თქმულებებმა,* „ამირანდარეჯანიანმა" და „ვეფხისტყაოსანმა" *შემოგვინახა.*

შენიშვნები

1 ზემოხსენებულ წერილში დავუშვით სხვა ვარაუდიც, რომლის თანახმად, სახელ ამირანის წინარე ფორმა, შესაძლოა, *āhur ī mihrān* („მზეთა სული") იყო (კუჭუხიძე 2020: 149). მაგრამ ძირითადი დასკვნა ასეთ შემთხვევაშიც არ იცვლება, „ამირანიანის" მთავარი გმირის სახელი მაინც *ī mihrān*-დან მომდინარე გამოდის და გენეზისის საკითხების კვლევას მაინც ფალაურ ენასთან მივყავართ; თუ მპერისა და ამირანის სახელები ერთი ძირიდან მოდის, უფრო საფიქრებელი ხდება, რომ *mihr ī mihrān* ყოფილა ეს ძირი, ამირანის *ერთ-ერთი* ადრეული სახელი.

2 თუ სახელი თინათინი მართლაც არაბული სიტყვებიდან მომდინარეობს, გამოდის, რომ მას *ბინარული მნიშვნელობა მისცემია,* რუსთველი ბრძანებს: „თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრა მზე თინათინებდა", რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართულ სიტყვებთანაც („ათინათი", „ციმციმი") კავშირდება ეს სახელი, რომ მისი სხვა მნიშვნელობა არის „მზის სხივის ანარეკლი" (ჭუმბურიძე 1987: 389).

3 სახელთა ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით მკითხველს ვთავაზობთ კიდევ ერთ მოსაზრებას: „ამირანიანიდან" ვიცნობთ ადამიანს, რომელსაც *სულკალმახი* ჰქვია; საეჭვოა, აქ სიტყვა „კალმახი" (თევზის სახეობა) ფიგურირებდეს; ამირანის სატრფოს არაბული სახელი ჰქვია, – ყამარი („ამირანდარეჯანიანშიც" გვხვდება სახელები, რომლებიც, ეჭვი არაა, არაბული წარმოშობისაა), გვრჩება შთაბეჭდილება, რომ სულკალმახი, ასევე, არაბული სიტყვებიდანაა მიღებული, რომ ამ სახელში ალ არტიკლის კვალია შემორჩენილი, არაბული სიტყვა *ṣulḥ* ნიშნავს „მშვიდობას", „შერიგებას" (ბარანოვი 1977: 206), იგი შეიძლება ითარგმნოს, აგრეთვე, როგორც „მორიგება", „მორგება", „შეთავსება"; *maḥyā*-ს მნიშვნელობაა „სიცოცხლე", „ცხოვრება" (ბარანოვი 1977: 206); სულკალმახი არის კაცი, ვინც ქალღმერთი დალი ამშობიარა, ამირანი მისი წყალობით მოეელინა ამ ქვეყანას, დასაღუპავად განწირული ბავშვი სულკალმახმა მოარიგა ამქვეყნიურ სიცოცხლესთან, ის მიეხმარა ამ სამყაროში გადმოსელაში; ისმის კითხვა. ხომ არ არის სულკალმახი *არაბიზებული სახელი?* შესაძლოა, მისი სახელი იყო *ṣulḥ al-maḥyā*, რაც ქართულში *სულხალმახის* ფორმით გამოითქმოდა და რამაც ბოლოს ფორმა *სულკალმახი* მიიღო; ზემოთ ითქვა, რომ ყამარს ადრეულ პერიოდში ქართული სახელი ექნებოდა, სულკალმახზეც იგივე ითქმის.

4 ჩვენ იმ ვარაუდსაც არ გამოვრიცხავთ, რომ სახელი *დარიელი* პოემის ტექსტში ტარიელის *პარალელურადაც ყოფილიყო წარმოდგენილი* (ისევე, როგორც ტარია, ან როსტანი): ხელნაწერებში რომ გვქონდეს: „მო, დ/ავსხდეთ დ/არიელისთვის ცრემლი გვდის"... ალიტერაციას დაეინახავდით ამ სიტყვებში; პარელელური ფორმის არსებობა არაა გამორიცხული, მაგრამ, ცხადია, ვერ დავუშვებთ მოსაზრებას, რომლის თანახმად, ორიგინალისეულ ხელნაწერში ყველგან *დარიელი* ეწერებოდა, ყველა ხელნაწერში არ შეიცვლებოდა მთავარი გმირის სახელი; სხვათა შორის დავძენთ, რომ, თუ აქ ჩვეულებრივი დამთხვევა არაა, „ვეფხისტყაოსნის" ის სტრიქონი, რომლიდანაც პოემაში პირველად ჩნდება მთავარი გმირი, ისეთ შთაბეჭდილებასაც ტოვებს, რომ მისი სახელის იდენტურ თანხმოვანთა ხსენება ამ სახელის ასოციაციის გამოწვევას ისახავს მიზნად („ნახეს უცხო მოყმე ეინმე, ჯდა მ/ტ/ი/რ/ა/ლი წყლისა პირსა"), არაა შეუძლებელი, ჯერ არნახსენებ სახელზე გაკეთებული *ალიტერაციული მინიშნება* გვქონდეს ამ ადგილას, შესაძლოა, ნელ-ნელა ახვედრებს პოეტი თავის მკითხველს და მსმენელს, ვინც იყო ეს მოულოდნელად ნანახი *უცხო მოყმე,* ნელ-ნელა აჩენს მას...

5 აქვე უნდა ითქვას, რომ ყამარიც ისეთი *ცეცხლოვანი ასულია, რომელიც, დიდ სიყვარულთან ერთად, გონიერებასა და სიმშვიდეს, ასევე, საჭიროებს,* რადგან ესაა, რაც უბედურებისგან იცავს ადამიანს; ყამარსაც სჭირდება შეცვლა; თქმულებებში იგი მამის მოლალატედ არის წარმოდგენილი, დასაღუპავად იმეტებს მამას, ბრძოლაში მისი დამარცხების საშუალებებს ასწავლის ამირანს; „ამირანიანსა" და „ვეფხისტყაოსანს" შორის პარალელებთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ ნესტანიც ღალატობს მამას, ისიც უგონობისა და მრისხანების ცეცხლით ივსება მაშინ, როცა სამეფოში მოწვეული სასიძოს მოკვლას გადაწყვეტს ტარიელთან ერთად; აქ ერთსაც დავძენთ: ნესტანის ცეცხლოვანება სამოთხისეულ სინმიდეში გადადის იმ დროს, როცა ტარიელს, უკვე კათარზისგამოვლილი, ინდოეთისა და თავისი მამის მიხედვისაკენ მოუნდება და სამოთხეში ზეაფრენაზე იწყებს ოცნებას; მიჯნურები მაშინ ინმიდებიან ცოდვათაგან, როცა ნესტანი ზეცასა და ინდოეთზე სწერს მიჯნურს, ტარიელი კი იმაზე იწყებს ფიქრს, რომ იმქვეყნად მაინც იპოვის ნესტანს; უკვე აღარ არიან ისეთი ადამიანები, სასიძოს მოკედინებას რომ გეგმაედნენ, სულიერად განწმენდილან ნესტანი და ტარიელი.

დამოწმებანი

აბულაძე 1967: ი. აბულაძე. *რუსთველოლოგიური ნაშრომები*, თბილისი.
ბარანოვი 1977: Х. Баранов. *Арабско-Русский Словарь*, Москва.
ბედიანიძე 1998: დ. ბედიანიძე. ამირანის მითი და ქართული ხალხური ზღაპრები, ახალგაზრდა *მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენცია, თეზისები*, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
გამსახურდია 1991ა: ზ. გამსახურდია. *წერილები. ესსეები*, თბილისი.
გამსახურდია 1991ბ: ზ. გამსახურდია. *ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება*, თბილისი.
ეტიმოლოგიური ლექსიკონი: *Online Etimology Dictionary*. https://www.etymonline.com (01.06.2021).
კეკელიძე 1981: კ. კეკელიძე. *ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია*, II, თბილისი.
კიკნაძე 2001: ზ. კიკნაძე. *ამირანიანი, ქართული ხალხური ეპოსი*, თბილისი. http://saunje.ge/index.php?id=1444 (ნანახია: 01.06.2021).
კუჭუხიძე 2020: გ. კუჭუხიძე. სახელ „ამირანის" გენეზისისათვის, *XIV საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები*, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი (ელ. გამოცემა) http://conference.litinstituti.ge/wp-content/uploads/Simpoziuri_Masalebi_14.pdf (ნანახია: 01.06.2021).
ლექსიკონი 1852: Dictionary, Persian, Arabic, English by Francis Johnson, London, 1852. https://archive.org/details/dictionarypersia00johnuoft/page/n5/mode/2up (ნანახია: 01.06.2021).
მარი 1895: Н. Марр. *Персидская национальная тенденция в груз. романе Амиран-Дареджаниани*, ЖМНП.
სასუნცი 1939: *სომხური ეპოსი დავით სასუნცი*, ტფილისი, ფედერაცია.
ფირცხალავა 1998: ლ. ფირცხალავა. „ამირანის" მითისა და „ვეფხისტყაოსნის" ურთიერთკავშირი, ახალგაზრდა *მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენცია, თეზისები*, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
ჩიქოვანი 1959: მ. ჩიქოვანი. *ქართული ეპოსი, მიჯაჭვული ამირანი*, თბილისი.
ჭუმბურიძე 1987: ზ. ჭუმბურიძე. *დედაენა ქართული*, თბილისი.

AMIRAN AND TARIEL (ON THE ISSUE OF INTERRELATIONS BETWEEN "AMIRANIANI" AND "KNIGHT IN THE PANTHER'S SKIN")

Gocha Kuchukhidze

In the article we discuss interrelations between images of the main characters of "Amiraniani" (Georgian folk epos) and Shota Rustaveli's "Knight in the Panther's Skin".

Character of *Amiraniani*, named *Amiran*, fights against the evil forces, defeats all of them, takes his sweetheart living in the heavenly castle and brings her to his home; finally, because of his power, he loses his mind and becomes arrogant. His arrogance was so great that he dares to fight with the God and for this he was punished – God chained him to Caucasus Mountains.

We regard that the myth about *Amiran* describes the fight between the Caucasian temples; in our opinion, *Amiran* was the cult of pagan temple where the main things were only love and only faith, rather than reason and logical thinking. We regard that, supposedly, in such temple the priority was given to actually blind faith to the oracles and the philosophy based on logic, close to the Hellenic one, was less appreciated. In our opinion, to this cult center, there should be opposed the temple where there was regarded that lack of logic and reason finally results in arrogance and leads individual to the way of ruin; we regard that this, second temple won the battle of the worldviews and that at one of the stages of the history, in some Caucasian region, the winner was such temple, where the basis of worldview was, logic-based philosophy, together with the faith.

Supposedly, *Amiran*, fighting with the evil forces was very popular from the early period. Analysis of the legends shows that in the early epoch *Amiran's* story had a happy end; while when the temple that relied on logical thinking and philosophy gained the dominating position, the continuations were added to these legends and the story would tell that arrogance brought *Amiran* to sad end; that he fought with the God and because of this he was punished and chained to the cliff. It seems, such end reflected also the history of the defeat temple that was based on the faith only and underlined the fact that lack of reason and logic results in punishment and

no matter how great is individual's love, without common sense, he/she cannot be happy. *Amiran* has taken his sweetheart but he could not live with her in happiness and was punished for his arrogance.

The temple dominating in Caucasus, with the worldview based on logic, together with the faith, supposedly had close relationships with the Greek religious centers; in our opinion, it is assumable that the *myth about the hero chained by the God to Caucasus Mountains for disobedience has achieved Greek religious centers of from Caucasian temples that had close relationships with the Greece and from there moved to the Greek literature and thus there was created the myth about Prometheus* chained by Zeus to Caucasian Mountain.

Tariel, the main character of the *Knight in the Panther's Skin,* has great love to beautiful Nestan, who was spirited away by the evil forces and locked in the castle but due to parting from his sweetheart, *Tariel* lacked common sense and temperance and he came to the verge of death. He was able to free Nestan only after Avtandil, known for his wisdom became his friend and supporter. In our opinion, Rustaveli responds to *Amirainiani;* in his poem he showed the other way of the main character of the epos, showing that an individual full of love, can achieve great happiness, if, together with love, has some wisdom as well.

Thus, we express our hypothesis that the myth about Prometheus chained to Caucasus Range has originated in Caucasus and reflected the confrontation of the worldviews that has taken place in Caucasus. In our opinion, "Amiraniani" has its influence on the "Knight in the Panther's Skin".

The article provides discussion of the genesis of the characters of "Amiraniani" and the "Knight in the Panther's Skin".

ოსეგი და ქართული იდენტობა ბეჭდურ მედიაში („დროება", „ივერია", „ცნობის ფურცელი")

ქეთევან მანია

ბეჭდურ მედიაში მრავალფეროვნებით და მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა ოსებისადმი მიძღვნილი მასალები. კორესპონდენციები ოსებზე არსებითად მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს – სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, პოლიტიკურ თუ რელიგიურ საკითხებს. ბეჭდური მედიის ყურადღების მიღმა არცერთი ფაქტი არ რჩება, შეეხება არსებითად ყველა საზოგადოებრივ პრობლემას: სკოლის არარსებობა, მღვდლის საჭიროება, ცრუმორწმუნოება, ქურდობა, გვალვა, მოუსავლიანობა, უგზოობა, უწყლობა, სკოლის თუ მღვდლის საჭიროება, სკოლის გახსნის თანხმობის მიღება, სკოლის სასარგებლოდ სეირნობა თუ ლატარიის გათამაშების გამართვა, სკოლის გახსნა, სკოლის მშენებლობა, მასწავლებლის დანიშვნა, ჯვრისწერის ქართულად ჩატარება, ქართული წარმოდგენების მოთხოვნა, ქართველი მღვდლების საქმიანობა, ქართველი მასწავლებლების საქმიანობა, სკოლების შემოწმება, ეგზარქოსის სტუმრობა, ახალი ეპისკოპოსის დანიშვნა, მასწავლებლის გაძარცვა, სკოლის კურთხევა, წიგნთსაცავ-სამკითხველოს გახსნა, შემომწირველების და შემოწირულობების შესახებ ინფორმაციები, სკოლის მუშაობის შესახებ კრებები და ანგარიშები.

ოსთა საკითხს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მკვლევარი შეეხო. შესწავლილ იქნა ოსთა ისტორია ქართული ისტორიული წყაროებით (ჭიჭინაძე 1913), საქართველოში მათი ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები (თოფჩიშვილი 1997), სამაჩაბლოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორია (სოსიაშვილი 2005), საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში (თოგოშვილი 1969), რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა შიდა ქართლში (ტოლიაშვილი 2005). მდიდარი საარქივო მასალის ანალიზით წარმოდგენილია ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობის ისტორიის ანალიზი (თოიძე 1991). ოსთა საკითხს მიეძღვნა სპეციალური კრებული (ბაქრაძე, ჩუბინიძე 1996) და სხვა.

ჩემს მიზანს არ შეადგენს ოსებისადმი მიძღვნილი კვლევების განხილვა. მხოლოდ სანიმუშოდ მოვიხმე რამდენიმე. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ბეჭდურ მედიაში ოსებისადმი მიძღვნილი კორესპონდენციების ნაწილი არაერთ მკვლევარს აქვს გამოყენებული თავისი მიზნებისთვის. გვხვდება საგაზეთო მასალების ანალიზიც სამეცნიერო ლიტერატურაში (გაჩეჩილაძე 1996); (ცერცვაძე 1996).

წინამდებარე გამოკვლევაში განსხვავებული რაკურსით – ქართული იდენტობის ისტორიის ეთნოსიმბოლისტური[1] მიდგომით კვლევას წარმოვადგენ ბეჭდური მედიის („დროება", „ივერია", „ცნობის ფურცელი") რეპრეზენტაციით. ქართული იდენტობის ისტორიის რეპრეზენტაციის მცდელობა ბეჭდური მედიით წარმოდგენილია მ. ჩხარტიშვილთან თანაავტორობით გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომელშიც შესწავლილია ი. ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალი „ივერიის" თხუთმეტწლოვანი პერიოდის ანალიზი, სადაც მივუთითებდით, რომ „ჩვენ – სხვა" ოპოზიციის კონტექსტში მნიშვნელობას იძენს არა მარტო ქვეყნის პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა არსებული სამყარო ანუ „გარეშე სხვები", არამედ თავად ქვეყნის შიგნით მცხოვრები ეთნიკური უმცირესობანი ანუ „შინაური სხვები". ასეთები იყვნენ ოსები (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 129-130).

„ივერია" საჭიროდ თვლის მისი მკითხველები გაარკვიოს იმაში თუ ვინ იყვნენ ოსები. იბეჭდება ჟურნალის „Знание" 1876 წლის მეოთხე ნომერში გამოქვეყნებული წერილის „ვინ არიან ოსები ?" თარგმანი (მთარგმნელი არ არის მითითებული, პუბლიკაცია ხელმოუწერელია). წერილში განხილულია ევროპულ ისტორიოგრაფიაში ოსების წარმომავლობის შესახებ გამოთქმული თვალსაზრისები მოცემულია ინგლისელი მეცნიერის გოუორტის შეხედულება ოსების სარმატებისაგან წარმომავლობის შესახებ. ინგლისში სარმატების წარმომავლობის ორი თვალსაზრისიდან უფრო გავრცელებული ყოფილა მათი სლავებიდან წარმომავლობის შესახებ შეხედულება (ვიდრე გერმანული). წერილიდან ირკვევა, რომ ამ საკითხში გოუორტი ეფუძნება სენ-მარტენის კვლევას. სენ-მარტენი საკითხის ანალიზის დროს ყურადღებას ამახვილებს თვითსახელწოდების შესწავლაზე. მისი აზრით, ლინგვისტური თვალსაზრისით თვითსახელწოდება „ოსეტინ" წარმომდგარია ქართული სიტყვისგან „ოსეთი", რომელიც ოსთა ქვეყანას ნიშნავს. წერილში აღნიშნულია, რომ მონღოლების შემოსევამდე ოსებს უცხოვრიათ მთების ჩრდილოეთით თერგამდე, მეოტისის და დონის ახლოს. მათი მეზობლები იყვნენ

დასავლეთით ჩერქეზნი, აღმოსავლეთით სხვა კავკასიელნი ტომები. მონღოლებმა ისინი წასწიეს სამხრეთისაკენ. სენ-მარტენი მიუთითებს უძველეს დროში ვოლგისა და დონის მიდამოებში მოხსენიებული მიდიელების, სარმატების, იაქსამატების, ტიქსამატების ერთი სისხლისგან წარმომავლობას. ამის დამადასტურებლად ასახელებს გვარ-ტომობითი სახელწოდებას „მეტ“. შაფარიკის, სენ-მარტენის და სხვათა აზრით, სარმატნი მიდიელთა ტომისანი არიან და იაქსამატნი სარმატის შტოსანი. თვით სიტყვა იაქსამატი იაზ // აზ – ოსების სახელია, მატი – მიდიელებისა. გოუორტის შენიშვნით, ოსების ნათესაობა მიდიელებთან დასტურდება ლინგვისტური ფაქტებით. კლაპროტის შეხედულებით, რომელსაც მოხმობილი აქვს ერთი და იმავეს აღმნიშვნელი ოსური და სპარსული სიტყვების გრძელი სია, ოსური ენა მიეკუთვნება არიულ ენათა ჯგუფს, რადგან ყველაზე მეტად სპარსულს და მიდიურს ჰგავს. ევროპულ ისტორიოგრაფიაში ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე აღნიშნული თვალსაზრისების გათვალისწინებით გოუორტი კავკასიის ოსებს ძველი მწერლებისაგან ხსენებული სარმატების შთამომავლებად მიიჩნევს („ივერია“ 1877ბ: №13).

როგორც ვხედავთ, „ივერია“ ცდილობდა „შინაურ სხვებზე“ მკითხველებისათვის უბრალოდ გადმოცემები კი არა, სამეცნიერო ინფორმაცია მიეწოდებინა. ეს მიუთითებს, რომ „ივერიის“ გუნდი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „შინაურ სხვებს“, რაც, აგრეთვე, ნაციონალიზმით მართული პროცესის უნივერსალური მახასიათებელია (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 129-130).

მკაფიოდაა გადმოცემული ორი უკანასკნელი მეცნიერის მიერ შედგენილი საბუთები ჩრდილო კავკასიის ოსებზე. ხოლო,

> ის ოსნი რომელნიც მთების სამხრეთით ცხოერობენ ყველანაირი გაგებით ნიშნაეს იმას, რომ ისინი დაყრობილნი არ არიან, რომ მთების სამხრეთი მხარე თვით ოსეთის კუთვნილი ტერიტორია არაა და რომ ისინი, ე. ი. ოსნი, მთების სამხრეთით გადასულან და სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე იქ დასახლებულან და იმ სახელმწიფოს მორჩილებაში მოქცეულან („ივერია“ 1877: №12).

მაგრამ არა მარტო „ივერია“ აქცევდა „შინაურ სხვებს“ ყურადღებას. არაერთი კორესპონდენცია გვხვდება სხვა მედიაშიც. საგანგებო მსჯელობაა ნიკო თადეოზიშვილის „დროების'' კორესპონდენციაში მთას იქითა და მთას აქეთა ოსების მდგომარეობის შესახებ, ამიერკავკასიის ოსების გაქართველების და იმიერკავკასიის ოსების გარუსების მიზეზებზე.

> აქ მტკიცდება საზოგადო სოციალური კანონი, რომელიც ასე ბრძანებს: ხალხი, მოკლებული შემოქმედებით ძალას, საკუთარს კულტურას, უნდა იქმნას მსხვერლად თავის მეზობლის – კულტურული ხალხისა. [...] ოსეთი ყოველთვის მეტად ღარიბი და ღატაკი იყო შემოქმედებითი ძალით; მან ვერ შეიმუშავა, ვერ შექმნა საკუთარი კულტურა, ვერ განავითარა საკუთარი კულტურული „მე“; იკვებებოდა იმ სულიერი საზრდოთი, რომელსაც ჰპოეებდა თავის ბუნებით მდიდარს მეზობელში“ („დროება“ 1882: №272).

ავტორი მიუთითებს ამიერკავკასიის და იმიერკავკასიის ოსების მიერ საკუთარი ვინაობის შეუნარჩუნებლობის განსხვავებულ მიზეზებზე. განმარტავს, რომ ამიერკავკასიის ოსების გაქართველების მიზეზია არა პოლიტიკური, არამედ სოციალური კანონი, აქ მხოლოდ კულტურული ძალა მოქმედებს ქართველი კაცისა. იმიერკავკასიის ოსებში მოქმედებს გარეგანი პოლიტიკური ძალა და სახელმწიფოც დაუფარავად უწყობს ხელს მათ გარუსებას („დროება“ 1882: №272).

მედია განიხილავს ოსთა ჩამოსახლების საკითხსაც:

> XIX საუკუნეში რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში, აშკარად ჩანს ხელშეწყობა გადასახლების პროცესებში. ეს იყო და არის რუსული კოლონიზატორული პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, რაც კავკასიური რეგიონების მორჩილებაში ყოფნას ითვალისწინებს. ოსების საქართველოში გადმოსახლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათთვის, როგორც მეურნეობის მხრივ, ასევე საუკუნეობრივი კარჩაკეტილობისა და იზოლირებულობის რლევით, ჩვენი ქეყანა ხომ თავისი სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონით გაცილებით მაღალ დონეზე იდგა (ცერცვაძე 1996: 3, 7).

ავტორი საუბრობს ქართლთან დაახლოებულ სოფლებში ოსთა ვინაობის მხრივ არსებულ მდგომარეობაზე და მიზეზებზე:

> სამხრეთს, ანუ როგორც ჩვენ, ქართველები ვეძახით, მთას აქეთა ოსეთში დიდი გაელენა აქვთ ქართველებს, ქართული ლაპარაკი მამა-კაცებმა ყველამ იციან ბავშვებსა და დედა-კაცებს გარდა,

> რომელნიც, როგორც ყველგან, თვის ღეიძლ ენაზე ლაპარაკობენ. მაგრამ იმ ოსეთის ნაწილში, რომელიც უფრო დაახლოვებულია ქართლის სოფლებზე, დედა-კაცებიც და ბავშვებიც/ლაპარაკობენ ქართულად, მაგალითად, პატარა ლიახვედ, მეჯუდის ხეობისაკენ ს. მეჯვრისხევის მახლობლად და სხვა. ჯავის ხეობა, ერნოს მხარე და საზოგადოდ სამაჩაბლო ოსები უფრო მოშორებულნი არიან ქართლზე; [...] მაგრამ მაინც და მაინც იქაც გავრცელებულია ქართული ენა. არათუ მარტო ქართული ლაპარაკი, წერა-კითხვაც ქართულია გავრცელებული. [...] რამოდენადაც ჩრდილოეთის, მთას იქითა, ოსეთი მისდევს რუსობას, იმდენად აქეთ, სამხრეთის ოსეთი, მისდევს ქართველობას. ესახელებათ, თავი მოაქვთ იმათ, ვინც ქართული ლაპარაკი იცის და ქართული წერა-კითხვა. ამას გარდა, ოსეთის ქართლთან უმახლობლესი სოფლების მცხოვრებლები აძლევენ ქალებს ქართველებს და მათაც მიჰყავთ ქართველი ქალები ცოლებად („დროება" 1884: №217).

ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" ყველა ოსის – რაჭის ოსები, ქართლის ოსები, შიდა ქართლის ოსები და სხვა, ერთიანი სახელის ქვეშ მოსაქცეკად უნდა შექმნილიყო და ამგვარი მნიშვნელობით არის ნახსენები ს. მგალობლიშვილის კორესპონდენციაშიც. „სამხრეთ ოსეთი" არის კავკასიონის მთის სამხრეთით საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული ოსების აღმნიშვნელი პირობითი სახელი (გაჩეჩილაძე 1996: 14, 16).

„დროების" კორესპონდენცია იქვე მიუთითებს, რომ ოსებს არ აქვთ ტრადიციები, ლიტერატურა, საკუთარი ანბანიც კი. ასეთ ვითარებაში ოსებმა თავიანთი „ხალხოსნობის" (აშკარად ამ ტერმინით გადმოიცემა კოლექტიური კულტურული იდენტობა) შესანარჩუნებლად ოსურად წირვა-ლოცვის აღსრულებაზე უნდა იზრუნონ. მაგრამ სრული რელიგიური ინდიფერენტიზმი ყოფილა ოსებში, არც წირვა-ლოცვაზე დადიოდნენ, როგორც ჩანს. ავტორი გამოთქვამს თვალსაზრისს, რომ „უმჯობესი იქმნება უწინდებურად ქართულ ენაზე შეასრულონ ყოველი რელიგიური მსახურება" („დროება" 1884: №217).

თვალსაჩინოა, რომ იდენტობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია კულტურული ერთობის შექმნა. საკუთარი კულტურული „მეს" დაკარგვით იდენტობასაც კარგავს კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე აღმოცენებული ჩვენ-ჯგუფი. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ გაქართველების მიზეზი კულტურაა.

თუ როგორ ერთგულებას უწევდა საქართველოს მეფეებს ოსი ხალხი თვალსაჩინოა გიორგი ჩოჩიშვილის საფელეტონო წერილით „ლეონ ბატონის-შვილი ოსეთში (1810-1811)" („დროება" 1883: №234). პუბლიკაციაში აღწერილია ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს წარმომადგენლის, ლევან ბატონიშვილის (იულონის ძე) წინააღმდეგობა რუსეთში გადასახლების თაობაზე. ლევანთან ერთად, რუსეთში გადასახლების წინააღმდეგი ყოფილა თეიმურაზ და ალექსანდრე ბატონიშვილიც, რომლებსაც თავი ირანისთვის შეუფარებიათ და ირანის დახმარებით ცდილობდნენ რუსთა ჯარის განდევნას საქართველოდან. ნერილი საყურადღებოა ქართული ტერიტორიის ისტორიული საფუძვლების ანალიზის თვალსაზრისით. მამულები, რომლებსაც ოსები პუბლიკაციის დროს დაპატრონებიან, XIX საუკუნის დასაწყისისათვის ქსნის და არაგვის ერისთავების: მაჩაბლების, ფალავანდშვილების, ამირეჯიბების საკუთრება იყო. ოსებთან თავშეფარებულ ლევან ბატონიშვილის შესაპყრობად რუსეთის ხელისუფლება საგანგებო ჯილდოს აწესებს „მაგრამ ოსებმა წმინდად შეინახეს თავიანთი ფიცი და არ გასცეს ბატონის-შვილი".

მედიაში ნათლად იკვეთება რუსული მმართველობის მიერ ქართული ნაციონალური მეხსიერების წაშლის მცდელობები. „ივერიაში" აღშფოთებით წერდნენ ამგვარი მცდელობის შესახებ, რომელიც სადავოს ხდიდა ქართულ ტერიტორიულ მთლიანობას. „ივერიის" ინფორმაციით, ანტიქართული კორესპონდენცია გამოქვეყნებული იყო „დუხოვნი ვესტნიკში", სადაც აღნიშნული ყოფილა, რომ ქართველები შეჭრილან ოსებით დასახლებულ ტერიტორიაზე და შეუვიწროებიათ ისინი.

> ავტორის აზრით, მთელი ქართლის წინანდელი მკვიდრნი ოსები ყოფილან, რომელთ მინა-წყალს ქართველნი დაპატრონებიან, საწყალი ოსები შუაზე გაუჭრიათ, – ნაწილი ბორჯომის მხარეს და თრიალეთის მთებში დარჩენილა და ნაწილ კი – ჯავის ხეობაში. მთელი ქართლი ძველად ოსეთი ყოფილა, და ქართველთ ოსებზე ძალა უხმარიათ, ოსნი დაუჩაგრავთ, დაუშინებიათ („იეერია" 1903: №264).

მომდევნო ნომერში „ივერია" შეახსენებს „დუხოვნი ვესტნიკის" კორესპონდენციის ავტორს სამეცნიერო ლიტერატურაში ოსთა მიგრაციის და საქართველოში გვიანდელი დამკვიდრების შესახებ არსებულ პ. უსლარის შეხედულებებს. ავტორი ასეთ რთულ პერიოდში, გაფრთხილებისაკენ მოუწოდებს ყველას:

ყველა გონიერმა ოსმაც იცის ახლა, ქართველმაც და ლეკმაც, რომ მხოლოდ მშვიდობიანი, კარგი მეზობლობა გვიშველის და გაგვალონიერებს, ფეხზე დაგვაყენებს და ჩვენცა და ისინიც კარგად იცნობენ თითოეულს დანაელს, რომლისაც მაშინაც-კი უნდა გერიდებოდეს, როცა მოდის და სასიამოვნო ძღვენი მოაქვს („იერია“ 1903: №265).

ქართული ისტორიული მეხსიერების მოსპობის მცდელობის საპასუხოდ ქვეყნდება ს. მგალობლიშვილის კორესპონდენცია „ორი თვე სოფლად (პროვინციალური მეთვალყურის შენიშვნები)“. პროვინციალური მეთვალყურე ნაციონალური მეხსიერების აქტივაციის თვალსაზრისით მკითხველს აწვდის ისტორიულ ექსკურსს ცხინვალის, სამაჩაბლოს შესახებ. ავტორი კორესპონდენციას ასე იწყებს: „[...] ამ დილით ჩვენ ვეპირებით გამგზავრებას სამაჩაბლო ოსეთში“ („დროება“ 1884: №217). ამგვარი მითითებით, ს. მგალობლიშვილი ქმნის ახალ ნაციონალურ მეხსიერებას რუსული მმართველობის პერიოდში.

ვახუშტის ცნობით, ცხინვალში ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები – სომხები და ებრაელები. კორესპონდენტი ცხინვალის შექმნის საკითხთან დაკავშირებით, მოიხმობს პლატონ იოსელიანის ინფორმაციას ცხინვალის მესამე საუკუნის შუა ხანებში ასფაგურ მეფის მიერ დაარსების შესახებ. ასეთი ღრმა ისტორიული ფესვების მქონე ცხინვალს ავტორის თანამედროვეობაში დაუკარგავს ქალაქის სახელი და „დაბა ცხინვალს“ ეძახდნენ, მიუხედავად იმისა, ცხინვალს ხელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა ვაჭრობის განვითარებისთვის, რაც ეთნიკური ერთობის ეკონომიკური დაწინაურების საფუძველს წარმოადგენს. „პატარა-ლიახვის ვაკე ადგილები, დიდი ლიახვის სოფლები, დაწყობილი სოფელ შინდისიდამ, ფრონის, ანუ ავლევის ხეობა, მთელი მთა, ანუ სამხრეთ ოსეთი ზედ აკრავს, ცხინვალს ვერ ასცდებიან“ – აღნიშნავს კორესპონდენტი („დროება“ 1884: №167).

მაჩაბლების ადგილ-მამულების დათვალიერებისას მიუთითებს თუ როგორ იზიდავდა მშვენიერი ბუნება და ჰავა ჩვენს მეფეებს და ბატონიშვილებს. ხეობა კარგად გამაგრებული ყოფილა. როგორც ჩანს, ამ ნიშნითაც იყო გამორჩეული. თუმცა ურიცხვი მტრების შემოსევების შედეგად დანგრეულა ციხე-სიმაგრეები. კორესპონდენტის მითითებით, ბოლოს ამ მხარეს სტუმრობდნენ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილები. აქვე საუბრობს ფარნაოზ ბატონიშვილის ამ მხარისადმი გამძაფრებულ ეროვნულ გრძნობებზე „ცხინვალის ხეობას რომ დაპხედო ზღუდრის სერიდამაო, არ დაგავიწყდეს მე მომიგონე, რომ ეგების ჩემმა სულმა აქ იგრძნოსო“ – უთხოვია ბატონიშვილს ერთი თავადიშვილისთვის, რომელიც რუსეთიდან აქ მოემართებოდა („დროება“ 1884: №167).

ავტორი საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის მაჩაბლების მამულების ისტორიის შესახებ. მისი მითითებით, მაჩაბლების სამფლობელო ძველად საბაწმინდა ყოფილა, მაგრამ შემდეგ თამარაშენში და ქურთაში ჩამოსულან. მოგვითხრობს თუ როგორ ამოწყვიტა მაჩაბლები აღდგომის დღესასწაულზე გამძვინვარებულმა ავნეველმა აზნაურმა დოღლაძემ. ყველაფერი ასე დაწყებულა. აქაური მოსახლეობა უწყლობით ყოფილა ძლიერ შეწუხებული. დოღლაძეს ყინულის ჩამოსატანად საბაწმინდაში გაუგზავნია ექვსი ვირი ექვსი მეძნეურით, რომლებიც თავადი მაჩაბლის ბრძანებით დაუხოცავთ და უკან გამოუგზავნიათ. აზნაურ დოღლაძემ საპასუხოდ შური იძია მაჩაბლებზე აღდგომას. გადმოცემით, მის რისხვას ერთი ჩვილი გადაურჩა, რომელიც ოსეთში გაუზრდიათ. მას მეფემ ომში გამოჩენილი ვაჟკაცობისთვის დაუბრუნა ძველი მამული და ახალიც დაუმატა („დროება“ 1884: №167).

მაჩაბლების მამულების ისტორიის თვალსაზრისით საინტერესო ცნობებს აწვდის მკითხველებს „დროების“ კორესპონდენტი გიორგი ჩოჩიშვილი (ფსევდონიმი გიორგი ლიახველი) ოსებში ფეოდალიზმის გავრცელების შესახებ კორესპონდენციაში. აღნიშნავს რომ XI საუკუნეში ერცელდება ფეოდალიზმი ოსეთში და ამ დროიდან პირველობას ფეოდალთა შორის იჩემებენ: ბაგრატიდები, მაჩაბლები, სიდამონები, ერისთავები, ბორაშვილები და სხვა. ამ ბრძოლაში იმარჯვებენ ბაგრატიდები და მთავრის ტიტულს მოიპოვებენ. შემდგომ საუბრობს დინასტიურ ქორწინებებზე. ამ დროიდან გაჩნდა კოშკები ოსეთში, სადაც რაინდები ისხდნენ და დროს ატარებდნენ გერმანიის და საფრანგეთის რაინდების მსგავსად. მაგრამ როცა ფეოდალთა მმართველობა ხალხისათვის მოუთმენელი, გახდა, რევოლუცია მოახდინეს და დაამხეს ფეოდალიზმი. თუმცა მაჩაბლები XVIII საუკუნემდე დარჩენილან და ამ დროისთვისაც ზროგოს ხეობაში ჰქონიათ მამულები („დროება“ 1883: №253).

ბეჭდურ მედიას ყურადღების მიღმა არც ავნევის ხეობის სოფლების ბერძნებისთვის მიკუთვნების შესახებ ფაქტები რჩება.

სახნავ-სათესი, ვენახ-ბაღებით სოფლების დირბისა, ტახტი-ძირისა და არკნეთისა შეადგენენ ბერძნის მონასტრების კუთვნილებას. დირბი და ტახტი-ძირი ეკუთვნიან იერუსალიმის ქრისტეს სა-

ფლავის მონასტერს. სოფ. არკნეთი კი, მგონი, ათონის მთას ეკუთვნის. ამათ გარდა დიდლიახვზე მდებარე სოფელი მეღვრეკისი საბეროა, ე. ი. სამონასტრო, როგორც გამიგონია, ეკუთვნის სინის მთას. ქართლს გარდა ამ მონასტრებს აქვთ მამულ-ადგილი კახეთში, უფრო იერუსალიმის ქრისტეს საფლავის მონასტერს; აქვთ აგრეთვე ქ. თბილისში; დღეს თბილისში ბერების ეკლესიას შეადგენს ჯვარი-მამას ეკლესია. ამ ეკლესიას, როგორც ვიცით, აქვს სახლები, დუქნები. ყველა ჩამოთვლილ მამულების შემოსავალი იკრიფება მოურავებისაგან, რომელნიც დანიშნულნი არიან მონასტრებისაგან და შემოსილნი არხიმანდრიტ ხარისხით („დროება" 1884: №219).

მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში მთავრობას ჩამოურთმევია მამულები ბერძნებისთვის და სახელმწიფო საკუთრებად გამოუცხადებია. მაგრამ იერუსალიმის პატრიარქს გამოუთხოვია ხელმწიფე იმპერატორისათვის და ხელმეორედ ებოძათ. ეს მამულები საქართველოს მეფე-მთავრებისგან იყო შეწირული იერუსალიმის, სინას და ათონის მონასტრებისთვის მაშინ, როდესაც ეს მონასტრები ქართველი ბერების ხელში იყო უცხო მხარეში ამ მამულებით რომ ერჩინათ თავი. შემდეგ ამ მონასტრებიდან ქართველები გამოუდევნიათ ბერძნებს და მამულებიც მათ ხელში გადასულა.

ეს კორესპონდენცია საინტერესოა „სხვებთან" მიმართების თვალსაზრისით, ბერძნების მაგალითზე. კორესპონდენცია ერთგვარი მოწოდებაა ქართველებისადმი არ იყვნენ ინდიფერენტულნი საზოგადო საქმისადმი.

განსაკუთრებული ინტერესი იგრძნობა კავკავის (ელადიკავკაზი) ქართველთა მდგომარეობის თუ მათზე ზრუნვის მიმართ ბეჭდურ მედიაში. როგორც მედიის ფურცლებიდან ვიტყობთ, ხევიდან ქართველობა კავკავში წასულა მიწის სიმცირის და უნაყოფობის გამო დღიური ლუკმა პურის საშოვნელად, ზოგს თავისი მამა-პაპეული მამულიც გაუყიდიათ და საცხოვრებლად გადასულა კავკავში („ივერია" 1894: №12).

როგორც ჩანს, კავკავში მცხოვრები ქართველები ქართველი მღვდლის ნაკლებობას განიცდიდნენ. „ივერიის" ახალი ამბების რუბრიკა იუწყება, რომ კავკავში ბლომად ყოფილან ქართველები, რომლებსაც ქართულის გარდა სხვა ენა არ სცოდნიათ, მაგრამ კავკავის ეკლესიებში არსად ქართულად არ აღევლინებოდა ლოცვა „ამდენი მართლმადიდებელი ხალხი სრულიად მოკლებულია ქართულის წირვა-ლოცვასაო". აქაურ ქართველებს მიუმართავთ ეპისკოპოს იოსებისათვის ქართულად წირვა-ლოცვის აღვლენის თხოვნით („ივერია" 1887: №97).

კორესპონდენტი ფსევდონიმით „ქართველი" (მღვდელი ნესტორ ბაკურაძე) აღწერს კავკავში ქართულად ჯვრისწერის ჩატარებას. კავკაველ ქართველს მეორე გილდიის ვაჭარს გრიგოლ იოსების ძე მოზდოკელს დაუწერია კავკავის საკათედრო ტაძარში ჯვარი. დიდძალი ქართველობა და სომხობა შეკრებილა იმ იმედით რომ ჯვრისწერა ქართულად ჩატარდებოდა. სასიძოს და მის ნათესავებს ტაძრის დეკანოზ იოილ სამადოვისთვის უთხოვია ქართულად ჯვრისწერა (დეკანოზი შიშობდა ვაითუ ქართულად ვერ შევძლო 30 წელია არ შემისრულებია ქართულად ჯვრისწერაო). განსაკუთრებული ემოციები გამოუწვევია ქართველებსა და სომხებში დეკანოზის ქართულად ჩატარებულ ჯვრისწერას. ამ ფაქტს კავკავის ეპისკოპოს პეტრემდე მიუღწევია („ივერია" 1889: №253).

სამწუხაროდ, გადასახლებულები ვერც ეკონომიკურად გაძლიერებულან და სულიერი სახსრის დაკარგვის საშიშროების წინაშეც დამდგარან. „ქართველურ გრძნობასაც ჰკარგავენ, ქართულს ზნე-ჩვეულებას ივიწყებენ და, რასაკვირველია, ენაც ეკარგებათ" („ივერია" 1894: №12).

ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლების საქმიანობა მთელი ძალისხმევით სწორედ, ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრისაკენ წარიმართა. ამ მხარეში არაერთი სამრევლო სკოლა დაუარსებიათ, რომელთა ინსპექტორად 1889 წელს დაუნიშნავთ არქიმანდრიტი ლეონიდი („ივერია" 1894: №138).

მედია განსაკუთრებული ინტერესით ადევნებს თვალს კავკავში ქართული სკოლის დაარსების ფაქტს.

იმიერ-კავკასიის ქართველნი დიდის ხნის წასულნი არიან საქართველოდგან და საქართველოსა და მათ შორის თითქმის ყოველიე კავშირი შესწყდა და მოისპო. მართალია, კავკავის, ყიზლიარისა და მოზდოკის ქართველებმა ენა და ეროვნობა დაიცვეს, მაგრამ ქართველთა ცხოვრებაში სრულიად არავითარს მონაწილეობას არ იღებდნენ. დრო ვითარების გამო იმიერ-კავკასიის ქართველთა რაოდენობა შემცირდა: ზოგნი მათგანნი სრულიად გადაგვარდნენ, რადგანაც მოშორებულნი იყვნენ მთავარს წყაროს ჩვენის ცხოვრებისას. საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ ზოგიერთს ადგილას ისინი მოკლებულნი იყვნენ ქართულ წირვა-ლოცვასა და ქართული წერა-კითხვა და მწერლობა თითქმის სრულიად დაივიწყეს („ივერია" 1888: №239).

ქართულ ინტელიგენციას ყურადღების მიღმა არ დარჩენია განათლების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა. კავკაში მოუწვევიათ საგანგებო კრება სკოლის დაარსების საკითხების განსახილველად. კრებაზე სკოლის მზრუნველებად აურჩევიათ: მ. ზ. ყიფიანი, პაპოვი (სტეფანე), დეკანოზი სამადოვი, ი. ბაქრაძე, მაჭავარიანი, ინასარიძე, გოზალიშვილი, კახიძე, ფხაკაძე. ს. გაბაშვილი, მინადორა ბირშერტისა, ჯაჭვაძე. ფორაქაშვილი და მარჯანიშვილი („ივერია“ 1888: №98). სხვა აქტივობებიც გაუმართავთ სკოლის სასარგებლოდ სახსრების მოძიების მიზნით. ერთ-ერთი ასეთი აქტივობა კავკავის ბაღში სეირნობა გამართულა. ამ ინფორმაციიდან საყურადღებოა ისაა, რომ იქაურ ქართველობას დიდი თანაგრძნობა გამოუხატავს („ივერია“ 1888: №165) და საზოგადოების მონდომებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებას“ მიუღია თანხმობა სკოლის დაარსების თაობაზე („ივერია“ 1888: №211) და 1888 წელს, 10 ნოემბერს დაუარსებია კიდეც („ივერია“ 1888: №239); (ივერია 1889: №30).

„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლები გარდა იმისა, რომ საგანმანათლებლო ცენტრებს წარმოადგენდნენ, ამავე დროს ქართველობის ტაძრად გვევლინებიან. აი, რას ამბობს კავკავის სკოლის მაგალითზე კორესპონდენტი:

> ერთადერთი ძეგლი, რომელიც ეხლა ქართველების აქ ყოფნას ამტკიცებს, არის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სკოლა. [...] ეს ერთად-ერთი ტაძარი ჩვენის ეროვნების წარმომადგენელი აქ მშვენივრად მოუწყვიათ. [...] გულს სიხარულის ფანცქალსა პგერის თავისის წარწერით: „ქართული სკოლა“.
> კავკავის სკოლა ერთი იმ ზნეობრივ კავშირთაგანია, რომელსაც ყველა წოდების ნარჩომადგენელნი ქართველნი, მდიდარი თუ ღარიბი, ჩინიანი თუ უჩინო ერთად გადაუბამს, ერთის აზრით გაუმსჭვალავს, ერთგვარის სიყვარულით ალუძრავს მათი გული საერთო საქმისთვის. დღეს კავკავის სკოლა შეადგენს ერთს იმ სანუკვეელს საგანს მთელის აქაურის ქართველებისას, რომლის ბედ-იღბალი ყველასთვის ერთგვარად ძვირფასია და მასზედ ზრუნვა, მისი გაუმჯობესება და წინ-სვლა სანატრელი და გულის ტკივილის საგანია („ივერია“ 1895: №97).

სკოლა ნამდვილ კულტურულ ცენტრად იქცა. აქ იმართებოდა ქართული საღამოები, სპექტაკლები და ამ გზით ხელი ეწყობოდა აქაური ქართველების ზნეობრივ გაფაქიზებას და სამშობლოსთან მჭიდროდ დაკავშირებას.

ამგვარი ძრავალმხრივი მოღვაწეობა სკოლას აქცევდა ქართველობის სიმბოლოდ. სკოლა აღძრავდა და აძლიერებდა ნაციონალურ გრძნობებს.

თუმცა აქაც შეიმჩნეოდა გულგრილობა ქართული გაზეთისა და წიგნებისადმი. ამ საკითხზე ინფორმაციას აქვეყნებს აქაური მასწავლებელი ლ. ბოცვაძე.[2] ირკვევა, ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად იგი მნიშვნელოვან ღონისძიებებს მიმართავს, აგროვებს ქართულ წიგნებს ბიბლიოთეკის დასაარსებლად. მართლაც, მისი ინიციატივით გახსნილა ბიბლიოთეკა კავკავის ქართველთათვის, საიდანაც წიგნების გატანას შეძლებდნენ მსურველები („ივერია“ 1893: №58). ხშირ შემთხვევაში სახალხო მასწავლებლებს ფაქტობრივად მხოლოდ ენთუზიაზმით უწევდათ მუშაობა. ამგვარი მოღვაწეების დახმარება/წახალისებისათვის არაერთი წერილი ქვეყნდება ჟურნალ-გაზეთებში. მასწავლებელთა უანგარო ღვაწლის გადმოცემით მედია ცდილობს მკითხველებში გააღვივოს სოლიდარობის გრძნობა და აღძრას დახმარების სურვილი იმ თანამოძმეების მიმართ, რომელნიც დაუღალავად შრომობენ ეროვნული სულისკვეთებით ახალგაზრდების აღსაზრდელად. თავის მხრივ უყურადღებოდ არ ტოვებს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მატერიალურად ხელმოკლე საზოგადო მოღვაწეებს და დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილ მასწავლებლებს. მათ შორის ყოფილა ლ. ბოცვაძეც („იერია“ 1894: №192).

საყურადღებოა კავკაში მცხოვრები ქართველებისა და სომხების ინიციატივა ქართული წარმოდგენების გამართვის თაობაზე, რომლითაც ისინი ქართულ დრამატულ დასს მართავდნენ („ივერია“ 1889: №71).

სოფელ ალაგირში, რომელიც კავკავიდან 53 კოლომეტრით არის დაშორებული, მცხოვრები 400 კომლიდან, 100 ქართული, 180 ოსური და 100 რუსული კომლი იყო. დაახლოებით 1882 წლისათვის იქ რაჭიდან ჩამოსახლებულან ქართველები. 1882 წლისათვის კი იქაური გიმნაზიის მასწავლებელს, ტიტე კახიძეს, ქართველებისათვის დაუარსებია სკოლა, სადაც სწავლება ქართულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობდა. „რადგანაც ეს ერთად-ერთი სკოლაა მთელს კავკავის ეპარქიაში, ამისთვის მთავრობამ მას უწოდა სახელად – „ქართული სამრევლო სკოლა“ („ცნობის ფურცელი“ 1902: №1697).

კორესპონდენტი გულისტკივილს გამოთქვამს ცხინვალში ქართველების სიმცირეზე. ამის მიზეზად ასახელებს იმ გარემოებას, რომ

> ფულის შოვნაში ჩვენებმა იმდენი უნარი ვერ გამოიჩინეს, რამდენიც სომეხ-ურიებმა და ფული-კი ისეთი ძლიერი იარაღია არსებობისათვის ბრძოლაში, რომ ყოველივე და ყველაფერი იმის წინაშე ქედს იხრის. ქართველობამაც, ვით დამარცხებულმა ბრძოლის ველზედ, მოღუნა ქედი და სულით-ხორციანად მიეცა გამარჯვებულთა კლანჭებს და ამას-კი მათი შემცირება უნდა მოჰყოლოდა. ასეც მოხდა: წინად თუ მცხოვრებლების ნახევარს შეადგენდა ქართველობა, დღეს ამის მეოთხედიც აღარ არის („იერია“ 1897: №130).

იმდენად გათამამდნენ სომეხი ვაჭრები, რომ ქართველების დისკრიმინაციასაც ახდენდნენ. ამის არაერთ მაგალითს ვხედებით პრესაში. სოფელი ხეითი უწყლობას განიცდიდა და მოსახლეობა წყალს ცხინვალიდან ეზიდებოდა. სომხებს აუკრძალავთ ქართველებისთვის ცხინვალთან დამაკავშირებელი ხიდით სარგებლობა. ერთ სომეხ ჩარჩ-ვაჭარს წყლის საზიდი კასრი გაუმართავს და სოფელ ხეითში დაიწყო წყლის ზიდვა და წყლით ვაჭრობა, რომელსაც ამ საქმეს ქართველი შეცილებია. ეს ფაქტი გამხდარა ხიდით სარგებლობის აკრძალვის მიზეზი სომხების მიერ. სხვა დაუჯერებელ ამბებსაც ეწყება გაზეთი. სოფელ დგვრისში, რომელიც ვერსითაც არცაა დაშორებული ცხინვალს, ერთ დანგრეულ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას სანახევროდ დაპატრონებიან სომხები. აქაური მცხოვრებნი ამ ეკლესიის დღეობას აღდგომის მეორე დღეს აღნიშნავდნენ.

> [...] დგვრისში არც ძველად და არც ახლად არასოდეს ჭაჭანებად ხსენებაც-კი არსადა ყოფილა სომხისა და მაშ ვისი უნდა იყოს, იგი ეკლესია თუ არა ქართველისა?! მით უმეტეს, რომ ეკკლესიის გარშემო სულ ქართველები სცხოვრობენ. მაგრამ უნებლიედ დუშეთის წმ. გრიგოლის ნიშის ისტორია გვაგონდება...
> [...] საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, ყურადღება მიექცეს, საქმე – გამოირკვეს. დროა, ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ზოგიერთა სომხების ამისთანა ნაცარქექიაობასა და ძველის ნაშთების ასე აბუჩად აგდებას! ცხინვალელი სომხები და მათი მღვდლები საბუთად იმას მოგვახსენებენ, რომ შესავალ კარების ერთს ნათალს ქვაზედ ზედ წარწერაა და სომხურიაო. ვნახეთ ის ქვაც; წარწერა მართალია არის, მაგრამ სომხურია თუ ქართული, ვერ გავარჩიე, რადგანაც სომხური და ქართული, ხუცური ერთმანეთს ძლიერ წააგავს. ის კი უტყუარია, რომ ზედწარწერიანი ქვა უფრო ახალი სჩანს, ვიდრე სხვები და განა თვით ეკკლესიის შიდა მოყვანილობა არ ამტკიცებს, რომ ქართველობისაა?! იმედია, ჩვენი ხმა არ დარჩება ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა, ჩვენი ძველი ნაშთების მკვლევარნი ყურადღებას მიაქცევენ და ამ სადაეიდარაბო ქართულის ოფლით ანაგებს ღვთის ტაძარს რამე საფუძველს დაუდებენ... („იერია“ 1901: №76).

სომხების კიდევ ერთი თავგასული ქმედება ფიქსირდება „ცნობის ფურცელში“. სოფელ ხეითში ზღუდერის ეკლესიის გვერდით სომხებს ბოლო ხანს აუშენებიათ ეკლესია თავად მაჩაბლების კუთვნილ მამულში. ეკლესიის მნათედ ამორჩეულ ვასილ შერმაზანოვ-შერმაზანიანცის ეკლესიაში ასასვლელი ერთადერთი გზა გადაუკეტავს და მოახლოებულ ზღუდერობის დღესასწაულზე არ უშვებდნენ სალოცავად ხალხს. რომ არა პოლიციის ბოქაული ერთმანეთს დაერეოდნენ კიდეც, მაგრამ ბოქაულს დაუშოშმინებია ხალხი, რომელსაც ურჩევია სამართლისთვის მიემართათ. საყურადღებოა ავტორის შენიშვნა „ჩვენმა ‘ძმებმა’ კარგად იციან, რო არავითარი საბუთი არა აქვთ სიმართლისა და რითი ან როგორ მიჰმართონ?!“ („იერია“ 1902: №253).

კორესპონდენციებიდან ჩანს ქართველთა დამოკიდებულებაც სომხებისადმი. ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესში ქართველთა „შინაური სხვები“, სომხები იყვნენ. „შინაური სხვა“ კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობისათვის განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან ამ შემთხვევაში საზღვარი სხვადასხვა იდენტობებს შორის მხოლოდ კულტურით უნდა დაფიქსირდეს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ სომხური იდენტობა არის დიდი კულტურული რესურსის მქონე იდენტობა. მეცხრამეტე საუკუნის სომხობა საქართველოში დიდი მატერიალური რესურსის მქონეც იყო. სომხების, როგორც დიასპორა ხალხის, ინტეგრირება ქართველთა ეთნონაციონალური კონსოლიდაციისას პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, საქართველოში მცხოვრები სომხობა რჩებოდა ქართული ერთობის მუდმივ გამოწვევად (ჩხარტიშვილი, მანია 2011: 147).

„კავკასიაში მართლმადიდებული ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ კეთილისმყოფელ გავლენაზე სარწმუნოების და განათლების გავრცელების თვალსაზრისით საუბარია მგზავრის შენიშვნებში. აღნიშნულია, რომ ანბანის უქონლობის გამო ოსებმა ქართული ასოებით საღმრთო წიგნები

გადათარგნეს და წირვა-ლოცვა ეკლესიაში ოსურ ენაზე წარმოებდა („დროება“ 1876: №128).

ამდენად, ზემოთ განხილულ პუბლიკაციებზე დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ ქართული ბეჭდური მედია აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა და ქართველობას აღძრავდა საკუთარი მინა-წყლის, მშობლიური ენის, ქრისტიანული სარწმუნოების დასაცავად. საგანგებოდ ზრუნავდა სწავლა-განათლების ამაღლებაზე, ამ მიზნით ხელს უწყობდა სამრევლო სკოლების გახსნისკენ მიმართულ ყველა ნამოწყებას. ქართული კულტურის ძეგლების წარმოდგენით კი ცდილობდა საერთო ქართული კულტურის ისტორიული არსებობის დადასტურებას. ფართო მსჯელობებით მეხსიერების ადგილების მნიშვნელოვნობაზე, მედია აღძრავდა მკითხველებში ეროვნულ გრძნობებს და მოუწოდებდა მათ კულტურული ძეგლების დაცვისაკენ. ამგვარი აქტივობებით ხელს უწყობდა სამაჩაბლოს დანარჩენ საქართველოსთან ერთიანობის განცდის გაძლიერება-განმტკიცებას და კულტურული ერთობის განმტკიცებას.

შენიშვნები

[1] ეთნოსიმბოლიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია ბრიტანელი მეცნიერი ე. სმითი. აღნიშნული მეთოდოლოგიური მიდგომის თეორიული საფუძვლები ქართული სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილი გახდა მ. ჩხარტიშვილის (ჩხარტიშვილი 2004) და ლ. პატარიძის (პატარიძე 2008) თარგმანებით. ასევე მ. ჩხარტიშვილს ეკუთვნის ქართული იდენტობის ისტორიის ახლებური მეთოდოლოგიური მიდგომით კვლევის პირველი მცდელობა.

[2] ლ. ბოცვაძე კავკავის სკოლაში მასწავლებლად 1892 წელს გაიგზავნა („ივერია“ 1893: №58).

დამოწმებანი

ბაქრაძე, ჩუბინიძე 1996: ოსთა საკითხი, კრებულის შემდგენლები და რედაქტორები აკაკი ბაქრაძე და ომარ ჩუბინიძე, გორი-თბილისი, პითაგორა.

გაჩეჩილაძე 1996: მ. გაჩეჩილაძე. სამაჩაბლოს ოსთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, კულტურა *(1857-1905წწ. ქართული პრესის მასალების მიხედვით)*, თბილისი, მეცნიერება.

თოგოშვილი 1969: გ. თოგოშვილი. *საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII ს.* თბილისი, საბჭოთა საქართველო.

თოიძე 1991: ლ. თოიძე. როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბილისი, მეცნიერება.

თოფჩიშვილი 1997: რ. თოფჩიშვილი. *საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები*, თბილისი, ლომისი.

პატარიძე 2008: ე.დ. სმითი. *ნაციონალური იდენტობა*, თარგმნა ლელა პატარიძემ, თბილისი, ლოგოს პრესი.

სოსიაშვილი 2005: გ. სოსიაშვილი. სამაჩაბლოს ისტორია *(XV-XIX სს.)*, თბილისი, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ტოლიაშვილი 2005: კ. ტოლიაშვილი. რუსეთის სინოდის საეკლესიო პოლიტიკა აფხაზეთსა და შიდა ქართლში (XIX ს. 80-იანი-1917 წწ.). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი;

ცერცვაძე 1996: კ. ცერცვაძე. ოსთა საკითხი *XIX* საუკუნის ქართულ პრესაში, თბილისი, თსუ.

ჩხარტიშვილი 2004: ე.დ. სმითი. ნაციონალიზმი თეორია, იდეოლოგია, ისტორია, თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა, თბილისი.

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში, ივერია და მისი მკითხველი საქართველო*, თბილისი, უნივერსალი.

ჭიჭინაძე 1913: ზ. ჭიჭინაძე. ოსეთის ისტორია ქართულის ისტორიულის წყაროებით, სურათებით, აღწერილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძის, ტფილისი.

დროება 1876: „დროება“, №128.

დროება 1882: „დროება“, №272.

დროება 1883: „დროება“, №234.

დროება 1883: „დროება“, №253.

დროება 1884: „დროება“, №167.

დროება 1884: „დროება“, №217.

დროება 1884: „დროება“, №219.

ივერია 1877: „ივერია“, №12.

ივერია 1877: „ივერია“, №13.

ივერია 1887: „ივერია“, №97.

ივერია 1888: „ივერია", №98.
ივერია 1888: „ივერია", №165.
ივერია 1888: „ივერია", №211.
ივერია 1888: „ივერია", №239.
ივერია 1889: „ივერია", №30.
ივერია 1889: „ივერია", №71.
ივერია 1889: „ივერია", №253.
ივერია 1893: „ივერია". №58.
ივერია 1894: „ივერია", №12.
ივერია 1894: „ივერია", №138.
ივერია 1894: „ივერია", №192.
ივერია 1895: „ივერია", №97.
ივერია 1897: „ივერია", №130.
ივერია 1901: „ივერია", №76.
ივერია 1902: „ივერია", №253.
ივერია 1903: „ივერია", №264.
ივერია 1903: „ივერია", №265.
ცნობის ფურცელი 1902: „ცნობის ფურცელი", №1697.

OSSETIANS AND GEORGIAN IDENTITY IN THE PRINT MEDIA ("DROEBA", "IVERIA", "TSNOBIS PURTSELI")

Ketevan Mania

In the second half of the nineteenth century, the Russian government threatened the Georgian identity. Colonialism was strongly directed towards the division of Georgian territories. To achieving their goal, the people who were native Georgians and during the centuries have been lived in various historical regions of Georgia, the Russian government has announced as representatives of different nations. Thus, was created the so-called South Ossetia on the territory of historic Samachablo.

The study presents Ossetians and the history of Georgian identity through the print media representation (*Droeba, Iveria, Tsnobis Purtseli*).

By observing numerous and diverse facts, the Georgian print media propagated and carried out a general campaign to protect the territory, language and religion. It took special care to raise the level of education, for this purpose it was supported all the initiatives aimed at opening parish schools. It tried to confirm the historical existence of the common Georgian culture by representing the Georgian cultural monuments. With wide discussions about the importance of memory sites, the media stirred up national sentiments among readers and called on them to protect cultural monuments. Through such activities, it helped Samachablo to strengthen the sentiments of unity with the rest of Georgia.

რელიგიური სასამართლო: წარმართული, ქრისტიანული კანონიკური და მუსლიმური სამართალი შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში

ბექა მგელაძე

შუა საუკუნეების საქართველოში ხალხურ-რელიგიური სასამართლოს პარალელურად საეკლესიო-კანონიკური სამართალიც არსებობდა. მასში ცალკეული მუხლის სახით ასახული იყო თითქმის ყველა ის სამართლებრივი პრობლემა, რომელსაც საზოგადოებაში ჰქონდა ადგილი. ჩვენამდე მოაღწია განვითარებული შუა საუკუნეების კანონიკური სამართლის ფრაგმენტებმა და გვიანი შუა საუკუნეების საეკლესიო კრების ძეგლის წერამ – კათალიკოსთა სამართლის წიგნმა, სადაც სამართლის ის პუნქტებია წარმოდგენილი, რომლის საფუძველზეც ესა თუ ის პირი რელიგიურად სამართლდებოდა. მათგან მნიშვნელოვანია წყევლა („კრულ და წყეულ“) და შეჩვენება („შეჩუენებულ იყავნ“), ღალატით მკვლელობა, განდევნა და გადახვეწა, სასჯელი ქალის მოტაცებისა და ქურდობისათვის, მოციქულთა და წმინდანთა კრებები, რომლებიც კანონებში იყო მოქცეული.

ივანე ჯავახიშვილმა დაადგინა, რომ კანონიკური სამართალი ფრაგმენტის სახით ბექა-აღბუღას სამართალს თან ერთვოდა (ჯავახიშვილი 1928: 63-70). საეკლესიო მსჯულდებლობის ფრაგმენტი სხვა არაერთ საინტერესო სასჯელსაც ითვალისწინებდა. ყველგან სანქცია იყო ის, რომ დამნაშავე „კანონსამცა ქუეშე იქნების წმიდათა მოციქულთასა“, რაც ერთგვარად კანონიკური სამართლის ფორმულასაც წარმოადგენდა. იგი განვითარებული შუა საუკუნეების სამართლის წიგნებისაგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ თითოეულ მუხლში კანონით განსაზღვრულ ძირითად სასჯელს დართული ჰქონდა დამნაშავისადმი წყევლა-კრულვა და შეჩვენება. დამნაშავის წყევლა-კრულვა, მოციქულთა და წმინდანთა კრებათა კანონების ქვეშ დაყენება, ამ კანონებს განსაკუთრებულ საეკლესიო ელფერს აძლევდა, რაც საერო სამართლის ძეგლებს არ ახასიათებდათ (დოლიძე 1953: 60-63). წყევლა-შეჩვენების ჩვეულებები, რომლებიც ძველ საქართველოში გამოხატული იყო ტერმინებით – წყეული, კრული, შეჩუენებული, როგორც ჩანს, წარსულში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული (დოლიძე 1953: 343-344).

რელიგიურ სამართალში გამოკვეთილი ადგილი ეკავა მუხლს, რომელიც მკვლელობისათვის პიროვნებას გადახვეწას ავალდებულებდა. პიროვნების გადახვეწაც კრულვასთან და შეჩვენებასთან კავშირში იყო წარმოდგენილი. გარდახვეწა, ეს იგივე პიროვნების ახლობელთა წრიდან გაძევება იყო, რომელსაც დამნაშავეს ხალხური-საადათო სამართალიც უწესებდა. ამის შესახებ საუბარია ბექას კანონების 22-ე და კანონიკური სამართლის 161-ე მუხლებში. ამ მუხლების თანახმად:

> თუ ძმამან ძმა მოკლას, – ერთ-სახლი და გაუყოფელი იყოს, და თუ გაყოფილი იყოს, სწორი და გინა ახლოს მეყვისი, – ორი კეცი სისხლი დაუურვოს, რაც გვარისა იყოს, ამად რომე საღმთოდ ბრალია და საკანონო არის ასკეცი. და აგრეთვე ამა სოფელს ძლიერა ინახვის კაცთაგან. აიღოს, ვინცა გავლენილი იყოს, ქედთა გარე ყოფა და გარდახვეწა. პატრონისა და ლაშქართაგან გარდახდევასა არვისგან მოწყენება უნდა. ებისკოპოზმა მისი წესი იცის, რაც მართებს, მან უყოს (დოლიძე 1953: 294-295, B. მუხლი 22).

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის ამ მუხლში კანონი მკვლელს ორკეცი სისხლის დაურევებას, მამულის ჩამორთმევასა და გადახვეწას უწესებს, თუმცა კანონი დამატებით სასჯელსაც ითვალისწინებს, რაც რელიგიური სამართლის საფუძვლებიდანაა აღმოცენებული. ეპისკოპოსს ცოდვის მოსანანიებლად დამნაშავისათვის საეკლესიო სასჯელი უნდა შეეფარდებინა. მკვლელი დასახლებიდან გაძევებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამით იგი სიცოცხლეს ინარჩუნებდა, კანონიკური სამართლის 161-ე მუხლის თანახმად კი მკვლელს, როცა ორკერძ სისხლს გადაახდევინებდნენ, მას შემდეგ შეაჩვენებდნენ. შეჩვენებულს ვერავინ ვერ მიეკარებოდა, მისთვის არავის არ უნდა ეშველა და თუ ვინმე მფარველობას აღმოუჩენდა, ისიც წყეულ-შეჩვენებული იქნებოდა, დაახლოებით ისე, როგორც სამხრეთ საქართველოს არც თუ ისე შორეული წარსულის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოკვეთილს – თემიდან განდევნილს ეპყრობოდნენ. ისიდორე დოლიძის დასკვნით, 22-ე, 117-ე და 161-ე მუხლებში

ერთისა და იმავე ხასიათის დანაშაულისათვის სამი სხვადასხვა ტიპის სასჯელია გათვალისწინებული, შესაბამისად, მითითებული მუხლებიც სხვადასხვა დროის საკანონმდებლო მოღვაწეობის ნაყოფი უნდა იყოს (დოლიძე 1953: 61-62).

ცოლის მოტაცებაც რელიგიური-კანონიკური სამართლით დასჯადი ქმედება იყო და სასჯელად კრულვას, წყევლასა და შეჩვენებას ითვალისწინებდა. კანონიკური სამართლის 165-ე მუხლი კონკრეტულად ეხება ცოლის ძალით მოტაცებას: „რომელმან კაცმან ვის გინდა მისი გუირგუინ-ნაკურთხი ცოლი წაუღოს, სრული სისხლი დაუურვოს, რაჲსაცა გუარისა იყოს. კრულ და წყეულ და შეჩუენებულ პირითა ღმრთისაჲთა და კანონსამცა ქუეშე იქმნების წმიდათა მოციქულთასა!“ (დოლიძე 1953: 343).

ამის შესახებ ბაგრატ კურაპალატის სამართლის 135-ე მუხლშიცაა საუბარი, ოღონდ მას კრულვა-შეჩვენების ფორმულა არ ახლავს: „თუ კაცმან კაცსა ცოლი წაუღოს, სრული სისხლი“ (დოლიძე 1953: 62, 339).

ამდენად, სამართლის მუხლებიდან ნათლად ჩანს, რომ ორივე საკანონმდებლო მიმართულება – კანონიკური და საერო, ხშირად, ერთნაირ სასჯელს აწესებდა: დამნაშავეს დაზარალებულისათვის სრული სისხლი უნდა დაეურვებინა, რაც მათ კავშირურთიერთობას ამტკიცებდა, მაგრამ მკვლევართა დასკვნით, განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ კანონიკური სამართლის 165-ე მუხლი დამატებითი სასჯელის სახით აქაც მეტად მძიმე სასჯელს, წყევლა-კრულვასა და შეჩვენებას ითვალისწინებდა (დოლიძე 1953: 62).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფაში წარმართული სამართლებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებებიდან წყევლისა და შეჩვენების რიტუალი XIX საუკუნის ბოლომდე იყო შემორჩენილი და იგი უდავოდ რელიგიური სასამართლოს ელემენტებს შეიცავდა. მკვლელობაში ანდა ქურდობაში ეჭვმიტანილის გამოსატეხად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან აჭარაში სცოდნიათ ე. წ. *ბედვა* – საჯაროდ წყევლა. დაზარალებული ნათესაური ჯგუფის წინაშე თუ დამნაშავის ფიცი ვერ გაჭრიდა, შემდგომ *ბედვა* იწყებოდა. აჭარელთა რწმენით, ნაბედვარი კაცი ვერ გაიხარებდა. ხინოში ბედვას „ამოყინვას“ უწოდებდნენ. *ამოყინვა* (/*ბედვა*) – დამნაშავის გადაცემა სოფლის ცენტრში, საზოგადოებრივი თავყრილობის მოედანზე, პარასკევს, მუსლიმთათვის სალოცავ დღეს, ე. წ. „ჯუმა დღეს“ იწყებოდა. მას სოფლის თავკაცები ხელმძღვანელობდნენ. საჯაროდ ხმამაღლა წარმოსთქვამდნენ: „ვინც მკვლელის ვინაობა იცოდეს და არ გამოაცხადოს, დაწყევლილი იქნესო“. ამის საპასუხოდ უდანაშაულონი ერთხმად იტყოდნენ – „ამინ, გაიგოს ღმერთმაო“ (მგელაძე 1984: 59). ტერმინი *ამოყინვა*, რომელიც ხინოს ხეობის მოსახლეობამ ეთნოგრაფიულ ყოფაში დიდხანს შემოინახა. განვითარებული შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოში „მოყიენების“ სახელწოდებით იყო ცნობილი. სიტყვა *მოყინვება*, რომელიც ბექას სამართალში გვხვდება და პატივის ახდას, სახელის გატეხვას, საქვეყნოდ შერცხვენას ნიშნავს (დოლიძე 1955: 360), სისხლის საზღაურთან კონტექსტშია წარმოდგენილი და, რიგ შემთხვევაში, მისი ამოსავალი ჩვეულებით სამართალშია საძიებელი. ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 19-ე და 23-ე მუხლებში ნათქვამია:

> თუ კაცი კაცსა მოერიოს, გამარჯვება ეყოფის და თანა ნურას ნაიტანს. თუ მოაყიენოს და შეარცხვინოს, სისხლისა ნახევარი მისცეს, და აბჯარი და ნაძარცვ სრულად მისცეს და გერში, როგორიცა ანდეს. და რამთენიცა ყმა პატიმრად მიეტანოს, მისიცა ნახევარ[ი] სისხლი მისცეს (დოლიძე 1953: 293-294 A. მუხლი 19).
>
> თუ დედა-წულმან დედანულისა ცოლსა უარშიო უყოს და მოაყივნოს, – გინა ნებითა, გინა უნებლიეთა, – და განმჟღავნდეს, გინა მეყსისაგან, დაუურვოს ცოლის ქმარსა, სრული სისხლი მისცეს და ბატონმა მისმან ნიფხავით ოდენ შიშველი და ყელ-საბლიანი უბანთა ზედა განჭირებული მოაელოს. იმ ცოლის კუროს თუ ერჩიოს, იყიდოს მისი სისხლი, ორად შეკეცოს, რომლისაცა გუარისა იყოს, ამად რომე მინდობილნი არიან სისხლითა და ჴორცითა (დოლიძე 1953: 295, A. მუხლი 23).

ხალხურ სამართლებრივ სივრცეში წყევლისა და შეჩვენების გვერდით ყურადღებას იქცევს ეთნოგრაფიულად ხელმისაწვდომ პერიოდამდე შემონახული ჩვეულება – ფიცი და დაფიცების წესი, რომელსაც სხვადასხვა ხასიათის დანაშაულის დასადგენად თუ ერთგულების განსამტკიცებლად მიმართავდნენ. ფიცი, როგორც „წესი სამართლისა“, ძველ საქართველოში მტკიცებულების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენდა: „ხოლო წესნი სამართლისა და შერისხვისათჳს აქუნდათ: სისხლი, ჴრმალი, შანთი, მდულარე და ფიცი“ (ლომოური, ბერძენიშვილი 1941: 1).

ვახუშტი ბატონიშვილის „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ მოგვითხრობს, რომ ფიცის დადების წესი ქართველებისთვის უძველესი დროიდან იყო ცნობილი და მას ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში სამართლებრივი აქტების დროს გამოიყენებდნენ. ამასთან, გვიანი შუა საუკუნეების ფიცის

გამომწვევი მიზეზების გვერდით იგი დანაშაულისათვის სასჯელებს აღწერდა:

> ხოლო ფიცი მამულის ცილებისათჳს და სხჳთათჳსცა. დააფიციან მოწმითა რაოდენნი შეხუდის, ხოლო ქურდსა, ავაზაკსა და მძარცველა ერთისა წილ შჳიდი მიაცემინიან და, უკ(ა)თუ ვინ მესამედ პყო, აღმოხდიან თჳალთა და მცირედისათჳს მოჰკუ(ა)თიან ფერჴნი. კვალად, უკ(ა)თუ ვინ იხადის მახვილი ბჭესა მეფისასა ანუ ერისთავსა ზედა და წარჩინებულთა, მოჰკუ(ა)თიან ჴელნი, და სხჳანიცა მრავალნი იყუნენ (ლომოური, ბერძენიშვილი1941: 15-16).

რადგან ფიცი სასამართლო მტკიცებულებას წარმოადგენდა, ბუნებრივია, რომ იგი შუა საუკუნეების საქართველოს ყველა სამართლის ძეგლშია მოცემული, შესაბამისად, ჩვეულებით სამართალშიც ფიცი ერთ-ერთი ძირითადი იურიდიული რგოლი იყო. განვითარებული შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სინამდვილის ამსახველ სამართლის ძეგლებზე დაყრდნობით, ფიცთან დაკავშირებულ ტერმინებსა და ფორმულებს ისიდორე დოლიძე ამ ძეგლებზე თანდართულ ლექსიკონში თანმიმდევრობით გადმოგვცემდა, მაგალითად. „ფიცი ულონიოდ ნესია“: ფიცი უცილობლად სჭირდება, საჭიროა (დოლიძე 1953: 327, B. მუხლი 85), „ფიცით მინახვედრები“: ფიცით ნაჩვენები, დადასტურებული (დოლიძე 1953: 316, A. მუხლი 65), „ფიცით გამოიჩინოს“: ფიცით აჩვენოს, დაამტკიცოს, დაიფიცოს (დოლიძე 1953: 299, A. მუხლი 33), „ფიცსა შინა დასახელება უნდა“: ფიცისათვის საჭიროა მოფიცრის დასახელება (დოლიძე 1953: 302, A. მუხლი 37). წინადადებაში ისინი ხშირად სხვადასხვა სახით გვხვდება: „ფიცოს“ („სამართლებრივად სჯობს, ფიცოს უქნელობა“, „და ვერ ფიცოს“), „შეფიცოს“ (თავის სამართ[ლ]ებლად თუ შეფიცოს). „ფიცის“ გვერდით, იქვე, ყურადღებას იქცევს ტერმინები მოფიცი და მოფიცარი. მოფიცი („დაუსახელებელნი მოფიცნი“) გვარისეულ მოფიცრებს, მოწმე გვარისკაცებს გულისხმობდა, ხოლო მოფიცარი („დასახელებულნი მოფიცარნი“) – გარეშე მოფიცრებს, ნაფიც მოწმეებს (დოლიძე 1953: 353, 360):

> მრავალნი საქმენი ასეთგუარნი არიან, ზოგს[ა] საქმე[სა] შიგან დასახელებულნი მოფიცარნი უნდან, რომე ბრჭეთ შეუსხენ. და ბჭეთაგან კარგა გამონახვა უნდა. იქმნას ისეთიცა კარგი საქმეცა, ზოგნი დაუსახლებელნი უნდან მოფიცარნი (დოლიძე: 288, A. მუხლი 4).
> [...] და ალაფისა ფიცი ლაშქართა მართებს. თუ მძიმე ალაფი იყოს, ფიცი მძიმე უნდა. და ფიცსა შინა დასახელება უნდა (დოლიძე 1953: 301-302, A. მუხლი 37).
> [255] [...] მრავალგუარნი ასეთნი საქმენი არიან. ზოგსა საქმესა შიგან რომელნიმე დასახელებულნი მოფიცარნი უნდან, რომე ბჭეთა შეუს[ა]ხნენ, და ზოგსა – დაუსახელებელნი. და ბჭეთაგან კარგა გამონახვა უნდა. იქნების ესეთისა კარ[გ]ისა საქმესაცა ზოგნი დასახელებულნი უნდან და ზოგნი დაუსახელებელნი მოფიცნი (დოლიძე 1953: 288, B. მუხლი 4).
> [...] ფიცითა ალაფსა ლაშქართა მართებს და, თუ ორთავე სწორედ ერბიოს თავისათვის დაიფიცონ ალაფი. [260] თუ მძიმე ალაფი იყოს, მძიმეცა ფიცი უნდა; ფიცსა შიგა დასახელებული და დაუსახელებლები მოფიცართა ნესია (დოლიძე 1953: 301-302, B. მუხლი 37).

უნდა განვასხვავოთ ფიცის ორი სახეობა: ფიცი, როგორც სასამართლო მტკიცებულება და პროცესუალური ფიცი. მტკიცებულებითი ფიცი უფრო ჩვეულებით სამართალში იყო წარმოდგენილი, რაც მისი წარმოშობის ფესვებზე მიუთითებს. პროცესუალური ფიცი კი, უპირატესად, მრავალფეროვან სამედიატორო სასამართლოში იჩენდა თავს. აქედან გამომდინარე, სამართალმცოდნეები ერთმანეთისაგან მიჯნავენ „ტოლობის ფიცსა“ და „ერთგულების ფიცს“. ერთგულების ფიცი მხარეთა ფიცი იყო, რომლითაც თანხმობა ცხადდებოდა, რათა გადაწყვეტილება აღსრულებულიყო, რომელსაც უყოყმანოდ უნდა დამორჩილებოდნენ. საინტერესოა დაზარალებულის პირობაც: „ფიცის ერთგული ვიქნებით მანამდე, ვიდრე ჩვენი ყურით არ გავიგონებთ დამნაშავე მხრიდან დაცინვას და აბუჩად აგდებას უსისხლოდ შერიგებაზე“. ეს იმას ნიშნავს, რომ შურისძიების წმინდა მოვალეობაზე უარის თქმა და შერიგება ერთგვარად უხერხულობად აღიქმებოდა. ამიტომ, დაზარალებული დამნაშავეს წინდაწინვე აფრთხილებდა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მისი გრძნობების შეურაცხყოფას, ამასთან, საგანგებოდ უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ მხოლოდ „საკუთარი ყურით“ გაგონილს დაუჯერებდა და არა ვინმეს ნათქვამს (კეკელია 1979).

განვითარებული შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ფიცს, როგორც მტკიცებულების ანდა დანაშაულში ბრალდებულის გამოტეხვის საშუალებას როგორც რელიგიური კანონიკური, ისე საერო ფეოდალური სასამართლოც მიმართავდა. მაგალითად, ფიცს ადგილი ჰქონდა ცოლთან სხვა მამაკაცის მიუღებელი დამოკიდებულების, ვთქვათ, „აშიყობისა“ და „წაგვრის“ დროსაც, სადაც საზღაურის პროცესში გათვალისწინებული იყო სოციალური მდგომარეობა, სო-

ციალურ იერარქიაში დაზარებულის ადგილი. განვითარებული შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოს სამართლის ძეგლებში დაფიცების წესი ქრთამის აღებ-მიცემასთან დაკავშირებითაც ხშირად ფიგურირებს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსათვის ქრთამი, როგორც დანაშაულის ერთ-ერთი სახეობა, არ იყო უცხო (ჯავახიშვილი 1929: 181, 216); (აბრამიშვილი 2008). ბექა-ალბუღას სამართალში ქრთამი გაგებულია, როგორც „ქრთამის აღება ბჭისგან", „მოსამართლის მიერ ქრთამის აღება", „საურავისათვის ქრთამი", „გასამრჯელო განსაგებელთა მოვლისა და ზრუნვისათვის", „ქრთამის ქადებისათვის", „ქრთამი დაპირებისათვის" (დოლიძე 1953: 371). ფიცს, როგორც მტკიცებულებისა და გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს, ამ შემთხვევაშიც ჰქონდა ადგილი. განვითარებული შუა საუკუნეების რელიგიურ–კანონიკური სამართალში, განსაკუთრებული ადგილი ეკავა ისეთ იურიდიულ მუხლებს, რომლებიც ქურდობას ეხებოდა, თუმცა იგი არანაკლები მნიშვნელობისა იყო საერო სასამართლო სისტემაშიც. კანონიკური სამართლის 167-ე მუხლში კონკრეტულადაა საუბარი ქურდობის სახეობებსა და სასჯელის ფორმებზე. ქურდობა სახელმწიფო სამართლის წიგნებში საგანგებო ადგილს იკავებს, რაც ამ დანაშაულის შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში მის შესაძლო სიხშირეზე უნდა მეტყველებდეს. ამიტომ. აქაც ფიცს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ფიცი გამოიყენებოდა იმ დროსაც, როცა კაცი კაცს ქურდობას დააბრალებდა (დოლიძე 1953: 297, 327, 328, 344).

შუა საუკუნეების საქართველოში ხდებოდა ისეც, რომ საქარავნო-სავაჭრო გზებზე, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მეთვალყურეობას ექვემდებარებოდა, „კაცთა უკეთურთაგან" თავდასხმები ეწყობოდა, რაც „ქარავნის ძარცვად" – ქარავანთა ქურდობად აღიქმებოდა, რაც დასჯადი საქციელი ყოფილა. ამიტომ იყო, რომ მათ მიერ მექარავნეთა აყვანას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ყველგან და ყოველთვის უცნობ, ხანგრძლივ და დამქანცველ გზებზე მოგზაურობის პირობებში საქართველოში მექარავნეებს მეგზურები სჭირდებოდათ. მეგზურები საჭირო იყო არა მარტო გზის გაკვლევისათვის, არამედ უსაფრთხოებისათვისაც (მგელაძე და *სხვები* 2019: 300-301); (მგელაძე, ნარიმანიშვილი 2020: 74-75). ეს ფაქტი კარგადაა ასახული ადრე შუა საუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ჩორჩანის „ქვეყნისა" და მისი მიმდებარე მიწა-წყლის ამსახველ ბასილ ზარზმელის თხზულებაში – „ წმ.სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება". სისხლის სამართალი მარტო მპარავსა და ქურდს კი არ სჯიდა, არამედ პასუხისმგებლობას ნაპარავის მიმთვისებელსა და შემნახველსაც აკისრებდა (გოგოლიშვილი 2011: 94), შესაბამისად, ამ ტიპის დანაშაული კონკრეტულად იყო გათვალისწინებული ბექა ათაბაგის სამართალშიც, სადაც ფიცს, როგორც მტკიცებულების ერთ-ერთ ფორმას, განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ამაზე ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის 65-ე მუხლიც თვალნათლივ მიუთითებს:

> თუ ქარავანსა ქურდად თავსა ზედა დასხმასა შიგა წაჴდომილი იცნას კაცმან, თუ ესე ფიცოს მან სხვამან კაცმან, რომე იგი ქურდად არა ყოფილიყოს, თავის მეტს არას ემართლების. [...] და თუ ვერ შეფიცოს, რასაც წაჴდომილსა პატრონი იფიცავს, ყველა უზლოს ამა კაცმან. [...] თუ თავადად იგი კაცი ყოფილიყოს და თავ-ლაშქარი ყოფილიყოს, რაცა მისი ალაფისაგან ფიცით მინახვედრებ თქვას, იგიცა ეზლოს უკლებლად (დოლიძე 1953: 316, B. მუხლი 65).
> თუ ქარავნისაგან ქურდმან ნაუღოს რამე, მერმე მან მისი იცნას სხჳს[ა] კაცის[ა] ჴელთა, დაიფიცოს მან კაცმან, რომე ქურდი არ[ა] ყოფილიყოს თავის მეტს[ა] არას ემართლების (დოლიძე 1953: 316, A. მუხლი 65).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ფიცს ადგილი ჰქონდა არა მარტო ქურდობაში ბრალდებულის მიმართ, არამედ მინაზე დავების დროს (ზოიძე 1989); (ზოიძე 1991: 49-50); (ზოიძე 1996: 76). გარდა ამ კატეგორიის დანაშაულებებისა წარსულში ფიცი ფიგურირებდა სისხლ-მესისხლეობის პროცესშიც. იგი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის სისხლ-მესისხლეობის ინსტიტუტისათვისაც იყო დამახასიათებელი, რომელსაც უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ, როცა სხვა გამოსავალი არ არსებობდა. თუ მკვლელი მალავდა თავის ვინაობას, მოსისხლე იძულებული ხდებოდა მორწმუნეებს დაყრდნობოდა. დაზარალებულის ნათესაური ჯგუფი ჭირისუფლების თანდასწრებით ეჭვმიტანილს სიმართლის გასაგებად საზოგადოებრივი თაეყრილობის ადგილას აფიცებდა და თან ეუბნებოდნენ: „თუ არა ხარ მქნელი, ქითაბს დაადევი ხელიო". დაფიცების ყველას ეშინოდა და ფიცის დამდებმა მკვლელის ვინაობა თუ იცოდა, ღვთის შიშით ამას ვერ დამალავდა. თუ ჭირისუფალი დამფიცებელს შეატყობდა, რომ მან იცოდა მკვლელის ვინაობა და ცდილობდა ეს დაეფარა, მაშინ მასაც უმტრობდნენ. ლენგინოზ ბოჭორიშვილსა და ნუგზარ მგელაძეს საველე-ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების პროცესში დაუმოწმებია დაფიცების წესი არა მარტო „ნუსხაფზე" (ქსე 1984: 488), არ-

ამედ პურზე და მჭადზეც (ბოჭორიშვილი 1976: 155); (მგელაძე 1984: 57-59), რაც ადათობრივი სამართლის უძველესი ნორმების შესწავლის თვალსაზრისით თავისთავად საყურადღებო მხარეა. მჭადზე დაფიცების ჩვეულება, რომელიც გამოითქმებოდა „დაიკავე მჭადი ხელშის“ სახით, უტყუარი სიმართლის გამომხატველი გამოთქმა იყო (ნოლაიდელი 1976: 75). სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს გარდა დაფიცების რიტუალი აღმოსავლეთ საქართველოშიც დასტურდება. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, ხანდოს თემში დამოწმებულია სათემო შეკრების ადგილი, ე. წ. საფიცარი, სადაც ეჭვმიტანილს აფიცებდნენ. საფიცართან მდებარეობდა სოფელ წინამხრის კუთვნილი სალოცავი, რომელსაც „ადგილდედას“ ეძახდნენ. სალოცავების შიშით საფიცართან სიცრუეს ერიდებოდნენ, მაგრამ ეჭვმიტანილი თუ მაინც ტყუილს იტყოდა და დაზარალებულები ამას შეამჩნევდნენ, მაშინ მას ხარს დაუკლავდნენ (მგელაძე 1984: 59). ფიცის საფუძველზე „ჯარ-ქვაბით შეყრა“ თუ „ხარ-ქვაბით შეფიცება“ – უცხო თემის წევრის გვარში მიღება ხევსურებისათვის დამახასიათებელი ტრადიცია იყო (ხარაძე 1948). ფშაური „ჯარით გაფიცვის“ დროსაც მოსული, უმრავლეს შემთხვევაში, დამხვდურის – „უნჯის“ („მკვიდრის“) გვარს ღებულობდა (ერიაშვილი 1982: 21). აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, ხევსურეთში მკვლელობის დროს მედიაციის პროცესში დიდ როლს შეფიცული შუამავლები ასრულებდნენ. თუ ნაფიც მედიატორთა დიდი ღვაწლითა და მეცადინეობით საქმე იქამდე მივიდოდა, რომ დამნაშავე თავის დანაშაულს აღიარებდა, მას ბრალდება დაუმტკიცდებოდა, ამის მერე, უკვე მუშაობა იმ მიმართულებით მიდიოდა, რომ სასჯელის მოხდის შემდგომ დაზარალებული მხარე – მოკლულის ჭირისუფალი, დამნაშავის შერიგებაზე დაეყაბულებინათ, რათა სისხლის აღება არ გაგრძელებულიყო. ამდენად, როგორც ირკვევა, ფიცი მხოლოდ იმ დროს გამოიყენებოდა, როცა ობიექტური გამოძიებისთვის სხვა მასალები არ არსებობდა. ასეთ შემთხვევაში, ბრალდებული თავის მართლების მიზნით ფიცს დებდა, რომ ის არ იყო დამნაშავე. ამგვარი ფიცის დადებას, ბუნებრივია, დიდი შიში და კრძალვა ახლდა. მორწმუნეს მხრიდან ფიცის გატეხვა მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა. ფიცის დადება მნიშვნელოვანი იყო იმ ვითარებაშიც, როცა რომელიმე დავა ხალხური სამართლის მიხედვით დასრულდებოდა, რათა მოდავე ოჯახს შორის საბოლოო მშვიდობას დაესადგურებინა (გუჯეჯიანი 2014).

როგორც ვხედავთ, ფიცი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა იმ სფეროში იჩენდა თავს, სადაც ჩვეულების საფუძველზე სამართლებრივი მოტივაციის აუცილებლობა იდგა. ეს ეხებოდა მოსამართლეებს, მოლაშქრეებს, ბრალის დამდებსა და დანაშაულში ბრალდებულს, რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლებს. სვანთა და ხევსურთა სათემო ცხოვრებაში ფიცის მრავალფუნქციური ბუნება ყველაზე ნათლად იკვეთება. ასეთივე სურათი გვაქვს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მაგალითად, ფიცთან დაკავშირებული არაერთი ჩვეულების გვერდით იგი სამხედრო მოლაშქრეთა შორის და სოციალურად დაწინაურებულ ფენებსაც ეხებოდა. მაგალითად, წარსულში ოლქას – სხვადასხვა თემის წარმომადგენლებისაგან შექმნილ შეიარაღებულ რაზმს აჭარის ბეგობა ისე შეუშინებია, რომ ფიციც კი ჩამოურთმევიათ, რომ ისინი სოფლის გაღარიბებულ მოსახლეობას არ შეავიწროებდნენ (ჭიჭინაძე 1916: 21-22). ფიცის დადებისათვის ტერიტორიულ არეალს, რომელიც სათავეს ქრისტიანობამდელ წარმართულ წარსულში იღებს, როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ხშირად, ხატებისა და ეკლესიების მიდამოები წარმოადგენდა. ძველი ქართული იურიდიული ხასიათის წიგნებშიც ასახულია დაფიცების ისეთი სიუჟეტები, რომლებიც არა მარტო სამართლებრივი თვალსაზრისით, არამედ ეთნოლოგიურადაც უაღრესად საყურადღებოა, მაგალითად ისეთი, როგორიც იყო ხატის ნაბანი წყლით ფიცი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, როგორც მიჩნეულია, ქართული სახელმწიფო სამართალი უძველესი ტრადიციების მქონეა, შესაბამისად, პირველი დოკუმენტი, რომელიც ქართული სამართლის შესახებ გვაქვს, სწორედ ფიცზე გვესაუბრება. ეს არის ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში ჩადებული ძველი სამართლის ფრაგმენტი, რომელიც ხატის ნაბანი წყლით შესრულებულ ფიცზე ამახვილებს ყურადღებას. თავისთავად, ეს ფაქტიც ძალიან საინტერესოა, თუნდაც იმ მხრივ, რომ მოგვითხრობს, ჩვენს დროშიც კი ცოცხალი ტრადიციის, ხატის ნაბანი წყლით ფიცის დადების შესახებ და მიანიშნებს ამ ტრადიციის უძველეს წარმომავლობაზე. იგი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ რაც დღეს ყოფაში ჩვეულებითი, ხალხური სამართლის სახით არის შემორჩენილი, ოდესღაც ქართული სახელმწიფო სამართლის ნაწილი ყოფილა (გუჯეჯიანი 2014). ქართული, უპირატესად, დასავლურ-ქართული ტრადიციული საზოგადოების ჩვეულებით სამართალში დამნაშავის გამოტეხვის მიზნით თითქმის XX საუკუნის მიწურულამდე ცნობილი იყო ეჭვმიტანილის ხატზე გადაცემა და ხატში დაფიცება, რომლის პარალელურად ქართველებმა იცოდნენ საფლავზე ფიცი (მაკალათია 1984: 99); (თოფჩიშვილი 2006: 117); (თოფჩიშვილი 2008: 260). დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გურიაში – შუა სურებში „ლომისკარელის“ ეკლესიაში დასვენებულ ხატზე ე. წ. „პაპაჯვარზე“ ადრე

დანაშაულში გამოსატეხ პირს აფიცებდნენ. დაფიცებას მღვდელი ანყობდა (მგელაძე 1983). დასავლეთ საქართველოში – გურიაში ხატზე გადაცემა სოფელ ნოღაშიც (ჩოხატაურის რაიონი) სცოდნიათ. პიროვნებას დანაშაულს თუ მიუხვდებოდნენ, მაშინ დაზარალებულის უახლოესი ნათესავები ეკლესიაში ხატთან ახლოს ლურსმანს მიაჭედებდნენ. გადმოცემით, ამის შედეგად დამნაშავე „ჯავრით" მოკვდებოდა (გოგიტიძე/გოგიტაძე 1983). ეს წესი მკაფიოდ იყო წარმოდგენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ისე საქართველოს სხვა კუთხეებში, ეთნოგრაფიული წყაროებით, თემის თავყრილობისა და ფიცის დადების ადგილი, უპირატესად, სალოცავები – ხატები და ეკლესიის მიდამოები იყო. ასე იყო იმერეთში, გურიაში, სამეგრელოსა და აჭარაში. განსაკუთრებით საინტერესო ფორმებს იგი სვანეთში ატარებდა (ხარაძე 1953: 166-167, 169-171, 189, 199), სადაც თემის მშვიდობიანი განვითარებისათვის აუცილებელ სამართლებრივ პროცესში დიდი იყო დაფიცებისა და ხატ-სალოცავების როლი, სადაც მკვლელობაში ბრალდებული და ბრალმდებელი თავ-თავიანთ ნათესავებს შეკრებდნენ და სასამართლო გადაწყვეტდა, რომ ორივე მხარეს დაეფიცა. ფიცის სანდოობა უფრო უტყუარი რომ გამხდარიყო, მხარეები ერთმანეთს ექვსექვს ანდა თორმეტ-თორმეტ მოფიცარს დაუსახელებდნენ, რომლებიც ფიცის დამდებთან ერთად, ფიცს თვითონაც დებდნენ. სვანეთში ზოგჯერ, მთელი მოდგმა იფიცებდა. ასეთ შემთხვევაში, თავის გამართლების დროს, მამაკაცი თავის ტერფებზე მცირეწლოვან ვაჟიშვილს დაიყენებდა და მთელი თავისი ჩამომავლობით ფიცში შედიოდა, რომ ტყუილის შემთხვევაში არა მარტო თვითონ, არამედ მემკვიდრეობითი ხაზით მთელი მისი მოდგმა დასჯილიყო. ეს იყო მძიმე ფიცი (გუჯეჯიანი 2014). განვითარებული შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოს სამართლებრივ ძეგლებში მოხსენიებულ „დაუსახელებელ მოფიცნთან" ამ მხრივ ტიპოლოგიური კავშირი უდავოდ საინტერესოა. შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოში არსებულა „დასახელებულნი მოფიცარნი" – გარეშე მოფიცრები, ნაფიცი მოწმეები და „დაუსახელებელნი მოფიცნი" – გვარისკული მოფიცრები, მონმე გვარისკაცები, ე. ი. დამფიცებლები იყვნენ გვარის წევრები – სახლიკაცები (დოლიძე 1953: 353, 360). ფიცის დროს ნათესავების როლი და ხატში დაფიცების ჩვეულებათა თავისებურებები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის ჩვეულებით სამართალშიც თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი, რაც, მაგალითად, ხევსურეთში არა მარტო სისხლ-მესისხლეობის პროცესში, არამედ, უმთავრესად, საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად, მიწის მიჯნების თაობაზე დავისას, ცილისწამებისას, ქურდობასთან და მრუშობასთან დაკავშირებით იჩენდა თავს (მაკალათია 1984: 99). ამდენად, ტყუილ-მართალის გარკვევის მიზნით დაფიცების ჩვეულება მხოლოდ ეთნოგრაფიული საქართველოსათვის დამახასიათებელი ლოკალური თავისებურება კი არ ყოფილა, არამედ, როგორც წერილობითი წყაროებიდან დავინახეთ, წარსულში იგი ქართული სამართლებრივი ძეგლებიდანაც კარგად იყო ცნობილი. წერილობით წყაროებიდან აშკარად ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კუთხეებიდან, მაგალითად, სამცხეში, ძველად დაფიცების მომწყობთა როლში ჩვეულებრივ ნათესავები ანდა სახლის კაცები გამოდიოდნენ (დოლიძე 1953: 33, 37, 65, 85, 94, 140, 328).

ამდენად, უდავო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ, ფიცს, როგორც მტკიცებულების უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს, საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ჩვეულებით სამართალში განსაკუთრებული ადგილი რომ ეკავა (თოფჩიშვილი 2006: 117; 2008: 260). ეს კარგად ჩანს არა მარტო სამართლებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროსა თუ დასახლებაში გარეშე თემის წევრის საგვარეულოში მიღების დროს, არამედ ხელოვნურად დანათესავების პირობებშიც, მათ შორის, რძით დანათესავებისას (მგელაძე 1987ბ: 100-105), მაგრამ საკუთრივ ფიცის დანიშნულება უპირატესად მამაკაცთა დაძმობილებისას ვლინდებოდა. ქართლში მამაკაცების დაძმობილებას *დაფიცვა* ერქვა, ხოლო ფშავ-ხევსურეთსა და ხევში *ძმადგაფიცვა*, ქალებისას კი – ფშაველი *დათგაფიცვა* (*დათგაფიცული*), ლეჩხუმში – *დადნაფიცი*. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაძმობილების გამოსახატავად დასტურდება არაერთი მსგავსი ტერმინი: *ძმადნაფიცი* (ქართლი, მთიულეთი, ლეჩხუმი), *ფიცნაჭამი* (მთიულეთი), *ფიც-ვერცხლ-ნაჭამი* (ფშავი, ხევსურეთი). ამ ტიპის ძმადნაფიცობა მთელი საქართველოსათვის იყო დამახასიათებელი და იგი XIX საუკუნის მიწურულისათვის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვისაც ჯერ კიდევ ტიპური იყო (მგელაძე 1987ა). ხელოვნური დანათესავების მრავალფეროვანმა ფორმებმა მკვლევართა ყურადღება დიდი ხანია რაც მიიქცია და იგი როგორც ეთნოლოგიური, ისე სამართლებრივი კუთხით სათანადოდაა აღწერილი და გაანალიზებული (ერისთავი 1855: 75-145, 129); (გურკო-კრიაჟინი 1928: 17); (ყამარაული 1929); (მაკალათია 1983); (მკალათა 1984: 99); (ხარაძე 1939); (ითონიშვილი 1960: 20, 24); (კანდელაკი 2001: 16); (ჯავახაძე 1983: 46, 126); (გოგინაშვილი 1988: 33-40).

რელიგიურმა სასამართლომ ბევრი რამ წარმართული ჩვეულებებიდან მიიღო, სადაც სამართლე-

ბრივი განსჯაც წარმართული რწმენა-წარმოდგენებით იყო შეჯერებული. ხალხური გასამართლების ამგვარი წესები ყოფაში თითქმის XX საუკუნის დასაწყისამდე იყო შემონახული, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში განსაკუთრებით სიცოცხლისუნარიანი დემონოლოგიურ შეხედულებათა სფეროში აღმოჩნდა. აქაც, კუდიანებისა და ჯადოქრების გამოსავლენად და დასასჯელად მოსახლეობა ხშირად სამართლებრივ გზებს მიმართავდა, რომლებსაც ღვთის სამართლის მოტივაცია ედოთ საფუძვლად. ასეთი იყო კუდიანობაში ეჭვმიტანილის დადაღვა, ჯადოქრობაში ბრალდებულის მდინარეში გადაგდება და სხვა მისთანანი (მგელაძე 1984); (მგელაძე 2010/2011: 423-435). ტრადიციულ ყოფაში გავრცელებული შეხედულების თანახმად, პიროვნების კუდიანობის გასარკვევად განმსაზღვრელი წყალი ყოფილა. ეჭვმიტანილს გობში აჯენდნენ. ხალხური გაგებით, წყალში კუდი გამოჩნდებოდა, რომელსაც შეაჭრიდნენ, რაც კუდიანს გრძნეულ თვისებებს უკარგავდა. წყლის მსგავსი ფუნქცია გურიაში გამოვლენილ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალებში ნათლადაა ასახული. გურიაში არსებობს ე. წ. კუდიანების ტბა, რომელიც ზოტისა და ბახმაროს გზასაყარში მდინარე გობაზეულთან მდებარეობს. ადრე კუდიანობაში ეჭვმიტანილი, მართლაც, კუდიანი თუ არ იყო, მოსახლეობის რწმენით, ჩაიძირებოდა, მაგრამ თუ კუდიანი იყო – წყლის ზემოთ იტივტივებდა. კუდიანობაში ეჭვმიტანილს კისერზე თოკს ნაუჭერდნენ და ავსულობაში თუ არ გამოტყდებოდა, მაშინ ხიდზე თავქვე დაკიდებდნენ. დანაშაულს თუ არ აღიარებდა თოკებს დაჭრიდნენ და განწირულებით ერთად წყალში ჩაყრიდნენ. აქაც, დაძირულ პირს კუდიანად არ მიიჩნევდნენ, ხოლო ვინც არ ჩაიძირებოდა იგი ცოდვის შვილად ითვლებოდა და იტყოდნენ: „წყალმაც არ მიიღოო“. კუდიანობაში ბრალდებული წყლიდან ამოყავდათ და კლავდნენ (ნოღაიდელი 1967: 68); (მგელაძე 2010/2011: 431-432). გურიაში, კუდიანობაში შემჩნეულთ მოსახლეობა სუფსის ნაპირზე ხიდის მახლობლად, ე. წ. „გურის ტბის“ მიდამოებში ერთად უყრიდა თავს. თავშეყრის ადგილზე ცეცხლი ინთებოდა. ეჭვმიტანილნი ხიდზე თითო-თითო გამოჰყავდათ, ტანისამოსს ხდიდნენ და მდორე წყალში აგდებდნენ. თუ ადამიანი არ დაიძირებოდა, მაშინ იგი კუდიანად ითვლებოდა და დაშანთვა არ ასცდებოდა (ნადარაია 1980: 187). დასჯის ასეთი ფორმა საკმაოდ ადრეული ჩანს. იგი ძველი აღმოსავლეთის ხალხებშიც ყოფილა გავრცელებული. ამაზე მიუთითებს *ხამურაბის კანონთა კოდექსი*. როგორც ცნობილია, ბაბილონში სასამართლოს წარმოებას სამოქალაქო ხასიათი ჰქონდა, თუმცა გამონაკლისის სახით თავს იჩენდა ე. წ. „ორდალი“ (ღვთის სამართალი). მაგალითად, თუ ვინმეს ბრალს დასდებდნენ ჯადოსნობაში, ხამურაბის კანონების მიხედვით, იგი მდინარეში უნდა გადავარდნილიყო. თუ მდინარე ადამიანს ჩაძირავდა, ჩაითვლებოდა, რომ პიროვნება მართლაც ჯადოსანი იყო. მისი მამხილებლები ჯადოსნის სახლს ღებულობდნენ, მაგრამ თუ მდინარე არ მიიღებდა და ამოატივტივებდა ეჭვმიტანილს, მაშინ ცილისმწამებელი სიკვდილით ისჯებოდა და მისი სახლი უდანაშაულო ბრალდებულისათვის უნდა გადაეცათ (მელიქიშვილი 1961: 45):

> უკეთუ კაცს ჯადოქრობა დააბრალა და ვერ დაუმტკიცა, ის, ვისაც ჯადოქრობა დაბრალდა, მდინარესთან უნდა მივიდეს, მდინარეში უნდა შევიდეს და, თუ იგი მდინარემ დაიჭირა, მისი დამსმენელი მის სახლს წაიღებს. თუ ეს კაცი მდინარემ გაწმინდა და იგი გადარჩა, ვინც მას ჯადოქრობა დააბრალა, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ვინც მდინარეში შევიდა, თავისი დამსმენელის სახლს წაიღებს (კიკნაძე 1988: 100).

ახალი გადასახედიდან დღეს რელიგიურ სამართლებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებული ამ ტიპის რწმენა-წარმოდგენები ბევრს სასაცილოდაც არ ყოფნის, მაგრამ წარსულში სასჯელის ასეთი ფორმები რელიგიური სასამართლოს გადაწყვეტილებათა მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, რადგან დემონოლოგიურ სამყაროსა და მის პერსონაჟებს ხალხი რეალურად აღიქვამდა. გაზეთ „ივერიაში“ XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიბეჭდა ერთი კორესპონდენცია, რომელიც ზემო აჭარის დიდაჭარის თემს ეხებოდა:

> [დიდაჭარის საზოგადოებას] ამ ბოლო ხანებში შეუდგენიათ ერთი სასაცილო არზა, „მუხურებიც“ დაურტყამთ და ისე მიურთმევიათ „უჩასტკის“ უფროსისათვის. არზაში ნათქვამია, რომ ჩვენ საზოგადოებაში კუდიანები გვყავსო და იმათი გამორჩევის ნება გვიბოძეთო; [...] „ჯაზი-ბაში“ მოეყვანოთ და ვისაც ჯაზი-ბაში კუდიანად დაასახელებს, ის მოგვაშორეთ და სხვაგან დაასახლეთო („ივერია“ 1888: №68).

ჩვეულებით სამართალში სხვადასხვა ტიპის რელიგიური აკრძალვები და რელიგიური განაჩენიც წარსულში, აჭარაში სოციალურ ურთიერთობათა სფეროშიც შეიმჩნეოდა. მაგალითად, როცა

აღდი – საქორწინო ხელშეკრულება „გაკვეთილი“ იყო, დანიშნულებს, შესაძლოა, ერთმანეთთან სქესობრივი კავშირი დაემყარებინათ. ამას *ნიშანლობა* ერქვა. *ნიშანლობა*, საცოლის ოჯახში პირველი მისვლა და პურობა, ღამით, შესაძლოა, წყვილთა სქესობრივი ურთიერთობით დასრულებულიყო. ხალხური რწმენით, საქორწინო წყვილის ცხოვრების ამ განსაკუთრებულ მომენტში თითქოსდა მათი მოჯადოვება და დაავადება – *დაკოჭვა* აღვილი იყო (მგელაძე 1996: 204, 226); (ბექაია 1964: 1974: 48). აჭარაში შემოინახა დაბადებამდე და აკვანში ნიშნობის ძველი ჩვეულებაც, რომელიც გვიანი შუა საუკუნეებისათვის თურქული წარმოშობის ტერმინით „ბეშიქერთმათი“ აღინიშნებოდა. თვლიან, რომ აჭარაში ამ ტერმინის არსებობა იმდროინდელ თურქეთში ამ მოვლენის ცხოველმყოფელობაზე მიუთითებს (მგელაძე 1996: 205); (ბექაია 1974: 39), თუმცა თავად წესი საკმაოდ ძველია და იგი სათანადო ტერმინებითა აღინიშნება, მაგალითად, *ხოჩიჩში ნიშნობა*, *აკვანაში ნიშნობა* (მგელაძე 1996: 207-209). დაბადებამდე და აკვანში ნიშნობა როგორც ისლამის, ისე ქრისტიანული რელიგიების ნარმოშობამდე წინამორბედი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენდა. დაქორწინების პერიოდში ყურადღებას იქცევს ქალის გამოსასყიდი – ურვადი, რომლის ნაწილსაც *მიპირი* წარმოადგენდა. *მიპირი* ქალის გამოსასყიდის – „ბაშლულის“ ის ნაწილი იყო, რომელიც კაცს ცოლისათვის უნდა გადაეხადა და რომელიც ქალის მზითვად მიიჩნეოდა. იგი შემორჩა როგორც საწესო ფორმა და საზოგადოებაში დიდად ფეხმოკიდებული არ ყოფილა. შესაძლოა ამიტომაც იყო, რომ ცოლი ქმარს პირველსავე დღეებში *მიპირს* ჩუქნიდა და ვალისაგან ათავისუფლებდა (ბექაია 1974: 47).

მუსლიმურ ნორმატივზე დაფუძნებული სასამართლო ორგანიზაციებიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ყადის სასამართლო უნდა გამოიყოს. აქ, უპირველესად, საინტერესოა იმის გარკვევა თუ რა მიმართება არსებობდა ყადის სასამართლოსა და საადათო სასამართლოს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ყადის სასამართლოს ამოსავალი შარიათი უნდა ყოფილიყო, იგი მაინც, უმეტეს შემთხვევაში, ადათით ხელმძღვანელობდა. ამას ისიც განაპირობებდა, რომ ადგილობრივი ყადები, რომლებიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ნარმომავლობით ქართველები იყვნენ, ოსმალურს, თურქულ ენას სათანადოდ ვერ ფლობდნენ, შესაბამისად, ვერც შარიათის პრინციპებით ვერ ხელმძღვანელობდნენ. ამიტომ, თუნდაც ამის გამო იძულებულნი ხდებოდნენ საადათო სამართლებრივი ცოდნა გამოეყენებინათ. XIX საუკუნის 70-იან წლების პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებულ ერთერთ წერილში ამის შესახებ საყურადღებო ცნობას ვხვდებით. წერილში ოსმალეთის მმართველობის ხანაში მომჩივან-მოსამართლეზე ანონიმი ქობულეთელის საუბარია წარმოდგენილი:

> ჩვენ ყველამ თათრული თუ ვიცოდეთ, რაცხას კი გავიგონებთ, მარა არ ვიცით, ზოგიერთმა აღიებმა კი იციან, მარა იგინს ვინ კითხავს; თარჯიმანიც კი გვყავს, მარა მაინც ვერაფერი სამართალი კაიმაკამმა ვერ ქნა ძიავ. მოვა, დაჯდება ბუსავით ოდაში, დაიძახებს: „ბუირუმო ყადიო აღიებოვო, ოთურ მენჯლიშო!“, დაჯდებიან, ილაპარაკებენ, ყავეს და თუთუნს სმენ და მერე ილოცავენ და გათავდა მათი სამართალი ... თათარში, ძიავ, ეს სამართალია: მობრძანდი ძიავ, – ფარა, ბუირუმ – ფარა, წადი – ფარა! სულ ფარა და ფარა! ჩვენ ფარას ვინ მოგვცემს ძიავ, ფუხარა ვართ და მოგვეღო ბოლო სუნთლად ძიავ („სასოფლო“ 1876: №1).

აქ კარგად იკვეთება ყადის სასამართლოსადმი მოსახლეობის უნდობლობა და უარყოფითი დამოკიდებულება. ამასთან, ყადის მექრთამეობა ეს ერთი ასპექტია, ჩვენთვის საინტერესოა სასამართლო ორგანოებში ენობრივი ბარიერის საკითხი, რაც იმ დროს რეალობას წარმოადგენდა. ამის შესახებ თითქმის ყველა ის მკვლევარი მიუთითებდა, რომლებმაც იმ დროს, კერძოდ, XIX საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში აჭარაში იმოგზაურა. ისინი წერდნენ, რომ თურქული ენა გამართულად მხოლოდ ვაჭრობის მიმდევარმა აჭარლებმა იცოდნენო (ზოიძე 1996: 64). არსებობდა თქმულებაც, რომელიც ყადების სასამართლოში გაბატონებულ მექრთამეობაზე მიუთითებდა. თქმულების თანახმად, ყადისათვის მომჩივანს ქრთამად ერთი ცული მიუტანია. მოპირდაპირე მხარეს ეს რომ გაუგია, მისთვის დეკეული მიუყვანია. სასამართლო პროცესზე, თურმე, ყადი დეკეულის მიმყვანს აშკარად იცავდა. როცა ეს ცულის მიმტანს შეუნიშნავს, უფიქრია, ალბათ, ყადს დავავიწყდიო და განგებ დაუძახია: „შენმა სამართალმა ცულსავით უნდა გაჭრასო“. ყადს კი უპასუხია: „შენს ცულის ტარზე დეკეულმა გადააფუნაო“ (ახვლედიანი 1956: 50). შესაძლოა მსგავსი ფაქტების გამოც იყო ოსმალთა მმართველობის პერიოდში მოსახლეობა ყადების სასამართლოს იშვიათად რომ მიმართავდა, თუმცა ზემოთ მოყვანილი მასალების საფუძველზე ოთარ ზოიძე მართებულად შენიშნავს, რომ ეს ისეც არ უნდა გავიგოთ თითქოს მაშინ ყადების სასამართლო უსაქმოდ იყო (ზოიძე 1996: 64). საერთოდ, ყადებისა და ხალხურ სასამართლოებს შორის ურთიერთმიმართების ხასიათის დასადგენად ლიტერატურაში გათვალისწინებულია ის გარემოებაც, რომ საადათო სასამართლო, რომელიც უძველესი დროიდან

არსებობდა, ხალხის ყოფის აუცილებელი და ორგანული ნაწილი იყო, ხოლო ყადების სასამართლო გვიან მიღებული და, ამასთან, თავსმოხვეული რელიგიის თანმხლებ ნაწილს წარმოადგენდა და მოსახლეობაში მისი დამკვიდრება პრინციპში არ ხერხდებოდა. ასე მოხდა აჭარაშიც. როგორც მიიჩნევენ, დამკვიდრების მიზნით ყველა შემთხვევაში მას სახალხო სასამართლო უნდა შეევიწროებინა, რაც არც თუ ისე იოლი იყო, რადგან ბრძოლის წარმატებით დასრულებისათვის აჭარლების მიერ მუსლიმური რელიგიის ფორმალურ-დოგმატური წესებისა და რიტუალების აღსრულება საკმარისი არ იყო. გადამწყვეტი იყო საუკუნეობით არსებული ყოფის შეცვლა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელი იყო და არც მომხდარა (ზოიძე 1996: 64-65). როცა ჩვენ ვცდილობთ ყადებისა და ხალხურ სასამართლოებს შორის აჭარაში ურთიერთმიმართების საერთო და განმასხვავებელი ნიშან-თვისებები დადგინდეს, უპირველესად უნდა გაირკვეს სასამართლოთა ამ ორი ფორმის ამოსავალი წყაროები. საქმე იმაშია, რომ შარიათი ყველა ქვეყანასა და ყველა ხალხში, ჩამოყალიბების თავდაპირველ საფეხურზეც და შემდეგაც, ადათებითა და ხალხური განმარტებებით ხელმძღვანელობდა (მასსე 1982: 61-82, 83-109); (ქერიმოვი 1978: 3-217); (ვაგაბოვი 1980: 3-89); (მისროკოვი 2002). ქრისტიანობის დამკვიდრებამდე, ხოლო შემდეგ ისლამის გავრცელებამდე აჭარაში ხალხური სამართალი ოდითგანვე არსებობდა, რომელიც თემის ნევრთა ცხოვრების წესის ორგანული ნაწილი იყო და თემის სიცოცხლისუნარიანობისა და ნორმალური არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, შარიათის საფუძველზე ყადების სასამართლო კი სათემო ცხოვრებაში გარეგანი ფაქტორებით ჩაერთო, როცა ოსმალთა მმართველობის ხანაში ისლამმა არც თუ ისე ეფექტურად ქრისტიანულ გარემოში ძალმომრეობით დაიწყო გავრცელება და, შესაბამისად, დამკვიდრება. ისლამს თან შემოჰყვა მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ინსტიტუტები ყველა იმ აუცილებელი კომპონენტით, როგორც ეს ტიპურ ისლამურ ყაიდაზე მოწყობილ სახელმწიფოებში იყო. აჭარაში ყადების სასამართლო ორგანიზაცია საადათო სასამართლოს შევიწროვებას სხვადასხვა გზით ცდილობდა, ითავსებდა სასამართლო ფუნქციებს, მაგრამ სხვადასხვა გარემოების გამო ეს, პრინციპში, მაინც შეუძლებელი ხდებოდა, უპირველესად იმის გამო, რომ მიუხედავად აჭარლების მიერ ისლამისა და ამ რელიგიასთან დაკავშირებული წესებისა და რიტუალების ფორმალური აღიარებისა და დოგმატურად მიღებისა, ისინი ყოველდღიურ ყოფაში მამა-პაპური ტრადიციებით ხელმძღვანელობდნენ და ისტორიულად ჩამოყალიბებულ ნორმატივებად ქცეულ სოციალურ და სამართლებრივ სტერეოტიპებს ინარჩუნებდნენ.

წინააღმდეგობრივ ყოფით და სამართლებრივ სივრცეში, როცა სასამართლო ორგანიზაციები შარიათის ძირითადი პუნქტებით ხელმძღვანელობდნენ, უპირველესი ბარიერი ყოველთვის ხალხური საადათო ნორმატივები და თავად მოსახლეობის სასამართლოს ტიპებისადმი განწყობა გახლდათ. კავკასიაში ასე იყო თითქმის ყველგან, სადაც ისლამი ყოფითი კულტურაში ფესვების გადგმას ცდილობდა. მსგავსება მკაფიო იყო კავკასიის, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ კავკასიის იმ ხალხებსა და რეგიონებს შორის, რომლებსაც ანალოგიურ რელიგიურ გარემოცვაში უხდებოდათ ცხოვრება, მაგრამ ტრადიციულ ფესვებზე იდგნენ და ადათებს ეფუძნებოდნენ. ასეთი მსგავსებები შემთხვევით მოვლენას არ წარმოადგენდა, რაც ჩანს კიდეც საკუთრივ ჩრდილო კავკასიის მთიელთა ადათებში (აგლაროვი 2002: 254-260). ამის საილუსტრაციოდ ოთარ ზოიძე მამაიხან აგლაროვის მიერ გამოყენებულ XVIII საუკუნის – 1741 წლის ერთ-ერთ დოკუმენტს მოიხმობს, რომელიც, მისი აზრით, ჩრდილოეთ კავკასიის ისლამზე მოქცეული ხალხების ყოფაში შარიათისა და ადათობრივი ნორმების პარალელურად არსებობის დამადასტურებელია. ამასთან, დოკუმენტიდან ჩანს თუ როგორ ცდილობენ სოფელ ასას მკვიდრნი შარიათის მოქმედების ფარგლები შემოსაზღვრონ: „1154 წელს ჰიჯრით სოფელი ასას მცხოვრებლები თანახმანი არიან შარიათის სასამართლოს ყველა სახის სამართალწარმოება გადასცენ გარდა ქურდობისა და მკვლელობის“ (აგლაროვი 1988: 155).

ჩრდილო კავკასიაში არსებული მსგავსი ტენდენცია სხვების მიერაც იყო შენიშნული, საიდანაც ირკვევა, რომ შარიათის სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები შედარებით მოდერნიზებული იყო (პერშიცი 1979: 225). ოთარ ზოიძე სოფელ ასას ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მიუთითებს, რომ ფაქტობრივად მთელი სისხლის სამართლის საქმეები შარიათის სასამართლოების ქვემდებარეობიდან ამოღებული იყო. არადა, საადათო სასამართლოს თვით არსებობაც კი ისლამს ეწინააღმდეგებოდა. ისლამის არსის ღრმად მცოდნე და მიმდევარ პიროვნებებს ეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული. შემთხვევითი არ იყო ის ფაქტიც, რომ დაღესტნის იმამი შამილი, ოცდაშვიდწლიანი მმართველობის პერიოდში, საადათო სასამართლოებს ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა და შარიათის სასამართლოს ნერგავდა, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია. ამის დასტურად ოთარ ზოიძეს კიდევ ერთი ამონაწერი მოჰყავს, რომელიც შეიხ-მანსურის დაღესტნის ხალხებისადმი მიმართვას წარმოადგენს:

> ის, ვინც საქმეს ადათით წყვეტს, გარკვეული სახით ღმერთის თანამონაწილე ხდება. ანდა რალაცნაირად საქმის გადაწყვეტაში მას უთანაბრდება, მაშინ, როცა არავის არ შეუძლია ღმერთის თანა-

მონაწილე გახდეს ანდა ღმერთს შეედაროს (ე. ი. არავის არ ძალუძს ღმერთის თანაბარი გახდეს – ბ. მ.), თუ ვინმე წარმოიდგენს, რომ თითქოსდა ღმერთს უთანაბრდება, იგი არასწორია (ე. ი. ურწმუნოა – ბ. მ.) (სანდრიგაილო 1899: 6).

ოთარ ზოიძის სამართლიანი შენიშვნით, აჭარას არც თავისი შამილი ჰყავდა და არც შეიხ-მანსური, რომლებიც სახალხო სასამრთლოების წინააღმდეგ იბრძოლებდნენ. თვით ოსმალური ადმინისტრაციაც არ იყო ძლიერი აჭარაში, რაც, თავის მხრივ, საადათო სასამართლოების მტკიცედ ფუნქციონირებას განაპირობებდა (ზოიძე 1996: 65). ამ მხრივ საინტერესო მასალებს ქართული პერიოდული პრესაც გვანვდის („დროება" 1876: №49). ოსმალური მმართველობის ეს მხარე არაერთმა მკვლევარმა შეამჩნია. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გიორგი ყაზბეგი აღნიშნავდა, რომ კონსტანტინოპოლის მთავრობა თურქეთის საქართველოს როგორც შემოსავლის წყაროს მხოლოდ ისე უყურებდა და აქაური ადმინისტრაციაც ერთადერთ მოვალეობად ფაქტობრივად გადასახადების დროულად აკრეფას მიიჩნევდა. ხალხიც შეეგუა ამ აზრს: არავინ არ ზრუნავს და არავინ არ მოითხოვს არც მართლმსაჯულებას, არც საზოგადოებრივ უშიშროებას. მთავრობის მიერ ამ პრეროგატივათა უგულებელყოფას არავინ უჩივის და ხალხის ერთადერთი უცვლელი სურვილი იყო, რომ სულთანს გადასახადები არ გაედიდებინა (ყაზბეგი 1960: 112). მართლაც, ოსმალური მმართველობის სისტემისა და სასამართლო ორგანიზაციების შესწავლა, ასევე, ოსმალური მმართველობის სისტემის გვერდით ხალხური მმართველობის არსებობა გვისაბუთებს, რომ ოსმალური ძალაუფლება აჭარაში არ იყო ყოვლისმომცველი და აჭარის მოსახლეობა საშინაო საქმეებში არ ცნობდა თურქულ-ოსმალურ ადმინისტრაციას (ჩიტაძე 1978: 42). მსჯელობათა ამ ფონზე უპირველესად ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ აჭარაში შარიათისა და ყურანის ბევრი ნორმა ადგილობრივ ნორმებს ეწინააღმდეგებოდა. აჭარაში აჭარლები უფრო თავიანთი სამართლებრივი ტრადიციების მიმდევარნი და ერთგულნი იყვნენ, ვიდრე ახლადშილებული რელიგიური დოგმებისა. ამის დასასაბუთებლად აჭარელთა ჩვეულებებიდან ლიტერატურაში არაერთი მაგალითია მოყვანილი. მაგალითად, ყურანი ქურდისათვის ხელის მოკვეთას მოითხოვდა, მაშინ, როცა აჭარაში დამასახიჩრებელი სასჯელები საერთოდ არ არსებობდა. ქურდს ნაპარავს აანაზღაურებინებდნენ ანდა უკიდურეს შემთხვევაში ანაზღაურებასთან ერთად გამაწბილებელი სასჯელით შემოიფარგლებოდნენ (ზოიძე 1996: 66-67). ასევე, ჩვეულებითი სამართლის ცნობილი ნორმა იყო პატარძლისათვის *ძუძუს* წოვების სანაცვლოდ მამამთილის მიერ სიდედრისათვის ფულის მიცემა (მგელაძე 1996: 230). ეს ნორმა აჭარაშიც მოქმედებდა და საზღაურს *სანძუძური, ძუძუს ფული* (*ძუძუს ფარა*) ერქვა. თურქულად მას სუთჰახი ეწოდებოდა. ხალხური სამართლებრივი ცნობიერების მიხედვით, შარიათით *ძუძუს ფულის* აღება არ შეიძლებოდა: დედის სიკვდილის მერე თუ მისი გოგო სულის სახსენებლად რამეს გააკეთებდა, დედას არ ერგებოდა, რადგან იგი მისგან გაყიდული იყო, მაგრამ *ძუძუს ფულის* მიცემა წესი იყო და აძლევდნენ კიდეც. აქ წესი, ჩვეულებითი სამართლის ნორმა რელიგიურ მოთხოვნებს, რელიგიურ ნორმას ფარავდა. ამასთან, მნიშვნელობა არ ჰქონდა შარიათი მართლა კრძალავდა თუ არა „*ძუძუს ფარის*" მიცემას. მთავარი იყო ის, რომ მორწმუნის ცნობიერებაში ეს რელიგიური ნორმა არსებობდა, რომელსაც ჩვეულებითი სამართლის ნორმა – წესი: თრგუნავდა (ზოიძე 1996: 67). შარიათისა და ჩვეულებითი სამართლის ნორმათა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა ზემო აჭარაში წარსულში კარგად ცნობილი ჩვეულება, რომელსაც *დედიეთიმი* (პაპის ობოლი) ეწოდებოდა. ეს ჩვეულება საოჯახო ქონებრივ სამართლებრივ ნორმებთან იყო დაკავშირებული. დიდ სახლეულში *დედეეთიმი* პაპის სიცოცხლეში ობლად დარჩენილი შვილიშვილის ქონებრივ-უფლებრივი სტატუსის გამომხატველი ცნება იყო. მისი არსი დიდი სახლეულის გაყოფისას მამის ძმების მხრიდან ობოლო ძმისწულის უწილოდ დატოვების მცდელობაში მდგომარეობდა, თუმცა ადათობრივი ტრადიციების ძალით მამის ძმები საწადელს იშვიათად თუ აღწევდნენ (რობაქიძე 1974); (მგელაძე 2004: 126-127); (აჩუგბა 1983: 54-55). ერთ-ერთი ინფორმატორი ასე განმარტავდა *დედეეთიმის* არსს: „თუ გაუყოფელ ოჯახში ბაბუა ცოცხალია, შვილი მოკვდა და დარჩა შვილიშვილი, ის არის *დედეიეთიმი*. შეღერეთით *დედეიეთიმს* მემკვიდრეობა არ ერგებოდა, მაგრამ მაინც აძლევდნენ, – რითი ირჩინოს თავიო" (ზოიძე 1996: 67). აქაც მუსლიმთა სამართლის ნორმაზე ძლიერი ტრადიციული სამართალი აღმოჩნდა. გარდა ყადებისა, სასამართლოს სისუსტეს ყურანისა და შარიათის სირთულე განაპირობებდა. ოთარ ზოიძეს საინტერესო დაკვირვებები მოჰყავს, რომლებიც ამა თუ იმ ავტორის მიერ საქართველოს მეზობელ მუსლიმ ხალხებში შარიათისა და ადათობრივი ნორმების ურთიერდამოკიდებულების ხასიათსა და ბუნებას წარმოაჩენს. ოსური ადათობრივი სასამართლო ორგანიზაციის შესწავლისას ვოლდემარ ჰფაფი მიუთითებდა, რომ:

მაჰმადიან ოსებში, საარბიტრაჟო სახალხო სასამართლოს გარდა, კიდევ არსებობს სასულიერო სასამართლო, რომელიც შარიათის სახელწოდებითაა ცნობილი. მოსამართლე, ყადი საქმეებს ყურანის საფუძველზე წყვეტენ, მაგრამ ცნობილია, რომ ყურანის სამართალი ძალზე რთულია და უკიდურესად ჩახლართულია. მაჰმადიანი ყადების დიდი ნაწილი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საზოგადოებაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ და ღირსებით გამოირჩევიან, მაჰმადიანურ კანონმდებლობაზე საკმარისი ცნობები არა აქვთ, შესაბამისად, მაჰმადიანურ კანონმდებლობაში სათანადო ცოდნა არ გააჩნიათ. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, რომ ოსებში მუსლიმანურმა სამართალმა მყარად ვერ მოიკიდა ფეხი (პფაფი 1871: 210).

როცა გადაეხედათ კავკასიაში, მათ შორის, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები ისლამზე მოქცეული ხალხების სამართლის ისტორიას, თვალნათლივ შევნიშნავთ, რომ ყადის სასამართლოში აშკარად ადგილობრივი ადათებით ხელმძღვანელობდნენ. ასე იყო აჭარაშიც, თუმცა, როგორც ქართული ჩვეულებითი სამართლის ისტორიის მკვლევარი ოთარ ზოიძე ადასტურებს, აჭარაში აქა-იქ, მართლაც, იყვნენ ოსმალეთში განათლებამიღებული პირები, თუმცა არც იმდენი, რომ შარიათის ყოველ სასამართლოში ამგვარი პირი ყოფილიყო ყადად, ისიც იმ დროს, როცა თვით შარიათის სასამართლო შინაარსობრივად ნანილობრივ მაინც ადათობრივი სასამართლო იყო. ამ ვითარების გათვალისწინებამ მკვლევრები აჭარაში სასამართლო ორგანიზაციის დუალიზმის აღიარებამდე მიიყვანა, რაც შარიათისა და სახალხო სასამართლოების თანაარსებობაში გამოიხატებოდა (ზოიძე 1996: 68). როგორც ირკვევა, ეს ზოგადად ისლამის დამახასიათებელი ნიშანია, რასაც ფრანგი კომპარატივისტი რენე დავიდი მკაფიოდ წარმოაჩენს (დავიდი 1988: 399).

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში უდავოდ საინტერესოა თუ როგორი ფორმით იყო წარმოდგენილი ყადების სასამართლო, სასამართლო, რომელიც რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო მუსლიმური სამართლებრივი ნორმებიდან გადახვევის გზით იძულებული ხდებოდა ხალხური ჩვეულებების გათვალისწინებითა და ადათობრივი სამართლის ნორმატივებით ეხელმძღვანელა. ეს კარგად ჩანს იბრაგიმ აბაშიძის ჩანაწერებიდანაც, სადაც აჭარაში მუსლიმური სამოქალაქო და სისხლის სამართლის სფეროში არსებული რეალობაა ასახული (აბაშიძე 1941: 1-79). ეს წერილობითი წყარო ერთ-ერთია, თუ არა ერთადერთი, რომელიც აჭარაში მუსლიმური სამართლისა და მუსლიმური სასამართლოს ძირითად მახასიათებლებს წარმოგვიჩენს. წერილობითი წყაროდან ირკვევა, რომ აჭარაში დანაშაულის სხვადასხვა ფორმა არსებობდა, რომელთაც ადრე, ყადის წინამძღოლობით, უპირატესად, ყურანიდან გამომდინარე მუსლიმურ კანონებზე დაფუძნებული სასამართლო განიხილავდა. ჩვეულებრივ ყადი სამართლებრივ საქმეში იმ შემთხვევაში ერთვებოდა თუ სადავო საქმეს სოფლის ხალხი ვერ გადაწყვეტდა, ალტერნატივა შემონახული იყო და საქმეს გასარჩევად ყადს გადასცემდნენ. ყადის სასამართლომ აჭარაში რუსული მმართველობის პერიოდშიც გააგრძელა არსებობა და საბჭოთა ხელისუფლების საწყის ეტაპზეც შემოინახა თავი. რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ აჭარაში სასოფლო – „უჩასტკისა“ და საოლქო სასამართლოები დაწესდა (ზოიძე 1991: 5); (ზოიძე 1996: 69). მათგან ერთი ყოველთვის ყადი იყო, რომელსაც უკვე განსახილველად არა ყოვლისმომცველი რელიგიური, არამედ მხოლოდ სამემკვიდრეო და საქორწინო-საოჯახო საკითხები ექვემდებარებოდა, თუმცა ამ ტიპის სასამართლოც, ბუნებრივია, რელიგიურ სამართლებრივ სპექტრს მოიცავდა, რადგან ყადი ძირითადად შარიათის მუხლებით ხელმძღვანელობდა, თუმცა ძალიან ხშირად სათანადო თეოლოგიური ცოდნის უქონლობის გამო ანდა სხვა მიზეზებით ისიც საქმეების განხილვის პროცესში ადათებსა და ხალხურ სამართლებრივ გამოცდილებას ითვალისწინებდა. ამდენად, დანაშაულთა სახეობებისა და სასჯელის დადგენა, როგორც მუსლიმურ საზოგადოებაში, ისე რუსული მმართველობის ხანაში და საბჭოთა პერიოდშიც კი, ხშირად, დაახლოებით იმავე პრინციპებით ხდებოდა, როგორც ამას ძველი საქართველოს სათემო ურთიერთობათა წიაღში ჰქონდა ადგილი.

დამოწმებანი

აბაშიძე 1941: ი. აბაშიძე. *მუსლიმანური სასჯელები*, ხელნაწერი, ხარიტონ ახელედიანის აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქივი, ბათუმი.

აბრამიშვილი 2008: ლ. აბრამიშვილი. *ქრთამი ძველ ქართულ სამართალში*, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

აგლაროვი 1988: М. А. Агларов. *Сельская община в нагорном Дагестане в XVII—начале XIX в. (исследование взаимоотношения форм хозяйства, социальных структур и этноса)*. Москва.

აგლაროვი 2002: М. А. Агларов. Андийцы (историко-этнографическое исследование), Махачкала.

აჩუგბა 1983: თ. აჩუგბა. ხალხური საოჯახო სამართლებრივი ნორმები აჭარაში (ქონებრივ-უფლებრივი მდგო-

მარეობა, *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა*, X, თბილისი.
ახელედიანი 1956: ხ. ახელედიანი. *სახალხო განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში*, ბათუმი.
ბექაია 1964: მ. ბექაია. „ნიშანლობა" აჭარაში, *ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თეზისები, მესამე სამეცნიერო სესია*, ბათუმი.
ბექაია 1974: მ. ბექაია. *ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში*, ბათუმი.
ბოჭორიშვილი 1976: ლ. ბოჭორიშვილი. აჭარაში 1974 წლის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, *სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა*, IV, თბილისი.
გოგინაშვილი 1988: ი. გოგინაშვილი. ხელოვნური ნათესაობა მთიულეთსა და გუდამაყარში, *ეთნოგრაფიული გამოკვლევები*, თბილისი.
გოგიტიძე/გოგიტაძე 1983: მთხრობელი: მელქისედეკ სიმონის ძე გოგიტიძე (გოგიტაძე). *75 წლის, სოფელი ზემო ნოღა, ნ. მგელაძე. საველე-ეთნოგრაფიული დღიურები, რვეული I*, პირადი არქივი, ბათუმი.
გოგოლიშვილი 2011: ო. გოგოლიშვილი. *საქართველოს სამართლის ისტორია (სალექციო კურსი)*, ბათუმი.
გურკო-კრიაჟინი 1928: В. А. Гурко-Кряжин. *Хевсуры*, Москва.
გუჯეჯიანი 2014: რ. გუჯეჯიანი. *რა დატვირთვა ჰქონდა ფიცს ქართულ სამართალში და როგორ უსწორდებოდნენ მის მიხედვით ქურდებს*, თბილისი. *http://old.tbiliselebi.ge/index.php?newsid=268441388*. (ნანახია: 2/07/2021).
დოლიძე 1953: ი. დოლიძე. *ძველი ქართული სამართალი*, თბილისი.
ერიაშვილი 1982: ჟ. ერიაშვილი. *უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში*, თბილისი.
ერისთავი 1855: Р. Д. Эристави. О Тушино-Пшаво-Хевсурском округе, *Записи кавказского отдела русского географического общества*, кн. Ш, Тіфлис.
ვაგაბოვი 1980: М. В. Вагабов. Ислам и семья, Москва.
ზოიძე 1989: ო. ზოიძე. *ავტორის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები – აჭარა*, პირადი არქივი, ბათუმი.
ზოიძე 1991: ო. ზოიძე. *ავტორის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები – აჭარა*, პირადი არქივი, ბათუმი.
ზოიძე 1996: ო. ზოიძე. სასამართლო ორგანიზაცია აჭარაში ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, *კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში*, I, ბათუმი.
თოფჩიშვილი 2006: რ. თოფჩიშვილი. *საქართველოს ეთნოგრაფია/ეთნოლოგია. მოკლე სალექციო კურსი*, თბილისი.
თოფჩიშვილი 2008: რ. თოფჩიშვილი. *საქართველოს ეთნოლოგია*, თბილისი.
ითონიშვილი 1960: ვ. ითონიშვილი. *ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან*, თბილისი.
კანდელაკი 2001: მ. კანდელაკი. *ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან*, თბილისი.
კეკელია 1979: მ. კეკელია. ფიცი სვანეთის ჩვეულებით სამართალში, *ქართული ჩვეულებითი სამართლის ისტორიის საკითხები*, III, თბილისი.
კოკნაძე 1988: *ხამურაბის კანონები*, აქადურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ზ. კოკნაძემ, თბილისი.
ლომოური, ბერძენიშვილი 1941: ვახუშტი ბაგრატიონი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, რედ. თ. ლომოური და ნ. ბერძენიშვილი, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
მასსე 1982: А. Массе *Ислам, очерк истории*, перевод с французского, издание 3-е, Москва.
მაკალათია 1983: ს. მაკალათია. *თუშეთი*, თბილისი.
მაკალათია 1984: ს. მაკალათია. *ხევსურეთი*, თბილისი.
მგელაძე 1996: ვ. მგელაძე. ქორწინება და საქორწინო წეს-ჩვეულებანი აჭარაში, *კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში*. თბილისი.
მგელაძე 1983: ნ. მგელაძე. საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები – გურია, სურების ხეობა, *რვეული №1, ავტორის პირადი არქივი*, ბათუმი.
მგელაძე 1984: ნ. მგელაძე. ნათესაური ურთიერთობების ზოგიერთი საკითხი აჭარაში ადათობრივი ნორმების შუქზე, *მაცნე, ისტორიის სერია, №3*, თბილისი.
მგელაძე 1987ა: ნ. მგელაძე. *საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურები – ფშავი*, ავტორის პირადი არქივი, ბათუმი.
მგელაძე 1987ბ: ნ. მგელაძე. ხელოვნური დანათესავების ზოგიერთი საკითხი აჭარაში, *ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები*, 3, თბილისი.
მგელაძე 2004: ნ. მგელაძე. *აჭარული ნოგრო და გვარი*, ბათუმი.
მგელაძე 2010/2011: ნ. მგელაძე. დემონთა სამყარო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მითორელიგიაში (I. ლომპაპი და კუდიანები): *ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის „შრომები", X*, თბილისი.
მგელაძე, ნარიმანიშვილი 2020: ნ. მგელაძე, გ. ნარიმანიშვილი. გოდერძის უღელტეხილის ნამოსახლარები შუა საუკუნეებში (ნაგებობანი, მეურნეობა და ცხოვრების წესი), *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XXII, თბილისი.

მგელაძე და სხვები 2019: *გოდერძის უღელტეხილის ისტორია და ეთნოარქეოლოგია*, კოლექტიური მონოგრაფია, აეტორები: ნ. მგელაძე, გ. ნარიმანიშვილი, მ. ხალვაში, თ. ტუნაძე, ნ. შანშაშვილი, კ. ქამადაძე, ს. ოქროპირიძე, თბილისი.

მედიაცია – მრავალსაუკუნოვანი...: *მედიაცია მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიცია*. შეადგინა სულხან ონიანმა, თბილისი, *http://prevention.gov.ge/prevention.gov.ge/uploads/files/2015/20150831.pdf* - (ნანახია: 7.04.2021).

მელიქიშვილი 1961: გ. მელიქიშვილი. *როგორ ამეტყველდნენ ლურსმული წარწერები*, თბილისი.

მისროკოვი 2002: З. Х. Мисроков. *Адат и шариат в российской правовой системе: Исторические судьбы юридического плюрализма на Северном Кавказе*, Москва.

ნადარაია 1980: ა. ნადარაია. *დემონოლოგიის საკითხისათვის საქართველოში, მასალები გურიის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის*, თბილისი.

ნოლაიდელი 1967: ჯ. ნოლაიდელი. *აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები*, თბილისი.

ნოლაიდელი 1976: ნ. ნოლაიდელი. *ხატოვან სიტყვა-თქმათა ზოგიერთი ნიმუში აჭარულ დიალექტში*, „ჭოროხი", ბათუმი.

პერშიცი 1979: А. И. Першиц. *Проблемы нормативной этнографии, Исследования по общей этнографии*, Москва.

პფაფი 1871: В. Б. Пфаф. *Народное право осетин*, Сборник сведений о Кавказе, *т. II*, Тифлис.

რობაქიძე 1974: ა. რობაქიძე. *მასალები პატრონიმიული ორგანიზაციის ისტორიისათვის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა*, II, თბილისი.

სანდრიგაილო 1899: *Адаты дагестинской области и закатальского округа: Судоустройство и судопроизводство в частях кавказского края военно-народного управления*, под редакции И. Я. Сандрыгайло, Тифлис.

ქსე 1984: *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ., 7, თბილისი.

ქერიმოვი 1978: Г. М. Керимов. *Шариат и его социальная сущность*, Москва.

ყაზბეგი 1960: გ. ყაზბეგი. *სამი თვე თურქეთის საქართველოში*, გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, ბათუმი.

ყამარაული 1929: А. Я. Камараули. *Хевсурия (очерки)*, Тифлис.

ჩიტაძე 1978: ზ. ჩიტაძე. *მმართველობისა და თვითმართველობის ფორმები აჭარაში (XVI-XIX სს.)*, ბათუმი.

ჭიჭინაძე 1916: ზ. ჭიჭინაძე. *ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება*, ტფილისი.

ხარაძე 1939: რ. ხარაძე. *დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში*, ტფილისი.

ხარაძე 1948: რ. ხარაძე. ხევსურული „ძირი" და „გვარი", *მიმომხილველი*, I, თბილისი.

ხარაძე 1953: რ. ხარაძე. სახალხო მმართველობის სისტემა სვანეთში: 1. „ერთობილ სუანეთის ჴე-ი" ანუ „ჴე-ი ბედნიერი", *მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის*, VI, თბილისი.

ჯავახაძე 1983: Н. В. Джавахадзе. *Система родства осетин*, Диссертация на соискание ученой степени кандидата исторических наук, Тбилиси.

ჯავახიშვილი 1928: ი. ჯავახიშვილი. *ქართული სამართლის ისტორია*, ნიგნი პირველი, ტფილისი.

ჯავახიშვილი 1929: ი. ჯავახიშვილი. *ქართული სამართლის ისტორია*, ნიგნი მეორე, ნაკეთი მეორე, ტფილისი.

დროება 1876: „დროება", №49.

ივერია 1888: „ივერია", №68.

სასოფლო 1876: „სასოფლო გაზეთი", №1.

RELIGIOUS COURT: PAGAN, CHRISTIAN CANON AND MUSLIM LAW IN MEDIEVAL SOUTH-WEST GEORGIA

Beka Mgeladze

The article deals with the religious courts in medieval southwestern Georgia, the analysis of which is presented in chronological dynamics. Research in the field of canon law is based on ancient Georgian written sources, mainly, Georgian law monuments, and people's courts are based on ethnographic materials. Judgment according to the Muslim rule is studied according to Georgian periodicals of the second half of the nineteenth century, the beginning of the twentieth century and the facts revealed in the life of the people.

In medieval Georgia, in parallel with the religious court, there was ecclesiastical-canon law, which in a separate article reflected almost all the legal problems that took place in the society. Various articles of canon as well as state feudal law books were based on the norms of people's rights. The religious court took many things from pagan customs, where legal judgment was also mixed with pagan beliefs. Among the judicial or-

ganizations based on the Muslim norm, the *Kadi* court, which was based on Sharia, should be singled out in southwestern Georgia.

Before the establishment of Christianity and then after the spread of Islam, there was a people's court in Adjara, which was an organic part of the community members' way of life and a necessary condition for the community's vitality and normal existence. Effectively, tension between people's court and canon law began to spread and establish in South-West Georgia already in the Christian environment. Islam brought with it legal institutions with all the necessary components, as it did in the typical Muslim states.

გეორგიევსკის ტრაქტატის შეფასების საკითხისათვის

დავით მერკვილაძე

1783 წელს რუსეთის იმპერიისა და ქართლ-კახეთის წარმომადგენლებს შორის გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში ხელმოწერილი ტრაქტატის შესახებ აქამდეც ძალიან ბევრი დაწერილა და ალბათ მომავალშიც დაიწერება. ეს ისეთი საკითხია, რომელსაც აქტუალობა მისი აღძრიდან მოყოლებული (უკვე ლამის 240 წელია) დღემდე არ დაუკარგავს. რუსეთთან მფარველობითი ხელშეკრულების ავკარგიანობის შესახებ მსჯელობა საქართველოში ჯერ კიდევ მისი მომზადების დროს, მის ძალაში შესვლამდე დაიწყო. თვითონ ხელშეკრულების გაფორმებას მაშინდელი ქართული საზოგადოება უმეტესად სავსე იმედებითა და დიდი სიხარულით შეხვდა. თუმცა იმედგაცრუების პირველ ნიშნებსაც არ დაუხანებია. რუსეთთან დადებულ „მფარველობით“ ხელშეკრულებას საქართველოში პოლიტიკური ვითარების სწრაფი გაუარესების თანადროულად ქართველთა შორის მოწინააღმდეგეთა რიცხვიც თანდათანობით უმრავლდებოდა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ რუსი მკვლევრების გარკვეულ წრეს, დღეს სადავო თითქმის არავისთვის აღარ არის, რომ რუსეთმა 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების აქტით ფეხქვეშ გათელა ხელშეკრულების თანახმად თავის თავზე აღებული ვალდებულებები, რომლითაც ამ ქართულ სამეფოს არსებული სტატუსით აღიარებდა და თავის მფარველობაში იღებდა, ხოლო მის მმართველ დინასტიად ცნობდა მხოლოდ ერეკლე II-ის შთამომავლობას. მაგრამ გეორგიევსკში დადებული ტრაქტატის შეთანხმებების დარღვევა რუსეთის ხელისუფლებამ დიდი ხნით ადრე. ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან ძალიან მალე დაიწყო. მოკლე ხანშიეე გამოჩნდა, რომ რუსეთი ნაკისრ ვალდებულებებს ბოლომდე არ ასრულებდა. დროთა განმავლობაში რუსეთის მხრიდან ხელშეკრულების პუნქტების დარღვევა უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რაც ერეკლესა და მისი სამეფო კარის დიდ უკმაყოფილებას იწვევდა. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულებაზე ოფიციალური უარის თქმა ერეკლე მეფემ ვეღარ გაბედა. როგორც ჩანს, მას მიაჩნდა, რომ რუსეთთან ურთიერთობაში უკვე მეტისმეტად ღრმად იყო შესული და გაურკვეველი შედეგის მომტან უკან გამოსვლის მცდელობას ისევ ამ მიმართულებით გზის გაგრძელება სჯობდა, საითაც იქნებ უფრო მყარი და საიმედო ნაპირი ეპოვნა. მაგრამ დრო გადიოდა და ეს სანატრელი ნაპირი არადა არ ჩანდა. დაუცველობის განცდა კი ძლიერდებოდა მეზობლებთან უაღრესად გამწვავებული ურთიერთობის პირდაპირპროპორციულად.

მართალია, ტრაქტატზე ერეკლე II-ს უარი ღიად არ უთქვამს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ მეფეს პოლიტიკური ორიენტაციის გადასინჯვაზე აღარ ეფიქროს, ან ამ მხრივ არაფერი ეღონოს (გურული 2008: 17-18). ამის მაგალითია თუნდაც ჯერ XVIII საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და შემდეგ 90-იანი წლების დასაწყისში ოსმალეთთან წარმოებული მოლაპარაკებანი (დუმბაძე 1973: 710-718); (თაბუაშვილი 2012: 240-249). მეორე საკითხია, რამდენად გადამჭრელი და საქმარისი აღმოჩნდა უკვე ხანდაზმული მეფის დიპლომატიური ძალისხმევა და პოლიტიკური ნება სახელმწიფოსათვის ესოდენ წამგებიანი ორიენტაციის საბოლოოდ შესაცვლელად.

ორ ათეულ წელზე ნაკლები დროის განმავლობაში აღებულმა პრორუსულმა საგარეო-პოლიტიკურმა კურსმა XX საუკუნის გარიჟრაჟზე ჩრდილოეთიდან შემნეობის მომლოდინე ქართული საზოგადოება მოულოდნელი და თავზარდამცემი ფაქტის წინაშე დააყენა: „მფარველმა“ იმპერატორმა ალექსანდრე I-მა 1801 წლის საგანგებო მანიფესტით იმ დროის ყველაზე ძლიერ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს ერთი ხელის მოსმით ბოლო მოუღო. ტრაქტატის დადებისას რუსეთის დაფარული მიზნებისა და ტრაქტატისადმი მისი დამოკიდებულების გათვალისწინებით, ეს აქტი მოელენათა ჯაჭვის ლოგიკური დასასრული იყო. საიმპერატორო კარზე ამ ნაბიჯს დიდი ხნით ადრე გულმოდგინედ ამზადებდნენ.

ერეკლე მეფე კარგად იყო განაფუძული აღმოსავლური დიპლომატიის ფაქიზ წვრილმანებში. საერთოდაც, სამეფო კარზე ირან-ოსმალეთთან და სხვა მეზობლებთან დიპლომატიური ურთიერთობის დიდი გამოცდილება იყო დაგროვილი. მართალია, ერეკლე II-ს არ ჰყავდა მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა ისპაჰანსა და სტამბულში, მაგრამ სამაგიეროდ მეფეს თავისი ჯაშუშები მოეპოვებოდა მეზობელ საფაშოებსა და სახანოებში, საჭირო ცნობებს მუდმივად იღებდა უფრო

შორეული ადგილებიდანაც. მეფე ერეკლეს დაზვერვის მოწოდებული ცნობებით სარგებლობდა რუსეთის ხელისუფლებაც, რაც დასტურდება რუსული საარქივო დოკუმენტებიდან (ბურნაშევი 1896: 15); (ბურნაშევი 1901: 12-13). ერეკლე კარგად ხედავდა, რომ რუსეთ-ოსმალეთს შორის 1774 წელს დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავი დღეგრძელი ვერ იქნებოდა და ამ ორ სახელმწიფოს შორის მომავალ გარდაუვალ ომში თავისი სახელმწიფოსათვის მაქსიმალური სარგებლის მიღებისათვის ზრუნავდა (სხვა საკითხია, რამდენად გაამართლა საბოლოოდ მისმა გათვლებმა). ამიტომ მართებული ვერ იქნება განცხადება, რომ მეფემ თითქმის არაფერი არ იცოდა სამი მეზობელი იმპერიის კავკასიური პოლიტიკის გეგმებისა და მოსალოდნელი სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირების შესახებ (გურული 2018: 4). ერთადერთი, რაც ერეკლე II-სთვის ბოლომდე ამოუცნობი დარჩა, ეს იყო რუსეთის საიმპერატორო კარის მიზნები მისი სამეფოსა და ზოგადად სამხრეთ კავკასიის მიმართ. რუსეთის გეგმების თაობაზე სამეფო კარი მთლიანად რუსი დიდმოხელეების მოწოდებულ ცნობებსა და საამო დაიმედებებზე იყო დამოკიდებული. მეფე არც მათ მიმართ იყო გამსჭვალული განსაკუთრებული ნდობით. ერეკლეს რაციონალური ეჭვების გასაფანტად კი აქტიურად ამოქმედდა 1780-იანი წლების დამდეგიდან სამეფო კარზე ამ მიზნით შემოგზავნილი თუ წინასწარ გადაბირებული რუსული აგენტურა.

XIX საუკუნის დამდეგიდან მოყოლებული საკუთარი სამშობლოს რუსეთის გუბერნიად გადაქცევის შემყურე ქართულ არისტოკრატიაში და ზოგადად ქართულ მოწინავე საზოგადოებაში მუდმივად ტრიალებდა სურვილი და ოცნება, რუსეთთან ურთიერთობა გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების კალაპოტში დაებრუნებინათ. ეს იყო რუსეთის კოლონიური მმართველობის წინააღმდეგ არაერთხელ აჯანყებულ ქართველთა უმთავრესი მოთხოვნაც. იმ ვითარებაში ქართველ პატრიოტებს მხოლოდ ამ პირობებით ესახებოდათ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ხელისუფლებაში ბაგრატიონების დინასტიის დაბრუნება. ეს ხელშეკრულებაც ხომ ზუსტად ამ პირობებს ითვალისწინებდა (რუსეთის პროტექტორატი ქართულ სამეფოზე ამ უკანასკნელის სათავეში ერეკლე II-ის შთამომავალი ბაგრატიონით) და მასზე თვით რუსეთის იმპერატორს ჰქონდა ხელი მოწერილი.

ამის თანადროულად გეორგიევსკის ხელშეკრულებას, როგორც ერეკლე მეფის სურვილს, „ერთმორწმუნე რუსეთთან" დაემყარებინა „სამუდამო კავშირი", იდეოლოგიური თვალსაზრისით ენერგიულად იყენებდა რუსული კოლონიური მმართველობაც. ასევე ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ მაშინ გამუდმებით ესმებოდა ხაზი ორი ხალხის სარწმუნოებრივ ერთობას. ამის ნიმუშად საკმარისია, მოვიყვანოთ ერეკლეს რუსეთის „მფარველობაში" შესვლის XIX საუკუნის ცნობილი რუსი (უფრო ზუსტად გარუსებული გერმანელი) სამხედრო ისტორიკოსის ვასილ პოტოს საისტორიო ნაშრომში გადმოცემული ვერსია, რომელსაც ისტორიულ სინამდვილესთან თითქმის არაფერი აქვს საერთო:

> სპარსეთში გარდაიცვალა ერეკლესადმი კეთილგანწყობილი შაჰი ქერიმ-ხანი და ირანის ახალმა მბრძანებელმა, ალი-მურადმა მეფეს მორჩილება მოსთხოვა. მაშინ ომებისაგან გადაქანცულმა ერეკლემ გადაწყვიტა თავისი სამეფო მიეცა რუსეთის ქვეშევრდომობაში, რის თაობაზეც უბრწყინვალესი თავადი პოტიომკინის გამჭრიახი მოღვაწეობის წყალობით (იგულისხმება გრიგოლ პოტიომკინი – დ. მ.) უკვე მიმდინარეობდა მოლაპარაკებანი. საქართველოს შეერთების გადაწყვეტილების მიღებისას, ეკატერინე, რასაკვირველია, არ ეძიებდა თავის ისედაც ფართო სახელმწიფოს გაზრდას; იგი ხელმძღვანელობდა დიდსულოვანი წადილით, გადაერჩინა უბედური ერთმორწმუნე ქვეყანა, ტანჯული უცხო მაჰმადიანური ბატონობისაგან და შინა არეულობისგან (პოტო 1887: 259).[1]

უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებისადმი მცდარი შთაბეჭდილების შექმნა რუსეთის საიმპერატორო კარზე იმთავითვე იყო ჩაფიქრებული. იქ ქართლ-კახეთის მეფის „მფარველობაში" აყვანის საკითხი ერეკლე მეფის დაუკითხავად გადაწყდა, როდესაც ეს მათ თავად დასჭირდათ –რუსეთში ყირიმისა და ყუბანისპირეთის ანექსიისათვის დიდი სამზადისი იყო გაჩაღებული და ამ გეგმის აღსრულებისას სავსებით შესაძლებელი იყო ოსმალეთს რუსეთისათვის ომის გამოცხადებით ეპასუხა. ამიტომ პეტერბურგში დაიწყეს ზრუნვა, რათა ქართლ-კახეთის მეფისაგან როგორმე მფარველობაში მიღების („შევრდომის") საჭირო თხოვნა მიეღოთ და საერთაშორისო საზოგადოების თვალში საქმე ისე წარმოედგინათ, თითქოს „მისი იმპერატორობითი უმაღლესობის მფარველობაში" შესვლა ერეკლე II-ის დაუოკებელი სწრაფვა ყოფილიყო და რუსეთის დედოფალიც ქართველი მეფის „უმორჩილეს" თხოვნას „დიდსულოვნად აკმაყოფილებდა". ქართველი მეფისაგან სასურველი თხოვნის მიღების შემდეგ კი 1783 წლის 18 თებერვლის ბრძანებულებაში ეკატერინე II აღნიშნავდა, რომ ერეკლე თეიმურაზის ძეს მისი სამეფოებითა და ოლქებით თავის მფარველობაში იღებდა მეფის „საკუ-

თარი გულწრფელი და ნებაყოფლობითი თხოვნისა და ასევე მისი უგანათლებულესობის (ერეკლე II-ის – დ. მ.) მხრიდან მისი მემკვიდრეების სახელით ქართლისა და კახეთის მეფეებზე სრულიად რუსეთის იმპერატორების უზენაესი ხელისუფლების აღიარების" საფუძველზე (დოკუმენტები 2014: 150).

რუსეთის იმპერიის დაშლის შემდგომ, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანმოკლე არსებობის დროს გაჩნდა შესაძლებლობა რუსულ-ქართული პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიის შესახებ აზრის ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოთქმისა. აღნიშნული თემის განხილვისას გეორგიევსკის ტრაქტატის დადების მიზეზებისა და მისი შედეგების ამსახველი დებულებებიც ი. ჯავახიშვილის მიერ მთლიანობაში მართებულად იქნა ჩამოყალიბებული, თუმცა ალბათ ნაწილობრივ საკმარისი მასალის არარსებობისა და ნაწილობრივ ნაშრომის მიზანდასახულობის გამო საკითხი სათანადო სიღრმისეული კვლევის გარეშეა მონოდებული და მეტწილად შედარებით ზოგადი განმარტებებით შემოიფარგლა (ჯავახიშვილი 1919: 85-86, 93-96).

დამოუკიდებელი საქართველოს საბჭოთა-ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ტრაქტატის პროპაგანდისტულ-იდეოლოგიური დატვირთვა განსაკუთრებით გაიზარდა. საბჭოთა პერიოდის პირველ ეტაპზე ხაზი ესმებოდა იმას, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მფარველობაში შესვლა სხვა არაფერი იყო, თუ არა თვითონ ერეკლე II-ის უაღრესად გონივრული არჩევანი, რომ მეფეს სხვა გამოსავალი ნამდვილად აღარ ჰქონდა და ამდენად მას მოუწია „უმცირესი ბოროტების" არჩევა, რათა „ქართველი ხალხი ეხსნა ფიზიკური განადგურებისაგან". 1930-იან წლებში კომპარტიის საკავშირო კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ დამტკიცებული „სამეცნიერო სტანდარტის" თანახმად,[2] რუსული არჩევანი იყო უმცირესი ბოროტება (შესაბამისად, „უდიდეს ბოროტებად" ტრადიციულ მეზობელ იმპერიებთან, ოსმალეთსა და ირანთან კავშირი განიხილებოდა).[3] ეს დამოკიდებულება იმით აიხსნებოდა, რომ მაშინ ხელისუფლების სათავეში მყოფი ბოლშევიკ-კომუნისტური ხელისუფლების იდეოლოგიური შტამპის შესაბამისად, რუსული თვითმპყრობელობა და „ხალხთა საპყრობილედ" აღიარებული „მეფის რუსეთი", იმთავითვე ბოროტების განსახიერებად წარმოიდგინებოდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ამ გადაწყვეტილებით ქართველებს „ძოძმე რუს ხალხთან დაკავშირების" საშუალება მიეცათ, რაც ბოლშევიკურ-პროლეტარული სულისკვეთების შესაბამისად, უეჭველ წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნეოდა. მალე, კომუნისტური მმართველობის მეორე ეტაპზე „უმცირესი ბოროტების" სტალინის დროინდელი ფორმულაც წარსულს ჩააბარეს და გეორგიევსკის ტრაქტატი საბჭოთა პროპაგანდის მიერ უკვე უპირობო „პროგრესულ მოვლენად" იქნა გამოცხადებული.[4]

იმ ეპოქის („საბჭოთა") ისტორიკოსთა ერთი ნაწილი გულწრფელად და ურყევად იზიარებდა საბჭოთა პროპაგანდის მიერ დირექტივების სახით მოცემულ დებულებებს. მეორე ნაწილი ალბათ გულში ბოლომდე არც ეთანხმებოდა ამ „მეცნიერულ დოგმებს", მაგრამ თავს მაინც ვალდებულად თვლიდა, ზედმინევნით შეესრულებინა კომპარტიის იდეოლოგიური მითითებები (იდეოლოგიურ „გადაცდომებს" „მშობლიური ლენინური პარტია" ასე იოლად არავის პატიობდა, სტალინის ხანაში ბევრ ადამიანს ამგვარი ბრალდება საკუთარი სიცოცხლის ფასადაც კი დაუჯდა). იყო იშვიათი გამონაკლისიც, როცა თითო-ოროლა მეცნიერი თავის გამოკვლევებში ტრაქტატის მრავალ უარყოფით მხარეზეც ამახვილებდა ყურადღებას და ჰყოფნიდა გამბედაობა, მეტ-ნაკლებად პირუთვნელად ესაუბრა რუსეთის საიმპერატორო კარის ნამდვილი ზრახვებისა და საქართველოსათვის ხელშეკრულების სავალალო შედეგების შესახებ. თუმცა რეჟიმისათვის ხარკის სახით გაღებული საბოლოო დასკვნები სამეცნიერო შრომებისა სრულიად ეწინააღმდეგებოდა მათივე მთელს წინარე მსჯელობას და შესაბამისად, კონტექსტიდან საერთოდ იყო ამოვარდნილი. ამრიგად, დასკვნები მაინც პროპაგანდისტულ ჩარჩოებში თავსდებოდა. საფიქრებელია, მაშინდელი საბჭოთა ცენზორების დიდ ნაწილს შესაბამისი განათლება ჰყოფნიდა; ისინი არც დიდტანიანი სამეცნიერო გამოკვლევის გამოწვლილვით წაკითხვით არ იწუხებდნენ თავს. ამიტომ მათთვის ისიც დამაკმაყოფილებელი იყო, რომ მეცნიერული დასკვნები არსებულ იდეოლოგიურ კლიშეებს შეესაბამებოდა. თუმცა საბჭოთა ეპოქის სასკოლო სახელმძღვანელოებში, გასაგები მიზეზების გამო საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხი, როგორც წესი, ყოველთვის ძალზე დამახინჯებულად იყო წარმოდგენილი და ეს ვითარება კომუნისტური ხელისუფლების მიერ მუდამ მკაცრად კონტროლდებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თანადროულად თითქოს წარსულს უნდა ჩაბარებულიყო გეორგიევსკის ტრაქტატის თაობაზე ჩრდილოეთიდან თავსმოხვეული ჩამოყალიბებული პროპაგანდისტული მითებიც. მაგრამ ისინი უკვე იმდენად მყარად აღმოჩნდა გამჯდარი თაობების ცნობიერებაში, რომ მისი გავლენის კვალი დღემდე აშკარად შესამჩნევია (ხშირად ახალგაზრდა თაობაზეც კი). ხალხში ხშირად ვაწყდებით ისეთ აბსურდულ განცხადებებს, რომ თითქოს „ერთმორწმუნე" რუსეთის მფარველობაში შესვლის წყალობით შეძლეს ქართველებ-

მა ქრისტიანული რწმენის შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მსჯელობანი მეტისმეტად დილეტანტურია და შესაბამის ეპოქაზე წარმოდგენის სრულ უქონლობაზე მეტყველებს, ასეთი ტიპის სტერეოტიპებიც სწორედ ზემოაღნიშნული ცრუ პროპაგანდისტული მითების ერთგვარ პრიმიტიულ გამოძახილს წარმოადგენს.

ვფიქრობ, საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე სრულყოფილი წარმოდგენა გეორგიევსკის ტრაქტატის რაობის, მისი გაფორმების გამომწვევი ნამდვილი მიზეზების (როგორც რუსეთის, ასევე ერეკლეს სამეფო კარის მხრიდან) და ქართლ-კახეთისათვის ამ ტრაქტატით გამოწვეული მძიმე შედეგების შესახებ, თუნდაც მისი დადებიდან პირველივე წლების განმავლობაში.

უკანასკნელ ხანს გამოიკვეთა საინტერესო ტენდენციაც: თუ მანამდე გეორგიევსკის ტრაქტატის გამართლებას საფუძვლად ედო საქართველოს „მხსნელ" რუსეთთან და „მოძმე რუს ხალხთან" მეგობრობის აუცილებელი იდეა, ჩვენს დროში ეს იდეა ჩაანაცვლა „ბრძენი და წინასწარ მჭვრეტელი" მეფე ერეკლეს იდეამ. ისე გამოვიდა, რომ შეიცვალა ტრაქტატის გამართლების მიზანი, შედეგი კი საბოლოო ჯამში უცვლელი დარჩა: თითქოს უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ ერეკლე II-ს სხვა გზა უბრალოდ აღარ ჰქონდა. მას „არჩევანი ცუდსა და უარესს შორის უნდა გაეკეთებინა" (გურული 2009: 45) და, ამდენად, რუსეთთან „მფარველობით" ხელშეკრულებას ქართველთათვის უკეთესი ალტერნატივა არ ჰქონდა. ამ შემთხვევაში არ არის გათვალისწინებული საკითხის ამგვარად დასმის გამომრიცხავი ერთი გარემოება: XVIII საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარი, ვიდრე 1782 წლამდე, პერიოდი ერეკლეს ხანგრძლივი მეფობის უმეტესი ძლიერების ხანას წარმოადგენს (მაჭარაძე 1983: 14). ამრიგად, ხალხში სახელმოხვეჭილი ქართველი მეფის გაიდეალების, მისი შეუმცდარად დასახვის სურვილით გატაცებულმა ზოგიერთმა ქართველმა მკვლევარმა საბოლოო ჯამში, მათდა უნებურად, ერთგვარად ახალი სიცოცხლე შთაბერა „უმცირესი ბოროტების" ძველ საბჭოურ თეორიას.

ნაკლებად ლოგიკურად მოჩანს ზემონახსენები იდეის საფუძვლად დადებული შემდეგი მოსაზრება: ერეკლე II, როგორც „დიდი დიპლომატიური ნიჭითა და ალღოთი დაჯილდოვებული პოლიტიკოსი,... გრძნობდა რუსეთის მხრიდან მოსალოდნელ ღალატს", ანუ ხვდებოდა, რომ რუსეთი სანდო პარტნიორი არ იყო და მის სამეფოს „გადაყლაპვას" უპირებდა და ამის მიუხედავად, ვინაიდან აცნობიერებდა, რომ სამ იმპერიას შორის სამხრეთ კავკასიისათვის წარმოებულ ჭიდილში ჩრდილოელის გამარჯვება გარდაუვალი იყო და მისი სამეფო მთელს რეგიონთან ერთად ნებისმიერ შემთხვევაში, მისი პრორუსული ორიენტაციის გარეშეც, პოტენციურად გამარჯვებული რუსული იმპერიის ხელში აღმოჩნდებოდა, ხოლო მისადმი ნინააღმდეგობის გაწევა მეფის ძალებს აღემატებოდა, ყველა ღონე იხმარა რუსეთთან ტრაქტატის დასადებად (გურული 2009: 58); (გურული 2011: 70).[3] სხვანაირად რომ ვთქვათ, გამოდის, რომ ერეკლემ „ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა".

გარდა იმისა, რომ ქართული სამეფო კარის პოლიტიკურ ორიენტაციის მნიშვნელობის ესოდენ უგულებელყოფას (განსაკუთრებით ჩვენს განსახილველ ეპოქაში) არავითარი გამართლება არ ეძებნება, ძნელი წარმოსადგენია, მეფეს შეგნებულად შეეწყო ხელი მისთვის ყველაზე საშიში დამპყრობელის პოზიციების გაძლიერებისათვის მის სამეფოში. ქართველი მეფეები, როგორც წესი, ყოველთვის საპირისპირო გზას ამჯობინებდნენ. ერეკლე II-ც ალბათ, მართლაც, არ იყო დარწმუნებული, რამდენად სანდო პარტნიორად გამოადგებოდა რუსეთი. შეიძლება ამის გამო ყოყმანობდა იგი ტრაქტატის გაფორმების წინ. ამასთან აშკარაა, რომ რუსეთთან ტრაქტატით შეკვრის ინიციატივა მეფისაგან არ მოდიოდა. გარდა იმისა, რომ ზემოაღნიშნული თვალსაზრისი საყრდენს ვერ პოულობს პირველად წყაროებში, არ თანხვდებოდა ტრაქტატში გაწერილ პირობებს, ასევე საერთოდ ეწინააღმდეგება ქართველი მეფის პოლიტიკურ მიზანდასახულობას, რომლის უმთავრესი მიზანი როგორც მანამდე, ამჯერადაც სწორედ სახელმწიფოს გაძლიერება, მეზობელ სახანოებზე პოლიტიკური გავლენის მეტად განვრცობა, ლეკთა და ოსმალთაგან მიტაცებული ქართული მიწა-წყლის შემოერთება და ტახტზე საკუთარი დინასტიის მფლობელობაში დანარჩუნება წარმოადგენდა.

რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, აღნიშნული შეხედულება ვერ უთავსდება იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი რუსეთის იმპერიულ მიზნებში, მართლაც, შედიოდა მთელი კავკასიის დაპყრობა, ეს მისი მთავრობისთვისაც ძალიან გრძელვადიანი პერსპექტივა იყო. 1783 წლისათვის რუსეთს ქართლ-კახეთის სამეფოსთან საერთო საზღვარიც კი არ გააჩნდა და მისგან იმპერიისადმი მტრულად განწყობილი მთიელებით დასახლებული და რთულად მისადგომი ჩრდილოკავკასიის მაღალმთიანი რეგიონი გამოჰყოფდა. ამ ბარიერის გასარღვევად რუსეთის ხელისუფლებამ ერეკლესთან ხელშეკრულების გაფორმების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საგანგებოდ დაიწყო გზის გაყვანა თერგის ხეობაში დარიალამდე (ქართული სამეფოს საზღვრამდე) და ამ სამუშაოების შესასრულებლად მთელი ბატალიონების ჩართვა მოუწია. ეს რუსეთი-

სათვის საქართველოსთან დამაკავშირებელი ერთადერთი ძალზე ვიწრო დერეფანი იყო, რომელიც ძირითადად სამხედრო დანიშნულებისათვის უნდა გამოყენებულიყო. ამიტომ მოგვიანებით მას „საქართველოს სამხედრო გზა" (Военно-грузинская дорога) ეწოდა. ამ გზით სარგებლობა კი წელიწადის მხოლოდ შეზღუდული პერიოდის განმავლობაში იყო შესაძლებელი და მაშინაც მუდმივ შეკეთებას საჭიროებდა – მთებში თოვლის დნობის შედეგად სეზონურად აბობოქრებული თერგი და მისი მომცრო შენაკადები გამეტებით ანგრევდნენ მასზე გადებულ ხიდებს და მის ნაპირთან ახლოგამავალი გზის მონაკვეთებსაც არ ინდობდნენ. ამ ცადაზიდულ მთებს შორის გამავალი გზის დასაცავად სიმაგრეები ააგო. სწორედ საქართველოსთან კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით, ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში, აღნიშნული გზის დასაწყისში 1784 წელს საფუძველი ჩაეყარა ცნობილ ციხე-სიმაგრე ვლადიკავკაზს. მიუხედავად ამისა, თავისუფლებისმოყვარე მთიელებთან დაძაბული და ხშირად საომარი ურთიერთობის პირობებში გზის დაცვის უზრუნველყოფა და მასზე კონტროლის შენარჩუნება რუსეთს იმ დროს ყოველთვის მაინც ვერ უხერხდებოდა. ასევე აღსანიშნავია, რომ ძლევამოსილმა რუსულმა იმპერიამ ქართლ-კახეთის სრული დაუფლების პირობებშიც კი, ფაქტობრივად, ალყაში მომწყვდეული ჩრდილო-აღმოსაელეთი კავკასიის დაპყრობას კიდევ 30-იოდე სისხლისმღვრელი წელიწადი მოანდომა და ისიც უზარმაზარი მსხვერპლის ფასად. მხოლოდ ამის მერეღა მიჰყო ხელი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიელების დამორჩილებას, რასაც ადგილობრივთა მხრიდან დიდი წინააღმდეგობის გამო ცეცხლისა და მახვილის გამოყენებით ახორციელებდა და თავისუფლებისმოყვარე ჩერქეზ-ადიღეელების მასობრივი ეთნონმენდის ხარჯზე მხოლოდ 1864 წლისათვის (რომელიც ე. წ. კავკასიის ომების დასრულების თარიღად არის მიჩნეული) დაასრულა.

ასეთ ვითარებაში გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროისათვის და შემდეგაც, კარგა ხნის განმავლობაში, რუსეთის მიერ კავკასიონის ქედის გადმოლახვით საქართველოში შემოსვლა ქართველთა ხელშეწყობის გარეშე და, მითუმეტეს, სამეფო კარის ნების წინააღმდეგ, სრულიად შეუძლებელი იყო. გეორგიევსკის ტრაქტატის წინ ამგვარი განუხორციელებელი გეგმები არც ეკატერინე II-ის კარზე არ ჰქონიათ და, ბუნებრივია, არც ერეკლე II-ს აღელვებდა რუსთაგან დაპყრობის საფრთხე. იმ ეტაპზე სამხრეთ კავკასიას რუსეთისათვის ოდენ დამხმარე როლი ეკისრებოდა ყირიმ-ყუბანი-სპირეთის დაპყრობის საქმეში. უშუალოდ ამიერკავკასიის „ათვისების" საკითხი კი სწრაფად მზარდი იმპერიის დღის წესრიგში მხოლოდ ყირიმის საკითხის ჯეროვანი გადაწყვეტის შემდეგ უნდა დამდგარიყო. თუმცა საიმპერატორო კარი წინასწარვე იჭერდა საამისო თადარიგსაც. სამხრეთ კავკასიის დაუფლებისათვის მომავალ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად კი რუსეთს ჰაერივით სჭირდებოდა მყარი საყრდენი, რაც, თავის მხრივ, შედარებით გაუადვილებდა ჩრდილო კავკასიის მთიანეთის მშფოთვარე მკვიდრთა დამორჩილებასაც. ასეთი საყრდენის გარეშე რუსეთი იძულებული იქნებოდა, ზურგმოუშლელი ჩრდილო კავკასიის დასაპყრობად კიდევ უფრო ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლები ეწარმოებინა, ვიდრე მას ეს დასჭირდა ამიერკავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილის ხელში ჩაგდების პირობებში.

1783 წლის ტრაქტატის მოთავეც ერეკლე II არ ყოფილა. ეს ღონისძიება სწორედ რომ რუსეთის ინტერესებში შედიოდა. ეკატერინე II-ის კარის მთავარი მიზანი ე. წ. მფარველობით ტრაქტატზე ქართლ-კახეთის მეფის „ნებით" დაყოლიება წარმოადგენდა, რისთვისაც სხვადასხვა მრავალფეროვანი საშუალებები – წინასწარ გამიზნულად მეტ-ნაკლებად დიდი თუ მცირე ხელოვნური პრობლემების შექმნა, ყალბი და მაცდუნებელი დაპირებების გაცემა და ა. შ. – იქნა გამოყენებული (რის თაობაზედაც ქვემოთ დაწვრილებით ვისაუბრებთ). მაგრამ მაშინაც საიმპერატორო კარს რუსეთის სასარგებლოდ ყირიმის საკითხის გადაჭრის სამსახურში იმერეთის მეფე სოლომონ I-თან ერთად ერეკლე II-ის ჩაყენებაც ჰქონდა განზრახული. თუმცა ამის შესახებ ქართველმა მეფეებმა მაშინაც არაფერი იცოდნენ და ორივე მათგანს მხოლოდ საკუთარი სამეფოსათვის მისაღები სარგებლის მოლოდინი ამოძრავებდა. თუმცა კი, როგორც შემდეგ გამოჩნდა, ამ საოცნებო მოლოდინის შედეგმა თვალს და ხელს შუა ჯოჯოხეთურად იცვალა ფერი.

ტრადიციულად, ერთმანეთის მოქიშპე დამპყრობელი იმპერიებიდან, ქართველი მონარქები როცა ამის შესაძლებლობა იყო, რომელიც ყველაზე მეტად უქადდა საფრთხეს მათ სუვერენიტეტს, ყოველთვის იმის წინააღმდეგ ჰკრავდნენ კავშირს ამ უკანასკნელის მეტოქესთან. ეს სრულიად კანონზომიერი მოვლენა იყო და ამის მაგალითები ისტორიის ხანგრძლივ გზაზე უამრავია (ასეთი მაგალითების მოყვანა ძალზე შორს წაგვიყვანდა). დარწმუნებული ვარ, ერეკლე II-ს ოდნავ მაინც რომ ჰქონოდა წარმოდგენა, რომ მისი აღსასრულიდან სულ რაღაც სამიოდე წელიწადში „მფარველი" სახელმწიფოსა და მისი *„იმპერატორობითი უდიდებულესობის"* ხელით მისი სამეფოს აღსასრულიც დადგებოდა, რუსეთის მხრიდან სხვადასხვა სახით მასზე განხორციელებული ზენოლის მიუხედავად,

მსგავსი ხელშეკრულების გაფორმებას არ დათანხმდებოდა. მეტიც, უფრო ლოგიკური იქნებოდა, დარიალიც საგულდაგულოდ გადაერაზა და ოსმალეთთან XVIII საუკუნის II ნახევარში დაწყებული პოლიტიკური დაახლოების პროცესი კიდევ მეტად გაეღრმავებინა. ამ ღონისძიებით ერეკლე II არაფერს დაკარგავდა: არავინ უწყოდა, რა მოხდებოდა, ათწლეულების შემდეგ და როდის მოადგებოდა რუსეთის იმპერია უშუალოდ ქართლ-კახეთის სამეფოს ჩრდილოეთ საზღვრებს, მით უფრო, ისეთი ძალით, რომ იმდროინდელი სამხედრო-ტექნიკური საშუალებების გათვალისწინებით, მტკიცე ზღუდედ აღმართული კავკასიონის ქედის გადმოლახვა შეძლებოდა და ქართული სამეფოსათვის იარაღით დაპყრობის საფრთხე შეექმნა. ასეთ შემთხვევაშიც კი ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობა, რამდენიმე ათეული წლით მაინც გახანგრძლივდებოდა.[6]

მიამიტურია ასევე თეორიული დაშვების შესაძლებლობა, რომ რუსეთი ქართლ-კახეთს ოდესღაც, ნებით თუ არა, ძალით მაინც დაიპყრობდა და მაშინ იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩენილი სამეფოს მოსახლეობის მდგომარეობაზე ეს უარესად აისახებოდა და ერეკლემაც ამიტომ გადადგა ეს ნაბიჯი.[7] შორს რომ არ ვავიდეთ, ქართლ-კახეთისაგან განსხვავებით, რუსეთმა ბრძოლით დაიპყრო იმერეთის სამეფო (აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის დაპყრობის საშუალებაც რუსეთს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ანექსიის შედეგად მიეცა), მაგრამ პოლიტიკური შედეგი ორივე სამეფოსათვის აბსოლუტურად ერთი იყო და რუსულ კოლონიურ რეჟიმსაც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მკვიდრნი სოციალური და კულტურული თვალსაზრისითაც ერთნაირად განიცდიდნენ.

ვერ გავიზიარებთ ასევე მოსაზრებას, რომ თითქოს ამასიის გეოპოლიტიკური სისტემის პირობებში ქართველ ხელისუფალთ რუსეთის იქით გზა არ ჰქონიათ და მათ რუსეთზე სწორება არჩევანიც კი არ ყოფილა – არამედ ეს მათთვის ერთადერთი გამოსავალი იყო არსებული სისტემის მოსაშლელად (შველიძე 2014: 13).[8] მართალია, ირან-ოსმალეთს შორის ხანგრძლივი ომის შემდეგ, 1555 წლის 29 მაისს ქ. ამასიაში დაიდო ზავი, რომლის მიხედვითაც, ოსმალეთმა და ირანმა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები გაინაწილეს. აღმოსავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს მტკვრის აუზში მოქცეული ნაწილი მიიღო ირანმა, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე-საათაბაგოს დანარჩენი მხარეები – ოსმალეთმა. წინა აზიის ამ ორ დამყრობელ სახელმწიფოთა შორის ეს შეთანხმება მთელი გვიანი შუა საუკუნეების განმავლობაში არაერთხელ ირღვეოდა. ძირითადად მას თავის სასარგებლოდ ცვლიდნენ შეტევაზე გადასული ოსმალები, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდათ (პირველად იგი აღნიშნული ზავიდან სულ რაღაც 23 წელიწადში, 1570 წელს დაირღვა). ასე რომ, ეს სისტემა არც ისე მდგრადი იყო. ასევე მართალია, რომ ირანი მდგომარეობის გამოსწორებას მაინც ახერხებდა ხოლმე (თუმცა სამცხე-საათაბაგოს თავის წილზე სამუდამოდ მოუწია უარის თქმა). უკანასკნელად ეს განახორციელა ნადირ-შაჰმა XVIII საუკუნის 30-იან წლებში.

ქართველები, როგორც წესი, უცხო სახელმწიფოთა მიერ მათი ქვეყნების ამგვარ გადანაწილებას არ აღიარებდნენ და ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ცდას არ აკლებდნენ დამპყრობელთა შემოტევების მოსაგერიებლად. საამისოდ ჩვეულებრივ, ცდილობდნენ მოკავშირეთა მოძიებასაც, ძირითადად ევროპაში და შემდეგ რუსეთშიც. თუმცა ქართველ მონარქთა მიერ რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობისათვის ნიადაგის მოსინჯვა სულაც არ ნიშნავს მათ „უპირობო რუსულ ორიენტაციას“. მითუმეტეს, მათ „გონებასუსტებად“, „გულუბრყვილოებად“ და „რელიგიურ ფანატიკოსებად“ მიჩნევა არ შეიძლება აზრად მოუვიდეს პროფესიონალ მეცნიერ ისტორიკოსს, იმის მიუხედავად, რომ ერეკლე II-ის მამის, თეიმურაზ II-ის რუსეთში გამგზავრების ჩათვლით, მეფეთა ამგვარი მცდელობები მთლიანობაში საერთოდ რაიმე ხელრიანი შედეგის გარეშე დასრულდა.[9] ამის მიზეზი კი ის იყო, რომ, სამწუხაროდ, იმ ეპოქის ქართულ სამეფო კარზე, არსებული პოლიტიკური ვითარების, მის მმართველთა გეოპოლიტიკური ინტერესებისა და სამხედრო შესაძლებლობის თაობაზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ რუსეთში (ისევე, როგორც ევროპაში).

თუ რამდენად იყო რუსეთთან დაკავშირება „ამასიის გეოპოლიტიკური ჩიხიდან“ გამოსასვლელად ქართველ მეფეთა „ერთადერთი გამოსავალი“, ამას ცხადად აჩვენებს თვით ამგვარი კავშირების შედეგები: კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს „მოსკოვის მეფის“ ერთგულებაზე დაფიცება და ჩრდილოელებთან დიპლომატიური ურთიერთობის შემდგომი გაგრძელება თავისი და საკუთარი მემკვიდრის (უფლისწულ გიორგის) სიცოცხლის ფასად დაუჯდა (1605 წლის ძეგამის ცნობილი ტრაგედია); თეიმურაზ I-ს – მოშენებული კახეთის აქამდე არნახულ უსასტიკეს განადგურებად შაჰ-აბას I-ის მიერ და სამეფოს დიდი ხნით მიტოვებად; ქართლის მეფე ვახტანგ VI-ს იმპერატორ პეტრე I-თან სამხედრო კავშირის შეკვრა და მისი წაქეზების აჩქარებულად აყოლა (შესაბამისად, ოსმალეთისათვის მოკავშირეობის შეთავაზებაზე უარის თქმა და ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა) – მტრის მიერ ქართლის სრულ დაპყრობად, მის ოსმალეთის ვილაეთად გადაქცევად, სამეფოს სამუდამოდ დაკარგვად, მთე-

ლი ოჯახითა და დიდი ამალით რუსეთში გადახვეწად და იქ დახმარების ამაო მოლოდინით გატანჯულს უცხო მიწაზე სასოწარკვეთილს სულის დალევად.

„მცირე ბოროტების" თეორიის ანარეკლი ჩანს შემდეგ მსჯელობაშიც: „აგრესიული და დამპყრობლური რუსეთის" „მფარველობაში" შესვლა, რომელიც აუცილებლად გამოიყენებდა გეორგიევსკის ტრაქტატს ქართლ-კახეთის სამეფოს მოსასპობად, „ქვეყნის საერთო მდგომარეობისა და სამომავლო განვითარების განსაზღვრის აუცილებლობა ედო საფუძვლად". სხვა შემთხვევაში ერეკლე II „დარჩებოდა ირანის გავლენის სფეროში" და „მშვიდობიან იდილიას" შეინარჩუნებდა ბრწყინვალე პორტასთან, ანუ „საქართველო დარჩებოდა ამასიის გეოპოლიტიკური სისტემის რეალობაში". აბიტომ მეფემ „ირანულ-ოსმალურ აღმოსავლეთს" „ქრისტიანულ-კულტურულ რუსეთთან დაახლოება" ამჯობინა (შველიძე 2014: 44-45).[10] ასეთი თვალსაზრისი მით უფრო უცნაურად გამოიყურება, რამდენადაც მისი ავტორი იმავე ნაშრომში შესანიშნავად ამჩნევს რუსეთის არასანდოობას, მის მიერ ორმაგი პოლიტიკის წარმოებას, საქართველოს მუდმივად მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის გამოყენების მცდელობას, ხაზგასმით აღნიშნავს რუსეთთან ტრაქტატით დაკავშირების დამლუპველ შედეგებს ქართლ-კახეთის სამეფოსათვის და ა. შ. ისე გამოდის, თითქოს ერეკლე მეფისათვის თვითმიზანი „ამასიის გეოპოლიტიკური რეალობის დარღვევა", ირანულ-ოსმალური აღმოსავლეთისაგან თავის დაღწევა ყოფილიყო და ამისათვის მისი ნალოლიავები და სიმწრითა და ჯაფით მოლონიერებული და ფეხზე დამდგარი სამეფო „ერთმორწმუნე" „კულტურული" რუსეთისათვის მეფეს „ლანგარზე დადებული" მიურთმევია პოლიტიკური რუკიდან მის სამუდამოდ გასაქრობად. ვფიქრობ, ერეკლე მეფის გადაწყვეტილებათა და სტრატეგიის ამგვარი დამამცირებელი შეფასება შორსაა ისტორიული სინამდვილიდან და თავად დამაშვრალი მეფის პიროვნების შეურაცხყოფადაც გვესახება.

მით უფრო გამართლებული არაა ე. წ. ამასიის გეოპოლიტიკურ რეალობაზე საუბარი გეორგიევსკის ტრაქტატის წინა ხანასთან კავშირში. ნადირ-შაჰის სიკვდილის (1747) შემდეგ ეს პირობითი სისტემა ფორმალურადღა განაგრძობდა არსებობას. ირანმა დიდი ხნით დაკარგა კონტროლი მთელს აღმოსავლეთ კავკასიაზე (კონტროლი მის მცირე ნაწილზე და ისიც ტრაქტატის დადებიდან ათიოდე წლის შემდეგ და მხოლოდ სულ რამდენიმე წლით აღადგინა აღა-მაჰმად ხან ყაჯარმა). ხოლო ოსმალეთს აღარ ჰყოფნიდა იმის ძალები, რომ თვითონ ამოევსო რეგიონში შექმნილი ეს ერთგვარი იმპერიული „ვაკუუმი" (როგორც. მაგალითად, ამის განხორციელება შეძლო იმავე საუკუნის 20-იან წლებში). ამის შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში სრულიად სუვერენული სახელმწიფო(ები) მივიღეთ. მის მეზობლად კი მრავალი წვრილი დამოუკიდებელი სახანო წარმოიშვა, თავის მხრივ, გაერთიანებულ ქართლ-კაბეთის სამეფოს წინაშე პოლიტიკური გაძლიერების მიმზიდველ პერსპექტივას რომ სახავდა: რამდენიმე საუკუნის შემდეგ ქართულ სახელმწიფოს პირველად მიეცა შესაძლებლობა მეზობელი მუსლიმი მმართველები „ყმადნაფიცობაზე" დაეყაბულებინა. 1774 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდგომ ფორმალური სახე მიიღო ოსმალეთის პოლიტიკურმა ბატონობამაც დასავლეთ საქართველოზე. ცხადია, ე. წ. ამასიის გეოპოლიტიკურმა სისტემამ თავი ამოწურა 1783 წლამდე მნიშვნელოვნად ადრე. გაუგებარია ამ დროისათვის ერეკლე II-ის ირანის გავლენის ქვეშ ყოფნაზე საუბარიც. XVIII ს-ის 60-70-იან წლებში ქართლ-კახეთს არც ირანი ანუხებდა და არც ოსმალეთი. ირანს უბრალოდ ამის თავი აღარ ჰქონდა და ერეკლე ირანის ყოფილ კავკასიური სამფლობელოების დაუფლებისათვისაც კი ილეწოდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს კი ერეკლემ იქით შეაწუხა და მრავალი თავსატეხი გაუჩინა ოსმალებს. ახალციხის ფაშამ თავის სამფლობელოში ერეკლეს ძლიერი თავდასხმებისათვის მხოლოდ ორიოდე სუსტი რეიდითღა მოახერხა ეპასუხა. მორიგე ჯარის შექმნით ლეკიანობის პრობლემაც მნიშვნელოვანწილად გადაიჭრა (თუმც ბოლომდე ვერ აღმოიფხვრა). სწორედ გეორგიევსკის ტრაქტატის წინ ყველა უკვე გადაჭრილი ან მეტ-ნაკლებად გადაჭრილი პრობლემა ქართლ-კახეთს გაათმაგებული ძალით დაატყდა თავს სწორედ 1783 წლის შემდეგ.

გასაკვირი არაა, რომ ზემოაღნიშნული შეხედულებების ავტორი საერთოდ არ ახსენებს რუსეთის „მფარველობაში" შესვლამდე რამდენიმე წლით ადრე გაფორმებულ ერეკლე II-სა და სულთან ჰამიდ I-ის პოლიტიკურ ალიანსს. ცხადია, „ქრისტიანულ-კულტურული" რუსეთის „მოტრფიალე" მეფის მიერ „მუსლიმურ-აღმოსავლურ" ოსმალეთთან მეგობრობის ეს გადაწყვეტილება ვერ უთავსდება რუსეთთან დადებული ტრაქტატის გასამართლებლად მოხმობილ არგუმენტაციას.

ნურავინ ჩათვლის, რომ ერეკლე II-ს ვსაყვედურობთ დაშვებული შეცდომების გამო.[11] ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო, – ნათქვამია. საარქივო მასალის საფუძველზე უკვე მომხდარი ფაქტების კარგად შესწავლისა და შედეგების გულმოდგინე ანალიზის შემდეგ დღევანდელი გადმოსახედიდან ყველაფერი ნათლად ჩანს, როგორც მცდარი, ისე მართებული გადაწყვეტილებებიც. იმ დროს კი საქმე სხვაგვარად იყო. რუსეთის იმპერიის დაფარული ზრახვები ერეკლესა და

მისი მრჩეველებისათვის უცნობი რჩებოდა. რუსული დიპლომატიური ხრიკები დიპლომატიურ ურთიერთობებში გამობრძმედილი მეფისათვისაც კი არც ისე ადვილი ამოსაცნობი აღმოჩნდა (გურული 2009: 57). პეტერბურგიდან ერთი ხელით საამო და მაცდუნებელ დაპირებებს აგზავნიდნენ, რომელთა რეალობაში სამეფო კარი შემოგზავნილ-გადაბირებულ აგენტურას უნდა დაერწმუნებინა, მეორე ხელით კი ერეკლეს ოპოზიციურ ბანაკს ნახევრად ფარულად აძლიერებდნენ (ალექსანდრე ბაქარის ძე და ფათალი ხანი) და მათ გასამკლავებლად მეფეს დამხმარე ძალების თავმოყრასაც (ყაბარდოელთა ჩამოსახლება, ჯარის დაქირავება) საგანგებოდ უბრკოლებდნენ. ამ ვითარებაში ტრაქტატის დადების წინ საიმპერიო კარის პროპაგანდის გავლენისაგან თავის დაღწევა, სამწუხაროდ, არ მოხერხდა.

ჩვენი მიზანი არც რუსეთის საიმპერატორო კარის პოლიტიკის კრიტიკაა, იმის მიუხედავად, რომ ზოგადად ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად მის მიერ ყველა, მათ შორის არაერთი ვერაგული და სასტიკი ხერხი გამოიყენებოდა: ჩახლართული ინტრიგებითა და რთული დიპლომატიური სელებით დაწყებული, ახალ დაპყრობილი მიწა-წყლიდან დაუმორჩილებელი მკვიდრი მოსახლეობის ეთნოწმენდით დამთავრებული. თუ საჭირო იყო, იმპერიის ლუკმად დაგულებული ქვეყნისა და ხალხის წინაშე მზრუნველი მწყემსის ნაბდის მოსხმაზეც არ ამბობდნენ უარს. მაგრამ რუსული იმპერია, ეპოქის შესაბამისად, ნებისმიერ ფასად გაფართოება-გაძლიერებას ესწრაფოდა. თუმცა ამავდროულად, როგორც სამართლიანობა მოითხოვს, აუცილებელია, რუსეთს ერთხელ და სამუდამოდ ჩამოერთვას საქართველოს „მხსნელის“ დაუმსახურებლად მინებებული სახელი, რომელიც ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ დღესაც ძალუმად გამოიყენება კრემლის მიერ თანამედროვე პროპაგანდისტულ იარაღად.

ბოლო დროს რუსეთის გარკვეულ წრეებში შეიმჩნევა ძველი თეორიების ახალი ფორმითა და კიდევ უფრო უტიფარი სახით გაცოცხლების მცდელობა: თურმე ქართველ ხელისუფალთა „მრავალრიცხოვანი თხოვნების“ გამო როგორ ილეწოდა რუსეთი „დაბეჩავებული და გასაჭირში ჩავარდნილი“ „ერთმორწმუნე“ ქართველების „უანგარო დახმარებისათვის“ და მათ დასახსნელად მუსლიმი მტრებისაგან, რომლებიც მათ სრული განადგურებით ემუქრებოდნენ. თითქოს თავიდან რუსეთის ხელისუფლება მრავალი წლის განმავლობაში არ თანხმდებოდა ქართველი მეფეების დახმარებისა და მფარველობის „მოსაბეზრებელ თხოვნებს“, ვიდრე ბოლოს „პატარა კახმა“ არ მოახერხა და რუსეთის საიმპერატორო კარი არ „დაიყოლია“, მფარველობაში აეყვანა „ირანის კუთვნილი“ ქართლ-კახეთის სამეფო, რომელიც „არაფერში არ სჭირდებოდა“. „მფარველობაში მიღების“ გარდა, თითქოსდა მხოლოდ ამ მიზანს ემსახურებოდა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ანექსიაც („გუბერნიის უფლებით მიღება“). სხვა მხრივ კი, რუსეთს კავკასიაში საკუთარი პოლიტიკური ინტერესები სულაც არ გააჩნდა და ამ ნაბიჯით მხოლოდ ახალი თავსატეხები გაიჩინა. „უმადურმა“ და „ანგარებიანმა“ ქართველებმა კი ყველა დამპყრობელს რომ მხოლოდ რუსეთთან ყოფნით დააღწიეს თავი, ახლა, XXI საუკუნის დასაწყისში თავიანთივე „გადამრჩენელის“ წინააღმდეგ დასავლეთის სახელმწიფოებისაგან ეძიებენ მხარდაჭერას (მერკვილაძე 2010: 432-454); (მერკვილაძე 2011: 116-153).

თანამედროვე რუსი ისტორიკოსები წუხან, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ რუსეთის იმპერიის მიმართ უსამართლოდ შექმნა წარმოდგენა როგორც დესპოტურ-ტირანულ თვითმპყრობელობაზე და თანამედროვე საქართველოში (და ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში) მას სახავენ ტიპურ კოლონიურ სახელმწიფოდ და აგრესიულ იმპერიად, რომელიც ცდილობდა თავისი რეჟიმისათვის დაემორჩილებინა მისი უფრო სუსტი მეზობლები. აღნიშნული ისტორიკოსები გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ დიდი და მცირე „ბოროტების“ ძველი თეორია ერთგვარი შეტრიალებული სახით აღდგაო – თითქოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლა ყოფილიყოო დიდი ბოროტება. სინამდვილეში კი რუსეთისაგან მფარველობის მიღება ქართველთათვის სულაც არ აღიქმებოდა როგორც დიდ და მცირე ბოროტებას შორის არჩევანი და არამედ იყო რაციონალური გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან და „ქართული ელიტა სამეფოს ახალ სტატუსში ხედავდა საშინაო და საგარეო პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას, თავისი არსებობის გაგრძელების შესაძლებლობას მძლავრი და ერთმორწმუნე სახელმწიფოს დაცვით“ (ტრეპალოვი, გატაგოვა 2014: 3).

სხვანი ხედავენ რა რუსეთში ალექსანდრე I-ის მანიფესტის აშკარა შეუსაბამობას მფარველობით ტრაქტატთან, ცდილობენ რუსეთის მიერ ქართული სამეფოს ანექსია იმით გაამართლონ, თითქოს რუსეთის ვასალმა მეფე ერეკლემ თავად დაარღვია ტრაქტატის პირობები, როცა 1786 წელს ახალციხის ფაშასთან სამშვიდობო შეთანხმება გააფორმა (ეპიფანცევი 2009:) და, შესაბამისად, 1801 წლისათვის მფარველობითი ხელშეკრულება უკვე ძალადაკარგული ყოფილა. ცხადია, არც ასეთი დასკვნები დასტურდება თვით რუსული საისტორიო საბუთებით.

ამ სტატიაში ყველა ზემოალნიშნული თვალსაზრისის დაწვრილებითი განხილვა ჩვენი მიზანდასახულობის ფარგლებს სცდება. უმეტეს მათგანს, ჩვეულებრივ საერთო მიზანი აქვს – გეორგიევსკის ტრაქტატის საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად წარმოჩენა.

ჩვენს გამოკვლევებში შევეცადეთ პირველწყაროების ანალიზის საფუძველზე და ფაქტებზე დაყრდნობით განსხვავებული თვალით შეგვეხედა აღნიშნული მოვლენისათვის (მერკვილაძე 2021ა: 107-125); (მერკვილაძე 2021ბ: 126-144). პირველწყაროთა მნიშვნელოვანი ნაწილი კი იმ ეპოქის თანამედროვე რუსული ან საიმპერიო ხელისუფლების მიერ იმთავითვე რუსულ ენაზე ნათარგმნი საისტორიო წყაროებია. მათში ძალიან ცხადად წარმოჩინდება არაერთი ცალკეული საკითხის უამრავი მცირე დეტალი, რომლებიც, თავის მხრივ, ერთიანობაში ნათლად და ობიექტურად წარმოაჩენს ჩვენთვის საინტერესო მოვლენის მთლიან სურათს.[12]

შენიშვნები

[1] თარგმანი ჩვენია. აღსანიშნავია, რომ მრავალწლიანი ისტორიულ-ლიტერატურული მოღვაწეობის შედეგად კავკასიის ომებისადმი მიძღვნილი ხუთტომიანი ნაშრომის შექმნისათვის ე. პოტოს „კაეკასიის ისტორიის ნესტორის“ საპატიო წოდება მიენიჭა.

[2] საბჭოთა სკოლებში ისტორიის სწავლების საკითხი პირველად 1934 წლის მარტში დაისვა. 1937 კი ისტორიის სახელმძღვანელოს მაკეტი საბოლოოდ დამტკიცდა (ლუკაშინი, სოროკინი 2016).

[3] აღნიშნული ხაზი გატარებულია (სხვა არჩევანი მაშინ უბრალოდ არც არსებობდა) 1940-იან წლებში გამოცემულ საქართველოს ისტორიის (ნაწილი I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე) საშუალო სკოლის სახელმძღვანელოში. აქ ისინი პირდაპირ ციტირებენ კრებულს 1937 წლის სამთავრობო კომისიის ჟურნის დადგენილებიდან: „საქართველოს წინაშე მაშინ ალტერნატივი იდგა – მას შაჰის სპარსეთი ან სულტანის ოსმალეთი დაიპყრობდა, ან იგი უნდა რუსეთის პროტექტორატის ქვეშ უნდა შესულიყო... მეორე პერსპექტივი მაინც უმცირესი ბოროტება იყო“ (ბერძენიშვილი და *სხვები* 1948: 405-406).

[4] 1958 წელს ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოცემულ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებით „განხორციელდა ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება და საზრუნავი: გამარჯვებით დასრულდა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ბარბაროსული გარემოცვის გარღვევისათვის, პროგრესულ ქვეყნებთან უშუალო კავშირის დამყარებისათვის“ (ბერძენიშვილი 1958: 213). ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია კი, მიუხედავად „ქართველი ხალხის ცარიზმის კოლონიურ უღელქვეშ მოქცევისა“, „დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაუქმებისა და უცხო რეჟიმის დამყარებისა“, „იმ ისტორიულ ვითარებაში ქართლ-კახეთის შეერთება პროგრესულ რუსეთთან დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო და წარმოადგენდა ერთადერთ გზას – ჩამორჩენილი, აგრესიული ირანისა და თურქეთის ბატონობისაგან თავის დასაღწევად და ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურებისაგან გადასარჩენად“ (ბერძენიშვილი 1958: 215-216).

[5] თუმცა იქვე მეცნიერი ამის საპირისპიროდ იმასაც წერს, რომ „ერეკლე II-მ ვერ ამოიცნო, რომ რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების შესრულებას არ აპირებდა“ (გურული 2011: 70). სხვა ნაშრომში იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ვინაიდან ირან-ოსმალეთი ერეკლეს აღარ ენდობოდნენ, მეფეს თავისი ნების საწინააღმდეგოდ, პრორუსული ორიენტაციის სახით, „წაგებული თამაში უნდა ეთამაშა“, მიუხედავად იმისა, რომ ყველანი „კარგად გრძნობდნენ ამ პოლიტიკის დამღუპველ შედეგს“, რომელიც 1801 წლის კატასტროფით დასრულდა. რუსეთი დიდ ხანს ემზადებოდა საქართველოს დასაპყრობად და ასეთ ვითარებაში კი თითქოს „ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ის პრორუსულ პოლიტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა არც ჰქონდა“ (გურული 2008: 17-18).

[6] ცნობილი ანდაზაა: „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო“. მითუმეტეს, ლოგიკა არ ეძებნება და ძნელი წარმოსადგენია, მწყემსს ცხვრის ფარა თავისივე ხელით ჩაებარებინოს შორს მყოფი მგლისათვის, როდისმე ხომ მაინც დაეცემა ცხვარს თავსაო.

[7] ეს განაცხადა ერთ-ერთმა მეცნიერმა აღნიშნული თემისადმი მიძღვნილ საკუთარი წიგნის პრეზენტაციაზე.

[8] მიუხედავად იმისა, რომ ამ გეოპოლიტიკური მდგომარეობის საფუძველდამდები ამასიის ზავი 1555 წელს (XVI საუკუნის შუა ხანები) გაფორმდა, აეტორი ამ გეოპოლიტიკური ჩიხიდან გამოსვლის მცდელობათა ათვლის ნერტილად რატომღაც რამდენჯერმე ასახელებს XV საუკუნეს (შველიძე 2014: 12-13).

[9] დ. შველიძემ „სარნმუნოების ნიშნით“ რუსეთზე მინდობილ ქართველ მეფეთა რიცხვში არამართებულად შეიყვანა ყველა მონარქი, რომელსაც რუსეთთან ოდნავი დიპლომატიური ურთიერთობა მაინც დაემყარებინა და, ამგვარად, რუსული ორიენტაციის მქონე მეფეთა ზედმეტად გრძელი სია გამოუვიდა. ჩვენ აღნიშნული მეცნიერისაგან განსხვავებით, არ ვფიქრობთ, რომ იმ მკვლევართა ლოგიკას, რომელთაც ასეთ ვითარებაში ქართველების მხრიდან რუსეთზე დაყრდნობა გაუმართლებლად მიაჩნიათ, „ოცეულზე მეტი“ ქართველ მეფის ზემონახსენებ დამამცირებელ შეფასებამდე მიუყავართ. შდრ.: (შველიძე 2014: 13-14).

[10] ამ მოსაზრების სასარგებლოდ ავტორის მიერ მოყვანილი დასაბუთების (შველიძე 2014: 45-46) კრიტიკული განხილვის აზრს ვერ ვხედავთ, ვინაიდან ისინი ზოგადად საკითხისადმი საფუძველშივე მცდარი მიდგომის შედეგად ჩამოყალიბებულად მიგვაჩნია.

[11] მითუმეტეს, ღმერთმა დაგვიფაროს ერეკლე მეფის ოპონენტობისაგან შდრ.: (შველიძე 2014: 44). მე მხოლოდ გეორგიევსკის ტრაქტატის მადიდებელი მეცნიერების ოპონირების უფლება შემიძლია მივცე საკუთარ თავს.

[12] ახლო მომავალში ვაპირებთ აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული ნაშრომის წიგნად გამოცემასაც.

დამოწმებანი

ბერძენიშვილი და სხვები 1948: ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. *საქართველოს ისტორია (ნაწილი I. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე)*. თბილისი.

ბერძენიშვილი 1958: *საქართველოს ისტორია*, ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით, სასკოლო სახელმძღვანელო, თბილისი.

ბურნაშევი 1896: *Картина Грузіи или описаніе политическаго состоянія Царствъ Картлійскаго и Кахетинскаго. Сдѣланное пребывающимъ при Его Высочествѣ царѣ Картлійскомъ и Кахетинскомъ Иракліи Теймуразовичѣ полковникомъ и кавалеромъ Бурнашевымъ в Тифлисѣ въ 1786 г.*, издание К. Н. Бѣгичева, Тифлисъ.

ბურნაშევი 1901: *Новые Матеріалы для жизнеописанія и дѣятельности С. Д. Бурнашева, бывшаго въ Грузіи съ 1783 по 1787 г.*, Собралъ и издалъ съ приложеніемъ картъ, портретовъ и факсимиле С. Н. Бурнашевъ, подъ редакціей профессора А. А. Цагарели, С.-Петербург.

გურული 2008: ვ. გურული. *ერთმორწმუნე რუსეთი, მითი თუ რეალობა*, თბილისი.

გურული 2009: ვ. გურული. *საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1801)*, თბილისი.

გურული 2011: ვ. გურული. *საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921)*, თბილისი.

გურული 2018: ვ. გურული. *მეფე ერეკლე და რუსეთი*, თბილისი.

დოკუმენტები 2014: Из истории Российско-Грузинских отношений, К 230-летию заключения Георгиевского трактата, *Сборник документов*, Москва.

დუმბაძე 1973: მ. დუმბაძე. საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის გადასინჯვა, *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. IV, თბილისი.

ეპიფანცევი 2009: А. Епифанцев. *Была ли Грузия союзником России, Политическая модель выживания грузинской государственности*, https://www.apn.ru/publications/article21261.htm

თაბუაშვილი 2012: ა. თაბუაშვილი. XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკური ისტორიის საკითხები, *თსუ საქართველოს ინსტიტუტის შრომები*, VI, თბილისი.

ლუკაშინი, სოროკინი 2016: А. Лукашин, А. Сорокин. *Как в 1930-е годы писали и утверждали учебники по истории*, https://rg.ru/2016/09/13/rodina-uchebniki-istorii.html

მაჭარაძე 1983: *გეორგიევსკის ტრაქტატი*, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები ვ. მაჭარაძისა, თბილისი.

მერკვილაძე 2010: დ. მერკვილაძე. რას გვთავაზობს სერგეი მარკოვი და საქართველოს რუსეთთან „შეერთების" საკითხი, *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*, XII, თბილისი.

მერკვილაძე 2011: დ. მერკვილაძე. საქართველოს პოლიტიკური ქცევის მოდელი და საქართველოს ისტორიის დამახინჯების მორიგი რუსული მცდელობა – გამოხმაურება ა. ეპიფანცევის ინტერნეტ-პუბლიკაციაზე: „იყო თუ არა საქართველო რუსეთის მოკავშირე? ქართული სახელმწიფოს გადარჩენის პოლიტიკური მოდელი", *ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი*, XIII, თბილისი.

მერკვილაძე 2021ა: დ. მერკვილაძე. რუსეთის იმპერიის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლის მიზეზები, *ამირანი*, №34, მონრეალი-თბილისი.

მერკვილაძე 2021ბ: დ. მერკვილაძე. 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის შედეგები ქართლ-კახეთის სამეფოსათვის (1783-1787 წლები), *ამირანი*, №34, მონრეალი-თბილისი.

პოტო 1887: В. А. Потто. *Кавказская война въ отдѣльныхъ очеркахъ, эпизодахъ, легендахъ и біографіяхъ*, ч. 1, От древнейших времён до Ермолова, СПб.

ტრეპალოვი, გატაგოვა 2014: В. Трепавлов, Л. Гатагова. Россия и Грузия: от православной солидарности к имперскому покровительству, წიგნში: *Из истории Российско-Грузинских отношений. К 230-летию заключения Георгиевского трактата, Сборник документов*, Москва.

შველიძე 2014: დ. შველიძე. *საქართველოს მფარველობა და დაპყრობა რუსეთის მიერ*, თბილისი.

ჯავახიშვილი 1919: ი. ჯავახიშვილი. *დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში*, თბილისი (წიგნში; ისტორიული რარიტეტები, თბილისი, 1989).

ON THE ISSUE OF GEORGIEVSK TREATY'S EVALUATION

David Merkviladze

Representatives of the Russian Empire and the Kingdom of Kartli-Kakheti signed a treaty at the fortress of Georgievsk in 1783. The issue of the treaty has not lost its urgency to this day.

Russian colonial rule has been representing the Treaty of Georgievsk, as the wish of King Erekle to establish a "permanent union" with "coreligionist Russia" for the ideological aim.

After the collapse of the Russian Empire, during the First Republic of Georgia, there was an opportunity to express a free opinion on the history of Georgian -Russian political relations. However, the issue had not been researched deeply.

In the first stage of the Soviet period, the entry of the Kingdom of Kartli-Kakheti under Russian protection was called "the lesser evil" act, which "saved the Georgian people from physical destruction". In the second phase of communist rule, the Treaty of Georgievsk was declared an unconditional "progressive event" by Soviet propaganda.

Some Soviet historians sincerely and firmly shared the provisions given in the form of directives by Soviet propaganda. The second part probably did not fully agree with these "scientific dogmas", but still considered itself obliged to follow the ideological instructions of the Communist Party. There were rare exceptions when some scholars in their research focused on the many negative aspects of the treatise. However, their conclusions corresponded to the propagandistic framework.

Even after the collapse of the Soviet Union and the restoration of Georgia's independence, the propaganda stereotypes about the Treaty of Georgievsk remained in people's minds.

Recently, an interesting trend has emerged: the previous idea of friendship with the "savior" of Georgia, Russia, and the "brotherly" Russian people has been replaced by the idea of a "wise and foresighted" King Erekle. Thus, some Georgian scholars breathed new life into the Soviet theory of the "lesser evil".

Nor can we share the view that under the geopolitical system of Amasya, the Georgian authorities had no other way and their orientation towards Russia was the only solution for them to dismantle the existing geopolitical system, which again reflects the "lesser evil" theory.

Recently, in some circles in Russia, there has been made an attempt to revive old theories in a new way. Others in Russia are trying to justify the annexation of the Georgian Kingdom by Russia, arguing that Russian vassal King Erekle himself had violated some terms of the treaty. But it is not confirmed even by the Russian historical documents.

In our study, based only on the analysis of the original sources and historical facts, we tried to look at the event from different perspectives.

ერთი ეპიზოდი მთის წმ. გიორგის მონასტრის XVII საუკუნის ისტორიიდან – მონასტერში „დადგინებული“ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი სვიმონ ჩხეტიძე

ნიკოლოზ ჟღენტი

1897 წელს, თ. ჟორდანიამ, „ქრონიკების“ II ტომში გამოაქვეყნა იმერეთის მეფე გიორგი III-ის (1604-1639) მიერ 1637 წელს გაცემული შეწირულობის საბუთის ფრაგმენტი.

საბუთის დედანი დაკარგულია. ქვემოთ მოყვანილია საბუთის ფრაგმენტის ტექსტი თ. ჟორდანიასეული პუბლიკაციის მიხედვით.

> ქ. ...ჩუენ [მეფემან გიო]რგი და ძემან ჩემმან [პირმშომა] ალექსანდრე და მამ[უკამა მოგაჴსენეთ ესე] შესანირავი თჭუენ – მხნესა მხედარ[სა წ(მიდ)ასა გიორგის?] და მას შინა დადგინებულსა ნიკოლოზწმიდელსა ჩხეტიძესა პატრონსა სვიმონს... შემოგვინირავს ჩ(უე)ნი კერძი ესფოფოა ელრდელაძე... ქს :ტკე: მეფე გი მონა ღა. (ჟორდანია 2018: 452).

როგორც საბუთის ამ ფრაგმენტიდან ირკვევა, საბუთის გამცემი იყო გიორგი მეფე, ძეებთან – ალექსანდრე და მამუკასთან ერთად. ხოლო შეწირულობის ადრესატი წმ. გიორგის სახელობის ეკლესია[1] და მასში დადგენილი ნიკორწმინდელი სვიმონ ჩხეტიძე (XVII საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისი – 1639) (გაფრინდაშვილი 2015: 234-235, 256). შეწირულობას წარმოადგენდა მეფის „კერძი“ ანუ მეფის კუთვნილი გლეხი მღრდელაძე. საბუთი გაცემული ყოფილა ქორონიკონსა ტკე, ანუ 1637 წელს (1312+325). საბუთს ასევე ახლდა მეფე გიორგის ბეჭედი წარწერით „მეფე გ(იორგ)ი მონა ღ(მრთის)ა“ (ქარაგმის გახსნა ჩემია – ნ. ჟ.).

მიუხედავად იმისა, რომ თ. ჟორდანიას გამოქვეყნებული აქვს საბუთის მხოლოდ მცირე მონაკვეთი, ეს მცირე ფრაგმენტიც ძალიან საინტერესო ცნობებს გვაწვდის. კერძოდ: შეწირულობის დროისათვის ანუ 1637 წელს სვიმონ ჩხეტიძე იყო ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი და იგი დადგენილი ყოფილა წმ. გიორგის რომელიღაც ტაძარში.

სვიმონ ჩხეტიძე თავისი დროის უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურა გახლდათ.

სვიმონ ჩხეტიძე. ბიოგრაფიული ცნობები (ზოგადი მიმოხილვა).

სვიმონი ძირძველი არგვეთელი დიდებულების – ჩხეტიძე/ჩხეიძეების საგვარეულოს ეკუთვნოდა. იმერეთის ამ უძველესი ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენლები განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევენ გვიანი შუა საუკუნეების იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ თუ საეკლესიო წრეებში (სოსელია 1973: 25-51). XV საუკუნის ბოლოს ჩხეტიძეები რაჭის ერისთავებიც კი ხდებიან და XVIII საუკუნის ბოლომდე, რაჭის საერისთავოს გაუქმებამდე, ინარჩუნებენ ამ თანამდებობას (სოსელია 1973: 74-119). სწორედ XV საუკუნის ბოლოდან ჩხეტიძეთა/ჩხეიძეთა ძირითადი საგვარეულო უნდა გაყოფილიყო ორ – იმერულ და რაჭულ შტოდ.

საისტორიო წყაროებში სვიმონ ჩხეტიძე პირველად ზემო ხსენებულ 1637 წლის შეწირულობის წიგნში იხსენიება. იგი ამ დროს წმ. გიორგის რომელიღაც ეკლესიაშია დადგენილი და მეფე ამ ეკლესიის მფარველ წმ. გიორგის ხატს და უშუალოდ ნიკორწმინდელ ეპისკოპოსს სწირავს მის კერძ მღრდელაძეს. სვიმონი ნიკორწმინდელი უნდა ყოფილიყო გიორგი III-ის მემკვიდრის – ალექსანდრე III-ის დროსაც, რომელიც მამის გარდაცვალების წელს – 1639 წელს გამეფდა.[2] 1639 წელსვე გარდაიცვალა აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია, რომელსაც ხონელობაც ჰქონია შეთავსებული. ამ დროიდან ხონელ მღვდელთმთავრად სწორედ სვიმონ ჩხეტიძე, აწ უკვე ყოფილი ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი გვევლინება. ხონელობის პერიოდში სვიმონს აღმშენებლობითი სამუშაოებიც ჩაუტარებია. მეფე ალექსანდრე III-ის (1639-1660) პერიოდში სვიმონს მწვავე კონფლიქტი მოსვლია თავად ნიჟარაძესთან. საქმე სასამართლომდეც კი მისულა, სადაც სვიმონს გაუმარჯვია. სვიმონ ჩხეტიძე 1651 წელს უკვე ქუთათელ მღვდელმთავრად იხსენიება (გაფრინდაშვილი 2015: 198-199). ქუთათელი მიტროპოლიტი სვიმონ ჩხეტიძე 1660 წელს აფხაზეთის კათალიკოსიც გამხდარა (ჟორდანია 2018: 476); (გაფრინდაშვილი 2015: 111-112); (ქორიძე 2000: 155). საინტერესოა, რომ საისტორიო საბუთებში და წარწერებში

სვიმონი ქუთათელ-ჭყონდიდელად, ასევე კათალიკოს-ქუთათელადაც იწოდებოდა (ბოჭორიძე 1995: 53-54); (ოთხმეზური და *სხვები* 2007: 167). 1663 წლის 26 ივლისს, კათალიკოსმა სვიმონმა და მისმა ძმამ – სახლთუხუცესმა სეხნია ჩხეიძემ, გაენათელ გედეონ ლორთქიფანიძესთან ერთად, იმერეთში გაამეფეს ბაგრატ IV (1660-1661, 1663-1668, 1669-1678, 1679-1681) (ჟორდანია 2018: 477). სვიმონი 1666 წლის 11 ოქტომბერს გარდაიცვალა (ჟორდანია 2018: 483).

ამგვარად, სვიმონ ჩხეტიძე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული სასულიერო და პოლიტიკური მოღვაწე იყო XVII საუკუნის დასაელეთ საქართველოში.[3]

ბუნებრივია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ისტორიული პირის ბიოგრაფიის ადრეული ეპიზოდი, რაც თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული 1637 წლის საბუთის ფრაგმენტში გვხვდება, საჭიროებს დეტალურ განხილვას და შესწავლას.

ამ კუთხით ჩნდება შემდეგი კითხვები:

1. რომელი წმ. გიორგის ხატი და ეკლესია იგულისხმება აღნიშნულ საბუთში?
2. რატომ იყო დადგენილი ამ დროს ნიკორწმინდელი სვიმონ ჩხეტიძე არა საკუთარი ეპარქიის საკათედრო ტაძარში – ნიკორწმინდაში, არამედ რომელილაც წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში?

ვეცდები აღნიშნულ კითხვებს თანმიმდევრულად გავცე პასუხი.

ეხებიან რა სვიმონ ჩხეტიძის ბიოგრაფიას, აღნიშნულ საბუთს მრავალი მკვლევარი ახსენებს საკუთარ ნაშრომში, თუმცა, მასში მოხსენიებული წმ. გიორგის ეკლესიის იდენტიფიკაციის მცდელობას ადგილი აქამდე არ ჰქონია.

ბ. ლომინაძისა და თ. ქორიძის აზრით, სვიმონ ჩხეტიძე 1637 წელს ქუთათელი მიტროპოლიტი გამხდარა. თუმცა, უცნობი რჩება თუ როგორ მივიდნენ მკვლევრები ამ დასკვნამდე (ლომინაძე 1954: 133); (ქორიძე 2000: 153).

სვიმონ ჩხეტიძის ბიოგრაფიის აღწერისას 1637 წლის ამ საბუთს იმოწმებენ ასევე გ. მჭედლიძე და მ. კეზევაძე, თავიანთ წიგნში „ქუთაის-გაენათის ეპარქია (ისტორია და თანამედროვეობა)". ავტორ(ებ)ი საბუთის განხილვისას არ ახდენენ საბუთში მოხსენიებული წმ. გიორგის ეკლესიის ზუსტ იდენტიფიკაციას. თუმცა, აღნიშნული თავის მომდევნო აბზაცი შემდეგი სახით გრძელდება:

> გიორგი III-სა და მისი ოჯახისათვის (დასახელებულ პირებს პლუს მეფის თანამეცხედრე – დადიანის ასული თამარი) რომ რაჭის გლეხების *გელათისათვის* (ხაზი ჩემია – ნ. ფ.) შეწირეა უცხო რამ არ იყო, ამას აჩვენებს მათი სახელით იმავდროულად (1637) გაცემული საბუთი, რომლის მიხედვითაც, გელათის მონასტრისათვის მას შეუწირავს ჭელიშის საყდარი მისი მამულით, ბაჯს – სასახლე თავისი მოჯალაბეებით, ზნაკვასა და ჯვარისაში მცხოვრები 4 კომლი გლეხი მათი კუთვნილი ნაკვეთებით. ამ შემთხვევაში სვიმონ ჩხეტიძე მოხსენიებული არ არის, ალბათ იმიტომ, რომ იგი საბუთის გაცემის დროს ნიკორწმინდელი აღარ იყო (კეზევაძე, მჭედლიძე 2008: 209-210).

ამგვარად, ამ მონაკვეთიდან ჩანს, რომ წიგნის ავტორ(ებ)ის აზრით ჩვენთვის საინტერესო 1637 წლის საბუთის შინაარსი, მეორე – ასევე 1637 წლის საბუთის მსგავსად, გელათისადმი შეწირულობას ნარმოადგენს. ლოგიკურად, 1637 წლის პირველი საბუთის წმ. გიორგის ეკლესია, როგორც ჩანს, გელათის წმ. გიორგის ეკლესიასთან გააიგივეს.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, 1637 წლის საბუთში მოხსენიებული წმ. გიორგის ეკლესიის იდენტიფიკაციის მცდელობას სხვა მკვლევრების მიერ ადგილი აღარ ჰქონია.

საბედნიეროდ, ჩვენამდე შემორჩა თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული 1637 წლის განსახილველი საბუთის ფრაგმენტის დედნის საფუძველზე XIX საუკუნეში შედგენილი ანოტაცია, რომელიც აღმოჩნდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური საისტორიო არქივის №1451 ფონდში[4] დაცულ საქმე №16-ში. საქმის №547-552 საბუთების (საერთო ჯამში 6 ერთეული) ანოტაციები წარმოადგენენ მთის წმ. გიორგის მონასტრის კუთვნილ საბუთებს.

მთის წმ. გიორგის მონასტერი, რომელიც დღეს ლეკნარის, ასევე „მთასაყდრის" სახელწოდებებითაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში, ქვემო რაჭაში, რაჭის ქედზე, წმ. გიორგის მთაზე, მაღალ კლდეზეა აღმართული და თარიღდება დაახლოებით IX საუკუნის II ნახევრიდან X საუკუნის I ნახევრით, მთავარი ნაგის ჩრდილოეთ მინაშენი X საუკუნის დასასრულით ან XI საუკუნის პირველი მესამედით, დასავლეთ მინაშენი კი უფრო მოგვიანო პერიოდით (დვალი 1968: 155-165); (ბოჭორიძე 1995: 85-90). მონასტრის კოორდინატებია – 42°26'10.45"; 42°58'32.15" (სურ. 1).

№1451 ფონდის საქმე №16-ში რიგით 549-ე საბუთის ანოტაცია წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო 1637 წლის საბუთის დედნის ანოტაციას. ქვემოთ მომყავს მისი ტექსტი.

№549

მეფის გიორგისგან, ქრისტ ტკე წელსა

მისვე წ(მიდ)ის გიორგის ეკლესიისადმი, რომ იმან შესწირა ამ ეკლესიას რაჭაში ერთი ყმა ფაფუა მღვდელაძე ყოლის მისის ქონებითა და დაიდვა მარიამობის დღესასწაულის დღეს წირვა მღვდელთმთავრით და კრებულით მისით.

ამის ნამდვილს თავი აქვს ნახული მარცხენის მხრით ექვსს სტრიქონის დასატევნელზედ და უკანა პირის დასასრულში აზის ერთი ბეჭედი მისივე გიორგი მეფისა და დამოწმებულ არს იმერეთისა სასამართლოსა შ(ინ)ა 1822 წელსა № 25-თა.

იოანე

1637 წლის დაკარგული საბუთის ეს ლაკონიური აღწერილობა მნიშვნელოვნად ავსებს თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული საბუთის ფრაგმენტს და უძვირფასეს დამატებით ცნობებს გვაწვდის ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

დავიწყოთ იმით, რომ საბუთში მოხსენიებული წმ. გიორგის ეკლესია, სადაც დადგენილი იყო სვიმონ ჩხეტიძე, მთის წმ. გიორგის მონასტერი აღმოჩნდა, და არა გელათის წმ. გიორგის ეკლესია, როგორც ამას გ. მჭედლიძე და მ. კეზევაძე ვარაუდობდნენ.[5] როგორც უკვე ვახსენე, აღწერილი საბუთი ეკუთვნის მთის წმ. გიორგის მონასტრის საბუთების ანოტაციების ჯგუფს. საბუთის აღმწერი ვინმე იუანე, ისევე როგორც სხვა დანარჩენი საბუთების აღწერილობების ავტორები, ტექსტს იწყებს დაზუსტებით, რომ ეს საბუთიც, წინა ორი (547-ე და 548-ე) საბუთის მსგავსად, მთის წმ. გიორგის მონასტერს ეკუთვნოდა („მისვე წ(მიდ)ის გიორგის ეკლესიისადმი...").[6]

თ. ჟორდანიას პუბლიკაციიდან ვიცოდით, რომ მეფე გიორგიმ სვიმონ ნიკორწმინდელს და წმ. გიორგის ეკლესიას შესწირა ესფოფოა მღრდელაძე. დედნის აღწერილობიდან კი ზუსტდება, რომ ამ გლეხის სახელი იყო ფაფუა (და არა ესფოფოა)[7] და რომ ის რაჭაში ცხოვრობდა.[8]

მართალია, თ. ჟორდანიას გამოქვეყნებული ფრაგმენტისგან განსხვავებით, დედნის აღწერილობაში სვიმონ ჩხეტიძე არაა პირდაპირ ნახსენები, მაგრამ სწორედ ის უნდა იგულისხმებოდეს იმ მღვდელმთავარში, რომელსაც, მონასტრის კრებულთან ერთად, მარიამობის დღესასწაულზე, მიცემული შეწირულობის სანაცვლოდ დაევალა წირვის ჩატარება გიორგი მეფისათვის.[9]

ამგვარად, 1637 წლის შეწირულობის საბუთის XIX საუკუნეში შედგენილი აღწერილობისა და საბუთის ფრაგმენტის თ. ჟორდანიასეული პუბლიკაციის მიხედვით ვიტყობთ, რომ 1637 წლისათვის ნიკორწმინდელი სვიმონ ჩხეტიძე დადგენილი (გამწესებული) იყო მთის წმ. გიორგის მონასტერში. ამ წელს მეფე გიორგიმ მას, როგორც ნიკორწმინდელ მღვდელმთავარს, და მთის წმ. გიორგის მონასტერს, როგორც ნიკორწმინდის ეპარქიის მონასტერს, საკუთარი ქონებიდან შესწირა რაჭაში მცხოვრები ფაფუა მღვდელაძე, რის სანაცვლოდაც მღვდელმთავარსა და მონასტრის საძმოს, მარიამობის დღესასწაულზე – მთის წმ. გიორგის მთავარ დღეობაზე – უნდა ჩაეტარებინათ წირვა მეფისათვის. ეს მიუთითებს იმაზე, რომ სვიმონ ნიკორწმინდელი არა მხოლოდ ცხოვრობდა მთის წმ. გიორგის მონასტერში, არამედ მოწესეც იყო და წირვა-ლოცვასაც ატარებდა.

ამგვარად, აღნიშნული კვლევის პირველი საკითხი – თუ წმ. გიორგის რომელ სალოცავში იყო დადგენილი ნიკორწმინდელი სვიმონ ჩხეტიძე 1637 წლისათვის – უკვე გამორკვეულია. ახლა კი განვიხილოთ ამ მოვლენის შესაძლო მიზეზები.

ვფიქრობ, ნიკორწმინდელი მღვდელმთავრის სვიმონ ჩხეტიძის მთის წმ. გიორგის მონასტერში გამწესებას დროებითი სახე უნდა ჰქონოდა და ეს აქტი ორი ყველაზე რეალური შესაძლო მიზეზით უნდა აიხსნას:

1. ნიკორწმინდის საეპისკოპოსო ტაძარში ღვთისმსახურება დროებით შეჩერებული იყო ტაძრის მნიშვნელოვნად დაზიანების ან მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების გამო;
2. ნიკორწმინდელი სვიმონ ჩხეტიძე შიდა ფეოდალური დაპირისპირების მხარეს წარმოადგენდა და კონკრეტულ პერიოდში აღარ დაედგომებოდა საკუთარ საეპისკოპოსო ტაძარსა და რეზიდენციაში, რის გამოც იგი დროებით, ნიკორწმინდიდან დასავლეთით, დაახლოებით 10 კილომეტრის დაშორებით მდებარე რაჭის ქედზე, წმ. გიორგის მთაზე მდებარე მონასტერში დაადგინეს.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არც ჩვენამდე შემორჩენილი წერილობითი წყაროები და არც ნიკორწმინდის ტაძრის არქიტექტურული ფენები არ გვაძლევენ რაიმე მცირე მიზეზსაც კი, რომ 1637 წლისათვის ნიკორწმინდაში რაიმე სერიოზული ნგრევა ან რესტავრაცია მოვიაზროთ. XVII საუკუნეში ნიკორწმინდის ტაძრის ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებად მისი ხელახლა მოხატვა უნდა ჩაითვალოს, თუმცა, ეს არ უნდა ყოფილიყო საკმარისად სერიოზული მიზეზი, რომ ადგილობრივ მღ-

ვდელმთავარს აქ მსახურება ვერ შეძლებოდა და თუნდაც დროებით სულ სხვა მონასტერში გაემწესებინათ.[10] ამგვარად, პირველი მიზეზი, ჩემი აზრით, გამოსარიცხია.

რაც შეეხება შიდა ფეოდალურ დაპირისპირების მიზეზს, არც ამის შესახებ გვაქვს პირდაპირი ცნობები. თუმცა, სხვადასხვა წერილობით წყაროში არსებული ცნობების შეჯერება საინტერესო სურათს ქმნის სწორედ ამ მეორე შესაძლო მიზეზის სასარგებლოდ.

XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოს ისტორია სწორედ გაუთავებელი შიდა ფეოდალური დაპირისპირებებითაა ცნობილი. მ. რეხვიაშვილი ამ საუკუნეში დასავლეთ საქართველოში შექმნილ სიტუაციას ასე ახასიათებს: „ყველა-ყველას წინააღმდეგ“ (რეხვიაშვილი 1978: 7).

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ქვემო რაჭის უდიდესი ნაწილი წულუკიძეთა სათავადოში შედიოდა, ხოლო ნიკორწმინდის საეპისკოპოსო ტაძარი მათი საძვალე ანუ საგვარეულო სასაფლაო იყო (სოსელია 1981: 43-46).

როგორც ზემოთ ითქვა, სვიმონ ნიკორწმინდელი იმერელი ფეოდალური სახლის – ჩხეიძე/ჩხეტიძეების წევრი იყო, ხოლო ამ საგვარეულოს მეორე შტო – რაჭის ერისთავობას ფლობდა.11 XVII საუკუნის I ნახევარში, კონკრეტულად კი 1637 წლის ახლო პერიოდში წულუკიძეთა და ჩხეიძე/ჩხეტიძეების არც ერთი შტოს ვინრო ფეოდალური დაპირისპირება წყაროებიდან არ იკვეთება. თუმცა, იმერელი ჩხეიძე/ჩხეტიძეებისა და რაჭველი წულუკიძეების დაპირისპირება აშკარაა უფრო ფართო ჭრილის ისტორიულ პროცესში: იმერეთის მეფეების – გიორგი III-ს, ალექსანდრე III-სა და ლევან II დადიანს შორის მიმდინარე მრავალწლიან სისხლიან კონფლიქტში. ამ დაპირისპირებაში იმერელი და რაჭველი ჩხეიძე/ჩხეტიძეები იმერეთის მეფეთა ბანაკში არიან.Cიმერეთის სამეფო კარი იმერელ ჩხეიძე/ჩხეტიძეებთან დამოყვრებულიც კი იყო (სოსელია 1973: 39-40).

იმავე პერიოდში, წულუკიძეთა გვარის მეთაური ქაიხოსრო უნდა ყოფილიყო, ხოლო მისივე სახელიაცი უნდა ყოფილიყო პაატა წულუკიძე (სოსელია 1981: 50), რომელიც წყაროებით ცნობილია როგორც პაატა „წუწკი“. ქაიხოსრო წულუკიძე საერთოდ არ ჩანს ჩვენთვის საინტერესო პროცესებში. პაატა წულუკიძე კი მეფისა და დადიანის დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტია. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით,

> [...] მეფემან გიორგი შერისხა რაოსამე ზედა წულუკიძე პაატას და მოუხუნა მამულნი, და პაატა წარვიდა ლევან დადიანისა თანა. [...] არამედ ამან პაატამ (რომელსა უწმობდნენ წუწკად უძლურებისათჳს, რამეთუ იყო კუტი) უმეტესად შთაუდვა ლევანს მტერობა გიორგი მეფისა და მარადის განუზრახვიდა (ყაუხჩიშვილი 1973: 825-826).

ბერი ეგნატაშვილის მიხედვით კი პაატა „წუწკი“ ალექსანდრე მეფეს გაუძევებია:

> ხოლო იყო მუნ წულუკიძე პაატა წუწკი, მკელობელი, მეყჳსი და თანა-განმზრახი დადიანის ლევანისა. და ესე, პირველვე განძებული მეფის ალექსანდრესაგან სამყოფთაგან თჳსთა, ლტოლვილი წარვიდა ოდიშსა და მიერთო დადიანსა ლევანსა და დიდად მტერ იყო იმერეთის მპყრობელისა ალექსანდრესი (ყაუხჩიშვილი 1959: 429).

არქანჯელო ლამბერტი 1635 წლის ამბების თხრობისას პაატა წულუკიძეს უკვე დადიანის ვეზირად იხსენიებს (მერკვილაძე, გაბისონია 2012/2013: 243). შესაბამისად, პაატა წულუკიძის განდევნა საკუთარი სამფლობელოდან გიორგი III-ის მიერ უნდა მომხდარიყო. არის მოსაზრება რომ ეს ამბავი 1622 წლამდე მოხდა (სოსელია 1981: 49). პაატა „წუწკი“ დადიანის კარზე მალევე დაწინაურდა და ცხოვრების ბოლომდე (1656) მისი ერთგული ვეზირი იყო (სოსელია 1981: 64-65).[12] იტალიელი მისიონერი ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი მას დადიანის შემდეგ მეორე პირადაც კი ასახელებს (გიორგაძე 1964: 110). პაატა წულუკიძეს განსაკუთრებული ზიზღი ახასიათებდა იმერეთის მეფეთა მიმართ, რაც განსაკუთრებით გამოიხატა 1648 წელს, როდესაც დადიანის ტყეეობაში მყოფი მამუკა ბატონიშვილის (ალექსანდრე III-ის უმცროსი ძმა, რომელიც, სხვათა შორის, ჩხეიძეთა სიძე იყო) განთავისუფლებისათვის თითქმის წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკებები ჩაშალა, რასაც მოგვიანებით (1653 წელს) მამუკას სასტიკი წამება და სიკვდილით დასჯაც მოჰყვა (რეხვიაშვილი 1978: 45-47).

ამგვარად, ვხედავთ, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში იმერთა მეფეებისა და ლევან II დადიანის სისხლისმღვრელ დაპირისპირებაში იმერელი ჩხეიძე/ჩხეტიძეები, და მათ შორის სვიმონ ჩხეტიძე, იმერეთის მეფეთა ბანაკშია, ხოლო პაატა წულუკიძე დადიანის ბანაკშია და ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია. შესაბამისად, დიდი ალბათობით, ნიკორწმინდელი სვიმონ ჩხეტიძის 1637 წლის მთის წმ. გიორგის მონასტერში ყოფნა სწორედ იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ მას, როგორც

მეფის ერთგულ პირსა და ჩხეიძე/ჩხეტიძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელს ავიწროვებდნენ მეფის განდევნილი და დადიანის კარზე დაწინაურებული პაატა წულუკიძის ფეოდალური სახლის წევრები, რომელთა სათავადოში მდებარე საძვალე მონასტერიც ამავე დროს ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის საკათედრო ტაძარი იყო.[13] ვფიქრობთ, ეს არის ყველაზე ლოგიკური ახსნა იმისა, რომ ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი 1637 წლისათვის მთის წმ. გიორგის მონასტერშია გამწესებული.[14]

კონკრეტულად როდის და ვის მიერ უნდა მომხდარიყო ეს აქტი? ამის დასადგენად საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ 1637 წლამდე ცოტა ხნით ადრე მიმდინარე მოვლენებზე.

1634 წლისათვის როსტომ ხანმა და დადიანმა, პოლიტიკური კავშირის გასაბმელად დამოყვრება გადაწყვიტეს. ამ მიზნით ისინი ერთმანეთის შესახვედრად დაიძრნენ. გიორგი III ხედავდა, რომ მის წინააღმდეგ ძლიერი კოალიცია იქმნებოდა და გადაწყვიტა ემოქმედა. მან გზა არ მისცა იმერეთის საზღვართან მისულ როსტომს, რის გამოც როსტომი სამცხეში გადავიდა და ოცხეში დადგა. იმერეთში შემოსულ ლევან დადიანს კი გზა გადაუჭრა და მოსალოდნელი ბრძოლისათვის დაიწყო მზადება. თუმცა, მტრის ბანაკის დასაზვერად მცირე ამალით წასული მეფე გიორგი დადიანის ხალხმა შეიპყრო. გამარჯვებული ლევან დადიანი და სამცხიდან გადმოსული როსტომ მეფე ერთმანეთს საჩხეიძეოში (!) კაკას ხიდთან შეხვდნენ. დადიანი თავის სამთავროში დაბრუნდა, როსტომი კი, უკვე იმერეთის გავლით თბილისში, სადაც ქორწილი გადაიხადა (ჟორდანია 2018: 463). მეფის ტყვეობიდან დახსნა მხოლოდ ორი წლის შემდეგ გახდა შესაძლებელი დიდი გამოსასყიდის გადახდის სანაცვლოდ (რეხვიაშვილი 1978: 37-41). ამგვარად, გიორგი III ტყვეობიდან დაახლოებით 1636 წლისათვის უნდა გაეთავისუფლებინათ. ჩემი აზრით, დადიანის ეს ბრწყინვალე გამარჯვება და გიორგი III-ის ორწლიანი ტყვეობა შესაფერისი დრო იყო იმისათვის, რომ დადიანის მომხრეებს შეევიწროვებინათ იმერთა მეფის მომხრეები. დიდი ალბათობით სწორედ ამ დროს – 1634-1636 წლებში – მომძლავრებულ წულუკიძეთაგან მომდინარე ზეწოლის გამო მოხდა ნიკორწმინდელი სვიმონ ჩხეტიძის გადაყვანა ნიკორწმინდიდან მთის წმ. გიორგის მონასტერში.[15]

თ. ჟორდანიას გამოქვეყნებული საბუთის ფრაგმენტის ტექსტიდან გიორგი III ნიკორწმინდელ სვიმონ ჩხეტიძეს წმ. გიორგის მონასტერში „დადგინებულს“ უწოდებს (იხ. ზემოთ). ამ ქმედების მესამე პირში ხსენება უნდა მიუთითებდეს, რომ ამის უშუალო ინიციატორი თუ განმახორციელებელი გიორგი III არ ყოფილა. შესაბამისად, ეს ქმედება უნდა განეხორციელებინა ნიკორწმინდელ ეპისკოპოსზე იერარქიულად მაღალ საფეხურზე მდგომ სასულიერო პირს – აფხაზეთის კათალიკოსს. ამ პერიოდში (1616-1639) კი აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია II გურიელი იყო. იგი 1620-იანი წლებიდან ხონელობას, ასევე ცაიშელ-ჯუმათელობასაც ითავსებდა. სასულიერო წოდებების გარდა მალაქია 1625 წლიდან გურიელობასაც კი ითავსებდა (გაფრინდაშვილი 2015: 193). ყველაზე საყურადღებო კი ისაა, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში, კათოლიკე მისიონერების მოწმობითა და სხვა წყაროებითაც ჩანს, რომ აფხაზეთის კათალიკოსს დადიანი ირჩევდა (გიორგაძე 1964: 93). ასე იყო მალაქია გურიელის შემთხვევაშიც. გარდა ამისა, აფხაზეთის კათალიკოსის მამულების და უძრავი ქონების უდიდესი ნაწილი სწორედ ოდიშის ტერიტორიაზე მდებარეობდა (ლომინაძე 1966: 187-188). ყოველივე ეს მიუთითებს, რომ კათალიკოსი მალაქია, რომელსაც უნდა დაედგინა 1634-1636 წლებში ნიკორწმინდელი სვიმონ ჩხეტიძე მთის წმ. გიორგის მონასტერში, დადიანზე იყო დამოკიდებული და, ბუნებრივია, მისი მომხრე იქნებოდა.[16]

რომ შევაჯამოთ ზემოთ განხილული საკითხები, ამგვარ საისტორიო სურათს აღვადგენთ: 1634 წელს კაკას ხიდთან მომხდარი ბრძოლისას იმერთა მეფის – გიორგი III-ის ლევან დადიანის მიერ დატყვევებამ უდიდესი პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობა მიანიჭა დადიანსა და მის მომხრეებს. იმერეთის სამეფო კარი და მათი მომხრეთა დასი განსაკუთრებით დაუცველი და უსუსური იქნებოდა 1634-1636 წლებში, როდესაც მეფე გიორგი ლევან დადიანთან იმყოფება ტყვეობაში. ამავე პერიოდით უნდა ესარგებლა ზემოთ უკვე ნახსენებ დადიანის ერთგულ ვაზირ პაატა წულუკიძეს (რომელიც ამის უწინარეს საკუთარი სამფლობელოდან – ქვემო რაჭა – სწორედ გიორგი მეფემ გააძევა) და წულუკიძეთა სათავადოში საკუთარი უფლებების აღდგენისათვის ეზრუნა. ამის ერთ-ერთი გამოვლინება კი უნდა ყოფილიყო მეფის მომხრე ნიკორწმინდელი სვიმონ ჩხეტიძის შევიწროვება თავისივე საეპისკოპოსო რეზიდენციაში (ამავე დროს წულუკიძეთა საძვალე მონასტერში) და მალაქია კათალიკოსის (დადიანის კიდევ ერთი მომხრის) მიერ მისი გამწესება ნიკორწმინდიდან დასავლეთით, დაახლოებით 10 კილომეტრის დაშორებით რაჭის ქედზე მდებარე მთის წმ. გიორგის მონასტერში.

ასეთი საისტორიო სურათის აღდგენის სასარგებლოდ, ვფიქრობ, მეტყველებს მეფე გიორგი III-ის ზემოთ განხილული საბუთისა და კიდევ ერთი, იმავე 1637 წელს და იმავე მეფის მიერ გაცემული ზემოთ ერთბელ უკვე ნახსენები სხვა საბუთის შინაარსიც.

როგორც ვნახეთ, ზემოთ განხილული საბუთით გიორგი III თავის რაჭველ ყმას – ფაფუა მღვდელაძეს – სწირავს მთის წმ. გიორგის მონასტერს და მასში გამწესებულ სვიმონ ნიკორწმინდელს. 1637 წლის მეორე საბუთით კი მეფე უკვე გელათს სწირავს რაჭის მამულებს: ჭელიშის მონასტერს[17] თავის მამულებით, ბაჯის სასახლეს მოჯალაბითა[18] და სახასო ალაგებით ანუ სამეფო მიწებით,[19] და სხვ. (ურდანია 2018: 451-452).

ამგვარად, 1637 წელს, როგორც ჩანს, დადიანის ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ, გიორგი III თავის ყმებსა და უძრავ ქონებას სწირავს მთის წმ. გიორგისა და გელათის მონასტრებს.

რით უნდა იყოს ეს გამოწვეული?

ერთის მხრივ, ეს შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო იმით, რომ მეფის ტყვეობიდან გათავისუფლებისათვის დიდი გამოსასყიდის შეგროვებაში, მთის წმ. გიორგის მონასტრის კრებულმა, მასში დამკვიდრებულმა ნიკორწმინდელმა სვიმონმა და გელათის მონასტრის საძმომ მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღო, ხოლო სამეფო ყმებისა და ქონების მათთვის შეწირვა ვალის დაბრუნების ერთგვარი მცდელობა შეიძლება ყოფილიყო მეფის მხრიდან.

მეორეს მხრივ, ეს შეიძლება კვლავ წულუკიძეთა ფაქტორს დავუკავშიროთ. 1637 წლის ორივე საბუთის შემთხვევაში, საქმე გვაქვს ქვემო რაჭის სამეფო ყმა-მამულთან. მეფის დატყვევება და პაატა წულუკიძის აღზევება, ბუნებრივია, ცუდად აისახებოდა სამეფო კარის გავლენასა და ქონებაზე წულუკიძეთა სათავადოს სიახლოვეში. არაა გამორიცხული რაჭის ამ ნაწილის საკუთარი ყმა-მამულის ეკლესიისათვის გადაცემა იძულებითი მანევრი ყოფილიყო მეფისათვის, რომ არ დაეშვა ამ ყმებისა და მამულების წულუკიძეთა ხელში გადასვლა. საერთოდაც, არ არის გამორიცხული, რომ ეს სახასო მამულები მანამდე სწორედ ის უძრავი ქონება ყოფილიყო, რომელიც მეფე გიორგიმ წულუკიძეებს ჯერ კიდევ პაატა წუწკის განდევნისას „მოუხუნა".

როდემდე იქნებოდა სვიმონ ჩხეტიძე გამწესებული მთის წმ. გიორგის მონასტერში?

ამ კითხვაზე, ბუნებრივია, არ მაქვს ზუსტი პასუხი. როგორც ზემოთ აღინიშნა, სვიმონი 1639 ნელს, კათალიკოსი მალაქიას გარდაცვალების შემდეგ ხდება ხონელი ეპისკოპოსი. არაა გამორიცხული ის მთის წმ. გიორგის მონასტერში სწორედ 1639 წლამდე დარჩენილიყო. მითუმეტეს, თუ მისი ამ მონასტერში გამწესების ზემოთ მოყვანილ მიზეზს გავიზიარებთ, არც 1637 წლის შემდეგ ჩანს წყაროებით რაიმე ხელსაყრელი ვითარება სამეფო კარისათვის, რომ ეპისკოპოსი სვიმონ ჩხეტიძე ნიკორწმინდაში დაებრუნებინათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1637 წლის საბუთის შეწირულობის სანაცვლოდ, მეფისათვის მთის წმ. გიორგის მონასტრის კრებულსა და ნიკორწმინდელ მღვდელმთავარს მარიამობას უნდა ჩაეტარებინათ ნირვა. სამეფო კერძო შეწირულობის კონკრეტული ადრესატი მთის წმ. გიორგის მონასტერი იყო, ხოლო ნიკორწმინდელი მღვდელმთავარი ამ შემთხვევაში შეწირულობის ზოგადი ადრესატი იყო, როგორც იმ ეპარქიის ხელმძღვანელი, სადაც მთის წმ. გიორგის მონასტერი მდებარეობდა. შესაბამისად, წირვის ჩატარების ადგილიც მთის წმ. გიორგის მონასტერი იქნებოდა. ძნელია ითქვას რა კონტექსტი ჰქონდა ასეთი მსახურების დაწესებას – სვიმონ ჩხეტიძეს ნიკორწმინდელობის დარჩენილი პერიოდი ამ მონასტერში უნდა გაეტარებინა, თუ ნიკორწმინდაში დაბრუნების შემთხვევაშიც მარიამობა დღეს უნდა ასულიყო ამ მონასტერში მეფისათვის წირვის ჩასატარებლად.

რატომ განაწესეს ნიკორწმინდელი სვიმონ ჩხეტიძე მაინც და მაინც მთის წმ. გიორგის მონასტერში?

ამის მთავარი მიზეზი შეიძლებოდა ის ყოფილიყო, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში მთის წმ. გიორგის მონასტერი, წულუკიძეთა მამულებს მიღმა იყო მოქცეული. ყოველ შემთხვევაში, წულუკიძეთათვის უპირატესი ნიკორწმინდის ფლობა იქნებოდა და მთის წმ. გიორგის მონასტერში ნიკორწმინდელის გადასვლა, გარკვეული მოლაპარაკებების კომპრომისული შედეგიც შეიძლება ყოფილიყო. გარდა ამისა, მონასტერი საკმაოდ რთულ და მკაცრ გეოგრაფიულ გარემოში მდებარეობს და, მიუხედავად იმისა, რომ ნიკორწმინდიდან დაახლოებით 10 კილომეტრითაა დაშორებული, უსაფრთხოების თვალსაზრისით ხელსაყრელი ადგილი იქნებოდა განდევნილი ნიკორწმინდელი ეპისკოპოსისათვის. როგორც ჩანს, მისი საერთოდ განდევნა საეპისკოპოსოს ფარგლებს გარეთ, წულუკიძეებმა ვერ მოახერხეს.


გარდა ამისა, როგორც ზემოთაც ვნახეთ, სვიმონ ჩხეტიძის ბიოგრაფიული ცნობებიდან ირკვევა, რომ იგი ძალზედ აქტიურ როლს თამაშობდა XVII საუკუნის იმერეთის სამეფო კარის ინტრიგებში. მაკარი ანტიოქიელი მას ბრიყვსაც კი უწოდებს მის მიერ განხორციელებული საქორწინო ინტრიგების გამო (თოდუა 1982: 88-122). ასეთ მკაცრ ბუნებრივ გარემოში არსებულ მონასტერში გამწესების მიზეზად, შესაძლოა, ადრეულ პერიოდშივე მსგავსი საქციელი აეღოთ საბაბად.

რა მიზეზიც არ უნდა ყოფილიყო, ფაქტია, რომ მთის წმ. გიორგის მონასტერი აღნიშნულ პერიოდში ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიმდინარე ფეოდალურ პროცესებში და ერთგვარი თავშესაფრის როლს ითავსებს იმერეთის მეფის მომხრე ეპისკოპოსისათვის.

ბოლოს მინდა გაგიზიაროთ ერთი დაკვირვება, რაც ამ კვლევის მთავარ პირობებას შეიძლება ეხებოდეს.

2020 წლის თებერვალში, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამეცნიერო მივლინების ფარგლებში, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში შევისწავლე XVI-XVII საუკუნეებით დათარიღებული ხელნაწერი „გამოკრებილი სამოციქულო“ K 487, რომელიც ოდესღაც მთის წმ. გიორგის მონასტრის საკუთრება იყო (ბოჭორიძე 1995: 88-89, 95). ხელნაწერის ბოლოს წინა გვერდზე (126r) შესრულებულია ათამდე ანდერძ-მინაწერი, რომელთა უმეტესობა, დაზიანების გამო, ალარ იკითხება. ამის გამო უცნობია ხელნაწერის შექმნის ზუსტი თარიღი, ადგილი, მომგებელი, გადამწერი და სხვა დეტალები. იმავე გვერდზე, ზუსტად ცენტრში, იკითხება ვინმე ლასურისძის ლაკონიური ნუსხური მოსახსენებელი მინაწერი, რომელიც, პალეოგრაფიულად, ხელნაწერის თანადროული უნდა იყოს. ლასურისძეთა საგვარეულოს საკმაოდ ხშირად ვხვდებით XIII-XVI საუკუნეების მესხური წარმომავლობის წერილობით ძეგლებში (ბერიძე 1955: 56-57); (ბრეგაძე და *სხვები* 1973: 117-118, 436, 439-440); (ენუქიძე და *სხვები* 2014: 73-75); (საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელნაწერი A-844: 88r); (ბრეგაძე და *სხვები* 1958: 322); (სურგულაძე 2016: 55). აღნიშნული წყაროების მიხედვით, ლასურისძეთა ფეოდალური სახლის წევრები სხვადასხვა დროს მესხეთის მაღალ სასულიერო და საერო თანამდებობებს ფლობენ. ლასურისძეები წარმოშობით შავშეთ-კლარჯეთიდან უნდა ყოფილიყვნენ. ისინი 1516 წლისათვის სვეტიცხოვლის საათაბაგოს ყმებს შორის იხსენიებიან და, სავარაუდოდ, კლარჯეთში ლონგოთხევის ციხეს ფლობდნენ. XVI საუკუნის შემდეგ, სავარაუდოდ ოსმალების მიერ ტაო-კლარჯეთის დაპყრობის გამო (1545 წ.), ლასურისძეთა ფეოდალური საგვარეულო ალარ გვხვდება წერილობით ძეგლებში. აღნიშნულ ხელნაწერზე მუშაობა ჯერ არ დამისრულებია და ვრცელ გამოკვლევას სამეცნიერო საზოგადოებას უახლოეს მომავალში შევთავაზებ. მანამდე კი აღვნიშნავ, რომ „გამოკრებილი სამოციქულო“ K 487-ის ბოლო გვერდზე, ანდერძ-მინაწერებს შორის ვინმე ლასურისძის მოსახსენებელი წარწერა, ლასურისძეთა მოღვაწეობის ისტორიულ-გეოგრაფიული და ქრონოლოგიური ფაქტების მიხედვით, მიგვანიშნებს, რომ ეს ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს მესხეთში (შავშეთ-კლარჯეთში?). XVI საუკუნის პირველ ნახევარში, 1545 წლამდე. ხოლო ოსმალების მიერ ტაო-კლარჯეთის დაკავების შემდეგ, ეს ხელნაწერი მთის წმ. გიორგის მონასტერში უჩდა მოხვედრილიყო.

ამ ხელნაწერის 122r-ზე, ქვედა არშიის გაყოლებაზე შავი მელნით შესრულებულია 3 სტრიქონიანი მხედრული მინაწერი. ტექსტი ფერმკრთალია, გვერდის ქვედა ნაწილი მოხეულია და აკლია III სტრიქონის ძირითადი ნაწილი.



ქ. მე ვიკადრებ შენს ნახვის მონატ|²რეა, სვიმონ ბატონო, მრავალი მოკით|³ხვა... [ვენედიქტესს].

როგორც ვხედავთ, მინაწერი თითქოს ეპისტოლარული ხასიათისაა.[20] მისი აეტორი უცნობია, თუმცა ადრესატი ვინმე სვიმონ ბატონია. მხედრული ტექსტი პალეოგრაფიულად XVII-XVIII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. თუ გავითვალისწინებთ ამ დათარიღებას, ხელნაწერის დაცულობის ადგილსა და სახელის დამთხვევას, არაა გამორიცხული, აღნიშნულ მინაწერში ნახსენები ბატონი სვიმონი სწორედ ნიკორწმინდელი სვიმონ ჩხეტიძე იყოს.

ამგვარად, წინამდებარე კელევამ საკმაოდ საინტერესო დასკვნებისა და დაკვირვებების გამოთქმის საშუალება მომცა. კელევის შედეგად აღდგა მნიშვნელოვანი ეპიზოდი როგორც უშუალოდ მთის წმ. გიორგის მონასტრის ისტორიიდან და სვიმონ ჩხეტიძის ბიოგრაფიიდან, ასევე დასავლეთ საქართველოს საეკლესიო, პოლიტიკური და სოციალური ისტორიიდან.

შენიშვნები

1 თუმც, თ. ფორდანია ხატის თუ ეკლესიის სახელობას ოთხკუთხედი ბრჭხილებით აღადგენს, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, აქ მართლაც წმ. გიორგი ეწერა.

2 ამაზე მეტყველებს 1660 წლის შეწირულობის საბუთი ნიკორწმინდელი გედევან ლორთქიფანიძისათვის, რომელიც გაცემულია ალექსანდრე III-ის ძის, ბაგრატ IV-ის მიერ. საბუთში ბაგრატი ამბობს, რომ მან ნიკორწმინდელს განუახლა გლეხი მღდელაძის შეწირულობა, რომელიც, თავის მხრივ, მის მამას, ანუ ალექსანდრე III-ს ჰქონია შეწირული სვიმონ ნიკორწმინდელისათვის (კაკაბაძე, 1921ა: 64). აქ არ განეიხილავ ნიკორწმინდელისათვის შეწირული მღრდელაძე-მღვდელაძეების საკითხს, რაზეც ქვემოთ ერცლად ვისაუბრებ. ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია სვიმონ ნიკორწმინდელის ბიოგრაფიული ცნობები, რის შესახებაც აღნიშნული საბუთი მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის – გამოდის, რომ სვიმონი ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ყოფილა 1639 წელსაც, როდესაც ალექსანდრე III გამეფდა, ვიდრე კათალიკოს მალაქია გურიელის გარდაცვალებამდე, რომელსაც შეთავსებული ჰქონია ხონის ეპარქიაც. სწორედ მალაქიას შემდეგ უნდა გამხდარიყო სვიმონი ხონელი ეპისკოპოსი (გაფრინდაშვილი 2015: 197-198). თუმცა, სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ალექსანდრე III პირველად 1634 წელს უნდა გამეფებულიყო, როდესაც მამამისი ლევან დადიანმა დაატყვევა (რეხვიაშვილი 1978: 40). ამგვარად, დასაშვებია, რომ მის მიერ ნიკორწმინდისათვის მღვდელაძის შეწირვის აქტი 1634-1639 წლებს შორის მომხდარიყო. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბ. გაფრინდაშვილის აზრით, XVII საუკუნის 50-იანი წლების II ნახევარში ნიკორწმინდელი მთავარეპისკოპოსი იყო სვიმონ ჯაფარიძე (გაფრინდაშვილი 2015: 237-238). ამ შემთხვევაში შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ 1660 წლის საბუთში მოხსენიებული სვიმონ ნიკორწმინდელი, თანაბარი წარმატებით შეიძლება ყოფილიყო როგორც სვიმონ ჩხეტიძე, ისევე სვიმონ ჯაფარიძე. თუმცა, არქიეპისკოპოსი სვიმონ ჯაფარიძე ჩვენამდე შემორჩენილ წყაროებში არსად იწოდება ნიკორწმინდელ მღვდელმთავრად (მიუხედავად იმისა, რომ რაჭის ბინადარი უნდა ყოფილიყო). ამგვარად, ამ რთულ საკითხს ღიად ეტოვებ.

3 სვიმონის შესახებ ასევე იხ.: (მურუსიძე 2008: 51-63); (მჭედლიძე, კეზევაძე 2008: 209); (გაბისონია 2016: 35-37, 47).

4 ფონდის რაობა: „Коллекция регистров древнегрузинских грамот и гуджаров, составленных Грузино-Имеретинской синодальной конторой. Ф. 1451, ед. хр. 20, 1089-1845 гг. Коллекция создана из документов, изъятых из фонда Грузино-Имеретинской синодальной конторы в 1923 году. Регистры представляют собой изложение содержания 4184 документов, принадлежащих разным монастырям, церквям и духовным лицам. Часть документов составлена на тюркском и персидском языках“ (გზამკელეევი 1976: 268).

5 მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა აღწერილობამ 1637 წლის საბუთში მოხსენიებული წმ. გიორგის ეკლესიის იდენტიფიკაციის პრობლემა მტკიცედ გადაჭრა მთის წმ. გიორგის მონასტრის სასარგებლოდ, მაინც მოვიყვან რამდენიმე დამატებით არგუმენტს, თუ რატომ ვერ გაიგივდება ეს ეკლესია გელათის წმ. გიორგის ეკლესიასთან: 1. გელათის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც „სადედოფლო“ ეკლესიადაც იწოდებოდა, 1545 წელს განაახლა იმერთა მეფე ბაგრატ III-მ (1510-1565.) და საძვალედ დაიდგინა. 1545 წლის შემდგომ პერიოდში გელათის წმ. გიორგის ეკლესია ბიჭვინთისათვის შეუწირავთ. 1569 წლის შეწირულობის საბუთიდან, რომელიც გაცემულია იმერთა მეფის გიორგი I-ის (1565-1583) მიერ, ჩანს, რომ ამ დროს გელათის წმ. გიორგის ეკლესია გადაცემული აქვს აფხაზეთის კათალიკოსს ევდემონ ჩხეტიძეს. ამგვარად, 1545-1569 წლებში აფხაზეთის კათალიკოსი გელათში, კერძოდ, გელათის წმ. გიორგის ეკლესიაში დამკვიდრებულა. აქედან მოყოლებული, აფხაზეთის კათალიკოსთა ძირითადი რეზიდენცია გელათის წმ. გიორგის ტაძარი ხდება (იხ. ლომინაძე 1966: 178-195). ამგვარად, რთული წარმოსადგენია, რომ 1637 წლისათვის გელათის წმ. გიორგის „საკათალიკოსო“ ტაძარში ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ყოფილიყო დადგენილი. ამ დროს გელათის სამონასტრო კომპლექსში ისედაც ორი მღვდელმთავარი იქნებოდა გამწესებული: გაენათელი ეპისკოპოსი კომპლექსის მთავარ – ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარში და აფხაზეთის კათალიკოსი გელათის წმ. გიორგის ეკლესიაში; 2. 1637 წლის შეწირულობის ადრესატები, როგორც ერთი იურიდიული მხარე, არიან წმ. გიორგის ეკლესიის პატრონი ხატი და ამავე ეკლესიაში დადგენილი ნიკორწმინდელი მღვდელმთავარი. თუ გაეიზიარებთ მოსაზრებას, რომ საბუთში იხსენიებოდა გელათის წმ. გიორგის ეკლესია, თვითონ დიპლომატიკური აქტი იურიდიულად გაუმართავი გამოდის, რადგან წმ. გიორგის ეკლესიაში დადგენილი ნიკორწმინდელის სხვაგან გადაყვანის შემთხვევაში შეწირული გლეხები უსათუოდ დავის ობიექტი გახდებოდა შეწირულობის ადრესატებს შორის. ბუნებრივია, საბუთის იურიდიული ნორმები გულისხმობს, რომ შეწირულობის ადრესატები ერთი სენიორიის – ნიკორწმინდის საეპისკოპოსოს ნიაღში არიან. შესაბამისად, ნიკორწმინდის საეპისკოპოსოში შემავალი მთის წმ. გიორგის მონასტერი – მონასტრის ეპარქიალური კუთვნილების შესახებ (ყენტი 2020: 93) საესებით აკ-

მაყოფილებს აღნიშნული საბუთის იურიდიულ ნორმებს. საბუთში გელათის წმ. გიორგის ეკლესიის მოაზრება კი გარდაუვალ ინტერესთა კონფლიქტს გულისხმობს, რაც ალოგიკური იქნებოდა; 3. როგორც ზემოთაც ვნახეთ, გ. მჭედლიძისა და მ. კეზევაძის წიგნიდან მოყვანილი ციტატა მთავრდება შემდეგი სახით: „ამ შემთხვევაში (იგულისხმება 1637 წლის სამეფო შენირულობის საბუთი გელათის მონასტრისადმი – ნ. ჯ.) სეიმონ ჩხეტიძე მოხსენიებული არ არის, ალბათ იმიტომ, რომ იგი საბუთის გაცემის დროს ნიკორწმინდელი აღარ იყო“ (იხ. ზემოთ). ავტორთა აზრის საპირისპიროდ, ვფიქრობ, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ მანამდე განხილული 1637 წლის საბუთი სწორედ ნიკორწმინდელის საეპისკოპოსოში მოქცეულ მთის წმ. გიორგის ხატს/ეკლესიასა და მასში დადგინებულ სვიმონ ნიკორწმინდელისადმია გაცემული და არა გელათის წმ. გიორგის ეკლესიისადმი.

6 №547-552 საბუთების ანოტაციების საერთო სათაური: „ქუთაისის და რაჭის უეზდებთა შორის მთისწმინდის გიორგის ეკკლესიისანი“; №548 საბუთის ანოტაციის შესაეალი: „მისეე მთის წ“ის ეკლესიისადმი...“; №550 საბუთის ანოტაციის შესავალი: „იმავე მთის წ“ის გიორგის ეკლესიისადმი...“; №551 საბუთის ანოტაციის შესავალი: „მისეე მთის წ“ის გიორგის ეკლესიისადმი...“; №552 საბუთის ანოტაციის შესავალი: „მისეე მთის წ“ის გიორგის ეკლესიისადმი...“ (ფონდი №1451: სამქე 16, 436-443).

7 როგორც ჩანს, საბუთის დედანში მცირე დაშორებით ეწერა „...ეს ფაფუა...“, რაც თ. ჟორდანიამ არასწორად ამოიკითხა როგორც სახელი „ესფოფოა“.

8 როგორც ჩანს. მთის წმ. გიორგის მონასტრისადმი გაცემული ამ შენირულობის შემთხვევაში გეოგრაფიული წარმომავლობის დაზუსტება საჭირო გახდა იმის გამო, რომ ამ მონასტრის მიწათმფლობელობა განლაგებული იყო როგორც რაჭაში, ასევე ზემო იმერეთშიც (ჯღენტი 2011: 206-214.). აქვე უნდა ითქვას, რომ XVI-XVII საუკუნეების საისტორიო საბუთებით ცნობილი ყველა მღვდელაძე ნიკორწმინდელისათვისაა შენირული: 1544 წელს რაჭის სოფ. ღადისში (დღევანდელი – ღადიში) მცხოვრები მღვდელაძეების 2 კომლი ბაგრატ III იმერთა მეფემ შესწირა ნიკორწმინდის ეკლესიას (ბაქრაძე და სხვები 2004: 233); 1637 წლის ზემოთ განხილული საბუთით რაჭველი ფაფუა მღვდელაძე მთის წმ. გიორგის მონასტერს შესწირეს (იხ. ზემოთ); ასევე ზემოთ უკვე ნახსენები 1660 წლის საბუთის მიხედვით, ალექსანდრე III-ს სვიმონის ნიკორწმინდელობის დროს ბაჯში მცხოვრები დათუა მღვდელაძე „წმინდის ნიკოლოზისათვის“ შეეწირა (კაკაბაძე 1921: 64). აღსანიშნავია, რომ სოფელი ბაჯი და ღადიში ერთმანეთის მოსაზღვრე სოფლებია ქვემო რაჭაში. როგორც ჩანს აქ იყო მღვდელაძეების განსახლების ძირითადი არეალი. სავარაუდოდ, აქედანვე უნდა ყოფილიყო ფაფუა მღვდელაძეც. აქვე აღვნიშნავ, რომ 1637 წლის საბუთის ფაფუასა და 1660 წლის დათუას შორის შესაძლო ნათესაური კავშირის საკითხი გაურკვეველი რჩება. ბუნებრივია, შეიძლება გაჩნდეს ეჭვიც: ხომ არ იყვნენ დათუა და ფაფუა მღვდელაძე ერთი და იგივე პირი? ეს შესაძლო იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი დავუშვებდით 1637 წლის საბუთში მღრდელაძის სახელის არასწორ ამოკითხვას („ფაფუა“ „დათუას“ ნაცვლად). თუმცა, ვინაიდან საბუთის დედნის აღმწერი კითხულობს ფაფუა-ს, ხოლო თ. ჟორდანია ესფოფოა-ს, განსხვავებების მიუხედავად, ვფიქრობ, მაინც გასამიჯნია ფაფუა და დათუა მღრდელაძეები.

9 თ. ჟორდანიას გამოქვეყნებული ფრაგმენტიდან ვიტყობთ, რომ მონასტრისათვის შენირული მღვდელაძე მეფის „კერძი“, ანუ მეფის კუთვნილი ყმა იყო. რადგან საქმე გვაქვს კერძო შენირულობის აქტთან, მეფეს ჰქონდა უფლება სანაცვლოდ კონკრეტული სამსახური მოეთხოვა (კერძო შენირულობის აქტის არსისა და ურთიერთვალდებულებების შესახებ ვრცლად იხ.: (სურგულაძე 2006: 91). ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს იყო მღვდელმთავრისა და მონასტრის კრებულის მიერ ჩასატარებელი წირვა მარიამობის დღესასწაულზე. დღესაც კი მთის წმ. გიორგის მონასტრის მთავარი დღესასწაული, მიუხედავად მონასტრის სახელობისა, მარიამობას, 28 აგვისტოს, ძველი სტილით 15 აგვისტოს) აღინიშნება. მინიშნებები იმის შესახებ, რომ ეს ტრადიცია ძველი დროიდანვე მომდინარეობს, გვხვდება მთის წმ. გიორგის მონასტრის თითქმის ყველა შემორჩენილ საისტორიო საბუთში: მეფე გიორგი III-ძ 1637 წლის შენირულობის საბუთის გარდა, მარიამობის მნიშვნელობის ხაზგასმასა და ამ დღეს კონკრეტული მსახურების დაწესებას ეხვდებით ასევე იმერეთში გამეფებული ვამეყ დადიანის 1661 წლის შენირულობის საბუთში, სადაც იგი ამბობს: „მეფედ დავჯედით და მარიამობას დღეს შენდა თაყუანისსაცემლად მოვედით...“ (კაკაბაძე 1921: 64-65); (ფონდი №1448: საბუთი №2150); 1680-1685 წლებში სვიმონ ნიკორწმინდელმა, შენირულობის სანაცვლოდ მარიამობის წინა დღეს ჟამის წირვა დაუდგინა ბერებს (კაკაბაძე 1921: 81-82); (ფონდი №1448: საბუთი №1533.); 1795 წელს მარიამ დედოფალმა შენირულობის საბუთის განახლების სანაცვლოდ მარიამობა დღეს ჟამის წირვა დაუდგინა მონასტრის დეკანოზს, მღვდელს და მთავარდიაკონს (კაკაბაძე 1921ბ: 108.). მოხსენება სათაურით „მარიამობა, როგორც მთის წმ. გიორგის მონასტრის მთავარი დღეობა (წარმართული ძირი, ქრისტიანული ტრანსფორმაცია, ისტორიული ტრადიცია)“ წაიკითხე 2017 წლის 21 ნოემბერს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებულ ახალგაზრდა მეცნიერთა I საერთაშორისო სიმპოზიუმზე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (თბილისი, 20-23 ნოემბერი). დაწყებული მაქვს მუშაობა მარიამობის, როგორც მთის წმ. გიორგის მონასტრის მთავარი დღეობის, შესახებ და მომავალში ვეცდები ეს საკითხი ვრცელი ნაშრომის სახით წარმოვადგინო.

10 მითუმეტეს, ი. ხუსკივაძის აზრით, ნიკორწმინდის ეკლესიის მოხატულობა XVII საუკუნის 60-70-იან წლებს უნდა ეკუთვნოდეს (ხუსკივაძე 2003: 113-114).

[11] ამაზე მიუთითებს ის, რომ სვიმონის ძმა იყო XVII საუკუნის კიდევ ერთი ცნობილი პოლიტიკოსი სეხნია ჩხეიძე, რომელიც იმერელი ჩხეიძეების წარმომადგენელია (სოსელია 1973: 42-43).

[12] არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ უახლეს გამოცემაში, წყაროში მოხსენიებული პაატა ზულობია სამართლიანადაა გაიგივებული პაატა წულუკიძესთან, თუმცა, შესაბამის კომენტარში პაატა წულუკიძე შეცდომით გაიგივებულია დადიანის მეორე ვეზირთან, რომელიც დადიანმა თავის ცოლთან ღალატში ამხილა, ზარბაზანში ჩადო და ზარბაზნის გასროლით სიკვდილით დასაჯა (მერკვილაძე 2020: 289, 442). სინამდვილეში ამ ვაზირს პაპუნა ერქვა და მისი სიკვდილით დასჯაც 1620-იან წლებში მოხდა (რეხვიაშვილი 1989: 30-31). აღსანიშნავია ისიც, რომ პაატა „წუნკის“ შვილი – მერაბ წულუკიძე, რომელიც XVII საუკუნის II ნახევრის გამორჩეული ფიგურაა იმერეთის სამეფოში, ლევან დადიანის აღზრდილი იყო. მან, როგორც ჩანს, თავისი პოლიტიკური ნარმატებების ხარჯზე მოახერხა რაჭაში დაბრუნება და ფართო ქტიტორულ საქმიანობას მიჰყო ხელი. მისი ქტიტორობით შესრულებულ წარნერებში მერაბი აღნიშნავს, რომ ის ლევან დადიანმა გაზარდა. გარდა ამისა, ამ წარნერებში იგრძნობა ლევან დადიანის ქტიტორული წარნერების სტილის (საკუთარი ნარმატებების განმადიდებელი ტექსტების) გაელენაც (თაყაიშვილი 2017: 293-296).

[13] ი. ხუსკივაძე, ნიკორწმინდის ტაძრის მხატვრობის XVII საუკუნის 60-70-იანი წლებით დათარიღებისას, სადაც (სამხრეთ-აღმოსავლეთ აფსიდის ქვედა რეგისტრზე) სხვათაშორის შემორჩა პაატა წულუკიძის გამოსახულებაც, ერთ-ერთ მიზეზად მოაქვს წულუკიძეების უფლებების აღდგენა მათ მამულებზე პაატა „წუნკის“ ძის – მერაბ წულუკიძის დროს (ხუსკივაძე 2003: 114). მართალია, ვახუშტის მიხედვით, პაატას „წუნკის“ განდევნის შემდეგ გიორგი მეფემ წულუკიძეებს „მიუხუნა მამულნი“, თუმცა, როგორც ჩანს, უშუალოდ ნიკორწმინდიდან – წულუკიძეთა საძვალე ადგილიდან მათი განდევნა ვერ მოხერხდა.

[14] საინტერესოა, რომ მოგვიანებით, კიდევ ერთ საისტორიო საბუთში სვიმონ ჩხეტიძე კიდევ ერთხელ იწოდება „დადგინებულად“. ესაა 1661 წლის იმერეთში გამეფებული ვამეყ დადიანის შენირულობის საბუთი ბიჭვინთის ღვთისმშობლისათვის, სადაც ვკითხულობთ: „...დაგიდევით სიგელი ესე თქვენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღთისმშობელსა და მას შინა დადგნებულსა ქუთათელ კზსა ჩხეტიძესა პატრონსა სვიმეონს“ (კაკაბაძე 1921ა: 66). ბ. ლომინაძემ, სხვადასხვა საისტორიო საბუთისა და თანადროული უცხოელი მეშატიანეების მონაცემებზე დაყრდნობით, დაასკვნა, რომ XVI საუკუნის II ნახევარში აფხაზეთის კათალიკოსის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადმოდის. 1569 წლისათვის გელათის წმ. გიორგის ეკლესია უკვე „საკათალიკოსო ეკლესიად“ იწოდება. იმავე პერიოდში, 1568 წელს მოჭედილი ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატი გელათში ასვენია. აფხაზეთიდან წამოსული კათალიკოსი ველარასდროს უბრუნდება ბიჭვინთას, როგორც რეზიდენციას. თუმცა, წელიწადში ერთხელ მაინც, მირონის მოსამზადებლად, სტუმრობს ბიჭვინთას. კათაღიკოსი სვიმონ ჩხეტიძე, როგორც ამავე დროს ქუთათელი მღვდელმთავარი და სამეფო კარის საქმეებში აქტიურად ჩართული პირი, უმეტეს დროს სწორედ ქუთაისში ატარებს. ყოველ შემთხვევაში ასე იყო მაკარი და პავლე ალეპოელების იმერეთში ყოფნის დროს – 1664 წელს (ლომინაძე 1966: 200-205). ამგვარად, 1661 წლის ვამეყ დადიანის საბუთის ზემოთ მოყვანილი ციტატის შინაარსის გაგება ორი მნიშვნელობითაა შესაძლებელი: 1. ვამეყი, მიმართავს რა ბიჭვინთის ღვთისმშობელს, როგორც იურიდიულ პირს, რომელმაც ამ დროისათვის კარგა ხანია რაც ბინა დაიდო გელათში, გელათშივე (წმ. გიორგის „საკათალიკოსო“ ეკლესიაში) დადგინებულად გულისხმობს სვიმონ ჩხეტიძეს; 2. 1661 წლისათვის იმერეთში გამეფებულმა ვამეყ დადიანმა სცადა ბიჭვინთაში მოშლილი საკათალიკოსო რეზიდენციის დაბრუნება, გადაასვენა ხატი და ბიჭვინთაშივე დაადგინა კათალიკოსი სვიმონ ჩხეტიძე. ეს ურთულესი, და ამავე დროს უმნიშვნელოვანესი საკითხია და ცალკე ერცელ გამოკვლევას საჭიროებს. თუმცა, ეფიქრობ, ამ ორი შესაძლო ვარიანტიდან, მეორე უფრო რეალურია. თუნდაც იმიტომ, რომ საბუთში ვამეყი ხაზს უსვამს სვიმონის დადგინების ფაქტს, რაც ბიჭვინთაზე უნდა მიუთითებდეს, და არა გელათზე, სადაც, ამ დროისათვის კათალიკოსის რეზიდენცია უკვე დახლ. 1 საუკუნის წინ გადმოვიდა და არ წარმოადგენდა ახალ ამბავს. 1637 წლისაგან განსხვავებით, 1661 წლისათვის ან უკვე „ქუთათელი კათალიკოსი“ სვიმონის ბიჭვინთაში გამწესება გამონვეული უნდა ყოფილიყო არა შიდა ფეოდალური დაპირისპირებით, არამედ გაცილებით მასშტაბური ეთნიკური, რელიგიური და სოციალ-პოლიტიკური პროცესებით, რომელიც ამ პერიოდის აფხაზეთში მიმდინარეობდა.

[15] აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არის მცირე შესაძლებლობაც, რომ სვიმონ ჩხეტიძე არც არასდროს ყოფილიყო ნიკორწმინდის საეპისკოპოსო რეზიდენციაში. არაა გამორიცხული ნულუკიძეთა ფაქტორის გამო სვიმონ ჩხეტიძე თავიდანვე – ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ პირდაპირ მთის წმ. გიორგის მონასტერში გაემწესებინათ. მიუხედავად იმისა, რომ ამის ალბათობა გაცილებით ნაკლებია, როგორც ეარაუდი, ის მაინც იმსახურებს არსებობას.

[16] მალაქია რომ, მართლაც, ლევან დადიანის დადგენილი იყო კათალიკოსად და გურიელად პირდაპირ ადასტურებენ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი და დონ ქრისტოფორო დე კასტელი. კასტელის ცნობითვე, სვიმონ გურიელსა და ლევან დადიანს შორის მომხდარი ბრძოლისას მაშველი ჯარით მოსული პატრიარქი მალაქია ლევან დადიანს ეხმარებოდა იხ.: (გიორგაძე 1964: 36,76,93); (გიორგაძე 1976: 48).

[17] ჭელიშის მონასტერი, ისევე როგორც მთის წმ. გიორგის მონასტერი, მდ. შარეულას აუზში მდებარეობს და მთის წმ. გიორგის მონასტრიდან დაშორებულია სულ რაღაც 8 კილომეტრით (ჩრდილო-აღმოსავლეთით). ამ აქტით, ჭელიშის მონასტერი გელათის მონასტრის მდიდარი ხაზინისა და სინმინდეების სახი-

ზარი გამხდარა, რასაც ჭელიშის მონასტრის წინამძღვრის 1838 წლის ანგარიში და ჭელიშში დაცული გელათური წარმოშობის ხატები ადასტურებენ (ხელაია 2011: 163-164). ზოგადად, გელათისა და მთის წმ. გიორგის მონასტერის ურთიერთმიმართება ცალკე საკითხია. ჩემი აზრით, 1106–1534 წლებს შორის, მთის წმ. გიორგის მონასტერი გარკვეული სახით გელათის მონასტრის სენიორიის ნაწილი უნდა ყოფილიყო. ვრცლად იხ. (ძღენტი 2020: 89-96).

[18] მოჯალაბე – ყმა გლეხთა უმდაბლესი სოციალური კატეგორია XVII-XIX საუკუნეების დასავლეთ საქართველოში. დოკუმენტებში მოჯალაბე ზოგჯერ იწოდება მესაგდომედ ან მოსახლედ (მეგრულად – დოლმახარე). მოჯალაბე იყო ტყვე, ნამზითი ან ნასყიდი ადამიანი. მას საკუთარი მიწა და კარ-მიდამო არ გააჩნდა. თავისი ოჯახით მებატონის კარზე ცხოვრობდა. ის მებატონის სრულ განკარგულებაში იყო და ყველაზე მძიმე და სათაკილო სამუშაოებს ასრულებდა (ღორის მწყემსვა, შეშის დამზადება, ღომის ცეხვა). ბატონს შეეძლო მოჯალაბის ოჯახის წევრები ცალ-ცალკე გაეყიდა. მოჯალაბეს ქალიშვილის გათხოვებაც ეკრძალებოდა. იგი თითქმის მონურ მდგომარეობაში იყო იმ განსხვავებით, რომ ბატონს მისი მოკვლის უფლება არ ჰქონდა. გლეხის გადაყვანა მოჯალაბის კატეგორიაში სასჯელის ერთ-ერთ უმძიმეს ზომად ითვლებოდა (ჩხატარაშვილი 1984: 159). ბ. ლომინაძის აზრით ტერმინმა „მოჯალაბე", რომელიც, მკვლევრის აზრით, სწორედ ამ 1637 წლის გელათურ საბუთში გვხვდება პირველად, ჩაანაცვლა ქართული ტერმინი „მოსასახლე" (ლომინაძე 1954: 111).

[19] სახასო – მეფის, მისი ოჯახის წევრებისა და თავადების დომენი ფეოდალურ საქართველოში (შოშიაშვილი 1985: 241).

[20] მსგავსი მიმოწერა მინანერების სახით გვხვდება იმავე ხელნაწერის 9r-v-ზე, სადაც ვკითხულობთ ვინმე ბატონ იოსებისა და სპირიდოს მოკლე წერილებს ერთმანეთის მიმართ.

დამოწმებანი

ბაქრაძე და სხვები 2004: *პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით*, III, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: ა. ბაქრაძემ, ლ. რატიანმა და გ. ოთხმეზურმა. ტომი შეადგინეს დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ. თბილისი, არტანუჯი.

ბერიძე 1955: ვ. ბერიძე, *სამცხის ხუროთმოძღვრება*, თბილისი. მეცნიერება.

ბრეგაძე და სხვები 1958: *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, ახალი (Q) კოლექციისა, ტ. II, შედგენილია და დასაბეჭდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ელ. მეტრეველის, ლ. ქუთათელაძისა და ქრ. შარაშიძის მიერ, ი. აბულაძის რედაქციით. თბილისი, მეცნიერება.

ბრეგაძე და სხვები 1973: *ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა*, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. II, შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: თ. ბრეგაძემ, მ. ქავთარიამ და ლ. ქუთათელაძემ, ელ. მეტრეველის რედაქციით, თბილისი, მეცნიერება.

ბოჭორიძე 1995: გ. ბოჭორიძე, *იმერეთის ისტორიული ძეგლები და სიძველეები*, თბილისი, მეცნიერება.

გაბისონია 2016: პ. გაბისონია, *ქუთაისის საეპისკოპოსოს ისტორია*. თბილისი.

გაფრინდაშვილი 2015: ბ. გაფრინდაშვილი, *რაჭა-იმერეთის საეპისკოპოსოები*, (გელათი, ხონი, ნიკორწმინდა 1529-1820 წწ.), თბილისი.

გზამკვლევი 1976: *Центральный государственный исторический архив. Путеводитель*, второе уточненное и дополненное издание, Тбилиси.

გიორგაძე 1964: დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი, *წერილები საქართველოზე. XVII საუკუნე*. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბილისი, მეცნიერება.

გიორგაძე 1976: დონ კრისტოფორო კასტელი, *ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ*, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბილისი, მეცნიერება.

დვალი 1968: მ. დვალი, ლეკნარის წმ. გიორგის ეკლესია, *მაცნე*, №4, თბილისი, მეცნიერება.

ენუქიძე და სხვები 2014: *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, ტ. III, XV საუკუნის მეორე ნახევარი, შეადგინეს თ. ენუქიძემ, დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, თბილისი.

თაყაიშვილი 2017: ე. თაყაიშვილი, *არქეოლოგიური მოგზაურობა რაჭაში 1919 და 1920 წწ. თბ ზულებანი*. 4. თბილისი. არტანუჯი.

თოდუა 1982: მაკარი III ანტიოქიელი პატრიარქი, *ცნობები საქართველოს შესახებ. „არმაღანი" აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები*. შემდგენელი მ. თოდუა. თბილისი, საბჭოთა საქართველო.

კაკაბაძე 1921ა: ს. კაკაბაძე, *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები*, I, ტფილისი.

კაკაბაძე 1921ბ: ს. კაკაბაძე, *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები*, II ტფილისი.

ლომინაძე 1954: ბ. ლომინაძე, *ფეოდალური მეურნეობის ორგანიზაციის ისტორიიდან გვიანფეოდალურ საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 30, თბილისი.

ლომინაძე 1966: ბ. ლომინაძე, *ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან, სენიორიები*, I, თბილისი, მეცნიერება.

მერკვილაძე, გაბისონია 2012/2013: დ. მერკვილაძე, პ. გაბისონია, არქანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი". *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, XII-XIII, თბილისი.

მერკვილაძე 2020: არქანჯელო ლამბერტი, *წმინდა კოლხეთი*, იტალიურიდან თარგმნა გიორგი ცქიტიშვილმა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, განმარტებები და საძიებლები დაურთო დავით მერკვილაძემ. თბილისი, არტანუჯი.

მურუსიძე 2008: მ. მურუსიძე, ნიკორწმინდელ ეპისკოპოსთა ქრონოლოგიური რიგი, *ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები*, კრებული XVIII, ქუთაისი.

მჭედლიძე, კეზევაძე 2008: გ. მჭედლიძე, მ. კეზევაძე, *ქუთაისი-გაენათის ეპარქია (ისტორია და თანამედროვეობა)*, ქუთაისი. საგამომცემლო ცენტრი.

ოთხმეზური და სხვები 2007: *პირთა ანოტირებული ლექსიკონი*, XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, IV, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: გ. ოთხმეზურმა, გ. მჭედლიძემ, მ. სურგულაძემ, დ. ჟღენტმა, ა. ბაქრაძემ, თ. ენუქიძემ და დ. კლდიაშვილმა. ტომი შეადგინეს მ. სურგულაძემ და დ. კლდიაშვილმა, თბილისი, არტანუჯი.

ფორდანია 2018: თ. ფორდანია, *ქრონიკები*, II, გამოსაცემად მოამზადა მ. ჭუმბურიძემ, ტომის რედაქტორი ი. ბერიძე, თბილისი, არტანუჯი.

ჟღენტი 2011: ნ. ჟღენტი, მთის წმ. გიორგის საბუთი 1465-1467 წლებისა (დადგენილი ტექსტი და კლასიფიკაცია), *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, № IV, თბილისი, მერიდიანი.

ჟღენტი 2020: ნ. ჟღენტი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო სენიორიების ისტორიიდან – გელათი და მთის წმ. გიორგის მონასტერი (ისტორიული კავშირები). *წმ. გრიგოლ ფერაძე 120 – წმიდა გრიგოლ ფერაძის I საერთაშორისო კონფერენცია საქართველო და ქრისტიანული ცივილიზაცია (მასალები)*. თბილისი.

რეხვიაშვილი 1978: მ. რეხვიაშვილი, *დასავლეთის საქართველო XVII საუკუნეში (ნარკვევები)*, თბილისი, მეცნიერება.

რეხვიაშვილი 1989: მ. რეხვიაშვილი, იმერეთის სამეფო (1462-1810 წწ.), თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სოსელია 1973: ო. სოსელია, *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები)*, I, თბილისი, მეცნიერება.

სოსელია 1981: ო. სოსელია, *ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, (სათავადოები)* II, თბილისი, მეცნიერება.

სურგულაძე 2006: მ. სურგულაძე, *ქართული საისტორიო აქტები*, XI-XV სს. თბილისი, არტანუჯი.

სურგულაძე 2016: *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, ტ. IV, *ქართული ისტორიული საბუთები*, XVI საუკუნე (ქართლი და სამცხე საათაბაგო), ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები მოამზადა მ. სურგულაძემ. სპარსული ტექსტები მოამზადა თ. აბაშიძემ. თბილისი.

სხეც A-844: კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ხელნაწერი A-844.

ფონდი №1451: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი №1451, საქმე №16.

ფონდი №1448: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი №1448.

ქორიძე 2000: თ. ქორიძე, სვიმონ ჩხეტიძე, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები, *საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები*, თბილისი, ნეკერი.

ყაუხჩიშვილი 1959: ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

ყაუხჩიშვილი 1973: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV. თბილისი, მეცნიერება.

შოშიაშვილი 1985: ნ. შოშიაშვილი, სახასო, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. IX, თბილისი, მეცნიერება.

ჩხატარაიშვილი 1984: ქ. ჩხატარაიშვილი, მოჯალაბე, *ქართული საბჭოთა ენციკლოპედია*, ტ. VII, თბილისი, მეცნიერება.

ხელაია 2011: ა. ხელაია. *მოგ ზაურობა რაჭა-ლეჩხუმში*, მწიგნობრობა ქართული, სასულიერო მწერლობა, ტ. 12, თბილისი.

ხუსკივაძე 2003: ი. ხუსკივაძე, ნიკორწმინდის ტაძრის მოხატულობა, *საქართველოს სიძველენი*, 3, თბილისი.



სურ. 1 მთის წმ. გიორგის მონასტერი, მ. დვალის ფოტო, 1954 წ.

ONE EPISODE FROM THE 17TH CENTURY HISTORY OF MTIS (MOUNT) ST. GEORGE MONASTERY – THE APPOINTMENT OF BISHOP OF NIKORTSMINDA SVIMON CHKHETIDZE IN THE MONASTERY

Nikoloz Zhghenti

The subject of the research is a lost deed of donation of 1637, granted by King of Imereti Giorgi III to some St. George's church and the bishop of Nikortsminda Svimon Chkhetidze, who was appointed in the same church at the moment. Later Svimon Chkhetidze became the bishop of Kutaisi and after the Catholicos of Abkhazeti (western Georgia). He was known as one of the most important persons in the history of Imereti in 17th century. The deed of donation of 1637 is the oldest historical source which includes biographical data about this person. Even though this document is well known in academic literature, there is no proper source-critical study of the document and its different issues.

This article is based on two main issues about this deed: the identification of the St. George's church mentioned in the text and the reason of appointment of bishop of Nikortsminda in this church and not the Nikortsminda cathedral itself.

In the National Archives of Georgia is preserved the 19th century catalogue 1451-16 – the descriptions and anotations of Mtis (Mount) St. George Monastery's documents. Among these documents I found the description and anotation of the abovementioned lost deed's original of 1637. Accordingly, St. George's church

mentioned in this document was identified as the main church of Mtis (Mount) St. George Monastery, located about 8-10 kilometers west from Nikortsminda Cathedral.

After solving the first problem of the article, I tried to solve second one. There is no direct information, any kind of source, mentioning the reason why Svimon Chkhetidze was appointed in this Monastery. But, according to the multiple historical sources of the period, I tried to restore the historical process which could indicate the real reason of this act:

In 1630s, the military conflict between King of Imereti and Duke of Odishi reached its highest point. Whole western Georgia was divided into two military camps – King Giorgi III with his supporters and Duke Levan II Dadiani with his supporters. The feudal house of Chkhetidzes, the representative of which was Svimon of Nikortsminda, were on King's side. The first vizier of Levan Dadiani was Paata Tsulukidze – the representative of the feudal house which owned Nikortsminda Cathedral as the family crypt. Earlier Paata Tsulukidze has been expelled from his owned lands by King of Imereti Giorgi III. The Catholicos of Abkhazeti – Malakia Gurieli – was also on Dadiani's side. In the battle at Kaka's bridge King Giorgi was imprisoned by Levan Dadiani, as a result of what the political initiative in Western Georgia was ruled by Dadiani and his supporters.

Supposadly, in the same period, because of the demand of Tsulukidzes feudal house, the bishop of Nikortsminda Svimon Chkhetidze has been expelled from his Cathedral and was appointed in Mtis (Moint) St. George Monastery in the same eparchy. Later, in 1637, newly released King Giorgi made donation to this Monastery and Svimon, supposedly, to compensate the loss which was caused by his recent political failure.

„შავი ჭირის“ ეპიდემია საქართველოში XIX საუკუნის I ნახევარში

გიორგი სოსიაშვილი

გიორგი XII-ის მეფობის პერიოდში საქართველოში „შავი ჭირი“ რამდენჯერმე გავრცელდა. სამეფო კარს საკარანტინო სივრცეების მოსაწყობად საკმარისი ადამიანური რესურსი არ აღმოაჩნდა. რაკი ეპიდემია თურქეთიდან შემოდიოდა, გიორგი XII ახალციხის მხრიდან ვაჭრობის შეზღუდვით შემოიფარგლა. მეფის მცდელობამ გარკვეული დროის განმავლობაში სასურველი შედეგი გამოიღო. მცირე ხნის შემდეგ დედაქალაქში „შავი ჭირის“ შემთხვევების დაფიქსირების გამო, თბილისში მყოფმა რუსმა სამხედრო ჩინოვნიკებმა, ვერაზე, ლურჯი მონასტრის სიახლოვეს დაინფიცირებული მოქალაქეებისთვის სპეციალური სასნეულო მოაწყვეს. პლატონ იოსელიანის ცნობით:

> სახლად აუშენეს ნნელის ოთხი დიდი სახლი, გარედამ და შინიდამ ლესულნი გაჯითა და ზევით ჭერი ფიცრითა, დახურულვილი. აპრილიდამ აგვისტომდინ იყო ესე. მზრუნველობა სნეულთა სანოვაგისა და სანოლისა, მიანდვეს ქალაქისა მელიქსა დარჩია ბებუთოვს და ერთსა სომეხსა აღალო..., ოსმალოდამ მოსულსა, ჭირნახადსა (იოსელიანი 1978: 168).

საქართველოში 1802 წლის დასაწყისში „შავმა ჭირმა“ ისევ იფეთქა. თებერვალში რუსეთის ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოდან ქართლში მოძრაობა შეზღუდა. იმერეთიდან მომავალ მგზავრებს სურამში ორკვირიანი კარანტინი უნდა გაევლოთ. ამის შესახებ იულონ ბატონიშვილის კარის მწიგნობარი იოანე ქართველიშვილი წერს:

> წარმოველ იმერეთით საქართველოდ ფებერვლის ვ (6) (იგულისხმება 1802 წლის 6 თებერვალი – გ. ს.) მოველ სურამს. აქა უკუე იყო კაპიტანი პართენ ეკთიმიჩი. ამან დამაყენა ორსა უკუე ღამესა ტეძერს(სიც) და შემდგომად სურამს. გარამახდევინა კარანტინი კვირიაკესა ორსა. აქა უმეტესითა შენუხებითა დავყავ, ვითარცა პყრობილმან. ფებერვლის 18 დღესა ამას, მომცა ბილეთი და გამომიტევა პხსენებულმან კაპიტანმან (ქართველიშვილი 1952: 91).

1802 წლის დეკემბერში „შავი ჭირის“ შემთხვევები ჯავახეთში დაფიქსირდა. მცირე ხნის შემდეგ კი ეპიდემია ქართლ-კახეთის ზოგიერთ სოფელშიც გამოვლინდა. ამ ინფორმაციას მთავარმართებელ პ. ციციანოვს გენერალი ლაზარევი გენერალ სერგეი ტუჩკოვის შეტყობინების საფუძველზე აწვდიდა. თბილისის სიახლოვეს, კერძოდ, სოფელ კოდაში, „ტფილისის მუშკეტერთა პოლკში“ „შავი ჭირის“ პირველი შემთხვევა 1802 წლის 23 დეკემბერს გახდა ცნობილი (სამუშაო 2015: 105). ეპიდემიის გავრცელების შესახებ მიწოდებულ ინფორმაციას პავლე ციციანოვი თავდაპირველად სარწმუნოდ არ მიიჩნევდა, თუმცა სიტუაციის გაუარესების შემდეგ დარწმუნდა, რომ ქვეყანაში გავრცელებული სენი ნამდვილად „შავი ჭირი“ იყო. მთავარმართებლის დავალებით ჩაიკეტა თბილისის კარი (სამუშაო 2015: 105-106). ეპიდემიის სწრაფი ზრდის გამო ციციანოვმა 1803 წლის 15 იანვარს პეტერბურგს მიმართა, რათა სამედიცინო პერსონალით და მედიკამენტებით დახმარებოდნენ. ამ დროისთვის, საქართველოში მყოფ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული სამედიცინო სამმართველო. ეპიდემიის საწყის ეტაპზე 13 ადამიანი გარდაიცვალა (სამუშაო 2015: 106).

მთავარმართებელმა პავლე ციციანოვმა 1803 წლის 18 აპრილს რუსეთის იმპერატორს სპეციალური პატაკი წარუდგინა. იგი საქართველოს ტერიტორიაზე 4 საბაჟო და 4 საკარანტინო საგუშაგოს შექმნას ითხოვდა, კერძოდ: სურამში – იმერეთის საზღვართან, წალკაში – ახალციხესა და ჯავახეთის მიმდებარედ, ბამბაკის მხარის სოფელ ყარაკლისში (კარაკლისი) – ყარსისა და ერევნის ოლქებთან ახლოს და შამშადილის პროვინციაში – განჯის სახანოს საზღვართან. 4 საბაჟოს და საკარანტინე სივრცის მოსაწყობად ჯამში 40 000 მანეთი იყო საჭირო (აქტები 1868: 239-241, №442). რუსეთის იმპერატორმა მთავარმართებლის თხოვნა დააკმაყოფილა და მითითებულ ადგილებში საბაჟოების და კარანტინების გახსნის შესახებ ბრძანება გასცა, გამოიყო თანხაც. ციციანოვის წარდგენილ გეგმაში მცირე ცვლილება იქნა შეტანილი. ერთ-ერთი კარანტინი განჯის სახანოს საზღვრის ნაცვლად, განჯაშივე მოეწყო, რადგან იმ დროისთვის განჯის ციხე რუსებს უკვე აღებული ჰქონდათ (აქტები 1868: 242, №446).

1803 წლის 16 ივნისს საქართველოს საექიმო სამმართველო ჩამოყალიბდა (აქტები 1868: 252, №479). იმავე წლის ივლისის დასაწყისში ეპიდსიტუაცია გაუარესდა. სამეფო ოჯახის წარმომადგენლები თბილისიდან მუხრანში გაიხიზნენ. ამის შესახებ იოანე ქართველიშვილი წერს: „ჭირი გაჩნდა ქალაქში; 1803-სა წელსა, ივლისის ცხრასა, ხიზნით ვაველ მუხრანს. დედოფალიც (იგულისხმება დარეჯან დედოფალი, ერეკლე II-ის მეუღლე, 1734-1807 წ.წ., რომელიც სწორედ მუხრანიდან გადაასახლეს რუსეთში -- გ. ს.) იქ მობრძანდა ამავ თთვეში" (ქართველიშვილი 1952: 96).

განსაკუთრებულად მძიმე იყო დედაქალაქისთვის 1803 წლის აგვისტო. თბილისში 1-8 აგვისტოს 44, 8-14 აგვისტოს 38, ხოლო 14-31 აგვისტოს კი 42 ადამიანი გარდაიცვალა (აქტები 1868: 259).

ხელისუფლების გადაწყვეტილებით 1803 წლის აგვისტოს დასაწყისში საკარანტინე სივრცე მოეწყო დუშეთში (აქტები 1868: 259); (სამუშია 2015: 106). ეპიდემიის გავრცელებამ მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. მღელვარებამ მოიცვა გორი და დუშეთი. ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი გუშაგების მიუხედავად, მოსახლეობა ფარულად იხიზნებოდა. დაავადების შემთხვევები გახშირდა გორში, სადაც ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესამოწმებლად საექიმო სამმართველოს ინსპექტორი, დოქტორი რეინგოლმი გაიგზავნა. საექიმო სამმართველოს სხვა ექიმები მივლინებაში იმყოფებოდნენ (აღნიშნული უწყება მკურნალების ნაკლებობას განიცდიდა. რუსეთიდან ახლად ჩამოსული მედპერსონალიდან 4 ეპიდემიის შედეგად გარდაიცვალა) (აქტები 1868: 259, №496). როგორც პაველე ციციანოვის მიერ იმპერატორისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი პატაკიდან ჩანს, ეპიდემიის გავრცელებას ხელს უწყობდა მოსახლეობის მიერ დასნებოვნებული ნივთების გადამალვა. ხელისუფლება ამ მხრივ მკაცრ ზომებს მიმართავდა. პოლიციამ ნივთების გადამალვის გამო დააკავა ერთი ადგილობრივი მკვიდრი და ერთიც კავკასიის გრენადერთა პოლკის წარმომადგენელი. მთავარმართებელმა კომენდანტს[1] უბრძანა, რომ დაკავებული ადგილობრივი მკვიდრი 1000 კაციან მწყობრში გაეტარებინათ, ხოლო გრენადერთა პოლკის წარმომადგენელი კი სამხედრო სასამართლოსთვის გადაეცათ (აქტები 1868: 261, №501).

გენერალ ტუჩკოვის ინფორმაციით დედაქალაქიდან გასელა აიკრძალა. თუმცა, შელავათებით სარგებლობდნენ პაველე ციციანოვის გარემოცვის წარმომადგენლები. მთავარმართებლის დავალებით თბილისის კომენდანტს ქალაქიდან რამდენიმე ადამიანი გაუპარებია (სამუშია 2015: 107). გენერალმა ტუჩკოვმა პაველე ციციანოვს იმ გეგმის შესაბამისად მოქმედება ურჩია, რომლითაც რუსეთის იმპერიის გუბერნიებში ეპიდემიების გავრცელების დროს მოქმედებდნენ. ტუჩკოვის შეთავაზებით ხელისუფლებას ჯანმრთელი მოქალაქეები ორთაჭალაში უნდა გადაეყვანა, ხოლო საეჭვო სიმპტომების მქონე ადამიანები კი დედაქალაქში დაეტოვებინა. თბილისში ამ დროს „საეჭვო სახლიც" მოეწყო, სადაც ეპიდემიისთვის დამახასიათებელი ნიშნების მქონე მაცხოვრებლები მიჰყავდათ (სამუშია 2015: 108-109). ხელისუფლების გადაწყვეტილებით პატიმრებდნენ იმ მოქალაქეებს, რომლებიც მთავრობის მიერ მიღებულ წესებს არ ემორჩილებოდნენ (აქტები 1868: 257).

მთავარმართებელ ციციანოვის სახელზე 1804 წელს შედგენილ საქართველოს უმაღლესი მთავრობის აღმასრულებელი ექსპედიციის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც კომენდანტებისა და კაპიტან-ისპრავნიკების მიერ შეგროვებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა, აღნიშნულია, რომ „შავი ჭირის" პიკმა საქართველოში უკვე გადაიარა. დოკუმენტში ვკითხულობთ:

> უფლის წყალობით, აღნიშნული დაავადება აღარ არის ტფილისში ივნისის 1-ლი რიცხვიდან, თელავში გასული 1803 წლის 22 დეკემბრიდან, თელავის მაზრაში იმავე თვის 25-დან, 20 ნოემბრიდან გორში, 1 მაისიდან გორის მაზრაში (იგულისხმება 1804 წელი – გ. ს.), ანანურსა და მის მაზრაში ამა წლის 15 აპრილიდან, სიღნაღის მაზრაში კი საერთოდ არ ყოფილა (აქტები 1868: 261-262, №505).

აღმასრულებელმა ექსპედიციამ თხოვნით მიმართა მთავარმართებელ პაველე ციციანოვს, რათა გაეუქმებინა კარანტინები როგორც თბილისთან, ისე ქვეყნის სხვა ადგილებში. ექსპედიციის წარმომადგენელთა რეკომენდაციით ეპიდემიის დასრულების შესახებ შეტყობინება უნდა დაეგზავნათ მეზობელი გუბერნიებისთვის, ასევე დონის ჯარის და შავი ზღვის საჯარისო კანცელარიებისათვის (აქტები 1868: 262).

1803 წლის 15 ივნისიდან 1804 წლის 1 ივნისამდე საქართველოში 1570 ადამიანი გარდაიცვალა. აქედან თბილისში ეპიდემიის გამოვლენიდან მის „შავ ჭირად" აღიარებამდე სხვადასხვა წოდების ორივე სქესის 50 ადამიანი დაიღუპა. დედაქალაქში 1803 წლის 15 ივლისიდან 1804 წლის 1 ივნისამდე ეპიდემიას შეეწირა 146 სამხედრო პირი; სამოქალაქო დანაყოფის 18 ჯარისკაცი; სამთო რაზმის 1 ხელოსანი; საუწყებო მსახური – 11; ქართველი, სომეხი და რუსი სხვადასხვა სამხედრო ჩინის მქონე

ორივე სქესის 141 ადამიანი, 1 ექიმი, სულ 368 ადამიანი. ლორეს მაზრაში ეპედემიის შედეგად გარდაიცვალა: ქართველი, აზერბაიჯანელი და სომეხი ეროვნების 382 ადამიანი. თელავში გარდაიცვალა კომენდანტი (ვიცე-პოლკოვნიკი ფელკერი) მეუღლით და ქალიშვილით (სულ 3 ადამიანი), ასევე 35 სამხედრო მოსამსახურე, სამოქალაქო დანაყოფის 6 ჯარისკაცი, ასევე ადგილობრივი მაცხოვრებლები – ორივე სქესის 45 მოქალაქე), მათ შორის, ქალაქის მკურნალის ვოროჩენკოვის მეუღლე და ქალიშვილი, ასევე სასულიერო პირი სიდამონოვი და მისი ორი მსახური, სომეხი სასულიერო პირი ოჯახით და სხვ. თელავში გარდაცვლილთა რაოდენობამ 89 შეადგინა. თელავის მაზრაში „შავმა ჭირმა" 75 ადგილობრივი მაცხოვრებელი იმსხვერპლა. გორში ეპიდემიის შედეგად ორივე სქესის 40 ადამიანი გარდაიცვალა. გორის მაზრაში 249, დუშეთში 18 სამხედრო მოსამსახურე, ასევე სამოქალაქო დანაყოფის 7 ჯარისკაცი და სხვადასხვა ნოდების 77 ადამიანი; სულ 102; ანანურში „შავი ჭირით" გარდაიცვალა 5, ხოლო ანანურის მაზრაში 247 ადგილობრივი მაცხოვრებელი; დაავადებას შეეწირა დონის ეფრემოვის მე-3 პოლკის 4 კაზაკი; სულ – 256 ადამიანი. როგორც ითქვა, ეპიდემიის შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობამ მთლიანად 1570 შეადგინა. პავლე ციციანოვისადმი 1804 წლის 12 აგვისტოს დაწერილ მოხსენებით ბარათში, აღნიშნულია, რომ ექსპედიცია თელავის, ანანურის, გორის და ლორის მაზრებში აღნიშნული დაავადებით დალუპული სხვა სამოქალაქო პირების შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა (აქტები 1868: 261-262, №505); (სამუშია 2015: 111).

თუ ექსპედიციის მოხსენებით ბარათს დავუკვირდებით, „შავი ჭირით" გარდაცვლილთა დიდ ნაწილს სამხედრო დანაყოფებში მყოფი მოსამსახურეები (სავარაუდოდ, არაქართველები), შეადგენდნენ. თუმცა „შავმა ჭირმა" ბევრი ქართველიც შეიწირა. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დიდი მსხვერპლით დასრულდა ეპიდემია გორსა და გორის მაზრაში, სადაც 289 ადგილობრივი მაცხოვრებელი გარდაიცვალა. 1810 წელს კავკასიაში თურქეთიდან „შავი ჭირის" ახალი ტალღა გავრცელდა. ეპიდემია მოედო ქართლ-კახეთის ქალაქებს, განჯას, დერბენტს. მოარულმა სენმა იმსხვერპლა ალავერდის სპილენძის ქარხნის მუშები. როგორც პ. გუგუშვილი აღნიშნავს: „ჯამიანობამ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში იმსხვერპლა 2042 მამრი, 1646 მდედრი და 567 ბავშვი, და ეს მხოლოდ ოფიციალური ცნობების თანახმად. მოსახლეობა გარბოდა ქალაქებიდან. თბილისი და სხვა ქალაქები დაცარიელდა" (აქტები 1868: 289).

თურქეთიდან შემოსულმა ეპიდემიამ განსაკუთრებით იჩინა თავი ახალციხესა და მის შემოგარენ სოფლებში. 1810 წლის 21 ნოემბერს „შავი ჭირი" გავრცელდა ახალციხესთან რუსული ჯარის გვერდით მყოფ ახალციხის დასაკავებლად მებრძოლ მილიციაში. მალე დაავადება ჯარისკაცებსაც აღმოაჩნდათ. დაავადების შედეგად 5 ჯარისკაცი და 7 მილიციელი გარდაიცვალა. მათ შორის თავადი ციციშვილი (ლომსაძე 2011: 136). თურქების მხრიდან ტყვედ ჩავარდნილთა ინფორმაციით, ახალციხის გარნიზონში უკვე 10 დღე იყო, რაც „შავი ჭირის" ეპიდემია მძვინვარებდა. ხელისუფლებამ საჭარისო ნაწილი მილიციისგან გამოაცალკევა. მილიციელებს და ჯარისკაცებს ახალციხის შემოგარენ სოფლებში მოსახლეობასთან ყოველგვარი კონტაქტი აეკრძალათ (აქტები 1870: 105, №132). 2 მთავარმართებელ ტორმასოვის მიერ პოლიციის მინისტრის ბალაშოვისადმი გაგზავნილი 1811 წლით დათარიღებული წერილიდან ჩანს, რომ „შავი ჭირის" ეპიდემიამ თავი იჩინა ქარელსა და ბრეთში (აქტები 1870: 105-106, №132, 134). 1811 წლის თებერვალში „შავი ჭირი" გაჩნდა თბილისის სამხედრო ჰოსპიტალშიც, თუმცა მიზეზი ვერ დაადგინეს. ჰოსპიტლიდან ცალკე გაუყვანიათ დაავადებულები. იზოლაციაში მოუთავსებიათ ასევე საეჭვო სიმპტომების მქონე ადამიანები (აქტები 1870: 106, №135). გენერალ-მაიორ სიმონოვიჩის მიერ მთავარმართებელ ტორმასოვისადმი 1811 წლის 28 ივნისს გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „შავმა ჭირმა" დიდი მსხვერპლი მოიტანა საჩხერეში. გადამდები დაავადება ზემო იმერეთში ზურაბ წერეთლის აზნაურმა გრიგოლ ათანაშვილმა-მაჭავარიანმა შეიტანა, რომელიც საჩხერეში ჩასვლიდან მესამე დღეს გარდაიცვალა. ეპიდემიამ შეიწირა მისი ნათესავებიც, რომელთა სახლშიც გარდაცვლილი იყო დაბინავებული (აქტები 1870: 107, №136). 1811 წელს, დასავლეთ საქართველოში „შავი ჭირის" გავრცელების შესახებ კიდევ ერთი ცნობა გვაქვს, რომელიც „მღვდელ-მონაზონ ნიკიფორეს ქრონიკას" შემოუნახავს: „1811 გაჩნდა იმერეთს ჟამი" (ყორდანია 1967: 647).

„შავი ჭირის" გავრცელებამ 1811 წელს ქართლ-კახეთის მოსახლეობაში პანიკა გამოიწვია. დაცარიელდა თბილისი. მოსახლეობა დედაქალაქიდან გაიხიზნა. ამასთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას გადმოგვცემს მოვლენის თვითმხილველი ალექსანდრე ორბელიანი. იმ დროს, როცა ეპიდემიამ თავი იჩინა, თეკლა ბატონიშვილის ვაჟი ცხრა წლის იყო. მისი მოგონებიდან ირკვევა, რომ დაავადება გავრცელდა თბილისში, ასევე ქართლის და კახეთის სოფლებში. მოსახლეობა საცხოვრებლებიდან იხიზნებოდა. ალექსანდრე ორბელიანი წერს:

მე მაშინ ცხრა წლისა ვიქნებოდი, მე ეს კარგათ მახსომს. ეს ხმა ყველასათვის შაშინელი იყო, იძახდნენ აქ გაჩნდა, იქ გაჩნდა; აქ მოკვდა, იქ მოკვდა, ეს აიყარა, ის წავიდა, ეს დაიხიზნა, ის გაეშურა. სულ ეს ხმები იყო ზეით ქვეით ქართლ-კახეთში და ეს ხმები ამ ქალაქ ტფილისში მოდიოდა. სადაც აქაც იყო გაჩენილი ჭირი. ზოგს ქუჩაში და ტფილისის ხალხი ბევრნი იყრებოდნენ, მიდიოდნენ იქა, სადაც სოფლებში ჯერ კიდევ არ გაჩენილიყო (ორბელიანი 2009: 39).

ეპიდემიამ საზოგადოების წარმომადგენლებს ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის განცდა გაულრმავა. ალექსანდრე ორბელიანი გადმოგვცემს:

ვინც უნდა ყოფილიყო, უმცნობი, თუ მცნობი, თუნდა მოსისხლე მტერი, რაკი კარზედ მიადგებოდა სოფელში სადმე ან თვით ქალაქებში და სახლის პატრონს დაუძახებდა: ღვთის სტუმარი არ გინდაო? – გათავდებოდა. მაშინათვე გამოეგებებოდნენ დიდი პატარანი და ყოველისფრით განუსვენებდნენ, თუნდა წელინადები ყოფილიყო (ორბელიანი 2009: 39).

ალექსანდრე ორბელიანის ოჯახი მარტყოფში გაიხიზნა. როგორც ირკვევა, თეკლა ბატონიშვილმა თავისი კარ-მიდამო თბილისში ორ მსახურს ჩააბარა:

აქ ქალაქში კი ორი მოსამსახურე დააგდეს სახლში ჩემმა დედ-მამებმა ამ დარიგებით: ეზოს ალაყაფის კარი დაკეტილი გქონდესთ, არავინ არ შემოუშოთ თქვენთან და არც თქვენ გახვიდეთ სადმე, სულ შინ იყავით. ფქვილი ბევრი გაქვთ, ფიჩხი ბევრი და როდისაც დაგჭირდეთ, პური გამოაცხვეთ. ამასთან ერბო, ხახვი და ყველი ბევრი გექნებათ. ხან ყველ-პურზე გადაიარეთ და ხან ხარშო გააკეთეთ ხოლმე. დასალევი წყალიც შუალამის დროს მოიტანეთ, იმ დროს ფეხი მინყვეტილი არის, არავინ არ შეგხვდებათ და თუ შეგხვდესთ ვინმე, ხმას ნუ გასცემთ, ასე მოერიდენით ყველას (ორბელიანი 2009: 40).

დაავადება მალე მარტყოფშიც გაჩნდა და ალექსანდრე ორბელიანის ოჯახმა პატარძეულს მიაშურა (ორბელიანი 2009: 40). თუმცა „შავი ჭირი“ მალე აქაც გავრცელდა: „ცოტაოდენი ხანის შემდგომ აქაც მოვიდნენ ჭირისაგან მორიდებული ხალხი, სხვა სოფლებში დახიზნულები ქ. ტფილისისა და სოფლის მოსახლეებში დაიფანტნენ“ (ორბელიანი 2009: 44). გახიზვნის მიუხედავად, „შავი ჭირით“ დაინფიცირდა ცხრა წლის ალექსანდრე ორბელიანიც, როგორც თვითონ წერს:

ამ დროს სად იყო და სად არა, ანუ როგორ საიდგანა, მე ავათ გავხდი, მაშინვე, ჩემ დედ-მამამა ჩემი გამდელი მამიჩინეს ერთის მოსამსახურითა და სხვა არავინ არ მოშაკარეს – აღარც თვითონ, ისე მოგვერიდნენ სულერთიან, მაგრამ ისინი სხვაგან არსად გადასულან, მხოლოდ მე შორიახლოს გამანვინეს, ერთს დარბაზში და იქ მპატრონობდნენ ის ორნი (ორბელიანი 2009: 44).

დაინფიცირებულ ბავშვს და მასზე მიჩენილ მზრუნველ ქალს მსახურები განსაკუთრებული სიფრთხილით ეკონტაქტებოდნენ:

დილას და საღამოს მოგვიტანდნენ სასმელს საჭმელს და სანთელს მოსამსახურენი, იქვე კარეფში ჩასდგამდნენ და იმის მაგიერსა ჭურჭელს, ადრე რომ გავცლიდით, იქვე დაანყობდნენ კარგათ დარეცხილსა, იმას აიღებდნენ და საჩქაროთ წაიდოდნენ. ამასთან ჩაი შაქარიც არ გვკლებია, ყველა იყო რაც რიგია ჩვენი ნუზლი (ორბელიანი 2009: 44).

ორმოცდღიანი ავადმყოფობის შემდეგ შავი ჭირისაგან დასნებოვნებული ალექსანდრე ორბელიანი მომჯობინდა. საბედნიეროდ, ეპიდემიით მის ოჯახში სხვა არავინ დაინფიცირებულა (ორბელიანი 2009: 44). 1811 წლის ივნისში „შავი ჭირის“ გავრცელების გამო დედაქალაქიდან მოსახლეობის გახიზვნის შესახებ ცნობას გვაწვდის ასევე იოანე ქართველიშვილი. იულონ ბატონიშვილის კარის მწიგნობარს სოფელ მარტყოფისთვის შეუფარებია თავი:

1811-ს წელსა, ივნისის 16-ს, ჭირის მიზეზით ავიყარენით ქალაქიდან, ვიყავით პირველად მარტყოფს, აგვისტოს პირველამდე; მერე ნორიოს, აგვისტოს 31-მდე; შემდგომად თათრების სოფელს, მუღანლოში, იერის პირზე დეკემბრის 12-ს მოვედით კარანტინში, ავლაბარში, და 14-ს შემოვედით ქალაქში (ქართველიშვილი 1952: 97).

ახალციხის მხრიდან ქართლსა და იმერეთში გავრცელებულმა ეპიდემიამ ერთი წლის განმავლობაში ათასობით ადამიანი იმსხვერპლა (ლომსაძე 2011: 137). „შავი ჭირი“ სამეგრელოსა და გურიასაც მოედო. ამის შესახებ ნ. დადიანი წერს:

> წელსა ამას, 1811, გაჩნდა იმერეთსაშინა, ოდიშსა და გურიასა საშინელი მომსვრელი სენი (ე. ი. ჟამი) და ამასთან საშინელი და საკვირველი სიყმილი, რომელ უთვალავნი მოისრნენ და მრავალი განიბნენ, კნინღა და შუა გაიყო ყოველნი ქვეყანანი ესე ზემოხსენებული და მრავალნი წარვიდნენ აფხაზეთად. ვინათგან აფხაზეთსა შინა არა იყო წელსა მას სიყმილი და არცა იგი მომსვრელი სენი (დადიანი 1962: 203); შდრ. (ლომსაძე 2011: 137).

1811 წელს „შავი ჭირის“ გურიაში გავრცელებას ადასტურებს დ. ბაქრაძის მიერ მიკვლეული შემოქმედის „გულანის“ არშიაზე მიწერილი შენიშვნა: „ჩყიბ (1811) წელსა დიდი შიმშილი იყო და შემდგომ ჟამი გამოჩნდა იმავე წელშიდ“ (გუგუშეილი 1949: 288). 1811 წელს, საქართველოში გავრცელებული „შავი ჭირი“ დიდი მსხვერპლით დასრულდა. 1812 წლის 5 აპრილს, მთავარმართებელ მარკის პაულუჩის მიერ პოლიციის მინისტრის ბალაშევის სახელზე შედგენილ წერილზე თანდართული უწყისის მიხედვით 1811 წლის მაისიდან 1812 წლის 1 იანვრამდე ეპიდემიის შედეგი ასეთი იყო: ქ. თბილისში (მაისი-დეკემბერი). გარდაიცვალა: 230 მამაკაცი, 174 ქალი, 124 ბავშვი, სულ 528; გამოჯანმრთელდა: 72 მამაკაცი, 81 ქალი, 51 ბავშვი, სულ 204; კარანტინში იმყოფებოდა: დასნებოვნებული 97 მამაკაცი, 103 ქალი, 55 ბავშვი, სულ 255; ჯანმრთელი: 188 მამაკაცი, 210 ქალი, 109 ბავშვი, სულ 507; თბილისის მაზრაში (აპრილი-ივლისი) გარდაიცვალა: 71 მამაკაცი, 49 ქალი, 55 ბავშვი სულ 175; გამოჯანმრთელდა: 8 მამაკაცი, 7 ქალი, 13 ბავშვი, სულ 28; ქ. ანანურში (აპრილი-აგვისტო): გარდაიცვალა: 19 მამაკაცი, 20 ქალი, 18 ბავშვი, სულ 57; გამოჯანმრთელდა 94 მამაკაცი, 66 ქალი, 55 ბავშვი, სულ 215; ანანურის მაზრაში (მაისი-დეკემბერი): გარდაიცვალა: 83 მამაკაცი, 104 ქალი, 42 ბავშვი, სულ 229; გამოჯანმრთელდა: 75 მამაკაცი, 74 ქალი, 29 ბავშვი, სულ 178; კარანტინში იმყოფებოდა: დასნებოვნებული 48 მამაკაცი, 68 ქალი, 29 ბავშვი, სულ 145; ჯანმრთელი: 54 მამაკაცი, 59 ქალი, 25 ბავშვი, სულ 138; ქ. ელიზავეტპოლში 25 ივლისიდან 25 სექტემბრის ჩათვლით გარდაიცვალა: 150 მამაკაცი და 136 ქალი; 25 სექტემბრიდან 30 ოქტომბრის ჩათვლით 93 მამაკაცი და 103 ქალი; 30 ოქტომბრიდან 27 ნოემბრის ჩათვლით 29 მამაკაცი და 23 ქალი; იმავე წლის დეკემბერში 2 მამაკაცი. სულ გარდაიცვალა 274 მამაკაცი და 262 ქალი, ჯამში 536 ადამიანი; გამოჯანმრთელდა: 10 ქალი და 8 ბავშვი, სულ 18 ადამიანი; კარანტინში მოთავსებული იყო: 1 დასნებოვნებული ბავშვი და 3 მამაკაცი, სულ 4 ადამიანი. ელიზავეტპოლის მაზრაში (ივლისი-დეკემბერი) გარდაიცვალა: 81 მამაკაცი, 53 ქალი, 11 ბავშვი, სულ 145; გამოჯანმრთელდა: 10 მამაკაცი, 4 ქალი, 1 ბავშვი, სულ 15; კარანტინში იმყოფებოდა: დასნებოვნებული 6 მამაკაცი, 4 ქალი, 2 ბავშვი. სულ 12; ჯანმრთელი 5 მამაკაცი და 2 ქალი, სულ 7; ქ. გორში (ივნისი-სექტემბერი) გარდაიცვალა 58 მამაკაცი, 36 ქალი, 19 ბავშვი, სულ 113; გორის მაზრაში (1810 წლის დეკემბერი, 1811 წლის იანვარი-დეკემბერი) გარდაიცვალა: 518 მამაკაცი, 424 ქალი, 235 ბავშვი, სულ 1177; გამოჯანმრთელდა 235 მამაკაცი, 227 ქალი, 205 ბავშვი, სულ 667; თელავში (მაისი-ივლისი): გარდაიცვალა: 24 მამაკაცი, 15 ქალი, 9 ბავშვი, სულ 48; თელავის მაზრაში (მაისი-დეკემბერი): გარდაიცვალა: 448 მამაკაცი, 326 ქალი, სულ 774; გამოჯანმრთელდა 77 მამაკაცი, 85 ქალი, 6 ბავშვი, სულ 168; კარანტინში იმყოფებოდა: დასნებოვნებული 115 მამაკაცი და 100 ქალი, სულ 215; ჯანმრთელი 146 მამაკაცი და 139 ქალი, სულ 285; სიღნაღის მაზრაში (მაისი-ივლისი): გარდაიცვალა: 62 მამაკაცი, 52 ქალი, 28 ბავშვი, სულ 142; ბორჩალოს დისტანციაში (აგვისტო-დეკემბერი): გარდაიცვალა: 174 მამაკაცი, 131 ქალი, 26 ბავშვი, სულ 331; გამოჯანმრთელდა: 1 მამაკაცი და 1 ქალი, სულ 2; აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით მოცემული დროისათვის საქართველოში გარდაიცვალა: 2042 მამაკაცი, 1646 ქალი და 567 ბავშვი, სულ 4655 ადამიანი; გამოჯანმრთელდა: 574 მამაკაცი, 531 ქალი და 155 ბავშვი, სულ 1260; კარანტინში იმყოფებოდა: დასნებოვნებული 226 მამაკაცი, 276 ქალი, 89 ბავშვი, სულ 591; ჯანმრთელი 393 მამაკაცი, 410 ქალი და 31 ბავშვი, სულ 734. აღნიშნულ უწყისში ეპიდემიის შედეგად გარდაცვლილ ადამიანთა მონაცემებში ნაჩვენები მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობაა, დოკუმენტში არ არის შეტანილი ინფორმაცია სამხედრო ჩინოსნების მსხვერპლის შესახებ (აქტები 1873: 35, №60).

ზემოთ ნახსენებ მთავარმართებელ მარკიზ პაულუჩის წერილიდან ჩანს, რომ 1812 წელს საქართველოში „შავი ჭირი“ შეწყდა. რუსი მოხელე პოლიციის მინისტრს თხოვნით მიმართავდა, ეს სასიხარულო ინფორმაცია იმპერატორისთვის ეცნობებინა. მარკიზ პაულუჩი ეპიდემიის დამარცხებას მის

მიერ გატარებულ ღონისძიებებს მიაწერდა. მათ შორის, გიტონ დე მორვოს გაზის (დოკუმენტში ასეა მოხსენიებული – გ. ს.) გამოყენებას, კარანტინების მოწყობას და თბილისის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის შექმნას. წერილის მიწერის დროს, მთავარმართებლის ინფორმაციით საქართველოს ქალაქებსა და მაზრებში „შავი ჭირით" დაინფიცირების შემთხვევები აღარ ფიქსირდებოდა (აქტები 1873: 35, №60).

1811 წლის დეკემბერში ეპიდემია საქართველოში დროებით ჩაცხრა. რუსეთის ხელისუფლებამ 24 პუნქტისაგან შედგენილი სპეციალური ინსტრუქცია შეიმუშავა, რომელიც მოქალაქეებისთვის შეზღუდვების შემსუბუქებას ითვალისწინებდა. თუმცა, ეპიდემიას რომ ხელახლა თავი არ ეჩინა, მოსახლეობას გარკვეული მითითებები უნდა შეესრულებინა. 1811 წლის 12 ნოემბერს მთავარმართებელ მარკოზ პაულუჩის მიერ გენერალ-მაიორ სტალის სახელზე შედგენილ 24 პუნქტიან ინსტრუქციაში ვკითხულობთ:

ვგონებ, რომ უკვე შეწყდა ქ. ტფილისში საუბედუროდ მძვინვარე გადამდები დაავადება, რომლის გამოც ადგილობრივმა მთავრობამ მოსახლეობას უფლება მისცა ქალაქის შემოგარენში გასულიყო, რათა ქალაქის შეეინფიცირებულ პირობებში ამ დამლუპველი დაავადების მოქმედება არ გაძლიერებულიყო; ზამთრის მოახლოვებასთან დაკავშირებით ვხედავ უკიდურეს გადაუდებელ აუცილებლობას მივცე ქალაქის მაცხოვრებლებს სახლებში დაბრუნების უფლება, რითაც სიცივით გამოწვეულ მოსალოდნელ დაავადებებს თავიდან ავიცილებთ, და ბოლოს, პატივისცემას ვადასტურებ ხელოსანთა საზოგადოების მიმართ, რომელიც ქ. ტფილისის დიდ ნაწილს შეადგენს და უმუშევრობის გამო გაღატაკდა. ეიღებ გადაწყვეტილებას ყველა ამ მნიშვნელოვან მიზეზთა გამო ადგილობრივი მოსახლეები თავიანთ საცხოვრებლებში შეეყვანო. მაგრამ ყოველივე ისე უნდა განხორციელდეს, რომ გადამდებმა დაავადებამ მოსახლეობაში თავი კვლავ არ იჩინოს, საამისოდ მე საჭიროდ ჩავთვალე შემდეგი განკარგულების გატარება, რომლის შესრულება, თქვენო აღმატებულებავ, თქვენ გენდობათ: 1. გავალებთ თქვენი უშუალო ზედამხედველობით ტფილისში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის დაარსებას, რომლის მთავარი მიზანი ყველა იმ საჭირო ზომების მიღება იქნება, რომლებიც სათანადო წესრიგის დაცვით ქ. ტფილისში მოსახლეობის დაბრუნებას უზრუნველყოფენ და დასნებოვნებული და საეჭვო მდგომარეობაში ყველა სახლის და ნივთის სრულად განზომენდას მოახდენენ. აღნიშნული კომიტეტის თავმჯდომარედ საკოლეგიო მრჩეველი თაყადი დაჩი ბებუთოვი ინიშნება, ხოლო მის წევრებად ტფილისის კომენდანტი, საექიმო სამმართველოს ინსპექტორი, ექიმი პრიბილი, ნაცვალი და ერთი მოქალაქე თქვენვე შეარჩიეთ, რომელთაც ამ თანამდებობებზე დანიშვნის შესახებ თქვენო აღმატებულებავ თავად გამოუცხადებთ. თუმცა კომიტეტი ვალდებული იქნება თავისი მოთხოვნებით უშუალოდ თქვენ მოგმართოთ. 2. კომიტეტმა უნდა დაიწყოს თავისი საქმიანობა მიმდინარე თვის 13-ში, ხოლო სხდომები ჩატარდება თავმჯდომარესთან. 3. თქვენი აღმატებულების და კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ ექცევა კარანტინების მოწყობა იმ გზებზე, რომელთაც ქალაქის უმთავრეს კარიბჭეებთან მივყავართ, ისეთებთან, როგორიც არის აბანოების, აელაბრის და ნავკისის; სხვა კარიბჭეები ქალაქის გაწმენდის დროს უნდა ჩაიკეტოს. 4. აღნიშნული კარანტინები ნინასწარვე უნდა უზრუნველყოთ ყველა იმ მარაგით, რაც საჭირო იქნება დაბრუნებული ხალხის და მათი ნივთების დეზინფექციისთვის. 5. თითოეულ კარანტინს უნდა ჰყავდეს ერთი კომისარი, ერთი მკურნალი, ერთი თარჯიმანი, რომელსაც შეეძლება რუსულად, ან ქართულად კარანტინში შემსვლელი ადამიანების სახელების ჩანერა და 3 ან 4 მოხელე კომიტეტის შეხედულებისამებრ. 6. თითოეულ კარანტინთან ჩადგება სათანადო ყარაული, რომელიც უშუალოდ დაექვემდებარება კომიტეტს. 7. მათთვის, ვინც იმ ადგილებიდან მოემგზავრება, სადაც დაავადება ექსი და მეტი კვირის წინ სრულად შეწყდა, ინიშნება 24 საათიანი კარანტინი, ხოლო მათთვის, ვინც იმ ადგილებიდან ჩამოვა, სადაც ჯერ კიდევ 20 დღის წინ დაავადება არსებობდა, დაინიშნება კარანტინი 3 დღე-ღამის ვადით, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე. 8. წინა მუხლის ზედმინევნით შესრულებისთვის აუცილებლად საჭიროა, რომ კომიტეტს გააჩნდეს დაავადებასთან დაკავშირებით ყველა საეჭვო ადგილების სია და საერთოდ ყველა ვინც მოემგზავრება საერობო პოლიციაზე უწყებრივად დაქვემდებარებული ადგილებიდან უნდა ჰქონდეს მათ მიერ მიცემული მოწმობები ან ბილეთები, რის თაობაზეც, თქვენო აღმატებულებავ ყველა ადგილას უნდა დაიგზავნოს საჭირო შეტყობინება. 9. კარანტინში მყოფი ყველა პირი ეალდებულია უსიტყვოდ დაემორჩილოს კომიტეტის მიერ დადგენილ ყველა წესს და არ დამალოს არანაირი ნივთები. ურჩები კი, როგორც სამშობლოს მოღალატეები, სამხედრო სასამართლოს გადაეცემიან. თქვენო აღმატებულებავ, იმისთვის, რომ მოსახლეობამ დროულად მიიღოს შეტყობინება, საჭიროა ქალაქის მკვიდრთა ახლანდელ ადგილსამყოფელებში დაუყოვნებლივ მიენოდოს ინფორმაცია ყოველივე აღნიშნულის შესახებ; 10. ამჟამად კარანტინში მყოფი პირების საკუთარ საცხოვრებლებში გაშვება შესაძლებელი იქნება კომიტეტის მიერ მიზანშეწონილად მიჩნეეის, მათი სახლების გაწმენდის და შეკეთების შემთხვევაში. რაც შეეხება დასნებოვნებულ სახლებში დარჩენილ ნივთებს, რომელთა გაწმენდა ხარჯებთან არის დაკავშირებული

– კომიტეტის გადაწყვეტილებით სახლებთან ერთად უნდა დაწვან. 11. ქალაქის თითოეულ ნაწილში უნდა დაინიშნოს ერთი მკურნალი; იმის გამო, რომ თითოეულ კარანტინსაც უნდა ჰყავდეს მკურნალი და მათი ნაკლებობაა, მკურნალს, რომელიც განაგებს ქალაქის ნაწილს, უნდა დაევალოს ამ ნაწილისადმი კუთვნილი კარანტინის ზედამხედველობაც. ქალაქის ნაწილის ზედამხედველი პოლიციის ოფიცერი ვალდებულია თვალყური ადევნოს მკურნალის მიერ გაცემული ინსტრუქციის ზუსტ შესრულებას. სახლების განწმენდისათვის მკურნალს უნდა გამოეყოს ორი-სამი დამხმარე მოხელე, რომელთაც მოსახლეთა დაბრუნებისას, სახლებში დატოვებული ნივთების გულდასმით დასუფთავების მიზნით მკაცრი ზედამხედველობის დაწესება და ამ მიმართებით ბოროტმოქმედების ყოველგვარი შემთხვევის აღკვეთაზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ. 12. თქვენო აღმატებულებავ, კარგი იქნება თუ ქალაქის თითოეული ნაწილისთვის გამოიყოფა ადგილი ნივთების განწმენდისა და შეკვამლისათვის, რისთვისაც საჭირო მარაგის მიტანა კომიტეტის მოთხოვნით საველე აფთიაქიდან მოხდება. 13. ქალაქის თითოეული ნაწილის პოლიციის ოფიცერი ვალდებულია შეამონმოს ყველა მოსახლე ყოველდღიურად, იზრუნოს მათზე და ავადმყოფობის ნებისმიერ შემთხვევაში, რა სახითაც არ უნდა გამოვლინდეს, დაუყოვნებლივ აცნობოს ქალაქის ამავე ნაწილის მკურნალს, რათა ამ გზით მაშინვე გამოაშკარავდეს გადამდები დაავადების ხელახალი აფეთქების საფრთხე. 14. ეკლესიებსა და სხვა ადგილებში დასაწყობებული ნივთები, გასაწმენდათ გამოტანამდე საჭიროებენ განიავებას. თქვენო აღმატებულებავ, გაეცით ბრძანება, რათა 3 დღე-ღამით გაიღოს ყველა კარი და სარკმელი იმ ადგილებისა, სადაც ეს ნივთები არიან დაცული, ხოლო ქურდობის და სხვა ბოროტმოქმედებისაგან თავის დასაცავად თითოეულ ადგილზე ჩადგეს ყარაული. 15. ზოგიერთი ნივთის, რომელიც შესაძლოა შეკვამლით დაზიანდეს, გასაწმენდათ დასაშვებია საზოგადოებრივი აბანოების გამოყენება, აქაც შეიძლება ჩადგეს ყარაული. 16. ყველა თავმოყრა ეკლესიებში და აბანოებში უნდა აიკრძალოს იმ დროით, რაც ქალაქის განმენდას სჭირდება. 17. ნებისმიერი ავადმყოფი ადამიანი ვალდებულია თავის დაავადებაზე, როგორი უმნიშვნელოც არ უნდა ეგონოს, განუცხადოს საკუთარ მკურნალს ან პოლიციის ოფიცერს. 18. იმ დრომდე, ვიდრე კომიტეტის გადაწყვეტილებით ქალაქი სრულად განწმენდილად არ გამოცხადდება, ვერცხლის, ოქროს და სპილენძის ფულის გაცვლა უნდა წარმოებდეს ძმრის გამოყენებით, უნდა მოხდეს მასში ამოელება და რამდენიმე წუთით (გასაშრობად – გ. ს) დატოვება. 19. კომიტეტის ორი წევრი ვალდებულია ყოველდღიურად მოინახულოს კარანტინები და მეთვალყურეობა გაუწიოს იქ წესრიგის დაცვას, ხოლო სხვა ორი წევრი ვალდებულია ყოველდღე ქალაქის ყველა ნაწილი შეამოწმოს. 20. თქვენო აღმატებულებავ, გაეცით განკარგულება, რომ ყველა ის ადგილი საქართველოში, სადაც გადამდები დაავადება ჯერ კიდევ არსებობს, ჩაიკეტოს და მათთან ყოველგვარი კავშირი შეწყდეს, ამასთან ერთად მათი სასიცოცხლო მოთხოვნილებების და სხვა დახმარებების კრიზისის აღმოსაფხვრელად საჭიროა მათ ყოველივე საერობო პოლიციის მეშვეობით მიეწოდოს იმ წესების საფუძველზე, რომელთაც კომიტეტი დაადგენს. 21. კომიტეტი და ქ. თბილისში მონყობილი კარანტინები იარსებებენ იმ დრომდე, ვიდრე არ ვიქნები სავსებით დარწმუნებული, რომ ეპიდემია სრულიად შეწყდა, მაშინ კი მოხდება მათი გაუქმება. 22. თქვენო აღმატებულებავ, ამ საგნისთვის საჭირო ყველა დანახარჯი უშუალოდ თქვენს უწყებაში იქნება. დანახარჯების ასანაზღაურებლად საჭირო ფულის გაცემა, თქვენი შუამდგომლობით მოხდება ჩემგან, ჩემს განკარგვაში არსებული თანხებიდან. 23. კომიტეტის საქმეების ნარმოებისთვის მთავრობიდან მოაულინეთ 1 საქმისმწარმოებელი და 1 მწერალი. 24. თქვენო აღმატებულებავ, გავალებთ გააცნოთ აღნიშნული წესები მოსახლეობას და მიანოდოთ ისინი როგორც კომიტეტს, ისე კარანტინებს (აქტები 1873: 29-30, №50).

1812 წელს „შავმა ჭირმა“ დასავლეთ საქართველოში იჩინა თავი. ამას ადასტურებს „აბაშიძის ქრონიკა“, ანუ „იმერეთის ქრონიკები“: „ჩყიბ (1812 წ.) ჟამი გაჩნდა და ქვეყანა მოისრა“ (იოსელიანი 1980: 358). ეპიდემია გარკვეული პერიოდი მინელდა, თუმცა მცირე ხნის შემდეგ (იმავე 1812 წელს) კვლავ დაფიქსირდა: „მეორეთ გაჩნდა ჟამი ჩყიბ – 1812“ (ჟორდანია 1967: 636). დასავლეთ საქართველოში მომაკვდინებელ დაავადებას თან დაერთო მოუსავლიანობა და შიმშილი. მცირე დროის განმავლობაში იმერეთში შიმშილმა და „ჟამმა“ 12 000 ოჯახი იმსხვერპლა (გუგუშვილი 1949: 289).

1812 წლის მაისში თბილისში „შაეი ჭირით“ დაინფიცირების ახალი შემთხვევები დადასტურდა, თუმცა, ხელისუფლებამ ეს ინფორმაცია საიმპერატორო კარს არ აცნობა. ამას ადასტურებს გენერალ რტიშჩევის წერილი პოლიციის მინისტრისადმი, რომელიც 1812 წლის 2 ივნისით არის დათარიღებული. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ რტიშჩევმა უმაღლესი ხელისუფლებისადმი 1812 წლის 21 მაისში გაგზავნილ ანგარიშში საჭიროდ არ ჩათვალა ეპიდემიის შესახებ არსებული ინფორმაციის მიწოდება (როგორც ჩანს, ის ძალზე უმნიშვნელო იყო). 1812 წლის ზაფხულში დაავადება თბილისის სამხედრო ჰოსპიტალსა და იარალის არსენალის სიახლოვეს, მუშათა დასახლებაში გავრცელდა. გამოაშკარავდა 43 დაინფიცირებული და 36 საექვო სიმპტომების მქონე ადამიანი. დაინფიცირებულთაგან 30 გარდაიცვალა, დანარჩენებმა კი 10 დღიანი მკურნალობა გაიარეს. ხელისუფლებამ დაავადების გაჩენის წყ-

აროს ვერ მიაკვლია. ვარაუდობდნენ, რომ სენი ან უშუალოდ დედაქალაქში გაჩნდა, ან მცხეთიდან და იმერეთიდან ჩამოსულმა მგზავრებმა შემოიტანეს. გენერალ რტიშჩევის ბრძანებით დანვეს თბილისში ნაპოვნი მოქალაქეების მიერ გადამალული ნივთები, რომლებიც ინფექციის გავრცელების საფრთხეს წამოადგენდნენ. დეზინფექცია დედაქალაქში გენშტაბის დოქტორ კრეიტონის მეთოდით (გაძლიერებული გაზით – ასეა დოკუმენტში მითითებული) ხდებოდა. ეპიდემია თბილისსა და მის შემოგარენში დროებით ჩაცხრა (აქტები 1873: 346, №403). თუმცა, 1813 წლის სექტემბრის ბოლოს ისევ გავრცელდა. ამას ადასტურებს გენერალ რტიშჩევის მიერ გენერალ სიმონოვიჩისადმი გაგზავნილი 1813 წლის 31 ოქტომბრით დათარიღებული წერილი. დოკუმენტში აღნიშნულია ასევე, რომ იყო შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ხელისუფლების მიერ დადგენილ საკარანტინო წესებს არ იცავდა. ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევში. რტიშჩევი სიმონოვიჩს ურჩევდა, სიტუაციის გასაკონტროლებლად შეექმნა საგანგებო კომისია, რომელშიც სამხედრო ჩინოვნიკები შევიდოდნენ. მისი რეკომენდაციით კომისიას სათავეში ჩაუდგებოდა პოდპოლკოვნიკი ტოკარევი (აქტები 1873: 347-348, №407).

ზემოთ ნახსენები წერილიდან ჩანს, რომ ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულები იყვნენ თბილისელი მოხალისეები, რომელთათვის გაწეული საქმის სანაცვლოდ ხელისუფლებას გასამრჯელო უნდა მიეცა. რტიშჩევი რჩევას აძლევდა სიმონოვიჩს, რომ ეპიდემიის დასრულებამდე, ვიდრე საგანგებო კომისია არ გადაწყვეტდა, მოხალისეებს გასამრჯელოს არ შეპირებოდნენ. კომისია შეაფასებდა მათ მიერ შესრულებულ სამუშაოს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცემოდათ დაავადებასთან მებრძოლ მოქალაქეებს ფულადი გასამრჯელო (აქტები 1873: 347-348, №407).

1813 წელს ეპიდემიის გავრცელების დროს, „საქართველოში მომხდარი შემთხვევების შესახებ არსებულ უწყისში“ აღნიშნულია, რომ „შავი ჭირის“ შეჩერების მიზნით თბილისში შექმნილმა სამხედრო ჩინოვნიკებისაგან დაკომპლექტებულმა დროებითმა კომისიამ სასურველი შედეგი გამოიღო. მისი საქმიანობა მოსახლეობისგან გადამალული ნივთების ამოღებით დაიწყო. კომისიას დედაქალაქიდან საეჭვო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეები კარანტინში გადაჰყავდა. მათგან დიდი ნაწილი გამოჯანმრელდა. თბილისში ეპიდსიტუაცია თანდათან დასტაბილურდა, თუმცა, მალე, გორის და ანანურის მაზრებში დაავადების ახალი შემთხვევები გამოელინდა (აქტები 1873: 348, №408).

თბილისში „შავი ჭირით“ დასნებოვნებულ ხალხზე ზრუნვით განსაკუთრებით გამოირჩინა თავი სტეფანე მიზანდარმა, რომელიც ხელისუფლების გადაწყვეტილებით კვარტალურ ზედამხედველად დაინიშნა და კარანტინის კომისრის მოვალეობის შესრულება დაეკისრა. გადმოცემით იგი უშიშრად შედიოდა დაინფიცირებულებთან. ჯანმრთელი მოქალაქეები გადაჰყავდა ლაზარეთებში და ქალაქის შემოგარენში. 1813 წლის 31 დეკემბერს სტეფანე მიზანდარი კვარტალურ ზედამხედველად გადაიყვანეს გარეთუბნის მე-5 განყოფილებაში, სადაც ეპიდემია მისი დიდი ძალისხმევით შეჩერდა (რეხვიაშვილი 2020).

1814 წლის ნოემბერში „შავი ჭირის“ ეპიდემიის შემთხვევები გამოვლინდა პოზდეევის კაზაკთა მე-8 პოლკში. ამის მიზეზი, რუსი სამხედრო მოსამსახურის მიერ მოპარული დასნებოვნებული ნივთები იყო. გენერალ სიმოვონიჩის მიერ მთავარმართებელ რტიშჩევის სახელზე შედგენილ პატაკში აღნიშნულია, რომ პოზდეევის დონის კაზაკთა მე-8 პოლკის რიგებში გაურკვეველი გარემოების გამო იმატა გარდაცვლილთა რიცხვმა. მიზეზის დასადგენად ანანურის კომენდანტმა მაიორმა კუმიკოვმა და გორიდან ჩამოსულმა ქალაქის მკურნალმა კორალიმ კაზაკთა საგუშაგო შეამოწმეს, სადაც 3 დასნებოვნებული, 5 გარდაცვლილი (მათ შორის, ერთი ოფიცერი) და საეჭვო მდგომარეობაში მყოფი 18 ადამიანი აღმოჩნდა. მოკვლევით დადგინდა, რომ 1814 წლის 1 ოქტომბერს კაზაკებმა ცხენები საძოვრად არაგვის გადალმა გადაიყვანეს. ღამე მათ მახლობლად მყოფ ქართველებს ნაბადი და ხალიჩა მოპარეს. მოპარული ნივთები კაზაკებმა ჯერ საგუშაგოზე გადამალეს, ხოლო შემდეგ ნაბადი ორად გაჭრეს და მათთან ერთად მცხოვრებ კაზაკს მიჰყიდეს, რომელიც დაავადდა და მე-4 დღეს გარდაიცვალა; იმავე თვეში ერთი კაზაკი ქალაქის (გორის) მკურნალ კორალისთან ერთად სოფელ ჩარგალში იმყოფებოდა, სადაც ეპიდემია იყო გავრცელებული. კაზაკმა ფშაურიდან ცხერის ორი გამოყვანილი ტყავი წამოიღო, 13 დღის შემდეგ სამხედრო მოსამსახურე დაავადდა და დაინფიცირების მე-6 დღეს გარდაიცვალა. გადამდებ სენს ასევე ოფიცერი და კიდევ ერთი კაზაკი ემსხვერპლა. სიმონოვიჩის პატაკში საუბარია ეპიდემიის შესაჩერებლად სასწრაფოდ გასატარებელ ღონისძიებების აუცილებლობაზე, ასევე კაზაკთა საგუშაგოზე გამელელი მგზავრების შეჩერების აკრძალვაზე (აქტები 1873: 349, №410). XIX საუკუნის დასაწყისში, ეპიდემიის შედეგად არსებული მსხვერპლით განსაკუთრებით დასავლეთ საქართველო დაზარალდა. ეს შემთხვევითი არ იყო, რადგან დაავადება თურქეთიდან ვრცელდებოდა და შავი ზღვის ნავსადგურებში არაერთი დაინფიცირებული მგზავრი

შემოდიოდა, რაც ინფექციის სწრაფად გავრცელებას ხელს უწყობდა. ამას ემატებოდა ადამიანებით ვაჭრობა, რომლის შედეგადაც დასავლეთ საქართველოს ათასობით მაცხოვრებელი თურქეთსა და ეგვიპტეში იყიდებოდა (სოსიაშვილი 2019). ეპიდემიის თურქეთიდან გავრცელებას ადასტურებს მთავარმართებელ რტიშჩევის მიერ საიმპერატორო კარის სახელზე გაგზავნილი, 1815 წლის 1 იანვრით დათარიღებული მოხსენება, რომლის თანახმად „შავი ჭირი" იმ დროისთვის დაღმასვლით მიდიოდა. ეპიდემიის შემთხვევები შეინიშნებოდა სიღნაღის მაზრის ორ სოფელში: ვაკირსა და ანაგაში, ასევე სპილენძის ქარხნებში მყოფ თურქეთიდან ჩამოსულ ბერძენი ეროვნების მოქალაქეებში (აქტები 1873: 350, №411).

1817 წლით დათარიღებულ მოხსენებაში, რომელიც მთავარმართებელმა ერმოლოვმა რუსეთის საიმპერატორო კარს წარუდგინა, აღნიშნულია, რომ საქართველოს მოსახლეობა ბოლო ორ წელიწადში განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამის მიზეზები იყო: შიმშილი და „უამი". იმერეთის მოსახლეობის თითქმის ორი მესამედი გაუსაძლისმა სოციალურმა მდგომარეობამ და თურქეთიდან შემოსულმა ეპიდემიამ იმსხვერპლა (გუგუშვილი 1949: 288). „შავი ჭირის" გავრცელებას კავკასიაში გარკვეულწილად ხელს უწყობდა სავაჭრო ტვირთბრუნვა. რუსეთის ხელისუფლებამ უსაფრთხოების ზომები შეიმუშავა. ცნობილია, რომ 1821 წლის 8 ოქტომბერს გამოცემულ იქნა კანონი ამიერკავკასიაში გარკვეული ვადით შეღავათიანი ვაჭრობისა და ტრანზიტის დაწესებისათვის. დოკუმენტში ერთ-ერთი (მე-6) მუხლი სწორედ საკარანტინო წესების დაცვას ეხებოდა:

> კარანტინული დაწმენდის წესები. განკარგულება, 1819 წ. უქაზში აღნიშნული, რომლითაც ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებიდან მომავალი საქონელი ყუთებში და სასაპალნედ შეფუთვილი ორმაგი გარეკანითა და რუსეთის კონსულთა მიერ დაღდასმული, დაიშვება ოდესასა და რუსეთის შავი ზღვის სხვა ნავსადგურებში კარანტინული დაწმენტის გარეშე, ვრცელდება სამეგრელოს ნავსადგურებზედაც, თუ ყველა პირობა, იმ უქაზში აღნიშნული, სიზუსტით იქნება შესრულებული (გუგუშვილი 1949: 145).

რუსეთის ხელისუფლებამ ამის გარდა სპეციალური საკარანტინო დადგენილება გამოსცა:

> ყველა სახის საქონელს, რომელსაც ადვილად აჰყვება შავი ჭირი და რომელიც შემოდის იმ ქვეყნებიდან ან გაივლის იქ, სადაც მძვინვარებს ეს სენი ან სადაც შესაძლებელია მისი არსებობა, დაუწესდება ორმოცდაორდღიანი კარანტინი იმ შემთხვევაში, თუკი მფლობელი არ არის თანახმა, რომ საქონელი მარილმჟავათი გაიწმინდოს ან წყალში ამოიყოლოს და შემდეგ რვა დღის განმავლობაში ჰაერზე განიავდეს. ზემოხსენებულ წესებს ემორჩილება შავი ჭირის ადვილად ამთვისებელი ყველა საქონელი, რომელიც შემოაქვთ დასნეულებული ან საეჭვო ადგილებიდან. ეს წესი ვრცელდება ისეთი ქვეყნიდან შემოსულ საქონელზე, სადაც არავითარი სენი არ მძვინვარებს, მაგრამ თუკი ეს საქონელი გზად იმ ქვეყანაში ჩამოატარეს, სადაც ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ასეთ და შაეი ჭირით მოდებული ან საეჭვო ქვეყნებიდან შემოსულმა საქონელმა შესაძლოა არ გაიაროს არც საკარანტინო ვადა და არც საკარანტინო წესით დაწმენდა, თუ ყუთები, რომლებშიაც საქონელია ჩაწყობილი, დამზადებული და შეფუთულია ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინებით:
>
> 1. თუ ეს საქონელი მოთავსებულია გაფისულ კასრებში, ყუთებში ან სკივრებში და დაგმანული ან დახუფულია ისე მტკიცედ, რომ მასში ჰაერი არ შედის, ან თუ კასრები, ყუთები და სკივრები კარგადაა გახვეული გასანთლულ ან გაფისულ ტილოში, ბენეგაცლილ ტყავსა თუ სხვა რაიმე მსგავს მასალაში.
> 2. თუ ამ გარესახვევის შემოწმებისას აღმოჩნდება, რომ იგი არსად არ არის დაზიანებული და გახეული.
> 3. თუ კასრები, ყუთები და სკივრები კარგად არის თოკით შეკრული და ბეჭდით დალუქული იმ ნავსადგურის რუსეთის კონსულის მიერ, საიდანაც ეს საქონელი გამოიგზავნა.
> 4. თუ კაპიტანი, რომელსაც მოაქვს საქონელი, წარმოადგენს დალუქულ პაკეტს იგივე ბეჭდით, რითაც საქონელია დაბეჭდილი, გარდა ამისა, თუ ეს პაკეტი შეიცავს რუსეთის კონსულის ცნობას, სადაც ზუსტად იქნება აღნიშნული ფუთებში, კასრებსა თუ ყუთებში მოთავსებული საქონლის სახეობა და რაოდენობა და თუ ეს საქონელი დაიტვირთა იმ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის ჯანმრთელობა არაეითარ ეჭვს არ იწვევს.
> 5. თუ ყუთების გახსნისას საქონლის რაოდენობა და სახეობა ზუსტად არ შეესაბამება რუსეთის მეფის კონსულის ცნობას, მაშინ ეს საქონელი თავისუფლდება ყოველგვარი კარანტინისაგან.
>
> თუ აღმოჩნდება, რომ საქონლის რაოდენობა და სახეობა ზუსტად არ შეესაბამება კონსულის ცნობას, თუ ლუქი დაზიანებულია, ან თუ აღიძრა ეჭვი იმის თაობაზე, რომ გზაში ყუთები გახსნეს, ამოიღეს ან ჩაამატეს რაიმე საგანი, ასეთ შემთხვევაში ყუთები და მათში მოთავსებული საქონე-

ლი გაივლის სრულ კარანტინს, ისევე როგორც ჭირით დასნეულებული ქვეყნიდან შემოტანილი საქონელი. აღნიშნული დადგენილება მიღებულ იქნა პერცოგ დე რიშელიეს დახმარებით. ამ დადგენილების თანახმად საფრანგეთიდან შემოტანილ ძეირფას ქსოვილებს საკარანტინო წესი არ ეხებოდა (გამბა 1987: 237-338).

თბილისის საბაჟოზე შემოწმების შემდეგ სავაჭრო საქონელს, როგორც პ. გუგუშვილი განმარტავს, ჩრდილოეთ კავკასიაშიც უნდა გაევლო კარანტინი:

როგორც ევროპულ, ისე აზიურ საქონელზე, როცა ის ამიერკავკასიიდან რუსეთში შეჰქონდათ, კონტროლს ახორციელებდა ტფილისის საბაჟო, რომელიც გაცემდა ხოლმე ამ საქონელზე დადგენილ მოწმობას. ამის შემდეგ საქონელი სამხედრო დაცვის ქვეშ საქართველოს სამხედრო გზით მიდიოდა მოზდოკის კარანტინში, სადაც 1823 წ. დანიშნული ოფიცერი ეწეოდა კვლავ კონტროლს, რათა უცხოეთის საქონელი რუსეთში დადგენილების წესის გარეშე არ შეპარულიყო (გუგუშვილი 1949: 192-193).

მოზდოკის გარდა კარანტინი არსებობდა ასევე სევასტოპოლში, სადაც შვიდი დღე გაატარა ცნობილმა მოლვაწემ, დიპლომატმა და მთარგნელმა გიორგი ავალიშვილმა (1769-1850), რომელმაც 1819 წელს წმინდა მიწაზე იმოგზაურა. გიორგი ავალიშვილი წერს:

ხოლო ჩვენა შემდგომად შუადღეისა მეექვსესა ჟამსა მოვსცურვეთ ზღვის კალთით სევასტოპოლისა სამხედროსა კარანტინისა ნავთსაყუდელსა შინა, რომელიცა ირაცხების სოხუმკალით 700-ს ვერსტამდე, და მისცესცა უწყებაჲ ფრეგატითა ამით ზარბაზნისა გამოსროლითა კარანტინელთა მოსელისათვის ჩვენისა (ავალიშვილი 1984: 621).

გიორგი ავალიშვილს ფლოტის კონტრ-ადმირალმა, გენერალ მაიორმა ფილიპ ტიმოფეევიჩ ბიჩენსკიმ თავისი ადიუტანტი გაუგზავნა, რომელმაც ქართველ მოგზაურს კარანტინში გაჩერების შეღავათიანი პირობა შესთავაზა. რუსეთში არსებული საკარანტინო წესების შესაბამისად მგზავრები არსებული ეპიდემიიდან გამომდინარე საკარანტინო სივრცეში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ 42 დღე ჩერდებოდნენ. მათგან განსხვავებით ქართველ მოგზაურს შვიდდღიანი შეყოვნების პირობა შესთავაზეს:

16-სა აქაურისა ფლოტისა მთავარსა კონტრ-ადმირალსა უფალსა ღენერალ-მაიორსა ფილიპპ ტიმოფეიჩს ბიჩენსკის მოველინა ჩემდა დილით ადიუტანტი თჳისი, მოელოცა მშვიდობით მოსვლაი და მკითხველსა სიმრთელეისათჳს ჩემისა, შემოეთჳალა ესრეთ: „მოსვლისათჳს თქუენისა მივსწერე ფეოდოსიის ქალაქ-მთავარსა უფალსა ტაინი სოვეტნიკსა ფეოდორ ივანოვიჩსა ენგელსსა და ვთხოვე, რომ უფროს შვიდისა დღეისა არ დაგაყენოსთ თქუენ კარანტინსა შინა" (ავალიშვილი 1984: 621).

სამხედრო გემზე მყოფ გიორგი ავალიშვილს ციებ-ცხელება შეეყარა. ხომალდი, რომელზეც წმინდა მიწაზე მიმავალი მოგზაური იმყოფებოდა, ზღვაში კარანტინის მოშორებით შეიყვანეს:

17-სა განვატარე დღეი ესე ფრეგატსა ამას ზედა პყრობილმან ციებითა და სიცხეითა. 18-სა შეველ კერძობითურთ ჩემით და ბარგით კარანტინსა შინა სრულსაყოფად წესდებულებისა, რომელსაცა ჟამსა მოუეიდა უფალსა კაპიტანსა პაპაიეგოროვსა ბრძანებაი, რათა შეიტანოს მყის ფრეგატი სილრმესა ზღვისასა მოშორებით ვითარცა კარანტინისა, ესრეთვე სხვათაცა შენობათა და დაგეს მუნ რომლისათვისცა მომცემმან ჩემდა მშვიდობისა, შეაცურვა ფრეგატი უშორესსა ადგილსა, ბრძანებისამებრ კერძოდ ჩრდილოეთისად და დააყენა მუნ ღუზათა ზედა (ავალიშვილი 1984: 622).

კარანტინში მყოფ ადამიანებთან არსებული წესების შესაბამისად სავალდებულო იყო სოციალური დისტანციის დაცვა. გიორგი ავალიშვილი მოუნახულებიათ კაპიტან ბარანოვსკის და მის მხლებელ ორ ოფიცერს, თუმცა, მოგზაურის გადმოცემით, მნახველები მის საცხოვრებელ ოთახში არ შესულან:

აწასეე დღესა მოვიდა ბრანტჳახტი რედუთ-კალით სოხუმ-კალას მომყვანი ჩემი და დადგა ნაეთსაყუდელსა კარანტინისასა, მახლობლად ადგილისა მის, სადაცა იდგა ფრეგატი ჩვენი აქაით დათხოვნილი. მმოთხეობასა შინა ჩემსა გარე სადგომისა ჩემისა მოვიდა ჩემდა უფალი კაპიტანი ბარანოვსკი ორითა ოფიცერითა შორით მოლოცეად მშვიდობით მოსვლისათვის ჩემისა, რომელ-

თადმიცა მიმგებებელმან თანასწორითავე მიალერსებითა, შემოვიწვიე ესენი სადგომსა ჩემსა, გარნა ამათ ვერ იკადრეს შემოსელად მას შინა დაუბსნელად სჯულთა კარანტინისათა და ვერცა ვითანხმე მილებად ჩაისა, თუნდა ნმინდისა ქვეშე ცისა. უკანასკნელ დავხედი ამათ კეთილითა ღვინითა და საზამთროთითა, რომელნიცა შეექცნენ სასურველისა წადილითა და გავიყარენითცა (ავალიშვილი 1984: 623).

გიორგი ავალიშვილს სევასტოპოლის კარანტინის ზედამხედველმა იეგორ ივანოვიჩმა მკურნალობა შესთავაზა:

ვიყავ მწოლარეი შემდგომად ცივება-სიცხეთა ოფლსა შინა. წინააღმდეგად ნებისა ჩემისა და დაუკუთხავადცა შემოყო ხელი საბნისა ქვეშე ჩემისა, გასინჯა მაჯაი ჩემი და თხოვით ენაიცა; დაწერა რეცეპტი და ნარგზავნა მოღებად წამლისა, ვინაითგან მაცივებდის მე ყოველ დღე, ვითარცა მოვიხსენე ზემო უკვე მისთვის (ავალიშვილი 1984: 623).

გიორგი ავალიშვილს წამლის მიღებაზე უარი უთქვამს, რის გამოც კარანტინის ზედამხედველი კანონით დადგენილი ვადით კარანტინში დატოვებით დამუქრებია:

ხოლო ოდესცა ესმა და იხილვა ჩემგან უარი და არასაჭიროდ შერაცხვაი არცა წამლისა მის მიღებისა და არცა მკურნალობისა მისისა, მაშინ მცირედ რამე რეცა განმწარებულმან ამის ძლით, მომიგო ესრეთ: – თავადო! უკეთუ არ შემოსლეულიყავით თქვენ კარანტინსა ამას შინა ჩემდამი რწმუნებულსა, მაშინ იქმნებოდით თქვენ განრინებულ ესეითარისა ჩემმიერისა წინადადებისაგან, გარნა აწ გშვენისთ მორჩილებად რჩეისა ჩემისა და მიღებად წამლისა ამის, ვინაითგან, თუმცა ჰგონებთ თქვენ მხოლოდ ოდენ ცივებითა ჰყრობილად თავსა თეისსა, არამედ ველი მე კვალად უშაშირესსაცა სენსა, მოკლედ ვთქვათ, გონებისაბერ ჩემისა, მომსრეელისა ჭირსა. სხვებრ, წინააღმდეგსა დროსა მიეიქცევი რაპორტითა მთავრობისადმი, მით რამეთუ სრულებით განსაწმენდელად თქვენსა, კაცთა თქვენთა და ბარგისა თქვენისა მივიღო ბრძანებით 42-თა დღეთა აქ შენახვისათვის თქვენისა (ავალიშვილი 1984: 624).

კარანტინში ეჭვობდნენ, რომ არსებული სიმპტომებიდან გამომდინარე ქართველ დიპლომატს „შავი ჭირი“ ჰქონდა. მოგზაური იძულებული გახდა კარანტინის ზედამხედველისაგან დანიშნული წამლები მიეღო. შეიდი დღის შემდეგ ავადმყოფი გამოკეთდა და კონტრ-ადმირალმა ბიჩენსკიმ ფეოდოსიის მმართველის – ენგელისაგან კარანტინიდან მისი გაშვების ნებართვა მიიღო:

23-სა. უფალსა ღენერალ-მაიორსა კონტრ-ადმირალსა ბიჩენსკის მიელო წერილი ფეოდოსიის ქალაქ-მთავრისა ენგელისა მიერ ჩემის დათხოვნისა და მოელოცა ჩემთვის განთავისუფლებაი ჩემი კარანტინით. თანადვე დაემოწმა ამას პირისპირ მოლოცეაი ჩემდა კარანტინისა ამის დირექტორისა, პირველისა რანგის კაპიტანისა უფლისა პონტელეი ნიკოლაევიჩისა დრაკუპოლისა, ყოვლითურთ პატიესინისა და კეთილისა გვამისა მიერ, ხოლო შემდგომად ამისა სხეათაცა წევრთა კარანტინისა ამისთა (ავალიშვილი 1984: 626).

გიორგი ავალიშვილს აღწერილი აქვს სევატოპოლის კარანტინი და კარანტინში მყოფ ადამიანებთან ურთიერთობის წესი.

კარანტინსა ამას შინა არიან სახლნი ქვით აღგებულნი აღგილ-ადგილ 13-ნი. შორავს სევასტოპოლ ქალაქსა ხმელითა სამსა ვერსთა ზედა თანასწორ ვითარც წყლითაცა [...] ყოველნი კარანტინსა ამას შემოსლეულნი უცხოს მხრივ თანამდებ არიან, უკეთუ აქუსთ რაიმე შინა საჭიროებაი დაწერად მათსა სახელდებით და მიცემად ნაწერისა ამის აქ საგანგებოდ დადგინებულისა მარკიტანტისა, რომლისა ძლითცა მიიღებენ ყოველსავე ნათხოვსა სიითა მით, დასწრობათა შინა განწესებულთა წევრთასა. მილებად მათსა მისლეული დადგების გარე მოაჯირისა და მუნ კმაყოფილი მოიქცევის სადგომსა თვისსა, გარნა მიუცემელად კვალადცა მათთვის თეთრისა (ავალიშვილი 1984: 625).

როგორც ჩანს, კარანტინში მყოფი მგზაერების ნახვა გარკვეული დისტანციიდან იყო ნებადართული, რათა დაავადების გადადების რისკი შეემცირებინათ. საკარანტინო წესების შემოღება კავკასიაში არსებულ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს ზღუდავდა. თბილისში 1828 წლის 10 ოქტომბერს გახსნილი პოკორვსკის იარმარკეტის შეფერხების ერთ-ერთი მიზეზი, როგორც მთავარმართებელი ბარონ როზენი რუსეთის ფინანსთა მინისტრის კანკრინისადმი გაგზავნილი წერილში აღნიშნავდა, ეკატერინოგრადის კარანტინი იყო (გუგუშვილი 1949: 220).

1830 წელს ირანიდან ახლო აღმოსალეთის ქვეყნებში „შავი ჭირის“ ახალი ტალღა გავრცელდა.[3] ხელისუფლებამ ეპიდემიის შესაჩერებლად გაკეთული ღონისძიებები გაატარა. სენატორების – კუტაისოვის და მეჩნიკოვის – მიერ იმპერატორის სახელზე შედგენილი ანგარიშის მიხედვით ამიერკავკასიაში 13 კარანტინი მოქმედებდა. აქედან საქართველოში: ორთაჭალის, ანანურის, დმანისის, წალკის, სურამის, დიღმირის, სოხუმ-კალეს, რედუტ-კალეს და ჯამბაზის (ახალციხიდან 110 ვერსის დაშორებით თურქეთის საზღვართან) კარანტინები, ასევე ბორჯომის ხეობაში არსებული ბლოკპაუზის დროებითი საგუშაგო (აქტები 1881: 124-127, №79). რუსეთის ხელისუფლება საკარანტინო სივრცეების მოსაწყობად და სადეზინფექციო სამუშაოების ჩასატარებად საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავდა (აქტები 1881: 129-134, №81). 1832 წლის 28 აპრილით დათარიღებულ წერილში, რომელიც მთავარმართებელმა ბარონ როზენმა საიდუმლო მრჩეველს – ბლუდოვს გაუგზავნა, აღნიშნულია, რომ საქართველოში ჩამოსულმა სენატორებმა კუტაისოვმა და მეჩნიკოვმა გასცეს რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც მოსახლეობის კუთვნილი ეპიდემიით დასნებოვნებული ნივთების განადგურების სანაცვლოდ ხალხისთვის ფულადი კომპენსაცია უნდა მიეცათ. წერილიდან ირკვევა, რომ განადგურებული ნივთების შეფასება და მათი ანაზღაურება მთავარმართებელ პასკევიჩს ჯერ კიდევ სენატორების ჩამოსვლამდე განუხორციელებია. ხელისუფლება იწონებდა აღნიშნულ რეკომენდაციას, რადგან ასეთმა პოლიტიკამ დიდი როლი შეასრულა ეპიდემიის შეჩერების საქმეში. ხელისუფლების გადაწყვეტილებით განადგურებული ნივთების სანაცვლოდ ფულადი დახმარების გაცემა უნდა გაგრძელებულიყო და ის ყველა ფენას მოიცავდა, ოღონდ კომპენსაცია არ შეეხებოდა ფუფუნების საგნებს (აქტები 1881: 129-134, №81). საიდუმლო მრჩევლის ბლოდოვის სახელზე გრაფ კანკრინის მიერ გაგზავნილი მიმართვიდან ჩანს, რომ „შავი ჭირის“ ეპიდემიის მოსალოდნელი გავრცელების გამო, გაძლიერებული იყო როგორც შიდა კარანტინები, ისე სასაზღვრო დაცვა (აქტები 1881: 137-145, №87).

1838 წელს „შავმა ჭირმა“ იფეთქა ახალციხის მხარეში. გენერალ გოლოვინის მიერ საიდუმლო მრჩევლის ბლუდოვისადმი 1838 წლის 23 ივლისით დათარიღებულ მიმართეაში აღნიშნულია, რომ ახალციხის მხარის ზოგიერთ სანჯაყში ეპიდემიის შემთხვევები გამოვლინდა. 1838 წლის 19 ივლისს, ქალაქ ახალციხეში გადამდებ ინფექციას ახალციხის სანჯაყის მმართველის კაპიტან ლუკოვსკის საკუთრებაში მყოფი (ყმა) გოგონა შეეწირა. 20 ივლისს, როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, გარდაცვლილი გოგონას მკურნალი, სამხედრო ჰოსპიტლის კოორდინატორი ჰენკელი დაავადდა, რომელიც 23 ივლისს გარდაიცვალა. გოლოვინის წერილში აღნიშნულია, რომ მისი ადგილზე არყოფნის დროს „შავი ჭირისაგან“ ამიერკავკასიის დაცვის მიზნით თბილისის სამხედრო გუბერნატორის მიერ მიღებული იქნა რეგულაციები, მათ შორის საგანგებო, რომელიც სამხედრო სფეროს ეხებოდა. ამ განკარგულებათა ძირითადი ადრესატები იყვნენ ამიერკავკასიის „შავი ჭირისგან“ დაცვის კომიტეტი, ახალციხის მხარის უფროსი, კარანტინების ინსპექტორი და ახალციხის პროვინციასთან მოსაზღვრე ყველა ადმინისტრაციული ერთეულის ხელმძღვანელი. „შავი ჭირის“ გავრცელების პრევენციის მიზნით გაცემულ იქნა განკარგულებები, რომელთა ნაწილი მალე გატარდა: 1. ახალციხის პროვინციიდან აბასთუმნის სანჯაყის გავლით გურიისკენ მიმავალ გზაზე მოეწყო დროებითი კარანტინი. 2. მოქმედება განაახლა დროებითმა კარანტინმა ბაღდათში, რომელიც ქობლიანის სანჯაყში შავი ჭირის გამოვლენის დროს მიმდინარე წლის (1838 წ.) აპრილში იყო მოწყობილი. 3. დაარსდა საკარანტინო კორდონი ახალქალაქსა და ალექსანდროპოლს შორის. 4. მოეწყო დროებითი კარანტინი სურამსა და ბორჯომის ხეობაში ხიდურ კონსტრუქციებს შორის და ახალციხის პროვინციიდან წალკის გავლით – წალკის ციხესიმაგრეში. 5. ახლად დაარსებულ კარანტინებში სამედიცინო მომსახურების და მონიტორინგის მიზნით მიელინებულ იქნა სამედიცინო სამმართველოს ორი წევრი და ორი სამხედრო მედიკოსი, აგრეთვე ორი ფერშალი და ორი ბებიაქალი. 6. ახლად გახსნილ კარანტინებში გაიგზავნა 12-12 კარავი, დაინიშნა თითო ოფიცერი კომისრის თანამდებობაზე, ხოლო საგუშაგოების მოსანყობად გამოყვეს 20-20 რიგითი და თითო უნტერ-ოფიცერი. 7. კარანტინების ინსპექტორის დასახმარებლად მასთან დაინიშნა სამხედრო უწყების უნტერ-ოფიცერი. 8. ახალციხის მხარის პერიმეტრზე მოეწყო კორდონი, რომლშიც ქვეითი ჯარი და კაზაკები ჩადგნენ. 9. ახალციხის მხარის საკარანტინე ხაზის უზრუნველსაყოფად ბორჩალოს დისტანციიდან წალკის მიმართულებით გაიწვნდა 100 ადამიანი, ხოლო გორის მაზრიდან ბორჯომის ხეობისაკენ – 60 ადამიანი, სხვა მაზრებში კი მათი საზღვრების სიგრძის შესაბამისად. 10. მოეწყო ახალი საკარანტინე ტერმინალი (დოკუმენტში წერია „ტერმინი“, თუმცა სავარაუდოდ უნდა იყოს „ტერმინალი“), რომელიც ახალციხის მხარესთან საზღერის მილმა მყოფი მოსახლეობის ურთიერთობას დაარეგულირებდა. 11. ახალციხის მხარეში არსებული ყველა სასაზღვრო და დროებითი კარანტინი, ისევე როგორც ადგილობრივი ხელმძღვანელობა უნდა მომარაგებულიყო საჭირო რაოდენობის სადეზინფექციო საშუალებებით. 12. დადგინდა, რომ თბილისიდან და ამიერკავკასიის სხვა

ადგილებიდან გამოგზავნილ კორესპონდენციებს საკარანტინო დეზინფექცია თბილისის საფოსტო კანტორასთან არსებულ კარანტინში უნდა გაევლო, ხოლო ახალციხის მხრიდან გასულ კორენპონდენციებს – ახალციხის და ალექსანდროპოლის კარანტინებში (აქტები 1884: 72, №78).

ახალციხის მხარეში „შავი ჭირის“ შესაჩერებლად ხელისუფლებამ დამატებით ზომები მიიღო. 1838 წლის 26 ივლისს საიდუმლო მრჩეველის ბლუდოვის მიერ გენერალ-ლეიტენანტ ბრაიკოს სახელზე გაგზავნილ წერილში ეპიდემიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ნუსხა 6 პუნქტად არის გაწერილი (აქტები 1884: 73, №79). თბილისის სამხედრო გუბერნატორის მიერ ეპიდემიის შესაჩერებლად წარმოდგენილი გეგმა, რომელიც გოლოვინმა მოიწონა 27 წლის წინ მთავარმართებელ მარკიზ პაულუჩის მიერ „შავი ჭირის“ წინააღმდეგ შემუშავებული სამოქმედო გეგმის მსგავსია. ამ ორ გეგმას შორის მცირეოდენი განსხვავებაა და ის მხოლოდ ოფიციალური წერილების მოძრაობას ეხება, რომელიც გოლოვინის მიერ საიდუმლო მრჩევლის ბლუდოვისადმი გაგზავნილი გეგმის მეთორმეტე პუნქტს წარმოადგენს. გოლოვინის მიმართვის ადრესატმა – ბლუდოვმა წარმოდგენილ გეგმას მხარი დაუჭირა, ეპიდემიის შესაჩერებლად თავისი ხედვა დამატებით ექვს პუნქტად ჩამოაყალიბა და 1838 წლის 26 ივლისს გენერალ-ლეიტენანტ ბრაიკოს წარუდგინა. ბლუდოვის წერილში აღნიშნულია, რომ გოლოვინის მიერ დასახული ღონისძიებები მისაღებია, თუმცა მას საჭიროდ მიაჩნდა სხვა ზომების მიღებაც: 1. იმ დროის განმავლობაში, ვიდრე შავი ჭირი იარსებებდა 28 დღის განმავლობაში არავის არ უნდა დაეტოვებინა დასნებოვნებული ადგილები. ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო ტანსაცმლის საკარანტინო წესების მიხედვით გასუფთავების დღიდან. 2. იკრძალებოდა შალის, მატყლის, ბეწვის, ბამბეულის, აბრეშუმის, სელის, ქერელის, ბუმბულის, ნედლი ტყავის და მათგან დამზადებული ნივთებისა და ტანსაცმლის გამოტანა დასნებოვნებული ადგილებიდან, ვიდრე შავი ჭირი მთლიანად არ შეწყდებოდა, ხოლო გამოტანა დასაშვები იქნებოდა საკარანტინო წესდებით განსაზღვრული შეკვამლის და განიავების შემდეგ. 3. მეტალის და ხისგან დამზადებული ნივთების გარდა ყველა დანარჩენი – ტანსაცმელი, ლოგინი, თივა, ჩალა, ნაბადი, ქეჩა, თუ სხვადასხვა ბეწვეული, რომელთაც დასნებოვნებულები იყენებდნენ, აგრეთვე სახლსა და ეზოში არსებული ნაგავი დიდი სიფრთხილით უნდა დაეწვათ. ყოველივე ამას ზედამხედველობა სათანადო მოხელეს უნდა გაეწია. რაც შეეხება სახლებს, მათი შეკვამლა, მოსუფთავება და განიავება არანაკლებ 8 დღე-ღამის განმავლობაში უნდა გაგრძელებულიყო. ბლუდოვის აზრით, აღნიშნული ღონისძიება ჩაანაცვლებდა სახლების დაწვის პროცედურას და უფრო უსაფრთხო იქნებოდა. სახლები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაეწვათ, თუ მათი გაწმენდის შესაძლებლობა არ არსებობდა. მრჩეველის დასკვნით, თუ ყველა სახლი დანვას დაექვემდებარებოდა, ეს ხალხში ზედმეტ შიშს და უიმედობას გამოიწვევდა. 4. აუცილებელი იყო ხალხის დარწმუნება, რომ სახლებისა და ნივთების გაწმენდისას არანაირი ნივთები არ გადაემალათ, რომ დეზინფექციის შემდეგ მოხდებოდა მათი უკან დაბრუნება. გადამალვაში მხილებულნი მთელი სიმკაცრით დაისჯებოდნენ საკარანტინე კანონების მიხედვით. 5. დეპეშების და სხვა კორესპონდენციების საკარანტინე დამუშავება უნდა განხორციელებულიყო სპეციალურ ყუთებში ქლორის შეკვამლით. უნდა მომხდარიყო პაკეტების კუთხეების ახევა, რათა ქლორს პაკეტების ყველა ნაკეცში შეეღწია. 6. აუცილებელი იყო ხალხის დარწმუნება, რომ დასნებოვნებულ ადგილებში საეჭვო მდგომარეობაში არსებული ნივთების გაწმენდა მოეხდინათ ამიერკავკასიის მოსახლეობისათვის ცნობილი წესის მიხედვით: გამდინარე წყალში მათი რამდენიმე საათიანი მოთავსებით (აქტები 1884: 73, №79). ახალციხის მხრიდან საქართველოში ეპიდემიის სწრაფი გავრცელების შეკავების მიზნით, ხელისუფლებამ აღნიშნული კუთხის ქვეყნის სხვა რეგიონებთან დამაკავშირებელი გზების მკაცრი კონტროლი დააწესა და ამ საქმის ხელმძღვანელობა, როგორც გენერალ გოლოვინის მიერ 1838 წლის 6 აგვისტოს საიდუმლო მრჩევლის, ბლუდოვისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, გენერალ-მაიორ ალექსანდრე ჭავჭავაძეს მიანდო. ამავე წერილიდან ირკვევა, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძემ წარმატებით გააკონტროლა საკარანტინო ხაზი, შურაგელის დისტანციის არპაჩაიდან შავი ზღვის სანაპირომდე. 1840 წლის აპრილში ალექსანდრე ჭავჭავაძე ახალციხის მხარის საკარანტინე ხაზის ხელმძღვანელად დაინიშნა (აქტები 1884: 84, №101), ხოლო 1840 წლის დეკემბერში ამიერკავკასიის შავი ჭირისაგან დაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ (აქტები 1884: 85, №106).

ეპიდემიის შემთხვევების გამოვლენაზე მონიტორინგი დავალებული ჰქონდა კარანტინების ინსპექტორს, კოლეგიის ასესორს პაულს (აქტები 1884: 74-75, №80). ხელისუფლების მიერ დროულად გატარებულმა ღონისძიებებმა ეპიდემიის გავრცელება შეაფერხა. „შავი ჭირი“ თავდაპირველ კერებს არ გასცილებია. ესენი იყო: სოფ. ადიგენი, აბასთუმნის ებრაელთა უბანი – „რაბათ-კალე“, სოფ. ვალე და ქ. ახალციხე. საიდუმლო მრჩევლისადმი გოლოვინის მიერ ზემოთ ნახსენები წერილის გაგზავნის დროს „რაბათ-კალეში“ გარდაიცვალა 3 ადამიანი, დაინფიცირებული იყო 4, აქედან 1 გამოჯანმრ-

თელდა; ადიგენში გარდაიცვალა 9 წლის გოგონა; ახალციხეში 19 ივლისიდან 31 ივლისამდე ეპიდემიამ 28 ადამიანი იმსხვერპლა. დაინფიცირდა 7 მოსახლე, აქედან 3 გამოჯანმრთელდა. აქვე, აღნიშნულია, რომ 1838 წლის 24 ივლისს, მოულოდნელად გარდაიცვალა ნალკის სასაზღვრო ხაზზე, დონის მე-8 პოლკის ნარმომადგენელი ნასლედიშევი. გვამის დათვალიერებისას საქართველოს საექიმო სამმართველოს ოპერატორმა, მედიცინის დოქტორმა უმესამ, ეჭვი „შავი ჭირის“ ეპიდემიაზე მიიტანა. ნასლედიშევის დაინფიცირების მიზეზი მისივე საცხოვრებელი უნდა ყოფილიყო. იგი მიტოვებული, დასნებოვნებული სოფლის სიახლოვეს მდებარეობდა (აქტები 1884: 74-75, №80).

როგორც გენერალ გოლოვინის მიერ საიდუმლო მრჩევლის-ბლუდოვისადმი 1838 წლის 1 სექტემბრით დათარიღებული მიმართვიდან ჩანს, ხელისუფლებამ ახალციხეში ეპიდემიის შესაჩერებლად შექმნილი კომიტეტი გადაახალისა და გადამდები დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის 21 პუნქტიანი გეგმა შეიმუშავა. კომიტეტს სათავეში ედგა გენერალი კლუგენაუ, ხოლო მისი ახალი თანაშემწე იყო ჟანდარმთა კურპუსის ვიცეპოლკოვნიკი გრინფელდი. ზემოთ ნახსენებ მიმართვაში, აღნიშნულია, რომ ახალციხის მხარეში „შავი ჭირი“ კვლავ მძვინვარებდა. კარგი ამინდების მიუხედავად, რასაც, წესით, შავი ჭირის გავრცელების შენელებისათვის ხელი უნსა შეეწყო, სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაინც არ იკლებდა. გოლოვინი ცარაუდობდა, რომ ამინდების გაუარესების პირობებში, შესაძლებელი იყო ეპიდემია კიდევ უფრო გაძლიერებულიყო. ადგილზე შექმნილი ვითარების გასაცნობად გოლოვინმა ახალციხეში მიავლინა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი, „შავი ჭირისგან“ ამიერკავკასიის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე გენერალ-მაიორი ახლესტიშევი და ამავე კომიტეტის წევრი, თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის მთავარი ექიმი სახელმწიფო მრჩეველი – პრიბილი. მათ გოლოვინს დაწერილებით მოახსენეს ახალციხეში შექმნილი ვითარების შესახებ და სიტუაციის დარეგულირების მიზნით საკუთარი მოსაზრებები გააცნეს. გოლოვინმა საჭიროდ მიიჩნია დამატებითი ზომების მიღება, რისთვისაც მან ახალციხეში დაარსებულ კომიტეტს შემდეგი ზომების გატარება დაავალა: 1. ყოველდღიურად უნდა ჩაეტარებინათ სხდომები და სხდომის ოქმის ერთი ასლი მისთვის უნდა გაეგზავნათ, ხოლო მეორე – შავი ჭირისაგან ამიერკავკასიის დაცვის კომიტეტისთვის. 2. ახალციხეში შავი ჭირის დამარცხების, მისი სანჯაყებში გავრცელების აღკვეთის მიზნით საკარანტინო წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება აუცილებელი იყო. 3. შავი ჭირის შეჩერების საქმეში განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის საჭირო თანხები უნდა გამოეყენებინათ შეუფერხებლად, ამისთვის განსაკუთრებული ნებართვა საჭირო არ იყო. კომიტეტის თითოეულ წევრს საკუთარი კეთილგონიერებით უნდა გაეთვალისწინებინა სახაზინო ინტერესები. 4. კომიტეტის წევრებად უნდა შეეყვანათ კეთილსინდისიერი და დამსახურებული მოქალაქენი. ქალაქის სამი ნაწილიდან უნდა შერჩეულიყო სამი ადამიანი, რომლებიც კომიტეტის საიდუმლო პოლიციას შექმნიდნენ. მათ დაევალებოდათ მოკვლევა, თუ რომელ სახლში ვინ დაავადდა, შავი ჭირისაგან ვინ გარდაიცვალა, მალულად ვინ სად დაკრძალეს და ა. შ. 5. ქალაქგარეთ მოკლე ვადებში უნდა მონყობილიყო ლაზარეთი, სადაც ადგილობრივი მაცხოვრებლები და სამხედრო პირები ერთად განთავსდებოდნენ. 6. ლაზარეთთან მოეწყობოდა განყოფილება, რომელიც საეჭვო მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისთვის იქნებოდა განკუთვნილი. სწორედ იქ მოთავსდებოდნენ დასნებოვნებულთა ოჯახებში მცხოვრები მოქალაქენი და სამხედრო პირები. 7. მძიმე დანაშაულისთვის სასჯელდადებული პატიმრების საკმაო რაოდენობა ახალციხეში თუ არ აღმოჩნდებოდა, საჭირო იყო კარანტინის მომსახურე პერსონალად მოქალაქეების დაქირავება. 8. უნდა მომხდარიყო ქალაქის მაცხოვრებელთა გაყვანა ბანაკებში, ან სპეციალურად მონყობილ ფანჩატურებში, ხოლო მათი სახლების დეზინფექცია უნდა ჩაეტარებინათ საკარანტინო წესების მიხედვით. 9. ახალციხეში მყოფი ყარაულის გარდა ბანაკებში უნდა გაეყვანათ ყველა სამხედრო პირი გამონაკლისების გარეშე. ქალაქში უნდა შეწყვეტილიყო ყოველგვარი სახის სამუშაოები. 10. დროთა განმავლობაში საკარანტინე წესების დაცვით უნდა გაეწმინდათ ახალციხის ციხესიმაგრე, ქალაქის ახალი ნაწილი და ებრაელთა უბანი, რომელიც ქალაქის ძველ ნაწილს ემიჯნებოდა (სადაც შავი ჭირი მძვინვარებდა). 11. კომიტეტის შეხედულებისამებრ ქალაქის ძველ ნაწილში განთავსებული ყველა სახაზინო სამსახური უნდა გადასულიყო სხვა ადგილებში. 12. უნდა შეწყვეტილიყო ახალციხის მცხოვრებთა ყოველგვარი კავშირი ახალციხის მხარის სანჯაყებთან, რისთვისაც უნდა მონყობილიყო ოთხკაციანი პიკეტები, ისინი ახალციხის გარშემო განლაგდებოდნენ. 13. ახალციხეში იკრძალებოდა სავაჭრო ტვირთბრუნვა, ვიდრე ეპიდემია არ შეწყდებოდა. 14. საფოსტო კანტორაში უნდა აკრძალულიყო ყველა სახის ამანათის მიღება, იმ ჩამონათვალის მიხედვით, რომელიც საოლქო საფოსტო კანტორისთვის იყო გაწერილი. 15. მოსახლეობის ღარიბ ფენას კვირაში ერთხელ უნდა დარიგებოდა ფქვილი, რომლის ხარჯიც კომიტეტის თანხიდან დაიფარებოდა. 16. შეშის მოთხოვნილება დაკმაყოფილდებოდა სახაზინო ტყიდან. აქედანვე მოხდებოდა მასალის

გამოყოფა სპეციალური ფანჩატურების და სათავსოების მოწყობის მიზნით. 17. კომიტეტს უფლება ჰქონდა გამოეყენებინა საინჟინრო უწყების და სამხედრო ჰოსპიტლის სპეციალისტები, რომლებსაც კომიტეტის დავალებები უნდა შეესრულებინათ. 18. მძიმე ტვირთის, ასევე სურსათის გადაზიდვის დროს კომიტეტს შეეძლო ესარგებლა სახაზინო და სამხედრო დანაყოფების კუთვნილებაში არსებული: ხარებით, ცხენებით და სხვ. 19. ქალაქიდან მოსახლეობის გაყვანის შემთხვევაში კომიტეტის განკარგულებაში იქნებოდა სამხედრო უწყების კუთვნილი ორასი კარავი. 20. ახალციხის გარნიზონის დასახმარებლად გაიგზავნა ქვეითთა ბატალიონი და კაზაკთა ასეული. 21. გაგზავნილი იყო საკმარისი თანხა კომიტეტის ეპიდსაწინააღმეგო ღონისძიებების დანახარჯებისთვის (აქტები 1884: 75-77, №82).

ხელისუფლების მიერ სკრუპულოზურად გაწერილი გეგმის მიუხედავად ახალციხეში „შავი ჭირის" გავრცელების ფაქტები მაინც შეიმჩნეოდა. 1838 წლის სექტემბერში დაავადებით 18 წლის ბიჭი გარდაიცვალა. ამანახის სასაზღვრო საგუშაგოზე „შავმა ჭირმა" სამი კაზაკი იმსხვერპლა. ოფიციალური მონაცემებით, ეპიდემიის შემთხვევები აღარ ფიქსირდებოდა: ვალეში, ადიგენში და აბასთუმნის ებრაულ უბანში (აქტები 1884: 77-78, №83).

ინფორმაცია ახალციხის მხარეში „შავი ჭირით" დაინფიცირებულების, გარდაცვლილთა და გამოჯანმრთელებულთა შესახებ შემოგვინახა ერთ-ერთმა რუსულმა დოკუმენტმა. დოკუმენტი დათარიღებული არ არის, თუმცა, სავარაუდოდ, ახალციხესა და მის გარშემო არსებულ სოფლებში 1838 წლის ეპიდემიის შედეგებია ასახული. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით: ქართული სახაზო №1 ბატალიონიდან – დაავადდა 97 მამაკაცი და 4 ქალი, გარდაიცვალა 75 მამაკაცი და 3 ქალი, გამოჯანმრთელდა 18 მამაკაცი, ავად იყო 4 მამაკაცი და 1 ქალი; საარტილერიო რაზმიდან – დაავადდა 7 მამაკაცი, გარდაიცვალა – 5, გამოჯანმრთელდა – 2; საინჟინრო უწყების სამხედრო მუშათა ასეულიდან – დაავადდა 20 მამაკაცი და 6 ქალი, გარდაიცვალა 16 მამაკაცი და 6 ქალი, გამოჯანმრთელდა 3 მამაკაცი, დავადდა 1 მამაკაცი; ჰოსპიტლის პერსონალიდან – დაავადდა 15 მამაკაცი, გარდაიცვალა 12, გამოჯანმრთელდა 3; ქალაქის (ახალციხე) მაცხოვრებლებიდან – დაავადდა 44 მამაკაცი და 32 ქალი, გარდაიცვალა 26 მამაკაცი და 23 ქალი, გამოჯანმრთელდა 18 მამაკაცი და 9 ქალი; დონის კაზაკთა №23 პოლკიდან – დაავადდა 1 მამაკაცი, გამოჯანმრთელდა 1; დონის კაზაკთა №24 პოლკიდან – დაავადდა 4 მამაკაცი, გარდაიცვალა 2, გამოჯანმრთელდა 2; ურალის კაზაკთა პოლკიდან – დაინფიცირდა 1 მამაკაცი, ავადაა 1 მამაკაცი; კერძო პირებიდან – დაავადდა 12 მამაკაცი და 6 ქალი, გარდაიცვალა 9 მამაკაცი და 4 ქალი, გამოჯანმრთელდა 3 მამაკაცი და 2 ქალი; სულ დაავადდა 201 მამაკაცი და 48 ქალი, გარდაიცვალა 145 მამაკაცი და 36 ქალი, გამოჯანმრთელდა 50 მამაკაცი და 11 ქალი, ავად იყო 6 მამაკაცი და 1 ქალი; სოფელ აბასთუმნის, ებრაელთა უბნიდან – დაავადდა 7 მამაკაცი და 5 ქალი, გარდაიცვალა 5 მამაკაცი და 5 ქალი, გამოჯანმრთელდა 2 მამაკაცი; სოფელ აბოდან – დაავადდა 10 მამაკაცი და 9 ქალი, გარდაიცვალა 2 მამაკაცი და 4 ქალი, გამოჯანმრთელდა 8 მამაკაცი და 5 ქალი; სოფელ ვალედან – დაავადდა 1 ქალი, გარდაიცვალა 1 ქალი; სოფელ ადიგენიდან – დაავადდა 1 ქალი, გარდაიცვალა 1 ქალი; სოფელ ხონადან – დაავადდა 3 მამაკაცი და 3 ქალი, გარდაიცვალა 2 მამაკაცი და 2 ქალი, გამოჯანმრთელდა 1 მამაკაცი და 1 ქალი; საკარანტინო ხაზიდან – დაავადდა 3 მამაკაცი, გარდაიცვალა 3 მამაკაცი; კოჩკაევსკის კარანტინიდან – დაავადდა 2 მამაკაცი, გარდაიცვალა 2 მამაკაცი; სულ დაავადდა 25 მამაკაცი და 19 ქალი, გარდაიცვალა 14 მამაკაცი და 13 ქალი, გამოჯანმრთელდა 11 მამაკაცი და 6 ქალი. ახალციხის მხარეში ეპიდემიით დაინფიცირებულთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 226 მამაკაცი და 67 ქალი, გარდაიცვალა 159 მამაკაცი და 49 ქალი, გამოჯანმრთელდა 61 მამაკაცი და 17 ქალი. დოკუმენტის შედგენის დროს ეპიდემიით დაავადებული იყო 6 მამაკაცი და 1 ქალი (აქტები 1884: 80, №88).

კავკასიაში „შავი ჭირის" გავრცელების საფრთხე მომდევნო წლებშიც არსებობდა. მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა (1844-1854) რუსეთის ცენტრალურ ხელისუფლებას ეპიდემიის ახალი ტალღის პრევენციის მიზნით საკარანტინო სივრცეების შენარჩუნებით „შავი ჭირისაგან" დამცავი ხაზის შექმნა შესთავაზა. საიდუმლო მრჩეველის პეროვსკის სახელზე 1845 წლის 21 მაისს გაგზავნილ წერილში გრაფი ვორონცოვი აღნიშნავდა:

> კავკასიონის იქით კარანტინების შენარჩუნებით თურქეთში, ან სპარსეთში გადამდები დაავადების ხელახალი აფეთქების შემთხვევაში ჩვენ ნებისმიერ დროს გვექნება შესაძლებლობა მაშინვე ავა-მოქმედოთ ისინი. კავკასიის საკარანტინო ხაზზე დაუყოვნებლივ მივიღოთ პრევენციული ზომები და ჩვენს საზღვრებში ეპიდემიის თუნდაც უმნიშვნელო შემოღწევის შემთხვევაში ადგილებზე უმკაცრესი პოლიციური ზომების გატარებას შევუდგეთ, რაც დაავადების საწყის ეტაპზე შეწყვეტის თვალსაზრისით ერთობ ეფექტურია. ამიერკავკასიაში კარანტინების შენარჩუნებით, იმპერიის შიდა ნაწილის დასაცავად, საკარანტინო-პოლიციურ ზომებს შეუფერხებლად განვახორციელებთ.

ამრიგად, ჩვენ გვექნება: 1. კავკასიის დამცავი ხაზი; 2. ამიერკავკასიის მთავარი დამცავი ხაზი; 3. ხაზი შაეი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ბუგასიდან ჩვენს საზღვრამდე (თურქეთთან) (აქტები 1885: 214, №220).

კაცობრიობას არაერთი განსაცდელი ახსოვს. სახელმწიფოთა შორის გაუთავებელი ომები, ბუნებრივი კატაკლიზმები, კონტინენტებს მოდებული პანდემიები დიდი მსხვერპლით მთავრდებოდა. ისტორიის რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე მრავალი გამოწვევის წინაშე ყოფილა ჩვენი ქვეყანაც, რომელმაც არაერთხელ იგემა მომაკვდინებელი ეპიდემიის – „შავი ჭირის“ შემოტევა. თუმცა უნდა ითქვას, რომ მსხვერპლი საქართველოში შედარებით ნაკლები იყო, შესაძლებელია, ამას განაპირობებდა ქართველთა საცხოვრისის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული იმუნიტეტი. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაციის გაცნობა და გაანალიზება მკითხველს საშუალებას მისცემს გაეცნოს, როგორ უმკლავდებოდნენ ქართველები კაცობრიობისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად ქცეულ ინფექციებს XIX საუკუნის I ნახევარში.

შენიშვნები

[1] იმ დროისთვის თბილისის კომენდანტი მაიორი სააკაძე იყო.

[2] რუსულ დოკუმენტში მოხსენიებული „მილიცია“ ახალციხის განსათავისუფლებლად მებრძოლი ქართველებით დაკომპლექტებული შენაერთი იყო (ლომსაძე 2011: 132).

[3] თაერიზიდან წამოსულმა ეპიდემიამ 1831 წლის აპრილში ერაყშიც შეაღწია და ათასობით ადამიანი იმსხვერპლა. „შავი ჭირით“ დაინფიცირდა ბაღდადის გამგებელი, ნარმოშობით ქართველი დაუდფაშა მანველაშვილი, რომელიც ეპიდემიას ძლივს გადაურჩა (ჯანელიძე, სილაგაძე 1967: 300-301, 306).

დამოწმებანი

ავალიშვილი 1984: გ. ავალიშვილი. მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, *ქართული პროზა*, VI, თბილისი.

აქტები 1868: Акты, *собранные Кавказской Археографи-ческой комиссией* (АКАК). Под общ. ред. А. Д. Берже, т. II. Под ред. А. Д. Берже, Тифлис.

აქტები 1870: Акты, *собранные Кавказской Археографи-ческой комиссией*. Под общ. ред. А. Д. Берже, т. IV. Тифлис.

აქტები 1873: Акты, *собранные Кавказской Археографи-ческой комиссией*, Под общ. ред. А. Д. Берже, т. V, Тифлис.

აქტები 1881: Акты, *собранные Кавказской Археографи-ческой комиссией*, Под общ. ред. А. Д. Берже, т. VIII, Тифлис.

აქტები 1884: Акты, *собранные Кавказской Археографической комиссией*, Под общ. ред. А. Д. Берже, т. IX, Тифлис.

აქტები 1885: Акты, *собранные Кавказской Археографической комиссией*, Под общ. ред. А. Д. Берже, т. X, Тифлис.

გამბა 1987: ფ.-ფ. გამბა. *მოგზაურობა ამიერკავკასიაში*, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, ტომი პირველი, თბილისი.

გუგუშვილი 1949: პ. გუგუშვილი. *საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.* თბილისი.

დადიანი 1962: ნ. დადიანი. *ქართველთ ცხოვრება*, შ. ბურჯანაძის რედაქტორობით, თბილისი.

იოსელიანი 1978: პ. იოსელიანი. *ცხოვრება გიორგი მეცამეტისა*, თბილისი.

იოსელიანი 1980: *საქართველოს ისტორიის ქრონიკები*, პროფ. ა. იოსელიანი რედაქტორობით. თბილისი.

ლომსაძე 2011: შ. ლომსაძე. *სამცხე-ჯავახეთი*, თბილისი.

ორბელიანი 2009: ა. ორბელიანი. *მოგონებები, XIX საუკუნის ქართველი მოღვაწენი*, თბილისი.

ჯორდანია 1967: თ. ჯორდანია. *ქრონიკები*, გამოსაცემად მოამზადეს გიული ჯორდანიამ და შოთა ხანთაძემ, ტ., III, თბილისი.

რეხვიაშვილი 2020: ჯ. რეხვიაშვილი. *შაეი ჭირი, ქოლერა, სახადი, „ისპანკა“, რას გადაურჩა საქართველო?!* ვებ-გვერდი:https://www.radiotavisupleba.ge/a/Savi-Wiri-qolera-saxadi-ispanka---ras-gadaurCa-saqarTvelo-/30468650.html (ნანახია: 16.05.2021)

სამუშია 2015: ჯ. სამუშია. შაეი ჭირის ეპიდემია საქართველოში, 1802-1804 წლებში გენერალ სერგეი ტუჩკოვის ცნობების მიხედვით, *საისტორიო კრებული, წელიწდეული*, ტ., 5.

სოსიაშვილი 2019: გ. სოსიაშვილი. ბრიტანელი მოგზაურები ჩარლზ ლეონარდ ირბი და ჯეიმს მენგელსი თურქების მიერ ტყვედ გაყიდული ქართველების შესახებ XIX საუკუნის I მეოთხედში, *საერთაშორისო სიმპოზიუმი, ქართულ-თურქული ურთიერთობები, მოხსენებათა თეზისები*, ანკარა.

ქართველიშვილი 1952: ი. ქართველიშვილი. *მემუარები*, ა. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციით და შენიშვნებით, თბილისი.

ჯანელიძე, სილაგაძე 1967: დ. ჯანელიძე, ბ. სილაგაძე. *ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში*, თბილისი.

OUTBREAK OF PLAGUE PANDEMIC IN GEORGIA DURING THE FIRST HALF OF THE 19TH CENTURY

Giorgi Sosiashvili

During the reign of the King Giorgi XII the "Black Death" outbreak had occurred on several occasions in Georgia, however the Royal house had nor possessed enough power to set up quarantine places. Due to the fact that the spread of the epidemic had occurred from Turkey, the Georgian royal house had set the bounds on trades in Akhaltsikhe. It is worth noting that these measures had become successful for some time. Due to the many disease cases, the Russian government had set up a special quarantine near the "Blue" monastery in Tbilisi, for the population diseased with the plague. In 1802, there had been a new outbreak in Georgia, in Javakheti. Apart from Javakheti, many cases had taken place in the villages on Kartl-Kakheti, as this is attested from the correspondences of General Lazarev to Tsitsianoff. The first case of the plague had taken place near Tbilisi, in village on December 23, 1802. The information about the outbreak of the epidemy had been passed to the Civil Governor General Sergey Tuchkov and Tsitsianoff, however, the later did not believe in the provided information. However, finally, Tsitsianoff had been convinced that the disease had in fact been the plague and therefore had decreed to close down Tbilisi and not let anyone beyond the city. Due to the fact spread of the disease, on January 13, 1803 Tsitsianof had requested Petersburg to provide necessary medical personnel and medicine to counter the epidemic threats. As according to the governmental decree, a special quarantine had been set up in Dusheti on August 1803. According to the sources from General Tuchkov, the population had been prohibited to leave the capital city. As according to the letter to Tsitsianoff, which had been based on the information provided by Executive Expedition members 1570 people had died of the epidemic in Georgia during 1803-1804.

The new wave of the "Black Plague" had been spread throughout the Caucasus from Turkey, among which was the case, when the epidemic outbreak had spread in the villages near Akhaltsikhe. The wide spread of the outbreak had occurred in Georgia in 1811 too. In 1812 plague had once more occurred in Georgia, which is attested in the "Chronicles of Abashidze" ("Imeretian Chronicles"), and according to which, the pandemic had resulted in large number of deaths. On May 1812 new cases of plague had been identified in Tbilisi, however, the local government had not informed the center. In Summer 1812, the epidemy had spread in the workers suburb, near the military hospital: 43 diseased and 36 patients with symptoms had been identified. Among the infected, 30 had died, whereas the rest had undergone the mandatory 10-day quarantine. In the end of September 1813, the disease had spread again. Stepane Mizandari had shown significant care towards the diseased ones, during the endemic outbreak in Tbilisi, whereas as of the governmental decree he had been appointed to the quarterly supervisor and the quarantine commissioner positions. In the beginning of the nineteenth century, the waves of epidemic outbreak had put the population in terrible situation. The western part of Georgia had suffered significantly, due to the difficult social situation and the deaths as a result of the epidemic outbreaks. This had not been coincidental, as the epidemic spread had started from Turkey and the ports on the Black Sea coastline, from the diseased travelers, which had assisted in fast-spreading of the disease.

თამარ-დავითის მონეტები სომხეთში აღმოჩენილი უპასპორტო განძიდან

ირაკლი ფალავა

დავით აღმაშენებლიდან რუსუდანის ჩათვლით საქართველოს ნუმიზმატიკური ისტორია შედარებით კარგად არის შესწავლილი. ვგულისხმობთ როგორც სამონეტო ტიპოლოგიის კვლევას, ასევე ამ პერიოდის ქართულ სახელმწიფოში ფულადი მიმოქცევის საკითხებს. ახალი მონაცემების გათვალისწინებით, საქართველოს სამეფოში სამონეტო მიმოქცევის *სისტემურად* შესწავლის მცდელობას წარმოადგენს ჩვენი 2018 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფიის შესაბამისი კარი (ფალავა 2018: 66-86). გასათვალისწინებელია ამ ეპოქის 2018 წლის შემდგომაც გამოქვეყნებული სამონეტო კომპლექსები (ბერიკაშვილი, პატარიძე 2019); (ფალავა, ჭუმბურიძე 2020). ამ ეპოქის საქართველოს სამეფოს ფულადი მიმოქცევის კვლევა, ბუნებრივია, უნდა გაგრძელდეს, შესაბამისი სამონეტო კომპლექსების მეტა-ანალიზის საფუძველზე. ამისათვის კი, ბუნებრივია, მოსამზადებელ სამუშაოს ნარმოადგენს ცნობაში მოყვანილი განძების (და მონეტების ცალკე აღმოჩენის ფაქტების) წინასწარი, შეძლებისდაგვარად სრულად შესწავლა-პუბლიკაცია.

წინამდებარე ნაშრომიც შემდგომი მეტა-ანალიზისთვის მოსამზადებელ სამუშაოს წარმოადგენს. ჩვენი *მიზანია*, გამოვაქვეყნოთ თამარ-დავითის (მეფე თამარისა და დავით სოსლანის) სახელით მოჭრილი წესიერი ჭედვის მონეტები სომხეთში აღმოჩენილი უპასპორტო განძის შემადგენლობიდან. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს არა მარტო თავად განძი, როგორც სამონეტო კომპლექსი, არამედ განძის შემადგენლობაში შემავალი ცალკეული მონეტებიც.

***

განძი ნაპოვნია 2010 წლის პირველ თვეებში, თანამედროვე სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე. აღმოჩენის ზუსტი ადგილი და გარემოებები უცნობია (ამგვარად, განძი, მეტწილად, უპასპორტოდ უნდა ჩაითვალოს). საბედნიეროდ, მპოვნელთან პირადი ნაცნობობის დახმარებით (2000-იან წლებში სამსახურეობრივი მივლინებებით ხშირად გვიწევდა ქ. ერევანში ჩასვლა) მაშინვე მოვიპოვეთ განძში შემავალი 17 მონეტის ადეკვატური გამოსახულება და მეტროლოგიური მონაცემები, ასევე, თუნდაც, ზოგადი ცნობები განძის შემადგენლობაზე. სამწუხაროდ, დამატებითი ინფორმაციის მიღება ვეღარ მოხერხდა, მპოვნელის უდროოდ გარდაცვალების გამო. თუმცა, ჩვენი აზრით, გამოქვეყნებას იმსახურებს განძის ეს შედარებით მცირედი ფრაგმენტიც კი.

მპოვნელის გადმოცემით, განძი შედგებოდა რამდენიმე ათეული მონეტისგან მაინც, და კერამიკულ ჭურჭელში იყო მოთავსებული. მონეტები წარმოადგენდა XII-XIII საუკუნეების წესიერი ჭედვის (sic) მონეტებს. მათ შორის, საკმაოდ ბევრი იყო ქართული, კერძოდ, თამარ-დავითის (მაგრამ არა გიორგი III-ის, ჯავახთ უფალ ლაშა გიორგისა თუ რუსუდანის) მონეტები. დანარჩენი მონეტები მეტწილად, სრულად თუ არა, ისლამური იყო, უმრავლესობა, ილდეგიზიან მმართველთა სახელით მოჭრილი. შევისწავლეთ განძის ქართული კომპონენტი (თუ ამ კომპონენტის მეტი წილი), ანუ, 16 თამარ-დავითის მონეტა (და კიდევ 1 ისლამური მონეტა).

მოვიყვანთ სამონეტო მასალის აღწერილობას. ჯერ მოგვყავს თამარ-დავითის ზოგადი სამონეტო ტიპის აღწერილობა, რომელიც ცნობილია 2 ქვე-ტიპად (პახომოვი 1970: 94-95):

ქვეტიპი 1 (თარიღიანი):

შუბლი: ცენტრში ქართველ ბაგრატოვანთა *ნიშანი* (ფალავა *2017ა*: 74-83). დაქარაგმებული ასომთავრული ლეგენდები –

ნიშნის მარცხნივ ⴓⴀ თ(ამა)რ, მარჯვნივ ⴆⴓ დ(ავი)თ.

ზემოთ მარცხნივ ⴕ, ზემოთ მარჯვნივ ⴖ, ქვემოთ მარცხნივ ⴗ, ქვემოთ მარჯვნივ ⴖ, ანუ ქ(ორონი) კ(ონი) უკ (420) (= ქრისტეშობიდან 1200 წ.).

ირგვლივ რკალი.

ზურგი: ოთხ სტრიქონად არაბული ლეგენდა –

ملكة الملكات
جلال الدنيا و الدين
تامار ابنة كيوكى
ظهير المسيح
დედოფალი დედოფალთა
დიდება ქვეყნისა და სარწმუნოებისა
თამარი ქალიშვილი ქიურქისა [გიორგისა]
მესიის თაყვანისმცემელი

ირგვლივ რკალი.

ქვეტიპი 2 (უთარიღო):


ნინას იდენტურია, იმ ერთადერთი განსხვავებით, რომ შუბლზე არ არის თარიღის აღმნიშვნელი ასომთავრული ლეგენდა, ე. ი. ზემოთ მარცხნივ Ⴑ, ზემოთ მარჯვნივ Ⴔ, ქვემოთ მარცხნივ Ⴍ, ქვემოთ მარჯვნივ Ⴒ, ანუ ქ(ორონი)კ(ონი) უკ (420) (= ქრისტეშობიდან 1200 წელი).

მოგვყავს მონეტების სია ქვეტიპების მიხედვით შესაბამის მეტროლოგიურ მონაცემებთან ერთად. აღწერილობა მოგვყავს მხოლოდ სტანდარტისგან გადახრის შემთხვევაში. საგანგებოდ აღნიშნულია დამღის/დამღების არსებობა.


ქვეტიპი 1 (თარიღიანი):




მონეტა 1. წონა 6.02 გ., კვეთა 24.5-25 მმ. სტანდარტული ლეგენდები, ზურგზე დამღა ბᲢ.




მონეტა 2. წონა 7.97 გ., კვეთა 25-26 მმ. სტანდარტული ლეგენდები, შუბლზე დამღა აᲐ.




მონეტა 3. წონა 7.70 გ., კეთა 25.5-26 მმ. სტანდარტული ლეგენდები, დადამლული არაა.




მონეტა 4. წონა 8.74 გ., კეთა 24.5-26 მმ. სტანდარტული ლეგენდები, ზურგზე დამღა ☆.




მონეტა 5. წონა 7.51 გ., კეთა 25-26 მმ. სტანდარტული ლეგენდები, შუბლზე დამღა Ч.




მონეტა 6. წონა 7.12 გ., კვეთა 27-29 მმ. სტანდარტული ლეგენდები. ზურგზე დამღა ბერ.



მონეტა 7. წონა 8.48 გ., კვეთა 26.5 მმ. სტანდარტული ლეგენდები. ზურგზე დამღა ბერ.



მონეტა 8. წონა 8.47 გ., კვეთა 25.5-27 მმ. სტანდარტული ლეგენდები. ზურგზე დამღა ბერ.




მონეტა 9. წონა 7.10 გ., კვეთა 25-26 მმ. სტანდარტული ლეგენდები. შუბლზე დამღა ა.ა. ზურგზე დამღა ბ[ა].



მონეტა 10. წონა 9.22 გ., კვეთა 26.5-27 მმ. სტანდარტული ლეგენდები. ზურგზე დამღა ბ[ა].




მონეტა 11. წონა 6.57 გ., კვეთა 26.4-28.4 მმ. სტანდარტული ლეგენდები. შუბლზე დამღა ა.ა. ზურგზე დამღა ბ[ა].



მონეტა 12. ნონა 7.22 გ., კვეთა 24.5-26.5 მმ. სტანდარტული ლეგენდები. ზურგზე დამღა ბრ. საინტერესოა, რომ ეს დამღა პერიფერიულად არ არის დარტყმული, როგორც ჩვეულებრივ არის ხოლმე.




მონეტა 13. ნონა 7.70 გ., კვეთა 26-26.5 მმ. როგორც ასომთავრული, ასევე არაბული ლეგენდები ანომალურია. შუბლზე ყურადღებას იპყრობს ქ(ორონი)კ(ონის) სარკისებურად შეტრიალებული ᲗᲐ: თამარ-დავითის სახელებში ქარაგმის ნიშნების ფორმა და აცილება: საზოგადოდ, ასომთავრული გრაფემების უცნაური მოხაზულობა: შეცდომა თამარის დაქარგმებულ სახელში Ⴓ· გრაფემის ანომალური მოყვანილობა (სარკისებური ს-ს მაგვარი). არაბულ ლეგენდაში შეცდომები არ არის, მაგრამ წარწერის კალიგრაფია საკმაოდ დაუდევარია, გაკრულია, და, აშკარად, განსვავდება თამარ-დავითის სხვა, თუნდაც ამავე განძში შემავალი მონეტებისგან. გიორგის სახელი წერია როგორც ᲙᲔᲝ. დამღის გარეშე.



მონეტა 14. ნონა 7.41 გ., კვეთა 25-25.7 მმ. როგორც ასომთავრული, ასევე არაბული ლეგენდები ანომალურია. შუბლზე ყურადღებას იპყრობს თარიღში შემავალი ᲗᲐ-ს უცნაური მოხაზულობა, ასო-ნიშნების დახრილობა; თამარის დაქარაგმებულ სახელში გრაფემა Ⴓ აშკარად მიღებულია თავ-

დაპირეელად არასწორად / არასაკმარისად ამოჭრილი ნიშნის დამატებით შესწორების გზით: დავითის დაქარაგმებულ სახელში შემავალი გრაფემების მკვეთრად განსხვაეებული ზომა: საზოგადოდ, ასომთავრული გრაფემების უცნაური მოხაზულობა, არაბული ლეგენდა დეგრადირებულია, აღსანიშნავია შემდეგი სიტყვების მოხაზულობა: ﻋﺒﺪ و ﺍﻟﻠﻪ / ﻋﻴﺴﻰ. გიორგის სახელი წერია როგორც ⴂⴂⴂ. ზურგზე დამღა ⵆⵔ თუ მისი იმიტაცია?



მონეტა 15. წონა 6.72 გ., კვეთა 26-26.5 მმ. სტანდარტული ლეგენდები. შუბლზე დამღა ⵄⵊ. დამღა პერიფერიულად არ არის დარტყმული


ქვეტიპი 2 (უთარიღო):



მონეტა 16. წონა 7.30 გ., კვეთა 26.5 მმ. სტანდარტული ლეგენდები, შუბლზე დამღა ⴰⴰ, ზურგზე დამღა ⵆⵔ (დამღა ამ შემთხვევაშიც პერიფერიულად არ არის დარტყმული).

მოვიყვანთ ასევე იმ ერთადერთი არაქართული მონეტის აღწერილობასაც, რომელიც განძში შედიოდა და შესასწავლად ხელმისაწვდომი გახდა.

განძის არაქართული ნაწილი:



მონეტა 17. წონა 6.83 გ., კვეთა 26.2-27.7 მმ. წარმოადგენს გადაჭედილ და დადამღულ მონეტას. მასპინძელი მონეტა, როგორც ჩანს, ბიზანტიური (ანონიმური?) ფოლისია, ან მისი მინაბაძი (კარგად ჩანს მაცხოვრის შარავანდი და ბერძნული ლეგენდების ნაშთი). მონეტა დაიდამღა ინალიდი მმართველის, ამიდის მფლობელის, ჯამალ ად-დინ მაჰმუდის მიერ არა უგვიანეს ჰიჯრის 579 წლისა (1183 – ი. ფ.): დამღაც მის სახელს ატარებს (ლოუიქი და *სხვები* 1977: 33-34):

جمل الد
محمد (حمد) ن

ჯამალ ად-
[დი]ნ მაჰმუდ

დადამღვის შემდეგ კი მონეტა გადაიჭედა კიზილ-არსლანის მიერ, საკუთარი სულთან სანჯარ ბ. სულეიმანშაჰის სახელით, ჰ. 584-587 / 1188-1191 წლებში (ქუიმჯიანი 1969: 327-331).

***

ეს განძი იძლევა საშუალებას რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვათ ამ პერიოდის საქართველოს სამეფოსა და რეგიონის სამონეტო მიმოქცევაზე.

პირველ რიგში, აღვნიშნავთ, რომ ჩვენი კლასიფიკაციით (ფაღავა 2018: 78-86), ეს განძი მიეკუთვნება II ჯგუფს; ამ ჯგუფში შედის თამარ-დავითის წესიერი ჭედვის სპილენძის მონეტების შემცველი განძები (ფაღავა 2018: 78-79): აქამდე ეს ჯგუფი წარმოდგენილი იყო ოთხი განძით; აქედან ორი აღმოჩენილია საქართველოს სამეფოს შიდა, ეთნიკურად ქართულ, მხარეებში (კახეთსა და ქვემო ქართლში), კიდევ ორი კი თანამედროვე სომხეთში, ანუ, XIII საუკუნის დასაწყისის მდგომარეობით, საქართველოს სამეფოს სამხრეთ, ჩრდილო-სომხურ პროვინციებში. პირველი ორი ექსკლუზიურად თამარ-დავითის მონეტებისგან შედგება (100%), უკანასკნელი ორში კი თამარ-დავითის მონეტები წარმოდგენილია უცხოურ ისლამურ მონეტებთან ერთად (17.9% პტღნის განძში, უცნობი პროცენტული წილი აღნათუნის განძში).

ამ თვალსაზრისით, ეს ახალი უპასპორტო განძიც თავისი შემადგენლობით იგივენაირია.

თუმცა, სამწუხაროდ, ზუსტ რიცხვზე ვერ ვისაუბრებთ; განძისა თუ მისი ფრაგმენტის *რაოდენობრივი* კვლევა მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან, ჩვენთვის, სამწუხაროდ, უცნობია, განძში შემავალი მონეტების საერთო რაოდენობის რამდენ პროცენტს შეადგენს თამარ-დავითის მონეტები; ან თუ რამდენად რანდომულ (რეპრეზენტატიულ) ამონარჩევს წარმოადგენს თამარ-დავითის განხილული 16 მონეტა და 1 ისლამური მონეტაც. თუმცა კი, გვრჩება შესაძლებლობა, გარკვეული *თვისობრივი* ხასიათის დასკვნა გამოვიტანოთ.

განძის ტეზავრაცია, აშკარად, რუსუდანის მიერ თავისი წესიერი ჭედვის მონეტების გამოშვებამდე მოხდა (1227), რაც წარმოადგენს განძის ტეზავრაციისთვის *terminus post quem non*-ს; მეორეს მხრივ კი, *terminus post quem* არის, ბუნებრივია სამონეტო ტიპის ემისიის დასაწყისი – 1200 წელი. ვვარაუდობთ, რომ უთარიღო მონეტებიც ამაზე ადრე არ მოჭრილა).

II ჯგუფის განძები შეიძლება ორ ქვეჯგუფად დაიყოს:

II-ა ქვეჯგუფში შედის საქართველოს სამეფოს შიდა რეგიონებში აღმოჩენილი განძები; ამ განძების მიხედვით, იქ წესიერი ჭედვის სპილენძის მონეტების მიმოქცევას პრაქტიკულად ექსკლუზიურად თამარ-დავითის მონეტები ემსახურებოდა;

II-ბ ქვეჯგუფში კი შედის საქართველოს სამეფოს სამხრეთ, უფრო გვიან შემოერთებული, პროვინციებში აღმოჩენილი განძები; მათი მიხედვით, საქართველოს სამეფოს ჩრდილო-სომხურ პროვინციებში სამონეტო მიმოქცევა რამდენადმე განსხვავდებოდა: წესიერი ჭედვის სპილენძის მონეტების მიმოქცევას ემსახურებოდა არა მარტო და არა იმდენად (?) თამარ-დავითის მონეტები, არამედ უცხოური სპილენძის საფასეც, მათ შორის, წინა ათწლეულებში მოჭრილიც (ამ მხრივ სამაგალითოა მონეტა 17); თუმცა, თამარ-დავითის მონეტებიც, არსებით და მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

განძის შემადგენლობას რომ დავუბრუნდეთ, საინტერესო გარემოებად გვეჩვენება, რომ ერთსა და იმავე განძში მოხვდა თამარ-დავითის როგორც სტანდარტული, თარიღიანი მონეტები, ასევე, ერთი მაინც, უთარიღო (იშვიათობას წარმოადგენს) მონეტაც. ვეჯინის განძში უთარიღო მონეტების ხვედრითი წილი 3.7%-ია (ლომოური 1936: 282-283). გვრჩება შთაბეჭდილება, რომ როგორც თარიღიანი, ასევე უთარიღო მონეტების სტატუსი, ანუ, ღირებულება (?) ერთნაირი იყო; თეორიულად, შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ განსხვავებული ღირებულება ჰქონოდათ, მაგრამ, ეს, ჩვენი აზრით, ნაკლებ მოსალოდნელია, შემდეგი მოსაზრებებით:

1) სამონეტო კომპლექსები, საზოგადოდ, ხშირად, ერთგვაროვანი ღირებულების მონეტებისგან შედგება;

2) მეტროლოგიურად თამარ-დავითის წესიერი და უწესო ჭედვის მონეტები, ჩანს, იდენტურია;

3) წესიერი და უწესო ჭედვის მონეტების დადამღვის პრაქტიკაც, როგორც ჩანს, იდენტურია;

4) დიზაინითა და ლეგენდებით წესიერი და უწესო ჭედვის მონეტები ერთმანეთს ძალიან ემსგავსება. სხვაობა თამარ-დავითის თარიღიან და უთარიღო მონეტებს შორის (შუბლზე კუთხეებში ქორონიკონის აღმნიშვნელი ოთხი ასომთავრული გრაფემის არსებობა-არარსებობა) მეტწილად, საკვარაუდოდ, წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობისთვის ყოველთვის არ იქნებოდა ადვილი მისახვედრი; წესიერი და უწესო ჭედვის მონეტებს, სხვადასხვა ღირებულების შემთხვევაში, საფიქრებელია, დიზაინით უფრო მკვეთრად განასხვავებდნენ.

ამასთანავე, უნდა დავასკვნათ, რომ, დღემდე გაუგებარია, თუ რამ განაპირობა და რა დანიშნულება ჰქონდა თამარ-დავითის უთარიღო მონეტების ემისიას.

თამარ-დავითის მონეტებზე მოთავსებული დამღები სხვა ნაშრომში გვაქვს განხილული, და, ამჯერად, ამ საკითხს აღარ შევეხებით (ფალავა 2017ბ).

სამაგიეროდ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ორ მეტად უცნაურ მონეტას, რომელიც ამ განძის სხვა მონეტებთან ერთად იყო ტეზავრირებული. საუბარია მონეტებზე 13-14 (იხ. აღწერილობა ზემოთ). ორივეს შემთხვევაში გვაქვს ასომთავრული ლეგენდების (შუბლზე) ანომალური კალიგრაფია და უხეში შეცდომებიც კი; არაბული ლეგენდები კი თამარ-დავითის მონეტებისთვის უჩვეულო კალიგრაფიით არის შესრულებული მონეტაზე 13, თუმცა, ადვილად იკითხება; მონეტაზე 14 კი ისინი აშკარად ანომალურია, რაც გვაფიქრებს, რომ ერთ შემთხვევაში არაბულენოვანი ზურგის სიქას ამზადებდა არაბულის მცოდნე ხელოსანი, მეორე შემთხვევაში კი – არმცოდნე.

იბადება ლოგიკური შეკითხვა; რას წარმოადგენს ეს ორი მონეტა? 1) ქართველი მონარქების ოფიციალური ზარაფხანის ნაწარმს, თუმცა კი, დაუდევრად ამოჭრილი სიქებით შესრულებულს (რაც ხელოსნის პიროვნებასა თუ კვალიფიკაციაზე, ასევე ზარაფხანის ადმინისტრაციის მიერ წარმოებული კონტროლის სიმკაცრეზე მსჯელობისთვის გამოდგება); 2) იმდროინდელ ყალბ მონეტას; 3) იმდროინდელ მინაბაძს, რომელიც საქართველოს სამეფოს (ეკონომიკური) ზეგავლენის ქვეშ მყოფ (კავკასიის?) რომელიმე რეგიონში იჭრებოდა.

საკითხი ღიად რჩება. სომეხი ნუმიზმატების წრეში გავრცელებულია მოსაზრება (პირად საუბრებში გაუზიარებიათ), რომ საქართველოს სამეფოს ერთ-ერთი ზარაფხანა ჩრდილოეთ სომხეთშიც იყო განლაგებული, და თამარ-დავითის სახელით წესიერი ჭედვის წესით საფასეს ჭრიდა: ეს მონეტები, მათი აზრით, გამოირჩევა ლეგენდებისა და *ნიშნის* ანომალური კალიგრაფია-მოხაზულობით. ამ ჰიპოთეზის დასადასტურებლად ან უარსაყოფად რაიმე ხელშესახები მოწმობა არ გვაქვს. ის ფაქტი, რომ სომხეთში აღმოჩენილი განძის ფრაგმენტში 16 შესწავლილი მონეტიდან 2 ანომალური აღმოჩნდა, არაფერს ამტკიცებს. ამ მხრივ, საინტერესო იქნებოდა საქართველოს სამეფოს სხვა რეგიონებში აღმოჩენილი განძების (მაგალითად, ეეჯინის განძის, რომელიც სიღრმისეულად არ გამოქვეყნებულა) შესწავლა-გადამოწმება, და მათ შორის ანომალური მონეტებიც პროცენტული წილის დადგენა. ისიც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თამარ-დავითის ანომალური მონეტების ემისიის რამდენიმე ცენტრიც არსებობდა.

წინამდებარე სტატიით ვაგრძელებთ XII-XIII საუკუნეების საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ისტორიისადმი მიძღვნილი პუბლიკაციების ციკლს. გამოსაქვეყნებლად მზადდება ამ ეპოქის კიდევ რამდენიმე სამონეტო კომპლექსი.

დამონმებანი

ბერიკაშვილი, პატარიძე 2019: დ. ბერიკაშვილი, მ. პატარიძე. *სამშვილდის განძი*. თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ლომოური 1936: თ. ლომოური. თამარის ფულების განძი. *ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, I.

ლოუიქი და *სხვები* 1977: N. Lowick, S. Bendall, P. Whitting. *The Mardin Hoard. Islamic Countermarks on Byzantine Folles*. A. H. Baldwins + Sons Ltd., 1977.

პახომოვი 1970: Е. Пахомов. *Монеты Грузии*. Тбилиси, Мецниереба.

ფალავა 2017ა: ი. ფალავა. შუასაუკუნოვან ქართულ მონეტებზე გამოსახული ფიგურული ნიშნების ინტერპრეტაცია: ჰერალდიკური ფიგურა და არა მონოგრამა, *ჰეროლდი*, 5, 2017.

ფაღავა 2017ბ: И. Пагава. Возможное значение некоторых надчеканок, нанесшихся на медные монеты неправильного и правильного чекана царицы Тамар. *Нумизматические чтения Государственного исторического музея 2017 года. Москва, 23 и 24 ноября 2017 г. Материалы докладов и сообщений. Памяти Татьяны Юрьевны Стукаловой (17.12.1958-16.01.2017). Москва: РИА Внешторгиздат.*

ფაღავა 2018: И. Пагава. *Нумизматическое прошлое Дагестана и Грузии.* Тбилиси, Артануджи.

ფაღავა, ჭუმბურიძე 2020: ი. ფაღავა, პ. ჭუმბურიძე. *რუსუდანის ზეობის დროინდელი მონეტების ქსნის განძი.* თბილისი: უნივერსალი.

ქუიმჯიანი 1969: D. Kouymjian. *A Numismatic History of Southeastern Caucasia and Adharbayjān Based on the Islamic Coinage of the 5th/11th to the 7th/13th Centuries.* PhD Thesis, Columbia University.

TAMAR-DAVITI COINS FROM A HOARD WITH UNSPECIFIED FIND LOCATION IN ARMENIA

Irakli Paghava

Our goal is to study and publish the regularly struck copper coins of Queen Tamari and Davit Soslani from the hoard discovered in Armenia in an unspecified location, within the framework of researching the monetary circulation in the 12th-13th cc. Georgia. The hoard was discovered and dispersed in 2010. It was deposited in a clay jar, and comprised several tens of copper coins, including both Georgian and Islamic (Ildegizid) ones. We succeeded in obtaining the images and metrology information of 17 specimens: 16 coins of Tamari-Daviti and 1 Islamic one – the 11th c. (?) Byzantine follis or imitation thereof with Inalid c/m (Jamal ad-Din Mahmud of Amid, *tpqn* 1183 CE) restruck into an Ildegizid issue of Qizil-Arslan and Sanjar Sulaymanshah (1184-1187). These 17 coins were not selected randomly, unfortunately, and cannot by analyzed quantitatively. According to the 2018 classification of the author, this hoard pertains to II group (being the 5th hoard thereof). 2 sub-groups are distinguished: IIa (hoards comprising exclusively Tamari-Daviti coins, and deposited on the territory of the inner provinces of the Georgian Kingdom), and IIb (hoards deposited on the territory of the southern, north-Armenian provinces of the Georgian Kingdom, and comprising mainly Islamic regularly struck coins along with regularly struck coins of Tamari and Daviti). The hoard was deposited in 1200-1227. 1 coin out of 16 bears no date. The author argues that all Tamari-Daviti coins with or without the date had equal value. However, it remains unclear, why some of the coins were issued without the date. Two particular coins with legends of anomalous calligraphy are discussed. They can constitute 1) the unskillful produce of the official Georgian mint; 2) contemporary forgeries; 3) contemporary imitations (issued in the region influenced economically by the Georgian Kingdom). There is no evidence, that a separate Georgian mint operated in north-Armenian provinces of the realm, issuing Tamari-Daviti coins.

საერთაშორისო პრეზენტაცია
INTERNATIONAL PRESENTATION

ქოროლოს რელიეფები, როგორც ადგილობრივი თემის მიერ ეკლესიის აგებისა და ერთობლივი ფლობის დამადასტურებელი პირველადი ისტორიული წყარო[1]

ლადო მირიანაშვილი

ისტორიულ მთიულეთში, ხადას ხეობაში, დუშეთიდან 84 კილომეტრის დაშორებით, მთიულეთის ქედის სამხრეთ კალთაზე გაშენებულია სოფელი ქოროლო. მის სიახლოვეში, სამხრეთით მდებარე მთის ფერდობის ოდნავ მოვაკებულ ადგილას მდებარეობს ქოროლოს საეკლესიო კომპლექსი. კომპლექსის შემადგენლობაში შედის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია და მის სამხრეთ კედელთან ახლოს მდგომი ე. წ. ზურგიანი კოშკი (სურ. 1), აგრეთვე მცირე სამლოცველო და აკლდამის ნანგრევები.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესია აგებულია ნატეხი ქვით, ფიქლითა და, ნაწილობრივ, თლილი ქვით. თლილი ქვა გამოყენებულია კონსტრუქციულ ნაწილებში: თაღების, სვეტების, სვეტისთავების, კონქისა და კამარებისთვის, აგრეთვე ფასადების დეკორატიული გაფორმებისთვის. ეკლესია ყველაზე უკეთ დასავლეთის მხრიდან ჩანს, რის გამოც დასავლეთი ფასადის ლავგარდანი გამორჩეულად გაუფორმებიათ. ის რომ ქოროლოს ეკლესია ფართოდაა ცნობილი, სწორედ მის დასავლეთ ლავგარდანზე შესრულებული რელიეფებისა და კიდევ ორი სხვა რელიეფის დამსახურებაა. ეს უკანასკნელნი ამჟამად აღარ არსებული სამხრეთ კარიბჭის სვეტსა და სვეტისთავზე ყოფილა მოთავსებული. ეკლესიის დასავლეთი ლავგარდანის რელიეფები, და შესაბამისად ეკლესიაც, თავდაპირველად X საუკუნით დაათარიღეს, მოგვიანებით კი გადაათარიღეს და რელიეფების შექმნის დრო X-XI საუკუნეების მიჯნით განსაზღვრეს. ორივე თარიღი ხელოვნებათმცოდნე რუსუდან მეფისაშვილს ეკუთვნის.[2] რაც შეეხება ზურგიანი კოშკის აგების თარიღს, რომელიც ეკლესიის სამხრეთ კედელთან დგას, ამ ტიპის კოშკებს ძირითადად ადრე შუა საუკუნეებში (X საუკუნის ჩათვლით) აგებდნენ, თუმცა გამონაკლისის სახით გვიან შუა საუკუნეებშიც გვხვდება, არაუგვიანეს XVII საუკუნის პირველი ნახევრისა (ზაქარაია 1962: 82). ის ფაქტი, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის სამხრეთი კედელი, სხვა კედლებისგან განსხვავებით, საერთოდ უდეკოროა, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეკლესიის მშენებლობის დაწყებამდე ამ ადგილას კოშკი უკვე იდგა.

ეკლესიის 50 სანტიმეტრის სიმაღლის ლავგარდანის[3] რელიეფების მიმდევრობაზე გამოსახულნი არიან მშენებლობის პროცესში ჩართული სხვადასხვა ხელობის მუშაკნი (სურ. 2). მშენებლებისა და სამშენებლო პროცესის ერთეული გამოსახულებები გვხვდება როგორც საქართველოში, ისე უცხოეთშიც, მაგრამ მშენებლობის სხვადასხვა პროცესის ამსახველი სცენების თავმოყრილად გამოსახვა გამონაკლისია. ამ თვალსაზრისით, ქოროლოს ლავგარდანის გაფორმება სრულიად უნიკალურია. ნათელა ალადაშვილმა თავის წიგნში ქოროლოს რელიეფებზე ასახული სამუშაოების ციკლის პარალელად წლის თორმეტი თვის ალეგორიული გამოსახულებები მოიყვანა, რომლებიც წმ. ურსინი ბურჟელის ეკლესიის კარის ტიმპანზეა შესრულებული. ჩემი აზრით, ისინი ქოროლოს გამოსახულებათა ციკლის პარალელად შინაარსობრივი თვალსაზრისით არ გამოდგება, და აი, რატომ: XII საუკუნით დათარიღებულ წმ. ურსინი ბურჟელის ეკლესიის რელიეფებზე თვეების სიმბოლური გამოსახულებებია წარმოდგენილი (სურ. 3), რომლებსაც ერთმანეთთან მხოლოდ ის აკავშირებს, რომ მათი ერთობლიობა წელინადს შეადგენს. თითოეულ თვეზე მინიშნება იმ საველე სამუშაოს გამოსახვის გზით მოხდა, რომელიც კონკრეტული თვისთვის არის სახასიათო (თესვა, მკა, მოსავლის აღება და სხვ.). თითოეულ რელიეფს თან ახლავს წარწერა შესაბამისი თვის დასახელებით. წმ. ურსინი ბურჟელის ეკლესიისგან განსხვავებით, ქოროლოში გამოსახულია სხვადასხვა ხელობის ხელოსანი და სამუშაო ოპერაცია. გამოსახულებათა ერთობლიობა ერთი კონკრეტული ეკლესიის მშენებლობას ასახავს: ქვების გაპობა და ხარებშებმული მარხილით გადაზიდვა, ლოდების ზურგით გადატანა, ქვის გათლა, დუღაბის შემზადება, ოსტატი ქვის დასამუშავებელი იარაღით ხელში. აქვეა ქალის გამოსახულება, რომელსაც კალათით პროდუქტი მიაქვს. კომპოზიციის ცენტრში, ლავგარდანის კეხთან, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ქრისტე-ემანუელთან ერთადაა გამოსახული,[4] მისგან მარცხნივ კი – ქტიტორი, რომელიც ღვთისმშობელს მარჯვენა ხელით ეკლესიის მოდელს უძღვნის, მარცხენა ხელი კი მკერდზე აქვს მიდებული.

რით იყო განპირობებული ქოროლოში მშენებლობის ამსახველი მრავალსიუჟეტიანი ციკლის გა-

მოსახვის აუცილებლობა? ნ. ალადაშვილი შემდეგ ახსნას გვთავაზობს:

> ოსტატი არ შემოისაზღვრა კანონიკური რელიგიური სიუჟეტებით და ასახა რეალური მოვლენები. სწორედ ამაში მდგომარეობს ქოროღოს რელიეფების განსაკუთრებულობა: ისინი გადიან რელიგიური აზროვნების ფარგლებიდან და მიანიშნებენ საერო, „რეალური" ტენდენციების არსებობაზე პირობითსა და დოგმატურ შუა საუკუნეების ხელოვნებაში (ალადაშვილი 1977: 109).

აშკარაა, რომ ეკლესიის ლავგარდანის რელიეფურ გამოსახულებებს მხოლოდ დეკორის ფუნქცია არ აკისრია და გარკვეული დატვირთვა აქვს. დავით ხოშტარიას ვარაუდით, სოფლის ხელოსნებმა ეკლესიის ლავგარდანის რელიეფებზე გამოსახვის პატივი იმით დაიმსახურეს, რომ ისინი მშენებლობაზე ალბათ უსასყიდლოდ მუშაობდნენ, იყვნენ რა ერთგვარი „კოლექტიური შემწირველები" (ხოშტარია 2012: 9). ჩემი აზრით, ქოროღოს ლავგარდანის რელიეფური გამოსახულებები მიგვანიშნებს სოფლის თემის წევრთა მიერ ეკლესიის ერთობლივ ქტიტორობასა და იმავდროულად ფლობაზე, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს ფეოდალური კლასის წარმომადგენლთა მინიმალურ გავლენაზე იმდროინდრელი მთიულეთის სოციალურ ცხოვრებაზე: ქოროღოელებს ბატონყმობის უღელი ჯერ კიდევ არ ედგათ და თავისუფალ მწარმოებლებად რჩებოდნენ. ამაზე ოდნავ ქვემოთ ვიმსჯელებ.

ისტორიკოსები საისტორიო წყაროდ ძირითადად მატიანეებს, საბუთებს, კოლოფონებს, ლაპიდარულ თუ ნაკაწრ წარწერებს, ნაწილობრივ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებსაც მოვიაზრებთ და მხედველობის მიღმა გვრჩება გამოსახულებები, რომლებიც წერილობითი წყაროების მსგავსად, მნიშვნელოვან ისტორიულ კონტექსტს შეიცავს. კაცობრიობა გამოსახულებებს უხსოვარი დროიდან, ჯერ კიდევ დამწერლობის გამოგონებამდე და ტიპოგრაფიული დაზგის შექმნამდე იყენებდა. იმ დროს გამოსახულებები იყო ერთადერთი საშუალება ინფორმაციის გასავრცელებლად სივრცესა და დროში. გამოსახულება, ერთი შეხედვით, სტატიკური ინფორმაციის მატარებელია, არადა მას მრავალმხრივობა და მრავალაზროვნება ახასიათებს. ეს, განსაკუთრებით, ადრე შუა საუკუნეების გამოსახულებებში შეიმჩნევა (მირიანაშვილი 2000: 112). ამიტომაცაა, რომ ვიზუალური საისტორიო წყარო ისეთივე კრიტიკულ ანალიზს საჭიროებს, როგორსაც წერილობითი წყარო.

წინამდებარე სტატიაში ქოროღოს ღვთისმშობლის ეკლესიის ქტიტორების დასადგენად სწორედ რელიეფურ გამოსახულებებს მოვიხმობ. საქმე ისაა, რომ განსახილველი ეკლესიის წარწერაში ქტიტორის სახელი ნახსენები არაა. მისი ვინაობა არც წერილობითმა წყაროებმა შემოგვინახა.

ქოროღოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლობის დროისთვის (X-XI საუკუნეთა მიჯნაზე), მთიულეთი პოლიტიკურად კახეთის სამთავროს (1008 წლიდან – კახეთის საჰეფოს) ექვემდებარებოდა. ლერი თავაძეს მიიჩნევს, რომ VIII საუკუნიდან მოყოლებული, „ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით", მთიულეთს ერისთავი განაგებდა (თავაძე 2011: 49). მისი აზრით,

> ტაძრის მშენებლობა დაკავშირებული იყო გავლენიან ფეოდალურ საგვარეულოსთან, რომელიც, შესაძლოა, წარმოადგენდა, როგორც კონკრეტულ ერისთავს ფართო საერო უფლებებით, ასევე კახეთის მთავარს. დასაშვებია აფხაზთა სამეფო ოჯახის მონაწილეობაც (თავაძე 2011: 50).

ჯ. გვასალია ქოროღოს ეკლესიის მშენებლობას კახეთის სამთავროს ერთ-ერთ ქორეპისკოპოსს უკავშირებს (გვასალია 1983: 60, სქოლიო 71).

ჩემი აზრით კი, ფეოდალური ინსტიტუტებისადმი მთიულების უარყოფითი დამოკიდებულებისა და ფეოდალებისადმი გაწეული აქტიური წინააღმდეგობის,[3] განსახილველ პერიოდში ფეოდალთა მხრივ ადგილობრივთა საქმიანობაზე მინიმალურ გავლენის, აგრეთვე, რეგიონის მიუვალობის გამო, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მთიულეთის ერთი რიგითი სოფლის ეკლესიის მშენებლობის ფასი კახეთის ქორეპისკოპოსს თუ მთავარს, ან ხეობების გაერთიანების საფუძველზე შექმნილი ქვეყნის გამგებელს გაეღო.[4] შესაბამისად, ლ. თავაძისა და ჯ. გვასალიას მოსაზრებებს ეკლესიის ქტიტორის თაობაზე არ ვიზიარებ. ჩემ მოსაზრებას ქტიტორობის საკითხის შესახებ, ქოროღოს რელიეფების ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, ქვემოთ წარმოვადგენ.

ვის შეეძლო ეთავა ქოროღოში ეკლესიის მშენებლობა? რასაკვირველია, ადგილობრივ თემს, რომელსაც საკუთარი თავი იმ მხარის რეალურ პატრონ-გამგებლად მიაჩნდა და რომლისთვისაც ეკლესიის მშენებლობა უშუალო ინტერესის საგანს წარმოადგენდა. თემის ერთობლივი ძალისხმევით ეკლესიის აგების ფაქტი მთიულეთისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო, მით უფრო, რომ მსგავსი პრეცედენტი დასაელეთ საქართველოშიც დასტურდება. კერძოდ, ვგულისხმობ საჩხერის რაიონის სოფელ სავანის წმინდა გიორგის ეკლესიის ერთობლივი მშენებლობისა და მფლობელობის ფორმას, რაც მის

აღმოსავლეთ ფასადზე შესრულებული, 1046 წლის ასომთავრული წარწერიდან ირკვევა.[7] მომყავს ნახსენები წარწერის ტექსტი:

> სახელითა ღმრთისაითა, მე, ერისთავთ-ერისთავმან გიორგი, დაუწერე და მივეც ამის ეკლესიისა ნახევარი სავანისა სოფელსა. თანადამიდგეს, ოდეს შენებაჲ დავიწყეთ, მუშაობითა, ფასითა და ყოელითა ფერითა. ღმერთმან უბედნიერენ უკუნისამდე. ეინ უქციოს, პრისხავს-მცა ღმერთი და წმიდაჲ გიორგი (სილოგაეა 1980: 62-63).

ამ წარწერის შინაარსობრივი მხარე პირველად ილია ანთელავამ გაიაზრა. მან დაასკვნა, რომ სავანის ფეოდალურად დამოკიდებულ თემს ჯერ კიდევ არ ედგა ბატონყმობის უღელი (ანთელავა 1980: 69-70). სხვა შემთხვევაში, ერისთავთ-ერისთავი სოფლის მცხოვრებთა ღვაწლის აღნიშვნას საჭიროდ არ მიიჩნევდა: ისინი ყმა-გლეხები რომ ყოფილიყვნენ, ბატონისთვის უსასყიდლოდ მუშაობის ვალდებულება ექნებოდათ. ი. ანთელავას მოჰყავს სხვა მაგალითებიც – ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში დაცული ცნობები, ისტორიული წარწერები, აგრეთვე იმოწმებს სხვა ისტორიკოსთა მოსაზრებებსაც, რომელთა თანახმად IX-XI საუკუნეების საქართველოს რეგიონებში ბატონყმური ურთიერთობები ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული და თავისუფალი მწარმოებელნი მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ (ანთელავა 1980: 66-74).

სანამ ქტიტორობის საკითხს განვიხილავდე, მიმოვიხილავ ქოროლოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის რელიეფების არსებულ აღწერებს, ინტერპრეტაციებსა და წარმოვადგენ ჩემ მიერ მათში შეტანილ შესწორებებს.

რ. მეფისაშვილი იყო პირველი, ვინც გამოაქვეყნა ქოროლოს ეკლესიის რელიეფების აღწერა. მან ახსნა რელიეფებზე ასახული სიუჟეტების შინაარსი და მოახდინა პირთა იდენტიფიცირება. რ. მეფისაშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებები სრულად გაიზიარეს ნ. ალადაშვილმა, რუსულ ენაზე გამოცემულ მონოგრაფიაში (ალადაშვილი 1977) და დ. ხოშტარიამ თავის ინგლისურენოვან სტატიაში (ხოშტარია 2011).

ეკლესიის დასავლეთ ლავგარდანზე რელიეფურ გამოსახულებათა უწყვეტი რიგი იხილება. რ. მეფისაშვილის დაკვირვებით, ცალკე აღებულ თითოეულ ფილაზე ერთი კონკრეტული, დასრულებული სიუჟეტია გადმოცემული (მეფისაშვილი 1969: 220).

სახურავის სამხრეთი ქანობის დასავლეთი გვერდის გაყოლებაზე მონყობილი ლავგარდანის მეათე ფილაზე ტრაპეზის აქეთ-იქით მდგომი ორი ფიგურა ჩანს (სურ. 2 და 4): ტრაპეზის მარჯვენივ მდგომი მამაკაცი, რომელიც, რ. მეფისაშვილის დაკვირვებით, კაბასა და მის ზემოდან მოსხმულ მოსასხამში არის შემოსილი (მეფისაშვილი 1969: 226), და ტრაპეზის მარცხნივ – ორანტის პოზაში მდგომი, ხელაპყრობილი მამაკაცი. ეს უკანასკნელი ისევეა ჩაცმული როგორც, ზოგადად, მუშაობის პროცესის ამსახველ რელიეფებზე გამოსახული მშრომელები. მსგავსადეაა შემოსილი წინმსწრებ მეცხრე, ვიწრო ფილაზე, ორანტის პოზაში გამოსახული მამაკაციც, რომელსაც რ. მეფისაშვილი განცალკევებით მდგომ ფიგურად აღიქვამს. მკვლევარმა, მიაქცია რა ყურადღება იმ ფაქტს, რომ მეცხრე და მეათე ფილებზე გამოსახული, ორანტის პოზაში მდგომი მამაკაცების სამოსი შრომის პროცესში მონაწილე პირთა სამოსისაგან არ განსხვავდება და, მიუხედავად ამისა, ისინი სხვებისგან გამორჩეულად – ორანტის პოზაში დგანან, თანაც ერთ-ერთი მათგანი ცალკეა გამოსახული, ეს უკანასკნელი, რაიმე არგუმენტის მოხმობის გარეშე, საპასუხისმგებლო სამუშაოს შემსრულებელ ოსტატად, ან სამუშაოთა ზედამხედველად მიიჩნია (მეფისაშვილი 1969: 226), ხოლო მეორე, ასევე უარგუმენტოდ – პირობითად არქიტექტორთან გააიგივა (მეფისაშვილი 1969: 227). ჩემი აზრით, მეცხრე და მეათე ფილების გამოსახულებები არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, არამედ ერთი კომპოზიციის შემადგენელი ნაწილებია. ორანტისა თუ ვედრების პოზაში მდგომ ფიგურათა სიმეტრიულად განლაგება ტრადიციულია და ქრისტიანულ ხელოვნებაში საკმაოდაა გავრცელებული. მაგალითად შემიძლია მოვიყვანო კვაისა-ჯვარის (X საუკუნე, სურ. 5) და ორჯალარის (X საუკუნე, სურ. 6) ეკლესიების რელიეფები. ზოგადად, არსებობს ბიზანტიურ სამყაროში შექმნილი მრავალი ასეთი გამოსახულება. ნახსენები სიუჟეტის ორ ფილაზე განაწილება იმიტომ გახდა აუცილებელი, რომ ის ლავგარდანზე გამოსახულ სხვა სიუჟეტებთან შედარებით უფრო ვრცელია. რ. მეფისაშვილი მეათე ფილის მარჯვენა ნახევარზე გამოსახულ, ტრაპეზთან მდგომ მამაკაცს მღვდელმსახურად მიიჩნევს და ვარაუდობს, რომ მთლიანად სიუჟეტი ქოროლოს ეკლესიის მშენებლობის დასრულების შემდგომ კურთხევას ასახავს" (მეფისაშვილი 1969: 227). ჩემი აზრით, კომპოზიციაში ტრაპეზის ჩართვა არ არის იმის უეჭველი ნიშანი, რომ გამოსახულება მაინცდამაინც კურთხევის პროცესს უნდა გადმოსცემდეს. მაგალითად

შეიძლია მოვიყვანო მინიატურა გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა XI საუკუნის ქართული თარგმანიდან (ხელნაწერი A-109). ეს მინიატურა, რომელზეც ტრაპეზის ცალ მხარეს წმინდა გრიგოლი, ხოლო მეორე მხარეს – ორანტის პოზაში გამოსახული მსმენელები დგანან (სურ. 7), კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსის ქადაგებას ასახავს (მინიატურა დართული აქვს ტექსტს სათაურით „სიტყუაჲ ნათლისღებისა მიმართ“). ნახსენებ მინიატურაზე ასახული სიუჟეტის ანალოგიით მიმაჩნია, რომ ქოროღოს გამოსახულების შემთხვევაშიც სასულიერო პირი ქადაგებს, რა დროსაც მორწმუნენი ორანტის პოზაში დგანან.

მომდევნო, მეთერთმეტე ფილაზე წარმოდგენილია ქტიტორი ეკლესიის მოდელით ხელში (სურ. 8). რ. მეფისაშვილის აღწერის თანახმად, იგი, „მღვდელმსახურის მსგავსად, ჰიმატიონშია შემოსილი“ (მეფისაშვილი 1969: 227). მკვლევარი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ლავგარდანზე გამოსახულ ხელოსანთა თავსაბურავისაგან განსხვავებით, მას თავზე ბრტყელზედაპირიანი ქუდი ჰხურავს. ქტიტორი ეკლესიის მოდელს ყოველადწმიდა ღვთისმშობელს უძღვნის, რომელიც ქრისტე-ემანუელთან ერთად არის გამოსახული.

ლავგარდანის მეათე ფილაზე გამოსახულ მქადაგებელსა და მეთერთმეტე ფილაზე გამოსახულ ქტიტორს კვართი აცვიათ, ხოლო მის ზემოდან ბისონი[9] მოსავთ, რომელიც ტრადიციისამებრ, კვართზე ოდნავ მოკლე იყო. ორივე ფიგურას ქვედა სამოსი წელზე სარტყლით აქვს შეკრული (მეთერთმეტე ფილაზე გამოსახული ფიგურა მოწინების ნიშნად წელში ოდნავ მოხრილია, ამიტომ ამ შემთხვევაში სარტყლის მხოლოდ მცირე ფრაგმენტი ჩანს). X-XI საუკუნეებში შიდა სამოსს სარტყლით იკრავდნენ ეპისკოპოსები, ისევე როგორც საერო პირები. ერთ-ერთ ვიზუალურ ნიმუშად შეგვიძლია სოხუმის მიდამოებში ნაპოვნ ფილაზე გამოსახული ეპისკოპოსის სამოსი მოვიხმოთ (ეს რელიეფი X საუკუნით თარიღდება). როგორც ნ. ჩოფიკაშვილი აღნიშნავდა, ეპისკოპოსის კვართის „გადმოწეული ზედატანი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს კვართზე სარტყელია შემოჭერილი“ (ჩოფიკაშვილი 1964: 95).

მეათე ფილაზე გამოსახული მქადაგებლისა და მეთერთმეტე ფილაზე გამოსახული ქტიტორის ჩაცმულობა – სარტყლით შეკრული კვართი და ზემოდან წამოსხმული ბისონი – იდენტურია. ორივეს ერთნაირი ქუდი ჰხურავს და წვერის ფორმაც მსგავსი აქვს.[10] ამგვარად, არსებობს იმის საფუძველი, რომ ეს ორი ფიგურა ერთსა და იმავე პიროვნებასთან, კონკრეტულად კი ეპისკოპოსთან გავაიგივოთ. როგორც ჩანს, ფიგურის გვერდხედში გადმოცემამ და რელიეფის უფრო მეტად დეტალიზების შეუძლებლობამ განაპირობა ის, რომ საეპისკოპოსო სამოსზე ოლარი არ გაირჩევა. რაც შეეხება ენქერს: ეპისკოპოსები მას მარჯვენა თეძოს მხარეს ატარებენ, ამიტომ ენქერი რელიეფზე ვერ აისახებოდა (ორივე შემთხვევაში, ფიგურა მარცხენა გვერდიდანაა ნაჩვენები). სამოსზე ზემორე მსჯელობისას ვეყრდნობი იმ ფაქტს, რომ X საუკუნისთვის, ორთავე აღმოსავლეთ და დასავლეთ ქრისტიანულ სამყაროებში, მღვდლისა და მღვდელმთავრის სამოსის ფორმა უკვე დაკანონებულია, თანაც ორივეგან ეს შესამოსელი ერთმანეთის მსგავსია (დევონშირ-ჯონსი, მიურეი 2013: 636).

ორივე ფილაზე გამოსახულ ეპისკოპოსს დაბალი, ცილინდრული ფორმის თავსაბურავი ჰხურავს. სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ვიზუალური მასალა ან წერილობითი წყარო, რომლებიც ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოში გავრცელებული საეპისკოპოსო მიტრის ფორმას გაგვაცნობდა. ვიცით მხოლოდ, რომ ძველი ქართველები მიტრას „ხუირის“ სახელით იცნობდნენ: ეს ტერმინი მელქისედეკ კათალიკოსის დაწერილშია ნახსენები (1031/1033) (ენუქიძე და სხვები 1984: 23). ანუ, XI საუკუნის პირველი ნახევრისთვის, მიტრა საქართველოს მაღალ საეკლესიო იერარქთა მიერ თავსაბურავად უკვე გამოიყენებოდა. ანალოგიური მდგომარეობა ჩანს დასავლეთ საქრისტიანოშიც: წერილობითი წყაროს თანახმად, 1063 წელს, რომის პაპმა მიტრის ტარების პატივი, მართალია, არა ეპისკოპოსს, მაგრამ ასევე მაღალი ხარისხის სასულიერო პირს – კენტერბერის წმინდა ავგუსტინის მონასტრის აბატს – ეგელსინუსს უბოძა (მილნერი 1846: 150). არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმად მიტრა, როგორც ეპისკოპოსის თავსაბურავი, დასავლეთ საქრისტიანოში ერთი საუკუნით გვიან – XII საუკუნეში გამოჩნდა (ბერტოლდი 2009: 249). ზემოთ მოყვანილი ცნობების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ X საუკუნეში ქართველი ეპისკოპოსები მიტრას, როგორც ჩანს, ჯერ არ იყენებდნენ და ისეთივე ფორმის თავსაბურავით სარგებლობდნენ, როგორითაც დიდებულნი. ქოროღოს რელიეფებზე აღბეჭდილი გამოსახულებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ თავსაბურავს ცილინდრული ფორმა და ბრტყელი ზედაპირი ჰქონდა.

შევაჯამოთ ზემორე მსჯელობის შედეგები: რ. მეფისაშვილი წერს, რომ მქადაგებელი „შემოსილია კაბასა და მანტიაში“ (მეფისაშვილი 1969: 226), ხოლო ქტიტორი – „მღვდელმსახურის მსგავსად, ჰიმატიონში“ (მეფისაშვილი 1969: 227). ჩემი აზრით, ორივე ეს ფიგურა ზუსტად ერთნაირად – კვართ-

სა და ბისონშია შემოსილი და ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე მღვდელმსახური, კერძოდ, ეპისკოპოსია გამოსახული; ანუ, მქადაგებელიცა და ქტიტორიც ერთი და იგივე პიროვნებაა. თავის მხრივ, ზემორე დასკვნიდან გამომდინარე, ირკვევა ის მიზეზი, რამაც ქოროლოში ეკლესიის მშენებლობის სცენების მიმდევრობის გამოკვეთის საჭიროება განაპირობა, რის ახსნასაც ქვემოთ შევეცდები.

ქტიტორის ორჯერ გამოსახვა – ერთხელ ქადაგებისას, მეორედ კი ეკლესიის მოდელის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისთვის მიძღვნის პროცესში და ამ ორი სიუჟეტისთვის სამშენებლო ოპერაციების ამსახველი სცენების დამატება მაფიქრებინებს, რომ ქოროლოს ეკლესიის მშენებლობა ეპისკოპოსისა და ადგილობრივი თემის ერთობლივი ქტიტორობით უნდა განხორციელებულიყო. ვგულისხმობ იმას, რომ ადგილობრივი თემის წევრთა მიერ სამშენებლო სამუშაოთა უსასყიდლოდ შესრულებაში გამოიხატებოდა. როგორც ზემოთაც აღვნიშნე, საქართველოში მდაბიოთა მონაწილეობით ეკლესიის მშენებლობის ჯგუფური ქტიტორობის შემთხვევებიც გვხვდება, რისი დამადასტურებელი წარწერაც მოვიყვანე (სილოგავა 1980: 62-63). იმის გამო, რომ ქტიტორთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის გამოსახვის ტრადიცია არ არსებობდა, რელიეფების გამომკვეთმა ოსტატმა ადგილობრივი თემის წევრები კონკრეტული საქმიანობის პროცესში გამოსახა,[11] ხოლო კრებსითი ქტიტორის როლი ერთ წარჩინებულ პირს – ეპისკოპოსს დააკისრა, რომელიც, იმავდროულად, ჩვეული საქმიანობის – ქადაგების პროცესშიც გამოსახა. ქოროლოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლობის დროისთვის მთიულეთის სამწყსო წილკნის ეპარქიას ექვემდებარებოდა და ამიტომ, კრებსით ქტიტორად წილკნელი ეპისკოპოსი უნდა მოვიაზროთ.[12]

ვნახოთ, ხომ არ იძლევა დამატებით ინფორმაციას ლავგარდანის ჩრდილოეთ ბოლოში ჩასმული კუთხის ფილის ზედა თაროზე, რელიეფური გამოსახულების ზემოთ ამოკვეთილი რამდენიმე ასომთავრული გრაფემა? პირველია შვეული ხაზი, ქვედა ბოლოში მარჯვნივ ცერად გაზიდული მოკლე მორჩით. ქვის კიდის ჩამომტვრევის გამო გრაფემის მარცხენა ნახევარი დაკარგულია. პირველი, დაზიანებული გრაფემის შემდეგ, გარკვევით იკითხება ოთხი გრაფემა – „წარმ“ და კიდევ ერთი გაურკვეველი გრაფემა. აშკარაა, რომ საქმე დაქარაგმებულ სიტყვასთან ან სიტყვის ფრაგმენტთან გვაქვს, რომლის სავარაუდო შინაარსის აღსადგენად ეკლესიის დასავლეთი ფასადის ორი სარკმლიდან ერთ-ერთის, კერძოდ, კედლის ჩრდილოეთ ნაწილში გაჭრილი სარკმლის ზედაზე ამოკვეთილი ასომთავრული წარწერა მოვიხმე, რადგან ამ წარწერის საწყის ნაწილშიც იგივე ოთხი გრაფემა „წარმ“ იკითხება.

პირველი ცნობა ქოროლოს ამ წარწერის შესახებ სერგი მაკალათიას წიგნში იძებნება. ტექსტს წარწერის არცთუ ცუდი ხარისხის ფოტოც აქვს დართული, თუმცა მკვლევარს გრაფემების გარჩევა გასჭირვებია, ტექსტი შეცდომით ამოუკითხავს („ნუ წარმელინე [ტ] აგ [ა] ხად“) და ამიტომ აზრიც ვერ გამოუტანია (მაკალათია 1930: 183). ამ წარწერის წაკითხვა მოცემული აქვს ჯ. გვასალიას. მას პალეოგრაფიული ანალიზის დეტალები არ მოჰყავს და ზოგადად აღნიშნავს, რომ ორთავ – ლავგარდანზე ამოკვეთილი გრაფემები და დასაელეთი ფასადის სარკმლის ზედანის წარწერა „პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XII საუკუნეზე ადრე არ შეიძლება იყოს შესრულებული“ (გვასალია და სხვები 1983: 36). ამ წარწერის არსებობა, ტექსტის მოყვანის გარეშე, ნახსენებია ძეგლთა აღწერილობის II ტომში. აღნიშნულია, რომ „პალეოგრაფიული ნიშნებით ორივე წარწერა XII საუკუნით თარიღდება და ეკლესიის აგების შემდგომაა შესრულებული“ (დვალი 2008: 330). როგორც ვხედავთ, ორ გამოცემაში წარწერის შესრულების თარიღად XII საუკუნეა მითითებული. წარწერისა და ეკლესიის მშენებლობის თარიღების ერთმანეთთან შეუსაბამისობის ნიველირებისთვის, ორივე ავტორი აღნიშნავს, რომ წარწერა მშენებლობის დასრულებიდან საკმაო ხნის გასვლის შემდეგაა შესრულებული.

ქოროლოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთი ფასადის სარკმლის ზედანზე შესრულებული წარწერა ერთსტრიქონიანია (სურ. 9). სტრიქონის მკაცრი ჰორიზონტალურობა დაცული არ არის. წარწერას ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. სიტყვები ერთმანეთისაგან დაცილებული არაა. წარწერა უთარიღოა. ქოროლოს ღვთისმშობლის ეკლესიის სარკმლის წარწერის ტექსტში სულ სამი სიტყვაა რომლებიც შემდეგნაირად იკითხება:

ⴖⵁ ⵒⵔⴰⵣ[ⵔ]ⵏⴰⵖⵏⵉ ⵛⵢⵔⵒ[ⵖ]ⵔⵔⵙ
ნუ წარმ[ა]ელინებ ცეცხ[ლ]ად

ეს წარწერა საეკლესიო წარწერათა ჯგუფს მიეკუთვნება, თუმცა მისი შინაარსი არატრადიციულია. ტექსტი არ შეიცავს სტანდარტულ ფრაზებს – „ქრისტე შემიწყალე“, ან „უფალო შემიწყალე“. ამგვარ დასაწყისს, მაეკლესიის სახელთან ერთად, დაკარგულად ვერ მივიჩნევთ: ზედანი, რომელ-

ზეც წარწერაა შესრულებული, საკმაოდ გრძელი, ერთიანი ქვაა, რომლის სიმეტრიის ვერტიკალურ ღერძზე სარკმლის ღიობის წრიული დაბოლოებაა ჩაკვეთილი, რაც მიგვანიშნებს, რომ საზედაო ქვას სამხრეთი და ჩრდილოეთი დაბოლოებები ჩამომტვრეული არ აქვს და ის ჩვენამდე სრული სახითაა მოღწეული.

მავედრებელი, რომლის სახელი ტექსტში მოხსენიებული არ არის, უფალს საკმაოდ ორიგინალური ფრაზით *შესთხოვს* სულის მეოხებას: „ნუ წარმაელინებ ცეცხლად“. უფლისადმი ამგვარი თხოვნით მიმართვა არის გამოძახილი სახარებაში რამდენჯერმე გაჟღერებული შეგონებისა იმის შესახებ, თუ რა განსაცდელი მოელის თითოეულ ცოდვილს განკითხვის დღის დადგომისას: „ესრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ: რამეთუ გამოვიდენ ანგელოზნი და განაშორნენ უკეთურნი იგი შორის მართალთა. და შთასთხინენ იგინი შორის საჴუმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ“ (მათე 13: 49-50).

იმის გათვალისწინებით, რომ წარწერა უთარიღოა, მის დათარიღებას პალეოგრაფიულ თავისებურებებზე დაყრდნობით შევეცდები. გრაფემების მოხაზულობაში გაკუთხოვნების ტენდენცია შეიმჩნევა, რაც IX-X საუკუნეების წარწერებს ახასიათებს, ხოლო XI საუკუნიდან აღარ გვხვდება (შოშიაშვილი 1980: 237). სხვა მოსაზრების თანახმად კი, ასომთავრული ასოების გაკუთხოვნება არა IX საუკუნიდან, არამედ X საუკუნიდან დაიწყო (დანელია, სარჯველაძე 1997: 7). ჩვენს წარწერაში „უ“ ბგერა ერთი გრაფემითაა გადმოცემული (Ꙋ). საერთოდ მიჩნეულია, რომ „უ“ ბგერის Ꙋ და Ч გრაფემების წყვილის მეშვეობით გადმოცემა V-X საუკუნეების დაწერილობის თავისებურებაა (სილოგავა 1999: 83), თუმცა არსებობს იშვიათი შემთხვევები, როცა „უ“ ბგერა ერთი გრაფიკული ნიშნით უკვე IX საუკუნიდან გადმოიცემა (დანელია, სარჯველაძე 1997: 16-17). კიდევ ერთი სახასიათო პალეოგრაფიული ნიშანია Ⴑ გრაფემის ზედა ჰორიზონტალური ხაზის ქვედა რკალიდან (მუცლიდან) დაშორება. რენე შმერლინგის დაკვირვებით, X-XI საუკუნეების მიჯნამდე რკალი და ხაზი ერთმანეთს ებმოდა (შმერლინგი 1979: 113). ვალერი სილოგავას აზრით კი, ანის განივი ხაზი მუცლის რკალს პირველად XII საუკუნიდან დაშორდა (სილოგავა 1999: 161). ჩემი დაკვირვებით, დაშორება აშკარაა XI საუკუნის დასაწყისისთანავე. მაგალითად გამოდგება წარწერა გაბრიელ მთავარანგელოზის ხატზე მესტიიდან, რომელიც X-XI საუკუნეთა მიჯნით, XI საუკუნის დასაწყისითაა დათარიღებული (ჩუბინაშვილი 1959: 276, ტაბ. 68); წარწერები XI საუკუნის დასაწყისის კაცხის საკურთხეველის ჯვარზე და რაჭის ერისთავ რატის მიერ შეწირულ ჯვარზე (ჩუბინაშვილი 1959: 481, ფოტოები 275-276, ტაბ. 70), აგრეთვე გვაზავას ნახელავ, XI საუკუნის პირველი მესამედის მაცხოვრის ხატზე (ჩუბინაშვილი 1959: 382, ტაბ. 106); XI საუკუნის ფხოტრერის მთავარანგელოზის ხატზე (ჩუბინაშვილი 1959: 602, ფოტო 381). დაბოლოს, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, წარწერას ქარაგმისა და განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს და არც სიტყვებია ერთმანეთისგან დაცილებული, რაც ადრეულობის ნიშანია: სიტყვათა განცალკევება და განკვეთილობის ნიშნების ხმარება IX საუკუნიდან დაიწყეს, XI საუკუნიდან კი ეს წესი მტკიცედ დამკვიდრდა.

ზემოთ მოყვანილი პალეოგრაფიული ნიშნების ერთობლიობის საფუძველზე, ქოროლოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთი ფასადის სარკმლის ზედანზე შესრულებული წარწერა, X-XI საუკუნეთა მიჯნით უნდა დათარიღდეს და, ამდენად, ის ეკლესიის მშენებლობის თანადროულია.

სავარაუდოა, რომ თავდაპირველად, წარწერის ავტორმა გრაფემების ამოკვეთა ეკლესიის ლავგარდანის კუთხის ფილის ზედა თაროზე დაიწყო, თუმცა მალევე გადაიფიქრა და სავედრებელი წარწერა ეკლესიის დასავლეთი ფასადის სარკმლის ზედანზე ამოკვეთა. ამის სავარაუდო მიზეზი ალბათ ის იყო, რომ ეკლესიაში მისული მომლოცველი სარკმლის ზედანზე შესრულებულ წარწერას უფრო ადვილად ნაიკითხავდა, ვიდრე მასზე უფრო მაღლა, ლავგარდანზე განთავსებულ წარწერას.

წარწერისა და რელიეფების შესრულების თანადროულობა შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მიუხედავად წარწერის ტექსტში მხოლობითი რიცხვის პირველ პირში დასმული მიმართვის გამოყენებისა, ეს არის თემის წევრთა კრებსითი სავედრებელი უფლისადმი და წარწერა ამიტომაც არ შეიცავს მავედრებლის სახელს.

ქოროლოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიიდან კიდევ ერთი რელიეფიანი ქვაა ცნობილი, რომელიც თავის დროზე ეკლესიის კარიბჭის სვეტისთავს წარმოადგენდა. ახლა კი გვიანდელი სამხრეთი მინაშენის კედელში მეორადი გამოყენების ქვად არის ჩატანებული. სვეტისთავზე ამოკვეთილია სამფიგურიანი კომპოზიცია საშუალო ასაკის წვერიანი მამაკაცის, სავარაუდოდ, ოჯახის თავისა, და მისი უწვერული ვაჟების გამოსახულებებით (სურ. 10). მამაკაცის ზედა სამოსი, ქვედა სამოსთან შედარებით, გაცილებით უფრო მოკლე და მნიშვნელოვნად უფრო მეტად ხალვათია, ვიდრე

ლავგარდანზე გამოსახული ეპისკოპოსის შესამოსელი (პირველის სამოსის ნაკეცები ქვემოთკენ მკაცრად ვერტიკალურად ეშვება, მაშინ როცა სასულიერო პირის სამოსის შემთხვევაში, ნაკეცები ზურგის მიმართულებით ირკალება). სვეტისთავზე გამოსახული მამაკაცის შესამოსელი შესაბამისი პერიოდის საერო სამოსის ანალოგიურია: მას საერო კაბა და მოსასხამი აცვია. ე. ი. კარიბჭის სვეტისთავზე გამოსახულია საერო პირი თავის ვაჟებთან ერთად.

რ. მეფისაშვილიც აღნიშნავს, რომ სვეტისთავზე გამოსახული პირები დიდგვაროვან მოხელეთა წრის წარმომადგენლები არიან და ვარაუდობს, რომ მათ ეკლესიის აგებასთან გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეთ (მეფისაშვილი 1965: 36): მკვლევარმა წვერიანი მამაკაცის სახით ქოროლოს ეკლესიის მეორე ქტიტორი დაინახა. რ. მეფისაშვილი ამ ვარაუდის გამოთქმისას შუახნის მამაკაცის ხელთან გამოსახული სწორკუთხა საგნის მისეულ ინტერპრეტაციას ეფუძნება, აიგივებს რა მას ეკლესიის გეგმასთან. მკვლევარი თავისი მოსაზრების შესამაგრებლად ამბობს, რომ საგნის ზედა ნაწილში ამოკვეთილი სამრკალიანი მრუდი ქოროლოს ეკლესიის სამნაწილიან საკურთხეველს ასახავს. იგივე აზრისაა დ. ხოშტარიაც (ხოშტარია 2012: 2). ქოროლოს საკურთხეველი, მართლაც, სამნაწილიანია: ეკლესიის საკურთხევლის ხაზზე მდგომ ორ კვადრატულ ბურჯზე დაყრდნობილი, აღმოსავლეთის მიმართულებით გადაყვანილი ორსაფეხურიანი თაღები ეკლესიის საკურთხეველს სამ ნაწილად ჰყოფს და თითოეული ეს ნაწილი კონქით არის დასრულებული. მაგრამ თუ ამ „გეგმას“ ეკლესიის რეალურ გეგმას შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ იმ დროს როცა კონქების აღმნიშნელი სამივე რკალი, სინამდვილეში, აღმოსავლეთ კედელს ებჯინება, ანუ ერთ ხაზზეა განლაგებული (სურ. 11), რელიეფზე ასახულ „გეგმაზე“ შუა რკალი გარეთკენაა გაზიდული. ამავე „გეგმაზე“ კიდევ ორი უზუსტობაა: მასზე ნაჩვენები არაა ეკლესიის ინტერიერში მდგომი სამი სვეტი, აგრეთვე კარიბჭე. უზუსტობაა დაშვებული რელიეფური გამოსახულების რ. მეფისაშვილისეულ აღწერაშიც: მკვლევარი მიიჩნევს, რომ „გეგმა“ მამაკაცს ხელში უჭირავს. სინამდვილეში კი მეწინავე მამაკაცი, ისევე როგორც მის უკან მდგომი ჭაბუკი და ყრმა, ვედრების პოზაშია გამოსახული და მისი ხელები განსახილველ „გეგმას“ არც კი ეხება (სურ. 11).

რ. მეფისაშვილმა და დ. ხოშტარიამ ამ შეუსაბამობებს დიდი მნიშვნელობა არ მიანიჭეს[13] და ეკლესიის „გეგმა“, სიმბოლურად, ეკლესიის მოდელთან გააიგივეს (მეფისაშვილი 1969: 229); (ხოშტარია 2012: 3), ანუ მიიჩნიეს, რომ ნახსენებ რელიეფზე გამოსახული ქტიტორი ეკლესიის „გეგმას“, ეკლესიის მოდელის მნიშვნელობით, წმინდანს მიართმევს. ამ მოსაზრების შესამაგრებლად, რ. მეფისაშვილმა ორი გვერდი დაუთმო იმაზე მსჯელობას, რომ შუა საუკუნეებში უკვე არსებობდა წესი, რომლის თანახმად, ეკლესიის მშენებლობის დაწყებამდე მის გეგმას ხაზავდნენ. მკვლევრის მოსაზრება საქტიტორო გამოსახულებაში ეკლესიის მოდელის მისივე გეგმით ჩანაცვლების თაობაზე არასწორად მიმაჩნია, პირველ რიგში იმიტომ, რომ მსგავსი რამ უცნობია როგორც აღმოსავლეთი, ისე დასაელეთი სამყაროს ქრისტიანული ხელოვნებისათვის. რ. მეფისაშვილის მოსაზრების საწინააღმდეგო კიდევ რამდენიმე სხვა არგუმენტიც მაქვს, რომლებსაც სათითაოდ განვიხილავ.

ცოტა ხნით დავუშვათ, რომ რ. მეფისაშვილის ინტერპრეტაცია სწორია და სვეტისთავზე გამოსახული „გეგმა“ ეკლესიის მოდელის ტოლფასი საქტიტორო ატრიბუტია. ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა აიხსნას ის რეალობა, რომ ქტიტორს საქტიტორო ატრიბუტი ხელში არ უჭირავს? როგორც უკვე აღვნიშნე, წვერიანი მამაკაცის ხელები განსახილველ „გეგმას“ არც კი ეხება: იგი, უბრალოდ, ვედრების პოზაშია გამოსახული. სხვათა შორის, კონტაქტის დაკარგვა ქტიტორის ხელის მტევანსა და ეკლესიის მოდელს შორის უფრო მოგვიანო პერიოდში, კერძოდ, XIII საუკუნის დასაწყისიდან მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე არსებული სომხური ეკლესიების რელიეფებზე შეინიშნება და ეს მოვლენა საქტიტორო კომპოზიციის ახლებურად გააზრებას უკავშირდება. კერძოდ, ამ დროიდან, ეკლესიის მოდელმა ძღვნის მნიშვნელობა დაკარგა და ზეციური ეკლესიის სიმბოლოდ გადაიქცა, რომელიც სასუფეველზე მიანიშნებს (კარილე 2014: 6-7). ამგვარად, ქოროლოს ეკლესიის კარიბჭის სვეტისთავზე ამოკვეთილი გამოსახულება ქტიტორის მიერ მფარველი წმინდანისადმი ეკლესიის მოდელის მიძღვნის დაკანონებულ სქემას ვერ აკმაყოფილებს. გარდა ამისა, თუ ჰიპოთეტურად მაინც დავუშვებთ, რომ ყარაბაღის სომხური ეკლესიების რელიეფებზე დადასტურებული, ქტიტორის ხელის მტევანსა და ეკლესიის მოდელს შორის კონტაქტის დაკარგვის მხატვრული ხერხი ჯერ კიდევ X-XI საუკუნეებში გამოიყენებოდა, რა დროსაც ქართველმა ოსტატმა მისი განმეორება ქოროლოს ეკლესიის განსახილველ „საქტიტორო“ რელიეფის კომპოზიციის აგებისას გადაწყვიტა, იგი ზეციური სასუფევლის სიმბოლოდ ეკლესიის „გეგმას“ ნამდვილად არ მოიხმობდა, რადგან ქრისტიანული სამყარო, რომელიც ქართულ, ბიზანტიურ, აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ეკლესიებს მოიცავს, ზეციური ეკლესიისა და სასუფევლის გადმოსაცემად ეკლესიის გეგმის გამოყენების სიმბოლიზმს არ იცნობს.

რ. მეფისაშვილის მიერ გამოთქმული და შემდგომში სხვათა მიერ გამეორებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმად სვეტისთავზე საქტიტორო პორტრეტია გამოსახული, მესამე არგუმენტიც მაქვს: ეკლესიაში ქტიტორთა გამოსახვის ტრადიციის გათვალისწინებით, შეუძლებელია, რომ მოდელითა და მოდელის იმიტაციით „ხელდამშვენებული“, ეკლესიის მაშენებელი ორი ქტიტორი (თუ ამგვარ შემთხვევასთან მართლაც გვაქვს საქმე) ერთმანეთისაგან განცალკევებულად, ნაგებობის ხვადასხვა ნაწილებში გამოესახათ. თუ გავიხსენებთ ოშკის ტაძრის სამხრეთი ფასადის აღმოსაველეთ ნაწილში განთავსებულ ქტიტორულ რელიეფს (963-973), ეკლესიის მოდელებთან ერთად გამოსახული ორივე მაშენებელი – ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით მაგისტროსი, რომლებიც ქტიტორებად წარწერაშიც არიან მოხსენიებულნი, ერთი კომპოზიციის შემადგენელი ნაწილია. როგორც ვახტანგ ჯობაძე აღნიშნავს, ორივე მოდელი ერთსა და იმავე ეკლესიას ასახავს, ოღონდ სხვადასხვა კუთხიდან დანახულს: ერთი მოდელი ტაძრის სამხრეთ მხარეს წარმოაჩენს, მეორე კი – ცალკე აღებულ სამხრეთ მკლავს (ჯობაძე 1991: 27, სქოლიო 43). ერთი კომპოზიციის ნაწილია ჰაგია სოფიას მოზაიკაზე გამოსახული ორი ქტიტორი – ბიზანტიელი იმპერატორები იუსტინიანე და კონსტანტინე დიდი, რომლებიც ჩვილედ ღვთისმშობელს მოდელებს მიართმევენ: იუსტინიანეს ხელში ჰაგია სოფიას მოდელი უჭირავს, ხოლო კონსტანტინე დიდს – კონსტანტინოპოლის მოდელი. გვხდება ისეთი კომპოზიციური გადაწყვეტაც, როცა ორ ქტიტორს საზიარო მოდელი უჭირავს, მაგალითად როგორც შეპიაკისა (X საუკუნე, სურ. 12) და ფეტობანის (X საუკუნე, სურ. 13) ეკლესიების რელიეფებზეა. ამასთან ერთად, ცნობილია ქტიტორთა ერთი და იგივე წყვილის ერთდროულად ეკლესიის ორ სხვადასხვა ფასადზე გამოსახვის შემთხვევაც. კერძოდ, დადივანქის მონასტრის მთავარი ეკლესიის (1214) ქტიტორები – ჰასან და გრიგორ არწახელები, საზიარო ეკლესიის მოდელთან ერთად, ორ სხვადასხვა – აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადებზე, ორივე შემთხვევაში გვერდიგვერდ არიან გამოსახულნი. ქორაღოს ეკლესიის თანადროული ქართული ეკლესიების ზემოთ დამოწმებული რელიეფებისა და დადივანქის ეკლესიის XIII საუკუნის რელიეფის მაგალითებზე დაყრდნობით, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ერთი ეკლესიის საზღვრებში რამდენიმე ქტიტორის გამოსახვის საჭიროების შემთხვევაში, ეს ქტიტორები აუცილებლად ერთად, ერთი სიუჟეტის ფარგლებში გამოისახებოდა. ამიტომ ქორაღოს კარიბჭის სვეტისთავზე გამოსახული ქტიტორი ეკლესიის მაშენებელი ვერ იქნება, რამდენადაც რეალური ქტიტორის გამოსახულება, ეკლესიის მოდელით ხელში, დასავლეთი ფასადის ლავგარდანზეა მოთავსებული.[14] სვეტისთავზე გამოსახული პირები ვერც ცალკე კარიბჭის მშენებლობის ქტიტორები იქნებიან, რადგან კარიბჭე და დარბაზი ერთდროულად აიგო, თანაც კარიბჭე არქიტექტურულად და გაფორმების მხრივ საერთოდ არაფრით გამოირჩევა.

მაქვს მეოთხე არგუმენტიც: ბიზანტიური ტრადიციისგან განსხვავებით, ქართულ ეკლესიებზე ქტიტორების რელიეფები ყოველთვის ეკლესიის ფასადზე გამოისახებოდა, თანაც მხოლოდ მთავარ ნაგებობაზე და თვალსაჩინო ადგილას. აშკარაა, რომ ეკლესიის არაფრით გამორჩეული კარიბჭის სვეტისთავის რელიეფი ამ ტრადიციასთან წინააღმდეგობაში მოდის.

შეჯამების სახით აღვნიშნავ, რომ ქორაღოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის სვეტისთავის რელიეფზე გამოსახული პირების კავშირი ეკლესიის აგებასთან არ დასტურდება. სხვანაირად რომ ვთქვა, ამ რელიეფზე ორ ვაჟთან ერთად გამოსახული ქართველი დიდებულის მიერ მფარველი წმინდანისადმი თითქოსდა ეკლესიის „გეგმის“ მიძღვნის თაობაზე არსებულ მოსაზრებას არ ვიზიარებ და მას არც ეკლესიის მშენებლობის ქტიტორად მივიჩნევ. ის მოცემულობა, რომ რელიეფზე მხოლოდ ოჯახის თავი და მისი ვაჟებია გამოსახული, მაფიქრებინებს, რომ გამოქანდაკების დროისათვის მათი მეუღლე და დედა უკვე გარდაცვლილი იყო. ასეთ შემთხვევაში, ვედრების პოზაში მდგომი ოჯახის წევრები მფარველ წმინდანს, სავარაუდოდ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, გარდაცვლილი მეუღლისა და დედის სულის ცათა სასუფეველში დასამკვიდრებლად მეოხებასა და თავისი ოჯახისთვის ორთავე ცხოვრებაში შეწევნას შესთხოვენ.

იმისათვის, რომ სვეტისთავზე გამოსახული სწორკუთხა საგნის რაობის საკითხი ღიად არ დარჩეს, შევეცდები, რომ ფრთხილი ვარაუდის დონეზე მას გარკვეული ახსნა მოვუძებნო.

შესაძლოა, რომ ქორაღოს სამფიგურიან რელიეფურ კომპოზიციაში, სწორკუთხედის ფარგლებში, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კერამიკული ხატი ყოფილიყო ჩასმული. ზოგადად, სამრკალიანი არშიით, როგორიც რელიეფზეა, მინიატურებსა და ფრესკებს აჩარჩოებდნენ. მაგალითად, გარეჯის კედლის მოხატულობაში ამის არაერთი მაგალითი გვაქვს.

კერამიკული ჩანართების გამოყენება ეკლესიის გასამშვენებლად ქართული საეკლესიო ხელოვნებისთვის უცხო არაა. მაგალითად, რელიგიური გამოსახულებებით გაფორმებული კერამიკული ფილები (შორენკეცები) ნირქოლის, ყანჩაეთის კაბენისა და ქურთას ეკლესიების დეკორირებისთ-

ვის იყო გამოყენებული. ეს ფილები ნახსენები ეკლესიების თანადროულად არის მიჩნეული (VIII-IX) (მაისურაძე 1967: 8-9, 13). მათი სისქე 3-5 სანტიმეტრის ფარგლებში მერყეობს. ფილებზე აღბეჭდილი რელიეფური გამოსახულებები, დამატებით, წეტიანი იარაღის მეშვეობით არის დამუშავებული: დაშტრიხულია ფიგურების თმა, წვერი და სამოსი; ჩალრმავებულია თვალების, ყურებისა და პირის ღრმულები (მაისურაძე 1967: 11). ყანჩაეთის კაბენის ეკლესიის გუმბათის ჩამოქცევის შემდეგ გამოვლენილ კერამიკულ ფილებზე გამოსახულ წმინდანთა სამოსზე დატანილია წითელი და მორუხო-ლურჯი ზოლები (ხუნდაძე 2014), რითაც კერამიკული გამოსახულებების გახატოვნება მოხდა. გვაქვს უცხოური მაგალითებიც. 711 წლამდე პერიოდის ტერაკოტას მცირე ზომის ხატები აღმოჩენილია ვინიკაში (მაკედონია). მოჭიქული კერამიკული ხატები მზადდებოდა პრესლავში (ბულგარეთი). ადრე და განვითარებული შუა საუკუნეების ქრისტიანულ ხელოვნებაში გამოსახულების „გაცოცხლების" მიზნით მასში განსხვავებული მასალის ჩართვა მიღებული ხერხი იყო. მაგალითად: ა) მონაცისფრო-ლურჯი ფერის მოჭიქული კერამიკის ჩანართებიანი ქვის ფრიზი ჰქონდა პანაღია პარიგორიტისას სამონასტრო ეკლესიას (1283-1296, ქ. არტა, საბერძნეთი) (ჟავორონკოვი 1991: 123). ბ) სალერნოს კათედრალის (იტალია) XII საუკუნის ქვის საქადაგო კათედრის რელიეფური გამოსახულებები მოზაიკურ ფონზეა განთავსებული (ტავენორ-პერი 1906: 401); გ) მონრეალეს კათედრალის (1174-1189) მთავარი შესასვლელის გაფორმებაში მარმარილოს რელიეფები და მოზაიკური ფონი მონაცვლეობს (კიერიკეტე 1987: 9, ტაბ. 6); დ) ქალაქ პრიენესთან (ამჟამად თურქეთი) მდებარე ბაზილიკაში (სავარაუდოდ V-VI საუკუნეების მიჯნა) კანკელის ქვის სვეტის ზედაპირზე ამოკვეთილი ჯვრები მეტალის ჩანართებით იყო შევსებული (ვესტფალენი 2000: 279). ზოგჯერ, გამოსახულებები ნახევრადძვირფასი და ძვირფასი ქვებითაც კი ირთვებოდა. მაგალითად, 1223 წელს, ტრაპეზუნის აკროპოლის ეკლესიაში არსებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მოზაიკური გამოსახულება, იმპერატორ ანდრონიკე II-ის ბრძანებით, თვალ-მარგალიტით შეამკეს (პაპადოპულო-კერამევსი 1897: 115, 131).

გავიმეორებ, რომ მოსაზრება სვეტისთავის რელიეფში კერამიკული ხატის ჩანართის შესაძლო არსებობის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ ფრთხილი ვარაუდია და ის ერთადერთი მიზნით – სამფრთიანი კამარის მქონე სწორკუთხა საგნის რაობის ასახსნელად გამოვთქვი. მომავალში ამ ვარაუდის სისწორის ან შესაძლო მცდარობის დადგენა ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს იმ მთავარ დასკვნაზე, რომლის თანახმად სვეტისთავის რელიეფზე ვაჟებთან ერთად გამოსახული დიდგვაროვანი ქოროლოს ეკლესიის მშენებლობის ქტიტორი არ არის. ეს დასკვნა არა ჩანართის არსებობა-არარსებობას, არამედ ქტიტორთა გამოსახვის ტრადიციული წესების ანალიზს ემყარება.

ქოროლოს რელიეფების ისტორიული წყაროს თვალსაზრისით შესწავლამ და მათმა ახლებურმა გააზრებამ ეკლესიის შესახებ არსებულ ცოდნაში გარკვეული ცვლილება და სიახლე შეიტანა. ანალიზის შედეგად შემდეგი ძირითადი დასკვნები იქნა მიღებული:

1. ქოროლოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთი ფასადის ლავგარდანზე არსებული რელიეფების ანალიზმა გვაჩვენა, რომ ეკლესია ეპისკოპოსისა და ადგილობრივი თემის წარმომადგენელთა ერთობლივი ქტიტორობით აიგო.
2. ლავგარდანის რელიეფურ გამოსახულებაში ასახული, ეპისკოპოსისა და ადგილობრივი თემის წევრთა ერთობლივი ქტიტორობის ფაქტი გამორიცხავს იმ არსებული მოსაზრების შესაძლებლობას, რომ ქოროლოს ეკლესიის აგება რომელიმე დიდებულის, ან კახეთის სამთავროს ქორეპისკოპოსის ქტიტორობას უკავშირდებოდა.
3. როგორც პალეოგრაფიულმა ანალიზმა აჩვენა, ქოროლოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთი ფასადის სარკმლის ზედანზე შესრულებული წარწერა თარიღდება არა XII საუკუნით, როგორც აქამდე იყო მიჩნეული, არამედ X-XI საუკუნეების მიჯნით და, შესაბამისად, ეკლესიის მშენებლობის თანადროულადაა შესრულებული.
4. ეკლესიის კარიბჭის სვეტისთავის რელიეფზე გამოსახული სწორკუთხა, სამფრთიანი კამარის მქონე სწორკუთხა საგანი ეკლესიის გეგმას არ წარმოადგენს, როგორც აქამდე იყო მიჩნეული.
5. ეკლესიის კარიბჭის სვეტისთავზე ორ ვაჟთან ერთად გამოსახული შუახნის მამაკაცი, რომელიც აქამდე ეკლესიის ქტიტორად იყო მიჩნეულნი, სინამდვილეში მხოლოდ მავედრებელია.

შენიშვნები

[1] წინამდებარე სტატია ეფუძნება ჩემ მოხსენებას, რომელიც წავიკითხე 2015 წლის 19 დეკემბერს პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორია და სიძველეები", 19

დეკემბერი, 2015 წელი, გუდაური. მოხსენების სათაური იყო „ქოროლოს ეკლესიის არასამშენებლო შინაარსის რელიეფთა ახლებურად გააზრებისთვის“.

2 რ. მეფისაშვილმა ქოროლოს ეკლესიის გაფორმებისადმი მიძღვნილ თავის პირველ სტატიაში რელიეფების თარიღი ირიბად მიუთითა და ის X საუკუნის ფარგლებში მოათავსა (მეფისაშვილი 1965: 37). ამავე ავტორმა 1969 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ სტატიაში, აღნიშნა რა, ერთი მხრივ, რელიეფური გამოსახულებების სიუჟეტური მხარის ექსპრესიული ხაზგასმა, რაც X საუკუნის ბოლო მეოთხედისთვისაა დამახასიათებელი. ხოლო, მეორე მხრივ, გაითვალისწინა რა მთიულეთის რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ჩამორჩენა ქვეყნის ცენტრალური რეგიონების განვითარებასთან შედარებით, მიიჩნია, რომ ქოროლოს რელიეფები X-XI საუკუნეების მიჯნაზე უნდა შექმნათ (მეფისაშვილი 1969: 233). დ. ხოშტარია თავის სტატიაში ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლობის თარიღად, რაიმე ანალიზისა თუ დასაბუთების გარეშე, X საუკუნის მიწურულს უთითებს (ხოშტარია 2011: 96).

3 ლავგარდანი თორმეტი განსხვავებული სიგანის ფილისგან შედგება.

4 ღვთისმშობლის მკერდის დონეზე ყრმა ქრისტეს გამოსახულებიანი მედალიონია მოთავსებული. ყოველადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ეს ტიპი VI საუკუნიდანაა ცნობილი. ბიზანტიაში ის განსაკუთრებით პოპულარული X-XII საუკუნეებში იყო. მას შემდეგ რაც 1170 წელს, ნოვგოროდელებსა და სუზდალელებს შორის გამართული ბრძოლის დროს, ანალოგიურმა ხატმა ნოვგოროდელებს სასწაულებრივად გაამარჯვებინა, ის რუსეთშიც პოპულარული გახდა. ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში ნახსენები ტიპის ხატი ნაკლებად იყო გავრცელებული. რ. მეფისაშვილის აზრით, ქართველი ოსტატი ყოველადწმიდა ღვთისმშობლის გამოსახულების ქვაში კვეთისას, ლავგარდანის სხვა გამოსახულებების კვეთისაგან განსხვავებით, მზა ნიმუშით ხელმძღვანელობდა (მეფისაშვილი 1969: 228), რაც სავსებით ბუნებრივია.

5 ჯ. გვასალია ხადას ხეობაში თავდაცვითი კოშკების სისტემის არსებობასთან დაკავშირებით ვარაუდობს, რომ მათი მშენებლობა „პოლიტიკურის გარდა შეიძლება აიხსნას სოციალური მოშენტითაც. სუსტად დიფერენცირებული ხადის საზოგადოება (მთა) ენინააღმდეგებოდა სამხრეთიდან (ბარიდან) მომავალ ფეოდალიზაციას. იგივე ფაქტორმა შეიძლება ახსნას ხადაში კოშკთა სიმრავლე“ (გვასალია 1983: 61, სქოლიო 71). მთიულთა მიერ ფეოდალებისთვის გაწეული წინააღმდეგობა XIV საუკუნეშიც კი იმდენად ძლიერი და სისხლისმღვრელი იყო, რომ მეფე გიორგი ბრწყინვალე იძულებული გახდა საკანონმდებლო კრება მოეწვია და მთიულეთის თემის წევრების მიერ ფეოდალთა მკვლელობების აღსაკვეთად სპეციალური იურიდიული ნორმატიული დოკუმენტი – „ძეგლისდება“ გამოეცა.

6 როგორც ცნობილია, VIII-IX საუკუნეებში ცალკეული ხეობები ქვეყნებად გაერთიანდნენ. თითოეულ ასეთ ქვეყანას რომელიმე ნარჩინებული განაგებდა (ბერძენიშვილი 1990: 143).

7 ცნობა სავანის წარწერის შესახებ თემო ჯოჯუამ მომანოდა, რისთვისაც მისი მადლობელი ვარ.

8 იგივეს იმეორებენ ნ. ალადაშვილი (ალადაშვილი 1977: 106) და დ. ხოშტარია (ხოშტარია 2011: 97).

9 სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ბისონი არის სამეფო ან სამღვდელო სამოსელი.

10 ზოგადად, სასულიერო პირის წვერის სიგრძე საეკლესიო კანონით არ რეგულირდებოდა და მის სიგრძე-სიმოკლესა თუ ფორმას პირადი არჩევანი განსაზღვრავდა.

11 სხვათა შორის, ეკლესიის ლავგარდანზე, მშენებელ მამაკაცთა დარად, ქალიც არის გამოსახული, რომელსაც კალათით პროდუქტი მიაქვს. როგორც დ. ხოშტარია აღნიშნავს, „მშენებლობის ამსახველი შუა საუკუნეების სიუჟეტები ქალის გამოსახულებას არასდროს შეიცავდნენ“ (ხოშტარია 2011: 97).

12 ნილკნელი მწყემსმთავარი ინოდებოდა მუხრანის, ორსავე არაგვისა და ბაზალეთის ეპისკოპოსად.

13 დ. ხოშტარია აღნიშნავს, რომ რადგან „ეს არის სკულპტურული გამოსახულება და არა საკუთრივ სამუშაო გეგმა, დეტალების გადმოცემის მიზანი არც არსებულა“ (ხოშტარია 2012: 3).

14 ქტიტორის გამოსახულების მხოლოდ და მხოლოდ ქოროლოს ეკლესიის ლავგარდანზე არსებობის ფაქტს აღნიშნავს მარია კრისტინა კარილეც, ოღონდ არგუმენტაციის გარეშე: „სამფიგურიანი გამოსახულება [დ. ხოშტარიას მიერ] ინტერპრეტირებულია როგორც ქტიტორთა გამოსახულება. მაგრამ, ნამდვილი საქტიტორო სცენა დასავლეთი კედლის ფრიზზეა მოთავსებული და ის მღვდელმსახურის მიერ ღვთისმშობლის ცენტრალური ფიგურისადმი ეკლესიის მიძღვნას ასახავს“ (კარილე 2014: 11, სქოლიო 9).

დამოწმებანი

ალადაშვილი 1977: Н. Аладашвили. *Монументальная скульптура Грузии: Фигурные рельефы V-XI веков*. Москва, Искусство.

ანთელავა 1980: ი. ანთელავა. *XI-XV საუკუნეების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხები*. თბილისი, განათლება.

ბერძენიშვილი 1990: ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები*. თბილისი, მეცნიერება.

ბერტოლდი 2009: J. R. Bertold. *Materials, Methods, and Masterpieces of Medieval Art*. Santa Barbara, Greenwood.

გვასალია 1983: ჯ. გვასალია. *აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი)*, თბილისი, მეცნიერება.

გვასალია და სხვები 1983: ჯ. გვასალია, მ. გიორგაძე, მ. სურამელაშვილი, ლ. ჭურღულია. *ხადის ხეობა*. თბილისი, მეცნიერება.

დანელია, სარჯველაძე 1997: კ. დანელია, ზ. სარჯველაძე. ქართული პალეოგრაფია. თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, ნეკერი.

დევონშირ-ჯონსი, მიურეი 2013: T. Devonshire Jones, P. and L. Murray. *The Oxford Dictionary of Christian Art and Architecture*, Oxford.

დვალი 2008: თ. დვალი. ქოროლო, *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა*, ტ. 2, თბილისი.

ენუქიძე და სხვები 1984: ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს., *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, ტ. I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბილისი, მეცნიერება.

ვესტფალენი 2000: St. Westphalen. The Byzantine Basilica at Priene, *Dumbarton Oaks Papers*, 54.

ზაქარაია 1962: პ. ზაქარაია. სიმაგრეთა ერთი უცნობი სახე. *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, XXIII-ბ, თბილისი.

თავაძე 2011: ლ. თავაძე. ფეოდალური საქართველოს სოციალური შემადგენლობა ქოროლოს რელიეფის მიხედვით. *ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, IV, თბილისი.

კარილე 2014: M. Cr. Carile. Buildings in their Patrons' Hands? The Multiform Function of Small Size Models between Byzantium and Transcaucasisa, *Online Art Journal*, Nr. 3. https://edoc.hu-berlin.de/bitstream/handle/18452/8347/carile.pdf (*ნანახია*: 19/05/2021).

კიერიკეტი 1987: S. Chierichetti, *The Cathedral of Monreale*, Milan, Co. Graf.

მაისურაძე 1967: ზ. მაისურაძე. VIII-IX საუკუნეების ქართული არქიტექტურული კერამიკა, *ძეგლის მეგობარი*, 9, თბილისი.

მაკალათია 1930: ს. მაკალათია. *მთიულეთი*. ტფილისი, სახელგამი.

მეფისაშვილი 1965: რ. მეფისაშვილი. მშენებლობის ამსახველი რელიეფები ქოროლოს ძეგლზე, *ძეგლის მეგობარი*, 5, თბილისი.

მეფისაშვილი 1969: Р. Меписашвили. Рельефы рубежа X-XI вв. со сценами строительства в храме у селения Корого, *Советская археология*, 4, Москва.

მილნერი 1846: J. Milner. A Description of a Mitre and the Crosier, Part of the Ancient Pontificalia of the See of Limerick. *The United States Catholic Magazine and Monthly Review*, Vol. 5, Baltimore.

მირიანაშვილი 2020: L. Mirianashvili. Theological Content of a Mural in a Church of the Tetri Udabno Monastery of Gareji, *Proceedings of the International Conference: Davitgareji – Multidisciplinary Study and Development Strategy, April 18-20, 2019, Georgia*. Tbilisi.

პაპადოპულო-კერამევსი 1897: А. И. Пападопуло-Керамевс. *Сборник источников по истории Трапезундской империи*, Т. I, Санкт-Петербург.

ჟავორონკოვი 1991: П. И. Жаворонков. Культура Эпирского царства, *Культура Византии: XIII в. - первая половина XV в., к XVIII международному конгрессу Византинистов (8—15 августа 1991 года, Москва)*. Москва.

სილოგავა 1980: *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი*, II: დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, თბილისი, მეცნიერება.

სილოგავა 1999: ვ. სილოგავა. *წარწერები გარეჯის მრავალწყაროდან (IX-XIII სს.)*, თბილისი, ინტელექტი.

ტავენორ-პერი 1906: J. Tavenor-Perry. The Ambones of Ravello and Salerno, *The Burlington Magazine for Connoisseurs*, IX (1906).

შმერლინგი 1979: Р. Шмерлинг. *Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI вв.*, Тбилиси, Мецниереба.

შოშიაშვილი 1980: *ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი*, I: *აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-X სს.)*. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნუკრი შოშიაშვილმა. თბილისი, მეცნიერება.

ჩოფიკაშვილი 1964: ნ. ჩოფიკაშვილი. *ქართული კოსტიუმი (VI-XVI სს.)*, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჩუბინაშვილი 1959: Г. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство: исследование по истории грузинского средневекового искусства. Иллюстрации, Тбилиси.

ხელნაწერი A-109: *გრიგოლ ღეთისმეტყველის თხზულებანი*, ხელნაწერი A-109, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

ხოშტარია 2011: D. Khoshtaria. Sculptural Images of Medieval Georgian Masons. *Proceedings of the 2nd International Symposium of Georgian Culture – The Caucasus: Georgia on the Crossroads: Cultural Exchanges Across the Europe and Beyond, November 2-9, 2009, Florence, Italy*. Tbilisi.

ხოშტარია 2012: D. Khoshtaria. Medieval Architectural Design and Building Process According to the Sculptural Images in Korogo Church, *Masons* at *Work*: *Architecture* and *Construction* in the *Pre-Modern World*. Edited by R. Ousterhout, R. Holod, and L. Haselberger. Center for Ancient Studies, University of Pennsylvania, Philadelphia. https://www.academia.edu/28209208/MEDIEVAL_ARCHITECTURAL_DESIGN_AND_BUILDING_PRO-


CESS_ACCORDING_TO_THE_SCULPTURAL_IMAGES_IN_KOROGO_CHURCH (ნანახია: 20/05/2021).

ხუნდაძე 2014: თ. ხუნდაძე. ხუროთმოძღვრული კერამიკის ნიმუშები შიდა ქართლის ტაძრებიდან. ელექტრონული ჟურნალი Ars Georgica. სერია ბ. http://www.georgianart.ge/index.php?option=com_content&view=article&id=175&Itemid=&ed=15 (ნანახია: 15/03/2021).


ჯობაძე 1991: ვ. ჯობაძე. *ომკის ტაძარი*, თბილისი.




სურ. 1 ქოროღოს ეკლესია და კომპი



სურ. 2 ქოროღოს ეკლესიის ლავგარდანის რელიეფური გამოსახულებები




სურ. 3 ნმ. ურსინი ბურჯელის ეკლესიის ტიმპანის რელიეფები



სურ. 4 ტრაპეზთან მდგომი ფიგურები. ქოროღოს რელიეფი



სურ. 5 კვაისა-ჯვარის ეკლესიის რელიეფი




სურ. 6 ორჯალარის ეკლესიის რელიეფი




სურ. 7 წმ. გრიგოლ ღეთისმეტყველი ქადაგების დროს. მინიატურა




სურ. 8 ყოელადწმინდა ღვთისმშობელი და ქტიტორი ეკლესიის მოდელით. ქოროლოს რელიეფი



სურ. 9 ქოროლოს ეკლესიის დასაელეთი ფასადის სარქმლის ზედანზე შესრულებული წარნერა



სურ. 10 ქოროღოს ეკლესიის კარიბჭის სვეტისთავის რელიეფი






სურ. 11 კარიბჭის სვეტისთავის რელიეფის ფრაგმენტი და ეკლესიის გეგმა



სურ. 12 შუპიაკის ეკლესიის რელიეფი (X ს.)



სურ. 13 ფეტობანის ეკლესიის რელიეფი (X ს.)

THE BAS-RELIEFS OF KOROGO AS PRIMERY HISTORICAL SOURCES CONFIRMING THE FACT OF JOINT CONSTRUCTION AND SHARED OWNERSHIP OF THE CHURCH BY LOCAL COMMUNITY

Lado Mirianashvili

The Korogo church is erected on a mountain slope in Khada Gorge, East Georgia. The church dates to the turn of the 10th century to the 11th century. The west façade's cornice is lavishly adorned with bas-reliefs. In contrast to decorative approach to reliefs, the majority of Korogo bas-reliefs show the workers doing their various jobs: the quarry worker splits off a block of stone, the workers are moving stone with sliding sledge. others are preparing mortar, etc. Thematically all these images are related to the church construction. Our Lady of Sign is depicted at the top of the gable. The ktetor offers church model to Her. On one of the plates several individuals near the altar table are shown. All the above images provide a valuable information not only about the methods used by medieval builders, but they can also be considered a primary historical source for judging about the social life in the past.

One of the main conclusions reached in the study is that the Kororgo Church was constructed jointly by ktetorship of the bishop and local community members. It was in joint ownership of the community. This fact suggests weakness of the feudal system and lack of the influence of feudal lords on Mtiuleti highland in the

10th-11th cc. This fact is not always clear from written sources.

Another image of interest is a sculpture carved on a large rectangular stone that served as a capital of the church porch column. Later, it was reused in other part of the church. Three individuals – a bearded adult male and two beardless youth behind him are depicted on the stone. Their left hand is raised in supplication. Despite the depiction of the actual ktetor on the west facade, art historian R. Mepisashvili was the first to suggest that the adult male standing by an unidentifiable rectangular object with depiction of a frame with trefoil outline at its top, is the ktetor of the church. The scholar suggested that the unidentifiable object was the church plan held by the ktetor. This interpretation is rejected in the article based on the analysis of a number of representations of church's patrons with church model in their hands.

The paleographical analysis of the inscription found on the north side of the west façade of the Korogo Church was performed and a new date – turn of the 10th century to the 11th century, instead of the 12th century, was suggested.

ქართლის სამეფოს ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის ისტორიის ერთი ფურცელი[1]

ანრი ბოგვერაძის ნათელ ხსოვნას

გაგა შურღაია

ჩრდილოეთ კავკასიასთან ურთიერთობა: მასთან დამაკავშირებელ კლდეკარებზე აბსოლუტური კონტროლი, ჩრდილოკავკასიელი ტომების საქართველოს სამეფოსთან კულტურული დაახლოება, მათთან მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება და ქართული სახელმწიფოს სამსახურში მათი ჩაყენება ქართლის სამეფოს ჩამოყალიბების დღიდან საქართველოს საჭეთმპყრობელთა ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება იყო (მელიქიშვილი 1959: 292-298); (მელიქიშვილი 1970: 458-462); (შავხელიშვილი 1963: 55-76). ქართული სახელმწიფოს მესვეურებს კარგად ესმოდათ, რომ სარწმუნოებრივად, კულტურულად და პოლიტიკურად უცხო ჩრდილოეთ კავკასია მათთვის საბედისწერო საფრთხე იქნებოდა, ქართულ კულტურულ-სტრატეგიულ სივრცეში მოქცეული კი დიდ პოლიტიკურ და სამხედრო რესურსად იქცეოდა სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მომავალი მტრის ასალაგმავად. ამდენად, ბრძნული ჩრდილოკავკასიური პოლიტიკის განხორციელება მათ საქართველოს წარმატებული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი უპირველეს წინაპირობად ესახებოდათ. ჩრდილოეთ კავკასიაში XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე თემურლენგის რამდენიმეწლიანმა ლაშქრობებმა გაწყვიტა საქართველოს საუკუნოვანი ორგანული კავშირი ჩრდილოეთ კავკასიასთან და სათავე დაუდო ჩვენი ქვეყნისათვის ჩრდილოეთის ზურგის საბედისწეროდ მორღვევას (ჯავახიშვილი 1982: 227-228), მაგრამ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ცარიზმის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო ანექსიამდე ქართველმა მეფეებმა ყველაზე გართულებულ საერთაშორისო ვითარებაშიც კი წარმატებით გაართვეს თავი ამ ტიტანურ ამოცანას. 1801 წლის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში პოზიციების თანდათანობით დათმობა, ხოლო საბოლოოდ მათზე უარის თქმა იდეის დონეზეც კი დღეს არა მხოლოდ ქართული სახელმწიფოს უსუსურობაზე, არამედ ჩვენი მმართველი კლასის პოლიტიკურ სიბეცეზე მეტყველებს, რის ცოცხალ მოწმობად პოსტსოციალისტურ საქართველოში უცხო ძალის მიერ პროვოცირებული ფატალური ეთნიკური კონფლიქტებიც გამოგვადგება.

ქართლის სამეფოს აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიასთან ერთად (ბერძენიშვილი 1964: 241); (მუსხელიშვილი 1977: 216-218); (მუსხელიშვილი 2004: 165-166); (შურღაია 2018: 256-258), ჩრდილოეთ კავკასიაზე კონტროლი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი იყო ძველი ქართლის უდიდესი მეფის, ვახტანგ I გორგასლის (≈ 450-502), საგარეო პოლიტიკაშიც, რომელიც ისევე, როგორც V საუკუნის მეორე ნახევრის კავკასიის ამ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები, მემატიანეთა სიტყვაძვირობისა, თუ იმდროინდელი მსოფლიოს ისტორიაში ჩვენი მწირი ცოდნის გამო დღემდე ნაკლებად შესწავლილი რჩება. ეს შეეხება ჩრდილოეთ კავკასიაში ვახტანგის ლაშქრობასაც.

1. „ოვსთა სპათა ურიცხვთა“ შემოსევა ქართლში

ჯუანშერი აფიქსირებს ქართლში „ოვსთა სპათა ურიცხვთა“ შემოსევას, მაგრამ არ მიუთითებს, თუ როდის და საიდან გადმოვიდნენ ისინი ჩრდილოეთ კავკასიიდან. მათ „მოტყუენეს ქართლი თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე,[2] და მოაოჭრნეს ველნი, არამედ ციხე-ქალაქნი დაურჩეს, თჳნიერ კასპისა. ხოლო კასპი ქალაქი შემუსრეს და ტყუე ყვეს“. გაიტაცეს მეფის და, სამი წლის მირანდუხტი. ვერ შეძლეს კახეთში, კლარჯეთსა და ეგრისში შეჭრა, მაგრამ ჩაჭლეს რანი და მოვაკანი. ბოლოს დარუბანდის კარის გზით თავიან ქვეყანაში დაბრუნდნენ. ათი წლის ვახტანგმა მათთვის წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო (ყაუხჩიშვილი 1955: 145-146).[3]

ამ ბოლო დროს დავით მუსხელიშვილმა ამ შემოსევის ანარეკლი, ჩვენი აზრით, მცდარად დაინახა V საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსისა და პოლიტიკური მოღვაწის, პრისკე პანიონელის (დაახლ. 410/20 – 472-ის შემდ.)[4] „გუთების ისტორიის“ მე-8 ფრაგმენტში. კერძოდ, შეკითხვაზე, ატილა სპარ-

სეთში რა გზით, შეიძლება, შეიფრასო, 449 წელს დასავლეთის კომესმა და დასავლეთ რომის იმპერატორის, ვალენტინიანე III-ის (425-455) ელჩმა ატილასთან (მარტინდალი 1980: 949), რომულუსმა, განაცხადა:

> [...] ბასიხი და კურსიხი,[3] სკვითთა[4] სამეფო გვარის ნევრები და სპათა ურიცხვთა მხედართმთავარნი, სწორედ ისინი, ეინც შემდგომში რომში სამშვიდობო ზავის დასადებად ჩამოვიდნენ, მედიის რეგიონამდე მივიდნენ. მოგეითხრეს, ამ ტერიტორიის გადასალახავად როგორ გადალახეს უდაბნოები და რალაც ტბაც, რომელიც, რომულუსის აზრით, მეოტის ზღვა უნდა ყოფილიყო, და თხუთმეტიოდე დღის შემდეგ, რომელთა განმავლობაში ზოგიერთ მთაზე გადაიარეს, მედიაში შევიდნენ. ეიდრე აოხრებდნენ და დათარეშობდნენ იმ ქვეყანაში, სპარსელთა იმდენად მრავალრიცხოვანი ჯარი მოადგათ, რომ მათმა ისრებმა პაერი აავსო და იმათაც, დაინახეს რა კარს მომდგარი საშიშროება, უკან დაიხიეს, გადაიარეს მთები და თან მცირედი ნადავლის წაღება მოახერხეს, რომელთა უდიდესი ნაწილი მედიელებისათვის ნაერთმიათ. მტრის მდევარი რომ თავიდან აეცილებინათ, სხვა გზით დაბრუნდნენ უკან: იმ [ადგილის] შემდეგ, სადაც წყალქვეშა კლდიდან ალი ამოდის,[7] კიდევ რამდენიმე დღის გზა გალიეს და შინ დაბრუნდნენ. ასე გაიგეს, რომ სკვითთა მინა-წყალი დიდად არ არის დაშორებული მედიისაგან (კაროლა 2008: 41); (გამყრელიძე, ყაუხჩიშვილი 1961: 262-263).

როგორც დ. მუსხელიშვილი შენიშნავს, ტოპონიმ „მედიაში“ რომულუსი უნდა გულისხმობდეს არა მედია-ატროპატენეს, ანუ სამხრეთ აზერბაიჯანს,[8] არამედ – კავკასიის, ჩრდილოეთ აზერბაიჯანს, ხოლო გამოთქმაში ἑτέρα ὁδός, ანუ „სხვა გზა“ მოიაზრება გზა, რომელიც ნავთობით მდიდარი კასპისპირეთის გავლით დარუბანდისკენ მიემართება (მუსხელიშვილი 2004: 144-145). პატივცემული მკვლევარი იზიარებს ზოგიერთი მეცნიერის მიერ ბასიხისა და კურსიხის ლაშქრობის დათარიღებას 448 წლით (მარკვარტი 1901: 96, 67); (პიგულევსკაია 2000: 235-236) და ვარაუდობს, რომ, დაახლოებით, ზემოხსენებულ წელს საკუთრივ ქართლში ამ შემოსევას, „შესაძლებელია, ალან-ოსთა დიდი ტალღაც შემოჰყოლოდა და ამიტომ ქართველთა მეხსიერებაში [იგი] 'ოვსთა' შემოსევად შემორჩა“ (მუსხელიშვილი 2004: 145).

ჩვენი აზრით, ბასიხისა და კურსიხის ლაშქრობის იდენტიფიცირება ქართლში „ოვსთა“ შემოსევასთან გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს.

უპირველეს ყოვლისა, მიზანშეუწონლად გვეჩვენება, ერთმანეთს შევუჯეროთ პრისკესა და ჯუანშერის ზემოაღნიშნული ცნობები მხოლოდ იმ ჰიპოთეზის საფუძველზე, რომ ეს ორი ლაშქრობა, მკვლევრის აზრით, საერთო მარშრუტს ემყარება. ვფიქრობთ, რომ ჩვენს ვარაუდს პატივცემული მეცნიერიც იზიარებს, რადგანაც რამდენიმე გვერდის შემდეგ წერს: „[...] არ არის გამორიცხული ჯუანშერის მიერ აღწერილი 'ოვსთა' შემოსევა ჰუნთა ორივე (448 და 466 წლების) სამხედრო რეიდების ერთობლივი ანარეკლი იყოს“ (მუსხელიშვილი 2004: 194-195). სინამდვილეში, როგორც ირკვევა, ამ ორი ლაშქრობის მარშრუტი სულაც არ არის ერთი და იგივე.

კერძოდ, გავრილ სპირიდონის ძე დესტუნისმა თავის დროზე შემდეგნაირად მოიაზრა ბასიხისა და კურსიხის ლაშქრობის მარშრუტი: აზოვის ზღვიდან წამოსულნი, 15 დღის შემდეგ, რომლის დროსაც, დაახლოებით, 600-750 ვერსს გაიელიდნენ, დარიალის ხეობის გავლით შემოვიდნენ ქართლში, სადაც სპარსთა ლაშქარს გადააწყდნენ (დესტუნისი 1861: 63-64). მართალია, „ოვსთა“ შემოსევის დროს – მაგრამ, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არა 448 წელს – ქართლი, შესაძლებელია, სპარსელთა გარნიზონის „დაცვის“ ქვეშ ყოფილიყო, მაგრამ, ჩვენი აზრით, ძნელი წარმოსადგენია, ჰუნთა მონათხრობის ბერძნული და რომაული სამყაროსათვის გასაგები გეოგრაფიული ტერმინებით გადმოცემისას რომაელ პრისკეს ქართლის სამეფო „იბერიის“ ნაცვლად „მედიად“ მოეხსენებინა. ამდენად, ჩვენი აზრით, ამ მონათხრობის საფუძველზე შეიძლება, მხოლოდ ის ვივარაუდოთ, რომ ბასიხი და კურსიხი პირდაპირ მედიაში, ანუ, როგორც ამას დ. მუსხელიშვილი გულისხმობს, თანამედროვე ჩრდილოეთ აზერბაიჯანში შეიჭრნენ, მაგრამ – არა დარიალის ხეობისა და ქართლის გავლით, არამედ – კიდევ უფრო აღმოსავლეთიდან, იმ ხეობით, რომელსაც პრისკე სამჯერ მოიხსენიებს როგორც Ἰσυροεί–παάχ (კაროლა 2008: 70, 74).

სარწმუნოდ არ გვეჩვენება არც „ოვსთა“ შემოსევის დათარიღება ქართლში. მართალია, რომულუსმა „სკვითთა“ (*lege* ჰუნთა) შემოსევის შესახებ, დაახლოებით, 449 წელს უამბო რომაელებს (კაროლა 2008: 15), ხოლო და ბასიხი და კურსიხი არაერთმა მეცნიერმა მიიჩნია ატილას სარდლებად,[9] მაგრამ პრისკეს მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, რომ რომულუსი გადმოსცემს არა მის თანადროულ,[10] არამედ πάλαι (კაროლა 2008: 41), ანუ „დიდი ხნის წინათ“ მომხდარ მოვლენებს. სწორედ ამიტომ სპეციალურ ლიტერატურაში ბასიხისა და კურსიხის წინამძღოლობით მოწყობილი ლაშქრობა

395 წლით თარიღდება (მენხენ-ჰელფენი 1973: 52)[11] და, ამდენად, დაკავშირებულია ატილამდე ჰუნთა ყველაზე დიდ შემოსევასთან რომის იმპერიაში.

როგორც ვხედავთ, ისტორიული წყაროების ანალიზი გამორიცხავს, დაახლოებით, 448 წელს ალან-ოვსთა შემოსევას ქართლში. თუმცა, ეს გარემოება ასე თვალნათლივ რომც არ ყოფილიყო დაფიქსირებული წყაროებში, ვახტანგ გორგასლის ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელსაც დ. მუსხელიშვილიც 466 წლით ათარიღებს (მუსხელიშვილი 2004: 147), ხოლო ჯუანშერი ვახტანგის მიერ მოწყობილ დამსჯელ სამხედრო ოპერაციად წარმოგვისახავს, მაინც ვერ ჩაითვლებოდა 448 წლის შემოსევის პასუხად. ძნელი წარმოსადგენია, ქართველ მემატიანეს ქართლის მეფის ლაშქრობა 18 წლის წინათ მომხდარი შემოსევის პასუხად შეეფასებინა. რაც შეეხება „ალან-ოსთა დიდ ტალღას“, თავის დროზე ანრი ბოგვერაძემ გამოთქვა სავსებით დასაბუთებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ჯუანშერის თხზულებაში „ოსთა“ ხსენება კარგა ხნის შემდგომდროინდელი რედაქტორის ჩარევის შედეგი უნდა ყოფილიყო.[12] მკვლევრის მართებული შენიშვნით, დღევანდელ ოსთა წინაპარი ალანები V საუკუნეში აღარავითარ ანგარიშგასაწევ სამხედრო და პოლიტიკურ ძალას აღარ წარმოადგენდნენ (ბოგვერაძე 1979: 40).[13] ამიტომ დასაზუსტებელია მარიამ ლორთქიფანიძის შემდეგი შენიშვნა: „V ს.-ის შუა წლებში ჩრდილო კავკასიის მომთაბარე ტომები, რომელთა უმრავლესობას, როგორც ჩანს, ოსები შეადგენდნენ, ქართლში შემოიჭრნენ“ (ლორთქიფანიძე 1998: 88).

ჯუანშერის მიერ მოტანილ ფაქტებში ნოდარ ლომოურმა და ა. ბოგვერაძემ მოიაზრეს ჰუნთა, ანუ სარაგურთა 466 წლის ლაშქრობა მას შემდეგ,[14] რაც ისინი თავს დაესხნენ[15] აკატირებს – ისინი არ უნდა აგვერიოს რომაელი ისტორიკოსის, იორდანეს (დაახლ. 500-570) მიერ მოხსენიებულ (ჯუნტა, გრილონე 1991: 17) აკაცირებში (მარკვარტი 1903: xxii-xxiii); (ჰენინგი 1952: 503)[16] – და სხვა ტომებს (“Ἀκατήροις καὶ ἄλλοις ἔθνεσιν ἐπιθέμενοι“). ამ ფაქტებს პრისკე შემდეგნაირად გადმოგვცემს:

> სარაგურებმა აკატირებსა და სხვა ტომებზე თავდასხმის შემდეგ სპარსელების წინააღმდეგ გაილაშქრეს. ჯერ კასპიის კარებს მიადგნენ, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ იქ სპარსელთა გარნიზონი იდგა, სხვა გზას დაადგნენ, რომლითაც იბერიაში მივიდნენ, აოხრეს იგი და სომეხთა სოფლები[ც] მოარბიეს. ამდენად, სპარსელები, რომლებიც, დიდი ხანია, კიდარიტებთან ომში იყვნენ ჩაბმულნი, შეაშფოთა ამ შემოსევამ; მათ ელჩები მიავლინეს რომაელებთან, რომელთაც სთხოვდნენ, ან ფული მოეცათ, ან მეომრები [მოეშველებინათ] იუროიპაახის სიმაგრის დასაცავად. ეუბნებოდნენ, რაც არაერთხელ უთქვამთ ელჩებისათვის: რადგან უშუალოდ ჩვენ ვეომებით ბარბაროსთა ტომებს, მათ საშუალებას არ ვაძლევთ, თქვენ წინააღმდეგ ილაშქრონ და, ამგვარად, რომაელთა მინა-წყალი უვნებელი რჩებაო. იმათ კი მიუგეს, ყოველმა მეომარმა, რომელიც საკუთარ ქვეყანას იცავს, თავად უნდა მიხედოს საკუთარ ციხე-სიმაგრეებსო. [ამდენად, ელჩები] კვლავინდებურად უშედეგოდ დაბრუნდნენ [თავიანთ ქვეყანაში] (კაროლა 2008: 74); (გამყრელიძე, ყაუხჩიშვილი 1961: 259-260).17

გამოთქმაში ἐπὶ αἱ Κασπίας πύλα, ანუ „კასპიაზე [მდებარე] კარებში“, რომაელ ისტორიკოსს უეჭველად მხედველობაში უნდა ჰქონოდა დარუბანდი (ინაძე 1948: 24). ქართულ ისტორიულ წყაროებში „ხვის კარად“[18] ცნობილ ამ ვიწრობს პროკოპი კესარიელი Κασπία-ს, ანუ „კასპიის“ სახელით იცნობს და წერს: „იგი ერთადერთი ვიწრობია, რომლითაც შესაძლებელია იბერიის მთავარეხილის გადალახვა. კაცის ხელით გაკეთებული გეგონება, მაგრამ სინამდვილეში ბუნების ქმნილებაა ეს ფრიალო ზონა, სავალად ფრიად უვარგისი“ (ჰაური 1905: 45-46). რადგანაც სპარსელთა გარნიზონს იგი საგანგებოდ გაემაგრებინა, ჰუნები იძულებული გახდნენ, სხვა, შედარებით უსაფრთხო გზა მოენახათ უფრო დასავლეთით და ქართლსა და პერსარმენიას[19] შეესივნენ. როგორც ნიკოლოზ ჯანაშია ვარაუდობს, ისინი უნდა გადმოსულიყვნენ Ἰουροειπαάχ φρούριον, ანუ ციხე-სიმაგრე იუროიპაახის გზით (ჯანაშია 1986: 37); (მელიქიშვილი 1973: 92), რომელიც, როგორც ჩანს, საგანგებოდ არ იყო გამაგრებული, რადგან ჰუნებმა წარმატებით გადალახეს იგი და სპარსელები იძულებული გახდნენ, რომაელებისათვის ეთხოვათ დახმარება მის დასაცავად. თავისთავად ცხადია, ეს გამორიცხავს ზოგიერთი მკვლევრის მიერ ძველად და ახლად წამოყენებულ ჰიპოთეზას დარუბანდის ხეობასთან მისი იდენტიფიკაციის შესახებ.[20]

2. იუროიპაახის ციხე-სიმაგრე

მრავალმა მეცნიერმა პრობლემატური ტოპონიმი Ἰουροειπαάχ, ანუ იუროიპაახი სომხური გამოთქმის Իվ[ի]րոյ պահակ („ივ[ი]როჲ პაჰაკ“), ანუ „იბერიის ციხე-სიმაგრე“ საფუძველზე ბერძნულ-

ში გადასულ ბარბარიზმად მიიჩნია (მარკვარტი 1901: 101); (დრუენი 1895: 143); (შომონი 1973: 689); (მუსხელიშვილი 2004: 147). როგორც ცნობილია, ეს გამოთქმა დადასტურებულია აგათანგელოსის „სომხეთის ისტორიაში“, სადაც ეკითხულობთ: „[...] բանայ զդրունս այսանց եւ զիւրոյ պահակին [...]“ (აგათანგელოსი 1930: 26),[21] ანუ „გახსნა რა ალანთა კარი და იბერიის ციხე-სიმაგრე“.

ჩვენი აზრით, შეუძლებელია, იგი სომხურის კალკი იყოს სამი გარემოების გამო. პირველი, გაუგებარია, რატომ უნდა მოეხსენებინათ ბერძენ ავტორებს ქართლის ერთ-ერთი უმთავრესი ციხე-სიმაგრე სომხური სახელწოდებით, თანაც – ისე, რომ ვერ გარკვეულიყვნენ საზღვრულის պահակ, ანუ „ციხე-სიმაგრე“ მნიშვნელობაში და იგი საკუთარ სახელად გადაეტანათ ბერძნულად, ხოლო შემდეგ კალკად გადაღებული სინტაგმის აზრის სინათლისათვის დაემატებინათ ბერძნული საზღვრული φρούριον, ანუ „ციხე-სიმაგრე“. მეორე, გაუგებარია ისიც, რატომ გადავიდოდა ბერძნულში სომხური ხშული ყრუ ემფატიკური თანხმოვანი կ /k/ არა მისი შესატყვისი ბერძნული ფონემით κ /k/, არამედ – ნაპრალოვანი ყრუ ფშვინვიერით χ /x/. და მესამეც, რატომ უნდა გადასულიყო ეს სიტყვა ბერძნულში მაინცდამაინც სომხურიდან, როდესაც სირიულში დადასტურებულია ზუსტად ასეთივე ფორმა: wīrōpahrag (ნიბერგი 1974: 213)?

ეს ენობრივი მონაცემები (დესტუნისი 1861: 94); (მუსხელიშვილი 2004: 147)[22] არადამაჯერებელს ხდის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ იუროიპაახის ციხე-სიმაგრე მდინარე ივრის ხეობაში (ჯავახიშვილი 1979: 279), ანდა ჩრდილოეთ კავკასიიდან სამხრეთში გადმომავალ მეორე სახელგანთქმულ გზაზე,[23] დარიალის ხეობაში (ყაუხჩიშვილი 1965: 240); (არტამონოვი 1962: 63) მდებარეობდა. ამ უკანასკნელ მოსაზრებასთანვეა დაკავშირებული ჰიპოთეზა კასპიის კარების დარიალთან იდენტიფიკაციის შესახებ, რომელიც დამაჯერებლად არ გვეჩვენება.

საქმე ისაა, რომ 384 წელს თემისტიოსის (დაახლ. 317-388) მიერ ნახსენებ გამოთქმაში Πύλαι Κάσπιαι, ანუ „კასპიის კარები“ (შენკლი 1971: 218) დარუბანდის ნაცვლად დ. მუსხელიშვილი დიდი სიფრთხილით ხედავს დარიალს და წერს: „რამდენადაც აქ საუბარია ერთი მხრივ, ალანებზე, ხოლო, მეორე მხრივ, იბერებზე, ეჭვი არ არის, რომ ‘კასპიის კარები’ დარიალანს გულისხმობს. იმდროინდელი ისტორიული სიტუაცია, მგონია, გამორიცხავს რომაელთა დარუბანდში გასვლას“ (მუსხელიშვილი 2004: 67). სიმონ ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, გამოთქმაში „კასპიის კარები“ პრისკეს თხზულების 37-ე ფრაგმენტში იგულისხმება დარიალი, ხოლო 31-ეში – დარუბანდი (ყაუხჩიშვილი 1965: 240-241). სინამდვილეში რომაელი ისტორიკოსი არც 37-ე ფრაგმენტში უხდა მოიაზრებდეს დარიალს, რადგანაც იგი აქ მხოლოდ იმას ამბობს, რომ რადგანაც „კასპიაზე მდებარე კარებში“ სპარსელთა გარნიზონი იდგა, ჰუნებმა „მიმართეს სხვა გზას“, რომელიც, პატივცემული მკვლევრის აზრით, უნდა იყოს დარიალი. სხვა წყაროებში, მაგალითად, ე.წ. „პასქალურ ქრონიკაში“ (VII ს.-ის პირველი ნახევარი) ეს გამოთქმა აშკარად ნიშნავს დარუბანდს (დინდორფი 1832: 60); (ყაუხჩიშვილი 1941: 10). საკვლევით მართებულად შენიშნავდა პლინიუს უფროსი (23-79): „[...] Portae Caucasiae [ე. ი. Dariali – გ. შ.] magno errore multis Caspiae dictae [...]“ (რეკჰემი 1947: 358), ანუ „[...] მრავალნი უაღრესად შეცდომით უწოდებენ კავკასიის კარებს [ე. ი., დარიალს – გ. შ.] კასპიისას [...]“ და რამდენიმე სტრიქონის ქვემოთ აზრს კიდევ უფრო ნათლად განმარტავდა: „Corrigendus est in hoc loco error multorum, etiam qui in Armenia res proxime cum Corbulone gessere. namque hi Caspias appellavere portas Hiberiae quas Caucasias diximus vocari, situsque depicti et inde missi hoc nomen inscriptum habent“ (რეკჰემი 1947: 366), ანუ „ამ მიმართებით გასასწორებელია მრავალთა შეცდომა, მათიც კი, ვინც ამ უკანასკნელ დროს კორბულონთან ერთად სომხეთში იომა. მათ კასპიისა უწოდეს იბერიის კარებს, რომლებიც, როგორც ვთქვით, კავკასიისად იწოდება; ეს სახელია მიწერილი სწორედ იმავე ადგილებიდან გამოგზავნილ რუკებზეც“.

როდესაც 1963 წლის გაზაფხულზე ხაზართა დედაქალაქ სემენდერის ძიებაში ლევ ნიკოლოზის ძე გუმილიოვმა მდინარეების თერგისა და სულაკის დატბორილი დელტა იხილა, განაცხადა:

> [...] ნათელი გახდა, ძველი გეოგრაფები „კასპიის კარებს“ რატომ უწოდებდნენ დარიალის ხეობას და არა – დარუბანდის მახლობლად კასპიის ზღვისპირა გასასელელს. [და – ისიც], არაბი სარდლები ხაზარეთში შესაჭრელად [თუ] რატომ ირჩევდნენ უღელტეხილებზე გამავალ რთულ გზას და არა – თერგისა და სულაკის დელტის დაბლობს, რომელიც დარუბანდსა და ხაზარეთს შორის მდებარეობს [...]. იმ დროს, როდესაც თერგისა და სულაკის ნაპირები გამაგრებული არ იყო და ეს ბობოქარი მდინარეები დაბლობში მიიკვლევდა გზას, წყალდიდობის საშიშროება განუზომლად უფრო მეტი იყო, ვიდრე – ჩვენი, შედარებით მშრალი [კლიმატის] პირობებში. დატბორილი ადგილები ცხენოსანი ჯარისთვის გადაულახავ წყლის ბარიერს წარმოადგენს. შეიძლება, მდინარის ფონზე გახვიდე, მაგრამ წელამდე წყალში ათეულობით კილომეტრს ვერ გაიელი. ადამიანები და ცხენები დაიღლებიან. დაეგდებიან და მუხლამდე წყალშიც კი დაიხრჩობიან. თავად ხაზარებს დარუბანდზე

> თავდასასხმელად შეეძლოთ, მშრალი სეზონი შეერჩიათ და, როგორც ამ ადგილების მკვიდრნი, იცნობდნენ გზას, სადაც წყალი საშიში არ იყო. უცხოელები კი წყალდიდობას ეერ გადალახავდნენ. [ამიტომ] მთებზე გადავიდნენ და ამიერკავკასიიდან [ასე] შემოიჭრნენ, რათა იავარეყოთ მდიდარი ქალაქი სემენდერი, რომელიც მათ ქვეყნის გულში შესასვლელ გზაზე ელობებოდათ (გუმილიოვი 1996: 128).

ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს.

ჯერ ერთი, ჩვენ მიერ ზემოთ მოხმობილი მხოლოდ რამდენიმე ანტიკური ავტორის ციტატებიც ნათელყოფს, რომ ყველა არ უწოდებდა დარიალის ხეობას კასპიის კარებს: ასეთი მოსაზრებისა იყო ზოგიერთი მწერალი, ხოლო სხვები ამას მათ შეცდომად უთვლიდნენ. რაც შეეხება არაბებს, ისინი დარუბანდს კავკასიის უმთავრეს კარად მიიჩნევდნენ. მას Bāb al-Abwāb, ანუ „კართა კარს“, ან მხოლოდ al-Bāb-ს, ანუ „კარს“ უწოდებდნენ (დანლოპი 1960ა: 858), ხოლო დარიალს – უბრალოდ Bāb al-Lān-ს, ანუ „ალანთა კარს“ (დანლოპი 1960ბ: 860). არაბი სარდლები სწორედ დარუბანდის, და არა – დარიალის, გზით ლაშქრავდნენ ხაზართა ხაკანატს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში (არტამონოვი 1962: 202-232); (ნოვოსელცევი 1990: 101-103). რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, დარიალი ამ კონტექსტში მხოლოდ სამჯერ მოიხსენიება. პირველად, როდესაც იგი 727 წელს არაბთა სარდალმა, მასლამა იბნ აბდ ალ მალიქმა დაიჭირა; მეორედ, როდესაც 737 წელს არაბთა სარდალი, მურვან ყრუ, მომავალი ხალიფა მურვან II (744-750), ხაზარეთს შეესია როგორც დარუბანდის, ასევე დარიალის გზით; მესამედ – 758 წელს ხაზარეთზე არაბთა ლაშქრობისას (დანლოპი 1960ბ: 860); (არტამონოვი 1962: 210, 219). მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მურვან ყრუს ლაშქრობა, ხოლო მისი გადასვლა დარიალზე იმით იყო გამართლებული, რომ რამდენიმე წლით ადრე, 730 წელს თავად ხაზარები სწორედ დარიალის გზით გადმოვიდნენ ამიერკავკასიაში (დანლოპი 1960ბ: 860).[24] ვარაუდი იმის შესახებ, რომ, აგრეთვე, 724 წელს არაბი სარდალი, ჯარაჰ იბნ ალაჰ ალ ჰაკამი დარიალის გზით უნდა გადასულიყო ხაზარეთში (დანლოპი 1960ბ: 860)[25] იმ ფაქტს ეფუძნება, რომ მან მომდევნო წელს ალანები დახარკა, სხვა მხრივ, „ამ ლაშქრობის დეტალები ცნობილი არ არის“ (არტამონოვი 1962: 209), მაგრამ ეს არგუმენტად ვერ გამოგვადგება, რადგან, როგორც ირკვევა, „ოვსთა წინაპრებად მიჩნეულ ალანებს XVIII საუკუნემდე [...] საერთოდ არ უცხოვრიათ კავკასიონის მთავარი გასასვლელის მიდამოებში (თერგის ხეობაში) [...]“ (ვაშაკიძე, თოფჩიშვილი 2021: 76). ამდენად, ალანთა დახარკვა ვერაფერს გვეტყვის იმის შესახებ, თუ წინა წელს რა გზით ილაშქრა არაბთა სარდალმა ჩრდილოეთ კავკასიაში.

მეორე, ლ. გუმილიოვის აზრით, დარიალის გზას არაბები სემენდერამდე (თანამედროვე შელკოვსკაია სტანიცას მახლობლად[26]) მისასვლელად ირჩევდნენ, ხოლო ისტორიული წყაროები მოწმობს, რომ საამისოდ აუცილებელი არ იყო თერგისა და სულაკის დელტის დაბლობის გავლა. მაგალითად, 721/2 წელს დარუბანდის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ ბელენჯერის აღების შემდეგ, არაბთა ზემოაღნიშნული სარდალი, ჯარაჰი, აქედან აპირებდა სემენდერისაკენ გალაშქრებას (არტამონოვი 1962: 208).

და რაც ყველაზე მთავარია, მესამე, ლ. გუმილიოვის ჰიპოთეზიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ძველი გეოგრაფები დარიალის ხეობას „კასპიის კარებს“, თითქოს, იმიტომ უწოდებდნენ, რომ იგი კასპიისპირეთში შეღწევის საშუალებას იძლეოდა, რაც შეუძლებელი იყო თერგისა და სულაკის დელტის დაბლობის გავლით. მაგრამ, განა, კიდევ უფრო იოლი არ იქნებოდა კასპიისპირეთში დარუბანდის გზით შეღწევა, რადგანაც, როგორც დიდი საბჭოთა მეცნიერი ნათელყოფს (გუმილიოვი 1996: 61), ჩვ. წ.-აღ.-ის პირველ საუკუნეებში კასპიის ზღვის დონე 2-3 მეტრით კიდევ უფრო დაბალი იყო VIII-IX საუკუნეების დონესთან შედარებით?

ესეც არ იყოს, არაბებს დარიალის ხეობისათვის „კასპიის კარები“ რომც ეწოდებინათ და ამისათვის რაიმე ახსნა რომ მოგვეძებნა კიდეც, ეს ვერ გამოგვადგებოდა იმის განსამარტავად, თუ რატომ უწოდებდნენ ასე დარიალს ბერძენი და რომაელი ავტორები: რომაელთა ლეგიონებს საერთოდ არ ულაშქრიათ ჩრდილოეთ კასპიისპირეთში, ხოლო მშვიდობიან მოგზაურებსა და გეოგრაფებს არ დასჭირდებოდათ არც დარიალის ხეობისა და არც თერგისა და სულაკის დელტის დატბორილი დაბლობის გავლა, რადგანაც საამისოდ სულ იოლად ისარგებლებდნენ დარუბანდის გზით, რაც დარიალის ხეობიდან, თითქმის, შეუძლებელი იქნებოდა. ამას თვალნათლივ ცხადყოფს პლინიუს უფროსი, რომელიც 63 წელს რომის იმპერატორ ნერონის (54-68) მიერ მომზადებული ლაშქრობის შესახებ წერს: „[...] Neronis principis comminatio ad Caspias portas tendere dicebatur, cum peteret illas quae per Hiberiam in Sermatas tendunt, vix ullo propter oppositos montes aditu ad Caspiam mare“ (რეკჰემი 1947: 358), ანუ „[...] ამბობდნენ, რომ იმპერატორ ნერონის მუქარა კასპიის კარებს შეეხებოდა. თუკი [ლაშქარი] იმ

[კარების] მიმართულებით გაიჭრებოდა, რომელიც იბერიის გავლით სარმატიისაკენ [ანუ რუსეთის სტეპებისაკენ – გ.შ.] მიემართებოდა, მაშინ ძნელად თუ მიაღწევდა კასპიის ზღვას ბარიერად აღმართული მთების გამო".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან მხოლოდ ის დასკვნა, შეიძლება, გამოვიტანოთ, რომ დარიალის ხეობა შეცდომით მიიჩნიეს „კასპიის კარებად" იმ ანტიკურმა ავტორებმა, რომელთაც მთლად ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდათ კავკასიის გეოგრაფიაზე.

ეფიქრობთ, ჩვენს ვარაუდს იუროიპაახის ციხე-სიმაგრის ლოკალიზაციაში დარიალის ხეობისა და დარუბანდის გზის გამორიცხვის თაობაზე მხარს უჭერს კასპიის კარების შესახებ პროკოპი კესარიელისეული ცნობის (პაური 1905: 45-47); (ყაუხჩიშვილი 1965: 45-47) შედარება იოანე ლიდეს (დ. 490) ცნობებთან (ბეკერი 1837: 244-246); (ყაუხჩიშვილი 1965: 236-239) იმ ციხე-სიმაგრეზე, რომელსაც სპარსელები πατρίως, ანუ „თავიანთი წინაპრების ენაზე" Βιραπαράχ-ს, ან Βιριπαράχ-ს უწოდებდნენ.[27] იოანე ლიდე მას Ὑρκάνη-სთან (ბეკერი 1837: 244); (ყაუხჩიშვილი 1965: 236), ანუ ჩრდილო-აღმოსავლეთ ირანში, უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ კასპიისპირეთში ჰირკანიასთან ახლო მდებარედ მიიჩნევს და გადმოგვცემს, რომ იგი ააშენეს სპარსელებმა მას მერე, რაც იელიანე განდგომილის (361-363) გარდაცვალების შემდეგ ისინი და რომაელები ვერ შეთანხმდნენ, თუ როგორ აეგოთ ერთად იმ ადგილებში ციხე-სიმაგრე (ბეკერი 1837: 244-245); (ყაუხჩიშვილი 1965: 237). კერძოდ, იგი წერს:

> [იქ], სადაც მზე ლომის ქვეშ [დგას და იქიდან] ამოდის, კავკასიონის ვიწრო თავში, [ჩრდილოეთის ქართან], ბორეასთან[28] ახლოს, კასპიის ზღვის გასწვრივ კავკასიონის მთის ძირიდან[29] ბუნებრივად განიყოფვის, როგორც ჩვენთვის, ისე სპარსელთა უჩუმრად, გაყვანილია შემოსასვლელი გზა ბარბაროსთათვის,[30] რომლებიც ჰირკანიის გარშემო ცხოვრობენ. [...] იმ უბედურების შემდეგ, [რაც] რომაელებს [იმპერატორ] იულიანეს დროს შეემთხვათ, [... რომაელებმა და სპარსელებმა] მოილაპარაკეს, რათა საერთო ხარჯით აეგოთ ციხე-სიმაგრე ხსენებულ შემოსასვლელთან და ჩაეყენებინათ ამ ადგილებში დამხმარე ძალები ამ გზით შემოჭრილი ბარბაროსების მოსაგერიებლად. ხოლო რადგან რომაელები დასაელეთითა და ჩრდილოეთით ომებში იყვნენ ჩათრეულნი, სპარსელები, როგორც ბარბაროსთა თავდასხმებთან ყველაზე ახლოს მყოფნი, იძულებულნი გახდნენ. აეგოთ აქ ციხე მათგან თავის დასაცავად; მას თავიანთი წინაპრების ენაზე ვირაპარახი უწოდეს და იქ ძალები ჩააყენეს [...] (ბეკერი 1837: 244-245); (ყაუხჩიშვილი 1965: 236-237).

იოანე ლიდეს ეპოქაში ბერძნული ასო-ნიშანი „ბეტა" გაბგერდებოდა არა როგორც [b], არამედ როგორც – [v], მეორე ხმოვანს „ა" ან „ი" კი ფალაურ შედგენილ სახელში ორი ელემენტის შემაერთებელი უხმოვნო ხმოვანი უნდა გადმოეცა. ამდენად, ბიზანტიელი მემატიანის მიერ დაფიქსირებული ტოპონიმი, როგორც ჩანს, წარმოითქმებოდა როგორც „ვირაპარახ", ან „ვირიპარახ", როგორც ეს სავსებით მართებულად იკითხება საკლევი პასაჟის ს. ყაუხჩიშვილისეულ თარგმანში (ყაუხჩიშვილი 1965: 237). ეს ტოპონიმი უნდა ეხმიანებოდეს უცნობი ავტორის მიერ ფალაურ ენაზე დაწერილ, მაგრამ ხალიფა ალ-მანსურის ზეობის (754-775) დროინდელი რედაქციით შემონახულ (მარკვარტი 1931: 5)[31] სასანელთა იმპერიის პროვინციათა დედაქალაქების უსათაურო კატალოგს, რომელსაც მისმა პირველმა გამომცემელმა, იოზეფ მარკვარტმა „Šahrestānīhā ī Ērān", ანუ „ირანის მიწა-წყლის ქალაქები" უწოდა.

ირანის ქალაქთა სახელები თხზულებაში დაჯგუფებულია ოთხი კუსტის, ანუ მხარის მიხედვით, იხსენიება მათი დამაარსებლები, მოკლედ მოტანილია ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ამ ქალაქებში მომხდარი ზოგიერთი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი.[32] კერძოდ, ნაწარმოების მე-18 სტრიქონში ქალაქ ყუმისზე ნათქვამია: „pad xwadāyīh [ī] yazdgird ī šābuhrān kard andar tāzišn ī čōl wērōy-pahr [ī] ān ālag" (დარიაი 2002: 14), ანუ „შაპურის ძემ, იეზდიგერდმა ააშენა იგი, ჩოლების აჯანყების დროს, იბერიელთა მცველი რაზმის მხარე [?]".[33] ფალაურ გამოთქმაში wērōy უდავოდ ქართლის სამეფო უნდა იგულისხმებოდეს,[34] ხოლო არსებით სახელში pahr – „ციხე-სიმაგრე" იმის გათვალისწინებით, რომ ფალაურად არსებითი სახელი pahrēz (მაკკენზი 1986: 64) და მისი შესაბამისი აწმყოს თემა pahrēxtan (ნიბერგი 1974: 148-149) ნიშნავს „დაცვას", „მეთვალყურეობას", ხოლო ამ უკანასკნელიდან წარმომდგარი მასდარი phryzyšn ფალაურ ენაზე შემონახულ მანიქეელურ ტექსტებში ალნიშნავს „ირგვლივ მოძრაობას", „წრეს", „ბრუნვას", გადატანითი მნიშვნელობით კი – „მფარველობას" (დურკინ-მაისტერერნსტი 2004: 274-275). დეივიდ ნაილ მაკკენზისა და დესმონდ დურკინ-მაისტერერნსტისაგან განსხვავებით, პენრიკ სამუელ ნიბერგი აფიქსირებს არსებით სახელსაც pahr „მცველების" მნიშვნელობით (ნიბერგი 1974: 148). ამდენად, ჩვენი აზრით, არ შეცდებით,

თუ შესიტყვებას wērðy-pahr ქართულად ვთარგმნით არა სიტყვასიტყვით, არამედ – როგორც „ქართლის“, ანუ „იბერიის ციხე-სიმაგრეს“. ამ გამოთქმას აფიქსირებს ჰ. ს. ნიბერგიც, თუმცა, იგი ინგლისურად სიტყვასიტყვითვე გადააქვს როგორც „the Gruzinian Guard“, ანუ „იბერიელი მცველები“ და მას დარუბანდის ციხე-სიმაგრის სახელწოდებად მიიჩნევს (ნიბერგი 1974: 213), როგორც ჩანს, „ირანის მიწა-წყლის ქალაქების“ გავლენით.

საკვლევი პასაჟის მე-18 სტრიქონი უაღრესად პრობლემატურია. ქალაქი ყუმისი, იგივე პართიის ძველი დედაქალაქი ჰეკატომფილოსი, ანუ დღევანდელი შაჰრ-ე ყუმისი მდებარეობს დასავლეთ ხორასანში, კერძოდ, სემნანის ოსტანში, ქალაქებს სემნანსა და დამღანს შორის (დარიაი 2002: 40). ამდენად, თავისთავად ცხადია, რომ უცნობი ავტორი მოგვითხრობს აღმოსავლეთის კუსტზე (*kūst-i xwarāsān*), მაგრამ მასში სხვა კუსტების ისტორიული ფაქტებიც შეაქვს. უპირველეს ყოვლისა, როგორც სავსებით სწორად შენიშნა ი. მარკვარტმა, აქ იხსენიება შაპურის ძე იეზდიგერდი, ანუ იეზდიგერდ I (399-420), მაგრამ ავტორი მასში უნდა გულისხმობდეს ვაჰრამ V-ის (420-438) ძესა და მემკვიდრე იეზდიგერდ II-ს (438-457) (მარკვარტი 1931: 57), რომელიც 441-453 წლებში შუა აზიაში ჰეფთალებს ებრძოდა (შურღაია 2018: 154-155, 213) და დაამარცხა თეთრი ჰუნების ერთ-ერთი ტომი – გურგანის ჩრდილოეთით მცხოვრები ჩოლები (მარკვარტი 1931: 57); (ქრისტენსენი 1944: 287).[35] ჩვენი აზრით, სავსებით მართებულად მიუთითებს ბო უტასი, რომ ეთნონიმში „ჩოლი“ (Čōl, ანუ Čōl) უნდა მოიაზრებოდეს არა ჰუნთა ზემოაღნიშნული ტომი, არამედ – ქალაქი ჭორა (უტასი 1979: 122), რომელიც ქართულ ისტორიულ წყაროებში ცნობილია ჩორის სახელით (აბულაძე 1963: 22, 24), ხოლო სომხურში იხსენიება ეარიანტებითაც: Ճոր („ჭორ“), Չոլա („ჩოლა“), Չոլայ („ჩოლაჲ“), Չորայ („ჩორაჲ“) და Ճորայ („ჭორაჲ“) (ერემიანი 1963: 76); (პიუსენი, სალვატიკო 2001: 85 / რუკა № 65. B7).[36] ჩვენი აზრით, ბ. უტასის ჰიპოთეზის სასარგებლოდ მეტყველებს ორი – ლინგვისტური და ისტორიული მონაცემი. პირველი, ფალაურში გრაფემა l გამოიყენებოდა როგორც [l], ისე [r] თანხმოვანი ბგერების გადმოსაცემად (მაკკენზი 1986: x-xii); ამდენად სიტყვა ćwl, შეიძლება, ნავიკითხოთ როგორც ეთნომინი Čōl, ისე – ტოპონიმი Čor. მეორე, ცნობილია, რომ დასავლეთ კასპიისპირეთში, დარუბანდიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, კასპიის ზღვასა და კავკასიონის ტოტს შორის, თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკის ქალაქ სიაზანის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ბეშ-ბარმაკის, ანუ ადგილობრივ მცხოვრებელთა შორის ხიდირ ზუნჯას სახელით ცნობილ მთაზე,[37] იეზდიგერდ II-მ მართლაც ააშენა ციხე-სიმაგრე (ერემიანი 1958: 316).

მოსალოდნელი იყო, ანონიმ ავტორს ეს ცნობები შეეტანა არა აღმოსავლეთის, არამედ სასანელთა იმპერიის აზერბაიჯანის (*kūst-i ādurbādagān*)[38] კუსტისადმი მიძღვნილ ნაწილში, მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ „ჩოლისა“ და „ჩორის“ ერთმანეთში აღრევამ განაპირობა საკვლევი ფრაზის ჩართვა „ირანის მიწა-წყლის ქალაქების“ აღმოსავლეთის კუსტში. იმაზე, რომ მე-18 სტრიქონში საუბარია კავკასიისა და არა აღმოსავლეთ ირანის რეალიებზე, თვალნათლივ მეტყველებს გამოთქმაც wērðy-pahr („ვიროპაპრ“), ანუ „იბერიის ციხე-სიმაგრე“, რომელიც უდავოდ უნდა გულისხმობდეს დარუბანდს მიუხედავად იმისა, რომ ასეთი სურათი არანაირად არ ასახავს იმდროინდელ ისტორიულ სინამდვილეს.

კერძოდ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარმა დარუბანდამდე მხოლოდ დავით აღმაშენებლის (1089-1125) ეპოქაში გადაიწია, როდესაც ლეკეთი საქართველოს სამეფოს ყმადნაფიც ქვეყნად იქცა (ჯავახიშვილი 1983: 206-207) და ეს ვითარება XIV საუკუნის მესამე მეოთხედამდე გაგრძელდა. ამ პერიოდში, თეორიულად შესაძლებელია, დარუბანდი იბერიის ციხე-სიმაგრედ მიეჩნიათ, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით XI საუკუნეზე ადრეულ ხანაზე. ისიც გამორიცხულია, რომ შეიძლება, საქმე გვქონდეს „ირანის მიწა-წყლის ქალაქებში“ გვიანდელ ჩანართთან: დღესდღეობით დადგენილია, რომ ეს თხზულება ასახავს სასანელთა პერიოდის ირანს, ხოლო მასში მოგვიანებით შეტანილი ოთხიოდე ჩანამატი, ასევე, ზოგიერთი ტოპონიმის გვიანდელი დაწერილობა VIII საუკუნის შემდგომ პერიოდს არ სცილდება (უტასი 1979: 120); (ჩერეტი 2020: 93). ეს ასე რომც არ ყოფილიყო, „ირანის მიწა-წყლის ქალაქების“ თავდაპირველ რედაქციაში გამოთქმის wērðy-pahr, ანუ „იბერიის ციხე-სიმაგრე“ დაფიქსირების ავთენტურობის დასამტკიცებლად საკმარისი იქნებოდა ის ფაქტიც, რომ ამავე სახელწოდების ციხე-სიმაგრის არსებობას იმავე რეგიონში ადასტურებს V-VI საუკუნეების ბიზანტიელი მწერალი იოანე ლიდე, თუმცა, სხვა საკითხია, რატომ არის იგი არასწორად მიკუთვნებული აღმოსავლეთის კუსტისადმი.

როგორ შეიძლება, ავხსნათ წყაროების ურთიერთწინააღმდეგობრივი ცნობები?

ერთი მხრივ, იოანე ლიდესა და „ირანის მიწა-წყლის ქალაქების“ ზემოაღნიშნული ცნობების კრიტიკული განხილვა თვალნათლივ ცხადყოფს შემდეგ გარემოებებს: 1) კავკასიის მთავარ წყალგამყოფ ქედზე ნამდვილად არსებობდა ციხე-სიმაგრე ვიროპარახი, რომელიც 2) კასპიის ზღვასთან

ახლოს მდებარეობდა და 3) ვერ იქნებოდა დარუბანდი. მეორე მხრივ, პრისკე აფიქსირებს სპარსელთა მიერ აშენებულ ანალოგიური სახელწოდების ციხე-სიმაგრე იუროიპაახს და მისი სიახლოვე კასპიის კარებთან მხედველობიდან არ ეპარება არც მას და არც – იოანე ლიდეს.[39] ამდენად, ლოგიკურია, ვიფიქროთ, რომ იუროიპაახი დარიალსა და დარუბანდს შორის, უფრო დარუბანდთან ახლოს მდებარეობდა, ახლა კი შევეცადოთ მისი სახელწოდების ეტიმოლოგიის დადგენას.

როგორც ცნობილია, კავკასიონის ორ ფერდობზე არაერთი გადასასვლელი არსებობდა: დვალეთისა და თეკვერის (ცხენისწყლის აუზის შუა წელსა და რიონის შენაკადის, ლაჯანურას ხეობას შორის მდებარე ტერიტორია) გზები (ჯავახიშვილი 1983: 69-70); (ბელეცკი 2004: 22). მდინარე ასას ხეობა, აგრეთვე, მთიანეთის, ანუ მთათუშეთის, ხევსურეთისა და ხევის ჩეჩნეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი ქერიგოსა და ქაჩუს უღელტეხილები, და ჩილოს, ამუგოს, თებულოს, გირევისა და ჰუყერეჩოს გზა-ბილიკები (შავხელიშვილი 1972: 49, 51, 55-61); (შავხელიშვილი 1980: 30-35).

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, შეიძლებოდა, გეეფარაუდა, რომ იუროიპაახის სიმაგრე ალაზნის ხეობაში, დარიალსა და დარუბანდს შორის ყოფილიყო აშენებული, პანკისის ხეობიდან ბანარის წყლის გადაკვეთით საყორნის უღელტეხილამდე მიმავალ გზაზე, რომელიც წიფლოვანის ხეობასა და საყორნის ტყიან ფერდობს შორის მდინარე ალაზანს გადაჰკვეთს,[40] ან სადმე მიმდებარე ტერიტორიაზე. იოლი შესაძლებელია, სადღაც ამ მიდამოებში აშენებული ციხე-სიმაგრე ისევე მოულოდნელად წამოიმართოს ჩვენ თვალწინ, როგორც – ის ხაზარეთი, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში მშვიდად ეძინა მიწისა და ზღვის ქვეშ, ვიდრე 1959-1963 წლებში ლევ გუმილიოვმა წარმოუდგენლად იოლად არ აღმოაჩინა (გუმილიოვი 1996: 33-36, 41-52, 97-103, 108-109, 126-137).

რატომ მაინცდამაინც ალაზანზე? ჩვენი აზრით, ბერძნული ტოპონიმის „იუროიპაახი“ პირველ ნაწილში უნდა ირეკლებოდეს ჰიდრონიმი „იორი“, თუმცა, მდინარე იორთან შედარებით, იუროიპაახი კიდევ უფრო აღმოსავლეთით, ალაზანზე იყო აღმართული. როგორც ცნობილია, ჰიდრონიმი „იორი“ მდინარე მცირე ალაზანს აღნიშნავდა და კახეთის აღწერისას ვახუშტი ბატონიშვილი (1696-1757) ამ ფაქტს შემდეგნაირად ხსნიდა:

> ხოლო არს ქუეყანასა ამას შინა უდიდესნი მდინარენი ალაზანი და მეორე მცირე ალაზანი ანუ იორი, რომელთა მოიგეს სახელნი ალონის გამო, არამედ იორი გაორებისათჳს. ვინაჲთგან აქუთ სახელი ერთი – „იორა ამ მდინარემ“ (ყაუხჩიშვილი 1973: 526).[41]

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ჩვენი ვარაუდით, იუროიპაახის ციხე-სიმაგრის ადგილმდებარეობა და სახელწოდების ისტორია, შეიძლება, ასე წარმოვიდგინოთ:

1. იგი სპარსელებმა ააშენეს IV საუკუნის ბოლოს ან V საუკუნის დასაწყისში მდინარე ალაზნის ხეობაში, რომელზედაც გადაიტანეს ალაზნის ერთ-ერთი შენაკადის, ივრის სახელი ისე, რომ /u/ ხმოვნის სახით დაავიწროვეს სმოეანი /o/, რომელიც ქართულ სინამდვილეშიც ვიწროვდება /v/ ფონემად ჰიდრონიმის „იორი“ მხოლობითი რიცხვის ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში. მდინარის ქართულ სახელს დაუმატეს ფალაური არსებითი სახელი pahr, ანუ „ციხე-სიმაგრე“ და მიიღეს შედგენილი არსებითი სახელი: *Iuro-i-pahr („იუროპაჰრ“), რაც სპარსულად „ივრის ციხე-სიმაგრეს“ ნიშნავს;
2. ზემოაღნიშნული სპარსული ტოპონიმი ბერძნულ სინამდვილეში გადაიდა როგორც 'Ιουροε–ιπαάχ („იუროიპაახ“), როგორც ამას აფიქსირებს V საუკუნის 60-იან წლებში პრისკე: სპარსული /h/ ბერძნულად ჩაწერეს როგორც χ, რომელიც უკვე ამ ეპოქაში გამოხატავდა არა უკანა სასისმიერ ხშულ ყრუ ფშვინვიერ /kʰ/, არამედ – უკანა სასისმიერ ნარნარ ყრუ ფონემას /x/, ხოლო ბოლოკიდური /r/ დაიკარგა;
3. მალე სპარსულ სინამდვილეში ციხე-სიმაგრის სახელის პირველი ელემენტი ხელახლა გააზრებულ იქნა არა როგორც სპარსელთათვის უცხო ჰიდრონიმი „იორი“, არამედ – სპარსულ ენაზე ქართველთა ეთნიკური სახელი wēr („ვირ“), რითაც *Iuro-i-pahr, ანუ „ივრის ციხე-სიმაგრე“ „ქართველთა ციხე-სიმაგრედ“ გადაიქცა: wērδy-puhr;
4. პირველად ამ ფორმას VI საუკუნეში აფიქსირებს ბიზანტიელი ავტორი, იოანე ლიდე, როგორც Βιραπαράχ („ვირაპარახ“), ან Βιριπαράχ-ს („ვირიპარახ“). ამჯერად შედგენილი სახელის მეორე ელემენტში /r/ და /h/ ფონემებს შორის ვითარდება მეტათეზისი და „ჰრ“ „რჰ“ ხდება, ხოლო /h/ ბერძნულად ისევ უკანა სასისმიერი ნარნარი ყრუ ფონემის /x/ სახით გადადის: „რხ“;
5. ეს ტოპონიმი თავად სპარსულ სინამდვილეში დაფიქსირებულია შედარებით გვიან, VIII საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, თხზულებაში „ირანის მიწა-წყლის ქალაქები“. აქ wērδy-pahr („ვი-

როპაჰრ"). ანუ „ქართველთა ციხე-სიმაგრე" ცალსახად გულისხმობს დარუბანდს, რაც გვიანდელი რედაქტორის ჩარევის შედეგი კი არა, არამედ უშუალოდ თხზულების ანონიმი ავტორისეული შეცდომაა. სპარსელი მწერალი ყურმოკვრით იცნობს ამ ციხე-სიმაგრის სახელს, მაგრამ იცის მისი მნიშვნელობა თავის მშობლიურ ენაზე და მას აიგივებს მისთვის ყველაზე უფრო მახლობელ და ამ პერიოდში სპარსელთათვის მნიშვნელოვნად მიჩნეულ, სულ რამდენიმე ათეული წლის წინათ მათი უშუალო გავლენის ქვეშ მყოფ დარუბანდთან, მაგრამ მას დასავლეთ ხორასანში მდებარე ქალაქ ყუმისთან ახლოს ათავსებს (*sic*!);

6. სპარსელი ავტორის მოქმედების ჩვენეული ახსნა კიდევ უფრო დამაჯერებელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ სამ გარემოებას. პირველი, „ირანის მიწა-წყლის ქალაქების" საკვლევი პასაჟის მე-18 სტრიქონში მოხსენიებული ეთნონიმი wērōy თეორიულად, შეიძლება, აღნიშნავდეს ორ რეალობას: როგორც ქართლის სამეფოს, ისე – ჩრდილოეთ ავღანეთში, ანტიკური ხანის ქალაქ ბაქტრიიდან, ანუ დღეს ქალაქ მაზარ-ი-შარიფიდან ჩრდილო-დასავლეთით 20 კილომეტრზე მდებარე ბალხიდან, სამხრეთ-დასავლეთით მდებარე გეოგრაფიულ პუნქტს (ჰენინგი 1945: 89); (ჰენინგი 1947: 49). მეორე, უალრესად ბუნდოვანია „ირანის მიწა-წყლის ქალაქების" საკვლევი პასაჟის მე-18 სტრიქონის სინტაქსი, თითქოს, ავტორს ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდეს იმაზე, რასაც გადმოგვცემს.[42] და მესამე, საკვლევი პასაჟის მომდევნო სტრიქონებშიც იგი არაერთ უზუსტობას უშვებს. მაგალითად, როგორც ბ. უტასი ნათელყოფს, მე-19 და მე-20 სტრიქონებში იგი ჩამოთვლის ხოსრო I ანუშირვანის (531-579) მიერ დაარსებულ ხუთ ქალაქს და მის მიერ აშენებულ 180 ფარასანგის[43] სიგრძის კედელს იმპერიის დასავლეთ ნაწილში, არადა ამ სტრიქონებში საუბარია იმპერიის აღმოსავლეთ კუსტზე (უტასი 1979: 122).

3. ჰუნთა შემოსევა ქართლში და ეახტანგ გორგასლის ლაშქრობა ჩრდილოეთ კავკასიაში

466 წლის ჰუნთა შემოსევა ჰეფთალების,[44] ანუ თეთრ ჰუნთა[45] წინააღმდეგ სპარსეთის შაჰის, პეროზის (459-484), პირველი ლაშქრობის კონტექსტში თავსდება, მაგრამ, დ. მუსხელიშვილის ჰიპოთეზის საწინააღმდეგოდ, მას ვერ ჩავთვლით ჰუნთა სხვადასხვა ტომის ერთობლივ გადაწყვეტილებად, დასავლეთიდანაც შეეტიათ მტრისათვის (მუსხელიშვილი 2004: 147). ისტორია მართლაც იცნობს 395 წელს მცირე აზიაში ჰუნების მიერ ერთი ლაშქრობის ფარგლებში უალრესად ვრცელი ტერიტორიის დალაშქრის ფაქტს (მენხენ-ჰელფენი 1973: 58),[46] მაგრამ პატივცემული მეცნიერი თავის ჰიპოთეზაში გულისხმობს თვისებრივად სხვაგვარ – კოორდინირებულ და, თითქმის, უფართოესი მასშტაბის სამხედრო სინქრონულ ოპერაციას უკიდეგანო სივრცეზე: შუა აზიიდან კავკასიამდე. ასეთი ღონისძიების განხორციელებას, ჩვენი აზრით, მხოლოდ სახელმწიფო თუ შეძლებდა, ხოლო ასეთი პოლიტიკური ფორმაციის არსებობის დამტკიცება ვერ ხერხდება ჰუნთა სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ანალიზისას. როგორც ცნობილია, თეორია მომთაბარე ტომებში ფეოდალიზმის არსებობის შესახებ (ვლადიმირცოვი 1934); (ფიოდოროვ-დავიდოვი 1973: 12-14)[47] შემდგომი კვლევებით მცდარი აღმოჩნდა.[48]

ცხადია, მომთაბარე ტომთა გაერთიანება და იმპერია დიდად განირჩევა ერთმანეთისაგან.[49] ამასთან, მომთაბარე ხალხების იმპერიის რამდენიმე ტიპი არსებობს და განსხვავებული ეთნიკური სახელებითაც კი არის ცნობილი (იხ., მაგ., ბართა 1988: 165-168), მაგრამ ყველა მათგანს ახასიათებს ერთი ფუნდამენტური თავისებურება: შინაგანი ერთობის უქონლობა. როგორც რუდი პოლ ლინდნერი (ლინდნერი 1982: 689-711) ნათელყოფს, სწორედ შესაბამის სოციალურ და პოლიტიკურ სტრუქტურათა არარსებობის გამო, თვით ერთი და იმავე საერთო წინაპარი ტომისაგან წარმომდგარი მომთაბარე ეთნიკური ჯგუფებიც კი, რომლებიც განუწყვეტელი მიგრაცია-გაფართოების შედეგად უალრესად ვრცელ ტერიტორიაზე განსახლდნენ, ვეღარ ახერხებდნენ ვერც ერთმანეთის ცნობას და ვერც – იმის გაცნობიერებას, რომ მათ ერთ საერთო სოციალურ-ეკონომიკურ, ან პოლიტიკურ ფორმაციაზე დაფუძნებული კულტურა ჰქონდათ (ლინდნერი 1982: 696). პირიქით, ცალკეული ჯგუფი „ალმოაჩენდა" ისეთ ტომობრივ გენეალოგიას, რომელიც კონკრეტულ პოლიტიკურ მიზანს უპასუხებდა (ლინდნერი 1982: 696-697): „დაეცვათ თავიანთი ტომის წევრთა პოზიცია და უკეთ წარმოესახათ იგი ფართო სამყაროს წინაშე" (ლინდნერი 1982: 699). ასეთ იმპერიათა შექმნა და დაშლა დამოკიდებული იყო მათი სამხედრო ბელადის წარმატება-წარუმატებლობაზე, ხოლო იმპერიის სახელწოდება ასახავდა იმ ტომის სახელს, რომლის გარშემოც სხვა ტომები იყვნენ შემოკრებილნი მაშინ, როდესაც უკიდეგანო სივრცეში განფენილი მასები ლაპარაკობდნენ აბსოლუტურად განსხვავებულ ენებზე (ბართა 1988:

160) და იმპერიის დაშლისას „[...] მათი დიდი დამპყრობლის მიერ შექმნილი ეროვნული ან ტომობრივი ორგანიზაციის ფარგლებში აგრძელებდნენ ცხოვრებას, რომლის წესიც ძალიან ძნელად იცვლებოდა“ (ბართა 1988: 159).

რაც შეეხება საკუთრივ ჰუნებს, ალექსანდრე ნატანის ძე ბერნშტამმა დიდი ხნის წინათ ნათელყო, რომ სოციალური და პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით ისინი სულაც არ იდგნენ მათ მიერ დამარცხებულ ხალხებზე მაღლა (ბერნშტამი 1951: 8, 16, 119, 122-123, 130-132).[30] პირიქით, სწორედ ამ დამარცხებული ხალხების კულტურული ზეგავლენის, უფრო სწორად, მათი სიმდიდრის ხელში იოლად ჩაგდების სურვილის შედეგად გარდაიქმნენ ჰუნები უკვე ატილას დროს მომთაბარე მეომრებიდან „კალიებად“, რომელთა რიცხვის ზრდა უარყოფითად მოქმედებდა მათ სამხედრო ეფექტიანობაზე (ლინდნერი 1982: 703-704),[31] რადგანაც

> მტაცებლობას შეუძლია, ძლევამოსილი გახადოს ტომი, მაგრამ იმავდროულად საფუძველი შეურყიოს კიდეც მის [მდგრადობას]. გამორიცხული არ არის, ტომი ისე ნარმატებული აღმოჩნდეს, რომ მისმა წევრებმა დაკარგონ ის თვისებები, რომლებიც თავდაპირველად ტომის შექმნას დაედო საფუძვლად. ამ თვალსაზრისით, რაც უფრო ნარმატებულია ტომი, ეს მით უფრო უწყობს ხელს მის დაშლას (ლინდნერი 1982: 706).

საბჭოთა მეცნიერი ცხადყოფდა იმასაც, რომ ჰუნებმა ხელი შეუწყვეს კაცობრიობის პროგრესს მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ საფუძველი შეურყიეს მონათმფლობელურ საზოგადოებას და მას ფეოდალურ ურთიერთობაზე გადასვლისკენ უბიძგეს (ბერნშტამი 1951: 17, 163, 216). როგორც ოტო ჯონ მენხენ-ჰელფენის ანალიზიდანაც ჩანს, ჰუნების საზოგადოებაში სოციალური განვითარების არარსებობაზე მეტყველებს მათი უკიდურესად შეზღუდული სოციალური დიფერენციაცია და მონათმფლობელობის ინსტიტუტის, თითქმის, უქონლობა (მენხენ-ჰელფენი 1973: 198-200).[32] მხოლოდ ატილას სამეფოში დაიწყო „[...] ჰუნთა გაერთიანების კლასობრივ საზოგადოებად გარდაქმნა და, შესაბამისად, – სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება მათი მმართველი კლასის სასარგებლოდ“ (ჰარმატა 1951: 141),[33] მაგრამ მონების გამოყენება პატრიარქალური საზოგადოების ფარგლებს ვერ გასცდა, რის შედეგადაც ტომობრივი საზოგადოების დაშლისას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით, მონები დიდად აღარ გამოირჩეოდნენ გაღარიბებული მწყემსებისაგან, რომლებიც მინათმოქმედებად იქცნენ და თავისუფლება დაკარგეს (ჰარმატა 1952: 302-305). ატილას გარდაცვალებასთან ერთად მისი იმპერიაც დაიშალა, რადგანაც მას, როგორც ნებისმიერ სხვა ანალოგიურ, მომთაბარეთა იმპერიას (ჰარმატა 1952: 285-286), არ ჰქონდა ერთობლივი ეკონომიკური სისტემა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია (ჰარმატა 1952: 288).[34]

მრავალი თვალსაზრისით, კლანური ორგანიზაციის კიდევ უფრო კონსერვატიული (ჰარმატა 1952: 304-305) თავისებურებები შეინიშნება შუა აზიის ჰუნების, ჰეფთალთა (ლიტვინსკი 1999: 144-147) სოციალურ და ადმინისტრაციულ სტრუქტურებში მიუხედავად იმისა, რომ ისინი იცნობდნენ ურბანული, სამინათმოქმედო და მომთაბარეთა ეკონომიკის ფორმებსა და გამაგრებული ქალაქების არქიტექტურულ იერსახეს (ლიტვინსკი 1999: 149-151).[35]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, პრისკეს ცნობები ასახავს ამიერკავკასიაში მომთაბარე ტომთა ერთ-ერთ რიგით შემოსევას და ეხმაურება აღმოსავლეთ სირიელი აეტორის, ფსევდო-იეშუა სტილიტის († 518) „ქრონიკას“, რომლის მიხედვითაც სპარსეთის შაჰი, პეროზი ფულს სთხოვდა რომაელებს არა როგორც გადასახადს, არამედ – როგორც სამართლიანი მადლიერების დამსახურებულ საზღაურს იმისათვის, რომ სპარსელებმა ქუშანებს გაუმართეს ომი, რითაც მათ რომაელთა ტერიტორიის დალაშქვრის საშუალება არ მისცეს (რაითი 1882: 9/7, § 9). რომაელთა უარი სპარსელთა ამ მოთხოვნაზე, ჩვენი აზრით, გამოძახილი უნდა იყოს სარაგურებთან მათ შეთანხმებაზე, რაზედაც პრისკე მიანიშნებს. კერძოდ, ბიზანტიელი ისტორიკოსის თანახმად, დაახლოებით, 449 წელს აკატირები ცხოვრობდნენ τὴν πρὸς τὸν πόντον Σκυθικήν (კაროლა 2008: 39),[36] ანუ „პონტოსთან მდებარე სკვითეთში“, ანუ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში, საიდანაც, დაახლოებით, 463 წელს ომით გამოაძევეს სარაგურებმა, რომლებიც შემდეგ სხვა ხალხებმა შეავიწროვეს და „[...] რომაელებთან მოვიდნენ მათგან სიყვარულის მიღების სურვილით გულანთებულნი. იმპერატორმა და მისმა გარემოცვამაც დიდი პატივით მიიღეს ისინი და საჩუქრებით უკანვე გაისტუმრეს“ (კაროლა 2008: 69-70).[37] ჩვენი აზრით, სწორედ ამ ამბებზე უნდა მიანიშნებდეს პრისკეს თხზულების 37-ე ფრაგმენტი, რომელშიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საშუალო გვარის აორისტის მიმღეობა ἐπιθέμενοι ქართულად უნდა ნიშნავდეს „თავს დაესხნენ“.

ისტორიული წყაროების მიერ სხვადასხვაგვარად გადმოცემული ამბების ა. ბოგვერაძისეული მახვილგონივრული გააზრების თანახმად, რომაელთა დახმარების მიღებაზე იმედგადაწურულმა პეროზმა ჰუნთა ლაშქრობაზე პასუხის გასაცემად ქართლში გამოისტუმრა სპარსეთში მყოფი ვახტანგ გორგასალი ქართლის ლაშქრით და თან გამოაყოლა სპარსთა რაზმები (ბოგვერაძე 1976: 196), თუმცა, პატივცემულ მეცნიერს მხედველობიდან გამორჩა წინააღმდეგობა ქართულ და რომაულ წყაროთა შორის: თუ ჯუანშერი შემოსევასა და მის საპასუხო ლაშქრობას შორის პერიოდს ხუთი-ექვსი წლით განსაზღვრავს,[59] პრისკე პანიონელის მიხედვით, საპასუხო ლაშქრობა იმავე 466, ან 467 წელს მოეწყო, რადგანაც 467 წელს ქართლის მეფე უკვე ეგრისში იბრძოდა (იხ. შურღაია 2018: 177-191).

ჩვენი აზრით, ეს შეუსაბამობა, შეიძლება, გაირკვეს, თუ დავეყრდნობით მარგიტ ბიროს (ბირო 1997: 53-60) ჰიპოთეზას, რომელიც ჯუანშერის ცნობებს უკავშირებს VII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, ელიშეს „ვარდანისა და სომეხთა ომის ისტორიის" მონაცემებს, რომლებსაც შემდგომ, თითქმის, სიტყვასიტყვით იმეორებს X საუკუნის სომეხი მემატიანე, მოსე კალაკანტუელი. კერძოდ, აჯანყებულ ალვანთა მეფის დასასჯელად, რომელმაც ორმუზდ III-სა (457-459) და პეროზს შორის ტახტისათვის გაჩაღებული ბრძოლით ისარგებლა[59] და პეროზის გამეფებით დასადგურებული მშვიდობის შემდგომაც კი უარს ამბობდა შაპის სამსახურზე, სპარსელებმა „ხაილინდირების[60] ქვეყნიდან დიდძალი სიმდიდრე გაიტაცეს, განახვენეს ალანთა კარი, შეკრბეს ჰუნთა აურაცხელი ჯარი, მთელი წლის განმავლობაში ებრძოდნენ ალვანთა მეფეს" და გაანადგურეს მისი ჯარი (ტერ-მინასიანი 1957: 198); (თომსონი 1993: 198).[61]

სპარსელთა წაქეზებით ჰუნთა ამ შემოსევას მ. ბირო ათარიღებს პეროზის გამეფებასა და 463 წელს ალვანეთის სამეფოს გაუქმებამდე შორის პერიოდით, ანუ, უფრო ზუსტად, 461-სა და 463 წელს შორის განვლილი დროით (ბირო 1997: 56, 58-59), მაგრამ მას არანაირად არ უკავშირებს პრისკეს თხზულების 37-ე ფრაგმენტში აღწერილ სარაგურთა შემოსევას იმის გამო, რომ რომაელი ისტორიკოსისაგან განსხვავებით, ჯუანშერის მიხედვით, ჰუნები სპარსელებს არ ებრძვიან (ბირო 1997: 55). გარდა ამისა, მკვლევრის აზრით,

> [...] შეიძლება, სრულიად სამართლიანად დავასკვნათ, რომ ქართულ წყაროებში მოხსენიებული ლაშქრობა შეიცავს ორ მონაცემს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, იგი ელიშესა და მოსე კალაკანტუაცის თხზულებებში აღწერილ ჰუნთა ლაშქრობად მივიჩნიოთ. პირველია ქრონოლოგიური თანხვედრა, ხოლო მეორე – „ოვსთა" შემოსევის მიმართულება (ბირო 1997: 56).

კერძოდ, ჯუანშერის მიხედვით, „ოვსთა" (*lege* ჰუნთა) შემოსევა წინ უსწრებს ბიზანტიელთა აგრესიას, რომლებიც აფხაზეთიდან შემოიჭრნენ და მდინარე ეგრისწყლის გადმოლახვის შემდეგ (მუსხელიშვილი 1977: 112), ეგრისის ტერიტორიას ციხე-გოჯამდე დაეუფლნენ (ყაუხჩიშვილი 1955: 146).[62] ეს ლაშქრობა ეხმაურება პრისკეს თხზულების 25-ე ფრაგმენტს (კაროლა 2008: 65); (გამყრელიძე, ყაუხჩიშვილი 1961: 254) და თარიღდება 460–463 წლებით (ბოგვერაძე 1976: 192); (ბირო 1997: 58).[63] რაც შეეხება ჯუანშერის მიერ აღწერილ „ოვსთა" (*lege* ჰუნთა) მიერ გავლილ მარშრუტს, ისიც „[...] საუსებით გვარწმუნებს, რომ შემოსევის უმთავრესი სამიზნე იყო რანი და მოვაკანი, ანუ კავკასიის ალბანეთის ტერიტორია" (ბირო 1997: 56).

რა, შეიძლება, ითქვას ყოველივე ამის შესახებ?

უპირველეს ყოვლისა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ელიშეს მონათხრობით, ალვანეთის სამეფოს გაუქმებას წინ უძღოდა მთელი ერთი წლის განმავლობაში ომი ამ ქვეყნის წინააღმდეგ,[64] ჰუნთა შემოსევა ალვანეთში, შეიძლება, 460 წლით დათარიღდეს. ამავე დროს, ჩვენი აზრით, ჯუანშერის მიერ გადმოცემული „ოვსთა" შემოსევა იმიტომაც უნდა მივიჩნიოთ ჰუნთა შემოსევად, რომ ქართველი მემატიანის მიერ აღწერილი მარშრუტი ზუსტად ემთხვევა ელიშეს მიერ აღწერილ ფაქტს. კერძოდ, ქართველი ისტორიკოსი აღწერს: მათ შემოსევას ჩრდილოეთ კავკასიიდან (ჩვენი აზრით, უეჭველად დარიალის ხეობიდან), ქართლის დარბევას „თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე", კახეთში, კლარჯეთსა და ეგრისში შეღწევის შეუძლებლობას, რანსა და მოვაკანში შეჭრასა და დარუბანდის გზით ჩრდილოეთ კავკასიაში დაბრუნებას. მიუხედავად ამისა, მ. ბიროს ჰიპოთეზისაგან განსხვავებით, ყოველივე ეს უფლებას არ გვაძლევს, ჰუნთა ლაშქრობის ძირითად ობიექტად ალვანეთი მივიჩნიოთ. ეტყობა, ჯუანშერი აღწერს ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ტომების მორიგ თარეშს, რომელსაც ქართლის მეფემ ხუთი-ექვსი წლის შემდეგ გასცა პასუხი.

ამრიგად, ჯუანშერის მიერ მოხსენიებული ლაშქრობა ეხმაურება ელიშეს მონათხრობს და თარიღდება 460 წლით, ხოლო ჯუანშერის მიერ აღწერილი ჩრდილოეთ კავკასიაში ვახტანგის მიერ

გამართული ბრძოლა – პრისკეს თხზულების 37-ე ფრაგმენტს და თარიღდება 466 წლით. ქართველი ისტორიკოსი სამართლიანად ათავსებს ამ ორ მოვლენას შორის ხუთ-ექვს წელს და მიუხედავად იმისა, რომ სიტყვას არ ძრავს ჰეფთალთა წინააღმდეგ ვახტანგის პირველ ლაშქრობაზე (იხ. შურღაია 2018: 191-193, 195-196, 213). მოწმობს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ქართლის მეფის განკარგულებაში იყვნენ „სპანი სპარსთა ნიჯადნი“, ანუ სპარსთა დამხმარე რაზმები (ყაუხჩიშვილი 1955: 152).[65] ჯუანშერი ასე ავსებს პრისკეს ცნობებს, როდესაც ამბობს, რომ ვახტანგმა ასე დასაჯა „ოვსნი“. დაათვალიერა რა მუხრანისა და ხერკის (თანამედროვე საგურამოსთან ახლოს მდებარე) ველზე სპანი სამეფოსანი, ასევე, სპარსელთა რაზმები და მისი დედის ძმის, ალვანეთის მარზპანის, ვარაზ-ბაკურის მიერ გამოგზავნილი თორმეტი ათასი მხედარი, განაწყო ჯარი, რომელსაც შეუერთდნენ „მეფენი კავკასიანნი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 151, 157),[66] ანუ ვეინახთა (ქისტურ-ბაცბური) ტომების ბელადები[67] და, სავარაუდოდ, ჩრდილოეთ-დასავლეთის კავკასიური დაღესტნული ტომების მეთაურებიც. დარიალის ხეობაში გადამწყვეტ ბრძოლაში ვახტანგმა ამ ძალებით გაანადგურა „ოვსთა“ ჯარი, გაათავისუფლა თავისი და, და „მეფეთა ოვსთანთა“ გარდა, თავისად დაიჭირა ჩრდილოეთ კავკასიის ქუეყანანი, ანუ პაჭანიკეთი და ჯიქეთი (ყაუხჩიშვილი 1955: 156-157); (ტოროიანი 1884: 77-78); (აბულაძე 1953: 150-151); (ყაუხჩიშვილი 1973: 104).

ამასთან დაკავშირებით, აქვე ორიოდე სიტყვით უნდა შეეხოთ ნუზალის ეკლესიის ლექსეპიტაფიას „*** (ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი)“,[68] რომელშიც, როგორც ცნობილია, მოსე ჯანაშვილმა პირველმა შენიშნა ჩრდილოეთ კავკასიაში ვახტანგის ლაშქრობის გამოძახილი (ჯანაშვილი 1897: 20, 43-44). უშუალოდ ნუზალის ეკლესიასთან შედარებით, წარწერა გაცილებით გვიან (ლოლაშვილი 1971: 60), როგორც ჩანს, 1755-1817 წლებს შორის უნდა იყოს შესრულებული (ლოლაშვილი 1971: 54); (ძიძიგური 1974: 297), როდესაც აღდგენითი სამუშაოების დროს განაახლეს ეკლესიის კარიდან მარცხენა კედლის ქვედა ნაწილში გამოსახული შვიდი ძმის პორტრეტული ფრესკები (ლოლაშვილი 1971: 49, 90). XIX საუკუნის მეორე ნახევარში იგი უკვე აღარ იკითხებოდა იმის გამო, რომ, სავარაუდოდ, 1823 წელს მღვდელმა ნ. სამარგანოვმა ისე ჩამოფხიკა გაჯი, რომ წაშალა „კედელზე წარწერილი ოსბაყათარის ლექს-ეპიტაფია [...], ისტორიულ პირთა სახეებიც, ნაწილობრივ – წარწერებიც და იქვე ადგილ-ადგილ გაჯიც“ მოანგრია.[69]

მიუხედავად იმისა, რომ ნახევარი საუკუნის წინათ ივანე ლოლაშვილის მიერ შესრულებული ნაშრომი „დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება“ დღემდე საუკეთესო გამოკვლევად რჩება ნუზალის ეკლესიის შესახებ, ზოგიერთი მკვლევარი დღემდე აქტუალურად მიიჩნევს ლექს-ეპიტაფიის ჯუანშერის თხზულებასთან კავშირს, რის საფუძველზეც უნდობლობას უცხადებს ქართველი მემატიანის ცნობებს. მაგალითად, სხვა მკვლევრებზე (ლოლაშვილი 1971: 90-91); (ძიძიგური 1974: 293) დაყრდნობით, ვლადიმერ კუზნეცოვი სამართლიანად თვლის ფოლკლორულ მოტივად ლექს-ეპიტაფიაში ოს-ბაყათარის მიერ „ქართველი ბატონის“ დის გატაცებას, ბატონის მიერ მის დამარცხებასა და მდინარეში ჩახრჩობას, მაგრამ მის მსგავს ეპიზოდს ჯუანშერის თხზულებაშიც ფოლკლორიდან შემოსულ გადმოცემად მიიჩნევს, რასაც ვერ დავეთანხმებით.

პატივცემული მეცნიერის უმთავრესი საბუთი ისაა, რომ სახელი „ბაღათარი“ თურქული წარმოშობისაა და არაბულ წყაროებში X საუკუნეში, ხოლო ალანურ სინამდვილეში VII-IX საუკუნეებში დასტურდება (კუზნეცოვი 1990: 95-96). ავტორი ალანურ სინამდვილესთან მიმართებით უკვე დადგენილ ჭეშმარიტებად მოიხმობს საკუთარ გამოკვლევას „ალანეთის ისტორიის ნარკვევები“, სადაც ამ მოსაზრების გასამტკიცებლად მოტანილი აქვს ორი ისტორიული ფაქტი: IX საუკუნეში „ქართლის ცხოვრებაში“ (მეცნიერი არ მიუთითებს კონკრეტულ თხზულებასა და პასაჟს) მოხსენიებული „нтавар овсов Бакатар“ და ალანთა მეფე ბაღათარი, რის ისტორიულ მონმობადაც მოტანილია ნუზალის ეკლესიის ზემოთ ციტირებული ლექსი-ეპიტაფია (კუზნეცოვი 1984: 114) (*sic!*), რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, მკვლევარი ფოლკლორულ ლეგენდად მიიჩნევს და, ცხადია, ვერც ისტორიულ საბუთად და ვერც ათვლის წერტილად გამოგვადგება. კურიოზია ისიც, ისტორიკოსი უნდობლობას უცხადებდეს ისტორიულ თხზულებაში დაფიქსირებულ ფაქტს იმის გამო, რომ იგი, შეიძლება, გვიანდელი ეპოქით დათარიღდეს ფოლკლორული, ე. ი., არასაიმედო წყაროების საფუძველზე. არადა, ვითარება ოდნავ უფრო რთულია.

ოსურ ენაში არსებობს როგორც არსებითი, ისე ზედსართავი სახელი багъатыр, რაც ნიშნავს „დევგმირს“, „ბუმბერაზს“, „გმირს“, „გმირულს“, „მამაცს“ (გურიევი და *სხვები* 2015: 299), ხოლო ჰაროლდ ვალტერ ბაილი მიუთითებდა ნართების ეპოსში დადასტურებულ ეპითეტზე bäɣüdärtä, ანუ „ძლიერი“, მაგრამ რუს მეცნიერს არც ეს ფაქტები მოჰყავს და ვერც რაიმე სინათლე შეაქვს ოსურ სინამდვილეში საკვლევი ტერმინის დამკვიდრების ისტორიაში. ესეც არ იყოს, ცხადია, მეცნიერულად

ვერ გავამართლებთ ვერც იმას, ქართულ ისტორიულ მატიანეში გვიანდელ ფოლკლორულ ინტერპოლაციად მივიჩნიოთ ეს სახელი მხოლოდ იმის გამო, რომ იგი აქ არაბულ და ალანურ წყაროებზე ადრეა დადასტურებული. პირიქით, ალანურ სინამდვილეში, ვინ იცის, როდის დამონწმებული, მაგრამ ჯუანშერის მიერ დაფიქსირებული არაალანური სახელი კიდევ ერთი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ქართლში „ოვსთა სპათა ურიცხვთა“ შემოსევასთან უშუალოდ ოსებსა და მათ წინაპრებად მიჩნეულ ალანებს არაფერი ესაქმებოდათ.

ამასთან, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სახელი „ბალათარი“ არის არა თურქული, არამედ – ირანული და მომდინარეობს ზედსართავი სახელიდან *bakatura, რომელიც ნიშნავს „ძალიან ძლიერს“ (ბაილი 1975: 35); (ბაილი 1985: 26), ხოლო, როგორც ცნობილია, მეცნიერები ჰუნთა ტომებს უმთავრესად ირანული წარმოშობისად მიიჩნევენ.[70] ამდენად, ჯუანშერი კი არ გადმოგვცემს ლეგენდას, არამედ პირიქით, მის მიერ აღწერილი ისტორიული ფაქტები იქცა ლეგენდად და დღემდე ლეგენდადვე შემორჩა როგორც ოსეთში (კუზნეცოვი 1990: 94-95); (მაკალათია 1942: 22), ისე – საქართველოში, კერძოდ, მთიანეჭაში (ძიძიგური 1974: 282). სწორედ ამიტომ გადაიქცა ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგის მიერ ორთაბრძოლაში დამარცხებული ფალავანი „ოვსთა“ მთავრად და ვახტანგის დის, მირანდუხტის, გამტაცებლად ქართულ და ოსურ ზეპირსიტყვიერებაში. სხვათა შორის, საკითხის შესახებ ი. ლოლაშვილისა და შოთა ძიძიგურის ფუნდამენტური გამოკვლევების გამოსვლამდე ზახარი ნიკოლოზის ძე ვანეევი აბსოლუტურად მართებულად წერდა:

> ნარნერის [იგულისმება ნუზალის ეკლესიის ლექსი-ეპიტაფია – გ. შ.] შინაარსი მომდინარეობს ქართული ისტორიული წყაროებიდან და ოსური ზეპირი გადმოცემებიდან, მაგრამ აშკარაა, რომ ნარნერის ავტორი ცუდად იცნობდა როგორც პირველ, ასევე მეორე წყაროს და ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ნარნერაში მოხსენიებული პიროვნებების შესახებ (ვანეევი 1956: 18).[71]

ლეგენდარული ელფერით შეფერილ ცნობათა მილმა, ჯუანშერი უდავოდ გადმოგვცემს ისტორიულ ფაქტებს.[72] როგორც ვიცით, მემატიანე ჰუნთა ნაცვლად „ოვსებს“ ახსენებს, მაგრამ იგი მართალი იქნებოდა მაშინაც კი, მათ ნაცვლად ალანები რომ დაესახელებინა. საქმე ისაა, რომ, ჯერ ერთი, ბერძენი და რომაელი ისტორიოგრაფები ჰუნებად თელიდნენ მცხოვრებლებს იმ ტერიტორიისა, რომელსაც ჩრდილოეთით ესაზღვრებოდა მდინარეები დონი და მანიჩი, სამხრეთით – ყუბანის სანაპირო, ხოლო დასავლეთით – აზოვის ზღვა,[73] ანუ ის ტერიტორია, სადაც ალანთა მეზობელი ირანულ-სარმატული ტომები „ultra paludes Maeoticas glacialem Oceanum“ (საბა 2002 98), ანუ „ყინულოვანი ოკეანისა და მეოტის ტბის გადაღმა“ სახლობდნენ. ამავე აზრისანი იყვნენ გვიანდელი ანტიკურობისა და თვით შუა საუკუნეების ავტორებიც, რომელნიც კასპიის კარებსა და აზოვის ზღვას შორის მდებარე ტერიტორიას ჰუნთა სამშობლოდ თვლიდნენ (იხ., მაგ., კაროლა 2008: 81); (ჰაური 1905: 46); (კეიდელი 1967: 176-177). მაგალითად, 383 წლის პირველ იანვარს იმპერატორ თეოდოსი I-ის (379-395) სადიდებლად წარმოთქმულ პანეგირიკში თემისტიოსიც ახსენებს იმდროინდელ „[...] αὐθάδεια Σκυθικὴ καὶ τόλμα ‘Αλανῶν καὶ ἀπόνοια Μασσαγετῶν [...]“ (შენკლი 1965: 297), ანუ „სკვითთა თავხედობას, ალანთა გულადობასა და მასაგეტთა უგუნურობას“, ხოლო 384-385 წლების ზამთარში და 385 წელს[74] წარმოთქვამს ორ სიტყვას. მეორე სიტყვაში მოიხსენიებს ალანთა შემოსევას (შენკლი 1971: 218), რომელიც პირველ სიტყვაში მიიჩნია არც მეტი, არც ნაკლები, როგორც „φλὸξ Σκυθικὴ“ (შენკლი 1965: 316), ანუ „სკვითური ალი“.

ჯუანშერის მიხედვით, ვახტანგმა ოთხ თვეს იომა (ყაუხჩიშვილი 1955: 157).[75] ეს ამ ცნობის ავთენტურობაზე მეტყველებს და ნიშნავს, რომ საქმე ეხებოდა არა მთელი ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილებას, არამედ – დარიალის ხეობისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების თავისად დაჭერას, რაც აუცილებელი იყო ამ სტრატეგიული ზონის გაკონტროლებისათვის. ჯუანშერის ცნობებს მხარს უჭერს წმ. „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასტული რედაქციები, რომელთა ცნობა[76] ჯუანშერის თხზულების ორ ხელნაწერშიც არის დაფიქსირებული, თუმცა, არ გვხვდება „ქართლის ცხოვრების“ შემოკლებულ სომხურ რედაქციაში. ამ ცნობის მიხედვით, ვახტანგმა

> [...] დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი, ამან შექმნნა კარნი იგი ოვსეთისანი, რომელთა ჩუენ დარიანისად უწოდთ, და ალაშენნა მას ზედა გოდოლნი მაღალნი და დაადგინნა მცველად მახლობელნი იგი მთეულნი,[77] და დღენდელად დღედმდე არა ჴელ-უნიფების გამოსლვად დიდთა მათ ნათესავთა ოვსთა და ყივჩაყთა თჳნიერ ბრძანებისა ქართველთა მეფისა (აბულაძე 1971: 48).[78]

„ოვსებთან“ ერთად ყივჩაღთა მოხსენიება კიდევ ერთი აშკარა ანაქრონიზმია (ჯავახიშვილი 1977: 190); (მუსხელიშვილი 2004: 149)[79] და XI საუკუნის რედაქტორის ჩარევის შედეგი უნდა იყოს, მა-

გრამ ის ფაქტი, რომ, ჯუანშერის მიხედვით, ზემოაღნიშნული გადასასვლელები ვახტანგმა „ოვსებს“ და არა სპარსელებს გამოჰგლიჯა ხელიდან, ჯუანშერისა და პრისკეს ცნობების გათვალისწინებით, საბოლოო ჯამში ამ გვიანდელ ჩანამატში გადმოცემული ცნობის ავთენტურობაზე მეტყველებს. ამას გარდა, სპეციალურმა გამოკვლევებმა (გვასალია 1976: 144); (მელიქიშვილი 1970: 462) ცხადყო, რომ შეიძლება, გამართლება მოვუძებნოთ ლეონტი მროველის ცნობას იმის შესახებ, რომ დურძუკთა – როგორც ცნობილია, დაუდგენელი ეტიმოლოგიის, ჩეჩნურსა და ინგუშურში არარსებული ეს ეთნონიმი, ქართულ და არაბულ ისტორიულ წყაროებში ვეინახურ ტომებს აღნიშნავს[80] – მორიგი შემოსევის საპასუხოდ II საუკუნის პირველ ნახევარში მტრის დამარცხებისა და დამორჩილების შემდეგ, ქართლის მეფემ, მირიან I-მა: „[...] შეაბნა კარნი ქუტკირითა, და უწოდა სახელად დარუბალ. და დაჯდა მირვან მცხეთას, მეფობდა ნებიერად და უშიშად“ (ყაუხჩიშვილი 1955: 28).[81]

ჯუანშერს მხედველობიდან არ რჩება დარიალის ხეობის სტრატეგიული მნიშვნელობა: სამეფოს დედაქალაქი, მცხეთა, მდებარეობდა მტკვრისა და არაგვის შესართავთან, ხოლო დარიალი არაგვის ხეობის ვიწრო ყელს კეტავდა. ეს კარგად მიანიშნებდა ქართლის მეფეთა ძალისხმევას, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, თავიანთი კონტროლი დაეწესებინათ ამ ხეობაზე, რომელიც მაღალი მთებით მოწყვეტილი იყო საქართველოს ტერიტორიას (მაკალათია 1942: 23). ვახტანგმა შეაკეთა და განამტკიცა მირიანის მიერ აშენებული ციხე-სიმაგრე, როგორც ამას დღეს მოწმობს მდინარე თერგის მარცხენა ნაპირზე აღმართული შთამბეჭდავი ციხე-სიმაგრე. მან ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მიხეილ იურის ძე ლერმონტოვზეც, რომ პოეტმა იგი თავის „დემონში“ აღწერა, თუმცა, შეცდომით თამარის მიერ აგებულად მიიჩნია, თუმცა, არა თამარ მეფისა (1184-1213), არამედ – იმერეთის დედოფლისა XVII საუკუნეში (მაკალათია 1934: 38-39).

ასე გამოიყენა ვახტანგმა ჩრდილოეთ კავკასიაში სალაშქროდ 466 წელს ამიერკავკასიაში სარაგურების შემოსევის საპასუხოდ სპარსეთის შაჰის, პეროზის, სპეციალური მანდატი[82] და სპარსთა სპანი, რითაც მან სათავე დაუდო კავკასიაში სასანელთა ბატონობის დასრულებას: სპარსელებს ხელიდან გამოსტაცა ჩრდილოეთიდან სამხრეთ კავკასიაში გადმოსასვლელზე კონტროლი და გაიმარგა ზურგი, საიდანაც შეძლებდა, გადმოეყვანა და სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება მოკავშირე ჩრდილოკავკასიელი ტომები. ამ მოვლენიდან, დაახლოებით, ოცი წლის შემდეგ, 483 წელს სომეხ მოკავშირეთათვის მიწერილი ბარათში, მხოლოდ ამ გადმოსასვლელების ბატონ-პატრონი შეძლებდა, დასახმარებლად მოხმობილ ჰუნთა რაზმების მისამართით ეხმარა გამოთქმა „հրաման տալ“, ანუ „ბრძანების მიცემა“ (ტერ-მკრტჩიანი, მალხასიანი 1904: 132); (კუიმჯიანი 1985: 132); (ჯანაშია 1962: 249).[83] ამ რთული ამოცანის წარმატებით განხორციელების შემდეგ ვახტანგს შეეძლო, პრეტენზია წამოეყენებინა ეგრისის სამეფოსადმი, სადაც მის მიერ ნარმოებული ომი სპეციალური განხილვის საგანია.[84]

დასკვნა

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ გამორიცხულია, ჯუანშერის მიერ აღწერილი „ოვსთა სპათა ურიცხვთა“ ქართლში შემოსევა ეხმაურებოდეს V საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსისა და პოლიტიკური მოღვაწის, პრისკე პანიონელის „გუთების ისტორიის“ მე-8 ფრაგმენტს სკვითთა სამეფო გვარის ნევრების, ბასიხისა და კურსიხის მედიაში, ანუ კავკასიის, ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ლაშქრობის შესახებ. ჯუანშერის მიერ აღწერილი „ოვსთა“ შემოსევა ქართლში გამოძახილი უნდა იყოს ჩრდილოეთ კავკასიიდან ჰუნთა 460 წელს გადმოსვლისა, რაც ასახულია VII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, ელიშეს „ვარდანისა და სომეხთა ომის ისტორიაში“, სადაც ნათქვამია, რომ აჯანყებული ალვანთა მეფის დასასჯელად სპარსელებმა „განახვენეს ალანთა კარი, შეკრბეს ჰუნთა აურაცხელი ჯარი, მთელი წლის განმავლობაში ებრძოდნენ ალვანთა მეფეს“ და გაანადგურეს მისი ლაშქარი.

ჩრდილოეთ კავკასიაში ვახტანგის მიერ გამართული ბრძოლა უნდა თარიღდებოდეს 466 წლით და წარმოადგენდეს პასუხს ამიერკავკასიაში სარაგურების თარეშზე, რომლის დროსაც, როგორც პრისკე პანიონელის თხზულების 37-ე ფრაგმენტშია გადმოცემული, მათ აკატირებსა და სხვა ტომებზე თავდასხმის შემდეგ იბერია დაარბიეს. პრისკეს ცნობები ასახავს ამიერკავკასიაში მომთაბარე ტომთა ერთ-ერთ რიგით შემოსევას და ეხმაურება VI საუკუნის აღმოსავლეთ სირიელი ავტორის, ფსევდო-იეშუა სტილიტის „ქრონიკას“, სადაც ისტორიკოსი მიგვანიშნებს, აგრეთვე, 463 წელს რომაელებსა და სარაგურებს შორის დადებულ ურთიერთმეგობრობის ხელშეკრულებაზე.

ქართლის იმდროინდელი პროტექტორის, სპარსეთის წინააღმდეგ წამოწყებული ამ შეტევის საპასუხოდ, შაჰ პეროზის საგანგებო მისიითა და სპარსელთა საჯარისო შენაერთებით ქართლში მოვლინებულმა ვახტანგმა იმავე, 466 წელს ილაშქრა ჩრდილოეთ კაკასიაში და ოთხთვიანი

ბრძოლების შემდეგ მოპოვებული წარმატება თავისი სამეფოს სასარგებლოდ გამოიყენა. ჯერ ერთი, მან ამით საკადრისი პასუხი გასცა სპარსელთა მიერ ალვანეთის მეფის დასასჯელად ექვსიოდე წლის წინათ კავკასიაში გადმოყვანილ ჰუნებს, რომლებმაც ქართლიც დალაშქრეს და მეფის და, მირანდუხტი გაიტაცეს. ამასთან, რაც მთავარია, დარიალის ხეობა ვახტანგმა სპარსელებს კი არ გადასცა, არამედ სათავისოდ დაიჭირა: ხელახლა აღაშენა მისი წინამორბედის, მირიან I-ის მიერ აგებული ციხე-სიმაგრე და შიგ თავისი გარნიზონი ჩააყენა, რითაც კავკასიაში სასანელთა ბატონობის დასასრულის წინაპირობა შექმნა. ამით სპარსელებს ალუკეეთა კონტროლი ჩრდილოეთიდან სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთ უმთავრეს გადმოსასვლელ ხეობაზე და გაიმაგრა ზურგი, საიდანაც შეძლებდა, გადმოეყენა მოკავშირე ჩრდილოკავკასიელი ტომები სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ჩასაბმელად.

შენიშვნები

1 ნინამდებარე ნაშრომის ძირითადი დებულებები მოხსენდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2021 წლის 25-27 ივნისს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ სიმპოზიუმს „კავკასიის კარი – საქართველოს ჩრდილოეთის კარიბჭე". ამასთან, ვსარგებლობ შემთხვევით და გულითად მადლობას ვუხდი ჩემს მეგობარსა და კოლეგას, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, პროფ. გიორგი ჭეიშვილს ნუზალის ეკლესიის შესახებ ბიბლიოგრაფიული ცნობებისა და უახლესი ლიტერატურის მოწოდებისათვის, ასევე, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათაშორისი აბონემენტის განყოფილების უფროსს, ქალბატონ ნანა ხვედელიანს საქართველოში დასტამბული ჩვენთვის მიუწედომელი პუბლიკაციების ასლების გადმოგზავნისათვის. ამავე დროს, მინდა, მადლიერებით მოვიხსენიო ჩემი მეგობარი და კოლეგა, ირანული ფილოლოგიის აღიარებული სპეციალისტი, რომის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლა საპიენცას" ირანული ფილოლოგიის კათედრის პროფესორი, მაურო მაჯი, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიაპყრო „ირანის მინა-წყლის ქალაქებში" დაფიქსირებულ ტერმინს wēnδy-pahr და უახლესი ბიბლიოგრაფია მოგვაწოდა ამ საკითხის გარშემო, ამასთან, ერთგვარი აპრობაცია მისცა ჩვენს ჰიპოთეზას იუროიპაახის ციხე-სიმაგრის შესახებ და თავისი აზრი გაგვიზიარა ისე, რომ არსებითი შენიშვნები არ გამოუთქვამს ჩვენს მოსაზრებაზე.

2 ამავე დასახელების პროვინციის ცენტრი, ქალაქი ხუნანი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მდინარე თაუზჩაის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა. იხ. (ქილაშვილი 1958: 193-195); (მუსხელიშვილი 1974: 275-277); (მუსხელიშვილი 1977: 153-159); (ბერძენიშვილი 1979: 23-24).

3 ვახუშტი ბატონიშვილი (ყაუხჩიშვილი 1973: 101) არაფერს ამბობს მათ მიერ განვლილ გზაზე „თავითგან მტკურისათ ვიდრე ხუნანამდე", ხოლო ქვემო ქართლის მკვიდრის, სომეხი მონოფიზიტი მთარგმნელის მიერ XII საუკუნის მეორე ნახევარში შესრულებული (აბულაძე 1953: 015-016) მოკლე სომხური თარგმანი (ტიროიანი 1884: 75); (აბულაძე 1953: 145) აფიქსირებს ამ შემოსევას, მაგრამ არაფერს ამბობს ვახტანგის ასაკის შესახებ.

4 მისი პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. (ბალდუინი 1980: 18-61); (ჯიროტი 2003: 243-246); (შურღაია 2018: 50-52).

5 ამ პიროვნებათა შესახებ იხ. (მარტინდალი 1980: 211, 327-328), ხოლო მათ სახელთა თავდაპირველი ფორმისა და ეტიმოლოგიის შესახებ – (მენხენ-ჰელფენი 1973: 404-405).

6 ამ ეთნონიმში იგულისხმებიან ჰუნები (იხ. დესტუნისი 1861: 19-20), რადგანაც როგორც გ. ს. დესტუნისი (დესტუნისი 1861: 53) ვარაუდობს, ისინი ბატონობდნენ ბარბაროს ხალხებზე, რომელთაც ზოგადად სკვითებს უწოდებდნენ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ξυγλιδες γὰρ ὄντες, ანუ „ჭეშმარიტად დომხალი" იყვნენ (კაროლა 2008: 34). ამ უკანასკნელი საკითხის შესახებ იხ. (დესტუნისი 1861: 53-54).

7 იგულისხმება თანამედროვე ქალაქ ბაქოს მიმდებარე ტერიტორია. იხ. (დესტუნისი 1861: 65) ბიბლიოგრაფიით.

8 იხ., მაგ., (ლიჩინი 2017: 78). მედიის ისტორიული საზღვრების შესახებ იხ. (დანდამაევი, მედვედსკაია).

9 იხ., მაგ., „вожди Аттилы" (დესტუნისი 1861: 103); „принадлежавшие к войску Аттилы" (პიგულევსკაია 2000: 236).

10 როგორც ჩანს, ამავე მოსაზრებით ატილას ხუთი *trusted adherents*, ანუ „საიმედო თანამებრძოლის" შესახებ მსჯელობისას იანოშ ჰარმატა (ჰარმატა 1951: 144-146) არ ახსენებს ბასიხსა და კურსიხს.

11 შდრ. (თომფსონი 1999: 35), რომელიც ზემოაღნიშნულ ლაშქრობას ათარიღებს „დაახლოებით, 415-420 წლებით, ან – ოდნავ უფრო გვიანი ხანით". ამ შემოსევის 420–422, ან 423–425 წლებით დათარიღების შესახებ ბიბლიოგრაფია იხ. (გორდონი 2013: 220).

12 ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია, მოვიხმოთ ანალოგია პრისკეს თხზულების 42-ე ფრაგმენტიდან (კაროლა 2008: 79) (დე ბური 1883: 115-116, 5961 წ.), სადაც ეთნონიმში „სკვითები" აშკარად იგულისხმებიან ის ჰუნები, რომლებიც თრაკიაში დაამარცხა აღმოსაელეთ რომის მომაეალმა იმპერატორმა, ბასილისკმა (475-476), რითაც სახელი გაითქვა. ამავე დროს, რიჩარდ ნელსონ ფრაი წერდა: „[...] ანტიკური

ავტორები ქრისტიანობის ხანაში ისევ საყოველთაოდ ხმარობდნენ ტერმინს 'სკვითი' სტეპების სხვადასხვა ხალხის აღსანიშნავად ისევე, როგორც მრავალი ბიზანტიელი ავტორი ოსმალებს 'პუნებად' იხსენიებდა" (ფრაი 1965: 226).

13 ასე, მაგალითად, ამიანე მარცელინეს (საბა 2002: 105-106) ცნობით, სწორედ ისინი აღმოჩნდნენ 370-375 წლებს შორის პუნთა მოულოდნელი შეტევის პირველი მსხვერპლი (შოტკი 2004: 575).

14 იხ., მაგ., (მარკვარტი 1901: 58); (ბოგვერაძე 1976: 196); (ბოგვერაძე 1979: 40-41); (ლომოური 1989: 25).

15 როგორც დიულა მორავჩიკი (მორავჩიკი 1930: 60), ჩარლზ დუგლას გორდონი (გორდონი2013: 12), ვალტერ ბრუნო პენინგი (პენინგი 1952: 502) და ო. ჯ. მენხენ-პელფენი (მენხენ-პელფენი 1973: 437), ჩვენც ვთვლით, რომ ზმნის ἐπιτίθημι საშუალო გვარის აორისტის მიმღეობა ἐπιθέμενοι უნდა ნიშნავდეს „ისინი, ვინც შეუტია", „ისინი, ვინც თავს დაესხა" და არა – „ისინი, ვინც ეინმეს შეუერთდა", როგორც ეს ტრადიციულად მიიჩნეოდა; ო. ჯ. მენხენ-პელფენის (მენხენ-პელფენის 1973: 437) მიერ ციტირებული შემთხვევების გარდა, იხ. (გამყრელიძე, ყაუხჩიშვილი 1961: 259). ი. ჰარმატა (ჰარმატა 1951: 137-138) საგანგებოდ ასხვავებს ერთმანეთისაგან პუნებსა და აკატირებს, ხოლო ვ. ბ. პენინგი (პენინგი 1952: 502), პირიქით, მათ ერთმანეთთან აიგივებს და საამისოდ ეყრდნობა ედუარდ არტურ თომფსონის (თომფსონი 1999: 15) არგუმენტებს; ამას გარდა, მკვლევარი ერთსა და იმავე ხალხად მიიჩნევს აკატირებსა და ხაზარებს (პენინგი 1952: 504-507); ამ ჰიპოთეზას იზიარებს, აგრეთვე, პ. ვ. ბაილი (ბაილი 1954: 21). ა. ნ. ბერნშტამის (ბერნშტამი 1951: 164) აზრით, „ჰუნი-აკატირები" „როგორც ჩანს, ხაზარების წინაპრები" უნდა იყვნენ.

16 შდრ. (მარკვარტი 1932: 208-209), სადაც მკვლევარი უკვე განსხვავებული აზრისაა, მაგრამ იხ., აგრეთვე, (მენხენ-პელფენი 1973: 427) და დეივიდ ს. პოტერი (გორდონი 2013: 217), რომელთა აზრით, ისინი ერთი და იგივე ხალხია. ამავე აზრისაა ე. ა. თომფსონი (თომფსონი 1999: 49, 175), რომელიც პრისკეს მიერ გამოყენებულ ეთნონიმს 'Ακατῆροι ყოველთვის „აკაცირებ"-ად თარგმნის. სარაგურების შესახებ იხ. (ბუსალი 1950: 216) და (მენხენ-პელფენი 1973: 436-437).

17 იხ., აგრეთვე, (ქრისტენსენი 1944: 293).

18 იხ., მაგ., „[...] ააშენა ქალაქი ზღვისა კარსა და უწოდა დარუბანდი, რომელ ითქმის 'დაჯშა კარი' " (ყაუხჩიშვილი 1955: 13); (ჯავახიშვილი 1983: 13). სიტყვა „კარის" ფართო სემანტიკური ველის შესახებ ძველ ქართულ წყაროებში იხ. (ჯავახიშვილი 1983: 15).

19 ტერმინის შესახებ იხ. (გარსოიანი 1999: ix).

20 იხ., მაგ., (მარკვარტი 1901: 101); (შომონი 1973: 689), რომელიც გერმანელი მეცნიერის გამოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით, გამოთქმას Իվրոյ պաւհակ. ანუ „იბერიის ციხე-სიმაგრე" კასპიის კარის „უდაოდ უძველეს სახელად" მიიჩნევს (მკვლევარი ანალოგიური აზრისაა სტატიაშიც (შომონი 1975: 110)) და (ინაძე 1996: 63).

21 ხელი ვერ მიგვიწვდა მამა მხითარისტთა მიერ ვენეციაში მასზე ადრე, 1835 წელსა და 1862 წელს განხორციელებულ გამოცემებზე; იხ. (თომსონი 1995: 91).

22 ურო»პაახის დარიალთან იდენტიფიკაციის შესახებ თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად და ი. მარკვარტის მიერ ადრე გამოთქმული შენიშვნის საპასუხოდ, რომლის მიხედვითაც აგათანგელოსის ფრაზა „դուռն այսաց եւ իվրոյ պահակ", ანუ „ალანთა კარი და ქართლის ციხე-სიმაგრე" ორ განსხვავებულ სინამდვილეს, შესაბამისად, დარიალსა და დარუბანდს უნდა გულისხმობდეს (მარკვარტი 1901: 101), დ. მუსხელიშვილი (მუსხელიშვილი 2004: 195) გვთავაზობს, ვარიანტი այսաւց, ანუ „ალანთა" შევასწოროთ როგორც աղ[ու]ասաց. ანუ „ალ[ვ]ანთა", რადგანაც, როგორც ცნობილია, სომხურ წყაროებში ეს ორი ეთნონიმი ზოგჯერ ერთმანეთშია აღრეული; იხ. (ჯანაშია 1962: 130-131, 181); (შურღაია 2018: 132). სინამდვილეში აგათანგელოსის თხზულების როგორც პირველ, ისე უკანასკნელ გამოცემაში ავტორისეულად მიიჩნევა საკვლევი ფრაზისაგან განსხვავებული იკითხვისი: „[...] բանալ գլուխս այսաց եւ զՎրոյ պահակին [...]", ანუ „განახვნა რა ალანთა კარი და ჩორას ციხე-სიმაგრე" (ტერ-მკრტჩიანი, კანაიანცი 1909: 36); (თომსონი 1976: 36); (თომსონი 2010: 128); (ეკავიანი 2003: 1316), რომელიც ასევე გადადის ამ თხზულების თანამედროვე უცხოურ თარგმანებში; იხ., მაგ., (ტერ-დავთიანი, არევშატიანი 2004: 29). ამდენად, ნათელია, რომ მოსე ხორენელსავით, რომელიც საუბრობს ნინოს საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესახებ ალანთა კარამდე და კასპიის კარამდე (აბელიანი, პარუთიუნიანი 1913: 234), აგათანგელოსსაც მხედველობაში აქვს ორი განსხვავებული სინამდვილე. თუმცა, აეთენტური ვარიანტი იკითხვისის զՎրոյ, ანუ „ჩორას" ნაცვლად, իվրոյ, ანუ „ქართლისა" რომც ყოფილიყო, მაინც შეიძლებოდა, აგათანგელოსის პრობლემატური ფრაზა ნაკლებად კატეგორიულად მიგვეჩნია და აღგეექვა არა ორ განსხვავებულ სინამდვილეზე მიმანიშნებლად, არამედ – დაზუსტება-ჩართულის შემცველად, რაც აღნიშნულ სინამდვილეს განმარტავს ასე: „ალანთა კარი – და, ე.ი., – ციხე-სიმაგრე (ე.ი.) იბერიისა".

23 იხ., მაგ., „და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღს-კარი დარუბანდი და არაგს-კარი, რომელ არს დარიალა" (ყაუხჩიშვილი 1955: 12); (ჯავახიშვილი 1983: 15, 69).

24 შდრ. (არტამონოვი 1962: 211).

25 შდრ. (არტამონოვი 1962: 209).

26 იხ. (გუმილიოვი 1996: 163-164).

27 იხ., აგრეთვე, (გამყრელიძე, ყაუხჩიშვილი 1961: 260); (ყაუხჩიშვილი 1965: 239-241); (დესტუნისი 1861: 89).

28 როგორც ცნობილია, პორიზონტის მხარეებს ძველი ბერძნები ოთხი ძირითადი ქარის: ჯერ მხოლოდ ჩრდილოეთისა (ბორეასი) და სამხრეთის (ნოტოსი), ხოლო შემდეგ, მათთან ერთად, აღმოსავლეთისა (ევროსი) და დასავლეთის (ზეფირის) მიხედვით განსაზღვრავდნენ.

29 დედანშია სიტყვა σφυρός, რომელიც აღნიშნავს ფეხის კოჭს, ან რაიმეს ყველაზე დაბალ ან განაპირა ნაწილს. თავის თარგმანში ს. ყაუხჩიშვილს იგი ქართულად გადმოაქვს როგორც „ქუსლები“.

30 დედანშია: „εἰσοδος ἀποτελέσθη βαρβάρων τοῖς ἀγνοουμένοις ἡμῖν τε καὶ Πέρσαις“, სადაც ზმნის ἀγνοέω, ანუ „არ ვიცი“, „არ ვიცნობ“ საშუალ-ვნებითი გვარის ანმყო დროის მიმღეობა ἀγνοουμένοις, შეიძლება, ორგვარად გავიაზროთ. პირველ შემთხვევაში იგი, შეიძლება, განვიხილოთ, როგორც ერთგვარი აბსოლუტური დატივუსი და, ამდენად, მივუმართოთ შემასმენელს ἀποτελέσθη, ანუ „გასრულებული, ბოლომდე მიყვანილი იქნა“. ასე ესმის იგი ს. ყაუხჩიშვილს, რომლის თარგმანში ეკითხულობთ: „[...] გაკეთებულია – ისე რომ არც ჩვენ და არც სპარსელებმა არ ვიცოდით – შემოსასვლელი გზა ბარბაროსებისათვის [...]“ (ყაუხჩიშვილი 1965: 236). მეორე შემთხვევაში მიმღეობის მიცემითი ბრუნვა, შეიძლება, სინტაქსურ ატრაქციად მიგვეჩნია და ჩაგვეთვალა ატრიბუტად განსაზღვრებისა „βαρβάρων“, ანუ „ბარბაროსებისა“. როგორც ჩანს, ასე გაიზრებს მას ეშანუელ ბეკერი და პრობლემატურ ფრაზას ლათინურად თარგმნის, როგორც „introitus patefactus est barbaris, nobis Persisque ignotis“, ანუ „გაჭრილია შემოსასვლელი ბარბაროსთათვის, რომელთაც არც ჩვენ ვიცნობთ და არც – სპარსელები“ (ბეკერი 1837: 244). ჩვენს თარგმანში შეეცადეთ, ს. ყაუხჩიშვილის მსგავსად, ზუსტად დაგვეცვა ორიგინალის სინტაქსი.

31 შდრ. (დარიაი 2002: 2, 7).

32 ნანარმოების ლიტერატურული სტილის შესახებ იხ. (ჩერეტი 2020: 93, 80-81).

33 საკელევი ნინადადების თარგმანის შესახებ იხ. *ქვემოთ*, შენიშვნა 42.

34 საკითხის შესახებ იხ. (პენინგი 1947: 49).

35 ოცდაათი წლით ადრე ი. მარკვარტი (მარკვარტი 1901: 73) მათ თურქულ ტომად თვლიდა. ჩოლები იხსენიებიან, აგრეთვე, VI საუკუნის სირიულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში, „კარხა ბეთ სლოხის ისტორია და მისი მარტვილნი“ (პოფმანი 1880: 50), რომელიც ეძღვნება ბეთ გარმაის რეგიონის მთავარი ქალაქის, კარხა ბეთ სლოხის (არამეულად ქალაქის სახელი „სელევკის სახლის ციხე-სიმაგრეს“ ნიშნავს), დღეს ერაყში, ქალაქ კირკუკთან ახლოს, ქრისტიან მცხოვრებთა წამებას იეზდიგერდ II-ის ზეობაში, 466 წელს. თხზულების შესახებ იხ. (პარაკი 2011: 242).

36 მარი-ლუიზ შომონი (შომონი 1975: 110) მას „კასპიის კართან“, ანუ დარუბანდთან აიგივებს.

37 თურქულად სიტყვა beş ნიშნავს „ხუთს“, ხოლო barmak – „თითს“. მთას ასე ითიტომ უწოდებენ, რომ კონტურები ხელის ხუთ თითს მოგვაგონებს. მთის გეოგრაფიული კოორდინატები იხ. (სტანდარტული სახელები 1979: 427).

38 როგორც ცნობილია, სპარსელები ჩრდილოეთს დემონთა რეგიონად თვლიდნენ (გისელენი 2000: 214); (გისელენი 2001: 12-13). ამის გამო თუ დანარჩენ სამ კუსტს სახელს ქვეყნის მხარეების მიხედვით უწოდებდნენ, ავი თვალის თავიდან ასაცილებლად, მეოთხეს ერქვა არა *kūst-i abaxtar*, ანუ „ჩრდილოეთის კუსტი“, არამედ – *kūst-i ādurbādagān*, ანუ „აზერბაიჯანის კუსტი“. როგორც ცნობილია, ჩრდილოეთის მხარე ანალოგიური შინაარსით არის აღბეჭდილი ქრისტიანულ ლიტერატურულ ტრადიციაშიც, რის შესახებაც იხ. (სირაძე 1987: 93-95).

39 იხ. „[...] τοῦ Ἰουροειπαὰχ φρουρίου, ἐπὶ τῶν Κασπίων κειμένου πυλῶν [...]“, ანუ „ყასპიის კარებთან მდებარე ფოროპაახის ციხე-სიმაგრისა“ (კაროლა 2008: 70); (გამყრელიძე, ყაუხჩიშვილი 1961: 256) და „[...] ἐν ἀρχῇ στενῇ τοῦ Καυκάσου, πρὸς βορίαν ἄνεμον κατὰ τὴν Κασπίαν χωριζομένων φύσει τῶν τοῦ Καυκάσου σφυρῶν [...]“, ანუ „კავკასიონის ვიწრო თავში, [ჩრდილოეთის ქართან], ბორეასთან ახლოს, კასპიის ზღვის გასწვრივ კავკასიონის მთის ძირიდან ბუნებრივად განყოფის“ (ბეკერი 1837: 244); (ყაუხჩიშვილი 1965: 236).

40 ამ გზის დეტალური აღწერა იხ. (შავხელიშვილი 1972: 56-57); (შავხელიშვილი 1980: 30-31).

41 ეს რთული პასაჟი სავსებით სწორად აქვს გაგებული და ფრანგულად თარგმნილი მარი ბროსეს (ბროსე 1842: 289). იხ., აგრეთვე, (ჯავახიშვილი 1983: 27).

42 ორიგინალის ბუნდოვანებამ მეცნიერებს უბიძგა, ურთიერთგანსხვავებულად ეთარგმნათ იგი. ი. მარკვარტმა ის ინგლისურად გადაიღო, როგორც: „Yazdkert the son of Shâhpuhr (Yazdkert I) made it (Kômish) in his reign against the foraging Chôl to a strong watch-station of that side (region)“, ანუ „იეზდიგერდმა, შაპურის ძემ (იეზდიგერდ I-მა), ააშენა იგი (ყუმისი) სურსათის მაძიებელი ჩოლების წინააღმდეგ, იმ მხარის (რეგიონის) ძლიერი სათვალთვალო პუნქტის მახლობლად“ (მარკვარტი 1931: 12), თურაჯ დარიაიმ – როგორც „In the reign of Yazdgird, the son of Sabuhr made it during the invasion of the Col, at the boundary of the Gruznian Guard“, ანუ „იეზდიგერდის ზეობაში შაპურის ძემ ააშენა იგი, ჩოლების შემოსევის დროს, იბერიელთა მცველი რაზმის საზღვარზე“ (დარიაი 2002: 18), ხოლო კარლო ჩერეტიმ – როგორც „In the reign of Yazdegard I Šābuhrān, he (i.e. Yazdegard) built it, during the Čōl's onslaught, (to be) the Gruzian Guard of that boundary“, ანუ „შაპუჰრან იეზდიგერდის ზეობაში, მან (ანუ იეზდიგერდმა) ააშენა იგი, ჩოლების შემოტევის დროს, (როგორც) ამ საზღვარზე იბერიელთა მცველი რაზმი“ (ჩერეტი 2020: 83). ჩვენს თარგმანში დაცულია ავტორისეული ინგლისური ფრაზის ნიუანსი: „ააშენა... რაზმი“, რომელიც გადმოსცემს ფალაური ორიგინალის აზრობრივ ბუნდოვანებას. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენი 2021 წლის 25

აგვისტოს ელბარათზე პროფესორმა მაურო მაჯიმ 30 აგვისტოს გვიპასუხა: „თ. დარიაის თარგმანი 'at the boundary of the Gruznian Guard', ანუ 'იბერიელთა მცველი რაზმის საზღვარზე' უგულებელყოფს სინტაქს, [რადგანაც] თეორიულად უნდა ყოფილიყო: 'the Gruzian Guard at/of that boundary', ანუ 'იბერიელთა მცველი რაზმი იმ საზღვარზე, ან იმ საზღვრისა' [?]. ჩერეტისეული თარგმანი 'to be', ანუ 'ყოფნა' მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადების შემოტანას კი არ ემსახურება, არამედ, ჩემი აზრით, მეცნიერი ამით მიგვანიშნებს, რომ 'the Gruznian Guard', ანუ 'იბერიელთა მცველი რაზმი' პირდაპირი დამატება 'it'-ის პრედიკატია შესიტყვებაში 'built it', ანუ 'ააშენა იგი', ანუ: 'he built it as the Gruznian Guard', ანუ 'ააშენა იგი, როგორც იბერიელთა მცველი რაზმი'. სიტყვის älag უმთავრესი მნიშვნელობა არის 'მხარე', 'მიმართულება', ამდენად არ ვიცი, რამდენად გამართლებულია მისი boundary-ით, ანუ 'საზღვრად' თარგმნა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩვენთვის საინტერესო წინადადებაში რაღაც არ არის თავის ადგილას". ამ განმარტების ფონზე უმნიშვნელო დეტალად გვეჩვენება ის, რომ ი. მარკვარტმა თავის თარგმანში გამოტოვა სიტყვა wĕrδy, ანუ „ქართლის", „იბერიის", ხოლო თ. დარიაის და ჯ. ჩერეტის იგი ინგლისურად გადაიღეს არა როგორც Georgian, არამედ – რუსიზმით, ანუ, შესაბამისად, Gruznian (*sic*!) და Gruzian. როგორც ჩანს, ჰ. ს. ნიბერგის გაელენით, რომელსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს სიტყვა სწორედ ასეთი რუსიზმით გადააქვს ინგლისურად.

[43] სიგრძის ამ სპარსული ერთეულის შესახებ იხ. (გუმილიოვი 1996: 30-31).

[44] ამ ეთნონიმის სხვადასხვა ენაში დადასტურებული ფორმების შესახებ ბიბლიოგრაფია იხ. (მენხენ-ჰელფენი 1959: 230-231). როგორც ჩანს, პეფთალთა სახელი ირანულ რიგობით რიცხვით სახელს hapta, ანუ „შვიდს" უნდა ასახავდეს (ჰაუსინგი 1953: 320-325), მიუხედავად იმისა, რომ X საუკუნის სპარსელი ისტორიკოსის, მუჰამედ ბალამის (გარდ. 974 წ.) მონმობით, ბუხარულ ენაზე იგი „ძლიერ კაცს" ნიშნავდა, რაც მტკიცდება საკა კოტანურში, სადაც ეს ზედსართავი სახელი „გულადს" ნიშნავს" (ლიტვინსკი 1999: 135); იხ., აგრეთვე, (ბაილი 1979: 208). კერძოდ, ბალამი წერდა: „ბუხარის ენაზე 'ძალა' გამოითქმება როგორც 'ჰაიტალ' [...]" (ზოტენბერგი 1958: 128). VI საუკუნის, თითქმის, უცნობი ბიზანტიელი ავტორის, თეოფანეს „ისტორიის" მე-3 ფრაგმენტის თანახმად, ამ ხალხს ეს სახელი მათი მეფის, ეფთალანის – ბერძნულად 'Εφθάλανος; ამ საკითხზე იხ. (ბერნშტამი 1951: 184) – სახელის გამო ენოდა (მოულერი 1851: 270). დაბოლოს, თუ ზოგიერთი წყარო, მაგ., (შერი 1909: 107), მაგრამ იხ., აგრეთვე, (ბუსალი 1950: 230), რომელიც თელის, რომ „[...] პეფთალები თურქები იყვნენ" – ამ ეთნონიმს „თურქის" სინონიმად მიიჩნევს, ალ-მასუდის მიხედვით, „პეფთალებს ბუხარასა და სამარყანდს შორის მცხოვრებ სოგდელებს უწოდებენ" (ბარბიე-დე-მეინარი, პავედე-კურტეილი 1962: 231), რომან გირშმანი პეფთალთა ენას მიაკუთვნებს „ირანულ ენათა ოჯახს" „მათ მიერ მოჭრილი მონეტების წარწერების" საფუძველზე (გირშმანი 1948: 66), ხოლო ო. ჯ. მენხენ-ჰელფენი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ პეფთალთა მმართველი ბირთვი შედგებოდა ირანული და არა თურქული ეთნიკური ელემენტებისაგან (მენხენ-ჰელფენი 1959: 229-231); (მენხენ-ჰელფენი 1957: 280-283). ა. ნ. ბერნშტამის (ბერნშტამი 1951: 190-191) აზრით, პირიქით, პეფთალები ქუშანთაგან გადარჩენილი ერთ-ერთი ტომია, რომელიც ჯერ მასაგეტ-ალანებს შეერწყა, ხოლო შემდეგ – შუა აზიის ჰუნურ ტომებს, რომელთაც აეტორი თურქებად თვლის (ბერნშტამი 1951: 102, 105-108, 113, 131, 144, 166-168, 192-193, 197, 210), რომლებმაც თავიანთ თაეში გათქვიფეს რუანრუანთა კონფედერაციიდან განადგურებას გადარჩენილი ტომები; ამდენად, მკვლევრის აზრით, პეფთალთა სახელი ენოდა ირანელ და თურქ ხალხთა ამ ერთობას, რომელიც საბოლოოდ გათურქების შემდეგ ოღუზურ ტომებს შეერია (ბერნშტამი 1951: 197).

[45] ასე უწოდებენ პეფთალებს პროკოპი კესარიელი, რომელიც მათ დანარჩენ ჰუნთაგან განარჩევს თეთრი კანითა და მკვიდრ ადგილზე ცხოვრების წესით (ჰაური 1905: 10), და თეოფანე ჭამთააღმწერელი (დე ბური 1883: 122, 5968 წ.). ინდური წყაროებიც განარჩევენ თეთრ და წითელ ჰუნებს (ლიტვინსკი 1999: 169). ამის საპირისპიროდ, ი. მარკვარტი (1901: 55) და, მის კვალობაზე, ართურ ქრისტენსენი (1944: 293) მიიჩნევენ, რომ გამოთქმა „თეთრი ჰუნები" თავდაპირველად აღნიშნავდა ქიონიტებს და მხოლოდ მოგვიანებით მოიხსენიებდნენ ამ სახელით პეფთალებსაც.

[46] საზოგადოდ იხ., აგრეთვე, (მენხენ-ჰელფენი 1973: 51-59); (თომფსონი 1999: 30-32).

[47] სამეცნიერო ლიტერატურისა და იმავე მიმართულებით მიმაეალი სხვა გამოკვლევებისათვის იხ. (ფიოდოროვ-დავიდოვი 1973: 10-11).

[48] იხ., მაგ., (ტოლიბეკოვი 1955: 75-83); (ტოლიბეკოვი 1959); (მარკოვი 1976); (ბართა 1988: 162).

[49] (მოლნარი 1949: 82) და შემდ. [*non vidimus*], რომელიც შეჯამებულია გამოკვლევაში (ჰარმატა 1952: 284-285). ასევე ანტალ ბართა განარჩევს ტყიანი სტეპების მოსახლეობას, რომელიც „[...] გაერთიანებული არ არის პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ (წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი სამხედრო ორგანიზაციის იდენტური იქნებოდა)" ბალახიანი სტეპების ცხენოსანი მოსახლეობისაგან, რომელსაც, პირიქით, აქვს სამხედრო ორგანიზაცია (ბართა 1988: 155).

[50] დაახლოებით, 376-395 წლებში (თომფსონი 1999: 11) ჰუნთა ამიანე მარცელინესეული (საბა 2002: 98-101), თუმცა, ერთობ პირქუში დახასიათება ბარბაროსთა ზნე-ჩვეულებების ერთ-ერთ ყველაზე შთამბეჭდავ აღწერად, შეიძლება, ჩაითვალოს, რომლის შესახებ იხ. (მეთიუზი 2007: 332-342). ამავე დროს. მეორედ მოსულისადმი მიძღვნილ თავის ერთ-ერთ ჰომილიაში ეფრემ ასური (დაახლ. 306-373) ჰუნებზე გადააქვს წინასწარმეტყველ ეზეკიელის მონათხრობი (ეზ. 38:1-39:20) მაგოგის ზნე-ჩვეულებების შესახებ (ვიდენ-

გრენი 1984: 17-18). მას არ ჩამოუვარდება იორდანეს თხზულებაში დაცული ლეგენდა ჰუნთა შესახებ (ჯუნტა, გრილონე 1991: 53-54), რომელშიც ო. ჯ. მენხენ-ჰელფენი (მენხენ-ჰელფენი 1945ბ: 245-251) ძველი ქრისტიანული ტრადიციის გამოძახილს ხედავს. ჰუნთა საზოგადოების შესახებ კომპლექსური სურათის წარმოსახვისა და სპეციალური ბიბლიოგრაფიის მოძიებისათვის იხ. (პარმატა 1952: 282-286), ხოლო სხვა მითითებები იხ. (თომფსონი 1999: 41-42); (ბერტინი 1988: 539-545).

[31] დასავლელ და აღმოსავლელ ჰუნთა ურთიერთმიმართების შესახებ ძველი დისკუსიის შესახებ იხ. ერთი მხრივ, (ბერნშტამი 1951: 78-80, 117, 122, 138, 144-148, 214), რომელიც მათ ერთმანეთთან აიგივებს და თვლის, რომ IV საუკუნეში მათ დასავლეთში შეაღწიეს და მრავალი ადგილობრივი ეთნიკური ელემენტიც თავიანთ ტომებში გათქვიფეს, ხოლო, მეორე მხრივ, (მენხენ-ჰელფენი 1945ა: 222-243), რომელიც კრიტიკულად განიხილავს ამ კომპლექსურ პრობლემას და დაასკვნის: ა) არ არსებობს არაეითარი ლიტერატურული ან არქეოლოგიური საბუთი უკიდურესი აღმოსავლეთიდან ჰუნთა წარმოშობის შესახებ, ბ) არ მოიპოვება არავითარი მონაცემი იმის დასამტკიცებლად, რომ ჰუნები და ხიონგნუ (ჰსიუნგ-ნუ) ტომი ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, გ) ჰუნთა ხელოვნების ძეგლები არსებითად განსხვავდება ხიონგნუთა ხელოვნების ნიმუშებისაგან.

[32] იხ., აგრეთვე, (ბერნშტამი 1951: 53-54) და, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის შესაბამისი მონათა განსხვავებული კატეგორიების კომპლექსური სურათის შესახებ – (ლენცმანი 1951: 47-69).

[33] იხ., აგრეთვე, (პარმატა 1951: 142, 148-149, 151); (პარმატა 1952: 285, 292-293, 296-297, 301-302).

[34] ჰუნთა სოციალური წყობის შესახებ იხ. (პარმატა 1952: 288-304).

[35] იხ., აგრეთვე, *ზემოთ*, შენიშვნა 45. ამ არეალში მომთაბარეთა სხვადასხვა იმპერიის ერთმანეთთან შენაცვლებისა და მათი სოციალური სტრუქტურის შესახებ იხ., აგრეთვე, (ბერნშტამი 1946: 8, 192) იანოშ პარმატას (პარმატა 1952: 286-287) კრიტიკული შენიშვნებით.

[36] აკატირების ეთნიკური სახელის ეტიმოლოგიისა და მათი ეთნიკური კუთვნილების შესახებ დისკუსიისათვის იხ. (მენხენ-ჰელფენი 1973: 427-438).

[37] შესაძლებელია, ეს გარემოება ხსნიდეს იმასაც, თუ რატომ დასახლდნენ აკატირები კიდევ უფრო ჩრდილოეთით, რუსეთის შუა ბაზზე, VI საუკუნეში. იორდანეს ცნობის ბუნდოვანების მიუხედავად, რომლის მიხედვითაც, „Ad litus autem oceani, ubi tribus faucibus fluenta Vistulae fluminis ebibuntur, Vidivarii resident, ex diversis nationibus aggregati“ (ჯუნტა, გრილონე 1991: 17), ანუ „ოკეანის სანაპიროზე, სადაც სამი შესართავიდან მდინარე ვისლას ზვირთები შედის, ცხოვრობენ ვიდივარები, რომლებიც სხვადასხვა ხალხისგან შედგებიან“, ეს ნათელი ხდება იმის გამო, რომ ვიცნობთ აქ დასახელებული სხვა ხალხების გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას (დესტუნისი 1861: 59).

[38] „ოვსთა“ შემოსევისას ვახტანგი ათი წლის იყო (იხ., აგრეთვე, *ზემოთ*, შენიშვნა 3), ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობის საქვეყნოდ განცხადებისას – თხუთმეტისა (ყაუხჩიშვილი 1955: 147); (ტიროიანი 1884: 75); (აბულაძე 1953: 146), ხოლო „ოვსეთში“ შესვლისას – თექვსმეტისა (ყაუხჩიშვილი 1955: 151). მოკლე სომხურ თარგმანში ეს მონაცემი მოთავსებულია ვახტანგის მიერ „ოვსი“ ფალავნის, თარჭანის მოკვლის შემდეგ მის მიერ უფლისადმი აღვლენილი სამადლობელო ლოცვის შემდეგ; იხ. (ტიროიანი 1884: 77); (აბულაძე 1953: 150).

[39] ლინგუ დეფენი (583-666) თავის „[ჩრდილოელ] ჟუთა ისტორიაში“ (557-581) სასანელთა სამეფო კარზე მემკვიდრეებზე ტახტის გადაცემის შემდეგ რიტუალს გადმოსცემს. შაჰი ირჩევს თავის შვილებს შორის ყველაზე გონიერს და წერს მის სახელს საბუთზე, რომელიც უმკაცრეს საიდუმლოდ ინახება სამეფო არქივებში. შაჰის გარდაცვალებისას მისი შვილები და მინისტრები ერთად ხსნიან დოკუმენტს, მასში აღნიშნული შვილი შაჰი ხდება, ხოლო დანარჩენი შვილები მიდიან მათთვის კუთვნილი ქვეყნის რეგიონების სამართავად და თავიანთ სიცოცხლეში ძმები ერთმანეთს ველარც კი ხვდებიან. იხ. (მილერი 1959: 13-14).

[40] საუბარია ჰუნების ერთ-ერთ ტომზე (ტრევერი 1959: 214), ან ჰუნებზე მმართველ ერთ-ერთ კლანზე (მარკვარტი 1901: 56), ანდა – უბრალოდ, კავკასიის ერთ-ერთ ჰუნურ ტომზე (ჩეგლედი 1955: 134) *non vidimus*, ციტირებულია ნაშრომში (ბირო 1997: 55).

[41] იკითხვისის խայասդրաց – ტოპონიმ „ხაYლანდრიქ/ხაYლანდურქ“-ის შესახებ იხ. (მარკვარტი 1901: 96, 98) – ნაცვლად. მოსე კალანკატუელის „ალვანთა ქვეყნის ისტორიის“ არაერთი ხელნაწერი გვთავაზობს იკითხვისის աղուանդրեայ (გასპარიანი 2012: 47), რომელშიც კამილა ტრევერი (ტრევერი 1959: 215) კითხულობს უდავო მითითებას ალვანეთზე.

[42] იგი დაფიქსირებულია მოკლე სომხურ თარგმანში, მაგრამ მასში გამოტოვებულია ადგილის გარემოება, ანუ „აფხაზეთით“ (ტიროიანი 1884: 75); (აბულაძე 1953: 145).

[43] სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ პრისკეს „ისტორიის“ 25-ე და 26-ე ფრაგმენტები უნდა ასახავდეს 455-456 წლების ამბებს და, აქედან გამომდინარე, აღმოსავლეთ რომის იმპერიის, *magister officiorum*-ის, ეუფემიოსის ელჩობის დათარიღება 456 წლით – საკითხის შესახებ იხ. (კაროლა 2008: 65); (მარტინდალი 1980: 424, 906); (ბალდუინი 1980: 25) –, ხოლო კიდარიტებთან ომზე მითითება მოვლენის *terminus a quo*, ანუ ზედა ზღვარს 459 წლამდე წევს ზემოთ, როგორც ამაზე თავის დროზე მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი (ჯავახიშვილი 1979: 278). ა. ბოგვერაძემ ნათელყო, რომ არასწორი დათარიღება მომდინარეობს პრისკეს „ისტორიის“ 26-ე ფრაგმენტის მცდარი გაგებიდან. კერძოდ, „როცა ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ გუბაზს ამას და ამას ურჩევდა ეუფემიოსი, რომელსაც მაგისტროსის თანამდებობა

ეჭირა, და [...] დასძენს: ეეფემიოსი მარკიანეს დროს ეზოსმოძღვარი [ἐπίτροπος] იყოო, იგულისხმება ამ კარისკაცის კარიერის სხვადასხვა პერიოდი. მაგისტროსის თანამდებობა ეეფემიოსს, ჩანს, ეჭირა მოგვიანებით, ხოლო ეზოსმოძღვარი ყოფილა ადრე, მარკიანეს ხანაში" (ბოგვერაძე 1976: 192). მოგვიანებით, მარგიტ ბიროც ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა: „ჩემი აზრით, მარკიანეს ხსენება მხოლოდ და მხოლოდ მითითებაა კონფლიქტამდელ რომელიმე პერიოდზე და არ უნდა იყოს დაკავშირებული უშუალოდ ფრაგმენტში გადმოცემულ მოვლენასთან. თუ მითითებას მარკიანეს შესახებ გავიგებთ როგორც მინიშნებას იმაზე, რაც ადრე მოხდა, მაშინ ველარავინ შეიტანს ეჭვს იმაში, რომ პრისკეს 25-ე, 26-ე და 34-ე ფრაგმენტები განეკუთვნება ცალკეულ მოვლენათა წყებას, რომლებიც ყველა ერთი და იმავე მონარქის, ლეონ I-ის, ზეობის დროს მოხდა" (ბირო 1997: 58). აზრის სინათლისათვის სრულად მოვიტანთ პრობლემურ პასაჟს პრისკეს თხზულებიდან: „[...] Εὐφήμιος ἐσηγήσατο, τὴν τοῦ μαγίστρου διέπων ἀρχήν· ὃς ἐπὶ συνέσει καὶ λόγων ἀρετῇ δόξαν ἔχων Μαρκιανοῦ τοῦ βασιλέως τὴν τῶν πραγμάτων ἔλαχεν ἐπιτροπήν [...]" (კაროლა 2008: 66). ანუ "[...] ურჩია ეეფემიოსმა, რომელსაც მაგისტრატის თანამდებობა ჰქონდა; მას სახელი განეთქვა გამჭრიახობითა და სიტყვის ძალით, და მარკიანეს მეფობისას საქმეთა ზედამხედველობა მოეპოვებინა [...]".

64 იხ. *ზემოთ*, შენიშვნა 61.

65 მოკლე სომხურ თარგმანში ეს პირდაპირ არ არის ნათქვამი, მაგრამ აღნიშნულია, რომ ცხენოსანი ფარსმან-ფახური არის պւսրսիկ, ანუ სპარსი (ტრაროიანი 1884: 76); (აბულაძე 1953: 148) და რამდენიმე სტრიქონს ქვემოთ ვხვდებით ქართლის მეფეს, რომელიც სამშობლოში ისტუმრებს სპარსელთა საჯარისო შენაერთებს (ტრაროიანი 1884: 78); (აბულაძე 1953: 151). ვახუშტი ბატონიშვილი აფიქსირებს სპარსთა სპათა ბრძოლას ალვანეთში (ყაუხჩიშვილი 1973: 104) და ფარსმან-ფარუხს ალვანელად აცხადებს (ყაუხჩიშვილი 1973: 102-103).

66 ვახუშტი ბატონიშვილმა არაფერი იცის მათ შესახებ (ყაუხჩიშვილი 1973: 101-104). მოკლე სომხურ თარგმანში ეთნონიმ „კაეკასიანი"-ის ნაცვლად იკითხება ტოპონიმი Կովկաս, ანუ „კავკასია" პირველად მხოლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში (ტრაროიანი 1884: 76); (აბულაძე 1953: 147), ხოლო მეორედ – მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში (ტრაროიანი 1884: 78); (აბულაძე 1953: 151).

67 სამეცნიერო ლიტერატურაში ითვლება, რომ ზედსართაეი სახელი „კავკასიანი" შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში გულისხმობს ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის მცხოვრებლებს, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებიან ოსების, ქართველებისა და დაღესტნელებისაგან. იხ. (გამრეკელი 1961: 23); (შავხელიშვილი 1963: 36-37).

68 ტექსტის ვარიანტებისა და ფილოლოგიურ-ისტორიული ანალიზისათვის იხ. (ძიძიგური 1974: 272-298). წარწერათან დაკავშირებული ისტორიული და ფილოლოგიური პრობლემების შესახებ დისკუსიისათვის იხ., აგრეთვე, (ლოლაშვილი 1971: 37-54); შდრ. (ჯუზნეცოვი 1990: 50-52, 59, 77-96).

69 ამის შესახებ იხ. (ლოლაშვილი 1971: 92-93).

70 იხ. *ზემოთ*, შენიშვნა 44.

71 იხ. (ძიძიგური 1974: 295). ანალოგიური აზრისა იყო ამ საკითხზე ი. ლოლაშვილი (ლოლაშვილი 1971: 43-44, 49, 51).

72 მეფის დის გატაცებასა და მის გათავისუფლებაში, რომელიც ცნობილ ლიტერატურულ თემას ეხმაურება, ჩვენი აზრით, შესაძლებელია, დავინახოთ კონკრეტული აქტი, რომელიც, სამწუხაროდ, არც ერთ ისტორიულ წყაროში არ არის ასახული. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესაძლებელია, ეს გატაცება იყოს არა მხოლოდ ძალადობის ერთ-ერთი დეტალი „ოესთა" შემოსევისა, არამედ – მხარეებს შორის ერთგვარი შეთანხმებისა: მონარქის ოჯახის წევრის მძელად მიცემა შეთანხმების მისაღწევად. ეს კარგად ხსნის ჯუანშერის ლაკონიურ, მაგრამ ზუსტ მითითებას იმის შესახებ, რომ ვახტანგმა მოილაპარაკა და საკუთარი და, მირანდუხტი ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობისას აყვანილ ტყვეებზე გაცვლით გაათავისუფლა (ყაუხჩიშვილი 1955: 157).

73 ამას თვალნათლივ ადასტურებს კლაუდიოს პტოლემეუსის „გეოგრაფიის" (ნობე 1996: 168) ანალიზი. იგი ანტიკური ხანის პირველი ავტორია, რომელიც ახსენებს ეთნონიმს Χοῦνοι, ანუ ჰუნები.

74 თემისტიოსის სიტყვათა დათარიღების შესახებ იხ. (დაგრონი 1968: 24, 26).

75 მოკლე სომხურ თარგმანში დაფიქსირებული არ არის ლაშქრობის ხანგრძლივობა (ტრაროიანი 1884: 77-78); (აბულაძე 1953: 151).

76 ასევე, ლაშა ჯანაშია წმ. „ნინოს ცხოვრების" ამ ცნობას უკავშირებს ჩრდილოეთ კავკასიაში ვახტანგის ლაშქრობის ჯუანშერისეულ აღწერას (ჯანაშია 1962: 144-146), მაგრამ მას ყოველგვარი ისტორიული კომენტარის გარეშე ტოვებს.

77 ტერმინის „მთეულნი" მნიშვნელობის შესახებ იხ. (ჯავახიშვილი 1983: 42).

78 შდრ. (აბულაძე 1971: 81); (ყაუხჩიშვილი 1955: 156); შდრ., აგრეთვე, (ტრაროიანი 1884: 77); (აბულაძე 1953: 150). ჩრდილოეთ კავკასიაში ვახტანგის ლაშქრობის შესახებ ფოლკლორული წყაროების შესახებ იხ. (კაკაბაძე 1959: 17-20).

79 საკითხის შესახებ იხ., აგრეთვე, (გოილაძე 1991: 41-42).

80 საკითხის შესახებ იხ. (გამრეკელი 1961); (შავხელიშვილი 1963: 37-38). აბრამ შავხელიშვილის (შავხელიშვილი 1963: 40-41) აზრით, იგი წარმოდგება პიდრონიმ დურჯიდან, ჩაღმის სიახლოვეს მდინარე ალაზნის

მარცხენა შენაკადის სახელიდან, სადაც, როგორც ფიქრობენ, ისტორიულად ვეინახური ტომები უნდა ყოფილიყვნენ დასახლებულნი.

[81] ვახუშტი ამ ცნობას შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ამას ქუეით არს დარიელა არაგჳს აღმოსავლით, კიდესა ზედა, გ~ მეფის მირვანის [ე. ი. მირიან I-ის – გ. შ.] მიერ. შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათჳს, რათა უმისოდ ვერღარა ვიდოდნენ“ (ყაუხჩიშვილი 1973: 358). ამ ცნობაში არსებული ანაქრონიზმების შესახებ იხ. (მაკალათია 1934: 37).

[82] დ. მუსხელიშვილი წერდა: „ვახტანგ გორგასლის ერთგული სამსახურის შესახებ შაჰანშაჰისადმი ჯუანშერის აზრი კარგად გამოსჭვივის სინდთა მეფესთან მის ‘გაბაასებაში’ (*ქართლის ცხოვრება*, I, გვ. 190-194)“ (მუსხელიშვილი 2004: 195).

[83] ანალოგიურ თვალსაზრისს გამოთქვამს, აგრეთვე, დ. მუსხელიშვილი (მუსხელიშვილი 2004: 149).

[84] საკითხის შესახებ იხ. (შურღაია 2018: 177-191).

დამოწმებანი

აბელიანი, პარუთიუნიანი 1913: Մովսիսի Խորենացւոյ Պատմութիւն Հայոց, աշխատութեամբ Մ. Աբեղեան եւ Ս. Յարութիւնեան, Տփղիս, Արագատիպ Մնացեւական Մարտիրոսեանցի.

აბულაძე 1953: *ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი*, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

აბულაძე 1963: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ტ. I (V-X სს.), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება.

აბულაძე 1971: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. ტ. III (*მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს.*), ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, მეცნიერება.

აგათანგელოსი 1930: Ագաթանգեղոս *Պատմութիւն*, 3 გამ., Վենետիկ, ի տպրր Ղազար (Ընտիր մատենագիրք).

არტამონოვი 1962: М. И. Артамонов. *История хазар*, под редакцией и с примечаниями Л. Н. Гумилева, Л., Издательство Государственного Эрмитажа.

ბაილი 1954: H. W. Bailey. Hārahūṇa, *Asiatica, Festschrift Friedrich Weller zum 65. Geburtstag gewidmet von seinen Freunden, Kollegen und Schülern*, [hrsg. v. J. Schubert, U. Schneider], Leipzig, O. Harrassowitz.

ბაილი 1975: H. W. Bailey. Excursus Irano-caucasicus, *Monumentum H. S. Nyberg*, ტ. I, Téhéran-Liège, Bibliothèque Pahlavi (Acta Iranica, 4, Deuxième série. Hommages et opera minora).

ბაილი 1979: H. W. Bailey. North Iranian problems, *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, ტ. XXIX, London, Cambridge University Press.

ბაილი 1985: H. W. Bailey. *Indo-Scythian studies being Khotanese texts* 7, Cambridge, Cambridge University Press.

ბალდუინი 1980: B. Baldwin. Priscus of Panium, *Byzantion*, ტ. L, Bruxelles, Fondation Byzantine.

ბარბიე-დე-მეინარი, პავე-დე-კურტეილი 1962: Mas'ūdī (mort en 345/956). *Les prairies d'or*, traduction française de Barbier de Meynard et Pavet de Courteille, revue et corrigée par Ch. Pellat, ტ. I, Paris, Société Asiatique (Collection d'ouvrages orientaux).

ბართა 1988: A. Bartha. The typology of nomadic empires, *Popoli delle steppe: unni, avari, ungari*, 23-29 aprile 1987, Spoleto (Settimane di studio del Centro Italiano di Studi sull'Alto Medioevo, 35).

ბეკერი 1837: Ioannes Lydus. Ex recognitione I. Bekkeri, Bonnae, Impensis ed. Weberi (Corpus scriptorum historiae Byzantinae).

ბელეცკი 2004: Д. В. Белецкий. Заметки о кузальской церкви, *Историко-филологический архив*, ტ. II, Владикавказ: Дзæуджыхъæу.

ბერნშტამი 1946: А. Бернштам. *Социально-экономический строй орхоно-енисейских тюрок VI-VIII веков, Восточно-тюркский каганат и кыргызы*, Москва-Ленинград. Издательство Академии Наук СССР.

ბერნშტამი 1951: А. Н. Бернштам. *Очерки по истории гуннов*, Л., Издательство ленинградского государственного университета.

ბერტინი 1988: F. Bertini. Attila nella storiografia tardo antica e altomedievale, *Popoli delle steppe: unni, avari, ungari*, 23-29 aprile 1987, Spoleto (Settimane di studio del Centro Italiano di Studi sull'Alto Medioevo, 35).

ბერძენიშვილი 1979: დ. ბერძენიშვილი. *ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (ქვემო ქართლი)*, ტ. I, თბილისი, მეცნიერება.

ბერძენიშვილი 1964: ნ. ბერძენიშვილი. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ტ. I, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ბირო 1997: M. Bíró. On the presence of the Huns in the Caucasus, To the chronology of the 'Ovs' raid mentioned in Juanšer's Chronicle, *Acta orientalia Academiae Scientiarum Hungaricae*, ტ. L, Budapest, Akadémiai Kiadó.

ბოგვერაძე 1976: ა. ბოგვერაძე. პრისკე პანიონელის ერთი ცნობის შესახებ, *ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*, თბილისი, მეცნიერება.

ბოგვერაძე 1979: ა. ბოგვერაძე. *ქართლის პოლიტიკური და სოციალური განვითარება IV-VIII საუკუნეებში*, თბილისი, მეცნიერება.

ბროსე 1842: *ღეოლრაფიული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკოსა ბროსსეტისგან* [=] *Description géorgaphique de la Géorgie, par le tsarévitch Wakhoucht*, publiée d'après l'original autographe par M. Brosset, S.-Pétersbourg, à la typographie de l'Académie.

დე ბური 1883: Theophanis *Chronographia*, recensuit C. de Boor, ტ. I, Textum graecum continens, Lipsiae, In aedibus B. G. Teubneri; თარგ. ინგ. ენ.: *The Chronicle of Theophanes Confessor, Byzantine and Near Eastern history A.D. 284-813*, translated with introduction and commentary by C. Mango and R. Scott, with the assistance of G. Greatrex, Oxford, Clarendon Press, 1997.

ბუსალი 1950: M. Bussagli. Osservazioni sul problema degli unni, *Rendiconti dell'Accademia nazionale dei Lincei*, Classe di scienze morali, storiche e filologiche, Serie VIII, ტ. V, Roma, Accademia nazionale dei Lincei.

გამრეკელი 1961: В. Н. Гамрекели. *Двалы и Двалетия в I-XV вв. н. э.*, Тбилиси.

გამყრელიძე, ყაუხჩიშვილი 1961: *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ* [=] *Georgica, Scriptorum byzantinorum excerpta ad Georgiam pertinentia*, ტ. I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ა. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, მეცნიერება.

გარსოიანი 1999: N. Garsoïan. *L'Église arménienne et le grand schisme d'Orient*, Lovanii, In aedibus Peeters (Corpus scriptorum Christianorum orientalium, 574; Subsidia 100).

გასპარიანი 2012: Մովսէս Կաղանկատուացի. *Պատմութիւն տոհմից աղուանից*, [გ. გასპარიანის რედაქციით], *Մատենագիրք Հայոց* [=] *Armenian classical authors*, 15, X դար [=] century, *Պատմագրութիւն երկու գիրրոյ* [=] *Historiography in two books*, ტ. II, Antelias (Lebanon), Մեծի Տանն Կիլիկիոյ Կաթողիկոսութիւն.

გვასალია 1976: ჯ. გვასალია. არაგვის კარი (დარიალანი), *ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან*, [კრებული] ეძღვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის [1894-1965] დაბადების 80 წლისთავს, თბილისი, მეცნიერება.

გირშმანი 1948: R. Ghirshman. *Les Chionites-Hephtalites*, avec la collaboration de T. Ghirshman, Le Caire, Imprimerie de l'Institut Français d'Archéologie Orientale (Ministère de l'éducation nationale. Mémoires de l'Institut Français d'Archéologie Orientale du Caire, 80; Mémoires de la délégation archéologique française en Afghanistan, 13).

გისელენი 2000: R. Gyselen. La notion sassanide du *kust I Ādurbādagān*: les premières attestations sigillographiques, *Bulletin de la Société Française de numismatique*, ტ. LV, Paris.

გისელენი 2001: R. Gyselen. *The four generals of the Sasanian empire, Some sigillographic evidence*, Roma, Istituto Italiano per l'Africa e l'Oriente (Conferenze, 14).

გოილაძე 1991: ვ. გოილაძე. *ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი*, თბილისი, მეცნიერება.

გორდონი 2013: C. D. Gordon. *The age of Attila, Fifth-century Byzantium and the Barbarians*, foreword by A. E. R. Boak, with a new introduction and notes by D. S. Potter, Ann Arbor, The University of Michigan Press.

გუმილიოვი 1996: Л. Н. Гумилев. *Сочинения*, составитель А. И. Куркчи, ტ. VI, *Открытие Хазарии*, М., Ди-Дик.

გურიევი და სხვები 2015: *Ирон-ыруссаг-англисаг дзырдуат* [=] *Осетинско-русско-английский словарь* [=] *Ossetic-Russian-English dictionary*, [составители Т. А. Гуриев, Е. Т. Гутиева, Н. Б. Джерапова, Е. А. Тулатова], ტ. I, *А-Къ*, Владикавказ, ИПЦ СОИГСИ ВНЦ РАН.

დაგრონი 1968: G. Dagron. *L'Empire romain d'Orient au IVe siècle et les traditions politiques de l'Hellénisme, Le témoignage de Thémistios*, Paris, éditions E. De Boccard (Travaux et mémoires, 3).

დანდამაევი, მედვედსკაია: M. Dandamayev, I. Medvedskaya, *Media*, ვებ-გვერდი: http://iranicaonline.org./articles/media (ნანახია: 09/05/2021).

დანლოპი 1960ა: D. M. Dunlop. *Bāb al-Abwāb*. *Encyclopédie de l'Islam*, Nouvelle édition, ტ. I, Leyde-Paris, E. J. Brill.

დანლოპი 1960ბ: D. M. Dunlop. *Bāb al-Lān* (*Bāb allān*). *Encyclopédie de l'Islam*, Nouvelle édition, ტ. I, Leyde-Paris, E. J. Brill.

დარიაი 2002: T. Daryaee. *Šahrestānīhā ī Ērān, A middle Persian text on late antique geography, epic and history, with English and Persian translations and commentary*, Costa Mesa, Mazda Publishers (Bibliotheca Iranica, Intellectual traditions series, 7).

დესტუნისი 1861: Г. С. Дестуниc. *Сказания Приска Панийскаго*, С.-Пб., В типографии Императорской Академии Наук (Ученые записки второго отделения Императорской Академии Наук, 7:1:3).

დინდორფი 1832: *Chronicon Paschale*. Ad exemplar Vaticanum recensuit L. Dindorfius, ტ. I, Bonnae, Impensis ed. Weberi (Corpus scriptorum historiae Byzantinae).

დრუენი 1895: Ed. Drouin. Mémoire sur les Huns Ephthalites dans leurs rapports avec les rois perses Sassanides, *Le Muséon*, ტ. XIV, Louvain-la-Neuve, Peeters.

დურკინ-მაისტერერნსტი 2004: D. Durkin-Meisteremst. *Dictionary of Manichaean Middle Persian and Parthian*, [Turnhout], Brepols (Dictionary of Manichaean Texts, 3, Texts from Central Asia and China, 1, Corpus fontium Manichaeorum. Subsidia).

ეკვთიანი 2003: *Մատենագիրք Հայոց* [=] *Armenian classical authors*, ტ. II, V դար [=] century, Antelias (Lebanon), Մեծի Տանն Կիլիկիոյ Կաթողիկոսութիւն.

ერემიანი 1958: С. Т. Еремян, Политическая история Албании III-IV вв., *Очерки истории СССР, Кризис*

рабовладельческой системы и зарождение феодализма на территории СССР, Москва, Издательство Академии наук СССР.

ერემიანი 1963: U. S. Երեմյան. *Հայաստանը ըստ „Աշխարհացույց"-ի (Փորձ VII դարի հայկական քարտեզի վերակազմության ժամանակակից քարտեզագրական հիմքի վրա)*, Երեվան. Հայկական ՍՍՌ ԳԱ հրատարակչություն.

ვანეევი 1956: З. Ванеев. *Народное предание о происхождении осетин*, Сталинир.

ვაშაკიძე, თოფჩიშვილი 2021: ვ. ვაშაკიძე, რ. თოფჩიშვილი. ახლო აღმოსავლეთის ცივილიზაციები, ნომადური სამყარო და კავკასიის კლდეკარები, *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასიის კარი – საქართველოს ჩრდილოეთის კარიბჭე"*, 25-27 ივნისი, 2021 [=] *International Scientific Conference* The Caucasian Gates – Northern outpost of Georgia, 25-27 June, 2021, *მასალები* [=] *Materials*, თბილისი.

ვიდენგრენი 1984: G. Widengren. The Nestorian Church in Sasanian and early post-Sasanian times, *Incontro di religioni in Asia tra il III e il X secolo d. C.*, a cura di L. Lanciotti, Firenze, Olschki (Civiltà Veneziana, Studi, 39).

ვლადიმირცოვი 1934: Б. Я. Владимирцов, *Общественный строй монголов, Монгольский кочевой феодализм*, Ленинград.

ზოტენბერგი 1958: *Chronique de Abou-Djafar-Mo'hammed-Ben-Djarîr-Ben-Yezid Tabarî*, traduite sur la version persane d'Abou-'Ali Mo'hammen Bel'ami d'après les manuscrits de Paris, de Gotha, de Londres et de Canterbury par H. Zotenberg, ტ. II, Paris, Éditions Besson et Chantemerle.

თომსონი 1976: Agathangelos. *History of the Armenians*, translation and commentary by R. W. Thomson, Albany (New York), State University of New York Press.

თომსონი 1993: Eghishe. *The history of Vardan and the Armenian war*, a facsimile reproduction of the 1957 Yerevan edition with an introduction by R. W. Thomson, Delmar, Caravan Books.

თომსონი 1995: R. W. Thomson. *A bibliography of classical armenian literature to 1500 AD*, Turnhout, Brepols (Corpus Christianorum).

თომსონი 2010: *The Lives of saint Gregory*, The Armenian, Greek, Arabic, and Syriac versions of the *History* attributed to Agathangelos, translated with introduction and commentary by R. W. Thomson, Ann Arbor, Caravan Books.

თომფსონი 1999: E. A. Thompson. *The Huns*, revised and with an afterword by P. Heather, Oxford, Blackwell Publishers (The Peoples of Europe).

ინაძე 1948: მ. ინაძე. პრისკე პანიელის ცნობები საქართველოს შესახებ, *თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტთა მეათე სამეცნიერო კონფერენცია, 1948 წ. 19-24 აპრილი*, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი.

ინაძე 1996: მ. ინაძე. კასპიის კარი (დარიალი, დარუბანდი) ახ. წ.-ის I-VI საუკუნეთა საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში, *ქართული დიპლომატია*, ტ. III, თბილისი.

კაკაბაძე 1959: ს. კაკაბაძე. *ვახტანგ გორგასალი*, თბილისი, ცოდნა.

კაროლა 2008: Priscus Panita. Excerpta et fragmenta, edidit P. Carolla, Berolini et Novi Eboraci, Walter de Gruyter (Bibliotheca Scriptorum Graecorum et Romanorum Teubneriana, 2000).

კეიდელი 1967: Agathiae Myrinaei *Historiarum libri quinque*, recensuit R. Keydell, Berolini, Apud Walter de Gruyter et socios (Corpus fontium historiae Byzantinae, 2).

კუზნეცოვი 1984: В. А. Кузнецов. *Очерки истории Алан*, Орджоникидзе, ИР.

კუზნეცოვი 1990: В. А. Кузнецов. *Реком, Нузал и Царазонта*, Владикавказ, ИР.

კუიმჯიანი 1985: Lazar P'arpets'i. *History of the Armenians* and the *Letter* to Vahan Mamikonean, A photographic reproduction of the 1904 Tiflis edition with a new introduction and critical bibliography by D. Kouymjian, Delmar, Caravan Books.

ლენცმანი 1951: Я. А. Ленцман. О древнегреческих терминах, обозначающихся рабов. *Вестник древней истории*, 1951, № 2.

ლინდნერი 1982: R. P. Lindner. What was a nomadic tribe?, *Comparative Studies in Society and History*, ტ. XXIV, Cambridge, Cambridge University Press.

ლიტვინსკი 1999: *History of civilizations of Central Asia*, 3, *The crossroads of civilizations*: *a. D. 250 to 750*, editor B. A. Litvinsky, co-editors Zhang Guang-da and R. Shabani Samghabadi, Delhi, Motilal Banarsidass Publishers.

ლიჩინი 2017: P. Licini. Surveying Georgia's past, On the use of cartographic sources for Caucasian history, *Annali di Ca' Foscari, Serie Orientale*, ტ. LIII, Venezia, Edizioni Ca' Foscari.

ლოლაშვილი 1971: ი. ლოლაშვილი. *დავით სოსლანის აკლდამის საიდუმლოება*, თბილისი, მეცნიერება.

ლომოური 1989: ნ. ლომოური. *საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა V საუკუნეში*, თბილისი, მეცნიერება.

ლორთქიფანიძე 1998: *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, ტ. I, თბილისი, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მაკალათია 1934: ს. მაკალათია. *ხევი*, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა.

მაკალათია 1942: ს. მაკალათია. *ვახტანგ გორგასალი*, თბილისი, გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მაკკენზი 1986: D. N. MacKenzie. *A concise Pahlavi dictionary*, London, Oxford University Press.

მარკვარტი 1901: J. Marquart. *Ērānšahr nach der Geographie des Ps. Moses Xorenac'i, Mit historisch-kritischem Kom-*

mentar und historischen und topographischen Excursen, Berlin, Weidmannsche Buchhandlung (Abhandlungen der Königlichen Gesellschaft der Wissenschaften zu Göttingen, Philologisch-historische Klasse, Neue Folge, 3:2).

მარკვარტი 1903: J. Marquart. *Osteuropäische und ostasiatische Streifzüge, Ethnologische und historisch-topographische Studien zur Geschichte des 9. und 10. Jahrhunderts (ca. 840-940)*, Leipzig, Dieterich'sche Verlagsbuchhandlung.

მარკვარტი 1931: J. Marquart. *A catalogue of the provincial capitals of Ērānshahr (Pahlavi text, version and commentary)*. ed. by G. Messina, Roma, Pontificio Istituto Biblico (Analecta Orientalia, 3).

მარკვარტი 1932: J. Markwart. Die Entstehung der armenischen Bistümer, Kritische Untersuchung der armenischen Überlieferung, hrsg. von J. Messina, *Orientalia Christiana*, ტ. XXVII, Roma, Pontificio Istituto Orientale.

მარკოვი 1976: Г. Е. Марков. *Кочевники Азии*, Москва.

მარტინდალი 1980: J. R. Martindale. *The prosopography of the later Roman empire*, ტ. II, *A. D. 395-527*, Cambridge, At the University Press.

მეთიუზი 2007: J. Matthews. *The Roman Empire of Ammianus*, with a new introduction, Ann Arbor, Michigan Classical Press.

მელიქიშვილი 1959: Г. Меликишвили. *К истории древней Грузии*, Тб., Академия Наук Грузинской ССР.

მელიქიშვილი 1970: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად*, მთ. რედ. გ. მელიქიშვილი, ტ. I, *უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე*, ტომის რედაქტორი გ. მელიქიშვილი, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

მელიქიშვილი 1973: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად*, მთ. რედ. გ. მელიქიშვილი, ტ. II, *საქართველო IV-X სს.*, თბილისი, საბჭოთა საქართველო.

მენხენ-ჰელფენი 1945ა: O. Maenchen-Helfen, Huns and Hsiung-nu, *Byzantion*, ტ. XVII, Bruxelles, Fondation Byzantine.

მენხენ-ჰელფენი 1945ბ: O. Maenchen-Helfen, The legend of the origin of the Huns, *Byzantion*, ტ. XVII, Bruxelles, Fondation Byzantine.

მენხენ-ჰელფენი 1957: O. J. Maenchen-Helfen. Germanic and Hunnic names of Iranian origin, *Orient*, ტ. X, Leiden, E.J. Brill.

მენხენ-ჰელფენი 1959: O. J. Maenchen-Helfen. The ethnic name Hun, *Studia Serica Bernhard Karlgren dedicata, Sinological studies dedicated to Bernhard Karlgren on his seventieth birthday, October fifth, 1959*, edenda curaverunt S. Egerod et E. Glahn, Copenhagen, Ejnar Munksgaard.

მენხენ-ჰელფენი 1973: O. J. Maenchen-Helfen. *The world of the Huns, Studies in their history and culture*, Berkley, California.

მილერი 1959: *Accounts of Western nations in the history of the northern Chou dynasty*, translated and annotated by R. A. Miller, Berkeley-Los Angeles, University of California Press (Chinese dynastic histories translations, 6).

მოულერი 1851: *Fragmenta historicorum græcorum*, collegit, disposuit, notis et prolegomenis illustravit Car. Mullerus, ტ. IV, Parisiis, Editore Ambrosio Firmin Didot.

მოლნარი 1949: E. Molnár. *A magyar társadalom története az őskortól az Árpádkorig*, Budapest.

მორავჩიკი 1930: G. Moravcsik. Zur Geschichte der Onoguren, *Ungarische Jahrbücher*, ტ. X, Berlin, de Gruyter.

მუსხელიშვილი 1974: Д. Мусхелишвили. К вопросу о локализации Хунана, *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები*, ტ. II, თბილისი, მეცნიერება.

მუსხელიშვილი 1977: დ. მუსხელიშვილი. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები*, ტ. I, თბილისი, მეცნიერება.

მუსხელიშვილი 2004: დ. მუსხელიშვილი. *ქართლი IV-VIII საუკუნეებში (პოლიტიკური ისტორია და ეთნიკურ-სოციალური ვითარება)*, თბილისი, მემატიანე.

ნიბერგი 1974: H. S. Nyberg. *A manual of Pahlavi*, ტ. II, *Ideograms, Glossary, Abbreviations. Index, Grammatical survey, Corrigenda to Part I*, Wiesbaden, Otto Harrasswitz.

ნობე 1996: Claudii Ptolemaei *Geographia*, edidit C. F. A. Nobbe, cum introductione a Aubrey Diller, Hildesheim, Georg Olms Verlagsbuchhandlung.

ნოვოსელცევი 1990: А. П. Новосельцев. *Хазарское государство и его роль в истории Восточной Европы и Кавказа*, Москва, Наука.

პიგულევსკაია 2000: Н. В. Пигулевская. *Сирийская средневековая историография, Исследования и переводы*, Санкт-Петербург, Дмитрий Буланин.

რაით 1882: *The Chronicle of Joshua the Stylite*, composed in Syriac a. D. 507, with a translation into English and notes by W. Wright, Cambridge, at the University Press.

რეკჰემი 1947: Pliny. *Natural history*, with an English translation in ten volumes by H. Rackam, ტ. II, Cambridge (Massachusetts), Harvard University Press (The Loeb Classical Library, 352).

საბა 2002: Ammien Marcellin. *Histoire*, texte introduit, établi et traduit par G. Sabbah, notes par L. Angliviel de la Beaumelle, ტ. VI, Paris, Société d'édition "Les Belles Lettres".

სირაძე 1987: რ. სირაძე. *ქართული აგიოგრაფია*, თბილისი, ნაკადული.

სტანდარტული სახელები 1979: *U.S.S.R., Official standard names approved by the United States Board of Geographic*

names, ტ. I (A-B), Washington, Geographic Names Division, U.S. Army Topographic Command.

ტერ-დავთიანი, არევშატიანი 2004: Агатангелос. *История Армении*, перевод с древнеармянского, вступительная статья и комментарии К. С. Тер-Давтяна и С. С. Аревшатяна, Ереван, Наири.

ტერ-მინასიანი 1957: Եղիշէի *Վասն Վարդանայ եւ հայոց պատերազմին*, ի յոյս ածեալ բաղդատութեամբ ձեռագրաց աշխատութեամբ Ե. Տէր-Մինասեան, Երեվան, Հայկական ՍՍՌ Գիտությունների Ակադեմիայի հրատարակչություն.

ტერ-მკრტჩიანი, კანაიანცი 1909: Ազաթանգեղոյ *Պատմութիւն Հայոց*, աշխատութեամբ Գ. Տէր-Մկրտչեան եւ Ստ. Կանայեանց, Տփղիս.

ტერ-მკრტჩიანი, მალხასიანი 1904: Ղազարայ Փարպեցւոյ *Պատմութիւն Հայոց եւ թուղթ առ Վահան Մամիկոնեան*, աշխատութեամբ Գ. Տէր-Մկրտչեան եւ Ս. Մալխասեան, Տփղիս, Արազատիպ Մնացականեան Մարտիրոսեանցի (Պատմագիրք Հայոց, 1:4).

ტირაიანი 1884: Համառօտ պատմութիւն վրաց ընծայեալ Ջուանշէրի Պատմչի, [ა. ტირაიანის რედაქციით], Վենետիկ.

ტრეველრი 1959: К. В. Тревер. *Очерки по истории и культуре Кавказской Албании IV в. до н. э. – VII в. н. э.*, М.-Л., Издательство Академии Наук СССР.

ტოლიბეკოვი 1955: С. Е. Толыбеков. О патриархально-феодальных отношениях у кочевных народов, *Вопросы истории*, № 1.

ტოლიბეკოვი 1959: С. Е. Толыбеков. *Общественно-экономический строй казахов в XVII-XIX вв.*, Алма-Ата.

უტასი 1979: B. Utas. Non-religious book Pahlavi literature as a source on the history of Central Asia, *Studies in the sources on the history of Pre-islamic Central Asia*, edited by J. Harmatta, Budapest, Akadémiai Kiadó.

ფილიპოვ-დავიდოვი 1973: Г. А. Федоров-Давыдов. *Общественный строй Золотой орды*, М., Издательство Московского Университета.

ფრაი 1965: R. N. Frye. *The heritage of Persia*, London, Weidenfeld and Nicolson (History of civilisation).

ქრისტენსენი 1944: A. Christensen. *L'Iran sous les Sassanides*, deuxième édition revue et augmentée, Copenhague, Ejnar Munksgaard (Annales du Musée Guimet, 48).

ყაუხჩიშვილი 1941: *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ* [=] *Georgica, Scriptorum byzantinorum excerpta ad Georgiam pertinentia*, ტ. IV, ნაკვ. I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, სახელგამი.

ყაუხჩიშვილი 1965: *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ* [=] *Georgica, Scriptorum byzantinorum excerpta ad Georgiam pertinentia*, ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, მეცნიერება.

ყაუხჩიშვილი 1973: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი, სახელგამი.

შავხელიშვილი 1963: А. И. Шавхелишвили. *Из истории взаимоотношении между грузинским и чечено-ингушским народами (с древнейших времен до XV века)*, Грозный, чечено-ингушское книжное издательство.

შავხელიშვილი 1972: ა. შავხელიშვილი. თუშების ტერიტორიული განსახლება და ჩეჩნეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზა-ბილიკები, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე*, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 2, თბილისი.

შავხელიშვილი 1980: ა. შავხელიშვილი. *საქართველო-ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობა XVI-XVIII სს.-ში*, თბილისი, მეცნიერება.

შენკლი 1965: Themistii *Orationes quae supersunt*, recensuit H. Schenkl†, ტ. I, opus consummavit G. Downey, Lipsiae, In aedibus B. G. Teubneri (Bibliotheca Scriptorum Graecorum et Romanorum Teubneriana).

შენკლი 1971: Themistii *Orationes quae supersunt*, recensuit H. Schenkl†, ტ. II, opus consummaverunt G. Downey et A. F. Norman, Lipsiae, In aedibus B. G. Teubneri (Bibliotheca Scriptorum Graecorum et Romanorum Teubneriana).

შერი 1909: *Histoire nestorienne inédite* (*Chronique de Séert*), publiée par A. Scher, avec le concours de J. Périer, ტ. II, ნაკვ. I, Paris (Patrologia Orientalis, 7:2).

შომონი 1973: M.-L. Chaumont. Conquêtes sassanides et propagande mazdéenne (IIIème siècle), *Historia*, ტ. XXII, Wiesbaden.

შომონი 1975: M.-L. Chaumont. États vassaux dans l'empire des premiers Sassanides, *Monumentum H. S. Nyberg*, ტ. I, Téhéran-Liège, Bibliothèque Pahlavi (Acta Iranica, 4, Deuxième série. Hommages et opera minora).

შოტკი 2004: M. Schotky. Huns, *Encyclopædia Iranica*, edited by E. Yarshater, ტ. XII, London – Boston – Henley, Routledge & Kegan Paul.

შურღაია 2018: G. Shurgaia. *Vaxt'ang I Gorgasali re di Kartli. Alle origini dell'autocefalia della Chiesa ortodossa di Georgia*, Roma, Pontificio Istituto Orientale (Orientalia Christiana Analecta, 303).

ჩეგლედი 1955: K. Czeglédy. Kaukázusi hunok, kaukázusi avarok, *Antik Tanulmányok*, ტ. II, Budapest, Akadémiai Kiadó.

ჩერეტი 2020: C. G. Cereti. Remarks on *The Cities of Ērānšahr* and its date in the light of the Xwadāy-nāmag and Sasa-

nian primary sources, *A turquoise coronet. Studies in Persian language and literature in honour of Paola Orsatti*, edited by M. Ashtiany and M. Maggi, Wiesbaden, Ludwig Reichert Verlag.

ძიძიგური 1974: შ. ძიძიგური. ოს ბაყათარის ლექს-ეპიტაფია, *საიუბილეო კრებული*, ეძღვნება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ალექსანდრე გიორგის ძე ბარამიძეს დაბადების სამოცდაათი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცდაათი [*sic!*] წლისთავზე, თბილისი, მეცნიერება.

ჭილაშვილი 1958: ლ. ჭილაშვილი. *ქალაქი რუსთავი, ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი*, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჯავახიშვილი 1977: ი. ჯავახიშვილი. *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. VIII, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჯავახიშვილი 1979: ი. ჯავახიშვილი. *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. I, თბილისი, თბილისის უნიეერსიტეტის გამომცემლობა.

ჯავახიშვილი 1982: ი. ჯავახიშვილი. *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. III, თბილისი, თბილისის უნიეერსიტეტის გამომცემლობა.

ჯავახიშვილი 1983: ი. ჯავახიშვილი. *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. II, თბილისი, თბილისის უნიეერსიტეტის გამომცემლობა.

ჯანაშვილი 1897: М. Джанашвили. *Известия грузинских летописей и историков о современном Кавказе и России*; *Поэма* Алгузинани, Тиф., Типографія К. И. Козловскаго (Сборник для описания местностей и племен Кавказа, 22).

ჯანაშია 1962: ლ.-ნ. ჯანაშია. *ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ* [=] *Сведения Лазара Парпеци о Грузии* [=] *Lazari Pharpensis* Historiae *excerpta ad Georgiam pertinentia*, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა (უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, 6).

ჯანაშია 1986: ნ. ჯანაშია. *ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები*, თბილისი, მეცნიერება.

ჯიროტი 2003: B. Girotti. Per una descrizione dell'opera di Prisco di Panion, *Rivista storica dell'antichità*, ტ. XXX, Bologna, Pàtron.

ჯუნტა, გრილონე 1991: Iordanis *De origine actibusque Getarum*, a cura di F. Giunta, A. Grillone, Roma, Istituto storico italiano per il Medio Evo (Fonti per la storia d'Italia, 117).

ჰარაკი 2011: A. Harrak. Karka d-Beth Slokh, *Gorgias Encyclopedic Dictionary of the Syriac heritage*, edited by S. Brock, A. M. Butts, G. A. Kiraz, L. Van Rompay, [Piscataway], Gorgias Press.

ჰარმატა 1951: J. Harmatta. The golden bow of the Huns, *Acta archaeologica Academiae Scientiarum Hungaricae*, ტ. I, Budapest, Akadémiai Kiadó; რეზ. რუს. ენ.: *Гуннский золотой лук*.

ჰარმატა 1952: J. Harmatta, The dissolution of the Hun empire, *Acta archaeologica Academiae Scientiarum Hungaricae*, ტ. II, Budapest, Akadémiai Kiadó; რეზ. რუს. ენ.: *Распад гуннской державы*.

ჰაური 1905: Procopii Caesariensis *Opera omnia*, recognovit J. Haury, ტ. I, *De bellis libri I-IV*, Lipsiae, In aedibus B. G. Teubneri (Bibliotheca Scriptorum Graecorum et Romanorum Teubneriana, 1734).

ჰაუსინგი 1953: H. W. Haussig. Theophylakts exkurs über die skythischen völker, *Byzantion*, ტ. XXIII, Bruxelles, Fondation Byzantine.

ჰენინგი 1945: W. B. Henning, Waručān-Šāh, *Journal of the Greater India Society*, ტ. XI, Calcutta.

ჰენინგი 1947: W. B. Henning. Two Manichaean magical texts with an Excursus on the Parthian ending *-ēndēh*, *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, ტ. XII, London, Cambridg University Press.

ჰენინგი 1952: W. B. Henning. A farewell to the Khagan of the Aq-Aqatārān, *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, ტ. XIV, London, Cambridge University Press.

ჰიუსენი, სალვატიკო 2001: R. H. Hewsen, Ch. C. Salvatico. *Armenia, A historical atlas*, Chicago-London: The University of Chicago Press.

ჰოფმანი 1880: *Auszüge aus syrischen Akten persischer Märtyrer*, übersetzt und durch Untersuchungen zur historischen Topographie erläutert G. Hoffmann, Leipzig: In Commission bei F. A. Brockhaus (Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes, 7:3).

A PAGE FROM THE HISTORY OF THE NORTH CAUCASIAN POLITICS OF THE KINGDOM OF KARTLI

Gaga Shurgaia

The King of Kartli, Vakhtang I Gorgasali (c. 440-502), is a dominant figure in Georgian history of the second half of the fifth century, although the historical sources related to his life and reign present unresolved enigmas even after more than 150 years of research. The same can be said about his campaign in the northern Caucasus. The purpose of this essay is to summarise our recent findings about this event.

Juansher, a Georgian historian of the eight century, describes an invasion of "countless Ossetian armies" into Kartli, during which they "captured Kartli from the source of the Kura river until down to Khunani. They ravaged the valleys, but could not capture the cities, except for Kaspi. So they captured Kaspi and took some slaves". This account does not square with the information provided by the fifth-century Byzantine historian and politician, Priscus of Panion (c. 410/20 – after 472), which appears in the 8th fragment of his *History of Goths*. We argue that Juansher's story of an "Ossetian" invasion of Kartli may have been associated with the Huns' movement from the northern Caucasus in 460, which is recounted in the *History of Vardan and the Armenian War* by the seventh-century Armenian historian, Yeghishe, who said that the Persians "opened the Gates of the Alans, gathered an innumerable army of the Huns, fought with the King of Alvans for a year" and destroyed his army.

We argue that Vakhtang's war in the northern Caucasus took place in 466 in response to the Saragur raids in the Transcaucasia. As Priscus says in the 37th fragment of his *History*, they attacked the Akatirs and other tribes, and then raided Iberia. Shah Peroz (459-484) sent Vakhtang to Kartli on a special mission and with Persian troops to repel the invaders. Vakhtang campaigned in the northern Caucasus that year and prevailed after four months. He profited from this victory, weakening the Huns and adding the Darial Gorge to his domain, which paved the way to end the Sasanian rule in the Caucasus. In doing so, he prevented the Persians from gaining control over one of the main passes from the northern to the southern Caucasus and strenghthened the rear, which helped him to mobilise the allied North Caucasian tribes to resist the Persians.

MODERN NATION WITH DEEP ETHNIC ROOTS: GEORGIAN IDENTITY OVER THE *LONGUE DURÉE*

Mariam Chkhartishvili

Introduction.

In the scholarly literature one might come upon the phrase like following: "identity is a narrative" or another formulation of the same idea: "Identity has a discursive structure".

Grasping the real meaning of these phrases is crucially important for the adequate understanding studies devoted to the collective cultural identities.[1]

The point is that from the very beginning the readers have to be informed about the constructed nature of identities. The awareness of this fact allows them get to know that human identities are situated in social practices and do not represent natural givens.

The members of the socially defined in-groups might be tied together through various bonds: the believe in existence of common ancestor, the shared spot of land referred as homeland, common language and religion, the similar economic interests etc., however, for shaping firm and continuous (like ethnic and national we-groups) entities, all these markers might be not sufficient. In addition, it is compulsory that we-group members were conscious about the peculiarities of the native community and importance ("special mission") of the particular grouping. All of them have to feel solidarity towards co-members. The value system has to be shared by the majority and the interest in communal well-being should occupy the highest position in the hierarchy of the collective values.

The chain of principal facts creates identity narrative in which the overall information about the we-group (its past, present and future, its specialness and uniqueness) is represented. The discourse on common values, perceptions, collective memories serves as cement for the consolidation of we-groups based on collective cultural identities.

Some academics think that nations are distinguished from the ethnic communities by availability of own state; hence they consider territory and political institutions as main markers of the nations, while ethnic communities are viewed as cultural entities. I cannot share above-mentioned opinion as it is not true for all cases. Nations may lose statehood for a while and this fact cannot entails their momentous destruction. As for the ethnic communities: they may have states, however, this fact automatically cannot ensure for them achieving the national level of development.[2]

The main distinguishing feature of national and ethnic communities is the intensity of a culture's circulation within the given we-group. In case of nations the culture is public, highly unified and easily accessible for the most members of the homogeneous community; in case of ethnic entities circulation of culture is limited to the part of the society: this is a narrow segment presented by politically dominant classes. The social stratum enjoying political power, monopolizes culture as well.

The Soviet historians often discussed the issues of national and ethnic communities; however, their practices were based exclusively upon Marxism as a social theory. According to Marxism not perceptions and memories, ethnic election myths etc., i.e. subjective factors make groups, but the objective ones play decisive role in formation of ethnic and national communities. In historiographies of post-Soviet space this situation has preserved by inertia and because of this the identity studies as an independent field of academic activities was defined relatively recently. This does not mean that nothing was done. Some aspects were profoundly investigated. The scientists received great stimulus when after the breakup of the Soviet Union they were given an opportunity to be acquainted with the western theories on nations and nationalisms.

In Georgian academic environment identity studies have not long history as well, however, the foundation is already laid. Me also have contributed to this process and in this paper, I intend to familiarize the readers with my experience.

Theory.

For representing the history of such a complex phenomenon as identity, necessary to find the relevant intellectual tool, i.e. social theory. Thus, before representation the history of Georgian national identity, a researcher has to elaborate on theory.

The discussion on this subject I would like to begin with my personal story. As a scholar I began work in late twentieth century with rather narrowly defined tasks like comparing two redactions of hagiographical monuments in order to establish the original text; or investigating particular facts of Georgian history in Late Antiquity. The practice of this kind did not require much theory. It was possible to operate comfortably within the frames of Soviet historiography. However, by the end of the century it happened that I got involved in the research project focused on the self-awareness of Georgians. Just in the process of making this project, became clear for me that it would be impossible to represent the phenomenon like identity based on theory I have in my disposal by that time. I mean Marxian sociology. Thus, I was faced by the problem of obtaining the relevant one.

In those difficult time of Post-Soviet era by lucky accident I was able to find the book which contained the relevant information. This book was entitled as *Nationalism*. It was issued by the Oxford University Press (Hutchinson & A. D. Smith 1994). It was a reader and compilers and editors of this reader were two British scholars: Anthony David Smith and John Hutchinson. I have read this book with an animate interest and for my surprise found out that there were plenty of definitions of nation and nationalism. Before this I (as probably all historians of my generation having been educated in Soviet universities) was aware only Stalin's definition of nation (Meissner 1976: 58-81). As for nationalism we all were taught that it was bourgeoise ideology, that by that time meant nothing but the false and definitely bad ideology associated with backwardness. In the above-mentioned book, these phenomena were conceptualized totally differently.

After analyzing in detail all chapters of the above-mentioned reader, I was able to distinguish three[3] main positions: primordialist, modernist and ethno-symbolist approaches.

Primordialists treated nations as natural givens, as entities with eternal, and unchangeable essence. In Soviet Union all historians actually were primoirdialists: Soviet social science was based on essentialist understanding of groups in general, and the ethnic communities and nations, in particular. I also shared this position. However, after being acquainted with all papers of the above-mentioned reader for me became clear that this was naïve understanding of social groups. As some scholars convincingly put it, actually, primordialism is not a theory at all, rather a part of nationalist ideology (Coakley 2018). The leaders of nationalist movements are adherents of this position as far as with primordialism which essentializes groups, it is easier to foster the sense of belonging, forge in-group solidarity and mobilize masses.[4]

The modernist understanding of nation was in diametrical opposition to primordialist approach. According to them, nations are modern phenomena, nothing like them existed in pre-modern times. They are imagined or constructed through deferent media by politically motivated intellectuals. According to modernism even ethnicity is totally imagined and constructed for the purposes of the modern processes of national consolidations.

This approach also was not "mine". It could not help me to represent the history of nation with deep ethnic roots, i.e. history of Georgian nation.

The last one i.e. ethno-symbolism (the editors of the volume were adherents of this position) was somehow between these two. It also asserted the modern origin of nations and considered them as results of activities of cultural elites, however, according to this approach, nations have real ethnic cores and even more: counterparts and pre-figurations in pre-modernity. Ethno-symbolism makes greatest accent on culture, presents nations as specific forms of culture, in particular, public culture. It distinguishes between ethnic and national levels of identity development just with support of culture, more precisely with intensity and limits of its circulation.

I have decided right away that the last one was just that theory which I was looking for. The most attractive feature of ethno-symbolist approach was its moderate character: it was not as naively essentialist as primordialism and not as entirely "fleshless" as modernism; it does not consider national culture as full scale coincidence with pre -existed ethnic culture, but as the selective reinterpretation of it. Thus, according to ethno-symbolism, the intellectuals do construct cultural identity for the native communities, however, they do not do this voluntary outside the frames of available ethnic basis. The nations are constructs and at the same time they are real (Smith 1996: 106-107). This assertion allows to trace the association and continuity between ethnic and national communities.

One more feature which I liked in ethno-symbolist approach was its attitude to nationalism. According to ethno-symbolism, nationalism should not be placed solely in the political context; first and foremost, it

should be situated in the cultural one. And nationalist leaders are not always separatist politicians, but the eminent cultural and public workers, influencers of vernacular mobilizations and founding fathers of the nations.[5]

Gradually, I became familiar with more and more details about the ethno-symbolism. Under the terms of exchange agreement between British and Georgian Academies of Sciences I was able to visit twice (2001, 2003) Great Britain, in particular, the *London School of Economics and Political Science* and meet one of the principal founders of ethno-symbolism Professor A.D. Smith who in those times worked at this institute. The exchanging ideas with Professor Smith, attending his seminars allowed me to enrich my research methods. From 2002 began using Smith's theory for representing history of Georgian past. In 2004 I have published my translation of the one of Smith books into Georgian.[6] This book was given to me by the eminent Professor just for this purpose. Georgian translation appeared to be one of the first translations of A.D. Smith's creative legacy in all post-Soviet space.[7]

Main Facts.

As far as this paper spans long period of time I will be able to provide a limited number of facts. In this article I aim to present a general picture of the history of Georgian identity, and do not intend to elaborate on details. The individual phases of Georgian identity were already concerned and I will refer to the relevant contributions in case of necessity.

When historians are trying to represent historical processes, they respect chronology and display facts strictly according to the chronological order. This helps them to show dynamics of the historical occurrences' developments. However, for the present paper I will not follow this widely accepted practice[8] and begin the story from the final stages: at first I will give the readers an opportunity to look at the modern stage of Georgian identity development; I will continue with displaying facts up to present day and only afterwards give look back and consider premodern era: adoption of Christianity by Georgian Kingdom of Kartli and its aftermaths for Georgian community and then epoch of paganism until the very early stages of Georgian we-group's existence. This way of designing the paper is explained by my intention from the very beginning to make the readers familiar with Georgian identity at the moment of its special saliency in the 19th century when premodern ethnic community had been transformed into the modern nation on a ground of newly emerged Georgian nationalism.[9]

Georgian nation belongs to that type of nations which did not result directly from the process of modernization, but emerged on a ground of nationalism being inspired by the European idea of nation.

As it is widely accepted the nineteenth century was an epoch of birth of modern nations for European countries. The European idea of nation was taken by Georgian cultural elite for making national idea and mobilizing the native community. The soil for mobilization of this kind has been prepared already in premodernity, however, this process had fully developed and came to the point in the 19th century.

Very often the above-mentioned date for the emergence of Georgian nation causes negative attitude of the common people and also some Georgian historians who know nothing about the modern social theories of nations or are not sufficiently informed about this issue. They think that the proposed date means the neglection of Georgia's pre-modern past.[10] This is of course misleading interpretation of the above-presented view. Georgian cultural elite has created national idea on a basis of selective reinterpretation of the ethnic culture and fill the available ethnic markers with national sense. When we speak about the emergence of Georgian modern nation in the 19th century, we imply creative use of the past and not its neglection.[11]

Understanding of the phenomenon of collective-cultural identity ahistorically and arguing that it remains unchangeable from ancient times till nowadays, is not academic position. It is shared by common people (and some academics) mostly in result of the nationalistic rhetoric. Nationalist leaders almost always are proponents of primordialist conceptualization of nations as far as this makes for them easier to foster the sense of belonging in the members of their native communities.

Thus, I think that Georgian national identity is a historical phenomenon and the original given had gone through many transformations over the time. However, I find reasonable to retain the term "Georgian" for the whole history of Georgian identity, for example in phrases like the following: "Georgian ethnic identity". The use one and same term ("Georgian") for both (pre-modern and modern) cases helps to underline the continuity between ethnic and national levels of Georgian identity, its flexible stability: permanent changing alongside with retaining certain unchangeable core. However, some academics has different approach. For instance, S. Rapp uses "Kartvelian" for referring Georgians in period before the emergence united Georgian Kingdom ruled by Bagrations: "in this study, while referring to the political and social enterprises "Georgia" and "Geor-

gian"are employed only for the eleventh century and after, while "Kart'li" and Kart'velian" are preferred for the preceding period" (Rapp 1997: 3).

"Kartveli" is a self-name of Georgians. Using this term for designating for early period of Georgian ethnic identity might create an impression that there is no continuation between deferent stages of Georgian identity.

Georgian national consolidation in the nineteenth century begins with cultural mobilization. In making of Georgian national narrative was involved Georgian cultural elite. This movement was leaded by the eminent Georgian writer and public figure Ilia Tchavchavadze. As a vehicle for national idea's dissemination served printed media,[12] which was reaching the majority of Georgian we-group and through the readership fostered the sense of national belonging. The Georgian national identity narrative discussed the topics of existential importance. In particular, it provided answers on question like followings: "Who are we"?, "Who were we"?, "What is our future"?. It aimed at minimization discrepancies (real or imagined) within the we-group and maximization sense of Georgian exclusiveness (real or imagined) in face of others.

For the full picture it would be very important to mention how Ilia Tchavchavadze and his co-workers conceptualized phenomenon of "nation". Tchavchavadze's view was ambivalent regarding it: on the one hand, he considered nation in organicist way, as living being with characteristics of humans, on the other hand, he ascribed to this concept some civic features as well.

In the 19th century for designating we-groups based on collective cultural identities Georgians began to use the old Georgian social term *eri* instead *natesavi*. The latter was in practice during the entire premodernity. E. Ranan's famous essay "What is a Nation?" was translated into Georgian as "What is an Eri?" and not as "What is a Natesavi"? Both above-mentioned terms *natesavi* as well as *eri* designate the collectives, however, at least in one point they are different: in case of *eri* the kinship is not necessarily implied as a basic principle for shaping of group, while *natesavi* is an exclusively kinship-based community. The reconceptualization of the nature of in-group bonds indicates the crucial change in designing the national idea: Georgian national identity had been forging according to the European matrix of nation (Tchkhartishvili 2014: 286-292); (Chkhartishvili 2014: 202-213).

It would be not out of place to mention here that Tchavchvadze's view on the essence of nation had many features in common with E.Renan's definition of nation. However, Tchavchavadze had not borrowed ideas from E.Renan as might be supposed. He had published his views much earlier than Renan's above-mentioned essay. Evidently, a common European context had served for both authors as a source. Tchavchavadze was proud of the fact that his ideas found confirmation in Renan's work. Supposedly, Georgians were the first nation who had translated "What is a Nation?" into own language. The translation had been published in Georgian periodical "Iveria" already in 1882, i.e. very soon after French original's publication. Later on, it was followed by another Georgian translations and discussions. In Georgian society interest to E.Renan's essay and his conceptualization of "nation" has not faded for decades (Chkhartishvili & Mania 2011/2012: 72-89).

Tchavchavadze's program of national consolidation implied cultural mobilization. Though from the very beginning he had articulated the ideal of Georgia's political independence, afterwards he did not undertake any measures to fulfill this ideal. He preferred to be cautious and not make steps against the imperial authorities before the time. As it seems to me, he thought that the cultural phase of national consolidation had not been driven to its end yet.

The confrontation concerning the future activities caused the tension between Tchavchavadze and the new generation of Georgian nationalists: they saw differently the steps had to be taken for emancipation of Georgia. Finally, in 1918 the fully consolidated Georgian nation created his own state (Democratic Republic of Georgia) and acquired political armor for the Georgian national identity. This state was based on democratic principles. In the declaration of independence several clauses were devoted to ethnic and religious minorities and for their rights in independent Georgia (Chkhartishvili at *al.* 2015: 75-86).

The importance of this state is enormous in the history of Georgian identity. It could help to develop its civic features; however, Democratic Republic of Georgia appeared to be very short-lived. It was ruined as a result of the intervention of Soviet Russia. After this Georgia became part of the Soviet Empire. Within the empire it is impossible to forge civic features of nation. Soviet national politics was characterized by great accent on ethnicity (Slezkine 1994: 414-452). This fact made great obstacles for developing civic solidarities within the "independent" Soviet republics. The above-mentioned policy was especially damaging for multiethnic and multi confessional Georgia. In Georgia the minorities were privileged and encouraged by the Soviet

central government and infrequently they were the conductors of the policy of the Soviet center. They were not solidary to Georgians, quite on the contrary: they opposed to the consolidation of the society, demonstratively did not speak Georgian. Because of this in 1990s the main targets of the rhetoric of the dissident leaders were ethnic Georgians. Ethnic minorities were not enthusiastic towards the liberation struggle of the titular nation because they saw diminishing their privileges in emancipation of Georgia from Soviet burdens. In this very period the narrative was created aiming at discreditation of Gamsakhurdia (dissident leader and then the first president of – 1991-1992), allegedly he propagated to get rid of all minorities and retain the country exclusively for ethnic Georgians. This is not true. Gamsakhurdia's aim was that titular nation i.e. Georgians enjoy equal rights with minorities and the ethnocratic practices in state affairs have to be stopped.[13]

The *Rose Revolution* of 2003 marked a new stage in Georgia's identity development. A new generation of western-educated politicians came to power. They tried to lead the nation-building process in the framework of the civic conception of nation and refashion social interrelations according to the principles of open society. However, the third president of Georgia Michail Saakashvili (2004-2007 and 2008-2013) and his associates could not finish. Today the majority of the Georgian we-group still conceptualizes native community across the ethno-cultural lines. For Georgians the state matters, however, civic principle for the membership of Georgian we-group does not operates in full scale, despite the fact that Georgian self-same "Kartveli" morphologically is a word designating territorial belonging. Thus, alongside with ethnic Georgian it can be successfully used for ethnically non-Georgian citizens of Georgian state. Interestingly enough that in premodernity "Kartveli" was not used exclusively for denoting the members of we-group defined by collective-cultural identity, but by territorial identity as well. For example, Jews lived in Georgia were called as "Kartveli "while ethnic Georgians alongside with "Kartveli" might be referred as "Kartlosiani". "Kartlosiani" represents the derivate from "Kartlos" – the name of the ethnarch of Georgians. Thus, "Kartlosiani" means the progeny of Kartlos. Today the ethnic minorities who are citizens of Georgian state also find it difficult to distinguish between their ethnic and national identities and do not call themselves "Georgians" (Kartveli") though many of them have rather developed loyalty to Georgian state.

Now let us look at the Georgian premodernity and the most crucial fact of this epoch – adoption of Christianity by the Georgian kingdom of Kartli in early 330s. This very fact is described in the "Life of Saint Nino". It is Georgian hagiographical monument of the fourth century devoted to the deed of the Illuminatrix of Georgians Saint Nino.[14] It represents a collection of memories of the Saint Nino and her pupils and co-workers. The collection was compiled by the Queen Salome of Ujarma – the daughter-in-law (the wife of son) of the first Georgian Christian King Mirian. According to the Georgian historian Leonti Mroveli (11th century) Salome was daughter of the first Christian King of Armenia Trdat. Armenian sources do not mention her. However, we have no reason not to trust Leonti Mroveli.

Christianity is a cosmopolitan religion. Its adoption by Georgians meant destruction of the original religious marker. Thus, conversion was challenging for Georgian identity. The answer to this challenge was given right away. This was the ideology of Georgian specialness created shortly after the conversion in the middle of the 4th century. Through this ideology the Georgian political and cultural elites tried to prove electivity of Georgians as Christians. This ideology is recorded in the above-mentioned hagiographical monument. The core idea of this ideology is a Robe of Christ. According to the text Georgian Jews had brought this precious contact relic to Georgia. It had been interred in the Royal garden in the capital city of Mtskheta (Чхартишвили 2009: 131-150). The non-Georgian personages of the "Life of Saint Nino" narrate about it. Of course, it is not an accident. Evidently, the compilers[15] intended to show that this fact had assumed the overall recognition among the other inhabitants of the Christian oikumene, in particular of Greeks and Armenians. The availability of the Robe in Mtskheta was considered as a sign of the Lord's special attitude to Georgians.

In the following centuries also Georgian political and cultural elites made great efforts to strengthen the cultural (imagined) boundaries of Georgianness. Above described ideology of Georgian ethnic specialness found the peculiar development in the eighth century, Georgian hagiographical monument the "Martyrdom of Saint Abo of Tiflis" by Ioane Sabanisdze, underlined the global mission of Georgians as the gate keepers of Christian oikumene and Georgia as the world's sacral center. This ambitious claim was predated by some happenings important from the point of identity studies. I mean Georgian-Armenian ecclesiastical controversy at the first decades of the 7th century which ended with full scale separation of Georgians and Armenians in ecclesiastical matters. It is impossible for me now to go deeply in case study of this fact.[16] Instead this I will articulate the main message which comes from this historical happening. Without any doubt the controversy

and polemics on the issues of faith was provoked by the identity making processes. Activities of Georgian and Armenian ecclesiastics as well as lay hierarchs were targeted at making bolder the cultural boundaries between these two neighboring peoples.

The next epoch to be considered from the point of Georgian identity is 11th-12th centuries. In this period Georgian state becomes politically very strong: it covers vast territories in the Caucasus extending its frontiers far beyond the lands populated by ethnic Georgians. This epoch also is characterized by the flourishing of Georgian medieval culture. Georgian artists, architects, writers, scholars were able achieved the highest level of sophistication. Alongside with advancing culture the Georgian we-group solidarity sentiments become very salient. Taking into account these facts one can evaluate this period of Georgian identity development as national stage. We can speak about shaping of pre-modern Georgian nation in 11th-12th centuries (Chkhartishvili 2016a).[17]

However, the political strength was not long-term. The permanent devastating invasions from outside, intensification of the inner centrifugal tendencies in the end caused breakup of the united Georgian Kingdom and instead emergence several political unites. However, political fragmentation did not have decisively negative effect on sense of belonging. Georgians lived in different kingdoms and principalities still believed in their common origin; they were involved shared culture and tied with collective memory.

The next stage of Georgian identity development can be associated with 17th-18th cc. It is an epoch when modernity paves way in Georgian economic and culture. One important indicator of this is commencing printing of books. Language again became important for Georgian identity forging. Georgian erudite Sulkhan-Saba Orbeliani's (17th c) explanatory dictionary of the Georgian language is not accident at all, as well as the making the collections of hagiobiographies by Catholocos Anthon I (18th c). presenting Saints of Georgian Church as national heroes. The monumental historiographical work "The Description of Georgian Kingdom" by the eminent historian and geographer Vakhushti Bagrationi (18th c) indicates to further developments: Vakhushti's work helped to reconceptualize collective past, i.e. revitalize collective memory (Kadagishvili & Chkhartishvili 2014: 413-421); (Targamadze 2018); (Chkhartishvili 2017: 217-252).

After this what happened I have already described at the very beginning. Now let us look again back, for this time in pre-Christian Georgia.

The roots of Georgian ethnic community are noticeable already in 15th-14th BC in ancient Colchis with political center in the western Georgia. Assyrian and Urartian sources of 12th-8th cc provide data on early phase of Georgian ethnic identity (Chkhartishvili 2013/2014: 207-221). This phase can be associated with later ones through the community's self-name (Chkhartishvili 2009c: 61-65); (Chkhartishvili 2016b: 304-325) and language (Gamkrelidze 2003: 2-3). The Colchian stage of Georgian ethnic identity becomes part of Georgian collective memory only from 4th-3rd cc when further crystallization of Georgian identity had taken place. This was time of King Pharnavaz – the founder of the new Georgian state – Kingdom of Kartli with the political center in the eastern Georgia. The King Pharnavaz initiated a number of reforms favorable for forging Georgian identity. In particular, he established the new religion – cult of god Armazi intended exclusively for ethnic Georgians: gave official status to Georgian language and invented perfect alphabet with unique graphic – *Georgian Asomtavruli*. The first historical record about the new-born Georgian state also was made in this very epoch (Chkhartishvili 2021: 101-113). Thus, the Georgian collective memory "switched on".

Taking into consideration all these facts one can say with confidence that at this point, the process of Georgian ethnicity formation becomes irreversible.

Concluding Remarks.

In this article my aim was to represent the history of Georgian national identity.

As I have already mentioned, I share the opinion that nations are modern constructs, but some of which have deep ethnic roots. On the basis of premodern cultural premises, the elite of the we-group creates a national narrative, i.e. the idea of a nation around which members of a given ethnic community consolidate and through the process of cultural mobilization, ethnic identity turns into national.

The picture I have represented is as follows: the presence of a Georgian ethnic community can be seen already in the 15th-14th centuries BC in western Georgia. This community was politically represented by the ancient Colchian Kingdom. Assyrian and Urartian sources of the 12th and 8th cc BC also give very important information about the Colchian period of Georgian ethnicity. In the 4th-3rd cc BC, the political center of the Georgian ethnic community moved from western to eastern Georgia, when the Kingdom of Kartli was founded by King Pharnavaz. As a result of King Pharnavaz's fundamental reforms, Georgian ethnicity had been crystalized.

In the 11th-12th centuries, the development of Georgian identity reached such a level that one can speak of the formation of a pre-modern Georgian nation. Political fragmentation in subsequent centuries did not entail the destruction of Georgian identity: the population of different Georgian political units was still bound by the consciousness of a common origin, common culture and strong sense of communal solidarity.

In the 17th-18th centuries the impulses of modernization from Europe reached Georgia and established an imprint on the development of Georgian identity. In the first half and in the middle of the 19th century, the ideology of Georgian nationalism emerged, and in the second half of the 19th century, as a result of an intensive ethno-cultural mobilization, a modern Georgian nation was formed. At the end of the second decade of the 20th century, Georgian identity takes on a political shell: Georgians manage to create a state of the modern type, the *Democratic Republic of Georgia*. The role of this state is enormous in the final crystallization of the Georgian national identity, despite the fact that it was soon destroyed as a result of the intervention by Soviet Russia.

In the Soviet empire, Georgian identity almost completely lost the civic characteristics acquired during the period of the Democratic Republic of Georgia. The situation changed significantly after the 2003 *Rose Revolution*. Georgian national identity gradually becomes inclusive again.

The development of Georgian national identity continues up to now. Maybe it is indeed "open ended process, never fully complete"' (Suny 1993: 11).

Epilogue.

The paper is based on presentation made at the online international conference initiated by the Materadaran (Mesrop Mashots Institute of Ancient Manuscripts) on July 1, 2021 dedicated to the Professor Hakob Papazyan. The subject and chronological frames of the conference was not strictly defined by the organizers. Accordingly, the choice of the presentation's topic was up to participant. I considered several themes. Finally, I have decided to present paper on history of Georgian identity over the long period of time (actually historical panorama) with the purpose to prepare soil for future collaboration with Armenian colleagues (and not only with them as the conference was international). I could well hope for cooperation, because *National Identity Studies* represent the most internationalized and interdisciplinary sphere of academic inquiries.

In the present paper I was able to display limited number of facts and underline only the main stages of Georgian identity development. However, even this brief historical account can help pinning points for future comparative studies. As the readers might noticed in several times, I have made the references to the contributions devoted to the analogous facts of Armenian history. I am sure that finding the similarities (and discrepancies as well) and their close investigation would help to represent not only the particular cases with due insights, but go deeply in understanding of the phenomenon of national identity, in general.

In my previous contributions I was able to identify a number of topics for comparisons like followings: *perception of homeland, ideologies of ethnic election* (Chkhartishvili 2009a: 386-391), terms used for designating a nation ("eri", "azg"), *conceptualizing others* (Chkhartishvili 2009b: 107-125), *conceptualizing the West* (Chkhartishvili 2019a: 147-164) etc. These are universal markers of national collective-cultural identities. They (and also many others) have to be considered in the wider context. The joint efforts of Georgian and Armenian scientists in initiating comparative researches will ensure the best results.

P.S.

This paper was intended to be published in the above-mentioned international conference proceedings. However, it was rejected shortly after the submissions without any evaluation procedure. I have received the letter of Vahan Ter-Ghevondian – the director of Materadaran who in behalf of the editorial board explained non-acceptance of the article by its inconsistency with their subject area, i.e. middle ages.

As I have mentioned above, the subject area and chronology of the presentations was not defined by the conference organizers; in addition, my paper covers not only modern period, but premodernity as well because it is about the pre-modern roots of the modern nation. Thus, the declared reason for rejection is not convincing at all. As I have already mentioned in some cases, I had referred to Armenian experience in order to widen the context of the representation. For me it is not easy to decide what kind of facts might be problematic for the editorial board: those reflecting history of Georgian identity or those reflecting Armenian one? I was specially invited to participate the conference, I was allowed to present this paper on this topic at the conference. I was asked to prepare presented paper for publication, even reminded not to miss deadline. After this the paper was rejected without any argumentation! I do not intend to evaluate the decision of the editorial board. Let's the readers decide themselves if the act of this kind can be compatible with academic ethics.

Notes

[1] The ethnic and national identities belong to this very type.

[2] For more details on the issue *ethnic communities* (ethnies) vs *nations* see (Smith 2001:10-15).

[3] Actually, this is oversimplification as far as all these approaches are available in many sub-types.

[4] On constructivist conceptualization of nations see (Hebling 2007).

[5] For more details see (Smith 2009). The readers can consult many other publications as well, among them (Frödin 2003).

[6] ე. დ. სმითი. ნაციონალიზმი. თეორია, იდეოლოგია, ისტორია. თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა. ქართული ტექსტის რედაქტორი რ. ამირეჯიბი-მალენი ,ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი, 2004 (Chkhartishvili 2004).

[7] As far as I know, the publication of the first Russian translation of A. D. Smith's book (though of the another one) is dated by the same year i.e. 2004. See (Смит 2004).

[8] Some scholars solve the same task i.e. the problem representing history of a national identity in different way: they begin with early stages. See (Van Lint 2009: 251-278).

[9] Nationalism is an ideology of in-group solidarity. The ideologies with similar functions were available in premodernity as well (without solidarity ideologies it is impossible shaping we -groups. In premodernity also Georgians had solidarity ideologies, for example the ideology of ethnic specialness. However, the ideologies for the modern epoch are characterized by essentially new content and form of discourse. It is why they are referred by special term, i.e. "nationalism".

[10] For the critical review of this kind of views see (Chkhartishvili 2020: 187-208).

[11] It would be not out of place to mention here that by the analogous problem are confronted the researchers who share constructionist position while representing history of Armenian identity. For example, R.Panossian finds necessary to provide detail explanation for his constructivist position so that to justify view about the emergence of Armenian nation in the 19th century. He (as me for Georgian case) underlines deep ethnic roots and premodern religious-cultural identity of Armenians. The researcher considers the cases of essentialist, organicist conceptualization of Armenian nation among the academics in post-Soviet Armenia as well. See (Panossian 2010: 122-123, 141-142); (Panossian 2006: 13-18); R.G. Suny also is concerned by the primordialism and even gen nationalism among some Armenian scholars and common people. See (Suny); However, today as far as I was able to grasp the primordialist view on the emergence of Armenian nation is seriously challenged by new approaches. See (Harutyunyan 2009).

[12] See (Chkhartishvili 2012: 188-211); (Chkhartishvili 2012: 426-447); (Chkhartishvili & Mania 2011). In this work Georgian periodical 'Iveria" which was issued since late 1870s during the three decades, is analyzed as a source for describing the history of Georgian national mobilization. The book represents the perceptions of Georgian national identity markers in all possible fulness. The analogous study though for the shorter period and with the relatively limited number of evidences was conducted for the Armenian case by M. Bazinyan in her paper "Constructing a Nation: Identity Markers of Armenians (According to the Mshak Periodical Published during 1872-1892)", (Bazinyan 2015: 67-80). The author has investigated the Armenian language periodical "Mshak" issued in Georgia approximately in the same period as "Iveria". Both these works (M. Bazinyan and mine) conceptualize nations as an "imagined communities". This notion comes from the eminent scholar B.Anderson. It reflects the researcher's constructivist view of the immanent nature of association between the print media and consolidation of nations in the modern era. See (Anderson 2006).

For national consolidation very important is the unified system of education. It is why for representation history of national identity; history textbooks also can be used as historical sources. See. (Chkhartishvili at *al.* 2016) and compare it with the work which has an analogous focus, though based on Armenian case-study: (Zolyan & Zakaryan 2008: 785-795).

[13] For more details concerning Z. Gamsakhurdia see (Chkhartishvili 2019b: 138-146).

[14] On this monument see (Чхартишвили 1989).

[15] Salome should be backed by whole staff while compiling the text so important for the state ideology.

[16] It would entails displaying many facts for this there is no place in this paper, however, in case of special interest the readers can see the most recent publication on the subject: (Aleksidze 2018).

[17] For more information about the Georgian history and culture of this period the readers can consult (Khintibidze 2011); (Lordkipanidze 1987); (Raynfield 2010); (Raynfiled 2012).

References

Aleksidze 2018: N. Aleksidze. The Narrative of the Caucasian Schism: Memory and Forgetting in Medieval Caucasia. *Corpus Scriptorum Christianorum Orientalium*.

Anderson 2006: B. Anderson. *Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism*, London: Verso.

Bazinyan 2015: M. Bazinyan. Constructing a Nation: Identity Markers of Armenians (According to the Mshak Periodical Published during 1872-1892), *Analytical Bulletin*, №8. https://cccsysu.com/wp-content/uploads/2016/05/Bazinyan-Marieta-2.pdf

Chkhartishvili 2004: A. D. Smith. *Nationalism. Theory. Ideology, History.* Translated into Georgian by M. Chkhartishvili. Georgian text Editor R. Amirejibi-Mullen, International Center for Georgian Language. https://www.researchgate.net/publication/325022688_NATIONALISM_Theory_Ideology_History_by_ADSmith_Translated_into_Georgian_by_Mariam_Chkhartishvili

Chkhartishvili 2009a: M. Chkhartishvili. "Forging Georgian Identity. Ideology of Ethnic Election". *Caucasiologic Papaers*, I. Tbilisi: Tbilisi University Press. https://www.researchgate.net/publication/325193922_Forging_Georgian_Ethnieldeology_of_Ethnic_Election

Chkhartishvili 2009b: M. Chkhartishvili. "Armenians in the Process of Georgian Identity Forging", *On Georgian Identity and Culture*, Tbilisi, Universal. https://www.researchgate.net/publication/325181107_Armenians_in_the_Process_of_Georgian_Identity_Forging

Chkhartishvili 2009c: M. Chkhartishvili. *Georgian Ethnie in the Epoch of Religious Conversion*, Tbilisi, Universal (in Georgian with summary in English). https://www.researchgate.net/publication/324832014_Georgian_Ethnie_in_the_Epoch_of_Religious_Conversion_kartuli_etnie_religiuri_moqcevis_epoqashi_in_Georgian_with_summary_in_English

Chkhartishvili 2011: M. Chkhartishvili. "Molding of Nationalist Ideology and Printed Media: Georgian Case Study", *Proceedings of the Ivane Javakhishvili Tbilisi State University Institute of Georgian History*, vol. II (in Georgian with summary in English)

chrome-extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/viewer.html?pdfurl=http%3A%2F%2Fgeohistory.humanities.tsu.ge%2Fimages%2FSHROMEBI%2FSHROMEBI_2%2F26.%2520Mariam%2520Chkhartishvili.pdf&clen=105776&chunk=true

Chkhartishvili 2012: M.Chkhartishvili. "The Shaping of Georgian National Identity: Iveria and its Readers". In:*The Balkans and Caucasus: Parallel Processes on the Opposite Sides of the Black See* Edited by *I. Biliarsky, O. Kristea, A.Oroveanu*, Cambridge Scholars Publishing. https://www.researchgate.net/publication/324731568_The_Shaping_of_Georgian_National_Identity_Iveria_and_its_Readers

Chkhartishvili 2013/2014: M. Chkhartishvili. "Daiaen/Diaochi: Ethnic Stigma", *Georgian Source-Studies*, vol. XV-XVI (in Georgian with summary in English). https://www.researchgate.net/publication/324606575_Daiaen-Diaokhi_Ethnic_Stigma);

Chkhartishvili 2014: M. Chkhartishvili. "Conceptualizing the Georgian Nation within the Romanov Empire: Georgian Intellectuals in Search of a Matrix", *Empires and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century*, vol. I. Edited by *A. Biagini and G. Motta*, Cambridge Scholars Publishing. https://www.researchgate.net/publication/324687414_Conceptualizing_Georgian_Nation_within_Romanov_Empirein_Search_of_Matrix

Chkhartishvili 2016a: M. Chkhartishvili. "Georgia, Kingdom of (fl. C12–13th)", *The Encyclopedia of Empire*. Editor-in-Chief J. M. MacKenzie. (Published Online: 11 JAN 2016; DOI: 10.1002/9781118455074.wbcoe322 http://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1002/9781118455074.wbeoe322/abstract;jsessionid=C593790E8FAFC6A2726B6E7605C79EAB.f04t04?userIsAuthenticated=false&deniedAccessCustomisedMessage)

Chkhartishvili 2016b: M. Chkhartishvili. "A New Discourse on the King Azo and Arian-Kartli" *Gori State Teaching University,Centre of History and Archaeology. Collection of Works*, №13 (in Georgian with summary in English). https://www.researchgate.net/publication/331968086_akhali_diskursi_mepe_azosa_da_arian-kartlis_shesakheb_A_NEW_DISCOURSE_ON_THE_KING_AZO_AND_ARIAN-KARTLI)

Chkhartishvili 2017: M. Chkhartishvili. "Deed of Anthim the Iberian Seen in the Context of Georgian Identity Forging", *Dyonisiana*, XI, N1, Constanta. (https://www.researchgate.net/publication/355338857_The_Deed_of_Anthim_the_Iberian_Seen_in_the_Context_of_Georgian_Identity_Forging_Dyonisiana_Constanta_2017_Xi_1_pp. 217-252)

Chkhartishvili 2019a: M. Chkhartishvili. "Conceptualization of 'West" in Georgian Identity Narrative", *Georgian Source-Studies*, №XXI (in Georgian with summary in English). https://www.researchgate.net/publication/339928120_Georgian_Source-Studies_XXI_2019

Chkhartishvili 2019b: M. Chkhartishvili. "Georgian Identity Narrative by Zviad Gamsakhurdia: Representation and Commentaries", *Georgian Source-Studies*, №XXI (in Georgian with summary in English). https://www.researchgate.net/publication/339928120_Georgian_Source-Studies_XXI_2019

Chkhartishvili 2020: M. Chkhartishvili. "Studying Georgian National Identity: Ethno-symbolist Approach", *Georgian Source-Studies*, №XXII (in Georgian with summary in English). https://www.researchgate.net/publication/348448269_Georgian_Source-Studies_2020_XXII_1-306

Chkhartishvili 2021: M. Chkhartishvili. "Narrative Sources on the Creation of Georgian Alphabet" *PRO GEORGIA*. Journal of Kartvelological Studies, № 31. https://www.researchgate.net/publication/355182369_Narrative_Sources_on_the_Creation_of_Georgian_Alphabet_PRO_GEORGIAJOURNAL_OF_KARTVELOLOGICAL_STUDIES_No_31_-_2021pp_101_-113_ISSN_1230-1604

Chkhartishvili & Mania 2011: M. Chkhartishvili & K. Mania. *Coverage of the Process of the Georgian National Consolidation in Print Media. Georgians as Readers of "Iveria"*, Tbilisi, Universal, (in Georgian with summary in English). https://www.researchgate.net/publication/324952851_Coverage_of_the_Process_of_the_Georgian_National_Consolidation_in_Print_Media_Georgians_as_Readers_of_Iveria

Chkhartishvili & Mania 2011/2012: M. Chkhartishvili & K. Mania. "Conceptualizing Georgian Nation and *What is a Nation?* by E. Renan", *Georgian Source-Studies*, № XIII- XIV, pp.72-89 (in Georgian with summary in English). https://www.researchgate.net/publication/325181538_Conceptualizing_Georgian_Nation_and_What_is_a_Nation_by_ERenan_in_Georgian_summary_in_English

Chkhartishvili *et al.* 2015: M. Chkhartishvili. Z. Targamadze, S.Kadagishvili. "Impulse of the Great War on Georgian Identity Development", *The First World War. Analysis and Interpretations*. Edited by A. Biagini and G. Motta, vol. 2, Cambridge Scholars Publishing. https://www.researchgate.net/publication/324676478_Impulse_of_the_Great_War_on_Georgian_Identity_Development-

Chkhartishvili *et al.* 2016: M. Chkhartishvili, N. Gogrichiani, E. Kakava, E.Mikadze, N. Tivadze, N. Kharaishvili. *Textbooks in National History as Historical Sources*, Tbilisi, (in Georgian). https://www.researchgate.net/publication/324532500_Textbooks_in_National_History_as_Historical_Sources_in_Georgian_with_summary_in_English

Coakley 2018: J.Coakley. "'Primordialism' in Nationalism Studies: Theory or Ideology? "*Nations and Nationalism*, vol. 24, issue 2. https://doi.org/10.1111/nana.12349.

Frödin 2003: O. Frödin. *Anthony D. Smith Revisited in the Light of Relational Turn.* Dissertation. Lund University http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.1020.2232&rep=rep1&type=pdf)

Gamkrelidze 2003: T. Gamkrelidze. "Golden Fleece and the Ethnic Identity of the Population of Ancient Colchis or in which Language the King Aeetes Spoke?" *Burdji Erovnebisa*, 2003, №7-8(68) (in Georgian with summary in English)

Hutchinson & A. D. Smith 1994: *Nationalism.* Edited by J. Hutchinson and A. D. Smith, Oxford-New York, Oxford University Press.

Harutyunyan 2009: A. Harutyunyan. *Contesting National Identities in an Ethnically Homogeneous State: The Case of Armenian Democratization* (Dissertation). (https://scholarworks.wmich.edu/dissertations/667)

Helbling 2007: M. Helbling. "Re-conceptualizing the construction of nations with Bourdieu's help." Presentation made at the Conference *Nationalism and National Identities Today: Multidisciplinary Perspectives*, University of Surrey, June 12-13. https://www.surrey.ac.uk/cronem/files/conf2007presandpapers/helbling%20paper.pdf.

Kadagishvili & Chkhartishvili 2014: S. Kadagishvili and M. Chkhartishvili. "Georgian Self-Determination in the Eighteenth Century (Saints and Collective Memory)", Empires *and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century.*: vol. I. Edited by *A Biagini* and *G. Motta*, Cambridge Scholars Publishing. https://www.researchgate.net/publication/324808511_Georgian_Self-Determination_in_the_Eighteenth_Century_Saints_and_Collective_Memory_In_Empires_and_Nations_from_the_Eighteenth_Century_to_the_Twentieth_Century_Volume_I_Edited_by_Antonello_Biagini_and_

Khintibidze 2011: E. Khintibidze. *Rustaveli's "The Man in the Panther Skin" and European Literature*, London, Bennett & Bloom.

Lordkipanidze 1987: M. Lordkipanidze. *Georgia in the XI–XII Centuries*. Tbilisi: Ganatleba.

Meissner 1976: B. Meissner. "The Soviet Concept of Nation and the Right of National Self-Determination", *International Journal*, 32. (1http://www.jstor.org/stable/40542146

Panossian 2006: R. Panossian. *The Armenians. From Kings and Priests to Merchants and Commissars*, Hurst and Company, London.

Panossian 2010: R. Panossian. "The Past as Nation. Three Dimensions of Armenian Identity", *Geopolitics*. A Frank Cass Journal, vol.7, issue 3. https://sas.utmn.ru/wp-content/uploads/2020/05/Panossian_The_Past_as_a_Nation.pdf

Rapp 1997: S. H. Rapp. *Imagining History at the Crossroads. Persia, Byzantium, and the Architects of the Written Georgian Past* (A dissertation submitted for the partial fulfillment of the requirements for the degree of the Doctor of Philosophy - History in the University of Michigan.

Raynfiled 2010: D. Rayfield. *The Literature of Georgia: A History*, 3rd rev. ed. London, Garnett Press.

Raynfiled 2012: D. Rayfield. *Edge of Empires: History of Georgia.* London: Reaktion Books.

Slezkine 1994: Y. Slezkine. "The USSR as a Communal Apartment, or How a Socialist State Promoted Ethnic Particularism", *Slavic Review*, vol. 53, №2. Summer http://www.jstor.org/stable/2501300

Smith 1996: A.D. Smith. "The Origins of Nations", *Becoming National*. A Reader. Edited by G. Eley and R. G. Suny. New York Oxford, Oxford University Press.

Smith 2001: A.D. Smith. *Nationalism: Theory, Ideology, History*, Cambridge: Polity Press.

Smith 2009: A.D. Smith. *Ethno-Symbolism and Nationalism. A cultural Approach*, London and New York, Routledge.

Suny 1993: R. Suny. *Looking Toward Ararat. Armenia in Modern History*. Bloomington, Indiana, University Press.

Suny: R.G. Suny. *Constructing primordialism. Old Histories for New Nations*. The University of Chicago. http://www.dartmouth.edu/~crn/crn_papers/Suny3.pdf

Tchkhartishvili 2014: M. Tchkhartishvili. "Création de l'idée de la Nation Géorgienne dans le cadre du Discours Européen",*Valeurs et Identite Europeenes*. Conférence International.Texte des Conferences, Tbilissi: Université d'Etat Ivane Javakhishvili. https://www.researchgate.net/publication/324226891_Creation_de_l'idee_de_la_Nation_Georgiennedans_le_cadre_du_DiscoursEuropeen_In_Valeurs_et_Identite_Europeenes_Conference_International'Texte_des_Conferences_286-92_Tbilissi_Universite d'Etat Ivane Javakh);

Targamadze 2018: Z. Targamadze. *Georgian Identity: Historical Aspects. 18th Century*, Tbilisi, Meridiani, (in Georgian with summary in English). https://www.researchgate.net/publication/325264427_Georgian_Identity_Historical_Aspects_18th_century_kartvelta_tvitsnobiereba_istoriuli_aspektebi_XVIII_saukune

Van Lint 2009: T. M. van Lint. "The Formation of Armenian Identity in the first Millennium". *Church History and Religious Culture*, № 89, 1-3.

Zolyan & Zakaryan 2008: M. Zolyan and T. Zakaryan. Representation of "Us" and "Them" in History Textbooks in Post-Soviet Armenia, *Internationale Schulbochforschung*, №30.

Смит 2004: Э. Смит. *Национализм и модернизм. Критический обзор современных теорий наций и национализма*, 2004, Москва, Праксис.

Чхартишвили 1989: М. Чхартишвили. Обращение Грузии, Тбилиси, Мецниереба. https://www.researchgate.net/publication/324263223_PAMATNIKI_GRUZINSKOJ_ISTORICESKOJ_LITERATURY_VII

Чхартишвили 2009: М. Чхартишвили. "Мцхета как Новый Иерусалим: Иеротопия *Жития св. Нино*.» *Новый Иерусалимы. Иеротопия и иконография сакральных пространств* (Редактор-составитель А.М. Линдов). Издание подготовлено научным центром восточнохристианской культуры. Москва: Индрик. https://www.researchgate.net/publication/324227065_Mtskheta_as_New_Jerusalem_Hierotopy_of_the_life_of_Saint_Nino_Mtsketa_kak_Novy_Ierusalim_Ierotopiya_Zhitye_Sv_Nino

თანამედროვე ერი ღრმა ეთნიკური ფესვებით: ქართული იდენტობა *longue durée* პერსპექტივით

მარიამ ჩხარტიშვილი

სტატია ეფუძნება 2021 წლის 1 ივლისს მესროპ მაშთოცის სახელობის ძველი ხელნაწერების ინსტიტუტის – მატენადარანის მიერ ორგანიზებულ პროფესორ ჰაკობ პაპაზიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ ონლაინ საერთაშორისო კონფერენციაზე ჩემ მიერ წაკითხულ მოხსენებას. ის გამიზნული იყო ამ კონფერენციის მასალების კრებულისათვის და გაგზავნილ იქნა კიდეც კონფერენციის ორგანიზატორებისათვის. თუმც მალევე მივიღე მატენადარანის ინსტიტუტის დირექტორის ვაჰან ტერ-ღევონდიანის წერილი, რომელშიც მითითებული იყო, რომ სტატია ვერ დაიბეჭდება, რადგან ის არ შეესაბამება მათ თემატურ ფოკუსს ანუ არ შეეხება შუა საუკუნეებს. მაგრამ ბატონი ტერ-ღევონდიანის მიერ დასახელებული მიზეზი არაა დამაჯერებელი ახსნა სტატიის უარყოფისათვის: მოხსენებების თემატიკა და ქრონოლოგია კონფერენციის ორგანიზატორების მიერ არ ყოფილა შეზღუდული, პრეზენტაცია უპრობლემოდ იქნა ჩართული კიდეც კონფერენციის პროგრამაში და საკონფერენციო ნარდგინებაც შედგა. ამას გარდა, წინამდებარე სტატია, რომელიც, როგორც ითქვა, ხსენებულ მოხსენებას ეფუძნება, ეხება არა მარტო საქართველოს ისტორიის ახალ და უახლეს პერიოდს, არამედ შუა საუკუნეებსაც და ანტიკურ ხანასაც, რამდენადაც მისი მიზანია მოდერნული ქართული ნაციის ღრმა ეთნიკური ფესვების ჩვენება. ქართულ იდენტობაზე ჩემი სხვა ნაშრომებისაგან განსხვავებით ამ სტატიაში არაერთ შემთხვევაში შედარებისათვის მოხმობილია სომხური იდენტობის ისტორიის კვლევის გამოცდილება. ამიტომ ჩემთვის გამოცანად რჩება რეალურად რა გახდა კონფერენციის ორგანიზატორების მიერ სტატიის უარყოფის მიზეზი: ქართული იდენტობის ისტორიის ის რეპრეზენტაცია, რომელიც წარმოდგენილია ჩემს ნაშრომში თუ შედარებისათვის მოხმობილი მაგალითები

სომხური გამოცდილებიდან. იქნებ სტატიის გაცნობის შემდგომ მკითხველმა უპასუხოს ამ კითხვას და მკითხველმავე განსაჯოს აკადემიური ეთიკის თვალსაზრისით რამდენად მართებულია საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებაზე დაფუძნებული სამეცნიერო სტატიის რეცენზირების გარეშე უარყოფა.

როგორც სათაურიც აჩვენებს ამ ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს ქართული ეროვნული იდენტობის ფორმირება როგორც ხანგრძლივი პროცესი. ავტორი იზიარებს და ეყრდნობა მოსაზრებას, რომ ერები თანამედროვე კონსტრუქტებია, თუმც ზოგიერთ მათგანს ღრმა ეთნიკური ფესვები აქვს. პრემოდერნულ კულტურულ წანამძღვრებზე დაყრდნობით მოცემული ჩვენ-ჯგუფის ელიტა ქმნის ეროვნულ ნარატივს, ე. ი. ერის იდეას, რომლის ირგვლივ კონსოლიდდებიან მოცემული ეთნიკური ერთობის წევრები და კულტურული მობილიზაციის პროცესში ეთნიკური იდენტობა გადაიქცევა ეროვნულად.

ქართული ეთნიკური ერთობის არსებობა უკვე ძვ.წ. XV-XIV საუკუნეებში ხდება შესამჩნევი ამ ერთობას პოლიტიკურად წარმოადგენდა ძველი კოლხეთის სამეფო. ქრისტეს შობამდე XII და VIII საუკუნეების ასურული და ურარტული წყაროები, აგრეთვე, ძალიან მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ქართული ეთნიკურობის კოლხური პერიოდის შესახებ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნეებში, როდესაც მეფე ფარნავაზმა ქართლის სამეფო დააარსა, ქართული ეთნიკური ერთობის პოლიტიკური ცენტრი გადმოვიდა აღმოსავლეთ საქართველოში. სწორედ ფარნავაზ მეფის რეფორმები იმის მაუწყებელი იყო, რომ ქართული ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესი შეუქცევადი გახდა.

XI-XII საუკუნეებში ქართული იდენტობის განვითარების დონე საშუალებას იძლევა ეისაუბროთ წინარემოდერნული ქართველი ერის ჩამოყალიბებაზე. შემდგომ საუკუნეებში პოლიტიკურ ფრაგმენტაციას არ მოჰყოლია ქართული იდენტობის ნგრევა: სხვადასხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების მოსახლეობა კელავ შეკავშირებული იყო საერთო წარმომავლობის რწმენით, საერთო კულტურისა და კოლექტიური სოლიდარობის მძაფრი განცდით

XVII-XVIII საუკუნეებში მოდერნიზაციის იმპულსები ევროპიდან საქართველოში აღწევს და თავის ტვიფარს აჭდევს ქართული იდენტობის განვითარებას. XIX საუკუნის პირველ ნახევარში და შუა ხანებში გაჩნდა ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგია, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევარში საყოველთაო ეთნოკულტურული მობილიზაციის შედეგად, ჩამოყალიბდა თანამედროვე ქართველი ერი. XX საუკუნის მეორე ათწლეულის ბოლოს ქართული იდენტობა პოლიტიკურ ჯავშანს იძენს: ქართველები ახერხებენ შექმნან თანამედროვე ტიპის სახელმწიფო: *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა*. ამ სახელმწიფოს როლი უზარმაზარია ქართული ეროვნული იდენტობის გამოკრისტალებაში, მიუხედავად იმისა, რომ იგი მალევე განადგურდა საბჭოთა რუსეთის ინტერვენციის შედეგად.

საბჭოთა იმპერიაში ქართულმა იდენტობამ თითქმის მთლიანად დაკარგა ის სამოქალაქო მახასიათებლები, რაც მან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში შეიძინა. ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა 2003 წლის *ვარდების რევოლუციის* შემდეგ. ამ დროიდან ქართული ეროვნული იდენტობა თანდათან ისევ იბრუნებს მოქალაქეობრივი ერის ნიშნებს. ქართული ეროვნული იდენტობის განვითარება დღესაც გრძელდება.

თეორია ისტორიულ კვლევაში და ისტორიოგრაფია

THEORY IN HISTORY RESEARCH AND HISTORIOGRAPHY

ტაო-კლარჯეთის ქართული მოსახლეობის ნათესაობის ტერმინოლოგიური მოდელი (ეთნოკულტურული და სოციოლინგვისტური პრობლემები)

ნუგზარ მგელაძე

ტაო და კლარჯეთი მდინარე ჭოროხის აუზში ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინციები იყო. ისინი დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია. აქედან გამომდინარე, მრავალმხრივაა საინტერესო ამ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის ეთნოგრაფიული პანორამა, განსაკუთრებით, ქართული მოსახლეობის ტრადიციული სოციალური სტრუქტურა, მათ შორის, ნათესაობის ტერმინთა სისტემა, რომელმაც გვიანი შუა საუკუნეებიდან, როცა იგი ეროვნულ ეთნოკულტურულ ორგანიზმს მოწყდა, საუკუნეების განმავლობაში მულტი-ეთნიკურ და უცხო ეთნო-პოლიტიკურ გარემოში დაიწყო განვითარება. შესაბამისად, დასახლების საზოგადოებრივმა სტრუქტურამ ტრადიციული იერსახე შეინარჩუნა, ხოლო ცალკეულმა ფრაგმენტმა და მასთან დაკავშირებულმა სოციალურმა სტერეოტიპებმა მეტ-ნაკლებად ტრანსფორმაცია განიცადა და დომინირებად ეთნიკურ კულტურას შეერწყა.

ტაოლებისა და კლარჯების ნათესაურ ურთიერთობათა სისტემა ტრადიციული ხასიათისა იყო. სტრუქტურულ მოდელში როგორც ერთი, ისე მეორე ქართველი ხალხის ამა თუ იმ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფისათვის ნიშანდობლივ ტიპოლოგიურ აგებულებას ინარჩუნებდა, თუმცა იმის გამო, რომ ტაოელებსა და კლარჯებს ხანგრძლივი დროის მანძილზე ქართულენოვანი მონათესავე ჯგუფებისაგან იზოლირებულად არსებობა და ახალ ეთნიკურ გარემოცვაში განვითარება უხდებოდათ, მათმა ნათესაობის სისტემამ ცვლილებები განიცადა, რაც უპირველესად ტერმინოლოგიაში აისახა. ქართული ტერმინები ხშირ შემთხვევაში თურქულმა ანდა თურქულის გზით შემოსულმა არაბულმა და სპარსულმა სიტყვებმა ჩაანაცვლა.

ტაოელებსა და კლარჯებში ნათესაობის ტერმინოლოგია საოჯახო სფეროსა და პატრონიმიული ორგანიზაციის გენეალოგიურ სეგმენტთა სოციალურ სივრცეს მოიცავდა. იგი ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის საზოგადოებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებდა და გარკვეულ ინდივიდებს აღნიშნავდა. ეს ტერმინოლოგია არა მარტო გამოვლენასა და საველე პირობებში მის შეკრებას, არამედ სათანადო მეთოდებით რეესტრირებას, სტრუქტურულ და ტიპოლოგიურ ანალიზს საჭიროებს. ამასთან, შედარებითი კვლევების საფუძველზე მნიშვნელოვანია ტაოელებისა და კლარჯების ტერმინოლოგიური პარადიგმა ჭოროხის აუზის სხვა ქართულ მხარეთა მოსახლეობის ნათესაობის მოდელებთან მიმართებაში წარმოვაჩინოთ (მგელაძე 1988); (მგელაძე 1990); (მგელაძე 2004); (მგელაძე 2010); (მგელაძე 2014); (მგელაძე 2015); (მგელაძე 2016ა). ამ ამოცანების გადაჭრაში კი უალრესად ფასეულია ფორმალური მეთოდებით ოპერირება. საზოგადოებრივ მოვლენათა მათემატიკური მოდელირების პროცესში ფორმალური მეთოდები ყველაზე ეფექტურია ნათესაობის ტერმინოლოგიური სტრუქტურის, სოციალურ ორგანიზაციათა არქიტექტონიკისა და, შესაბამისად, მათი ტიპებისა თუ განპირობებულობის შესასწავლად. ამ ფენომენის ანალიზის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია მეტ-ნაკლებად განვსაზღვროთ სხვადასხვა ტიპისა და ტაქსონომიური დონის ადამიანთა დაჯგუფების შიდა სოციალური აგებულება. ფორმალური მეთოდებით ნათესაობის ტერმინთა სისტემის შესწავლას საკმაოდ სოლიდური საბაზო წანამძღვრები აქვს. ფაქტობრივი საველე წყაროების გაფართოების პროცესში ანთროპოლოგიაში – სოციოკულტურულ ანთროპოლოგიასა და ეთნოლოგიაში, დაისვა საკითხი ნათესაობის ტერმინოლოგიური სისტემის შესწავლის ტრადიციული მეთოდის შეცვლისა და ახლის შექმნის შესახებ. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან ფორმალურმა – ტრანსფორმაციულმა, შკალოგრამულმა და კომპონენტურმა მეთოდებმა დაიწყო დამკვიდრება (გუდენაფი 1956); (გუდენაფი 1964); (გუდენაფი 1971ა); (გუდენაფი 1971ბ); (ლაუნსბერი 1956); (ლაუნსბერი 1962); (ლაუნსბერი 1965); (ლაუნსბერი 1968).

მართალია, XX საუკუნის 50-იან წლებში სოციოკულტურულ ანთროპოლოგიაში ფორმალურ მეთოდს საფუძვლად სტრუქტურული ლინგვისტიკის თეორიული მონაცემები დაედო, თუმცა ცნობილია, რომ ფორმალური ანალიზის შინაგანი პრინციპების აგების ცალკეულ ცდას ეთნოლოგიაში გაცილებით ადრე, XX საუკუნის 20-იან წლებშიც ჰქონდა ადგილი (ტოკარევი 1952: 189-194).

სამეცნიერო ლიტერატურაში ნათესაობის სისტემის შესწავლის პროცესში კერძოდ, ნათესაობის ტერმინთა სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზისა და ისტორიულ-ტიპოლოგიური დახასიათებისას, ერთ-ერთი განმსაზღვრელი მნიშვნელობა ეთნოგრაფიული მასალის ფიქსირებისა და მისი შემდგომი ანალიზის მეთოდის შერჩევას ენიჭება. ეს ამა თუ იმ საზოგადოების ნათესაობის სისტემასთან დაკავშირებული მასალის დიდმა წყაროთმცოდნეობითმა დანიშნულებამაც განაპირობა. ამჟამად, შედარებით გავრცელებულ და მიღებულ მეთოდად ნათესაობის ტერმინთა სისტემის კომპონენტური, ტრანსფორმაციული და შკალოგრამული მეთოდები ითვლება, რომლებიც ანთროპოლოგიაში – სოციოკულტურულ ანთროპოლოგიასა და ეთნოლოგიაში სტრუქტურული ლინგვისტიკიდან გავრცელდა (გუდენაფი 1956); (გუდენაფი 1964); (გუდენაფი 1971ა); (გუდენაფი 1971ბ); (ლაუნსბერი 1956); (ლაუნსბერი 1962); (ლაუნსბერი 1965); (ლაუნსბერი 1968); (ფაბლანი 1965); (მარანდა 1964); (ბორლანდი 1979); (კრონენფელდი 1980); (კრიუკოვი 1972); (ჩლენოვი 1973); (კუზნეცოვი 1971), რაც ბუნებრივიცაა, რადგან ნათესაობის ნომენკლატურა არა მარტო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, არამედ, უპირველესად, ლინგვისტურ დონეზე განიხილება. ნათესაობის ტერმინები ენის ლექსიკის ნაწილია და, შესაბამისად, მათი არსის დადგენისათვის აუცილებელია ნათესაობის ლექსიკა ფონეტიკური და მორფოლოგიური ასპექტებით დიაქრონულ და სინქრონულ დონეზე გავიაზროთ. ასევე, ნათესაობის აღმნიშვნელი ცნებები კომპლექსურად, ენის ფუნქციონირებისა და განვითარების შინაგან კანონზომიერებათა შუქზე უნდა შეისწავლებოდეს. აქედან გამომდინარე, შეიძლება დამაჯერებლად ვთქვათ, რომ კვლევის ადეკვატური მეთოდის შერჩევა წარმოადგენს მსოფლიოს ეთნოსთა ნათესაობის ტერმინების ობიექტურად აღწერის მყარ საყრდენს.

ფორმალური მიდგომა ნათესაობის სისტემის მთლიანობაში შესწავლას, ცალკეული ტერმინის შინაგანი ცვლილებების ანალიზსა და სტრუქტურის წარმომშობი პრინციპების განხილვას ითვალისწინებს. მეთოდებს მკაცრად განსაზღვრული ფორმალიზებული პროცედურული კომბინაციები ახასიათებთ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ნათესაობის ნებისმიერი სისტემა ესაა სემიოტიკურ ნიშანთა ერთობლიობა, ე. ი. სისტემაში თითოეული ტერმინი თავის თავში აღნიშვნით და აღსანიშნავს ირთავს. პირველი ბგერით სუბსტანციას გულისხმობს, ხოლო მეორე – ტერმინში კოდირებულ ნათესაურ ურთიერთობას. სიმბოლურ, უფრო ზუსტად, კვლევის „სიმბოლურ ენაზე" გადასვლა სისტემური ანალიზის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, მაგრამ ნათესაობა მხოლოდ ნიშან-სიტყვათა ერთობლიობაზე არ დაიყვანება. ფორმალური მეთოდში, ჩვეულებრივ, ნათესაობა სიმბოლოებითა და იდიომებითაა გამოხატული. სწორედ ესაა მისი კვლევის ობიექტი. ამდენად, იგი გაცილებით ფართო მნიშვნელობას იძენს: ენა, როგორც სიმბოლოთა სისტემა, ფონეტიკურ და ფონემურ საფუძველზეა აგებული, ხოლო სიმბოლოთა სისტემაში ნათესაობა სისხლით და მოყვრობით ელემენტებზე.

ფორმალური მეთოდის სპეციფიკა ერთიანი მეტაენის საფუძველზე კოდების – ინდექსების შექმნას მოითხოვს, რომლებიც ბიოლოგიურ და სოციალურ ნათესაობას შორის არსებულ ზღვარს ავლენს. იგი საშუალებას იძლევა ნათესაობის სტრუქტურაში მსგავსი და განსხვავებული ნიშნები განვსაზღვროთ, რაც სხვადასხვა ხალხთა ნათესაობის სისტემის შედარებითი შესწავლისათვის საჭირო სამეცნიერო წინაპირობაა. კოდირებული ტერმინების საფუძველზე ამ კატეგორიების დიფერენციული ცვლადები, დენოტატები და დეზიგნატები დგინდება, რომლებითაც მოცემული ნათესაობითი ურთიერთობების სოციალური ფუნქცია ირკვევა (მგელაძე 2016ბ: 157-164). საერთოდ, ნათესაობის ტერმინთა სისტემის შინაგანი თვითგანვითარების ზოგადი კანონზომიერების გამოვლენა არა მარტო ცალკეული კატეგორიის დეზიგნატებისა და დენოტატების ამოხსნას, არამედ მათ შორის ურთიერთკავშირის განსაზღვრას მოითხოვს. ტერმინთა კოდირებით, გარდა სოციალურ კატეგორიათა დენოტატებისა და დეზიგნატებისა, ირკვევა დიფერენციული ცვლადებიც, რომელთა მეშვეობითაც ნათესაურ ურთიერთობათა საზოგადოებრივი ფუნქცია ისაზღვრება. ცნობილია, რომ ტერმინთა დენოტატი ნათესაობის ტერმინში კოდირებულ სპეციფიკურ ურთიერთობას გულისხმობს, მაგრამ ტერმინთა უნივერსალობა იმაში მდგომარეობს, რომ მან შეიძლება როგორც ერთი, ისე რამდენიმე ნათესაური ურთიერთობა დააკოდიროს. აღნიშნული კლასი თუ სავარაუდო დენოტატთა ერთობლიობა ტერმინის დეზიგნატს წარმოადგენს (კრიუკოვი 1972: 24). ამდენად, ტერმინის სიგნიფიკატის დადგენა შეიძლება ნათესაობის სისტემის შესწავლის ფორმალური მეთოდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს. ამ ამოცანათა გადაჭრა, თავის მხრივ, ქმნის პერსპექტივას მოცემული სისტემის სტრუქტურის წარმომშობი კომპონენტები გამოიყოს (პოპოვი 1982: 88). ფორმალური – მათემატიკური მეთოდი მიზნად ისახავს არა იმდენად ნათესაობის სისტემის ახსნას, რამდენადაც მის მკაცრ აღწერას. ამასთან, ანალიზის ობიექტი ხდება არა ცალკეული ტერმინი, არამედ სისტემის სახით გამოხატული მთლიანად ტერმინოლოგიური აპარატი (ჩლენოვი 1973: 167-168). კომპონენტური მეთო-

დის დამახასიათებელი თვისებები თავს იჩენს მაშინ, როცა გარეგანი ნიშნებით მონათესავე კომპონენტები დაჯგუფებას ერთ დეზიგნატში იწყებს იმ შინაგანი დიფერენციული პრინციპებით, რომლებიც მოცემულ სისტემას უდევს საფუძვლად. სწორედ ამიტომ კომპონენტური ანალიზის არსი იმ დიფერენციული ნიშნების თუ სემანტიკური პრინციპების განსაზღვრაში მდგომარეობს, რომლებიც, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს საერთო კლასში რამდენიმე ნათესაური ტიპი გავაერთიანოთ (ჩლენოვი 1973: 154); (კრიუკოვი 1983:9).

ამდენად, ყველა შემთხვევაში, ფორმალური, მათ შორის, კომპონენტური მეთოდის რამდენიმე საფეხურიანი ოპერაცია, ხელს უწყობს ნათესაობის ტერმინთა იდეალური მოდელის აგების პროცესს. ფაქტია, რომ გარკვეული პრინციპების საფუძველზე არსებითი ნიშნების შესატყვისობით კონსტრუირებული ნათესაობის ტერმინთა სისტემის ტიპი, მეცნიერული აბსტრაქციაა (კრიუკოვი 1972: 222); (კრიუკოვი 1983). ამიტომ, ნათესაობის ტერმინთა სისტემის ყოველი ტიპი, როგორც ხელოვნური მოდელი, შეიძლება ეტალონად განვიხილოთ. სპეციალურ ლიტერატურაში კი ნათესაობის ტერმინთა რამდენიმე ტიპია დადგენილი. კონსტრუირებული ტიპები აქაც იდეალური მოდელებია.

ფორმალური მეთოდების საკოდიფიკაციო სისტემაში კოდების სხვადასხვა ვარიანტები არსებობს, რომლებიც ამა თუ იმ ხალხისა თუ ხალხების დამწერლობისათვის გამოყენებული ანბანის საფუძველზეა წარმოდგენილი ანდა ციფრების კომბინაციებზეა დაფუძნებული. ჩვენ ვახდენთ ტაოელებისა და კლარჯების ნათესაობის ტერმინების კოდირებას როგორც ლათინური და ინგლისურენოვანი, ისე რუსულენოვანი ანბანის მიხედვით, რომლებიც შესაბამის ცხრილებსა და სქემებს ერთვის. კოდურ სისტემაზე დაფუძნებული ნათესაობის ტერმინთა სისტემის ფორმალური – კომპონენტური ანალიზის მეთოდი, რომელიც დასაშვებია ლათინური – ინგლისურენოვანი, ასევე, შესაძლოა, რუსული ანბანური კოდებით იყოს გამოხატული, ბიოსოციალური მატრიცის უმთავრეს ელემენტებს შეიცავს.[1]

ფორმალური მეთოდების არსს მისი ძირითადი პრინციპები წარმოადგენს, რომლებიც რამდენიმე თანმიმდევრულ ანალიტიკურ ოპერაციას მოიცავს. მათგან მნიშვნელოვანია: 1. ნათესაობის ტერმინთა სრული სიის შედგენა; 2. ტერმინთა მნიშვნელობის კოდირება; 3. ნათესაობის ტერმინთა დიფერენციული ცვლადების – სქესის, თაობათა დონის, ლინეალობის: პირდაპირი და გვერდითი – კოლატერალური ხაზების დადგენა; 4. მაკავშირებელ ნათესავთა განსაზღვრა;[2] 5. ტერმინთა შორის იმ სემანტიკური კავშირის გამოვლენა, რომელიც საყრდენს ქმნის სისტემის სტრუქტურული პრინციპების დახასიათებისათვის.

ნათესაობის ნებისმიერი სისტემის შესწავლა, რომელიც ტერმინთა და ნათესაურ ურთიერთობათა ერთობლიობას წარმოადგენს, ნათესაობის ნომენკლატურის ანალიზით იწყება. ტაოელთა და კლარჯთა ნათესაობის სისტემის შესწავლის პირველ ეტაპზე ჩვენ თურქეთის შემადგენლობაში მოქცეული ტაო-კლარჯეთის ქართული მოსახლეობის ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების სრული სია შევადგინეთ და თითოეული ლექსიკური ერთეულის – ლექსემის მნიშვნელობის კოდირება განვახორციელეთ:

ტაოელთა და კლარჯთა კოდირებულ ტერმინთა ჩამონათვალი

№	ტაოური ნათესაობის ტერმინი	კლარჯული ნათესაობის ტერმინები	შაეი და მარმარილოს ზღვის აუზების კლარჯ მუშაკირთა ნათესაობის ტერმინოლოგია	კოდი
1	–	დიდი დედე (დიდი ბაბუა)	დიდი დედე (დიდი დედე)	FPP (PмPP)
2	–	დიდნენე (დიდნენე/დიდი ნენე/დიდი ნენე)	დინენე (დიდი ნენე/დიდი ნენეე/დიდნენე/დიდნენე)	MPP (PжPP)
3	–	დიდი ბაბანე (ბანანენე)	დიდი ბაბანე (ბაბანენე)	MFF (PжPмPм)
4	დედე	დედე	დედე (დედეე)	GF (PмP)
5	ალას ალა	–	–	FF (PмPPм)
6	ბაბანე	ბაბანე	ბაბანე (ბაბაანე)	MF (PжPм)
7	ნენე/დიდი ანაე/დინენეე (უბეე)	დიდნენე (დიდნენეე/დიდი ნენეე/დიდი ნენე)	დიდნენე (დიდნენეე/დიდი ნენეე/დიდი ნენე)	GM (PжP)
8	ანანე (ანანეე)	ანანე	ანანე (ანაანე)	GM (PжP)

9	–	დიდი სიმამრი	დიდი სიმამრი	FFW (РмРмСж)
10	–	დიდი სიდედრი	დიდი სიდედრი	MFW (РжРмСж)
11	სიმამრი	სიმამრი	სიმამრი	FW (РмСж)
12	სიდედრი (ყაინანა)	სიდედრი	სიდედრი	MW (РжСж)
13	მამამთილი	მამამთილი	მამამთილი	FH (РмСм)
14	დედამთილი	დედამთილი	დედამთილი	MH (РжСм)
15	ბაბა (ბაბო/აღაა)	ბაბო (ბაბა)	ბაბო (ბაბოY/ბაბაY/ბაბა)	F (Рм)
16	ანაა (ანა/ანე)	ნენე (ანა)	ნენე (ნენეა)	M (Рж)
17	ბიძა	ბიძა	ბიძა	BP (ДмРР)
18	ემი (ემია)	ემია	ემი (ემია)	BF (ДмРРм)
19	ტაი	ტაია	ტაია	BM (ДмРРж)
20	ბიბი	ბიბია	ბიბია (ხალა)	SIF (ДжРРм)
21	თეიზე	თეიზა	თეიზა (ხალა/ხალაა)	SIM (ДжРРж)
22	აბლა	აბლა	აბლა	WBP (СжДмРР)
23	კაცი (ჩემი კაცი)/ბერი	ქმარი (კაცი)	ქმარი (კაცი)	H (См)
24	ქალი (ცოლი/ხოლი/დეკაცი/ბებერი)	ცოლი	ცოლი	W (См)
25	–	ქალ-კაცი (ცოლ-ქმარი)	–	H+W (См+Сж
26	ყაინი	ყაენი (ყაინი)	ყაენი (ყაინი)	BW (ДмРСж)
27	სიძე	სიძე	სიძე	BSI (СмДжД) HD (СмДж)
	–	სიძე (სიძეა)	სიძე (სიძეა)	HSIP
28	ზალი (რძალი/გელინი)	ძალი (რძალი/გელინი)	ძალი (გელინი)	WB (СжДмД) WSO (СжДм)
30	–	იენგე (იანგა)	იენგე (იანგა)	WB (СжДмД)
31	ბალდუზი	ბალდიზი	ბალდიზი (ბალდუზი)	SIW (ДжРСж)
32	მაზლი	მაზლი	მაზლი	BH (ДмРСм)
33	მული	მული	მული	SIH (ДжРСм)
34	შილი (ელთი)	შილი	შილი	WBH (СжДмРСм)
35	ბაჯანალი	ბაჯანალი	ბაჯანალი	HSIW СмДжРСж)
36	ძმა (ყარდეში/ყარდაში)	ძმა (ყარდაში)	ძმა (ყარდაში)	B (ДмР)
	აღაბეი (აბი)	აღაბეი (აბი)	აღაბეი (აბი)	B
38	ტადა			B (ДР)
39	ბაჯი	და (ბაჯი/ბაჯიაა)	და (ბაჯი/ბაჯიაა)	SI (ДжР)
40	შვილი	შვილი	შვილი	CH (Д)
42	ბიჭი, ჩემი ბიჭი (ოღლე/ოღლი/ ოლა)	ბიჭი (ბიჭიშვილი)	ბიჭი (ბიჭიშვილი)	SO (Дм)
43	გოგო, ჩემი გოგო (ჩემი/ბგანო/ განო/ გნო)	გოგო (გოგოშვილი)	გოგოშვილი	D (Дж)
44	ბიძაშვილი	ბიძიშვილი	ბიძიშვილი (ბიძაშვილი)	CHBP (ДРР)
45	ემიშვილი/ემიაშვილი (ემოღლი)	ემიაშვილი	ემიაშვილი	CHBF (ДДмРРм)
46	ბიბიშვილი/ბიბიაშვილი (ბიბოღ- ლი)	ბიბაშვილი	ბიბიშვილი (ბიბიაშვილი)	CHSIF (ДДжРРм)
47	ტაიაშვილი	ტაიაშვილი	ტაიაშვილი	CHBM (ДДмРРж)
48	თეიზოღლი	თეიზეშვილი (ხალაშვი- ლი)	თეიზეშვილი (ხალაშვი- ლი)	CHSIM (ДДжРРж)
50	ეგანი (ძმისწული/ძმისშვილი)	იეგანი	იეგანი	CHB (ДДмР
51	დისწული (დისშვილი)	--	–	CHSI (ДДжР)
52	მაზლის ბიჭი	–	–	CHBH (ДДмРСм)
53	ბადიში (თორი/თორუნი)	ბადიში (თორუნი)	ბადიში (თორუნი)	CHCH (ДД)

სოციოკულტურულ ანთროპოლოგიასა და ეთნოლოგიაში აღნიშნული კომბინაციების გარდა ნათესაურ კატეგორიათა კომპონენტების გამოხატვის, მათ შორის, დიფერენციული ცვლადების განსაზღვრის სხვა ფორმებიც არსებობს. ამ ფორმათა საფუძველზეც თანამედროვე ნათესაობის სისტემები აღიწერება. ასეთ გამოკვლევებში კოდირებისათვის ლათინური ასოები, შედარებით ალგებრიზებული ჩანაწერები და სხვა ხერხებიც გამოიყენება, რომელთა დახმარებით ნათესაობის ტერმინები სხვადასხვა დონეზე კომბინირდება. საერთოდ, თითქმის ყველა ანთროპოლოგის მიერ ტერმინთა აბსტრაჰირებისათვის ნინარე საფუძვლების მომზადებისა და გარკვეული პროცედურების ჩატარების აუცილებლობა ერთხმადაა აღიარებული. ტ. რ. ტრეიტმანი ახასიათებდა რა ე. წ. „დრავიდულ სისტემას“ თვლიდა, რომ „დრავიდულის“ მეშვეობით შესაძლებელი იყო ამ ტიპის ყველა პრობლემის გადაწყვეტა, თუმცა ამის განხორციელება მოსახერხებელი იყო მხოლოდ განმსაზღვრელი ნიშნების მატარებელ ისეთ სიაზე დაყრდნობით, როგორიცაა ტოლობა, მაგალითად, FB=F, MB≠F და სხვა, ანუ ეს იგივეა, მოცემული ტიპი პლატონური იდეის გამოხატულებას შეევადაროთ. საკუთრივ „დრავიდული სისტემა“ გენეალოგიურ თუ გენეტიკურ კლასს წარმოადგენს, რომლის წევრებიც ერთმანეთს თაობების მეშვეობით ეთანადებიან. ასე რომ, გადამწყვეტ როლს წარმომავლობა და სისტემის მემკვიდრეობითობა თამაშობს. ამის საფუძველზე ტ. რ. ტრეიტმანი ასკვნის, რომ სწორედ ამიტომაა საჭირო სხვადასხვა მეთოდი და კომბინაცია, რომლის მიზანია სისტემის ყველა მაგალითის შედარება, რათა შემდგომში დადგენილი თავისებურებების მოდელირება უკეთ განხორციელდეს (ტრეიტმანი 1987). დიფერენციული ცვლადები შეიძლება დაჯგუფდეს იმ სახით (გუდენაფი 1965: 264-269, 274-285), როგორადაც ისინი ასახულია ე. არსენევისა და ვლადიმერ პოპოვის ნაშრომში. ე. არსენევისა და ე. პოპოვის მიერ დიფერენციული ცვლადები შემდეგნაირადაა გადმოცემული: 1. ნათესაურ ურთიერთობათა ხასიათი – 1.1: სისხლით ნათესაობა, 1.2: მოყვრობითი კავშირები, 1.3: სისხლით ნათესაეი და შიდა მოყვარე, 1.4: შიდა მოყვარე, 1.5: გარე მოყვარე; 2. გენეალოგიური თაობა – 2.1: +2 თაობა, 2.2: +1 თაობა, 2.3: 0 თაობა, 2.4: -1 თაობა, 2.5: -2 თაობა, 2.6: -3 თაობა; 3. ალტერის სქესი – 3.1: მამრობითი, 3.2: მდედრობითი; 4. სისხლით ნათესავთა ლატერალურობა – 4.1: პატრი-ლატერალურობა, 4.2: მატრი-ლატერალურობა; 5. თაობის ფარგლებში ალტერის შეფარდებითი ასაკი – 5.1: უფროსი, 5.2: უმცროსი; 6. კონექტორის სქესი – 6.1: მამრობითი; 6.2: მდედრობითი (არსენევი, პოპოვი 1978: 176-177).

ტაოელთა და კლარჯთა ნათესაობის ტერმინთა მათემატიკური კომბინაციები

№	ნათესაობის კლასი	ნათესაობის ხასიათი		თაობრივი გენეალოგია	ალტერის სქესი	ნათესაობის ლატერალურობა	
		სისხლისმიერი	მოყვრობითი			პატრი	მატრი
1	დედე (აღას აღა)	1.1	–	2.1	3.1	–	–
2	ნენე (დიდი ანაა/დინენეე/ ანანე/ებეე)	1.1	–	2.1	3.2	–	–
	სიმამრი	–	1.2	2.1	3.1	–	–
	სიდედრი (ყაინანა)	–	1.2	2.1	3.2	–	–
	მამანთილი	–	1.2	2.1	3.1	–	–
	დედამთილი	–	1.2	2.1	3.2	–	–
	ბაბა (ბაბო/აღაა)	1.1	–	2.2	3.1	4.1	-
	ანაა (ანე/ანე)	1.1	–	2.2	3.2	–	4.2
	ემი (ემია)	1.1	–	2.2	3.1	4.1	–
	ბიბი	1.1	–	2.2	3.2	4.1	–
	ტაი	1.1	–	2.2	3.1	4.1	–
	თეიზე	1.1	–	2.2	3.2	–	4.2
	აბლა	–	1.2	2.2	3.2	4.1	4.2
	კაცი (ჩემი კაცი/ბერი)	–	1.2	2.3	3.1	–	–
	ქალი (ცოლი/სოლი/ ბებერი/დეკაცი)	–	1.2	2.3	3.2	–	–
	ყაინი	–	1.2	2.3	3.1	–	–
	სიძე	–	1.2	2.3 2.4	3.1	–	–

	ზალი (რძალი/გელინი)	–	1.2	2.3 2.4	3.2	–	–
	ბალდუზი	–	1.2	2.3	3.2	–	–
	მაზლი	–	1.2	2.3	3.1	–	–
	მული	–	1.2	2.3	3.2	–	–
	(შილი) ელთი	–	1.2	2.3	3.2	–	–
	ბაჯანალი	–	1.2	2.3	3.2	–	–
	ყარდაში	1.1	–	2.3	3.1	–	–
	ბაჯი	1.1	–	2.3	3.2	–	–
	ემიშვილი	1.1	–	2.3	3	4.1	–
	ბიბიშვილი/ბიბიაშვილი (ბიბოლლი)	1.1	–	2.3	3	4.1	–
	ტაიაშვილი	1.1	–	2.3	3	–	4.2
	თეიზოლლი	1.1	–	2.3	3	–	4.2
	შვილი	1.1	–	2.4	3	–	–
	ეგანი	1.1	–	2.4	3	4.1	–
	დისწული (დისშვილი)	1.1	–	2.4	3	-	4.2
	თორი (თორუნი/ბადიში)	1.1	–	2.5	3	4.1	–

ნათესაობის ტერმინთა ფორმალიზაცია დიფერენციული ცვლადების (სქესი, თაობრივი დონე, ლინეალობა) ზოგადი კომპონენტების დადგენის გზითაც ხორციელდება: ისაზღვრება პირობითი ნიშნები, ძირითადი კომპონენტები და ცვლადი სიდიდეები, რომლებიც ნათესაობის ტერმინთა სისტემაში თითქმის ყველა შესაძლებელ ურთიერთობას თვალსაჩინოდ გადმოგვცემს. ტაოელთა და კლარჯთა ნათესაობის სისტემის შესასწავლად საკმარის პირობად ჩავთვალეთ დიფერენციული ცვლადების ქვემოთ მოყვანილი კომპონენტების გამოყენება, რომლებიც სხვადასხვა საფეხურებრივი დონეებითაა წარმოდგენილი. ნათესაობის ტერმინთა სიმბოლოები თაობების, ნათესაობის ხაზისა და სქესის მიხედვით განსხვავდება. მაგალითად: 1. A alter-ის სქესი: A1 – მამაკაცი; A2 – დედაკაცი; A – სქესი გამოყოფილი არაა; 2. Б – ნათესაურ კავშირთა ხასიათი: Б1 – სისხლით ნათესაობა; Б2 – მოყვრობითი ურთიერთობები; 3. B – alter-ის თაობა: B1=+2თ; B2 =+1თ; B3=0 თ; B4=–1თ; B5=–2 თ; 4. C – ლინეალობა: C1 – პირდაპირი ხაზი; C2 – გვერდითი ხაზი; 5. Г – მაკავშირებელი ნათესავის სქესი: Г1 – მამაკაცი, Г2 – დედაკაცი, Г - არადიფერენცირებული სქესი; 6. Д – ნათესაობის ლინეალობა: Д1 – მამის ხაზი, Д2 – დედის ხაზი, Д – არადიფერნცირებული სქესი; 7. E – ego-ს სქესი: E 1 – მამამაკაცი, E 2 – დედაკაცი, E – სქესი არაა დიფერენცირებული; 8. Ж – alter-ის შეფარდებითი ასაკი: Ж1 – შეფარდებითი ასაკი რელევანტურია, Ж2 – შეფარდებითი ასაკი არარელევანტურია; 9. З – ტერმინების ლინგვისტური დონე: З1 – ელემენტარული ტერმინი, З2 – შედგენილი ტერმინი, З3 – აღწერილობითი ტერმინი; 10. И – ტერმინის სოციალური განზომილება: И1 – ინდივიდუალური ტერმინი, И2 – ჯგუფური ტერმინი, И3 – კლასიფიკატორული ტერმინი.

ამგვარად, თუ მოვახდენთ ნათესაური ურთიერთობების – მამის ანდა დედის მნიშვნელობების კოდირებას, ჩვენ მივიღებთ შემდეგ ფორმულას: A1B2C1 – მამა, A2B2C1 – დედა და სხვა მისთანანი (კრიუკოვი 1972: 25-26). კოდირების დადებითი თვისებაა აბსტრაქტულ გენეალოგიურ სქემაზე ამა თუ იმ ტერმინის განსაზღვრისა და ემპირიული მონაცემების ურთიერთშედარების შესაძლებლობები და სისტემატიზაციის ხელსაყრელობა. კოდები კომპონენტური ანალიზის საფუძველზე მის შემდგომ დამუშავებას აადვილებს.

ტაოელთა და კლარჯთა ნათესაობის ტერმინოლოგიის დიფერენციული ცვლადები და მათი სემანტიკური კომბინაციები

№	ტერმინი	კოდი	დიფერენციალური ცვლადები
1	დიდი დედე (დიდი დედეი/დიდი ბაბუა)	FPP (РмPP)	А1Б1В2С1ГДЕЖ1З2И3
2	დიდნენეი (დიდნენე/დიდი ნენე/დიდი ნენეი/დინენე)	MPP (РжPP)	А2Б1В2С1ГДЕЖ1З2И3

3	დიდი ბაბანე (ბანანენე)	MFF (РжРчРм)	А2Б1В1С1Г1Д1Е1Ж1З2И3
4	დედე	PF (РмР)	А1Б1В1С1Г1Д1Е1Ж1З1И3
	აღას აღა	FF (РчРРм)	А1Б1В1С1Г1Д1Е1Ж1З3И1
2	ნენე (დიდი ანაი/დინენე/ანანე/ებეი)	MP (РжР)	А2Б1В1С1Г1Д1Е1Ж1З1(33)И3
3	სიმამრი	FW (РмСж)	А1Б2В1Г2Е1Ж1З1И1
4	სიდედრი (ყაინანა)	MW (РжСж)	А2Б2В1Г2Е1Ж1З1И1
5	მამამთილი	FH (РмСм)	А1Б2В1Г1Е2Ж1З1И1
6	დედამთილი	MH (РжСм)	А2Б2В1Г1Е1Ж1З1И1
7	ბაბა (ბაბო/აღაი)	F (Рм)	А1Б1В1С1Д1Е1Ж1З1И1
8	ანაი (ანა/ანე)	M (Рж)	А2Б1В1С1Д2Е1Ж1З1И1
9	ბიძა	BP (ДчРР)	А1Б1В2С2Г1Д1Е1Ж1З1И3
10	ემი (ემია)	BM (ДчРРм)	А1Б1В2С2Г1Д1Е1Ж1З1И2
12	ტაი	BM (ДчРРж)	А1Б1В2С2Г2Д2Е1Ж1З1И2
13	ბიბი	SIF (ДжРРм)	А2Б1В2С1Г1Д1Е1Ж1З1И2
14	თეიზე	SIM (ДжРРж)	А2Б1В2С2Г2Д2Е1Ж1З1И2
15	აბლა	WBP (СжДчРР)	А2Б2В2С1Г1Д1Е1Ж1З1И3
16	კაცი (ჩემი კაცი)/ბერი	H (См)	А1Б2В3 Е2 Ж3И1
17	ქალი (ცოლი/სოლი/დეკაცი/ბებერი)	W (Сж)	А2Б2В3Е1Ж3И1
18	ყაინი (ყაენი)	BW (ДчРСж)	А1Б2В3 С2Г2Е1Ж3И2
19	სიძე	BSI (СчДжД) HD (СчДж)	А1Б2В3В4С2Г1Ж2З1И3
20	ზალი (რძალი/გელინი)	WB (СжДчД) WSO (СжДч)	А2Б2В3В4С2Г1Е2Ж2З1И3
21	ბალდუზი	SIW (ДжРСж)	А2Б2В3С2Г2Е1Ж2З1И2
22	მაზლი	BH (ДчРСм)	А1Б2В3С2Г1Е2Ж3И2
23	მული	SIH (ДжРСм)	А2Б2В3С2Г1Е2Ж3И2
24	შილი (ელთი)	WBH (СжДчРСм)	А2Б2В3С2Г1Е2Ж3И1
25	ბაჯანალი	HSIW (СчДжРСж)	А1Б2В3С2Г2Е1Ж3И1
26	ყარდეში (ყარდაში)	B (ДчР)	А1Б1В3С2Е Ж3И2
27	აღაბეი	B (ДР)	А1Б1В3С2Е Ж3И2
28	ტადა	B (ДР)	А1Б1В3С2Е Ж3И2
29	ბაჯი	SI (ДжР)	А2Б1В3С2Е Ж2З1И2
30	შვილი (ოღლი)	CH (Д)	А1Б1В4С1Е Ж3З1И2
31	ჩემი ბიჭი (ოღლე/ოღლი/ოღა)	SO (Дж)	А1Б1В4С1Е Ж3З1И2
32	ჩემი გოგი (ჩემი ბგანო/განო/გნო)	D (Дж)	А2Б1В4С1Е Ж3З1И2
33	ბიძაშვილი	CHBP (ДРР)	А1Б1В4С2Г1Е Ж33И3
34	ემიშვილი/ემიაშვილი (ემოღლი)	CHBF (ДДчРРм)	А1Б1В4С2Г1Е Ж33И2
35	ბიბიშვილი/ბიბიაშვილი (ბიბოღლი)	CHSIF (ДДжРРм)	А1Б1В4С2Г1Е Ж2З3И2
36	ტაი(ა)შვილი	CHBM (ДДчРРж)	А1Б1В4С2Г2Е Ж2З3И2
37	თეიზოღლი	CHSIM (ДДжРРж)	А1Б1В4С2Г2Е Ж2З3И2
38	Yegani (ძმისწული/ძმისშვილი)	CHB (ДДчР)	А1Б1В1С2Г1Е Ж1З3И2
39	დისწული (დისშვილი)	CHIS (ДДжР)	А1Б1В4С2Г2Е Ж1З3И2
40	თორი (თორუნი/ბადიში)	CHCH (ДД)	А1Б1В5С1Г Е Ж1З1И2

ტაოელთა და კლარჯთა ნათესაობის ტერმინთა ჩამონათვალიდან კარგად ჩანს, რომ ლექსიკის ერთმა ნაწილმა *(სიმამრი, სიდედრი, მამამთილი, დედამთილი, კაცი, ქალი, მაზლი, მული, ზალი, სიძე)* ენობრივად ქართული იერსახე უცვლელად შემოინახა, ისე როგორც ამას სამხრეთ საქართველოს სხვა იმ არაერთ კუთხეში აქვს ადგილი, რომლებიც გვიანი შუა საუკუნეებისათვის ოსმალეთის მმართველობას დაექვემდებარა. ამასთან, ესენი სწორედ ის სიტყვებია, რომლებიც ჭოროხის აუზის სხვადასხვა კუთხის მოსახლეობაში – ტაოში, კლარჯეთში, შავშეთში, აჭარაში ქართულ ლინგვისტურ

საფუძველს რომ არ მოწყდა, რასაც, ბუნებრივია, სათანადო ახსნა ესაჭიროება. საერთოდ, ტაოელთა და კლარჯთა, ასევე, ჭოროხის აუზის სხვა ქართულ პროვინციათა მოსახლეობის ნათესაობის ტერმინთა სისტემის შესწავლისას გასათვალისწინებელია სხვადასხვა ქრონოლოგიურ დონეზე მიმდინარე ისტორიული პროცესები, რაც ქართული ენის ტაოური და კლარჯული დიალექტების საბაზისო ლექსიკაში ცვლილებებს განაპირობებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით განვითარებული შუა საუკუნეების მიწურული და გვიანი შუა საუკუნეები უნდა გამოიყოს, როცა რეგიონში ოსმალთა ექსპანსია დაიწყო, ხოლო შემდეგ ოსმალთა მმართველობა დამყარდა, რამაც ლექსიკაში, განსაკუთრებით, ნათესაობის ტერმინოლოგიაში, გარეგნული ცვლილებები გამოიწვია და უცხო წარმოშობის, არაბული და თურქული ტერმინოლოგიის დამკვიდრება განაპირობა. ტერმინთა ამ წყებამ ადრე არსებული ზოგიერთი ქართული სიტყვის ადგილი დაიკავა. XV-XIX საუკუნეებში ტაო-კლარჯეთში ამ მხრივ ბევრი რამ შეიცვალა, თუმცა ნათესაობის სისტემის სფეროში ზოგიერთი ქართული სიტყვა შედგენილ სიტყვებში – სიტყვათა კომბინაციაში მაინც შემორჩა, მაგალითად ისეთებში, როგორებიც იყო, ვთქვათ, ემიშვილი, ბიბიშვილი და ტაიაშვილი. სადაც ტერმინი შვილი – CH (Д) ნათესაობის კატეგორიას განსაზღვრავს. ნათესაობის ტერმინები უეცრად არ იცვლებოდა და სოციალურ პირობებთან შესატყვისობაში ისინი ახალ ფორმებში თანდათანობით გარდაიქმნებოდა. მმართველობის ოსმალურმა წესმა საზოგადოებრივი ყოფის ახალ ისეთ ნორმებს ჩაუყარა საფუძველი, რომელიც ცხოვრების ქართული სოციალური ნორმებისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა, შესაბამისად, ამან ნათესაობის ტერმინოლოგიურ სტრუქტურაზეც დიდი გავლენა იქონია. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან, როგორც ცნობილია, ნათესაობის ტერმინოლოგია პირველ რიგში სოციალური ორგანიზაციის ნიშან-თვისებებს აირეკლავს. იგი სოციალური ორგანიზაციის ამა თუ იმ ტიპითაა განპირობებული, ბუნებით კონსერვატორულია და არსებობას აგრძელებს მაშინაც, როცა საზოგადოებრივ წყობაში მისი განმაპირობებელი სოციალური ორგანიზაცია უკვე აღარ არსებობს. ამანაც განსაზღვრა ტაოელთა და კლარჯთა ტერმინთა სისტემაში ამა თუ იმ ქართული წარმომავლობის ნათესაობის კატეგორიის დიდი ხნით შემონახულობა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს +1 თაობაში წარმოდგენილი მდედრობით სქესის გამომხატველი ისეთი ტერმინი. როგორიც *ნენე* – [ბებია: *მამის* და *დედის დედა* – GM (РжР)] იყო. დროთა განმავლობაში, სავარაუდოდ, გვიანი შუა საუკუნეებში, ტაოსა და კლარჯეთში ოსმალთა მმართველობის პერიოდში იგი კლარჯებში ორ ნათესაურ კატეგორიად გაიყო: „ბანანედ“ („ბაბაანედ“ – MF (РжРм) და „ანანედ“ – GM (РжР). გვიან შუა საუკუნეებში ტაო-კლარჯეთში *მამის ძმისა* – BF (ДмРРм) და *დედის ძმის* – BM (ДмРРж) აღმნიშვნელად ერთი კლასიფიკატორული ტერმინი ბიძა – BP (ДмРР) არსებობდა, რომელიც დროთა განმავლობაში ორ ნათესაურ კატეგორიად, ჯგუფური ხასიათის ორ ტერმინად დაიყო: *მამის ძმად* [*ემი//ემია* – BF (ДмРРм)] და *დედის ძმად* [(*ტაი//ტაია* – BM (ДмРРж)], ე. ი. +1 თაობაში ტერმინოლოგიურად ერთმანეთისაგან მამისა და დედის ხაზები გაიმიჯნა. ადეკვატურად მოხდა ცვლილებები ნულოვან, ego-ს თაობაში, სადაც ქართული კლასიფიკატორული ერთი ტერმინი ბიძაშვილი – *მამის ძმისშვილი* [CHBF (ДДмРРм)] და *დედის ძმისშვილი* [CHBM (ДДмРРж)] ორ სიტყვაში გამოხატულ ორ ნათესაურ კატეგორიად დანაწევრდა: *ემიშვილი//ემიაშვილი* – CHBF (ДДмРРм) და *ტაიაშვილი//ტაიაშვილი* – CHBM (ДДмРРж). თუ ადრე ტერმინ „ბიძაში“ მამისა და დედის ხაზები ერთმანეთს ერწყმოდა, უკვე გვიანი შუა საუკუნეებიდან ეს ხაზები გაიმიჯნა, თუმცა ტერმინები – ბიძა და ბიძაშვილი, როგორც ლექსიკის პასიური ნაწილები, ტრადიციის ძალით ტაოელთა და კლარჯთა მეტყველებაში დღესაც შემორჩენილია. ტაოელთა ნათესაობის ტერმინთა სისტემის კვლევის პროცესში სხვა რიგის მოვლენებიცაა გასათვალისწინებელი. ტერმინოლოგიაში შესაძლებელია ახალი სიტყვები გაჩნდეს იმ პირობებშიც, როცა საზოგადოებრივ განვითარებასთან შესატყვისობაში რეალური ნათესაური ურთიერთობების გამოსახატავად შეუძლებელი ხდება ძველი კატეგორიების გამოყენება. ნათესაური ურთიერთობების ძველი კატეგორიების ადგილს ახალი ურთიერთობების აღმნიშვნელი ტერმინები იჭერს, რითაც, ბუნებრივია, ლექსიკის შემადგენლობა იცვლება. ცვლილებებს სხვადასხვა თაობის ნათესაობის ტერმინოლოგიაც დაექვემდებარა ანდა ძველის გვერდით დამატებით ახალმა ნათესაობის ტერმინებმაც იჩინა თავი. მაგალითად, მუშაჯირ კლარჯებში +1 თაობაში ქართული „მამიდას“ შესატყვისი „ბიბიას“ [SIF (ДжРРм)] გვერდით, გამოჩნდა სიტყვა *ხალა* [SIF (ДжРРм)], რომელიც საკუთრივ ტაოსა და კლარჯეთში, ჩვეულებრივ, *დეიდას* [SIM (ДжРРж)] აღნიშნავს. ასევე შეიძლება ტერმინ „სიძის“ შესახებაც ითქვას. სიტყვა *სიძე*, რომელიც ჭოროხის აუზის სხვადასხვა კუთხის მოსახლეობაში *დისა* – BSI (СмДжД) და *ქალიშვილის ქმარს* – HD (СмДж) შეესატყვისება, კლარჯებში დამატებით *მამის დის ქმარსა* – [HSIF (СмДжРРм)] და *დედის დის ქმარს* [СмДжРРж (HHSIM)] აღნიშნავს.

ტაოელთა და კლარჯთა, ისე როგორც ჭოროხის აუზის სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის ქართული მოსახლეობის, სისხლით ნათესავთა აღმნიშვნელი ტერმინოლოგიური პარადიგმა,

ტრადიციულად, ერთმანეთისაგან ხუთ თაობას განასხვავებს, რეალურად კი იგი ბაბუის, შვილისა და შვილიშვილის სამ თაობას აერთიანებს (მგელაძე 1990: 55-56). მათში ნათესაობის ყველა ის კატეგორია აისახება, რომლებშიც ego-ს პოტენციურად შეეძლო მონაწილეობის მიღება. ხუთი თაობის ტერმინოლოგიური სქემა გარკვეულ სოციალურ ორგანიზმში ბაბუის, მამის, შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების ერთდროულად არსებობას არ გულისხმობს. ასეთ სტრუქტურაში ნულოვანი თაობა ფაქტობრივად არ არსებობს (გირენკო 1974: 49). გენეალოგიურ ტოტებზე თითოეული ნათესაური კატეგორია შესაბამისი ლექსიკური ერთეულითაა გამოხატული. ტაო-კლარჯეთში მამრობითი სქესის აღმნიშვნელი ნათესაობის ტერმინი სულ თოთხმეტია: *დედე* – FP (РмР), *სიმამრი* – FW (РмСж), *მამამთილი* – FH (РмСм), *ბაბა (ბაბო)* – F (Рм), *ემი (ემია)* – BM (ДмРРм), *ტაი (ტაია)* – BM (ДмРРж), *კაცი* – H (См), *ყაინი* – BW (ДмРСж), *სიძე* – BSI (СмДжД) და HD (СмД), *მაზლი* – BH (ДмРСм), *ბაჯანაღი* – HSIW (СмДжРСж), *ყარდაში* – B (ДмР), *ტადა* – B (ДмР) და *ოღლი* – SO (Дм), ხოლო მდედრობითი სქესისა – ცამეტი: *ნენე (დიდი ანაჲ/დინენეჲ/ანანეჲ)* – MM (РжР). *სიდედრი (ყაინანა)*– MW (РжСж), *დედამთილი* – MW (РжСм), *ანაჲ* – M (Рж), *ბიბი* – SIF (ДжРРм), *თეიზე* – SIM (ДжРРж), *აბლა* – WBP (СжДмРР), *ქალი (ცოლი)* – W (Сж), *ზალი* – WB (СжДм) და WSO (СжДм), *ბალდუზი* – SIW (ДжРСж), *მული* – SIH (ДжРСм), *შილი (ელთი)* – WBH (СжДмРСм), *ბაჯი* – SI (ДжР), *ჩემი ბგანი* – D (Дж). გაუდიფერენცირებელი სქესის ტერმინოლოგიაში ერთიანდება ცხრა ისეთი სიტყვა, როგორიცაა: *შვილი* – CH (Д), *ბიძაშვილი* – CHBP (ДРР), *ემიშვილი* – CHBF (ДДмРРм), *ბიბიაშვილი* – CHSIF (ДДжРРм), *ტაიაშვილი* – CHBM (ДДмРРж), *თეიზოღლი* – CHSIM (ДДжРРж), *იეგანი (ძმისწული/ძმისშვილი)* – CHB (ДДмР), *დისწული (დისშვილი)* – CHSI (ДДжР), *თორი (თორუნი/ბადიში)* – CHCH (ДД).

ტაოელთა და კლარჯთა სისხლით ნათესაურ ბირთვში გამოიყოფა ძირითადი ტერმინები, რომელთაგან ნათესაობის ტერმინოლოგიის დიდი ნაწილია ნაწარმოები, უპირატესად, +1, 0-ვანი და -1 თაობების პირდაპირი და გვერდითი ხაზის ცალკეული ნათესაური კატეგორიის აღმნიშვნელი ნომენკლატურა. ასეთ ბირთვში +1 თაობაში უნდა დასახელდეს *ემი (ემია)* – BF (ДмРРм), *ბიბი (ბიბია)* – SIF (ДжРРм), *ტაი (ტაია)* – B (ДмР) და *თეიზე* – SIM (ДжРРж). მათგან -1 თაობის დაღმავალი ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები „შვილის" დართვითაა ჩამოყალიბებული. ესენია *ემიშვილი (ემიაშვილი)* – CHBF (ДДмРРм), *ბიბიშვილი (ბიბიაშვილი)* – CHSIF (ДДжРРм), *ტაიშვილი (ტაიაშვილი)* – CHBM (ДДмРРж) და *თეიზოღლი* - CHSIM (ДДжРРж). ცალკე უნდა გამოიყოს მშობლების გამომხატველი სიტყვები – ბაბა (ბაბო): F (Рм) და ანაჲ (ანა/ანე): M (Рж), რომლებიც სოციალური მნიშვნელობით მკაცრად ინდივიდუალურია, თუმცა მათგან ერთი – *ანაჲ (დედა)* +2 თაობის მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი შედგენილი ტერმინის კონსტრუქციაში მკაფიოდაა ჩართული. მისი ჩართულობით იწარმოება დიდედას აღმნიშვნელი სიტყვა – *დიდი ანაჲ/დინენეჲ (ნენე/ანანეჲ)*, რაც შინაარსობრივად იგივე დიდი დედაა. „ბაბოსა" F (Рм) და „ნენეს" GM (РжР) ტიპის ნათესაობის ტერმინები ტაოს გარდა საქართველოს სხვა კუთხეებიდანაც კარგადაა ცნობილი (ჯანაშვილი 1906: 44; 1938: 15); (ჟღენტი 1953: 8, 54); (ფოჩხუა 1974: 314-315). არნოლდ ჩიქობავას თანახმად, მეგრულში ბაბა – F (Рм) „მუმასთან" – F (Рм) შედარებით შეიძლება მეორეული მოვლენა ყოფილიყო, თუმცა ავტორი იქვე მიუთითებს, რომ სიტყვა ბაბა საბავშვო ლექსიკის კუთვნილებას წარმოადგენს და სავსებით შესაძლებელია სხვადასხვა ენაში სესხების გარეშე დამოუკიდებელი მსგავსი აგებულების სიტყვა მივიღოთ. სხეათა შორის, თურქულიდან სესხების საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ისიც, რომ აფხაზურში ა – აბ ძირი გვაქვს, რომელიც ახლოს დგას „ბაბასთან" (ჩიქობავა 1938: 16). აფხაზურში *აბ მამას* – F (Рм) ნიშნავს, ხოლო არბა – *მამალს*. ამ უკანასკნელში ძირეულ ელემენტად -ბა ფორმა გამოიყოფა, რომელიც სიტყვა „მამის" ძირს წარმოადგენს (ლომთათიძე 1976: 83, 95). ტერმინი ბაბა – F (Рм) ფონოლოგიურად ახლოს დგას სვანურ „ბუბასთან" – BM (ДмРР) და ქართულ „ბაბუასთან – FF (РмР). ისინი ერთი წარმოებისა უნდა იყვნენ (სოსელია 1983: 3-8), რაც გვავარაუდებინებს, რომ გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში სვანური ბუბა, ისე როგორც საერთო ქართველური ბაბა ანდა ბაბუა, არქაული კლასიფიკატორული სისტემისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებებით ხასიათდებოდა (მგელაძე 1990: 58). ასეთივე ვითარება შეინიშნება ტერმინ „ანაისა" და „ნენესთან" მიმართებაში, რომელიც ტაოსა და კლარჯეთში +1 (ნანაჲ – MP (РжР) და +2 თაობაში (*დიდი ნენეჲ* და *დიდი ანაჲ/დინენეჲ/ანანეჲ* – MP (РжР) გვხვდება. ნ. იაკოვლევი ქართულში ტერმინ „ნენას" სიტყვა „დედის" ვარიანტად თვლიდა, მიღებულს დონისა და *ანის* შენაცვლებით (იაკოვლევი 1930: 168). +1, +2 და +3 თაობაშიც კი საქართველოს ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობამ ნათესაობის ტერმინთა სისტემაში კავკასიური ლექსიკის უძველესი პლასტებიდან მსგავსი სიტყვები საკმაოდ ფართოდ შემოგვინახა, ისეთები როგორებიცაა მაგალითად ნანა, ნენა და ნენე, რომლებსაც ტიპოლოგიური ანალოგიები არა მარტო იბერიულ-კავკასიურ, არამედ ინ-

დოევროპულ ენებშიც აქვთ. ქართულ ენაში ნანა და ნენე ლექსემების არსებობა კავკასიის ხალხთა უძველეს კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებზე მიუთითებს, მაგალითად, ვაინახურში, კერძოდ კი ჩეჩნურ ენაში ტერმინი *ნანა (ნანაი), ნანიუ/ნანუოშ* – GM, M (РжР, Рж), ინგუშურში *ნანი* და *ნაი* – M (Рж): ნოვურში *ნან (ნანი)* – M (Рж); ლაკურში *ნინუ* – M (Рж), ყაბარდოულში დედისადმი მოფერებით მიმართვაში – *ნანე (ნენე)*. ამ სიტყვის მეორე მარცვალი დედის მნიშვნელობით სიტყვა „ჰანეში" მეორდება – M (Рж). აფხაზურში (ბზიფური დიალექტში) გვაქვს *ნან* – [M (Рж). შდრ. „ანს"], ჩერქეზულში (უბიხურში, აბაზურში, ყაბარდოულში) *ნანა* ანდა *ანა* – [M (Рж). შდრ. ადიღეური *ნი* და ყაბარდოული *ჰანე*], უდურში *ნანა* – M (Рж), გუმუქრულში *ნინუ* – M (Рж). დიდოურში *ენიიუ* – M (Рж), რუტულში *ნინ* – M (Рж), ღარგულში *ანა* – GM, M (РжР, Рж), ცახურში *ნენა* – M (Рж), ბუდუხურში *ნანა* – M (Рж), კიახურში *ან* და *ნანე* – M (Рж), ოსურში *ნანა* – M (Рж), სომხურში *ნან [ნანუ/ნანა)* – M (Рж)] (ზელინსკი 1899: 154-155); (ჟლენტი 1936); (ჯავახიშვილი 1937: 60, 612); (ჯანაშია 1959: 105); (ჯანაშია 1949: 148); (ჯანაშია 1973: 155). ვასილ აბაევმა სიტყვა „ნანას" გავრცელების ფართო არეალს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და დაასკვნა, რომ იგი განეკუთვნება ლექსიკას, რომელიც პირველი დაღმავალი ხაზის ნათესავებისა და შვილიშვილთა თაობების მიერ გამოიყენებოდა. მსგავსი სიტყვები უმეტესად დედისა და დიდედასადმი მიმართვის ფორმა იყო. ავტორის დაკვირვებით, ამ სიტყვის ვარიაციები იმ ხალხებშიც გვხვდება, რომლებიც ტერიტორიითა და ენობრივი ნათესაობით ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებული. ამის დადასტურებას აღნიშნული სიტყვის ინდოევროპულსა და სხვა ენებში არსებობა წარმოადგენს: ხეთურში *ანა* – M (Рж), ლათინურში *ანა* – [M (Рж), ასევე, *დედამძიძე*], ძველ გერმანულში *ანა* – M (РжР), ძველ პრუსიულში *ანე* – (*ხნიერი, ხანდა ზმული დედა*: M (Рж); ავღანურში *ანა* – M (Рж). უდმურტულში *ანაი* – M (Рж), რუსულში *ნიანია* – (*აღმზრდელი/ძიძა*), სერბიულსა და ხორვატულში *ნანა* – M (Рж); ალბანურში *ნანე*, იტალიურში *ნანა* – M (РжР), აზერბაიჯანულში *ნანა* (*ბაბკა*), ძველ ინდურში *ნანა*, სპარსულში *ნანა*, ბულგარულში *ნენია* – SIM (ДжРРж), ბელორუსებში *ნანა* – *ბაბუა*: GF (РмР), *ნანი კი ბებია* – GM (РжР) (აბაევი 1973: 155); (აბაევი 1958: 148). დეიდას მნიშვნელობით ეს სიტყვა ბერძნულშიც გვხვდება და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, *ანა თურქულში დედას* – M (Рж) აღნიშნავს. თ. გონიაშვილით, მიუხედავად იმისა, რომ ლექსიკური ერთეული *ნანა (ნენე)* დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის, მაინც ძნელია იგი გადაწყვეტით ამ ენობრივი გარემოს ორგანულ ნაწილად მივიჩნიოთ, რადგან ამ სიტყვას სხვა ენებშიც აქვს ფართო გავრცელება (გონიაშვილი 1940: 599). ნ. ჯავახაძე ოსი ხალხის ნათესაობის ტერმინთა სტრუქტურისა და ტიპოლოგიის შესწავლის პროცესში ამ ტიპის სიტყვებს განსაკუთრებულ ადგილს უთმობდა და მიუთითებდა, რომ სხვადასხვა ეთნიკურ გარემოში ეოკატიურ ტერმინ „ნანას" ყოველთვის ჰქონდა მოფერებითი მნიშვნელობა. იბერიულ-კავკასიურში, ისე როგორც ინდოევროპულ ენებში, ტერმინი ნანა ერთსა და იმავე ტიპს – დედასა M (Рж) და დიდედას GM (РжР) აღნიშნავდა. მოფერებითი მნიშვნელობით ტერმინ „ნანას" უმეტესი ვარიანტი ეოკატიურ ფორმას წარმოადგენდა, თუმცა ზოგიერთი ხალხის სოციოლინგვისტურ პრაქტიკაში, მაგალითად, ინგუშებში, მას რეფერატული მნიშვნელობა ჰქონდა (ჯავახაძე 1968: 227); (ჯავახაძე 1979: 124). თავდაპირველად ტერმინი *ნანა (ნინა/ინა)* წინააზიური, უფრო ზუსტად, მცირეაზიური ღვთაების სახელს წარმოადგენდა. ამას ქართული სალოცავის სახელწოდება „აინინაც" ადასტურებს. იგი ქართული კერპის სახელში – „აინინაში" შემოინახა. დროთა განმავლობაში, ეს სიტყვა საქართველოში ქალის საკუთარ სახელადაც ჩამოყალიბდა და ქალის ეროვნულ სახელად იქცა. ასეთებია: ნინო, ნანა, ნანული (ჯანაშია 1959: 193). XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი წარმართულ ქალღვთაებებს – აინინასა და დანინას მოიხსენიებს, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ქართლის ცხოვრების" თავდაპირველ ტექსტში წარმოდგენილი იყო არა „დანინას", არამედ „ნინას" უფრო ზუსტად, „ნანას" ფორმით (ჯავახიშვილი 1979: 142). ნანა ცნობილია, როგორც წინააზიური ღვთაება. ამასთან, ნაირ-ნაირი შესაწირავები, მათ შორის, შესაწირავი ცხოველები და ფრინველები, ქართველი ხალხის უდიდესი ღვთაების დიდი დედის „ნანას" კულტის საპატივცემულოდ გამართულ რიტუალებშიც მოწმდებოდა (ბარდაველიძე 1953: 124). ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქართველებში წინააზიურ-კავკასიური ღვთაება ნანა ბატონების დედას განასახიერებდა. ამიტომაცაა, რომ მისი სახელი ხშირად გვესმის ბატონების საგალობლებში, მაგალითად, „იავ-ნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანინაო". სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ნანა სანდომს, საამოს ნიშნავს (ორბელიანი 1949: 252), თუმცა ცალკეული ავტორი „დანანას" სახით ლექსიკოგრაფს მეორე განმარტებასაც მიაწერს (ალიბეგაშვილი 1992: 242-245). დაძინების პროცესში „იავ-ნანას" მისამღერით ღვთაება ნანას – დიდი დედას იებისა და ვარდების საუფლოში პატარების მფარველობას შესთხოვდნენ.

კლასიფიკატორული ტერმინის მნიშვნელობა უკანასკნელი ათწლეულების სამეცნიერო ლიტერატურაში სხვაგვარადაც იქნა გააზრებული რაც ლუის ჰენრი მორგანის დროინდელი პრობლების

ირგვლივ არსებული თეორიული ინტერპრეტაციებისაგან განსხვავდება. თანამედროვე შეხედულებების მიხედვით, კლასიფიკატორული კატეგორიის თითოეული სიტყვა არა მარტო რამდენიმე პირის, არამედ იმ ინდივიდების აღნიშვნასაც ემსახურება, რომლებიც მოლაპარაკესთან – სპიკერთან სხვადასხვა ნათესაურ ურთიერთობაში იმყოფებიან. ლინგვისტური სტრუქტურით კლასიფიკატორული ტერმინები შეიძლება როგორც ელემენტარულ, ისე შედგენილ და აღწერილობით კატეგორიებს განეკუთნებოდნენ (კრიუკოვი 1972: 35). თავის დროზე, ჯორჯ მერდოკი ნათესაობის ტერმინთა კლასიფიკაციაში ლინგვისტური სტრუქტურის მიხედვით ე. წ. ელემენტარულ, დერივაციულ და დასკრიპციულ –აღწერილობით სიტყვებს გამოყოფდა, ხოლო დაჯგუფების ნიშნის მიხედვით ნათესაობის ორ ტიპს განასხვავებდა: დენოტატიურსა და კლასიფიკატორულს (მერდოკი 1949: 98-100). დროთა განმავლობაში, ნათესაობის ტერმინოლოგიური აპარატის ლინგვისტურად და სოციალურად დაჯგუფების ნიშან-თვისებები დაიხვეწა და, საბოლოოდ, მორფოლოგიური სტრუქტურით ნათესაობის ტერმინები სამ კატეგორიად დაიყო: 1. ელემენტარულად, 2. შედგენილად და 3. აღწერითად, სოციალური განზომილების მიხედვით კი ტერმინები დანაწილებულია: 1. ინდივიდუალურად, 2. ჯგუფურად და 3. კლასიფიკატორულად (კრიუკოვი 1972: 35).

მორფოლოგიურად ტაოსა და კლარჯეთში ოცდაოთხი ტერმინი გამოიყოფა, რომლებიც შედგენილობით ელემენტარულია, რადგან ისინი კომპონენტებად დაუშლელ დამოუკიდებელ სიტყვებს წარმოადგენენ. ესენია: *დედე* – FP (РмР), *სიმამრი* – FW (РмСж), *ბაბა (ბაბო)* – F (Рм), *ემი (ემია)* – BF (ДмРРм), *ტაია* – BM (ДмРРж), *სიძე* – HSI (СмДжД) –HD (СмД). *კაცი* – H (См), *ყაინი* – BW (ДмРСж), *მა ზლი* – BH (ДмРСм), *ბაჯანაღი* – HSIW (СмДжРСж), *ყარდეში (ყარდაში)* – B (ДмР), *ტადა* – B (ДмР), *შვილი* – CH (Д), *ოლლე* – SO (Дм), ხოლო მდედრობითი სქესისა – თერთმეტი: *ნენე* – MP (РжР), *ანაი* – M (Рж), *ბიბი* – SF (ДжРРм), *თა ზე* – SM (ДжРРж), *ქალი (ცოლი/სოლი)* – W (Сж), *ზალი (რძალი/გელინი)* – WSO (СжД), *ბალდუზი* – SIW (ДжРСж), *მული* – SIH (ДжРСм). *შილი (ელთი)* – WBH (СжДмРСм), *ბაჯი* – SI (ДжР), *თორი (თორუნი/ბადიში)* – CHCH (ДД). ტაოსა და კლარჯეთში ჩვენ გვხვდება შედგენილი ნათესაობის ტერმინებიც. ზოგჯერ ნათესაობის ერთი და იგივე კატეგორია როგორც ელემენტარული, ისე შედგენილი ტერმინებით აღინიშნება, ე. ი. ნათესაობის ამა თუ ტიპს ორი ანდა მეტი სხვადასხვა ნათესაობის ტერმინი გამოხატავს, რაც ისტორიული განვითარების პროცესში ეთნიკური გავლენების შედეგიც უნდა იყოს. ჩვეულებრივ, შედგენილ ტერმინებს საფუძვლად უდევთ ისეთი ელემენტარული ტიპის სიტყვები, რომლებიც ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულებით არიან დეტერმინებულნი, მაგრამ ისინი თავისთავად ნათესაობის ელემენტარულ ტერმინებს არ წარმოადგენენ. ტაოსა და კლარჯეთში შედგენილი ნათესაობის ტერმინი ოთხია: MP (РжР) – დიდი ანაი *(დინენა)* და *მამამთილი* – FH (РмСм). მათგან, მაგალითად, ზოგიერთი, ელემენტარული სიტყვებით, ვთქვათ, „ნენეთი“ („ანანეით“ და „ებეითი“) და B (ДР) – „ალაბეითი“ (უფროსი ძმა) აღინიშნება. დანარჩენი სხვა სიტყვა, რომლებიც ორი ანდა მეტი ტერმინის კომბინაციას წარმოადგენს, აღწერილობითია, მაგალითად ისეთები, როგორებიცაა GF (РмР) – *აღაის აღა (მამის მამა)*, რომელიც სიტყვით – „დედეთიც“ გამოიხატება, ოლონდ ორივე სქესის მშობლის, როგორც მამის, ისე დედისა, CHBP (ДРР) – *ბიძაშვილი*. CHBF (ДДмРРм) – *ემიშვილი (ემოღლი)*, CHSIF (ДДжР Рм) – *ბიბოღლი (ბიბიაშვილი)*, CHBM (ДДмРРж) – *ტაიაშვილი*, CHSIM (ДДжРРж) – *თეი ზოღლი*, CHB (ДДмР) – *ძმისწული*, იგივე, *ძმისშვილი* (ელემენტარული ტერმინის ვარიანტში – *იეგანი*). CHSI (ДДжР) – *დისწული*, იგივე, *დისშვილი*. სულ რვა ტერმინი.

დაჯგუფების პრინციპების მიხედვით ტაოსა და კლარჯეთში ნათესაობის ამსახველი ინდივიდუალური ტერმინი რვაა: F (Рм) – *ბაბა (ბაბოჟ/აღაჟ)* და M (Рж) – *ანაჟ (ანა/ანე)*, FW (РмСж) – *სიმამრი*, MW (РжСж) – *სიდედრი*, FH (РмСм) – *მამამთილი*. MH (РжСм) – *დედამთილი*, H (См) – *კაცი* და W (Сж) – *ქალი (ცოლი)*, რომლებიც მკაცრად განსაზღვრულ პირებს აღნიშნავენ. ჯგუფურ ტერმინთა რიცხვს განეკუთვნებიან: BF (ДмРРм) – *ემი (ემია)*, BM (ДмРРж) – *ტაი*, SIF (ДжРРм) – *ბიბი*, SIM (ДжРРж) – *თეი ზე*, BW (ДмРСж) – *ყაინი (ყაენი)*, SIW (ДжРСж) – *ბალდუზი*, BH (ДмРСм) – *მა ზლი*, SIH (ДжРСм) – *მული*, WBH (СжДмРСм) – *შილი (ელთი)*, HSIW (СмДжРСж) – *ბაჯანაღი*, B (ДмР) – *ყარდეში (ყარდაში)*, B (ДР) – *ტადა (უმცროსი ძმა)*, SI (ДжР) – *ბაჯი*, CH (Д) – *შვილი*. SO (Дм) – *ჩემი ბიჭი*, D (Дж) – *ჩემი ბგანო*, CHBF (ДДмРРм) – *ემიშვილი (ემოღლი)*, CHSIF (ДДжРРм) – *ბიბიაშვილი (ბიბოღლი)*, CHBM (ДДмРРж) – *ტაიშვილი*, CHSIM (ДДжРРж) – *თეი ზოღლი*, CHB (ДДмР) – *ძმისწული/ძმისშვილი (იეგანი)*, CHSI (ДДжР) – *დისწული (დისშვილი)*, CHCH (ДД) – *თორი (თორუნი/ბადიში)*. ჯგუფური ტერმინები ოცდასამი და, როგორც წესი, ისინი მოლაპარაკესთან – ego-სთან ერთსა და იმავე ნათესაურ ურთიერთობაში მყოფ ინდივიდთა ჯგუფს აღნიშნავენ. კლასიფიკატორული ნიშნით დაყოფილი ტერმინები ცოტაა, სულ ოთხი: აბლა – WBF (СжДмРР), BSI (СмДжД), HD (СмД) – *სიძე*,

WB (СЖДм), WSO (СЖД) – ზალი *(რძალი/გელინი)*, CHBP (ДРР) – *ბიძაშვილი.*

ნათესაობის ტერმინოლოგიურ პარადიგმაზე დიფერენციულ ტერმინთა დეზიგნატებისა და დენოტატების, ცალკეული ლექსემის ცვლადების განსაზღვრას თან მოსდევს ახალი ოპერაცია, კერძოდ, ტერმინოლოგიური მოდელის სტრუქტურის დადგენა.

ტაოელთა სისხლით ნათესაობის ტერმინთა სისტემის სტრუქტურული პრინციპი

<table>
<tr><td colspan="2">C1</td><td colspan="4">C2</td></tr>
<tr><td colspan="2">A1</td><td>A2</td><td colspan="2">A1</td><td colspan="2">A2</td></tr>
<tr><td>B1</td><td colspan="2">დედე/დიდი დედე/დედე
ბაბუა (ალას აღა)</td><td>ნენე
(დიდი ანაა/დიდნენეა)</td><td colspan="4">–</td></tr>
<tr><td rowspan="2">B2</td><td colspan="2" rowspan="2">ბაბა
(ბაბო)</td><td rowspan="2">ანაა
(ნენე)</td><td>ემი</td><td>ტაი</td><td>ბიბი</td><td>თეიზე</td></tr>
<tr><td colspan="2">ბიძა</td><td colspan="2"></td></tr>
<tr><td rowspan="4">B3</td><td colspan="2">ეგო</td><td></td><td colspan="4">ემიშვილი (ემიაშვილი)</td></tr>
<tr><td colspan="2"></td><td colspan="4">ტაიშვილი (ტაიაშვილი)</td><td></td></tr>
<tr><td colspan="2"></td><td colspan="4">ბიბიშვილი (ბიბიაშვილი)</td><td></td></tr>
<tr><td colspan="2"></td><td colspan="4">ბიძაშვილი</td><td></td></tr>
<tr><td rowspan="9">B4</td><td colspan="2">შვილი</td><td colspan="4">იეგანი</td></tr>
<tr><td colspan="2" rowspan="8">ოღლი
(ჩემი ბიჭი)</td><td rowspan="8">ჩემი ბგანო</td><td colspan="4">დისნული (დისშვილი)</td></tr>
<tr><td colspan="4">ძმისნული (ძმისშვილი)</td></tr>
<tr><td colspan="2">ბიბოღლი</td><td colspan="2" rowspan="3">–</td></tr>
<tr><td colspan="2">ემოღლი</td></tr>
<tr><td colspan="2">თეიზოღლი</td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>B5</td><td colspan="2">თორი
(თორუნი/ბადიში)</td><td colspan="4">–</td></tr>
</table>

აქედან მკაფიოდ ჩანს, რომ ტაოელებისა და კლარჯების ნათესაობის ტერმინთა სტრუქტურა მსგავსია და საერთო პრინციპებს ეფუძნება. ჩვეულებრივ, ნათესაობის ტერმინოლოგია ტრადიციული სოციალური ორგანიზაციის ბუნებასა და ქრონოლოგიური განვითარების დონესაც ასახავს. სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ იგი საოჯახო-საქორწინო ურთიერთობის ძველი მოდელების ამსახველია, რადგან კონსერვატული ბუნებით გამოირჩევა, რის გამოც საზოგადოებრივი ცხოვრების არქაული ელემენტების რეკონსტრუქციის წყაროდაა აღიარებული. ამა თუ იმ ფორმის ნათესაობის ტერმინოლოგიურ მოდელში ნათესაობის ესა თუ ის ტიპი მაშინაც აგრძელებს არსებობას, როცა მისი განმაპირობებელი სოციალური ორგანიზაცია და სოციალური ინსტიტუტები უკვე გამქრალია. ამასთან, ნათესაობის ნომენკლატურა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მგრძნობიარედ რეაგირებს და მოდელი თანამედროვე ტიპის სოციალური გარემოს შესაბამისად ახალი ლექსიკური ერთეულებით ივსება, განსაკუთრებით, მაშინ, როცა მას ეთნიკურად მრავალფეროვან გარემოში, უფრო ზუსტად, უცხო ეთნიკურ გარემოცვაში უწევს არსებობა. ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში ტაოელთა და კლარჯთა ნათესაობის სისტემაა, თუმცა ჭოროხის აუზის ქართულ მოსახლეობაში მსგავსი ვითარება სხვა კუთხეების მაგალითზეც შეინიშნება (მგელაძე 1988); (მგელაძე 1990: 45-66); (მგელაძე 2004); (მგელაძე 2010); (მგელაძე 2014); (მგელაძე 2015); (მგელაძე 2016ა). აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა აქვს ტერმინოლოგიური პარადიგმების მოდელირებასა და ტიპოლოგიას. ტრადიციული

სოციალური ორგანიზაციების ლოკალური, ეთნიკური და ზოგადი მახასიათებლის გამოვლენას განსაკუთრებით ხელს უწყობს ნათესაობის ტერმინთა ტიპოლოგიური თავისებურებების დადგენა. ამიტომ, ტაოელთა და კლარჯთა ტრადიციულ საზოგადოებრივ ფორმებსა და ნათესაობის ტერმინთა ტიპებს შორის ურთიერთკავშირის სოციალური არსისა თუ მათი სოციალური განპირობებულობის სრულყოფილი არსის გამოსავლენად საჭიროა ტაოელთა სისხლით ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინთა ტიპები სოციოკულტურულ ანთროპოლოგიასა და ზოგად ეთნოლოგიაში ცნობილ ნათესაობის მოდელებს შევუდაროთ, რომელთა პირობითი სახელწოდებებია: I ტიპი – ჰავაური, II ტიპი – ირიკეზული, III ტიპი – არაბული და IV ტიპი – ინგლისური (კრიუკოვი 1972: 39). ამგვარი ტიპოლოგიის ასაგებად აუცილებელი პირობაა მამისა და დედის, პირდაპირი და ირიბი ხაზის ნათესავთა შერწყმისა და გამიჯვნის პრინციპების გარკვევა. ტიპოლოგიის შესაქმნელად გამოყენებულია +1, ნულოვანი და -1 თაობის ტერმინოლოგია, რადგან ისინი საზოგადოებრივი განვითარებისა და სოციალური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს ყველაზე უკეთესად ასახავენ. როგორც ცნობილია, ამ თაობათა ესოდენ დიდ როლს ის სოციალური ფაქტორები განაპირობებს, რომლებიც მათთვის დამახასიათებელი ნათესაობის ტერმინების სტრუქტურული წყობიდან გამომდინარეობს. +1, ნულოვანი და -1 თაობათა ნათესაობის ტერმინოლოგია მეტი დინამიურობით ხასიათდება და ყველაზე აქტიურად აფიქსირებს იმ სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებიც ოჯახისა და საქორწინო ურთიერთობების სფეროში ხდება (ჯავახაძე 1985: 49). +1, ნულოვან და -1 თაობაში ტაოელთა და კლარჯთა ტიპოლოგიური სურათი შემდეგნაირად გამოიყურება:

ტაოელთა და კლარჯთა ნათესაობის ტერმინოლოგიის ტიპოლოგია პირველ ალმავალ თაობაში

ტერმინთა ტიპი	F (Pa)	BF (ДмPPa)	BM (ДмPPж)	ტერმინთა რაოდენობა
I ტიპი ჰავაური	mäkua käna			1
II ტიპი ირიკეზული	hanit		Hakno'	2
III ტიპი არაბული	abi	amni	khali	3
IV ტიპი ინგლისური	father	unkle		4
III ტიპი ტაოური და კლარჯული	ბაბა (ბაბო)	ემი (ემია)	ტაი (ტაია)	3

ტაოელთა ნათესაობის ტერმინოლოგიის ტიპოლოგია ego-ს თაობაში

ნათესაობის ტიპი	B (ДмP)	CHSIM (ДДжPPж)	CHBF (ДДмPPa)	CHBM (ДДмPPж)	CHSIF (ДДжPPa)	ტერმინთა რაოდენობა
I ტიპი ჰავაური	Käi-kuu-anä					1
II ტიპი ირიკეზული	Hahtsi'			Akua: 'se:'		2
III ტიპი არაბული	akhi	Ibn kialeti	Ibn emmi	Ibn khali	Ibn amuneti	5
IV ტიპი ინგლისური	brother	cousin				2
III ტიპი ტაოური და კლარჯული	ძმა (ყარდაში)	თეიზეშვილი	ემიშვილი	ტაიშვილი	ბიბიშვილი	5

+1 და ego-ს თაობებში ტაოელთა და კლარჯთა ნათესაობის ტერმინთა ტიპოლოგიის საფუძველზე დადგინდა, რომ +1 და ego-ს თაობებში იგი III ტიპისაა. ავტორთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ნათესაობის III ტიპი კლანურ – პატრონიმიულ ორგანიზაციაში იყო წარმოქმნილი და დიდი საოჯახო ურთიერთობების ტრადიციებს ეფუძნებოდა, ხოლო IV ტიპი კლანური სოციალური ორგანიზაციის გვიანი ვარიანტის რღვევის პერიოდსა და ახალი მოდერნიზებული მონოგამიური ოჯახის, როგორც საზოგადოების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური უჯრედის, ფორმირების ეტაპს ემთხვევა (კრიუკოვი 1972: 281-283). +1 და ego-ს თაობებში ტაოური და კლარჯული ნათესაობის სისტემაც III ტიპისაა

და, შესაბამისად, ნათესაობის ტერმინთა სტრუქტურა დიდი სახლეულისა და მისგან წარმოქმნილი ლოკალიზებული სოციალური გაერთიანებების საზოგადოებრივ-ეკონომიკური თავისებურებებიდან გამომდინარეობს. თუ გავითვალისწინებთ ტაოურ და კლარჯულ ეთნოგრაფიულ გარემოს, დასახლებაში ლინიჯთა – „სულალეთა“ განლაგების პრინციპებსა და ყოფითი სტერეოტიპების სპეციფიკას, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ტაოსა და კლარჯეთში ნათესაობის III ტიპის დადასტურება სავსებით შეესაბამებოდა რეგიონის სოციალური განვითარების დონეს. ტაოსა და კლარჯეთში ამა თუ იმ დასახლების ქალაქებთან სიახლოვემ, ურბანულმა პროცესებმა, სავაჭრო-ფულადი ურთიერთობების განვითარებამ და რიგმა სხვა ეკონომიკურმა ფაქტორმა, ტრადიციული სოციალური ინსტიტუტების რღვევას შეუნყო ხელი, მაშინ როცა შედარებით მაღალმთიანმა კუთხეებმა, რომლებიც ცენტრალურ საკომუნიკაციო გზებს მოწყვეტილი და, შესაბამისად, ნატურალურ თვითკმარ მეურნეობაში იყო ჩაკეტილი, კლანური ორგანიზაცია შეინარჩუნა, საიდანაც ნათესაობის III ტიპი გამომდინარეობდა. ასეთ კუთხეებში მეურნეობრივი სპეციფიკა და მასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაცია, რაც მუშახელის საკმაოდ დიდი რიცხვის გაერთიანებასა და ერთობლივ შრომას მოითხოვდა, ადგილობრივ მკვიდრთ აიძულებდა დიდ სახლეულებში ტრადიციული საოჯახო ქონებრივი და სამართლებრივი ნორმები დაეცვათ. ასე განვითარდა სოციალური მოვლენები ჭოროხის აუზის სხვა რეგიონთა ქართულ მოსახლეობაშიც (მგელაძე 1988); (მგელაძე 1990: 63-64); (მგელაძე 2004); (მგელაძე 2010); (მგელაძე 2014); (მგელაძე 2015); (მგელაძე 2016ა).

ამრიგად, საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე უნივერსალური ხასიათის მყარი სოციალური ერთობები ჩამოყალიბდა, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია დიდი სახლეულისა (საოჯახო თემი, დიდი ოჯახი) და პატრონიმიული ორგანიზაციის (ლინიჯთა სისტემა – კლანი) სახელებით. მათ ტაოში ადგილობრივი ტრადიციული ტერმინები შეესატყვისებოდათ, ამასთან, ამგვარმა საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა სოციალურ სტრუქტურაში საფუძველი ჩაუყარეს აღწერილობითი ხასიათის ნათესაურ ტერმინოლოგიას. სოციალური ორგანიზაციის ამ ფორმებმა ego-სთან ნათესაურ ურთიერთობაში მყოფი ცალკეული ინდივიდის საერთო სახელწოდების ქვეშ დაჯგუფებას ნიადაგი გამოაცალეს და შესაბამისი სახელწოდებებით ისინი ცალკეულ კატეგორიად გამიჯნეს. პარადიგმულ კონსტრუქციაში სტრუქტურულ ერთეულთა აღმნიშვნელი ტერმინებისაგან ნაწარმოები ნომენკლატურით ნათესაობის გარკვეული კატეგორიების გამოხატვას, კომპოზიტებად ჩამოყალიბებასა და ფუნქციურად ახალი ურთიერთობების წარმოქმნას სწორედ დიდი სახლეული და პატრონიმიული ორგანიზაცია განაპირობებდა. პატრონიმიული ორგანიზაცია, რომელიც ტაოში „სულალედ“ იწოდება, სოციალურად სრულად ითავსებს ნათესაობის აღწერილობით ლექსიკას. სულალეს წევრთა უფლება-მოვალეობები ურთიერთობათა სხვადასხვა სფეროში. კერძოდ, უფლებები და ვალდებულებები სოციალურ, სამართლებრივ და ქონებრივ სფეროში, ნათესაური კატეგორიების მიხედვით იყო დიფერენცირებული. სიშორე-სიახლოვის მიხედვით სულალეს წევრთა ნათესაურ კატეგორიებად დაყოფამ და უფლება-მოვალეობების შესატყვისი დიფერენცირებული ფორმების ჩამოყალიბებამ, აუცილებელი გახადა ნათესაობის ნომენკლატურის ასეთივე დიფერენცირებული ფორმების წარმოშობა. ამიტომაა, რომ ნათესაობის ტერმინები სულალეს წევრთა შორის არსებულ უფლებრივ ნორმებს ირეკლავს. ნათესაობის ტერმინებსა და ქცევის ნორმებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი არსებობს. Ego-სთან მიმართებაში ნათესავები სხვადასხვაგვარად იქცევიან, ნაწილი განსხვავებულად, ნაწილი კი – მსგავსად, ე. ი. ერთი ტერმინის ქვეშ გაერთიანებულ ინდივიდთა ჯგუფი მსგავსი უფლება-მოვალეობების მატარებელია, ხოლო იმ პირებს, რომლებიც განსხვავებული ნათესაობის ტერმინებით აღინიშნებიან, ნათესაობაში სხვადასხვა უფლებრივი პოზიცია უკავიათ. თითოეული alter-ი ბიოლოგიურადაა დაკავშირებული ego-სთან, მაგრამ მასთან მიმართებაში ერთი ჯგუფი იდენტური, ხოლო მეორე ჯგუფი განსხვავებული სოციალური სტატუსის მატარებელია. საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების პარალელურად, ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ტაოში პატრიარქალური ცხოვრების წესი თანდათანობით ცვლილებებს დაექვემდებარა, შესაბამისად, ცვლილებები დაიწყო ნათესაობის ტერმინოლოგიურმა ტიპებმაც.

შენიშვნები

[1] კოდების კონკრეტული მნიშვნელობა: იმისათვის, რომ ნათესაური ურთიერთობები ეკონომიური კუთხით დაახასიათონ, ანთროპოლოგები შემოკლებებს ახდენენ კოდების კომბინაციით მნიშვნელობით სიტყვას ვღებულობთ, ვთქვათ, Fa (F) = Father, Mo (M) = Mather, Si (Z) = Sister, Br (B) = Brother, So (S) = Son, Da

(D) = Daughter, Sb = Sibling, Ne = Nephew, Ni = Niece, Pa = Parent, Ch = Child, Hu (H) = Husband, Wi (W) = Wife, Sp = Spouse, La = In-Law, Gf = Grandfather, Cm = Grandmother, Gp = Grandparent (სეიმურ-სმიტი 1986: 1). მაგალითად, ჩვენ ნაშრომში შემდეგი სახის ინგლისურენოვანი აბრევიატურის, სიტყვების პირობით შემოკლებას ვიყენებთ: GF – Grandfather (პაპა/ბაბუა), GM – Grandmother (დიდედა/ბებია), GP – Grandparent (პაპისა და დიდედის მშობლები – ნინაპრები), P – Parent (მშობელი); F – Father (მამა), M – Mother (დედა), SI – Sister (და), B – Brother (ძმა), SB – Sibling (სიბლინგები), CH – Child (შვილი), SO – Son (ეაჟი), D – Daughter (ქალიშვილი), NE – Nephew (ძმისშვილი/დისშვილი – ბიჭი), NI – Niece (ძმისშვილი/დისშვილი– გოგო), H – Husband (ქმარი), W – Wife (ცოლი), SP – Spouse (მეუღლეები, ცოლ-ქმარი), LA – In-Law (მოყვრები). მამის დის ქალიშვილი – FSICH. დღესდღეობით ეთნოლოგთა გარკვეულ წრეებში პოპულარულია იური ლევინის კოდური სისტემის ბაზაზე შექმნილი ფორმალური მეთოდიც (ლევინი 1970: 18-30). რუსულენოვანი აბრევიატურა, სიტყვების კოდებით პირობითი შემოკლება, რომელიც მარჯვნიდან მარცხნივ იკითხება, შემდეგი სახისაა: Р – მშობელი, Д – შვილი, С – ცოლის ანდა ქმრის მხარე. აქედან შეიძლება მივიღოთ: РмР – მამა, РжР – დედა, РмСж – სიმამრი, РжСж – სიდედრი. იური ლევინს დამატებით შემოტანილი ჰქონდა სქესის გამომხატველი ინდექსი М – მამრობითი სქესი, Ж – მდედრობითი სქესი, ასევე, სიმბოლოებთან შესატყვისობაში უფროს-უმცროსობის გამომხატველი ნიშანი (-), რომელიც სიმბოლოთა ზემოთ ანდა ქვემოთ ისმება, ვთქვათ, ასე: РР – უფროსი ძმა ანდა РР – უმცროსი ძმა (ლევინი 1970: 18-30).

[2] მაგალითისათვის ავიღოთ ქართული ტერმინი *მამიდა*. ამ სიტყვაში *მამა* ego-სა და alter-ს შორის მაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს.

დამოწმებანი

აბაევი 1958: В. И. Абаев. *Историко-этимологический словарь осетинского языка*, т. II, Ленинград.

აბაევი 1973: В. И. Абаев. *Историко-этимологический словарь осетинского языка*, т. III, Ленинград.

ალიბეგაშვილი 1992: გ. ალიბეგაშვილი. *ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები*, V-VIII კლასებისათვის. დამხმარე სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მოსწავლეებისთვის, თბილისი.

არსენიევი, პოპოვი 1978: В. Р. Арсеньев, В. А. Попов. К типологической характеристике современной системы родства Бамбара, *Полевые исследования института этнографии*, Москва.

ბარდაველიძე 1953: ვ. ბარდაველიძე. *ქართული (სვანური) სანესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები*, თბილისი.

ბორლანდი 1979: C. H. Borland. *Kinship Term Grammar. Abeview*, *Anthropos*, №3-4, vol. 74.

გირენკო 1974: Н. М. Гиренко. Система терминов родства и система социальных категорий, *СЭ*, №6, Москва.

გონიაშვილი 1940: თ. გონიაშვილი. *ლექსიკური შეხვედრები ჩაჩნურისა და ქართველურ ენებთან*, თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.

გუდენაფი 1956: Ward H. G. Goodenough. *The Componential Analysis and the study of Meaning*, *Language*, Vol. 32, №1.

გუდენაფი 1964: Ward H. G. Goodenough. *The Componential Analysis of Könkämä Lapp Kinship Terminology*, *Explorations in Cultural Anthropology*, New York.

გუდენაფი 1971ა: Ward H. G. Goodenough. *A new method of Analyzing Kinship Systems: componential Analysis*, *Reading in Kinship and Social structure*, Berkeley.

გუდენაფი 1971ბ: Ward H. G. Goodenough. *The Nature of Formal analysis*, *Reading in Kinship and Social structure*, Berkeley.

ზელინსკი 1899: С. П. Зелинский. Народно-юридеский обычай армян Закавказского края. *Известия Кавказского отдела императорского русского Географического общества*, т. 12, вып. 3, Санкт-Петербург.

იაკოვლევი 1930: Н. Яковлев. Термин "мать" – "отец", "сестра" – "брат", "дочь" – "сын" в северо-кавказских яфетических т некоторых других языках, *УЗИЭНКНВ*, Санкт-Петербург.

კრიუკოვი 1972: М. В. Крюков. *Система родства китайцев (эволюция и закономерности)*, Москва.

კრიუკოვი 1983: М. В. Крюков. О принципах типологического исследования явлений культуры, *Сэ*, №5, Москва.

კრონენფელდი 1980: D. A. Kronenfeld. *Formal Analesis of Fanti Kinship Terminology (Chana)*, *Anthropos*, vol. 75.

კუზნეცოვი 1971: А. М. Кузнецов. *О применения метода компонентного анализа в лексике. Синхронно-сопоставительный анализ языков разных систем*, Москва.

ლაუნსბერი 1956: Floyd G. Lounsbury. *A Sematic Analysis of the Pavnee Kinship Usage*, *Language*, vol. 32.

ლაუნსბერი 1962: Floyd G. Lounsbury. *The structural Analysis of Kinship Semantics*, *Preprints of Papers for the 9th Interational Congress of Linguists.*

ლაუნსბერი 1965: Floyd G. Lounsbury. *Another View of the Trobriand Kinship Categories*, *American Anthropologist*, vol. 67, №5.

ლაუნსბერი 1968: Floyd G. Lounsbury. *The Structural Analysis of Kinship Semantics*, *Kinship and social Organization (Edited By Paul Bohannan and John Middleton)*, New York.

ლევინი 1970: Ю. И. Левин. Об описании системы терминов родства, *СЭ*, №4, Москва.

ლომთათიძე 1976: ქ. ლომთათიძე. *აფხაზური და აბაზური ენების ისტორიულ-შედარებითი ანალიზი*, თბილისი.
მარანდა 1964: P. Maranda. *Kinship Semantics, Anthropos*, Vol. 59, №3-4.
მგელაძე 1988: Н. Мгеладзе. *Система кровного родства в Аджарии (историко-этнографическое исследование)*, Батуми.
მგელაძე 1990: ნ. მგელაძე. სისხლით ნათესაობის ტერმინთა სისტემის სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზი აჭარაში, *აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა*, VII, თბილისი.
მგელაძე 2004: ნ. მგელაძე. *აჭარული ნოგრო და გვარი*, ბათუმი.
მგელაძე 2010: Н. В. Мгеладзе. Колхидская (мегрельская и лазская) модель терминологии родства в Причерноморье Грузии, „Innovativ Aspects of the Black Sea Countries Culture, History, Anthropology, Literature and Linguistics" (*2nd International Conference*), Batumi.
მგელაძე 2014: ნ. მგელაძე. *მეგრულ-ლაზური ნათესაობის ტერმინების შედარებითი ანალიზი, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სამეცნიერო კონფერენციის მასალები*, გორი.
მგელაძე 2015: ნ. მგელაძე. *კოლხური (მეგრულ-ლაზური) ნათესაობის ტერმინთა შედარებითი ანალიზისათვის, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია*, გორი.
მგელაძე 2016ა: ნ. მგელაძე. *პონტოელ ბერძენთა გვარი და ნათესაობის სისტემა საქართველოს შავიზღვისპირეთში, XXXVI დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები*, თბილისი.
მგელაძე 2016ბ: ნ. მგელაძე. *ფორმალური მეთოდები და ნათესაობის ტერმინოლოგია – სემიოტიკურ ნიშანთა სისტემა ანთროპოლოგიაში, ქაოსისა და კოსმოსის სემიოტიკა, სემიოტიკის VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია*, ბათუმი.
მერდოკი 1949: G. P. Murdock. *Social Structure*, New York.
ორბელიანი 1949: სულხან-საბა ორბელიანი. *სიტყვის კონა*, თბილისი.
პოპოვი 1982: В. А. Попов. Системы терминов родства аканов как энтносоциологический источник, *Африканский этнографический сборник*, Ленинград. Москва.
ჟღენტი 1936: ს. ჟღენტი. *ქართული ენის გურული კილო (გამოკვლევები, ტექსტები, ლექსიკონი)*, თბილისი.
ჟღენტი 1953: ს. ჟღენტი. *ჭანურ-მეგრული ენის ფონეტიკა*, თბილისი.
სეიმურ-სმიტი 1986: C. Seymour-Smith. *Macmillan Dictionary of Anthro*pology, London.
სოსელია 1983: ე. სოსელია. ზოგიერთი ნათესაური დამოკიდებულების რეკონსტრუქციისათვის საერთო ქართველურ დონეზე. *ჯეჯანგარდი*, III, თბილისი.
ტოკარევი 1952: С. А. Токарев. К вопросу о методике изучения терминологии родства, *Вестник МГУ, историко-филологическая серия*. №4. Москва.
ტრეიტმანი 1987: T. R. Trautmann. *lewis henri Morgan and the Invention of Kinship*, London.
ფაბლანი 1965: J. Fablan. *Kung Bushman Kinship, Anthropos*, vol 60, №1-6.
ფოჩხუა 1974: ბ. ფოჩხუა. *ქართული ლექსიკოლოგია*, თბილისი.
ჩიქობავა 1938: ა. ჩიქობავა. *ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი*, თბილისი.
ჩლენოვი 1973: М. А. Членов. *Формальные методы изучения систем родства в современной американской этнографии*, Этнологические исследования за рубежом, Москва.
ჯავახაძე 1968: Н. В. Джавахадзе. Термины родства у горных ингушей, *Кавказский этнографический сборник*, т. 2, Тбилиси.
ჯავახაძე 1979: Н. В. Джавахадзе. Типологическая характеристика осетинской системы родства, *Кавказский этнографический сборник*, т. 5, вып. 2, Тбилиси.
ჯავახაძე 1985: ნ. ჯავახაძე. *ხევსურული შინში და მისი ადგილი ნათესაობის სისტემის თანამედროვე ტიპოლოგიაში*, თბილისი.
ჯავახიშვილი 1937: ი. ჯავახიშვილი. *ქართული და კაკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა*, თბილისი.
ჯავახიშვილი 1979: ი. ჯავახიშვილი. *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. I, თბილისი.
ჯანაშვილი 1906: М. Г. Джанашвили. *Историко-археодогический очерк Гурии, Чорахского бассйна и Чанети (Лазистана), Батум и его окрестность*, Батуми.
ჯანაშია 1949: ს. ჯანაშია. *შრომები*, I, თბილისი.
ჯანაშია 1959: ს. ჯანაშია. *შრომები*, III, თბილისი.
ჯანაშია 1973: ს. ჯანაშია. *შრომები*, VI, თბილისი.

TERMINOLOGICAL MODEL OF KINSHIP OF THE GEORGIAN POPULATION OF TAO-KLARJETI (ETHNOCULTURAL AND SOCIOLINGUISTIC PROBLEMS)

Nugzar Mgeladze

Tao and Klarjeti are historical parts of Georgia. Though today they are part of the Republic of Turkey, they still mostly are populated by Georgians. The Georgian population of these regions was separated from from the other Georgian regions for centuries. Therefore, their ethnographic panorama has preserved many such ancient and traditional elements of culture, which have already disappeared in Georgia today. The same can be said about traditional social relations and lifestyle. In a diverse ethnic setting we have focused on the system of terms of kinship which has undergone terminological changes over time, but the basic paradigm and typological model of kinship terms have remained unchanged.

The terminological model of kinship in Tao and Klarjeti is studied on the basis of the formal method. As it is known, starting from the 1960s the formal – transformational, *scalographic* and componental methods started to develop. It is a semiotic system of signs – metalanguage on the basis of which linguistically different types of people in the world managed to read the intellectual products in the same way. The method was particularly focused on building of the paradigm models of kinship terms of various people, which prepared the basis for general typology.

In Tao and Klarjeti the large houses and the traditional system of *lineage* laid the foundation for descriptive terminology. The big housing and the lineage-type social organization, called "sulale" by the Georgian population of Tao-Klarjeti, paved the ego-related way for the grouping of a separate individuals. They were divided into separate categories with the corresponding names. Rights and obligations in the social, legal and property spheres were differentiated according to the kinship levels. The division of *sulale*'s members into kinship categories according to distance and the formation of differentiated forms corresponding to their rights and responsibilities. That is why the terms of kinship reflects the legal norms existing among the members of the *sule*. The fact is that there is a close relationship between the terms of kinship and norms of behavior. In relation to the *ego*, some relatives behave differently and some behave similarly, e.g. a group of individuals united under one term had similar rights and responsibilities, while those who were referred by different terms had different legal status in a relationship. Each *alter* is biologically related to the *ego*, but in relation to it one group has identical and the other group carries different social status.

In parallel with the development of public relations, in the new socio-economic conditions, the patriarchal way of life in Tao was gradually subject to change, and the terminological types of kinship began to change as well.

შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა საქართველოში (XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებიდან 1991 წლამდე)

მერაბ კალანდაძე

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და ჩვენ მიერ ადრე დაწყებული სამუშაოს ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. ჩვენ ორ მონოგრაფიაში: „დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში“ (კალანდაძე 1999) და „ქართული მედიევისტიკის სათაეებთან“ (კალანდაძე 2009) შევეხეთ ქართული მედიევისტიკის პირველ ნაბიჯებს. ახლა საუბარი გვექნება შემდგომ ხანაზე: 50-იანი წლების შუა ხანებიდან 1991 წლამდე, ი. სტალინის გარდაცვალებიდან საბჭოთა კავშირის დაშლამდე. ეს, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი საინტერესო მონაკვეთად – საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის მესამე ქვეპერიოდად შეიძლება მივიჩნიოთ. ჩვენ არაერთი საკითხი სხვაგვარად გავაშუქეთ, ახლებურად დავსვით. ამ სიახლეთა შემოტანა მიზნად ისახავდა ძველი მარქსისტული სტერეოტიპების გადასინჯვას, რომელმაც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, ფართოდ მოიკიდა ფეხი ქართული საზოგადოების ცნობიერებაში.

საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის პრობლემებით დაინტერესება იწყება არა საბჭოთა პერიოდის ქართულ მედიევისტიკაში, როგორც ამას გვიმტკიცებდნენ დიდი ხნის განმავლობაში, არამედ გაცილებით უფრო ადრე, ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 1918-1921 წლებში. ამ ხანებში გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის პირველი ეროვნული სასკოლო სახელმძღვანელოები, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაციაა. ეს სახელმძღვანელოებია: ვ. დონდუა, „საშუალო საუკუნეთა ისტორია“ (1920), ი. გეელესიანი „საშუალო საუკუნეების ისტორია“ (1920), ა. წერეთელი „მსოფლიო ისტორია. ნაწილი 2, საშუალო საუკუნეები “ (1920), ა. ვულფიუსი „საშუალო ისტორიის სახელმძღვანელო“ (1919). რაოდენობრივად ეს, ცხადია, ძალიან ცოტაა, მაგრამ ხარისხობრივად, თვისებრივად, ნამდვილად ასე არ გახლავთ. დროის იმ მცირე მონაკვეთში, რომელიც მათ ამ საქმისათვის ჰქონდათ გამოყოფილი, ურიგო შედეგი არ უნდა ჩანდეს.

ჩვენ შევეცადეთ გადაგვეაზრებინა საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის არსებული სურათი, რომელიც უმთავრესად ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმის ძალისხმევით, გამრუდებულ იქნა. ფაქტობრივად, ეს იყო საკითხის პერიოდიზაცია. საბჭოთა მიდგომა იყო ძალზე პოლიტიზებული და იდეოლოგიზებული და არანაირი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნდა, კიდევ უფრო მეტი: ის იყო ანტიეროვნული და არაპატრიოტული. მის მთავარ თეზას წარმოადგენდა ამ სფეროში წინამორბედთა ნვლილის სრული უგულებელყოფა, იგნორირება. გვიმტკიცებდნენ, რომ ამ დარგში საქართველოს გასაბჭოებამდე პოზიტიური არაფერი გაკეთებულა. ეს დარგი უწარსულოდ გამოიყურებოდა. ეს იყო კიდევ ერთი საბჭოთა მითი. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და ამ საკითხის განხილვა ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაგვებრუნებინა.

საბჭოთა პერიოდის ქართულ მედიევისტიკას საკმაოდ კარგად მომზადებული ნიადაგი დახვდა. მაგრამ უმთავრესად, პოლიტიკური კატაკლიზმების გამო, იმ დროს მოლვაწე მეცნიერებმა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლეს. საქართველოს ისტორიის „პატარა ოქროს ხანა“ ძალზე ხანმოკლე აღმოჩნდა. საქმე გვაქვს საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომასთან, რომელიც, უმთავრესად, ორიენტირებულია თავისუფალ აზროვნებაზე, ისტორიული მოვლენებისადმი მრავალფეროვან მიდგომაზე, პლურალიზმზე, პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზე, ამიტომ ამ მონაკვეთის შეუფასებლობა, ისე როგორც არც გადაჭარბებული შეფასება არ არის მიზანშეწონილი. მიუხედავად ყოველივე ამისა უნდა ითქვას, რომ ამ მონაკვეთმა ქართული მედიევისტიკის ისტორიაში მაინც მოასწრო თავისი კვალის დატოვება და ამ პერიოდის ამოღება, ამ დარგის ისტორიიდან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბჭოთა ხანაში, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ქართული მედიევისტიკის განვითარება მეცნიერული გზით მიდიოდა და, უმთავრესად, იმ ნოვაციებზე იყო ორიენტირებული, რომელმაც თავი იჩინა მეოცე საუკუნის დასაწყისის ევროპული მედიევისტიკაში. და თუ არა პოლიტიკური კატაკლიზმები, საქართველოს გასაბჭოება, ეს გზა გაგრძელდებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

მისმა განვითარებამ სულ სხვა ხასიათი შეიძინა, რომელიც წინგადადგმულ ნაბიჯად, თავდაპირველი გზის გაგრძელებად, ძნელია მივიჩნიოთ (კალანდაძე 2017ა); (კალანდაძე 1999); (კალანდაძე 2009); (კალანდაძე 2014); (კალანდაძე 2015ა).

საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის აპოლოგეტური შეფასება, რომელიც დომინანტი იყო საბჭოთა წლებში, დღეს ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიოგრაფიის განვლილი ეტაპია. მაგრამ ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ: ვერც საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის უალრესად ნეგატიური შეფასება შეგვიქმნის აღნიშნულ თემაზე სრულყოფილ წარმოდგენას. ეს უკვე სულ სხვა უკიდურესობაა. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს. სასურველი იქნებოდა მოვძებნოთ ეს შუალედური გზა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვაჩვენოთ როგორც მიღწეული, ისე ხარვეზი. და შეძლებისდაგვარად ვცადოთ მათი გამომწვევი მიზეზების ახსნა. აი, ეს გვესახება საკითხისადმი მეცნიერულ მიდგომად.

წინამდებარე ნაშრომი ამ საშუალედო ხაზის მოძიების მოკრძალებული მცდელობაა.

მსჯელობის დაწყება მართებულად ჩანს პროფესორ გურამ კუტალიას საინტერესო ნაშრომით „თსუ შუა საუკუნეების კათედრის ისტორია“ (კუტალია 2004ა), რომელიც ამ პრობლემის შესწავლის გზაზე წინგადადგმულ ნაბიჯად გვევლინება. თუმცა უნდა ითქვას, რომ მთელ რიგ პრინციპულ საკითხებში ჩვენს შორის სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. აქ, პირველ ყოვლისა, ვგულისხმობთ იმას, რომ საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლამ საინტერესო ევოლუცია განიცადა და სულაც არ ატარებდა ისეთ ერთგვაროვან ხასიათს, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

თავდაპირველად, მეოცე საუკუნის ოციან წლებში, როგორც ითქვა, ქართული მედიევისტიკას სწორი ვექტორი ჰქონდა დასახული და სწორი მეცნიერული კურსით მიდიოდა. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს პროფესორ გ. ნათაძის პირველი შრომები. „ევროპის ფეოდალიზმის ისტორიიდან. ბენეფიციუმის წარმოშობა და იმუნიტეტის საკითხი“ (ნათაძე 1925) და „დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია“ (ნათაძე 1926). აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. მასში საბჭოთა კავშირში შემორჩენილი თავისუფალი აზროვნების უკანასკნელი სხივი მოჩანს. ეს საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის განვითარების პირველ ქვეპერიოდად მიგვაჩნია.

მეოცე საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებიდან მისმა შემოქმედებამ მკვეთრი ცვლილება განიცადა. ის ცდილობს ეკონომიკური მატერიალიზმიდან მარქსიზმისკენ ევოლუციას. ეს საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის მეორე ქვეპერიოდად მიგვაჩნია. ეს იყო „სტალინური ხანა“.

ჩვენი აზრით, სათანადოდ უნდა ყოფილიყო ხაზგასმული ქართული მედიევისტიკის განვითარებაზე საბჭოთა, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, გავლენის უარყოფითი კვალი. რაც, უპირატესად, იმით გამოიხატება, რომ სახელმწიფო ცდილობს ძალით მოახვიოს თავს მეცნიერს მისთვის სასურველი იდეოლოგია. ქართული მედიევისტიკის განვითარების შელამაზებულად წარმოჩენა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. იყო წარმატებები და იყო პრობლემები. პირველ რიგში ვგულისხმობთ, ძლიერ პოლიტიკურ წნეხს. ამაზე თვალის დახუჭვა ქართული მედიევისტიკის განვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს.

ჩვენი აზრით, ნაშრომში დამაჯერებლად არაა ნაჩვენები ქართული მედიევისტიკის განვითარებაში პროფესორ ალექსანდრე ნამორაძის წვლილი. მას სულ რამდენიმე სტრიქონი აქვს დათმობილი, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა და აღნიშნული საკითხის იგნორირების ტოლფასად მიგვაჩნია. ის საუბრობს პროფ. ა. ნამორაძის ნაშრომზე „ადმინისტრაციული მეურვეობა და მუნიციპალური მმართველობა საფრანგეთში XVII-XVIII სს. და კოლუმბი და ამერიკის აღმოჩენა“, რომლის მიკუთვნება შუა საუკუნეების ისტორიისათვის, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, და არაფერს ამბობს მის იმ შრომებზე, რომელიც შუა საუკუნეების ისტორიას ეკუთვნის – „დასავლეთ ევროპის ისტორია. განაკვეთი I. ფეოდალური ქალაქის გენეზისი და მისი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარება და ბაზრის თემის თეორია ფეოდალური ქალაქების წარმოშობის შესახებ“. რა თქმა უნდა, ეს შეუსაბამობაა და ქართულ საზოგადოებას ა. ნამორაძის, როგორც მედიევისტის დამსახურებაზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ უქმნის. მედიევისტიკაში პროფ. ა. ნამორაძის წვლილის განხილვა პროფ. გ. კუტალიას მსჯელობის აქილევსის ქუსლად მიგვაჩნია.

***

50-იანი წლების შუა ხანები ქართული მედიევისტიკის განვითარებაში საყურადღებო პერიოდია. გარდაიცვალა ი. სტალინი. დამთავრდა ქართული მედიევისტიკის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდი – სტალინური ხანა, როდესაც ტოტალიტარულ-ბოლშევიკური რეჟიმი ძლიერების ზენიტში იყო. იწყება „დათბობის ხანა“, რომლისთვისაც ნიშანდობლივი იყო „იდეური დაბნეულობა“, რომელიც შემდგომში ჩაანაცვლა „უძრაობის პერიოდმა“. სტალინურ ხანასთან შედარებით, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლამ იკლო. ხელისუფლება უკვე აღარ ცდილობდა იყოს ყოელისშემძლე, მაგრამ ზიანის მიყენება ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეეძლო.

ჯერ იყო და ახალ ისტორიას იწყებდნენ XVIII საუკუნის მიწურულს, საფრანგეთის დიდი რევოლუციით, ხოლო სტალინის გარდაცვალების შემდეგ, XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუციით. ეს არსებითად ბევრს არაფერს ცვლიდა. ორივე შემთხვევაში ახალი ისტორიის დაწყება დაგეგმილი ჩანდა და არ შეესატყვისებოდა საერთაშორისო სტანდარტებს. საბჭოთა ისტორიოგრაფია იზოლაციაში აღმოჩნდა. ასე აღმოჩნდა ახალი ისტორიის თემატიკა შუა საუკუნეების ისტორიაში. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით იყო გამოწვეული, რომ ქართულ მედიევისტიკაში პრიორიტეტული შეიქმნა ახალი ისტორიის თემატიკის დამუშავება, ხოლო წმინდა მედიევისტიკის საკითხები შედარებით უფრო სუსტად, მკრთალად იყო გაშუქებული. დიდი ხნით უკანა პლანზე გადაინაცვლა, ჩრდილში მოექცა, პერიფერიულ თემად გეველინებოდა. ქართული მედიევისტიკის მთავარი თავისებურება, სწორედ, ამაში მდგომარეობდა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის ისტორია შუა საუკუნეების ისტორიის საბჭოთა მარქსისტულ-ლენინური პერიოდიზაციის გამოძახილია. ეს კი მის წარსულზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნიდა.

***

50-იანი წლების შუა ხანებიდან მოწინავე პოზიციებზე გამოდის ქართველ მედიევისტთა ახალი, მეორე თაობა, რომელიც ძირითადად პროფ. გრიგოლ ნათაძის და პროფესორ ალექსანდრე ნამორაძის მოწაფეები იყვნენ. თუ პირველ წლებში ძალუმად იგრძნობოდა კვალიფიცირებული კადრების დეფიციტი, შემდგომში თანდათან, პროფ. გ. ნათაძის და პროფ. ა. ნამორაძის ძალისხმევით, ეს პრობლემა დაძლეულ იქნა, რაც იმჟამინდელი ქართული მედიევისტიკის წარმატება იყო. ქართული მედიევისტიკის წინაშე მათი ერთ-ერთი მთავარი დამსახურება, ამაშიც არის

ქართველ მედიევისტთა მეორე თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო პროფ. გიორგი ტივაძე. შემთხვევითი არაა, რომ პროფ. გ. ნათაძის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის მეორე გამგე იყო და კათედრას ხელმძღვანელობდა 1936-1951 წლებში, სწორედ, პროფ. გ. ტივაძე იქნა არჩეული შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის გამგედ, რომელიც სათავეში ედგა კათედრას გარდაცვალებამდე ანუ 1969 წლამდე.

პროფ. გ. ტივაძის შრომები დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიაზე ძალიან კარგად თავსდება საბჭოთა მედიევისტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში და სავსებით შეესატყვისებოდა იმდროინდელი ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. მთავარი, ვფიქრობთ, სწორედ, ეს იყო.

მარქსისტული სტერეოტიპებისა და შტამპების გამო მისი მკაცრად განსჯა მიზანშეწონილი არ უნდა ჩანდეს, ადვილი გზით სიარული იქნებოდა და ჰიპერკრიტიკულად მიგვაჩნია. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული“. ვფიქრობთ, ეს გაცილებით უფრო ადეკვატური უნდა იყოს. საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის შეფასების დროს კრიტერიუმად, სწორედ, ეს მიდგომა მოვიმარჯვეთ. პროფ. გ. ტივაძის შემოქმედების განხილვის დროს, სწორედ, ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ. მას არჩევანი არ ჰქონდა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას იმ დროს ალტერნატივა არ გააჩნდა. გარკვეული კომპრომისის შედეგად ეს დარგი გადაურჩა განადგურებას და განაგრძო არსებობა. ამაში თავისი წვლილი პროფ. გ. ტივაძემაც შეიტანა. თუ არა ეს კომპრომისი მაშინ, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიაზე, მშობლიურ ენაზე ის მწირი ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რომელიც დღეს გვაქვს..

შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის საქმეში პროფ. გ. ტივაძის მთავარი ნაშრომია „შუა საუკუნეების ისტორიის“ სახელმძღვანელო, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა მისი წვლილი საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის საქმეში. მან ქართულ მედიევისტიკაში პირველად დაწერა შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც სავსებით აკ-

მაყოფილებდა იმჟამინდელი საბჭოთა ისტორიოგრაფიის ყველა მოთხოვნას და საბჭოთა პერიოდის ქართული მედივისტიკის მნიშვნელოვანი შენაძენიც იყო. ეს იმ პერიოდის ქართული მედივისტიკის ნარმატებაა და ამის უგულებელყოფა მართებული არ იქნება.

აღნიშნული სახელმძღვანელო მრავალი წლის შრომის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს. ეს სამუშაო პირობით ორ ეტაპად შეიძლება დაიყოს. პირველი ეტაპი მოსამზადებელ პერიოდს წარმოადგენდა, როდესაც ის ამუშავებდა შუა საუკუნეების ისტორიის ცალკეულ მონაკვეთებს და ცალკე წიგნებად აქვეყნებდა. ასე ნელ-ნელა, თანდათან, ნაბიჯ-ნაბიჯ, შეეცადა ის ამ რთული პრობლემის დაძლევას. ამ ხანგრძლივი და დაუღალავი შრომის ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელო, რომლის პირველმა ნაწილმა დღის სინათლე იხილა 1967 წელს, ხოლო მეორე ნაწილმა კი – 1970 წელს.

სახელმძღვანელოს ეფუძნებოდა ადრე გამოქვეყნებულ ნაშრომებს: „ფეოდალიზმის გენეზისი დასავლეთ ევროპაში“ (1959), „ფეოდალური ევროპა X-XI საუკუნეებში“ (1960). „დასავლეთ ევროპა განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში“ (1962), „დასავლეთ ევროპა გვიანდელი ფეოდალიზმის ხანაში“ (1964). საკითხისადმი ფორმაციული მიდგომა ფრიად ნიშანდობლივი იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის და მთელი სისავსით ჰპოვა ასახვა ხსენებულ სახელმძღვანელოში. ფორმაციული მიდგომა შუა საუკუნეების ისტორიაზე სრულყოფილ ვერ გვიყალიბებს. საინტერესოა, ამ კუთხით ცნობილი მედიევისტის ა. გურევიჩის მიმართვა ახალგაზრებისადმი

> ყმანვილებო, ის, რასაც თქვენ ისმენდით ლექციებზე და კითხულობდით შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოებში რეალურად არ არის ის შუა საუკუნეები, რომელზეც საუბრობს თანამედროვე ისტორიული მეცნიერება. ეს არის გაღარიბებული, გაუფერულებული, ადამიანისაგან დაცლილი, კასტრირებული, უდიდესი ისტორიული ეპოქა, ათასი ნლის მანძილზე (გურევიჩი 2004: 135).

გ. ტივაძის წიგნებს საფუძვლად ედო მის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნაკითხული სალექციო კურსი.

ეს სახელმძღვანელო პროფ. გ ნათაძის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებად ძნელია, მივიჩნიოთ. ეს სულ სხვა მიდგომა იყო. შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხების შეფასების დროს გ.ტივაძე მტკიცედ იდგა მარქსისტულ-ლენინურ ისტორიოგრაფიის პოზიციებზე. ბუნებრივია, პროფ. გ. ტივაძეს არ შეეძლო და ვერც მოვთხოვეთ შეექმნა ბოლშევიკური იდეოლოგიისაგან თავისუფალი სახელმძღვანელო, რასაც აპირებდა პროფ. გ. ნათაძე“ (კალანდაძე 1999: 60). მან გააკეთა ის, რისი გაკეთებაც შეეძლო. მისი დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში მდგომარეობდა.

დღევანდელი გადასახედიდან ამ სახელმძღვანელოს მკაცრად განსჯა ადვილი გზით სიარული იქნებოდა და მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ამ წიგნმა თავისი სიტყვა თქვა ქართულ მედიევისტიკაში და გარკვეულ ეტაპზე, უდავოდ, პოზიტიური როლიც შეასრულა. მაგრამ დღეს ეს სახელმძღვანელო, ბუნებრივია, მოძველებულია.

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიის, ზეწოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად, სახელმძღვანელოში შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაციის გაშუქება მიგვაჩნია. გ. ტივაძემ, ბუნებრივია, მოგვცა შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია და შიდა პერიოდიზაცია. ამ შემთხვევაში ჩვენ ბრალს ვდებთ არა კონკრეტულად რომელიმე ისტორიკოსს, ეს სწორი არ იქნებოდა, არამედ იმ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც უზღუდავს ისტორიკოსს თავისუფალ არჩევანს.

ფაქტობრივი მასალის თვალსაზრისით ამ სახელმძღვანელოში პროგრესი აშკარაა, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახელმძღვანელო ვერ აცდა საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი თეორიულ ხარვეზებს.

პროფ. გივი ჟორდანიას სახით ქართულმა მედიევისტიკამ სოლიდური შევსება მიიღო. მან, როგორც მედიევისტმა ჩინებული სკოლა გაიარა საბჭოთა მედიევისტიკის ისეთ ცნობილ მკვლევრებთან როგორებიც იყვნენ: აკადემიკოსი ევგენი კოსმინსკი, აკადემიკოსი სერგეი სკაზკინი, პროფესორი ალექსანდრე ნეუსიხინი, პროფესორ ნიკოლოზ გრაციანსკი. უკეთეს მასწავლებლებს კაცი ვერ ინატრებდა. გ.ჟორდანია 1940 წელს ბრუნდება საქართველოში და იწყებს მუშაობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შუა საუკუნეების ისტორიის კათედრაზე. სავსებით კანონზომიერია, რომ

პროფ. გ. ტივაძის გარდაცვალების შემდეგ, შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას, სწორედ, პროფ. გი. ჟორდანია ჩაუდგა სათავეში. ის იყო თსუ შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის მეოთხე გამგე. ის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას ხელმძღვანელობდა ამ სასწავლო-სამეცნიერო უჯრედს 1961 წლიდან 1991 წლამდე. მანამდე კი 1959-1969 წლებში ის წარმართავდა ახალი ისტორიის კათედრის საქმიანობას (ანთაძე, კალანდაძე 2014: 14).

პროფ. გ. ჟორდანია იყო შუა საუკუნეების ისტორიის ჩინებული ლექტორი. მან როგორც მედიევისტმა გამოიჩინა თავი სამეცნიერო პედაგოგიურ ასპარეზზე. პროფ. გ. ჟორდანიას, როგორც მკვლევრის საქმიანობა შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება. ვფიქრობთ, ეს არ იყო შემთხვევითი და, პირველ ყოვლისა, შუა საუკუნეების ისტორიის, საბჭოთა, მარქსისტული პერიოდიზაციის ლოგიკურ შედეგად მიგვაჩნია. ამიტომ, შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის, მეცნიერული კვლევის საქმეში, მისი დამსახურების გადაჭარბებით შეფასება, ალბათ, მაინც, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ შუა საუკუნეების ისტორიის საბჭოთა, მარქსისტულმა, პერიოდიზაციამ ხელი შეუშალა პროფ. გიგი ჟორდანიას როგორც მედიევისტს.

აქ, ცხადია, ვგულისხმობთ იმას, რომ პროფ. გ. ჟორდანიას ორი მთავარი ნაშრომი „რიშელიეს ეკონომიკური პოლიტიკა“ და „რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობები XVI საუკუნის მიწურულს და XVII საუკუნის პირველ ნახევარში“, რომელიც იყო მისი სადოქტორო დისერტაცია, ახალი დროის ისტორიაა და არა შუა საუკუნეების, როგორც ამას მოიაზრებდა საბჭოთა, მარქსისტული ისტორიოგრაფია.

ყურადღებას მივაპყრობთ ერთ გარემოებას, რომელიც, ჩვენი აზრით, საინტერესო შეიძლება იყოს. სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ თავის დროზე პროფ. გ. ჟორდანიას ნაშრომის „რიშელიეს ეკონომიკური პოლიტიკა“ გამოქვეყნება ვერ მოხერხდა, ხოლო 1944 წელს ფრანგმა ისტორიკოსმა, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორმა, ანრი ოზემ გამოსცა სოლიდური გამოკვლევა ამ თემაზე. ასე აღმოჩნდა ფრანგი ისტორიკოსი ამ საკითხის პირველი მკვლევარი, არა ჩვენი თანამემამულე პროფ. გ. ჟორდანია.

ახალ ისტორიას შეეხება თ.ჟორდანიას კიდევ ერთი სქელტანიანი გამოკვლევა „რომის კათოლიკური მისია და საქართველო (XVI საუკუნის ბოლო XVII საუკუნის 20-30-იანი წლებში)“, რომელიც გამოქვეყნდა 1994 წელს. წიგნი დაწერილია პროფ. ზურაბ გამეზარდაშვილთან ერთად.

ინტერესით იკითხება მისი სამეცნიერო-პოპულარული წიგნი „დაბრუნებული განძი“, რომელიც გამოქვეყნდა 1983 წელს. მასში მოთხრობილია უცხოეთში გატანილი ქართული განძის ისტორია. მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოვიდა საინტერესო გამოკვლევა ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე. აღნიშნული ნაშრომი ამ თემაზე შექმნილი ერთ-ერთი საინტერესო გამოკვლევაა. საქართველოს ახალი ისტორიის აქტუალურ საკითხებს ეხება გ.ჟორდანიას რამდენიმე საინტერესო ნაშრომი, რომელზეც ამჯერად სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ეს უკვე სცილდება ჩვენს მიზანს.

1967 წელს გ.ჟორდანიამ პროფ. შ. ხანთაძესთან ერთად გამოსცა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ მესამე ტომი.

დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის საქმეში, როგორც უკვე ვთქვით, პროფ. გ. ჟორდანიას, როგორც მკვლევარ მედიევისტის წვლილი, შედარებით მოკრძალებით გამოიყურება. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს მისი საინტერესო ნაშრომი „ვინ იყვნენ მეფენი ჰრომთა“, რომელიც დაიბეჭდა 1976 წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ (№24). აქ ის შეეცადა „ქართლის ცხოვრების“ ერთი ეპიზოდის საინტერესოდ გააზრებას. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ „გერმანელი ერის საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბაროსას (1152-1190) უცდია დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოს მეფეებთან გიორგი III (1156-1184) და თამართან (1184-1213). მას სურდა საქართველოს მეფესთან დამოყვრება. უნდოდა თავისი ვაჟისთვის ფრიდრიხ შვაბიელისათვის პირველ ქმართან განქორწინებული თამარი შეერთო. ამისთვის 1188 წელს საქართველოში ელჩებიც კი გამოუგზავნიათ. ქართველებმა თავი შეიკავეს, რომ თამარი უცხოელზე მეორედ დაქორწინებულიყო; ავტორს აქვს ამ საკითხის საინტერესო ახსნა, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია.

ფრიად აქტუალურ თემას შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაციას შეეხება გ.ჟორდანიას ნაშრომი „შენიშვნები მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციის საკითხზე“, რომელიც დაიბეჭდა „უნივერსიტეტის გაზეთში“ 1991 წლის 29 ნოემბერს. აქ მეცნიერმა სცადა შუა საუკუნეების მარქსისტული

პერიოდიზაციის გადასინჯვა. საკითხის დასმა სწორია, რაც მის, როგორც მკვლევარ-მედიევისტის დამსახურებას წარმოადგენს. მას შუა საუკუნეების ისტორიას და ახალ დროს შორის მიჯნად ესახება XV საუკუნის მიწურული და XVI საუკუნის დასაწყისი. ეს იყო საკითხისადმი სწორი მიდგომა, მაგრამ ის რატომღაც თავს იკავებს აქედან ახალი ისტორიის დაწყებაზე და მიზანშეწონილად ესახება ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდის გამოყოფა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებამდე (1492-1789). ხანგრძლივი გარდამავალი პერიოდის გამოყოფა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენებიდან საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყებამდე (1492-1789) სრულიად ზედმეტად გვეჩვენება. XVIII საუკუნის მიწურულიდან, ახალი ისტორიის დაწყება დაგვიანებული უნდა ჩანდეს და ძალიან უახლოვდება სტალინურ პერიოდიზაციას. ამიტომ, ამგვარი მიდგომა, ნებსით თუ უნებლიეთ, შუა საუკუნეების ისტორიის სტალინური პერიოდიზაციის რეანიმაციის მცდელობად შეიძლება მივიჩნიოთ და პრინციპულად მიუღებელია. ეს არ არის არავითარი გარდამავალი პერიოდი. ეს არის ადრეული ახალი დრო (1492-1789), როგორც ეს მიღებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ მან ვერ მოახერხა თავისი საინტერესო სალექციო კურსის გამოცემა, როგორც შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოსი. ეს მას სავსებით ხელეწიფებოდა.

ქართული მედიევისტიკის განვითარებაში თავისი სიტყვა თქვა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა პროფ. კუკური ლილუაშვილმა. მისი ორივე მთავარი ნაშრომი ახალ ისტორიას შეეხება. რომელსაც მაშინ საბჭოთა ისტორიოგრაფია შუა საუკუნეების ისტორიაში მოიაზრებდა. საკანდიდატო დისერტაციის თემად მისმა სამეცნიერო ხელმძღვანელმა ა. ნამორაძემ მას შეურჩია საინტერესო საკითხი „ჩეხი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან XVII საუკუნეში". მან ამ თემაზე 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ორივე ოფიციალურმა ოპონენტებმა ნაშრომი დადებითად შეაფასა. ვრცლად ისაუბრეს მის ღირსება, ნაკლოვანებაზე. კ. ლილუაშვილის ეს ნაშრომი იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია, რომელსაც, ბუნებრივია, აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მკვლევარი ვერ აცდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენას. ასეთად მიგვაჩნია ნაშრომის დასკვნა. აქ ის ხარკს უხდის ერთი მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დიქტატს, მონოპოლიას.

პროფ. კ. ლილუაშვილის მნიშვნელოვანი მეცნიერული წარმატება იყო სადოქტორო დისერტაცია, რომელიც მან 1980 წელს დაიცვა თემაზე „ბულგარელი ხალხის ბრძოლა ფანარიოტთა უღელის წინააღმდეგ და რუსეთი". საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1984 წელს პროფ. კ.ლილუაშვილის ამ გამოკვლევას ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედალი მიენიჭა. ეს იმ პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის წარმატება იყო. ფაქტობრივად, მისი მიღწევების საერთაშორისო აღიარებად გვევლინება.

ნაშრომის გაცნობის შემდეგ გაგვიჩნდა ერთი საინტერესო მოსაზრება, სურვილი, ჩვენი აზრით, ნაშრომი ძალიან ბევრს მოიგებდა, თუ მასში შედარებული იქნებოდა თურქეთის პოლიტიკა ბულგარეთის მიმართ და საქართველოს მიმართ. ასეთი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვება, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა ყოფილიყო. აქტუალურია და შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ნაშრომს. ერთი პატარა, მაგრამ, ჩვენი აზრით, საინტერესო ნახნაგს შემატებდა მას. მეცნიერულ კვლევას კიდევ უფრო მეტი სილრმე მიეცემოდა. ქართული კონტექსტი ყოველთვის საინტერესოა.

პროფ. კ. ლილუაშვილი ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი იყო. მას აინტერესებდა. როგორც შუა საუკუნეების, ისე ახალი ისტორიის აქტუალური პრობლემები. შუა საუკუნეების ისტორიას ეხება მისი საინტერესო შრომები: „ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორიიდან", „ნეოთომიზმი და მისი არსი", „თავისუფლების დიდი ქარტია". შრომების სერიალი ისლამის ისტორიიდან. პროფ. კუკური ლილუაშვილი არ იყო მხოლოდ ემპირიკოსი ისტორიკოსი. მას ხელეწიფებოდა თეორიულ, ისტორიოგრაფიულ საკითხებზე წერა. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში ახალი ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლის საქმეში.

ყურადღებას იპყრობს კ. ლილუაშვილის ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი „ბულგარეთის საეკლესიო-ნაციონალური მოძრაობის საკითხები ბულგარელი მეცნიერების შრომებში", რომელიც დაიბეჭდა 1986 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში (ტ. 266) აქ მკვლევარი ახალ ამპლუაში მოგვევლინა. როგორც ისტორიოგრაფიის საკითხებში გაცნობიერებული მკვლე-

ვარი. პროფ. კ. ლილუაშვილი საკმაო ჩახედულებას ამჟღავნებს საკითხის ისტორიოგრაფიაში, რაც ამ თემაზე მისი მსჯელობის ძლიერ მხარედ გვევლინება. ნაშრომი, ცხადია, ვერ აცდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენას. მნიშვნელოვანწილად, სწორედ. ამით აიხსნება. ბულგარელი მარქსისტი ისტორიკოსების შრომებისადმი მისი დადებითი დამოკიდებულება.

თუ კ. ლილუაშვილის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში შეინიშნება ახალი ისტორიის თემატიკის დომინანტობა შუა საუკუნეებზე. მის სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაზე ამას ვერ ვიტყვით. ის შუა საუკუნეების ისტორიის ბრწყინვალე ლექტორი იყო, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ყველგან, სადაც ასწავლიდა. ბათუმში, სადაც ის მუშაობდა საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ. თბილისში, სადაც ის გადმოდის სამუშაოდ 1969 წელს და ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრაზე და ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად ილიას უნივერსიტეტი) მსოფლიო ისტორიის კათედრაზე, სადაც ის, ერთი პერიოდი, შეთავსებით მუშაობდა. კ.ლილუაშვილი შეეცადა შეძლებისდაგვარად წინ წაეწია საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის სწავლება, ქართული მედიევისტიკის წინაშე პროფ. კ. ლილუაშვილის დამსახურება, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

ქართული მედიევისტიკის ისტორიის მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის პროფ. კარლო მეშველიანს იყო. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში. ის, პროფ. კ. ლილუაშვილის მსგავსად, გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ა. ნამორაძის ასპირანტი იყო, რომელმაც თავის მოწაფეს დისერტაციის თემად შეურჩია საინტერესო საკითხი „ბულგარელი ხალხის ბრძოლა თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ XVI-XVII საუკუნეებში“, რომელიც კ.მეშველიანმა 1957 წელს წარმატებით დაიცვა. ეს არაა შუა საუკუნეების ისტორია, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა, მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში. ეს ახალი ისტორიაა. აღსანიშნავია, რომ ორივე ოპონენტმა ნაშრომს დადებითი შეფასება მისცა. იყო შენიშვნები, რომლის ერთ ნაწილს კ.მეშველიანმა დამაჯერებლად გასცა პასუხი. ნაწილიც გაიზიარა. პროფ. გ. ჟორდანიას აზრით, „კარგი იქნებოდა თუ ავტორი პარალელს გაავლებდა ბულგარეთს და ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ ვითარებას შორის XVI-XVII საუკუნეებში“. ნათქვამს დავამატებდით. ჩვენი აზრით, ნაშრომი ბევრს მოიგებდა, თუ მასში შედარებული იქნებოდა თურქეთის პოლიტიკა ბულგარეთის მიმართ და საქართველოს მიმართ. ასეთი, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის მომარჯვება, ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა და შინაარსობრივად კიდევ უფრო გაამდიდრებდა ნაშრომს.

ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე პროფ. კ. მეშველიანის მთავარ დამსახურებად ქართულ რეალობაში პირველად, სლავების ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერა მიგვაჩნია. ის პირობით ორ სერიად შეიძლება დავყოთ. 1965 წელს მან გამოსცა სახელმძღვანელო „დასავლეთ და სამხრეთ სლავების ისტორია“. ის მოიცავს როგორც შუა საუკუნეების პერიოდს, ისე ახალ დროს და სრულდება XVIII საუკუნის მიწურულს. ეს იყო პირველი საფეხური. ბუნებრივია, ამას მოჰყვა მეორე საფეხური. მან ეს თემა რეგიონების მიხედვით გაანაწილა, რაც მასალის სიჭარბით, მდიდარი ინფორმაციით, უნდა ყოფილიყო გამოწვეული. საბოლოოდ ასეთი სურათი მივიღეთ: 1977 წელი – „ბულგარეთი XIX-XX საუკუნის დასაწყისში“; 1979 წელი – „პოლონეთი XIX-XX საუკუნის დასაწყისში“; 1982 წელი – „ჩეხეთ-სლოვაკია XIX-XX საუკუნის დასაწყისში“; 1985 წელი – „სერბეთი XIX-XX საუკუნის დასაწყისში“.

კონკრეტულად, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებს ეხება კ. მეშველიანის ნაშრომი „კაბოშიანელთა აჯანყება“ (უნივერსიტეტის შრომები, 1964). საინტერესოა, მკვლევრის კიდევ ერთი ნაშრომი, „ბულგარეთის არქივებში დაცული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს შესახებ“ (უნივერსიტეტის შრომები, 1968). ქართული კონტექსტი მეცნიერული კვლევის გაღრმავების კარგ საშუალებაა იძლევა, პერსპექტიულია.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართველი მედიევისტებიდან შუა საუკუნეების ისტორიის საბჭოთა, მარქსისტული, პერიოდიზაციის გადასინჯვის საკითხებში ყველაზე სწორი პოზიცია, სწორედ, პროფ. კ. მეშველიანმა დაიკავა. მან მხარი დაუჭირა შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაციის რადიკალურ გადასინჯვას.

ბოლოს კ. მეშველიანმა ძალები მოსინჯა შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიაში და თავისი წვლილი შეიტანა მისი პოპულარიზაციის საქმეში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს მისი პატარა რეცენზია „შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები“ (1999), ცნობილი ჰოლანდიელი მოაზროვნის ჰაიზინგას წიგნზე „შუა საუკუნეების შემოდგომა“.

დასასრულს კი დავძენთ, რომ კ.მეშველიანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო შუა საუკუნეების ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს შექმნაში. მისი დაწერილია ოთხი მონაკვეთი: ჩრდილოეთ ევროპა IX-XI საუკუნეებში, შუა საუკუნეების ქალაქების წარმოშობა და ზრდა. ინგლისი XV საუკუნეში. ვარდების ომი, თიუდორები და სკანდინავიის ქვეყნები XI-XV საუკუნეებში.

პროფ. კ. მეშველიანი აქტიურად იყო ჩაბმული თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1965-1975 წლებში იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. 1980-1984 წლებში ის იყო უცხოელ მოქალაქეთა ფაკულტეტის დეკანი. 1987-1998 წლებში კი ისტორიის ფაკულტეტის დეკანი. 1991-1998 წლებში სათავეში ედგა შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას.

ქართული მედიევისტიკის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია პროფ. გურამ კუტალია. მისი მთელი სამეცნიერო – პედაგოგიური საქმიანობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრასთან ასოცირდება. ის ჯერ იყო ამ კათედრის ლაბორანტი, შემდეგ ასისტენტი, მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი და ბოლოს კათედრის გამგე. 1998-2006 წლებში ის ხელმძღვანელობდა შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას.

გ. კუტალიამ თავისი წელილი შეიტანა საქართველოში შუა საუკუნეების ისტორიის სწავლების, პოპულარიზების და შესწავლის საქმეში.

მის საქმიანობაში ცენტრალური ადგილი უჭირავს გერმანიაში რეფორმაციას. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ის საქართველოში რეფორმაციის ისტორიის ერთ-ერთი უპირველეს სპეციალისტად გვეელინება. განსაკუთრებით გულდასმით სწავლობდა დიდი მარტინ ლუთერის (1483-1546) მოღვაწეობას. ამ თემას ეძღვნება მისი საკანდიდატო დისერტაცია „მარტინ ლუთერის პედაგოგიკური შეხედულებანი“, რომელიც 1990 წლის 24 ოქტომბერს დაიცვა. უფრო ადრე კი 1982 წელს ეს ნაშრომი გამოქვეყნდა წიგნად. მისი სადოქტორო დისერტაცია კი იყო „საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები რეფორმაციის ეპოქის გერმანიაში“, რომელიც 1999 წლის 30 ივნისს დაიცვა, ხოლო მომდევნო, 2000 წელს გამოქვეყნდა მონოგრაფიის სახით. ყურადღებას იპყრობს მეცნიერის მონოგრაფიები „მარტინ ლუთერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები“ (1993) და „ბერი, რომელიც აუჯანყდა რომს“ (2009). ამას უნდა დავუმატოთ წყაროების რამდენიმე საინტერესო პუბლიკაცია. „მარტინ ლუთერის თეზისები“ (1998), ერაზმ როტერდამელის „მშვიდობის ჩივილი“ (1993). დაზუსტების მიზნით ვიტყვით, რომ ეს გახლავთ ახალი ისტორიის წყაროთმცოდნეობა და არა შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობა,

პროფ. გ. კუტალიას ამ შრომებმა უმალ მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება და სპეციალისტების დადებითი შეფასებაც დაიმსახურა. როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, გამოითქვა ზოგიერთი შენიშვნა, რომელიც ნაშრომის შემდგომ სრულყოფას, დახვეწას, ისახავდა მიზნად. სავსებით ვეთანხმებით პროფ. შ. რევიშვილს, რომ მარტინ ლუთერის პედაგოგიურ შეხედულებებს ქართულ რეალობაში ერთ-ერთმა პირველმა ყურადღება მიაქცია ანთიმოზ ჯუღელმა, რომელმაც გადაღმელის ფსევდონიმით 1884 წელს „ივერიის“ მეხუთე და მეექვსე ნომერში გამოაქვეყნა სტატია „ლუტერი – როგორც პედაგოგი“. საქართველოში აღნიშნული პრობლემით დაინტერესების ათვლა, ალბათ, სწორედ აქედან იწყება. როგორც ჩანს, ავტორს უნებლიეთ გამორჩა ეს ფაქტი (რევიშვილი 1987: 278-279); (რევიშვილი 1983). რეცენზიაზე, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „წიგნის სამყაროში“ 1983 წლის 22 ივნისს, ხელს აწერს არა მარტო იმჟამინდელი უცხო ენების ინსტიტუტის დოცენტი ა. მუშკუდიანი, არამედ ამ სტრიქონების ავტორიც, რაც მას, ეტყობა, გამორჩა, რომ აღენიშნა.

განსაკუთრებით ფასეულია ამ პრობლემის ქართული კონტექსტი, სადაც ავტორი ყურადღებას ამახვილებს საქართველოში არსებულ ლუთერანულ ეკლესიებსა და სკოლებზე. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა გ.კუტალიას ნაშრომი „ლუთერანული ეკლესიები და სკოლების საქართველოში“, რომელიც შევიდა წიგნში „ნარკვევები და მოგონებები“ (კუტალია 2004ბ: 23-27).

რეფორმაცია, საბჭოთა, მარქსისტულ-ლენინური, პერიოდიზაციის თანახმად, შუა საუკუნეების ისტორიაში შედიოდა. დღეს ეს შეუსაბამობა გასწორდა. გ.კუტალიას შრომების დიდი ნაწილი ახალ ისტორიაზე მოდის (კალანდაძე 2011ბ: 249-250), მაგრამ ეს სულაც არ აკნინებს შუა საუკუნეების ისტორიის სწავლების, პოპულარიზაციის და შესწავლის საქმეში მის კუტალიას დამსახურებას. ამის ნათელი დადასტურებაა „შუა საუკუნეების ისტორიის“ ახალი სახელმძღვანელოს დაწერა მიგვაჩნია.

ჩვენს შორის მეცნიერული პაექრობის მწვერვალად შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაციის საკითხზე არსებული აზრთა სხვადასხვაობა უნდა მივიჩნიოთ. ჩვენ შუა საუკუნეების ისტორიას და ახალ ეპოქას შორის მიჯნად გვესახება XV საუკუნის მიწურული და XVI საუკუნის დასაწყისი. კონ-

რეტულად კი, რენესანსი, დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები, რეფორმაცია. მისი პოზიცია ამ საკითხში სრულიად განსხვავებულია. მას ამ მოვლენებით შუა საუკუნის დასრულება მიზანშეწონილად არ ესახება. ის მიიჩნევს, რომ XVI საუკუნე და XVII საუკუნის პირველი ნახევარი. ეს იყო გარდამავალი პერიოდი, ან „გვიან შუა საუკუნეები და ადრეული ახალი დრო“ (კალანდაძე 2007: 72-81); (კალანდაძე 2015ბ: 48-52); (კალანდაძე 2017გ: 68-69); (კალანდაძე 2017ბ).

მან შუა საუკუნეების ისტორიაზე დაწერა კიდევ რამდენიმე საინტერესო ნაშრომი, რომელთა შორის ერთ-ერთ საუკეთესოდ მიგვაჩნია მისი გამოკვლევა „ქემალ ად-დინის ცნობა დიდგორის ბრძოლის შესახებ“ (კუტალია 2004ბ: 5-10). მეტად თბილი მოგონებები მიუძღვნა აკად. შოთა მესხიას და აკად. სერგო ჯორბენაძეს (კუტალია 2004ბ: 65-74).

ქართველ მედიევისტთა ძველი თაობის წარმომადგენლები იყვნენ ისტორიკოსები პროფ. გრიგოლ ჩხარტიშვილი და დოც. ირაკლი ბერაძე. მათი საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრას. მათ თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის სწავლების, პოპულარიზების და შესწავლის საქმეში.

პროფ. გ. ჩხარტიშვილი პროფ. გ. ნათაძის ასპირანტი იყო. მისი რეკომენდაციით 1929 წელს ის ასპირანტურაში ჩაირიცხა. 1946 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. გ.ჩხარტიშვილის ინტერესების სფეროში შედიოდა შუა საუკუნეების ინგლისის ისტორია. კონკრეტულად კი. ინგლისის საქალაქო მეურნეობის განვითარება XI-XIII საუკუნეებში. ამ შრომის ლოგიკურ დაგვირგვინებას წარმოადგენდა მისი სადოქტორო დისერტაცია „ინგლისის საქალაქო მეურნეობის განვითარება XI-XII საუკუნეებში“. დაწერა კიდევ რამდენიმე ათეული ნაშრომი შუა საუკუნეების ისტორიაზე და ამით თავისი წვლილი შეიტანა შუა საუკუნეების ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს პედინსტიტუტისთვის დაწერილი მისი სახელმძღვანელო „შუა საუკუნეების ისტორია“. მან დაწერა აგრეთვე სახელმძღვანელო აზიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიაში, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ეპოქაში აღნიშნული რეგიონის ისტორიის გაშუქების პირველი მცდელობა იყო. ის დიდი ხნის განმავლობაში გორის პედაგოგიურ უნივერსიტეტში ასწავლიდა შუა საუკუნეების ისტორიას.

შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის საქმეში ი. ბერაძის დამსახურება ორ საკითხთან ასოცირდება. ერთი, ესაა მისი საკანდიდატო დისერტაცია „კელნის ხელოსანთა აჯანყება“, რომელიც მან 1945 წელს დაიცვა. მეორე იყო პრობლემა „საქართველო და ჯვაროსნები“, რომელსაც ის დიდი ხნის მანძილზე იკვლევდა. გამოქვეყნებული აქვს კიდევ რამდენიმე ნაშრომი შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებზე. ეს შრომები, ცხადია, ვერ აცდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გავლენას და სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის ისტორიოგრაფიის მოთხოვნას. ამ სფეროში მათი დამსახურება, სწორედ, ეს იყო.

ქართულ მედიევისტიკაში თავისი კვალი დატოვა ისტორიკოსმა ირინე ნოდიამ. ის პროფ. გ. ფორდანიას ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების კათედრაზე საათობრივი ანაზღაურების წესით იყო მოწვეული. ის კითხულობდა ლექციებს დასავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნების ისტორიაში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

ი. ნოდია პროფ. ა ნამორაძის ასპირანტი იყო. თავდაპირველად ის ინტერესდებოდა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიით, კონკრეტულად, გერმანიის ქალაქების განვითარებით. მაგრამ მოგვიანებით თემა შეცვალა და ბიზანტიის ისტორია გახდა მისი ძიებების ფოკუსი. ამ თემამ ის დააკავშირა აკად. სიმონ ყაუხჩიშვილს დაუკავშირა. ის მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი წამყვანი ბიზანტინისტი საქართველოში. შუა საუკუნეების საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობების ერთ-ერთი საინტერესო მკვლევარი. მან ამ პრობლემას არა ერთი საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია და მას ამ პრობლემის ვერცერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის (კალანდაძე 2011ა: 839-849).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრასთან ასოცირდება კიდევ ერთი შესანიშნავი პიროვნების დოცენტ ლუარსაბ შუბლაძის საქმიანობა. მისი მთავარი ნაშრომია „გამოჩენილი შვეიცარიელი პატრიოტი ულდრაიხ ცვინგლი“, რომელიც 1970 წელს დაიცვა. ვფიქრობთ, სასურველი იქნებოდა მისი წიგნად გამოცემა, ვინაიდან ამ თემაზე მშობლიურ ენაზე არსებული ლიტერატურით ნამდვილად არ ვართ განებივრებული. ეს მნიშვნელოვანწილად შეავსებდა ამ ხარვეზს.

რეფორმაცია შეიცარიაში, ულდრაიხ ცვინგლის საქმიანობა, შუა საუკუნეების ისტორიასთან კი არ ასოცირდება, როგორც ეს იყო საბჭოთა, მარქსისტულ ისტორიოგრაფიაში, არამედ ეს არის ახალი ეპოქის ისტორია, სახელდობრ ადრეული ახალი დრო. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და მიგვაჩნია, რომ დოც. ლ. შუბლაძის ეს ნაშრომი ახალ ისტორიას მიეკუთვნება (ქალანდაძე 2011ბ: 249-250). მკვლევარმა ხელი მოჰკიდა სერიოზულ მეცნიერულ პრობლემას და მარქსისტული პოზიციებიდან დაამუშავა. ამ გზით მაშინ ძალიან ბევრი მიდიოდა. იმ პერიოდში ეს ტრადიციული გზა იყო. მანაც ეს გზა აირჩია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრაზე დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა ისტორიკოსი გურანდა ჭოხონელიძე. ის ისტორიის ფაკულტეტის სალამოს და დაუსწრებელი განყოფილებაზე ასწავლიდა სლავების ისტორიის კურსს. მან ძალიან კარგად იცოდა პოლონური და ჩეხური და თავისუფლად შეეძლო ამ დარგში მუშაობა. მისი მდიდარი მეცნიერული პოტენციალი მხოლოდ ნაწილობრივ იყო რეალიზებული საპედაგოგიო-საშეცნიერო ასპარეზზე, ხოლო როგორც მკვლევარი ისტორიკოსი, ის რაღაცნაირად ჩრდილში აღმოჩნდა და მეტად მკრთალი კვალი დატოვა. ჩვენ შევეცადეთ ეს მკრთალი კვალი დაგვეფიქსირებინა (ქალანდაძე 2018: 164-170).

საქართველოში დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის მეორე დიდი ცენტრი უნდა ყოფილიყო ისტორიის ინსტიტუტი, სადაც პროფესორი ილია ტაბალუას ძალისხმევით, ჩამოყალიბდა ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილება. მის საქმიანობაში დიდი ადგილი ეკავა დასავლეთ ევროპის ახალი და უახლესი ისტორიის პოპულარიზაციას და შესწავლას. საქართველო-ევროპის ურთიერთობების მეცნიერულ კვლევას, რომლის მთავარი ტონისმიმცემი თავად პროფ. ი. ტაბალუა იყო. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებს მათ საქმიანობაში შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა და პერიფერიულ თემად რჩებოდა. განყოფილებას არ ჰყავდა დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტი. შედეგისტი, რაც, ცხადია, აბრკოლებდა ამ თემატიკის პოპულარიზაციას და შესწავლას, ეფიქრობთ, სასურველი იქნებოდა შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებზე ყურადღების გამახვილება. ეს განყოფილების საქმიანობას გაცილებთ უფრო მრავალფეროვანს გახდიდა და შინაარსობრივად გაამდიდრებდა. ამ ვაკუუმს ნაწილობრივ აესებს პროფ. ი. ტაბალუას წიგნი „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, წიგნი პირველი“, (1984), რომლის ერთი მოზრდილი ნაწილი შუა საუკუნეების ისტორიის ეპოქას ეხება. ამ ფონზე ერთგვარ ბედნიერ გამონაკლისად გვეჩვენება ისტორიკოსი მალხაზ დუმბაძე, რომელსაც აინტერესებდა სერიოზული მეცნიერული პრობლემა ქართულ-ევროპული ვასალიტეტის შედარება. მან ამ თემას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა „საქართველო და ევროპის ქვეყნების ისტორია“ (1989). რა თქმა უნდა, ეს ძალიან ცოტაა და საკმარისი არ არის, გაცილებით უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა. ამის პოტენციალი არსებობდა, მაგრამ გარკვეული სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ეს ასე არ მოხდა. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის საკითხებისადმი გულგრილი დამოკიდებულება განყოფილების მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და უალრესად ნაყოფიერი საქმიანობის აქილევსის ქუსლად გვესახება. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამით აიხსნება, რომ ქართული მედიევისტიკის განვითარებაში ამ განყოფილების წვლილი ძალზე მოკრძალებულად გამოიყურება.

შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ცენტრად მაშინდელი ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი (ამჟამად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) იქცა. აქ არსებობდა მსოფლიო ისტორიის კათედრა, სადაც, ბუნებრივია, შუა საუკუნეების ისტორიის სწავლებას პოპულარიზაციას და შესწავლას სათანადო ყურადღება ეთმობოდა. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ ამ საქმის მოთავეებად, პროფ. ა. ნამორაძის მონაფეები მოგვევლინენ.

პირველ რიგში უნდა ვახსენოთ პროფ. ზოია შეფტელი (ჩიმაკიძე). მან 1944 წელს დამათავრა ასპირანტურა. ისიც პროფ. ა. ნამორაძის ასპირანტი გახლდათ. მან თავის მონაფეს რთული და მეტად საინტერესო თემა შეურჩია ისტორიოგრაფიის სფეროდან. „ნიკოლო მაკიაველის ისტორიული შრომები“. მან 1948 წლის 5 ნოემბერს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ასეთი თეორიული ხასიათის, ისტორიოგრაფიული ნაშრომებით, ქართული ისტორიოგრაფია არა თუ მაშინ, არამედ დღესაც არ გახლავთ განებივრებული და ამ კუთხით საკითხის წინ წამოწევა, უსათუოდ, მისასალმებელი იყო. ეს ნაშრომი იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯია.

ჰუმანისტური ისტორიოგრაფია და ნიკოლო მაკიაველი უნდა მოვიაზროთ არა შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიაში, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა მარქსისტულ, ისტორიოგრაფიაში, არამედ ახალ პერიოდში (ეუთერი 1936).

***

ამრიგად, ქართულმა მედიევისტიკამ განვითარების თავისებური გზა განვლო, რომელიც ია-ვარდებით მოფენილი არ ყოფილა და ამიტომ მისი წარსულის შელამაზებულად, ვარდისფერებში, წარმოჩენა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ის ქართული მედიევისტიკის წარმატებებზე და პრობლემებზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ჩვენი აზრით, ქართული მედიევისტიკის წარსულზე საბჭოთა წარმოდგენა სერიოზული კორექტივების შეტანას საჭიროებს და დაზუსტებას მოითხოვს. რა თქმა უნდა, ის ვერ გადაურჩა ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიას.

ფაქტობრივი მონაცემების ფართოდ მოხმობის თვალსაზრისით პროგრესი აშკარა იყო და ამის დაუნახაობა, ცხადია, არაა მართებული. ამ დროს შექმნილი შრომების დიდ ნაწილს, მიუხედავად იმ ეპოქისადმი დამახასიათებელი რეპრეზენტაციის სტილისა და თეორიული ხარვეზისა, დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. აქ გამოვლენილი მრავალფეროვანი წყაროების და მდიდარი ფაქტობრივი მასალის გამოყენება დღესაც შესაძლებელია.

საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის განვითარებას ფორმაციული პრინციპი მიუსადაგეს, რაც სავსებით შეესატყვისებოდა შუა საუკუნეების ისტორიის საბჭოთა, მარქსისტულ-ლენინურ პერიოდიზაციას. სწორედ, ამის გამოძახილი უნდა იყოს. ქართული მედიევისტიკის განვითარების სულ სხვა სურათი დაიდო. ამასთან შუა საუკუნეების ქრონოლოგიური ჩარჩოები ხელოვნურად იქნა გაფართოებული, ხოლო ახალი ისტორია კი პირიქით ძალიან შეიკუმშა. ამას, ცხადია, თავისი გამოძახილი ჰქონდა ქართული მედიევისტიკის ისტორიაზე. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს აღნიშნული საკითხის საბჭოთა ხედვასთან. ასე აღმოჩნდა ახალი ისტორიის პრობლემები შუა საუკუნეების ისტორიის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში. ამგვარი დამოკიდებულება საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის განვითარების ადეკვატურ სურათს ვერ გვიხატავს. პირველ ყოვლისა, ეს იმით გამოიხატება, რომ მის მიღწევებზე გადაჭარბებულ წარმოდგენას გვიყალიბებს. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამით იყო განპირობებული საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებანი: 1. საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის მიღწევები სინამდვილეში გაცილებით უფრო მოკრძალებულად გამოიყურება, ვიდრე ეს საბჭოთა წლებში ჩანდა. საბჭოთა მიდგომის ძალზე პოლიტიზირებული და იდეოლოგიზირებული იყო. ასეთი გახლდათ პოლიტიკური ნება. წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით, ის სერიოზულად მოიკოჭლებს, კორექტივების შეტანას საჭიროებს, დაზუსტებას მოითხოვს. 2. საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკისათვის დამახასიათებელ ამ თავისებურებაზე კრინტს არ დავძრავდით, ეს ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, მას მკვეთრად გამოკვეთილი პოლიტიკური სარჩული, რომ არ ედოს საფუძვლად. მან თავისი გამოძახილი ჰპოვა, ქართველი მედიევისტების შემოქმედებაში. მისთვის დამახასიათებელი გაორებაც, სწორედ, აქედან ილება სათავეს. ისინი ასწავლიდნენ შუა საუკუნეების ისტორიას, ხოლო იკვლევენ ახალი ისტორიის პრობლემებს. თუ მათი სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობა შუა საუკუნეების ისტორიის სწავლებასთანაა დაკავშირებული, მათი სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე ამას ვერ ვიტყვით. ის ახალი ისტორიის საკითხებს შეეხება, ამაში ვერავითარ შეუსაბამობას ვერ ვხედავთ. ჩვენი აზრით, მთავარია ეს სიტუაცია სწორედ გავიგოთ. ის საბჭოთა რეალობის გამოძახილია. მას საფუძვლად ედო შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია. მიუხედავად ამ გარემოებებისა, მათ საქმიანობას ვერ მოეწყვეტთ ქართული მედიევისტიკის განვითარებას. ჩვენი აზრით, ეს სწორი არ იქნება. ის ქართული მედიევისტიკის ორგანული შემადგენელი ნაწილია. უბრალოდ ის იმაზე გაცილებით უფრო მოკრძალებულად გამოიყურება, ვიდრე ეს ამ ცოტა ხნის წინ ეგონათ. აქ, იმის თქმას ვაპირებთ, რომ მათი შემოქმედება უფრო ახალ ისტორიას განეკუთვნება და არა მედიევისტიკას, როგორც ეს საბჭოთა წლებში ითვლებოდა. ჩვენ ვცადეთ გაგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და რეალური სურათი აღგვედგინა. საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის განვითარება ნორმალურ მეცნიერულ კალაპოტში დაგვებრუნებინა. სულ სხვა აქცენტები დავსვით. ქართული მედიევისტიკის განვითარების სულ სხვა და შეიძლება გაცილებით უფრო რეალისტური სურათი დავდეთ. აი, სწორედ, ასე გვესახება ჩვენი ძიების შედეგები.

დამოწმებანი

ანთაძე, კალანდაძე 2014: თ. ანთაძე, მ. კალანდაძე. *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი და უახლესი ისტორიის კათედრის ისტორია*, თბილისი.
ეუეური 1936: E. Eueter. *Geschiechte der neuen Historiographie.*
გურევიჩი 2004: А. Гуревич. *история историка*, Москва.
კალანდაძე 1999: მ. კალანდაძე. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში, თბილისი.
კალანდაძე 2007: მ. კალანდაძე. *მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში*, თბილისი.
კალანდაძე 2009: მ. კალანდაძე. *ქართული მედიევისტიკის სათავეებთან*, თბილისი.
კალანდაძე 2011ა: მ. კალანდაძე. ირინე ნოდია მედიევისტი და ბიზანტინოლოგი, ბიზანტიოლოგია საქართველოში 3, ნაკვეთი 2, თბილისი.
კალანდაძე 2011ბ: მ. კალანდაძე. *ისტორიოგრაფიული ეტიუდები*, პირველი ნაწილი, თბილისი.
კალანდაძე 2014: მ. კალანდაძე. დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ მედიევისტიკაში, ანალები, №10, თბილისი
კალანდაძე 2015ა: მ. კალანდაძე. *ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის შესწავლა საქართველოში.*
კალანდაძე 2015ბ: მ. კალანდაძე. *დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორიის ისტორიოგრაფიის შესწავლა თანამედროვე ქართულ მედიევისტიკაში*, №11, თბილისი.
კალანდაძე 2017ა: მ. კალანდაძე. ერთი აქტუალური საკითხის გამო ანუ დავა უდაეო საკითხზე, საქართველოს სა-პატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, *ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები*, ტ. VII, თბილისი.
კალანდაძე 2017ბ: მ. კალანდაძე. შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდიზაცია, *გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი*, №5, თბილისი.
კალანდაძე 2017გ: მ. კალანდაძე. ქართული მედიევისტიკის პირველი ნაბიჯები, *მაცნე. ისტორიის სერია*, №2, თბილისი.
კალანდაძე 2018: მ. კალანდაძე. ისტორიკოსი გურანდა ჭიხონელიძე (1938-2006), *კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები XXII*, თბილისი.
კუტალია 2004ა: გ. კუტალია. თსუ, შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის ისტორია, *შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები*, ნაკვეთი VI, თბილისი.
კუტალია 2004ბ: გ. კუტალია. *ნარკვევები და მოგონებები*, თბილისი, მერიდიანი.
ნათაძე 1925: გ. ნათაძე. ევროპის ფეოდალიზმის ისტორიიდან. ბენეფიციუმის წარმოშობა და იმუნიტეტის საკითხი, *უნივერსიტეტის მოამბე*, ტ. VI. თბილისი.
ნათაძე 1926: გ. ნათაძე. *დასავლეთ ევროპის ფეოდალიზმის ისტორია*, ტფილისი, ტფილისის უნივერისტეტის გამომცემლობა.
რევიშვილი 1987: შ. რევიშვილი. *გერმანულ-ქართულ ლიტერატურულ კავშირებზე*. თბილისი.
რევიშვილი 1983: შ. რევიშვილი. წიგნი დიდი რეფორმატორზე, *სახალხო განათლება*, №24, თბილისი.

THE MEDIEVAL HISTORY STUDIES IN GEORGIA (FROM 1950s TO 1991s)

Merab Kalandadze

The present work is historiographical and is aims to scrutinize one very interesting period of medieval history studies in Georgia. It starts in 1950s, after the death of I. Stalin, and ends with the collapse of Soviet Union in 1991.

We believe that Georgian tradition of medieval history studies and contributions of Georgian scholars if no more than, is no less than, any small European country's achievements in this field. Thus, nihilistic attitude toward heritage of medieval history studies in Georgian is not be appropriate.

The paper deals with the development of Georgian Medieval Studies and contributions to this field of several scholars: Professors Giorgi Tivadze, Givi Zhordania, Kukuri Liluashvili, Carlo Meshveliani, Grigol Chkhartishvili, Irakli Beridze, Guram Kutalia, Luarsab Shubladze and Irine Nodia.

In fact, we try to present assessment of the medieval history studies in Soviet Georgia. The theme is interesting and topical. Apologetic evaluation of this period is outdated approach, which was typical of the stage of historiography that was already passed. We must not go from one extremity to another. We should not judge these works harshly of above-mentioned scholars.

They chose a serious scientific problem and studied it from Marxist positions. In this difficult situation, this was the only resonable solution.

If we will put aside Marxist wrapper the remain part of their works will be, not doubt, valuable. It is a rich factual material, rich scientific information, a wide range of sources. Exactly these positive aspects of their works should become object for academic discussion. We see real progress in directions of empirical research and gathering of rich factological material, it will not be correct to shadow this fact. Crisis has conceptual nature. Marxist approach announced that its results are last instance of truth. In reality history does not solve the problem of undoubtable historical truth.

წყაროთა თარგმანი და ნარდგინება

TRANSLATION AND PRESENTATION OF SOURCES

ნიკოლაი დუბროვინი იმერეთის სამეფოს შესახებ

დავით მერკვილაძე

ნიკოლაი ფიოდორის ძე დუბროვინი (1837-1904) პირველი თვალსაჩინო მკვლევარია, რომელმაც რუსეთის სამხედრო ისტორია საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით შეისწავლა. იგი დაიბადა ფსკოვის გუბერნიის სოფ. კორიტოვოში. თავიდანვე სამხედრო გზა აირჩია. სწავლობდა ჯერ კადეტთა კორპუსში, შემდეგ საარტილერიო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ მსახურობდა საარტილერიო ბრიგადაში, შემდეგ პეტერბურგის საოლქო საარტილერიო სამმართველოს შტაბში. 1869 წელს მიავლინეს არმიის მთავარ შტაბში სამხედრო-საისტორიო კვლევებისათვის.

1878 წელს მიანიჭეს გენერალ-მაიორობა. ათი წლის შემდეგ, 1888 წლიდან გენერალ-ლეიტენანტის წოდება ებოძა. ნ. დუბროვინი 1886 წლიდან აირჩიეს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრად, ხოლო 1893 წლიდან სიკვდილამდე მისი შეუცვლელი მდივანი იყო. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის წმ. სტანისლავის (1-ლი, მე-2 და მე-3 ხარისხის), წმ. ანას (1-ლი, მე-2 და მე-3 ხარისხის), წმ. ელადიმირის (მე-2, მე-3 და მე-4 ხარისხის) და თეთრი არწივის ორდენები.

მას შესწავლილი და გამოცემული აქვს XVIII-XIX საუკუნეებში რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებული ომების ისტორია. ბუნებრივია, ნ. დუბროვინი ზოგადად რუსული იმპერიული პოლიტიკისა და იდეოლოგიის ერთგული მხარდამჭერია. ეს ცხადად იკითხება სხვადასხვა მოვლენების ავტორისეულ შეფასებასა და თხრობის მანერაში. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ავტორი იყენებს ძალზე საინტერესო საარქივო მასალებს (რომლებზეც თანამედროვე ქართველ მეცნიერებს გასაგები მიზეზების გამო ამჟამად ხელი ნაკლებად მიუწვდებათ), მისი ნაშრომები დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ნ. დუბროვინის ნაშრომი – „ისტორია რუსების ომისა და მფლობელობისა კავკასიაში" ("История войны и владычества русских на Кавказе"), რომელიც 1871-1888 წლებში ექვს ტომად გამოსცა სანქტ-პეტერბურგში.

ამჯერად „ქართული წყაროთმცოდნეობის" მკითხველს გვსურს, გავაცნოთ ნ. დუბროვინის ზემოდასახელებული ნაშრომის ერთი ნაწილის ჩვენ მიერ შესრულებული ქართული თარგმანი, სადაც მოთხრობილია XVIII-ის 80-იანი წლების იმერეთის სამეფოს ამბები. აღნიშნული მონაკვეთი წარმოადგენს ავტორის მიერ 1886 წელს გამოცემული მე-2 ტომის მე-4 თავს (გვ. 53-76). ტექსტის ბოლოს შენიშვნები ავტორისეულია.

***

იმერეთის მეფე სოლომონი, ეძიებს რუსეთის მფარველობას. იმერეთში პოლკოვნიკ ტომარას გაგზავნა და მისი მოლაპარაკებანი მეფესთან. იმერელთა თხოვნა. სოლომონის გარდაცვალება. ტახტის მემკვიდრეობის საკითხი. პარტიათა ბრძოლა. დავით გიორგის ძის გამოცხადება იმერეთის მეფედ, ბურნაშევის ჩასვლა იმერეთში და მისი შედეგები. თავადი პაპუნა წერეთელი და მისი ინტრიგები. თავადი აბაშიძე, როგორც იმერეთის ტახტის პრეტენდენტი. თურქების განზრახვა, შეიჭრნენ იმერეთში. იმერეთის მეფე დავითის ყალბი წერილი. იმერეთის ელჩები პეტერბურგში. ინსტრუქციები კონსტანტინოპოლში ჩვენი წარმომადგენლისადმი. თურქების შეჭრა იმერეთში. მტრის მოგერიება. საშინაო საქმეები იმერეთში.

მეფე ერეკლეს მიერ რუსეთის მთავრობასთან მფარველობის შესახებ წარმოებულმა მოლაპარაკებებმა შური ალუძრა იმერეთის მეფე სოლომონს. სოლომონს, რუსეთის გულწრფელად ამ ერთგულ ადამიანს, დიდი ხანია, სურდა დამორჩილებოდა რუსეთის იმპერატორთა უმაღლეს ხელისუფლებას და იმდენად უყვარდა რუსეთი, რომ მის შესახებ ერთი სიტყვაც კი მასში წარმოშობდა „ერთგვარ განსაკუთრებულ გრძნობებს". მასთან გაგზავნილ რუს მოხელეებს იმერეთის მეფე ყოველთვის განსაკუთრებული პატივით, პატივისცემითა და მაამებლობით იღებდა. საზღვარგარეთის ცნობების შეტყობინების საბაბით სოლომონი ძალზე ხშირად აგზავნიდა წერილებით თავის ელჩებს ხაზზე გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინთან, უგზავნიდა მას საჩუქრებს[1] და საერთოდ, ყველა საშუალებით ცდი-

[1] მეფე სოლომონმა გაუგზავნა გენერალ პოტიომკინს ჯერ ორი ბიჭი და შემდეგ გოგონაც „მომსახურებისათვის". პოტიომკინმა მადლობა გადაუხადა მეფეს და მიწერა, რომ იღებს ბიჭებს მხოლოდ იმიტომ, რომ სურს მას აამოს, თუმცა მათ მომ-

ლობდა, გამოეხატა თავისი ერთგულება რუსეთისადმი.

თურქებისაგან შევიწროებული სოლომონი არაერთხელ ეევედრებოდა იმპერატრიცა ეკატერინა II-ს. გაეწია მისთვის მფარველობა და დაეცვა.

„უგულმოწყალესო დედაო აღმოსავლეთის ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანთაო, წერდა იგი,[2] ყოვლადმოწყალეო, უავგუსტესო ეკატერინა ალექსის ასულო, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელო.

დიდი მოწიწებით, მორჩილებითა და მიწამდე თაყვანისცემით ვკადნიერდები, მოგახსენოთ მე, იმერეთის მეფე სოლომონმა, რომ მხოლოდ თქვენი დედობრივი გულუხვობით ინებეთ, გაგენიათ თქვენი ღვთაებრივი გულმოწყალება. თქვენით ჩვენი წმ. ეკლესიები და ხალხი გათავისუფლებულია ტყვეობის მძიმე უღლისაგან და მიენიჭა თავისუფლება, – რისთვისაც აღმოსავლეთის ყველა ქრისტიანი დღე და ღამ ეევედრება ღმერთს თქვენს ჯანმრთელობას და აღსასრულამდე დალოცავენ თქვენს უმაღლეს სახელს. ყველა ჩვენ აქ მყოფნი დიდი გულმოდგინებით ვისურვებთ, ქრისტეს შემწეობით, თქვენი, ჩვენი მხსნელისა და ყოვლადმოწყალე მონარქინიასათვის, დავდოთ ჩვენი სიცოცხლე და დავღვაროთ სისხლი თქვენი მტერი თურქებისა და ყველა ჩვენი მტრის წინააღმდეგ.

დაცემულნი თქვენი იმპერატორობით უდიდებულესობის ფერხთით, ვკადნიერდებით, გეევედროთ, თქვენგან ტყვეობისაგან გათავისუფლებულთა არდავიწყებასა და თქვენი მონარქიული წყალობის, მფარველობისა და შემწეობის მოუშლელობას. ჩვენს სამეზობლოში ცხოვრობს ძალზე ბევრი მტერი, მათ წინააღმდეგ მცირერიცხოვანნი ვართ და ამიტომ ყოველთვის არ ძალგვიძს მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. ყოვლადმოწყალეო მონარქინია! გაიღეთ გულმოწყალება და დაგვიცავით თქვენი დიდებულებით გათავისუფლებული ხალხი, დაე, არ მოიპოვონ თურქებმა ძალაუფლება წმიდა მართლმადიდებელ ეკლესიებზე.

შავი ზღვის სანაპიროებიდან თურქები ძალიან გვაწუხებენ, იტაცებენ ჩვენს ხალხს, ყიდიან და ათურქებენ და ამიტომ მრავლად ამონებენ ქრისტიანებს. ჩვენ ვწერდით თურქ მეთაურებს, რომ არ ჩაედინათ ასეთი აოხრება და თავდასხმები ჩვენს სამფლობელოებში. მაგრამ მათ, ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, უფრო მეტად იწყეს ჩვენი ხალხის გაწყვეტა და ამიტომ იძულებულნი გავხდით, შეგვეკრიბა ჯარი და თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის დიდებულებით მათზე სრული გამარჯვება მოვიპოვეთ, უფრო მეტადაც ვიძიეთ შური, ვიდრე მათ გვავნეს.

ამ გარემოებათა გამო თვით თურქები და ასევე სხვა ჩვენი მეზობლები შეშფოთდნენ და ცდილობენ, თავს დაგვესხან. მე, მეფე, ასევე ყველა სასულიერონი და საერონი ჩემი ქვეყნისა მუხლმოდრეკით გეევედრებით, მიგვიღოთ თქვენს ძლიერ მფარველობაში და სამუდამოდ დაგვიცვათ თქვენს მიერ უღლისაგან გათავისუფლებული თქვენი მონები. გაგვიწიეთ თქვენი დედობრივი გულმოწყალება ისე, როგორც თქვენ ისურვებთ.“

ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატით პორტასადმი იმერეთის დამოკიდებულება გვართმევდა შესაძლებლობას, დაგვეწყო სოლომონ მეფის სურვილის დაუყოვნებლივი შესრულება. თუმცა თავადი პოტიომკინი იმერეთის რუსეთის მფარველობაში დროზე ადრე მიღების ნაბიჯს სახიფათოდ მიიჩნევდა,[3] ამის მიუხედავად, რუსეთის მთავრობა ცდილობდა, შეესარჩუნებინა სოლომონის კეთილგანწყობა და პირობას დებდა, რომ იმერეთის მფარველობაში მიიღებდა პირველივე შესაძლებლობისთანავე.

„მის იმპერატორობით უდიდებულესობას ნებავს, წერდა თავადი პოტიომკინი,[4] რათა რუსეთის იმპერიისათვის ამ მნიშვნელოვანი საქმის (საქართველოს მფარველობაში მიღება) შემდეგ ქართლისა და კახეთის მეფის მიბაძვა შეძლოს იმერეთის მეფე სოლომონმაც, რომლის ორიენტაცია უკვე თანხვდება მისი უდიდებულესობის ნებას. მაგრამ ვინაიდან მისი ერთგვარი დამოკიდებულება ოტომანთა პორტასადმი გვაიძულებს თავი შევიკავოთ ამის აღსრულებისაგან, სანამ არ წარმოიშვება ხელსაყრელი გარემოებანი, ამიტომ ხელიდან არ უნდა გავუშვათ ყველაფერი ის, რამაც კი შეიძლება ხელი შეუწყოს რუსეთის ტახტისადმი იმერეთის მფლობელისა და მის ქვეშევრდომთა ერთგულების განმტკიცებას.“

ხელმძღვანელობდა რა ამ მითითებებით, გენერალ-პორუჩიკი პოტიომკინი ინარჩუნებდა უწყვეტ ურთიერთობას სოლომონთან, თხოვდა, უფრო ხშირად გამოეგზავნა შეტყობინებები იმერეთსა და თურქეთში არსებული ვითარების შესახებ, დაბოლოს, აიმედებდა მეფეს მისადმი რუსეთის იმპერ-

სახურებას არანაირად არ საჭიროებს. გოგონას კი აბრუნებს უკან და თან მეფეს საჩუქრად უგზავნის ქოგრიტს, ქსოვილს ნაჭერს და რამდენიმე ფუთ რკინას, რაც სოლომონს სჭირდებოდა ეკლესიის გადასახურად.

[2] 1781 წლის 1 სექტემბრის წერილში. საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მთავარი არქივი.

[3] თავად პოტიომკინის წერილი ა. ა. ბეზბოროდკოს 1785 წლის 5 სექტემბერს.

[4] 1783 წლის 3 აპრილის ორდერში პ. ს. პოტიომკინისადმი. სახელმწიფო არქივი, XXIII, № 13, ბარათი 45.

ატრიცას მუდმივი კეთილგანწყობით. ამ ორმხრივ ურთიერთობებს არ ჰქონია სერიოზული ხასიათი მანამ, ვიდრე სოლომონმა არ შეიტყო, რომ ტრაქტატი საქართველოსთან უკვე ხელმოწერილია. მაგრამ როგორც კი უწყებამ ამის თაობაზე იმერეთში მიაღწია, მეფემ მაშინვე გააგზავნა წერილი პ. ს. პოტიომკინთან, რომელშიც ითხოვდა რუსეთის მფარველობაში მიღებას ზუსტად იმავე საფუძველზე, რითაც იქნა მიღებული საქართველო.[5] პოტიომკინმა გაუგზავნა სოლომონს საჩუქრები[6] და თხოვა, გამოეგზავნა ნდობით აღჭურვილი პირი, რომელთანაც შეიძლებოდა მოლაპარაკება ქვეშევრდომობის პირობების თაობაზე.[7]

ამასობაში, თავადი პოტიომკინი არ დაელოდა ასეთი პირის გამოგზავნას, ისარგებლა საქართველოსაკენ ინვესტიტურის ნიშნებით პოლკოვნიკ ტომარას გამოგზავნით და დაავალა მას, თბილისში ყველა დღესასწაულის დასრულების შემდგომ გამგზავრებულიყო ქუთაისში იმერეთის მეფესთან მოსალაპარაკებლად. ტომარას უნდა დაერწმუნებინა სოლომონი მისადმი იმპერატრიცასა და უგანათლებულეს თავად პოტიომკინის გულწრფელ კეთილგანწყობაში და შეეთავაზებინა მისთვის, პეტერბურგში უმაღლესობის სახელზე გაეგზავნა ხალხის ყველა წოდების მიერ ხელმოწერილი თხოვნა, რომლის პროექტიც პოლკოვნიკ ტომარას გადაეცა. ამ თხოვნაში მეფეს უნდა განეცხადებინა, რომ უმთავრეს მიზეზს, რომელმაც უბიძგა მას რუსეთის მფარველობის ძიება, წარმოადგენს ძალიან ხშირი და მძიმე ავადმყოფური გულყრები, იმერეთის მცირენლოვან და გამოუცდელ მემკვიდრეთა ხელში დატოვების შიში, დაბოლოს, სურვილი, თავი დაეღწია თურქთა თავდასხმების, ძარცვისა და მისი სამშობლოს აოხრებისაგან. ეს სამი პუნქტი, რომელიც უნდა გამოყენებულიყო თხოვნის საფუძვლად, სოლომონმა არ მიიღო. იმ შეუზღუდავი თვითმპყრობელობის პირობებში, რომლითაც სარგებლობდა მეფე თავის ქვეშევრდომების მიმართ, მისთვის ძნელი იყო, საჯაროდ ელიარებინა მმართველობაში თავისი უძლურება, თუნდაც ამ მძიმე ავადობის შედეგად. ზუსტად ასევე, მაგრამ მისი გაგებით, მეფის ღირსებასთან შეუფერებელი იყო, თავის ხელმოწერასთან ერთად ენახა თავის ქვეშევრდომთა ხელმოწერებიც. დაბოლოს, აზიური ხასიათის მოსახლეობის გამო საშიში იყო თავის მემკვიდრეთა მცირენლოვანებისა და გამოუცდელობის შესახებ განცხადების გაკეთება. ამაზე დაყრდნობით სოლომონი ამბობდა, რომ თხოვნა ხელმოწერილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ მის მიერ და უნდა დაფუძნებულიყო მხოლოდ და მხოლოდ მის სურვილზე, შესულიყო რუსეთის მფარველობაში. სოლომონის სიჯიუტემ და მისმა უარმა, შეესრულებინა ჩვენი მოთხოვნები, შეაყოვნა ტომარა იმერეთში და მას მოუნია გაეტარებინა იქ სამი კვირა, რათა მიეღწია რაიმე პასუხისათვის. მეფე დიდხანს არ გამოთქვამდა თავის საბოლოო გადაწყვეტილებას და ამით აჭიანურებდა საქმეს.

ულაპარაკოდ მამაცი ადამიანი, იშვიათი წესების, თავისი ხალხის მართვის განსაკუთრებული უნარის მქონე სოლომონი იყო ნაკლებად განათლებული, შეეძლო მხოლოდ კითხვა და, სამწუხაროდ, ძალზე ბევრს სვამდა, რაც მასში კლავდა აზრის ქმედითუნარიანობას. „ავბედითი მიდრეკილება ღვინისადმი, იტყობინებოდა ტომარა,[8] რომელიც მასში მგონი გაძლიერდა მას შემდეგ, როცა მე აქ პირველად ვიყავი, ეწინააღმდეგება ახსნას. იშვიათადაა ისეთი დრო, როცა მასთან შეიძლება საქმეზე საუბარი.“

ხანგრძლივი ძალისხმევის შემდეგ პოლკოვნიკმა ტომარამ ბოლოს და ბოლოს მოახერხა, დაეყოლიებინა სოლომონი, დაეწერა თხოვნა მთელი თავისი ხალხის სახელით და მფარველობის ძიების საბაბად წარმოედგინა თურქების შეჭრა იმერეთში. ქუთაისში შეკრიბეს ყველა წოდების წარმომადგენლები, რომელთაც ერთმანეთთან მოთათბირების შემდეგ თეითონ შეადგინეს თხოვნა და მას ხელი მოაწერეს 1784 წლის 4 მარტს.

„საქვეყნოდ ცნობილია, დიდო თვითმპყრობელო, წერდნენ იმერლები,[9] შენი გულმოწყალება და მუდმივი მზრუნველობა ყველა შენი ერთმორწმუნე ხალხებისადმი, თუ როგორი დაშორებულნიც არ უნდა იყვნენ ისინი. შენი მარჯვენისათვის ღვთისაგან ბოძებული ძალა აღადგენს ქრისტეს სისხლით გამოსყიდულ და მისი რწმენის აღმსარებელ ხალხს.

ამ ხალხთა შორის შენი უძლეველი იარაღით დაცული ამ ქვეყნის ხალხიც მტერთა თვალთა წინაშე დგას და იპყრობს მათ გაუმაძღარ მზერასა და ჩვენი დალუპვის მოსურნე გულს... ყოვლადმოწყალეო ხელმწიფეე, გამოყავი შენი ამ მუდმივად დიდების აღმასრულებელი დროის თუნდაც მცირე ნაწილი სარწმუნოებისა და ნამუსის საქმეზე ესოდენ მრაელ ქრისტიანეთაგან თქვენ ტახტთან მორთმეული თხოვნის, მოსასმენად.

---

[5] სოლომონის ნერილი გენერალ პოტიომკინს 1783 წლის 6 სექტემბერს. სახელმწიფო არქივი, XXIII. № 13. ბარათი 45.

[6] ინგლისური ოქროს საათი რეპეტიციით, სათუთუნე, სიასამურისა და ყარყუმის ბენეული, რამდენიმე ქაღალდი, სალუქავი ცვილი და კალენდარი.

[7] პ. ს. პოტიომკინის ნერილი სოლომონისადმი 1783 წლის 24 სექტემბერს.

[8] პოტიომკინისადმი 6 მარტის პატაკში, სახელმწიფო არქივი, XXIII. № 13, ბარათი 47.

[9] სახელმწიფო არქივი, XXIII. № 13, ბარათი 47.

ჩვენი მდგომარეობა თურქული სახელმწიფოს უახლოესი უკანონობის გათვალისწინებით არ შეიძლება იყოს არც მყარი, არც მშვიდი, სანამ არ ვიქნებით თქვენი იმპერატორობითი უდიდებულესობის დაცვის ქვეშ. ამ ხალხის გრძნობები ჩვენს მიმართ ცრუა, მათი სურვილია შური იძიონ ჩვენზე აშლილობით, დამონებითა და შეურაცხყოფით; დრო ხშირად ააშკარავებს მათი გულის ნადებს.“

თქვეს რა, რომ თურქები ყოველთვის იყვნენ ქრისტიანობის შეურიგებელი მტრები და ჩამოთვალეს ყველა აოხრება, რაც ბოლო დროს იმერეთმა განიცადა მათგან, ხელმომწერები ითხოვდნენ დაცვასა და მფარველობას. სრულიად რუსეთის ტახტისადმი „ქედის მოდრეკით“ მეფე სოლომონი, მისი მემკვიდრე, ეპისკოპოსები, მეთაურები, მსახურები და იმერეთის მთელი ხალხი „თავს აღიარებდნენ საუკუნო ქვეშევრდომებად და მონებად“ რუსეთის იმპერატრიცასი.

შეგვიწყალე დიდო მონარქინია, ამბობდნენ ისინი, მცირე ოდენობა შენი ერთმორწმუნე ქრისტიანენი, შემოგვხლუდე სამუდამოდ შენი ძალმოსილებით, იყავ ჩვენი მუდმივი მხსნელი, მოგვანიჭე ჩვენ, ქვეყანას, ხალხსა და ჩვენს შთამომავლობას, – მსურველთ, ვიყოთ შენი მუდმივი ქვეშევრდომები, –ამიერიდან სამუდამოდ მფარველობა შენი და შენი ტახტის მემკვიდრეთა, აიღე შენს თავზე ჩვენი მფარველისა და ხელმწიფის სახელი და დაგეადე ვალი და წოდება შენს ქვეშევრდომთა, დაე გაიგონ ეს ჩვენმა მტრებმა, რათა მათში ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს სურვილი ჩვენზე გაბატონებისა...

სხვებზე ნაკლებად არ უღვაწია ამ ქვეყანასა და ხალხს ქრისტიანული რწმენის დასაცავად, ხოლო მას შემდეგ. რაც გაგვაცისკროვნა შენმა მფარველობამ, აქ კიდევ მეტი სისხლი დაიღვარა და კიდევ მეტად განიცადა მტერმა მარცხი. არ ვართ საჭირონი და სასარგებლონი ხელმწიფევ, არც შენთვის, არც შენს მემკვიდრეთათვის, მაგრამ ქრისტიანობის გულისათვის, რომელსაც ქართველნიც მსგავსადვე აღიარებენ, გთხოვთ, ვიყოთ მიღებულნი შენს ძლიერ მფარველობაში იგივე საფუძველზე, როგორც ისინი.

გვიბოძე. ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ, მე და ჩემს მემკვიდრეებს იგივე დაცვა, რომელიც მინიჭებული აქვს შენგან ქართლისა და კახეთის მეფე ერეკლესა და მის მემკვიდრეთა უგანათლებულეს სახლს. ჩემ მსგავსად ჩემს მემკვიდრეებსაც იმავენაირად შეუნარჩუნე იმერეთის წინა მეფეთა უფლებანი და უპირატესობანი. შენი წყალობისა და თვითმპყრობელობის სხივმა, ყოვლად მოწყალეო ხელმწიფევ, დაე, გაანათლოს ბოლოს და ბოლოს ეს სამეფო, მისი ამჟამინდელი მფლობელი, თავადები, მხედრობა და ხალხი. ყველას, მონათ თავიანთ გულებში, ერთხმად სურთ იყვნენ შენი ნაკურთხი ტახტის საფარველში. ყველანი საქვეყნოდ უარვყოფთ ყოველგვარ ძალაუფლებას ჩვენზე ვინმე სხვისას. გარდა სრულიად რუსეთის ტახტისა და ამ ჩვენს უქვეშევრდომეს თხოვნას ვადასტურებთ ჩვენი ხელმოწერითა და ბეჭდებით.“[10]

ამ თხოვნას ჯერ კიდევ არ მიეღწია ს.-პეტერბურგამდე, როცა იმერეთში შეიცვალა ხელისუფლება. შუადღის ორ საათზე, 23 აპრილს, სოლომონი გარდაიცვალა ინსულტის დარტყმით. დილით, წმ. გიორგის დღეს, იგი ადგა სრულიად ჯანმრთელი და დილის ლოცვის შესრულების შემდეგ აპირებდა ჩაცმას, მაგრამ შარვლის ერთი ტოტი ამოიცვა თუ არა, დაეცა და ენა წაერთვა. მეფე სოლომონთან მყოფი ექიმი ვიტენბერგი, იმერეთში გაგზავნილი ჩვენი მთავრობის მიერ, თუმცა კი იღებდა ყოველგვარ ზომას მის გადასარჩენად, მაგრამ მისი მცდელობანი ამაო აღმოჩნდა.[11]

თავის სიკვდილამდე სამი დღით ადრე მეფე სოლომონმა ის-ის იყო რუსეთში გაგზავნა თავისი ცოლისძმა ზურაბ წერეთელი და თავად ელიზბარ ერისთავი, მაგრამ მეფის გარდაცვალებამ შეაჩერა ისინი იმერეთში. საკითხი, ვინ იქნებოდა გარდაცვლილი მეფის მემკვიდრე, ცხოვლად აინტერესებდათ დეპუტატებსა და მთელ იმერეთს. სოლომონს არ ჰყავდა მამრობითი სქესის შვილები და ამიტომ მისმა მოულოდნელმა აღსასრულმა დააბნია იმერეთის უპირველესი წარჩინებულნი. არ იცოდნენ რა გადაეწყვიტათ, ისინი გაემართნენ ექიმ ვიტენბერგთან და ეკითხებოდნენ, რა მოემოქმედათ.

– თქვენ, როგორც გონიერმა კაცებმა, პასუხობდა იგი, – ჩემზე უკეთ იცით, რა არის თქვენი სამშობლოსათვის სასარგებლო.

ერთმანეთთან მოთათბირების შემდეგ, ხელისუფლების წარმომადგენელმა დიდებულებმა მეფის დაკრძალვის ცერემონიის დასრულების შემდეგ გადაწყვიტეს, აერჩიათ მისთვის მემკვიდრე და იგივე დეპუტატები განსვენებულისა და ახლად არჩეული მეფის წერილებით გაეგზავნათ რუსეთში.

---

[10] თხოვნას ხელი მოაწერეს: მეფე სოლომონმა, ორმა მეფისწულმა დავითმა: ერთმა, მეფის ბიძაშვილმა და მეორემ, მისმა ძმისშვილმა, სოლომონის ძმის, არჩილის ძემ, და მეფე სოლომონის (უნდა იყოს ერეკლეს – დ. მ.) შვილიშვილმა, გურიის მფლობელმა, თავადმა გიორგიმ, თავისი ვაჟებითურთ: სიმონითა და ვახტანგით, თავადებმა, მიტროპოლიტებმა, ეპისკოპოსებმა და მრავალმა აზნაურმა.

[11] ექიმ ვიტენბერგის მოხსენება პოტიომკინს 1784 წლის 25 აპრილს.

იმერეთში იმ დროს ტახტის ორი პრეტენდენტი იყო და ორივეს ერქვა სახელად დავითი; ერთი მათგანი იყო გარდაცვლილის ბიძაშვილი,[12] ოცდაათიოდე წლისა, ხოლო მეორე – ძმიშვილი, თერთმეტი წლის ყმანვილი.[13] ორივეს ჰყავდა მომხრეები და თავის მიმდევართა დიდი თუ მცირე დაჯგუფებები. ჯერ კიდევ სოლომონის სიცოცხლეში მეფე ერეკლე ცდილობდა მის შერიგებას ბიძაშვილ დავით გიორგის ძესთან და დაჟინებით მოითხოვდა, რომ იმერეთის ტახტის მემკვიდრე ყოფილიყო მისი შვილიშვილი, მეფისწული დავით არჩილის ძე. სოლომონი დაჰყვა ერეკლეს სურვილს, ნება მისცა დავით გიორგის ძეს, დაბრუნებულიყო იმერეთში და გადასცა მისი კუთვნილი სოფლები, ხოლო თერთმეტი წლის ძმიშვილი, დავით არჩილის ძე აღიარა თავის მემკვიდრედ. თუმცა ამ აღიარებას არ ჰქონია არავითარი მნიშვნელობა და სოლომონის სიკვდილის შემდეგ დაიწყო ჩვეული ბრძოლა დაჯგუფებათა შორის. ნაწილს სურდა, ტახტზე აეყვანათ ძმიშვილი, სხვებს – ბიძაშვილი.[14]

– ჩვენ გვჭირდება ისეთი მეფე, ამბობდნენ უკანასკნელის მომხრეები, – რომელიც შეძლებს ხმლის ფლობასა და თავისი ქვეყნის დაცვას ყველა მხრიდან გარშემორტყმულ მტერთაგან.

კამათი გრძელდებოდა იქამდე, სანამ სარდალმა (ფელდმარშალმა) თავად პაპუნა წერეთელმა, თანამემამულეებში დიდად პატივცემულმა, მეფედ არ გამოაცხადა თავისი ცოლისძმა, მეფისწული დავით გიორგის ძე. ამ უკანასკნელის ღვიძლ დაზე დაქორწინებული თავადი წერეთელი იმედოვნებდა, რომ ნათესაობისა და ტახტზე ასვლაში თანადგომის გამო ახალი მეფის დროს ის მოიპოვებდა კიდევ მეტ უპირატესობებს, გავლენასა და მნიშვნელობას. თავად პაპუნა წერეთლის წინადადება გაიზიარა უმრავლესობამ და 27 აპრილს დავით გიორგის ძე გამოცხადდა იმერეთის მეფედ. მეორე დღეს მან საზეიმოდ დაიფიცა და ივალდებულა დაეცვა თაყის ქვეშევრდომთა უფლებები, ემართა ისინი კანონებით და ყოფილიყო ერთგული ქვეშევრდომი რუსეთის იმპერატრიცასი. დავით გიორგის ძემ ტახტზე თავისი ასვლა უმალ შეატყობინა გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინს და პოლკოვნიკ ბურნაშევს, ამასთან ორივეს გაუგზავნა სასულიეროთა, თავადთა და ხალხის თხოვნა, რომელშიც ისინი ითხოვდნენ, გაეწიათ მათ შუამდგომლობა ახლადარჩეული მეფისათვის, რუსეთის მთავრობის მიერ მის დასამტკიცებლად. თავის მხრივ მეფე დავითი გამოთქვამდა სურვილს, ეცნო თავისი წინამორბედის კვალზე და გაეგზავნა ელჩობა უმაღლეს კარზე იმერეთის ხალხის საჭიროებებისა და სურვილების განმარტებებით, ითხოვდა მისთვის იმავე ნდობის შენარჩუნებას, რომელიც რუსეთის მთავრობას ჰქონდა გარდაცვლილის მიმართ.[15]

ამასობაში ტახტის მემკვიდრეობისაგან ჩამოცილებულმა მეფისწულმა დავით არჩილის ძემ, თავის მომხრეთა რჩევით, მიმართა თხოვნით ერეკლეს, თავის პაპას, დაეცვა მისი უფლება, დაფუძნებული გარდაცვლილი მეფის სოლომონის მიერ ტახტის მემკვიდრედ მის საზეიმო აღიარებაზე.[16] მეფისწულ დავითის ეს თხოვნა და დაჯგუფებათა შორის ბრძოლა ამზადებდა არეულობის დაწყებას იმერეთში, სადაც ინტერესთა განსხვავებებს ადგილი ჰქონდა უფრო მეტად, ვიდრე რომელიმე ნებისმიერ ქვეყანაში. როგორც კი გარდაიცვალა სოლომონი, სამეგრელოს მფლობელმა თავადმა დადიანმა, ბოლო დროს მეფე სოლომონის მიერ ხელისუფლებისაგან ჩამოცილებულმა, მოინდომა რა მეტი დამოუკიდებლობის მოპოვება, დაიწყო ინტრიგები იმერეთის წინააღმდეგ, შეეცადა გაეძლიერებინა დაჯგუფებათა შორის ბრძოლა და გამოეწვია საერთო მღელვარება. დადიანმა გააგზავნა ელჩი დევნილობაში მყოფ თავად ქაიხოსრო აბაშიძესთან, მოიხმო ის იმერეთში და შეპირდა დახმარებას. დადიანმა ხმები, რომ დადიანმა ზუსტად ასევე გააგზავნა კაცი კონსტანტინოპოლშიც, შეტყობინებით, რომ სოლომონი გარდაიცვალა და რომ პორტას ახლა აქვს ყველაზე ხელსაყრელი შემთხვევა იმერეთის ხალხის დასამორჩილებლად.

დადიანის ინტრიგებს უკვალოდ არ ჩაუვლია. თავადი აბაშიძე ჩამოვიდა ტრაპიზონში იმერეთში გადასვლისა და იქ აღელვების გამოწვევის იმედით. ახალციხის სულეიმან-ფაშამ შეიტყო რა ტახტზე დავითის ასვლის შესახებ, მოითხოვა, რომ მას პორტასადმი იმერეთის დამოკიდებულების შესაბამისად, კონსტანტინოპოლში გაეგზავნა ელჩობა ტახტზე მისი დამტკიცების თხოვნით.

იმის შიშით, რომ თურქეთის კარს არ ესარგებლა იმერეთში ხელისუფლების ცვლილებისას გარდაუვალი არეულობით, ჩვენი ხელისუფლება აღიარებდა აუცილებლობას, რაც შეიძლება სწრაფად

[12] დავითის მამა, მეფე გიორგი იყო უმცროსი ძმა სოლომონის მამისა. ეს მეფისწული დავითი შენინააღმდეგების გამო სოლომონმა გააძევა იმერეთიდან და ცხოვრობდა თბილისში, მეფე ერეკლეს. მისი ნათესაურის კმაყოფაზე. დავითის მეუღლე ანა მათეს ასული ორბელიანი, იყო შეილიშვილი ანა თეიმურაზის ასულ ორბელიანისა, მეფე ერეკლეს ღვიძლი დისა (ბურნაშევის 7 მაისის მოხსენება პოტიომკინს. № 34, სახელმწიფო არქივი, XXIII, № 13, ბარათი 47).

[13] ეს ახალგაზრდა კაცი იყო ძე არჩილისა, სოლომონის ღვიძლი ძმისა და შვილიშვილი მეფე ერეკლესი და დედოფალ დარეჯანისა.

[14] ვიტენბერგის მოხსენებები პოტიომკინს 25 და 26 აპრილის. სახელმწიფო არქივი, XXIII, № 135. ბარათი 47.

[15] მეფე დავითის წერილი გენერალ პოტიომკინს 1784 წლის 1 მაისს. სახელმწიფო არქივი, XXIII, № 13, ბარათი 47.

[16] ბურნაშევის პატაკი პ. ს. პოტიომკინს 1784 წლის 7 მაისს, № 34, იქვე.

გაემყარებინა მეფე დავითის ძალაუფლება და ამიტომ ერეკლეს ჩააგონეს, არ ჩარეულიყო იმერეთის საშინაო საქმეებში და ეცნო იქ დამდგარი მმართველობა. ერეკლე, თუმცა კი ერეკლე თავს შეურაცხყოფილად თელიდა იმის გამო, რომ ტახტი გარდაცვლილი სოლომონის შეპირების საწინააღმდეგოდ არ გადავიდა მის შვილიშვილ დავით არჩილის ძეზე, დათანხმდა, კანონიერად ეცნო დავით გიორგის ძის არჩევა. „ვუფრთხი რა რაიმე არეულობასა და შიდაბრძოლობას იმერეთში, წერდა ერეკლე პოტიომკინს,[17] ამჟამად უარი ვთქვი ჩემს უფლებაზე და დავთანხმდი დავით გიორგის ძის მეფედ აღიარებას, მაგრამ როდესაც ჩემი შვილიშვილი გახდება სრულწლოვანი, მისი ბედი დამოკიდებული იქნება იმპერატორის კარზე.“

საქართველოს მეფე ითხოვდა, რომ რუსეთის მთავრობას დაევალდებულებინა დავით მეფე, გადაეცა მისი შვილიშვილისათვის მფლობელობაში ყველა ის მამული, რომელსაც ფლობდა მისი მამა არჩილი, რომ მათზე მეფე დაეითს ელიარებინა თავისი ნათესავის მემკვიდრეობა და რომ დაეთმო მისთვის ორი ციხე, მასზე მიმაგრებული მთელი მიწებით. სასურველის კიდევ უფრო წარმატებით მისაღწევად ერეკლე ცდილობდა, გაეერთიანებინა მისი მოთხოვნები პოლიტიკურ გათვლებთან და ამბობდა, რომ ციხეთა ამგვარი დათმობა აუცილებელია რუსეთის ინტერესებისაგან იმერეთის მეფის გადახვევის შემთხვევისათვის, რამეთუ მაშინ შესაძლებელი იქნება მისი დასუსტდება მეფისწულ დავით არჩილის ძის წინააღმდეგობით.[18] სინამდვილეში კი საქართველოს მეფე იღწვოდა იმისათვის, რომ მის შვილიშვილს უსაფრთხოდ ეცხოვრა იმერეთში, ვინაიდან ახალი მეფის საამებლად მოსამსახურეებს არ მოეწამლათ იგი.

სახელმწიფოს წარმოშობა სახელმწიფოს შიგნით, როგორც ძალიან მავნე რამ, არ შეიძლებოდა დაეშვა ჩვენს მთავრობას და ამიტომ ერეკლეს მოთხოვნები დაუკმაყოფილებელი დარჩა. სამეფო სახლის წევრთა ურთიერთ მტრობისა და შესაძლებელი შიდაბრძოლობის ასაცილებლად, გენერალ-პორუჩიკმა პოტიომკინმა პოლკოვნიკ ბურნაშევს დაავალა იმერეთში გამგზავრება და იქ სამეფოს საქმეების მოგვარება. ბურნაშევმა თავისთან ერთად გამგზავრება შესთავაზა იმერეთის კათოლიკოს მაქსიმეს, რომლებსაც დიდი ხნის წინ დაეტოვებინა თავისი სამშობლო და ცხოვრობდა საქართველოში.[19]

მაქსიმე სარგებლობდა დიდი პატივისცემით იმერეთში, სადაც მისი, როგორც რუსეთის ერთგული პირის, ყოფნა შეიძლებოდა ყოფილიყო ძალზე სასარგებლო არა მარტო ჩვენი ინტერესებისათვის, არამედ მეფე დავითის განსამტკიცებლად და უნარჩინებულეს პირთა ურთიერთმტრობისა და თავნებობისაგან შესაკავებლად. მეფე დავითი აცნობიერებდა იმ უზარმაზარ გავლენას, რომელიც ჰქონდა მაქსიმეს მის ქვეშევრდომებზე და მისი თანადგომის საჭიროებას, ამიტომ ასევე ეპატიჟებოდა მას იმერეთში. მაქსიმე ამჯერადაც უარს ამბობდა ჩასვლაზე, მაგრამ იძულებული გახდა დაჰყოლოდა პოლკოვნიკ ბურნაშევის დაჟინებულ თხოვნას.[20]

– მხოლოდ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობისადმი ყოვლადქვეშევრდომული ერთგულება და მორჩილება, ამბობდა ის, რაზეც მე რუსეთში ყოფნისას დავიფიცე, მაიძულებს იქ წასვლას. თუ ყოვლადმოწყალე დიდ ხელმწიფეს ასე სურს, მე მზად ვარ, სიცოცხლეც კი გავწირო.

1 ივნისს პოლკოვნიკი ბურნაშევი კათოლიკოს მაქსიმესთან ერთად გავიდა თბილისიდან. მანამდე ძლიერი წვიმების შედეგად [გამოწვეულმა] მდინარეთა გადაულახავობამ შეაყოვნა მათი მოგზაურობა და მხოლოდ 9 ივნისს მიაღწიეს დავითის რეზიდენციას სურამის გზაზე მდებარე სოფელ ცხრაწყაროში (Цха-Цхоро), ქუთაისიდან ორმოციოდე ვერსში. მეფე, სასულიერონი, თავადები და ხალხთა სიმრავლე სოფლიდან სამიოდე ვერსში გამოვიდნენ ჩამოსულთა დასახვედრად. „მე ვნახე ისინი, იუწყებოდა ბურნაშევი,[21] შეიარაღებულ ჯგუფებად, შესამჩნევად აღელვებულები, თითქოს ჩემი ჩასვლით ელოდნენ დამშვიდებას. თითოეულს სწყუროდა, მოესმინა სიტყვები, რომელიც მათ დააიმედებდა უმაღლესი წყალობითა და ეკატერინე დიდის მფარველობით.“

რუსების მიმართ ყოველთვის მოამე იმერლები ამჯერად თითქოს ცდილობდნენ ეჯობნათ საკუთარი თავისათვის. ამჟამად უმეტესად, ვიდრე ოდესმე, საჭიროებდნენ რა, რუსეთის მფარველობასა და მხარდაჭერას, მეფე, დიდებულნი და უბრალო ხალხიც კი ცდილობდა პოლკოვნიკ ბურნაშევის

[17] 1784 წლის 3 მაისის წერილში. სახელმწიფო არქივი, XXIII, № 13, ბარათი 47.

[18] ერეკლეს წერილი პოლკოვნიკ ბურნაშევს 1784 წლის 12 მაისს, იქვე.

[19] მაქსიმეს მიერ იმერეთის დატოვების მიზეზი ის იყო, რომ იგი არ დაეთანხმა მეფე სოლომონის ძის, მეფისწულ ალექსანდრეს ქორწინებას, რომელსაც სურდა მეორეჯერ ექორწინა მის მიერ თბილისში დატოვებული ცოლის სიცოცხლეშიეე. განსვენებულმა მეფე სოლომონმა მაქსიმეს რამდენჯერმე შესთავაზა იმერეთში დაბრუნება, მაგრამ იგი უწყოდა თანამედროვეთა მერყევი ხასიათის შესახებ და რჩებოდა საქართველოში.

[20] ბურნაშევის პატაკი პოტიომკინს 25 მაისს, № 44.

[21] პოლკოვნიკ ბურნაშევის პატაკი პოტიომკინს 13 ივნისს, № 51.

გულის მოგებას. მათ ადარდებდათ, რომ მეფე სოლომონის სიკვდილთან ერთად არ შეწყვეტილიყო იმერეთისადმი იმპერატრიცას კეთილგანწყობაც. მათ ამშვიდებდა მხოლოდ კათოლიკოს მაქსიმეს იქ ყოფნა, რომლის იმერეთში ჩასვლას იმით ხსნიდნენ, რომ ამ ქვეყანას ალბათ ჯერ კიდევ არ დაეკარგა რუსეთის მფარველობა. მაქსიმე ძიიღეს განსაკუთრებული აღტაცებით როგორც მეფემ, ასევე ყველა მისმა ქვეშევრდომმა. დავითმა მაშინვე დაუბრუნა მას ყველა უფლება, მამული და თავის წერილში პ. ს. პოტიომკინისადმი[22] მაქსიმეს უწოდებდა ქვეყნის სამკაულს. ხალხი კი თავის კათოლიკოსს უყურებდა როგორც წმინდა ადამიანს და ერთმანეთთან მოშუღლე ყველა დაჯგუფების ერთადერთ შემრიგებელს.[23]

იმერელთა აღელვების მიზეზი მალე გაირკვა: ის გამოწვეული იყო ახალი მთავრობის არამყარობით, ერთმანეთისადმი უნდობლობითა და ყველა იქ მყოფის მდგომარეობის გაურკვევლობით. შეკრებილთა შორის ბურნაშევმა შეამჩნია ორი დაჯგუფება, თუ მთლად მტრული არა, უკიდურეს შემთხვევაში ერთმანეთთან შეუთანხმებელი მაინც: ერთი, უფრო მრავალრიცხოვანი, მხარს უჭერდა მეფეს, მეორე – მეფისწულ დავით არჩილის ძეს. უკანასკნელი შედგებოდა შეიარაღებული, მაგრამ ღარიბი და ღატაკი ხალხისაგან, რომელთაც განსვენებულმა მეფე სოლომონმა ჩამოართვა მამულები. მათ დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, მეფისწულის მხარდაჭერით კი წარმატების შემთხვევაში იმედოვნებდნენ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ორივე ჯგუფი უყურებდა პოლკოვნიკ ბურნაშევს, როგორც რუსული მთავრობის მიერ გამოგზავნილ პირს იმერეთში მმართველობისა და შედეგად სიმშვიდის დასამყარებლად. ამ გადაწყვეტილების მოლოდინში ყველას აწუხებდა ერთი კითხვა იმის შესახებ, როგორ გადაწყდება დაეით არჩილის ძის ბედი და თუ კვლავ არჩეულ მეფეს დატოვებენ ტახტზე, შეინარჩუნებენ კი თავიანთ ძალაუფლებასა და თანამდებობებს ის პირები, რომლებიც იყვნენ მეფე სოლომონთან? ამ საკითხის გარკვევამდე ორივე დაჯგუფება ერთმანეთთან ვერ რიგდებოდა.

„უჩვეულო იყო ამ შეიარაღებული ჯგუფების ნახვა, წერდა ბურნაშევი;[24] თითოეულ თავადს გააჩნია ასეთი ხალხის არცთუ მცირე საკუთარი ამალა. თუმცა კი ისინი ყველანი მოისწრაფვიან ჩვენი ყოვლადუანგუსტესი ხელმწიფის საერთო მფარველობისკენ, მაგრამ თავიანთი ბედის გაურკვევლობით გამოწვეული ღელვა და ერთმანეთისადმი უნდობლობა მათ უკიდურესად უფორიაქებდა აზრებს. აღარა აქვთ რა მეფე სოლომონის სიმკაცრის შიში, თავიანთ ახალ მეფეს, როგორც ჩანს, თითქოსდა მიიჩნევენ მონყალების გამო მათ არჩეულად და არც ისე ძლიერად – მათ მიმართ რაიმე სასჯელი რომ გამოიყენოს.“

კათოლიკოს მაქსიმეს დახმარებით, პოლკოვნიკმა ბურნაშევმა მოახერხა მოშუღლე დაჯგუფებების შერიგება და იმერეთში სიმშვიდის აღდგენა. მეფე დავითმა გადაწყვიტა, აღლო წერილობითი ვალდებულება, რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი მომავალი ურთიერთობანი თავის ქვეშევრდომებთან. მან გამოაცხადა თავისი უცვლელი სურვილი, ელჩობა გაეგზავნა რუსეთში მფარველობის თხოვნით; პირობა დადო, მეფისწულ დავითის უზრუნველყოფისა და მასზე მზრუნველობა დაავალა კათოლიკოს მაქსიმეს, როგორც მის ნათლიას. თავადებსა და აზნაურებს მეფე პირდებოდა დაკავებულ თანამდებობებისა და წოდებების შენარჩუნებას და სრული სამართლიანობით მოქცევას. თავის მხრივ თავადები, სასულიერონი და აზნაურები წერილობით ივალდებულებდნენ, ყოფილიყვნენ მეფის ერთგულნი და უსიტყვოდ შეესრულებინათ ყველა მისი ბრძანება.[25]

ბურნაშევი გაემგზავრა იმერეთიდან, მაგრამ სიმშვიდე იქ არ დამყარებულა. სარდალმა, თავადმა პაპუნა წერეთელმა პირველმა მისცა საბაბი ახალ არეულობას. თავისი ცოლისძმის მეფედ გამოცხადებით წერეთელი, როგორც ჩვენ ვნახეთ, ვარაუდობდა ბეერი უპირატესობის მოპოვებას. მაგრამ, სამწუხაროდ, შეამჩნია, რომ მეფე დავითი მას არაფრით არ გამოარჩევდა სხვების წინაშე. ის იმედოვნებდა იმერეთში პირველ პირად ყოფნას, მაგრამ დაინახა, რომ მეფე რჩეულებისათვის მიმართავდა ბურნაშევსა და მაქსიმე კათალიკოსს, როგორც უფრო მცოდნე და გამოცდილ ადამიანს. პაპუნა წერეთელს სძულდა ეს პიროვნებანი და წავიდა მეფის წინააღმდეგ ყველაფერში, რაც მისი რჩეულებიდან არ გამომდინარეობდა. პოლკოვნიკ ბურნაშევის გამგზავრებისთანავე მან დაითანხმა თავადი ბერი (ტექსტშია ბერო – დ. მ.) წულუკიძე და სხვა წარჩინებული პირები, გამოეცხადებინათ, რომ არ ეთანხმებოდნენ რუსეთში ელჩობის გაგზავნას და როცა მეფე მაინც დაჟინებით ითხოვდა ამას, წერეთლისა და წულუკიძის ჯგუფმა გადაწყვიტა დავითის მიტოვება. სამეფო რეზიდენციის დატოვების

[22] დავითის წერილი პოტიომკინს 1784 წლის 13 ივნისს, სახ. არქივი, XXIII, № 13, ბარათი 45.
[23] უთარიღო წერილი გენერალ პოტიომკინს ხალხის ყველა წოდებისაგან, იქვე, ბარათი № 47.
[24] გენერალ პოტიომკინს 13 ივნისს, № 51.
[25] პოლკოვნიკ ბურნაშევის პატაკი გენერალ პოტიომკინს 26 ივნისს, №52, ტომი II.

შემდეგ ისინი წავიდ-წამოვიდნენ სახლებში. ასეთი საქციელით გაოცებულმა დავითმა გაუგზავნა [კაცები], ეკითხათ მათი წასვლის მიზეზი და ითხოვდა, რომ ყველა თავადი მასთან დარჩენილიყო ელჩობის გაგზავნამდე.

– ჩვენ ელჩობის გაგზავნის შესახებ არაფერი ვიცით, პასუხობდნენ თავადები, მოციქულებს, – და თუ მეფეს სურს, თვითონ შეუძლია გაემგზავროს რუსეთში, მაგრამ ჩვენგან არავინ წავა.

იცოდა რა, რომ ყველა მღელვარების მიზეზი იყო პაპუნა წერეთელი, ქუთაისში ჩასულმა მეფე დავითმა მასთან მყოფ ექიმ ვიტენბერგს თხოვა, გაერკვია უკმაყოფილების მიზეზი.

– ასე საჩქაროდ რატომ მიატოვეთ მეფე, ჰკითხა ვიტენბერგმა პაპუნა წერეთელს, – თქვენ, რომელნიც დაეხმარეთ მას ტახტზე ასვლაში.

– ჩვენ გული დაგვწყდა, უპასუხა მან, – რომ მეფე ეთათბირებოდა პოლკოვნიკ ბურნაშევს ჩვენი თანხმობის გარეშე.

– მაგრამ თქვენ ხომ ყველა იქ იყავით და ასევე ესაუბრებოდით ბურნაშევს.

– მართალია, ჩვენ მას ვესაუბრებოდით, მაგრამ ჩვენ ვთხოვეთ მეფეს მასთან არანაირი საქმე არ დაეჭირა. მაგრამ მეფემ ყველაფერი ეს ჩვენს საწყენად მოიმოქმედა.

– და ეხლა რის გაკეთებას აპირებთ? ჰკითხა ვიტენბერგმა.

– ტახტზე ავიყვანთ მცირეწლოვან დავითს, გადაჭრით პასუხობდა წერეთელი.

ამ ცნობამ შეაშფოთა მეფე. მითუმეტეს, რომ ჯერ კიდევ არ ჰქონდა განმტკიცებული ძალაუფლება, რომ თურქეთიდან მიიღო შემაშფოთებელი ცნობა. პორტამ იმერეთის მეფედ გამოაცხადა დევნილობაში მყოფი ქაიხოსრო აბაშიძე, ტახტის მაძიებელი, რომელიც თურქეთის მთავრობას შეპირდა ხარკის გადახდასა და ყოველწლიურად კონსტანტინოპოლში 190 ვაჟისა და ქალის გაგზავნას.[26] თავადმა აბაშიძემ გამოუგზავნა წერილები იმერეთის უპირველეს თავადებს, რომელშიც იტყობინებოდა, რომ პორტა მას შეპირდა ოცი ათასიანი ჯარის მიცემასა და სულ მოკლე ხანში იგი გამოცხადებოდა იმერეთში.

– ჩვენ მივიღეთ წერილი თურქეთიდან, ორაზროვნად ეუბნებოდა ზურაბ წერეთელი მკურნალ ვიტენბერგს, – და მალე იმერეთში რაღაც ახალი მოხდება.

ვიტენბერგმა იცოდა, რაზე მიანიშნებდა ზურაბი, იცოდა, რომ საქმე ეხებოდა თავად აბაშიძის პრობლემატიკებს და ამიტომ ცდილობდა წარმოედგინა ზურაბ წერეთლისათვის ის უბედურება, რომელშიც იქნებოდა ჩათრეული იმერეთი, თუკი კვლავ თურქების ბატონობის ქვეშ ჩავარდებოდა და ამასთან აღნიშნა, რომ მაშინ რუსეთი საშველად მეორეჯერ აღარ მოვიდოდა.

– რასაკვირველია, ამბობდა ვიტენბერგი, რუსეთს იმერეთისადმი ძალიან მცირე საჭიროება აქვს, მაგრამ გახსოვდეთ, თქვენი შთამომავლობა დაიტირებს ამ უბედურებას.

– მე მთელი სულით მოხარული ვიქნებოდი, პასუხობდა ზურაბი, – და ვისურვებ, რომ რუსეთმა იმერეთი თავის მფარველობაში მიიღოს, მაგრამ მე რა ვიღონო, როცა ძმასა და ბერო წულუკიძეს არ სურთ ელჩების რუსეთში გამგზავრება.

– დაიყოლიეთ თქვენი ძმა, მიატოვეთ წულუკიძე და მიმართეთ მეფეს; წულუკიძე მარტო ვერაფერს გახდება.

ვიტენბერგის რჩევამ გაჭრა და თავადი წერეთლები დავითს შეურიგდნენ.[27] მეფემ მოინდომა, ესარგებლა ამ შერიგებით და დაესაჯა თავადი წულუკიძეები. მან ბრძანა ალყა შემოერტყათ მათი სახლისათვის ქუთაისში მთელი ოჯახის ხელში ჩაგდების განზრახვით. ამასობაში თავადი წულუკიძის ერთ-ერთი ქალიშვილი უკვე დანიშნული იყო მეფისწულ ვახტანგზე, მეფე ერეკლეს ვაჟზე და სასიძო უმოკლეს ხანში უნდა ჩასულიყო ქუთაისში. შეიტყო რა თავად წულუკიძეებისათვის დამუქრებული საფრთხის თაობაზე, მეფისწულმა დავით არჩილის ძემ, როგორც ვახტანგ მეფისწულის ნათესავმა, შეყარა შეიარაღებული ჯგუფი და გაემართა ალყაშემორტყმულთა გადასარჩენად. სისხლისღვრისა და, რაც მთავარია, მეფე ერეკლე II-ს ჩარევის ასაცილებლად მეფე დავითმა უარი თქვა წულუკიძის შეპყრობის გადაწყვეტილებაზე და მეფისწულ დავითის გულის მოსაგებად, გადაწყვიტა მისთვის დაეთმო მინდა ციხე რაჭის ოლქში, ყველა მასზე მიმაგრებული სახლებითა და მამულებითურთ.[28]

თავადი წულუკიძეები შეურიგდნენ მეფეს და დაიფიცეს მის ერთგულებაზე, ხოლო დავითმა არა მხოლოდ მოუტევა მათ, არამედ შემდგომ უშუამდგომლა კიდეც ერთ-ერთ მათგანს, სახელდობრ სარდალს, რომ იმპერატრიცას დაეჯილდოებინა.[29] მეფისწულმა დავით არჩილის ძემ თავის საქციელით

[26] ჯ. ს. პოტიომკინის პატაკი თავად პოტიომკინს 10 ოქტომბერს, № 461.

[27] ექიმ ვიტენბერგის წერილი გენერალ პოტიომკინს 1784 წლის 9 აგვისტოს. სახ. არქივი, XXIII, № 13, ბარათი 47.

[28] მეფის წულ დავითის უთარიღო წერილი მეფე ერეკლეს, სახ. არქივი, XXIII, № 13, ბარათი 47.

[29] მეფე დავითის წერილი თავად პოტიომკინს 1784 წლის 7 სექტემბერს, სახ. არქივი, XV, 210.

მოიპოვა დიდი მნიშვნელობა იმერეთში, მაგრამ ამასთან – არაკეთილგანწყობა მეფისა და მის ერთგულთა მთელი ჯგუფისა. „ჩვენ და დავითი, ძმისწული ჩვენი, წერდა მეფე პოლკოვნიკ ბურნაშევს,[30] მშვიდად ვერ ვიქნებით და ჩვენს შორის თანხმობისა და სიყვარულის დამყარება ვერ იქნება, ისევე როგორც ჩვენი ცხოვრება – წარმატებული. ამისათვის გთხოვთ, მოახსენოთ მის უმაღლესობა მეფეს (ერეკლეს), რათა მან დაგვანებოს ამ ახალგაზრდა კაცის წესიერად აღზრდა და უბრძანოს არასანდო ადამიანებს, მცირე ხნით გაშორდნენ მას ჩვენი საერთო სარგებლისათვის.“

იმერეთის მეფე მეფისწულ დავითში ხედავდა თავისთვის საშიშ მეტოქეს და ამიტომ ეძიებდა საშუალებას ან მის დასასუსტებლად, ან საერთოდ იმერეთიდან გასაძევებლად. მათ შორის აღძრული მტრობა, როგორც დავინახავთ, იყო საბაბი მრავალი მღელვარებისა ქვეყანაში, რომელიც ამის გარეშეც გამოირჩეოდა სრული ანარქიით, ქვეყანაში, სადაც მეფის ძალაუფლება ჯერ კიდევ არ გამყარებულიყო, სადაც თავადები და ხალხი მიეჩვია თვითნებობას, სადაც თითოეული ეძიებდა შემთხვევას მღვრიე წყალში თევზის დასაჭერად და მოყვასის ხარჯზე გასამდიდრებლად. მხოლოდ რუსეთის მონაწილეობა, რომელსაც ის იღებდა ერთმორწმუნე ხალხისათვის, იცავდა იმერეთს გახრწნისა და საბოლოო დალუპვისაგან.

იცოდა რა რუსეთის მფარველობის შესახებ, სამეგრელოს მფლობელმა, თავადმა დადიანმა, შეწყვიტა თავისი მცდელობები და აღიარა იმერეთის მეფის უმაღლესი ხელისუფლება. მის მაგალითს მიჰყვა გურიის მთავარიც. ერთმანეთთან შეხვედრისას მეფე დავითმა და ორივე ამ მთავარმა დაადგინეს, ეცხოვრათ მშვიდობიანად, დახმარებოდნენ ერთმანეთს ყოველივეში, რაც ეხებოდა სიმშვიდესა და იმერეთის მთლიანობას და განსაკუთრებით ერთსულოვნად ემოქმედათ საგარეო მტრების წინააღმდეგ, რომლებიც უკვე მზად იყვნენ იმერეთში შესაჭრელად.

გურიის მფლობელმა და სამეგრელოს დადიანმა მიიღეს რამდენიმე წერილი ქაიხოსრო აბაშიძისგან, რომელშიც იგი იტყობინებოდა თურქეთის მრავალრიცხოვანი ჯარით ბათუმში მალე ჩამოსვლის შესახებ და მოუწოდებდა მათ მასთან შეერთებისაკენ, თუკი არ სურდათ თავის დალუპვა.[31]

მაისში თავადი ქაიხოსრო აბაშიძე ჩავიდა ანატოლიის ფაშა აჯი-ალისთან და გადასცა მას პორტას ფირმანი, სადაც ნაბრძანები იყო, შეეკრიბა ოცდაათათასკაციანი ჯარი და ბაირამობის დღესასწაულის შემდეგ გაყოლოდა მას იმერეთში თავად აბაშიძის იმერეთის ტახტზე ასაყვანად.

– მე თვითონ არ წავალ და უახლოესი მოხელეებიდანაც არავის გავუშვებ, ეუბნებოდა ფაშა ერთ-ერთ ჩვენს მოხელეს;[32] – არამედ გავაგზავნი ვინმეს გარეშეთაგანს. თუკი რუსეთი ან საქართველო გამოექომაგებიან იმერეთს, მაშინ არ მივიღებ ამაში მონაწილეობას და ამ საქმეს შევხედავ როგორც გარეშე პირი.

აჯი-ალი ფაშამ ვერ გაბედა პორტას ბრძანებისადმი ურჩობა და რამდენიმე ხომალდი სურსათით ფოთში გააგზავნა და ამზადებდა ჯარს იქითკენვე გასაგზავნად.

მეფე დავითმა, როცა მიიღო შეტყობინება თავად აბაშიძის განზრახვის შესახებ, შეჭრილიყო იმერეთში თურქული ჯარით, დაიწყო თავდაცვისთვის მომზადება. ის აგროვებდა ჯარს და სამშობლოს წარმატებით დასაცავად ეშმაკობას მიმართა. მეფემ შეადგინა ყალბი წერილი, მისადმი თითქოსდა გენერალ პოტიომკინისაგან გამოგზავნილი და წაიკითხა ის წარჩინებული დიდებულებისა და ხალხის კრებაზე. წერილის შინაარსის მოსმენის შემდეგ, სადაც რუსეთისაგან დახმარება იყო შეპირებული იმ შემთხვევაში, თუკი სამშობლოს საერთო მტრების წინააღმდეგ იმერლები ერთსულოვნად იმოქმედებდნენ, ყველა შეკრებილმა დაიფიცა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაეცვა ქვეყანა და დაადგინეს, რუსეთში დაუყოვნებლივ გაგზავნილიყო ელჩობა.[33]

[30] I ივლისის წერილში, სახ. არქივი, XXIII, № 13, ბარათი 47.

[31] თავად ქაიხოსრო აბაშიძის წერილი გურიელს, სახ. არქივი, XXIII, № 13, ბარათი 46.

[32] გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინის მიერ ფაშასთან წერილის გადასაცემად გაგზავნილ პირს. იქვე.

[33] ვიტენბერგის წერილი გენერალ პოტიომკინს 1784 წლის 9 აგვისტოს. აი, მეფე დავითის მიერ პ. ს. პოტიომკინის სახელით დაწერილი და კრებაზე ნაკითხული წერილის თარგმანი: „ჩემამდე მოაღწია უწყებამ თურქების მოახლოების შესახებ და ასევე გავიგე, რომ მოდიან თქვენზე და თქვენ ქვეყანაზე თავდასხმელად. მათ მოუძღვის ერთ-ერთი იმერელი, ქაიხოსრო აბაშიძედ ნოდებული, რომელსაც შეპირდნენ იმერეთის სამეფოს. მასთან ერთად მოდის ოცი ათასი თურქი მის გასამეფებლად, სულთნისადმი დაპირების სანაცვლოდ. ჩააყენონ იმერეთი, როგორც ადრე იყო, მონობაში და მუდმივი გადასახადით ორივე სქესის ყმანეილებით. მაგრამ ვინ გაბედავს იმ მინაზე თავდასხმას, რომელსაც იცავს მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა? შეიძლება მათ არ უნყიან, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა მფარველობს იმერეთს და რომ იმერლები იმპერატორის ტახტის უერთგულესი ქვეშევრდომები არიან.

განსვენებული მეფე სოლომონი დიდი ხანია უკვე იმყოფება უაეგუსტესი გულუხვი ხელმწიფის მარჯვენა ხელის საფარველში. თქვენო უგანათლებულესობავ. ყველას აცნობეთ, რომ თუკი თურქები მიუახლოვდებიან იმერეთს, მე ნაბრძანები მაქვს, შევენინააღმდეგო მათ არა მხოლოდ განადგურებით, არამედ იქ შესვლითაც. როგორც კი თქვენ ამის შესახებ მაცნობებთ, მე მივიღებ სათანადო ზომებს; ჯარი აქ მზადაა და არაეის ძალუძს, ნინ აღუდგეს მას. მე ნაბრძანები მაქვს, არაეინ შემოეუშვა და ახლა თქვენ იყავით ფრთხილად და მამაცურად. ყველაფრის შესახებ მაუწყეთ მე და გამოაგზავნეთ ელჩები, რათა მათ

ელჩობის შემადგენლობაში დაინიშნენ კათოლიკოსი მაქსიმე, სარდალი და სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, პირველი მდივანბეგი, თავადი დავით კვინიხიძე და თავადი ბესარიონ გაბაშვილი (ტექსტშია გაბანოვ – დ. მ.). აგვისტოს ბოლოს ელჩებმა დატოვეს იმერეთი და გაემგზავრნენ პეტერბურგს, სადაც ჩავიდნენ ქრისტეშობის დღეს, 25 დეკემბერს.

ჩასვლიდან მესამე დღეს ელჩობა მიიღო თავადმა პოტიომკინმა, რომლის დიდებული შესახედაობა და მხიარული სახე მაქსიმე კათალიკოსის გამოთქმით,[34] „მფარველობას გვპირდებოდა“. უგანათლებულესმა დაგვაიმედა იმპერატრიცას წყალობით, რომელმაც ელჩებს უბოძა 8 000 მან.[35] და 29 დეკემბერს თავისი აუდიენციის ღირსი გახადა. ელჩები აღფრთოვანებულნი იყვნენ დიდი მონარქინიას კეთილგანწყობით, მისი დაიმედებებით, დაბოლოს, თვით ცერემონიით, რომლითაც ისინი წარუდგინეს იმპერატრიცას.

უბოძა რა მეფეს წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენი და ძვირფასი საჩუქრები როგორც მას, ასევე მის მეუღლეს, იმპერატრიცა წერდა დავითს:[36] „თქვენი და თქვენი ქვეშევრდომი ხალხისა ჩვენსა და ჩვენი იმპერიისადმი გულმოდგინებისა და ერთგულების გრძნობა, გამოხატული თქვენს წერილში, რომელიც ჩვენ მივიღეთ თქვენი ელჩებისაგან, ჩვენ ვიწყნარებთ გამორჩეული მოკრძალებით.

ვუშვებთ რა ამ თქვენს ელჩებს, რომელთა ჩვენდამი ერთგულება და მათი სამშობლოს სიკეთისათვის მოშურნეობა ღირსია ქებისა, თქვენს უგანათლებულესობას განვუახლებთ ჩვენს რწმუნებას, რომ ჩვენ გინარჩუნებთ თქვენ და ყველა თქვენზე დამოკიდებულს ჩვენი იმპერატორობით წყალობასა და მფარველობას და არ შევწყვეტთ იმერეთის ხალხის სიკეთისთვის ზრუნვას.

ვადასტურებთ ჩვენს სურვილს, რომ თქვენმა უგანათლებულესობამ, თქვენს სახელგანთქმული წინამორბედის, ნეტარი სოლომონის მსგავსად, საქმეებისა და საჭიროების შემთხვევაში მიმართოთ ჩვენს გენერალ-ფელდმარშალ გრიგოლ ალექსანდრეს ძე პოტიომკინს, რომელსაც ჩვენგან ჩაბარებული აქვს ჩვენი სასაზღვრო სამხედრო ძალებისა და იმავე მხარის საქმეთა მთავარი ხელმძღვანელობა და მმართველობა და რომ მისი კეთილი რჩევები მიიღოთ და შეასრულოთ.“[37]

მაშინ როცა პეტერბურგში ელჩობისათვის ზეიმს ზეიმი მოსდევდა, იმერეთში სხვაგვარი მოვლენები ხდებოდა: იქ შეჭრილი თურქები ძარცვავდნენ და აოხრებდნენ ქვეყანას.

სექტემბრის შუახანებში თავადი ქაიხოსრო აბაშიძე მართლაც ჩავიდა ბათუმში, სადაც მასთან ერთად მივიდა თურქული ჯარის ნაწილიც; მეორე ნაწილი გადმოსხდა ფოთში. იმერეთის ტახტის ახალი პრეტენდენტი ყველგან წერილებს აგზავნიდა და იმერლებს მის მხარეზე გადასვლისაკენ მოუწოდებდა. თავადი აბაშიძე თავიდან გურიელსა და დადიანს სთავაზობდა კავშირსა და მეგობრობას, მაგრამ ჯერ მათი გადაბირებაც ვერ მოესწრო თავის მხარეზე, რომ დაიწყო მძევლების მოთხოვნა.[38]

არ არღვევდა რა ტრაქტატებსა და სამშვიდობო დადგენილებებს პორტასთან, ჩვენს მთავრობას იმერეთისათვის თურქების ჩანაფიქრის წინააღმდეგ მხოლოდ ირიბი დახმარებისა და თანადგომის გაწევა შეეძლო. გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინმა მეფე დავითს გარკვეული თანხა გაუგზავნა სამხედრო საჭიროებებისათვის. ჩვენი ინტერესებისადმი სამეგრელოს დადიანის ყურადღების მისაპყრობად და დადიანის რუსეთისადმი ერთგულების შესახებ მისი დის, დედოფალ დარეჯანის მიერ დამოწმების მოტივით, იმპერატრიცა ეკატერინე II-მ მას უბოძა წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი მარგალიტის ვარსკვლავით, ლენტა და ათი ვარსკვლავი გამშვენების გარეშე. ამასთან სამეგრელოს მფლობელს ეცნობა, რომ თუ იგი რუსეთისადმი კეთილგანწყობას შეინარჩუნებს და დარჩება მისი ერთგული, მაშინ შესაძლებელია, უფრო მეტი წყალობის იმედიც ჰქონდეს.

ამასთან ერთად იმპერატრიცამ ბულგაკოვს, თავის ელჩს კონსტანტინოპოლში, დაავალა მოეთხოვა პორტასაგან, რომ მას ხელი აეღო იმერეთსა და საქართველოზე ყოველგვარი თავდასხმისაგან. ბულგაკოვს უფლებამოსილება მიეცა, განეცხადებინა თურქეთის მთავრობისათვის, რომ რუსეთი მისი ერთმორწმუნე ხალხების დასაცავად და მათი ჩაგვრისაგან გასათავისუფლებლად გამოდიოდა იმ მიზნით, რათა ისინი ყოველთვის უზრუნველყოფილნი ყოფილიყვნენ უსაფრთხოებით და ჰყოლოდათ საკუთარი მმართველობა და რომ რუსეთის მთავრობას არ შეუძლია გულგრილად

დაინახონ უმაღლესი კარის დიდებულება“ (სახ. არქივი, XV, 210).

[34] სახ. არქივი, XV, 210.

[35] კათოლიკოსს 2 000 მ., თავადებს – ნერეთელსა და კვინიხიძეს 1500-1500 მ., ამალას 1 000 მ., და საკვებისათვის 2 000 მ.

[36] მეფეს ენყალობა: ბრილიანტის სათი, სიასამურის ბენვი, ორშოცი სიასამური, ყარყუმის ბენვი, ფარჩის სამი ნაჭერი. ათი პოლოვინკა (პოლოვინკა უდრის 20-30 არშინს – დ. მ.) ქსოვილი; დედოფალს: ბრილიანტის საყურეები, ორშოცი სიასამური, ყარყუმის ბენვი და სამი ნაჭერი ფარჩა.

[37] მისი უდიდებულესობის კაბინეტის არქივი, 441.

[38] მეფე დავითის წერილი მაქსიმე კათოლიკოსს 26 სექტემბერს. გენ.-პორ. პოტიომკინის პატაკი თავად თავრიდელისადმი (იგულისხმება გ. პოტიომკინი – დ. მ.) 10 ოქტომბერს, № 461.

უყუროს „მათთვის მომზადებულ“ ახალ უბედურებას. უნდა რა შეინარჩუნოს მეგობრობა და კეთილი თანხმობა ოტომანთა პორტასთან, რუსეთის მთავრობა ძალზე შეწუხდება, თუკი ეს სახელმწიფო თავისი ქმედებით საბაბს მისცემს ახალ დაპირისპირებას, რომელიც გამოიწვევს რუსეთის ერთმორწმუნე ხალხის დაჩაგვრას. თუ დატოვებს იმერეთის ხალხს ახლანდელ მდგომარეობაში, ამჟამინდელი მეფის მმართველობაში, რომელიც არჩეულია სახალხო ნებითა და განსვენებული სოლომონის მითითებით, პორტა შეინარჩუნებს სიმშვიდეს იმ მხარეში და ამასთან ერთად დაამტკიცებს თავის მშვიდობისმოყვარეობას, მაშინ როცა, ამის საწინააღმდეგოდ, ყოველგვარი თავდასხმა საქართველოსა და იმერეთზე პეტერბურგის კარს არ შეუძლია,მიიღოს სხვანაირად, თუ არა არამეგობრული მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ.

ბოლო დროს და სახელდობრ, საქართველოს რუსეთის მფარველობაში მიღების შემდეგ თურქი ფაშები ერეკლესათვის ვნების მისაყენებლად ლეკებთან აგზავნიდნენ ამაფორიაქებელ წერილებს რუსეთისათვის „უხამსი გამოთქმებით“, ხოლო ამიტომ, რათა „თურქეთის სამინისტრომ არ იფიქროს, რომ მათ შეუძლიათ ნელ-ნელა აამოქმედონ ჩვენთვის მაენებელი თავიანთი განზრახვები“, იმპერატრიცამ დაავალა ბულგაკოვს, ეკითხა პორტასათვის, მისი ბრძანებით იგზავნება ამგვარი ამაფორიაქებელი მოწოდებები, თუ ფაშების თვითნებობით? პირველ შემთხვევაში აგრძნობინოს მას, ამგვარი მოწოდებების შემდგომმა დაგზავნამ შეიძლება გამოიწვიოს უსიამოვნო შედეგები, ხოლო მეორეში, ანუ თუკი თურქეთის მთავრობა მთელს ბრალს დააკისრებს საზღვრისპირა ფაშებს, მოითხოვოს მკაცრი საყვედურის გამოცხადება მათ, როგორც ორ მეგობარ სახელმწიფოს შორის მშვიდობისა და კეთილი თანხმობის დარღვევის საბაბის მიმცემთა მიმართ.[39]

მოსალოდნელია, წერდა იმპერატრიცა ეკატერინე სხვა რესკრიპტში ბულგაკოვს,[40] რომ თურქეთის სამინისტრომ დაიწყოს ლაპარაკი იმერეთის ხალხის შესახებ, რომ ის არის ოტომანთა პორტას ქვეშევრდომი და ამიტომ მიითვისონ უფლება, შეცვალონ იქ მფლობელები თავის ნებაზე. მაგრამ ასეთი ცვლილების დაშვება ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია, ხოლო თუკი თქვენ ვერ შეძლებთ პორტას იმდენად დამშვიდებას, რომ მან შეწყვიტოს ყოველგვარი მოძრაობა იმ მხარეში შემდგომში ახსნა-განმარტების გარეშე, ნებას გრთაეთ ეს საქმე მოლაპარაკების საგნად აქციოთ, ოღონდ აუცილებელი მოთხოვნით, რომ ამ მოლაპარაკებების დასრულებამდე არავითარი დაბრკოლება არ შეექმნას იმერეთის ამჟამინდელი მეფის მმართველობას და რომ ჯარი იმ ქვეყანაში და მის წინააღმდეგ გაგზავნილი არ იქნას. რაც შეეხება ქართლის მეფესა და მის მიწებს, და საერთოდ სპარსეთის საქმეებს, ამ მხრივ პორტას მხრიდან არავითარი საკითხის დასმა არ შეიძლება.“

ეს ინსტრუქცია ბულგაკოვამდე მისულიც არ იყო, როცა თურქები 30 ოქტომბერს 6 000 კაცით შეიჭრნენ გურიაში. ოზურგეთამდე მისულებმა გაძარცვეს და დაწვეს შეიდი სოფელი, გაფანტეს მოსახლეობა, მაგრამ ტყვედ ვერც ერთი ვერ იგდეს, ვინაიდან გურულებმა შეიტყვეს მტრის მოახლოება და დროულად შეაფარეს თავი უსაფრთხო ადგილებს.[41] მეფე დავითმა შეაგროვა 4 000-მდე იმერელი, მათთან ერთად გავიდა ქუთაისიდან და 3 ნოემბერს მივიდა სოფელ საჯავახოსთან, სადაც გაჩერდა რამდენიმე დღით, რათა დალოდებოდა მასთან ახალი ჯარის მოსვლას. მან გააგზავნა ელჩი გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინთან დახმარების თხოვნით და არწმუნებდა მას, რომ მისი დროშის ქვეშ შეკრებილი იმერლები ყველანი იწვოდნენ მტერთან შებმის სურვილით.[42]

დაგეგმილი ბრძოლის წინ ბოლო გასვლისას დავითთან გამოცხადდა გენერალ პოტიომკინის ელჩი წერილით. მეფემ ისარგებლა ამით და თხოვა მოციქულს, შეშოველო მისი ჯარისთვის, ამავე დროს დავითის ახლობლებმა გაავრცელეს ხმა, თითქოს რუსთა რამდენიმე პოლკი გამოგზავნილი იყო კავკასიის ხაზიდან იმერელთა გასაძლიერებლად და რომ მოციქულმა გამოუსწრო მათ მხოლოდ იმისათვის, რათა საჩქაროდ მოეტანა ეს ცნობა იმერელთა ჯარის ბანაკში. როგორი გულუბრყვილოც არ უნდა ყოფილიყო ეს ხმები, ამან გაამხნევა ქრისტიანთა ჯარი იმდენად, რომ შემდგომ დავითი ნანობდა, რომ მას აღარ მოუწია თურქებთან შებმა.[43] მეფე დავითი შევიდა მტრის ზურგში, დაიკავა ყველა მათი უკან დასახევი გზა და 12 ნოემბრის ღამეს აპირებდა თურქებზე შეტევას, მაგრამ ჩემდა სამარცხვინოდ, წერდა იგი,[44] „უცნობია, ჩვენი წრიდან თუ ვინ გააფრთხილა ჩემი მტრები.“ თურ-

[39] რესკრიპტი ბულგაკოვისადმი 7 ოქტომბერს, სახ. არქივი, XXIII, № 13, ბარათი 49.

[40] იმავე რიცხვის რესკრიპტი, იქვე.

[41] დავით მეფის წერილი კათოლიკოს მაქსიმეს დეკემბერში უთარიღოდ. სახ. არქივი. XV, № 210.

[42] დავითის წერილი გენერალ პოტიომკინს 3 ნოემბერს, სახ. არქივი, XXIII, № 13, ბარათი 48. ბურნაშევის პატაკი მასვე 8 ნოემბერს, იქვე, ბარათი 47.

[43] პ. ს. პოტიომკინის პატაკი თავად პოტიომკინს (იგულისხმება გ. პოტიომკინი – დ. მ.). 1785 წლის 22 იანვარს, № 6. დავითის უთარიღო წერილი პოტიომკინს, სახ. არქივი, XXIII, № 13, ბარ. 49 და 50.

[44] დეკემბერში კათოლიკოს მაქსიმეს, სახ. არქივი, XV, № 210.

ქებმა, რომლებიც სურსათის უკიდურეს ნაკლებობას განიცდიდნენ, როგორც კი შეიტყვეს რუსული ჯარის წარმოსახვითი მოახლოების შესახებ და გაიგეს, რომ უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდათ, და რომ იმერლები აპირებდნენ შემოტევას, არ დაელოდნენ თავდასხმას. ისინი გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს, მცირე ჯგუფებად გააღწიეს ფოთში და იმერლებს ნადაელად დაუტოვეს მთელი თავიანთი ბანაკი, აღალი, ბარგი, აღჭურვილობა, 1400 თოფი და შეკაზმული ცხენებიც კი.[45] თურქების ხელმძღვანელი და თავისი სამშობლოს უბედურებაში დამნაშავე თაყადი ქაიხოსრო აბაშიძე გაიქცა ტრაპეზუნტში, საიდანაც მეტად აღარ დაბრუნებულა.

დავითი ზეიმობდა. „თქვენო აღმატებულებავ, წერდა ის პოტიომკინს, დაგვიდასტურეთ ურყევი შეერთების შესახებ, მაქვს პატივი, შეგატყობინოთ, რომ ერთსულოვნება ამჟამად იმდენად მტკიცეა, რომ თითქოს ყველას გული ერთი მთლიანობაა. ყველა ერთსულოვნად მზად ვართ თავდასაცავად; ყველა ერთხმად ვევედრებით უფალს ჩვენი უაგვუსტესი ხელმწიფისათვის.“

თურქების გაძევებით იმერეთმა თავისუფლად ამოისუნთქა გარე მტრებისაგან, მაგრამ თავი ვერ დააღწია შიდა არეულობას. მეფე დავითს ხალხის სამართავად არ გააჩნდა ის ნიჭი, როგორიც ჰქონდა განსვენებულ მეფე სოლომონს, არ შეეძლო თავის დაჭერა თავის ქვეშევრდომებთან დ ამიტომ მუდმივად შეულლობდა თავის დიდებულებთან. იმერელთათვის მეტად პატივცემულმა თაყადებმა, წერეთელმა, წულუკიძემ და სხვა პირებმა, რომლებიც არ სარგებლობდნენ მეფის ნდობით, უარი თქვეს თანამდებობებზე, გაეშურნენ თავიანთ მამულებში და არ იღებდნენ არავითარ მონაწილეობას ქვეყნის მართვაში. უბრალო ხალხი ურჩობდა, არ ემორჩილებოდა არც მეფესა და არც მის დაყენებულ მმართველებს, რომლებიც უმეტესად არჩეული იყვნენ იმ პირთაგან, პატივისცემას რომ არ იმსახურებდნენ. სამეფოს მთელ საქმეებს უძღვებოდა საქართველოდან გამოქცეული თავადი ელიზბარ ერისთავი, რომელიც დაქორწინებული იყო განსვენებულ მეფე სოლომონის ქალიშვილზე, მაგრამ ნაკლებად უნარიანი – სახელმწიფო საქმეების სამართავად. მეფე დავითი, უწიგნურობისა და საქმეებში გამოუცდელობის დაბოლოს, ხასიათის სისუსტის გამო მხოლოდ ხლართავდა საქმეებს და მიჰყვებოდა ვინმეს პირველივე რჩევას თავისი გარემოცვიდან, რომელიც შერჩეული იყო ღარიბ და მღელვარე ადამიანთაგან. სარგებლობდნენ რა მეფის ხასიათის სისუსტით, მასთან დაახლოებულნი ძარცვავდნენ დავითს, რომელიც ძალიან ღარიბად ცხოვრობდა და ხშირად პურის გარეშეც იმყოფებოდა. მეფე იძულებული გახდა, 1785 წლის დასაწყისში საკუთარი თავის გამოსაკვებად ხალხისათვის ახალი გადასახადები დაედო, მაგრამ იმერლებმა უარი თქვეს მათ გადახდაზე და სახალხო კრების შემდეგ დაადგინეს, მეფისათვის თითოეულ კომლზე მიეცათ თუმანი, 60 კაპიკი ცხვრის ნაცვლად, 6 ფუთი ღომი, 15 სათლი ღვინო და შემდეგ – მეტი აღარაფერი.

სამეგრელოს დადიანთან შერიგებული მეფე დავითი მას მიიჩნევდა საუკეთესო მეგობრად და იმდენად მოექცა მის გავლენაში, რომ დადიანის რჩევის გარეშე რაიმე მნიშვნელოვანს ველარაფერს ილონებდა არც საგარეო და არც საშინაო საქმეებში.[46] მან დადიანს მმართველობაში გადასცა 700 კომლამდე, საიდანაც მისაღები შემოსავლებიც მის სასარგებლოდ დათმო, მაგრამ დადიანი, მადლიერების მანგიერ, ცდილობდა მეფის ხარჯზე გაძლიერებულიყო და მხარს უჭერდა იმერეთში მუდმივ დაპირისპირებებს.[47]

[45] პ. ს. პოტიომკინის პატაკი თავად პოტიომკინს 1785 წლის 22 იანვარს. № 6.

[46] მალე ლაშქრობიდან ქუთაისში დაბრუნების შემდეგ, დავითმა იქ ნახა სულეიმან ახალციხის ფაშას ელჩი წერილით. ფაშას წერილზე პასუხის დანერამდე დავითი რჩევისათვის გაემგზავრა დადიანთან. შეხვდა მას მდინარე ცხენისწყალზე და მხოლოდ უკან დაბრუნების შემდეგ გაუშვა ელჩი პასუხით.

[47] ბურნაშევის მოხსენება გენერალ პოტიომკინს 1785 წლის 19 აგვისტოს, № 13.

NIKOLAY DUBROVIN ABOUT THE KINGDOM OF IMERETI

David Merkviladze

Nikolai Dubrovin (1837-1904) studied Russian military history for a long time based on archival documents. After graduating from artillery school, he served in the Russian army as an officer. He started from the Artillery brigade and then moved to the headquarters of the St. Petersburg District Artillery Division. In 1869 he was sent to the Army General Staff for military-historical researches.

In 1886 General-Major N. Dubrovin was elected a member of the Russian Academy of Sciences. And from 1893, he was its indispensable secretary until his death. N. Dubrovin has received numerous state awards.

He has studied and published the history of the wars waged by the Russian Empire in the XVIII-XIX centuries. Naturally, N. Dubrovin was a staunch supporter of Russian imperial policy and ideology in general. However, since the author uses very significant archival materials (which modern Georgian scholars currently have little access to), N. Dubrovin's works still do not lose relevance today.

We are especially interested in N. Dubrovin's work – "History of War and Domination of Russians in the Caucasus" ("История войны и владычества русских на Кавказе"), published in six volumes in St. Petersburg in 1871-1888.

This time we would like to introduce the Georgian translation of a part of N. Dubrovin's aforementioned work to the readers of "Georgian Source-Studies". This section is the fourth chapter of Volume 2, published by the author in 1886. There is some important information about the Imereti Kingdom in the1780s.

გიიომ-ანტუან ოლივიეს მისია ირანში (1796) და მისი ცნობები საქართველოს შესახებ

ირინე ნაჭყებია

ფრანგი ნატურალისტების მისია ირანში. 1792 წლის ოქტომბერში საფრანგეთის პირველი რესპუბლიკის უმაღლესმა ორგანომ, დირექტორიამ, ირანთან XVII საუკუნის 20-იან წლებში დაწყებული დილომატიური და სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა გადაწყვიტა. საფრანგეთის იმჟამინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, ჟან-მარი როლანის ინიციატივით, ორ ფრანგ მეცნიერს – ენტომოლოგ გიიომ-ანტუან ოლივიესა (1756-1814) და ზოოლოგ ჟან-გიიომ ბრუგიერს (1749-1798) ოსმალეთის იმპერიისა და მისი მიმდებარე ქვეყნების მდგომარეობის შესწავლა და მათთან საფრანგეთის ვაჭრობის განვითარების პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის მოპოვება დაავალა. გასაოცარი იყო, რომ ასეთი მისია დაავალეს ორ ნატურალისტს, რომელთათვის აღმოსავლეთი სრულიად უცნობი გახლდათ და არა კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს წევრებს ან აღმოსავლეთში მყოფ კონსულებს. ბერნარ როლანის – საფრანგეთის ინსტიტუტის წევრის თქმით, ამ მისიამ ისინი სიკვდილს გადაარჩინა: ძველი რეჟიმის დროს ოლივიესა და ბრუგიერს ჰყავდათ მფარველები, რომლებზეც რევოლუციის დროს იძიეს შური. ამრიგად, ზოგიერთ პოლიტიკოსს ესმოდა, რომ იდეოლოგიისა და პოლიტიკის დაუნდობელ ბრძოლაში ერს თავისი სამეცნიერო ელიტის გაწირვა არ შეეძლო (ბერნარი 1997: № 4, 1162-1163).

გიიომ-ანტუან ოლივიე და ჟან-გიიომ ბრუგიერი მარსელიდან კონსტანტინოპოლში 1792 წელს გაემგზავრნენ; მათ ოსმალეთის იმპერიის აზიური და ევროპული მხარეები მოიარეს, 1794 წლის დეკემბერში კი ეგვიპტეში ჩავიდნენ, სადაც 1795 წლის გაზაფხულზე მიიღეს კონსტანტინოპოლში საფრანგეთის რესპუბლიკის საგანგებო წარგზავნილის, რაიმონ ვერნინაკის წერილი, რომელიც იმ დროისთვის დამახასიათებელი რევოლუციური რიტორიკის სტილში იყო შედგენილი: ვერნინაკი წერდა:

„თქვენ წინ ახალი კარიერა იხსნება. [...] ამჯერად თქვენ სპარსეთი გიხმობთ. ამ თითქმის უცნობ მხარეში ბუნება და პოლიტიკა ფართო ასპარეზს სთავაზობს თქვენს სამეცნიერო დაკვირვებებსა და ნიჭს. რესპუბლიკა თქვენგან თავდადებას ელის და იმედოვნებს, რომ მთელ სპარსეთს მოივლით. [...] მოქალაქეებო, გიდასტურებთ ჩემს გრძნობებს რესპუბლიკისადმი და მის სიყვარულს მეცნიერების მიმართ“ (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: doc. 2. fol. 40r-40v).

საიდუმლო ინსტრუქციის თანახმად, ფრანგ მეცნიერებს ირანის ახალი მბრძანებელი, აღა მაჰმად ხანი, უნდა დაერწმუნებინათ, რომ საფრანგეთს შეკავშირებოდა რუსეთის წინააღმდეგ (ბერნარი 1997: № 4, 1164). ეს იყო 1793 წელს საფრანგეთის წინააღმდეგ შექმნილი პირველი ევროპული კოალიციისთვის დაპირისპირების მცდელობა.

ფრანგი მეცნიერები ირანში 1796 წლის 2 ივლისს ჩავიდნენ. ცნობები ირანში არსებული ვითარებისა და ფრანგი მეცნიერების მიერ თეირანში წარმოებული მოლაპარაკებების შესახებ, ასახულია ოლიეიეს „მოგზაურობის“ მესამე ტომში.

1796 წლის 22 სექტემბერს ფრანგი მეცნიერები რამდენიმე აღმოსავლურ ენაზე მოლაპარაკე დრაგომანის, სიცილიელი კარამანის თანხლებით, თეირანის სასახლეში მივიდნენ თავიანთი მიღების საკითხის გასარკვევად. სასახლის ოფიცრებმა დრაგომანს ევროპელების ვინაობისა და ჩამოსვლის მიზეზი გამოკითხეს, განსაკუთრებით კი მათ მიერ ჩამოტანილი საჩუქრების საკითხით დაინტერესდნენ. ფრანგებმა უპასუხეს, რომ ისინი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში არ იმყოფებოდნენ საფრანგეთში, ირანში წასვლის ბრძანება დიდი სენიორის[1] სახელმწიფოში ყოფნის დროს მიიღეს და ამიტომ საინტერესო ფრანგული ნივთები არ ჰქონდათ.

ოლივიესა და ბრიუგერის პირველი აუდიენცია აღა მაჰმად ხანის პირველ ვეზირთან, ჰაჯი იბრაჰიმ ხანთან, 23 სექტემბერს, დილით შედგა. მისალმებისა და დაჯდომის ნებართვის მიღების შემდეგ, ფრანგმა დიპლომატებმა მას გადასცეს საფრანგეთის მთავრობის წერილი თარგმანითურთ და ბაღდადის ფაშის წერილი, რომელშიც ოსმალეთის დიდი ვეზირის მითითებების თანახმად, ფაშა ფრანგებს ვეზირის წინაშე უწევდა რეკომენდაციას. სპარსელმა დიდმოხელემ ორივე წერილი ყურ-

ადღებით ნაიკითხა, რესპუბლიკის წერილის თარგმანი თავის მდივანს გადასცა, დედანი კი დაიტოვა.

ჰაჯი იბრაჰიმ ხანთან ფრანგი წარგზავნილების მეორე აუდიენცია 24 სექტემბერს, აგრეთვე დილით შედგა. ჩვეული მისალმების შემდეგ, ფრანგმა ემისრებმა თქვეს, რომ ოსმალეთის სხვადასხვა პროვინციებში მათი მოგზაურობის დროს, საფრანგეთის მთავრობას შეეტყო ალა მაჰმად ხანის წარმატებების შესახებ და „ისინი მის მინისტრებთან სხვადასხვა დავალებებით გაგზავნეს“. სპარსელ ვეზირთან საუბრისას მეცნიერებმა საფრანგეთსა და ირანს შორის დადებული ორი ხელშეკრულება გაიხსენეს, რომელთაგან მეორეს სპარსეთის ელჩმა[2] პარიზში მოაწერა ხელი. ფრანგებმა იმ უპირატესობაზე ისაუბრეს, რომლის მიღებაც შეეძლებოდა მათ სახელმწიფოებს, რომ არა მათ ქვეყნებში მომხდარი ომები. შემდეგ, მათთვის მიცემული ინსტრუქციის თანახმად, ოსმალეთში არსებული ვითარების შესახებ ისაუბრეს. ოლივიეს თქმით, სპარსელმა მინისტრმა თურქებთან დაკავშირებით მეტად გონივრულად ისაუბრა, დიდი ცოდნა გამოავლინა და სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ისინი ყირიმის დაკარგვას დათანხმდნენ. ფრანგებს კი აცნობა, რომ გაზაფხულზე ალა მაჰმად ხანი მთელი თავისი ძალებით აპირებდა რუსების წინააღმდეგ გალაშქრებას დერბენდისა და ბაქოს გასათავისუფლებლად. ამ ინფორმაციის შემდეგ ფრანგი ემისრები საქართველოს თემას შეეხნენ. ოლივიე წერს:

„ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ 1783 წელს ერეკლესა და რუსეთის იმპერატრიცას შორის დადებული ხელშეკრულების შესახებ გვესაუბრა. – ჩვენ ვიცით ამის შესახებ, – თქვა მინისტრმა. ჩვენ გვინდოდა ჩვენი გაოცების გამოხატვა იმის გამო, რომ მეფემ დაპყრობისთანავე მიატოვა საქართველო, მაგრამ ეს დაკვირვება შეიძლება მეტად მკვეთრი მოსჩვენებოდათ; ჩვენ მხოლოდ იმ უპირატესობაზე საუბრით შემოვიფარგლეთ, რომლის მიღება შეეძლებოდა მეფეს საქართველოს სპარსეთის პროვინციად ქცევის შემთხვევაში. ჩვენ ისიც დავუმატეთ, რომ თუ თურქებთან შეთანხმებით მეჰმედი შავიზღვისპირეთში რამდენიმე ნავსადგურის მოპოვებას და იქ სტაბილურად დამკვიდრებას მოახერხებდა, უშუალოდ დაუკავშირდებოდა ევროპულ სახელმწიფოებს. შესძლებდა მათი საქონლის მიღებას, სანაცვლოდ კი გაიტანდა გილანის აბრეშუმს, ხორასანის სამკურნალო მცენარეებს. ქერმანის მატყლსა და სპილენძს, რაც უხვად იყო მის სახელმწიფოში.

მინისტრმა გვიპასუხა: ჩვენ მაშინ დავიბრუნებთ საქართველოს, როდესაც მოგვესურვება. მაგრამ რუსები, – შევნიშნეთ ჩვენ, – ხელშეკრულების თანახმად თავიანთ ვასალს, ერეკლეს, დაეხმარებიან. – როდესაც ჩვენ მთელი ძალებით წავალთ, – თქვა მინისტრმა, – რუსები ვერ შესძლებენ ნიაალმდეგობის გაწევას. მინისტრის ამ პასუხიდან, აგრეთვე ჩვენ მიერ გავლილ სხვადასხვა ადგილებში მოსმენილი ამბებიდან ისე მოგვეჩვენა, რომ რუსების არც მთავრობას ეშინოდა და არც ხალხს, შეიძლება ნადირ შაჰის[3] მიერ მათზე მოპოვებული რაღაც წარმატების გამო და რისი იმედიც კვლავ ჰქონდათ, თუმცა მას შემდეგ ორიე ერი ძალიან შეიცვალა“ (ოლივიე 1807: III, 84-86).

მეორე აუდიენციის შემდეგ ფრანგებმა ჰაჯი იბრაჰიმ ხანის მდივანს, მირზა ისას,[4] საფრანგეთში ნასაღები წერილის და ბაღდადში ნასასვლელად თავიანთი პასპორტების გადაცემა სთხოვეს. ოლივიეს თქმით, ვეზირის მდივანს ყველაზე ფართო ცოდნა ჰქონდა ირანის შიდა ადმინისტრირების, ფინანსებისა და საომარი ვითარების შესახებ, კარგად იცნობდა თავისი ქვეყნის ისტორიას და ფრანგებს ძვირფასი ცნობები მიაწოდა ნადირ შაჰის მმართველობიდან მაჰმადის აღზევებამდე ირანში არსებული ვითარების შესახებ.

ფრანგი მეცნიერების აზრით, მათი დიპლომატიური მისია უდავოდ წარმატებული იყო, რადგან ჰაჯი იბრაჰიმ ხანი ოსმალეთის პორტში ელჩის გაგზავნას აპირებდა, საფრანგეთთან დადებული ძველი სავაჭრო ხელშეკრულებების განახლების საკითხი დადებითად შეაფასა და იმასაც დაპირდა, რომ მხარს დაუჭერდა საფრანგეთის ფაქტორიების დაარსებას ისფაჰანში, შირაზსა და სპარსეთის ყურეში. საეჭვო არ იყო, რომ ირანის მხარე ხარქის კუნძულის დათმობაზეც დათანხმდებოდა, რომელიც საფრანგეთის კარმა ქერიმ ხანს (1760-1779) მოსთხოვა ინდოეთის ფრანგული კომპანიის გაუქმებამდე.[5] მიუხედავად ამისა, ყოველივე ნანახისა და მოსმენილის გამო, ოლივიესა და ბრუგიერს ძალიან არასასურველი წარმოდგენა შეექმნათ მთავრობისა და ხალხის შესახებ. ოლივიეს თქმით, ყოველივე ეს საფრანგეთს უპირატესობას ვერ მოუტანდა და ფრანგები იქ დაცულები ვერ იქნებოდნენ, რადგან გონივრული არ იქნებოდა იმ დანგრეულ და მოსახლეობისგან დაცლილ ქვეყანაში დაფუძნება, სადაც მუდამ არეულობა იყო, სადაც ყოველი სუვერენის სიკვდილის შემდეგ ხანები ერთმანეთს ებრძოდნენ. სადაც მეფე უსასტიკეს დესპოტიზმს ავლენდა, მას კი მუდამ მკვლელის მახვილი თუ ამბიციური ადამიანის საწამლავი ემუქრებოდა. შედეგად, ირანში არსებული ვითარება ვერც ვაჭრებს მიიზიდავდა. ოლივიე წერდა:

„ვაჭარზე უკეთესად არავინ იცის, რომ როდესაც სახელმწიფო დიდ ნაბიჯებს დგამს თავისი ნგრევისკენ, როდესაც დესპოტიზმი იქამდე მივიდა, რომ დანაშაულია იყო მდიდარი ან ჩანდე ასეთად, როდესაც მუდმივად ემუქრებიან მავანის ქონებასა და სიცოცხლეს, როდესაც საზოგადოების ყველა კავშირი მზადაა გასაწყვეტად, უცხო ერს ხელსაყრელი ვაჭრობის წარმართვის იმედი ვერ ექნება. დახმარების ხელის გაწევა კი, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევენ, პოლიტიკის საქმეა“ (ოლივიე 1807: III, 87-89).

ოლივიეს აზრით, დიდი გეგმების განსახორციელებლად ირანთან კავშირის ნდობა „ტალახზე დაყრდნობის ტოლფასი იყო“, მის მთავრობასთან კი შეთანხმების არავითარი იმედი არ იყო (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: doc. 2. fol. 40r-40v); (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: doc. 35, fol. 73r-74v).

თეირანის კარზე შესრულებული მისიის შემდეგ, ოლივიემ და ბრიუგერმა კიდევ ორი თვე გაატარეს ირანში და 1796 წლის 10 დეკემბერს გეზი კონსტანტინოპოლისკენ აიღეს, საიდანაც სამშობლოსკენ 1798 წლის 30 მაისს ალექსანდრიის, ათენისა და სამხრეთ იტალიის გავლით გაემგზავრნენ. ექვსი წლის მოგზაურობის შემდეგ, 1798 წლის 3 ოქტომბერს ჟან-გიიომ ბრუგიერი იტალიის ქალაქ ანკონაში გარდაიცვალა, ზოოლოგიური და ბოტანიკური ნიმუშების ძვირფასი კოლექციით დატვირთული გიიომ-ანტუან ოლივიე კი პარიზში 1798 წლის დეკემბერში ჩავიდა. 1799 წლის 24 იანვარს ის საფრანგეთის ინსტიტუტის წევრად აირჩიეს (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: doc. 35); (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: doc. 52); (ბერნარი 1997: 1180, 1200, 1229, 1232).

ფრანგი ისტორიკოსის, ანრი დეერენის აზრით, ფრანგი მეცნიერების მისია არ იყო წარმატებული, აღა მაჰმად ხანმა არ შეინუხა თავი საფრანგეთიდან ჩატანილ წერილზე პასუხის გასაცემად და დირექტორიის ემისრებს მხოლოდ პირველი ვეზირის, ჰაჯი იბრაჰიმის, მეგობრული წერილი გაატანეს. ამის მიზეზად დეერენი იმას ისახელებს, რომ ფრანგი მეცნიერები მატერიალურად სათანადოდ არ იყვნენ უზრუნველყოფილნი, ირანში საჩუქრები არ ჩაიტანეს და ამიტომ მათ არც ანგარიში გაუწიეს (დეერენი 1931: III, 557-558). საზოგადოდ, აღმოსაელეთის სუვერენისთვის დიპლომატთა მიერ მირთმეულ საჩუქრებს ტრადიციულად ჰქონდა დიდი მნიშვნელობა,° რადგან ამ ამბავს შემდეგ ბაზრებში განიხილავდნენ. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ხორასანის ლაშქრობიდან თეირანში 20 სექტემბერს, ანუ ფრანგების აუდიენციამდე რამდენიმე დღით ადრე, დაბრუნებული აღა მაჰმად ხანის ნებართვის გარეშე ჰაჯი იბრაჰიმი დირექტორიის ემისრებს ორჯერ არ მიიღებდა. ფრანგი მეცნიერების მისიას კი შედეგი ვერ მოჰყვებოდა, რადგან ირანიდან საფრანგეთში წერილის ჩასვლას რამდენიმე თვე სჭირდებოდა, ამასთან, ირანსა და საფრანგეთში პოლიტიკური ვითარებაც სწრაფად შეიცვალა: 1797 წლის მაისში აღა მაჰმად ხანის მკვლელობის შემდეგ ირანში კვლავ არეულობა იყო, 1798 წლის 30 ივნისს საფრანგეთის ესკადრამ დესანტი ალექსანდრიის რაიონში გადასხა, შედეგად 1798 წლის სექტემბერში ოსმალეთმა ომი გამოუცხადა საფრანგეთს, 1799 წლის იანვარში რუსეთთან და დიდ ბრიტანეთთან მეორე ანტიფრანგულ კოალიციაში გაერთიანდა.

ფრანგი მეცნიერების მიერ ჰაჯი იბრაჰიმ ხანთან გამოთქმულმა მოსაზრებამ საქართველოს სპარსეთის პროვინციად ქცევის შესახებ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ნაპოლეონის მიერ აღა მაჰმად ხანის მემკვიდრესა და ძმიშვილთან, ფათჰ-ალი შაჰთან (1797-1834), დამყარებულ დიპლომატიურ ურთიერთობაში შეიძინა.

გიიომ-ანტუან ოლივიეს ცნობები საქართველოს შესახებ. ეგვიპტის ექსპედიციის (1798-1799) შემდეგ, ინდოეთზე ლაშქრობის გეგმაში პირველმა კონსულმა სტრატეგიული მნიშვნელობა ირანს მიაკუთვნა და მასთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა გადაწყვიტა. 1804 წლის 14 მარტს მან კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩს, გენერალ ბრუნს, ოსმალეთის იმპერიაში მყოფი საფრანგეთის კონსულების მეშვეობით ირანის შესახებ ზუსტი ცნობების შეკრება დაავალა (გაფარელი 1908: 389). ეს ინფორმაცია და აგრეთვე ცნობები საქართველოს შესახებ მოცემულია 1797-1807 წლებში საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა მინისტრის, მორის დე ტალეირანის სახელზე ბაღდადში საფრანგეთის გენერალური კონსულის, ჟან-ფრანსუა-ქსავიე რუსოს მიერ გაგზავნილ წერილებსა და მოხსენებით ბარათში, აგრეთვე მისი ვაჟის, ალეპოში საფრანგეთის გენერალური კონსულის, ჟოზეფ რუსოს თხზულებაში. ცნობები საქართველოში რუსების ინტერესების შესახებ დაცულია სინოპში საფრანგეთის კონსულის, პასკალ ფურკადის მოხსენებით ბარათში (ნაჭყებია 2018: 103-109). ამ ხელნაწერებს შორის არის გიიომ-ანტუან ოლივიეს 1804 წლით დათარიღებული მოხსენებითი ბარათიც, რომელშიც ის კავკასიასა და საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ეხებოდა. იგი წერდა:

„რუსეთმა ნელ-ნელა მიუერთა თავის სახელმწიფოს ჩერქეზეთი და ყველა ქვეყანა, მდებარე აზოვის ზღვასა და ვოლგის შესართავს შორის, მაგრამ 1783 წლამდე მან ვერც კავკასიონის ქედი გადალახა და ვერც კასპიის სანაპიროზე, თერგზე, თავის დაარსებულ დასახლებას გასცდა. ადრე სპარსეთს დაქვემდებარებული საქართველო 1783 წელს რუსეთის ბატონობაში გადაეიდა. მეფე ერეკლემ ხელშეკრულებით ივალდებულა, რომ არც თავად და არც მისი მემკვიდრეები არ სცნობდნენ სხვა უზენაეს ხელისუფლებას, გარდა რუსეთის იმპერატრიცისა და მისი მემკვიდრეებისა. ამ ხელშეკრულების შედეგად ერეკლემ, სპარსეთის ახალ მეფეს, აღა მეჰმედ ხანს, რომელმაც მას 1794 წელს ერთგულების ფიცი მოსთხოვა, უარი უთხრა მორჩილებაზე და განუცხადა, რომ არ ცნობდა სხვა სუვერენს, გარდა ეკატერინესი. ამ უარის საპასუხოდ 1795 წელს მეჰმედმა ლაშქარი შეჰყარა, დაამარცხა ერევნისა და შუშას ხანების ლაშქართან გაერთიანებული ქართველთა ჯარი და დაიძრა თბილისისკენ, რომელიც გააცამტვერა. ერეკლეს ვაჟმა მიაღწია მშვიდობას და ივალდებულა, რომ თვითონაც და მამამისიც ერთგულებას შეჰფიცებდნენ სპარსეთის მეფეს და გადაუხდიდნენ იმ ყოველწლიურ გადასახადს, რომელსაც მისი სახელმწიფო ადრეც იხდიდა. 1796 წელს რუსეთის იმპერატრიცამ გრაფ ვალერიან ზუბოვის მეთაურობით გაგზავნა ჯარი, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით აიღო დერბენდი, ბაქო, შამახა, განჯა და ჯარის ნაწილი მოხსნა საქართველოს დასაკავებლად მტკვრის აყოლებით თბილისამდე. ეს ექსპედიცია ეკატერინეს სიკვდილთან ერთად დასრულდა; რუსეთის ჯარმა უკან დაბრუნების ბრძანება მიიღო, რაც შეასრულა კიდეც: გაიყვანა ჯარი განჯიდან, შამახიდან. ყველა ქალაქიდან და ციხე-სიმაგრიდან და ჯარის ნაწილები თბილისში, ბაქოსა და დერბენდში დატოვა. 1797 წელს მეჰმედმა თავიდან შეკრიბა ჯარი ერეკლეს მეორედ დასასჯელად და რუსებისთვის ბაქოსა და დერბენდის წასართმევად, მაგრამ ის მოკლეს. მისი სიკვდილის შემდეგ იმპერატორმა ალექსანდრემ გაგზავნა ჯარის ნაწილები, რომლებმაც თავიდან აიღეს განჯა, შამახა, შუშა, შირვანისა და ზემო არმენიის ყველა სიმაგრე და ბოლოს ერევანზე მიიტანეს იერიში. ისე ჩანს, რომ რუსეთს დაგეგმილი აქვს შავ და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ყველა ქვეყნის დაკავება, იქიდან საზღვრის გატარება ტრაპიზონიდან არზრუმზე და რაშთზე გავლით ასთარაბადამდე. ეს დაპყრობა ადვილია და რუსები უზრუნველყოფილნი იქნებიან იმ ყოველგვარი უპირატესობით, რასაც ხელსაყრელი სამხედრო და სავაჭრო მდებარეობა იძლევა“ (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: doc. 157, fol. 385r-385v).

ნაპოლეონი ჩქარობდა ინდოეთზე გალაშქრებას და ტომებს მოითხოვდა ირანისა და მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ, რადგან მისი თქმით „შუაგულ ევროპაში, გერმანიაშიც კი, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოცემული ცნობები ბუდამ არაზუსტი და გაურკვეველი იყო“ (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: Protocoles, C 13). ხოლო როდესაც 1805 წლის 27 მარტს ოლივიემ საფრანგეთის იმპერატორს თავისი „მოგზაურობის“ გამოსაცემად დაპირებული 15,000 ფრანკი მოსთხოვა, ნაპოლეონმა მას საკმაოდ მკაცრად უპასუხა, რომ იგი ამ თანხას მხოლოდ ირანის შესახებ მესამე ტომის გამოსვლის შემდეგ მიიღებდა (გაფარელი 1908: 391).

გიიომ-ანტუან ოლივიეს თხზულების მესამე ტომი 1807 წელს გამოქვეყნდა, ცნობები საქართველოს შესახებ III და XX თავებშია წარმოდგენილი. თხზულების XX თავში ოლივიეს ეკატერინე II-სა და ერეკლე II-ს შორის დადებული გეორგიევსკის ტრაქტატის 1-13 მუხლები მოჰყავს (სეპარატიული მუხლების გარეშე), მაგრამ წყაროს არ ასახელებს. ვფიქრობთ, რომ მან გერმანელი იურისტის, დიპლომატისა და სახელმწიფო მოღვაწის, გეორგ ფრიდრიხ ფონ მარტენსის (1756-1821) მიერ გერმანულ და ფრანგულ ენებზე 1791 წელს გამოცემული ნაშრომით ისარგებლა (მარტენსი 1791: II, 442-454).[7] ოლივიეს მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის გამოქვეყნებას, რომელიც საქართველოს მიმართ თანაბარუფლებიანი შეთანხმება არ იყო, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა: 1807 წლის 4 მაისს საფრანგეთსა და ირანს შორის დადებულ იქნა სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომელშიც საფრანგეთის იმპერატორი საქართველოს სპარსეთის შაჰის კანონიერ კუთვნილებად სცნობდა (მუხლი 3.) და ვალდებულებას იღებდა, ეიძულებინა რუსები, რათა მათ დაეტოვებინათ საქართველოსა და ირანის ტერიტორიები (მუხლი 4.) (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: doc. 96, fol. 166r).[8]

გეორგიევსკის ტრაქტატის დადებას ოლივიე იმ გარემოებას უკავშირებდა, რომ ეს დოკუმენტი ქერიმ ხანის გარდაცვალებიდან (1779) ოთხი წლის შემდეგ, იმ პერიოდში შეიქმნა, როდესაც სპარსეთის ტახტის მოსაპოვებლად მრავალი პრეტენდენტი ებრძოდა ერთმანეთს. იგი სპარსეთში მიღებული ცნობების საფუძველზე წერდა, რომ ერეკლე II-ს მიერ ეკატერინეს II-ს ძალაუფლების აღიარებისა და აღა მაჰმად ხანის მორჩილებაზე უარის თქმას თბილისზე სპარსელთა ლაშქრობა მოჰყვა. ფრანგი მეცნიერის განმარტებით, აღა მაჰმად ხანს არ შეეძლო უარი ეთქვა იმ უფლებებზე, რომლებიც მას საქართველოზე ჰქონდა, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავის ღირსებას შელახავდა და თავის

მიერ უზურპირებული გვირგვინის ღირსი არ იქნებოდა. ეს ცნობა ნათლად მოწმობს ყაჯართა ახალი დინასტიისთვის აღმოსავლეთ საქართველოს დაპატრონების დიდ მნიშვნელობას როგორც მორალური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ოლივიეს მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს „სპარსეთის საქართველოდ" მოხსენიება ხაზს უსვამდა იმ აზრს, რომ აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის კუთვნილი ქვეყანა იყო, რომელიც რუსების დაქვემდებარებაში მოექცა. ოლივიე წერდა:

„კასპიისა და შავ ზღვებს შორის მთელი სივრცე დაყოფილია სხვადასხვა სახელმწიფოებად და პროვინციებად, რომლებიც ეკუთვნით ოსმალეთის პორტასა და სპარსეთს, ან ამ ორ იმპერიაზეა დამოკიდებული. სამეგრელოსა და გურიას შავ ზღვაზე, აგრეთვე ქვეყნის შიგნით მდებარე იმერეთს პორტას მოხარკე მთავრები განაგებენ. კასპიის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე პროვინციები – დაღესტანი, თაბასარანი, შირვანი, მუღანი და გილანი სპარსეთის ნაწილია და მათ ხანები მართავენ. სპარსეთის საქართველო. რომელიც შუაში მდებარეობს, კახეთისა და ქართლის სამეფოებს მოიცავს, რომლებსაც მხოლოდ ერთი, სპარსეთის მოხარკე მეფე ჰყავს. არმენიის ნაწილი, რომელიც ტრაპიზონიდან ყარსისა და ახალციხის მიღმა ერცელდება, პორტას ეკუთვნის და მას ფაშები მართავენ.

რუსეთმა, რომელსაც, როგორც ჩანს, დიდი ხანია სურდა თავისი უზარმაზარი იმპერიის საზღვრების დასავლეთისა და სამხრეთისკენ გავრცობა, თავის სახელმწიფოს თანდათანობით მიუერთა ჩერქეზეთი და აზოვის ზღვასა და ვოლგის შესართავს შორის მდებარე მხარები. რამდენიმე წლის წინ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადალახული კავკასიონი; ის მკვიდრი ციხეების მშენებლობებით შემოიფარგლა ამ მთაგრეხილის ძირში და მდინარე თერგის გასწვრივ, რომელიც დერბენდიდან ორი გრადუსით ზემოთ ჩაედინება კასპიის ზღვაში.

აღარაფერს ვიტყვით სხვადასხვა დროს მის მიერ კასპიის დასავლეთი პროვინციების ხელში ჩაგდების მცდელობაზე, რასაც მხოლოდ ეფემერული წარმატება ჰქონდა; მაგრამ ეკატერინესა და ერეკლეს შორის 1783 წელს დადებული კონვენცია ამ ხელისუფლების შემდგომი გეგმების შესახებ ეჭვს აღარ იწვევდა. ამ შეთანხმების მიხედვით ჩანს, რომ ის დიდი ხნის განმავლობაში ფიქრობდა ორივე ზღვას შორის მდებარე ყველა მხარეში თავისი გავლენის გავრცელებასა და ბატონობაზეც კი. აი ამის მოწმობა:

არტიკული პირველი

ქართლისა და კახეთის მეფე სამუდამოდ ამბობს უარს თავისი და თავისი მემკვიდრეების ყოველი სახის დამოკიდებულებაზე სპარსეთზე ან რომელიმე სხვა სახელმწიფოზე და ამასთან დაკავშირებით მსოფლიოს წინაშე აცხადებს, რომ თვითონ და მისი მემკვიდრეები არ სცნობენ რომელიმე სხვა უზენაეს ძალაუფლებას მისი უდიდებულესობა სრულიად რუსეთის იმპერატრიცასა და რუსეთის ტახტზე მისი უაგუსტოესი მემკვიდრეების ხელისუფლებისა და უზენაესი მფარველობის გარდა, რომელ ტახტსაც ის ერთგულებას ჰპირდება და რომელსაც ყოველგვარ მოთხოვნილ დახმარებას გაუწევს.

არტიკული მეორე

მის უდიდებულესობას სწამს მისი უმაღლესობის გულწრფელი დაპირების და თავის მხრივ იღებს ვალდებულებას, რომ მას და მის მემკვიდრეებს მუდმივად უბოძებს თავის წყალობას და მფარველობას ქართლისა და კახეთის უგანათლებულეს მეფეებს, ჰპირდება რა მათ შეინარჩუნოს არა მხოლოდ უგანათლებულესი ერეკლე თეიმურაზის ძის ამჟამინდელი სამფლობელოები, არამედ ყველა ის, რომლებიც მას შეიძლება მომავალში ერგოს.

არტიკული მესამე

მეფემ, რომელიც მემკვიდრეობით მიიღებს ხელისუფლებას, ტახტზე თავისი ასვლა პირველ რიგში უნდა აცნობოს რუსეთის კარს და ამ მიზნით მასთან ნარგზავნილის მეშვეობით ითხოვოს რეგენტის ღირსების საიმპერიო დასტური. როგორც კი ის მიიღებს ინვესტიტურის ნიშნებს, კერძოდ: სიგელს, რუსეთის საიმპერატორო ღერბს, ხმალს, კეერთხს საბრძანებელს, მანტიას ანუ ყარყუმის მოსასხმელს, მეფემ, რუსეთის მინისტრის თანდასწრებით, მისთვის დაწესებული ფორმულის მიხედვით საზეიმოდ უნდა დადოს რუსეთის უზენაესი ხელისუფლების, რუსეთის მონარქის ძალაუფლებისა და მფარველობის აღიარების, აგრეთვე მისი ერთგულებისა და მისი პიროვნების მიმართ გულმოდგინების ფიცი.

არტიკული მეოთხე

მისი უმაღლესობა მეფე პირობას დებს, რომ საზღვრების მთავარი მეთაურისა და მისი საიმპერატორო უდიდებულესობის რწმუნებით აღჭურვილი მინისტრის წინასწარი ნებართვისა და ალიარების გარეშე არც ერთ მეზობელ მმართველთან არ ექნება ურთიერთობა; იმ შემთხვევაში, თუ მათი მეზობლები გაგზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს ან წერილებს, ის მიიღებს აღნიშნული მეთაურისა და რუსეთის იმპერიული მინისტრის რჩევას როგორც აღნიშნული წარგზავნილების მიღება-არმიღების, ისე წერილებზე პასუხის გაცემის თობაზე.

არტიკული მეხუთე

ვინაიდან მის უმაღალესობას სურს მისი საიმპერატორო უდიდებულესობის კარზე იყოლიოს მინისტრი ან რეზიდენტი, მისი უდიდებულესობა ინებებს დათანხმდეს და მიანიჭოს მას იგივე რანგი, როგორიც აქვთ იმავე მდგომარეობის მინისტრებს, მმართველ მთავრებს და მას სურს ასევე იყოლიოს თავისი მინისტრი ან რეზიდენტი მისი უმაღლესობის კარზე.

არტიკული მეექვსე

მისი საიმპერატორო უდიდებულესობა თავისი და თავისი მემკვიდრეებისთვის სახელით ჰპირდება, რომ:

1. აღნიშნული სამეფოების ხალხებს ის რუსეთის იმპერიასთან იმდენად მჭიდრო კავშირში განიხილავს, რომ მათ მტრებს თავისად მიიჩნევს; შესაბამისად, აღნიშნული ხალხები გათვალისწინებულნი იქნებიან ყველა სამშვიდობო ხელშეკრულებაში, რომელიც შეიძლება დადებულ იქნას ოსმალეთის პორტასთან ან რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან;

2. იგი სამუდამოდ და უცვლელად დაუჭერს მხარს უგანათლებულეს მეფე ერეკლე თეიმურაზის ძეს, მის მემკვიდრეებსა და შთამომავლებს ქართლისა და კახეთის სამეფოებში;

3. ის მთლიანად და მარტოოდენ უგანათლებულეს მეფეს უტოვებს ქვეყნის შიდა მართვა-გამგეობას, გადასახადების დაწესებას და აკრეფას.

არტიკული მეშვიდე

უგანათლებულესი მეფე თავისი და თავისი მემკვიდრეების სახელით ჰპირდება:

1. მუდმივ მზადყოფნას თავისი ლაშქრით მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მსახურებისთვის;

2. უშუალოდ მისი უდიდებულესობის მსახურებასთან დაკავშირებით, მიიღოს მისი სახელით მეთაურების რჩევები; დაეთანხმოს მათ მოთხოვნებს და დაიცვას მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომები ყოველგვარი უსამართლობისა და ჩაგვრისგან;

3. თავის სამსახურში მყოფი პირების დაწინაურებასა და წინსვლაში, განსაკუთრებით ისინი გაითვალისწინოს, ვინც კარგად ემსახურა რუსეთის იმპერიას, რადგან ამ იმპერიაზეა დამოკიდებული ქართლისა და კახეთის სამეფოების უსაფრთხოება და კეთილდღეობა.

არტიკული მერვე

მის საიმპერატორო უდიდებულესობას ნებავს, რომ ზემოხსენებული სამეფოების პირველ არქიეპისკოპოსს ჰქონდეს მერვე კლასის მიტროპოლიტის თანაბარი წოდება, კერძოდ ტობოლსკის მიტროპოლიტის შემდეგ და დიდი კეთილგანწყობით მას სამარადისოდ ანიჭებს მეტად წმინდა სინოდის წევრის ტიტულის.

არტიკული მეცხრე

ქართლისა და კახეთის თავადაზნაურობა რუსეთის მთელი იმპერიის მასშტაბით ისარგებლებს ისეთივე პრივილეგიებითა და უპირატესობებით, როგორიც რუსეთის თავადაზნაურობას აქვს.

არტიკული მეათე

ქართლისა და კახეთის ყველა მკვიდრს შეეძლება რუსეთში დასახლება, იქიდან გასვლა და იქ კვლავ დასახლება. ტყვეებს, რომლებსაც გაათავისუფლებენ რუსეთის დახმარებით, იარაღის ან კაპიტულაციის გზით, მათი გამოსასყიდისა და მათ მგზავრობაზე დახარჯული ფულის გადახდის შემდეგ, თავისუფლად შეეძლებათ თავიანთ სახლებში დაბრუნება. თაეის მხრივ, მისი უმაღლესობა მეფე

წმინდათაწმინდათ ჰპირდება, რომ ასევე იმოქმედებს თავისი მეზობლების ტყვეობაში ჩავარდნილი რუსი ქვეშევრდომების მიმართ.

არტიკული მეთერთმეტე

ქართლისა და კახეთის ვაჭრებს თავიანთი საქონლითა და ქონებით თავისუფლად შეეძლებათ რუსეთში შესვლა; ისინი იქ ისარგებლებენ ყველა იმ უფლებითა და უპირატესობით, რაც რუსეთში დაბადებულ ქვეშევრდომებს აქვთ და მეფე პირობას დებს, რომ რუს კომენდანტებთან ან მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მინისტრებთან შეთანხმებით მეტად ფართო შესაძლებლობებს მისცემს რუსეთის ვაჭრობას თავის ქვეყანაში ან სხვა ქვეყნებთან თავისი ქვეყნის გავლით.

არტიკული მეთორმეტე

ეს კონვენცია დაცული იქნება ხელშეუხებლად და სამარადისოდ.

არტიკული მეცამეტე

წინამდებარე კონვენციის რატიფიცირება მოხდება ექვსი თვის ვადაში ან თუ შესაძლებელი იქნება, უფრო ადრე. გეორგიევსკის ციხესიმაგრეში, 1783 წლის 24 იელისი.

ხელმომწერები: პავლე პოტიომკინი, თავადი ივანე ბაგრატიონი; თავადი გარსევან ჭავჭავაძე.

ეს კონვენცია ქერიმ ხანის გარდაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ, იმ დროს დადეს, როდესაც ტახტის რამდენიმე პრეტენდენტი ებრძოდა ერთმანეთს, რაც ადრე თუ გვიან სპარსეთსა და რუსეთს შორის ომის მიზეზი უნდა გამხდარიყო. ამ უკანასკნელს უნდა დაეცადა, ვიდრე სპარსეთში არეულობები შეწყდებოდა და ტახტზე ავიდოდა ის მეფე, რომელიც თავს მყარად დამკვიდრებულად იგრძნობდა; ომიც მაშინ დაიწყებოდა. შესაძლოა, მას იმის იმედი ჰქონდა, რომ პრობლემები გაგრძელდებოდა, ეს იმპერია საბოლოოდ დაიყოფოდა და საქართველოს შეწუხების საშუალება აღარ ექნებოდა. ეს იმედი არ გამართლდა; სპარსეთი არ დაიყო. აღა მეჰმედ ხანი კი 1793 წელს ამ იმპერიის აბსოლუტური ბატონი და ომებში გამობრძმედილი დიდი ლაშქრის სათავეში აღმოჩნდა.

მეჰმედის ერთ-ერთი პირველი ქმედება ლუთფ ალი-ხანის განადგურებისა და სამხრეთის ყველა პროვინციის დამორჩილების შემდეგ საქართველოს სპარსეთის ბატონობის ქვეშ დაბრუნება და მასზე ადრე დაკისრებული ხარკის გადახდის მოთხოვნა იყო. ერეკლე. როგორც იმპერიის ვასალი, კარზე გამოიძახეს ჩვეული საჩუქრების მისატანად. ერთგულების ფიცის დასადებად და მმართველობის ფირმანის მისაღებად: ერეკლე, რომელსაც ძლიერი დახმარების იმედი ჰქონდა, დროის მოგებას ორჭოფულ პასუხებით ცდილობდა. როდესაც იგი კვლავ დაჟინებით დაიბარეს, მან უარი თქვა მორჩილებაზე და უპასუხა, რომ თავის სუვერენად ეკატერინეს გარდა სხვას არ სცნობდა.

ამ უარმა მეჰმედს ომის დაწყება გადააწყვეტინა საქართველოს მეფის წინააღმდეგ, რათა ის ან დაემორჩილებინა, ან თავისი სახელმწიფოდან გაეძევებინა. მას არ შეეძლო უარი ეთქვა იმ უფლებებზე, რომელიც სპარსეთს ჰქონდა საქართველოზე, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავს შეირცხვენდა და თავის მიერ უზურპირებული გვირგვინის ღირსი არ იქნებოდა. უფრო მეტიც, რუსეთის დაქვემდებარებაში შესული მეფის გამო შეწუხებულს, მას კასპიის დასავლეთ სანაპიროზე მდებარე პროვინციების ყოველ წუთს დაკარგვის საფრთხე ექმნებოდა.

1794 წლის ბოლოს მეჰმედმა ყველა ხანსა და ტომის ბელადს მოლაშქრეების თეირანში გაგზავნა და იქ არაუგვიანეს ზამთრის ბოლოსთვის მისვლა უბრძანა, რაც პუნქტუალურად შესრულდა. მან ისინი 1795 წლის აპრილის დასაწყისში დაათვალიერა: იქ 80,000 კაცზე მეტი იყო. იმავე თვის ბოლოს ის სათავეში ჩაუდგა მათ და გეზი ყაზვინისკენ აიღო.

არდებილში მან თავისი ჯარი სამ ნაწილად გაჰყო; ერთი ნაწილი მუღანში, შირვანსა და დაღესტანში გაგზავნა ამ პროვინციების ხანებისგან მათზე დაკისრებული დაეალიანების ასაკრეფად და ტომების ბელადებისგან ერთგულების ფიცის მისაღებად. ლაშქრის ამ ნაწილს არვითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ყველა ტომის ბელადმა, ყველა ხანმა იჩქარა ხელმწიფესთან მისვლა და მისთვის საჩუქრების მირთმევა. მათ მისი ლაშქარიც მოამარაგეს და მისი ხაზინა თავიანთი პროვინციების შემოსავლებით აავსეს.

ლაშქრის მეორე ნაწილს ერევნისკენ წასვლა ებრძანა. ამ პროვინციის ხანს, სახელად მეჰმედს, რომელსაც ერეკლე უჭერდა მხარს, არ სურდა ახალი მეფის დამორჩილება: მას 15,000 მოლაშქრე ჰყავდა, ხოლო აღა მეჰმედის ლაშქრობის ამბის გაგებისთანავე ერევანში 15,000 ქართველით ერეკლეს ვაჟი (ალექსანდრე ბატონიშვილი – ი. ნ.) ჩავიდა.

სპარსეთის მეფე თავისი ჯარით შუშისკენ, კარგად გამაგრებული პატარა ქალაქისკენ გაემარ-

თა, რომელიც ციცაბო მთის მწვერვალზე, არაქსიდან 20 ლიეზე (90 კილომეტრი – ი. ნ.), ზემო სომხეთში მდებარეობს. იბრაჰიმ ხანმა, რომელიც იქ მეთაურობდა და რომელსაც ერეკლეს დახმარების იმედი ჰქონდა, მეჰმედს ისეთი წინააღმდეგობა გაუწია, რომელსაც ის ალბათ არ ელოდა.

ამ ადგილის დაკავების რამდენიმე ნარუმატებელი მცდელობის შემდეგ, მეჰმედმა სხვა ხერხს მიმართა და იბრაჰიმს ძალიან ძვირფასი საჩუქრები გაუგზავნა და თუ დაემორჩილებოდა და ქალაქს ჩაბარებდა, მეჰმედი მას პატივებას და უფრო დიდსა და შემოსავლიან გუბერნიის მიცემას ჰპირდებოდა. იბრაჰიმი არც ერთ წინადადებას არ დათანხმდა.

ეინაიდან მდებარეობის გამო ის თითქმის მიუწვდომელი იყო, მეჰმედმა, რომელსაც მის დასამორჩილებლად არც არტილერია და არც რაიმე სხვა საშუალება ჰქონდა, შუშის გარშემო საკმაო რაოდენობის ლაშქარი დატოვა გარნიზონისთვის წინააღმდეგობის გასანეიტრალებლად თუ ის გამოსვლას ეცდებოდა, შემდეგ კი ერევანში მყოფ კორპუსს შეუერთდა, რომელიც მოიგერიებს: მან დანაკარგით დაიხია უკან და დახმარების მოლოდინში ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა. თავისი ლაშქრის მეშვეობით მეჰმედმა მალე მთელი პროვინცია აიღო და კვლავ ქალაქის წინააღმდეგ გაემართა. ხანი, რომელიც თაეის თავს საკმაოდ ძლიერად მიიჩნევდა მასზე მეორედ გასამარჯვებლად, მის წინააღმდეგ ერეკლეს ეაჟთან ერთად გამოვიდა.

ეს ორი ლაშქარი ერთმანეთს ერევნიდან რამდენიმე ლიეზე შეხვდა და ბრძოლა მზის ამოსვლისთანავე დაიწყო. ქართველებმა ერეკლეს ვაჟის მეთაურობით, ხანის სამსახურში მყოფმა აეღანელების კორპუსმა და მისი გვარდიის ყიზილბაშებმა ვატკაცობის სასწაული აჩვენეს და გააფთრებით იბრძოლეს, რის გამო მეჰმედის ლაშქარი რამდენჯერმე აღმოჩნდა საფრთხეში, ის ორჯერ უკუიქცა და მზად იყო გასაქცევად, მაგრამ მეჰმედმა, რომელიც პირადად იბრძოდა თავისი ყაჯარების სათავეში, ორჯერ შესძლო მისი შეკრება. საბოლოოდ, მამაცობამ ადგილი რიცხოვნებას დაუთმო; სპარსელებმა სრულად გაიმარჯვეს და თავიანთ მტრებს ქალაქის კარიბჭემდე მისდიეს.

ამ გამარჯვების შემდეგ, მეჰმედმა დაიკავა ერევანი, თან გაიყოლა ლაშქრის მცირე ნაწილი და განჯაში შეუერთდა იმ ლაშქარს, რომელიც შირვანსა და დაღესტანში გაგზავნა, თვითონ კი თბილისისკენ გაემართა.

ერეკლე, რომელიც თავის დედაქალაქზე თავდასხმას შუშისა და ერევნის აღებამდე არ ელოდა და რომელმაც თითქმის მთელი თავისი ლაშქარი იქ გაგზავნა, იფიქრა, რომ ალყას ვერ მოიგერიებდა; მან თბილისი დატოვა და კახეთში გადავიდა.[9] მოსახლეობის უდიდესი ნაწილიც მეფის მაგალითს მიჰყვა; ისინი სასწრაფოდ გაეიდნენ ქალაქიდან და რაც კი რამ ძვირფასი ჰქონდათ, თან წაიღეს.

იმავე წლის ოქტომბერში[10] მეჰმედი წინააღმდეგობის გარეშე შევიდა საქართველოს დედაქალაქში. იქ დარჩენილი ყველა მცხოვრები მოკლეს ან მონად აქციეს; ყოველივე ძვირფასი, რისი წაღება შეუძლებელი იყო, გაძარცვეს: შემდეგ სახლებს ცეცხლი წაუკიდეს, ციხე-დარბაზი დაანგრიეს, რის შემდეგ ლაშქარი გავიდა.

როგორც კი თბილისის ბედისა და ამ მხარეების ყველა ხანის დამორჩილების შესახებ შეიტყეს, ერევნისა და შუშის ხანებმაც კაპიტულაცია გამოაცხადეს, თავიანთი ქალაქები მეჰმედს ჩააბარეს და თავიანთი ლაშქრით მეჰმედის სამსახურში ჩადგნენ.

ერეკლეს ვაჟმა მას შემდეგ მიიღო საქართველოში დაბრუნების ნებართვა, რაც ივალდებულა, რომ ის და მამამისი აღა მეჰმედ ხანს ოფიციალურად აღიარებდნენ სპარსეთის ლეგიტიმურ მმართველად, მას ერთგულებას შეჰფიცავდნენ და როგორც ადრე, თაეის სამეფოზე დაკისრებულ ყოველწლიურ ხარკს გადაუხდიდნენ.

მას შემდეგ, რაც მეჰმედმა ამგვარად მოიყვანმა მორჩილებაში სპარსეთის მთელი ჩრდილო-დასავლეთი, თავისი ჯარის ნაწილი უკან დააბრუნა, თვითონ კი თეირანში გაემგზავრა და ზამთარი იქ გაატარა.

ერეკლემ არ დააყოვნა და თავისი პირველივე გამოძახების შესახებ შეატყობინა კავკასიის გუბერნატორს, რუს გენერალს, გვარად გუდოვიჩს და მას დაბეჯითებით ურჩია იმპერატრიცას გაფრთხილება საქართველოში ან მის საზღვართან რამდენიმე საჯარისო ნაწილის გაგზავნის შესახებ მის დასახმარებლად თავდასხმის შემთხვევაში.

გუბერნატორმა, რომელსაც, როგორც ჩანს, არ სჯეროდა, რომ მეჰმედის მუქარას ასე სწრაფად მოჰყვებოდა ქმედება, არ იზრუნა ამის შეტყობინება ან ისე გააკეთა, რომ არ შეექმნა საქართველოს მეფეზე თავდასხმის შიში; ამის გამო ერეკლემ რუსეთიდან არავითარი დახმარება არ მიიღო და იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი დედაქალაქი" (ოლივიე 1807: III, 404-412).

ინფორმაცია თბილისში აღა მაჰმად ხანის მოლაშქრეების მოქმედების შესახებ ოლივიემ თეირანის მახლობლად დამკვიდრებული თვითმხილველ უნგრელი ექიმის, ოგიუსტ აროშისგან, შეიტყო. ექიმს კონსტანტინოპოლში შეესწავლა მედიცინა და ქირურგია, თავიდან იქ გარკვეული წარმატებაც ჰქონია, მაგრამ სამი წლის შემდეგ საქართველოში ჩასულა და თავის ერთ-ერთ ძმასთან ერთად თბილისში იმყოფებოდა აღა მაჰმად ხანის შეჭრის დროს. ოლივიე წერს:

„სპარსელთა მოახლოებისთანავე ერეკლემ, რომელსაც სპარსეთის მეფისთვის წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო, თავის ჯართან ერთად დატოვა თბილისი და მის დასავლეთით მდებარე ხეობები დაიკავა. მას გაჰყვა ქალაქის თითქმის ყველა მცხოვრებიც. ძმებ აროშებს ეგონათ, რომ რადგან უცხოელები იყვნენ, სპარსელები მათ არაფერს ავნებდნენ და სიფრთხილის გამოჩენა ზედმეტად მიიჩნიეს. მაგრამ მალე ინანეს: სპარსელებს ძარცვა სწყუროდათ და ყველაფერს იღებდნენ, რაც კი ხელში მოხვდებოდათ: უწესრიგობის, უსამართლობისა და მძვინვარების ამ ვითარებაში როგორ გაეგებინებინათ ვინ იყვნენ ან ვისთვის მიემართათ? მეფე, გენერლები და ოფიცრები ჯარისკაცებზე უფრო ხარბები და სასტიკები იყვნენ. განა არ ჩანდა, რომ ისინი ცეცხლს უკიდებნენ იმას, რასაც ვერ იღებდნენ და უმოწყალოდ ხოცავდნენ მოხუცებს, ავადმყოფებს და პატარა ბავშვებს, ერთი სიტყვით ყველაფერს, რისი წაღება ან გაყიდვა შეუძლებელი იყო? [...] იმ საშინელ არეულობაში, რომელიც თბილისში სპარსელების ხანმოკლე ყოფნის დროს მოხდა, ძმები აროშები ბედნიერები უნდა ყოფილიყვნენ, რომ გადარჩნენ: ისინი თავიანთი ახალგაზრდობის, კარგი გარეგნობისა და იმ იმედის მადლიერნი უნდა ყოფილიყვნენ, რომ კარგად გაიყიდებოდნენ. სხვა ტყვეებთან ერთად გამოკეტილები, ისინი იმედოვნებდნენ, რომ როდესაც ჯარისკაცების მრისხანება დაცხრებოდა და ყველაფერი დამშვიდდებოდა, მათ საჩივარს მოისმენდნენ და ძმები მოითხოვდნენ სამართლიანობას, რომელსაც უცხოელების მიმართ ყველაზე ბარბაროსი ხალხიც კი იჩენდა; მათ იმედი ჰქონდათ, რომ დაიბრუნებდნენ თავიანთ ფულს, ქონებას, ცხენებს ან სამართლიან ანაზღაურებას მაინც მიიღებდნენ, მაგრამ მათი იმედი ამაო აღმოჩნდა; ყველა დანარჩენი პატიმრის მსგავსად მათაც ბორკილები დაადეს და გასაყიდად წაასხეს სპარსეთისკენ, გზაში კი ჯარისკაცების სისასტიკის, უვარგისი საკვებისა და ფეხით სიარულით დაღლილობის გამო იტანჯებოდნენ“ (ოლივიე 1807: III, 43-44).

აქვე წარმოვადგენთ ოლივიეს ცნობას თბილისზე მეორედ სალაშქროდ დაძრული აღა მაჰმად ხანის მკელელობის შესახებ, რაც მან ოსმალეთის იმპერიაში 1797 წლის დეკემბრიდან 1798 წლის 30 მაისამდე მოგზაურობის დროს შეიტყო, მაგრამ ზემოთ წარმოდგენილ მის მოხსენებით ბარათში არ აისახა.

„1797 წლის მარტის ბოლოს აღა მეჰმედი თეირანიდან გავიდა თბილისზე ხელმეორედ სალაშქროდ, აგრეთვე ბაქოსა და დერბენდის დასაბრუნებლად, რომელთა შენარჩუნებაც რუსებს სურდათ. მათ გაიყვანეს ნაწილები როგორც განჯიდან და შამახიდან, ისე შიდა რაიონების ქალაქებიდან და ციხეებიდან, მაგრამ დატოვეს თბილისში გაგზავნილი ჯარის ნაწილები.

ლაშქარი არაქსზე გადავიდა და შუშას სიახლოვეს დაბანაკდა; ის საუკეთესო მდგომარეობაში იყო და მხოლოდ ბრძოლა სურდა. მეჰმედმა გასცა განკარგულება, რომ 30,000 კაცი მტკერის აყოლებით დაძრულიყო თბილისისკენ; თვითონ კი 60,000-ზე მეტ მოლაშქრესთან ერთად მდინარე ბარდას[11] მიდამოები უნდა გადაელახა და შირვანში უნდა შესულიყო რუსებთან ძალით გასაჯიბრებლად, როდესაც ერთ-ერთმა ისეთმა მოვლენამ, რომელსაც ადამიანი ვერ იწინასწარმეტყველებს, ეს გეგმა ჩაშალა და ლაშქარი დაშალა.

14 მაისს, ალიონზე, აღა მაჰმადი იმ კარავიდან გამოვიდა, რომელშიც ეძინა და იქვე მდებარე სხვა კარში შეუდგა. მას ჩვეულად ჰქონდა იქ ლოცვა, ნარგილეს მოწევა და რამდენიმე საათის განმავლობაში წინა დღით მიღებული ქალალდების შესწავლა. პრემიერ-მინისტრისა და გენერლების გარდა იმ კარავში მასთან დალაპარაკების იმედი არავის უნდა ჰქონოდა და როგორც წესი, მას იქ მხოლოდ ერთი ან ორი ოფიცერი ემსახურებოდა: იმ დღეს კი იქ მხოლოდ ერთი იყო; მას ფიშხედმათი[12] ერქვა. ლოცვის დასრულების შემდეგ, როდესაც მეფეს ორივე ხელით ეჭირა ნარგილე, რომელიც მას ის-ის იყო მიუტანა ოფიცერმა, ამ უკანასკნელმა აღა მეჰმედს მკერდში ორჯერ ჩასცა ხანჯალი, რის გამოც მან მაშინვე უხმოდ განუტევა სული.

ამბობენ, რომ ამ ოფიცრის მიერ ასეთი დანაშაულის ჩადენის მიზეზი ის იყო, რომ მეფის ბრძანებით ერთი წლის წინ სასტიკი სიკვდილით[13] დასჯეს მისი ძმა, მიუხედავად იმისა, რომ ის დიდი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა მეჰმედს, ერთგულების ყველაზე ნათელი მტკიცებულებები მისცა

და არც რაიმე სერიოზული დანაშაული ჩაუდენია: ბრძანება გაცემული იყო ცუდი განწყობის დროს და ძალიან გვიან გაუქმდა. ეს სიმართლე იყო; მაგრამ აშკარაა, რომ ამ ნამების გამო ფიშხედმეთი არც კი იოცნებებდა შურისძიებაზე; მას აზრადაც კი არ მოუვიდოდა, რომ მეფე თავისი ძმის სულებისთვის შეეწირა, თუ არა იმის რწმენა, რომ სიკვდილს გადაურჩებოდა.

მალე დარწმუნდნენ, რომ ამ არამზადას ძლიერი კაცი მართავდა, რომელსაც სჯეროდა, რომ ამით ტახტისკენ იკაფავდა გზას. სადეყ ხანი, შაყაყთა ტომიდან,[14] ლაშქრის ერთ-ერთი გენერალი, ფიშხედმათს გაქცევაში ხელშეწყობას დაპირდა და ამ ნამოწყების წარმატების შემთხვევაში დიდი ჯილდოს მიღების იმედიც ჩაუსახა. სადეყ ხანი, როგორც გენერალი, მეფის კარავში თავისუფლად შედიოდა. როგორც კი მას მეჰმედის სიკვდილის შესახებ შეატყობინეს, იქ თავის ერთგულ კაცებთან ერთად მივიდა, აილო განძი, ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა და სამეფო ბეჭდიანი ფირმანი აჩვენა, რომელშიც სადეყ ხანს თავის დამქვემდებარებაში მყოფ 10,000 კაციან კორპუსთან ერთად ოპერაციაზე ნასვლა ჰქონდა ნაბრძანები.

მეფის სიკვდილის ამბავი ბანაკში არ იცოდნენ. სადეყ ხანი დაუბრკოლებლად გავიდა და თან არა მხოლოდ სამხედრო სკივრი და ალა მეჰმედის მდიდრული და მრავალრიცხოვანი ალმასები, არამედ სურსათის ნაწილიც გაიყოლა. იქიდან წასვლისას მისი მიზანი ლაშქრის იმ პირველი მღელვარებისა და აღშფოთების თავიდან აცილება იყო, რომელიც მებრძოლის გულში მკვლელობის აზრს შობდა. მან კარგად იცოდა, რომ ყველა უკმაყოფილო მას შეუერთებოდა; უფრო მეტიც, მას იმედი ჰქონდა, რომ სურსათის, ფულისა და მეთაურის გარეშე დარჩენილი ლაშქარი მალე დაიშლებოდა, რაც მოხდა კიდეც რამდენიმე დღის შემდეგ. შეიქმნა რამდენიმე დაჯგუფება, რომელთა ნაწილი სადეყ ხანს შეუერთდა. მეფესთან დაკავშირებული რამდენიმე ადამიანი ან ისინი, რომელთაც ეშინოდათ, რომ მისი მკვლელის ამბიციას შეეწირებოდნენ, პრემიერ მინისტრის, ჰაჯი იბრაჰიმის მეთაურობით თეირანში დაბრუნდნენ, სხვები კი თავიანთ ტომებში წავიდნენ აქტიური როლის შესრულების საცდელად ან იქ დეენისგან თავის გადასარჩენად“ (ოლივიე 1807: III, 404-417).

ოლივიეს „მოგზაურობის“ მესამე ტომი მაშინვე ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ, ჰოლანდიურ, ესპანურ და იტალიურ ენებზე, მაგრამ საფრანგეთში ხელახალა აღარ გამოცემულა (ბერნარი 1997: № 4, 1160). მასში ნარმოდგენილი ცნობები XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ ევროპელი მკითხველის ფართო აუდიტორიისათვის მიწოდებული პირველი ვრცელი ინფორმაცია იყო.

შენიშვნები

1 იგულისხმება ოსმალეთის იმპერიის სულთანი სელიმ III (1789-1807).

2 შაჰ სულთან-ჰუსეინის (1694-1722) ზეობის დროს სავაჭრო ხელშეკრულებები საფრანგეთსა და ირანს შორის 1708 და 1715 წლებში იქნა დადებული. მეორე ხელშეკრულებაში, რომელსაც ირანის ელჩმა, მოჰამად-რეზა ბეგმა, 1715 წლის 13 აგვისტოს ვერსალში მოაწერი ხელი, საფრანგეთისთვის მეტად ხელსაყრელი სავაჭრო პირობები იყო შეტანილი, მაგრამ ოსტინდოეთის ფრანგული კომპანია (1719-1769) პრივილეგიას კვლავ ოკეანის გზას ანიჭებდა და ორივე ხელშეკრულება მხოლოდ ქაღალდზე დარჩა (ნაჭყებია 2018: 10).

3 1723 წლის 12 სექტემბერს რუსეთ-ირანის ომის შემდეგ, გილანი რუსეთის ხელში მოხვდა. ნადირ შაჰის (1736-1749) მმართველობის დროს, 1735-1739 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ბოლოს, თურქეთის ნინააღმდეგ ირანთან ალიანსის შექმნის მიზნით ის ირანს დაუბრუნდა.

4 ჰაჯი იბრაჰიმ ხან შირაზელის რჩევით, 1803 წელს ფათჰ-ალი შაჰმა თავის მეოთხე ვაჟს, ირანის ტახტის მემკვიდრეს, აბას მირზას, ალმზრდელად მირზა ისა დანიშნა და მას უბოძა თავის მიერ შემოღებული ტიტული – ბოზორგ, რაც სპარსულად დიდს ნიშნავს (ნაჭყებია 2018: 92).

5 1770 წელს ირანის მმართველმა ქერიმ ხანმა (1760-1779), რომელიც მეტად კეთილგანწყობილი იყო იმჟამად ბაღდადში საფრანგეთის კომერციულ ურთიერთობათა კომისრის, ჟან-ფრანსუა რუსოს მიმართ, საფრანგეთს პოლანდიელების მიერ 1766 წელს მიტოვებული კუნძული ხარკი გადასცა, მაგრამ ამ საკითხმა ლუი XV-ის მთავრობა არ დააინტერესა. ქერიმ ხანის გარდაცვალების შემდეგ ირანი სისხლიან ანარქიაში ჩაება და საფრანგეთთან არსებული ძველი ურთიერთობები შენყდა (ნაჭყებია 2018: 10, 59).

6 მახლობელ აღმოსავლეთში XVIII საუკუნის დასანყისში დამკვიდრებული რუსთა ოჯახის მესამე თაობის ნარმომადგენლის, ალეპოში საფრანგეთის გენერალური კონსულის, ჟოზეფ რუსოს თქმით, „აღმოსავლელთა კარზე არაფერი იწვევდა ისეთ პატივისცემას, როგორც დიპლომატიურ ნარმომადგენლობათა დიდებულება და ბრნყინვალება“ (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: doc. 19, fol. 139v).

[7] ბელგიელ პოლკოვნიკს, ბერნარ ეუენ-ანტუან როტიეს, რომელიც 1811-1818 წლებში საქართველოში, გენერალ-ლეიტენანტი დიმიტრი ორბელიანის (1763-1827) დაქვემდებარებაში მყოფი მე-20 დივიზიის შტაბის უფროსი იყო, 1829 წელს გამოქვეყნებულ თხზულებაში მოჰყავს გეორგიევსკის ტრაქტატის მეტად თავისუფალი თარგმანი (როტიე 1829: 63-67).

[8] ფრანგი ისტორიკოსის, ლეფევრ დე ბეკურის შეფასებით, ფინკენშტეინის ხელშეკრულებაში სპარსეთისათვის უმნიშვნელოვანესს, ლამის ერთადერთსა და აუცილებელს, ნარმოადგენდა მუხლები საქართველოს შესახებ, დანარჩენი კი მხოლოდ ზედმეტი ტვირთი იყო (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი: doc. 25, 1839).

[9] ოლივიე უზუსტობას უშვებს. ერეკლე II ფრონტის ცენტრალურ ხაზს მეთაურობდა და ბრძოლის ველი ბოლომდე არ მიუტოვებია, ახლობლებმა ის ძალით მოაშორეს და თბილისიდან გაიყვანეს (დუმბაძე 1973: 762-763).

[10] ოლივიე უზუსტობას უშვებს, ალა მაჰმად ხანი თბილისში 1795 წლის სექტემბერში შევიდა.

[11] ბარდა, *ბარდავი* – ქალაქი აზერბაიჯანში, ყარაბაღის ვაკეზე, მდინარე ტერტერის ორივე ნაპირას, ბარდის რაიონის ცენტრი.

[12] ოლივიე უზუსტობას უშვებს. ფიშხედმათი სპარსულად მსახურს ნიშნავს.

[13] ფიშხედმათის ძმას მუცელი გამოფატრეს (ოლივიე 1807: III, 418).

[14] სადეყ ხან შაყაყი (1786-1797) – სერაბის სახანოს მეორე და უკანასკნელი ხანი, შაყაყთა ქურთების ტომის ბელადი. 1800 წელს ფათჰ-ალი შაჰის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს.

დამოწმებანი

ბერნარი 1997: P. Bernard. *"Le voyage dans l'Empire othoman, l'Égypte et la Perse de Guillaume-Antoine Olivier, naturaliste et envoyé de la République (1792-1798)"*, Comptes-rendus des séances de l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres, 141e année, №. 4.

გაფარელი 1908: P. Gaffarel. *La politique coloniale en France de 1789 à 1830*, Paris, Félix Alcan, Éditeur.

დეერენი 1931: H. Dehérain. "L'œuvre scientifique française en Syrie et en Perse". Histoire des colonies Françaises et de l'expansion de la France dans le monde, vol. III, Paris, 1931, pp. 563-572.

დუმბაძე 1973: *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, საქართველოს XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე*, ტ. IV, რედაქტორი მ. დუმბაძე, თბილისი, „საბჭოთა საქართველო".

მარტენსი 1791: G.-F. Martens. *Recueil des principaux traités d'alliance, de paix, de trêve, de neutralité du commerce, de limites, d'échange conclus par les Puissances de l'Europe tant entre elles qu'avec les puissances et Etats dans d'autres parties du monde depuis 1761 jusqu'à présent.* II, 1779-1786 inclusiv. À Gottingue: Jean Chretien Dieterich.

ნაჭყებია 2018: ი. ნაჭყებია. *ნაპოლეონის დიპლომატიური მისიები ირანში და საქართველოს საკითხი (XIX საუკუნის პირველი ათწლეული)*, თბილისი, გამომცემლობა "მწიგნობარი".

ოლივიე 1807: G.-A. Olivier. *Voyage dans l'Empire Othoman, l'Égypte et la Perse, fait par ordre du Gouvernement, pendant les six premières années de la République*, III, Paris: M. Agasse, Imprimeur-Libraire.

როტიე 1829: Le Colonel Rottiers. *Itinéraire de Tiflis à Constantinople, par le Colonel Rottiers, commandeur, chevalier de différens ordres. membre de plusieurs académies, etc.* Bruxelles: H. Tarlier, Libraire.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი doc. 35: Archives du Ministère des Affaires Étrangères (AMFAE), *Correspondances Politiques, Perse* (CP/Perse): vol. 8: doc. 35.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი doc. 52: Archives du Ministère des Affaires Étrangères (AMFAE), *Correspondances Politiques, Perse* (CP/Perse): vol. 8: doc. 52.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი doc. 157: Archives du Ministère des Affaires Étrangères (AMFAE), *Correspondances Politiques, Perse* (CP/Perse): vol. 8: doc. 157.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი doc. 96: Archives du Ministère des Affaires Étrangères (AMFAE), *Correspondances Politiques, Perse* (CP/Perse): vol. 9, doc. 96.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი doc 19: Archives du Ministère des Affaires Étrangères (AMFAE), *Mémoires et Documents, Perse* (MD/Perse): vol. 6: doc. 19

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი doc. 2: Archives du Ministère des Affaires Étrangères (AMFAE), *Mémoires et Documents, Perse* (MD/Perse): vol. 8, doc. 2.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი doc. 25: Archives du Ministère des Affaires Étrangères (AMFAE), *Mémoires et Documents, Perse* (MD/Perse): vol. 8: doc. 25.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი Protocoles: Archives du Ministère des Affaires étrangères (AMFAE), Protocoles, C 13.

GUILLAUME-ANTOINE OLIVIER'S MISSION IN IRAN (1796) AND HIS INFORMATION ABOUT GEORGIA

Irine Natchkebia

At the end of the 18th century, in October 1795, on the instructions of the French Directory (1795-1799), two French scientists – the entomologist Guillaume-Antoine Olivier and the zoologist Jean-Guillaume Bruguière were commissioned to go to Iran, to make Agha Mohammad Khan agree to establish relationship with France and to create a Turkish-Persian alliance against Russia. The French emissaries were received twice by Haji Ibrahim, the vizier of Agha Mohammad Khan, on September 23 and 24, 1796. But their mission was not followed by a result, as the Ottomans declared war on France in September 1798 because of Bonaparte's expedition to Egypt (1798-1799).

In the present article we focused on Olivier's data about Georgia, presented in the third volume of his *Voyage* published in 1807. Particularly noteworthy is the presentation of articles 1-13 of Treaty of Georgievsk in chapter XX of his work. The French scholar does not cite the source, but we think he used a work published in 1791 in German and French by the German lawyer Georg Friedrich von Martens. The publication of this document had a definite meaning: on May 4, 1807, the treaty of alliance was concluded between France and Iran. Napoleon recognizes Georgia as legitimately belonging to Fath-Ali Shah (Art. 3), and he undertakes to make all his efforts "to force Russia to evacuate Georgia and Persian territory" (Art. 4). The mention of the kingdom of Kartl-Kakheti as the 'Georgia of Persia' by Olivier, reinforced in the minds of Europeans the idea that Eastern Georgia was a country belonging to Persia and taken by force by Russia, because it was clear from the text of the treaty that this is an unequal agreement with Georgia.

Olivier notes that the Treaty of Georgievsk was signed in 1783, four years after the death of Karim Khan (1779), when many claimants fought for the throne of Iran. According to him, after the conquest of the southern provinces of Persia Agha Mohammad Khan could not give up his rights that he had upon Georgia, as otherwise he would compromise his honor and would not be worthy of the crown usurped by him. This reference of Olivier clearly shows how important the integration of Georgia as part of Persia was for the new dynasty of the Kadjars from a moral and political point of view.

In his *Voyage* Olivier presents the information by the Hungarian doctor, eyewitness Auguste Aros, on the invasion of Aga Mohammad Khan in Tbilisi in 1795 and the barbaric behavior of his warriors.

The third volume of Olivier's *Voyage* was immediately translated into English, German, Dutch, Spanish, and Italian. The above information is the first data on Georgia presented to a large audience of European readers.

თეოფილ დეიროლის „მევენახეობა კავკასიის დასავლეთ პროვინციებში“

ანა ჭეიშვილი

1869 წელს, საფრანგეთის საიმპერატორო და მთავარი მებაღეობის საზოგადოების კრებულში გამოქვეყნდა ფრანგი ენტომოლოგისა და მხატვრის, თეოფილ დეიროლის (1844-1923) სტატია „მევენახეობა კავკასიის დასავლეთ პროვინციებში“ (Théophile Deyrolle. La viticulture dans les provinces occidentales du Caucase. *Journal de la société impériale et centrale d'horticulture de France.* 2e série, Tome III. Paris : Au siège de la Société, 1869. pp. 489-506.). დეიროლმა ამავე წელს იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში და ვაზისა და ხეხილის სხვადასხვა ჯიშების ნიმუშები მოიძია მათი საფრანგეთში გაგზავნის მიზნით. სწორედ ამ მოგზაურობის დროს შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე დაწერა მან ეს სტატია, რომელიც ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ პირველ პუბლიკაციას წარმოადგენს. ავტორი აღწერს XIX საუკუნეში საქართველოში გავრცელებული ვენახის ფორმებს, მათ მოვლას, ქვევრში ღვინის დაყენების მეთოდსა და ღვინოებს. ამავე დროს, ეს კრიტიკული სტატიაა, რომელშიც დეიროლი ცდილობს, იმ პერიოდის ფრანგულ ლიტერატურაში საქართველოს მეღვინეობის შესახებ არსებული ცნობების დაზუსტებას და, ასევე, საკუთარ აზრს გამოთქვამს ქართული ღვინის შესახებ. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ავტორის მიერ სტატიაში ჩამოთვლილი ვაზის ჯიშების აღწერა, რომელთაგან ზოგიერთი დღეისათვის უცნობია და სამომავლო კელევას საჭიროებს. აღნიშნული სტატია ქართული მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის მნიშვნელოვანი წყაროა.

თეოფილ დეიროლის მიერ სტატიაში მითითებული ბატონი დე ლ***-ს პიროვნების დაზუსტებისათვის, აღვნიშნავთ, რომ აქ, სავარაუდოდ იგულისხმება ბარონი დე ლონგოილ, საქართველოში დამკვიდრებული ფრანგი მეენახე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული ენდემური ჯიშების ევროპის სანერგეებში გაგზავნაში. სწორედ მისი დახმარებით მოხვდა პირველ ევროპულ ამპელოგრაფიულ ნაშრომებში ქართული ვაზის ჯიშების აღწერა.

ფრანგული სტატიის შესაბამისად, თარგმანშიც ასევე დახრილი შრიფტით არის მოცემული ქართული სიტყვები, ვაზის ჯიშებისა და გეოგრაფიული დასახელებები.

თეოფილ დეიროლი

მევენახეობა კავკასიის დასავლეთ პროვინციებში[1]

მოგზაურობისას, რომელიც წელს წამოვიწყე ამიერკავკასიის დასავლეთ პროვინციების ბუნების საკელევად, განცვიფრებული დავრჩი ზოგადად მცენარეულობის სიუხვით, რომელიც ზაფხულის ცხელი ჰაერისა და ხშირი წვიმების გაელენით გასაოცარ ზომებს აღწევს. არაფერია იმაზე უფრო საუცხოო სანახავი, ვიდრე ტყეებით დაფარული იმ დიდი მდინარეების ხეობები, რომლებიც ამ მხარეს რწყავს. ყველაზე მეტად გავრცელებულ მარცვლეულს შორის სიმინდი და ღომი აღწევს გასაოცარ ზომებს. ვაზი განსაკუთრებით უხვად ხარობს; მე მას ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებოდი ხან გაველურებულს, ცოცხალ ღობეებსა თუ ბუჩქნარს შორის ან ტყეში ხეებზე გაშვებულს, ხანაც კულტივირებულს, მაგრამ ისეთივე სიძლიერით მცოცავს ავად თუ კარგად გასხლულ ხეებზე. ერთმანეთისგან დაშორებით მდგარ სახლებიან სოფლებში ყოველი საცხოვრებლის გარშემო არის შემოღობილი ადგილი, სადაც გრძელ ხარდანზე დაყრდნობილი ვაზი სიმინდშია შერეული. უფრო მშრალ და მთიან მხარეებში – რაჭასა და ლეჩხუმში – ვნახე ვენახები, რომლებმაც თავისი პატარა სარებზე დამაგრებული ან მინაზე

[1] ჩემგან დამოუკიდებელი საწყენი გარემოების გამო, წინამდებარე სტატიის ხელნაწერი სტამბაში გაკეთებული პირველ კორექტურის შემდეგ დაიკარგა. ავტორმა, რომელსაც ამონაბეჭდი გავუგზავნეთ, უყურადღებოდ დატოვა მისი ხელახლა შესწორების თხოვნა. ამგვარად, მე არ შემიძლია უზრუნველვყო ტექსტში ასე მრავალრიცხოვანი ქართული სახელების ორთოგრაფიული სიზუსტე. (რედაქტორის შენიშვნა. 1869 წ.).

გაწოლილი ვაზით ჩვენი ფრანგული ბექობები მომაგონა.

მე ვიფიქრე, რომ შესაძლებელია, ვინმე დაინტერესდეს იმ მარტივი და იშვიათი მეთოდებით, რომლებსაც ქართველები ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენებისას მიმართავენ და თავი მოვუყარე ადგილზე გაკეთებულ ჩანაწერებს. უსაზღვროდ დიდი სამსახური გამიწია კავკასიაში მრავალი წლის წინ დამკვიდრებულმა მევენახეობის ფრანგმა სპეციალისტმა ბატონმა დე ლ***-მ, რომელმაც მომაწოდა ცნობები სტატისტიკისა და სხვა ისეთი საკითხების შესახებ, რომელთა დადგენაც მე თვითონ ვერ შევძელი. სწორედ ამ შესანიშნავ მეგობარს უნდა ვუმადლოდეთ, თუ ეს მცირე ნაშრომი ერთ დღეს ვინმეს გამოადგება.

ვაზი უხსოვარი დროიდან იყო ცნობილი კავკასიის ყელში და, გადმოცემის თანახმად, ეს ადგილი უნდა იყოს მისი აკვანი; სწორედ აქედან უნდა გავრცელებულიყო იგი მცირე აზიაში, არქიპელაგის კუნძულებზე, საბერძნეთსა და დანარჩენ ევროპაში.

თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ ამ ძვირფასი მცენარის გაკულტურება და გაუმჯობესება სხვაგან მოხდა და მისი ახალი სახეობები კავკასიაში დასახლებულმა ბერძენთა, რომაელთა, გენუელთა და გერმანელთა კოლონიებმა უკანვე შემოიტანეს. რასაკვირველია, კავკასიური ვაზის ჯიშების შედარებითი შესწავლა საფრანგეთში ცნობილ რამდენიმე ჯიშთან მათი იდენტურობის დადგენის საშუალებას მოგვცემდა.

ამ ფაქტს მხოლოდ იმისთვის აღვნიშნავ, რომ ჩვენი კოლექციონერების ყურადღება გავამახვილო იმ კვლევაზე, რომელიც ყველასთვის საინტერესო და გამოსადეგი იქნებოდა.

აქ გადმოგცემთ მოკლე რეზიუმეს დარგვის, გაშენებისა და გასხვლის სხვადასხვა ფორმების შესახებ, აღვწერ ღვინის დაყენების მეთოდებს და, დასასრულ, მოგაწვდით ღვინოებისა და ვაზის ჯიშების ჩამონათვალს. მე ვესტუმრე სხვადასხვა ვენახებს, პირადად შევძელი მათ შესახებ მემსჯელა და შევეცდები უარვყო შეცდომები, რომლებიც ბატონ ჟულიენს გაეპარა თავის შესანიშნავ წიგნში „ყველა ცნობილ ვენახთა ტოპოგრაფია“; ამ შეცდომების წყარო იყო ტფილისში საფრანგეთის ყოფილი კონსულის, გამბას მიერ მინოდებული არასწორი ცნობები.

სამეგრელოს, იმერეთის, გურიისა და აფხაზეთის სხვადასხვა მაზრებში არსებობს ვაზის გაშენების სამი სხვადასხვა წესი: მაღლარი ვენახი, ანუ ხეებზე გაშვებული, საშუალო ვენახი და დაბლარი ვენახი.

მაღლარი ძირითადად გაშენებულია ან დაბლობში, ან ფერსათისა და კავკასიონის ქედების ქართულ განტოტებებსა და ფერდობებზე, მდინარის ნაპირებზე ალუვიურ ნიადაგში, ან ნესტიან ადგილებში წყაროების მახლობლად.

თხუთმეტი, ზოგჯერ კი ოცი ან ოცდასამი მეტრის სიმაღლის ხის ძირში ათავსებენ გადანაწევნს, ორი წლის დაფესვიანებულ მცენარეს, რომელიც მეზობელი ვაზის რქის გადანაწევნიდან მოდის. ერთი ან ორი წლის განმავლობაში იგი უხეშად არის მიბმული იმ ხის ძირზე, რომელმაც ის უნდა დაიჭიროს და როგორც კი ხის პირველივე ტოტებს მიაღწევს, მას თავის ნებაზე მიუშვებენ, შემდეგ კი მალე იგი ხის კენწერომდეც ადის.

ხშირად ადამიანის ჩარევით ან ქარის დახმარებით, ვაზის რქები მეზობელ ხეებს ეჭიდება და მათ ფარავს. ამგვარად, არც თუ იშვიათად, ვხედავთ, თუ როგორ ამშვენებს ერთი ძირი ვაზი ხუთი ან ექვსი ასწლოვანი ხის კენწეროს. ზოგჯერ ვაზის ვარჯიდან წამოსული ნამხრევი გადანაწევნილია და მიემართება ყველაზე მახლობელი ხის ტანისკენ, რომელიც მისი საყრდენი უნდა გახდეს. ხდება ხოლმე, რომ ვაზის განუსაზღვრელი რაოდენობის გადანანწევნი მიდის დედა ვაზიდან და მხოლოდ გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო თუ მოსწყდება მას.

ამგვარი ვენახები, რომლებიც რამდენიმე ასეული ვაზისგან შედგება და ძირითადად გაშვებულია ხურმისა და თხმელის ხეებზე, ყველაზე თვალწარმტაცი და, ამასთანავე, ველური სანახაობაა. ბევრგან ვნახე 30 სმ დიამეტრის ვაზები, რომლებიც მთლიანად შთანთქმული იყო 2 მეტრზე მეტი გარშემოწერილობის ხეების მერქანში.

შედარებით უკეთ მოვლილ ვენახებში 5-6 წელიწადში ერთხელ ვაზის საყრდენ ხეს წალდით ან ცულით უხეშად აჭრიან მსხვილ ტოტებს, რათა ყურძენს დამწიფება გაუადვილონ. შემდეგ, ერთგვარი სასხლავი დანით აცაბაცად ჭრიან ვაზის რქებს, გასხვლის ყოველგვარი წესის დაცვისა და მომდევნო მოსავალზე ზრუნვის გარეშე.

როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ეს ვაზები დარგულია უზარმაზარი ხეების ძირში, ნესტიან და ჭაობიან ადგილებში. ცხოველები ქერქს აცლიან და ასახიჩრებენ ვაზს, რომელიც ამგვარი ცუდი პირობების მიუხედავად ნაცრის შემოსვლამდე საკმაოდ დიდ მოსავალს იძლეოდა. ამასთანავე, ძლიერ იშვიათია ამგვარ ვაზზე უნაკლოდ სრული და თანაბარი სიმწიფის მტევნების ნახვა. ორპირი ქარი,

აღმოსავლეთის ძლიერი ქარები და კავკასიისთვის ასე დამახასიათებელი ტემპერატურის უცაბედი ცვლილება ვაზის ყვავილობისას მომავალი მარცვლის, სულ მცირე, ერთ მესამედს აცვენს და მეორე მესამედს კი წვავს.

ვაზის გადაჭარბებული სიმაღლე, შესაძლებელია ყურძნით დატვირთული ტოტების გადამეტებული სიგრძეც, მთიან რეგიონებში ღამით ტემპერატურის მნიშვნელოვანი ვარდნა, გამთბარი მიწიდან არეკლილი სითბოს არარსებობა იმდენად აგვიანებს ყურძნის დამწიფებას, რომ ხშირად მაღლარში რთველი იწყება 15 ნოემბრის შემდეგ, მაშინ, როდესაც ხეების ძირში უკვე 30 სმ სიმაღლის თოვლი დევს. ამ დროისთვის, ყურძნის კარგა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის სრულად დამწიფებული და ვინაიდან ადგილობრივი მცხოვრებლები არანაირ გადარჩევას არ მიმართავენ, ამიტომ მიღებული პროდუქტის ხარისხი ძალიან გაუარესებულია. მეორე მხრივ, ღვინის დუღილი, რომელიც მხოლოდ 3-4 გრადუსი ტემპერატურის პირობებში და ცუდად გადახურულ ადგილას მიმდინარეობს (ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ ვისაუბრებთ), ძლიერ არასრულია და ხელახლა იწყება გაზაფხულის პირველივე სითბოს დადგომასთან ერთად, რაც ღვინის ამღვრევასა და ხშირად მის გაფუჭებას იწვევს.

იმერეთში ხეებზე გაშვებული ძირითადი ვენახები მდებარეობს ბაღდათში, *ქუთაისის* მაზრაში, და ბაღდათიდან სამი ვერსით დაშორებულ *დიმში*, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი ვენახები ეკუთვნით თავად *ჩხეიძეებს*. შემდეგ მოდის რიონის პირას მდებარე *ამაღლების* ვენახები *საჩხეიძეოს* უძველესს პროვინციაში და *სალომინაოს* ვენახები.

გურიაში ეს არის *ჩოხატაურის* ვენახები, რომლებიც გურიის ძველ *ერისთავებს*, თავად *შერვაშიძეებს* ეკუთვნით, ოზურგეთის მახლობლად – *ვარდანიძეთა* ოჯახის კუთვნილი *ლეხაურის* ვენახები და *გურიანთის* ბექობებზე – თავად *მიხეილ ნაკაშიძის* ვენახები.

ხეზე გაშვებული ვენახის კულტურა ყველაზე მეტად სამეგრელოშია გავრცელებული. სამწუხაროდ, რიონისა და ცხენისწყლის ხეობის ყველა ვენახი, რომლებიც დიდი რაოდენობით იძლეოდა ყოველდღიური მოხმარების ღვინოს, თითქმის მთლიანად გაანადგურა ნაცარმა. ვერც მისი უბრწყინვალესობის, სამეგრელოს მთავრის ნიკო ჩიქოვან-დადიანისა და მისი ბიძის, კონსტანტინე დადიანის კუთვნილი *ოჯალეშის* სახელგანთქმული ვენახი გადაურჩა ამ უბედურებას.

აფხაზეთსა და სამურზაყანოში, რომლებიც ასევე ნაწილია კავკასიის დასავლეთ პროვინციებისა, არის ხეებზე გაშვებული რამდენიმე ვენახი. აფხაზეთის ძველ მმართველს, თავად მიხეილ შერვაშიძეს ასევე ჰქონდა კარგი ხარისხის მსუბუქად შამპანურისებრი ღვინო, მაგრამ ეს პროვინციები, ისევე როგორც ახალციხისა, თითქმის მთლიანად მუსლიმურია და ამიტომ იქ ცოტა ვენახია.

საშუალო ვენახი, ანუ ოლიხნარი, მიუხედავად იმისა, რომ მაღლართან შედარებით ნაკლებ ფართობზეა გაშენებული, გაცილებით უფრო მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება. ოლიხნარს ყველაზე ხშირად რგავენ ფერდობებზე, ან ზღვის დონიდან შედარებით ამაღლებულ ვაკეზე, სადაც ტენიანობა ნაკლებია.

ეს ვენახები ძირითადად შენდება ორწლიანი დაფესვიანებული გადანაწვენი ნერგების ან კალმებისგან. სავენახე ადგილას მიწას წინასწარ ამუშავებენ ხის გუთნით, რომლის ფორმაც, დარწმუნებული ვარ, ნოეს შემდეგ არც კი შეცვლილა, და ფარცხავენ ტოტებისგან დამზადებული ლასტით, რომელსაც ხარები მიათრევენ და რომელზეც ადამიანი დგას. შემდეგ ნახევარნიჩბის ფორმის ხის უხეში იარაღის – *ძელბარის* საშუალებით, ორივე მიმართულებით ავლებენ თითქმის სწორ ხაზებს. გადანაწვენს ან კალამს, აქ ცნობილი ერთადერთი ხელის სამუშაო იარაღის – *თოხის* საშუალებით გაკეთებულ ორმოებში ათავსებენ.

ახალგაზრდა ნერგს გასხვლისას 5-6 კვირტს უტოვებენ მიწის ზემოთ, შემდეგ კი ორი წლით ასვენებენ. რიგებს შორის თესავენ სიმინდს, იმისათვის რომ ნერგები მზემ არ დაწვას და ხელი შეუწყოს მათ გახარებას.

დარგვიდან მეორე წელს ვაზს მიწის ზემოთ ორ კვირტზე სხლავენ. აქედან ვითარდება 4 ძლიერი ყლორტი, რომლებიც ზოგჯერ 5-6 მეტრს აღწევს. მომდევნო ზაფხულს ვაზის ძირიდან წამოსულ ახალგაზრდა ყლორტებს დანით ან წალდით ფრთხილად აჭრიან სიგრძის ნახევარს. რა თქმა უნდა, ვენახის მთელი არსებობის მანძილზე სიმინდი მუდამ არის დათესილი ვაზის რიგებს შორის.

მეორე გასხვლისას ვაზის ძირიდან ამოსულ სამ ყველაზე სუსტ რქას აცლიან და დარჩენილი ყლორტი 2 კვირტზე ისხვლება, ანუ მიწის ზედაპირიდან დაახლოებით 1 მეტრის სიმაღლეზე, რადგან, როგორც უკვე აღვინიშნეთ, ვაზის ძირში ყველა კვირტი სათუთად იყო მოცლილი წინა ზაფხულს. შემდეგ ყოველი ვაზის ძირში, ისე, რომ რიგში სისწორეს არანაირი ყურადღება არ ექცევა, არჭობენ 2-დან 4 მეტრამდე სიგრძის ხარდანს, და მასზე რქას ერთი ან ორი ბმით აბამენ. დარჩენილ 2 კვირტზე ოთხი ახალი ყლორტი ვითარდება და რამდენიმე მტევან ყურძენს ისხამს. სწორედ მესამე გასხვლისას

იწყება რეალურად ვაზის დამაგრება ოლიხნარზე: ვაზის ძირში 2 ტოტს ჭრიან; მესამეს სხლავენ 2 ან 3 კვირტზე; მეოთხეს უბრალოდ შეჭრიან 8 ან 10 კვირტზე, ახვევენ, ზოგჯერ ტეხენ კიდეეაც, ხარდნის გარშემო და თავით დაბლა აბამენ. მომდევნო გასხვლებიც იმავე პრინციპით ხდება – იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება ვაზი, და თითოეულ ძირზე ვაზის სიძლიერის შესაბამისი რაოდენობის ყურძნით დატვირთულ ტოტს ტოვებენ.

რვა-ათი წლის ვაზები ერთმანეთში უწესრიგოდ არის არეული; მიწამდე დაშვებული ყურძნის მტევნებით დატვირთული ურიცხვი რქა ერთმანეთშია გადახლართული და ვაზსა და რიგებს შორის დათესილ სიმინდის ღეროებს ეხვევა. ვაზის ძირიდან ამოსული ნამხრევი მიწას ფარავს და ვაზს აუძლურებს. არავის მოსდის აზრად ნამხრევების და ზედმეტი კვირტების მოშორება, რაც მხოლოდ ყურძნის დამწიფებას კი არ გააადვილებდა და უკეთეს მოსავალს მოიტანდა, არამედ მფლობელებისთვის ზამთარში საქონლის გამოსაკვებად კარგი წყარო იქნებოდა – იმ ქვეყანაში, სადაც თივის მოგროვება სრულიად უცნობი რამაა და სადაც პირუტყვს ისღა დარჩენია, რომ 4 თვის მანძილზე გადამშრალ ტყეებში ძოვოს.

ზოგჯერ წარმოუდგენელი რამ ხდება! როდესაც მიწა აღარ იძლევა სიმინდის ხშირ და უხვ მოსავალს, მას მიატოვებენ ხოლმე. ცრუ სიმინდი, ღომი, დიდი ქოლგოსანი მცენარეები, მაყვალი მთლიანად იპყრობს მიწას. ამ დროს, საკუთარი სიზარმაცის გასამართლებლად გლეხების უმეტესობა ამბობს, რომ ბალახის გამარგვლა ნიადაგს გამოაშრობს და თესლის განვითარებას ხელს შეუშლისო. ეს მიზეზი სრულიად მიუღებელია, ვინაიდან მთელი ზაფხულის განმავლობაში, ნახევარზე მეტ დროს წვიმს ყველა იმ მხარეში, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ.

მიუხედავად ამისა, ნაკლებად ზარმაცი ან უფრო საზრიანი რამდენიმე მფლობელი (ასეთები ძალიან ცოტანი არიან!), გულმოდგინედ მარგლავს საკუთარ ვენახებს და ისეთ შედეგებს იღებს, რომ მათ მაგალითს სხვებმაც უნდა მისდიონ: ვაზი გაცილებით უფრო ძლიერია, ყურძენი უფრო უხვი და ღვინო კი უკეთესი ხარისხის; მაგრამ უდარდელობა და უმოქმედობა იმდენად ჩვეულია ქართველთა ბუნებისთვის, რომ ეს ხალხი გაკოტრების საგანი გამხდარა.

ერთი და იმავე სახეობის ყურძენი 2-3 კვირით უფრო ადრე მწიფდება, ვიდრე მაღლარ ვენახში. ერთნაირად ჩატარებული რთველი და დაყენებული ღვინო დაახლოებით მსგავს პროდუქტებს იძლევა. მხოლოდ ამ უკანასკნელი ვენახებიდან დაყენებულ ღვინოს ძირითადად ჩამიჩის გემო აქვს, რაც დიდი რაოდენობის დაჩამიჩებული მარცვლების გამოა, რომლებსაც რთვლის დროს არ აცლიან.

ისევე როგორც ყველგან, ნაცარმა მაღლარ ვენახებთან შედარებით ნაკლებად გაანადგურა ოლიხნარი. გოგირდის შეფრქვევა შეიძლება აქ წარმატებით იყოს გამოყენებული, მხოლოდ თუ რუსეთის მთავრობა მოინდომებს გოგირდისა და საბერველების საწყობების დაარსებას ქუთაისსა და მევენახეობის მხარეების ძირითად ცენტრებში და მათი გამოყენებით დაეხმარება მოსახლეობას.

ყველაზე მნიშვნელოვანი ოლიხნარები არის იმერეთში – *ბაღდათი, დიმი, ხანი, დიმიტრაო, ამაღლება*, შემდეგ *საბეკა, გეგუთი, ობჩა, სვირი, შორაპანი, საჩხერე არგვეთში*, – და რაჭასა და ლეჩხუმში. ამ ორ უკანასკნელ მაზრაში ვენახების უდიდესი ნაწილი ოლიხნარია და გაცილებით უკეთ არის გაშენებული, ვიდრე სხვაგან.

სამეგრელოში არ არის ისეთი ოლიხნარი ან დაბლარი ვენახები, რომლებიც აქ ჩამოთვლას იმსახურებდეს.

1865 წელს მისმა აღმატებულება პრინცმა მირსკიმ, ქუთაისის მაშინდელმა გუბერნატორმა, ბაღდათში შეიძინა მამული, სადაც დაახლოებით 30 არის[3] ფართობის ოლიხნარი იყო გაშენებული მხოლოდ ადგილობრივი თეთრი ჯიშის ვაზით: *შანთი, მელეორი* და *კუმსა მწვანე*. ეს ვენახები ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით პარალელურ ხაზებად გადაანვინეს, გასხლეს, ლითონის მავთულზე ექიმ ჟიულ გუიოს სისტემის მიხედვით გაიყვანეს, ზედმეტი კვირტები მოაცალეს, გაფურჩნეს და გოგირდი შეაფრქვიეს. 1866 წელს, როდესაც ნაცარმა ბაღდათის გარშემო მოსავლის სამი მეოთხედი გაანადგურა, ეს ვენახები გადარჩა. 1867 წელს, ორი წლით ადრე გადანვენილი 5 არი ვენახიდან 6 ჰექტოლიტრი ღვინო დააყენეს, ანუ სამჯერ უფრო მეტი, ვიდრე დამახასიათებელია ამ მხარისთვის.

ფრანგული ღვინოებივით დაყენებული და ხის კასრებში დავარგებული ეს ღვინო იმდენად განსხვავდება ყველა იმერული ღვინისგან, რომ მას ადგილობრივი მცხოვრებლებიც კი ვერ ცნობენ.

პრინცმა მირსკიმ ასევე დაარგვევინა ოჯალეშის, გურიისა და რაჭის საუკეთესო ჯიშები, ბურგუნდიის შავი, ნაცრისფერი და თეთრი პინო, ბოჟოლეს პეტი გამე, პეტიტ სირა და ერმიტაჟის რუსანი. ყველა ეს ვაზი კარგად ხარობს. მათი დარგვიდან მხოლოდ მეორე წელია და უკვე საკმაოდ ბევრი მტევანი ასხია.

[3] მინის ფართობის საზომი; 1 არი უდრის 100 კვ. მეტრს (მთარგმნელის შენიშვნა).

1868 წლის 24 აგვისტოსთვის ბურგუნდიის პინოები და გამე უკვე თითქმის მთლიანად მწიფე იყო, მაგრამ მათი ხარისხის დადგენა ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო.

ხანის, ბაღდათის, დიმის, ობჩისა და სვირის ვენახები მდებარეობს მდინარე ხანისწყლის ორივე ნაპირზე და ძირითადად გაშენებულია თიხოვან-კაჟოვან ან კაჟოვან ნიადაგში, რომელიც ეყრდნობა სხვადასხვა ჯიშისა და ბუნების კეჭნარებს, სადაც დიდი რაოდენით მაგნეზიურ კირქვაში აქა-იქ შერეულია კვარცული ძარღვები.

დიმიტრაოს, ამაღლების, საბეკას ვენახები ამავე ტიპის ნიადაგზე მდებარეობს.

რაც შეეხება დანარჩენს, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის ყველა ვენახი მდინარეების: რიონის, ყვირილას, ენგურისა და სუფსის ნაპირებზე, არის ალუვიურ თიხნარ-კაჟოვან ნიადაგში, რომელიც ეყრდნობა იმავე ტიპის კეჭნარების ქვენიადაგს.

დაბლარი ვენახი ზუსტად ისევე ირგვება, როგორც ოლიხნარი, მხოლოდ შუალედები არ არსებობს; ძირები დარგულია 0,6-დან 1 მეტრამდე დაშორებით. გასხვლა, მდებარეობა და მიმართულება იგივეა. მიუხედავად ამისა, ხარდანი, რომელიც ოლიხნარის შემთხვევაში 2-დან 4 მეტრამდეა, აქ 1,2-დან 1,5 მეტრამდე სიგრძის პატარა ჭიგოა, რომლის გარშემოც შემოხვეულია და თავდალმა მიბმულია ხილით დატვირთული ტოტი. ძალიან ახლო-ახლო დარგული და აგრეთვე გადაწვენით გამრავლებული ეს ვაზები, მალე უძლურდება და მათი სიცოცხლისუნარიანობა ოც წელიწადს არც კი აღემატება.

დაბლარი ვენახი ოლიხნართან შედარებით უკეთაა მოვლილი და თითქმის ყველა ასეთი ვენახი გაშენებულია შედარებით მშრალ ნიადაგში და მზისგულზე. ვფიქრობ, რომ დარგვის უკეთესი ფორმით, ჯიშების უფრო ჭკვიანურად არჩევით, უკეთ გაშენებითა და გასხვლით ისინი სრულყოფილებას მიაღწევდნენ და შეძლებდნენ კავკასიის ყველა ღვინისთვის საუკეთესო სახელის მოპოვებას, რასაც ზოგიერთი მათგანი უდავოდ იმსახურებს.

დაბლარი ვენახი, სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა. ის მხოლოდ იმერეთშია და თითქმის ყველა მდებარეობს ყვირილას მარჯვენა ნაპირზე, ჭოგნარში, კაჟის შემცველ კირიან ნიადაგში; სიმონეთის, არგვეთის და შორაპნის ბექობებზე და ასევე ლეჩხუმსა და რაჭაში, სადაც თითქმის ყველგან ჭარბობს კირქვა.

გურიაში პროგრესულად მოაზროვნე თაეადმა მიხეილ ნაკაშიძემ, გადაწყვიტა თავის ქვეყანაში ამ სფეროს გაუმჯობესება და საფრანგეთიდან და ყირიმიდან შემოტანილი ვაზის ჯიშებით სცადა დაბლარის გაშენება; თუმცა ეს ნარგავები ჯერ ძალიან ახალგაზრდაა იმისთვის, რომ შედეგები შევაფასოთ.

რთველი

ხეებზე გაშვებულ ვენახში ყურძენს კრეფენ და მცირე ზომის, დაწნულ, ქვედა მხარეს წვეტიან კალათებში (*გიდელი*) ანყობენ, რომლებიც ხის კაუჭით არის აღჭურვილი. როგორც კი ხეზე ასული კაცები ან ყმანვილები კალათებს გაავსებენ, მათ ქვემოთ უშვებენ თოკით ან, უფრო ხშირად, ვაზის გრძელი ლერწით. ქალები, რომლებიც ამ შემთხვევაში ჩვეულებას გადაუხვევენ და მუშაობას ინებებენ, მიღებულ კალათებს ცლიან ერთ დიდ მოწნულ კალათში – *ძარში*. იგი დამაგრებულია პატარა *ურემზე*, რომელშიც წყვილი ხარია შებმული და მას მოკრეფილი ყურძნის გადასატანად იყენებენ.

რთველი ხშირად რამდენიმე კვირას გრძელდება როგორც იმ სირთულეების გამო, რაც კრეფას ახლავს თან, ისე მუშახელის სიმცირისა და იმ დიდი სივრცის გამო, რომელსაც ამგვარი ვენახები იკავებს, და რომლებიც ამავე მიზეზით მფლობელის სახლიდან კარგა დიდ მანძილზეა დაშორებული.

რთველში ძირითადად მხოლოდ ოჯახი ან მეზობლები მონაწილეობენ. ის ზოგჯერ სიმღერებით გაჯერებული პატარა დღესასწაულების საბაბი ხდება. მთელი დღის მანძილზე ისმის მერთველეთა გადაძახილი, რომელიც გარეულ ცხოველთა ყვირილს ჰგავს. ეს სიხარულის გამოხატვის მეტად გავრცელებული ჩვეულებაა.

ოლიხნარი 15-20 დღით უფრო ადრე იკრიფება. ყურძნის ზოგიერთი ჯიში ხშირად 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე უკვე დამწიფებულია.

ოლიხნარისა და დაბლარის რთველიც იმგვარადვე ტარდება, როგორც ხეებზე გაშვებული ვაზისა, ოღონდ აქ ქალები მამაკაცებთან ერთად კრეფენ ყურძენს.

ღვინის დაყენება

მარანი ძირითადად წარმოადგენს ერთმანეთზე დაწყობილი მსუბუქად გარანდული ხის მორებისგან შეკრულ სახლს. მორები ერთმანეთზე დამაგრებულია ბოლოებში გაკეთებული ნაჭდევებით.

მარნის სახურაი, ისევე როგორც სხვა ადგილობრივი სახლების სახურავები, გაკეთებულია მუხის ფიცრებისგან. შესასვლელი კარი მხოლოდ ერთია. სახურავი ხშირად ხვრელებიანია და შიდა ტემპერატურა ატმოსფერული ცვლილებების შესაბამისია.

აქ მოტანილ ყურძენს ყრიან მთლიანი ხისგან გამოთლილ როფში, რომელსაც *საწნახელი* ეწოდება.

არსებობს უზარმაზარი საწნახლებიც. რაჭაში, სოფელ წესში, თავად ყიფიანთან ვნახე რამდენიმე ასეთი საწნახელი, რომლებიც 12 000, 15 000 და 20 000-ზე მეტ ბოთლს იტევდა.

ყურძენს შიშველი ფეხით ჭყლეტენ მანამდე, სანამ საწნახელი ორ მესამედზე არ გაივსება. ჩვეულებრივ, ეს დღის მანძილზე ხდება.

დულილი, ყოველთვის არათანაბარი და დაუსრულებელი, 4-5 დღეს გრძელდება. ამ დროის შემდეგ და ხშირად მანამდეც, სანამ ის სრულად გაცივდება, ღვინოს ჭაჭის ქუდის ქვემოდან იღებენ ჯოხზე დამაგრებული კვახით, რომელსაც *ორშიმო* ეწოდება, და ასხამენ თიხის დოქებში, რომელთა მოცულობაც 12-დან 15 ლიტრამდეა. ამ დოქებით ღვინო მიაქვთ ხის ღობით შემოსაზღვრულ და დიდი ხეებით ხელოვნურად დაჩრდილულ ადგილამდე. სწორედ ამ ადგილას არის ჩაფლული დაუდგენელი რაოდენობის წითელი თიხის ფართო ამფორები – *ჭურები*, რომლებიც გარედან კირით არის დაფარული. ერთი ჭურის მოცულობა მერყეობს 12 ჩაფიდან (დაახლოებით 144 ლიტრი) 96 და 100 ჩაფამდე (1000-დან 1200 ლიტრამდე).

ღვინის ამგვარად გადაღების შემდეგ, ჭაჭა გადააქვთ ყველაზე პრიმიტიულ საქაჯავთან – წნეხთან, რომელიც მოთავსებულია სახლთან ფარდულში და ზოგჯერ კი ღია ცის ქვეშაც. დაწნეხვა ძირითადად ძალიან ცუდად ხდება. წნეხის ღვინო არ ერევა დანარჩენ ღვინოს და იგი ოჯახის მოხმარებისთვის არის გამიზნული.

ნარჩენებს ხდიან ორი ერთმანეთზე დადგმული ქვაბის საშუალებით, საიდანაც იღებენ ცუდი ხარისხის არაყს (რუსულად *ვოდკა*, ქართულად კი *რაბი*). ზედა ქვაბს აქვს დახრილი მილი, რომელზეც სელი ნაჭერია შემოხვეული და საიდანაც მოედინება ალკოჰოლი. ასეთი აპარატი თითქმის ყველას აქვს. მიღებული პროდუქტი ყოველთვის დაბალგრადუსიანია და ძალიან დაბალი ხარისხისაა.

სავსე ჭურს მუხის ფიცრებით ხურავენ, შემდეგ ზემოდან თიხით ფარავენ და კარგად ტკეპნიან. თიხის ფენაში, გარკვეული დროის მანძილზე, 15-20 სმ სიგრძის ლერწმის ღეროს არჭობენ, რომელიც ხის ფიცრებამდე ჩადის. ეს იმ მიზნით ხდება, რომ ხელი შეუშალონ დულილს და ჭურჭლის გატეხვას იმ შემთხვევაში, თუ დულილი განახლდება. ძლიერი სიცივეების დადგომისთანავე ლერწმის ღერს ამოიღებენ და თიხაში დარჩენილ ნახვრეტს საგულდაგულოდ ამოლესავენ.

ხშირად ჭურები დაშორიშორებულია და, ჩვეულებრივ, ჩაფლულია კაკლის ან სხვა დიდი და გრილჩრდილიანი ხის ქვეშ, რომლის ვარჯზეც სითხის დასაწური სხვადასხვა იარაღია ჩამოკიდებული.

ღვინის ჩასხმამდე *ჭურის* გასაწმენდად *სარეცხელს* ხმარობენ; ესაა გრძელი ჯოხი, რომლის ბოლოზეც აცმულია ბლის ხის ქერქის ოცამდე ნაჭერი. ჭურჭელში ერთ ან ორ *ჩაფ* წყალს ასხამენ და სარეცხელით შეიარაღებული მამაკაცი ქვევრის შიდა კედლებს ყველა მიმართულებით ხეხავს. ჩასხმული წყლის ამოსახაპად იგი ხმარობს შუაზე გადაჭრილ მრგვალ გოგრას, რომლის ზედა ნაწილზეც მიბმულია სამი თანაბარი სიგრძის ზონარი, რომლებიც, *ჭურის* სიღრმის მიხედვით, ერთი ან ორი მეტრის სიგრძის ჯოხზეა მიბმული. გოგრის ძირზე 50 სმ სიგრძის ზონარია დამაგრებული, რომელიც მეორე ჯოხზეა მიბმული. ამ ხელსაწყოს გოგრა ეწოდება და მისი მოხმარება ხანგრძლივი, უცნაური და რთულია. მას მოლიანად ჭურში უშვებენ; ვინაიდან გოგრა სითხის ზედაპირზე ტივტივებს, ამიტომ მას ძირზე მიბმული ჯოხის საშუალებით ძირავენ სითხეში, შემდეგ თაიისკენ მოსწევენ მხოლოდ ზედა ჯოხს და, ამგვარად, სავსე გოგრა ამოაქვთ ჭურჭლიდან, და ასე აგრძელებენ სითხის სრულ ამოშრობამდე. შემდეგ ისევ ჩაასხამენ წყალს და ყველაფერს ხელახლა იწყებენ იქამდე, ვიდრე ჭურჭელი მეტ-ნაკლებად სუფთა არ იქნება; შემდეგ მას ღვინით ავსებენ ისე, როგორც ეს ზემოთ უკვე აღვწერეთ და დახურავენ.

ყველაზე აკურატული მფლობელები ღვინოს ჭურჭელს მარტის თვეში უცვლიან. ღვინის გადაღება ისევ სახელურიანი ორშიმოს მეშვეობით ხდება.

ჭურები წითელი თიხისგან არის დამზადებული. ისინი ფორებიანი და არასასაკმარისად გამომწვარია, მათ ხშირად ცლიან და ყოველთვის ცოტა ჰაერი რჩება ზედაპირზე და ამიტომ ღვინო მალე იღებს ობისა და კასრის გემოს, რაც ღვინოს პირველსავე წელს ძალიან უსიამოვნო დასალევს ხდის.

ამასთანავე, უკვე ივნისის თვიდან თითქმის ყველა ღვინო გაფუჭებული და წამხდარია, რაც ხელს არ უშლის იმას, რომ ადგილზე გაყიდონ გაცილებით ძვირად, ვიდრე ფრანგული ჩვეულებრივი ღვინოები, და გასაოცარი რაოდენობით მოიხმარონ.

თეთრი ღვინოები, რომლებიც ძალიან მცირე რაოდენობითაა, რადგან ფერმენტაციისას თეთრ

ყურძენს წითელში ურევენ, ისეთივე მეთოდით მზადდება, როგორც წითელი ღვინოები – თეთრსაც წითელივით კლერტსა და კანზე ადუღებენ. ღვინის გადაღება მხოლოდ 2 დღის შემდეგ ხდება. ისევე როგორც წითელი ღვინოების შემთხვევაში. დულილი ღია სივრცეში მიმდინარეობს; ღვინის გადაღებაც, ასევე წითლის მსგავსად, მცირე რაოდენობით და, ასევე, ღია ცის ქვეშ ხდება, ამიტომ ამ ღვინოებს ყოველთვის შესახედავად ჟანგმიწის უსიამოვნო ყვითელი ფერი აქვთ, და სრულად არასდროს ხდება კრიალა. ამასთანავე, რადგან ჭაჭაზეა დადუღებული, ეს ღვინოები მწკლარტე და მჟავეა.

კახეთის (კავკასიის აღმოსავლეთი პროვინცია) ღვინოები, რომელთაც სრულიად დაუმსახურებლად კარგი რეპუტაცია აქვთ რუსებსა და სომხებს შორის, ისეთივე უსიამოვნო შესახედავია, როგორც ისინი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ. ბევრი კახური ღვინო ვნახე, მაგრამ არასდროს მინახავს არც გამჭვირვალე და არც კრიალა. ყველას გამოქარული და ნაკლულ ჭურჭელში დიდხანს დარჩენილი ღვინოების შესახედაობა აქვს.

ღვინოები

კავკასიის დასავლეთ პროვინციების ძირითადი ღვინოები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

ოჯალეშის ღვინოს, რომლის ვენახიც, როგორც უკვე აღვნიშნე, სამეგრელოს უძველეს მმართველთა ოჯახს ეკუთვნის, ბროწეულის ლამაზი შეფერილობა და არომატული ბუკეტი აქვს. იგი ერმიტაჟისა და კოტ-როტის ღვინოებს შორის იკავებს ადგილს და მათსავით განუსაზღვრელი გამძლეობით ხასიათდება. იგი უდავოდ საუკეთესოა კავკასიის ღვინოებს შორის და, მიუხედავად ღვინის დაყენების ცუდი მეთოდებისა, მას, ზოგიერთ წელს, შეუძლია, საფრანგეთის დიდ ღვინოებსაც კი გაუწიოს კონკურენცია.

ოჯალეში მდებარეობს კავკასიონის ქედის უკანასკნელ განტოტებებზე, სამხრეთის ქვიან ფერდობებზე და დაცულია აღმოსავლეთის მშრალი ქარებისგან, რომლებიც ასე მავნეა ვენახისთვის. იგი სოფელ სალხინოს მახლობლად მდებარეობს, დაახლოებით თანაბარ მანძილზეა დაშორებული ხონიდან და სამეგრელოს უძველეს დედაქალაქ ზუგდიდიდან.

ლეხაურში, ოზურგეთის მახლობლად გურიაში, ნაცრის შემოსვლამდე ასევე ამზადებდნენ სახელგანთქმულ, თუმცა ოჯალეშზე ნაკლებად ცნობილ, წითელ და თეთრ ღვინოებს. ამ დაავადების შემოსვლის შემდეგ ეს ღვინოები აღარ არსებობს.

ჩოხატაურის ღვინოები, მზადდება ვაზის ჯიშისგან, რომელსაც ჯანი ეწოდება და რომელიც სრულ სიმწიფეს ხშირად დეკემბრის ბოლოს აღნევს. ეს ღვინოები რამდენიმე წლის წინ სრულიად დამსახურებულად კარგი რეპუტაციით სარგებლობდა და, როგორც ამბობენ, ესპანურ რანსიოს ჰგავდა. ორმოც წელზე მეტი ხნის წინ გურიაში დაფუძნებული, ნარმოშობით შოტლანდიელი, ბატონი მარის ღვინოები თითქმის ისევე იყო შეფასებული, როგორც ესპანეთისა და მარსალას ღვინოები. მას შემდეგ, რაც ბატონი მარი ქუთაისის მებაღეობის ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა, თავისი ვენახი ვაჟს დაუტოვა, რომელმაც ვერ შეძლო მისი მოვლა და გააფუჭა პროდუქტები, რომლებიც დღეს სრულიად გაუფასურებულია მეტისმეტად დასპირტვის გამო.

მიუხედავად იმისა, რომ ეს თემიდან გადახვევა გამოდის, მაინც აღვნიშნავ, რომ სწორედ ბატონმა მარმა შემოიტანა კავკასიაში კარტოფილის, ბამბის და მრავალი სხვა სასარგებლო მცენარის კულტურა.

ტოლას ღვინოები რაჭაში, თავადი ყიფიანის კუთვნილი ვენახებიდან, ამ მხარეში ყველაზე სახელგანთქმულია. მას აყენებენ ყურძნის სხვადასხვა სახეობისგან, თუმცა საფუძველი საფერავია. ეს ღვინო შეიძლება ჩაითვალოს კარგ საშუალო ღვინოდ, ისევე როგორც რიონის ფერდობების ყველა ღვინო წესამდე და ონამდეც კი.

ლეჩხუმის მრავალი ღვინო დაახლოებით იმავე ხასიათისაა, თუმცა კი უფრო დაბალი ხარისხის. თავად ყიფიანის ერთი წლის ღვინოები ქუთაისის ბაზარზე 1 ლიტრი 0,80-დან 1 ფრანკამდე ფასობს.

შორაპანშიც აყენებენ კარგი ხარისხის თეთრ და წითელ ღვინოებს. *არგვეთში, სიმონეთში, ჭოგნარში* – სადაც კირქვიანი ნიადაგია – აყენებენ მსუბუქ და სასიამოვნო წითელ, ვარდისფერ და თეთრ ღვინოებს, მაგრამ ეს ღვინოები ძალიან მოკლე ხნით ინახება, რადგან დამზადებისას მათზე ნაკლებად ზრუნავენ. *მარტვილი* და *სალხინო* ასევე შესანიშნავ პროდუქტს იძლევა. მარტვილის ვენახები ამავე სახელწოდების მონასტერს ეკუთვნის. ეპისკოპოსთან, რომელმაც სტუმრად მიმიპატიჟა, ძალიან მაღალი ხარისხის ღვინო გავსინჯე.

საჯევახოში, გურიისა და იმერეთის საზღვარზე, აყენებდნენ და ახლაც აყენებენ (ნაცრის შე-

მოსელის შემდეგ გაცილებით უფრო მცირე რაოდენობით), ლამაზი ფერის ჯანსაღ ღვინოს, თუმცა ნაკლებად არომატულს, რომელიც ცოტათი ბოჟოლეს ღვინოებს მოგვაგონებს. ეს ღვინოები, უკეთ მოვლისა და დაყენების მეთოდების შერჩევის შემთხვევაში, უეჭველად დაიკაებდა მეორე და მესამე ადგილებს სამხრეთ კავკასიის დასავლეთ პროვინციების ღვინოებს შორის და საფრანგეთის ჩვეულებრივი ღვინოების კლასიფიკაციაში კი – მესამე ადგილს.

ბაღდათში, დიმში, ობჩაში, სვირში და *ხანში* თანაბარი ხარისხის წითელ და თეთრ ღვინოებს აყენებენ, მაგრამ ზარმაცი, უზრუნველი და დაუდევარი ადგილობრივი მცხოვრებლები ისეთ მდგომარეობაში ტოვებენ ჭურებს, რომ შეუძლებელია, იმსჯელო შიგთავსის ხარისხზე, რომელიც თითქმის ყოველთვის მჟავე და დასალევად უვარგისია.

თუმცა თავადი ჩხეიძეები, და არა როსტან-შევცი, როგორც ამას გამბას ჩანაწერებზე დაყრდნობით წერს ბატონი ჟულიენი, და განსაკუთრებით კი თავადი კონსტანტინე ჩხეიძე,[3] აყენებენ კარგ, არომატულ, უზადო და დასალევად სასიამოვნო ღვინოებს.

მთელ იმ მაზრაში, რომელზეც ვსაუბრობთ, აზნაურთა და გლეხთა შორის საუკეთესო ღვინოებს აყენებენ შემდეგი ოჯახები – ფურცელაძე, კოპაორე [Copaoré], მირაბა [Miraba], ზერაშაძე [Serachadré], ჩხეიძე, გლეხები ბერო და სიგუნავა, რომელთა ვენახებიც შემოგარენში ყველაზე უფრო სუფთა და საუკეთესოდ მოვლილია.

დანარჩენ სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში არ აყენებენ ისეთ ღვინოებს, რომლებიც აქ ჩამოთვლას იმსახურებს.

ვარციხის ხეობაში, რომელიც ბატონი ჟულიენის მიხედვით ყვირილასა და ხანისწყალს შორის მდებარეობს, ვენახები არ არის და იმ რამდენიმე იშვიათ ნარგავს, რომლებიც *როკითშია*, ვენახს ვერ დავარქმევთ. ვერ ვხვდები, შევალიე გამბა, ყოფილი მფლობელი ვარციხისა, რომელიც დაახლოებით 1860 წელს მისმა ქალიშვილმა მოსკოველ მდიდარ ბანკირ ანანოვს მიჰყიდა, როგორ ანიჭებს რაიმე ღირებულებას ამ მხარის ღვინოს, სადაც ღვინოს არც აყენებენ და რომელიც მთლიანად დაფარულია უზარმაზარი ტყეებით, დაბალი და ნესტიანი დაბლობებით ყვირილას ნაპირებზე. რაც შეეხება იმ მრავალრიცხოვან სახდელებს, რომლებსაც ეს ავტორი ბაღდათის შემოგარენში ათავსებს, და რომელთა ღვინოებიც, მისი ცნობით, მაღალალკოჰოლიანია (რაც მე არასდროს შემინიშნავს), ამ სახდელებს არასდროს უარსებიათ გარდა ერთისა, რომელსაც ერთი ბერძენი ხელმძღვანელობდა; მაგრამ მან საქმიანობა შეწყვიტა ვაზის დაავადების შემოსვლისა და არყის სახდელების აკრძალვისთანავე.

რაც შეეხება წითელ ღვინოებს, რომლებიც მოგზაურებმა შამპანის ღვინოებს მიამსგავსეს, შესაძლებელია, რომ ამ ცნობის ავტორს ისინი არასდროს დაულევია, ან, უბრალოდ, დაავიწყდა მათი გემო.

იმავე ნაშრომში და იმავე წყაროდან მიღებული ცნობების თანახმად, ბატონი ჟულიენი წერს: „ბაღდათიდან 36 კმ-ით დაშორებულ სიმონეთში ძალიან კარგ ღვინოებს აყენებენ; ასევე ბევრი ვენახია შორაპნის მაზრაში. ასევე ბევრია ვაკესა [Vacca] და რაჭაში“. თუმცა, ავტორისთვის ამ შემთხვევაშიც არაზუსტი ცნობები მიუწოდებიათ, რადგან რაჭის მაზრა არა მხოლოდ დღეს არის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ვენახებით, არამედ ასე იყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ეახუშტი ბატონიშვილი წერდა საქართველოს გეოგრაფიასა და ისტორიას და რომელიც მან 1745 წლის 20 ოქტომბერს დაასრულა.

თავისი ნაშრომის მეხუთე გამოცემის გამოქვეყნებამდე, რომელიც 1866 წელს გამომცემლობა Veuve Bouchard-Huzard-მა დაბეჭდა, ბატონ ჟულიენს, რომელმაც ამდენი კარგი რამ დაწერა, უკეთესად უნდა მოეპოვებინა ცნობები კავკასიის ღვინოების კლასიფიკაციის, მათი წარმოების ადგილებისა და სახელების ორთოგრაფიის, და ფასების მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ.

მაგალითად, ვკითხულობთ: „ერთი ტუკა (*თუნგის* მაგივრად) საუკეთესო ღვინო თბილისში ერთიდან ერთ-ნახევარ აბაზამდე (1 ფრანკი) ღირს, ხოლო საშუალო ხარისხის 1 ბოთლი ღვინო კი 1 სუმდე ღირს“. თუმცა, უკვე 5 წელია, და ალბათ უფრო მეტიც კი, რაც კახეთის ყველაზე ცუდი ღვინოები (გარდა დავით ჭაეჭავაძის ღვინოებისა, რომლებიც ტფილისში ბოთლი 1 მანეთი, ანუ 4 ფრანკი ღირს) ბოთლი 25 კაპიკამდე (1 ფრანკი) ღირს, და არცთუ იშვიათად ისინი 50-დან 60 კაპიკამდე იყიდება (2 ფრანკიდან 2,40 ფრანკამდე). რაც შეეხება ტფილისში ღვინის მოხმარებას, როდესაც ბატონი ჟულიენი ერთ მომხმარებელზე ადგენს 4,5 ლიტრს დღეში, ის უდავოდ ნახევარზე მეტად აჭარბებს.

ამ შენიშვნას იმით დავასრულებ, რომ იმერეთის, სამეგრელოს, გურიის ღვინოები არის და დარჩება, თუ ამას მფლობელები მოისურვებენ, კავკასიის საუკეთესო ღვინოებად, ვინაიდან ოჯალე-

[3] სწორედ ამ თავადის თავაზიანობას უნდა ვუმადლოდე იმ ცნობათა უმეტესობას, რომლებიც მოვიპოვე ღვინის დაყენებისა და რთველის შესახებ.

შის, ლეხაურისა და რაჭის ღვინოები შეფერილობით ბრწყინვალეა, ძლიერი – ზედმეტი სპირტიანობის გარეშე, კუჭისთვის სასარგებლო, დასალევად სასიამოვნო, როგორც გაუზავებელი, ასევე წყლით გაზავებული. თეთრი ღვინოები ადვილად ათრობს. კახეთის ღვინოები, თავად დავით ჭავჭავაძისა და, განსაკუთრებით, გენერალ როტის ღვინოების გარდა, როდესაც იგი სამეფო სახლის ვენახს ხელმძღვანელობდა. არის შავი, მძიმე, ხასიათის გარეშე, ვერ იტანს წყალში გაზავებას და უმეტესობა დასალევად უსიამოვნოა. ეს ნიადაგის ან ჯიშების დაბალი ხარისხის გამო კი არ არის, არამედ ღვინის დაყენების საზიზღარი მეთოდების გამო. მართლაც, კახური ღვინოები მაცერაციის ღვინოებია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი იმდენად დიდხანს რჩება ჭაჭაზე (ზოგჯერ რამდენიმე თვესაც კი), რომ ჭაჭა თავის სასარგებლოდ იწოვს ალკოჰოლის დიდ ნაწილს და ღვინოს მთლიანად ართმევს ბუკეტს, ისევე როგორც ეს ჩვენი ეროსა[4] და ჭაჭაზე დაყენებულ ყველა ღვინოში ხდება.

ღვინის თაბაშირით დაყენების სავალალო პრაქტიკა, რათა ღვინოს მისცენ შავი შეფერილობა, რომელიც ასე მოსწონთ სომხებს, კიდევ უფრო აქვეითებს ხარისხს. ღვინის სპირტით შემაგრებამ, რომელიც აქ, ისევე როგორც იმერეთში, საგანგაშო ზომებს იღებს, შეიძლება სრულიად ჩამოაქვეითოს ამ ღვინოების ხარისხი, რომლებსაც შეიძლება, სამართლიანად დამსახურებული კარგი სახელი ჰქონდეს.

ერთი ევროპელიც კი არ არსებობს, რომელსაც ამ შავი და უხასიათო სითხის პირველად დალევისას ძნელად დასამარცხებელი ზიზღის გრძნობა არ დაუფლებოდა. მასთან შეჩვევა მხოლოდ გემოს დაქვეითების ხარჯზეა შესაძლებელი.

ჯიშები

ახლა ისღა დამრჩენია, გესაუბროთ ვაზის ჯიშებზე, რომლებიც მეტისმეტად მრავალრიცხოვანი და ცუდად განსაზღვრულია.

ყველაზე მეტად ცნობილი და უკეთ კლასიფიცირებულია:

1. *ბერძულა* [Berdzoula] – წითელი ყურძენი გურიიდან, ასევე უწოდებენ *ღორისთვალას* [Goris-toile], *ლეკაურს* [Lekaouri], *რკო-ყურძენს* [Rho-Kourdzeni]. საშუალო სიმწიფე 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე.

2. *ზეკრულა კაპისტონი* [Zekrsula-Kabistoni] – მთის კაპისტონი, თეთრი ყურძენი (საადრეო).

3. *საკურჭალა* [Saksurdchala] – მსხვილმარცვლიანი წითელი ყურძენი; საშუალო ხარისხის ღვინო. სუფრის ყურძენი.

4. *მართალი კაპისტონი* [Martali-Kabistoni] – თეთრი ყურძენი, მომწვანო ფერის, სიმწიფისას ყავისფრდება, ადვილად ლპება.

5. *საფერავი, ანუ საფერე* [Saperori ou Sapère] – შავი ყურძენი მეჩხერი მტევნებით; იმერული ჯიში უნდა განსხვავდებოდეს კახურისაგან.

6. *დროდრელაბი* (დოდრელიაბი) [Drodrelabi] – შავი ყურძენი დიდი მეჩხერი მტევნებით; ძალიან ცუდი ღვინო. სუფრის ყურძენი.

7. *კუმსა* [Koumsa] – თეთრი ყურძენი; კარგი ღვინო.

8. *კუმსა მწვანე* [Koumsa-insuané, Kumsa vert] – თეთრი ყურძენი, მომწვანო ფერის, მრგვალმარცვლიანი კუმსი მტევნებით; ქვეყანაში დაფასებული ღვინოა.

9. *შანთი* [Chanti] – თეთრი ყურძენი: მტევანი გრძელი და ძლიერად ფრთიანი; მარცვლები მრგვალია, საშუალოზე ნაკლები ზომის, თუმცა თანაბარი; ღვინო ალკოჰოლის მაღალი შემცველობით. ძლიერ გვიანი სიმწიფე, 20 ოქტომბრიდან 15 ნოემბრამდე.

10. *მელეორი* [Méleori] – თეთრი ყურძენი, მრგვალი მარცვლებით კარგად სავსე მტევანი, იდეალურად ყვითელი ფერისაა მწიფობისას; შერეულია შანთისთან ერთად იმერეთის ყველა თეთრი ჯიშის ვენახში. სიმწიფე 20 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე.

11. *ცოლიკოური* [Bsolikoori] – თეთრი ყურძენი. გვიანი სიმწიფე.

12. *კამური* [Khamouri] – თეთრი ყურძენი. გვიანი სიმწიფე.

13. *ოჯალეში* [Odgelechi] – სამეგრელოს ყურძენი (მთის ყურძენი), რომლისგანაც ამავე სახელწოდების ღვინოს აყენებენ სხვა ყურძნის შეურევლად; პატარა მტევანი საშუალო ზომის მარცვლებით, მოლურჯო შავი ფერის. ოლიხნარში ძლიერ გვიან მწიფდება, ხოლო დაბლარში კი 3 კვირით ადრე, 20 ოქტომბრიდან 10 ნოემბრამდე; მაღლარში – 20 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე.

[4] ამ მაგალითში თვალშისაცემი შეცდომაა. ეროს ღვინოებს, პირიქით, ძირითადად ცოტა ხნით აჩერებენ ჭაჭაზე. (რედაქტორის შენიშვნა. 1869 წ.)

14. *ჯანი* [Djanni] – გურიის ყურძენი, სახეობა თითქმის განადგურებულია ნაცრის მიერ: პატარა მტევანი, მრგვალი მარცვლებით, მოლურჯო შავი ფერის, სქელი კანით, არასდროს ლპება; ძალიან მცირედმოსავლიანი. სიმწიფე ისეთივე, როგორც ოჯალეშისა.

15. *პატარა ანდოსაული* [Potara-Andosauoli, Petit Andosaouli] – შავი ყურძენი, ნაკლებად გამძლე ჯიში, საშუალოდ მოსავლიანი; ჩვეულებრივი მეჩხერი მტევანი ოვალური ფორმის მარცვლებით; ნითელი ფერის ყუნწით. ოდნავ გვიანი სიმწიფე.

16. *დიდი ანდოსაული* [Bidi Andosaouli, (Grand)] – ისეთივე, როგორც პატარა ანდოსაული, მხოლოდ უფრო მსხვილი და მეტად თანაბრად ოვალური მარცვლებით; დაფასებულია იმერეთში, სადაც გაშენებულია მხოლოდ მაღლარად. ოდნავ გვიანი სიმწიფე.

17. *თავწითელა* [Taos-Titela, Tête rouge] – შავი ყურძენი.

18. *მტრედისფეხა* [Tredis-Pckhra, Pied de pigeon] – სახელი შეერქვა წითელი ფერის ყუნწის გამო.

19. *მაჩანაური* [Madchanaouri]

20. *ჭიტილური* [Tchitilouri]

21. *ოხტაური* [Ochtaouri]

22. *ანადასური* [Anadasouri]

მხოლოდ იმერეთში 200-ზე მეტი ვაზის ჯიშია ცნობილი.

ამიერკავკასიაში ვაზზე საუბრისას არ შეიძლება არ აღვნიშნო მისი გამოყენების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც საფრანგეთში სრულიად უცნობია. ველური ვაზის ლიანის მსგავსი გრძელი ლერწებისგან მთის მცხოვრებლები გასაოცარი სიმტკიცის თოკებს წნავენ და მათი საშუალებით აგებენ ხიდებს იმ მდინარეების თავზე, რომლებსაც თოლის დნობისას უზარმაზარი ქვის ლოდები და ხის მორები მოაქვთ და ნაიღებდნენ ნებისმიერ სხვა მყარ კონსტრუქციას, რომელსაც საყრდენი წერტილები მდინარის კალაპოტში ექნებოდა.

მრავალი ასეთი დაკიდებული ხიდი ვნახე სამეგრელოსა და სვანეთში, ენგურსა და ცხენისწყალზე. ყოველ ნაპირზე მთებიდან ჩამოტანილი უზარმაზარი ხის მორებისგან უხეშად ნაგებ და ქვის ლოდებით გამაგრებულ ხარაჩოებს აქ მდინარის მიერ ჩამოტანილი ორი დიდი ნაძვი ეყრდნობა. ამ მორების ბოლოებში 5 თოკია მიბმული; ორი მათგანი მოაჯირის როლს ასრულებს, დანარჩენი სამი იჭერს ნაბლის ხის მსუბუქ ლასტებს, რომლებიც ქმნიან ხიდის ფენილს, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია და დამაგრებულია მოაჯირის პარალელურად სხვა მცირე ლერწების საშუალებით.

ეს მყიფე ნაგებობები, რომლებიც ელეგანტური და თვალწარმტაცი უფროა, ვიდრე მყარი, სანაპიროზე მცხოვრებთათვის ზაფხულის სეზონზე საკმარისია. თითქმის ყოველ გაზაფხულზე თოვლის დნობისას ხიდს მოხსნიან და მალევე ისევ ხელახლა დაკიდებენ სულ მცირე ხარჯის სანაცვლოდ. ჩავიხატე ხიდი, რომლითაც ცხენისწყალზე გადავედი; ეს იყო დაახლოებით 80 მეტრის სიგრძის, საკმაოდ ვიწრო ხიდი. მისი მაქსიმალური დატვირთვა იყო ერთი ადამიანის ნონა.

შუა ხიდზე ყოფნისას, კლდეებზე მოხტუნავე გაშმაგებული ნიაღვრიდან ამოსულმა ქაფმა თავიდან ფეხებამდე დამფარა, მიუხედავად იმისა, რომ ხიდი რამდენიმე მეტრით მაღლა იყო. ხიდი ისე ძლიერ ირწეოდა, შემეშინდა, რომ თავბრუ დამეხვეოდა და იქ დიდხანს ველარ გავჩერდი.

VITICULTURE IN THE WESTERN CAUCASUS PROVINCES BY THÉOPHILE DEYROLLE

Ana Cheishvili

In 1869, Théophile Deyrolle, a young French entomologist and painter, traveled to Western Georgia. During his trip he collected samples of vines and fruit trees, with the aim of sending them to France. Based on information gathered during his trip, the same year, Deyrolle published an article titled "Viticulture in the Western Caucasus Provinces" in the "Journal of the Imperial and Central Horticultural Society of France". This is the first article on Georgian viticulture to appear in the European scientific press. The author describes the various forms of vineyard that are common in Georgia, the grape harvest, the making of wine in the kvevris

(the buried earthenware vessels used for the fermentation and ageing of wine). At the same time, this is a critical article, in which Deyrolle tries to clarify and refine the information mentioned by other French travelers. The author does not hesitate to give his opinion on Georgian wines either. At the end of his article, Deyrolle gives a list of the most popular Georgian grape varieties, some of which are unknown today. Here we present the translation of this article from French into Georgian, as it represents a valuable source in the study of the history of Georgian viticulture.

საარქივო მასალების პუბლიკაცია
PUBLICATION OF ARCHIVAL MATERIALS

ქვეყნდება ცნობილი ქართველი ისტორიკოსის გ. მამულიას (1937-2003) არქივში დაცული გამოკვლევა ქართლის მთაზე აღმოჩენილი ბერძნული წარწერების შესახებ. ეს წერილი 1998 წელს არის მომზადებული, თუმც ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნებული არ ყოფილა. იგი დასათაურებული არ იყო. წარმოდგენილი სათაური პირობითია და ეკუთვნის ტ. ახალაიას, რომელმაც ეს მასალა გამოსაცემად მოამზადა: დაურთო შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, წყაროები და რეზიუმე. მანვე დანართის სახით წარმოადგინა გ. მამულიას არქივში ნაპოვნი სხვა ტექსტიც, რომელიც შეეხება მამამძუძეობის ინსტიტუტს ძველ ქართლში. აქ წყაროდ სხვებთან ერთად გამოყენებულია სწორედ ზემოთ აღნიშნული ბერძნული წარწერების მასალა.

„მთა ქართლზე“ აღმოჩენილი ორი ბერძნული წარწერა

გურამ მამულია

1993 და 1995 წელს მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ „მთა ქართლის“ ბაგინეთის კალთაზე, არმაზციხედ წოდებულ ტერიტორიაზე, უაღრესად საყურადღებო ბერძნულწარწერიანი ორი ქვიშაქვის სტელა აღმოაჩინა. ორივე წარწერა ურთიერთთან ჩანს დაკავშირებული. სამწუხაროდ, 1993 წელს აღმოჩენილი სტელა დაზიანებულია. ამის გამო, თავდაპირველად განვიხილოთ 1995 წელს აღმოჩენილი სტელა, რომელსაც პირობითად №1 სტელა ვუწოდოთ.

აღნიშნული სტელის ბერძნული ტექსტი ასეთია:

ΑΡΜΕΝΙΑCΟΥΛΟ
ΓΑΙCΟΥΓΥΝΑΙΚΙΔΕ
ΒΑCΙΛΕWCΙΒΗΡWΝ
ΜΕΓΑΛΟΥΑΜΑΖΑC
ΠΟΥΑΝΑΓΡΑΝΗCΟ
ΤΡΟΦΕΥCΚΑΙΕΠΙΤΡ
ΠΟCΙΔΙΑΔΥΝΑΜΙ
ΤΟΒΑΛΑΝΙΟΝΑΦΙΕΡWCΕΝ

ეს უკანასკნელი სიტყვა გრაფიკულად ასე არის ამოკვეთილი:

ΑΦΙΕΡW
CΕΝ

თ. ყაუხჩიშვილი №1 სტელის ტექსტს ასე თარგმნის:

> [ქალის სახელი მიცემით ბრუნვაში] არმენიის მეფის, ვოლოგეზეს ასულს, ხოლო იბერთა დიდი მეფის, ამაზასპეს მეუღლეს, ანაგრანესმა, მამამძუძემ და ეზოსმოძღვარმა, საკუთარი სახსრით [გაკეთებული] აბანო შესწირა“ (ყაუხჩიშვილი 1998ა: 35); (ყაუხჩიშვილი 1998ბ: 12).

თ. ყაუხჩიშვილის აზრით, №1 სტელას დასაწყისი აკლია, სადაც არმენიის მეფის ქალიშვილის სახელი იხსენიებოდა, ნათქვამი იყო, რომ ვოლოგესი არმენიის მეფე იყო, ხოლო ვოლოგესის ქალიშვილი კი – იბერთა მეფე ამაზასპასის მეუღლე (ყაუხჩიშვილი 1998ბ: 12).

უნდა შევნიშნოთ, რომ №1 სტელა ერთი მთლიანი მონოლითია და ჰქონდა თუ არა მას „ქუდი“, როგორც ამას თ. ყაუხჩიშვილი ვარაუდობს, ვერაფერს ვიტყვით. კონიუნქტურული დამატებების გარეშე №1 სტელის ტექსტი შეიძლება ასე ითარგმნოს: „არმენიის ვოლოგესის ქალს, იბერთა მეფის დიდი ამაზასპის [იგულისხმება მეუღლეს – გ. მ.], ანაგრანესმა, მამამძუძემ და ეზოსმოძღვარმა, საკუთარი სახსრით [იგულისხმება აშენებული – გ. მ.] აბანო ძღვნად მიართვა“.

1993 წელს აღმოჩენილი სტელა, რომელსაც პირობითად №2 სტელა ვუწოდოთ, სამწუხაროდ, დაზიანებულია. სტელაზე შემოგვრჩა შვიდი სტრიქონი, აქედან სამი – ფრაგმენტულად, ოთხი კი სრულად არის შემონახული. სტელაზე ბერძნული ტექსტი შემდეგნაირად არის განლაგებული (ყაუხჩიშვილი 1996: 82-83):

ΦЄU
TPOΠC
NAM
ANIONKTICA
ΔIATPOΦIMH
ΔPAKONTIΔIBAC
IAICHAΦIЄPWCЄN

თ. ყაუხჩიშვილის მიხედვით ტექსტი ასე ითარგმნება:

... ანიონმა გააკეთებინა დიასახლისს (ან მსახურთუფროსს) მინის ქვეშა გაყვანილობა (ან წყალსადენი) და შესწირა დრაკონტის დედოფალს (ყაუხჩიშვილი 1996: 83).

როგორც თ. ყაუხჩიშვილი ვარაუდობს, მესამე სტრიქონის NAM იგივე ძველბერძნული nâma არის – რუ, ნაკადული, ჩანჩქერი; მეოთხე სტრიქონში ANION-ი კი ქალის სახელია, ხოლო KTICA კი κτίζω ზმნასთან არის დაკავშირებული „კეთების“ მნიშვნელობით (ყაუხჩიშვილი 1996: 84-88).

რადგან №2 სტელა 1993 წელს აღმოჩნდა, თ. ყაუხჩიშვილმა იგი მაშინ გაშიფრა, როდესაც №1-ად წოდებული სტელა ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი. №2 სტელის აღმოჩენის შემდეგ გაითხარა რომაული ტიპის აბანო და 1995 წელს აღმოჩნდა №1 სტელა, სადაც აბანოს აშენებისა და მისი ძღვნად მირთმევის ამბავია მოთხრობილი. №2 სტელის წარწერა, რომელიც შინაარსობრივად უდავოდ №1 სტელას უკავშირდება, საშუალებას გვაძლევს, გარკვეული ვარაუდები გამოვთქვათ არა მხოლოდ №2 სტელის წარწერის იმ მონაკვეთის მიმართ, რომლის შინაარსი ეჭვს არ იწვევს, არამედ იმ მონაკვეთის მიმართაც, რომლის ფრაგმენტებიღა შემოგვრჩა. რადგან №1 სტელის წარწერაში აბანოს აშენების ფაქტია დადასტურებული, სარწმუნოდ გვეჩვენება თ. ყაუხჩიშვილის აზრი, რომ №2 სტელის წარწერის მესამე სტრიქონის NAM ფრაგმენტი nâma არის წყლის გაყვანილობის მნიშვნელობით (ყაუხჩიშვილი 1996: 84). მაგრამ რადგან №1 სტელის წარწერაში გვხვდება სიტყვა τὸ βαλανῖον – აბანო, სარწმუნოდ მეჩვენება არქეოლოგ გელა გიუნაშვილის ჩემთან საუბრისას გამოთქმული მოსაზრება, რომ №2 სტელის მეოთხე სტრიქონის ANIONKTICA-ში „ანიონ“-ი არა ქალის საკუთარი სახელი, არამედ ბერძნული სიტყვა აბანოს – „ბალანიონ“-ის ნაწილია.

№1 სტელის აღმოჩენამ სათანადო კორექტივები შეატანინა თ. ყაუხჩიშვილსაც. 1996 წლის 8 დეკემბერს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში მან აღნიშნა, რომ №1 სტელის აღმოჩენის შედეგად იგი იძულებულია, ზოგი მოსაზრება გადასინჯოს, რომელიც გამოაქვეყნა კრებულში „მცხეთა“ (ყაუხჩიშვილი 1996: 81-93). უდავოდ საფუძველს მოკლებული არ უნდა ჩანდეს თ. ყაუხჩიშვილის ის მოსაზრება, რომ №2 სტელის პირველი და მეორე სტრიქონის ფრაგმენტები ΦCU და TPOΠC №1 სტელაში დამონმებული სოციალური ტერმინების – τροφεὺς -ის და ἐπίτροπος-ის ფრაგმენტებს წარმოადგენენ (ეს მოსაზრება თ. ყაუხჩიშვილმა პირად საუბარში გაგვიზიარა).[1]

ამჯერად კი თავად №2 სტელის წარწერის შინაარსზე გადავიდეთ. წარწერა შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ. პირველი ოთხი სტრიქონიდან სამი სტრიქონის ფრაგმენტულობის გამო ძნელია, უფრო ზუსტად კი, შეუძლებელიც კი არის, აღვადგინოთ ზუსტი შინაარსი, თუ კონკრეტულად რის შესახებ არის საუბარი დასახელებულ ოთხ სტრიქონში. რადგან აღნიშნული ოთხი სტრიქონი ზმნა κτίσα-თი მთავრდება, ეს მიუთითებს, რომ მასში რაღაცის გაკეთებაზე, აშენებაზე იყო საუბარი – არ არის გამორიცხული, რომ აბანოსა და მისი წყლის აკვედუკის აშენებაზე „ტროფეუსად“ და „ეპიტროპოსად“ წოდებულ ანაგრანესის მიერ.

პირველი ოთხი დაზიანებული სტრიქონისაგან განსხვავებით უკანასკნელი სამი სტრიქონის შინაარსი სრულიად ნათელია. მოვიტანოთ მისი თარგმანი: „ვითარც ტროფიმემ დრაკონტის დედოფალს ძღვნად მიართვა“.

აღნიშნული წარწერის – τρόφιμη, №1 სტელაში მოხსენიებული τροφεὺς-ის მდედრობითი სქესის ფორმაა, უფრო ზუსტად, τρόφιμος-ისა, რომელიც τροφεὺς ტერმინის სინონიმად დასტურდება ხოლმე. ორივე წარწერის ურთიერთშედარებიდან ჩანს, რომ „ტროფიმე“, რომლის საკუთარი სახელი, ჯერ-ჯერობით მაინც, ჩვენთვის უცნობი რჩება, ანაგრანეს ტროფეუსის მეუღლე არის. ამავე დროს აღნიშნული წარწერების ურთიერთშედარება წარმოაჩენს იბერთა მეფე ამაზასპის მეუღლის სახელს – დრაკონტი (ყაუხჩიშვილი 1996: 85-88).

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ეს წარწერები II-III საუკუნეებს მიეკუთვნებიან. №1 სტელაზე ორი საკუთარი სახელი გვხვდება, რომელნიც მხარს უჭერენ წარწერების II-III საუკუნეებით დათარიღებას. ეს სახელებია – ამაზასპი და ვოლოგესი. ამაზასპის ტიტულატურა სრულიად გარკვეულია – იგი არის იბერთა მეფე დიდი ამაზასპი. რაც შეეხება ვოლოგესს, წარწერაში მისი ტიტული დასახელებული არ არის, იგი არმენიის ვოლოგესად იწოდება. ვოლოგესის სახელის მქონე მეფეები სომხეთში II-III საუკუნეებში დასტურდებიან: მაგალითად, ვოლოგეზ I (117-140), ვოლოგეზ II (180-191) და დასავლეთ სომხეთის მეფე არშაკ III-ის (378-390) თანამეფე ვოლოგეზ III 378-379 წლებში.

რამდენად სწორია თ. ყაუხჩიშვილის მოსაზრება, რომ №1 სტელაში მოხსენიებული არმენიის ვოლოგეზი არმენიის მეფე არის (ყაუხჩიშვილი 1998ბ: 13), გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით. ამ მოსაზრებას ეჭვქვეშ აყენებს ისიც, რომ თუ ჩავთვლით, რომ №1 სტელას იბერთა მეფე ამაზასპი იგივე ამაზასპია, რომელსაც კარტირის ცნობილი წარწერა იხსენიებს, მაშინ III საუკუნის 50-იან – 70-იან წლებში მაინც სომხეთში ვოლოგესის სახელის მქონე მეფე უნდა გვევარაუდა, რაც წყაროებით არ დასტურდება. მართალია, კ. თუმანოვი სომხეთში ვოლოგეზ II-ის (180-191) თანამედროვედ იბერიის მეფე ამაზასპ II-ს (185-189) ვარაუდობს (თუმანოვი 1969: 17), მაგრამ ეს მოსაზრება ძალზე სათუოა, რადგან იგი ქართლის მეფეთა სიების რეკონსტრუქციის საფუძველზე არის გამოთქმული, რომელთაც ქართული წყაროების ცნობები უდევს საფუძვლად, ხოლო ისინი ნდობას არ იმსახურებენ, მით უფრო, რომ საკონტროლო მასალა ანტიკური წყაროების სახით ამ დროისათვის არ გაგვაჩნია. ყოველ შემთხვევაში, როგორც არქეოლოგები ვარაუდობენ, მოპოვებული მასალა II-III საუკუნეებს განეკუთვნება და ზოგადად ახალაღმოჩენილი სტელები II-III საუკუნეებით თარიღდებიან.

ჩვენს ყურადღებას, რასაკვირველია, სტელებზე დამოწმებული სოციალური ტერმინები იმსახურებენ. №1 სტელაზე იბერთა მეფის, დიდი ამაზასპის მოხელე ანაგრანესი τροφεὺς-ად და ἐπίτροπος-ად იწოდება, ხოლო №2 სტელაზე „ტროფიმე“-ს სოციალური ინსტიტუტი გვხვდება, რაც. როგორც ვთქვით, τροφεὺς-ის მდედრობითი სქესის ფორმა არის. თუ „ეპიტროპოსის“ ინსტიტუტი ახ. წ. II საუკუნის იბერთა მეფის კარზე არმაზის ბილინგუაში გვხვდება (შანიძე 1941: 181-186); (წერეთელი 1942: 2-42), „ტროფეუს“||„ტროფიმეს“ ინსტიტუტი ჩვენში აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებში პირველად წარმოჩნდა. „ტროფეუსის“ ინსტიტუტი ὁ ან ἡ τρόφος (ე. ი. მამრობითი და მდედრობითი სქესის ფორმით) კარგად არის ცნობილი ბერძნულ სამყაროში და „გამზრდელს“, „საზრდოს მიმცემელს“ აღნიშნავდა.

სეპტუაგინტაში ტერმინი τροφεὺς არ დასტურდება, მაგრამ მისი ფორმანაცვალი τρόφος კი რამდენჯერმე გვხვდება. დაბადების წიგნის 35.8-ის ფრაზის ἡ τρόφος Ρεβεκκας-ს შეესიტყვება „მზარდული რებეკაჲსი“. ასევე პავლეს ეპისტოლეთა ძველქართულ თარგმანში τρόφος-ს „მზრდელი“ (I თეს. 2.7) პასუხობს. მცხეთური ბიბლიის ესაია წინასწარმეტყველის 49.23-ის ფრაზის – „და იყენეს მეფენი მძუძე შენდა, ხოლო მმთავრობნი მზარდულ შენდა“ შეესიტყვება სეპტუაგინტის – καὶ ἔσονται βασιλεῖς τιθηνοί σου, αἱ δὲ ἄρχουσαι τροφοί σου. წარმოდგენილი სეპტუაგინტის ტექსტი იმით არის საყურადღებო, რომ ქართულ „მძუძეს“ ბერძნული ὁ τίθηνος შეესიტყვება, რომელიც ბერძნულში ὁ τρόφος-ის სინონიმი არის. ამის გამო, ოშკის ბიბლიის IV მეფეთა წიგნის 10.1 და 10.5-ში მოხსენიებული „მამამძუძე“ სეპტუაგინტის ὁ τίθηνος-ს შეესიტყვება და იმავე ტერმინმა ასახვა ჰპოვა მცხეთური ბიბლიის ესაია წინასწარმეტყველის 49.23-ში, რომელშიც „მძუძე“ τίθηνος-ის თარგმანს წარმოადგენს, შემდგომ ფრაზაში კი τίθηνος-ის სინონიმ τρόφος-ს „მზარდული“ შეესიტყვება.

ახალაღმოჩენილ წარწერებში მოხსენიებული ამაზასპ ქართლის მეფის მოხელე ანაგრანესი და მისი მეუღლე სამეფო სახლის „მძუძენი“ რომ იყვნენ, მცხეთური ბიბლიის ძველი ქართული თარგმანი გვახვედრებს. IV მეფეთა წიგნის 11.2-ში მოთხრობილია, თუ როგორ იხსნა იოსაბემ მცირეწლოვანი იოასი და „დამალა იგი და დედამძუძე მისი“. „დედამძუძეს“ სეპტუაგინტაში შეესიტყვება τὴν τροφὸν, იგივე ტერმინი, რომელიც τροφεὺς-ისა და τρόφιμη-ს ფორმით გვხვდება ხოლმე ბერძნულ წყაროებში.

№1 წარწერის თანახმად, ანაგრანესი ამაზასპ იბერთა მეფის „ტროფეუსი“, ანუ „მამამძუძე“ და „ეპიტროპოსია“. არმაზის ბილინგვის (ახ. წ. II ს.) თანახმად, იბერთა მეფე ხსეფარნუგს, ბილინგვის ბერძნული ვერსიის მიხედვით, ჰყავდა „მრავალთა გამარჯებათა მომპოვებელი“ ეპიტროპოსი იოდმანგანი, რომელიც არამეულ ვერსიაში სასახლის, პალატის მთავრად (rb trbṣ) იწოდება. თავის მხრივ, იოდმანგან პალატის მთავარი და ეპიტროპოსი არის ფარსმან იბერთა მეფის პალატის მთავრისა და პიტიახშის პუპლიკიოს აგრიფას ძე. ანაგრანესი, პუპლიკიოს აგრიფა და იოდმანგანი ერთსადაიმავე სახლს ეკუთვნოდნენ.

არმაზის ბილინგვის თანახმად, პუპლიკიოს აგრიფა და იოდმანგანი იბერთა მეფეების – ფარსმანისა და ქსეფარნუგის პალატის მთავარნი, ეპიტროპოსები და პიტიახშები იყვნენ. პალატის მთა-

ვარი და ეპიტროპოსი სოციალური შინაარსით ერთიდაიმავე სოციალური ინსტიტუტის სხვადასხვა წახნაგს წარმოაჩენენ. პალატის მთავარში უფრო ადმინისტრაციულ-მმართველობითი კუთხეა ნინ წამონეული, ეპიტროპოსში, რომელიც ძველქართულ წყაროებში „ეზოჲსმოძღერად“ ითარგმნის ხოლმე, უფრო სამეურნეო, ხოლო პიტიახში კი ერისთავთა შორის გამორჩეულობას გახაზავდა დიდობის თვალსაზრისით. ყველაზე უფრო ურთიერთს ტროფეუსისა და ეპიტროპოსის ინსტიტუტები უახლოვდებიან და, ამის გამოც, ახალაღმოჩენილ №1 წარწერაში ანაგრანესი ტროფეუსიც არის და ეპიტროპოსიც.

ეპიტროპოსი არმაზის ბილინგვის არამეულ ვერსიაში rb trlṣ არის (წერეთელი 1942: 2-3, 15-16, 22-23), ანუ პალატის მთავარი (მამულია 1987: 79-80). ახალაღმოჩენილ №1 ანაგრანესის წარწერაში კი ეპიტროპოსი იგივე გამზრდელია, ანუ „მამამძუძე“. წარმართული ხანის ქართლიდან მომდინარე ეს ტრადიცია კარგად აისახა ძველქართულ საისტორიო წყაროებში, სადაც „მამამძუძე“ „პალატის მთავარს“ ენაცვლება, ანუ ისინი ურთიერთის სინონიმებად იხმარებიან.[2] „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა ქართლი დაიპყრო, „თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძჱ არიან ქართლისა მეფისაჲ, და მიუბოძა მას მცხეთაჲ საჯდომად [...] ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თჳსისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას“ (აბულაძე 1964: 81-82). ხოლო იმავე ამბის გადმოცემისას, არსენ ბერის მიერ შედგენილი „ნინოს ცხოვრების“ ცნობით, მცხეთაში აზოს მოჰყავს „ათი სახლი მთავართაგან პალატისათა“ (აბულაძე 1971: 47), ე. ი. ძველი ქართული წყარო არსებითად იმეორებს არმაზის ბილინგვისა და ანაგრანესის წარწერის ტრადიციას.

არმაზის ბილინგვისა და ახალაღმოჩენილი ზემოხსენებული ბერძნული წარწერების თანახმად, იბერთა მეფეებს – ფარსმანს, ქსეფარნუგსა და ამაზასპს ჰყავდათ „მამამძუძენი“ – პუპლიკიოს აგრიფა, იოდმანგანი და ანაგრანესი. ცნობები ქართლის მეფეთა „მამამძუძეთა“ შესახებ ძველმა ქართულმა საისტორიო ტრადიციამაც შემოგვინახა. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასლის მამამძუძე საურმაგ სპასპეტი იყო, ვახტანგის ძუძუსმტე კი – არტავაზი (ყაუხჩიშვილი 1955: 143-145). ჯუანშერი ასახელებს აგრეთვე ვარაზ-მიჰრს – საურმაგ მამამძუძის ძმას და საურმაგს – საურმაგ მამამძუძის ძმისწულს, რომელთანაც ვახტანგ გორგასალი ერთად აღზრდილა (ყაუხჩიშვილი 1955: 156, 172, 186, 189). ძუძეულის „თანააღზრდა“ მამამძუძის სახლში არა მხოლოდ მამამძუძის საკუთარი შვილებით (ძუძეულის ძუძუსმტეებით) შემოიფარგლებოდა, არამედ მამამძუძის ძმისშვილებზე – ძუძეულის ძუძუსმტის ბიძაშვილებზეც ვრცელდებოდა (მამულია 1979: 67-73); (მამულია 1987: 75-80).

ლეონტი მროველის ცნობით, მირიან უფლისწულს ჰყავდა „მამამძუძედ და განმგებლად“ მირვანოზი (ყაუხჩიშვილი 1955: 64-65). ლეონტისავე ცნობით, ქართლის მეფე ფარსმან ქველს ჰყავდა სპასპეტი „სახელით ფარნავაზ, ესე ფარნავაზ ძუძუსმტე იყო ფარსმანისი, სარწმუნო, ერთგული და მისანდობელი“ (ყაუხჩიშვილი 1955: 51). ლეონტის ეს ცნობა მიუთითებს, რომ ფარსმან ქველის მამამძუძე ფარნავაზ სპასპეტის მამა იყო და ფარსმან ქველი სპასპეტის სახლში გაზრდილა. როდესაც სპარსელებმა ფარსმან ქველი მოწამლეს, ლეონტის თქმით, „ფარნავაზ სპასპეტმან წარიყვანა ცოლი და ძე ფარსმან ქუელისა და იელტოდა, და მოვიდა სომხითს“ (ყაუხჩიშვილი 1955: 53), რაც მიგვანიშნებს, რომ მეფის გარდაცვალებისას არასრულწლოვანი უფლისწულისა და დედოფლის მეურვედ მამამძუძის სახლი გამოდიოდა.

ლეონტი მროველის ცნობით, სპასპეტის ინსტიტუტი, რომელიც იბერთა მეფეების მამამძუძეთა ინსტიტუტს უკავშირდება, ფარნავაზმა შემოიღო. როდესაც ფარნავაზმა ქართლის სამეფო საერისთავოებად დაჰყო, ლეონტი მროველის თქმით, ფარნავაზმა ერთი ერისთავი „დაადგინა სპასპეტად და მისცა არაგუთგან ვიდრე ტაშისკარამდე და ფანავარადმდე, რომელ არს შიდა ქართლი, და ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 26). ქართლის მეფის „შემდგომი“, ანუ „მეორე“ მონარქის შემდეგ, ქართლის მონარქის მსგავსად ტახტზე რომ იჯდა, ჯუანშერის ცნობა მიგვითითებს: „ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა თხუთმეტისა, მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა, და შემოკრიბნა ყოველნი ქალაქად. და განმზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართავე, და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 147). მაშასადამე, ქართლის ერისთავთა მთავარი მეფე-მონარქივით ტახტზე ზის, ოღონდ მისი ტახტი მონარქის ტახტივით მაღალი არ არის. ქართლის მეფეთა „შემდგომი“ ფაქტობრივად ვიცე-მეფეა (მამულია 1987: 86-88); (ახალაია 1991: 112-114) და მისი მნიშვნელობა შეუმჩნეველი არ დარჩათ იმათ, ვისი ცნობებიც დაედო საფუძვლად სტრაბონის ცნობებს იბერთა სოციალური წყობის შესახებ.

სტრაბონის ცნობა იბერთა პირველი გენოსის შესახებ ორ ნაწილად იყოფა. თავდაპირველად აღწერილია, თუ რა პრინციპის საფუძველზე „სხამენ“ იბერნი თავიანთ მეფეებს, ხოლო შემდეგ ნათქვამია, რომ „მეორე“ (ὁ δεύτερος), ანუ ძველი ქართული „შემდგომი“, „მოსამართლეობს და მხედართმთავრობს“ (ყაუხჩიშვილი 1957: 129-130). თუ „შემდგომის“ სამხედრო ფუნქცია წყაროებში პირდაპირ არის მითითებული (ლეონტი მროველი, არმაზის ბილინგვა), ბერძნული ἡ ἐπιτροπή – საჩივრით მიმართვას, საქმის სასამართლოში გადაცემას ნიშნავდა, რაც ეპიტროპოსის, ანუ „შემდგომის“ ფუნქციებში შედიოდა და ამანაც ჰპოვა ასახვა სტრაბონის მიერ შემონახულ ცნობაში, როდესაც იგი „მეორის“ მოსამართლეობის შესახებ ლაპარაკობს. როგორც „პალატის მთავარი“, ერისთავთა მთავარი თავისი სამამასახლისო ფუნქციით „ბჭე და მაზავებელი“ უნდა ყოფილიყო.

შენიშვნები

[1] როგორც ითქვა, წერილი მომზადებულია 1998 წელს, ხოლო გ. მამულიასთან პირად საუბარში გამოთქმული ნაკითხვა თ. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა 1999 წელს შემდეგი რედაქციით: „მეფის ... მამამძუძემ (τροφεὺς) და ეზოსმოძღვარმა (ἐπίτροπος) ... გააკეთებინა თვისი საზრდელით (ან სახსრით) მინისქვეშა გაყვანილობა (ან ნყალსადენი) და აბანო (ან ნყალსადენი აბანოსთვის) და შესწირა დედოფალ დრაკონტისს“ (ყაუხჩიშვილი 1999: 27-32). აქვე დავამატებთ, რომ აღნიშნული წარწერის განსხვაებულ ნაკითხვას გეთაეაზობს ქართველოლოგი დევიდ ბრაუნდი, რომელსაც, გ. მამულიასგან განსხვაებით, წარწერაში მოხსენიებულ „ტროფიმედ“ არა ანაგრანესის („ტროფეუსის“) მეუღლე, არამედ დედოფალი დრაკონტისი მიაჩნია და რომ ტერმინი „ტროფიმე“ მამამძუძის სახლის „გაზრდილს“ (his own nurtured) აღნიშნავდა (ბრაუნდი 2002: 26, 27-34). (შენიშვნა ჩემია – ტ. ა).

[2] „მამამძუძის“ ინსტიტუტის გენეზისის და სოციალური ისტორიის შესახებ დაწერილებით იხ. (მამულია 1979: 66-75); (მამულია 1987: 75-80, 86-91).

დამოწმებანი

აბულაძე 1964: *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, ი. აბულაძის რედაქციით, ნ. I, თბილისი, მეცნიერება.

აბულაძე 1971: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ი. აბულაძის რედაქციით, ნ. III, თბილისი, მეცნიერება.

ახალაია 1991: ტ. ახალაია. ქართლის (იბერთა) მეფის შემდეგ მეორე პირის ინსტიტუტის სოციალური ისტორია, „მაცნე“, *ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, №3.

ბრაუნდი 2002: D. Braund. *Anagranes the ΤΡΟΦΕΥΣ: the court of aucasian Iberia in the second-third centuries AD. In: Autour de la mer Noire, Hommage de Otar Lordkipanidzé*, Besançon, Institut des Sciences et Techniques de l'Antiquité.

თუმანოვი 1969: C. Toumanoff. Chronology of the Early Kings of Iberia, *Traditio*, vol. 25, Fordham University.

მამულია 1979: გ. მამულია. *კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში*, თბილისი, მეცნიერება.

მამულია 1987: გ. მამულია. *პატრონყმობა*, თბილისი, მეცნიერება.

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, სახელგამი.

ყაუხჩიშვილი 1957: თ. ყაუხჩიშვილი. *სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ)*, თბილისი, მეცნიერებათა აკადემია.

ყაუხჩიშვილი 1996: თ. ყაუხჩიშვილი. ახალი ბერძნული წარწერები არმაზციხე-ბაგინეთიდან, „მცხეთა“, XI, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1998ა: თ. ყაუხჩიშვილი. *ახალი ბერძნული წარწერები მცხეთა-არმაზიდან, რ. კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია*, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1998ბ: თ. ყაუხჩიშვილი. ახალი ბერძნული წარწერა არმაზციხე-ბაგინეთიდან (II), *საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები*, ტ. 4. თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1999: თ. ყაუხჩიშვილი. ძველი ბერძნული წარწერების შესახებ საქართველოში. *ქალაქები და საქალაქო ცხოვრება საქართველოში* I, ა. აფაქიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონფერენცია, 1999, თბილისი.

შანიძე 1941: А. Шанидзе. Данные грекопехлевийской билингвы из Армази для истории термина ეზოსმოძღვარი – эзойсмодзгвари в древнегрузинском, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. II, № 1-2, თბილისი.

ნერეთელი 1942: გ. ნერეთელი. არმაზის ბილინგვა, *ენიმკის მოამბე*. XIII, თბილისი.

დანართი

„მამამძუძის“ ინსტიტუტის შესასწავლად უაღრესად საყურადღებო მასალა წარმოჩნდა უკანასკნელი წლების არქეოლოგიური გათხრების შედეგად არმაზციხედ წოდებულ „მთა ქართლის“ ბაგინეთის კალთაზე. 1993 და 1995 წლების გათხრების დროს აქ აღმოჩნდა ორი ბერძნულწარწერიანი ქვიშაქვის სტელა, რომელნიც შინაარსობრივად ურთიერთთან იყვნენ დაკავშირებული და აბანოს კედელზე იყვნენ მიმაგრებული. სამწუხაროდ, 1993 წელს აღმოჩენილი სტელა დაზიანებულია. ამის გამო, თავდაპირველად განვიხილოთ 1995 წელს აღმოჩენილი სტელა. ამ სტელის ბერძნული ტექსტი ასე ითარგმნის: „არმენიის ეოლოგესის ქალს, ანაგრანესმა, იბერთა მეფის, დიდი ამაზასპის ტროფეუსმა და ეპიტროპოსმა, საკუთარი სახსრით (იგულისხმება აშენებული – გ. მ.) აბანო მიართვა“ (ყაუხჩიშვილი 1998ა: 35). 1993 წელს აღმოჩენილი სტელა, როგორც ვთქვით, დაზიანებულია. ამ სტელაზე უცილობლად იკითხება ბოლო სამი სტრიქონი (ყაუხჩიშვილი 1996: 82-83), რომელიც ასე ითარგმნის: „ვითარც ტროფიმემ დრაკონტის დედოფალს მიართვა“.

წარწერაში მოხსენიებული იბერთა მეფე დიდი ამაზასპი, როგორც ჩანს, ახ. წ. III საუკუნის 60-იანი წლების დამდეგის ქართლის მეფე ამაზასპი არის, რასაც მხარს უჭერენ არქეოლოგიური მასალებიც, რომელნიც ახ. წ. III საუკუნით თარიღდებიან. ორიეე წარწერის შინაარსიდან ჩანს, რომ სომეხ ეოლოგესიანთა გვარის ასულს, სახელად დრაკონტის, რომელიც მეფე ამაზასპის მეუღლე და ქართლის დედოფალი იყო, ამაზასპ მეფის მამამძუძემ (ბერძნულად – „ტროფეუს“) და ეზოსმოძღვარმა (ბერძნულად – „ეპიტროპოს“), სახელად ანაგრანესმა, საკუთარი სახსრებით აშენებული აბანო მიართვა (ყაუხჩიშვილი 1998ბ: 12), ხოლო იგივე საჩუქარი ანაგრანესის მეუღლემ, ქართლის დედოფალს – სახელად დრაკონტის, ვითარც „დედამძუძემ“ (ბერძნულად – „ტროფიმე“) გაუკეთა. წარწერაში ხაზგასმულია, რომ ანაგრანესმა აბანო საკუთარი სახსრებით ააშენა, რადგან ანაგრანესს აბანოს ასაშენებლად საგვარეულო სახსრები რომ გამოეყენებინა, ანაგრანესის სახლიშვილებს თავისი საგვარეულო ქონების სახსრებით აშენებულ აბანოზე პრეტენზიები გაუჩნდებოდათ და ნაჩუქრობა იურიდიულად მტკიცე ვერ იქნებოდა.

ძველბერძნულად τροφεὺς გამზრდელს (მამაკაცს), მას, ვინც კვებავს (მამაკაცს), ხოლო τρόφιμη გამზრდელს (ქალს), მას, ვინც კვებავს (ქალს) აღნიშნავდა, რაც „მამამძუძისა“ და „დედამძუძის“ ვალდებულებას წარმოადგენდა. ოშკის ბიბლიაში შემონახულ მეფეთა IV წიგნში 10.1 და 10.5-ში დამონმებული ტერმინი „მამამძუძე“ ბიბლიის ძველბერძნულ თარგმანში – სეპტუაგინტაში τίθηνος-ს შეესატყვება, რადგან ძველბერძნული τίθηνος ძველბერძნული τροφεὺς-ის სინონიმი არის. არმაზში ახალაღმოჩენილ ბერძნულ წარწერებში დადასტურებული ტერმინები – τροφεὺς და τρόφιμη სეპტაგინტუაში უშუალოდ არ გვხვდება, მაგრამ მათი ფორმანაცვალი ტერმინი τρόφος, როგორც მამრობითი, ისევე მდედრობითი ფორმით დასტურდებიან. მეფეთა IV წიგნის 11.2-ში მოთხრობილია, თუ როგორ იხსნა იოსაბემ მცირეწლოვანი იოასი, „და დამალა იგი და დედამძუძე მისი“. ქართულ „დედამძუძე“-ს ბერძნულ ტექსტში შეესატყვება τρόφος-ი, იგივე ტერმინი, რომელიც τροφεὺς-ის და τρόφιμη-ს ფორმებით გვხვდება არმაზის ახალაღმოჩენილ ბერძნულ წარწერებში. ასე რომ, ანაგრანესი და მისი მეუღლე ამაზასპ ქართლის მეფის (ახ. წ. III ს-ის 60-იანი წლების დამდეგი) „მამამძუძე“ და „დედამძუძე“ რომ იყვნენ, ეჭვს არ იწვევს.

1995 წელს ბაგინეთში აღმოჩენილი წარწერის მიხედვით, ანაგრანესი ამაზასპ იბერთა მეფის „ტროფეუსი“ (ანუ „მამამძუძე“) და „ეპიტროპოსია“. ეპიტროპოსის ინსტიტუტი კარგად ცნობილი ინსტიტუტია ძველ სამყაროში. იგი მეურვეს, გამგებელს, მფარველს, პროკურატორს აღნიშნავდა (პაულის ენციკლოპედია 1909: 224-225). ასე მაგალითად, პლუტარქეს მიხედვით, „კეისრის ეპიტროპოსი“ კეისრის მოადგილედ ითელებოდა პროკურატორის გაგებით. „ეპიტროპოსი“ აგრეთვე ბჭე იყო მოსამართლის მნიშვნელობით (იხილეთ ბერძნული ტერმინის – ἐπίτροπος-ის განმარტებები ძველი ბერძნული ენის ლექსიკონებში). უფლისწულის მეურვეობა მამამძუძეობიდან რომ გამომდინარეობდა, კარგად ჩანს ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ცნობებიდან, ხოლო მამამძუძე გამგებელიც რომ იყო ლეონტი მროველი ადასტურებს, რომლის მიხედვით, მირიან უფლისწულის მამამძუძე მირვანოზი აგრეთვე გამგებელად იწოდება (ყაუხჩიშვილი 1955: 64-65).

ანაგრანესი, როგორც ვთქვით, ახ. წ. III საუკუნის 60-იანი წლების ამაზასპ მეფის ეპიტროპოსი იყო. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს არმაზის ბილინგვა (ახ. წ. II საუკუნე), რომელშიც ასევე ეპიტროპოსის ინსტიტუტი იხსენიება. მოვიტანოთ თავდაპირველად არმაზის ბილინგვის ბერძნული ტექსტი: „სერაფიტი, ასული ზევახ მცირისა პიტიახშისა, მეუღლე პუპლიკიოს აგრიპა პიტიახშის ძის

იოდმანგანისა, იბერთა დიდი მეფის ქსეფარნუგის მრავალთა გამარჯვებათა მომპოვებელი ეპიტროპისა" (წერეთელი 1942: 16-17); (შანიძე 1941: 181-186). მაშასადამე, იბერთა დიდ მეფე ქსეფარნუგს „მრავალთა გამარჯვებათა მომპოვებელი" ეპიტროპოსი ჰყოლია, რომელსაც იოდმანგანი ერქვა, და რომელიც, თავის მხრივ, პუპლიკიოს აგრიპა პიტიახშის ძე იყო. მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ეპიტროპი იოდმანგანი პიტიახშის ძე იყო და ეპიტროპი იოდმანგანი მრავალ გამარჯვებათა მომპოვებელი არის, ანუ ამ შემთხვევაში ეპიტროპის სამხედრო ფუნქციას ესმევა ხაზი.

ეპიტროპის ფუნქციის უფრო რელიეფურად წარმოჩენის მიზნით, ამჯერად მოვიტანოთ არმაზის ბილინგვის არამეული ტექსტი: „მე (ვარ) სერაფიტი, ასული ზევახისა, მცირისა პიტიახშისა (ბტხშ) ფარსმან მეფისა, მეულლე იოდმანგანისა – ძლევამოსილისა და მრავალის გამარჯვების მომპოვებელი რბ თრბს-უს ხსეფარნუგ მეფისა – ძისა აგრიფა რბ თრბს-უს ფარსმან მეფისა" (წერეთელი 1942: 2-42). მაშასადამე, ხსეფარნუგ იბერთა მეფის ეპიტროპი იოდმანგანი არამეულ ტექსტში rb trbṣ-დ იწოდება და არამეულ ტექსტშიც დადასტურებულია, რომ rb trbṣ იოდმანგანი „ძლევამოსილ და მრავალ გამარჯვებათა მომპოვებელი" იყო. ამავე დროს ბერძნულ ტექსტში პიტიახშად მოხსენიებული იოდმანგანის მამა პუპლიკიოს აგრიპა, არამეულ ტექსტში იბერთა მეფის – ფარსმანის rb trbṣ-დ იწოდება, ანუ ქართლის მეფეთა ეპიტროპი იგივე rb trbṣ (რაბ თარბაცუ) და იგივე პიტიახში არის. არამეულ ტექსტში rb – დიდს, უფროსს, მთავარს, უფალს აღნიშნავდა, trbṣ კი – ეზოს, შემოსაზღერულ ადგილს სახლისა და სასახლის მნიშვნელობით. ამიტომ არის, რომ ბერძნული ἐπίτροπος ბიბლიური წიგნების ძველქართულ თარგმანებში „ეზოსმოძღუარს" შეესატყვება, ხოლო „ეზოში" როგორც მეურნეობა-სახლი, ისევე სახლი-სასახლე იგულისხმება ხოლმე. ქართულში სიტყვა „დარბაზი" წარმოშობით იმავე არმაზის ბილინგვის არამეულ ტექსტში დადასტურებული trbṣ (tarbaṣu-თარბაცუ)-დან მომდინარეობს. აქედანვე გამომდინარეობს, რომ ქართლის მეფეთა „მამამძუძენი" ამაეე დროს ქართლის მეფეთა „ეზოსმოძღვარნი" და პიტიახშები, ანუ „დიდი ერისთავები" იყვნენ და რადგანაც ერისთავთა მთავარი საქმიანობა მხედართმთავრობაში მდგომარეობდა, არმაზის ბილინგვაში იოდმანგანი „მრავალ გამარჯვებათა მომპოვებლად" იწოდება კიდეც.

მამამძუძის ინსტიტუტის სოციალური ბუნების შესაცნობად უაღრესად საყურადღებო ცნობები „მოქცევაჲ ქართლისაჲმ", არსენ ბერის მიერ შედგენილმა „ნინოს ცხოვრებამ" (XII) და მისმა პერიფრაზმა შემოგვინახეს. „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით, როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა ქართლი დაიპყრო, „თანა-ჰყვანდა ალექსანდრეს მეფესა აზოჲ, ძჳ არიან ქართლისა მეფისაჲ, და მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად... ხოლო ესე აზოჲ წარვიდა არიან ქართლად, მამისა თჳსისა, და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დაჯდა ძუელ მცხეთას... და ესე იყო პირველი მეფჳ მცხეთას შინა, აზოჲ, ძჳ არიან ქართველთა მეფისაჲ" (აბულაძე 1964: 81-82).

არსენ ბერის მიერ შედგენილ „ნინოს ცხოვრების" ცნობით, როდესაც ალექსანდრე მაკედონელი ქართლში შემოიჭრა, „ჰყვა თანა აზოვე, ძე არიან ქართველთა მეფისაჲ, და მისცა ქუეყანა ესე ჩუენი სამეუფოდ და სამკჳდრებელად... ხოლო ესე აზოეე წარვიდა არიან ქართლად მამისა თჳსისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიოჲ და მოქალაქე დედებით და ყრმებითურთ მათით და კუალად ათი სახლი მთავართაგან პალატისათა დედებით და ყრმებითურთ მათით [...] და ესე აზოვე არს პირველი მეფე ქართველთა" (აბულაძე 1971: 47).

იგივე ადგილი „ნინოს ცხოვრების" პერიფრაზში ასე არის გადმოცემული: „მაშინ აზოელ წარვიდა ქართლად არიან მამისა თჳსისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიოჲ, და კუალად ათი სახლი მთავართაგან და ყოვლით დედანულით მათით [...] და ესე აზო პირველი მეფე იყო ქართველთაჲ" (აბულაძე 1971: 80).

„მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით, აზო მეფეა, რომელსაც გარშემო „მამამძუძენი" უსხდნენ, ხოლო არსენ ბერის (XII) მიერ შედგენილ „ნინოს ცხოვრებაში" მამამძუძეთ „პალატის მთავარნი" ენაცვლებიან, ამ უკანასკნელის პერიფრაზში კი – „მთავარნი". მაშასადამე, მამამძუძე იგივე „პალატის მთავარი" არის, რაც ადასტურებს ძველქართული ტრადიციის სისწორეს, რომელიც არმაზის ბილინგვაში და ბაგინეთზე 1993-1995 წლებში მოპოვებულ ეპიგრაფიკულ მასალაში აისახა. ახ. წ. III საუკუნეში მოღვაწე ქართლის მეფე ამაზასპის ანაგრანეს მამამძუძე (ბერძნულად – „ტროფეუსი") და ეპიტროპი იმავე სახლს ეკუთვნოდა, რომლის შესახებ ცნობები არმაზის ბილინგვამ შემოგვინახა ახ. წ. II საუკუნეში ქართლის სამეფო კარზე მოღვაწე პუპლიკიოს აგრიპასა და მისი ძის – იოდმანგანის თაობაზე. ორივენი არმაზის ბილინგეის არამეულ ტექსტში ქართლის მეფეთა – ფარსმანისა და ქსეფარნუგის rb trbṣ -ებად იხსენიებიან. და რადგანაც იოდმანგანი არმაზის ბილინგვის ბერძნულ ტექსტში „ეპიტროპოს"-ად იწოდება, ნათელი ხდება, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲს" მამამძუძე იგივე ეპიტროპოს-რბ თრბს და ეზოსმოძღვარ-პალატის მთავარია.[1]


არმაზის ბილინგვა ახ. წ. II საუკუნეს განეკუთვნება, ბერძნული წარწერები ანაგრანეს მამამძუძის შესახებ – ახ. წ. III საუკუნეს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ – X საუკუნეს, ხოლო არსენ ბერის მიერ შედგენილი „ნინოს ცხოვრება“ – XII საუკუნეს. არმაზის ბილინგვას არსენ ბერის მიერ შედგენილ „ნინოს ცხოვრებისგან“ ათი საუკუნე აშორებს, სოციალურ ტერმინთა შინაარსობრივი სიზუსტე კი საუკუნეთა მანძილზე, ერთი შეხედვით, თითქოსდა განცვიფრებას უნდა იწვევდეს. აშკარაა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲც“ და არსენ ბერიც სოციალურ ტერმინთა ხმარებისას წყაროთა ძველ ტრადიციას ემყარებოდნენ. როგორც ჩანს, ახ. წ. V საუკუნის დასაწყისში შექმნილმა ქართულმა დამწერლობამ იმთავითვე შეითვისა წინამორბედი ხანის წარმართული ქართლის ის ქართული სოციალური ტერმინოლოგია, რომელთაც ეროვნული დამწერლობის უქონლობის გამო ძველ ქართლში უცხო დამწერლობების საშუალებით გამოხატავდნენ.

აღნიშნული მოსაზრების დასტურად შეიძლება ძვ. წ. I საუკუნის 60-იანი და ახ. წ. I საუკუნის 20-იანი წლების გეოგრაფის – სტრაბონის ცნობები მოვიტანოთ, რომელნიც იბერთა სოციალურ წყობას ასახავენ. იბერთა სოციალური წყობის აღწერაში სამეფო ფენის დახასიათებისას სტრაბონი თავდაპირველად აღწერს, თუ რა სამართლებრივი პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ იბერები, როდესაც სამეფო ფენიდან თავიანთ მეფეებს სხამდნენ, ხოლო შემდეგ სტრაბონი ამბობს, რომ ამავე სამეფო ფენაში „მეორე (ὁ δεύτερος) მოსამართლეობს და მხედართმთავრობს“ (ყაუხჩიშვილი 1957: 129-130). ბერძნულ δεύτερος-ს ძველქართულად „შემდგომ“-ად თარგმნიდნენ ხოლმე, საიდანაც ჩანს, რომ სტრაბონი „დეუტეროს“-შემდგომში იბერიის მეფის „შემდგომ“-ს, ანუ „მეორე“ პირს გულისხმობს, რომელიც „მოსამართლეობს და მხედართმთავრობს“ (მამულია 1979: 86-88); (ახალაია 1991: 112-114).


მეფის „შემდგომის“ ინსტიტუტი კარგად არის ცნობილი ქართლის სამეფოში, რადგან მის შესახებ ცნობები ლეონტი მროველმა და ჯუანშერმა შემოგვინახეს. ლეონტის თქმით, ფარნავაზმა ქართლის სამეფოს დაარსებისას ქვეყნის საერისთაოებად დაყოფისას, ერთი ერისთავი „დაადგინა სპასპეტად და მისცა ტფილისითგან და არაგუთგან ვიდრე ტასისკარამდე და ფანკარადმდე, რომელ არს შიდა ქართლი. და ესე სპასპეტი იყო შემდგომადვე წინაშე მეფისა, მთავრობით განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 26).

ქართლის მეფეთა სპასპეტნი, ანუ „შემდგომნი“, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, ქართლის მეფეთა „მამამძუძენი“ იყვნენ და ქართლის მონარქთა დარად ტახტზე რომ ისხდნენ, ჯუანშერის ცნობიდან ჩანს: ქართლის ტახტზე ასელისას ვახტანგ გორგასალმა ჯუანშერის თქმით, „მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა ქართლისათა, და შეჰკრიბნა ყოველნი ქალაქად. და განმზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუანშერ სპასპეტი და ორნივე ეპისკოპოსნი დასხდეს საყდართავე, და სხუანი ყოველნი ერისთავნი დასხდეს სელებითა“ (ყაუხჩიშვილი 1955: 147). მაშასადამე, ქართლის მეფის „შემდგომი“, სპასპეტი და ერისთავთა მთავარი მეფე-მონარქივით ტახტზე ზის, ოლონდ მისი ტახტი მონარქის ტახტივით მაღალი არ არის. მეფის დარად ტახტზე ჯდომა მას ერისთავთაგან გამოარჩევს და აქედან გამომდინარე იგი ერისთავთა მთავარია, ხოლო მისი ტახტის ქვეითობა მონარქის ტახტთან შედარებით მას ფაქტიურად ვიცე-მეფის ფუნქციებს ანიჭებს (მამულია 1979: 86-88); (ახალაია 1991: 112-114) და ეს შეუმჩნეველი არ დარჩათ იმათ, ვისი ცნობებიც დაედო საფუძვლად სტრაბონის თხრობას იბერთა სოციალური წყობილების შესახებ. სტრაბონის ცნობას „დეეტეროსის“, ანუ ქართლის მეფის „შემდგომის“ მხედართმთავრობის შესახებ ლეონტი მროველის ცნობა უჭერს მხარს, რომელიც ქართლის მეფეთა „შემდგომთ“ – ერისთავთა მთავრებს, სპასპეტებად ასახელებს. ხოლო სტრაბონის იმ ცნობის სიზუსტე, რომელიც „დეეტეროსს“, ანუ ქართლის მეფის „შემდგომს“ მოსამართლედ გულისხმობს, არმაზის ბილინგვიდან და 1995 წელს ბაგინეთში აღმოჩენილი ბერძნული წარწერიდან ჩანს. ამ წარწერებში ქართლის მეფის „შემდგომი“ „ეპიტროპოსად“ იწოდება, ხოლო ეპიტროპოსის ერთ-ერთ ფუნქციად ძველბერძნულ წყაროებში მომრიგებელ-მოსამართლეობა არის დასახელებული.

როგორც აღვნიშნეთ, ქართლის მეფეთა „მამამძუძენი“ ამავე დროს „პალატის მთავარნი“ იყვნენ. „პალატი“ ლათინურიდან ბიზანტიური ბერძნულის გზით ქართულში ნასესხები სიტყვა არის. მაშასადამე, მამამძუძენი „პალატს“, ანუ სასახლეს ედგნენ თავში და „მთავრებადაც“ იწოდებოდნენ. ამიტომ არის, რომ ძველქართულ წყაროებში „მამამძუძე“ პალატის მთავარსა და მთავარს ენაცვლება. მამამძუძეობის მონაცვლეობა „პალატის მთავართან“ და „მთავართან“ მიუთითებს, რომ მამამძუძეობის ინსტიტუტის შემოსვლა აღმოსავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე აქ მოსახლე ტომთა სოციალური განშრევების გზაზე შედგომის შედეგი იყო, რადგან ძველქართულ წყაროებში „სეფედ“ იწოდებოდა სასახლედ (ტაძარ-პალატად) გადაქცეული „სახლი“, ხოლო „მთავრად“ კი – პატრიარქალური სახლის – „ნათესავის“ „თავი“ (მამა-უხუცესი).



ფილა №1 მამამძუძე ანაგრანესის წარწერა



ფილა № 2 დედოფალ დრაკონტის წარწერა

შენიშვნები

1 „მამამძუძის“ ინსტიტუტის გენეზისი და სოციალური ისტორია დაწვრილებით იხ., (მამულია 1979: 66-75); (მამულია 1987: 75-80, 86-91).

დამოწმებანი

აბულაძე 1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბილისი.

აბულაძე 1971: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. III, თბილისი.

ახალაია 1991: ტ. ახალაია. ქართლის (იბერთა) მეფის შემდეგ მეორე პირის ინსტიტუტის სოციალური ისტორია, „მაცნე“, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №3.

მამულია 1979: გ. მამულია. კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში, თბილისი, მეცნიერება.

მამულია 1987: გ. მამულია. პატრონყმობა, თბილისი, მეცნიერება.

პაულის ენციკლოპედია 1909: *Paulys Real-Enzyklopädie der classischen Altertumswissenschaft*. Band VI.

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, სახელგამი.

ყაუხჩიშვილი 1957: თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), თბილისი. მეცნიერებათა აკადემია.

ყაუხჩიშვილი 1996: თ. ყაუხჩიშვილი. ახალი ბერძნული წარწერები არმაზციხე-ბაგინეთიდან, „მცხეთა“, XI. თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1998ა: თ. ყაუხჩიშვილი. ახალი ბერძნული წარწერა არმაზციხე-ბაგინეთიდან (II). საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, ტ. 4, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1998ბ: თ. ყაუხჩიშვილი. ახალი ბერძნული წარწერები მცხეთა-არმაზიდან, რ. კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, თბილისი.

შანიძე 1941: А. Шанидзе. Данные греко-пехлевийской билингвы из Армази для истории термина эзоэсмодзгвари – эзойсмодзгвари в древнегрузинском, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. II, № 1-2, თბილისი.

წერეთელი 1942: გ. წერეთელი. არმაზის ბილინგვა, ენიმკის „მოამბე“, XIII, თბილისი.

ON TWO GREEK INSCRIPTIONS FROM THE "KARTLI MOUNTAIN"*

Guram Mamulia

In 1993 and 1995 in the course of excavations at the "Kartli Mountain" (later Armaztsikhe), at its Bagineti slope, (near the town of Mtskheta, Georgia), two stone plaques with Greek inscriptions on them were unearthed, both of them are substantially similar in contents and were attached to the wall of the roman type bath-building.

The purpose of this research paper is the analisys of the social institutions of τροφεὺς and τρόφιμη attested in the inscriptions.

The inscription №1 says that Anagranes, who was the τροφεὺς and ἐπίτροπος of the Iberian King, dedicated bath-building made with his own resources to the daughter of the family of Vologaeses of Armenia, who was the Queen of Iberia and the wife of Great Amazaspus, King of Iberians. Inscription №2 attests the name of the queen of Iberia (Kartli) – Drakonti and additionally it informs us that the wife of the τροφεὺς Anagranes (her name remains unknown), as being τρόφιμη, made the same gift to Queen Drakonti.

In this case, the social terminology attested in the inscriptions are of the significant attention. Anagranes bears the title τροφεὺς and ἐπίτροπος of the King Amazaspus on the inscription no. 1, while inscription no.2 provides one more social institution of τρόφιμη.

In Greek, τροφεὺς referes to the male nurturer, i.e. he who feeds, and τρόφιμη – female nurturer, i.e. she who feeds. Despite the fact that τροφεὺς and τρόφιμη are not attested in the Septuagint, however, their synonymous terms – τρόφος and τίθηνος are confirmed there. In old Georgian translations of the Bible, „მძუძე" [*mʒuʒe*] – nurture (Isaia 49.23), „მამამძუძე" [*mamamʒuʒe*] – foster-father (IV Kings, 10.1; 10.5) and „დედამძუძე" [*dedamʒuʒe*] – foster-mother (IV Kings, 11.2) are corresponding to them. So, there is no doubt that Anagranes and his wife were the „მამამძუძე"-*mamamʒuʒe* -(foster-father") and „დედამძუძე"-*dedamʒuʒe*-(foster-mother) of King Amazaspus of Iberia (c. 60s of 3rd century AD) respectively.

In addition, while the institution of ἐπίτροπος is attested at the Iberian royal court (2nd century AD) in the Greek inscription of the Armazi bilingua, the institute of the τρόφος||τρόφιμη first appeared in the above inscriptions. Consequently, Bagineti inscriptions provide valuable control material about the structure of the royal court of Iberia, as they directly confirm the accuracy of the Georgian historical tradition (Leonti Mroveli, Juansheri, "Conversion of Kartli") regarding the existence of the social institution of "fosterage" („მამამძუძე"-*mamamʒuʒe*) in ancient Kartli (Iberia).

According to the Armazi bilingua (2nd century AD), Iberian King Kseparnug had the ἐπίτροπος (Steward) // ეზოსმოძღვარი-*ezoys moʒɣvari* (Head of court) Iodmangan, who in the Aramaic text is referred to as the rb trbṣ (Head of the palace). For his part, Iodmangan's father, Puplikios Agrippa, is the "rab tarbaṣu" and Vitaxe of the king Parsman. In the newly discovered inscription no. 1, the ἐπίτροπος (steward) is the foster-father (τρόφος – *mamamʒuʒe*). According to the Armazi bilingua and the newly discovered Greek inscriptions, the Iberian kings – Parsman, Kseparnug and Amazaspus had foster-fathers („მამამძუძე"-*mamamʒuʒe*) – Puplikius Agrippa, Iodmangan and Anagranes. Accordingly, Puplikius Agrippa, Iodmangan and Anagranes, as the "foster-fathers" of kings of Kartli, belonged to the one and the same noble house. Consequently, the wife of Anagranes, as the queen of the foster-father's house, was the foster-mother („დედამძუძე"-*dedamʒuʒe* // τρόφιμη) of Drakonti – the Queen of Kartli.

Strabo's evidences that the commander-in-chief was the δεύτερος (the second) of Iberian king, confirms the accuracy of the Georgian historical tradition (Leonti Mroveli, Juansheri) that King's „სპასპეტი"-*spaspeti* (commander-in-chief) was the second person after the king („შემდგომი" šemdgomi), or vice-king. The fosterage (*mamamʒuʒe*) of the šemdgomi and of the Commander-in-Chief (სპასპეტი-*spaspeti*) is confirmed by the newly discovered inscriptions at Bagineti, where τροφεὺς (foster-father) is ἐπίτροπος (steward) as well. Accordingly, Puplikios Agrippa, Iodmangan and Anagranes belonged to the one and the same noble family, and as the "foster-fathers" of the kings of Kartli, they were „შემდგომი" (šemdgomi)-δεύτερος of the

king, *spaspeti* (commander-in-chief), "*ezoys moзyvari*" (ἐπίτροπος – rab tarbaşu), and as outstanding and great dukes, they were also called as Vitaxe („პიტიახში“ – *pitiaxši*).

• *In the personal archive of the eminent Georgian historian Gurum Mamulia is available the unpublished paper devoted to study of two Greek inscriotions found in Mtskheta and the text containing discussion on interpretation of these inscriptions as historical sources. T. Akhalaia prepared both texts for publication: the first one as paper and the second as appendix. The title of the paper, notes and references and also summaries belongs to him.*

ადრესანტების თვალით დანახული გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე: ალექსანდრე გვენცაძე (1904–1993)

თინათინ თოშაბრამიშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთმა დამაარსებელმა ალექსანდრე გვენცაძემ განვლილი ცხოვრების ხანგრძლივი გზა მთლიანად დაუკავშირა სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იგი გახლდათ თელავის უნივერსიტეტის მემატიანე და ერთ-ერთი მესაძირკვლე. პროფესორი ლეილა შალვაშვილი თავის მოგონებაში წერს:

> ნახშირი ცეცხლის ანალოგია, კერის მაცოცხლებელი ცეცხლისა. – ინსტიტუტის კერის ცეცხლის პირველ გამჩაღებელთა შორისაა ბატონი ალექსანდრე გვენცაძე, რომელიც არა მარტო გამჩაღებელი, არამედ ამ ცეცხლის ნმინდანად შემნახველიც არის ორმოცდათხუთმეტი წლის მანძილზე – მისი დაარსების პირველი დღიდან თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე (ჭიკაძე 2009).

პროფესორმა როინ ჭიკაძემ ალექსანდრე გვენცაძეს უძღვნა მონოგრაფია სათაურით „მოძღვარი". „პროფესორი ალექსანდრე (საშა) გვენცაძე ერთ-ერთი დამფუძნებელია თელავის პედაგოგიური ინსტიტუტისა, შემდეგ კი ხუთ ათეულ წელს საკუთარი მხრებით ზიდა ამ ინსტიტუტის (ამჟერად უნივერსიტეტის) ღირსება" (გოგოლაშვილი 2003: 30-31).

ალექსანდრე გვენცაძის არქივი მდიდარია ეპისტოლური მემკვიდრეობით. შემონახულია ქვეყნის გამოჩენილი ადამიანებისაგან მისადმი გამოგზავნილი ბევრი წერილი. მათთან ა.გვენცაძეს დიდი მეგობრობა აკავშირებდა.

კონკრეტულად, ალექსანდრე .გვენცაძის არქივს შემოუნახავს აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას, არნოლდ ჩიქობავას, შოთა ძიძიგურის, ალექსანდრე ღლონტის, ივანე გიგინეიშვილის, გრიგოლ იმნაიშვილის, გრიგოლ კიკნაძის, გიორგი შალამბერიძის, არამ მარტიროსოვის, ივანე ქავთარაძის, მიხეილ ჩიქოვანის, სტეფანე ჩხენკელის, სიმონ ყაუხჩიშვილის, მიხეილ ზანდუკელის, ავლიან ზურაბაშვილის, გიორგი ჩუბინაშვილის; მწერლების: ანა კალანდაძის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ნატროშვილის, ნიკა აგიაშვილის, ერემია ქარელიშვილისა და სხვათა წერილები. ალექსანდრე გვენცაძეს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა საზღვარგარეთელ ქართველოლოგებთანაც. მის არქივში შემონახულია მიმოწერა იოლანდა მარშევთან, რუთ ნოიკომთან და ლეა ფლურთან. დასანანია, რომ მხოლოდ მცირე ნაწილი შემოგვენახა საინტერესო ეპისტოლური მემკვიდრეობიდან.

სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით, ვერ მოვიპოვეთ ალექსანდრე გვენცაძის მიერ ცნობილი ადრესატებისადმი გაგზავნილი პირადი ბარათები, რომლებიც, ვფიქრობთ, მრავლად იქნება დაცული მისი ადრესატების არქივებში.

ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს მასალა, რომელსაც აფიქსირებს აკადემიკოს ვარლამ თოფურიას შვილი პროფესორი გურამ თოფურია, რომელიც მამამისისა და ალექსანდრე გვენცაძის ურთიერთობის შესახებ გვამცნობს შემდეგს:

„ვარლამ თოფურიას არქივში ბატონ ალექსანდრე გვენცაძის 12 წერილია დაცული. ყველა ეს წერილი, გარდა იმისა, რომ ფრიად საქმიანი და ავტორის სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის სხვადასხვა უბანს მოიცავს, დიდი ადამიანური სითბოთი არის გამსჭვალული – მათში კარგად ჩანს ბატონი ალექსანდრე, როგორც მოქალაქე და მეცნიერი, – თავისი მეორე მშობლიური კუთხის, კახეთის, უანგარო მზრუნველი. ყველა წერილს აკურატული კაცის ხელი ატყვია – თითოეულ მათგანს ზუსტი თარიღი უზის, ამას იმიტომ აღვნიშნავთ, რომ წერილებით ბევრი ფაქტის, მოვლენის დათარიღება-დაზუსტება შეიძლება – ასე ვთქვათ, წერილს დოკუმენტის ძალა შეიძლება ჰქონდეს. ბატონ ალექსანდრეს და მამაჩემს – ვარლამ თოფურიას, განსაკუთრებული თბილი და კეთილი ადამიანური და კოლეგიალური ურთიერთობა ჰქონდათ (მრავალმხრივ საქმიანი, მეცნიერულ მხარეს რომ თავი დავანებოთ). ჩვენი სახლის კარი ყოველთვის ღია იყო ბ-ნი ალექსანდრესათვის – იგი ჩვენი ოჯახის ხშირი და სასურველი სტუმარი იყო. ვარლამ თოფურიაც არაერთგზის ყოფილა სტუმრად თელავში

ბატონ ალექსანდრეს ოჯახში და უგრძენია მადლი ამ ოჯახის სტუმართმოყვარეობისა.

ამ ურთიერთობას, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ წინა საუკუნის 30-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი (თუ უფრო ადრე არა), რასაც მოწმობს ბატონ ალექსანდრეს ერთი წერილი, რომელიც 1939 წლის სექტემბრითაა დათარიღებული:

ბ-ნო ვარლამ!

მუდამ იცოცხლეთ. ოჯახის ბედნიერება არ მოგეშალოთ.

ბოდიში პასუხის დაგვიანებისათვის. თქვენმა ბარათმა ძალიან შემანუხა იმიტომ, რომ თქვენ კი არ მიბრძანებდით, მთხოვდით.

მაინც ავმაღლდი სულიერად. გმადლობთ.

ბატონო ვარლამ! თელავის ინსტიტუტმა ხათაბალაში გამხვია, სხვა ვერავინ იშოვეს და, – მე შემომთავაზეს ფაკულტეტის დეკანობა, აგრეთვე, ქართული ენის კურსის წაკითხვა. შიშრეულობით არ დავთანხმებულვარ, მაგრამ მოკრძალებით, – კი.

ბატონო ვარლამ! ყველაფერი გამიბედია თქვენი იმედით. განახავთ რჩევა-დარიგებისათვის.

მე გამუდმებით თვალ-ყურს ვადევნებ თქვენს მუშაობას: ეს „თქვენ“ ამ ადამიანებს გულისხმობს: პროფ. ა. შანიძეს, პროფ. არნ. ჩიქობავას და პროფ. ვ. თოფურიას.

მე აქ არ უნდა ვცდებოდე. მე ისიც მახარებს, რომ თქვენი მუშაობისადმი ძირითადად შეიცვალა დამოკიდებულება. თავიდან რომ ასე ყოფილიყო, შეიძლება უთუოდ, ჩემი ცხოვრებაც სხვაგვარად წარმართულიყო.

ბატონო ვარლამ! ვიცი, გაგაცდენთ, მაგრამ აუცილებლად უნდა გნახოთ.

ბოდიში! მუდამ კარგად.

პ-ით ალ. გვენცაძე
10 სექ. 1939 წელი.
თელავი

მე ყოველთვის დიდი მადლიერების გრძნობით ვიგონებ ხოლმე ბატონ ალექსანდრეს იმ ყურადღებისა და სითბოსათვის, რასაც ის იჩენდა დედისა და საერთოდ ჩვენი ოჯახის მიმართ ვარლამ თოფურიას გარდაცვალების შემდეგ. იმედი იყო. მისთვის ხმამაღლა ეს მადლობა არ მითქვამს. ახლა ვამბობ.

ახლაც თვალწინ მიდგას ბატონი ალექსანდრე თაეისი ქირქილ-შეპარული ღიმილით“.[1]

პროფ. გ. თოფურია.
16. VIII. 2003

***

დეკანობას და ქართული ენის კურსის წაკითხვას მოკრძალებით დავთანხმდიო – წერს ალექსანდრე გვენცაძე ვარლამ თოფურიას. იგი, მართლაც, მოწინებულ, მორიდებულ, თავაზიან ადამიანად შემორჩა თანამედროვეთა მეხსიერებას. 1978 წლის 20 მარტს პროფესორი ივანე ქავთარაძე სწერს ადრესატს: „ალბათ, თქვენი თავაზიანობა არ მოგცემთ ნებას, თბილისში როცა ჩამოხვალთ, არ გვნახოთ“ (არქივი N12114). 1968 წლის 26 ნოემბერს კვლავ ივანე ქავთარაძე სწერს ალექსანდრე გვენცაძეს: „ბატონო ალექსანდრე! დიდი მადლობა თქვენთვის ჩვეული თავაზიანობისთვის“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი N12114).

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ალექსანდრე გვენცაძის *სისადაე*, უბრალოება და თავმდაბლობა. ყველასთან თანაზომიერი ბრძანდებოდა. პროფ. მაყვალა მიქელაძე იგონებს:

> მისთვის არ არსებობდნენ ე. წ. „მაღალი“ და „დაბალი“ პიროვნებები, არამედ იყვნენ მხოლოდ „ადამიანები“. ასეთი ზებუნებრივი თავმდაბლობის შემყურეს გვჯეროდა ცნობილი შეგონება იმის შესახებ, რომ „ჭეშმარიტი დიდება დიდების უარყოფაში მოიპოვება მხოლოდ (ჭიკაძე 2009: 113-114).

ალექსანდრე გვენცაძის ყოფილი სტუდენტი, თბილისის 65-ე საჯარო სკოლის მასწავლებელი თამარ ოქროპირიძე 1992 წლის 1 აპრილს სწერს ადრესატს:

„მე განზრახული მქონდა, თქვენთვის ახალი წელი დეპეშით მომელოცა, მაგრამ დეკემბრის მიწურულიდან თბილისში დატრიალებულმა თემურლენგობამ ყველაფერი ჩაშალა... თქვენი წიგნი და წერილი 17 იანვარს მივიღე და პასუხი დღემდე დაგიგვიანეთ, გამიხარდა, რომ „მეგობარი და კოლეგა" მიწოდეთ... განა ამდენი დავიმსახურე?! გფარავდეთ ღმერთი!" (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ალექსანდრე გვენცაძეს არაფერი და არავინ რჩებოდა ყურადღების გარეშე. ადრესანტები მას მუდმივად მადლობას უხდიან თანადგომისათვის, გაწეული დახმარებისათვის. ამიტომ იყო იგი გარემოცული ადამიანთა სიყვარულით. პროფესორი სიმონ ყაუხჩიშვილი ალექსანდრე გვენცაძეს წერდა: „ძვირფას ალექსანდრეს სალამი და მადლობა, რომ გაგახსენდით" (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114). მას არასოდეს გამორჩებოდა სხვათა მნიშვნელოვანი დღეები. აკაკი შანიძის მიერ ალექსანდრე გვენცაძისადმი მიძღვნილ პირად ბარათში ენათმეცნიერების პატრიარქი წერს:

> დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე! მივიღე თქვენი მოლოცვა ჩემი დაბადების 90 წლისთავის გამო. მოლოცვა ალბომის 23 გვერდზეა მოთავსებული... ალბომმა მიმაგონა ჩვენი ერთად მუშაობა უნივერსიტეტის ლექსიკოლოგიის კაბინეტში... (ჯავახიშვილი, ჭიკაძე 2005: 24).

აკაკი შანიძე ალექსანდრე გვენცაძისადმი გამოგზავნილ ბარათში დიდ მადლობას უხდის ადრესატს იმ დიდი ყურადღებისათვის, რასაც იგი იჩენდა დიდი მეცნიერისა და თავისი მასწავლებლის მიმართ. 1975 წლის 22 იანვარით დათარიღებულ წერილში აკაკი შანიძე წერს: „დიდად გმადლობთ, ბატონო ალექსანდრე, თქვენი „ზოგადი სტილისტიკის საფუძვლების მოძღვნისთვის" (ჯავახიშვილი, ჭიკაძე 2005: 24). აკაკი შანიძე და ალექსანდრე გვენცაძე ერთად აირჩიეს იყალთოს საპატიო მოქალაქეებად „შოთაობის" დღესასწაულზე. 1985 წლის 14 ნოემბერს აკაკი შანიძე ალექსანდრე გვენცაძეს უძღვნის მისალოც ბარათს:

„იყალთოს საპატიო მოქალაქეს ბ-ნ ალ. გვენცაძეს! დიდად გმადლობთ, ბ-ნო ალექსანდრე, იყალთოს საპატიო მოქალაქის წოდების მიღების მოლოცვისათვის. თქვენც გილოცავთ იმავე საპატიო მოქალაქის წოდების მიღებას და გისურვებთ დიდი ხნის სიცოცხლეს და კეთილდღეობას" (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

დიდი მეცნიერის მიერ ალექსანდრე გვენცაძისადმი მადლიერების გამომხატველი წერილები უხვად არის დაცული თავისი ადრესატის არქივში. თბილისიდან თელავში ხშირად ეწყობოდა ხოლმე სტუდენტთა ექსპედიციები. პროფესორ ვარლამ თოფურიას სტუდენტები გამოუგზავნია კახეთში, თელავის რაიონში, დიალექტოლოგიური მასალის ჩასანერად. ბატონი ალექსანდრე კისრულობდა მათ დაბინავება-მოწყობას და ყოველგვარ ყურადღებას იჩენდა მათდამი. თბილისში ჩასულმა სტუდენტებმა ბატონ ვარლამსა და ქართული ენის კათედრას წარუდგინეს ანგარიში. 1954 წლის 30 იანვარს ალექსანდრე გვენცაძისადმი მიძღვნილ წერილში ბატონი ვარლამი წერს:

> გიგზავნით უნივერსიტეტის გაზეთს... წინა წლებშიც და 1953 წელსაც სტუდენტები თავიანთ საანგარიშო მოხსენებაში, რომელსაც ისმენდა კათედრის გაფართოებული სხდომა, სიამოვნებით და მადლობით ალნიშნავდნენ თქვენს ყურადღებასა და დახმარებას. მ ა დ ლ ო ბ ე ლ ი ვართ (ჯავახიშვილი, ჭიკაძე 2005: 26).

მადლიერების გრძნობას ყურადღებიანი ადრესატისადმი უფრო ადრე, 1952 წლის 26 ივლისს მოწერილ წერილში ვარლამ თოფურია ასე გამოხატავს:

> ...დიდი, დიდი მადლობა. კარგია, რომ არამი და გრიგოლი დაბინავდნენ (იგულისხმებიან პროფესორები არამ მარტიროსოვი და გრიგოლ იმნაიშვილი. თ. თ.). თქვენი დახმარება ძალიან კარგია, მაგრამ ხარჯს მაინც ნუ გასწევთ (ჯავახიშვილი, ჭიკაძე 2005: 25).

ამავე წერილში დიდი მეცნიერი სწერს ალექსანდრე გვენცაძეს:

...მადლობელი ვარ სტუდენტებისადმი ყურადღებისათვის, მაგრამ რა გამოვიდა, თქვენ თუ ასე დაიკალდებულეთ თავი და დრო დახარჯეთ, ხარჯი გასწიეთ. შემდეგში იძულებული გავხდები არ მოგმართოთ ამგვარი თხოვნით (ჯაჯანიშვილი, ჭიკაძე 2005: 25).

ალექსანდრე გვენცაძის ხასიათის თვისება – ყურადღებიანობა ბევრისთვის იყო ცნობილი. პროფესორ მიხეილ ჩიქოვანის მიერ გამოგზავნილ წერილში ეკითხულობთ:

„პატ. ალექსანდრე! მაინტერესებს რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობა კახური გაგების მხრივ... მე მაქვს ალმატის ჩანაწერები. მინდა შემოწმება და იქნებ თქვენი ყურადღებიანობითაც ვისარგებლო“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ალექსანდრე გვენცაძის ყურადღებიანობით მადლიერებას გამოხატავს პოეტი ანა კალანდაძეც. იგი სწერს ადრესატს: „დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე! თქვენი ჩემდამი კვლავ ასეთი ყურადღებისათვის მადლობას გიხდით... სიყვარულით მოვიკითხავ თქვენებს და მოწიწებით გაახლებთ ჩემს კრებულს“ (ჯაჯანიშვილი, ჭიკაძე 2005: 28).

ალექსანდრე გვენცაძეს მუდმივი ურთიერთობა და თანამშრომლობა ჰქონდა სხვადასხვა დაწესებულებასთან, რომლებსაც მუდმივად ანებივრებდა თავისი ყურადღებით. 1984 წლის 17 ივნისს ადრესატს წერილი მოსდის ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმიდან:

„ბატონო ალექსანდრე! ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის დირექცია კიდევ ერთხელ გიხდით უღრმეს მადლობას იმ ყურადღებისათვის, რომელსაც თქვე იჩენთ ჩვენ მიმართ“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ალექსანდრე გვენცაძეს ყურადღებას უმადლის ციურიხელი ქართველოლოგი ლეა ფლური. იგი 1967 წლის 7 იანვარს სწერს თავის ქართველ მეგობარს:

დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო!... მოგვივიდა თქვენი 25 აგვისტოს კეთილი ბარათი.....თქვენ მიერ გამოგზავნილი ნიგნი აკაკი შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ მივიღეთ. დიდად გმადლობთ ყურადღება და გარჯისათვის (ჯაჯანიშვილი, ჭიკაძე 2005: 29).

ჟურნალისტი ნუნუ მატარაძე იგონებს: „...არც მოვალეობას ულალატებს, არც არვის მოაკლებს ყურადღებას და არც არვინ გამორჩება არასოდეს მხედველობიდან ჭირსა თუ ლხინში“ (ჭიკაძე 2009: 163). ალექსანდრე გვენცაძის ყურადღებიანობით მოხიბლული პროფ. ივანე ქავთარაძე 1978 წლის 20 მარტს სწერს ადრესატს:

„... მანანას (ალექსანდრე გვენცაძის შვილი, რომელიც თბილისის სახელმიფო უნივერსიტეტში ბატონი ივანეს სტუდენტი იყო – თ. თ.) დიდი მოკითხვა და საუკეთესო სურვილები. ბედნიერი, სახელოვანი და ყურადღებიანი მშობელი ყოფილიყოს, როგორც თქვენ ხართ მის მიმართ“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ალექსანდრე გვენცაძისთვის დამახასიათებელი თვისება – მზრუნველობა – ყველასათვის ცნობილი იყო. ბატონი ვარლამი ალექსანდრე გვენცაძისადმი მიძღვნილ პირად ბარათებში ხშირად გამოხატავს უხერხულობას იმ მზრუნველობისთვის, რასაც თავისი ადრესატი იჩენდა მეგობრის მიმართ. 1949 წლის 10 აგვისტოს ვარლამ თოფურია სწერს ალექსანდრე გვენცაძეს: „...ვვარაუდობ, რომ ჩემს ქალიშვილს გამოვასაერნებ და მოვალ, ოღონდ თქვენთან სახლში არა! ახლავე იცოდეთ“ (ჯაჯანიშვილი, ჭიკაძე 2005: 24). ბატონ ვარლამს სურვილი ჰქონია თელავის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის სტუდენტთა კონფერენციის ჩატარებისა თელავში. იგი სწერს ალექსანდრე გვენცაძეს:

ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან. კახეთში მოდიან IV კ. სტუდენტები (სულ სამი)... გთხოეთ გზა და კვალი უჩვენოთ. თქვენებურად ნურც გადაეგებით (შარშან ბევრი მოგვივიდათ ამ მხრივ), მხოლოდ დარიგება მიეცით და გზა უჩვენეთ (ჯაჯანიშვილი, ჭიკაძე 2005: 24).

1965 წელს კი სწერს ადრესატს:

„თქვენ უთუოდ მიიღეთ მადლობის წერილი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტისაგან იმ მზრუნველობისათვის, რომელიც თქვენი დამახასიათებელია და რომლითაც ბევრი სარგებლობს და მათ შორის ჩვენი ორი უკრაინელი სტუდენტიც“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ალექსანდრე გვენცაძე დიდად ზრუნავდა თავის მშობლიურ კუთხეზე – რაჭაზე. მის არქივში დაცულია რაჭველების წერილები, რომლებიც დიდ მადლობას მოახსენებენ მას იმ ზრუნვისათვის, რასაც იგი იჩენდა მათ მიმართ. ალექსანდრე გვენცაძეს, თავისი თანაკუთხელი და სიყრმის მეგობარი (როგორც თვითონ უწოდებს საკუთარ თავს), თბილისის 61-ე სკოლის ყოფილი დირექტორი – თამარ გიორგობიანი – 1991 წლის 15 ნოემბერს სწერს:

„მადლობა ასეთი ერცელი და შინაარსიანი წერილისათვის. ჩემი მშობლიური სოფლის პატარა ონის ახლობელი და მოკეთე ყოფილხარ. ეს არ ვიცოდი და ძალზე მესიამოვნა, გამიასკეცდა შენდამი პატივისცემა“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ალექსანდრე გვენცაძის სტუმართმოყვარეობით ხომ ყველა დიდად მადლიერი მიდიოდა თელავიდან, მისი ოჯახიდან. ქართველი მსახიობი – ცაცა ამირეჯიბი სწერს ალექსანდრე გვენცაძეს:

„ბ-ნო ალექსანდრე! გილოცავთ ახალ წელს. გისურვებთ ყოველგვარ სიკეთეს და ხანგრძლივ სიცოცხლეს თქვენი ლამაზი ოჯახით. დიდ მადლობას მოგახსენებთ იმ ლამაზი მასპინძლობისათვის ჩვენი ჯგუფის მიმართ“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ვარლამ თოფურია კი სწერს:

„ალექსანდრეს ამთავითვე ვაფრთხილებთ, რომ არ იფიქროს გამასპინძლებაზე ერთი ჭიქა ჩაითაც კი. ამაში აქედანვე შევთანხმდებით“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ყურადღებინი, მზრუნველი ბუნებიდან გამომდინარე, ალექსანდრე გვენცაძე ყველას დამხმარე იყო. მისადმი გიორგი ლეონიძისაგან მოძღვნილ წერილში ვკითხულობთ:

პატივცემულ ალექსანდრეს სალამი და დღეგრძელობა! მცირე სათხოვარით მინდა შეგაწუხო: თქვენთან ამთავრებს კურსს ბანცურაშვილი (ლექსებსაც წერს, ნიჭიერი გოგონაა). მე მინდა სადმე მოვანყო თბილისში, ან გარეთ რედაქციაში. თუ მოსახერხებელია. იქნებ არ გაანაწილოთ. თუ ჩემი თხოვნის შესრულებას შეძლებთ, იქნებ გააგებინოთ მას (ჯავახიშვილი, ჭიკაძე 2005: 23).

ლადო გუდიაშვილიც თხოვნით მიმართავს ალექსანდრე გვენცაძეს. დიდი ხელოვანი 1963 წლის 26 აპრილს სწერს ადრესატს:

„დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრე! გთხოვთ, ამ წერილის მომტანს მარინე პაპიძეს დაეხმაროთ, ვფიქრობ, მომზადებულია და თქვენთან არ შემარცხვენს. მაპატიეთ შეწუხება. პატივისცემით ლადო გუდიაშვილი. გიგზავნით ჩემს მონოგრაფიას საჩუქრად“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ერთი ახალგაზრდის დახმარებას სთხოვს ალექსანდრე გვენცაძეს პროფესორი გაიოზ იმედაშვილიც. 1951 წლი 19 ოქტომბერს იგი სწერს მეგობარს:

„ჩემო საშა! ამ ბარათის მომტანი ჩემი საუკეთესო მეგობრის შვილია. კარგი ახალგაზრდაა. ნამდვილად დაინტერესებული ცოდნით. მისი გამოშვება თელავში დამენანებოდა, მაგრამ რაკი შენ მანდ ხარ, აღარა ვნანობ... თუ დასატუქსი იქნება, დატუქსე და მოფერება დასჭირდეს – შენ ხომ ამაში უფრო ბუნებრივი მოწოდება გაქვს“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

მადლიერი პროფესორი არამ მარტიროსოვი სწერს ალექსანდრე გვენცაძეს:

„დიდად პატივცემულო ალექსანდრე! მე და ჩემი ოჯახი დიდად მადლობელი ვართ იმ მეტად საჭირო დახმარებისათვის, რომელიც წელს თქვენ გაუწიეთ ჩემს ძმისწულს. სასიამოვნო იქნება ჩემთვის მივილო თქვენი დავალება, როცა კი ეს საჭირო იქნება“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ალექსანდრე გვენცაძის მეგობარი, პოეტი იოსებ გრიშაშვილი სწერს ადრესატს:

ძმაო ალექსანდრე! ამ ბარათში მოხსენებული – თამაზ შათირიშვილი – ახალგაზრდა პოეტია, სიღნაღიდან, მოწყურებულია სწავლის. სურვილი აქვს თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში განაგრძოს სწავლა. ძალიან გთხოვ, მიიღო... (ჯავახიშვილი, ჭიკაძე 2005: 22).

ალექსანდრე გვენცაძის მეგობარი, პროფესორი მიხეილ ზანდუკელი სთხოვს თავის ადრესატს, რომ მან დახმარება გაუწიოს ბატონ ლევან ჭრელაშვილს სადისერტაციო ნაშრომის გარკვეული ნაწილის დაბეჭდვაში. 1957 წლის 12 მაისს იგი წერს ალექსანდრე გვენცაძეს:

„ჩემო ალექსანდრე!... იქნებ მოეხმარო თქვენმა ინსტიტუტმა თავის შრომებში დაუბეჭდოს ერთი ნაწილი მაინც... შენებურად მიდექ-მოდექი და კარგი საქმე გააკეთე“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ალექსანდრე გვენცაძე გამოირჩეოდა შრომისმოყვარეობით. დაუზარელი იყო საქმეში. აკაკი შანიძეს გაზეთიდან გაუგია მისი დაბადებიდან 75 წლის შესახებ. 1979 წლის 24 დეკემბერს იგი მისალოც ბარათში სწერს ადრესატს: „...ბატონო ალექსანდრე! კვლავაც მენახოს თქვენი დაუღალავი შრომის ნაყოფი! (ამით, როგორც ჰხედავთ, ჩემს თავსაც ვლოცავ)“ (ჯავახიშვილი, ჭიკაძე 2005: 24). პროფესორი ქეთევან ძოწენიძე კი 1954 წლის 10 მაისს სწერს:

„პატივცემულო ალექსანდრე! ავტო რომ არ გაგეფუჭებოდა, მანდვე დავწერდი და თქვენს ათას სხვა საზრუნავს ამ ნაშრომის რეცენზიის დაწერა აღარ მიემატებოდა“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

საქმეში დაუზარელი ალექსანდრე გვენცაძე ხშირად ისეთ ფაქტზე თუ მოვლენაზე ამახვილებდა ყურადღებას, რასაც მხოლოდ ერთეულები გრძნობენ და საზოგადოების დაინტერესებასაც ცდილობდა. ჟურნალისტი მერი ზაალიშვილი ალექსანდრე გვენცაძისადმი მიძღვნილ სტატიაში „თელავი _ რექტორების ქალაქი და ალექსანდრე გვენცაძე“ წერს:

...გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა... „კომუნიზმის მწვერვალებს“ ვიპყრობდით, საქართველოს მსოფლიო-ისტორიულ მისიაზე მგონი აღარავინ ლაპარაკობდა,... აღარავის ახსოდა აღარც „დიდი აბრეშუმის გზა“. აი, ბატონი ალექსანდრე კი არ ისვენებდა, არც ჩვენ გვასვენებდა: დღენიადაგ საქართველოს დიდი ისტორიის ნაკვალევზე დადიოდა და ამ გზაზე სავალად გვიკორძინებდა ჩვენც. წინარექრისტიანული ძეგლების, მათი ნანგრევების აღწუსხვა-დაფიქსირებასთან ერთად დიდი აბრეშუმის გზის თელავის მონაკვეთის შესასწავლად.... ალმა-დალმა დაეყაედით (ზაალიშვილი 2019: 7-10).

ალექსანდრე გვენცაძის ნიჭსა და შრომას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მან მოიპოვა სახელოვანი მამულიშვილების, მეცნიერების, მწერლების, პოეტების, საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების, რიგითი თანამემამულეების, სტუდენტების მხრიდან დიდი აღიარება. 1961 წელს იოსებ გრიშაშვილი სწერს ალექსანდრე გვენცაძეს: „ალექსანდრე! ამასწინათ დავავალეთ ერთ ამხანაგს, ჩემი ახალი წიგნი „თეატრალური წერილები“ გამოეგზავნა. იმ კაცს მგონი მისამართი და გვარი შეეშალა, მაგრამ ისე ცნობილი ხარ თელავში, რომ მიიღებთ“ (ჯავახიშვილი, ჭიკაძე 2005: 22). 1988 წლის 25 მარტს ალექსანდრე გვენცაძისადმი გამოგზავნილ წერილში თამარ გიორგობიანი აღიარებს ადრესატის მიღწევებს მეცნიერებაში. იგი სწერს მეგობარს:

„ჩვენ ერთ კუთხეში, ერთნაირ ობლობაში ვიზრდებოდით. ერთნაირი წვალებით დავამთავრეთ უნივერსიტეტი. ერთნაირი სულისკვეთებით შევუდექით ხალხის სამსახურს. თუმცა აქ შენ გამასწარი. მეცნიერებაში შორს წახვედი. პრაქტიკულ საქმიანობაში არც მე შემირცხვენია თავი“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი N12114).

მართლაც, ქალბატონი თამარი შესანიშნავი მცოდნე და დიდებული მასწავლებელი ბრძანდებოდა. ალექსანდრე გვენცაძეს, როგორც მეცნიერს აღიარებდნენ თვალსაჩინო მეცნიერები. 1969 წლის 7 აპრილს აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა სწერს ადრესატს:

> დიდად პატივცემულო ალექსანდრე! გადავათვალიერე თქვენი გამოგზავნილი მასალა (ლიტერატურის სია და დებულებები „სტილისტიკის სახელმძღვანელოს აგებისათვის“). საინტერესო ჩანს, რამდენადაც მე მასში გარკვევა შემიძლია (ჯაეახიშვილი, ჭიკაძე 2005: 26-27).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე (1929), აკაკი შანიძემ ალექსანდრე გვენცაძე დატოვა სამუშაოდ უნივერსიტეტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში. აქედან იწყებს იგი ქართული ენის ლექსიკის შესწავლას. თელავის ინსტიტუტში კი მან ფართო მუშაობა გაშალა კახური დიალექტის ლექსიკური მარაგის შესწავლისა და დამუშავებისათვის. 1965 წლის 1 ივნისს პროფესორი ალექსანდრე ღლონტი სწერს მეგობარსა და კოლეგას:

„ჩემო საშა, შენი მასალა თითქმის მთლიანად შევიდა „საკუთარ სახელთა ლექსიკონში“. პირდაპირ პენიცილინი აღმოჩნდა... გამოსვლისთანავე გაახლებ“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

1990 წლის 28 ნოემბრით დათარიღებულ ალექსანდრე გვენცაძისადმი გამოგზავნილ გურამ თოფურიას წერილის ამონარიდში ეკითხულობთ:

„დიდად პატივცემულო ალექსანდრე, გერმანიიდან დაბრუნებულს დამხვდა თქვენი წერილი და ფრიად სასარგებლო წიგნაკი. დიდი მადლობა ხსოვნისთვის. ამას ჩემთვის განსაკუთრებული ღირებულება აქვს... მე თქვენი და თქვენი ოჯახის დიდი სიყვარული და პატივისცემა მაქვს, რასაც საფუძველი მამამ ჩაუყარა“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ალექსანდრე გვენცაძის ენათმეცნიერული ინტერესების ერთ-ერთი სფერო იყო სტილისტიკის თეორიული და პრაქტიკული საკითხების კვლევა. როინ ჭიკაძე აღნიშნავს:

> ალ. გვენცაძემ სტილისტიკისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში ჩამოაყალიბა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ერთურთისაგან უნდა გაიმიჯნოს „ენის კულტურა“ და „ენის სტილი“, რითაც, ფაქტობრივად, საფუძველი ჩაუყარა ლინგვისტური სტილისტიკის ახალ მიმართულებას ქართულ საენათმეცნიერო აზრობნებაში (ჭიკაძე 2009: 12).

საინტერესოა 1989 წლის 4 თებერვლით დათარიღებული ალექსანდრე გვენცაძისადმი მოწერილი პროფესორ თენგიზ სანიკიძის წერილი:

„ჩვენო სასიქადულო, ღირსეულო მამულიშვილო და დიდად პატივცემულო ბატონო ალექსანდრევ! თქვენმა ბარათმა ძალიან გამახარა. ამ პატივისცემას არასოდეს დაგვივიწყებთ. სრულ ჭეშმარიტებას ბრძანებთ. „სტილისტიკა“ გარკვეულ ნილად უნდა აისახოს „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამაში“. ასევე საჭიროა ამ საგანში სახელმძღვანელოსა და პროგრამის შექმნა. ეს ხარვეზები შესავსებია. უპირველესად თქვენმა დიდმა ნიჭმა და გამოცდილებამ უნდა დაგვდოს პატივი ამ მეტად საშვილიშვილო საქმეში. ჩვენ, რაც შეგვეძლება, ყოველთვის ვიქნებით თქვენ გვერდით (ვიმეორებ, ეს ჩემთვის იყო, არის და იქნება ძალზე დიდი ბედნიერება)“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

1991 წლის 7 ოქტომბერს თამარ ოქროპირიძე ალექსანდრე გვენცაძეს სწერს:

„თქვენთვის ისიც ცნობილი იქნება, რომ საშუალო სკოლის X-XI კლასებში ქართული ენის გრამატიკის კურსი დაემატა; გამოიცა პროგრამის დამატება, რომელშიც მითითებულია დამხმარე ლიტერატურა, რომლითაც მასწავლებელმა უნდა იმუშაოს. ძალიან გამიხარდა, რომ ამ სიაში ამოვიკითხე თქვენი ნაშრომი – „ზოგადი სტილისტიკის საფუძვლები“, რომელიც, მასწავლებელთა სამწუხაროდ, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულა და ხელმიუწვდომელია“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ალექსანდრე გვენცაძემ მონოგრაფიულად შეისწავლა ქართული ენის ერთ-ერთი მეტყველების ნაწილი – რიცხვითი სახელი. დისერტაციის თემადაც შეარჩია – „ძველი ქართულის რიცხვითი სახელი“. სამეცნიერო ხელმძღვანელი ბრძანდებოდა მასწაელებელი და მეგობარი აკადემიკოსი ვარლამ თოფურია, ხოლო 1972 წელს გამოსცა მონოგრაფია – „ქართული ენის რიცხვითი სახელი“. 1949 წლის 10 აგვისტოს კი ვარლამ თოფურია სწერს თავის ადრესატს:

> გიგზავნით თქვენი შრომის მცირე ნაწილს. ზოგი მათგანი ყურადღებით გადაიკითხე (თელის სისტემა ქართულში, როგობითისა და წილობითის აღნაგობა, რაოდენობითის მორფოლოგია). რთულ დაწერილად მოიჩვენა. თუმცა საინტერესო მოსაზრებები გაქვთ (ჯავახიშვილი, ჭიკაძე 2005: 24).

უფრო გვიან, 1954 წლის 30 იანვარს კვლავ ვარლამ თოფურია სწერს ალექსანდრე გვენცაძეს: „თქვენი შრომა „რიცხვითი სახელი“ მინდა შევიტანო მონოგრაფიათა კრებულში, რომელსაც ამზადებს ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება“ (ჯავახიშვილი, ჭიკაძე 2005: 25-26). საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მიერ ალექსანდრე გვენცაძე, როგორც სპეციალისტი, მუდამ აღიარებული იყო. 1961 წლის 23 დეკემბერს პროფესორი ჭოლა თევზაძე ადრესატს სწერს:

„პატივცემულო ალექსანდრე! პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრას განზრახული აქვს მომავალი წლის მარტ-აპრილში მოაწყოს დოც. ლ. კეაჭაძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს („ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი I“) საჯარო განხილვა. კათედრის წევრთა სურვილია განხილვაზე თანამოხსენებით გამოხვიდეთ თქვენ. გთხოვთ მოგვცეთ თქვენი თანხმობა“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

1963 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვაჟა-ფშაველას კაბინეტის თაოსნობით დაიწყეს მგოსნის სიმფონია-ლექსიკონის შედგენა. უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ბარათების ამოწერასა და მათ დამუშავებაში რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლების სათანადო კათედრები და სტუდენტებიც ჩააბეს. პროფესორმა გრიგოლ კიკნაძემ ალექსანდრე გვენცაძის სახელზე თელაშე წერილი მოიწერა. წარმოვადგენთ ამონარიდს ვრცელი ბარათიდან: „...თუ თქვენ ამ საქმეს ჩაუდგებით სათავეში, ეჭვი არა მაქვს, რომ ღირსეულადაც შეასრულებენ თქვენი სტუდენტები ამ სასიამოვნო დავალებას“ (ჯავახიშვილი, ჭიკაძე 2005: 27). „ბატონმა გრიგოლ კიკნაძემ დაკვირვებით გადაათვალიერა თელავის პედინსტიტუტის სტუდენტების ამონერილი ბარათები და ალექსანდრე გვენცაძეს მადლობა გადაუხადა“ (ჯავახიშვილი, ჭიკაძე 2005: 22-29). „ალექსანდრე გვენცაძის სამეცნიერო ინტერესების სფერო მარტოოდენ ენათმეცნიერული კვლევით არ შემოფარგლულა. მან გარკვეული წვლილი შეიტანა გაიღო ლიტერატურისმცოდნეობაშიც... უაღრესად საყურადღებოა მისი სტატია – ვაჟა-ფშაველას სამი პოემა“ („სტუმარ მასპინძელი“, „ალუდა ქეთელაური“, „გველის მჭამელი“), რომელიც გამოაქვეყნა თელავის პედინსტიტუტის შრომების III ტომში, 1959 წელს“ – მიუთითებს როინ ჭიკაძე და აქვე დასძენს: „ალექსანდრე გვენცაძე იყო დაკვირვებული ლიტერატორი. გემოვნებით არჩევდა და სათანადოდ აანალიზებდა ლიტერატურულ მასალას“ (ჭიკაძე 2009: 31-33). აღნიშნულ სტატიასთან დაკავშირებით იოსებ გრიშაშვილი სწერს მეგობარს: „პატივცემულო ალექსანდრე! მივიღე თქვენი ნაშრომის ამონაბეჭდი. მართლაც რომ ახალი კუთხით არის დანახული ვაჟას სიდიადე“ (ჯავახიშვილი, ჭიკაძე 2005: 22). ალექსანდრე გვენცაძის მეგობარი, თბილისის ერთ-ერთი სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ცნობილი მასწავლებელი – ლიზა ვახვახიშვილი თავის მოგონებაში „მეგობრობის ფურცელი“ წერს: „სრულიად ახალ პოეტური სიმაღლის ადგილს ამოირჩე-

ვდა ნაწარმოების განხილვისას და იმ ადგილიდან შემახედებდა, დამანახვებდა მწერლის სიდიადეს. ასეთი იყო განსაკუთრებით ვაჟას შემოქმედების შესწავლასთან დაკავშირებით“ (ჭიკაძე 2009: 303). თელავის უნივერსიტეტის პროფესორი ლეილა შალვაშვილი თავის მოგონებაში წერს:

> მხოლოდ ინსტიტუტი როდი იყო ალექსანდრე გვენცაძის სამოღვაწეო ასპარეზი. ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა იგი, ხალხთან ერთად გადაჰქონდა ჭირი და ლხინი. სად არ ნახავდით მას: სამთავრობო, კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებში, – საქვეყნო სჯა-ბაასის თავყრილობებზე, ძეგლთა რესტავრაცია-აღდგენის სამუშაოებზე, დიალექტოლოგიურსა თუ ფოლკლორულ ექსპედიციებში, უმაღლეს სასწავლებელთა ენათმეცნიერულ კონფერენციებზე. სტუდენტთა თუ კურსდამთავრებულთა გაკვეთილებზე (თუშეთის ომალოს სკოლა-ინტერნატში, ორჯონიკიძის ქართულ საშუალო სკოლაში, საინგილოს სკოლებში...); სისტემატურად ეთანამშრომლებოდა ბიბლიოთეკის, რედაქციის, მუზეუმის, თეატრის მუშაკებს. ლექციებს კითხულობდა საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით, განსწავლიდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მსმენელებს. გულს აძლევდა ბატონი ალექსანდრე საინსტიტუტო თუ საზოგადო მოღვაწეობას და ამიტომაც „გული მისცეს გულისათვის“ – შეიტკბეს, სიყვარულის კეარცხლბეკზე აამაღლეს მშობლიური მზრუნველი მოძღვარ-მასწავლებელი, მრავალთა ცხოვრების მეგზური (ჭიკაძე 2009: 111-112).

1988 წლის 7 მარტს ალექსანდრე გვენცაძეს სწერს თელავის ინსტიტუტის ყოფილი რექტორი ტიტე სარიშვილი:

„სულითა და გულით გილოცავ შენი დაბადებისა და საზოგადოებრივ-სამეცნიერი და პედაგოგიური მოღვაწეობის საიუბილეო წლისთავს. შენ, როგორც შენი მშობლიური ხალხის ერთგულ შვილს, დედა ენის ერთგულ ქომაგს, მისი სინმინდისა და სიმდიდრისათვის თავგამოდებულ მებრძოლს, გამოჩენილ ფილოლოგს, ენათმეცნიერს, პუბლიცისტს, ბრწყინვალე პედაგოგს, სკოლისა და მასწავლებლის მუდმივ შემწე-დამხმარეს, ჩვენი ეროვნული ძეგლების მკვლევარ-აღმომჩენს, მეცნიერულად შემსწავლელსა და დამცველს – გისურვებ კვლავინდებურ შემართებას, ჯანმრთელობას, ახალ-ახალ წარმატებებს თქვენს მრავალმხრივ შემოქმედებით და პრაქტიკულ მოღვაწეობაში“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

1975 წლის 18 მაისს პროფესორი ივანე ქავთარაძე კი სწერს ადრესატს:

„...თქვენ ისეთივე და უფრო მეტი გავლენა, პატივისცემა და ავტორიტეტი გაქვთ, ჩვენდა სასიხარულოდ და საამაყოდ, როგორც ყველა პატიოსან თანამდებობის პირს – კათედრის გამგეს, დეკანს, რექტორს. ეს თანამდებობა თქვენ აღარ ინებეთ, მაგრამ პატრიოტული და ეროვნული საქმის მოთავე იყავით და რჩებით“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა 1985 წლის 12 თებერვლით დათარიღებული ალექსანდრე გვენცაძისადმი მიძღვნილი პროფესორ ანტონ კიზირიას პირადი ბარათი:

„...კარგი გიქნიათ, რომ რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსია გაგიფორმებიათ, მაგრამ, ძვირფასო ალექსანდრე, თქვენი ცოდნა, გამოცდილება და ზრუნვა თელავის ინსტიტუტს ყოველთვის დასჭირდება და ამიტომ ინსტიტუტშიც უნდა იყოთ“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ალექსანდრე გვენცაძის მუდმივი დაინტერესება იყო ისტორიისა და კულტურის ძეგლები. მას ეკუთვნის ძეგლების აღწერილობანი. იგი პრინციპულად აყენებდა საკითხს ძეგლებამდე გზის მიყვანის თაობაზე. ცდილობდა ასევე ძეგლების სახელების ეტიმოლოგიურ ახსნასაც. მან ზეპირად იცოდა თითოეული ძეგლის ისტორია. პროფესორი მაყვალა მიქელაძე წერს:

> ...ცხოვრებაში თქვენს ანალოგს რომ ვერ ვპოულობდი, ლიტერატურულ გმირებთან გათანაბრებდით: თქვენ იყავით ბერი ლუხუმი, ჩორეხი, მინდია... დიახ, მინდია, მაგრამ არა ყვავილებთან მოლაპარაკე, არამედ ძეგლებთან მოლაპარაკე მინდია (ჭიკაძე 2009: 179).

1964 წლის 24 აგვისტოს ბატონმა ალექსანდრემ აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილისაგან მიიღო ერცელი წერილი. წარმოვადგენ მცირე ამონარიდს:

„...ბატონო ალექსანდრე! დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ თქვენ მიერ გამოქვეყნებულ სტატიას ჩვენი მშობლიური ძეგლების შესწავლისა და დაცვის საქმეში. დავრჩები თქვენდამი სალმით და ყოველთვის მზად ვარ გემსახუროთ“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ალექსანდრე გვენცაძის აზრი აინტერესებდა ყველას – სტუდენტებს, ყოფილ სტუდენტებს, კოლეგებს და სხვ. 1991 წლის 26 აგვისტოს თამარ ოქროპირიძე სწერს თავის ყოფილ ლექტორს:

„...ყველა თემაზე საუბარი საინტერესოა თქვენთან... ვფიქრობ, IV კლასებისაგან პატარა ლიტერატურული წრე ჩამოვაყალიბო. გავაცნო ან ერთი რომელიმე პოეტი, ან შედევრები კლასიკოსების. თქვენი ზრი?!“ ამავე წერილში ავტორი წერს: „გიგზავნით ჩემი ყოფილი მოსწაელის ლექსების კრებულს (ავტორი 22 წლისაა); ვფიქრობ, არ გადაგეღლით. აშკარაა პოეტური ნიჭი, მაგრამ მხოლოდ პირადი განცდები, სიყვარულით განაწამები სულის გოდებაა და არ იგრძნობა ეროვნულ-სოციალური მდგომარეობით აძგერებული გულისცემა...“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

პროფ. როინ ჭიკაძე „მოძღვარში“ წერს:

ალექსანდრე გვენცაძე ლამაზი მამაკაცი იყო, ამიტომ არ აკლდა თაყვანისმცემლები; არც თვითონ გახლდათ გულგრილი მშვენიერ სქესთა მიმართ; არასოდეს ტოვებდა მათ უყურადღებოდ და მრავალმნიშვნელოვანი ქათინაურებით ანებივრებდა ხოლმე. ეს თვისება არ დაუკარგავს მაშინაც, ოთხმოც წელს რომ გადასცდა. ხუმრობანარევი საუბარი უყვარდა ქალებთან ურთიერთობაზე (ჭიკაძე 2009: 142).

მას თავისი ადრესანტებიც ეხუმრებოდნენ ხოლმე. მაგალითად, 1970 წლის 1 ოქტომბერს პროფესორი ივანე გიგინეიშვილი სწერს თავის მეგობარს:

„ძვირფასო ალექსანდრე! დღეს ვიყავი უნივერსიტეტის გამომცემლობაში და ვნახე ლ. ბ. (გვარსახელს არ ვწერთ სრულად – თ. თ.), რომელსაც შენი წიგნი აქვს ჩაბარებული... ჩვენი საუბრიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ შენ უნდა მოიცალო და ერთი დღით მაინც ჩამოხვიდე ამ ქალის სანახავად და საქმის გასარკვევად. ქალები ქე გიყვარს და იქ, როგორც გითხარი, ბევრნი არიან. თუმცა ქალად გამოსადეგი არც ერთი არ ჩანს. მაშ, გელით! მაინც რა უნდა შენგან იმ ქალს?“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

თელაველი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნუნუ ნაზირიშვილი კი წერს:

ალექსანდრე გვენცაძე, თვით გარეგნულად წარმოსაღეგი, ძალიან აფასებდა სილამაზეს. მოხდენილი ქალის გვერდით უფრო მხიარული და ხალისიანი ხდებოდა. კომპლიმენტებისა და ქათინაურების მრავალსახეობას ვერ დაითვლიდა ადამიანი. ეს მოქმედება მის პიროვნებას კიდევ უფრო ავსებდა, ამდიდრებდა (ჭიკაძე 2009: 149).

როინ ჭიკაძე კი წერს: „გულგრილი არ ყოფილა ქალების მიმართ, მაგრამ არასოდეს შეუბღალავს მათი ღირსება“ (ჭიკაძე 2009: 9).

ალექსანდრე გვენცაძის განუმეორებელი პიროვნების ფასი იციან მისმა სტუდენტებმა, ნასტუდენტრებმა, მეგობრებმა, კოლეგებმა... და უხდიან მას მადლობას თანადგომისათვის, გაწეული დახმარებისათვის, სიკეთისათვის. 1980 წლის 6 მარტს თამარ ოქროპირიძე სწერს ადრესატს:

„...ამ მასალების გამოგზავნას კადნიერებად ნუ ჩამითვლით! არ იფიქროთ, თავს ვიწონებდე... რაც ხანი გადის, ვრწმუნდები, უმნიშვნელო მტვერიც კი არ ვარ სამყაროში, მაგრამ ჩემი ადამიანური

და პროფესიული ცხოვრების გზაზე თქვენ მიერ ანთებული ლამპარი ანთია.

ერთი კი ცხადია, რომ ერთადერთი თავშესაფრად პოეზია დამრჩა და მის გარეშე ცხოვრება ჩემი, მართლაც, „ჭრილობიდან სისხლის შეუწყვეტელი დენა იქნებოდა". მაფიქრებს „ყოფნა-არყოფნის ჰამლეტისებური იდეა და ისევ მახსენდება „მაგრამ რადგანაც"... გმადლობთ ამ სიკეთისათვის! განგებას შევსთხოვ თქვენს ბედნიერებას!", ხოლო, როცა, მადლიერ სტუდენტებს გაუგიათ ალექსანდრე გვენცაძის ავადმყოფობა, მიუწერიათ:

„უსახელი ბარათს გიგზავნით, ბატონო ალექსანდრე!

ჩვენი მსმენელების სახელით ძალიან დიდ მადლობას მოგახსენებთ გულთბილი საუბრებისათვის, უზადო ადამიანობისათვის, სამშობლოს სიყვარულისთვის, ხალასი ნიჭისათვის...

არც ერთი არ დავიშურებთ ჩვენი სიცოცხლიდან თითო წელი გაჩუქოთ" (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

როინ ჭიკაძის მონოგრაფიის მიხედვით „მოძღვარი", ჟურნალისტი ნუნუ მატარაძე წერს: „ერისკაცი! – ეს სიტყვა მთელი თავისი მდიდარი შინაარსით ღირსეულად ხსნის ბატონი ალექსანდრეს პიროვნებას... ასეთები ცოცხალი მაგალითები არიან ახალგაზრდობისათვის. ღმერთმა უმრავლოს და უდღეგრძელოს ჩვენს ერს მისთანები" (ჭიკაძე 2009: 163-164). ალექსანდრე გვენცაძის გარდაცვალების შემდეგ, 1993 წლის 8 აგვისტოს, ოჯახის მეგობარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, არაბისტი – რუსუდან გვარამია წერს მის შვილებს:

„...თინიკო (ალ. გვენცაძის მეუღლე – თ.თ.) და ბატონი საშა მაინც განსაკუთრებულნი იყვნენ და მეც განსაკუთრებულად მიყვარდნენ. ახლა ასეთი ხალხი ალარ არის. კოტეს (ქ-ნი რუსუდანის შვილი – კოტე ჯანდიერი, მწერალი – თ.თ.) ერთმა ამხანაგმა მითხრა – დინოზავრების თაობა ხართო. ალბათ ასეა. დედაჩემს ცალკე ჰქონია შენახული ბატონი საშას წერილები და მეც ცალკე მაქვს შენახული. თქვენი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან მოვლენაზე და დღესასწაულზე მწერდა არაჩვეულებრივ წერილებს და მიგზავნიდა ღია ბარათებს. იქნებ მერე ჩემმა მომავალმა თაობამ წაიკითხოს და გაიგოს, რა ხალხი არსებობდა" (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

ჟურნალისტი, გაზეთ „თელავის მოამბის" რედაქტორი მერი ზაალიშვილი წერს:

მაშინაც მჭონდა ამის განცდა, მაგრამ ახლა, როცა უკვე წლები გვაშორებს ამ უაღრესად საინტერესო ადამიანს, უფრო თვალნათლივ ვხედავ, რომ ალექსანდრე გვენცაძის ყველა საქმე, ნებისმიერი მისი საქციელი, მისი ნაბიჯი მიმართული იყო ადამიანის სულის გადასარჩენად, ჩვენი სულის ზრდისაკენ (ჭიკაძე 2009: 156-157).

ალექსანდრე გვენცაძის ყოფილი სტუდენტი, თელავის I საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი – ნინო კუხიანიძე კი თავის ლექტორს ახასიათებს ასე:

...იყო თავმდაბალი და სულით მაღალი, ალალი და გულმართალი, გრძნობამხურვალე და ჭკუამახვილი, პირდაპირი, პირშიმთქმელი და უკომპრომისო. მისთვის უცხო იყო მლიქვნელობა. ვერ იტანდა უსამართლობას, ლაქუცს, გამომძალველობას. იყო გულკეთილი და გაჭირვებულის დამხმარე (ჭიკაძე 2009: 145).

ასევე ახასიათებენ ალექსანდრე გვენცაძეს მისი ადრესანტები. 1986 წლის 22 დეკემბერს პროფესორი გიორგი შალამბერიძის მიერ მიძღვნილ წერილში წერია:

„...თქვენ უაღრესად კეთილშობილი ადამიანი ბრძანდებით, უანგარობით, გულისხმიერებით, სათნოებით გამორჩეული, და სამაგიერო სიკეთეს ბუნება არ მოგაკლებთ" (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

1969 წლის 7 მაისს კი ნიკა აგიაშვილი სწერს ადრესატს:

„სალამი და გამარჯობა პატივცემულო ალექსანდრე! თქვენი კეთილი გული ჩემთვის პატივსა-

ცემი და სასიამოვნოდ მოსაგონარი იქნება. იყავით კარგად“ (ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114).

***

მართალია, წერილი, როგორც დოკუმენტური მასალა, არ იძლევა ადამიანის ცხოვრების ამომწურავ სურათს, მაგრამ იგი წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წერილობით წყაროს. ის უძვირფასესი მასალაა ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად (თუშაბრამიშვილი 2020: 21). შევეცადეთ, ალექსანდრე გვენცაძის თანამედროვეთა ცნობებსა და ადრესანტების პირად ბარათებზე დაყრდნობით წარმოგვეჩინა მისი პიროვნული თვისებები.

რ. გერიგი და ფ. ზიმბარდო წიგნში „ფსიქოლოგია და ცხოვრება“ წერენ:

> როდესაც განთქმული ან ისტორიული ფიგურა ფსიქობიოგრაფიის საგანი ხდება, მკვლევარმა შეიძლება გამოქვეყნებულ შრომებს, დღიურებს და წერილებს მიმართოს, როგორც სანდო მონაცემების წყაროებს (გერიგი, ზიმბარდო 2009: 149).

მართალია, ადრესატებისადმი გაგზავნილი ალექსანდრე გვენცაძის პირადი წერილები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, მაგრამ ადრესანტები და თანამედროვეთა მოგონებები გვაწვდიან მისი ცხოვრების გზის საკმაოდ სრულ აღწერას.

ალექსანდრე გვენცაძის ეპისტოლური მემკვიდრეობის შესწავლა არ იფარგლება მხოლოდ ჩვენ მიერ წარმოდგენილი მასალებით. 2019 წლის 27 ნოემბერს ალექსანდრე გვენცაძეს შეუსრულდა დაბადებიდან 115 წელი. მისმა შვილებმა საბელოვანი მამულიშვილის არქივი გადასცეს თელავის ისტორიულ მუზეუმს. ასე რომ, ამ მასალების პუბლიკაცია, ვიმედოვნებთ, მომავალშიც გაგრძელდება. პერსპექტიულად წარმოგვიდგება ალექსანდრე გვენცაძის მიერ ადრესატებისადმი მინერილი ბარათების მოძიება და შესწავლა.

შენიშვნები

[1] პროფესორ გ. თოფურიას ვიმოწმებთ რ. ჭიკაძის მიხედვით (ჭიკაძე 2009: 106-108).

დამოწმებანი

ა. გვენცაძის პირადი არქივი №12114: თელავის ისტორიული მუზეუმი, პირადი წერილების ფონდი, ალ. გვენცაძის პირადი არქივი, №12114.

გერიგი, ზიმბარდო 2009: რ. გერიგი, ფ. ზიმბარდო. *ფსიქოლოგია და ცხოვრება*, თბილისი, თსუ გამომცემლობა.

გოგოლაშვილი 2003: გ. გოგოლაშვილი. მინაწერი მაყვალა მიქელაძის წერილზე „მოიხსენით ტვირთი ბატონებო“– ციკლიდან „მოგონებები ალექსანდრე გვენცაძეზე“, *ბურჯი ეროვნებისა*, №7-8 (68).

ზაალიშვილი 2019: მ. ზაალიშვილი. თელავი – რექტორების ქალაქი და ალექსანდრე გვენცაძე, ოლე. №4 (43).

თუშაბრამიშვილი 2020: თ. თუშაბრამიშვილი. *ნიკოლოზ ბარათაშვილის ფსიქობიოგრაფია ეპისტოლური მემკვიდრეობის მიხედვით*, თბილისი. გამომცემლობა „საარი“.

ჭიკაძე 2009: რ. ჭიკაძე. *მოძღვარი, ალექსანდრე გვენცაძე*, თბილისი, გამოცემლობა „უნივერსალი“.

ჯავახიშვილი, ჭიკაძე 2005: გ. ჯავახიშვილი, რ. ჭიკაძე. წერილები ალექსანდრე გვენცაძის არქივიდან, *ბურჯი ეროვნებისა*, № 1-3 (87).

THE EMINENT PUBLIC WORKER IN THE EYES OF HIS ADRESSANTS: ALEKSANDRE GVENTSADZE (1904-1993)

Tinatin Tushabramishvili

The article discusses the private letters – preserved in the archive of Alexander Gventsadze, who was one of the founders of Iakob Gogebashvili Telavi State University, a diligent teacher, scientist and citizen. These letters are sent by the well-known scientists, his colleagues, famous philologists, professors, writes and public figures.

Alexander Gventsadze committed his life to scientific, pedagogical and public activities. He was one of the founders and a historian of Telavi State University.

The article represents the personal features of Alexander Gventsadze and his scientific and extremely interesting facts of his pedagogical work based on the letters and memories dedicated to him by his contemporaries – former students, colleagues, representatives of pedagogical or scientific intelligentsia, friends, admirers, etc.

The study of Alexander Gventsadze's epistolary legacy is not limited to the presented work. We consider it a good deed to find and publish the letters preserved in private archives of his addressees.

თვალსაზრისი
STANDPOINT

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ჩატარებული კონკურსები: ქართული საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცის დიდი პრობლემა

ზურაბ თარგამაძე

ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პრობლემები საკმაოდ მტკივნეულია ქართული საზოგადოებისათვის. საქმე ეხება როგორც სწავლების ფორმებს და ხარისხს, ისე მის ადმინისტრირებას, პრობლემაა არა მარტო ის თუ რა და როგორ ვასწავლოთ, არამედ ისიც თუ ვინ უნდა ასწავლოს. კრიტიკული თვალსაზრისები ამ მიმართულებით არცთუ იშვიათად გაისმის სხვადასხვა მედიაში, თუმცა ჯერჯერობით მაინც ამგვარ კრიტიციზმს ეპიზოდური ხასიათი აქვს აკადემიურ მედიაში. არადა, განათლებასთან დაკავშირებული საკითხები, პირველ რიგში, სწორედ მეცნიერთა წრეში უნდა იქნეს განხილული. საქართველოში განათლების სფეროს პრობლემების მოგვარების გარეშე მეცნიერებაში რაიმე წინსვლას მოლოდინი არ უნდა გექონდეს.

ამ წერილში ერთ-ერთ შემთხვევას მინდა შევეხო, რომლის თვითმხილველი პირადად ვიყავი ის არ არის განკერძოებული ფაქტი და მისი განხილვა კარგად აჩვენებს პრობლემის სირთულესა და კომპლექსურობას.

ცხადია, ერთი წერილის ფარგლებში მეტ-ნაკლებად სრულყოფილად გაშუქება არსებული პრობლემებისა შეუძლებელია. ეს არც არის ჩემი ამოცანა, გარდა ამისა, ვფიქრობ, ჩემზე უფრო კომპეტენტური პიროვნებებიც არსებობენ, რომლებიც საბედნიეროდ დიდი ხანია ცდილობენ მათ ხელთ არსებული შესაძლებლობების ფარგლებში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას. მე, ჩემი მხრივ გადავწყვიტე, რომ გამოვეხმაურო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საქართველოს ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში 2020 წელს აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის შედეგებს. ვისაც რაიმე სახის შეხება ჰქონია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულებასთან, არავისთვის უცნობი არაა, რომ აქ ჩატარებული კონკურსები არაერთხელ გამხდარა საფუძვლიანი კრიტიკის ობიექტი კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობისა და მიკერძოებულობის გამო.

მიუხედავად ამისა, გადავწყვიტე მონაწილეობა მიმეღო ამ კონკურსში, რადგან ვთვლიდი, რომ მაქვს ყველა მონაცემი აქ ასისტენტ-პროფესორის პოზიცია დაეიკავო. ვინაიდან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულებაზე გამოცხადებული კონკურსების შედეგები ადრეც არაერთხელ გამხდარა საეჭვო, შესაბამისად, წინასწარ მქონდა გარკვეული განწყობა და ამიტომ პირველივე ეტაპზე დავინტერესდი კონკურსის ყველა დეტალით.

გარკვეული შეკითხვები კონკურსთან მიმართებით გამიჩნდა მაშინვე. ვგულისხმობ იმ გარემოებას, რომ საკონკურსო მოთხოვნების მიხედვით ასისტენტ-პროფესორების პოზიცია გაყოფილი იყო ორ: „ა“ და „გ“ კატეგორიებად, შესაბამისად, აპლიკანტებზე გავრცელდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესში არსებული შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც, აპლიკანტებს ეკრძალებათ, განაცხადი დაარეგისტრირონ ორ განსხვავებულ პოზიციაზე, მაშინ, როდესაც რეალურად ამ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არა ორ განსხვავებულ პოზიციას, მაგალითად, ასისტენტ-პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების ვაკანსიებს, არამედ ასისტენტ-პროფესორების პოზიციას. შესაბამისი კითხვით განცხადება ჩავაბარე უნივერსიტეტის კანცელარიაში, საიდანაც მივიღე პასუხი, რომელშიც განმარტებული იყო კონკურსის ამ წესით ჩატარების საფუძვლები. მიუხედავად მიღებული განმარტებებისა, რომ აღნიშნული წესით კონკურსის ჩატარება კანონის შესაბამისად ხდებოდა ვფიქრობ, კონკურსის ჩატარების აღნიშნული წესი, მით უფრო, როდესაც მანამდე მსგავსი პრაქტიკა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის მიმართულებაზე არ იყო, ბადებს სამართლიან შეკითხვებს.

მეორე მნიშვნელოვანი გარემოება გახლდათ ის, რომ კონკურსში, სადაც გამოცხადებულ ვაკანსიებს შორის პროპორციულად მეტი წილი საქართველოს ისტორიის მიმართულებიდან იყო, კომისიის შეიდკაციან შემადგენლობაში ამ მიმართულების მხოლოდ ორი წარმომადგენელი შეიყვანეს.

ამ წინაპირობებთან ერთად, პირადი გამოცდილებიდან გამომდინარე, ვიცოდი, რომ კომისიის წევრების ნაწილი, კერძოდ, პროფესორები: მ. პაპაშვილი, თ. პაპასქირი და ასოცირებული პროფესორი თ. ნითლანაძე ჩემ მიმართ უარყოფითად იყვნენ განწყობილნი. ხსენებულ პირებს არაერთხელ დაუფიქსირებიათ ასეთი პოზიცია საჯაროდ. ამის მიზეზი კი ადრე ჩემ მიმართ არასწორედ მოქცევის გამო მათი მხილება იყო ჩემ მიერ (იხ. გამოხმაურება წინანდლის პრემიის 2018 წლის დაჯილდოებაზე, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ. XIX/XX, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი", 2017/2018, გვ. 307-314).

საფუძველი მაქვს, ვიფიქრო, რომ კომისიის კიდევ ერთი წევრის, ასოცირებული პროფესორი ბ. კუპატაძის, დამოკიდებულებაც ჩემ მიმართ არ იყო ნეიტრალური. ჯერ კიდევ ჩემი სადოქტორო დისერტაციის დაცვისას მისი ოპონირება დისერტაციაში მოყვანილ ზოგიერთ მოსაზრებასა და დასკვნასთან დაკავშირებით იყო სრულიად დაუსაბუთებელი.

მიუხედავად ამ წინაპირობებისა, მე, კოლეგიალობისა და იმ ფაქტის გამო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარებულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული პრაქტიკა კომისიის წევრების აცილების შესახებ კონკურსანტის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევებს ნაკლებად იცნობს, არ მოვითხოვე მათი აცილება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არც კომისიის წევრებს არ მოუთხოვიათ არიდება, რასაც მათ, გარდა პროფესიული კეთილსინდისიერებისა, როგორც ჩემთვის ცნობილია, კანონიც ავალდებულებდათ.

ჩემი ეჭვების საფუძვლიანობაში ძალიან მალე დაერწმუნდი. აღნიშული თვალსაზრისი კიდევ უფრო გამიმყარდა, როდესაც იგივე პოზიცია ბ. კუპატაძემ გააჟღერა კომისიის სხდომის მსვლელობისასაც ჩემს მონოგრაფიასთან მიმართებით. ცხადია, თავისთავად ოპონირება ჯანსაღ ვითარებაში არის სასარგებლო და აუცილებელი სამეცნიერო საქმიანობისათვის, თუმცა მასაც აქვს გარკვეული წესები. ამ შემთხვევაში კი ბ. კუპატაძის პოზიცია აშკარად გასცდა სამეცნიერო-აკადემიური დისკუსიის ფორმატს. ნაწილობრივ ეს ჩანს კიდეც შესაბამისი ოქმიდან. კერძოდ, კომისიის მდივანი ბ. კუპატაძე ჩემს ოპონირებას ცდილობდა ისე, რომ მას არ წაუკითხავს ჩემი მონოგრაფიიდან შესაბამისი მონაკვეთები. გასაუბრების დროს დისკუსიის მსვლელობისას ის იძულებული გახდა, დაედასტურებინა, რომ ამონარიდები მოჰყავდა მხოლოდ მონოგრაფიისათვის დართული დასკვნიდან. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, მიუხედავად იმისა, რომ კომისიის წევრი არ იცნობდა მონოგრაფიის ძირითად ტექსტს, ცდილობდა ჩემი მოსაზრებებისა და დასკვნების უსაფუძვლობაზე მითითებას.

კომისიის წევრთა ნაწილის საქმისადმი არასათანადო დამოკიდებულება ჩანს ოქმებიდანაც. კერძოდ, ერთ-ერთ ოქმში კომისიამ ჩემთან დაკავშირებული არასამართლიანი გადაწყვეტილების საბუთად გასაუბრებაზე *მიღებული პირადი შთაბეჭდილება დაასახელა*. მაშინ, როდესაც კომისიის ორმა წევრმა, ასოცირებულმა პროფესორებმა: ე. მეძმარიაშვილმა და თ. ნითლანაძემ, კომისიის სხდომა დატოვეს დაახლოებით ოცი წუთით ადრე (ოქმებში ამ ფაქტის შესახებ არაფერია ნათქვამი). საქმე ისაა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესში არსებული რეგულაციის მიხედვით ასეთ შემთხვევაში მათი ხმები ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ქმედება პროცესუალური დარღვევაა და, შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილება ამის გამო არ შეიძლება იყოს სამართლიანი, ისედაც ოქმში აღწერილი სხვა გარემოებებიც არ შეესაბამება სიმართლეს. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით არ დავეთანხმე კომისიის გადაწყვეტილებას და დადგენილ ვადებში გავასაჩივრე იგი.

სააპელაციო კომისიაში გასაჩივრების შემდეგ ჩემთვის ხელმისაწვდომი გახდა კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია (აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ ყველა პრეტენზია, რომლებიც მქონდა და რომელთა შესახებაც ამ წერილშიცაა საუბარი, წარვუდგინე სააპელაციო კომისიის წევრებსაც; თავმჯდომარე ვ. კაჭარავა, წევრები: მ. ბახტაძე, ი. ხუბაშვილი). მას შემდეგ, რაც გავეცანი ოქმებს, ჩემთვის უფრო ცხადი გახდა კომისიის ცალკეული წევრების მოტივაცია და მიღებული გადაწყვეტილების არასამართლიანობა.

ოქმებიდან ნათლად ჩანს, რომ კომისიის წევრთა ნაწილი, შეგნებულად ცდილობდა ჩემს დისკრედიტაციას. ნაცვლად იმისა, რომ ოქმები შეიცავდეს კომისიის საქმიანობისა და მიღებული გადაწყვეტილების ობიექტურ დასაბუთებას, ისინი ეძღვნება ჩემს პიროვნულ კრიტიკას. კომისიის წევრთა ნაწილის მიკერძოებულობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ოქმებში, სადაც აღნიშნულია კონკურსანტთა მიღწევები, ჩემს შემთხვევაში შეგნებულად იგნორირებულია მნიშვნელოვანი დეტალები, მაგალითად, ჩემი განათლების შესახებ, მაშინ, როდესაც გამარჯვებული კონკურსანტების შემთხვევაში აღნიშნულია სრულიად უმნიშვნელო წვრილმანებიც კი. სახელდობრ ის, რომ ისინი რვა და ცხრა წელია პედაგოგიურ საქმიანობას ეწევიან უნივერსიტეტში (აქვე აღვნიშნავ, რომ იმ დროისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების ხუთწლიანი გამოცდილება მეც მქონდა), მაშინ, როდესაც კონკურსის პირობებიდან გამომდინარე, ასისტენტ-პროფესორის პოზიციის დაკავებისათვის ამ ფაქტს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. პირიქით, სწორედ ეს გარემოება კომისიის წევრებს უნდა მოსჩვენებოდათ უცნაურად იქიდან გამომდინარე, რომ, მიუხედავად სტაჟისა, ამ კონკურსში ჩემი კონკურენტები ვერ ახერხებენ კარიერულ ნინსვლას და მაინც ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეაქვთ განაცხადი და არა ასოცირებული პროფესორის პოზიციაზე.

იმ ნაწილში კი, სადაც აშკარაა, რომ გამარჯვებული კონკურსანტები ჩემთან შედარებით იყვნენ სუსტები, კომისია ამ ფაქტის გაბათილებას შეეცადა. მაგალითად, ერთ-ერთ გამარჯვებულ კონკურსანტთან, ლ. ბოშიშვილთან, მიმართებით აღნიშნულია, რომ მის ანკეტაში, მართალია, არაფერია ნათქვამი კონკურსანტის მიერ ენების ცოდნისა და მისი კომპიუტერული უნარების შესახებ, მაგრამ ის არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ს/ს ინსტიტუტის საიტის ადმინისტრატორი. მეორე გამარჯვებულთან, ლ. თავაძესთან, მიმართებით კი აღნიშნულია, რომ მას აქვს წარმოდგენილი სილაბუსები. თუმცა როგორც სტაჟთან დაკავშირებით, სილაბუსების შემთხვევაშიც არანაირი წინასწარი მოთხოვნა არ არსებობდა. ანუ კომისიამ მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომელიც კონკურსის წესების მიხედვით გათვალისწინებულ მოთხოვნებში არ შედიოდა და თან კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ იმ სილაბუსებს, რომლებიც არა ისტორიის, არამედ ქიმიის მიმართულების სტუდენტებისათვის იყო განკუთვნილი.

საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ ოქმების ის ნაწილები, რომლებშიც გადმოცემულია გასაუბრების დეტალები, მონაკვეთი, რომელიც მე მეთმობა, ჩემს კონკურენტებთან შედარებით არის თითქმის ორჯერ მეტი. ეს გარემოება მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ჩემს შემთხვევაში, განსხვავებით გამარჯვებული კონკურსანტებისაგან, გასაუბრების დეტალების აღწერა, როგორც აღვნიშნე, ეთმობა ჩემს უსაფუძვლო კრიტიკას და დისკრედიტაციის ცდას. მათი მიკერძოებულობის ხარისხი იმდენად მაღალი იყო, რომ კომისიის თავმჯდომარემ და მდივნმა ვერ დაიცვეს ოქმის წერისთვის აუცილებელი ელემენტარული მოთხოვნები. იმდენად, რომ მათ მიერ ხელმონერილი და შედგენილი ოქმები შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ ფაქტებსაც. მაგალითად, ერთ-ერთ ოქმში ხაზგასმულია, რომ მე ჩემს სამოტივაციო წერილში დაფიქსირებული პოზიციით შეურაცხყოფა მივაყენე კომისიის წევრებს, თუმცა იმავე ოქმში აღნიშნულია, რომ ჩემი სამოტივაციო წერილი სრულიად შეესაბამებოდა სტანდარტს. ამასთან, თსუ-ში აკადემიური პერსონალის სამსახურში აყვანის წესიდან გამომდინარე, თუ მართლა შეურაცხმყოფელი და არაეთიკური იყო ჩემი სამოტივაციო წერილი, მათ შეეძლოთ მხოლოდ ამის საფუძველზე მოეეხსენი კონკურსიდან. თუმცა სინამდვილეში აქ საქმე ჩემ მიერ გამოხატულ უპატივცემულობაში არ იყო. საქმე ისაა, რომ სამოტივაციო წერილში მოტივაციის დასაბუთების ნაწილში, სხვა მიზეზებთან ერთად აღვნიშნავდი, რომ „მნიშვნელოვანად მიმაჩნია ის ფაქტიც, რომ სამეცნიერო მიმართულება, რომლითაც მე ვინტერესდები და რომელიც, ამავე დროს, მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიული პროცესის თანამედროვე დასავლური გამოცდილების შესაბამის გააზრებასთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არ არის სათანადოდ წარმოდგენილი. პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი, რომელიც წლების განმავლობაში იყო ჩემი ხელმძღვანელი და რომელიც წლებია ცდილობს ქართული საისტორიო სკოლის ტრადიციის გამდიდრებას დასავლური თეორიული დისკურსის შემოტანით, პრაქტიკულად არის ერთადერთი მეცნიერი/პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის მიმართულებაზე, რომელიც საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების გააზრებისას მიმართავს და იზიარებს დასავლურ გამოცდილებას“. მათი გაღიზიანება გამოიწვია, სურვილმა, რომ მე გამარჯვების შემთხვევაში ვაპირებდი მემუშავა იმ სამეცნიერო მიმარ-

თულებაზე რომელიც გულისხმობს საქართველოს ისტორიის გააზრებისას განსხვავებული აქცენტების დასმასა და სამეცნიერო პრაქტიკაში თანამედროვე დასავლური დისკურსის გაზიარებას. პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი არის პრაქტიკულად ერთადერთი მეცნიერი, რომელიც იზიარებს დასავლურ გამოცდილებას. იმის მაგივრად, რომ კოლეგებს მიეთითებინათ ჩემი აზრის მცდარობის შესახებ და ეთქვათ კონკრეტულად თავად რას აკეთებდნენ ამ მიმართულებით და რატომ იყო ჩემი ხედვა არასწორი კომისიის თავმჯდომარისა (თ. პაპასქირი) და მდივნის (ბ. კუპატაძე) მიერ შედგენილ ოქმებში ზემოთ ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებული დისკუსიის შესახებ აღნიშულია, რომ მე კომისიის წევრებს, ნაცვლად იმისა, რომ მათ შეკითხვებზე მეპასუხა. მათ შორის, საისტორიო პრაქტიკაში თეორიულ დისკურსის გამოყენებასთან დაკავშირებით, იქით ვუსვამდი შეკითხვებს. საქმე ისაა, რომ ცალკეულ საკითხებთან მიმართებით მე იძულებული გავხდი, კომისიის წევრებისათვის, მართლაც, დამესვა შემხვედრი შეკითხვები, ვინაიდან მათი მსჯელობიდან გამომდინარე დავინახე, რომ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი ვერ ერკვეოდნენ იმ საკითხში, რომლის შესახებაც მეკამათებოდნენ. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, მათთვის გაუგებარი აღმოჩნდა, რას ვგულისხმობდი მე და, ამასთან, გაუგებარია ისიც, რა განსხვავებაა დასავლურ სტანდარტსა და დასავლური თეორიული დისკურსის სამეცნიერო პრაქტიკაში გამოყენებას შორის. ამავე ოქმში აღნიშულია, თითქოს, მე თავი შევიკავე, ჩემთვის მისაღები თეორიული მიდგომის გარდა, სხვა დასავლური თეორიების დასახელებისაგან, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. არც უცდიათ ამ საკითხის შესახებ შინაარსობრივ განხილვაში შემოსვლა. სინამდვილეში მათი ასეთი პოზიციის გამო, მე მხოლოდ იმას გავუსვი ხაზი, რომ კარგად ვიცნობ სხვა დასავლურ თეორიებსაც და რომელ მათგანს იყენებდნენ ისინი კვლევისას. პასუხი ჩემს შეკითხვაზე ვერ მიეიღე.

მეორე შეკითხვა, რომელიც დავუსვი კომისიის წევრებს, განპირობებული იყო კვლავ კომისიის წევრების უცნაური პოზიციით ჩემს სამოტივაციო წერილთან დაკავშირებით. როგორც აღვნიშნე, ოქმებში საგანგებოდაა ხაზგასმული, რომ ჩემ მიერ გამოთქმული თვალსაზრისები იყო შეურაცხმყოფელი მათთვის და რომ მომავალში ჩემი გამარჯვების შემთხვევაში პრობლემა იქნებოდა მათთან თანამშრომლობა. მე იქვე კომისიის წევრების წინაშე დავადასტურე, რომ მზად ვარ ნებისმიერ ჩემ კოლეგასთან აკადემიური თანამშრომლობისათვის. თუმცა რთული და პრაქტიკულად შეუძლებელიც კი არის, ისეთი ფაქტის გახსენება, როდესაც კომისიის კონკრეტულად ჩემ მიერ ხსენებულ წევრებს ოდესმე გამოეხატათ, მათგან განსხვავებული თვალსაზრისის მქონე კოლეგებთან, თანამშრომლობის, ან ჯანსაღი სამეცნიერო დისკუსიის სურვილი. საპირისპირო შემთხვევები კი ბევრი შეიძლება გავიხსენოთ, მათ შორის, ჩემი სტუდენტობის პერიოდიდან, როდესაც ნაცვლად სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებაზე ფიქრისა, ამ კოლეგათა ნაწილი „ძალისხმევას არ იშურებდა" მათთვის მიუღებელი მეცნიერების წინააღმდეგ მოქმედებისათვის.

ვფიქრობ, კომისიის წევრების უმეტესობის (მხოლოდ პროფესორმა მარიამ ჩხარტიშვილმა არ გაიზიარა კომისიის გადაწყვეტილება და მისი საბოლოო შედეგები) დამოკიდებულება და მოტივაცია განპირობებული იყო იმ ფაქტით, რომ ჩემი მონაცემებით, როგორც ეს ჩემს ხელთ არსებულ დოკუმენტებიდან ჩანს, მე ვჯობდი გამარჯვებულ კონკურსანტებს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ კომისია, ერთი მხრივ, ეცადა ჩემი მონაცემების უგულებელყოფით გაებათილებინა ჩემი უპირატესობა (კერძოდ, ბოლო ექვსი წლის განმავლობაში სამეცნიერო კონფერენციებზე მონაწილეობის, პუბლიკაციებისა და საგრანტო პროექტებში მონაწილეობის მიხედვით) და, მეორე მხრივ, შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ჩემი დამოკიდებულება კომისიის წევრებისა და ზოგადად ჩემი კოლეგებისადმი იყო შეურაცხმყოფელი. რაც არ შეესაბამება სიმართლეს, ამას ადასტურებს ის ჩვიდმეტი წელი, რომელიც, როგორც სტუდენტს და როგორც პედაგოგს, გატარებული მაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საგულისხმოა ისიც, რომ კომისიას არ განუხორციელებია გასაუბრების ვიდეო ან აუდიო ჩაწერა და არც ჩემთვის უცნობებიათ გასაუბრების დაწყებამდე, რომ არსებობდა ასეთი შესაძლებლობა. ასეთი ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში, ვფიქრობ, ბევრი დეტალი გახდებოდა უფრო ცხადი. მითუმეტეს, რომ, როგორც შემაჯამებელ ოქმშია აღნიშნული, კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება დაეფუძნა სწორედ გასაუბრებაზე მიღებულ შთაბეჭდილებას. საინტერესოა ისიც, კომისიამ როგორ მოახერხა მთლიანობაში რამდენიმე საათიანი გასაუბრების პროცესის ასახვა ოქმებში მაშინ, როცა

არც ხელით ხდებოდა გასაუბრების დაოქმება. ოქმებში არ არის განმარტებული, რატომ არ ჩამეთვალა ოთხ საგრანტო პროექტში მონაწილეობა. დავაზუსტებ, რომ ისინი გაცემულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისა და თსუ-ს მიერ, მაგრამ რატომღაც კომისიამ მხოლოდ რუსთაველის ფონდის ორი გრანტი ცნო.

ვფიქრობ, კომისიის წევრების უმეტესობის უპასუხისმგებლო და არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება განპირობებული და წახალისებული იყო იმ გარემოებით, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის მიმართულებაზე წლებია კონკურსები გარკვეულ შემთხვევებში ტარდება არასამართლიანად და გაუმჭვირვალედ. ამას მოწმობს სარჩელები არა მხოლოდ სააპელაციო კომისიაში, არამედ კონკრეტულ კონკურსანტთა სასამართლო დავებიც. ვფიქრობ, ამ არასამართლიან დამოკიდებულებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ისტორიის მიმართულებაზე, დაწყებული ლაბორანტიდან გაგრძელებული აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილით, ვგულისხმობ ახალგაზრდა მეცნიერებს (მათ შორის, მოწვეული პედაგოგის პოზიციაზე საათობრივი დატვირთვის თვალსაზრისითაც), საქმდებიან მხოლოდ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილესთან, პროფესორ თედო დუნდუასთან დაახლოებული ადამიანები. ამდაგვარი პრობლემებისაგან თავის დაზღვევის გზად მესახება ის, რომ პროფესორების მხრიდან მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავებას არ უნდა ჰქონდეს ფაქტობრივად მუდმივი ხასიათი. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ისედაც გაუგებარია პროფესორის მისწრაფება ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავებისადმი, რაც თავისთავად ბევრ ფაქტორზე მეტყველებს. მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ მე არც ერთ ჩემს კონკურენტთან და, რომელიმე სხვა კოლეგასთან არ მაქვს რაიმე პირადი უთანხმოება. მათი საქმიანობა და მიღწევები ცალკეულ შემთხვევებში ნამდვილად არის საყურადღებო, თუმცა კონკრეტულ კონკურსში გადაწყვეტილება კომისიამ უნდა მიიღოს იმ მომენტისათვის არსებული მონაცემების გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც მე ვჯობდი მათ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ კომისიის წევრებმა, ვგულისხმობ სააპელაციო კომისიის შემადგენლობას, პირადი თანაგრძნობის ვერბალური ფორმით გამოხატვის, ან იმის აღნიშვნის ნაცვლად, რომ „ხომ ვიცით როგორც ხდება“ და „ჩვენც ასე მოგვექცნენ თავის დროზე“ და ა.შ. სჯობდა, დაკისრებული მოვალეობის შესრულების მომენტში გამოეჩინათ მეტი პრინციპულობა. და ეს არ ეხება კონკრეტულად მხოლოდ ამ საკონკურსო და სააპელაციო კომისიებს. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ასეთ შემთხვევებს ადრეც არაერთხელ ჰქონია ადგილი. ცხადია, რომ ამ პრობლემის დაძლევა არ არის იოლი, თუმცა ფაქტია ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის საბჭოური მიდგომებისაგან განთავისუფლებისათვის აუცილებელია, სტუდენტებმა და პროფესორთა, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის იმ ნაწილმა, რომელიც არ ეთანხმება იმას, რაც უნივერსიტეტში ხდება, ფართო საზოგადოებისათვის უფრო თვალსაჩინო გახადოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესები.

THE COMPETITION FOR ACADEMIC POSITION: THE GREATEST PROBLEM OF GEORGIAN ACADEMIC LIFE

Zurab Targamadze

The paper refers to the results of the competition announced for the academic position at Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2020. In particular, the bias and unfair attitude of the commission.

We think that the irresponsible and unconscientious attitude by the majority of the members of the commission is encouraged by the fact that competitions announced on the field of history of the Faculty of Humanities at TSU is often held unfairly and opaque. This is evidenced not only by the lawsuits in the Appeals Commission, but also by the litigation of specific contestants.

წიგნების მიმოხილვა
BOOK REVIEWS

არკანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ სრული ქართული თარგმანის გამოცემა

პაპუნა გაბისონია



ქართულ ისტორიოგრაფიას ახალი მნიშვნელოვანი წყაროთმცოდნეობითი გამოცემა შეემატა და მკითხველთა ფართო წრემ პირველად იხილა ჩვენთვის კარგად ნაცნობი არკანჯელო ლამბერტის შესანიშნავი ნაშრომის – „წმინდა კოლხეთის“ ტექსტის სრული ქართული თარგმანი. „წმინდა კოლხეთი“ ისტორიკოს დავით მერკვილაძის სამეცნიერო რედაქტორობითა და თაოსნობით დაბეჭდა გამომცემლობა „არტანუჯმა“, „არტანუჯის წყაროების“ სერიით (სერიის მთავარი რედაქტორი ბუბა კუდავა).

თეატელმა მისიონერებმა XVII საუკუნის საქართველოს შესახებ ამ პერიოდის მკვლევართათვის მრავალი საყურადღებო ცნობა შემოგვინახეს მრავალმხრივი ასპექტით, რომელიც მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს წარმოდგენას გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს მძიმე ისტორიის სხვადასხვა საკითხების თაობაზე. მათ მოწოდებულ საგულისხმო მასალას დიდი ხანია ღირსეული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობით ბაზაში. ამ მისიონერთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია არკანჯელო ლამბერტის შემოქმედება – თხზულებები და რელაციები. მან 1631 წლის 12 მაისიდან 1649 წლის ოქტომბრამდე თითქმის თვრამეტნახევარი წელი დაჰყო საქართველოში. ხოლო თავისი სულიერი მისიის თვალსაზრისით სრულად ვალმოხდილმა როდესაც იტალიაში ჩააღწია, ქალაქ ნეაპოლში, კამილო კავალის გამომცემლობაში იტალიურ ენაზე გამოსცა თავისი ორი წიგნი. პირველი მათგანი – „სამეგრელოს აღწერა“ (გამოცემულია 1654 წელს) ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი და სათანადოდ შეფასებულია. 1657 წელს გამოცემული „წმინდა კოლხეთზე“ კი ქართველ მკითხველსა და სამეცნიერო საზოგადოების ფართო წრეს ბოლო დრომდე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ.

1657 წელს გამოცემული „წმინდა კოლხეთის“ მიზანდასახულობა იკითხება ნიგნის დასაწყისშივე, მკითხველისადმი ავტორის მიმართეაში: რელიგიური წინამძღვრები (სავარაუდოდ თეატელთა ორდენის ხელმღვანელები) უკმაყოფილონი დარჩენილან, რომ „სამეგრელოს აღწერაში“ სათანადოდ არ იყო წარმოჩენილი აღმოსავლეთში მათი ორდენის წარმომადგენელთა მისიონერული ღვაწლი და ამ ნაკლოვანების აღმოსაფხერელად ლამბერტის დაევალა ახალი ნაშრომის შექმნა. სწორედ ეს გარემოება გამხდარა „წმინდა კოლხეთის“ დაწერის მიზეზი.

„წმინდა კოლხეთის“, როგორც ისტორიული წყაროს მნიშვნელობას კარგად წარმოგვიდგენს მისი ქართული თარგმანის სამეცნიერო რედაქტორი დ. მერკეილაძე: „არკანჯელო ლამბერტის ზემოდასახელებული თარგმანი ფასდაუდებელი მნიშვნელობის წყაროა XVII საუკუნის I ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის. მასში მოთხრობილია საქართველოში გამოგზავნილ თეატელთა კათოლიკური მისიის 1626-1649 წლების მთელი ისტორია: პაპის კურიის მიერ გადაწყვეტილების მიღება საქართველოს ტერიტორიაზე კათოლიკური მისიის შექმნის შესახებ, დონ პიეტრო აეიტაბილეს ხელმძღვანელობით მისიონერთა პირველი ჯგუფის გამომგზავრება, არკანჯელო ლამბერტისა და ჯუზეპე ჯუდიჩეს გამომგზავრება იტალიიდან, წმ. მინისა და ოსმალური სამფლობელოების გავლით მათი ქართლში შემოსვლა და თეიმურაზ I-ის ნებართვით ქ. გორში მოღვაწეობის დაწყება, მისიონერთა ახალი ჯგუფების გამოგზავნა, ამ უკანასკნელთა ფათერაკით აღსავსე მგზავრობა ოსმალეთის იმპერიის მიწაზე, მისიონის გავრცელება დასავლეთ საქართველოში, ოდიშის მკვიდრთა ყოფა, მისიონერთა წინააღმდეგობებითა და სირთულეებით დატვირთული ხანგრძლივი მოღვაწეობის მთელი

სიმძიმე, დაბოლოს, ლამბერტის ხიფათიანი მგზავრობა სამშობლოსაკენ. ამდენად ლამბერტი მარტო საკუთარ თავს გადამხდარ ამბებს არ აღგვიწერს, არამედ ენაწყლიანად მოგვითხრობს თავის თანამოძმე მისიონერთა თავგადასავლისა და ასევე ზოგიერთი მათგანის აღსასრულის შესახებაც.“

აღნიშნული ნაშრომის შესახებ, რომელიც, როგორც ვრწმუნდებით, უდავოდ ერთობ საყურადღებო წყაროა აღნიშნული ეპოქის საქართველოსა და მისი მიმდებარე ქვეყნების სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ისტორიისათვის, „სამეგრელოს აღწერის“ მთარგმნელი ა. ჭყონია ჯერ კიდევ 1901 წელს გამოთქვამდა სურვილს, რომ იგი ვინმე ქართველს მოეძიებინა ევროპის წიგნსაცავებში და ქართულად ეთარგმნა. „წმინდა კოლხეთი“ ქართველ მკვლევართაგან პირველად მიუკვლევია მ. თამარაშვილს, იგი ხელთ ჰქონია ი. ტაბაღუასაც.

ი. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეებისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების განსვენებული მეცნიერ თანამშრომლის, ჩემი მასწავლებლის, თამაზ ბერაძის პირადი არქივის დახარისხებისას 2012 წელს წავაწყდი ძველ საქაღალდეს, რომელშიც მოთავსებული იყო XVII საუკუნის I ნახევრის იტალიელი მისიონერის, არკანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ ქართული თარგმანის ნაწილები. საქაღალდეს გარედან კალმით ენერა: „არქანჯელო ლამბერტი, წმინდა კოლხიდა“.

თაბახის ფურცლებზე ხელის საბეჭდი მანქანით დაბეჭდილი ქართული თარგმანის ტექსტის გვერდები თავიდანვე დანომრილი ჩანდა და იგი იწყებოდა 57-ე გვერდიდან. გარდა ამისა, ტექსტს სხვადასხვა ადგილას კიდევ აკლდა ზოგან თითო-ოროლა, ზოგან კი მეტი რაოდენობის გვერდები. ტექსტი დაყოფილი იყო თავებად, ოღონდ ნაბეჭდი სახით იკითხებოდა მხოლოდ წარწერა „თავი“. არ ჩანდა თავის შესაბამისი დასათაურება. რაც შეეხება ნუმერაციას, იგი მოგვიანებით ვიღაცას ფანქრით მიუწერია „თავის“ გასწვრივ. არსად არ იყო მითითებული მთარგმნელის ვინაობა. ამ აღმოჩენამ ჩემში დიდი ინტერესი გამოიწვია და განსვენებული მეცნიერის ოჯახის ნებართვით იგი წამოვიღე შემდგომი გაცნობისა და გამოკვლევის მიზნით.

შემდეგ საქაღალდეში არსებული ნაბეჭდი ტექსტი გავაცანი ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში თანამშრომელს, ისტორიის დოქტორ დავით მერკვილაძეს. აღნიშნული ნაშრომის მიმართ სამეცნიერო საზოგადოების დიდი ინტერესის გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ ჩვენს ხელთ არსებული ფრაგმენტების გამოქვეყნება. ვინაიდან „წმინდა კოლხეთის“ ქართული თარგმანის დასახელებულ ტექსტს ბოლომდე დამუშავებული სახე არ ჰქონდა, საჭირო გახდა მისი სრულყოფისათვის ტექსტის სტილისტური გამართვა და ორთოგრაფიული შესწორება. აკადემიური მნიშვნელობის მისაცემად დ. მერკვილაძემ ტექსტს დაურთო შენიშვნები და განმარტებები.

ჩვენს ხელთ არსებული ქართული თარგმანის ტექსტი ორ ნაწილად გამოვაქვეყნეთ. პირველ ნაწილში აღწერილია ლამბერტისა და ჯუდიჩეს მოგზაურობა დამასკოდან გორამდე. მეორე ნაწილი მოიცავს ა. ლამბერტის ოდიშის სამთავროში მოღვაწეობის პერიოდს, რომელიც სრულდება მისიონერის სამშობლოში დაბრუნებით.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, გასული საუკუნის 70-იან წლების მეორე ნახევარში „წმინდა კოლხეთის“ ტექსტის თარგმანზე მუშაობდა საქართველოს ისტორიის იტალიურ ენაზე არსებული წყაროების ცნობილი მთარგმნელი და გამომცემელი ბეჟან გიორგაძე, რომელიც 1984 წელს გარდაიცვალა. ამან მოგვცა საფუძველი, რომ არკანჯელო ლამბერტის თხზულების ზემოაღნიშნული ქართული თარგმანის ავტორად სწორედ ბ. გიორგაძე გვევარაუდებინა. თუმცა დღეს უკვე დაბეჯითებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ზემოდასახელებული ფრაგმენტები ამ ცნობილი მკვლევრის შესრულებული თარგმანის ნაწილია. გასულ 2020 წელს ბეჟან გიორგაძის შვილიშვილის, ბატონ ზვიად გიორგაძის თხოვნით, ჩვენ მას გადავეცით აღნიშნული საქაღალდე თავისი შიგთავსით.

შემდგომში დაეით მერკვილაძემ „წმინდა კოლხეთის“ სრული ქართული თარგმანის გამოცემის მიზნით, თავისი იტალიელი მეგობრის, ვერონას უნივერსიტეტის სლავისტიკის პროფესორ სტეფანო ალოესაგან მიიღო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ 1657 წლის გამოცემის ციფრული ვერსია, რომელიც შესრულდა იტალიის ქალაქ სარნანოს მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში დაცული ერთ-ერთ უიშვიათესი ეგზემპლარის მიხედვით.

იტალიური ტექსტი ქართულად თარგმნა საქართველოში ვატიკანის დესპანის თანაშემწემ, ბატონმა გიორგი ცქიტიშვილმა. უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანი შესრულებულია ლაზათიანი ქართულით, შესანიშნავად და სასიამოვნოდ იკითხება. ამავე დროს „წმინდა კოლხეთის“ დედნისეული ტექსტი შეიცავდა დიდი ოდენობით ლათინური ჩანართებს. რომელიც ქართული თარგმნა ფილოლოგიის დოქტორმა, ვიქტორია ჯუღელმა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წიგნის თარგმნის დაფინანსების საშუალება მოიძია სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა და

საქართველოში კათოლიკური ეკლესიის მოძღვარმა გაბრიელე ბრაგანტინიმ.

ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ ახალ თარგმანზე დ. მერკვილაძემ დიდი სამუშაო გასწია. გაუკეთა სრული სამეცნიერო რედაქცია, მასში მოთხრობილი ამბების მკითხველისათვის უკეთ აღსაქმელად და მთელი რიგი საკითხების დაზუსტების მიზნით ტექსტის თარგმანს დაურთო დეტალური შენიშვნა-განმარტებები, რომელთა რაოდენობამ 600 ერთეულს გადააჭარბა, ეს კი მოგეხსენებათ, რამდენად შრომატევადი საქმეა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ნაშრომის სამეცნიერო რედაქტორი კომენტარებში დაწვრილებით ეხება მრავალ საკითხს და დაინტერესებულ მკითხველს საშუალება აქვს დამატებითი ცნობები იქვე მიიღოს. ნაშრომს დართული აქვს საკუთარი სახელთა საძიებელი.

არკანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთი“ მოცულობით ნაშრომია. იგი შედგება 52 თავისაგან. ავტორის მიერ თითოეული თავი დასათაურებულია. წიგნის დასაწყისში საქართველოს შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად ლამბერტი იტალიელ მკითხველს მოუთხრობს კოლხთა და იბერთა გაქრისტიანების შესახებ.

შემდგომ ავტორი დეტალურად აღწერს საქართველოში კათოლიკური მისიის დაარსების ისტორიას. მე-18 თავიდან კი მოგვითხრობს საქართველოსაკენ გამომგზავრების დაწყებიდან თავისი თავგადასავლისა და სამისიონერო მოღვაწეობის შესახებ. თუმცა აქვე აღწერილია ვატიკანის მიერ საქართველოში გამოგზავნილ მისი თანამედროვე კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობის ამბებიც. ლამბერტი ყურადღების გარეშე არ ტოვებს ამ ხნის განმავლობაში ქართულ სამეფო-სამთავროებსა და სამეზობლოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებსაც, რაც მის ნაშრომს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის წყაროთმცოდნეობით თვალსაზრისით.

გამოდინარე აქედან, არკანჯელო ლამბერტის „წმინდა კოლხეთის“ სრულყოფილი ქართული თარგმანის აკადემიური გამოცემა, რომელიც მკვლევარ დავით მერკვილაძის წყალობით პირველად მიეწოდა ქართველ სამეცნიერო საზოგადოებასა და მკითხველთა ფართო წრეს, მეტად დროული შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისთვის. ვფიქრობ, სასურველი იქნებოდა, ლამბერტის ეს ნაშრომი უფრო ადრე რომ ყოფილიყო ხელმისაწვდომი ქართული საზოგადოებისთვის, მაგრამ როგორც ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს.

წიგნი დიდ დახმარებას გაუწევს ქართველ ისტორიკოსებს, ასევე საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეს.

THE PUBLICATION OF ARCANGELO LAMBERTI'S "THE HOLY COLCHIS" FULL GEORGIAN TRANSLATION

Papuna Gabisonia

The review presents the Georgian full text translation of the book by Archangelo Lamberti "The Holy Colchis".

The translation is published under the scientific editorship David Merkviladze by the publishing house "Artanuji". In 1970s, Bezhan Giorgadze, a well-known translator Italian sources of Georgian history, worked on the translation of the text of "The Holy Colchis", however he could not publish it. David Merkviladze, received a digital version of original text of "The Holy Colchis" from Stefano Aloe, Professor of Slavic Studies at the University of Verona. The pastor of the Catholic Church in Georgia, Gabriele Bragantini, also played an important role in the publication of the book which is rather voluminous.


Archangelo Lamberti was a member of Theatin Catholic Order, a monk from Naples, who was sent in Georgia according the decision of Pope Urban VIII by The Congregation for the Doctrine of the Faith (CDF) together with another missioner Giuseppe Judiche to spread Catholic faith. For this mission he arrived in Kartli in 1631 and joined the Catholic Mission of Gori. Lamberti was received by the Georgian king Teimuraz I in his residence. About two years later Lamberti together with Judiche moved to Odishi Principality, where the missionaries continued their activities under the protection of influential prince of Odishi, Levan II Dadiani (1611-1657). Lamberti generally lived in Georgia for 18 years. Lamberti was a witnessed of many important

events. After returning to his homeland, he published the book "Description of Mengrelia" in Italian in the Naples in 1654. "The Holy Colchis" (Colchide Sacra) is the second work of Archangelo Lamberti about Georgia. The Theatin missionary also published it in Naples later, in 1657. The book describes the history of the Theatin mission's activities in Georgia during the 1631-1649. There are a lot of interesting information about Caucasus, Ottoman Empire and Persia. Therefore "The Holy Colchis" of Archangelo Lamberti is important historical source for Georgian and Middle East social, political, economical history.

The book is good acquisition for Georgian academic historians as well as general readers interested in Georgian history.

"SCIENTIA" – ახალი სამეცნიერო ჟურნალი

მანუჩარ გუნცაძე



2020 წელს დაფუძნდა ახალი სამეცნიერო ჟურნალი "Scientia", რომელიც გამოიცემა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გრიფით, ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერითა და ჰუმანიტარული კვლევების ცენტრის თანამონაწილეობით. ცხადია, ეს წელი მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული და ჟურნალის პირველი ნომრის გამოცემაც ბევრ სირთულეს წაანყდა.

ჟურნალში დამკვიდრებულია სტანდარტი, რომლის მიხედვითაც მასში გამოქვეყნებულმა ყველა სტატიამ გაიარა ორმაგი ფარული რეცენზირების პროცესი და რეცენზენტებისგან შეფასდა დადებითად. ზოგიერთ შემთხვევაში ჩავრთეთ მესამე რეცენზენტიც (როდესაც ორი რეცენზენტის აზრი გაიყო), რათა დაგვეცვა ის სტანდარტები, რაც თან უნდა ახლდეს ნაშრომის პუბლიკაციის პროცესს.

ჟურნალი არის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახის – www.scientia.ge. შესაბამისად, ჟურნალს აქვს როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ISSN კოდი (ISSN 2667-9590; e-ISSN 2667-9604). ამასთანავე, ყველა სტატიას ენიჭება DOI კოდი. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ აღნიშნული DOI კოდი მინიჭებული აქვს სტატიებს ორგანიზაცია ქროსრეფის (Crossref) მიერ. ქროსრეფი კი არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომლის DOI კოდსაც აღიარებს სკოპუსი (Scopus).

ჟურნალის ერთ-ერთი დადებითი მხარეა ისიც, რომ ჟურნალი არის ორენოვანი და სტატიები სრულად გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე, რაც, კვლევების ინტერნაციონალიზაციისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ჟურნალის პირველ ნომერში შევიდა 13 სტატია და მოიცვა რამდენიმე მიმართულება: ისტორია, არქეოლოგია, ენასა და ლიტერატურასთან დაკავშირებული საკითხები. ზოგადად, ჟურნალში გამოსაქვეყნებელი თემატიკა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: ისტორია, არქეოლოგია, ენათმეცნიერება, ეთნოლოგია, ლიტერატურა.

"Scientia" წელინადში ერთხელ, ყოველი წლის დეკემბრის თვის ბოლოს გამოიცემა. ჟურნალის თითო ცალი უფასოდ გადაეცემა ავტორებს.

"SCIENTIA" – A NEW SCHOLARLY JOURNAL

Manuchar Guntsadze

In 2020, a new scholarly journal – "Scientia" – was founded. The Journal is published by the Korneli Kekelidze Georgian National Centre for Manuscripts, with the support of Tbilisi City Hall and the Humanities Research Centre.

The journal has established a standard by which all articles published in it have undergone a dual blind review process and evaluated positively by reviewers.

The journal is both print and electronic version- www.scientia.ge. Accordingly, the journal has both printed and electronic ISSN numbers (ISSN 2667-9590; e-ISSN 2667-9604). Also, each article has a DOI number, supported by Crossref.

One of the positive aspects is that the journal is bilingual and the articles are published in full in Georgian and English, which is very important for internationalization of research.

The Journal "Scientia" covers the following areas: history, archaeology, linguistics, ethnology, literature.

კავკასია XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. სტეფან ბურნაშევი და მისი სამი ნაშრომის ქართული თარგმანი

ზურაბ თარგამაძე



გამომცემლობა არტანუჯის *არტანუჯის წყაროების* სერიით 2020 წელს დაიბეჭდა ისტორიკოს დავით მერკვილაძის მიერ თარგმნილი სტეფან ბურნაშევის სამი ნაშრომი, წიგნში: „კავკასია XIX საუკუნის მეორე ნახევარში“ (ტომი №19). დავით მერკვილაძესვე ეკუთვნის თარგმანის ტექსტისათვის დართული გამოკვლევა, განმარტებები და საძიებელი. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი დავითი, ქართულ სამეცნიერო მედიაში სათანადო კომენტარებითა და კვლევებით, უკვე კარგა ხანია, რაც აქვეყნებს რუსული წყაროების ქართულ თარგმანებს. მისი პუბლიკაციები ამ მიმართულებით ნამდვილად არის საყურადღებო და წინ გადადგმული ნაბიჯი როგორც წყაროთმცოდნეობითი, ისე ზოგადად ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით. მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაა ისიც, რომ მეცნიერი სწორედ რუსულ წყაროებს აქვეყნებს და თან იმ მასალებს, რომლებიც ქართულ-რუსული ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს ასახავენ, კერძოდ, XVIII საუკუნის მეორე ნახევარის ბოლო ათწლეულების პერიოდს.

ვფიქრობთ, ამ წყაროთა თარგმნა მნიშვნელოვანია იმის გამოც, რომ სწორედ ამგვარადაა შესაძლებელი ქართულ-რუსული კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობების ცალსახად და უაპელაციოდ პოზიტიურ პრიზმაში წარმოდგენის ტრადიციის რღვევა, ასევე რუსული ფაქტორის გაზვიადებული შეფასება და საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდის გადააზრება – მისი დემითოლოგიზება. ეს კი, არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ საჭიროა არა მხოლოდ პროფესიული, არამედ, უპირველეს ყოველივე, საზოგადოებრივი თვალსაზრისით. ცხადია, მხოლოდ პუბლიკაციები თავისთავად ვერ გადაჭრის ამ პრობლემას და აუცილებელია სათანადო წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ხასიათის კვლევებიც ტარდებოდეს, რაც, თავის მხრივ, ზემოთ ხსენებული საკითხების გარდა კიდევ მრავალ ფაქტორს გულისხმობს. ისტორიული წარსულის გადააზრებისათვის, მისი სტერეოტიპებისაგან განთავისუფლებისათვის, პირველ რიგში აუცილებელია *მრავალფეროვანი* და *სამართლიანი* გარემო, სადაც გარანტირებული იქნება აკადემიური თავისუფლება.

რაც შეეხება უშუალოდ წიგნს. ის გახლავთ მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის, სამეცნიერო აკადემიური გამოცემა. მას დართული აქვს თარგმნილი მასალის დედნებიც რეპრინტული სახით. რაც ამ პუბლიკაციის დამატებით ღირებულებას სძენს, ვინაიდან დაინტერესებულ მკითხველს თავად შეუძლია მისთვის საინტერესო მონაკვეთებს რუსულ ენაზეც მიადევნოს თვალი.

ს. ბურნაშევი (1743-1824), როგორც ცობილია, გახლდათ რუსეთის სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, მან თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი განვლო, რუსული არმიის შემადგენლობაში ე.წ. საინჟინრო კორპუსში. სამხედრო კარიერის განმავლობაში გენერალ-მაიორის ჩინს მიაღწია, იყო რუსეთის იმპერიის უმაღლესი ორგანოს – სამთავრობო სენატის წევრი. საქართველოში ის 1783 წელს, გეორგიევსკის ტრაქტატის გაფორმებამდე რამდენიმე თვით ადრე, იაკობ რაინეგსის შემცეელად, იმპერატორის საგანგებო რწმუნებულის რანგში ჩამოდის და 1787 წლამდე რჩება. იგი სამოქმედო ინსტრუქციებსა და დავალებებს ილებდა კავკასიის ხაზის ხელმძღვანელის, რუსეთის მხრიდან გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელისმომწერ, პავლე პოტიომკინისა და გენერალ-ფერდმარშალ გრიგოლი პოტიომკინისაგან. მისი სტატუსიდან გამომდინარე ს. ბურნაშეეს საქართველოში ყოფნის პერიოდში უშუალო შეხება ჰქონდა როგორც ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე I-თან, ასევე იმერეთის მეფე

სოლომონ I-თან. ამდენად, მისი ცნობები საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ, მნიშვნელოვანია, როგორც ადგილზე არსებული სურათის შეფასების თვალსაზრისით (რასაკვირველია სხვა წყაროებთან შეთანადების კვალდაკვალ), ასევე უპირველესად იმ აზრით, რომ მათში შესაძლებელია მეფის რუსეთის კავკასიისადმი და ზოგადად ქართლ-კახეთისა და იმერეთისადმი რეალური დამოკიდებულებების ამოკითხვა.

როგორც ითქვა, ს. ბურნაშევს, კავკასიაში მოღვაწეობის პერიოდში შეგროვებული მასალების საფუძველზე გამოქვეყნებული აქვს, სამი ნაშრომი: 1. „საქართველოს სურათი, ანუ ქართლისა და კახეთის სამეფოების პოლიტიკური მდგოაროების აღწერა“ (1793); 2. „სპარსეთში ადრებიჟანული ოლქების აღწერა და მათი პოლიტიკური მდგომარეობა„ (1793); 3. „მთიელ ხალხთა აღწერა“ (1794).

ბურნაშევს ნაშრომი საქართველოში ყოფნის დროს 1786 წელს დაწერა და რუსეთში დაბრუნების შემდეგ, 1793 წელს გამოაქვეყნა. იგივე ტექსტი მოგვიანებით, 1896 წელს, თბილისში თავისი წინასიტყვაობით, სადაც მითითებულია ს. ბურნაშევის საქართველოში ყოფნისა და მისი ბიოგრაფიის შესახებ დეტალები, გამოსცა კ. ბეგიჩეევმა.[1] დავით მერკვილაძის თვალსაზრისით, მისი წერა ავტორს უნდა დაეწყო 1784 წელს ვინაიდან, მასში არ ჩანს იმერეთის მეფე სოლომონ I, რომელიც ამ დროს უკვე გარდაცვლილია. პირველი ნაშრომი, ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: „საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა“ და „იმერეთის პოლიტიკური მდგომარეობა“. *საქართველოში* ცხადია, რომ ქართლ-კახეთის სამეფო მოიზრება, ხოლო *იმერეთში* – მთელი დასავლეთ საქართველო იგულისხმება.

გამომდინარე იქედან, რომ საქართველოში დიპლომატიური მისიით მოვლენილმა ს. ბურნაშევმა ძირითადი დრო ქართლ-კახეთში დაჰყო, ის ბევრად უკეთ ინფორმირებული ჩანს სწორედ აქ განვითარებული მოვლენების შესახებ და, შესაბამისად, აღმოსავლეთ საქართველოსთან დაკავშირებული ინფორმაცია გაცილებით ერცელია. ბურნაშევი საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართლ-კახეთის სამეფოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების, ასევე ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. იგი ცნობებს იძლევა ქვეყნის მეურნეობის, შემოსავლების, სამეფო ოჯახის წევრებისა და სახელმწიფო მმართველობის ფორმის, ქართლ-კახეთის სამხედრო პოტენციალისა და მისი ორგანიზაციის თაობაზე. ამ ცნობათა ღირებულება მდგომარეობს იმაშიც, რომ გარდა იმისა, რომ ავტორი როგორც ჩანს, ემყარება სხვადასხვა წყაროებს, ის ქართლ-კახეთის სამეფოში არსებული მდგომარეობის შესახებ საკუთარ შეხედულებასაც გამოთქვამს. მათ შორის, საინტერესოა, რომ ერეკლეს მიერ რუსეთის „მფარველობით-ქვეშევრდომობით“ დამოკიდებულებაში შესვლის მიზეზად ვახტანგ მეექვსის შვილისშვილის – ალექსანდრე ბაქარის ძის გააქტიურებას ასახელებს. იმერეთთან დაკავშირებით ამ ნაშრომში შესულია სოლომონის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში ტახტის დაკავების მსურველთა შორის არსებული დაპირისპირება.

რაც შეეხება მეორე ნაშრომს: „ადრებიჟანული ქვეყნების აღწერა“, ავტორის თხრობა, გაცილებით ნაკლები ინფორმაციის შემცველი და მცირეა. აქ აღწერილია სამხრეთ კავკასიის რეგიონსა და მის მეზობელ მუსლიმურ სახანოებში არსებული ვითარება. ცნობებს იძლევა ამ რეგიონების, როგორც ადრინდელი, ასევე XVIII საუკუნის 80-იან წლებში არსებული მდგომარეობის შესახებაც.

მესამე ნაშრომი: „მთიელ ხალხთა აღწერა“, განსხვავდება წინა ორი ნაშრომისაგან. ამ შემთხვევაში ბურნაშევი ყურადღებას ამახვილებს კავკასიის მთის მოსახლეობის, კერძოდ, ყაბარდოელების ეთნოგრაფიულ მახასიათებლებზე. ყაბარდოელთა ცხოვრების წესის მცოდნეთა მონათხრობის საფუძველზე ის აღწერს მათ ყოფა-ცხოვრებას, ადათ-წესებსა და სოციალურ მდგომარეობას.

განსახილველი პუბლიკაცია ვფიქრობთ, დაიმსახურებს როგორც საქართველოს, ისე კავკასიის ისტორიის საკითხების მკვლევართა შორის სათანადო ყურადღებას. ნებისმიერი ამგვარი გამოცემა მხოლოდ მისასალმებელია. კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს იმასაც, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების რეალური სურათის აღდგენისათვის გადამწყვეტია იმ პერიოდის რუსული წყაროები იყოს ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე, მით უფრო, ქართველ ისტორიკოსთა ახალი თაობისათვის, რომლისათვისაც შედარებით ნაკლებადაა ხელმისაწვდომი რუსული ენა.

რამდენდაც ჩვენთვის ცნობლია ბატონი დავითი გეგმავს სხვა მასალების გამოცემასაც, რომელსაც მიღებული შთაბეჭდილებიდან გამომდინარე, დიდი ინტერესით ველით.

[1] ბეგიჩევის მიერ გამოქვეყნებული ტექსტის ქართულენოვანი თარგმანი 2010 წელს შესრულებული და ინტერნეტ პუბლიკაციის სახით გამოქვეყნებული აქვს ირაკლი ხართიშვილს. ტექსტი იხ.: http://defencegeorgia.blogspot.com/2010/11/blog-post_01.html

CAUCASUS IN THE SECOND HALF OF 18TH CENTURY. STEPHAN BURNASHEV AND GEORGIAN TRANSLATION OF HIS THREE WORKS

Zurab Targamadze

In 2020, Publishing House Artanuji in the Serie of *Artanuji Sources*, published the new volume: *Caucasus in the second half of the XIX century* (vol. 19), including Stefan Burnashev's three works, translated by the historian David Merkviladze. To Merkviladze also belongs research, notes and indexes. First of all, it should be noted that D. Merkviladze during last decades publishes Georgian translations of Russian sources accompanying with relevant scientific comments and researches. These publications including the recent one are really remarkable and a step forward both in terms of source-studies and historiography in general. The second no less important circumstance is that the scholar publishes the Russian sources that reflect the most important period of Georgian-Russian relations, in particular, the last decades of the eighteenth century.


We think, that this publication will deserves attention of Georgian scholars interested in the history of Georgia and Caucasus. We once again note, that any such publication should only be welcomed.

In order to restore the real picture of Georgian-Russian relations, it is very crucial having Russian sources of that period in Georgian, especially for the new generation, for whom it is relatively difficult to read in Russian. As far as we know, D. Merkviladze plans to publish other materials as well, and we are awaiting for these publications with great interest.

ნატო სონღულაშვილის მონოგრაფია „საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918–1921)“

ზურაბ თარგამაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელმა ნატო სონღულაშვილმა გამოსცა მორიგი მონოგრაფია: „საგანმანათლებლო სისტემა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921)“. მეცნიერის ინტერესების სფეროში შედის ახალი და უახლესი ისტორიისა და ქართული იდენტობის ისტორიის პრობლემები. მისი სადოქტორო დისერტაცია სწორედ ქართული იდენტობის საკითხების კვლევას შეეხებოდა. ის არის რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, საგრანტო-სამეცნიერო პროექტების მონაწილე. წინამდებარე მონოგრაფიაც შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის ფარგლებში.



მონოგრაფია შედგება შესავლის, შვიდი თავისა და დასკვნისაგან. აღსანიშნავია, რომ ის გამოქვეყნებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე. მისი რედაქტორი გახლავთ სამართლის დოქტორი, პროფესორი ირაკლი გაბისონია. რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვაჟა ჩოჩია და ისტორიის დოქტორი, პროფესორი არჩილ ჩაჩხიანი.

ავტორი კვლევისას იყენებს საარქივო დოკუმენტებსა და მდიდარ ისტორიოგრაფიულ მასალას. პირველ თავში წარმოდგენილია მსჯელობა ქართული იდენტობის, ენის, რელიგიისა და ისტორიული მეხსიერებისა შესახებ. ავტორი ეხება ეროვნული ცნობიერების ფორმირების პროცესში საგანმანათლებლო სისტემის ფუნქციისა და მნიშვნელობის საკითხებს. ნაჩვენებია პირველი რესპუბლიკის მესვეურთა მისწრაფება გაეზიარებინათ ევროპული საგანმანათლებლო სისტემის გამოცდილება. საუბარია საგანმანათლებლო სისტემის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შესახებ, მისი, როგორც ერთობის წევრთა შემაკავშირებელ მექანიზმზე, ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლების შესაძლებლობაზე. ამ თვალსაზრისით ავტორი სამართლიანად მიიჩნევს, რომ ქართულისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭება საგანმანათლებლო სისტემისა და ზოგადად ეროვნული ცნობიერების ფორმირების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იყო.

მეორე თავში, განხილულია ოფიციალური პირების დამოკიდებულება სკოლებში ეკონომიკური და სამეურნეო საგნების სწავლებასთან დაკავშირებით. ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს დამოკიდებულება იმ ტიპის საგნების სწავლებისადმი, რომლებიც ხელს უწყობდა საზოგადოებრივი განათლების ამაღლებას, მათ შორის, ეკონომიკური საგნების სწავლების სახითაც, მიზნად ისახავდა სამოქალაქო და სახელმწიფოებრივი ცნობიერების ამაღლებას. საგულისხმოა ისიც, რომ ამ შემთხვევაშიც პირველი რესპუბლიკის მესვეურნი ამ შემთხვევაშიც დასავლურ გამოცდილებას იზიარებდნენ.

როგორც ირკვევა, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჯარისკაცთა განათლების საკითხ-

ებსაც. მესამე თავში საარქივო დოკუმენტების საფუძველზე სწორედ ეს საკითხებია განხილული. ჯარისკაცები ეუღლებოდნენ: საქართველოს ისტორიას, გეოგრაფიას, საერთაშორისო ურთიერთობებს, მსოფლიო ლიტერატურას და ა.შ. დიდი ყურადღება ეთმობოდა საშინაო დონისა და სულიერებების ამაღლებისათვის ზრუნვასაც.

მეოთხე თავი ეთმობა ეროვნული უმცირესობებისა და მათი განათლების საკითხისადმი პირველი რესპუბლიკის დამოკიდებულებას. მიუხედავად იმისა, რომ პირველი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ამ პრობლემის საბოლოოდ გადაჭრა, ეროვნული უმცირესობებისათვის შესაძლებლობის მიცემა, მიეღოთ განათლება, როგორც ავტორი სამართლიანად მიიჩნევს, იყო წინ გადადგმული ნაბიჯი მათი ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირების თვალსაზრისით.

საარქივო მასალებზე დაყრდნობით ავტორი, მომდევნო, მეხუთე თავში ეხება ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების პრობლემას. როგორც იგი აღნიშნავს, პირველი რესპუბლიკის პერიოდში ახალი სახელწიფოებრივი და პოლიტიკური სისტემის ფორმირების პროცესში პირველი რესპუბლიკის წარმომადგენლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის საკითხს.

მეექვსე თავში საარქივო დოკუმენტების საფუძველზე გაშუქებულია, პირველი რესპუბლიკის პერიოდში, განათლების სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები. ნაჩვენებია, საგანმანათლებლო სისტემის წინაშე არსებული გამოწვევები, როგორც სასწავლო პროცესის ორგანიზების, ასევე სისტემური თვალსაზრისით. წარმოდგენილ მასალებში ჩანს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში არსებული ვითარება, ცენტრალური ხელისუფლების მცდელობები საზოგადოებაში სამეურნეო-ეკონომკური განათლების ამაღლების მიმართულებით. მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტები, მაგალითად, „სასოფლო-სამეურნეო განყოფილების დებულება", „კანონპროექტი საგანმანათლებლო სასწავლებელების გაეროვნების შესახებ", „დეკრეტის პროექტი რესპუბლიკის საპროფესიო სატეხნიკო სკოლების მომსახურე პირთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ" და სხვ. განხილული მასალის საფუძველზე ავტორი მიიჩნევს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას საგანმანათლებლო სისტემის სრულყოფის მიზნით დეტალურად ჰქონდა გაწერილი საკანონმდებლო პროექტები.

ბოლო თავში გაშუქებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე არსებული პრობლემები და უნივერსიტეტის მხრიდან მათი გადაჭრის მცდელობები.

ვფიქრობთ, რომ ნატო სონღულაშვილის მონოგრაფია, აუცილებლად მოექცევა როგორც პროფესიული მკითხველის ყურადღების, ასევე ფართო საზოგადოების ინტერესის სფეროში. წიგნი დაწერილია გასაგები და იოლი ენით და დარწმუნებული ვართ, რომ ის ბევრისათვის გახდება ამ მიმართულებით მომავალი კვლევებისათვის ინსპირაციის წყარო.

MONOGRAPH BY NATO SONGULASHVILI "THE EDUCATIONAL SYSTEM IN THE DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA (1918-1921)"

Zurab Targamadze

An Associate Professor at the Georgian Technical University, Faculty of Law and International Relations, and research-fellow at the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Nato Songulashvili, has published a new monograph "The Education System in the Democratic Republic of Georgia (1918-1921)". It is necessary to mention that the field of interests of the scientist includes the problems of modern and contemporary history of Georgia and the history of Georgian identity. Her doctoral dissertation was dedicated to the study of Georgian identity issues. Nato Songulashvili is the author of many scientific works, (among them monographs), key-personel and principal investigator of grant-scientific projects. The recent monograph was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

The monograph consists of introduction, seven chapters and a conclusion. It should be noted that it is

published in Georgian and English. The author uses archival documents and rich historiographical material in her research. The editor of the monograph is Doctor of Law, Professor Irakli Gabisonia. Reviewers are Doctor of History, Professor Vazha Chochia and Doctor of History, Professor Archil Chachkhiani.

We think that Nato Songulashvili's monograph will definitely attract the attention of professional readers as well as the general public. The book is written in clear and easy language. We hope it will make a significant contribution to the study of the issue, its actualization, as well as become a source of inspiration for other researchers.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი ჟურნალი

ალექსანდრე თვარაძე



„ქართული წყაროთმცოდნეობის“ მკითხველს გვინდა მივაწოდოთ მოკლე ინფორმაცია თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დაარსებული ახალი ჟურნალის შესახებ. 2019 წელს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით ინსტიტუტში დაარსდა ახალი სამეცნიერო ჟურნალი: „ქრონოსი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ჟურნალი“. „ქრონოსი“ არის ყოველწლიური სამეცნიერო გამოცემა და მისი პირველი ნომერი გამოვიდა 2020 წელს.

„ქრონოსი“ არის ინტერდისციპლინური ჟურნალი და მასში ქვეყნდება ორიგინალური ნაშრომები ისტორიის, ეთნოლოგიის, ფიზიკური ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის და ხელოვნების ისტორიის დისციპლინებიდან. ამგვარად, ჟურნალის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა. ხელი შეუწყოს დისციპლინებსა და იმ სამეცნიერო ინსტიტუციებს შორის ურთიერთთანამშრომლობას, სადაც მიმდინარეობს სათანადო მიმართულების კვლევები. დაგეგმილია ჟურნალის ინდექსირება პერიოდული გამოცემების საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში.

„ქრონოსში“ გამოქვეყნებული ნაშრომების თემატიკა, როგორც წესი, უნდა ეხებოდეს საქართველოს და მასთან დაკავშირებულ სამყაროს, რისი საშუალებითაც ხელი უნდა შეეწყოს ქართველოლოგიის პრობლემატიკის და რეგიონის ისტორიის უკეთ გააზრებას. ჟურნალი განკუთვნილია სპეციალისტთა და საისტორიო მეცნიერებით დაინტერესებული მკითხველებისთვის. რედკოლეგია დარგის გამოჩენილი სპეციალისტების ნაშრომების გვერდით დიდ ადგილს უთმობს ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების შედეგების საზოგადოებისათვის გაცნობას.

ჟურნალის რედკოლეგიაში შედიან ზემოხსენებული დარგების როგორც ქართველი, ასევე უცხოელი აღიარებული სპეციალისტები. ჟურნალი არის რეფერირებადი, ხდება მიღებული სტატიების გარე რეცენზირება, რედკოლეგიის მიერ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული რეცენზირების ფორმის თანახმად. ჟურნალის ერთ-ერთი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში წარმოებული შესაბამისი სამეცნიერო კვლევების ინტეგრირებას საერთაშორისო აკადემიურ სივრცეში და საერთაშორისო სტანდარტებთან მათ შესაბამისობაში მოსელას.

NEW JOURNAL OF THE IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY

Aleksandre Tvaradze

We would like to inform the readers of the "Georgian Source-Studies"about the new journal which has been founded in the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Tbilisi State University. The new

journal, "Chronos: Journal of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology", has been established in 2019 by decision of the Scientific Council of the Institute of History and Ethnology. The "Chronos" is an annual scientific journal and the first issue of the journal has been published in 2020.


The "Chronos" is an interdisciplinary journal and it publishes original works in history, ethnology, physical anthropology, archaeology and art history. Consequently, one of the main objectives of the journal is to promote cooperation between the disciplines and those scientific institutions in which appropriate researches are carried out. Indexation of the "Chronos" in academic journal indexes is scheduled.

The papers published in the journal should be related, as a rule, to Georgia and the surrounding world. This will contribute to a better understanding of the problems of Georgian Studies and the history of the region. The journal is intended for professionals and general readers interested in historical science. The Editorial Board of the journal is not only aimed at publishing of the works of the renowned scientists but it encourages young academics to make known their research results to the public.

The *editorial board* of the journal consists of Georgian and foreign distinguished scientists from above-mentioned disciplines. The "Chronos" is a peer-reviewed journal. Received articles are subject to an external review process. The review procedure is carried out in accordance with international standards for evaluation of scientific works. One of the aims of the journal is to contribute to the integration of research activities conducted in Georgia into the international academic community and to bring them into line with international standards.

რეცენზია
პროფესორ იოსებ ალიმბარაშვილის წიგნზე „შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით“

ნიკოლოზ ოთინაშვილი



ჩვენ დროში, როდესაც პოლიტიკური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხების კვლევა აქტიურად მიმდინარეობს და ხელთა გვაქვს კლასიკური გამოკვლევები, რომელთა გარეშე თითქმის შეუძლებელია რიგი პრობლემების ახლებურად გააზრება, რჩება თემები, რომელთა შესახებ ჯერ კიდევ არა გვაქვს სრულყოფილი მონაცემები და მხოლოდ ზოგადი ინფორმაციით გვინევს დაკმაყოფილება.

ამ მხრივ საჭირო და აუცილებელია სიძველეთსაცავებში დაცული დოკუმენტების შესწავლა, გამომზეურება და მათი გამოყენება-გააზრება მთელი რიგი პრობლემების გადასაჭრელად, რომელთაც თავი იჩინეს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უცხო ქვეყნების სამეცნიერო თუ პოლიტიკურმა წრეებმა საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების მიზანმიმართული და დაუფარავი გაყალბება და ამ ტერიტორიებზე უცხო ეთნიკური ერთეულების მოსახლეობის ფაქტის ხელოვნური დაძველება დაიწყეს ყოველგვარი ქართული თუ უცხოური დოკუმენტური მასალისა და არგუმენტების გარეშე.

ასეთ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ისეთი დოკუმენტების გამოქვეყნებას, რომელნიც შექმნილია რუსული ოფიციალური ხელისუფლების დაკვეთითა და რომლებშიც თვალნათლივ ჩანს ხსენებულ ტერიტორიებზე ქართული მოსახლეობის ათასწლოვანი მუდმივი ცხოვრების კვალი.

ქართული მემკვიდრეობის შესახებ, რა თქმა უნდა, მდიდარი უნიკალური მასალა არსებობს მთელს მსოფლიოში, მაგრამ წარსულ დროში, როდესაც ყოფნა-არყოფნის საკითხი მწვავედ ისმოდა, აღწერების ჩატარება დიდ პრობლემებთან იყო დაკავშირებული.

მეფის რუსეთის ხელისუფლება, საქართველოს დაპყრობის შემდეგ, იძულებული გახდა აღწერები ჩაეტარებინა, რათა სრულყოფილი ინფორმაცია ჰქონოდა დაპყრობილ ტერიტორიებზე მაცხოვრებელი მოსახლეობის შესახებ საგადასახადო, ეთნიკური, რელიგიური, თუ გენდერული თვალსაზრისით.

ამ მხრივ ხელთ გვაქვს გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის იოსებ ალიმბარაშვილის მნიშვნელოვანი ნაშრომი „შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველი ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით“, რომელიც გორის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა 2021 წელს. წიგნის რედაქტორები არიან ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ გურული და ისტორიის დოქტორი, პროფესორი გიორგი სოსიაშვილი. წიგნის ტექნიკური რედაქტორია გიორგი საზანდრიშვილი.

ნაშრომი ორ ნაწილადაა წარმოდგენილი, პირველი მოიცავს 1804 წლის კამერალური აღწერის მასალებს და იმდროინდელი გორის მაზრის 189 სოფლის შესახებაა მონაცემები. ხოლო მეორე ნაწილში 1818 წელს ჩატარებული აღწერის მასალებია მოცემული. აღსანიშნავია, რომ ფრაგმენტული ცნობების გარდა, სრულყოფილი სახით ქართულად ეს მასალები დღემდე არ გამოცემულა, რაც მნიშვნელოვნად ავსებს დღემდე არსებულ ინფორმაციას XIX საუკუნის დასაწყისში შიდა ქართლის მოსახლეობის სოციალური, დემოგრაფიული, ეთნიკური თუ რელიგიური შემადგენლობის შესახებ.

ნაშრომის აქტუალობა კიდევ უფრო იზრდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღწერილი სოფლებიდან მნიშვნელოვანი ნაწილი დღეისათვის უცხო ძალის მიერაა ოკუპირებული.

იოსებ ალიმბარაშვილი დაუცხრომელი სწაველული ისტორიკოსია, რომელმაც მანამდეც რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოსცა. იგი რუდუნებით აგროვებს პირველხარისხოვან დოკუმენტურ, თუ საარქივო მასალებს და მისი თხრობა ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ თავისი კომპეტენტური, მოუკერძოებული მსჯელობით ფრიად დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველსა და სტუდენტ-ახალგაზრდობაზე.

რუსული კამერალური აღწერები, როგორც ნაშრომის ავტორი გამოკვლევის დასაწყისშივე განმარტავს, პროფესორ სარგის კაკაბაძეს, სათანადო დოკუმენტების გაფორმების შემდეგ, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისათვის გადაუცია 1966 წლის 24 აგვისტოს. გადმოცემული მასალა მხოლოდ 1804 და 1818 წლის აღწერებს არ მოიცავს და უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებია თავმოყრილი, როგორებიცაა, ქართლ-კახეთის მეფეების წერილები, წყალობის, ნასყიდობის სიგელების ფოტოფირები, სამართლებრივი აქტები საამილახვროს, საციციანოს, ქსნის საერისთავოს შესახებ.

როგორც წიგნის ავტორი განმარტავს, შესწავლილი მასალა წარმოადგენს აღწერების ბეჭდურ ვარიანტს და მოიცავს ინფორმაციას დღევანდელი გორის, კასპის, ქარელის, ცხინვალის და ხაშურის 100-ზე მეტი სოფლის იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე რუსულმა ხელისუფლებამ რამდენიმე კამერალური აღწერა ჩაატარა, რომლებიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ საქართველოში მიმდინარე მთელი რიგი პროცესების (მიგრაციული პროცესები, ტოპონიმები და სხვ.) შესასწავლად, ამასთან კამერალური აღწერები საგულისხმო და საჭირო მონაცემებს შეიცავს ქართველი და სხვა ეთნიკური ერთეულების თანაცხოვრების, ქართული გვარების გავრცელების არეალის და არაერთი აქტუალური საკითხების შესახებ.

იოსებ ალიმბარაშვილს ძალზე შრომატევადი სამუშაო აქვს ჩატარებული აღწერის ტექსტის, აღწერილ სოფლებში გავრცელებული გვარების, ტოპონიმების, ოიკონიმების დაზუსტების და დადგენის თვალსაზრისით. იგი აქტიურად იყენებს შედარებით მეთოდს, რუსი მოხელეების მიერ აღწერილ მასალებს უდარებს XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთში სამეფო კარის ინიციატივით ჩატარებულ აღწერებს, რითაც არაერთი გვარ-სახელი თუ ტოპონიმია გასწორებული. გარდა ამისა, წიგნის ავტორის მიერ აღწერების ტექსტზე თანდართული კომენტარები სრულყოფილ ინფორმაციას გვაძლევს პირთა იდენტიფიკაციის, ვინაობის, სოფლების გეოგრაფიული მდებარეობის დაზუსტების თვალსაზრისით. სრულიად ლოგიკურია მისი დასკვნები ქსნის საერისთავოში 1774 წელს ჩატარებულ აღწერასა და 1804 წლის კამერალურ აღწერაში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციის, ოჯახის ახალი წევრების ან გარდაცვალებულთა თაობაზე. ასევე გამართლებულად მიგვაჩნიაა წიგნის ავტორის თვალსაზრისი აღწერების ჩამტარებელთა მიზნების, რაობის და მოსახლეობის აღწერებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

ნაშრომში 1804 წლისა და 1818 წლის აღწერები ცალკე თავებადაა წარმოდგენილი. პირველი თავი ციციანოვის დავალებით გორის მაზრაში ჩატარებულ აღწერას მოიცავს და თავის მხრივ სამ ნაწილადაა წარმოდგენილი: ა) 1804 წლის აღწერა (შესულია მასალები შიდა ქართლის 189 სოფლის შესახებ, მათ შორის, დღეისათვის 50-ზე მეტი ოკუპირებულია); ბ) გორის კომენდანტ მაიორ რეიხის მიერ გაკეთებული უწყისი გორის გადასახადების გადამხდელუნარიანი მოსახლეობის შესახებ; გ) ყოფილი ქსნის საერისთავოს 1804 წლის აღწერა, რომელშიც შესულია მასალები 68 სოფლის შესახებ.

რაც შეეხება 1818 წლის აღწერას, იგი მთავარმართებელ ერმოლოვის დავალებით განხორციელებულ მაზრის მემამულეთა და საბატონო გლეხთა მდგომარეობას გვიჩვენებს.

როგორც ავტორი წერს, აღწერებში ძალზე ბევრი ხარვეზი და ტექნიკური უზუსტობებია, რაც, ძირითადად, აღმწერთა ქართული ენის უცოდინარობისგან მომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ამ უზუსტობათა უმეტესობა გასწორებულია, ვფიქრობთ, ხარვეზები მაინცაა დარჩენილი და მხოლოდ ვარაუდების დონეზეა კომენტირებული, რაც იოსებ ალიმბარაშვილის მეცნიერული სიფრთხილით და კეთილსინდისიერებით უნდა ავხსნათ.

წარმოვადგენთ ჩვენეულ დაკვირვებას ტექსტზე, რაც სულაც არ აკნინებს ამ დიდმნიშვნელოვანი ნაშრომის ღირსებას, რომელიც ავტორის ღრმა და საფუძვლიანი დაკვირვებისა და კვლევის შედეგად მივიღეთ.

1804 წლის აღწერაში მოცემულია მდინარეების: ფრონეს, ლიახვის, თეძმის, ძამას, ძირულას და ლეხურას ხეობებში არსებული სოფლების შესახებ მასალები. აღრიცხულია საბატონო და სახაზინო გლეხთა რაოდენობა, მაგრამ აღრეულია ხეობებში მდებარე სოფლების თანმიმდევრობა, რასაც ი. ალიმბარაშვილიც აღნიშნავს.

აღწერაში დასახელებულია სოფელი კოლოტები, რომელიც, ვფიქრობთ, ლეხურას სათავეში მდებარე ისტორიული სოფელი ქოლოთებია. იგი ვახუშტი ბატონიშვილსაც მოხსენიებული აქვს და ცნობილია „ქოლოთის“ ციხის სახელწოდებით. აქვე მდებარეობს ღვთისმშობლის ეკლესია, სოფელში დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ ხარხელები. არსებობდა პატარა ქოლოთიც, რომელიც ლოკალიზდება პირველისგან დასაელეთით, ვაკე ადგილას ტყის ძირში, მაგრამ უკვე მდინარე მეჯუდას მარცხენა შენაკად ტორტლას აუზში. აღნიშნულ დასახლებაში ცხოვრობდნენ კეკელაშვილები, რომლებიც ბარის სოფლებში გადასახლდნენ, ძირითადად, მეჯერისხევში, ახალუბანში, კირბალსა და გორში. ამ დასახლებათა მოსახლეობა, როგორც აღწერაშიცაა აღნიშნული, ყოველთვის ქართული იყო, ვიდრე ხელისუფლებამ მიზანმიმართულად არ დაიწყო აქ ჩრდილოკავკასიელი ხიზნების ჩასახლება.

როგორც ნაშრომშია აღნიშნული, ხეობის სოფლები: წორბისი, ციხია, ხტანა, თერეგვანი, მუხური, ბეყმარი, ფრინევი და სხვ. ტყეებით მდიდარი ყოფილა, რომელიც ხიზნებს მთლიანად გაუჩეხიათ და საცხოვრებელი პირობები მოუწყვიათ.

სარეცენზიო ნაშრომის 79-ე გვერდზე, რომელიც 1804 წლის პირველ ნანილშია გადმოცემული. 77-ე ნომრით დაფიქსირებულია სოფელი ჩამარტი. იგი ქსნის ერისთავების აზნაურის ლუარსაბ ლოლაძის, ასევე აზნაურ მრულაშვილის და კათალიკოსის კუთვნილებას წარმოადგენდა. აქვე სახლობდნენ მეფე ერეკლე მეორის მიერ ჩასახლებული ხიზნები და „ტყვედნამყოფები“ (ალბათ იგულისხმება ლეკთა ტყვეობაში ნამყოფები – ნ. ო.).

სოფელი ჩამართა ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე აღნიშნულია მეჯერისხევის სამხრეთით ჯვრის ნიშნით (იხ. ვახუშტი ბაგრატიონის რუკები, 1745.),ამასთან, დიდი კარტოგრაფის და მეცნიერის „საქართველოს გეოგრაფიის“ თანდართული სოფლების სიაში მინიშნებულია ზოგადი სათაურით: „გორი, მეჯუდით მრწყველი“.[1] იოანე ბაგრატიონის „ქართლ-კახეთის აღწერაში“, სათაურით: „მეჯუდის წყლით მრწყველი სოფლების“ სიაში ასევე დასახელებულია სოფელი ჩამართა,[2] ამიტომ, ვფიქრობთ, უპრიანია, სოფელი მოვიხსენიოთ, როგორც „ჩამართა“. დღეისატვის ეს სახელი შენარჩუნებულია უბნის სახელად სოფელ მეჯვრისხევში, რადგან ამ სოფლის შემადგენელ ნანილადაა ქცეული. აქ, ძირითადად, სახლობს მეჯუდის ხეობის ზემო წელიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა.

თვით სუფიქს თ-ს შესახებ მნიშვნელოვანი გამოკვლევა არსებობს ქართულ ლინგვისტიკაში. აკადემიკოსი ვარლამ თოფურია აღნიშნავს, რომ „თა“ სუფიქსი ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი და წარმოადგენს მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვის დაბოლოებას. მას დროთა ეითარებაში ადგილის სახელით სუფიქსობის ფუნქცია დაუკავშირდა, როგორც მანარმოებელი.[3]

როგორც აღინიშნა, ნაშრომის მესამე თავი მოიცავს ყოფილი ქსნის საერისთაოს 1804 წლის აღწერას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საერისთაოს შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული მასალა გვაქვს, აღწერა კიდევ უფრო ამდიდრებს რეგიონის შესახებ არსებულ წყაროთმცოდნეობით ბაზას და მნიშვნელოვანი გამოკვლევაა, დღემდე არსებული მთელი რიგი ხარვეზების გასწორების თვალსაზრისით.

აღწერაში წარმოდგენილია ხეობის სოფლები: ოძისი, იკოთი, ალევი, წირქოლი, კორანთა, საფერშეთი, საძეგური, საქორეთი, ახალდაბა, შატაკო-კარი, პავლეთ-კარი, თინიკაანთ-კარი, ხოზოეთი, მიდელაანთ-კარი, ქენქანთ-კარი, ლომისა და სხვ., რომელთა შესახებ ძვირფას და ობიექტურ მასალებს გაეცნობა მკითხველი.

1804 წლის აღწერა ამ შემთხვევაშიც შედარებულია 1774 და 1781 წლის ქართულ აღწერებთან. გადმოცემულია 30 წლის განმავლობაში მომხდარი ეთნიკური და დემოგრაფიული ცვლილებების ანალიზი. ჩვენი მხრივ შევნიშნავთ, რომ კარელთკარში მოხსენიებული კაბიდაური გაბიდაური უნდა იყოს, რომელიც თავდაპირველად საკუთარი სახელი (გაბიდა) იყო და შემდეგ გვარად ჩამოყალიბდა, სოფელ

[1] ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997, გვ. 207.
[2] იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებელი დაურთეს: თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბილისი, 1986, გვ. 40.
[3] კრებ. „ჩვენი მეცნიერება“, №11-12, ტფილისი, 1924, გვ. 87.

ქურთაში მოხსენიებული უთნიშვილი (უთნიაშვილი) უთნელიშვილია, სოფელ იკოთში დასახელებული გარიტაშვილი, იგივე გვრიტიშვილია, ეს გვარი უკანასკნელ დრომდე ცხოვრობდა ქურთაში.

ნაშრომის 159-ე გვერდზე ეხვდებით სოფელს სახელწოდებით – „პერეიატი“, სადაც წიფთაურები ცხოვრობდნენ. ამ საკითხზე წლების წინ გამოქვეყნებულ ნაშრომშიც ვამახვილებდით ყურადღებას და აღნიშნული გვაქვს, რომ დასახელება ან ნასოფლარი მდებარეობდა ქსნის ხეობაში, მდინარის მარჯვენა მხარეს. სოფელ ბალაანის პირდაპირ მთაზე და მისი თავდაპირველი დასახელება იყო კვერიათი.

აღწერიდან ცხადი ხდება, რომ ჯერ კიდევ სისტემატურად აქვს ადგილი ლეკებისა და ოსების მარბიელ თავდასხმებს. ისინი იტაცებენ ბავშვებს, მოსავალს, პირუტყვს, ხოლო რაც ვერ მიაქვთ, – ანადგურებენ.

XIX საუკუნის დასაწყისში გორის მოსახლეობის რაოდენობისა და შემადგენლობის (რელიგიური, სოციალური, ეთნიკური) ძალზე საინტერესო მონაცემებია პირველი ნაწილის მეორე თავში. აღწერიდან ჩანს, რომ, გარდა წვრილმანებით ვაჭრობისა, გორში ამ დროისათვის უკვე ყოფილან მესანთლეები, მექუდეები, მჭედლები, ტყავის ოსტატები, დალაქები, მექალამნეები, ფეიქრები, აღვირის, ბორბლის, იარაღის მკეთებლები და სხვ. ყველაზე დიდი რაოდენობით გორში ჩანან მღებავ-ფეიქრები. მათი რიცხვი ოცდათრამეტია. რაოდენობით შემდეგ მოდიან წვრილმანებით მოვაჭრეები, მჭედლები და სხვ. როგორც წესი, ისინი ამქრებად ერთიანდებოდნენ, რომლის მთავარი ეკონომიკური მიზანი შესაძლებელი კონკურენციის თავიდან აცილება იყო. ამქარი თავის რიგებში აერთიანებდა დარგის ყველა ხელოსანს, განურჩევლად მისი ეთნიკურ-რელიგიური შემადგენლობისა. მართლაც, აღწერაში წარმოდგენილ გორის ვაჭარ-ხელოსანთა რიგებში, გარდა ქართველებისა და სომხებისა, ვხედავთ რუსებს, ოსებს, ებრაელებს და სხვა ეროვნების წარმომადგენლებსაც.

არანაკლებ მნიშვნელოვანი და საჭირო ინფორმაციის მომცემია პირველი ნაწილის მესამე თავი (ყოფილი ქსნის საერისთავოს აღწერა), საიდანაც ჩანს, რომ რომ XIX საუკუნის დასაწყისში არაგვისა და ქსნის ხეობების ზემო წელში მოსახლეობა ჯერ კიდევ საკმაოდაა. ეთნიკურობის მიხედვით, დიდ უმრავლესობას ქართველები და ხეობის ზემო წელში ოსები წარმოადგენენ. არის მთლიანად ოსური სოფლებიც, მაგრამ რეგიონში მაცხოვრებელ ქართულ მოსახლეობას ისინი რაოდენობით ჯერ კიდევ ორჯერ ჩამოუვარდებიან. თუმცა, თვით ოსური სოფლების დასახელებები: „საბარკლეთი“, „ველისი“, „ციხე“, „ცხრა-წყარო“ და სხვ., ცხადყოფს მათ წარმომავლობას და თავდაპირველ მოსახლეობას. ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთელ რიგ ხეობებში, ქართველი მოსახლეობისაგან ქსნის ხეობის დაცლის ძირითადი მიზეზი გახშირებული ლეკიანობა და ცხოვრების უკეთესი პირობებისაკენ სწრაფვა იყო. 1804 წლისათვის არაერთი ქართული სოფელი ხეობაში უკვე დაცლის პირასაა მისული, მაგ., საქარეთში 5 კომლიღა (32 სული) ცხოვრობს, ახალდაბაში – მხოლოდ 3 (46 სული), კარელთ-კარში – 7 (40), მიდელაანთ-კარში – 8 (68) და ა. შ.

შედარებით სრულყოფილი ინფორმაციის მომცემია 1818 წლის აღწერა. როგორც ჩანს, ხელისუფლებას გაუთვალისწინებია წინა აღწერისას დაშვებული ხარვეზები და გაუსწორებია. მასში შიდა ქართლის 89 სოფლის შესახებაა მონაცემები და დაკონკრეტებულია ამ სოფლებში მაცხოვრებელი გვარები, მათი ოჯახების შემადგენლობა, რაოდენობის, ეთნიკურობის, რელიგიის მიხედვით, მათ ხელში არსებული უძრავი და მოძრავი ქონება, შინაური პირუტყვი და სხვ. თითოეული სოფლის მოსახლეობის აღწერის ბოლოს შეჯამება ხდება, ძირითადად, ორი შენიშვნის სახით. პირველ მათგანში განმარტებულია სოფლის ადგილმდებარეობა, რამდენად ირწყვის, რამდენია ვარგისი და რამდენი დასამუშავებლად გამოუყენებელი მინის ფართობი, ტყე, წისქვილი, თავდაცვითი ნაგებობაა, ვინ სარგებლობს, რა პირობით და ვის მფლობელობაშია ისინი.

მეორე შენიშვნაში შედარებულია ახალი აღწერის მონაცემები ძველთან (წინა აღწერასთან). რამდენი კომლი გადამხდელი იყო დაფიქსირებული ძველი მონაცემებით, რამდენია ამჟამად, რა არის კლება-მატების მიზეზი, დაკონკრეტებულია თითოეული მემამულის შემოსავალი, სახე (ხორბალი, ქერი, ღვინო და სხვ.) და რაოდენობა.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ნაშრომზე თანდართული აღწერებში მოხსენიებულ პირთა ანოტაციები, სადაც არაერთი დღემდე შეუსწავლელი საკითხია განხილული, გამორკვეული და თავმოყრილი მამაცაშვილების, მალალაძეების, გედევანიშვილების, თაქთაქიშვილების, ხერხეულიძეების და სხვათა შესახებ. წარმოდგენილი გვარების შესახებ ნაშრომში მოცემული ინფორმაცია ავსებს ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე არსებულ მონაცემებს და ესეც ნაშრომის ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

ნაშრომში საინტერესო მონაცემებია თავმოყრილი ცხინვალში, თამარაშენსა და ახალგორში მცხოვრები სომეხი და ებრაელი მოსახლეობის ქონებრივი და სოციალური მდგომარეობის შესახებ. ასევე ვეცნობით დღეისათვის უცნობი დასახლებული პუნქტების შესახებ მასალებს, რომლებიც, დროთა განმავლობაში ან სხვა დიდი დასახლებული პუნქტების ნაწილებად იქცნენ, ან ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, ნასოფლარებად იქცნენ. ასეთებია „ხარშილაური“, „ტყისუბანი“, „სკუნეთი“, „უკუღმასოფელი“, „თვალათუბანი“, „ლელისთავი“ და სხვ.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ხელისუფლება ტერმინ „სამხრეთ ოსეთს“ ჯერ კიდევ არ იყენებს, ხოლო სადაც ტერმინი „ოსეთია“ ნახმარი, ყველგან ჩრდილოკავკასია იგულისხმება. არაერთგან ჩანს, რომ ლიახვის შუაწელზე ოსები ჯერ კიდევ ახალმოსახლეები არიან და ხელისუფლების ინიციატივით არიან ჩამოსახლებულნი. არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, წარმოადგენენ „ხიზნებს“, ეწევიან დღიურ შრომას და ხელისუფლების მიერ გადასახადებისგან გათავისუფლებულნი არიან.

საგულისხმო და ანგარიშგასაწევია ავტორის შენიშვნა:

> ტრადიციულად, საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი, და, ნორმადაც კი იყო ქცეული ბატონყმური ურთიერთობების ზედმეტი დრამატიზება. გლეხი აუცილებლად ჩაგრულ და უუფლებო ფენად უნდა წარმოჩენილიყო, ხოლო მემამულე უმოწყალო ექსპლუატატორად. დარგის აღიარებული მკვლევარი პაატა გუგუშვილი, როდესაც პარალელს ავლებდა ქართველი გლეხის ჩამორჩენილობის მიზეზებზე უცხოელ კოლონისტებთან შედარებით, წერდა: „თუ რა იყო მთავარი დაბრკოლება ადგილობრივი გლეხობისათვის, გადაეღოთ კოლონისტებისაგან მეურნეობის უკეთესი ხერხები და წარმოების საშუალებანი, იყო ის შეუნელებელი ბატონყმური ექსპლუატაცია. რომლის უღელქვეშ ჰგმინავდა ადგილობრივი უშუალო მწარმოებელთა მასა. საბატონო ბეგარა, კულუხი, ღალა, სახელმწიფო გამოსაღებნი და გადასახადები მათში სპობდა საშუალებას და სტიმულსაც კი“. ამგვარი „შეუნელებელი ბატონყმური ექსპლუატაცია“ და „უღლის ქვეშ ჰგმინვა“ საბატონო გლეხთა 1818 წლის აღწერიდან ნაკლებად ჩანს. პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ გლეხების უმრავლესობას „გაწერილი“ აქვს დიდი რაოდენობით საბატონო სახნაეი მინის დამუშავებისა და ღალის ვალდებულება, დადგენილ მინის ნორმას თითქმის არავინ ამუშავებს და ბევრად ნაკლებს უელის. მაგ. 1818 წლის აღწერით შიდა ქართლის 46 სოფელში სულ საბატონო მინა 3107 დღიურს შეადგენს, თუ ამას დავუმატებთ „ნასყიდ“ 1478 დღიურსა და „სამკიდრო“ 3369.5 დღიურს, გამოდის რომ გლეხთა სარგებლობაში სულ 7954.5 დღიური მიწა ყოფილა. ისინი კი ამუშავებენ 3885.25-ს დამატებული 1193 დღიური ღალაზე, ანუ სულ 4878.25 დღიურს, ეს კი დასამუშავებელი ფართობის მხოლოდ 61%-ს შეადგენს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მინის მცირე რაოდენობით დამუშავება გლეხის სიზარმაცით კი არ იყო განპირობებული, არამედ, გამწევი ძალისა და შესაბამისი ტექნიკის არარსებობით“ (ი. ალიმბარაშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 48).

დარგის მკვლევართათვის ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ნაშრომზე თანდართული პირთა საძიებელი, იმდროინდელი ზომა-წონის ერთეულებისა და სამოხელეო ტერმინების განმარტება, ავტორის ხელით შედგენილი რუკები, სხვადასხვა შინაარსის ცხრილები და ტაბულები მოსახლეობის ხელში არსებული მიწების რაოდენობის, პურისა და ღვინის წლიური შემოსავლის, შინაური ცხოველების, ფუტკრის, წისქვილების რაოდენობის ჩვენებით და სხვ.

ამრიგად, იოსებ ალიმბარაშვილის ნაშრომი მეტად მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეებისათვის. იგი აქტუალურია, როგორც შიდა ქართლის მოსახლეობაში უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებებისა და დინამიკის შესახებ, ასევე ამ ტერიტორიებზე მაცხოვრებელი ეთნიკური სურათის გათვალისწინების და შედარების თვალსაზრისითაც.

წიგნი ასევე მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ისტორიის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს და დემოგრაფიით დაინტერესებულს მკვლევრებს.

ON THE BOOK BY PROFESSOR IOSEB ALIMBARASHVILI: "POPULATION OF SHIDA KARTLI (GORI COUNTY) IN 1820s ACCORDING OF RUSSIAN CAMERAL CENSUS"

Nikoloz Otinashvili

In a time when the study of political and historical-ethnographic issues succesfuly undergoing, there still are the topics about which we do not have complete data and we have to be satisfied with only general information. In this regard, the book by Ioseb Alimbarashvili is a very important acquisition for Georgian historiography and source-studies. It is relevant both in terms of understanding the changes and dynamics that have taken place in the population of Shida Kartli over the last hundred years, as well as in terms of considering and comparing the ethnic picture of past with the contemporary situation

ქრონიკა
CHRONICLE

აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, კულტურის ძეგლები

ლია ახალაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის, სამშვიდობო განათლების ცენტრისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივით 2021 წლის 16 ოქტომბერს გაიმართა ონლაინ სამეცნიერო კონფერენცია „აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, კულტურის ძეგლები“. კონფერენცია ცნობილი ენათმეცნიერის, აფხაზოლოგისა და კავკასიის კვლევების სპეციალისტის პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძის 70 წლის იუბილეს მიეძღვნა.





კონფერენცია გახსნა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ზაურაბ ხონელიძემ, რომელმაც აფხაზეთის კულტურული ფასეულობების შესწავლისა და პოპულარიზაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძის ნაყოფიერ საქმიანობას, სამეცნიერო გამოკვლევებსა და სახელმძღვანელოებს აფხაზოლოგიის მიმართულებით. რექტორმა აღნიშნა, რომ აფხაზოლოგია და აფხაზეთმცოდნეობა სოხუმის სახელმწიფო უნიეერსიტეტის კვლევის ნამყვანი მიმართულებაა, რომლის ავანგარდში ბატონი თეიმური და მისი გუნდი დგას, რისთვისაც მადლობა გადაუხადა, დღეგრძელობა და შემოქმედებითი აქტივობა უსურვა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმნენ და თეიმურაზ გვანცელაძეს იუბილე მიულოცეს აფხაზეთის აფხაზეთის ავტონომიური განათლებისა და კულტურის მინისტრმა ეკა ხოფერიამ, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ასოცირებულმა პროფესორმა ლია ახალაძემ, გამომსვლელებმა ისაუბრეს აფხაზეთის კულტურული ფასეულობების მნიშვნელობასა და როლზე ქართული კულტურის ისტორიაში.





კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს, ჩრდილოეთ კავკასიისა და თურქეთის უნივერსიტეტების ქართველოლოგები და კავკასიოლოგები. მილოცეებისა და მთავარი მოხ-

სენების შემდეგ გაიმართა სექციური მუშაობა: *აფხაზოლოგია - აფხაზური ენა და ლიტერატურა; აფხაზეთმცოდნეობა - ისტორია. ეთნოლოგია. კულტურის ძეგლები.*

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზეთის ინსტიტუტის, ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის, საქართველოს ისტორიის მასწავლებელთა ასოციაციის, დუზჯეს უნივერსიტეტის (თურქეთი), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის უნივერსიტეტის (თურქეთი), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამშვიდობო განათლების ცენტრის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ადმინისტრაციის, აფხაზეთის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ მემკვიდრეობათა დაცვის სამსახურის წარმომადგენლები, მეცნიერები და მკვლევრები, რომელთა მოხსენებები და კვლევები აფხაზეთის კულტურულ ფასეულობებს: ენას, ისტორიას, ეთნოლოგიას, ფოლკლორს, კულტურის ძეგლებს ან პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძის სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლას ეხებოდა.

კონფერენციის შემაჯამებელ სხდომაზე, ორგანიზატორებისა და სექციის ხელმძღვანელების მიერ გადაწყდა, რეკომენდებული მოხსენებები დაიბეჭდოს სპეციალურ საიუბილეო კრებულში, რომელსაც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო დააფინანსებს.

CULTURAL VALUES OF ABKHAZIA: LANGUAGE, LITERATURE, HISTORY, CULTURAL MONUMENTS

Lia Akhaladze

An online scientific conference was held on October 16, 2021 at the initiative of the Department of Scientific Research and Development of Sokhumi State University, the Center for Peace Education and the Ministry of Education and Culture of the Autonomous Republic of Abkhazia.

The conference – "Cultural Values of Abkhazia: Language, Literature, History, Cultural Monuments", dedicated to the famous Abkhazologist Professor Teimuraz Gvantseladze.

In the conference participated Kartvelologists and Caucasologists from Georgian, North Caucasus and Turkish Universities. Three sections worked on the conference: *Abkhazological Studies – Abkhazian Language, Linguistics*; *Abkhazological Studies – Literature*; *Abkhazian Studies – history, ethnology and cultural monuments*.

The conference was attended by well-known scientists and researchers, whose papers will be published in a special anniversary collection of papers.

IV ქართულ-თურქული საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართულ-თურქული ურთიერთობები XX საუკუნეში“

ლია ახალაძე

2017 წლიდან თურქეთის საისტორიო საზოგადოების ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ქართველი და თურქი ისტორიკოსების სამეცნიერო დიალოგს, რომლის ფორმატად საერთაშორისო სიმპოზიუმი იქნა შერჩეული. სიმპოზიუმების მიზნად განსაზღვრული იყო ქართული და თურქული საისტორიო წყაროების შესწავლა. არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, სხვადასხვა სადისკუსიო საკითხებისა და შეხედულებების გაცნობა. ქართულ-თურქული ურთიერთობების ისტორიის შესწავლა ოთხ ეპოქად დაიყო და თითოეულ მათგანს ცალკე სიმპოზიუმი მიეძღვნა. I საერთაშორისო სიმპოზიუმი 2017 წლის ნოემბერში, თურქეთში, ტრაპიზონის უნივერსიტეტში გაიმართა. მეორე, 2018 წელს, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, მესამე 2019 წლის დეკემბერში ანკარაში, თურქეთის საისტორიო საზოგადოების სათავო ოფისში. ანკარის შეხვედრაზე გადაწყდა, 2020 წლის შემდგომ-აზე მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარება. სამწუხაროდ, ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გართულებების გამო სიმპოზიუმი 2020 წელს ვერ ჩატარდა. 2021 წელს კოვიდრეგულაციების დაცვით ქართულ-თურქული ურთიერთობების IV საერთაშორისო სიმპოზიუმს – „ქართულ-თურქული ურთიერთობები XX საუკუნეში“ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა.

IV საერთაშორისო სიმპოზიუმს ხელმძღვანელობდა სიმპოზიუმის საპატიო საბჭო, საორგანიზაციო კომიტეტი და სამეცნიერო საბჭო, რომლებშიც ქართველი და თურქი ისტორიკოსები გაერთიანდნენ. სიმპოზიუმი 2021 წლის 26 ნოემბერს სოხუის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ზურაბ ხონელიძემ უნივერსიტეტის მისაღებ დარბაზში გახსნა და ქართველი და თურქი ისტორიკოსების სამეცნიერო დიალოგი ღიად გამოაცხადა. სიმპოზიუმის მონაწილეებს მიესალმნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ჯემალ გამახარია, თურქეთის ათათურქის კულტურის, ენისა და ისტორიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე პროფესორი მუჰამედ ჰექიმოღლუ, თურქეთის საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე, პროფესორი ბიროლ ჩეთინი, საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფატმა ჯერენ იაზგანი, აზერბაიჯანის პარლამენტის წევრი, აზერბაიჯანის ეროვნული სამეცნიერო აკადემიის კავკასიის კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი მუსა ქასიმლი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი მერაბ ბერიძე. მიმდინარე კოვიდვითარებიდან გამომდინარე შეხვედრას ვერ დაესწრო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი მუდმივი პროფესორი, ზურაბ პაპასქირი და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორი გიორგი ანთელავა.

მისალმების შემდეგ, სოხუმის სახელმწიფო უნიეერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ხონელიძემ და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსმა ასოცირებულმა პროფ. ლია ახალაძემ ქართულ-თურქული სამეცნიერო ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სპეციალური დიპლომებით დააჯილდოვა თურქეთის მხრიდან: ელჩი, ფატმა ჯერენ იაზგანი, პროფესორები: მუჰამედ ჰექიმოღლუ, ბიროლ ჩეთინი და იბრაჰიმ თელლიოღლუ; თბილისში იუნუს ემრეს სახელობის ინსტიტუტის დირექტორი ალი ოლუბჰან იუქსელი. საქართველოს მხრიდან დაჯილდოვდნენ: გორის სახელმწიფო სასწავლო უნიეერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი სოსიაშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი ანთელავა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე პროფესორი მერაბ ბერიძე და ამაეე უნიეერსიტეტის პროფესორი როინ ყაერელიშვილი, რომელიც სამსუნის 19 მაისის უნივერსიტეტის პროფესორთან იბრაჰიმ თელლიოღლუსთან ერთად ამ სიმპოზიუმების სულისჩამდგმელია. ქართულ-აზერბაიჯანულ სამეცნიერო ურთიერთობებში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდა პროფესორი მუსა ქასიმლი.

დამსწრე საზოგადოებისთვის სიურპრიზად იქცა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს საზეიმო სხდომის გადაწყვეტილება, რომელიც უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ზურაბ ხონელიძემ მისასალმებელ სხდომაზე გააჟღერა: დროა, ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ ღირსეულად შეაფასოს პროფესორ როინ ყავრელიშვილის და პროფესორ იბრაჰიმ თელლიოღლუს ღვაწლი ქართულ-თურქული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. თანახმად აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებისა, ქართულ-თურქული საერთაშორისო სიმპოზიუმების მაღალ დონეზე ორგანიზების, ჩატარებისა და მოხსენებათა ორენოვანი კრებულების გამოცემისთვის პროფესორებს როინ ყავრელიშვილს და იბრაჰიმ თლლიოღლუს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის ნოდება მიენიჭათ.

სიმპოზიუმის მუშაობის ორი დღის მანძილზე – 26 და 27 ნოემბერს გაიმართა ხუთი სხდომა, წაკითხული იქნა 11 თურქი და 13 ქართველი მეცნიერის 21 მოხსენება. მონაწილეობდნენ სტამბოლის, გირესუნის, საქარიას, ყარსის კავკასიის უნივერსიტეტის, სამსუნის 19 მაისის, ტრაპიზონის შავი ზღვის ტექნიკური უნივერსიტეტის, თურქეთის ფოლკლორის ცენტრის, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის *კავკასიის უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის,* სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, *საქართველოს პარლამენტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის* პროფესორები, რომლებიც XX საუკუნის საქართველო-თურქეთის ურთიერთობებს იკვლევენ. კონფერენციის მუშაობაში ჩართული იყო აზერბაიჯანის ეროვნული სამეცნიერო აკადემიის კავკასიის კვლევის ინსტიტუტის დირექტორის, აზერბაიჯანის პარლამენტის წევრის, პროფესორ მუსა ქასიმლისა და *საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თურქეთის რესპუბლიკაში გიორგი ჯანჯღავას მოხსენებები.*

სიმპოზიუმის ფარგლებში, ორი დღის მანძილზე მიმდინარეობდა სამეცნიერო პაექრობა, აზრთა სხვადასხვაობა, ზოგჯერ რადიკალურად განსხვავებული აკადემიური კამათი და დისკუსია საქართველო-თურქეთის ისტორიის მრავალ კარდინალურ საკითხზე. დისკუსიაში მონაწილეობდნენ თურქეთის საისტორიო საზოგადოების, ათათურქის კულტურის, ენისა და ისტორიის უმაღლესი საბჭოს, თურქეთის რესპუბლიკის ტურიზმისა და კულტურის სამინისტროს, წარმომადგენლები და ქართველი ისტორიკოსები. დისკუსიებში აქტიურად მონაწილეობდა და ერთ-ერთ სხდომას ხელმძღვანელობდა აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე პროფ. ჯემალ გამახარია. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ეს ხელს არ უშლიდა ისტორიკოს კოლეგებს დამეგობრებულიყვნენ, მისამართები გაეცვალათ და სამომავლო გეგმებიც დაესახათ.


შემაჯამებელ სხდომაზე, თურქეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს, წარმომადგენლებმა მაღალ დონეზე შეაფასეს სხდომებზე წაკითხული მოხსენებები, შერჩეული თემატიკა, სიმპოზიუმის გამოცემები და მთლიანად ორგანიზაციული მხარე, რისთვისაც მადლობა გადაუხადეს თითოეულ მომხსენებელს, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს და საორგანიზაციო კომიტეტს. მე მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე, ვყოფილვარ დიპლომატიურ წარმომადგენლობებში, მაგრამ არსად ისე თბილად და სიყვარულით არ დაგხვედრია მასპინძელი, როგორც საქართველოში, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მადლობა პროფესორ ზურაბ ხონელიძეს და მთელ უნივერსიტეტს, ქართულ-თურქულ საორგანიზაციო კომიტეტს, ვინც ჩვენს გვერდით იდგა ორი დღის მანძილზე – აღნიშნა თურქეთის რესპუბლიკის ათათურქის სახელობის კულტურის, ენისა და ისტორიის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ პროფესორ მუჰამედ ჰექიმოღლუმ. ასევე ამაღელვებელი იყო პროფესორების ბიროლ ჩეთინისა და მუსა ქასიმლის გამოსვლები, რომლებმაც უმაღლეს დონეზე შეაფასეს სიმპოზიუმის მასპინძლების მონდომება. დაე, ლაღად ფრიალებდეს საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის დროშები – აღნიშნა აზერბაიჯანის პარლამენტის წევრმა მუსა ქასიმლმა.

ქართულ-თურქული IV საერთაშორისო სიმპოზიუმი დასრულდა კულტურული ღონისძიებით. სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისი: ნარიყალა და სოლოლაკი, მოინახულეს თბილისის მეჩეთი და ფუნიკულიორი, ზემოდან გადახედეს ქალაქს და მის ერთ-ერთ მულტიკულტურულ უბანს, სადაც ერთი ხელის გაწვდენაზეა ქართული ქრისტიანული ტაძარი, მუსლიმური მეჩეთი, ებრაული სინაგოგა, სომხური გრიგორიანული ეკლესია, კათოლიკური ტაძარი და მაზდეანური „ცეცხლის ტაძარი". მოინახულეს საქართველოს უძველესი დედაქალაქი მცხეთა, სვეტიცხოველი, სამთავროში წმ. ნინოს მაყვლოვანი და მცხეთის ჯვარი, მოისმინეს მრავალი ისტორიული და ლეგენდარული ამბავი ჩვენი ქვეყნის წარსულიდან.

სიმპოზიუმის ფარგლებში გამოქვეყნდა პროგრამა, მოხსენებათა თეზისები, ბანერები და ოფი-

ციალური სერტიფიკატები. მასალები განთავსდა უნივერსიტეტის ოფიციალურ საიტზე და დაიწყო მზადება მოხსენებათა კრებულის გამოცემისთვის. საგულისხმოა, რომ ნინა სამი სიმპოზიუმის შედეგები გამოქვეყნდა. სამეწოვანი პროგრამის, თეზისების და ორენოვანი (ქართულ-თურქული) მოხსენებათა კრებულების სახით. I, II და III სიმპოზიუმის კრებულებში ქართულ და თურქულ ენებზე. ინგლისური რეზიუმეთი წარმოდგენილია ქართველი და თურქი ისტორიკოსების ნაშრომები, ნყაროები და სამეცნიერო შეხედულებები, რომლებიც აქამდე უცნობი იყო ერთმანეთისთვის. მსგავსი ფორმატის სამეცნიერო შეხვედრებს მანამდე მოკლებული იყვნენ ისტორიკოსები და სამეცნიერო ინფორმაციის ასეთი მასშტაბური გაცვლა პირველად განხორციელდა ორი ქვეყნის სამეცნიერო წრეებში.

ქართულ-თურქულმა საერთაშორისო სიმპოზიუმებმა გაზარდა სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა, მოგვცა დისკუსიისთვის აუცილებელი ფორმატი, გააფართოვა მეცნიერებს შორის კავშირები და, რაც მთავარია, განავითარა ქართულ-თურქული სამეცნიერო ურთიერთობები. ეს სამეცნიერო დიალოგი დაახლოებს ორი ქვეყნის ისტორიკოსთა სამეცნიერო პოზიციებს. საფუძველს ჩაუყრის ერთობლივ სამეცნიერო კვლევებს და ახალ შესაძლებლობებს შექმნის საისტორიო აზროვნების განვითარებისთვის.













IV GEORGIAN-TURKISH INTERNATIONAL SYMPOSIUM "GEORGIAN-TURKISH RELATIONS IN THE 20TH CENTURY"

Lia Akhaladze

On November 26-28, 2021 IV Symposium on Georgian-Turkish Relations was held at Sokhumi State University, which was dedicated to the Georgian-Turkish relations of the twentieth century. The symposium was attended by the Supreme Council of the Autonomous Republic of Abkhazia, the Supreme Council of Culture, Language and History of Ataturk of Turkey, the Turkish Historical Society, the Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Turkey to Georgia, a Member of Parliament of Azerbaijan, Head of the Caucasus Research Institute of the National Academy of Sciences of Azerbaijan. Also participated Professors from: Istanbul University, Giresun, Sakarya, Caucasus University of Kars, 19 May University of Samsun, Trabzon Black Sea Technical University, Turkish Folklore Center, Iakob Gogebashvili Telavi State University, Tbilisi Caucasus University, Georgian Technical University, Gori State Teaching University, Samtskhe-Javakheti State University, Sokhumi State University and from Parliament of Georgia.


Symposium program, abstracts, banners and official certificates were published. The program and abstracts of papers were posted on the official website of Sokhumi State University. A collection of symposium papers will be published in 2022.

The Georgian-Turkish scientific dialogue brings together the scientific positions of historians of two countries, lays the foundation for joint scientific research and creates new opportunities for the development of historical thinking.

ადოლფ დირის ფოტონამუშევრების გამოფენა და კატალოგი

ამირან ბასილაშვილი

2021 წლის 25 მაისს ლიტერატურის მუზეუმში გაიხსნა გერმანელი კავკასიოლოგის, ეთნოგრაფისა და ენათმეცნიერის ადოლფ დირის ფოტოსურათების გამოფენა. პროექტი გოეთეს ინსტიტუტის გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმთან და მიუნხენის ხუთი კონტინენტის მუზეუმთან თანამშრომლობით განხორციელდა და 26 მაისს საქართველოს პირველი რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღს მიეძღვნა. პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა კატალოგიც, რომელსაც შესავლად მიუნხენის ხუთი კონტინენტის მუზეუმის თანამშრომლის მიხაელა აპელის წერილი „ადოლფ დირი (1867-1930) ენათმეცნიერი, ეთნოლოგი და კავკასიის მკვლევარი" უძღვის. წერილი ადოლფ დირის მოღვაწეობის შესახებ მოგვითხრობს. ტექსტის თარგმანი ეკუთვნის მწერალსა და მთარგმნელს ანა კორძაია-სამადაშვილს.



ადოლფ დირი ქართულ სამეცნიერო წრეებში უფრო ცნობილია როგორც ლინგვისტი-კავკასიოლოგი, რომელმაც არაერთი კავკასიური ენა მონოგრაფიულად შეისწავლა. ა. დირი კავკასიაში, როგორც თავად უწოდებდა „ენათმეცნიერებისათვის ფასდაუდებელი ლინგვისტური ლაბორატორიის სამყაროში", 1900 წელს ჩამოვიდა და 13 წლის განმავლობაში იკვლევდა კავკასიურ ენებს, კავკასიელი ხალხის ეთნოგრაფიას, აგროვებდა ეთნოგრაფიულ მასალას და ფოტოაპარატით აღბეჭდავდა გარემოს, ადამიანებს, ყოფას. ფოტოებზე წარმოდგენილნი არიან ქართველები (სვანები, ინგილოები, აჭარლები, თუშები...), უდიები, ყარაჩაელები, დიდოები, უბიხები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები... შეეხედებით თბილისის, სვანეთის, თუშეთის, ართვინის, საინგილოს... ლანდშაფტსა და არქიტექტურის ძეგლებს.



ალბათ, ბუნებრივია, რომ აღნიშნული გამოფენა 26 მაისს მიეძღვნა, 1918 წელს დამოუკიდებელ საქართველოს ადოლფ დირი კიდევ ერთხელ ეწვია. ის გერმანიის სამხედრო დელეგაციის წევრი იყო.

გერმანიაში ადოლფ დირის კარი ყოველთვის ღია იყო კავკასიელი ახალგაზრდებისთვის, რომლებიც მიუნხენში სწავლობდნენ. 1913 წლიდან 1930 წლამდე, გარდაცვალებამდე, ადოლფ დირი მიუნხენის სამეფო ეთნოგრაფიული მუზეუმის კურატორი იყო (მუზეუმს დღეს ხუთი კონტინენტის მუზეუმი ჰქვია). სწორედ ამ მუზეუმშია მისი ფოტოკოლექცია დაცული.

კატალოგი იხსნება საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის დირექტორის ბარბარა ფონ მიუნხ-ჰაუზენის წინასიტყვაობით, ხოლო და მას ერთვის ლიტერატურის მუზეუმის დირექტორისა და პროექტის კურატორის ლაშა ბაქრაძის ბოლოსიტყვაობა. ლაშა ბაქრაძე ადოლფ დირს „დაუმსახურებლად დავიწყებულ კავკასიოლოგს" უწოდებს, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ადოლფ დირი ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთათვის ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი სახელია. მის ნაშრომებს დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. ახლაც, ადოლფ დირის 1903 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოცემული „უდიური ენის გრამატიკა". რომელიც ჩემმა მასწავლებელმა ნინო რუხაძემ მიმემკვიდრა. ჩემს სამუშაო მაგიდაზე დევს. უდიური იყო პირველი კავკასიური ენა, რომელსაც ადოლფ დირმა მონოგრაფია მიუძღვნა და რომელსაც ამ წერილის ავტორიც მოკრძალებით შეისწავლის. ადოლფ დირს, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა მკვლევარს, ადგილი ეთმობა არნოლდ ჩიქობავას ნაშრომში „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია" (15 გვერდი). იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიის კურსი დღემდე იკითხება თსუ კავკასიოლოგიის მიმართულების სტუდენტთათვის. მაგრამ, ცხადია, ადოლფ დირის სახელი იმსახურებს იმას, რომ მხოლოდ სპეციალისტთათვის არ იყოს ცნობილი. აღნიშნული პროექტი ადოლფ დირის აღმოჩენისა თუ ცნობადობის გაზრდის თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯია. რისთვისაც მადლობა ეკუთვნის ყველა იმ ადამიანს, ვინც პროექტის დაგეგმვა-განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა. სამომავლოდ კარგი იქნებოდა ადოლფ დირის (ასევე სხვა გერმანელი ქართველოლოგებისა და კავკასიოლოგების) ნაშრომების ქართულად თარგმნა და ქართულ სამეცნიერო მიმოქცევაში მათი ჩართვა, ეს მეორე სიცოცხლეს შესძენდა საუკუნის წინ თუ ნახევარი საუკუნის წინ გამოცემულ, ძნელად ხელმისაწვდომ წიგნებს. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო გოეთეს ინსტიტუტს, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ გამოფენის გახსნას ვერ დავესწარი, ჩემთვის კატალოგის ჩუქება არ დაიშურა.

ამ მშვენიერ კატალოგთან დაკავშირებით შევნიშნავდი, რომ გერმანული გვარი Dirr ქართულში ზედმიწევნით, გაორმაგებული თანხმოვნებით არის გადმოტანილი – დირრ/დირრი. როგორც ვიცით, უცხო ენათა გაორმაგებული/მრჩობლი თანხმოვნები ქართულში ცალი თანხმოვნით გადმოდის, რამდენადაც ქართულისთვის გაორმაგებული თანხოვნები არ არის დამახასიათებელი. ქართულში ორმა ერთგვაროვანმა თანხმოვანმა მხოლოდ მორფემათა მიჯნაზე (ფუძისა და აფიქსის შეხვედრისას) შეიძლება მოიყაროს ერთად თავი (მაგ., გგონია, ღმერთთან, კოვზზე, ანკესს...). გვარი Dirr ერთი რ-თი უნდა გადმოვიტანოთ, როგორც სხვა გერმანული გვარები გადმოგვაქვს გაორმაგებული თანხმოვნების გარეშე – შილერი (Schiller), მანი (Mann), ჰოფმანი (Hoffmann), ციმერმანი (Zimmermann), შმიტი (Schmitt), მიულერი (Müller)... (მრჩობლი თანხმოვნების ქართულად გადმოცემის შესახებ იხ. ივანე გიგინეიშვილი, უცხოურ პირთა და გეოგრაფიული სახელების ქართულად გადმოცემისათვის. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, I, 1972, გვ. 254).

ადოლფ დირის კავკასიაში გადაღებული ფოტოები ქართული საზოგადოებისთვის უცნობი იყო. გამოფენამ ყველა დაინტერესებულ პირს მისცა შესაძლებლობა საკუთარი თვალით ეხილა ადოლფ დირის ფოტოობიექტივით დანახული ჩვენი ქვეყანა და კავკასია.


გამოფენა ერთი თვე, 25 ივნისამდე, გაგრძელდა.
















EXHIBITION AND CATALOG OF ADOLF DIRR'S PHOTOGRAPHS


Amiran Basilashvili

On May 25, 2021, an exhibition of photographs by German Caucasologist, ethnographer and linguist Adolf Dirr opened at the Museum of Literature. The project was implemented in collaboration with Goethe-Institute, Giorgi Leonidze State Museum of Literature and the Museum of Five continents in Munich, and was dedicated to May 26 – to the date of the declaration of independence by the First Republic of Georgia. A catalogue was also published within the project.


ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის საერთაშორისო სამეცნიერო სესია „ადიღურ-ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური საკითხები“

ამირან ბასილაშვილი

2011 წლის 11 ოქტომბერს თბილისში დაფუძნდა „ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრი“. რომელმაც ფუნქციონირება მომდევნო წლის 16 თებერვალიდან დაიწყო. ცენტრის შექმნისთვის საფუძველი მოამზადა საქართველოს პარლამენტის მიერ 2011 წლის მაისში მიღებულმა დადგენილებამ XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ ჩერქეზი ხალხის გენოციდის შესახებ. ცენტრმა ათწლეულის განმავლობაში მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტი განახორციელა, რომლებიც ეძღვნებოდა არა მხოლოდ ქართულ-ჩერქეზულ, ქართულ-აფხაზურ, ქართულ-ოსურ, არამედ ზოგადკაეკასიურ ურთიერთობებს. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ „ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრის“ ათწლიანი მოღვაწეობის თაებზე საქართველოს ჰყავს უფრო მეტი გულშემატკივარი, მხარდამჭერი და მეგობარი არა მხოლოდ ჩერქეზთა სამ რესპუბლიკაში (ადიღეში, ყაბარდო-ბალყარეთსა და ყარაჩაი-ჩერქეზეთში), ან კიდევ ჩრდილოეთ კავკასიის სხვა რესპუბლიკებში (ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და დაღესტანში), არამედ იმ ქვეყნებშიც, სადაც ემიგრირებულ ჩერქეზთა საკმაოდ დიდი დიასპორა ცხოვრობს (ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი. იორდანია).







„ჩერქეზული (ადიღური) კულტურის ცენტრი“ ყოველწლიურად არაერთ სამეცნიერო და პოპულარულ ნაშრომთა პუბლიკაციას ახორციელებს და რამდენიმე საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციას მასპინძლობს. წელსაც, 19-20 მარტს, გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო სესია „ადიღურ-ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აქტუალური საკითხები“, რომელიც გამოჩენილი ჩერქეზი მეცნიერის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ნურბი რაშიდის ძე ივანოყუას ხსოვნას მიეძღვნა.


ტრადიციულად, კონფერენციის სამუშაო ენები ქართული, ჩერქეზული, ინგლისური და რუსული იყო. ხაზი უნდა გაეუსვათ, რომ ჩერქეზებს სხვადასხვა ქვეყნიდან „ჩერქეზული კულტურის

ცენტრის" ღონისძიებათა ფარგლებში შესაძლებლობა ეძლეოთ. საკუთარი სამეცნიერო მიღწევები მშობლიურ ენაზე ნარადგინონ და ერთმანეთსაც მშობლიურ ენაზე ესაუბრონ. აღსანიშნავია, რომ 14 მარტს აღინიშნება ჩერქეზული ენის დღე, რომელსაც „ჩერქეზული კულტურის ცენტრი" ყოველწლიურად აღნიშნავს. აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ ცენტრში გასული წლიდან უკვე შესაძლებელია ჩერქეზული ენის შესწავლა. კურსს ცენტრის თანამშრომელი ღარისა ტუპსაყვა უძღვება.

კოვიდ-პანდემიის გამო კონფერენცია ონლაინ-ფორმატში ჩატარდა. მონაწილეობდა 22 მეცნიერი საქართველოდან, ადიღედან, ყაბარდო-ბალყარეთიდან, ისრაელიდან, პოლონეთიდან. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს „ჩერქეზული კულტურის ცენტრის" დამფუძნებელმა დირექტორმა, თსუ კავკასიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა მერაბ ჩუხუამ, ადიღეს ჰუმანიტარული კვლევების რესპუბლიკური ინსტიტუტის წამყვანმა მეცნიერ-თანამშრომელმა ასფარ ქუიოკმა, თსუ პროფესორმა ჯონი კვიციანმა და „ჩერქეზული კულტურის ცენტრის" სამეცნიერო მუშაობის კოორდინატორმა ნუგზარ ანთელავამ. სესიაზე იმუშავა ხუთმა სხდომამ. მოხსენებები ეიეძღვნა საკითხებს ლინგვისტიკის, ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობის სფეროებიდან.











INTERNATIONAL SCIENTIFIC SESSION OF THE CIRCASSIAN (ADIGHIAN) CULTURAL CENTER "TOPICAL ISSUES OF THE ADIGHIAN-GEORGIAN HUMANITIES"

Amiran Basilashvili

International Scientific Session of the Circassian (Adighian) Cultural Center "Topical Issues of the Adighian-Georgian Humanities" was held on March 19-20, 2021. It was dedicated to the memory of famous Circassian scientist, Doctor of Philology Nurbiy Ivanokov.

Due to the state of emergency and bans imposed because of the pandemic, the session was held online. 22 scholars from Georgia, Adygea, Karachai-Cherkessia, Kabardino-Balkaria, Ingushetia, Israel, Poland participated to the session.

"SCIENTIA" – პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

მანუჩარ გუნცაძე

გასულ წელს დაარსდა სამეცნიერო ჟურნალი შციენტია, რომლის პირველი ნომერიც უკვე გამოქვეყნდა.

მიმდინარე წელს, ჟურნალის მეორე ნომერთან ერთად დაიგეგმა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება. კონფერენციის, ისევე როგორც ჟურნალის მიმართულება, არის ჰუმანიტარული მეცნიერებები.

2021 წლის 25-26 ნოემბერი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა დაგეგმილი კონფერენცია: SCIENTIA – პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (გამოწვევები და ტენდენციები ჰუმანიტარულ მეცნიერებებში).

კონფერენციის გაიმართა კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ჰუმანიტარული კვლევების ცენტრი, ქალაქ თბილისის მერია და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით.

კონფერენციის მიზანი იყო, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში არსებული სამეცნიერო სიახლეებისა და პრობლემების აქტუალიზება და მათ გარშემო დისკუსია.

კონფერენციის ფარგლებში რამდენიმე ძირითადი თემატიკა იყო გამოყოფილი, რომელიც მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

- ისტორია და არქეოლოგია
- არქივთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია
- ეპიგრაფიკა
- ტექსტოლოგია და კოდიკოლოგია
- ციფრული ჰუმანიტარია
- ეთნოლოგია და ანთროპოლოგია
- რესტავრაცია
- კულტურული იდენტობები და სოციალური თეორიები

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 26 მოხსენება. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კონფერენციის მონაწილეთა თეზისებმაც გაიარა ორმაგი ფარული რეცენზირება და ზოგ შემთხვევაში სამმაგიც.


აღსანიშნავია, რომ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებების მოკლე შინაარსები და პროგრამა გამოიცა ორენოვანი კრებულის (ქართულ და ინგლისურ ენებზე) სახით.














"SCIENTIA" – THE FIRST INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE

Manuchar Guntsadze

The scholarly journal Scientia was founded last year, the first issue of which has already been published.

This year, an international scientific conference is planned together with the second issue of the journal. The direction of the conference, as well as the journal, is the humanities.

November 25-26, 2021, Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts hosted a conference: SCIENTIA - The First International Scientific Conference (Challenges and Trends in the Humanities).

The conference was organized by: Korneli Kekelidze Georgian National Center of Manuscripts, Humanities Research Center, Tbilisi City Hall and Ivane Javakhishvili Tbilisi State University.


The aim of the conference was to discuss the scientific innovations and problems in the humanities.

Several key topics were during the conference, which included the following areas:

- History and Archaeology
- Archives and Historiography
- Textology and Codicology
- Epigraphy
- Digital Humanities
- Ethnology and Anthropology
- Restoration
- Cultural identities and social theories

ლიდსის მედიევისტთა საერთაშორისო კონგრესი 2021

ლადო მირიანაშვილი





2021 წლის 5-9 ივლისს, ინგლისის ქალაქ ლიდსში მედიევისტთა საერთაშორისო კონგრესი გაიმართა. 2020 წელს ლიდსის 27-ე კონგრესის გაუქმების შემდეგ, ეს იყო მედიევისტთა პირველი დიდი ფორუმი, რომელიც ზუმის ვიდეო-საკონფერენციო პლატფორმის გამოყენებით ჩატარდა.

ლიდსის 2021 წლის კონგრესმა თავი მოუყარა 2000 დელეგატს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და იყო უდიდესი გლობალური ღონისძიება შუა საუკუნეების კვლევებში.

ლიდსის საერთაშორისო კონგრესის სპეციალური თემატური მიმართულება იყო „კლიმატი“.თემატიკა შემდეგ საკითხებს მოიცავდა: კავშირი კლიმატის ცვლილებასა და კაცობრიობის ისტორიას შორის; „კლიმატური ზონები“ და „კლიმატი“; კოსმოლოგია, სამყაროს ხედვა, ბუნებრივი და არაბუნებრივი მოვლენები; შუა საუკუნეების დროინდელი შეხედულებები ამინდზე, წელინადის დროებზე, ავდარზე; ასტრონომიული და ასტროლოგიური დაკვირვებები და პროგნოზები; მინათმოქმედება, მესაქონლეობა, ლანდშაფტის ცვლილება, ბუნებრივი რესურსების არარაციონალური გამოყენება, უთანასწორობა, კოლონიალიზმი; ხედვების, აზრებისა და გრძნობების „კლიმატი“; მიგრაციის მაჩვენებლის ცვალებადობა, მობილურობა, ვაჭრობა, აღებ-მიცემობა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ლიდსის მედიევისტთა 2021 წლის კონგრესზე მოხსენებები ხუთმა ქართველმა მეცნიერმა წაიკითხა, რაც საქართველოდან ამ პრესტიჟულ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის მაჩვენებლის მნიშვნელოვან ზრდაზე მიუთითებს. ქართველი დელეგატები კონგრესზე შემდეგი მოხსენებებით წარდგნენ:

1. ალექსიძე ნიკოლოზი, კონსტანტინოპოლისა და მოსკოვისაკენ მიმართული მზერა: კავკასიის რელიგიური და პოლიტიკური ადგილი შუა საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში.

2. ელიზბარაშვილი ელისო, რელიკვიები და ხატები საბრძოლო ველზე ბიზანტიაში.

3. თვარაძე ალექსანდრე, შუა საუკუნეების ტრაქტატი „მსოფლიოს განვრცობის შესახებ აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ“ და მისი მრავალჯერადი გამოყენება მატიანეების ქართულენოვან კომპენდიუმში.

4. მირიანაშვილი ლადო, გარემოს სახეცვლა წმ. დავითის ლავრის ბერების მიერ შუა ბიზანტიურ პერიოდში.

5. ნიკოლაიშვილი სანდრო, ურთიერთმეტოქე იმპერიების შესაყარზე: გეოპოლიტიკური კლიმატი გვიანანტიკურ კავკასიის იბერიაში / ქართლში.

მესამე მოხსენება წაკითხული იყო 5 ივლისის სესიაზე; პირველი, მეორე და მეოთხე მოხსენებები – 7 ივლისის სესიებზე, მეხუთე მოხსენება კი – 8 ივლისის სესიაზე.

კონგრესის აკადემიური პროგრამა 504 სესიას მოიცავდა, რომლებშიც 1600 მომხსენებელი მონაწილეობდა. თითოეულ სესიას საშუალოდ 47,5 მსმენელი ესწრებოდა. სესიები ჩინებულად იყო ორგანიზებული: მოხსენების წაკითხვის პარალელურად ხდებოდა სუბტიტრების ავტომატური გენერირება და სესიის მუშაობის დასრულების შემდეგ შესაძლებელი იყო მოხსენებების ვიდეოჩანაწერების ნახვა; თითოეულ მომხსენებელს შეეძლო გადაეხედა სესიებისთვის, დაემატებინა მისთვის საინტერესო სესია საკუთარი დღის განრიგისთვის, თვალი მიედევნებინა სამეცნიერო წიგნის ფესტივალისა და ბაზრობისთვის. ამის გარდა, მონაწილეებს შეეძლოთ პირად ვიდეო-შეხვედრებზე სხვა

დელეგატები ვირტუალურად მიეწვიათ. ამგვარი 150-ზე მეტი, კერძო დელეგატების მიერ ინიცირებული ვიდეო-შეხვედრა ჩატარდა, რომელშიც ჩართული იყვნენ მკვლევრები მთელი მსოფლიოდან.

ონლაინ ფორმატის მიუხედავად, კონგრესის დელეგატებს შეეძლოთ შეთავაზებული აქტივობებიდან მათთვის საინტერესო საქმიანობაში ჩართულიყვნენ. მაგალითად, ჩატარდა სამუშაო შეხვედრა კალიგრაფიაში, „ვიკიპედიის" მონაცემთა რედაქტირებასა და წიგნის აკინძვაში.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მედიევისტთა მასშტაბური კონგრესის ჩატარებამ ზუმის ვიდეოსაკონფერენციო პლატფორმის გამოყენებით გაამართლა: ის საკმაოდ ნარმატებულად, ხარვეზების გარეშე მიმდინარეობდა.

LEEDS INTERNATIONAL MEDIEVAL CONGRESS 2021

Lado Mirianashvili

On 5-9 July 2021, an International Medieval Congress (IMC) was held in Leeds, England. After cancellation of the 27th Congress in 2020, this was the first congress conducted on the Zoom videoconferencing platform.

IMC 2021 brought together over 2,000 delegates from around the world for the largest global gathering in medieval studies.

IMC 2021 covered aspects of the special thematic focus, 'Climates'. Themes addressed included the following: Relationships between climate change and human history; Medieval concepts of 'climes' and 'climate'; Cosmologies, world views, natural or supernatural causation; Medieval enquiry into weather, seasons, monsoon patterns; Astronomical and astrological observations and predictions; Agriculture, pastoralism, modification of landscapes, exploitation of resources, inequality, colonialism; 'Climates' of opinion, thought, feeling; Fluctuations in migration, mobility, trade, exchange, and transmission, etc.

It is worth mentioning that five Georgian scholars have presented papers at IMC 2021. This fact points to the significant increase in participation rate of Georgian scholars in the prestigious forum in medieval studies. Participants from Georgia have presented the following papers:

1. Aleksidze Nikoloz, Looking towards Constantinople and Moscow: The Religious and Political Locus of the Caucasus in Medieval Georgian Writing.

2. Elizbarashvili Eliso, Relics and Icons on the Battlefields in Byzantium.

3. Nikolaishvili Sandro, At the Periphery of the Rival Empires: Geopolitical Climate in Late Antique Caucasian Iberia / Kartli.

4. Mirianashvili Lado, Modification of the Environment by Monks of the Lavra of St Davit in the Middle Byzantine Period.

5. Tvaradze Aleksandre, The Medieval Treatise "On the Extension of the World from the East to the West" and Its repeated Application in the Georgian Compendium of Chronicles.

Paper 5 was presented at the session on July 5, papers 1, 2 and 4 were presented at the sessions on July 7, and paper 3 – at the session on July 8.

The academic programme featured 504 sessions with more than 1,600 speakers. The average session saw 47.5 attendees.

The organization of the sessions was perfect. Automatic subtitle generation and accessibility of the recorded sessions was provided. Each participant could browse sessions, add them to his/her personal agenda, browse the IMC Bookfair, as well as Markets & Fairs section. There was also the opportunity to invite other delegates to private video conferencing meetings using the virtual event space. Over 150 delegate-initiated private meetings have taken place, bringing together colleagues virtually from around the world.

Despite being online, delegates had a wide range of activities to choose from. For instance, workshops in calligraphy, wikidata editing, and bookbinding were held.


We can say with confidence that with use of the Zoom videoconferencing platform paid off: it was conducted flawlessly and successfully.

იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი – 60

ნესტან სულავა
ლია ახალაძე

2021 წლის 28 მაისს, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა უმასპინძლა უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის, ცნობილი ქართველი ისტორიკოსის იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილის დაბადებიდან 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას.

გარდა გორისა და საქართველოს სხვა, წამყვან უნივერსიტეტებში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლებისა (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი და სხვ.), კონფერენციის მუშაობაში ჩართულნი იყვნენ მეცნიერები პოლონეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან), სულ 35 მონაწილე.



კონფერენცია გახსნა, იუბილარსა და მონაწილეებს მიესალმა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი სოსიაშვილი. იუბილარს, ასევე სიტყვით მიმართეს: სერგო ვარდოსანიძემ – ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, დავით ყოლბაიამ – ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპისმცოდნეობის ცენტრის კავკასილიოლოგიურ/ქართველოლოგიური კვლევების მიმართულების ხელმძღვანელმა (პოლონეთი), იბრაჰიმ თელლიოღლუმ, სამსუნის 19 მაისის უნივერსიტეტის პროფესორმა (თურქეთი), მუსა ქასიმლიმ, აზერბაიჯანის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ელდარ მამისთვალიშვილმა – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა: ომარ არდაშელიამ და კახა კვაშილავამ, მარიამ ჩხარტიშვილმა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა.

მოხსენება იოსებ ალიმბარაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ გააკეთა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ქალბატონმა ლია ახალაძემ, რომელმაც დაწვრილებით მიმოიხილა მეცნიერის მიერ განვლილი ცხოვრების გზა და სამეცნიერო საქმიანობა.

ბატონ იოსებს ზედმეტი წარდგინება არ სჭირდება. იგი წლების განმავლობაში საქართველოს ისტორიის არაერთი პრობლემატური საკითხის კვლევითაა დაკავებული და რამდენიმე მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, წიგნის და 100-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის ავტორია. ფართოა მისი კვლევის არეალიც: 1.წყაროთმცოდნეობის („შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველი ოცწლეულის რუსული კამერალური აღწერების მიხედვით“, *გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 2021*, „მიქელ პანარეტოსის ცნობათა მნიშვნელობა ქართველ მეფეთა ქრონოლოგიური რიგის დადგენის თვალსაზრისით“, *ჟურნალი „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. XV-XVI, თბ., 2013-2014*, „რამდენიმე საარქივო დოკუმენტი ქართლ-კახეთში კრწანისის ბრძო-

ლის შემდეგ შექმნილი ვითარების შესახებ", *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული №4. თბ., 2013*, „დიმიტრი ბაქრაძისა და დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობა", *II საერთაშორისო სიმპოზიუმი, ქართული ხელნაწერი, თბ., 2013*, „გურჯიზადესა და ქუჩუკ ჩელები ზადეს ცნობათა მნიშვნელობა ატენის (გუფთას) ბრძოლის დეტალების დაზუსტების თვალსაზრისით", *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ქართულ-თურქული კონფერენცია, თბ., 2015*, „შამილის „ნიზამი" და დავით ბატონიშვილის „სამართალი", აკად. *მარიამ ლორთქიფანიძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, თბ., 2014*, „დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის რაჭა-სამეგრელოში მოგზაურობის დღიურები, როგორც საისტორიო წყარო (პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული მასალების მიხედვით)", *„ქართული წყაროთმცოდნეობა". XVII-XVIII, 2015-2016, თბ., 2016*, „ბერძნული კვალი მანგლისის მონასტერში დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილისა და მარი ბროსეს მიმონერის მიხედვით", *საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო-ბიზანტია-ქრისტიანული აღმოსავლეთი", თბ., 2017*, „შიდა ქართლის მოსახლეობა XVIII ს.-XIX ს. დასაწყისის ქართული, ოსმალური და რუსული აღწერების მიხედვით", *„ახალ და უახლეს პერიოდში ქართულ-თურქული ურთიერთობები". ანკარა, 2019*;. 2 საქართველოს სამხედრო ისტორიის („აღმოსავლეთ საქართველოს თავდაცვითი სისტემა XVIII საუკუნის II ნახევარში", *თბ., 2008*, „ქართული ჯარის ისტორიიდან" (შიდა ქართლის სამდეუროები)", *გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული №3; თბ., 2012*, „კაკაბეთთან (ნიახურას) ბრძოლის შეფასების საკითხისათვის"), *გორის სასწავლო უნივერსიტეტის მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია, თბ., 2011*, „ქართული ჯარის ისტორიიდან" (არტილერიის რეფორმა XVIII *საუკუნეში), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მე-5 საერთაშორისო კონფერენცია, თბ., 2012*, „ლეკიანობა" და ქართლ-კახეთის საფორტიფიკაციო სისტემა", *პროფ. ზურაბ პაპასკირის 60-წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2013*. 3 საქართველოს ეკლესიის ისტორიის („ოქონის ხატ[ებ]ისა და ტაძრ[ებ]ის ისტორიიდან", *თბ., 2012*, „ხიდისთავი და ახალჯვრის ისტორია", *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული №6, თბ., 2014*, „კათალიკოსი დომენტი IV", *საისტორიო ძიებანი, XII, 2013-2015*, „კიდევ ერთხელ მეტეხის ოთხთავისა და მისი ანდერძ-მინაწერების შესახებ", *ივ. ჯავახიშვილის სახ.თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, სპეც. გამოშვება მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადებიდან 100 წლისთავისადმი, თბ., 2016*. 4. კავკასიოლოგიის „ომარ-ხანის თავდასხმები საქართველოზე", *თბ., 2007*, „ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში", *თბ., 2011*, „საქართველო-კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან (უძვ. პერიოდიდან – XIX ს. 60-იან წლებამდე)", *თბ., 2014*, „დარგოს ექსპედიცია შამილის წინააღმდეგ 1845 წელს და წყაროთა ინტერპრეტაცია", *ანალები, თბ., 2013*, „ყივჩალთა საქართველოში ჩამოსახლების, განსახლებისა და შემდგომი ბედის შესახებ", *მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართულ-თურქული ურთიერთობები" (შუა საუკუნეებში ქართულ-თურქული ურთიერთობები), გორი, 2018*. „Dagli Kafkazya' da Daglirarin Ken Davasi Meselesi"*(სისხლის აღების წესი კავკასიელ მთიელებში), Yeni Türkiye Dergisi, Teminuz-Aralık, №79, Kafkaslar Özel sayisi*, c. IX, Ankara, 2015. 5.სოფლების ისტორიის („ტინისხიდის ისტორია", *გორი 2005*, „ტოპონიმების: „ხიდისთავისა" და „ტინისხიდის" წარმომავლობისა და მათი ლოკალიზაციის შესახებ", *საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის (სამეცნიერო სტატიების კრებული), ტომი 1, თბ., 2019*, „ატენის ქალაქის ადგილმდებარეობისათვის", *ანალები, №16, თბ., 2020*, „ტანას (ატენის) ხეობის დინამიკა (დემოგრაფიული, ეთნიკური და სოციალური ცვლილებები)", *საერთაშორისო ჟურნალი „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია". №3, 2020*. „ატენის ქუეყანა", *საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის (სამეცნიერო სტატიების კრებული), ტომი 2*, თბ., 2020 და სხვ.) შესწავლის მიზნით.

ბატონი იოსების სტატიები სისტემატიურად იბეჭდება ისეთ რეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, როგორებიცაა: „ქართული წყაროთმცოდნეობა", „ანალები", „ისტორიანი", „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია", „Karadeniz" (თურქეთი) და სხვ.

გარდა სამეცნიერო საქმიანობისა, ი.ალიმბარაშვილი აქტიურია საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული საქმიანობის კუთხითაც: სხვადასხვა დროს იყო გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ტინისხიდის საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგი, შემდეგ დირექტორი, ორჯერაა დასახელებული გორისა და გორის რაიონის საუკეთესო პედაგოგად, იყო პრეზიდენტის სტიპენდიანტი პედაგოგი, გორის

სახელმწიფო სასნავლო უნიერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და საბიუჯეტო სამსახურის, ადამიანური რესურსების სამსახურის, კანცელარიის უფროსი, კანცლერი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა და ი. სტალინის მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი, გორის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შესარჩევი კომისიის წევრი, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო საბჭოს წევრი განათლების საკითხებში, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ბრძანებით შექმნილი საქართველოს საპატრიარქოს სოფლების ისტორიის შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრის წევრი და ა. შ.



დიდია ბატონი იოსების ღვაწლი ცნობილი ქართველი არქეოლოგის, დრამატურგისა და ისტორიკოსის დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ისტორიული და ლიტერატურული მემკვიდრეობის კვლევის საქმეში. სწორედ მისი დიდი ძალისხმევით მოხერხდა პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში მარი ბროსეს ფონდში დაცული დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ეპისტოლარული და მემუარული მასალის შესწავლა, საქართველოში ჩამოტანა და მონოგრაფიის სახით გამოცემა. ასევე დიდია ბატონი იოსების როლი დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის საფლავის მოძიების და მოწესრიგების კუთხით.

კონფერენციის პლენარული სხდომის შემდეგ მუშაობა გაგრძელდა ოთხ სამუშაო სექციაში, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს და ქართული ეკლესიის ისტორიის, კავკასიოლოგიის, ეკუმენისტიკის, დიპლომატიის, ემიგრაციის არაერთი აქტუალური და პრობლემატური საკითხი: „გარდამავალი პერიოდის არსი და თავისებურებანი საქართველოში. 1990 წ. 14 ნოემბერი – 1991 წ. 9 აპრილი." (მომხსენებელი ოთარ ჯანელიძე, გორის სახელმწიფო სასნავლო უნივერსიტეტი), „პაპი

გრიგოლ IX ბრწყინვალე რუსუდანს და მის შვილს დავითს. საქართველოს დედოფალს და მეფეს" (მომხსენებელი ელდარ მამისთვალიშვილი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი). ..ზვიად გამსახურდიასა და მიხეილ გორბაჩოვის ურთიერთობათა ისტორიისათვის" (მომხსენებელი ლევან ჯიქია, ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი). „შიდა ქართლის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ისტორიიდან (ქეთევან ჟურული-ნამორაძე)" (მომხსენებელი გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტი), ..ხოვლეს ეტიმოლოგიისათვის" (მომხსენებელი თამარ მესხი, ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი), ..მეფის ბიბლიური მოდელი და სულხან-საბა ორბელიანი" (მომხსენებელი ნესტან სულავა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი), „ქართველთა პოლიტიკურ-რელიგიური და სოციალურ ურთიერთობათა ისტორიიდან (ბოლნისის და მისი რაიონის სოფლების გვარ-სახელთა ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)" (მომხსენებელი დავით შავიანიძე, ა. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). „წმინდა ნინოს ცხოვრების" ბოდლეს ბიბლიოთეკაში დაცული უცნობი მეტაფრასული ხელნაწერი". (მომხსენებელიდავით ყოლბაია, ვარშავის უნივერსიტეტი, პოლონეთი), ..ლეონტი მროველის ცნობათა ანალიზისათვის („თვალი იგი ბივრიტი")" (მომხსენებელი მარიამ ჩხარტიშვილი, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), „ბიჭვინთის ღვთისმშობლის ხატის ისტორიიდან" (მომხსენებელივლადიმერ წვერავა, ა. წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), „რუსული მმართველობის დამყარება ქართლ-კახეთში (სამართლებრივი აქტების მიმოხილვა)" (მომხსენებელი ვახტანგ გურული, ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტი), ..დავით კარიჭაშვილის ისტორიული დისკურსი" (მომხსენებელი ლია კარიჭაშვილი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი). ..რამდენიმე ოსმალური ცნობა სიმონ მეფის გორის ციხისთვის ბრძოლის შესახებ" (მომხსენებელი ზაზა შაშიკაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი), „აფხაზეთი. ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა" (მომხსენებელი ბეჟან ხორავა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი), „დიდგორის ომი ისლამური და ქრისტიანული წყაროების მიხედვით (1121 წ.)" (მომხსენებელი აიშე აიჩიჩეკი, სამსუნი, 19 მაისის უნივერსიტეტი (თურქეთი). ..თამარის მეფობა ისლამური წყაროების მიხედვით", (მომხსენებელი იბრაჰიმ თელლიოღლუ, სამსუნი, 19 მაისის უნივერსიტეტი, თურქეთი), „აჰმედ ჯევდეთ-ფაშას „ოსმალეთის ისტორიის" ცნობები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (კრიტიკული ანალიზის მცდელობა)" (მომხსენებელი ახა კეაშილაია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და სხვ.

კონფერენციაზე ასევე ყურადღება გამახვილდა საქართველო-თურქეთის – ..სელჩუკთა ლაშქრობა საქართველოში და მისი გავლენა სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე" (მომხსენებელი ონურ გუვენი, სამსუნი, 19 მაისის უნივერსიტეტი, თურქეთი). ..თურქეთის ადგილი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში" (მომხსენებელი რუქიე სათან სონმეზი (19 მაისის უნივერსიტეტი – სამსუნი, თურქეთი), „რეცენზია თურქი ავტორის დერია ჩინი შიმშექის წიგნზე: ..საქართველოს ნარმომადგენლობა ანკარაში და თურქულ-ქართული ურთიერთობები" (მომხსენებელი როინ ყავრელიშვილი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი), საქართველო-აზერბაიჯანის („მეცნიერთა როლი აზერბაიჯანულ-ქართულ ურთიერთობებში" (მომხსენებელი მუსა ქასიმლი, აზერბაიჯანის ეროვნული მეცნიერებათა აკადემია, კავკასიის კვლევის ინსტიტუტი), საქართველო-პოლონეთის – „ცნობები საქართველოსა და ქართველების შესახებ ანდჟეი პეპლონსკის ნიგნში „პოლონური დაზვერვა სსრკ-ში 1921-1939" (მომხსენებელი მიხეილ ბახტაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). „პოლონეთის საკონსულო თბილისში 1920-30-იან წლებში" (მომხსენებელი პაველ ლიბერა, პოლონეთის მეხსიერების ინსტიტუტი), საქართველო-უკრაინის – „უკრაინულ-ქართული ისტორიული და კულტურული ურთიერთობები" (მომხსენებელი ფერჰად თურანლი, კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი. უკრაინა) ურთიერთობების დღემდე ნაკლებად ცნობილი და უცნობი საკითხების შესახებ.

სექციებში გაიმართა დისკუსია და არაერთი საყურადღებო მოსაზრება გამოითქვა.

კონფერენცია გაიმართა ონლაინ რეჟიმში „ზუმის" პლატფორმით.

კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებებს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი გამოსცემს სამეცნიერო კრებულის სახით.

















IOSEB (SOSO) ALIMBARASHVILI – 60

Nestan Sulava
Lia Akhaladze

On May 28, 2021, Gori State Teaching University hosted an international scientific conference dedicated to the 60th anniversary of the remarkable Georgian historian, Associate Professor of the University, Ioseb (Soso) Alimbarashvili.

The conference was attended by professors from various Universities of Georgia (Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Saint Andrew the First-Called Georgian University, Ilia State University G. Tsereteli Institute of Oriental Studies, Akaki Tsereteli Kutaisi State University, Sokhumi State University, Samtskhe-Javakheti State University, Batumi Shota Rustaveli State University, Shota Rustaveli Institute of Georgian Literature, International Center for Christian Studies etc.), conference was also attended and participated by scholars from Poland, Ukraine, Azerbaijan and Turkey, a total of 35 participants.

Gori State Teaching University will publish the paper read at the conference.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კავკასიის კარი – საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე“


სოფიო ქადაგიშვილი


2021 წლის 25-27 ივნისს თსუ ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ეგიდით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია: „კავკასიის კარი“ საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე. კონფერენცია ჩატარდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით (BRG BRG-II-19-137) და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანადაფინანსებით. ამას გარდა, კონფერენციის ორგანიზებაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს ეროვნული მუზეუმი და ჰუმანიტარული კვლევების ცენტრი.


კონფერენციის თემატიკა ეხებოდა მეტად მნიშვნელოვან და, შეიძლება ითქვას, საშეცნიერო სივრცეში პრობლემატურ საკითხს. „კავკასიის კარი – საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭე“ მიეძღვნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის (ისტორიული ხევი, თრუსო) სარსულებისა და თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს. ფორუმში მონაწილეობა მიიღო კავკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის სხვადასხვა მიმართულების ოცდასამმა მკვლევარმა საქართველოსა და ახლოგარგარეთის (ესპანეთი, იტალია, გაერთიანებული სამეფო, საფრანგეთი, რუსეთი) აღიარებული სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებებიდან.

კოვიდ პანდემიით გამოწვეული რეგულაციების გამო, გადაწყდა, რომ კონფერენცია ჩატარებულიყო ჰიბრიდულ რეჟიმში. ამიტომაც კონფერენციის უცხოელი მონაწილეები /ათ-ის ახლოები პლატფორმის საშუალებით ჩაერთნენ კონფერენციაში. უხდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სპეციალურად კონფერენციისთვის ჩამოვიდა პარისელისას ავტორიმძღვრი ლინეურისიტეტის პროფესორი ალ. ტი ალეძახი, რაც ძალიან დასაფასებელია არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.









23 ივნისს, კონფერენცია გახსნა თსუ ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა დ. ქეიშვილმა. სტუმრებს მიესალმა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გ. შარვაშიძე. საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნ. მიცკევიჩი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი ჯ. სამუშია, საქართველოს მუზეუმის გენერალური დირექტორი დ. ლორთქიფანიძე, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე დ. ლომიტაშვილი, დავით ბააზოვის სახელობის საქართველოს ებრაელთა და ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა მუზეუმის დირექტორი გ. ღამბაშიძე.

კონფერენცია კონკრეტული პროფილის იყო. შესაბამისად, ღონისძიებაზე თავი მოიყარა მკვლევართა იმ ნაწილმა, რომელიც ისტორიული ხევის, მისი უშუალოდ მიმდებარე მხარეების, დარიალის ხეობის ისტორიით ან ეტიმოლოგიით არის დაინტერესებული. მონაწილეებს აერთიანებდა საერთო კვლევის სფერო, რაც ამ საკითხის ირგვლივ არსებული არა ერთი პრობლემის მეცნიერულად გადაჭრის საშუალებას იძლევა. სამუშაო პროცესი ხელს უწყობდა იდეების გაცვლას. კონფერენციის მონაწილეებმა დაგეგმეს შემდგომი თანამშრომლობის პერსპექტივები. ერთობლივი კვლევების ჩატარება, სამეცნიერო ფორუმების მოწყობა, უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის ერთმანეთისადმი მიწოდების უზრუნველყოფა და სხვა.

კონფერენციის მიზანი მდგომარეობდა შემდეგში: აკადემიური წრეებისა და დაინტერესებული საზოგადოებისათვის ამ რეგიონში უძველესი დროიდან დღემდე მიმდინარე ეთნო-კულტურული და ისტორიული პროცესების ობიექტურად გაშუქება; აღმოსაველეთ საქართველოს მთიანეთის როლის, აქ არსებული საკომუნიკაციო სისტემების მნიშვნელობის წარმოჩენა კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით და სამხრეთით ისტორიულად არსებული ცივილიზაციების, ბინადარი და ნომადური კულტურის მატარებელი ხალხების, ავტოქთონი და სხვადასხვა დროს მოსული ეთნოსების ურთიერთობაში და ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტორიაში; ეროვნული და საერთაშორისო აკადემიური წრეების თანამშრომლობის გაღრმავება. ერთობლივი კომპლექსური კვლევითი პროექტების დაგეგმვა: კაეკასიოლოგიისა და ქართველოლოგიის ინტერნაციონალიზაცია და პოპულარიზაცია.











კონფერენციის მასალები, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით, გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე და ხელმისანვდომია, როგორც სამეცნიერო საზოგადოებისათვის, ისე პრობლემით დაინტერესებული ყველა პირისათვის (იხ. caucasiangate.tsu.ge).

კონფერენციამ ხელი შეუწყო ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის პოპულარიზაციას, სამეცნიერო მოსაზრებების ურთიერთგაცვლას, საფუძველი ჩაუყარა მომავალ თანამშრომლობას.


















AN INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE "THE CAUCASIAN GATES NORTHERN OUTPOST OF GEORGIA"

Sopio Kadagishvili

Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology hosted an international scientific conference "Caucasian Gates – Northern Outpost of Georgia". The conference was held in Tbilisi, Georgia, on 25-27 June, 2021. The conference was funded by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (project N. BRG BRG-II-19-137) with co-funding of National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia.

The conference had of a specific profile, therefore, the event brought together a group of scholars who are interested in the history of the historical gorge and its immediate vicinity, history or etymology of the Dariali Valley. Participants combine a common field of research that allowed to solve a number of scientific problems

around this issue. The work process facilitated to exchange ideas. The conference participants planned perspectives for further cooperation, conducting joint research, organizing scientific forums, ensuring the delivery of the latest scientific literature and etc. A prerequisite for the internationalization of the conference results is the dissemination of bilingual conference materials (both in print and online), which are not only available on the conference website (caucasiangate.tsu.ge), but its online version can be find at library of the University of Naples: http://sebinayou.unior.it/opac/resource/saertasoriso-samecniero-konperencia-kavkasiis-kari-sakartvelos-crdiloeti-karibce-2527-ivnisi-2021-ma/UON0505780?locale=eng&tabDoc=tabcata.

In the future, the continuation of cooperation, interdisciplinary approach to the research, planning and conducting various scientific forums and internationalization will contribute to the scientific elaboration of a number of necessary issues in Kartvelology and Caucasiology.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია

მარიამ ჩხარტიშვილი
ზურაბ თარგამაძე



2020 წლის 23 დეკემბერს გაიმართა იეანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია ჩატარდა Zoom პლატფორმის მეშვეობით.

ღონისძიებას უძღვებოდა იეანე ჯავახიშეილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართეელოს ისტორიისა წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღეანელი მარიამ ჩხარტიშეილი. კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყეით მიმართა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ჭეიშვილმა.

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების წევრების გარდა კონფერენციას დაესწრნენ და მასში მონაწილეობა მიიღეს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სხეა განყოფილებების თანამშრომლებმა. საქართეელოს სხვადასხეა სასწავლო და კელეევით ცენტრებში თუ დამოუკიდებლად მოღეანე მეცნიერებმა. ივანე ჯავახიშეილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხეა საფეხურის სასწავლო პროგრამების სტუდენტებმა.


კონფერენციაზე წაკითხულ იქნა სულ ცამეტი მოხსენება: გ. ჭეიშეილი. ,,გიორგი და არაეესი: ნარკვევი ქვემო ქართლის ისტორიული გეოგრაფიიდან"; ლ. ჯანიაშვილი. ,,საეელე ეთნოგრაფიული მასალა როგორც საისტორიო წყარო"; მ. ჩხარტიშეილი, მ. ახელედიანი. ,,ფეისბუკი როგორც წყარო ქართული იდენტობის შესწავლისათვის (პრობლემის დასმა და კელეეის მეთოდების განმარტება)"; დ. სილაქაძე. ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის წყაროების ელექტრონული ხელმისაწვდომობა"; გ. ჩხატარაშვილი. არქეოლოგიური არტეფაქტი – ინფორმაციის მიღების წყარო (სოფ. ქობულეთის 2019 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგების მიხედვით); ე. კვაჭანტირაძე. სასაზღვრო კონფლიქტები სომხეთში და თანამედროვეობა"; ს. ქადაგიშეილი. კულტურული საზღერის ელემენტები XI საუკუნის ქართულ ჰაგიოგრაფიაში"; ლ. მირიანაშვილი. ,,მიტროპოლიტ იოანე ბოდბელის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ისტორია"; ა. თეარაძე. ,,სამხედრო დაპირისპირებები ქართველებსა და მონღოლებს შორის 1120-1121 წლებში და წყაროების განსხეავებული მონაცემების შეჯერების მცდელობა"; ზ. თარგამაძე. ,,ქართული პოლიტიკური აზრის განვითარება XII-XIII საუკუნეებში: თამარ მეფის სახე ქართულ საისტორიო მწერლობაში და პოლიტიკური პერცეფციები"; ქ. ქუთათელაძე. ,,ქონების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია ,,ქართლის ცხოვრების" მიხედვით და მისი ძეელი ქართული შესატყვისები"; მ. გოგოლაძე. ,,საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების სათავეებთან"; პ. გაბისონია. ,,მურღულის ხეობის ისტორიული გეოგრაფიიდან".

ღონისძიება გამორჩეული იყო თემათა მრავალფეროვნებით, მოხსენებები უკავშირდებოდა სხეადასხეა სამეცნიერო სფეროს: ისტორიას, ეთნოლოგიას, არქეოლოგიას, წყაროთმცოდნეობას, ისტორიულ გეოგრაფიას, იდენტობრივ კელევებს, ციფრულ ჰუმანიტარიას.

არაერთი საკითხის გარშემო კონფერენციაზე გაიმართა ცხოველი დისკუსია. მსმენელთა დიდი დაინტერესება გამოინვია პრობლემამ, რომელიც ფეისბუკის საისტორიო წყაროდ გამოყენებას უკავშირდება. მ. ჩხარტიშვილმა ყურადღება გაამახვილა იმ უსიამოვნო ინციდენტზე, რომელიც მას შეემთხვა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე, როცა საბჭომ მისი დოქტორანტის სადოქტორო დისერტაციის თემის დამტკიცების საკითხი სამჯერ ჩააგდო მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ნაშრომი უნდა დაფუძნებოდა ფეისბუკს. როგორც საისტორიო წყაროს, მ. ჩხარტიშვილმა განმარტა, რომ იდენტობის ისტორიის თანამედროვე ეტაპის შესწავლისათვის ფეისბუკი არის შეუცვლელი პირველწყარო, რამდენადაც ის ასახავს საზოგადოებრივ პერცეფციებს. საერთოდაც საქართველოს ისტორიის უახლესი პერიოდის ბევრი საკითხის კვლევა დღეს შეუძლებელია ფეისბუკის მოსაცემების გათვალისწინების გარეშე.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვალერი ვაშაკიძემ.

დაიბეჭდა კონფერენციის პროგრამა და მოხსენებათა თეზისები (ISBN 978-9941-8-2923; DOI: 10.6084/m9.figshare.13377176), რომლის რედაქტორია ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის „საქართველოს ისტორია და წყაროთმცოდნეობა“ დოქტორანტი სოფიო ქადაგიშვილი.







ANNUAL CONFERENCE OF THE DEPARTMENT OF MEDIEVAL HISTORY OF GEORGIA AND SOURCE-STUDIES OF THE IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY

Mariam Chkhartishvili
Zurab Targamadze

On December 23, 2020, the annual conference of the Department of Medieval History of Georgia and Source-Studies of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology was held in a mixed format. The event was opened and chaired by Mariam Chkhartishvili, the head of the Department of Georgian Medieval History of Georgia and Source-Studies. The director of the Institute of History and Ethnology Giorgi Tchelishvili delivered welcoming speech.


The conference was participated and attended by representatives of several universities and research institutes, by independent researchers and Ivane Javakhishvili Tbilisi State University students. In total there were presented thirteen papers dealing with many subject areas including history, ethnology, archaeology, historical geography, digital humanities, source-studies, identity-studies.

The conference was summarized by deputy director of the Institute of History and Ethnology by Valeri Vashakidze.

The conference program and abstracts (ISBN 978-9941-8-2923; DOI:10.6084 m9.figshare.13377176) were published under the editorship of Sopio Kadagishvili - the research fellow at the Department of Georgian Medieval History of Georgia and Source-Studies and doctoral student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University.


ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXII ტომის პრეზენტაცია

მარიამ ჩხარტიშვილი
ზურაბ თარგამაძე



2021 წლის 13 თებერვალს, გაიმართა ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ XXII ტომის პრეზენტაცია. პანდემიის გამო, განსხვავებით სხვა წლებისაგან, ამჯერად ჟურნალის პრეზენტაცია ჩატარდა Zoom-ის პლატფორმაზე. მიუხედავად ამისა, ღონისძიება ძალიან ინტერაქციული გამოვიდა. მას ესწრებოდნენ საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო კვლევითი ცენტრების წარმომადგენლები, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

ღონისძიებას უძღვებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგე, ჟურნალ „ქართული წყაროთმცოდნეობის“ რედაქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი. პირველმა სწორედ მან მიმართა სიტყვით შეკრებილ საზოგადოებას და გააცნო მათ სხდომის დღის წესრიგი. ხაზი გაესვა „ქართული წყაროთმცოდნეობის“, როგორც ერთ-ერთი მთავარი ქართული პერიოდული გამოცემის მნიშვნელობას, მის ისტორიას და თანამედროვე გამოწვევებს. ჟურნალის XXII ტომის რედაქტორმა, ზურაბ თარგამაძემ წარმოადგინა ჟურნალის ახალი ნომერი, რედკოლეგიის წევრმა სოფიო ქადაგიშვილმა ისაუბრა ჟურნალის სამომავლო გეგმების შესახებ, ავტორებს და დამსწრე საზოგადოებას ამცნო მოსალოდნელი ცვლილებების თაობაზე.



შეხვედრის მიმდინარეობისას მსჯელობა შეეხო ზოგადად ქართული სამეცნიერო პერიოდული გამოცემების წინაშე არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებს. ამ მიმართულებით მოსაზრებები გამოთქვეს და შეხვედრის მონაწილეებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების პერიოდული სამეცნირო გამოცემების რედაქტორებმა და რედკოლეგიის წევრებმა: ალექსანდრე თვარაძემ (ჟურნალი „ქრონოსი“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი), მანუჩარ გუნცაძემ (ჟურნალი “Scientia”, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი სოსიაშვილმა (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“).


მიუხედავად პანდემიისა, ჟურნალის XXII ტომიც ტრადიციულად მოცულობითი გამოვიდა. ჟურნალის ამოცანა, რომ ასახოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ქართველოლოგიურ პრობლემებთან, აგრეთვე ზოგადად ჰუმანიტარულ კვლევებთან დაკავშირებული მნიშ-

უნელოვანი სამეცნიერო მოვლენები. ამჯერადაც შესრულდა. აღნიშული ნომერიც წარმოდგენილია: ისტორიულ-ნყაროთმცოდნეობითი კვლევების, თეორიული და ინტერდისციპლინური კვლევების, ნყაროთა წარდგინების, ნიგნების მიმოხილვის, ქრონიკისა და ხსოვნის რუბრიკებით. ჯამში ორ ათეულზე მეტი სტატია შეკიდა XXII ტომში, რომელთა თემატიკა გამოირჩევა მრავალფეროვნებით.

სიტყვით გამოვიდნენ დოქტორი ლადო მირიანაშვილი, ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, ისტორიის დოქტორი დავით მერკვილაძე, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ლია ახალაძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნუგზარ მგელაძე, ისტორიის დოქტორი მიხეილ ქართველიშვილი, გორის სახელმწიფო სასნავლო უნივერსიტეტის პროფესორი იოსებ ალიმბარაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ჭალერი ვაშაკიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის „ისტორია", სამაგისტრო პროგრამის „საქართველოს ისტორია", სადოქტორო პროგრამის „საქართველოს ისტორია და ნყაროთმცოდნეობა" სტუდენტები. მეხუთდღიან მოსანილეებმა გამოხატეს საკუთარი თვალსაზრისი ქართული სამეცნიერო პერიოდული გამოცემების სიხშირეზე არსებული გამოწვევების შესახებ. დააფიქსირეს დადებითი დამოკიდებულება კონკრეტულად ჟურნალ „ქართული ნყაროთმცოდნეობის" მიმართ და გამოთქვეს მომავალშიც ამ სამეცნიერო მედიასთან თანამშრომლობის სურვილი.

პრეზენტაციაზე დისკუსიურად საუბრები იქნა. ხოლო შემდგომ ჟურნალის რედკოლეგიამ ყველაზე ცრურწმენ ავტორებს ფისტით გაუგზავნა სამახსოვრო საჩუქრები.

ღონისძიების გასვლის თარიღის ორ ათეული, შემაჯამებელი სიტყვა წარმოთქვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ფეიქრიშვილმა.



PRESENTATION OF SCIENTIFIC JOURNAL "GEORGIAN SOURCE-STUDIES" (VOLLUME 22)

Mariam Chkhartishvili
Zurab Targamadze


On February 13, 2021, the presentation of the 22 volume of the scientific Jurnal "Georgian Source-Studies" was held. Due to the pandemic, the journal was presented on the Zoom platform. However, the event was interactive and attended by representatives of various universities and scientific research centers of Georgia, as well as students of Ivane Javakhishvili Tbilisi State University. The event was opened by the Head of the Department of medieval history of Georgia and source-studies at the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, editor-in-chief of the Journal "Georgian Source-Studies", Professor of Tbilisi State University Mariam Chkhartishvili. Zurab Targamadze, the editor of the volume, presented the journal. Sopio Kadagishvili, a member of the editorial board, spoke about the future plans of the journal.


During the event, members of the journal's editorial board, authors and other participants of the event, including students, expressed their views and their hope for the future cooperation with the journal.

წმინდა გრიგოლ ფერაძის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისადმი

მარიამ ჩხარტიშვილი
სოფიო ქადაგიშვილი

გრიგოლ ფერაძე არის დიდი ქართველი მეცნიერი და საქართველოს ეკლესიის წმინდანი. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ის იძულებული გახდა საქართველოდან ნასულიყო (ბოლშევიკურ რეჟიმს განირიდებოდა) და ევროპისათვის შეეფარებინა თავი. აქ იგი აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა, ყველგან ეძებდა და აგროვებდა ქართულ ხელნაწერებს, იკვლევდა მათ. შემდეგ კი უფლისმიერი ხილვის შედეგად საერო ცხოვრებას ჩამოშორდა და ბერად აღიკვეცა. სამწუხაროდ, ტოტალიტარული რეჟიმმა ის ევროპაშიც არ მოასვენა. გრიგოლ ფერაძე პოლონეთში იმყოფებოდა, როცა გერმანელმა ნაცისტებმა პოლონეთის ოკუპაცია მოახდინეს. გრიგოლ ფერაძეს, როგორც უცხოელს, მიეცა ნება ქვეყანა დაეტოვებინა, მაგრამ მან პოლონეთი არ დატოვა. არც ნაცისტებთან თანამშრომლობა ისურვა, პირიქით, ნაცისტებისაგან შევიწროვებულ ებრაელებს მფარველობდა. ამის გამო მალე საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა და გაზის კამერაში დაასრულა სიცოცხლე. გადმოცემით, ის კამერაში ერთ-ერთი მრავალშვილიანი ებრაელის მაგივრად შევიდა, რათა ეხსნა მოყეასის სიცოცხლე და თავი არ მოეძრიკა ბოროტების წინაშე. აი, ამ დიდ ქართველსა და დიდ ადამიანს 2019 წელს დაბადებიდან 120-ე წლისთავი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის კონფერენციებს მიეცეს რეგულარული ხასიათი და ისინი ყოველ ორ წელინადში გაიმართოს.






2021 წლის 20-21 სექტემბერს ჩატარებულმა საერთაშორისო კონფერენციამ სწორედ 2019 წლის წამოწყება გააგრძელა. ამ კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპისმცოდნეობის ცენტრი, რომის საპიენცას უნივერსიტეტის ევრაზიასა და ხმელთაშუა ზღვისა და სუბსაჰარულ აფრიკასთან თანამშრომლობის კვლევითი ცენტრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და წმიდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძის საზოგადოება.

ამჯერად წმინდა გრიგოლ ფერაძის კონფერენცია მიეძღვნა საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფაქტს – დიდგორის ბრძოლას. როგორც ცნობილია, ეს ბრძოლა 1121 წლის 12 აგვისტოს გაიმართა დიდგორის ველზე. მომხვდურ თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ქართველებს სარდლობდა საქართველოს დიდი მეფე დავით აღმაშენებელი (წმინდა მეფე დავით აღმაშენებელი), რომელმაც დიდგორის ბრძოლა თავიდანვე გაიაზრა, როგორც კეთილის ბოროტთან შერკინების დიდი ნარატივის განუყოფელი ნაწილი. ამ ბრძოლის იდეოლოგიურ ფონს კარგად აჩვენებს წარწერა დავითის მონეტაზე „მესიის მახვილი“, რაც დავითისა და ქართველების ხელით ქრისტეს მისიის აღსრულებას გულისხმობს. ამგვარად, წმინდა გრიგოლ ფერაძის წინააღდგომა ბოროტებისადმი და წმინდა

დავით აღმაშენებლის ბრძოლა სელჩუკთა წინააღმდეგ, ორიენ კეთილისა და ბოროტის ზოგადსაკაცობრიო ბრძოლის ხანგრძლივი ისტორიის ეპიზოდებია, მიუხედავად იმისა, რომ დიდია მათ შორის ქრონოლოგიური მანძილი და კონკრეტული ვითარებანიც, რომელშიც ეს კოლიზიები განვითარდა, სრულიად განსხვავებული. დიდგორის ბრძოლაში ქართველთა გამარჯვებამ განაპირობა საქართველოს პოლიტიკური გაძლიერება, პან-კავკასიური ამბიციების მქონე ქართული სახელმწიფოს შექმნა. პოლიტიკურ პროცესს თან სდევდა ქართული ერთობის შიდა ჯგუფური მობილიზების გაძლიერება და ქართული წინარე მოდერნული ერის ჩამოყალიბება. ქართული კულტურის განვითარებამ მიაღწია პიკს. ამის შედეგად დაეთის ეპოქა ქართველთა კოლექტიურ შეხსიერებას შემორჩა, როგორც საქართველოს ისტორიის ოქროს ხანა. დიდგორის ბრძოლა დღეს ქართული იდენტობრივი ნარატივის ერთ-ერთი უმთავრესი თემაა და მისი ხსოვნა, მიუხედავად 900 წლის გასვლისა, ისარჩუნებს ქართველთა ეროვნული თვითცნობიერების გამაძლიერებელი ფაქტორის მნიშვნელობას.







კონფერენციის მუშაობას ნარმართავდა *საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტი* (გიორგი ჭეიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი – თავმჯდომარე; დავით ყოლბაია – ვარშავის უნივერსიტეტი, აღმოსავლეთ ევროპისმცოდნეობის ცენტრი; ანდრეა კარტნი – რომის საპიენცას უნივერსიტეტი, ევრაზიასა და ხმელთაშუა ზღვისა და სუბსაჰარულ აფრიკასთან თანამშრომლობის კვლევითი ცენტრი; როინ მეტრეველი – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია; რომანოზ ფერაძე – წმიდამღვდელმონამე გრიგოლ ფერაძის საზოგადოება; შალვა გლოველი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; მანუჩარ გუნცაძე – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი; ვალერი ვაშაკიძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; ზურაბ თარგამაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; სოფიო ქადაგიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; მარიამ ჩხარტიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ნათია ჯალაბაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი) და *საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტი* (ივან ბილიარსკი – ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიული კვლევების ინსტიტუტი; ზაურ გასიმოვი – ბონის უნივერსიტეტი; ვერნერ ზაიბტი – ავსტრიის მეცნიერებათა აკადემია; ალექსანდრე თვარაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; გორ მარგარიანი – სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი; ჰენრიკ პაპროცკი – ვარშავის წმინდა გრიგოლ ფე-

რაძის ეკლესია; ჯაბა სამუშია – მოთა რუსთაველის საქართველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი; ანდრეი ტიმოტინი – რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის კვლევების ინსტიტუტი; მაგია კორიატი – ბარსელონას უნივერსიტეტი; ლარისა ჩხარტიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; გიორგი ცქიტიშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი; ვლადიმერ ქელეშაძე – ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში; ლავრენტი ჯანიაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი).







კოსტერენკოვაში მონაწილეობის საერთოდ გამოცდილება მოგვიანებით მქონდა. საბოლოოდ კონფერენციის პროგრამაში იქნა ორმოცდაათზე მეტი მოხსენება. ეს იგულისხმება პლანარულ სხდომაზე, სექციურ სხდომებზე, ფრგვალი მაგიდის ფორმატში წარმოდგენილი მოხსენებები. მომხსენებელთა რიცხვი კი გაცილებით მეტი იყო, რადგან ზოგ მოხსენებას ერთზე მეტი ავტორი ჰყავდა. კონფერენცია რეალურად გახლდათ საერთაშორისო არა მარტო იმ აზრით, რომ მას ნარმართავდა საერთაშორისო საორგანიზაციო კომიტეტი და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტი, არამედ იმ აზრითაც, რომ უცხოელ მონაწილეთა რაოდენობა ბევრად აღემატებოდა ადგილობრივ მონაწილეთა რაოდენობას. ამაზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ქართულ სინამდვილეში ხდება ალრევა და რეალურად ადგილობრივ კონფერენციებს საერთაშორისო მონაწილეობით (ერთი ან ორი, ან ოდნავ მეტი უცხოელი მომხსენებლის ჩართვას ვგულისხმობთ) წარმოადგენენ როგორც საერტასორისო კონფერენციას. საერთაშორისო კონფერენციად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის კონფერენციები, რომელთაც ნარმართავენ საერთაშორისო საორგანიზაციო და სამეცნიერო კომიტეტები და რომელთა მონაწილეების ნახევარზე მეტი მაინც ადგილობრივი არაა. ნმინდა გრიგოლ ფერაძის მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიძღვნილი დიდგორის ბრძოლის 900 წლისთავისადმი სწორედ ასეთი ანუ ნამდვილი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი იყო და ამ ფაქტს უნდა გაესვას ხაზი. კერძოდ, ამ კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერები შემდეგი ქვეყნების წამყვანი უნივერსიტეტებიდან და კელევითი ინსტიტუტებიდან: ავსტრია, აზერბაიჯანი, ამერიკის შეერთებული შტატები, ბულგარეთი, გერმანია, ესპანეთი, იტალია, იაპონია, ისრაელი, რუმინეთი, რუსეთი (საკუთრივ რუსეთი, აგრეთვე რუსეთში შემავალი დაღესტნის რესპუბლიკა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკა), საფრანგეთი, საქართველო, სომხეთი. ქალაქებისა და დანესებულებების ჩამონათვალი, რომელთაც ეს მეცნიერები წარმოდგენდნენ, ცხადია, ქვეყნების ჩამონათვალზე ბევრად მეტია.


ჰუმანიტარული პროფილის ინტერდისციპლინური კონფერენცია ქრონოლოგიურად მოიცავდა გვიან ანტიკურობას და შუა საუკუნეებს, კონკრეტულად, IV - XV საუკუნეებს. კონფერენციას





























ჰქონდა ოთხი თემატური ფოკუსი: *საქართველოს კავკასიური სამეფო, ქრისტიანობა და ისლამი. ბინადარნი და მომთაბარეები. სამხედრო ხელოვნება.*

კონფერენცია გაიხსნა 2021 წლის 20 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში. ის გახსნა ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა გიორგი ჭეიშვილმა. სტუმრებს მიესალმნენ და კონფერენციას წარმატებები უსურვეს ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნუნუ მიცკევიჩმა; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორმა ჯაბა სამუშიამ; რომის საპიენცას უნივერსიტეტის ევრაზიასა და ხმელთაშუა ზღვისა და სუბსაჰარულ აფრიკასთან თანამშრომლობის კელეეითი ცენტრის დირექტორმა ანდრეა კარტნიმ; რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის ფედერალური კელეეითი ცენტრის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა რამაზან აბდულმაჟიდოვმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა როინ მეტრეველმა. რ. მეტრეველმა აგრეთვე, წაიკითხა მოხსენება ,,ძლევაი საკვირველი''. ამის შემდგომ მუშაობა გაგრძელდა სექციებში. პირველ დღეს ჩატარდა ოთხი სექციური სხდომა.

21 სექტემბერს ჩატარდა კონფერენციის ბოლო სხდომა. მას თავმჯდომარეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესორი მარიამ ჩხარტიშვილი და რომის საპიენცას უნივერსიტეტის პროფესორი ანდრეა კარტნი. ეს ამ კონფერენციის ყველაზე ხანგრძლივი სხდომა აღმოჩნდა. ამ სხდომაზე კონფერენციის შესახებ აზრი გამოთქვეს კონფერენციის მონაწილეებმა. მათ გამოხატეს თავიანთი მადლიერება კონფერენციის ორგანიზატორების მიმართ. კონფერენცია შეაჯამეს მარიამ ჩხარტიშვილმა და ანდრეა კარტნიმ.

კონფერენცია ჩატარდა ჰიბრიდული ფორმატით. მომხსენებლთა ნაწილი შეიქრიბა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ნაწილი კი კონფერენციაში მონაწილეობას იღებდა ზუმის მეშვეობით. მუშაობა წარიმართა ორ პარალელურ სექციაში. სულ ჩატარდა ექვსი სხდომა: ერთი პლენარული და ხუთი სექციური. პლენარული სხდომა იყო ჰიბრიდული ფორმატის, სექციური სხდომებიდან ოთხი ასევე იყო ჰიბრიდული და ერთი მთლიანად ონლაინ შეხვედრა იყო. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უცხოელ მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მიუხედავად პანდემიისა, საქართველოს ეწვია და უშუალო მონაწილეობას იღებდა კონფერენციის საქმიანობაში. მათი დაბინავება და ქვეყნის შიგნით ტრანსპორტირება უზრუნველყო ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ისევე როგორც კონფერენციის დღეებში მონაწილეთა კვება და კულტურული პროგრამა.

კულტურული პროგრამა კი, მართლაც, გამორჩევით საინტერესო იყო. ქართველ და უცხოელ მეცნიერებს საშუალება მიეცათ არაფორმალურ ვითარებაში გაეცვალათ აზრები. სამადლობელი წერილების მიხედვით, რომელიც უკვე მოუვიდათ კონფერენციის ორგანიზატორებს, კონფერენციის მონაწილეთათვის დაუვიწყარი იქნება არა მარტო თავად კონფერენცია, არამედ სოციალური პრო-

გრამაც. ექსკურსიები კახეთში და მცხეთაში.

დაიბეჭდა კონფერენციის ბანერი. კონფერენციის პროგრამა. მოხსენებათა მოკლე შინაარსები ქართულ და ინგლისურ ენებზე. ეს გამოცემა A4 ფორმატის 200 გვერდზე მეტია. მისი რედაქტორია მარიამ ჩხარტიშვილი. ხოლო სარედაქციო ჯგუფის წევრები არიან შალვა გლოველი, მანუჩარ გუნცაძე, ზურაბ თარგამაძე, სოფიო ქადაგიშვილი, ნათია ჯალაბაძე.

ბანერის, პროგრამის გარეკანისა და მოხსენებათა მოკლე შინაარსების კრებულის გარეკანის დიზაინი ეკუთვნის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის ნევრს მანუჩარ გუნცაძეს. შესანიშნავმა გაფორმებამ თავისი განუმეორებელი ხიბლი მიანიჭა კონფერენციას. ამ გამოცემებთან ერთად რეგისტრაციის დროს მონაწილეებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები კონფერენციის სიმბოლიკით, აგრეთვე ნიგნები: უნივერსიტეტის ისტორიის შესახებ, ჟურნალების ..ქართული ნყაროთმცოდნეობა" და ..სიენცია" უახლესი ნომრები, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მონოგრაფიები.



SAINT GRIGOL PERADZE 2ND INTERNATIONAL SCIENTIFIC CONFERENCE DEDICATED TO THE 900TH ANNIVERSARY OF THE BATTLE OF DIDGORI

Mariam Chkhartishvili
Sopio Kadagishvili

On September 20-21, 2021, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology hosted the Saint Grigol 2nd International Scientific Conference, dedicated to the 900th anniversary of the Battle of Didgori.

The conference was organized by Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology with co-organizing of University of Warsaw, Research Center for Cooperation with Eurasia and the Mediterranean and

Sub-Saharan Africa, Sapienza University of Rome, Georgian National Academy of Sciences and Society of Saint Archimandrite Grigol Peradze.

The conference had the international Scientific and Organizing Committees.

The conference covered the period from the Late Antiquity to the Middle Ages, specifically, the 4th-15th centuries.

The conference has four thematic focuses:

– Caucasian Kingdom of Georgia
– Christianity and Islam
– Residents and Nomads
– Martial Art

The announcement of the conference had a great response. The papers were received from various countries. At the conference were made dozens of presentations from many countries among them from Armenia, Austria, Azerbaijan, Bulgaria, France, Germany, Israel, Italy, Japan, Romania, the Russian Federation (also participants from the The Karachay-Cherkess and Dagestan Republics), Spain, the United States and, of course, papers were received from different Georgian research and educational institutions.

The conference was held in a hybrid style. Most of the foreign participants, despite the difficulties, managed to come to Georgia and participate in the event.

The conference organizers tried their best for the conference participants to create an environment that would allow them to work efficiently and interestingly.

on June 22, after two days of fruitful work, an excursion to Kakheti was organized for foreign participants. Visiting the historical monuments together and having a family dinner brought the conference participants closer that allow them plan cooperation in a future.

ინფორმაცია
INFORMATION


დავით გარეჯის სატორგის ქვაბოვანი კომპლექსის უცნობი გუმბათიანი ეკლესია (საინფორმაციო სტატია)

ანზორ მჭედლიშვილი

დავით გარეჯის ერთ-ერთი ნამონასტრალის სატორგედ ცნობილი კომპლექსი მდებარეობს კახეთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტში, მდინარე იორის მარჯვენა ნაპირას, დალის წყალსაცავის მიმდებარედ. კომპლექსი ე. წ. ყაჯირის მთის ქედებზე, კლდეშია გამოკვეთილი, სიგრძეში დაახლოებით ათიოდე კილომეტრზეა გაშლილი. სატორგეს კომპლექსი დავით გარეჯის დღემდე დაფიქსირებულ მონასტრებთან შედარებით უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. ყაჯირის მთა ყველაზე მაღალ წერტილს წარმოადგენს და ერთ-ერთ ქედზე დაფიქსირებულია კოშკის ნაშთი, დიდად სავარაუდოა, რომ სატორგეს კომპლექსი, ისტორიის გარკვეულ ეპიზოდში სამხედრო-სტრატეგიულ ან საერო ფუნქციასაც ასრულებდა.

საფუძვლიანი კვლევა სატორგეს კომპლექსის შესახებ, ჯერჯერობით, არ ჩატარებულა. დღეისათვის სამეცნიერო წრეებისათვის ცნობილია სატორგეს სამი ძირითადი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი.

სატორგეს აქამდე ცნობილი კომპლექსების მონახულების მიზნით, 2020 წლის 9 თებერვალს ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის“ მიერ განხორციელდა მცირე ექსპედიცია, რა დროსაც ცენტრის ისტორიულ-კულტურული ძეგლების მონიტორინგის პროგრამების ხელმძღვანელმა ანზორ მჭედლიშვილმა, ფოტო გადაღებისას დააფიქსირა კლდეში ნაკვეთი გუმბათიანი ეკლესია. იგი მდებარეობს ყაჯირის მთის ერთ-ერთ მაღალ ქედზე (კოორდინატებია: 41.30897, 45.84258).



2020 წლის თებერვალშივე დაიგეგმა კიდევ ერთი გასვლა აღნიშნული ეკლესიის მოსანახულებლად. პარალელურად მიმდინარეობდა სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავება ეკლესიის შესახებ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაციის მოსაპოვებლად. თუმცა, 2020 წლის თებერვლის თვეში განხორციელებული ექსპედიციისას, რთული რელიეფის გამო ეკლესიაში შესვლა სამთო-ალპინისტური აღჭურვილობის გარეშე ვერ მოხერხდა. ხოლო კოვიდპანდემიით გამოწვეული შეზღუდვების მიზეზით შემდგომი ექსპედიციის განხორციელება გადაიდო მომავალ წლამდე.

სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისა და სპეციალისტებთან კონსულტაციის შედეგად აღმოჩნდა, რომ სატორგეს კომპლექსის ეს გუმბათიანი ეკლესია უცნობი იყო, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე სპეციალისტებს შორის.

2021 წლის 25 აპრილს განხორციელდა მორიგი ექსპედიცია, ამჯერად შესაბამისი სამთო-ალპინისტური აღჭურვილობით. კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა ვასილ ჭიჭალუამ, საკმაოდ რთული რელიეფის მიუხედავად, მოახერხა აღნიშნულ ეკლესიაში შესვლა.

კლდეში ნაკვეთი უნიკალურია მისი მოყვანილობით და მხატვრული გაფორმებით. შემორჩენილ ეკლესიას ოთხკუთხა ფორმა აქვს და სამხრეთით, კლდეში გაჭრილი კარით უკავშირდებოდა დანარჩენ ქვაბულებს. დღეისათვის ვიზუალური დაკვირვებით, ამჟამად ზემოხსენებული კარიც ამოქოლილია ნაშალი მასალით და გვერდით ნაგებობებში გასვლა შეუძლებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვერდითი ნაგებობების კვალი დაფიქსირებულია ფოტოებზეც, თუმცა ისინიც სრულად ამოვსებულია ნაშალი მასალით ან დიდწილად ჩამონგრეულია. ამჟამად ეკლესიის აღმოსავლეთის მხარე ჩამონგრეულია და საკურთხევლის ფორმის აღდგენა შეუძლებელია. ეკლესიის ინტერიერში ნალესობის, კედლის მხატვრობის, წარწერების ან სხვა სახის კვალი არ შეიმჩნევა. კედლები თანაბარი სიგრძისაა. თითოეული კედელი ორსაფეხურიანი, დეკორატიული თაღითაა მოჩარჩოებული.

ეკლესიის ზომები:

ცენტრალური ღერძი აღმოსავლეთიდან (ჩამონგრევის ზოლიდან) დასვლეთისკენ – 4,4 მეტრი.

ცენტრალური ღერძი სამხრეთიდან (კედლებს შორის მანძილი, თაღების ცენტრები) ჩრდილოეთისკენ – 4,6 მეტრი.

დიაგონალური ღერძი ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხიდან სამხრეთ-დასავლეთის კუთხისკენ (თაღების გადაკვეთის წერტილში) – 4,76 მეტრი.

დიაგონალური ღერძი სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხიდან ჩრდილო-დასავლეთის კუთხისკენ (თაღების გადაკვეთის წერტილში) – 4,80 მეტრი.

სამხრეთის კედლის თაღის შიდა სიგანე – 2,4 მეტრი.

დასავლეთის თაღის შიდა სიგანე – 2,7 მეტრი.

გუმბათის ყელის მეორე იარუსის (16 ჩაკვეთილი ნახევარსფეროთი) ჩრდილოეთ კედელი – 3,2 მეტრი.

გუმბათის ყელის მეორე იარუსის (16 ჩაკვეთილი ნახევარსფეროთი) დასავლეთის კედელი, დაახლ. – 3,30 მეტრი.

სიმაღლე იატაკიდან გუმბათის კონუსის ზედა წერტილამდე – 5.1 მეტრი.

სიმაღლე იატაკიდან გუმბათის ძირამდე – 3,8 მეტრი.

სამხრეთიდან შემომავალი კარის სიგანე – 1,2 მეტრი.

სამხრეთიდან შემომავალი კარის სიმაღლე – 1,6 მეტრი.

ნაშალი მასალის მოცულობა იატაკზე მის სიმაღლეს წევს, დაახლოებით 0,6-1 მეტრით.

დარბაზი დასრულებულია კონუსისებრი გუმბათით, რომელიც სამსაფეხურიან გუმბათის ყელშია ჩასმული. გუმბათის პირველი საფეხური ვიწრო და სადაა. მეორე საფეხური 16 ჩაკვეთილი ნახევარსფეროთია გაფორმებული (აქედან ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ თოთხმეტი. სავარაუდოა, რომ აღმოსავლეთის კედელიც სხვა კედლების ანალოგიური იქნებოდა), მესამე საფეხური კი კუთხეებში ჩაკვეთილი 4 წვეთისებური ფორმის სიღრმით (ოთხი მახარებლის სიმბოლური მნიშვნელობა?). ეკლესიის ამ თავისებურების ზუსტი ანალოგი, დღემდე ცნობილ კლდეში ნაკვეთ ეკლესიებს შორის, არ მოიძებნებება. შესაბამისად სატორგეს კომპლექსის ეს ახლად გამოვლენილი გუმბათიანი ეკლესია ამ მხრივ უნიკალური ძეგლია.

სამომავლო კვლევის საგანს აგრეთვე წარმოადგენს ზემოხსენებული ნახევარსფეროების მნიშვნელობა და რაოდენობა, თუ რა სიმბოლური, პრაქტიკული თუ ფუნქციური დატვირთვა შეიძლება ჰქონოდა მათ. რაც შეეხება ძეგლის დათარიღებას, ზუსტი ანალოგებისა და საისტორიო წყაროების არარსებობის გამო, გადაჭრით რაიმეს თქმა შეუძლებელია. ასეთ პირობებში, ძეგლის სავარაუდო დათარიღებისათვის იძულებულნი ვართ ვიხელმძღვანელოთ იმ მცირე სტილისტური მსგავსებით, რასაც ეს ეკლესია ავლენს გარეჯის საბერეების კომპლექსის IX-X საუკუნეების გუმბათიან ეკლესიასთან. შესაბამისად, ამ ეტაპზე, წინასწარი ვარაუდით, სატორგეს კომპლესის ახლად გამოვლენილი ეკლესიაც IX-X საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. თარიღის უფრო მეტად დაზუსტებისათვის საჭიროა ძეგლის სიღრმისეული და კომპლექსური კვლევა.

აღსანიშნავია, რომ ეკლესიის ქვემოთ, ერთ-ერთ სანიაღვრე არხში შეინიშნება ძველი კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები. კონკრეტული დარგის სპეციალისტების მიერ მათზე დაკვირვება უფრო მეტ ინფორმაციას მოგვანვდის სამონასტრო ცხოვრების შესახებ ამ პუნქტში.

ეკლესიის ამჟამინდელი მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. გუმბათზე და ეკლესიის ჭერზე შეიმჩნევა ფართო ბზარები. კლდე, რომელშიც ნაკვეთია ეკლესია, საკმაოდ მარტივად იშლება. არსებული გეოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე არსებობს დიდი რისკი, რომ ეკლესია სრულად ჩამოიშალოს.


„კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრი" ეკლესიაში და მის გარშემო არსებული რთული მდგომარეობიდან გამომდინარე ტურისტულ ჯგუფებს, არ უნევს აღნიშნული ობიექტის მონახულების რეკომენდაციას.

ეკლესიაზე დამატებით ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ბმულებზე:

http://novators.ge/dzeglebi.php?id=16316

https://memkvidreoba.gov.ge/objects/immovable/immovableObject?id=38210&fbclid=IwAR3rL3Y-9J29pGfpQT9TTVhUU_18H0Cw1dwnZlFjkVZzDgjTc1SsmKaGdeg0

წინამდებარე საინფორმაციო წერილის მთავარი მიზანი არის სწორედ ამ მნიშვნელოვანი სიახლის სამეცნიერო საზოგადოებისათვის გაცნობა. იმედი გვაქვს კონკრეტული დარგის სპეციალისტები დაინტერესდებიან ამ ახლად გამოვლენილი ძეგლით. ჩვენი მხრივ კი, გამოვთქვამთ სრულ მზადყოფნას ვითანამშრომლოთ ამ ძეგლით დაინტერესებულ მკვლევრებთან თუ ინსტიტუციებთან და ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ სატორგის კომპლექსის სამომავლო კვლევაში.











UNKNOWN DOMED CHURCH OF THE ROCK-CUT SATORGE COMPLEX OF DAVID GAREJI (INFORMATIVE ARTICLE)

Anzor Mchedlishvili

The complex known as Satorge of the one of the former monastery of David Gareji is located in Kakheti, Sighnaghi municipality, on the right bank of river Iori, near Dali reservoir. The rock-cut complex spreads on approximately ten km on so-called Kadgiri mountain ridges. Satorge complex is located on the far south-east from the monasteries of David Gareji known up to this day. Taking into consideration the fact that the surrounding territory of the church is the highest point of so-called Kadgiri mountain and the remains of the tower is discovered on one of the ridges, it is likely that Satorge complex had had the military-strategic or secular

function as well during particular period of the history.

Thorough research has not been carried out yet about the Satorge complex. At present, scientific circles are aware of the three main rock-cut complexes of Satorge.

Non-entrepreneurial (non-commercial) legal entity "Center of Protection and Research of Cultural Heritage" carried out small expedition on February 9, 2020 in order to visit the known complexes of the Satorge, during which expedition head of the programs for monitoring historical-cultural monument, Anzor Mchedlishvili, captured the rock-cut, domed church while shooting. It is located on one of the highest ridges of the Kadgiri mountain (coordinates: 41.30897, 45.84258).

For the purposes of visiting the church, another trip was planned in same month, February, 2020. The scientific literature was processed at the same time in order to obtain any information about the church. However, during the expedition of February, 2020, due to the complicated georelief, the church could not be accessed without the Mountaineering equipment. The next trip was delayed till the next year due to the covid-pandemic restrictions.

After processing the scientific literature and consulting the professionals, it turned out that the domed church of the Satorge complex was unknown, as in the scientific literature, as well within the professionals.

Another expedition was carried out on April 25, 2021, at this time, with relevant mountain equipment. Chairman of the Center for Protection and Research of Cultural Heritage, Vasil Chichaghua, managed to enter the church despite the complicated georelief.

The rock-cut church is unique for its shape and decorative design. The remaining church is squared shaped and on the south, it was connected to other caves by rock-cut door. At the moment, based on the visual observation, the mentioned door is blocked by ruins and access to the neighboring buildings is impossible, it is to be noted, that the trace of the neighboring buildings is recorded on the photos too, however, they are completely blocked by the ruins as well or mostly collapsed. At the present, the east part of the church is collapsed and restoration of the altar form is impossible. There is no any sign of daubing, wall painting, inscription or other trace. The walls are of the same length. Each wall is framed by two-tier decorative arc.

Dimensions of the church:

Central axis from east (collapse line) to west – 4.4 meters.

Central axis from south (distance between walls, centers of arches) to north – 4.6 meters.

Diagonal axis from the north-east corner to the south-west corner (at the point of intersection of the arches) – 4.76 m.

Diagonal axis from south-east corner to north-west corner (at the point of intersection of the arches) – 4.80.

Internal width of the south wall arch – 2.4 m.

Internal width of the west arch is 2.7 m.

North wall of the second tier of the dome neck (with 16 incised hemispheres) – 3.2 meters.

West wall of the second tier (16 incised hemispheres) of the dome neck, approx. – 3.30 meters.

Height from the floor to the top of the dome cone – 5.1 meters.

Height from the floor to the base of the dome – 3.8 meters.

The width of the entrance door of the south – 1.2 meters.

Height of the entrance door of the south – 1.6 meters.

The volume of ruins on the floor makes it approximately 0.6-1 meters higher.

The hall ends in a conical dome enclosed in a three-tier dome. The first tier of the dome is narrow and plain. The second tier is decorated with 16 intersected hemispheres (from which only fourteen are currently preserved).

Supposedly, the east wall would have been the same as other walls, four of this 16 semicircles have the shape of drop (corner ones), while 12 are round, and the third tier with 4 drop-shaped semicircles cut in the corners (the symbolic meaning of the four evangelists?). The exact equivalence of this characteristic of the church cannot be found in any of the known rock-cut churches. Therefore, this newly found domed church of the Satorge complex is unique in this regard.

The importance and the quantity of the above-mentioned hemispheres, their possible symbolic, practical or functional importance is, moreover, the subject of the future research. As for the giving a date to the monument, it is impossible due to the non-existence of the exact equivalent and historic sources. Taking into consid-

eration this fact, in order to give approximate date, we should rely on those small stylistic similarities that this newly discovered church has with the IX-X century churches of the monasteries of David Gareji. Therefore, it is possible that the newly discovered church of the Satorge complex may also be dated as of IX-X centuries. In-depth and complex research of the monument is needed to further specify the date.

It is to be noted that fragments of old pottery can be found in one of the drainage channels below the church. Observing them by professional of the field will provide more information about monastic life in this regard.

The current condition of the church is quite dire. Broad cracks can be found on the dome and the ceiling of the church. The rock in which the church is cut may quite easily be demolished. Due to the existing geological situation, there is a great risk that the church will collapse completely.

The Center for the Protection and Research of Cultural Heritage does not recommend tourists visiting the site due to the dire situation in and around the church.

More information about the church can be found at the following links:

http://novators.ge/dzeglebi.php?id=16316

https://memkvidreoba.gov.ge/objects/immovable/immovableObject?id=38210&fbclid=IwAR3rL3Y-9J29pGfpQT9TTVhUU_18H0Cw1dwnZlFjkVZzDgjTc1SsmKaGdeg0

The main purpose of this article is to introduce such important news to the scientific community. Hopefully, professionals of this particular field will be interested in this newly discovered monument. On our side, we express our readiness to cooperate with researchers or institutions interested in this monument and to make our modest contribution to the future research of the Satorge complex.

ისტორიულ-კულტურული ძეგლების პორტალი WWW.NOVATORS.GE

ვასილ ჭიჭალუა

პორტალი ისტორიულ-კულტურული ძეგლების შესახებ www.novators.ge 2009 წელს დააფუძნა ანზორ მჭედლიშვილმა. იმ პერიოდისათვის ეს იყო საქართველოს უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შესახებ ინტერნეტში ინფორმაციის მოძიების უნიკალური და ერთ-ერთი პირველი საშუალება. მიზანს წარმოადგენდა შექმნილიყო ახალი, გამორჩეული პლატფორმა, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ინფორმაცია ისტორიულ-კულტურული ძეგლების შესახებ. გვერდის პირველი ვერსია ამოქმედდა 2009 წელს, ხოლო დღევანდელი საიტი არის უკვე რიგით მეოთხე ვერსია. პროექტი ტექნიკურად და პროგრამულად გამართულია ანზორ მჭედლიშვილის მიერ. ვებ-გვერდზე გაშვებისთანავე მუშაობენ ლელა მარგიანი, ნიკოლოზ ბერიძე და ვასილ ჭიჭალუა. გუნდს მოგვიანებით შემოურთდნენ ახალგაზრდა მეცნიერ-მკვლევრები: ნიკოლოზ ჟღენტი (ისტორიკოსი, მკვლევარი, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელი), გიორგი მაღრაძე (ისტორიკოსი), ლევან ნიქარიშვილი (ტაო-კლარჯეთის კვლევის ჯგუფის უფროსი, ისტორიკოსი, მკვლევარი, ფოტოგრაფი, ტურიზმის სპეციალისტი), არჩილ მაისურაძე (ისტორიკოსი, მკვლევარი, ფოტოგრაფი).

საიტზე ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია რამდენიმე გზით: მხარეებისა და მუნიციპალიტეტების, ძეგლის ტიპის, საკვანძო სიტყვის და ანბანის მიხედვით. აგრეთვე, ყველა ისტორიულ ძეგლის გვერდზე ჩასმულია რუკაც, რომლის მიხედვითაც მსურველი ძალიან მარტივად შეძლებს მისვლას ამა თუ იმ ობიექტზე. რუკის გამოყენება შესაძლებელია ასევე ნებისმიერი სმარტფონით.

ვებ-გვერდზე სისტემატურად ხდება როგორც ინფორმაციის დამატება, ტექსტების რედაქტირება, ასევე სხვადასხვა ტექნიკური დეტალის გამართვა. ამ ეტაპისათვის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია 500-მდე ისტორიული ძეგლის შესახებ, ხოლო რუკაზე დატანილია დაახლოებით 700-მდე ისტორიული ძეგლი. უახლოეს მომავალში იგეგმება საიტზე ინფორმაციის განთავსება 1000-მდე ძეგლის შესახებ. ინფორმაცია ძეგლების შესახებ, რომელიც უკვე განთავსებულია საიტზე, მოძიებულია სხვადასხვა წყაროებიდან.


სპეციალურად საიტისათვის შეიქმნა ანკეტა, რომელიც ივსება კონკრეტული ძეგლის შესახებ მოძიებული ინფორმაციით.


2019 წელს ანზორ მჭედლიშვილმა, ვასილ ჭიჭალუამ და ნიკოლოზ ბერიძემ დაარსეს ორგანიზაცია ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრი", რომლის ძირითად პროექტს ამ ეტაპისათვის წარმოადგენს სწორედ www.novators.ge. აღნიშნული ორგანიზაცია მუშაობს ისტორიულ-კულტურული ძეგლების შესწავლაზე, პრობლემების გამოვლენა-აღმოფხვრაზე და ძეგლების პოპულარიზაციაზე. ა(ა)იპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და კვლევის ცენტრი" აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც მსგავს თემატიკაზე მუშაობენ. ორგანიზაციაში მოქმედებს უფასო სტაჟირებისა და ტრენინგების პროგრამები, რომლებიც საკითხით დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს ისტორიულ ძეგლზე მუშაობისას სხვადასხვა უნარ-ჩვევები გამოიმუშავონ და პრაქტიკაში განახორციელონ. ამ ეტაპისთვის აღნიშნული ორგანიზაცია ფუნქციონირებს მხოლოდ საკუთარი ფინანსური სახსრებით.


ჩვენი დიდი სურვილია, რომ არსებული გამოცდილება და ცოდნა გავუზიაროთ სხვა ადამიანებსაც, განსაკუთრებით კი დაინტერესებულ ახალგაზრდებს. ამ მიზნის განხორციელების ერთ-ერთი კარგი საშუალებაა ინფორმაციის გავრცელება ვებ-გვერდისა და სოციალური ქსელების საშუალებით. დღესდღეობით ჩვენ სისტემატურად ვატარებთ კვლევით გასვლებს, ექსკურსიებსა და ლაშქრობებს. ამ პროცესში ბევრი მოხალისეა ჩართული, მაგრამ ჩვენი სურვილია ეს აქტივობები უფრო მასშტაბური იყოს და ფართო საზოგადოებისთვისაც გახდეს ხელმისაწვდომი.

მართალია, საქართველოს ისტორიულ-კულტურული ძეგლებისათვის ბევრი რამ კეთდება, თუმცა მათი რაოდენობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ვფიქრობთ, კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი: ბევრი ძეგლი არის შესასწავლი, ბევრ ძეგლს სჭირდება რესტავრაცია, გამაგრება. ასევე ძალიან დიდ პრობლემად იქცა ვანდალიზმი, შავი არქეოლოგია, გარემოს დაბინძურება.

ჩვენი ორგანიზაცია ღიაა თანამშრობლობისათვის როგორც სამეცნიერო საზოგადოებისთვის, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.


NOVATORS.GE
საქართველოს მბაძებები
ძებნის მეთოდი


Georgia


ძებნის ანბანური საძიებელი
ძიების მეთოდი
აბაათა - გაგრის მუნიციპალიტეტი
აბაისბირის კოშკი - ოჩამჩირის მუნიციპალიტეტი

მცხეთის მუნიციპალიტეტის ძეგლები



აბულეთი

აბულეთის სამხმაცრო კომპლექსი მდებარეობს საქართველოში, მცხეთის მუნიციპალიტეტში მის დასავლეთით 11 კმ-ში მდებარე სოფელ ძგვის სიმაღლეებისაგან აბულეთის ბორცვზე მდებარე .



აგურის საყდარი

აგურის საყდარი მდებარეობს საერთაშორისო ლეო ბაგრატის სახელ მცხეთის სამხრეთით 14 კმ-ზე სვირეთში მთის ფერდობზე მდებარე ორი ნაგებობისაგან მცირე ფართობით ეკლესია და მასზე .



ანტიოქია

ანტიოქია, წმიდა სტეფანე პირველმოწამის სახელობის ეკლესია. დგას მცხეთაში მდინარე არაგვის მარჯვენა ნაპირზე, არაგვის და მტკვრის შესართავთან იქ ეროვნული .

ბილიკის დამთავრებული ძეგლები

საფეიქრო ეკლესია ღმერთის მშობლიურად

ჯვრის მონასტრის წმ. ნინოს სახელობის ეკლესია ღმერთის მშობლიურად

ანტიოქია მცხეთის მშობლიურად

	A	B	C	D	E	F
1	მონაცემების ცხრილი					
2	ტექსტი			მნიშვნელობები		
3	ტექსტი					
4	ეკლესია	სამრეკლო	საკურთხეი			
5	სამკვეთლოსა დიაკონიკონი		ამბრონიული დამატებული		ახალი მეორედ დამატებული	
6	ალტარის პერიოდი		სტატისტიკური ანუ თუ არა ამბრონიული ტექსტის სტატუსი			
7	ტიპის მნიშვნელობა	მამრული ამბრონიულის კლიმატური	სამრეკლო მეორე	სამრეკლო მთელი ტიპული მიმდებარე კლიმატური დამატებული	სამრეკლო ბიჭი (ლიტერატური დამატებული)	
8						
9	ეკლესიის არქიტექტონული ტიპი					
10	ჯვარ-გუმბათოვანი	დარბაზული	სამკვეთლოსა ბაზილიკა			
11	ზოგადი მფლობელობა					
12	რესტავრირებული (დამატებითი ტექსტით)	საერთოს მფლობელობის განსხვავება	საერთოს რესტავრაცია	საერთოს გადაუდებელი რესტავრაცია	საერთოს კონსერვაცია	

A	B	C	D	E	F
ზოგადი მფლობელობა					
რესტავრირებული (დამატებითი ტექსტით)	საერთოს მფლობელობის განსხვავება	საერთოს რესტავრაცია	საერთოს გადაუდებელი რესტავრაცია	საერთოს კონსერვაცია	
ზოგადი					
საერთო	საერთო	სამრეკლო			
საშინაო ბაზარი					
მამაკაცი	ადგილი	კლიმატი საკვანძო	ტემპერატურა	ტენიანობა	სხვა
ტემპერატურის ზოგადი მფლობელობა					
	მზისგან	ქვის სიღრმე	ქვის ტიპი	ამინომჟავები	მიკროორგანიზმები
ატმოსფერული					
დამუშავებული					
მიწისქვეშა					
სამშენებლო					

PORTAL OF HISTORICAL-CULTURAL MONUMENTS WWW.NOVATORS.GE

Vasil Chichaghua

Portal about the historical-cultural monuments www.novators.ge was founded by Anzor Mchedlishvili in 2009. By that time, the portal was the unique and one of the first tools for finding information about immovable cultural heritage of Georgia on the internet. The purpose of the portal was to create new, outstanding platform, where the information about historical-cultural monuments would be gathered. The first version of the page was launched in 2009, and the present page is fourth version already. Program and technical organization of the project is made by Anzor Mchedlishvili. As soon as the web-page was launched, Lela Margiani, Nikoloz Beridze and Vasil Chichaghua also started working on it. The team was later joined by the young researchers: Nikoloz Zhghenti (historian, researcher, staff member of the K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts), Giorgi Maghradze (historian), Levan Tsiqarishvili (head of the Tao-Klarjeti research group, historian, researcher, photographer, tourism specialist), Archil Maisuradze (historian, researcher, photographer).

The information may be searched on the site according to several options: regions and municipalities, type of monuments, key words and alphabet. Moreover, the map is posted on every historical monument's page by the help of which every interested person can easily go to the particular site.

The information on the web-page is constantly added, the texts are edited, as well as other technical features are organized. At the present time, the web-page contains the information about up to 500 historical monuments, and up to 700 historical monuments are depicted on the map. It is planned to post information about up to 1000 historical monuments on the web-page in the nearest future. The information about the monuments, which is already posted on the page, is gathered from different sources.

The questionnaire was created especially for the web-page which is filled with the information gathered about the particular monument.

Anzor Mchedlishvili, Vasil Chichaghua and Nikoloz Beridze founded non-entrepreneurial (non-commercial) legal person "Center for Protection and Research of Cultural Heritage" in 2019 and its main project at given moment is www.novators.ge . The organization is working on to study the historical-cultural monuments, discover and solve the problems and popularize monuments. Non-entrepreneurial (non-commercial) legal person "Center for Protection and Research of Cultural Heritage" is actively cooperating with various governmental as well as non-governmental organizations working on the same subject. The organization has free programs of internship and trainings which enables interested persons to gain the skills necessary for conducting works on the historical monuments and to use these skills in practice. At the present time organization operates solely with the help of its own finances.

It is our utmost desire to share our knowledge and experience to others, especially to interested young persons. One of the best ways to reach this goal is to share the information through the web-page and social networks. At the present time we are constantly organizing the research trips, excursions and field trips. Many volunteers take part in these projects; however, we would like to make them more wide-ranging and accessible by the most part of the society

Although many things are done for the historical-cultural monuments of Georgia, due to the diversity and quantity of those monuments, there is still a lot of work to be done: many monuments require to be studied, restored, strengthened, moreover, there are problems such as: vandalism, archeology looting, environmental pollution.

Our organization is open to cooperation with the scientific community as well as with any interested person.

ინტერვიუ
INTERVIEW

ახალი სტატია ქართული ანბანის წარმოშობის დროის შესახებ ევროპაში გამომავალ ქართველოლოგიურ ჟურნალში: ინტერვიუ პროფესორ მარიამ ჩხარტიშვილთან

PRO GEORGIA
JOURNAL OF
KARTVELOLOGICAL
STUDIES

№ 31 — 2021

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია მრავალფეროვანი რუბრიკების მეშვეობით ცდილობს იპოვოს გზები, რათა სამეცნიერო სფეროში მომხდარი ყოველგვარი ფაქტის ასახვა გახდეს შესაძლებელი. ამ მიზანს ემსახურება ჩვენ მიერ ჟურნალში ახალ განყოფილების „ინტერვიუს“ შემოღება. სამომავლოდ ვგეგმავთ, რომ ამ განყოფილებაში მოვიწვიოთ სხვადასხვა პროფილის ქართველი და უცხოელი მკვლევარები და მიეცეთ მათ საშუალება ისაუბრონ როგორც ქართული ისტორიული მეცნიერების და ზოგადად ჰუმანიტარიის თანამედროვე განვითარებაზე, დარგის პერსპექტივების მათეულ ხედვებზე, ისე საკუთარ სამეცნიერო შედეგებზე და სამომავლო ამოცანებზე. ამ ფორმით ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ ხელს შევუწყობთ ჟურნალის კიდევ უფრო ინფორმაციულ მედიად გადაქცევას. ამჯერად, ჟურნალის ამ რუბრიკაში მონაწილეობის მიღების სურვილის სხვებისათვის აღძრის მიზნით გთავაზობთ დიალოგს, რომელიც ჟურნალის „მასპინძლებს“ შორის გაიმართა: ჩვენი რედკოლეგიის წევრი *სოფიო ქადაგიშვილი* ესაუბრება ჟურნალის ერთ-ერთ რედაქტორს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს *მარიამ ჩხარტიშვილს* მის ახალ სტატიასთან დაკავშირებით. ამ ინტერვიუს გთავაზობთ ახლა:

ს.ქ.

ქალბატონო მარიამ, სულ ახლახან ვარშავაში გამომავალ ქართველოლოგიურ ჟურნალში (PRO GEORGIA. JOURNAL OF KARTVELOLOGICAL STUDIES (№31, 2021, გვ. 101-113) რომელსაც რედაქტორობს ჩვენი თანამემამულე, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ყოლბაია, დაიბეჭდა თქვენი სტატია "Narrative Sources on the Creation of Georgian Alphabet" (ნარატიული წყაროები ქართული ანბანის შექმნის შესახებ"). თუ შეიძლება რომ გვითხრათ, რამ გამოიწვია თქვენი ამ თემით დაინტერესება?

მ.ჩ.

მადლობა, რომ თვალს ადევნებთ ჩემს შემოქმედებას და საშუალებას მაძლევთ, რომ საზოგადოებას მივაწოდო ინფორმაცია საზღვარგარეთ გამოცემული ჩემი ნაშრომის შესახებ,

ახლა რაც შეეხება თქვენს კითხვას ქართული ანბანის წარმოშობის დროით ჩემი დაინტერესების თაობაზე. უნდა გითხრათ, რომ ამ თემით ახლა არ დავინტერესებულვარ. უკვე მრავალია წელია დისკუსიას ამ საკითხს გარშემო თვალს ვადევნებ და პირველი ნაშრომები მასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-ანი წლების მიწურულს გამოვაქვეყნე. ჩემი სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისში ანუ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში ვიკვლევდი ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოსადმი მიძღვნილ ჰაგიოგრაფიულ ციკლს. ამ თხზულებას იმ ხანად IX საუკუნეზე ადრინდელ ძეგლად არ მიიჩნევდნენ. მე კი კვლევის შედეგად მიველი იმ დასკვნამდე, რომ ამ ციკლის პროტოძეგლი შეიქმნა ქართლის სამეფოში ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდგომ უახლოეს პერიოდში, დაახლოებით მეოთხე საუკუნის შუა ხანებში. აი, ამიტომ მაშინ ჩემს წინაშე დაისვა კითხვა, თუ რომელი ანბანით უნდა ყოფილიყო ჩაწერილი ეს ძეგლი. ამ კითხვაზე პასუხი არ იყო იოლი. ამ დროს ქართულ სამეცნიერო სიერცეში მიმდინარეობდა დისკუსია ქართული ანბანის წარმოშობის დროსთან დაკავშირებით: ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი პოზიცია: ქართული ანბანი ნარმართულ ეპოქაში წარმოიშვა (1); ქართული ანბანი ქრისტიანული ეპოქის პროდუქტია (2). ამ დისკუსიაში ჩართვას თავიდან არც ვაპირებდი, მაგრამ ჩემთვის მაინც ხომ უნდა გადამეწყვიტა ეს საკითხი. სხვაგვარად „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ციკლის ისტორიაზე მუშაობა შეუძლებელი

გახდებოდა. გარკვეული იმპულსი მომცა ამ დროს აკად. თ. გამყრელიძის სტატიის და მონოგრაფიის გამოსვლამ. მკვლევარი ქართულ ანბანს ქრისტიანობის მიღების შემდეგ შექმნილად მიიჩნევდა. მაგრამ მეცნიერის მიერ მოყვანილმა არგუმენტები ჩემთვის დამაჯერებელი არ იყო. ამიტომ თ. გამყრელიძის თვალსაზრისის განხილვას მაშინვე ორი კრიტიკული წერილი მივუძღვენი. საკითხს დავუბრუნდი 2018 წელს. როცა ვამზადებდი მონოგრაფიას „საქართველო III-V საუკუნეებში. ხოსროვანთა სამეფო სახლის ისტორია (თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი", 2018, 303გვ.) ქართველი ხოსროვანების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია მეფე ბაკურ თრდატის ძე, რომელიც ქართლის სამეფო ტახტზე იყო მეხუთე საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე ათიანი წლების შუა ხანებამდე. აი, ეს მეფე ერთ-ერთმა მკვლევარმა, ყოველად უსაფუძვლოდ დაასახელა ქართული ანბანის შემოქმედად. აქ უნდა შევნიშნო: ის მეცნიერები, რომლებიც ქართული ასომთავრულის ქრისტიანულ ეპოქაში შექმნას უჭერენ მხარს, სხვა პრობლემებთან ერთად, არიან შემდეგი დიდი პრობლემის წინაშე: მათ ქართული ანბანის შემქნელის დასახელება არ შეუძლიათ, მაშინ როცა ქრისტიანულ ეპოქაში სხვა ხალხების ანბანების შემქმნელთა დიდი ნაწილის სახელები ცნობილია. ამიტომ აზრმა ბაკურის შესახებ მხარდაჭერა ჰპოვა ზოგი მეცნიერის მხრიდან. შესაბამისად საჭირო გახდა პასუხი ამ უსაფუძვლო მოსაზრებაზე, რაც გავაკეთე კიდეც ზემოთ ხსენებულ წიგნში. დაბოლოს, ამ წლის დასაწყისში მომინია კრიტიკული წერილის დაწერა უცხოელი კოლეგების მიმართ, რომლებიც არასწორად აშუქებდნენ საქართველოს ისტორიის საკითხებს. ასე რომ, ჩემი ინტერესი ქართული ანბანის წარმოშობის დროის საკითხის მიმართ რამდენიმე ათწლეულს ითვლის.

ს.ქ.

როგორც თქვენი პასუხიდან მივხვდი, ქართული ანბანის წარმოშობის დროის შესახებ არსებული ორი ძირითადი თვალსაზრისიდან, თქვენ ემხრობით შეხედულებას ქართული ასომთავრულის წარმართული ეპოქის პროდუქტად მიჩნევის შესახებ. მაგრამ ამგვარი აზრი თქვენამდე ხომ არაერთ მკვლევარს გამოუთქვამს. რით არის ახალი თქვენი მიდგომა?

მ.ჩ.

დიახ, მართალი ბრძანდებით, მე მხარს ვუჭერ წარმართულ ეპოქაში, კერძოდ, კი ფარნავაზის დროს (ძვ.წ.4-3 სს.) შექმნის შესახებ მოსაზრებას.

როგორც იცით, „ქართლის ცხოვრებამ", კერძოდ, ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა სრულიად ცალსახა ცნობა შემოგვინახა ამის შესახებ: ცენტრით მცხეთაში ქართული სახელმწიფოს დამაარსებელმა მეფე ფარნავაზმა განახორციელა მთელი რიგი რეფორმებისა, რომელნიც ქართული იდენტობის განმტკიცებას უწყობდა ხელს. მაგალითად, შექმნა ექსკლიზურად ეთნიკური ქართველებისათვის რელიგიური პანთეონი უზენაესი ღვთაების არმაზის მეთაურობით, ქართულ ენას მიანიჭა სახელმწიფო სტატუსი. ამ ვითარებაში ანბანის შექმნა ლოგიკური აუცილებლობა იყო. ის რომ ფარნავაზის დროიდან წარწერებმა ჩვენამდე არ მოაღწია, არავითარი არგუმენტი არ არის. უზარმაზარი დრო გვაშორებს ამ ეპოქისაგან. თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქრისტიანობაზე მოქცევა გამოიწვევდა ანბანის შემცველი არტეფაქტების მნიშვნელოვანი ნაწილის განადგურებას: ისინი ხომ სწორედ რელიგიური შინაარსის საკულტო დანიშნულების ტექსტები უნდა ყოფილიყო. თუმც ისტორიული ჩანაწერი ამ ეპოქიდან შემოგვრჩა და ეს „მოქცევაი ქართლისაიში" წარმოდგენილი ცნობებია ქართლის სამეფოს დაარსების შესახებ.

მოკლედ, წყაროს „უდანაშაულობის პრეზუმპციის" პრინციპის თანახმად ეს ცნობა ეჭვის საფუძველს არ იძლევა. მიუხედავად ამისა, მას ნდობით არ ეკიდებოდა და დღესაც არ ეკიდება ზოგი მკვლევარი. ამ დამოკიდებულებას სათავე დაუდო ივანე ჯავახიშვილმა, რომელმაც, ჩემი აზრით, ზედმეტად კრიტიკულად შეაფასა ლეონტი მროველის შემოქმედებაა. ამიტომაც მეცნიერი ამ ისტორიკოსს უმეტეს შემთხვევაში არ ეყრდნობოდა თავის სამეცნიერო პრაქტიკაში. ანბანთან მიმართებითაც ი. ჯავახიშვილმა იგივე პოზიცია დაიკავა, ანბანის წარმოშობის დროის გარკვევა მან თავად ანბანის ანალიზით გადაწყვიტა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ წარმართულ ეპოქაში ვარაუდობდა ქართული ანბანის შექმნას, ცნობას მეფე ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის შემოღების შესახებ ი. ჯავახიშვილი ნდობას არ უცხადებდა. ის ქართული ანბანის წარმოშობას ფარნავაზზე ბევრად ადრე ვარაუდობდა. ი. ჯავახიშვილის ღვაწლი უდიდესია თავად ქართული ანბანის კვლევაში, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ მხოლოდ ანბანის ანალიზზე დამყარებული ისტორიული რეპრეზენტაცია რჩება დეტალების გარეშე: ვერ ვუთითებთ მისი შექმნის ზუსტ დროს და კონტექსტს, ვერ ვასახელებთ ისტორიულ პირებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ანბანის შექმნაში.

მსგავსი დამოკიდებულება ჰქონდა რ. პატარიძესაც, რომელმაც ასევე ძალიან დიდი წვლილი შეიტანა თავად ქართული ანბანის ანალიზში, წარმოაჩინა მისი გრაფიკული საფუძვლები და ის ფაქტი,

რომ ქართული ასომთავრული ანბანი წარმართული მსოფლხედვის ნაყოფს წარმოადგენს. ამგვარად, რ. პატარიძეც ქართული ანბანის წარმოშობას უკავშირებდა წარმართულ ეპოქას, მაგრამ, ამის მიუხედავად ცნობას ფარნავაზის მიერ ანბანის შექმნის შესახებ ისიც არ უცხადებდა ნდობას, ამ ფაქტს რ. პატარიძეც ფარნავაზზე ადრე ვარაუდობდა

ასეთივე იყო თ. გამყრელიძის დამოკიდებულებაც ქართული წყაროსადმი, თუმც თ. გამყრელიძე, განსხვავებით ი. ჯავახიშვილისა და რ. პატარიძისაგან, ქართულ ანბანს ქრისტიანულ ეპოქაში შექმნილად მიიჩნევდა. ის თვლიდა, რომ ლეონტის ცნობა უნდა გავიგოთ როგორც ალოგლოტოგრაფიული ჩაწერა და არა ქართული ასომთავრულის შექმნა, თუმც ამ ვარაუდისათვის არავითარი დოკუმენტი არ არსებობს და მისი დასაბუთება შეუძლებელია.

ქართული ანბანის ისტორიის აღსადგენად სამივე დასახელებული მკვლევარი არ იყენებდა არც სომხური ნარატიული წყაროების მონაცემებს. ამგვარად, ძალიან უცნაური ვითარება იყო შექმნილი: არსებობდა ქართული ანბანის შესახებ პირდაპირი ინფორმაციის შემცველი წერილობითი წყაროები და ქართველი მკვლევრები არცერთს არ იყენებდნენ.

ჩემს ზემოთ ხსენებულ სტატიაში კი გაანალიზებულია ყველა არსებულ ნარატიული წყაროა და სწორედ მათი შეჯერებით არის აღდგენილი ქართული ანბანის ისტორია. აი, ეს არის ახალი ჩემს გამოკვლევაში. ყველა ნარატიული წყაროს საფუძველზე ისტორიული რეპრეზენტაცია.

ს.ქ.

გასაგებია, რომ თქვენ განიხილავთ ნარატიულ წყაროებს. და გაქვთ იმის ამბიცია, რომ ყველას იყენებთ და ინფორმაციას აჯერებთ. მაგრამ როგორ შეიძლება ერთმანეთს შეუთავსოთ ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული მონაცემები?! რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, სომხური წყაროები ქართული ანბანის შექმნის ისტორიას სულ სხვაგვარად წარმოაჩენენ: ისინი ამ ფაქტს ახ,წ, მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე სომეხ საეკლესიო პირს მესროპ მაშთოცს უკავშირებენ. ყოველ შემთხვევაში ასეა ეს მეხუთე საუკუნის პირველი ნახევრის ჰაგიოგრაფის კორიუნის „მაშთოცის ცხოვრებაში“

მ.ჩ.

დიახ, მართალი ხართ იმ თვალსაზრისით, რომ ქართული და სომხური წყაროების ცნობები ურთიერთგამომრიცხველად წარმოედგინათ მეცნიერებს. მაგრამ ეს სინამდვილეში ასე არაა. ქართული წყარო ეხება ქართული ანბანის *შექმნის* ფაქტს, ხოლო სომხური წყარო – მესროპ მაშთოცის *მცდელობას*, შეცვალოს წარმართული ქართული ანბანი ახლით, ქრისტიანულით. სომხური წყარო აუცილებლად ქართულ წყაროსთან ერთად უნდა გავიაზროთ, რომ ადეკვატურად განვმარტოთ იგი: შეუძლებელია მესროპ მაშთოცის შემთხვევაში საქმე ეხებოდეს შექმნას, რადგან შექმნის შესახებ ინფორმაცია ქართულ წყაროში არის მოცემული და არავითარ საფუძველს არ გვაძლევს ეჭვისათვის.

აქ მნიშვნელოვანია ვუპასუხოთ ორ კითხვას: „რატომ უნდა ჰქონოდა მესროპს ასეთი უცნაური სურვილი, შეეცვალა მეზობელი ხალხის საუკუნეებით გამოცდილი ანბანი ახლით“? და მეორე: “მოახერხა კი მან ეს“?

მესროპ მაშთოცის ეს სურვილი და მცდელობა მის განსახორციელებლად კარგად იხსნება ისტორიული კონტექსტით. მაშთოცი იყო გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწე, რომელიც ცდილობდა სამხრეთ კავკასიაში ქრისტიანობის განმტკიცებას და წარმართობის ნაშთების აღმოფხვრას. მთელ სამხრეთ კავკასიას მისი საქმიანობა კი იმიტომ სწვდებოდა, რომ ის ცდილობდა ანტიირანული კოალიციის ჩამოყალიბებას. ამგვარი აქტივობისას ის მარტო არ იყო მას ბიზანტიის დიდი მხარდაჭერა ჰქონდა. ისე ჩანს, რომ უშუალოდ ბიზანტიის იმპერატორისაგან იღებდა კიდეც ინსტრუქციებს. როგორც ნაჩვენებია, სპეციალურ ლიტერატურაში, ბიზანტიური „კულტურული წრის“ ხალხთა თანამეგობრობის შექმნის პროექტის ფარგლებში ბიზანტია შეეცადა ქრისტიანობაზე ახლად მოქცეულ ხალხებისათვის ახალი ქრისტიანული ანბანების შექმნის პროექტის ამოქმედებას. მაშთოცი ამ პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე ჩანს. ბიზანტიის ინტერესს მან დაამთხვია სომხეთის ინტერესი და დიდი კულტურული მოძრაობა დაიწყო თავის ქვეყანაში. მაშთოცმა ბიზანტიური პროექტი სომხეთში წარმატებით განახორციელა და შექმნა ახალი ქრისტიანული დამწერლობა. ეს პროცესი ძალიან დეტალურად აქვს აღწერილი მის ბიოგრაფს კორიუნს.

იგივე პროექტის განხორციელება სურდა, ცხადია, მაშთოცს ქართლშიც და ამიტომაც ესტუმრა ქართლის მეხუთე საუკუნის პირველ ათწლეულებში ორჯერ. ქართლის სამეფო კარზე იგი პატივით მიიღეს, სავარაუდოდ, არა მხოლოდ იმიტომ, მეზობელი ქვეყნის გავლენიანი პოლიტიკური მოღვაწე იყო, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მესროპ მაშთოცი კავკასიაში ფაქტობრივ ბიზანტიის წარმომადგენელი გახლდათ. მაგრამ პატივით მიღება, ცხადია, არ ნიშნავს აუცილებლობით იმას,

რომ ქართლში ქართულ ანბანთან დაკავშირებით მაშთოცის პროექტის იმპლემენტაციას გეგმავდნენ ან ამის რეალიზება მოახდინეს.

აქ კიდევ ერთ კითხვაზეა საჭირო პასუხი: „საიდან ვიცით რომ მესროპის პროექტი ქართულ სინამდვილეში არ განხორციელებულა"? პასუხი მარტივია: ამას გვიჩვენებს თავად ქართული ასომთავრულის ანალიზი, რომლის გრაფიკაში ასახულია წარმართული მსოფლხედვა. ეს კარგად აქვს განმარტებული რ.პატარიძეს. ასეთი ანბანი შეუძლებელია წარმართობის ნაშთების წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი ქრისტიანი მოღვაწის ხელიდან გამოსულიყო.

თუ რატომ არ განხორციელდა მესროპ მაშთოცის პროექტი ქართლში, ამის ორი უმთავრესი მიზეზი აქვს. ქართული ასომთავრული არის სრულყოფილი სისტემა, რომელიც ზუსტად ასახავს ქართული ენის ფონეტიკას. ეს კარგადაა ნაჩვენები სპეციალურ ლიტერატურაში. მესროპის ქართლში მოსვლის დროისათვის ქართული ასომთავრული მრავალი საუკუნის განმავლობაში იყო აპრობირებული ქართულ სინამდვილეში. რა დაუპირისპირა ამას მესროპმა? ფაქტობრივად არაფერი, უბრალოდ ჩამონერილი ასოები, რომლებიც მან მოხაზა ქართული ენის ცოდნის გარეშე ჯერ კიდევ სომხეთში მყოფმა. ეს არ იყო, ცხადია, ანბანი. კორიუნს დეტალურად აქვს აღწერილი თუ როგორ შექმნა მესროპმა სომხური ანბანი. დიდი ძალისხმევის და წვალების შედეგად მიუხედავად იმისა, რომ სომხური მისი მშობლიური ენა იყო. ქართულის შემთხვევაში მსგავსი არაფერია ნათქვამი. ცხადია, რომ კორიუნის ნათქვამი არ უნდა გავიგოთ როგორც ქართული ანბანის შექმნა, არამედ უბრალოდ ასოების ჩამონერა. ამ ასოებს რეალურად კონკურენციის გაწევა ქართული ასომთავრული დამწერლობისათვის, ცხადია, არ შეეძლო. ეს ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ არ დაინერგა მესროპის პროექტი ქართლში.

მეორე მიზეზია ზემოთ უკვე ნახსენები ქართლის მეფე ბაკურ თრდატის ძე, რომელიც მესროპის პირველი ვიზიტისას იყო მისი მასპინძელი. ეს გახლდათ უაღრესად ფართო თვალსაწიერის მქონე პიროვნება. უფლისწულობის დროს ბაკური ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა ბიზანტიაში. აქ ის მეგობრობდა წარმართებთანაც, მაგალითად, ცნობილ წარმართ ფილოსოფოს ლიბანიოსთან, რომლის დიდ აღფრთოვანებას იწვევდა. ასეთი ხელისუფალი, ცხადია, იდეოლოგიური მოსაზრებების გამო უპირატესობას არ მიანიჭებდა ქრისტიანი საეკლესიო მოღვაწის მიერ შექმნილ უხარისხო პროექტს სრულყოფილ, მაგრამ წარმართობის დროს შექმნილი ქართულ ასომთავრულთან შედარებით.

მაშთოცის ბიოგრაფ კორიუნს, შესაძლოა, არც სცოდნოდა, რომ მისი მასწავლებლის პროექტი ქართლში არ დაინერგა. მან ამ მიმართებით მესროპის აქტივობა დაინახა და ეს დააფიქსირა. სამაგიეროდ ეს კარგად იციან მომდევნო ხანის სომეხმა ისტორიკოსებმა. უკვე მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე სომეხი ისტორიკოსი ლაზარე ფარპელი, როცა საუბრობს მესროპ მაშთოცის მიერ სომხური ანბანის შექმნაზე, არაფერს ამბობს ქართველების მიმართ. ამ მხრივ მესროპის დამსახურებაზე უფრო გვიანი ხანის სომეხი ისტორიკოსები კი პირდაპირ მიუთითებენ ფარნავაზის მიერ ქართული ანბანის შექმნას.

ს.ქ.

მართლაც, უაღრესად საინტერესოა თქვენ მიერ მოყვანილი ფაქტები და დასკვნა. ძალიან დიდი მადლობა. კარგი იქნება, თუ თქვენს ამ გამოკვლევას ქართულ ენაზეც ვიხილავთ.

მ.ჩ.

მადლობა თქვენ. დიახ, ახლა ვამზადებ სტატიის ქართულ ვარიანტს, რომელიც გამოქვეყნდება უახლოეს მომავალში.

NEW ARTICLE ON THE TIME OF ORIGIN OF GEORGIAN ALPHABET IN THE KARTVELOLOGICAL JOURNAL ISSUING IN EUROPE: INTERVIEW WITH PROFESSOR MARIAM CHKHARTISHVILI

In the article, Mariam Chkhartishvili, a Professor at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University, talks on the time of origin of Georgian alphabet. The Professor, like some scholars, connects the origin of the Georgian alphabet to be a pagan period, in particular, the reign of Parnavaz. However, unlike other researchers, M. Chkhartishvili relies on written sources and according to them sets out the position based on Georgian and Armenian historical sources.


ხსოვნა
IN MEMORIAM

გიორგი ოთხმეზურის გამოსათხოვარი

ეკა კვაჭანტირაძე

2021 წლის 20 იანვარს, 66 წლის ასაკში გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ოთხმეზური. ის დაიბადა აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის ოჯახში და თავისი ქვეყნის წარსულისადმი ინტერესი, ბუნებრივად, ბავშვობიდანვე ჩაენერგა.

გიორგი ოთხმეზური იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი. მისი კვლევის ძირითადი მიმართულება გახლდათ საქართველოს ისტორია, ქართული წყაროთმცოდნეობა, ქართული ეპიგრაფიკა და პალეოგრაფია. ის იყო ათეულობით სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის მონოგრაფიების. ქართული ეპიგრაფიკის და პალეოგრაფიის მკვლევართათვის კარგა ხანია სამაგიდო წიგნად არის ქცეული გიორგი ოთხმეზურის ნაშრომი „XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც ისტორიული წყარო“ (1981). ალბათ არ არსებობს საქართველოში ტაძარი თუ ციხე, სადაც გიორგი არ იყო ნამყოფი და რომლის წარწერა არ ჰქონდა ნანახი და აღრიცხული. გ. ოთხმეზურმა დიდი შრომა გასწია ქართული საგვარეულოების ისტორიის შესასწავლად და ამ თემატიკას ორი მონოგრაფია მიუძღვნა: „ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან: აბაზასძე-მარილელი-აბულეთისძე“ (2006) და „ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან: ამირეჯიბი (2009).



გიორგი ოთხმეზური საზოგადოებრივ ცხოერებაშიც ისეთივე აქტიურობით იყო ჩართული, როგორც მეცნიერებაში. ის დიდი მონდომებით, ზოგჯერ საკმაოდ ემოციურად, იცავდა საქართველოს ისტორიას გამყალბებლებისაგან. მისი სიტყვა ყოველთვის წონადი და ღირსეული იყო.

გიორგი ოთხმეზური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე მუშაობის დროს გავიცანი. ის იყო საქართველოს ისტორიის კათედრასთან არსებული ქართული წყაროთმცოდნეობის სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელი. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო მისი ლოიალური დამოკიდებულება ყოველი ჩვენთაგანისადმი, ლაბორატორიის ყველა თანამშრომლისადმი. იმხანად საქართველოს ისტორიის კათედრა ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიურ ლექსიკონზე მუშაობდა და თითოეულ თანამშრომელს კათედრის გამგისაგან დავალებული გვქონდა სტატიების მომზადება, რომელსაც ყოველთვის დათქმული დროისათვის ვერ ვასწრებდით. კათედრის სხდომაზე, როგორც კი ჩვენი ლაბორატორიის წევრების სტატიებზე მიდგებოდა ჯერი, გიორგი დიდი თავგამოდებით ეძებდა მიზეზებს ჩვენს „გასამართლებლად“.

საოცარი და ზოგჯერ გასაკვირიც კი იყო ჩემთვის გიორგის დამოკიდებულება დედისადმი, ქალბატონი მარიკასადმი. მე ქალბატონი მარიკას კაბინეტში მიხდებოდა კვირაში ორჯერ ჩემი სამუშაო საათების გატარება. ყოველი დილა იწყებოდა გიორგისთან სახლში დარეკვით. იმის გარკვევით გიორგის მეუღლესთან, მანანასთან, წამოვიდა თუ არა გიორგი, რომელ საათზე დაბრუნდა წინა საღამოს.

გიორგი უნივერსიტეტში მოსვლისას, როგორც წესი, ქალბატონ მარიკასთან შემოდიოდა. ქალბატონი მარიკა დეტალურად ეკითხებოდა გიორგის მისი დღის განრიგს, გიორგიც მორჩილად პასუხობდა. ზოგჯერ როცა უსაყვედურებდა, არ მახსოვს გიორგის გაეპროტესტებინა. ღიმილით აკოცებდა დედას და დატოვებდა კაბინეტს.

გიორგი ოთხმეზურთან ერთად მომინია მუშაობა საგრანტო პროექტზე, რომელიც დასრულდა ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოცემით – „კავკასია ქართულ წყაროებში: უცხო სახელმწიფოები, ტომები, ისტორიული პირები". გიორგი პროექტის ხელმძღვანელი იყო, მე პროექტის მენეჯერი. პროექტის მონაწილე ოთხ ნევრს შორის ხშირად აზრთა სერიოზული სხვადასხვაობა იყო, რადგან პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა მკაფიოდ განსაზღვრულიყო არა მხოლოდ გამოცემის შინაარსი, არამედ ფორმა და სტრუქტურა. გიორგი საოცრად კარგად აბალანსებდა ჩვენს ვნებათაღელვებს და, ვფიქრობ, დიდწილად მისი დამსახურება იყო, არა მხოლოდ სამეცნიერო ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, არამედ ემოციურადაც, პროექტის წარმატებით დასრულება.







გიორგი ოთხმეზურმა მთელი ცხოვრება საქართველოს მედიევალური ისტორიის კვლევას შეალია და მომავალ თაობებისთვის გადაცემას მიუძღვნა. რაც ასე არაჩვეულებრივად ხელეწიფებოდა.

IN MEMORIAM OF GIORGI OTKHMEZURI

Eka Kvachantiradze

On January 20, 2021 Ivane Javakhishvili Tbilisi State University associate Professor Giorgi Otkhmezuri passed away. He was born in the family of Academician Marika Lordkipanidze and naturally was inspired with an interest in Georgian history from early age.

The main directions of his research were the history of Georgia, Georgian source studies, Georgian epigraphy and paleography. He is the author dozen of scientific works among them monographs.

Giorgi Otkhmezuri devoted his whole life to the study of the medieval history of Georgia and passed of his knowladge to future generations.

ისტორიკოსის, მეცნიერისა და მეგობრის – ჰაირაპეტ მარგარიანის (1950–2021) ხსოვნას

აზატ ბოზოიანი



სომხეთის ისტორიოგრაფიამ მტკივნეული დანაკარგი განიცადა. 2021 წლის 2 მაისს, უდროოდ გარდაიცვალა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სომხეთის მოსაზღვრე ქვეყნების ისტორიის“ კათედრის გამგე, არმენოლოგი, ქართველოლოგი მეცნიერი, შუა საუკუნეების მკვლევარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჰაირაპეტ გევორგის ძე მარგარიანი.

ჰაირაპეტ მარგარიანი დაიბადა 1950 წლის 10 ოქტომბერს არარატის რაიონის სოფელ აიგავანში. დაწყებითი განათლება მშობლიური სოფლის საშუალო სკოლაში მიიღო. 1967 წელს ჩააბარა და 1972 წელს დაამთავრა ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის კათედრის კურსი, პროფესორ აშოტ აბრაჰამიანისა და პარუირ მურადიანის ხელმძღვანელობით. საუნივერსიტეტო განათლების პერიოდში მან შუა საუკუნეების ისტორიკოსისა და წყაროთმცოდნის კვალიფიკაცია მიიღო. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში, გულმოდგინე მუშაობითა და ცოდნით გაგიკ სარგსიანის ნდობა მოიპოვა.

1973-1975 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. აკადემიკოს აკაკი შანიძისა და პროფესორ ივანე იმნაიშვილის ხელმძღვანელობით, იგი დახელოვნდა ქართველოლოგიის, ამიერკავკასიის ისტორიის, ძველი ქართული წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის სფეროებში. მას ქართულს ასწავლიდა ქართული ენის კათედრის თანამშრომელი, ქალბატონი ცირა ჩხიკვაძე. ამ თანამშრომლობის გაგრძელება მან ქართულ სამეცნიერო სამყაროსთან თავისი შეგნებული ცხოვრების ბოლომდე შეძლო.

1973-1996 წლებში ჰ. მარგარიანი მუშაობდა სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის „კავკასია და ბიზანტია“ (დღეს „ქრისტიანული აღმოსავლეთი“) განყოფილებაში. მან დაიცვა დისერტაცია თემაზე „ჩრდილოეთ სომხეთი და საქართველო XII საუკუნის 20-70-იან წლებში“ (ერთ-ერთი ოპონენტი პროფესორი ელენე ცაგარეიშვილი იყო), რომელიც 1980 წელს მონოგრაფიის სახით გამოიცა. აღსანიშნავია, რომ დისერტაციასთან დაკავშირებული პირველი სტატია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომების“ 165-ე ტომში გამოქვეყნდა.

ჰ. მარგარიანმა 1996 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები ახლო აღმოსავლეთში და სომხეთის უხუცესთა საბჭო (XII საუკუნიდან XIV საუკუნის პირველ ნახევრამდე)“, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე გამოუქვეყნებელი რჩება. საბედნიეროდ, ამ ნაშრომში შეტანილი მრავალი მასალა წლების განმავლობაში ქვეყნდება ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში, რაც მრავალი სამეცნიერო სიახლის საფუძველია.

ჰ. მარგარიანი 1982 წლიდან მუშაობდა ერევნის ხაჩატურ აბოვიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რესპუბლიკის სხვა უნივერსიტეტებში, ასწავლიდა სომხეთის ისტორიას, წყაროთმცოდნეობას, კავკასიოლოგიასა და შუა საუკუნეების ევროპის ისტორიას.

ნიჭიერი პროფესორის სტუდენტებისადმი მიმართული სიტყვა ცოცხალი და გულში ჩამწვდომი

იყო. მის გამოუქვეყნებელ ლექციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არმენოლოგიისა და კავკასიოლოგიის კვლევებისთვის. 1989 წელს მას მიენიჭა დოცენტის, ხოლო 2003 წელს – პროფესორის წოდება. 2003-2007 წლებში ის ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პროფესორი იყო, ხოლო 2007 წლიდან – სსუ ისტორიის ფაკულტეტზე სომხეთის მოსაზღვრე ქვეყნების ისტორიის კათედრის გამგე გახლდათ.

ჰ. მარგარიანი იყო სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში მოქმედი სამეცნიერო საბჭოს ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს წევრი. გახლდათ ათეულზე მეტი დისერტაციის ხელმძღვანელი, რომელთა ავტორები კავკასიოლოგიის სხვადასხვა საკითხის სპეციალისტები გახდნენ. დღეს მისი მრავალი სტუდენტი მუშაობს სომხეთისა და არცახის სახელმწიფო და სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ლექციებითა და მოხსენებებით გამოდიოდა სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული აკადემიის, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პარიზის სორბონის უნივერსიტეტის, ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის, ვატიკანის, ვენეციის. ბუდაპეშტისა და არცახის უნივერისტეტებში და სამეცნიერო დაწესებულებების მიერ ორგანიზებულ უამრავ სამეცნიერო კონფერენციაზე, ცოდნითა და გონებახვეწილობით მრავალი მსმენელი გაუკვირვებია.

თავისი კონსულტაციებით და ლექციებით მან მხარი დაუჭირა სომხური ეკლესიის ეპარქიას თბილისში, მიაწოდა მასალები ქართული და სომხური არქიტექტურისა და ისტორიის სადავო საკითხებზე.

მისი სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებულია სომხეთის, საქართველოს, იტალიის, რუსეთის, ავსტრიის, უნგრეთის, ლიბანისა და არცახის სამეცნიერო ჟურნალებში.

მასთან ისტორიული საკითხების განხილვის შესაძლებლობა ჰქონდათ არა მხოლოდ სამეცნიერო სფეროში ცნობილ მის მეგობრებს, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერებს და უნივერსიტეტების პროფესორებს, როგორებიც იყვნენ ჟერარ დედეიანი, კლოდ მუთაფიანი. ვალენტინა კალცოლარი, იზაბელ ოჟე, ბერნარ უტიე, ზაზა ალექსიძე და სხვები. პოლემიკისას ის პატიოსანი გახლდათ, შეეძლო მოსაუბრის ჩაყოლიება განსახილველი საკითხის არსში.

დელიკატური იუმორი და აზროვნების სიმკვეთრე მისი საუბრების მნიშვნელოვანი თანმხლები იყო.

1990-იან წლებში ჰ. მარგარიანი აქტიურად მონაწილეობდა სომხეთის რესპუბლიკაში ახალი სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების შექმნაში. იგი არის მე-5 – მე-6 კლასის „სომხეთის ისტორიის“ ამჟამინდელი სახელმძღვანელოების ერთ-ერთი მთავარი ავტორი. აკადემიკოსებთან ვლადიმერ ბარხუდარიანთან, ბაბკენ ჰარუთიანიანთან და თავის ახლო მეგობარ, პროფესორ პაველ ჩობანიანთან ერთად.

ჰ. მარგარიანი არის თანაავტორი ისეთი მნიშნელოვანი მრავალტომეულების, როგორიცაა სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ შექმნილი „სომხეთის ისტორიის მოსაზღვრე ქვეყნებისა“ და სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ შექმნილი „სომხეთის ისტორია“ და ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული „სომხეთის ისტორიის ძირითადი საკითხები“. ამით მან ნვლილი შეიტანა აკადემიური არმენოლოგიისა და კავკასიოლოგიის განეითარების სფეროში.

ჰაირაპეტ მარგარიანი არის ავტორი წიგნისა „მეთორმეტე საუკუნეში ჩრდილოეთ სომხეთისა და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი“ (ერევანი 1980), რომელიც ხსნის სომხეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების შესწაელის ახალ თავს. მისი დამსახურებაა არმენიოლოგიასა და ქართველოლოგიაში შუა საუკუნეების, ამიერკავკასიის ისტორიის მრავალი რთული პრობლემის ანალიზი და ყოვლისმომცველი განხილვა. ჰ. მარგარიანის გამოუქვეყნებელმა სადოქტორო დისერტაციამ „სამხედრო-პოლიტიკური მოძრაობები შუა აღმოსავლეთში, სომხეთის უხუცესთა საბჭო (XII საუკუნიდან XIV საუკუნის პირველი ნახევარი)“ შუა აზიის ისტორიის მრავალი საკითხის შესასწავლად ახალი პერსპექტივები წარმოაჩინა.

მისი ინტერესების სფეროში იყო შუა საუკუნეების სომხეთისა და საქართველოს ისტორია და ისტორიოგრაფია, ეთნო-ეროვნული თვითშემეცნების პრობლემები, საეკლესიო-სოციალური ცხოვრება, ხსენებული ქვეყნების მთელი შუა საუკუნეების ლიტერატურა და ეპიგრაფიკა.

მის მიღწევათაგანია „ზაქარიანთა წარმოშობის ტრადიცია“ (ՊԲՀ, 1992, №2-3, გვ. 139-152; 1994, №2, გვ. 156-175), სტატიათა ციკლი, ისევე როგორც თითქმის 30 წლის წინ დაწერილი „ვაჩუტიანების მმართველი სახლის ისტორია“, ასევე სტატიები პროშიანებისა და ორბელიანების მმართველი სახლების ისტორიის შესახებ.

ენების, ისტორიოგრაფიული მასალებისა და პირველწყაროების ღრმა ცოდნამ ავტორს მეცნიერების სფეროში მრავალი რამის მიკვლევის შესაძლებლობა მისცა. სწორედ ასე გაანალიზა და ამოხსნა მან სომხეთისა და კავკასიის ისტორიის ბევრი ღია საკითხი.

ჩვენი გარდაცვლილი მეგობარი იყო სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში 50 წლის ტრადიციის მქონე საერთაშორისოდ აღიარებული პერიოდული გამოცემის "Кавказ и Византия" ერთ-ერთი დამფუძნებელი და რედაქტორი. იგი იყო პ. მურადიანის მარჯვენა ხელი. ჰაირაპეტ მარგარიანი ასევე იყო სომხეთის რესპუბლიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალის ერთ-ერთი საუკეთესო ავტორი, რომელიც აღმოაჩინეს ნეტარ ხსენებულმა აკადემიკოსებმა მკრტიჩ ნერსისიანმა და მატენადარანის დირექტორმა ლეონ ხაჩიკიანმა.

ჰაირაპეტ მარგარიანი სომხეთში ქართული ენის სწავლების ერთ-ერთი მოთავე და ინიციატორი იყო. მისი და პაველ ჩობანიანის ძალისხმევით 1983 წელს ა. შანიძის ნაშრომი „ძველი ქართული გრამატიკა" ითარგმნა ქართულიდან სომხურ ენაზე, ხოლო ერევნის სახელმწიფო უნივერიტეტის სომხეთის მოსაზღვრე ქვეყნების ისტორიის კათედრის ძალისხმევით, რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა, სასწავლო საგნებს შორის გამოჩნდა ქართული ენა. თბილისიდან ერევანში დაბრუნების შემდეგ ის ქართულს ასწავლიდა თავის ახლობლებს, ასევე პროფესორ ნინა გარსოიანის მოწაფე რობერტ პეტროსიანს. მეც მქონდა ბედნიერება 1978/9 წელს მისი ხელმძღვანელობით ქართული ანბანისა და ამ ენაზე კითხვის სწავლისა.

ჰაირაპეტ მარგარიანს ასევე დიდი წვლილი მიუძღვის სომხურ-ქართული შუა საუკუნეების წყაროების კვლევის სფეროში. მან თავისი აღმოჩენებით და ანალიზით ახალი სიცოცხლე მიანიჭა მოვსეს ხორენაცის, სებეოსის, ოვანეს დრასხანაკერტცის „სომხეთის ისტორიებს", სამუელის და მხითარ ანეცის „ქრონიკას" და „ქართლის ცხოვრების" მრავალ ეპიზოდს. ახლებურად განიხილა შუა საუკუნეების სამონასტრო ტიპიკონები და „შუშანიკის წამება".

მან თავისი შესაძლებლობები გამოავლინა ასევე შუა საუკუნეების სომხური ეპიგრაფიკული პირველწყაროების ანალიზისა და გამოქვეყნების სფეროში. ის არის სამეცნიერო მედიაში გამოქვეყნებული 200-მდე კვლევის ავტორი სომხურ, ქართულ, რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. 1986 წელს სამეცნიერო საქმიანობისთვის ჰ. მარგარიანს გადაეცა მედალი სამუშაო სითამამისთვის.

მან თავისი შრომისმოყვარეობით, ერთგულებით, სამეცნიერო და პედაგოგიური დამსახურებით ცხოვრებაზე გაიმარჯვა და მეცნიერების ნეტართა შორის თავისი ადგილი დაიკავა, კეთილი ხსოვნა დატოვა ყველა იმ ადამიანის გულში, ვინც მას იცნობდა.

ჰაირაპეტ მარგარიანი იყო მოქალაქე, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რომელმაც ცხოვრება თავის მშობლიურ მხარეს, ოჯახს, მეცნიერებას და სამშობლოს მიუძღვნა. ის შეიძლება იყოს მაგალითი თაობებისთვის.

კურთხეულ იყოს მისი ხსოვნა.

HISTORIAN, SCIENTIST AND FRIEND – OBITUARY FOR PROFESSOR HAYRAPET MARGARYAN (1950-2021)

Azat Bozoian

Armenian historiography has suffered a great loss. On May 2, 2021 Professor Hayrapet Gevorg Margaryan passed away. He was head of the Department of History of the Borderline Countries of Armenia at Yerevan State University, specialist in field of Armenian Studies. Georgian Studies, Medieval Studies.

He is the author of over 200 contributions which were published in various academic media in Armenian, Georgian, Russian, French and English. In 1986, for scientific activities H. Margarian was awarded by the medal.

He won over the life with his hard work, devotion, scientific and pedagogical merits and took his place in science, leaving a good memory in the hearts of all those who knew him.

Hairapet Margaryan was a citizen, in the true sense of the word, who dedicated his life to his homeland, family, science. He can be serve as an example for generations.

გზამკვლევი ავტორთათვის

ჟურნალში წარმოდგენილი სტატია შეიძლება იყოს ისტორიული, წყაროთმცოდნეობითი, ისტორიოგრაფიული პროფილის ორიგინალური გამოკვლევა. ამასთან უნდა გათვალისწინებულ იქნეს, რომ ტერმინი წყაროთმცოდნეობა გამოყენებულია ფართო გაგებით ანუ როგორც ყველა ტიპის წყაროთა (და არა მხოლოდ წერილობითი წყაროების) შემსწავლელი მეცნიერება. შესაბამისად, შესაძლებელია არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დარგში შესრულებული ნაშრომების წარმოდგენაც. ტერმინი ისტორიოგრაფია კი გამოიყენება ისტორიული აზრის ისტორიის შემსწავლელი დისციპლინის მნიშვნელობით. შესაბამისად, გულისხმობს როგორც წინამოდერნის, ისე ახალი დროის შესაბამისი ტექსტების კვლევისადმი მიძღვნილ გამოკვლეევებს.

რეგიონის ან ეპოქის არჩევანის მიხედვით შეზღუდვა არ არსებობს: წარმოდგენილი სტატია შეიძლება შეეხებოდეს ნებისმიერი ხალხისა და ქვეყნის ისტორიულ გამოცდილებას უძველესი დროიდან დღემდე.

კვლევითი სტატიების გარდა ჟურნალში შესაძლებელია წყაროების ტექსტების გამოქვეყნებაც შესაბამისი ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი თუ ტექსტოლოგიური კომენტარებით; მიიღება წყაროთა და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანებიც, რეცენზიები, სამეცნიერო ცხოერების სხვადასხვა ფაქტის (კონფერენციის, ვორქშოფის, წიგნის პრეზენტაციის და ა.შ.) ამსახველი ინფორმაციები, სამეცნიერო პოლემიკის მასალები, სამეცნიერო ეთიკასთან დაკავშირებული განსჯანი, დარგის სპეციალისტების შესახებ მოგონებები, მილოცვები, ნეკროლოგები, დარგის წამყვან სპეციალისტებთან ინტერვიუების ჩანაწერები, სხვადასხვა სამეცნიერო პრობლემაზე მოკლე კომენტარები.

ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება უფასოა. უფასოდ მიიღებენ ავტორები ჟურნალის ერთ ბეჭდურ ცალს. ჟურნალის ელ-ვერსია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.

ჟურნალში სტატიის წარმოდგენა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. 30 მაისამდე წარმოდგენილი სტატია დაიბეჭდება იმავე წელსვე, ამ თარიღის შემდგომ შემოსული – მომდევნო წელს.

კორექტურული შეცდომების შემცველი და სტატიის გაფორმების წესების იგნორირებით შესრულებული ნაშრომები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს შესწორებებისათვის.

საბოლოო გადაწყვეტილებას სტატიის გამოქვეყნების თაობაზე იღებენ რედაქტორები სამეცნიერო ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების საფუძველზე.

სტატია როგორც word ისე pdf ფორმატში რეზიუმეებისა და საილუსტრაციო მასალების თანხლებით უნდა გადაეგზავნოს რედაქციას, შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

source-studies@tsu.ge

სტატიასთან ერთად ავტორებმა უნდა გადმოაგზავნონ განაცხადის შევსებული ფორმა, რომელშიც შესაბამის ველში მითითებული უნდა იქნეს ის რუბრიკა (ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი კვლევები, საერთაშორისო პრეზენტაცია, თეორია ისტორიულ კელევაში და ისტორიოგრაფია, წყაროთა თარგმანი და წარდგინება, საარქივო მასალების პუბლიკაცია, კომენტარი, თვალსაზრისი, წიგნების მიმოხილვა, ქრონიკა, ინფორმაცია, ინტერვიუ, ხსოვნა), რომელშიც ავტორს სურს საკუთარი ნაშრომის გამოქვეყნება.

სტატიის ენა.

სტატია შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენებზე, გამონაკლის შემთხვევაში — რუსულად.

სტატიის სტრუქტურა.

კვლევითი სტატია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან: სათაური, ავტორის სახელი და გვარი, ძირითადი ტექსტი, შენიშვნები (თუკი არის), დამოწმებანი, რეზიუმე (რეზიუმეები).

სტატიის სათაური.
გამუქებული, ცენტრში, ფონტის ზომა 14.

ავტორის სახელი და გვარი.
გამუქებული, მარჯვენა კიდეში, ფონტის ზომა 12.

ძირითადი ტექსტი.
ფონტის ზომა 11, მანძილი სტრიქონებს შორის 1.15. ძირითად ტექსტში ქვესათაურები – ფონტის ზომა 11, გამუქებული.

შენიშვნები (სათაური).
გამუქებული, ფონტის ზომა 12.

შენიშვნები (ტექსტი).
ფონტის ზომა 10, მანძილი სტრიქონებს შორის 1. შენიშვნების ნუმერაცია უნდა გაკეთდეს ხელით და არა არსებული სპეციალური პროგრამის საშუალებით. შენიშვნები არ უნდა იქნეს გამოყენებული ლიტერატურის დამოწმებისათვის, არამედ მხოლოდ დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად. შენიშვნების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25.

დამოწმებანი (სათაური).
გამუქებული, ფონტის ზომა 12.

დამოწმებანი (ტექსტი).
ფონტის ზომა 10, ინტერვალი 1. უცხოელი ავტორების გვარები უნდა გადმოლებულ იქნეს ქართულად და ლიტერატურა უნდა დალაგდეს ქართულ ანბანურ რიგზე.

ფონტი.
სილფაენი (Sylfaen) ყველა ენისათვის.

აბზაცი.
აბზაცი უნდა გაკეთდეს კლავიშით თაბ (tab), რომელიც დაყენებული უნდა იყოს ერთ სანტიმეტრზე.

შემოკლებები.
სტატიაში დაშვებულია მხოლოდ შემდეგ სიტყვათა შემოკლებების გამოყენება: იხილეთ – იხ., შედარებისათვის/შეადარეთ – შდრ., მაგალითად – მაგ., ე. ი., სხვ., ა. შ. სტატიაში კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებული თარიღების, ასევე დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების მითითებისას, ოლონდ მხოლოდ ფრჩხილებში დასაშვებია შემოკლება შემდეგი ფორმით (სს., ს. წ., წწ.), სხვა შემთხვევაში, ტექსტშიც და შენიშვნებშიც უნდა დაიწეროს სრულად.

სტატიაში სახელების მითითებისას აუცილებელია პირველად ხსენების შემთხვევაში დაიწეროს სრულად, დანარჩენ შემთხვევაში სახელის ინიციალი, მარტო პირველი ასო-ბგერა. მაგალითად ი. ჯავახიშვილი ნაცვლად ივ. ჯავახიშვილისა. სტატიაში კანონიზებული წმინდანების ცხოვრებების სათაურების მითითების შემთხვევაში აუცილებელია, რომ სათაურის წინ აღინიშნოს მათი წმინდანობის სტატუსი შემდეგი სახის შემოკლებით – წმ.

ციტირება.
ერთი ან ორი სტრიქონის მოცულობის ამონარიდი (პირდაპირი ციტირების შემთხვევაში) ტექსტისაგან გამოიყოფა ორი ბრჭყალებითთ. ორ სტრიქონზე მეტი მოცულობის ამონარიდი ზემოდანაც და ქვემოდანაც უნდა გამოიყოს ძირითადი ტექსტისაგან. ციტატის ტექსტი უნდა შეიწიოს აბზაცის დონეზე, ფონტის ზომა უნდა იყოს 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

ციტირებისას სტატიის ავტორის მიერ გამოტოვებული ადგილების ნაცვლად უნდა დაიწეროს სამი წერტილი და ჩაისვას ოთხკუთხედ ფრჩხილებში […]. ციტატაში ავტორისეული ცვილებების შესახებ შენიშვნები თავსდება ფრჩხილებში. ქართულენოვან სტატიაში უცხოენოვანი წყაროდან

ციტირების შემთხვევაში აუცილებელია ქართული თარგმანის წარმოდგენა. იმ შემთხვევაში თუ ავტორი ციტირებისას აკეთებს გამოტოვებებს და ციტატა მოიცავს რამდენიმე გვერდს ციტატაში გამოტოვების ადგილების სათანადოდ აღნიშვნასთან ერთად დამოწმებაში უნდა მიეთითოს საწყისი და საბოლოო გვერდები.

სასვენი ნიშნები.

აუცილებელია ტირესა და დეფისის განსხვავება. დეფისი არის პატარა ხაზი, რომელიც უნდა გამოყენებულ იქნეს კომპოზიტებისათვის. რაც შეეხება ტირეს – ესაა დიდი ხაზი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ სიტყვებს შორის. სასვენი ნიშანი იწერება ბრჭყალების შემდგომ, ხოლო შენიშვნის მაჩვენებელი ინდექსი იწერება სასვენი ნიშნის შემდგომ.

მოცულობა.

სტატიის მოცულობა შენიშვნების, დამოწმებანის, დანართებისა და რეზიუმეს ჩათელით არ უნდა აღემატებოდეს 6000 სიტყვას. საინფორმაციო წერილების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 4000 სიტყვას. მოცულობის გადაჭარბება ითვლება ტექნიკურ ხარვეზად და ამგვარი სტატიები შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდებათ ავტორებს რედაქტირებისათვის.

რეზიუმე.

როგორც ქართულენოვან, ისე უცხოურენოვან სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულად და ინგლისურად. რეზიუმე ინგლისურ ენაზე უნდა ითარგმნოს კვალიფიციური სპეციალისტის მიერ.

რეზიუმე არ უნდა იყოს 200 სიტყვაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას. რეზიუმე უნდა დაერთოს ნებისმიერ ტექსტს ჟურნალის რომელი სექციისათვისაც არ უნდა იყოს იგი გამიზნული. კვლევითი სტატიის რეზიუმე უნდა პასუხობდეს შემდეგ ოთხ კითხვას: რა არის საკვლევი პრობლემის არსი; როგორია მისი შესწავლის მდგომარეობა; როგორია ავტორის დასკვნა, რა არგუმენტები მოჰყავს მას თავისი თეალსაზრისის დასამტკიცებლად. ინფორმაციული, მიმოხილვითი და ა.შ. სტატიის რეზიუმესათვის სავალდებულო არაა ამგვარი მოთხოვნების მკაცრი დაცვა. ამ შემთხვევაში მოკლედ აღნიშნული უნდა იყოს თუ რას შეეხება პუბლიკაცია.

ლიტერატურის მითითების წესი.

დამოწმებული ლიტერატურის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 40 ერთეულს. ამ მოთხოვნის დაუცველობაც ჩაითვლება ტექნიკურ ხარვეზად და სტატია შინაარსობრივი განხილვის გარეშე დაუბრუნდება რედაქტირებისათვის ავტორს. სექციაში დამოწმებანი დამოწმებული ლიტერატურა უნდა დალაგდეს ანბანური რიგის მიხედვით (უცხოელი ავტორის ან უცხო ენაზე გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი ტექსტშიც და ლიტერატურის ჩამონათვალში უნდა მიეთითოს ქართულად). ფონტის ზომა 10, სტრიქონებს შორის ინტერვალი 1.

დამოწმებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ აღწერილობაში, სასურველია, ავტორებმა მიუთითონ არა მარტო გამოცემის ადგილი, არამედ გამომცემლობაც. ამავე დროს წერტილები და მძიმეები გამოიყენონ ქვემოთ მოცემული კონკრეტული მაგალითების მიხედვით.

ლიტერატურის დამოწმების კონკრეტული მაგალითები.

ა) დამოწმება სტატიის ტექსტში და სტატიის ბოლოში

სტატიის შიგნით – ერთი ავტორის ნაშრომი:

(ჩხარტიშვილი 2009: 5).

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი ერთი ავტორის ნაშრომი:

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – ორი ავტორის ნაშრომი:

(ჩხარტიშვილი, მანია 2011: 5)

სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი

ჩხარტიშვილი, მანია 2011: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. *ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის*

პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში, „იერია" და მისი მკითხველი საქართველო, ტ. 1, თბილისი, უნივერსალი.

სტატიის შიგნით – რამდენიმე ავტორის ნაშრომი:
(ჩხარტიშვილი და *სხვები* 2017: 64)
სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი
ჩხარტიშვილი და *სხვები* 2017: M. ChkhartiSvili, S. Kadagishvili, Z. Targamadze. Dress and Identity: A Georgian Case Study, Fashion Through History: *Costumes, Symbols, Communication*, Volume I, Edited by Giovanna Motta and Antonello Biagini, Cambridge scholars publishing, Newcastle

ბ) ერთი და იმავე ავტორის ერთიდაიმავე წელს გამოცემული ნაშრომები:

ჩხარტიშვილი 2009ა: M. Chkhartishvili. *On Georgian Identity and Culture (Nine international presentations by Professor Mariam Chkhartishvili)*, Tbilisi, Universal.
ჩხარტიშვილი 2009ბ: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.

გ) მონოგრაფიის, დისერტაციის დამოწმება, კრებულის ან ჟურნალის სტატიის დამოწმება:

ჩხარტიშვილი 2009: მ. ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიე რელიგიური მოქცევის ეპოქაში*, თბილისი, უნივერსალი.
კაშია 2005: ჯ. კაშია. ცალკეული შენიშვნები პატრიოტიზმის თემაზე, *საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე*, მთავარი რედაქტორი ზ. კიკნაძე, თბილისი, არეტე.
ჩხარტიშვილი, მანია 2010: მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართული ერთობის სოციალური „სიცოცხლის ორი თვე" ანუ დაკვირვება ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესზე 1878 წლის ივერიის 10 ნომრის მიხედვით, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, ტ., XII, თბილისი, უნივერსალი.
თარგამაძე 2019: ზ. თარგამაძე. *ქართელთა თვითცნობიერება: ისტორიული ასპექტები (XVIII საუკუნე)*, სადოქტორო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი.

როგორც ვხედავთ, თუ მონოგრაფიას ვიმოწმებთ, მაშინ კურსივით ვბეჭდავთ მის სათაურს; თუ კრებულში ან ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიას ვიმოწმებთ, კურსივით ვბეჭდავთ კრებულის ან ჟურნალის სახელწოდებას. შესაბამისად, აღარაა საჭირო მითითება „ჟურნ.", ან „კრ".

ამასთან როდესაც ერთი და იმავე ადგილას ვიმოწმებთ რამდენიმე ავტორს, ტექსტში თითოეული დამოწმება ფრჩხილებით უნდა გამოიყოს ერთმანეთისაგან:

დამოწმება ტექსტში: (ჩხარტიშვილი 2009: 5); (თარგამაძე 2018: 205).

დ) უცხოენოვანი ან უცხოელი ავტორის ნაშრომის დამოწმების წესი:

სტატიის ტექსტში: (ჩხარტიშვილი 2014: 202).
სექციაში დამოწმებანი:

ჩხარტიშვილი 2014: M. Chkhartishvili.Conceptualizing the Georgian Nation within the Romanov Empire: Georgian Intellectuals in Search of a Matrix, *Empires and Nations from the Eighteenth Century to the Twentieth Century,* Volume I, Edited by Antonello Biagini and Giovanna Motta, Cambridge Scholars Publishing.

ე) გამოქვეყნებული წყაროს მითითების წესი:

გამოქვეყნებული ქართულენოვანი წყაროს დამოწმების შემთხვევაში ტექსტში უნდა მიეთითოს გამომცემლის (და არა ავტორის) გვარი; არ უნდა მიეთითოს თხზულების სათაურიც:

სტატიის შიგნით: (ყაუხჩიშვილი 1955: 2) (და არა „ქართლის ცხოვრება“ ან ლეონტი მროველი)
სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:

ყაუხჩიშვილი 1955: *ქართლის ცხოვრება*, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი I, თბილისი, სახელგამი.

უცხოენოვანი წყაროს დამოწმების შემთხვევაში შეიძლება მიეთითოს მთარგმნელის გვარი.

ე) საარქივო მასალის დამოწმება:

სტატიის შიგნით: (ფონდის მითითება ან არქივი)
სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:

ფონდი 416: საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი. ფონდი 416, აღწერა 2, საქმე 11.

ზ) სამეცნიერო თარგმანის დამოწმება:

სტატიის შიგნით: (ჩხარტიშვილი 2004: 5).
სტატიის ბოლოში, სექციაში დამოწმებანი:

ჩხარტიშვილი 2004: ე.დ. სმითი. *ნაციონალიზმი: თეორია, იდეოლოგია, ისტორია*, თარგმანი ინგლისურიდან მ. ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედ. რ. ამირეჯიბი-მალენი, თბილისი, ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი.

თ) საინტერნეტო პუბლიკაციის დამოწმება:

საინტერნეტო პუბლიკაციის შემთხვევაში მოქმედებს დამოწმებისა და ციტირების ზემოთ აღწერილი წესები: თუ ვიმოწმებთ ელექტრონულ გამოცემას, აუცილებელია, ლიტერატურის ჩამონათვალში ეს აღნიშნული იყოს; ამასთან უნდა მიეთითოს ვებ-გვერდის მისამართი, ასევე დამოწმების ბოლოს ფრჩხილებში უნდა დაფიქსირდეს პუბლიკაციის ნახვის თარიღი.

Носенко: Е. Носенко. Еще раз о нации, этносе, этничности тому подобных понятиях, veb-gverdi: berkovich-zametki.com http://berkovich-zametki.com/Nomer42/Nosenko1.htm (nanaxia: 01/03/2007).

იმ შემთხვევაში თუ ინტერნეტ პუბლიკაციაში არ არის მითითებული ავტორი და თარიღი, მაშინ დამოწმებაში უნდა მიეთითოს ნაშრომის სათაური, ელექტრონული მისამართი და ელექტრონულად გამოქვეყნების თარიღი.

ი) საილუსტრაციო მასალის გამოყენების წესი:

ჟურნალში ილუსტრაციები (ფოტო, გრაფიკული გამოსახულება და სხვ.) დაიბეჭდება შაეთეთრად. ავტორმა მასალა უნდა წარმოადგინოს ელექტრონული სახით. ილუსტრაციას უნდა ახლდეს განმარტება. ამასთან სტატიის ავტორი ვალდებულია თავად მოიპოვოს მასალის გამოყენების უფლება.

ზ) ნაშრომის დამოწმება სხვა ავტორის ნაშრომის მეშვეობით:

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ავტორს ვიმოწმებთ სხვა ავტორის მიხედვით, დამოწმებაში ჩვეულებრივ უნდა წარმოდგენილ იქნეს სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა და ამის დამატებით უნდა მიეთითოს იმ ნაშრომის სრული ბიბლიოგრაფიული აღწერილობა, საიდანაც ვსარგებლობთ დამოწმებისათვის.

GUIDELINES FOR AUTHORS

Coverage:

The research paper should be original contribution focused on history representation, source criticism, and historiography. The term source is understood in broadest sense of this word; accordingly, journal will accept the papers in archaeology and cultural anthropology too. There are no restrictions regarding the chronology or region: the papers might be devoted to the history of any country and people, to any period from ancient times until today. Alongside with research papers the publications of sources with relevant commentaries, translations of primary and secondary (from other languages to Georgian) sources, book reviews, information about the different evens of academic life (presentations, conferences, workshops etc.), also materials reflecting debates, papers devoted to outstanding contributions of scholars as well as in memoriam of those who passed away, but their contribution to the history of profession should be remembered, are welcomed.

The authors are responsible to obtain copyrights for the used illustrative materials.

The publication in the journal is free. The authors will be granted one hard copy of the journal. The journal will be permanently accessible through the web-site of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology.

Language:

The language of the submitted manuscript should be Georgian with the summary in English, or English with summary in Georgian. As an exception manuscript might be submitted in Russian too with summaries in Georgian and English.

The length:

The length of the papers should not exceed 6000 words; the papers of informative character should not exceed 4000 words.

Citation Style:

For references and citation authors should use Chicago style: author-date system http://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.htmlhttp://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide.html

Number of references and notes:

The references must be given at the end of each contribution with a maximum of 40 titles. Notes should be as endnotes with maximum number 25 and placed before the references.